გია ყარყარაშვილი

სამშობლოს ამარა

2025

გია ყარყარაშვილი
საშოვლის ამარა

პროექტის ხელმძღვანელი:
მარიამ ყარყარაშვილი
Info@karkarashvilibooks.com

რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
დიზაინერი: ნინო ყაველაშვილი
გარეკანის დიზაინერი: მარიამ მზარეულიშვილი

წიგნში გამოყენებულია საქართველოს ეროვნულ არქივსა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ფოტომასალა და ავტორის ფოტოარქივი

© გია ყარყარაშვილი, 2025
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-8-7446-8

ეძღვნება საქართველოს უახლეს ისტორიაში თავსმოხვეულ ომებსა თუ სამხედრო კონფლიქტებში დაღუპულ ყველა თანამებრძოლს, ნაცნობსა თუ უცნობს: სამხედრო მოსამსახურეებს – გენერლებს, ოფიცრებს, ჩევადიანებს, რიგითებს; მოხალისეებს, უბრალოდ, იმ ახალგაზრდა ბიჭებს, რომლებმაც სხვადასხვა დროს ჩემი მეთაურობისას („თეთრი არწივის" მე-4 სპეცდანიშნულების ბატალიონი იქნებოდა ეს თუ პირველი ბრიგადა, ეროვნული გვარდიის სარდლობისა თუ თავდაცვის მინისტრობისას) პირნათლად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე.

ეძღვნება, ასევე, ცოცხლად დარჩენილ თანამებრძოლებს.

წინასიტყვაობა

ძვირფასო მკითხველო, შენ წინაშეა კაცი, რომელიც წიგნად განსხეულდა. შენ წინაშეა კაცი, ვისაც საგმირო თავგადასავლისა და ფათერაკისაკენ სწრაფი და მტკიცე ნაბიჯით სვლა სურდა და სამშობლო თავის ფიქრში და განცდაში გაიყოლა. სამშობლომაც არ დააყოვნა და გაიარა მის სულზე და სხეულზე. ასეთია სამშობლო, თუ ფიქრში და განცდაში შეუშვი, შემოვა დიდი ტკივილის ფასად, ოღონდ ამ ტკივილს დღესასწაული ჰქვია.

ამ წიგნის ავტორიც და გმირიც გიორგი ყარყარაშვილია. ეს კაცი-წიგნი სარკეს ჰგავს, პათეტიკის ნიღაბმორგებული ქართველისათვის გაწვდილ სარკეს და საკუთარ მითოლოგიაში მცხოვრებს სინამდვილისათვის თვალის გასწორებას სთავაზობს. სინამდვილისათვის და არა მხოლოდ რეალობისათვის...

ზოგადად ასეა, რომ ტყვიების ქარცეცხლში კაცი ფიქრისათვის ვეღარ იცლის და მხოლოდ გადარჩენის ან გამარჯვების ინსტინქტით მოქმედებს, მაგრამ ამ წიგნის ავტორს ფიქრი არც უკიდურეს განსაცდელში ტოვებს და ეს ფიქრი არის საკუთარი სიმართლის განუწყვეტელი ძიება... ფენომენალური მეხსიერების მქონე ავტორი მკითხველის თვალწინ კინოკადრებივით ჩაატარებს ჩვენს უახლეს დრამატულ წარსულს. თუმცა ამ „წარსულთან" ავტორს უცნაური კავშირი აქვს. მწერალი ერთდროულად დისტანცირებულიც არის „წარსულთან" და მისი თანამედროვეც. დისტანცირებულია იმდენად, რამდენადაც მოვლენის გასააზრებლად და შესაფასებლად სჭირდება, ხოლო „წარსულის" თანამედროვედ რჩება, რადგანაც ქარტეხილი მის განცდაში განაგრძობს ცხოვრებას.

ოფიცრის ღირსებით ნაკარნახევ წიგნ-კაცში ყოველ დეტალს საგულისხმო, თუ გნებავთ, საბედისწერო მნიშვნელობა აქვს, რადგან მისმა ავტორმა და გმირმა კარგად იცის, რომ დიდი ამბიდან დეტალი არ ჩანს, დეტალიდან ჩანს დიდი ამბავი.

მწერალი ერთგან იხსენებს: „არწივს თოკი გადავუჭერი და ხელი ავუქნიე, რომ გაფრენილიყო..." მე კი მინდა ვთქვა, რომ გენერალმა გიორგი ყარყარაშვილმა ამ წიგნით თოკი გადაუჭრა და ხელი აუქნია მწერალ გიორგი ყარყარაშვილს. წიგნში აღწერილი შვეულმფრენის სარისკო აფრენისაგან განსხვავებით, საბედნიეროდ, ამ ფრენას არსაიდან საფრთხე არ ემუქრება.

დავით მაღრაძე
6 იანვარი, 2023



ეს წიგნი ალბათ არც დაიწერებოდა, რომ არა ოთარ ჭილაძის „გოდორში" ამოკითხული ცალკეული პასაჟები, რამაც კიდევ ერთხელ შემახსენა ადრე თავს გადამხდარი და უკიდურესობამდე გამომძაფრა აფხაზეთის ომის მოგონებები („დაეცა და დაიკარგა – კი არ გამქრალა..." – აფხაზეთი და ომის საწყის ეტაპზევე დაკარგული გაგრა; „ხავსმოკიდებულ მიწასა და ნესტიან ბალახში ჩაბუდებული ათასგვარი მწერი და ქიანჭველა" – ძველ გაგრასთან ბრძოლაში დაღუპული ძმა; „აქამდე ის დაგეძებდა, უკან მოგდევდა, როგორც მწევარი და შენ გარბოდი, როგორც ნადირი" – ჯერ კიდევ 1990 წლის 12 დეკემბერს სიკვდილთან პირველი შეხვედრისას დაწყებული თამაში, რომელიც დღემდე გრძელდება)...

ჩემთვის პატივი იყო იმის გაგებაც, რომ გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე მწერალს შვილისთვის უკითხავს, გია ყარყარაშვილის წიგნი ხომ არ გამოსულაო – 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ წიგნს ქართველი მეომრებისადმი ოთარ ჭილაძის მიმართვა წავუმძღვარე წინასიტყვაობად, ავტორისავე ნებართვით. ასევე, განსაკუთრებით ძვირფასია ჩემთვის მისი შეფასება: „ეს ბიჭი მე-20 საუკუნის უკანასკნელი ჯარისკაციაო".

რაც შეეხება უკვე დაწერილ წიგნს, ის დღის სინათლეს ვერ იხილავდა, რომ არა ბევრი ადამიანის დახმარება. დიდი გულისტკივილით ვიგონებ ჩემთვის ძვირფას, ან განსვენებულ ავთანდილ ჯორბენაძეს, რომელიც იმ დროს ჯანდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობდა. ავთოს და სხვა ქართველი ექიმების – ნოდარ ლებანიძის, თენგიზ ცერცვაძის, ლალი შარვაძის, თემურ ჩიგოგიძის, რომან შაქარაშვილის, ფრიდონ თოდუას, ლექსო ლაგვილავას და სხვების – პროფესიონალიზმი და ძალისხმევა რომ არა, ნევროლოგიური დაზიანების მუდმივად თანმდევი გართულებებით აქამდე ათჯერ მაინც უნდა მოვმკვდარიყავი.

უანგარო დახმარებისთვის მადლობას ვუხდი მათაც, ვინც სხვადასხვა დროს ხელი შემინყო წიგნის დასრულებასა და რედაქტირებაში: მზია კაიშაურს, ნინო ნატროშვილს, გია იაკობაშვილს, ნინო ლურსმანაშვილს, ლადო იოსებაძეს, ასევე, ლევან დავითაშვილს და სოსო ქიმერიძეს.

მადლობა დავით მაღრაძეს წიგნისათვის შესანიშნავი წინასიტყვაობისა და ლექსის მოძღვნისთვის.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ამ წიგნის დაბეჭდვისთვის „პალიტრა მედია ჰოლდინგის" გენერალურ დირექტორს, ირაკლი თევდორაშვილს.

მინდა მადლობა ვუთხრა და სიამაყით აღვნიშნო ჩემი შვილის, მარიამის გვერდში დგომა და დაუღალავი გარჯა. მხოლოდ მისი ჩართვის შემდეგ მოხერხდა წიგნის პირველი ნაწილის დასრულება. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მე თუ ვერა, დარწმუნებული ვარ, ის მაინც შეძლებს მეორე ნაწილის სრულყოფას და მკითხველამდე მოტანას.

მადლობა ყველა ჩემს ახლობელსა და მეგობარს, სამხედრო თუ სამოქალაქო პირს წიგნზე მუშაობისას ხელშეწყობისა და თანადგომისთვის.

გულითად მადლობას მოვახსენებ ამ წიგნის ყველა მკითხველს.

გიორგი ყარყარაშვილი

შესავალი

საბჭოთა იმპერიის რღვევა მეოცე საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში, საქართველოში ეროვნული მოძრაობის დაწყება, სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაზრდილი განხეთქილება ეროვნულ ძალთა შორის, კრემლის მიერ ინსპირირებული სეპარატიზმი, ომები ცხინვალსა თუ აფხაზეთში, ისევე როგორც კიდევ ბევრი სხვა დრამატული მოვლენა, რასაც საბოლოოდ რუსეთ-საქართველოს ომი მოჰყვა, დღემდეც ბევრს აქვს აღწერილი, თუმცა მთავარი კითხვები ჯერაც პასუხგაუცემელი რჩება: მაინც რატომ ვერ მოხერხდა ხსენებული კონფლიქტების, რეალურად კი რუსეთ-საქართველოს ომების, ისევე როგორც ჩვენი შიდა სამოქალაქო დაპირისპირების სრული სურათის აღდგენა?

მე ერთ-ერთი ვარ იმათგან, ვის თავზეც გადაიარა ყველა ამ ომის სიმწარემ. საბჭოთა არმიის საარტილერიო ბატარეის მეთაურმა, ეროვნული მოძრაობის იდეებით აღფრთოვანებულმა, პროტესტის ნიშნად დავტოვე საბჭოთა არმიის რიგები და ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელ ქართულ არმიას შევუერთდი.

მე ვარ ის სამხედრო მეთაური, ეროვნული გვარდიის, სამაჩაბლოსა და აფხაზეთში გადასროლილი ჯარების ის სარდალი და თავდაცვის მინისტრიც, ვისაც პოლიტიკოსებმა მათ მიერვე გაჩაღებულ ომებზე ჯერ ლამის სრული პასუხისმგებლობა დააკისრეს, შემდეგ კი ზურგი აქციეს.

1995 წლის 25 იანვარს კი ყველაფერი დასრულდა. იმ დღეს კილერებმა ჩემს მეგობარსა და თანამებრძოლს, გენერალ-მაიორ პაატა დათუაშვილს სამი ტყვია ესროლეს, მე – ხუთი. იყო საკონტროლო გასროლაც. პაატა ადგილზე გარდაიცვალა, მე იმ ჯერზეც გადავრჩი, უკვე მერამდენედ. ასეთი აღმოჩნდა განგების ნება და ჩემი ბედისწერა. ასე გავხდი 28 წლის გენერალ-მაიორი პირველი ჯგუფის ინვალიდი და შეზღუდული შესაძლებლობის პირი.

სისხლი დავღვარე, ბრძოლის ველზე უახლოესი ადამიანები დავკარგე. ვინ იცის, რამდენი რამ გადამხდა თავს, რამდენი რამ ვნახე, რამდენი რამ გამოვცადე. ვფიქრობ, ამის სხვათათვის არგაზიარება არასწორი იქნებოდა.

1991-1993 წლებში სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომებზე ათასი ტყუილ-მართალი დაიწერა, არადა ეს ყველაფერი ჩემი ბიოგრაფიის ნაწილია... ამიტომ გადავწყვიტე, გადახდილ ომებზე თვითონვე დამეწერა წიგნი.

აგერ უკვე თხუთმეტი წელია, დილიდან დაღამებამდე საკუთარ თავთან ვსაუბრობ, მომხდარს ვიხსენებ და დიქტოფონით ვიწერ, რომ როგორც კი კლავიატურის მცოდნეს მოვიხელთებ, მონათხრობი ფურცელზე გადავატანინო.

არაფერს ვიგონებ, მხოლოდ რეალურად მომხდარ ამბებს ვყვები.

არც არავის განვიკითხავ, არც ვინმეს ვადიდებ, მხოლოდ ის მინდა, დაღუპულებს მივაგო ღირსეული პატივი, თანაც დამსახურებისამებრ და არა იმიტომ, მიცვალებულზე ან კარგი რომ ითქმის, ან არაფერი.

მთავარია, მომხდარის სრული სურათის აღდგენა შევძლო: არის დღეები, როცა რაღაცის გახსენება მიჭირს, მაგრამ შემდეგ, მოულოდნელად, დიდი ხნის წინათ ნანახი ფილმივით თვალწინ ცოცხლდება წარსულის სურათები...

ხშირად ძალა მეცლება, ცახცახი ამიტანს ხოლმე და ვხვდები – უნდა შევჩერდე, უნდა შევისვენო, თორემ გადავიწვები! მომდევნო დღეები და კვირები ვცდილობ, გონება დავასვენო, თუმცა არც ეს გამომდის. ღამით შუქს რომ ვაქრობ, მინდა როგორმე დავიძინო, ოღონდ ვერ ვახერხებ და გათენებამდე კვლავ წიგნზე მეფიქრება.

ეტყობა, ასე მახსენებს თავს განცდილი ტკივილი, დარდი და იმედგაცრუება. ეს ომზე არანაკლები უბედურებაა: შენი მტერი შენივე მახსოვრობა, შენივე წარსულია, რომელთან ჭიდილშიც თითქოს ხელახლა იწრთობი.

როდესაც მეხსიერება მღალატობს, თვითმხილველებს ვეხმიანები და ვესაუბრები. იმდენი დრო გავიდა, გასაკვირიც არაა, რომ რაღაც დამავიწყდა. დრომ ზოგი მოგონება გააფერმკრთალა კიდეც და ხანდახან ვეღარ ვიხსენებ, მსგავსი რამ მართლა გადამხდა თავს, თუ მხოლოდ ჩემი წარმოსახვის ნაყოფია. იქნებ ქვეცნობიერი ცდილობს, შეცდომაში შემიყვანოს, რათა მერე ხელი ჩავიქნიო, ნერა შევწყვიტო და აღარ ვთქვა ის სიმართლე, რაც, უპირველესად, მინდა საკუთარ თავს შევახსენო.

დროდადრო მკვლელთან პირისპირ შეხვედრა, გასროლამდე მასთან წამიერი გამოლაპარაკება გამახსენდება და საკუთარ თავს ვეკითხები: „მართლა ის იყო? ეგებ ვცდები?“

90-იანი წლების ბოლოს მომხდარი მოვლენებისა და განვითარებული პროცესების თანმიმდევრული აღდგენა, იმდროინდელი ფაქტების გახსენება და ანალიზი, იმედია, ერთხელ და სამუდამოდ გაგვარკვევინებს, ვის გონებაში იბადებოდა, ვისი უშუალო მონაწილეობით, ჩარევითა თუ უმოქმედობით ენთებოდა მწვანე შუქი ერთმანეთზე მიწყობილ ტერორისტულ აქტებს, რომელთაც ათობით პოლიტიკოსი, სამხედრო თუ საზოგადო მოღვაწე ემსხვერპლა.

ერთიანი სურათის აღდგენით ეგებ იმის გარკვევაც მოხერხდეს, ვის აძლევდა ხელს, ვინ დაუკვეთა და ვინ შეასრულა თავდასხმა ჩემზე და პაატა დათუაშვილზე, ჩვენი ლიკვიდაციის მიზნით. იქნებ ასეთი მხილებით მაინც ვიძიო შური მეგობრის მკვლელობისთვის.

გადის წლები. უკვე მერამდენე აღდგომამ და შობამ ჩაიარა... ისეთი აღარ ვარ, როგორიც 15, 10 ან თუნდაც 5 წლის წინ ვიყავი. მიუხედავად ამისა, წიგნი მაინც დავასრულე. სიკვდილმა, რომელიც მთელი ცხოვრება ფეხდაფეხ დამდევდა, ახლაც დამაცადა, სათქმელი ბოლომდე მეთქვა, ალბათ იმიტომ, რომ პირნათელი გავერიდო ამ წუთისოფელს.

გეტყვით იმას, რაც აქამდე არ თქმულა.

როდის, სად და როგორ იშვა ის ბოროტება, რომელმაც ძმა ძმას ნაჰკიდა და სამკვდრო-სასიცოცხლოდ დააპირისპირა საქართველოს დედაქალაქში, შემდეგ შუაგულ ქართლში, მაჩაბელთა ძირძველ მიწაზე და ბოლოს აფხაზეთში...

ვინ რა როლი შეასრულა თანამოძმეთა დაპირისპირებასა და იმ შეიარაღებული კონფლიქტების გაჩაღებაში, რომლებმაც ათასობით ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა.

ასევე, ვინ რის გაკეთება სცადა სამხედრო დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად...

მინდა ჩემმა ნათქვამმა მწარე სიმართლემ ომის ნამდვილი გამჩაღებლები ამხილოს, აფხაზსა და ოსს გაყინული გული გაულღოს და ქართველის მიმართ სიძულვილი გაუნელოს.

მინდა ამ წიგნმა თანამედროვეებს და მომავალ თაობებსაც მოუთხროს, თუ როგორ იბრძოდნენ ომებში მათი თანამოძმენი და ჩემი თანამებრძოლები...

მინდა ყველამ იცოდეს, როგორ სწირავდნენ სიცოცხლეს მაშინაც კი, როდესაც მარცხი გარდაუვალი ჩანდა, რადგან სჯეროდათ, რომ ამას საკუთარი სამშობლოსთვის, ერისთვის აკეთებდნენ, ეს მხედრულ ვალად მიაჩნდათ... რომ შემძლებოდა, ყოველ მათგანს არათუ გვარით, არამედ მათ თავს გადამხდარი ამბებით გავიხსენებდი, რადგან ბრძოლის ველზე დაცემული ყველა ქართველი ჯარისკაცი იმსახურებს ამას.

ეს წიგნი ერთი ქართველი ბიჭის მიერ საბჭოთა არმიის კურსანტობიდან ქართული არმიის გენერლობამდე გავლილი გზის შესახებ მოგითხრობთ, მოკლე დროში უმაღლესი სამხედრო თანამდებობის დაკავებისა და მალევე ძირს დანარცხების ამბავს აღწერს, მეომრული შემართებიდან სრულ უძლურებამდე თავბრუდამხვევი სისწრაფით განვლილ ცხოვრებას ასახავს.

წიგნი 1991 წლის 12 დეკემბერს სიკვდილთან პირველად შეხვედრისას წამოწყებულ თამაშზეა და ეს თამაში ჯერაც გრძელდება...

მართალი გითხრათ, დღეს მეც თქვენნაირი მკითხველი ვარ. იმ გიორგი ყარყარაშვილს, ვის შესახებაც გიყვებით, თავადაც ვეღარ ვცნობ, რადგან მასთან, კაცმა რომ თქვას, საერთოც აღარაფერი მაქვს – ის 1995 წლის 25 იანვარს მოკვდა.

თბილისი

25 იანვარი, 2025 წელი

სარჩევი

საბჭოთა არმიაში მსახურება 12

ეროვნული მოძრაობის კვალდაკვალ 66

ქვეყანაში გამეფებული სახიფათო იდეოლოგიები 86

საზოგადოების პოლიტიკური პოლარიზაცია 120

სამოქალაქო ომი 158

სამაჩაბლოს კონფლიქტის ესკალაცია 224

აფხაზეთის ომი 260

საბჭოთა არმიაში მსახურება

თბილისის უმაღლესი სამხედრო-საარტილერიო სასწავლებელი

1982 წელი იდგა.

მოდიოდა სამოციან წლებში დაბადებულთა თაობა, ჯერაც უცოდველი და ბედნიერი, მოდიოდა ხმაურიანად, მშობლიური ენის, მამულისა და სარწმუნოების დასაცავად.

სკოლის დამთავრების შემდეგ ყველა უმაღლესი სასწავლებლისკენ ეშურებოდა. ამბობდნენ, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის საქართველოში გამორჩეულად ნიჭიერი ხალხი ცხოვრობსო, რადგან სტატისტიკის თანახმად, ყველაზე მეტი აბიტურიენტი აბარებდა, ყველაზე მეტი სტუდენტი სწავლობდა და უმაღლესი განათლების დიპლომსაც ყველაზე მეტი ახალგაზრდა იღებდა. ზეინკლობა და შემდუღებლობა აღარავის უნდოდა.

ვისაც განათლების მიღება ნამდვილად სურდა და ბეჯითად მეცადინეობდა, დაუხმარებლადაც აბარებდა უმაღლეს სასწავლებელში, ვისაც „პატრონი“ ჰყავდა, პროტექციით ისიც სტუდენტი ხდებოდა.

. ეს ის ასაკია, როდესაც მომავალზე იწყებ ფიქრს, ოცნებობ, გეგმებს აწყობ და პირველად სწორედ მაშინ აღმოაჩენ, რომ ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც შენ გინდა. ხშირად ფიქრსაც და სურვილსაც შემთხვევა უსწრებს წინ, თანაც სწორედ მაშინ, როცა ყველაზე ნაკლებად ელოდები – სხვანაირად ფიქრობ და ამ დროს სხვაგვარად ხდება.

ჩემი ბედ-იღბალიც ეგ ყოფილა!

სულ ცოტა ხნით ადრე, ვიდრე აბიტურიენტი გავხდებოდი, განათლების კანონში ცვლილება შეიტანეს და თავდაყირა დააყენეს 1965 წელს და უფრო გვიან დაბადებული ბიჭების ფიქრი და ოცნება. ახალი კანონით, 18 წლისებს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა უწევდათ. ზოგ სპეციალობაზე ჩასაბარებლად ან ოქროს მედალზე უნდა დაგემთავრებინა სკოლა, ანაც ორწლიანი სამუშაო სტაჟი გქონოდა, სხვაგვარად გამოცდაზე არც დაგიშვებდნენ. წარმოიდგინეთ, აბიტურიენტობის მთელი წელი იკარგებოდა, რადგან სანამ 18-ის გავხდებოდი, უმაღლესში

ჩაბარებას ვერ მოვასწრებდი და ჯარში გაწვევას ვერ ავცდებოდი. აბიტურიენტობა და სტუდენტობაზე ოცნება კი მხოლოდ ორწლიანი სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ შემეძლო. ჩემზე ერთი წლით უფროს ძმას, რომელიც რეპეტიტორებთან თითქმის მთელი წელი ემზადებოდა, უკვე ძალიან მალე უწევდა სამხედრო სამსახურში გაწვევა.

1983 წლის ზაფხული იდგა. შეგუებული ვიყავი, რომ უნივერსიტეტთან მისასვლელად ჩემი ძმის მიერ გაკვალული, საბჭოთა არმიაში სავალდებულო გზა მეც უნდა გამევლო, როდესაც მშობლებმა მოულოდნელად, ახალგაცნობილი რუსი სამხედრო მაღალჩინოსნის რჩევით, უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში ჩაბარება შემომთავაზეს და პირობაც მომცეს, რომ „ჯადოსნური გასაღებით“ აუცილებლად მოვხვდებოდი.

რას არ მეუბნებოდნენ და როგორ არ ცდილობდნენ ჩემს დარწმუნებას: „პრესტიჟულ პროფესიას დაეუფლები, მაღალანაზღაურებად სამსახურში იმუშავებ, ბინას მოგცემენ, საზოგადოებაში დაფასებული იქნები, 25 წლის თავზე კარგი პენსია და უზრუნველი სიბერე გექნება!“ – ჩამჩიჩინებდნენ ასაკით ჩემზე გაცილებით უფროსი და ცხოვრებაში ბევრად მეტის მნახველი ადამიანები, ახლობლები, კეთილის მსურველები. უკიდურეს შემთხვევაში, თუ მკაცრ სამხედრო წესრიგსა და კანონებს ვერ შევეგუებოდი, იმით მაიმედებდნენ, რომ სწავლის პერიოდი სამხედრო სავალდებულო სამსახურად ჩამეთვლებოდა და ორი წლის შემდეგ უნივერსიტეტში ჩაბარებას შევძლებდი.

ასეთი იყო მშობლის თვალით დანახული 16 წლის ბიჭის ცხოვრების პერსპექტივა. მაშინ პირველად დამერღვა შინაგანი სიმშვიდე და წონასწორობა. თითქოს ბავშვობიდანვე სადღაც მეჩქარებოდა. ნაადრევად მოხდილი სამხედრო ვალდებულება და შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების შესაძლებლობა, ახალგაზრდული გულუბრყვილობით, მაცდურად მეჩვენა. განსაკუთრებით ის აზრი მხიბლავდა, რომ თანატოლებისგან განსხვავებით, 18 წლის უკვე ჯარმოვლილი და სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ვიქნებოდი, ხელს ვეღარაფერი შემიშლიდა უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებაში.

მშობლების დაჟინებული თხოვნისა და მოთხოვნის შემდეგ იძულებული გავხდი, ბედს შევრიგებოდი, რადგან ჩემს აზრს დიდად მაინც არავინ ითვალისწინებდა, თუმცა მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, რომ წლინახევრის შემდეგ სამხედრო სასწავლებელს დავტოვებდი და სწავლას უნივერსიტეტში გავაგრძელებდი.

„მთავარია, „წითელი ღობის“ შიგნით შედგას ფეხი და ერთ წელიწადში დღევანდელი სურვილი აღარც გაახსენდება“, – ფიქრობდნენ ჩემი მშობლები. „ერთ წელიწადში დათხოვნის პატაკს დავწერ, მერე არმიაში ცოტას გავიჭირვებ და სულ მალე თავისუფალი ვიქნები“, – ჯიუტად ვფიქრობდი ბავშვური მიამიტობით.

ასე გადაწყდა ჩემი ბედი. მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ უკანასკნელ ბარიერად ახალგაზრდა მებრძოლის ერთთვიანი კურსის – ე.წ. КМБ[1]-ს გავლა რჩებოდა. თბილისის საარტილერიო სასწავლებელში მხოლოდ ისინი ჩაირიცხებოდნენ, ვინც ამ კურსს წარმატებით გაივლიდა.

[1] КМБ (Курс молодого бойца – რუს.) – ახალგაზრდა მებრძოლის კურსი: სამხედრო სამსახურის საწყისი მონაკვეთი, ჯარისკაცის პირველი მოსამზადებელი პერიოდი ჯარში, ზოგიერთ ქვეყანაში – სპეცსამსახურებშიც.

1983 წლის 5 აგვისტოს 16 წლის ერთმა ტანსუსტმა ბიჭმა მშობლიური ქალაქის ცენტრში, პლეხანოვზე, ყრუ კედლების მიღმა, სამხედრო სასწავლებელში ისე შევაბიჯე, წესიერად არც კი მქონდა გაცნობიერებული, რას წარმოადგენდა ახალგაზრდა მებრძოლის კურსი.

ერთნაირ საველე ფორმასა და სამხედრო ჩექმაში გამოწყობილი ასობით ახალგაზრდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან, ჯერ ისევ ბავშვები, უსულო საგნებივით გაუნძრევლად ვიდექით უცხო ადამიანების წინაშე.

ისინი საბჭოთა ოფიცრები იყვნენ: მაღალი პირქუში კაპიტანი – ბატარეის, ხოლო დაბალი უფროსი ლეიტენანტი – ოცეულის მეთაური, ჩვენ კი – მათი ზრუნვისა და ძალაუფლების ობიექტი. იმ დღიდან მათ უნდა გაეწიათ მშობლების მაგივრობა. მათ ევალებოდათ, ბოლო მოეღოთ ახალგაზრდული სიამაყისთვის. არც ადამიანურ განცდებს დაგიდევდნენ, არც თავმოყვარეობას, ყოველგვარ სულიერებას გვიკლავდნენ.

■

თავდაპირველად მწყობრში დგომის და, თქვენ წარმოიდგინეთ, საწოლში წოლისა და ადგომის ახალ წესებს გვასწავლიდნენ. „Разойтись! 45 секунд отбой – 45 секунд подъем!“[2] – ჩვენ უხმოდ და მორჩილად უნდა შეგვესრულებინა უცნობი ადამიანების ბრძანებები, ვიდრე ასანთის ღერი ჩაიწვებოდა და საბოლოოდ ჩაქრებოდა, ზედიზედ ათჯერ, ოცჯერ, მრავალჯერ...

ეს სრული სიგიჟე იყო. ყოველი ახალი ბრძანების შესასრულებლად გზადაგზა ვიხსნიდით და ვიკრავდით სამხედრო მუნდირის ღილებს, დიდი სისწრაფით, დროის დაუკარგავად, ვიცვამდით და ვიხდიდით, თავდაუზოგავად დავრბოდით, რომ პლაცზე[3] მწყობრში არ დაგვგვიანებოდა.

პლაცი თეთრი ხაზებით დასერილი მოედანი იყო, მათთვის წმინდათაწმინდა ადგილი, რომელზეც რიგითისთვის მხოლოდ სამწყობრო გავლა იყო ნებადართული. „Равняйсь! Смирно! Шагом марш!“[4] – გასცემდა ბრძანებებს მეთაური და ჩვენც მისი თვლის აკომპანირებით: „Раз, раз, раз-два-три!“[5] – მწყობრად მივაბიჯებდით. დიდი მონდომებით ვჭიმავდით წინ გაშვერილი ფეხის წვერს მიწის პარალელურად ოცი სანტიმეტრის სიმაღლეზე და გზადაგზა მისი შეძახილის – „Ногу выше!“[6] ფონზე მონაცვლეობით ვადგამდით ჯერ ერთ ფეხს, შემდეგ მეორეს. ასე ვვარჯიშობდით დილიდან საღამომდე მცირე შესვენებებით, მაგრამ თვლის რიტმისთვის ნაბიჯის შეწყობას და სვლის ტემპის დაცვას ვერ ვახერხებდით.

დღის ბოლოს, დაქანცულს, ბალიშზე თავის დადებისთანავე მეძინებოდა და ახალგაცნობილი მეთაური ბავშვობის ყველაზე ცუდი მოგონებასავით დილამდე მესიზმრებოდა, ხოლო მისი მჭექარე, უხეში შეძახილები ძილში იერიქონის საყვირივით ჩამესმოდა. ღამე ვბორგავდი, ვხტოდი, ვშფოთავდი...

---

[2] Разойтись! 45 секунд отбой – 45 секунд подъем! (რუს.) – დაიშალეთ! 45 წამში გასაყრისი – 45 წამში ადგომა!

[3] Platz – მოედანი სამხედრო პარადებისა და სამწყობრო ვარჯიშებისთვის

[4] Равняйсь! Смирно! Шагом марш! (რუს.) – სწორდით! სმენა! ნაბიჯით იარ!

[5] Раз, раз, раз-два-три! (რუს.) – ერთი, ერთი, ერთი-ორი-სამი!

[6] Ногу выше! (რუს.) – ფეხი მაღლა!

მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ეს თამაში კი არ იყო, არამედ სხვა, ახალი ცხოვრების დასაწყისი, სადაც მკაცრად იყო გაწერილი ყოველი წუთი, საათი, რიდის რა უნდა გვეკეთებინა.

მთელი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ზემდგომის ნებისმიერი ბრძანება – თუნდაც ჩვენი ბავშვური ჭკუით, უაზრო, უსამართლო და ღირსების შემლახავი ყოფილიყო – უსიტყვო მორჩილებით უნდა შეგვესრულებინა.

სისხამ დილით გვაღვიძებდნენ, მზის ამოსვლამდე ბევრად ადრე – დაახლოებით იმ დროს, როდესაც მონასტრის ზარები ბერებს ცისკრის ლოცვაზე უხმობენ – და წელს ზემოთ შიშვლებს სარბენად გვერეკებოდნენ.

სიჩქარეში ფეხზე არასწორად დახვეული „პარტიანკა“[7] თითებს, ქუსლებს გვიხეხავდა და ახალ-ახალ წყლულებს გვიჩენდა, მაგრამ ეს არავის აინტერესებდა.

თანაგრძნობის იმედი ტყუილად არც უნდა გქონოდა, რადგან მაინც ვერ ეღირსებოდი. არც შეწინააღმდეგებას ან შეკამათებას ჰქონდა აზრი.

სამხედრო სამსახურის პირველი წესი იყო ის, რომ მეთაური მუდამ მართალია! „წესი მეორე: თუ მეთაური მართალი არ არის, წაიკითხე წესი პირველი!“ – იტყოდა ბატარეის ზემდეგი პაშუტო. როგორც ცნობილ ანეკდოტშია: თუ მეთაური ამბობს, რომ ნიანგები დაფრინავენ, უნდა დაემოწმო, რომ შენც გინახავს, ოღონდ დაბალ სიმაღლეზე მფრინავი. შესაბამისად, ზემდგომი ყოველთვის მართალი იყო, შენ კი მასთან – მუდამ მტყუანი და დამნაშავე.

მათი გამოჩენისას ახალ-ახალი სასჯელის მოლოდინში შიშით ვცახცახებდით, რადგან არ ვიცოდით, იმ დღეს რას მოიფიქრებდნენ და რა დაგვატყდებოდა თავს – აგვისტოს პაპანაქებაში პლაცზე სამწყობრო ნაბიჯით სიარული თუ არაქათის გამოცლამდე სირბილი.

სამოქალაქო ცხოვრებისგან განსხვავებით იქ, ყაზარმაში, სასადილოსა და გარე ტერიტორიაზე ყველაფერს ისევ მე და ჩემნაირი კურსანტები ვაკეთებდით მორიგეობით. ჩვენ გვევალებოდა დალაგება-დასუფთავება, „კირზის“ ჩექმებით გაშავებული პარკეტის შუშის ნატეხებით ფხეკა და მასტიკიანი ტილოთი გაპრიალება; სასადილოში მორიგეობისას კი, ყოველი ჭამის შემდეგ მაგიდების ალაგება-დალაგება, ჭურჭლის გარეცხვა-გამშრალება; „ხლებორეზკაში“ პურის დაჭრა და მოსაბეზრებელი კარტოფილის გათლა ან ბრინჯისა და წიწიბურას გარჩევა.

რა გასაკვირი იყო, რომ ჩვენივე ხელით გათლილი კარტოფილის პიურეში კანის ნაწილები, წიწიბურაში კი სხვადასხვა სახის კენჭი გვხვდებოდა. თითქმის უცხიმოდ მომზადებული შვრიისა და ქერის ფაფები მხოლოდ ცხენს თუ მოეწონებოდა. ბარდის წვნიანში კი, რომელსაც 16 ზომის საფანტს ეძახდნენ, ისეთი გამაძღარი ბუზი დაცურავდა, რომ ზიზღით ერთ კოვზსაც ვერ გადაყლაპავდი.

მთელი დღის მოშივებულებს ერთადერთ შვებად საღამოს 9 საათზე განრიგით კუთვნილი ერთსაათიანი თავისუფალი დრო გვრჩებოდა, რომ საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე ოჯახის წევრების მიერ მოტანილი საჭმლით დავნაყრებულიყავით.

ერთი ბედისა და ხვედრის გამზიარებელი ქართველი და არაქართველი თანამემამულეები ოჯახიდან მოტანილ საჭმელებს პირველივე დღიდან ძმურად ვი-

---

[7] Портянки (რუს.) – ფეხსახვევები, ქსოვილის სქელი ნაჭრები, რომლებითაც ფეხებს იხვევენ და ამის შემდეგ იცვამენ ჩექმებს ან სხვა ყელიან ფეხსაცმელს (უმეტესად ჯარისკაცები უხეშ ჩექმებში ფეხების გადატყავებისგან დასაცავად).

ყოფდით ისე, როგორც ქართულ ანდაზაშია ნათქვამი: „ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო“.

ასე თანადგომით ვეხმარებოდით ერთმანეთს უცხო გარემოსთან შეგუებაში, თუ რომელიმე უფროსკურსელი ახალი ჩარიცხულებიდან ვინმეს უდიერად მოეპყრობოდა ან გამოუცდელსა და დაბნეულს მასხარად აიგდებდა, სუსტსა და მოუხერხებელ ახალბედას დაჩაგრავდა. ახალგაცნობილი, ერთი წლით უფროსკურსელი ქართველებიც გვეიმედებოდნენ – მიშა ჩუკმაძე, როინ კურტანიძე და გოდერძი გვრიტიშვილი. სხვა ქართველების იმედიც გვქონდა.

ასე მიილია ერთი თვე და კურსის დასასრულს, სრული საბრძოლო ეკიპირებით აღჭურვილებსა და საპალნიანი აქლემებივით ტვირთაკიდებულებს, ყარაიაზის ნახევარუდაბნოში, დღევანდელი აზერბაიჯანის საზღვართან გვიკრეს თავი სამდღიან ლაშქრობაში, ასი კილომეტრის ფეხით გასავლელად.

სამი დღე-ღამე მივდიოდით. გზას კომპასითა და რუკაზე აღნიშნული მინიშნებებით ვიკვლევდით. საღამოს საველე კარავს ვშლიდით და მიწაყრილებში გვეძინა უამრავ ქვეწარმავალთან ერთად. დღისით გზას ვაგრძელებდით, ნაბიჯს ვაჩქარებდით, რომ დანიშნულ ადგილას არ დაგვგვიანებოდა. საველე ეკიპირებით დამძიმებულებს, ნახევარუდაბნოსთვის დამახასიათებელი მწველი სიცხისგან ოფლი წურწურით ჩამოგვდიოდა, წყურვილით ვიხრჩობოდით, მაგრამ გზას მაინც ვაგრძელებდით. გაგებედა და არ გაგეგრძელებინა! როგორც ფარას – მწყემსი, ისე მიგვერეკებოდა ოცეულის მეთაური და ხმამაღალი შეძახილით ნაბიჯის აჩქარებას ითხოვდა.

მესამე დღის ბოლოს, სიმძიმისაგან თითქმის წელში გაწყვეტილებსა და არაქათგამოცლილებს, უკანასკნელი ათი კილომეტრის გავლა მარშ-ნახტომით გვაიძულეს. „პარტიანკებს“ შეუჩვევლებს, ფეხის თითებზე ღრმა წყლულები გაგვიჩნდა, მაგრამ მაინც მივრბოდით, რადგან ეს სავალდებულო გამოცდა იყო და მისი ვერჩაბარება მთელი თვის ჯოჯოხეთურ შრომას წყალში ჩაგვიყრიდა.

„მარათონის“ ავად თუ კარგად გავლის შემდეგ დაწყლულებული ფეხების მოსარჩენად სამედიცინო პალატაში მომინია რამდენიმე დღის გატარება მათთან ერთად, ვინც ამ უბედურებას გაუძლო. ამის შემდეგ კი, 4 სექტემბრის დილას, მშობლებისა და სხვა მოწვეული სტუმრების თანდასწრებით, საგანგებოდ მომზადებულ ცერემონიაზე 16 წლის ბიჭს ერთგულების ფიცი რუკის ერთ მეექვსედზე წითელი ფერით აღნიშნული იმ სახელმწიფოსათვის მიმაცემინეს, რომელსაც სამშობლოდ ვერ აღვიქვამდი.

ასე გავხდი თბილისის უმაღლესი სამხედრო-საარტილერიო სასწავლებლის, „ტაუს“[8] პირველი კურსის კურსანტი სხვადასხვა ეროვნების 300-ზე მეტ აბიტურიენტთან ერთად, რომლებიც 4 დივიზიონის სამ – მე-10, მე-11 და მე-12 ბატარეებში ვიყავით გადანაწილებულები. ვინაიდან მე-11 ბატარეა სასწავლებლის საპატიო ყარაულის ასეულს წარმოადგენდა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის აღლუმისთვის მაღალ, ტანად კურსანტებს არჩევდა, მე-12 ბატარეის პირველ ოცეულში აღმოვჩნდი.

---

[8] ТАУ (Тбилисское артиллерийское училище – რუს.) – თბილისის სამხედრო-საარტილერიო სასწავლებელი

■

წინასწარაც ვიცოდი, რომ სწავლის ძირი მწარე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბევრად უფრო მწარე აღმოჩნდა, ვიდრე წარმომედგინა.

ჩვენთვის სავალდებულო სახელმძღვანელო წიგნი, რომელიც ყოველდღიური ცხოვრების წესს განსაზღვრავდა, ოთხი – სამწყობრო, საყარაულო, დისციპლინური და შინაგანი სამსახურის – წესდებისგან შედგებოდა. მისი ყოველი სიტყვა ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა ჯარისკაცების სისხლითა და ოფლით იყო გამტკიცებული. ჩვენ მხოლოდ სამხედრო წესდებაში გაწერილი ქცევისა და მოვალეობის ზედმიწევნით ზუსტად შესრულება გვევალებოდა, რაც ჯარისკაცისგან ფიქრსა და აზროვნებას არ მოითხოვდა.

„А ты не думай, курсант, учи устав – там каждый шаг прописан“,[9] – გვეტყოდა მეთაური, კაპიტანი ლავრეშკინი და ჩვენგან დაზეპირებული მოვალეობების უსიტყვოდ შესრულებას მოითხოვდა.

საათებითა და წუთებით გაწერილი განრიგი კი გათენებიდან დაღამებამდე მკაცრი პუნქტუალურობით, მუდმივად დაძაბულ რეჟიმში ცხოვრებას გვავალდებულებდა – უთენია გაღვიძებას, საწოლიდან გიჟივით წამოხტომას, დილის გამამხნევებელ ვარჯიშზე, საუზმეზე, დილის განწესსა თუ საღამოს კონტროლზე გამოცხადებას, რასაც ყოველთვის პლაცზე მოწყობა უსწრებდა წინ.

მომდევნო სასწავლო დღისთვის ტანსაცმლის და გარეგნული იერის მოსაწესრიგებლად თითოეული წვრილმანი მტანჯავდა. მთელი ძალით მოჭერილი ქამარი სუნთქვას მიკრავდა. ყოველ დილით მუნდირზე უსწორმასწოროდ მიკერებული ახალ-ახალი თეთრი საყელო და ნემსისგან დაჩხვლეტილი თითები წინა ღამის წამებას მახსენებდა. 16 წლამდე ოჯახში ნებიერად გაზრდილი, ვერც იქაურ მკაცრ წესრიგსა და დისციპლინას ვეგუებოდი.

ბავშვობიდან ფეხბურთის მოყვარულსა და მოთამაშეს, სისწრაფე არასდროს მაკლდა. არც ფიზიკური ვარჯიშისას კედებით სირბილი გამიჭირდებოდა. უბრალოდ, ჩექმებით არ გამომდიოდა.

ყოველ დილით კროსით 1, 3, 6 და მეტი კილომეტრის გარბენისას სტარტიდან პირველი გავრბოდი, მაგრამ ჩექმის სიმძიმით არაქათგამოცლილი ფინიშამდე ფეხებს ძლივს მივათრევდი და ხაზს მაინც ბოლო ვკვეთდი.

არც სავარჯიშო ღერძზე ტანის აზიდვა და ტრიალი გამომდიოდა. აქამდე ამაყი და თავმომწონე, საკუთარი სისუსტის გამო სირცხვილით ვიწვოდი, როდესაც თანატოლებივით „ტურნიკზე“ ტრიალს ვერა და ვერ ვახერხებდი. სამაგიეროდ პირდაღებული შევცქეროდი, როგორ კოხტად და მოხერხებულად გამოსდიოდათ სხვებს ღერძზე აზიდვა და ბრუნვა.

დღის პირველ ნახევარში ლექციები გვიტარდებოდა. თეორიულ ნაწილს აუდიტორიებში გვასწავლიდნენ. პირველ წელს, ძირითადად, უმაღლესი მათემატიკის, თეორიული მექანიკის, ჰიდრავლიკისა და კიდევ სხვა, ჩვენთვის უინტერესო, ლექციებს გვიკითხავდნენ. ჩვენ კი, გამოუძინებლებს, მათი ხმა იავნანასავით ჩაგვესმოდა და დაბანგულებივით გვაძინებდა. ბეჯითად სმენას აზრიც არ ჰქონდა, რადგან რუსულად ბევრს მაინც ვერაფერს ვიგებდით.

---

[9] А ты не думай, курсант, учи устав – там каждый шаг прописан! (რუს.) – ნუ ფიქრობ, კურსანტო, წესდება ისწავლე – იქ ყველა ნაბიჯი გაწერილია!

ბუნებრივია, ფიზიკური სისუსტე და რუსულ ენაზე სწავლის სირთულე ნიშნებზეც აისახებოდა. ცუდი მოსწრების გამო კვირაობით ყაზარმაში გამოკეტილი, მესამე სართულის ფანჯრებიდან გულდაწყვეტილი ვუცქერდი ჩემი ტოლი გოგო-ბიჭების სეირნობას პლეხანოვის გამზირზე[10] და დადარდიანებული ვისმენდი იმათ ხალისიან, არშიყობანარევ საუბრებს, რაც თითქოს სულ ახლოს იყო და, ამავდროულად, ასე შორი და ჩემთვის მიუწვდომელი მეჩვენებოდა.

საველე პირობებში პრაქტიკული მეცადინეობები „ტაუდან“ აღმოსავლეთით, ოციოდე კილომეტრში, ვაზიანის სასწავლო ცენტრში ტარდებოდა და ყოველ სემესტრში 2-3 კვირით „გასვლა“ იგეგმებოდა. ეს საინტერესო თავგადასავლის მოლოდინს გვიჩენდა, თუმცა... ცივ, სუსხიან ზამთარში გამთენიისას 5 საათზე განგაშით ლოგინიდან წამოყრა, საბრძოლო იარაღითა და სრული ეკიპირების სიმძიმით პლეხანოვიდან რკინიგზის სადგურამდე აჩქარებული ნაბიჯით სიარული და სირბილი, რათა 6 საათზე პირველ „ელექტრიჩკაზე“ არ დაგვგვიანებოდა, „ელექტრიჩკის“ გაყინულ ვაგონში მგზავრობა, რომელსაც ხშირად ერთი-ორი ფანჯარა ჩამტვრეული ჰქონდა, კარგის მოლოდინს წინასწარ გვაკარგვინებდა.

ვერც სწავლის დასრულების შემდეგ ვხედავდი საკუთარ თავს ეგრეთ წოდებული სამშობლოს, სსრკ-ის სამხედრო სამსახურში. მაფრთხობდა კიდეც უკიდეგანო სივრცეზე გადაჭიმული იმპერიის გეოგრაფიისა თუ კლიმატის, ახალგაზრდობიდანვე სამხედრო წესებით ცხოვრების წარმოდგენაც კი და სხვადასხვა გადაკარგულ ქალაქსა და გარნიზონში გაუთავებელი წანწალის პერსპექტივა. რა ჩემი სამშობლოა შორეული აღმოსავლეთი და იაკუტია?! – ჩავიბუზღუნებდი დროდადრო. მით უმეტეს, ისიც კი არ ვიცოდი, სად მდებარეობდა, უფრო სწორად, სურვილიც არ მქონდა, მცოდნოდა.

თავს იმით ვიმშვიდებდი, რომ მხოლოდ ერთი წელი და ცოტა მეტი უნდა გამეძლო. საარტილერიო სასწავლებელში გავლილი წელიწადი სავალდებულო სამხედრო სამსახურად ჩამეთვლებოდა. ჩემი მოკლე ჭკუით ასე ვფიქრობდი.

დღეს ღამე ენაცვლებოდა, თვეს – თვე. პირველი შემოდგომა ცივმა ზამთარმა შეცვალა. მომავალ არტილერისტებს იანვრის ბოლოს ყარაიაზის პოლიგონზე საბრძოლო ნათლობა გვიწევდა.

სწავლებისათვის სამზადისში ბატარეის ერთ ოცეულს პოლიგონზე სროლისათვის განკუთვნილი სანგრის წინასწარ გათხრა დაევალა, მეორე ოცეულს – მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადება, ჩემს ოცეულს კი – საბრძოლო ჭურვების მოსამარაგებლად „ურალის“[11] ნახევრად ღია საბარგულით 100 კმ-ით დაშორებულ, ხაშურის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, ზედ გზის პირას განთავსებულ სამხედრო ნაწილში გამგზავრება.

სწორედ იქ, გზის მეორე მხარეს, კარგად შენიღბულ სამხედრო საწყობებში ინახებოდა 122-მმ-იანი D-30[12] ტიპის ქვემეხისა და 122-მმ-იანი რეაქტიული სისტემის, БМ-21-ის ჭურვების საბრძოლო მარაგი. ჩვენ კი საწყობიდან სატვირთო მანქანებში მათი გადატანა გვევალებოდა.

---

[10] პლეხანოვის გამზირი – (ახლ.) აღმაშენებლის გამზირი

[11] Урал (რუს.) – „ურალი“. მაღალი გამავლობის საბჭოთა სატვირთო ავტომობილი

[12] 122-мм гаубица Д-30 – საბჭოთა ბუქსირებადი 122-მმ-იანი ჰაუბიცა, რომელიც საბჭოთა არმიის შეიარაღებაში 1960 წლის 12 მაისიდან გამოჩნდა.

თითქოს განსაკუთრებული არაფერი იყო, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ БМ-21-ის ჭურვების 2 მეტრი სიგრძის თითო ყუთი ჩემზე თითქმის ორჯერ მეტს, 100 კილოგრამს იწონიდა, D-30 ქვემეხების ჭურვების ყუთი კი – 67 კილოგრამს და ხელის მოსაკიდიც არსად ჰქონდა. საწყობში სიმაღლეზე შტაბელებად დალაგებული ყუთების შეუსვენებლად გადმოზიდვა თითქმის 6 საათს გრძელდებოდა. შრომამ და ჯაფამ ქანცი გაგვაძრო, ხელებზე კოჟრები გაგვიჩნდა. სიმძიმის თრევისგან წელში გამართვა და სუნთქვა გვიჭირდა.

იმ საღამოს ორ-ორ კურსანტად დაწყვილებულ ჩემს ოცეულს დილამდე დავითგარეჯის კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ყარაიაზის პოლიგონის მთელ პერიმეტრზე, „ოცეპლენიეში“[13] მორიგეობა უწევდა, რომ სასროლ არეალში მწყემსი ან საქონელი არ შესულიყო.

უკვე ბნელდებოდა, როდესაც საბარგულში ჯაყჯაყით, როგორც იქნა, ჩემთვის და კიდევ ერთი ქართველი კურსანტისთვის განკუთვნილ ადგილამდე მივაღწიეთ. „К машине!“[14] – დაიძახა მანქანის უფროსმა ისე, რომ ძრავაც კი არ ჩაუქრია, მანქანიდან გადმოგვსვა და იქაურობა დატოვა.

საშინელი ამინდი იყო. ტრიალ, უსწორმასწორო დაბლობში მქროლავ ქარიშხალს 10 კგ-მდე სიმძიმის АК-74-ის[15] ტყვიებით დატენილ მჭიდებიანად და კონსერვების სამი დღის მარაგით სავსე ზურგჩანთებიანად მივქონდით.

არც რამე ნაგებობა იყო სადმე და არც მიწათხრილი, რომ ამოვფარებოდით. ხის ტოტი ან ფიჩხი რომც გვეპოვა, ცეცხლს მაინც ვერ დავანთებდით. ორი ერთმანეთზე გადაკერებული სამხედრო ლაბადით მოწყობილი კარავი ქარმა სამჯერ წაიღო. სამხედრო შინელი და ყურებამდე ჩამოფხატული ქუდი სიცივეს ვერ აკავებდა. ჩექმებში ფეხები გვეყინებოდა, ხელთათმანებში – ხელები.

ორი ქართველი კურსანტი წყვდიადში მთელი ღამე კანკალით ვეკვროდით ერთმანეთს.

როგორც იქნა, გათენდა და სასროლად განკუთვნილი ყარაიაზის ნახევრად უდაბნო ტერიტორიაც გამოჩნდა. მისი ნაწილი საქართველოს ეკუთვნოდა, ნაწილი კი – აზერბაიჯანს. უკიდეგანო სივრცეზე გადაჭიმულ დაბლობს ზემოდან დავითგარეჯის VI საუკუნის სამონასტრო კომპლექსი გადმოჰყურებდა, ქვემეხების გაუთავებელი სროლის მომსწრე და მნახველი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში აზანზარებდა უძველესი ტაძრის კედლებს. იგი ახლაც მშვიდად იდგა და უდრტვინველად ითმენდა ჩემნაირი კურსანტების ხელით ნასროლი ჭურვების გრუხუნს.

დილის 8 საათი იქნებოდა, როდესაც საცეცხლე პოზიციაზე მიგვიყვანეს. იქ საინჟინროდ უზრუნველყოფილ სანგრებში საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი 122-მმ-იანი D-30 ტიპის ქვემეხები სროლისთვის უკვე გაემზადებინათ. ბატარეის უფროსმა აგდებულად იკითხა, მემიზნეობის მსურველი ხომ არავინაა? ხელი ავწიე.

მეთაურის მიერ ჩატარებული ხანმოკლე ინსტრუქტაჟის დასრულებისთანავე მის მიერ გაცემული ბრძანებების – „გათვლა! მიზანი... კორა... თარაზო... კუთხე...

---

[13] Оцепление (რუს.) – სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფი (გუნდი, ქვედანაყოფი), რომელიც განსაზღვრულ მიჯნებზეა (პუნქტებში) განლაგებული, რათა დასაცავ რაიონში (ობიექტზე) გარეშე პირთა შესვლა ან იქიდან გამოსვლა არ დაუშვას.

[14] К машине! (რუს.) – მანქანასთან!

[15] Автомат Калашникова (რუს.) – კალაშნიკოვის ავტომატი, 5,45 მმ კალიბრის ავტომატი, რომელიც საბჭოთა კონსტრუქტორმა მ. ტ. კალაშნიკოვმა 1970 წელს შექმნა.

ჭურვი... მუხტი... ამფეთქი...“ – ზედმიწევნით ზუსტად შესრულება დავიწყეთ: დამიზნება, დატენა, გადამოწმება. ეს ყველაფერი უდიდესი მღელვარების ფონზე ხდებოდა, რაც მანამდე უცნობი, სწორედ იქ, იმწამს დაბადებული შიშის დაძლევისა და საკუთარი შესაძლებლობების შემოწმების დაუძლეველ სურვილს მიჩენდა.

გაისმა მეთაურის ბრძანება: „ცეცხლი!“ როცა ჩახმახზე ხელის გამოკვრას გასროლა მოსდევს, ლულის სასწაულებრივი სისწრაფით უკუგორვისა და დენთის წვისაგან წარმოქმნილი აირების მძლავრი დარტყმითი ტალღის გამაყრუებელი ხმა ყურთასმენას გიხშობს, სუნთქვას გიკრავს, თვალებს გახუჭვინებს და დენთის წვის უსიამოვნო, მწარე სუნით გაჯერებულ მტვრის ბუღში ეხვევი. ცოტა ხანში, ბუღის გაფანტვასთან ერთად თვალახელილს, სმენას ახლა ზარის რეკვის, სტვენისა და ნივილის ერთმანეთში არეული ხმები გიხშობს, რაც არა და არ ნელდება და გგონია, უსასრულოდ გაგრძელდება. დენთის ნამწვის უსიამოვნო გემო პირს გიშრობს და გიმწარებს, უჩვეულო განცდას და ამაღლებულ განწყობას გიჩენს. ყველა სირთულე სადღაც ქრება. ერთბაშად გავიწყდება სიცივეც, დაღლილობაც, უძილობაც, წინა დღეს ჭურვების თრევისგან „დამტვრეული სხეულიც“ მთლიანდება და „ოცეპლენიეში“ გადატანილი სიძნელეები ბავშვობაში ნანახი ცუდი სიზმარივით გავიწყდება.

სასწავლებელში გატარებული დროიდან სასიამოვნო მოგონებად მხოლოდ საარტილერიო სროლა შემომრჩა.

საველე სწავლება ყარაიაზის პოლიგონზე



■

საველე სწავლებიდან დაბრუნებულები, ისევ ყოველდღიურობაში ვიძირებოდით და სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ განრიგს მივყვებოდით.

გარეთ ჟინჟღლავდა თუ გადაუღებლად წვიმდა, ყინავდა თუ თოვდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა – ნებისმიერ ამინდში, ყოველდღე ერთი და იგივე მეორდებოდა. დილით დავრბოდით, მერე გაკვეთილებზე მივდიოდით, დღის მეორე ნახევარში თვითმომზადების ოთახში ვმეცადინეობდით.

ვისაც მომკითხველი გვყავდა, საღამოს მოახლოებას მოუთმენლად ველოდით, რომ მთელი დღის დამშეულებს დედის მომზადებული საჭმელი გვეჭამა. ვინც არავის ელოდა, ძირითადად, რუსები, სპორტულ „გარადოკში“ ტრიალებდნენ, ვარჯიშობდნენ და ფიზიკურად ძლიერდებოდნენ. რა გასაკვირი იყო, რომ ჩვენ სპორტულ მოედანზე ვერაფრით გამოვირჩეოდით. ასე წვალებ-წვალებით დასრულდა პირველი კურსი. მოვიდა დრო, თავდაპირველი გეგმა განმეხორციელებინა. იქ ყოფნა გაუსაძლისი ხდებოდა.

გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა. ეს არ იყო ჩემი საქმე და ადგილი, ჯობდა, დროულად გავცლოდი აქაურობას. თითქოს გზაც ვიპოვე: უსწავლელობითა და უდისციპლინობით მეთაურები უნდა დამერწმუნებინა, რომ ჩემგან არაფერი გამოვიდოდა და სასჯელად გარიცხვა დამემსახურებინა.

ბავშვური ჭკუით მეგონა, რომ ასე მარტივად დავიძვრენდი თავს, მაგრამ ჩემი მეთაურები ისეთი მიამიტები როდი იყვნენ, ერთი წლის განმავლობაში კურსანტის კვების, ჩაცმა-დახურვის, სწავლის ფული საბჭოთა სახელმწიფოს ტყუილად დაეხარჯა, მერე კი სამოქალაქო ცხოვრებაში წასასვლელად დაელოცათ გზა.

სამხედრო ნაწილის ტერიტორია მათი სამყარო იყო, მათი სამფლობელო, საცდელი პოლიგონი. მხოლოდ ისინი წყვეტდნენ, ვინ უნდა წასულიყო და როდის, სად უნდა წასულიყო და როგორ. დღის განრიგისა და წესდების განზრახ თუ უნებლიეთ დარღვევის ნებისმიერი მცდელობა დაწერილი თუ დაუწერელი კანონით მკაცრად ისჯებოდა. თუ დაგინახავდნენ, რამეს არასწორად აკეთებდი, რიგგარეშე მორიგეობას მოგისჯიდნენ, გათავისუფლების ფურცელს გაგიუქმებდნენ და შინ აღარ გაგიშვებდნენ. იქ ძილისთვის განკუთვნილ დროს თუ არ დაიძინებდი, ისევე გსჯიდნენ, როგორც დღისით თუნდაც წამიერი ჩათვლემის გამო. მარტო შენ კი არა, შენი დანაშაულისთვის სხვებსაც სჯიდნენ. მოკლედ, როგორც დიუმას რომანშია, ერთი ყველასთვის ვიყავით და ყველა ერთისათვის.

ნებისმიერი კურსანტის მიერ სამხედრო წესდების ან დღის განრიგის დარღვევისათვის, კბილებამდე იარაღასხმულებს, ქიმიურ კომბინეზონებსა და მუდამ დაორთქლილ აირწინაღებში გამოწყობილებს, მთელ რაზმს 6 კილომეტრს გვარბენინებდნენ.

თუნდაც ნებადართულ ადგილებში ერთი უფილტრო სიგარეტის მოწევის გამო განრისხებული მეთაურის მიერ სასჯელად მოფიქრებული „ნამწვის დასაფლავების რიტუალი“ – გაქვავებულ, ყამირ მინაში სამხედრო ნიჩბით „სიგარეტის საფლავისათვის“ ერთი მეტრის სიგრძის, სიგანისა და სიღრმის ორმოს თხრა, ფუჭ, უნაყოფო შრომაში გატარებული უძილო ღამე, შუბლზე წურწურით ჩამომავალი ოფლი და დაკოჟრილი ხელისგულები სიგარეტის მოწევის სურვილს გვიკარგავდა.

ყველას დასანახად მეთაურისგან დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად მიღებული შენიშვნა ახალგაზრდულ თავმოყვარეობას გვილახავდა. უსულო სა-

განივით მწყობრში უძრავად გაჭიმულსა და სუნთქვაშეკრულს, სახეზე ყველაზე საზიზღარი მწერი თუ დაგაჯდებოდა და ნაკვთი შეგერხეოდა, მეთაურის მწარე და შეურაცხმყოფელ ხუმრობას ვერ ასცდებოდი: „Курсант, прекратите педерастическое движение губами!“[16] – რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა თანატოლთა სიცილ-ხარხარი. თავად კურსანტობა გამოვლილი, არც ახალბედა კურსანტების გამოგონილი ხრიკებით ტყუვდებოდა. თავისი მახვილი მზერით რენტგენის აპარატივით ზუსტად სვამდა „აფერისტობის დიაგნოზს“ და მერე უკვე კურსანტებს ვარჯიშზე ერეკებოდა.

■

წარმოიდგინეთ, როგორ გამიცრუვდა იმედი, როდესაც მივხვდი, რომ ჩემი ჩანაფიქრი – „გარიცხვის პატაკს დავწერ და ყველაფერი დამთავრდება“ – განუხორციელებელი აღმოჩნდა. უკადრებელი საქციელი უნდა ჩამედინა, რომ სასჯელის უმაღლესი ზომა – გარიცხვა დამემსახურებინა.

ბევრს ვფიქრობდი, თავის დაღწევის გზას ვეძებდი, მაგრამ ამაოდ. საშველი არსად ჩანდა. მინდოდა, ვინმესთვის მეამბო, რჩევა მეკითხა, გულისნადები გამენდო, საწუხარი შემეჩივლა, მაგრამ გულშივე ვმალავდი ფიქრსა და ტკივილს, წუწუნსაც ვთაკილობდი. მიჭირდა, მაგრამ ხმას არ ვიღებდი, რადგან ოჯახის წინაშე საკუთარ მოვალეობას ვაცნობიერებდი და პასუხისმგებლობას ვგრძნობდი.

ხევისბერის სიტყვებიც მახსოვდა, რომ კაცი სალაღობოდ კი არა, „ტანჯვისთვის არის გაჩენილი“ და შოთა რუსთაველის აფორიზმიც – „წესი არის მამაცისა შეჭირვება, ჭირთა თმენა“. მოთმენის გარეშე ყველას დასაცინი გახდებოდი, მეთაურების, კურსანტების; ეგრევე „маменькин сынок“-ად[17] მოგნათლავდნენ. სხვადასხვა ეროვნების უცხო ადამიანებს სიტყვის, ქცევისა და უნარ-ჩვევების მიხედვით შეუქმნიდი წარმოდგენას შენზე და შენს შესაძლებლობებზე. არასწორი სიტყვითა თუ შეუფერებელი საქციელით ჩამოყალიბებული წარმოდგენა შეიძლება სწავლის დასრულებამდე გაჰყოლოდათ და მათ თვალში სამუდამოდ „потерянный, недоходный, недоделанный“[18] დარჩენილიყავი.

ასობით კურსანტის გარემოცვაში იძულებული იყავი, როგორც ქართველი – ვალდებულიც, თავი ისე დაგეჭირა, რომ თანაკურსელები და ზემდგომი სერჟანტებიც პატივისცემით მოგპყრობოდნენ, რაც არც ისე ადვილი იყო.

ალბათ ესეც ბედი იყო, რომ ჩემი და საბჭოთა ჯარმოვლილი, ასაკით ჩემზე ხუთი წლით უფროსი, ბატარეის ზემდეგის საწოლი მწკრივის ბოლო რიგში გვერდიგვერდ აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ თავადაც თბილისელი, გლდანელი იყო, „დედოვშინის“[19] სენით დაავადებულ ჯარში ყოველ დილით მის ბრძანებას: „Подъем!“[20] – ხმამაღლა მოძღვნილი მონოლოგი მოჰყვებოდა ხოლმე:

---

[16] Курсант, прекратите педерастическое движение губами! (რუს.) – კურსანტო, შეწყვიტეთ ტუჩების ქალაჩუნური ცმაცუნი!

[17] Маменькин сынок (რუს.) – დაკინვით, „დედიკოს ბიჭი“

[18] Потерянный, недоходный, недоделаный (რუს.) – დაკარგული, დაბნეული, შეუმდგარი

[19] Дедовщина (რუს.) – ხანგრძლივად ნამსახურები ჯარისკაცების დამამცირებელი და დესპოტური დამოკიდებულება ახალწვეულთა მიმართ, გავრცელებული მოვლენა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში

[20] Подъем! (რუს.) – ადექი!

„Курсант Каркарашвили, подъем! Вы что, не слышали команду подъем?!"[21] ასობით კურსანტის გასაგონად ჩემი გვარის ყოველი ხსენება განსაკუთრებით მაღიზიანებდა. მოკლედ, ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა – შეპასუხებით, თვალის თვალში უხმოდ გაყრითა და ერთხანს ჯიქურ ცქერით, თუნდაც ამას დამატებით სასჯელი მოჰყოლოდა.

მაგრამ, დროთა განმავლობაში, ყაზარმაში ერთ ჭერქვეშ ცხოვრების ყოველდღიურობამ ერთმანეთი უკეთ გაგვაცნო და ჩვენი ურთიერთობა თავისთავად დალაგდა – გაღვიძებისას თვითონვე წამკრავდა ხოლმე მეგობრულად ხელს, გია, გაიღვიძეო! მეც, ჩემი მხრივ, მისი კეთილგანწყობით ბოროტად არასდროს მისარგებლია. ასევე, თავისით დამილაგდა ურთიერთობა ოცმეთაურის მოადგილესთან.

თანდათან იმ ადამიანთა წრეც გამოიკვეთა, რომლებსაც სხვებზე მეტად დავუახლოვდი. თბილისელი, დოლიძელი არტურ კარაპეტიანი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც გავიცანი და ვისთანაც კარგი ურთიერთობა ჯერ კიდევ მისაღები გამოცდების დროიდან ჩამომიყალიბდა. ე.წ. კმბ-ის კურსის დასრულების შემდეგ ის და რომან დუმბაძე ბატარეის „კაპტიორკაში"[22] დანიშნეს. თეთრეულის და ნივთების შენახვა-გაცემა ევალებოდათ, რაც მათთან უფრო ხშირი ურთიერთობის შესაძლებლობას იძლეოდა.

როცა აღმოვაჩინეთ, რომ დაზვერვის კათედრის ხელმძღვანელი, თავადაც თბილისელი და ქართულად თავისუფლად მოსაუბრე პოლკოვნიკი ალექსანდროვი იყო ჩვენი საერთო მფარველი და სამხედრო სასწავლებელშიც მისი უანგარო დახმარებით ჩავირიცხეთ, ჩვენი მეგობრობა კიდევ უფრო გამყარდა. „კაპტიორშიკებთან" და სხვა ქართველებთან მეგობრობა, ზემდეგებსა და სერჟანტებთან კარგი ურთიერთობა თუნდაც მცირე შეღავათებს მაძლევდა და ყოველდღიურ ყოფას მიმსუბუქებდა.

ასე ერთმანეთის გვერდში დგომით, ძირითადად, სიტყვითა და საზრიანობით, იშვიათად კი ფიზიკური ძალის გამოყენებით იწერებოდა ჩვენი სამხედრო თავგადასავალი.

დრო მიიზლაზნებოდა, დღეს ღამე ენაცვლებოდა, თვეს – თვე, შემოდგომას – ზამთარი, ზამთარს – გაზაფხული. არა და არ ადგებოდა საშველი სწავლის თუნდაც „კენნეროში გატკბილებას". ისევ მწარე იყო, ბევრად მწარე, ვიდრე „ძირში".

რუსულად სწავლა ძალიან მიჭირდა. წიგნებში გულდასმით ამოკითხული სხვადასხვა ნაცნობი და უცნობი სიტყვისგან შემდგარი წინადადებები გონებაში მხოლოდ თარგმნილი სიტყვების კრებულად მეჩვენებოდა და დედააზრს ვერა და ვერ ვწვდებოდი. არც უმაღლესი მათემატიკისა გამეგებოდა რამე. ყოველდღიურად გაკვეთილების მომზადება და ჩაბარება წამებად მექცა.

წარმოდგენაც კი მზარავდა: ზარი გაკვეთილის დაწყებას გვამცნობდა და სიმკაცრით გამორჩეული ჭმუხი პოლკოვნიკი, გვარად პრეპელიცა, ნელი ნაბიჯით შემოდიოდა საკლასო ოთახში, სკამზე მძიმედ დაეშვებოდა, ჟურნალს გადაშლიდა, მერე თავს ასწევდა და ოთახში მსხდომთ გადმოგვხედავდა... მღელვარებით ველოდით, ვინ იქნებოდა ის უიღბლო, ვისაც პოლკოვნიკი „მსხვერპლად" ამოირჩევდა. ოთახში გამეფებულ სამარისებურ სიჩუმეში ზეცას შევთხოვდით შველას, რომ არ გამოვეძახეთ.

---

[21] Курсант Каркарашвили, подъем! Вы что, не слышали команду подъем?! (რუს.) – კურსანტო ყარყარაშვილო, ადექით! თქვენ რა, ბრძანება „ადექით!" ვერ გაიგონეთ?!

[22] Каптерка (რუს.) – საწყობი

ის კი თითქოს წინასწარ გრძნობდა, ვინ არ იყო მზად, ზუსტად მის გვარს ამოიკითხავდა, თვალს თვალში გაუყრიდა და დაფასთან გამოიძახებდა. სწორედ ეს სასტიკი გამოხედვა განადგურებდა და ორთაბრძოლაში წინასწარ გამარცხებდა. ისეთი თანაგრძნობით სავსე მზერით მივაცილებდით „მსხვერპლს“ თანაკურსელები, თითქოს პატიმარი სასიკვდილო ეშაფოტზე აჰყავდათ. არავის ვუსურვებდი მის ყბაში ჩავარდნას. ისიც, ჯალათის დაუნდობლობით, შენს უცოდინარობას სახალხოდ ააშკარავებდა და საბოლოოდ მთელი კლასის წინაშე დამამცირებელი განაჩენი გამოჰქონდა: „ორიანი, კურსანტო! საარტილერიო სასწავლებლის ნაცვლად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში უნდა ჩაგებარებინა, იქნებ აგრონომი მაინც გამოსულიყავი. კოლმეურნეობაში იმუშავებდი!“

ყოველი გამოძახება დამცირებით და თავმოყვარეობის შელახვით სრულდებოდა. სირცხვილისაგან სად წავსულიყავით, აღარ ვიცოდით. კარგი ნიშნებით განებივრებული არც არავინ იყო. შურით შევცქეროდით, თუ რომელიმე კურსანტი დამაკმაყოფილებელ შეფასებას მიიღებდა.

ყოველ შაბათ-კვირას საარტილერიო სასწავლებლის კურსანტებს თბილისის შუაგულში, კოლმეურნეობის მოედანზე, გარნიზონის ყარაულში გვიწევდა გასვლა. სწორედ იქ მდებარეობდა ქალაქის სამხედრო კომენდატურა და ჰაუპტვახტი. თითქოს განსაკუთრებული არაფერი, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ქალაქის სამხედრო კომენდანტის, ეროვნებით ქართველი პოდპოლკოვნიკის, ჩუთლაშვილის სიმკაცრეზე ლეგენდები დადიოდა.

ყარაულის მორიგეობის გადაბარებისას შენობაში კედლებსა და იატაკზე თითი რომ გაესვა და მცირე მტვერი აჰყოლოდა, ყარაულს ყოველი მტკავლის საპნიანი წყლითა და ჯაგრისით გახეხვას აიძულებდა. ჰაუპტვახტის ეზოსა და პატიმრების საკნებში სიგარეტის ნამწვი რომ ეპოვა, ან კედელზე აყოლილ სუროს ყვავილებსა და მის საყვარელ მწვანე ნარგავებს მოურწყველობით მოეწყინათ, ბადრაგისგან სასჯელად დაკავებულების საკნიდან გამოყვანასა და საპატიმროს ყოველი კუთხე-კუნჭულის დაწკრიალებას ითხოვდა. არც კურსანტების მომავალ ოფიცრობას ითვალისწინებდა და არც მათ რიგებში ქართველი კურსანტების ყოფნას.

ამბობდნენ, მკაცრი პოდპოლკოვნიკი თბილისის „დინამოს“ თავგადაკლული გულშემატკივარიაო, რადგან ფეხბურთის საკავშირო ჩემპიონატის ტური ჩვენი მორიგეობის დღეს თუ დაემთხვეოდა და „დინამო“ წააგებდა, მის ხელში ჩავარდნას არავის უსურვებდნენ.

თამაშის დასრულებისთანავე კომენდატურაში გამოცხადდებოდა და, ხასიათწამხდარი, ჯავრს ყარაულსა და დროებით დაკავებულებზე იყრიდა. ყარაულს განგაშს გამოუცხადებდა, ბადრაგს ჰაუპტვახტიდან დაკავებულ ჯარისკაცებს გამოაყვანინებდა და სამწყობრო სვლას გამოუწერდა. „ერთი-ორი-სამი, ერთი-ორი-სამი“ – ბადრაგის თვლის აკომპანირებით, საათობით შეუსვენებლად ატარებდა მათ რკინის გისოსებში მოქცეულ ოთხკუთხედ ეზოში, ვიდრე ქართველი ფეხბურთელების დამარცხებით გამონთვეული სიბრაზე არ გადაუვლიდა.

დროდადრო სახლშიც მივდიოდი და თითქოს იგივე ადამიანი ვხდებოდი, ადრე რომ ვიყავი. სამხედრო ფორმის ნაცვლად სამოქალაქო სამოსს ვიცვამდი, მაგრამ უკვე სხვა განცდა და ფიქრი მეუფლებოდა. სამყარო, რომელსაც ღობის იქიდან ოცნებით შევნატროდი, დღითიდღე უცხო ხდებოდა ჩემთვის. სამხედრო წესსა და ჩვეულებას შეგუებული, სამოქალაქო პირებთან საერთო ენას ნაკლებად ვპოულობდი.

ახლა უკვე სამოქალაქო ცხოვრება მერჩენებოდა ისევე უცხოდ, როგორც ოდესღაც სამხედრო ყოფა. აქ არც ჯარის ცხოვრების სირთულე აინტერესებდა ვინმეს და არც „ჩვენებურ" ხუმრობებზე ეცინებოდათ.

ნათელი იყო, რომ ჩემთვის აღარავის ეცალა, ყველას თავისი ცხოვრება ჰქონდა, თავის ჭაპანს ეზიდებოდა. მეც უკვე გზაზე ვიყავი დამდგარი – დამოუკიდებელ ცხოვრებას ნაზიარები, უმაღლეს სასწავლებელში ვსწავლობდი. იქიდან თუ წამოვიდოდი, უმუშევარი და უსწავლელი, ისევ სხვაზე დამოკიდებული აღმოვჩნდებოდი. უკეთესის ძიებაში საკუთარ თავსაც და სხვებსაც კიდევ უფრო გავურთულებდი ცხოვრებას. თანაც საკითხავი იყო, შევძლებდი გამოცდების ხელახლა ჩაბარებას და სწავლის გაგრძელებას?! უფრო მეტიც, სამხედრო ნაწილის დატოვება ახლა უკვე სიმხდალედ, სამარცხვინო გაქცევად მერჩენებოდა.

სამხედრო სასწავლებლიდან ჩემი წამოსვლის ამბავს რომ გაიგებდნენ, კეთილის მსურველებიც კი შეწუხდებოდნენ და ალბათ იტყოდნენ, სუსტი, უნებისყოფო აღმოჩნდა, ბოლომდე ვერ გაუძლოო. ამის გაფიქრებაზეც კი სირცხვილისაგან ვიწვოდი. ანდა თვალებში როგორ უნდა შემეხედა მამაჩემისთვის, ჩვენი ოჯახის მეგობარ როლანდ ჩარგეიშვილისათვის, პოლკოვნიკ ალექსანდროვისათვის, რომლებმაც სასწავლებლის კარი გამიღეს, ან თუნდაც დედაჩემისთვის, რომელსაც ორი წლის განმავლობაში ერთი დღეც არ გამოუტოვებია, საღამოს ჩემთვის რომ არ მოეკითხა და საჭმელი არ მოეტანა. უმადურობა იქნებოდა, მათი ამაგი წყალში ჩამეყარა.

სხვა გზა აღარ იყო, ბედს უნდა შევგუებოდი, სწავლისთვის ხელი მომეკიდა და ვარჯიშს შევდგომოდი.

დიახ, მოთმინება იყო საჭირო და არა მარტო მოთმინება, არამედ გულმოდგინე მეცადინეობა, უნარისა და უდრეკი ნებისყოფის გამოვლენა, მეტი შრომა და მეტი მონდომება ცოდნის დასაუფლებლად და სამხედრო რეჟიმთან შესაგუებლად.

დიდხანს ვებრძოდი საკუთარ თავს, აქამდე მარცხთან წინასწარ შეგუებული. აღარ მომწონდა სწავლაში ჩამორჩენილობა, მაჩანჩალობა ვარჯიშში. მეორე ადგილიც კი აღარ მხიბლავდა, უკვე პირველობა მსურდა!..

სადაც ხარ, მაგარი უნდა იყო და რასაც აკეთებ, კარგად უნდა გააკეთო, მხოლოდ მაშინ იქნები დაფასებული. ან საერთოდ არ უნდა იყო იქ, სადაც ახლა ხარ. სხვა რით გჯობია?! იმას თუ შეუძლია, ფინიშზე პირველი მივიდეს, შენც შეძლებ. სხვა თუ ახერხებს, ღერძზე აიზიდოს, შენც მოახერხებ, თუ მოინდომებ და თავდაუზოგავად ივარჯიშებ. ყველა საგანს გაუგებ თავსა და ბოლოს, ოღონდ გონება უნდა დაძაბო და გული დაუდო. მოკლედ, ნებისყოფას თუ გამოიჩენ, ყველანაირ სირთულეს გადალახავ და შეუძლებელს შეძლებ.

ვთქვი და, სწავლასაც ხარბად დავეწაფე. ბევრს ვწვალობდი და ვშრომობდი, მთელი ყურადღებით ვუსმენდი თითოეულ ლექციას და ბევრს ვკითხულობდი. საღამოობით საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე უსაქმოდ დგომისა და ლაზღანდარობის ნაცვლად სპორტულ ქალაქში ვვარჯიშობდი. „Отбой"-ს[23] გამოცხადების შემდეგ, თვითმომზადების ოთახში გვიან ღამემდე კონსპექტებს ჩავკირკიტებდი და შესაბამის ლიტერატურას ვკითხულობდი. უკვე ვნანობდი კიდეც უქმად გატარებულ საათებსა და დღეებს, საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე უსაქმოდ დაკარგულ ძვირ-

[23] Отбой (რუს.) – გასაყრისი

ფას წუთებს და საკუთარ თავზე ვბრაზობდი, როდესაც სხვების ორი წლის ვარჯიშის შედეგს ვხედავდი.

საკუთარ თავთან ბრძოლა მწყუროდა. წინააღმდეგობის დაძლევის ჟინი და სხვასთან შეჯიბრის წყურვილი მახრჩობდა: რუსთან, ბელარუსთან, უკრაინელთან და, თქვენ წარმოიდგინეთ, ქართველთანაც კი!

ჰოდა, ყველას ვეჯიბრებოდი. გამარჯვება მინდოდა. ყველას უნდა სცოდნოდა, რომ თავმოყვარეობა მქონდა, თავი ვაჟკაცად მიმაჩნდა და ეს სურვილი საოცარ ბიძგს მაძლევდა.

როდესაც სამხედრო სამსახურში მიდიხარ, ერთხელ დებ სამხედრო ფიცს სამშობლოს წინაშე. მაშინაც კი, ფიცის დადებისას, „საბჭოთა კავშირს“ ვამბობდი და „საქართველოს“ ვგულისხმობდი, „სამშობლოში“ მხოლოდ საქართველოს მოვიაზრებდი.

ეს იყო შენი სამშობლო. შენს წილ მსახურებას გადიოდი, შენს წილ მოვალეობას იხდიდი შენი საქართველოს წინაშე. მთავარი მოვალეობა იყო, კარგად გესწავლა, რათა ღირსეულად გემსახურა და თუ საჭიროება მოითხოვდა, სამშობლოსთვის თავიც გაგეწირა.

ყოველდღე ათასგვარი წინააღმდეგობის გადალახვა მიწევდა. როგორც აღმოჩნდა, ეს სულიერი და ფიზიკური წრთობის, შინაგანი დისციპლინის გამომუშავების ბრწყინვალე სკოლა იყო, სადაც ახალ ადამიანს ძერწავდნენ. დიახ, მძიმე გარემო ქმნის ახალ ადამიანს. სიძნელეების დაძლევისა და ბარიერების გადალახვის ჟინსა და აზარტში ყალიბდება უტეხი ხასიათი და მტკიცე ჯარისკაცული სული. საკუთარ თავთან ბრძოლაში თანდათან მიმტკიცდებოდა აზრი, რომ იქ ყოფნა არც თუ შეუძლებელი იყო. უკვე პირველი ვკვეთდი ფინიშის ხაზს, ტანის აზიდვა და ტრიალიც კარგად გამომდიოდა.

მუდმივად რუსულენოვან გარემოცვაში ყოფნამ ნაყოფი გამოიღო – აქამდე დაუძლეველი წინააღმდეგობა, როგორც იქნა, გადავლახე და უცხო ენაზე საგნის არსს ჩავწვდი. საგნები უკვე ისე რთულად აღარ მეჩვენებოდა. საკუთარი შრომისა და გარჯის შედეგის მომკას ვიწყებდი. ჩათვლის წიგნაკში დამაკმაყოფილებელ ნიშნებს თანდათან კარგი შეფასებებიც გამოერია.

ყველაზე მეტად საარტილერიო სროლის და ცეცხლის მართვის საგანმა გამიტაცა. ვისაც ამ საქმის ცოტა რამ გაეგება, იცის, რომ არტილერისტის პროფესიისათვის სწორედ ეს არის „პური არსობისა“. ომში ამის სრულფასოვანი ცოდნის გარეშე იგივე ხარ, რაც სუსტფეხება მგელი ან არწივი, რომელსაც მაღლა ფრენა არ შეუძლია. არტილერისტის პროფესია თვალის სიზუსტეს, სწრაფ აზროვნებას და უმაღლესი მათემატიკის ცოდნასაც კი მოითხოვს.

ახლა ზუსტად არც კი მახსენდება, რომელ დღეს, რომელ გაკვეთილზე მოხდა ეს გარდატეხა.

ერთხელაც, ჩვეულებისამებრ მორიგი მსხვერპლის ძიებაში პოლკოვნიკმა პრეპელიცამ კლასს თვალი მოავლო, ჟურნალს ჩახედა, ყველაზე ძნელად გამოსათქმელი გვარის კურსანტი ამოარჩია და პირობითი „დახურული საცეცხლე პოზიციიდან“ უძრავი მიზნის განადგურების ამოცანა დამისახა: ე. წ. задача N°3 საარტილერიო სროლისა და ცეცხლის მართვის სახელმძღვანელოდან, რომელიც სათვალთვალო პუნქტიდან გამიზვნას, ანუ აფეთქების მიზანთან მიტანას და შემდგომში მისი განადგურების ან ჩახშობისათვის ცეცხლის მართვასა და კორექტირებას ითვალისწინებდა.

ამისთვის მომავალ არტილერისტს სწრაფი მოქმედებითა და სხარტი აზროვნებით სროლისათვის მონაცემები ზედმინევნით ზუსტად უნდა მოგემზადებინა და შემდეგ გაცემული ბრძანებით „ცეცხლი!“ უშეცდომოდ გემართა, თან ისე ოპერატიულად, რომ ნორმატივით განსაზღვრულ დროში ჩატეულიყავი. ეს ყველაფერი კი მხოლოდ ბინოკლით, საარტილერიო პერისკოპული ბუსოლით, ცეცხლის მართვის ხელსაწყოთი და „ოფიცრის სახაზავით“ უნდა მოგეხერხებინა.

სირთულის მიუხედავად, ერთი შეხედვით, ეს აზარტულ თამაშსაც წააგავდა. ცეცხლის მართვის ხელსაწყო სხარტად ავიღე და საცეცხლე პოზიციასა და მიზანს შორის მანძილი გავზომე. სროლის ცხრილში, მანძილის შესაბამის გრაფაში „კორა“ ამოვიკითხე, კუთხის მონაცემები გონებაშივე სწრაფად გამოვთვალე და, აზარტში შესულმა, საცეცხლე პოზიციაზე გადასაცემი ბრძანებები ახალდანიშნული მეთაურის მჭექარე ხმით, თანმიმდევრულად ისეთი აღგზნებით წარმოვთქვი, თითქოს საკლასო ოთახში კი არა, სტალინგრადის ბრძოლის ველზე ვყოფილიყავი.

მას შემდეგ, რაც სროლისა და ცეცხლის მართვის წესდებით განსაზღვრული ყველა წესი უშეცდომოდ შევასრულე, ბოლოს და ბოლოს იკადრა პოლკოვნიკმა და თქვა: „მიზანი განადგურებულია, კურსანტმა დასახული ამოცანა პირნათლად შეასრულა“.

დიახ, ამდენი ხნის შემდეგ იმ დღეს პირველად შევასრულე უშეცდომოდ დავალება. მეგონა, სიხარულისგან ავფრინდებოდი, ნიშნის გამოცხადების მოლოდინში მასწავლებელს შევცქეროდი. როგორც ყოველთვის, არც იმ დღეს დამიწერა კარგი ნიშანი, თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარიყოს, მხოლოდ „დამაკმაყოფილებელი“ გაიმეტა თავაუწევლად და უკანა მერხისკენ მიმითითა. ნაცვლად იმისა, რომ გამხარებოდა, ბრძოლის ჟინმა შემომიტია და პოლკოვნიკს საყვედური შევბედე: „სროლა უშეცდომოდ დავასრულე, მიზანი ნორმატივით განსაზღვრულ დროში გავანადგურე და უფრო მაღალ ნიშანს ვიმსახურებ!“

მძიმედ წამოსწია თავი, გათამამებულ კურსანტს მკაცრად გადმომხედა და ისეთი ცივი ხმით მითხრა, დაბრძანდითო, რომ შეწინააღმდეგება ვეღარ გავუბედე და, იმედგაცრუებული, მერხისკენ უხმოდ წავედი. თანაკურსელები თვალებით მიმაცილებდნენ, მამხნევებდნენ და მილოცავდნენ.

შრომითა და გარჯით მოპოვებული პირველი გამარჯვების არაობიექტური შეფასებით აღშფოთებული, უსამართლობასთან შეგუებას არ ვაპირებდი. თუნდაც მოელოცათ, მაინც დამარცხებული ვიყავი, არადა გამარჯვების წყურვილი მახრჩობდა, წარმატების აღიარება მინდოდა. ეს ის ასაკია, როდესაც ნებისმიერი დაუმსახურებელი შეფასება უსამართლობის განცდას იწვევს. რევანშის წყურვილით ანთებული, გათენებას სულმოუთქმელად ველოდებოდი, რომ პოლკოვნიკის სამსჯავროზე ხელახლა წარვმდგარიყავი. იმ დღეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამემტკიცებინა ხანშიშესული პოლკოვნიკისათვის, რომ მის წინ სასწავლებელში შემთხვევით მოხვედრილი კურსანტი კი არა, არამედ მომავალი ოფიცერი იდგა! მარტო მისთვის კი არა, ყველასთვის – საკუთარი თავისთვის, თანაკურსელებისათვის, მეთაურებისთვის – რომ თბილისის უმაღლესი საარტილერიო სამხედრო-სამეთაურო სასწავლებლის კურსანტობის ღირსი ვიყავი.

ცხრა საათზე ზარმა გაკვეთილის დაწყება გვამცნო. ამჯერად მეცადინეობა მინიატიურულ ხელოვნურ პოლიგონზე ჩატარდა, რომელზეც სამიზნეები ნათურებით გამოჩნდებოდა ხოლმე, ერთი სართულით ზემოთ დაყენებული მცირეკალიბრიანი შაშხანის ტიპის სასროლი მოწყობილობა კი რუკის კოორდინატთა სისტემის მონა-

ცემებთან შესაბამისობაში იყო მოყვანილი. სროლისა და ცეცხლის მართვის უნივერსალური ხელსაწყოს მეშვეობით საკლასო ოთახში მომზადებული მონაცემები სასროლ მოწყობილობას ავტომატურად გადაეცემოდა. მონაცემების სიზუსტეს კი ბრძანება „ცეცხლის“ გაცემისთანავე ხელსაწყოდან გასროლილი ტყვიის მოხვედრის წერტილიდან მაკეტზე აღნიშნულ მიზანთან მანძილი განსაზღვრავდა.

თანაკურსელები სიხარულით დამთანხმდნენ, რომ იმ დღეს ხელი არავის აეწია, რადგან მასწავლებელთან შერკინება მე მინდოდა. არადა ერთი წელი პირიქით ვეხვეწებოდი, მათ აეწიათ ხელი, რომ მე, უცოდინარს, მკაცრი პოლკოვნიკის მზერა არ მომწვდომოდა. იმ დღეს კლასში რომ შემოგეხედათ, იფიქრებდით, სასწაული ხდებაო. ერთი ვიღაც გალეული კურსანტი, რომელიც აქამდე სხვების ზურგს უკან იმალებოდა, ახლა ხელის აწევით თვითონვე ჯიუტად ითხოვდა გამოძახებას.

პოლკოვნიკმა მალე შეამჩნია ჩემი სითამამე და ცეცხლის მართვის პუნქტთან გამიყვანა. მის მზერაში ამოიკითხავდი, რომ ერთი სული ჰქონდა, ცაში აფრენილი, წინა დღეს შემთხვევით მიღებული დამაკმაყოფილებელი ნიშნით გათამამებული კურსანტი მიწაზე დროულად დაეწარცხებინა და ასეთნაირად დაემცირებინა.

თითქოს მის აზრებს ვკითხულობდი, უშიშრად ვუსწორებდი თვალს, ალბათ პირველად, ამ ხნის განმავლობაში. მოსალოდნელი ორთაბრძოლისთვის მომზადებული, როგორც ტორეროს მიერ აფრიალებული წითელი ქსოვილის დანახვით აღგზნებული ხარი, მხოლოდ ამოცანის მიღებასა და წამმზომის ჩართვას ველოდებოდი. ოთახში გამეფებული სამარისებური სიჩუმე მეორე მსოფლიო ომის დროინდელი დიქტორის, ლევიტანის[24] ხმას მიმსგავსებულმა პოლკოვნიკის ხმამ დაარღვია და ფრონტზე მიმდინარე საბრძოლო ვითარება გამაცნო: 274-ე მოტომსროლელთა ბატალიონი შეტევაზე გადადის, მონინააღმდეგემ ქვემეხებით ცეცხლი გახსნა. ბატალიონი იძულებულია, უკან დაიხიოს და სანგარში გამაგრდეს. გეძლევათ დავალება, გაანადგუროთ მონინააღმდეგის საარტილერიო ბატარეა 48-90 კვადრატში და ჩვენს მოტომსროლელთა ბატალიონს ხელსაყრელი პირობები შეუქმნათ შეტევის გასაგრძელებლად!

სიტყვის დასრულებისთანავე ნამმზომს დააჭირა ხელი, დრო ჩართულიაო, თქვა და ათვლა დაიწყო!

ალბათ გაინტერესებთ, რატომ ვიხსენებ ყველა დეტალს ასე დაწვრილებით. საქმე ისაა, რომ იმ დღეს პირველად ვიგრძენი დასახული ამოცანის შესრულების პასუხისმგებლობა და მომავალშიც ყველა დავალების შესრულებას სწორედ ასეთი გზნებით და პასუხისმგებლობით ვეკიდებოდი.

საკუთარ ხელებს, თვალებს, ენასა და გონებას კი სრულად ვმართავდი, მაგრამ გულს ვერ ვიმორჩილებდი, გამალებით მიცემდა. იმ დროს, როდესაც კოორდინატები ცეცხლის მართვის ხელსაწყოზე გადამქონდა, დრო რომ არ დამეკარგა, პარალელურად ბრძანებებს ვიძლეოდი: „Цель – 101! Артиллерийская батарея! Снаряд осколочно-фугасный! Заряд полный!“[25] – ზედმიწევნით ზუსტად, თითქმის მექანიკურად ვიმეორებდი სახელმძღვანელოში ასჯერ და ათას-

---

[24] იური ლევიტანი – საბჭოთა კავშირის რადიოს ლეგენდარული დიქტორი, რომელიც მკაცრი ხავერდოვანი ხმით ემოციურ ზემოქმედებას ახდენდა მსმენელზე. იგი მეორე მსოფლიო ომის დროს მილიონობით ადამიანს ამცნობდა ქვეყნის ეპოქალურ მოვლენებს.

[25] Цель – 101! Артиллерийская батарея! Снаряд осколочно-фугасный! Заряд полный! (რუს.) – მიზანი 101! საარტილერიო ბატარეა! მსხვრევად-ფუგასური ჭურვი! სრული მუხლი!

ჯერ ნაკითხულსა და დაზეპირებულ ყოველ სიტყვას. „Прицел!..“[26] – ბრძანება არც კი დამესრულებინა, რომ ჩემმა ხელმა წიგნში ავტომატურად გადაფურცლა სროლის ცხრილი და თვალებმა შესაბამის გრაფაში კორის მონაცემი მოძებნა. 228 – ამოვიკითხე თავაუწევლად და გონებაში მაშინვე შევუდექი მიზნისა და საცეცხლე პოზიციის ადგილმდებარეობებს შორის სხვაობის გამოთვლას ზღვის დონიდან მათი სიმაღლის გათვალისწინებით.

როგორც იქნა, ჰორიზონტალური კუთხეც გამოვთვალე, მორჩა! „Один снаряд! Огонь!“[27] – სწრაფად გავეცი ბრძანება, მერე წამმზომს დავხედე და თავი დავიმშვიდე, რადგან დავინახე, რომ ყველაფერი კარგად მიდიოდა. სამხედრო დურბინდი მოვიმარჯვე და შაშხანის გასროლის მოლოდინში პოლიგონს ვუყურებდი.

ოთახში გამეფებულ სიჩუმეში მხოლოდ წამმზომის ნიკნიკი ისმოდა. მისი ხმა ჩემს გულისცემაზე ორჯერ ნელი მეჩვენა. წამები საათებივით იწელებოდა. ბინოკლმომარჯვებული, პოლიგონს თვალს არ ვაშორებდი, ველოდებოდი, შაშხანის ტყვია სად დაეცემოდა. ზუსტად არ ვიცი, რამდენ ხანს გრძელდებოდა ეს მტანჯველი მოლოდინი – 1 წამი, 10 თუ 30... ბოლოს, როგორც იქნა, სიჩუმე გასროლის ხმამ დაარღვია, შაშხანის ტყვია მიზანს დაახლოებით ორასიოდე მეტრით გადასცდა და ოდნავ მარცხნივ დაეცა. კორა! – ცხრილს დავხედე და შესაბამის გრაფაში 4-ით ნაკლები რიცხვი ამოვიკითხე.

„Уровень!“[28] – სამეთაურო პუნქტი მარცხნივ არის, მანძილი იზრდება, კუთხე მარჯვნივ მიდის და, პირიქით, მანძილი მცირდება – მარცხენა ხელის მტევანს ვკრავდი და ვშლიდი, გაუთავებლად ვბუტბუტებდი, ერთსა და იმავეს რამდენჯერმე ვიმეორებდი, რომ არაფერი შემშლოდა. ვგრძნობდი, ანგარიში გამიგრძელდა და ჩემს თავზე ვბრაზობდი ძვირფასი წამების დაკარგვის გამო. მღელვარებისგან გული ამოვარდნაზე მქონდა და სახე მიხურდა.

სპეციფიკურ საკითხებზე საუბარი უინტერესო და გაუგებარი რომ არ აღმოჩნდეს, მოკლედ გეტყვით: თითო-თითო გასროლით მიზნის მისროლას, ანუ გამიზვნას ვასრულებდი და ჭურვის „გადაცილების“ ან „მიუწვდომლობის“ თავიდან ასაცილებლად ცეცხლის კორექტირებას ვახდენდი. არტილერისტები ამას „ჩანგალში მოქცევას“ ეძახიან. როგორც კი „ჩანგალში მოქცეული“ ჭურვი მიზანთან ახლოს დაეცა, მასწავლებლის სიტყვას აღარ დაველოდე და მოწინააღმდეგის მიწასთან გასასწორებლად „სროლისა და ცეცხლის მართვის სახელმძღვანელოს“ დანართებით გათვალისწინებული რაოდენობის ჭურვებით იერიში მივიტანე. წარმატებაში ღრმად დარწმუნებულმა მომავალმა ოფიცერმა, შესრულებული დავალება საკუთარ თავს თავადვე შევუფასე და ნიშანიც დავუწერე: „Курсант задачу выполнил, целъ уничтожена. Оценка – 5!“[29]

ხომ მიხვდით, ეს რას ნიშნავდა? ეს წარმატება იყო! გარინდებული ვუყურებდი, როგორ მიახლოვდებოდა ყოველდღიური შრომითა და ბეჯითი სწავლით მიღწეული პირველი გამარჯვება. ცხადად მახსოვს, როგორ სხაპასხუპით წარმოვთქვი ათასჯერ დაზეპირებული სავალდებულო ტექსტი და დამარცხების ნიშნად პოლ-

---

[26] Прицел!.. (რუს.) – კორა!..

[27] Один снаряд! Огонь! (რუს.) – ერთი ჭურვი! ცეცხლი!

[28] Уровень! (რუს.) – დონე!

[29] Курсант задачу выполнил, целъ уничтожена Оценка – 5! (რუს) – კურსანტმა დავალება შეასრულა. მიზანი განადგურებულია. შეფასება – 5!

კოვნიკის მიერ გამოფენილი თეთრი დროშის დასანახად მედიდურად გავემზადე. რაღაც გახარებული მეჩვენა მისი სახე, თვალები თითქოს მასაც უბრწყინავდა. არ მესიამოვნა. „რა უხარია და რატომ?“ – გავიფიქრე გულში და ცუდმა წინათგრძნობამ შემიპყრო. კლასი უხმოდ უცდიდა განაჩენის გამოცხადებას. თანაკურსელები უსიტყვოდ მგულშემატკივრობდნენ. სიჩუმე უხეშმა, ბრაზნარევმა ხმამ დაარღვია და ყველასთვის მოულოდნელად სიხარულის ნაცვლად თავზარი დამცა: „Неправильно, курсант, задача не выполнена, оценка – два!“[30] – წარმოთქვა პოლკოვნიკმა.

ამის გაგონებაზე კინაღამ გული გამისკდა, უცებ პირი გამიშრა და სისხლი გამეყინა. განცვიფრებულმა შევხედე, მეგონა, თვალები ბუდიდან გადმომცვივდებოდა. გულნატკენსა და შეურაცხყოფილს, მინდოდა, რაღაც მეთქვა, მეკითხა, მეთხოვა, შევწინააღმდეგებოდი, ბოლოს და ბოლოს ავფეთქებულიყავი, მაგრამ პოლკოვნიკი შეუბრალებლად აგრძელებდა განაჩენის დასაბუთებას: ამოცანის დაწყების წინ საცეცხლე პოზიციას არ მიმართეთ: „Батарея, стой!“[31] – რაც ნიშნავს, რომ ბრძანება კაბინეტის მიღმა არ გავრცელდა, მით უმეტეს, საცეცხლე პოზიციაზე. „Учитесь курсант, учитесь!“[32] – ჩაიქირქილა ცინიკურად.

ახლაღა მივხვდი, რატომ უბრწყინავდა თვალები, რატომ იყურებოდა ასე მედიდურად და გამარჯვებულად. გამახსენდა, რომ სიჩქარეში ნამდვილად გამომრჩა თითქმის არაფრის მთქმელი ორი სიტყვა, რომელსაც გაკვეთილზე ვამბობდით ხოლმე ყოველი ახალი სწორის დაწყების წინ. ისევ მან გაიმარჯვა. მე კი, უკეთესი ნიშნის მიღების ჟინითა და ამბიციით შეპყრობილმა, წინა დღით დაწუნებული სამიანიც დავკარგე.

საკუთარ თავსა და მასწავლებელზე ერთნაირად ვბრაზობდი. ჯანდაბა, როგორ გამოგრჩა?! არადა შესანიშნავად შევასრულე, სარეკორდო დროში ჩავტიე, გულბოროტი პოლკოვნიკი კი ორი უმნიშვნელო სიტყვის გამო სასტიკად მსჯის, წყალში მიყრის მონდომებას, მრავალი ღამის შრომას და იმედს მიმსხვრევს! ოღონდ ადამიანს გული გაუტეხოს, დაამციროს, შეურაცხყოფა მიაყენოს...

შესაბრალისი თვალებით შევხედე პოლკოვნიკს, იქნებ გადაიფიქროს, იქნებ... „Садитесъ, курсант!“[33] – შეუვალი იყო პოლკოვნიკის ნება. გადაწყვეტილება არ შეცვალა. ძალაგამოცლილი მივლასლასდი მერხთან, დანა პირს არ მიხსნიდა.

„ნუ ნერვიულობ, ნიშანს ყურადღებას ნუ აქცევ, შენ უკვე შეძელი!“ – მგულშემატკივრობდნენ თანაკურსელები, მაგრამ მათ სიტყვებს ყურებში სტვენისა და წივილის ხმა ფარავდა.

როცა კურსანტები მერხებიდან წამოიშალნენ და საველე ჩანთებში წიგნები ჩაალაგეს, მივხვდი, რომ ზარი დაირეკა და გაკვეთილი დასრულდა. მძიმედ და უხასიათოდ წამოვდექი. უცებ პოლკოვნიკის ცივი ხმა მომესმა, თითქოს ჩემი გვარი ახსენა. მართლაც მე მეძახდა. ხავსს მოჭიდებული წყალწაღებულივით შევტრიალდი მისკენ. იქნებ გადაიფიქრა? „Завтра перездадите!“[34] – მოკლედ მითხრა

.

---

30 Неправильно курсант, задача не выполнена, оценка – два! (რუს) – არასწორია, კურსანტო, ამოცანა არ შეგისრულებიათ, შეფასება – ორი!

31 Батарея, стой! (რუს.) – ბატარეა, სდექ!

32 Учитесь курсант, учитесь! (რუს.) – ისწავლეთ, კურსანტო, ისწავლეთ!

33 Садитесъ, курсант! (რუს.) – დაბრძანდით, კურსანტო!

34 Завтра перездадите! (რუს.) – ხვალ თავიდან ჩააბარებთ!

გამარჯვებულმა და დამარცხებულს კიდევ ერთი შანსი მომცა. მისი ხმა ისეთი მედიდური აღარ მეჩვენა.

ახლა აღარ მახსოვს, რამდენ ხანს გაგრძელდა მომაბეზრებელი ორთაბრძოლა. ხან ყოველდღე მიძახებდა, ხან კვირაში ერთხელ, ხან უძრავი მიზნის განადგურებას მავალებდა, ხან მოძრავის, ხან მთაში სროლას ვასრულებდი და ხან რეპერით მისროლას. ხშირად მაღალ ნიშანს ვიღებდი, ხანდახან, დაუდევრობითა და უყურადღებობით, არადამაკმაყოფილებელს, ხან სიტყვა გამომრჩებოდა და ხან ნამრავლის ჯამი შემეშლებოდა, მაგრამ აღარც მე განვიცდიდი მტკივნეულად მექანიკური შეცდომის გამო მიღებულ დაბალ ნიშანს და მისი მზერაც აღარ იყო დამცინავი, რადგან ორივემ შესანიშნავად ვიცოდით: ეს აღარ იყო უცოდინარობის ბრალი და სახელმწიფო გამოცდაზე უმთავრეს სამხედრო საგანში აუცილებლად უმაღლეს შეფასებას დავიმსახურებდი.

მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, გამოსაშვებ საღამოზე გამიმხილა, რომ ჩემი „წვალება“ სიამოვნებდა. უფრო მეტიც, ცხრა წლის შემდეგ, როდესაც მისი ქვეყნის წინააღმდეგ ომში ჩაბმული საქართველოს სამხედრო უწყების მინისტრი გავხდი, პოლკოვნიკისგან დეპეშა მივიღე, რომელშიც მხოლოდ ერთი სიტყვა ეწერა: „Поздравляю!“[35]

იმავე კვირას შესანიშნავად ჩავაბარე გამოცდა საარტილერიო შეიარაღების საგანში და უმაღლესი შეფასება მივიღე, თუმცა თეორიული საგნები აღარ მაინტერესებდა, გული ვაზიანის ველისა და ყარაიაზის უდაბნოსკენ მიმიწევდა, ნამდვილი სროლისაკენ!

მოახლოებულ საველე სწავლებებზე 122 მმ-ის D-30 ტიპის ქვემეხებს საბრძოლო სროლისათვის წინასწარ ვამზადებდით. ლულასა და სასროლ მექანიზმებს ძველ, უკვე დამუშავებულ ე.წ. „ტაოტს“ დიზელით ვაცილებდით და ვრეცხავდით, შემდეგ კი საპოხ მასალას თხელ ფენად თავიდან ვუსვამდით. რაც შეეხება ყარაიაზს, იქ არტილერიის სხვადასხვა ახალი, თანამედროვე სისტემის „გაუგონარი“ შესაძლებლობით ვტკბებოდით. ქვემეხებიდან ჭურვის სროლა ერთი სიამოვნება იყო. დენთის წვის ერთ დროს არასასიამოვნო მწარე გემო და სუნი უკვე საკმევლის სურნელებად გვეჩვენებოდა, მისი მჭექარე ხმა კი ახალგაზრდებს ცეცხლოვან ვნებებს გვიცხრობდა.

ყოველი გასროლა მომდევნო გასროლის სურვილს აჩენს. ეს ერთგვარი აღგზნებაა, ჯადოქრობა. იქ ომის ღმერთად მონათლული გამანადგურებელი ძალის მართვასა და ამ ძალის გამოყენებით ნგრევას, ყველაფრის მიწასთან გასწორებას სწავლობ.

თავად წარმოიდგინეთ: მეთაურისგან საბრძოლო დავალებას იღებ, მონაცემებს ამზადებ, სროლის კორექტირებას ახდენ, მოწინააღმდეგეს ანადგურებ და ქვეითებს გზას უხსნი იერიშზე გადასასვლელად. იმაზე დიდებული რა უნდა იყოს, როდესაც სამეთვალყურეო პუნქტიდან ბინოკლით დასცქერი შენი ნააზრევისა და ნამოქმედარის შედეგს, იავარქმნილსა და ნაცარტუტად ქცეულ მტრის აღმნიშვნელ საგანს. იმის გააზრება, რომ რუკაზე ცისფერი ხაზით მონიშნულ მოწინააღმდეგის სიმაგრეს სულ მალე ჯარისკაცი დაადგამს ფეხს, უჩვეულო შეგრძნებას გიჩენს და გამარჯვების სასიამოვნო განცდა მოაქვს.

[35] Поздравляю! (რუს.) – გილოცავთ!

სანგრებსა და თხრილებში უხვად მობინადრე ტარანტულებთან და მორიელებთან თვეობით ერთად გატარებულ ზამთრის ცივ ღამეებსა და ზაფხულის ცხელ დღეებში იწრთობოდა სული, ძლიერდებოდა სხეული. საომარ მოქმედებებთან მიმსგავსებული საველე გასვლების დროს ყალიბდებოდა უკიდურეს ვითარებებში სწორი ალღოს გამოვლენისა და გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების უნარი, მოქმედების სითამამე, გამბედაობა და სიმამაცე. ცოდნა ღრმავდებოდა, სამეთაურო უნარი იხვეწებოდა და საბოლოოდ კარგ არტილერისტად ყალიბდებოდი.

თითქოს ნაკურთხი წყალი გადაგასხესო, ახალ, სხვა რწმენის ადამიანად იბადებოდი. უკვე მომწონდა, რომ სამხედრო ვიყავი და ფორმა მეცვა. მინდოდა, მეომარი გავმხდარიყავი, გული ნამდვილი ბრძოლისკენ მიმიწევდა.

სარკეში საკუთარ თავს ვეღარც კი ვცნობდი. გაწკეპილი მუნდირი კოხტად მქონდა მორგებული; შარვალი ისეთი მონდომებით იყო გაუთოებული, ხაზი მთლად სამართებლის პირს ჰგავდა, საგანგებოდ გაწმენდილი აბზინდა ოქროსფრად ელავდა, საგულდაგულოდ გაპრიალებული ჩექმა კი სარკესავით ბზინავდა. თითქოს ახალ ადამიანს ვუყურებდი და ვტკბებოდი: გავიზარდე, გავმაღლდი. 20 წლის ასაკში 187 სმ სიმაღლის ახალგაზრდა უკვე 74 კგ-ს ვიწონიდი, უთანაბროდ, ალაგ-ალაგ ამოზრდილი ღინღლის ნაცვლად ულვაში მამშვენებდა, რის გამოც თვითონ უულვაშო ბატარეის მეთაურმა სამხედრო კომპლიმენტი მომიძღვნა: „Знаешь, как говорят в Ленинграде? Целовать мужчину без усов, это тоже самое, что пить чай без сахара“.[36]

ყველა წვრილმანი იოლად გამომდიოდა. სუფთად და მოწესრიგებულად ყოფნის სურვილით, საღამოს სულ რაღაც ორიოდე წუთში ვახერხებდი კარგად დაუთოებული თეთრი საყელოს ზუსტად მიკერებასა და კოხტად მორგებას, რაც სიამოვნებასაც კი მანიჭებდა. უკვე სასაცილოდ არ მყოფნიდა, რომ ეს საქმე ოდესღაც რთული მეჩვენებოდა.

აღარც კაპიტანი ლავრეშკინი და მისი დაუშრეტელი ფანტაზიის წყალობით მოფიქრებული სასჯელი მეჩვენებოდა მკაცრად. ერთ დროს ღირსების შემლახავი „სიგარეტის დასაფლავება“ გაუზრდელი ახალგაზრდებისთვის ჭკუის სწავლების ეფექტურ მეთოდად მიმაჩნდა. ბრაზით შევცქეროდი და ვერა და ვერ ვეგუებოდი, ქალაქში ვიღაც ორი თითით მოხერხებულად რომ გაისვრიდა სიგარეტის ნამწვს, როცა ნაგვის ურნა იქვე იდგა.

კარგი მეთაური რომ გახდე, ჯერ თვითონ უნდა იყო კარგი რიგითი – წესისა და ვალდებულების მორჩილად შემსრულებელი, მოვალეობისა და სამსახურის ერთგული. ადამიანი ყველაფერს ეჩვევა და საკუთარი მწარე გამოცდილებით, მეთაურებისგან ნანახითა და ნასწავლით ნელ-ნელა მეც მათ ვემსგავსებოდი.

---

[36] Знаешь, как говорят в Ленинграде? Целовать мужчину без усов, это тоже самое, что пить чай без сахара. (რუს.) – იცი, ლენინგრადში რას ამბობენ? ულვაშო მამაკაცის კოცნა იგივეა, ჩაი რომ უშაქროდ დალიო.

■

ამასობაში დრო უკვე უჩვეულოდ სწრაფად გარბოდა. 1987, სწავლის ბოლო წელიც ისე მალე მოგვადგა კარს, უკან მოხედვაც ვერ მოვასწარით. მალე სამხედრო სასწავლებლის კედლები უნდა დაგვეტოვებინა და ნამდვილ ცხოვრებას შევდგომოდით.

ყაზარმის კედლებს გარეთ კი რეალობა მკვეთრად იცვლებოდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 25-ე ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, გორბაჩოვის მიერ წარმოთქმული პოლიტიკური ტერმინის – „პერესტროიკის“[37] მნიშვნელობა ბოლომდე არ გვესმოდა და დიდად არც გვაინტერესებდა. სამხედროებს ალკოჰოლური სასმლის გაყიდვის აკრძალვა, ე.წ. „მშრალი კანონი“ უფრო აწუხებდათ, რომელიც წინა წელს დააწესეს.

საბჭოთა კავშირის სიცოცხლისუნარიანობისა და დღეგრძელობის განსასაზღვრად კი ბენზინგასამართი სადგურებიდან გამქრალი საწვავი და უშველებელი რიგები საკმარისი ნამდვილად არ იყო.

სხვათა ფეხის ხმის გუგუნით სმენადახშული, სამხედრო სამსახურის არსში ჩაუწვდომლად, სამწყობრო სვლით, მძიმედ და ხმაურიანად, თან ამაყადაც ვადგამდი მშობლიურ მიწას რუსულ ჩექმას. არც მშობლიური მიწის ყრუ გმინვა მესმოდა და არც ათწლეულების განმავლობაში საბჭოთა ასეულებისა და ათასეულების სამწყობრო ნაბიჯით გამოწვეული მიწის ზანზარი. სამაგიეროდ მიწამ იცოდა, ვინ იყო მისი ჭეშმარიტი პატრონი და ვის ეკუთვნოდა ის სინამდვილეში.

■

მაშინ ყველას თავისი ოცნება ჰქონდა. ზოგს საზღვარგარეთ, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანაში სურდა ოფიცრად მსახურება, პენსიამდე აუჩქარებლად, თავის აუტკივებლად, მშვიდად მისვლა. ზოგს, განსაკუთრებით ქართველებს, სამეთაურო სამსახურიდან თავის დაღწევა და კომისარიატში ან სამოქალაქო თავდაცვის სტრუქტურებში მშვიდად მუშაობის გაგრძელება სურდა. ისეთებიც ვიყავით, ვისთვისაც სამხედრო სამსახური 200 წლის წინათ ლეთარგიული ძილით მოცული ქართული მეომრული სულის გაცოცხლება იყო.

ოფიცრობის გზაზე მიმავალთ, გვეამაყებოდა, რომ ქართველები ვიყავით და განსაკუთრებით მაშინ ვიწონებდით თავს, როდესაც რომელიმე ქართველი სამხედრო პირის წარმატების ამბავს გავიგებდით.

იმ დროს საქართველოში ყველაზე შთამბეჭდავად რესპუბლიკის კომისრის, სადესანტო-საშტურმო ძალებში ნამსახურები გენერალ-ლეიტენანტის – შარაშენიძის გვარი ჟღერდა. ქართველებზე მისი განსაკუთრებული ზრუნვა ჩვენს სასწავლებელშიც თვალნათლივ ჩანდა. მარტო ჩემს კურსზე მისი მშობლიური ვანიდან 10-ზე მეტი კურსანტი სწავლობდა.

სწორედ იმ პერიოდში უკრაინაში ჩვენთვის უცნობი 40 წლის ქართველის, ჯონი ფირცხალაიშვილის დივიზიის უფროსად დანიშვნისა და მისთვის გენერალ-მაიორის მაღალი წოდების მინიჭების საამაყო ამბავი მომავალ ოფიცრებს სტიმულს გვაძლევდა.

---

[37] Перестройка (რუს.) – გარდაქმნა; ტერმინს იყენებდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მ. გორბაჩოვი 1985-1991 წლებში ინიციირებული რეფორმებისა და ახალი იდეოლოგიის აღსანიშნავად, რომელთა მიზანი იყო სსრკ-ში საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების დემოკრატიზაცია.

კარგი ჯარისკაცი ფიქრშიც კი არ უნდა ამბობდეს გენერლობაზე უარს. საკუთარ გრძნობებთან ორთაბრძოლაში კვლავ დამერღვა შინაგანი წონასწორობა. ჩემს ახალგაზრდულ დაუდგრომელ სულს მშვიდი, უწყინარი ცხოვრებით პენსიამდე მისვლა არ სურდა. ახლა უკვე მიზანდასახულად, სამხედრო კარიერის აღმავალ რთულ გზაზე, საგმირო თავგადასავლებისა და ფათერაკებისაკენ სწრაფი და მტკიცე ნაბიჯებით სიარული მინდოდა, ბავშვობის ოცნების ასახდენად სულ რაღაც 270-280 წლის წინათ გიორგი XI-ის[38] მიერ გაკვალული და არაერთი ქართველის მიერ გავლილი გზისაკენ მიმინევდა გული. „ინტერნაციონალური ვალის“ მოხდის სურვილით პატაკი დავწერე და ავღანეთში განაწილება მოვითხოვე.

იმ დროს საბჭოთა კავშირი ავღანეთში ომს აწარმოებდა. თუ 1979 წელს ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეზღუდული კონტინგენტის, ОКСВА-ს[39] შეყვანისას მისი რიცხოვნობა 81 000-ს შეადგენდა, 1986-87 წლებში უკვე თავის მაქსიმუმს – 120 000-ს მიაღწია, მათგან 108 800 – მე-40 არმიის შემადგენლობაზე მოდიოდა. ეს იქ განაწილების შესაძლებლობას ერთიორად ზრდიდა.

საბჭოთა საჯარისო ნაწილები, აგრეთვე, განლაგებული იყო შორეულ აღმოსავლეთში, ცენტრალურ რუსეთში, შუა აზიაში, ამიერკავკასიაში, თუმცა უმრავლესობას მაინც საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვრებისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების სადარაჯოზე მდგომი ნაწილების შემადგენლობაში მსახურება ხიბლავდა. მისი სარდლობის მთავარი შტაბი პოლონეთის ქალაქ ლეგნიცაში მდებარეობდა და იმ დროისათვის ორად გაყოფილი გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა (გდრ) და ჩეხოსლოვაკიაში განლაგებულ საბჭოთა ჯარების ჯგუფს (ГСВГ[40] და ГСВЧ[41]), აგრეთვე, ბელარუსსა და კარპატებში დისლოცირებულ ორ სამხედრო ოლქს (БВО[42] და ПРИКВО[43]) აერთიანებდა. მოკლედ, თბილისის უმაღლესი სამხედრო საარტილერიო სამეთაურო სასწავლებლის 1987 წლის გამოშვების ლეიტენანტები სულმოუთქმელად ველოდით, ვის სად გაგვანაწილებდნენ, საბჭოთა კავშირსა თუ მის საზღვრებს გარეთ უკიდეგანო სივრცეში. სამწუხაროდ, ავღანეთის უდაბნოებში მსახურების სურვილსა და ოცნებას ასრულება არ ეწერა. იმ წელს „ტაუს“ 1987 წლის გამოშვების ახალგამომცხვარ ასამდე ლეიტენანტზე მოთხოვნა სწორედ აღმოსავლეთ გერმანიის პლაცდარმზე, გდრ-ში დისლოცირებული ГСВГ-დან შემოვიდა, სადაც საბჭოთა არმიის თითქმის მილიონიანი სამხედრო კონტინგენტი იყო განლაგებული. სწორედ იქ გადიოდა პირველი თავდაცვითი ხაზი სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ ორ სამყაროს შორის.

---

38 გიორგი XI – ქართლის მეფე (1676-1688, 1703-1709). ვახტანგ V-ის ძე. 1688 წელს აჯანყდა ირანელების წინააღმდეგ. დიდ წარმატებას მიაღწია ავღანელებისა და ბელუჯების წინააღმდეგ ბრძოლაში.

39 ОКСВА (Ограниченный контингент советских войск в Афганистане – რუს.) – ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეზღუდული კონტინგენტი

40 ГСВГ (Группа Советских Войск в Германии – რუს.) – საბჭოთა ჯარების ჯგუფი გერმანიაში

41 ГСВЧ (Группа Советских Войск в Чехословакии – რუს.) – საბჭოთა ჯარების ჯგუფი ჩეხოსლოვაკიაში

42 БВО (Белорусский Военный Округ – რუს.) – ბელარუსის სამხედრო ოლქი

43 ПРИКВО (Прикорпатский Военный Округ – რუს.) – კარპატებისწინა სამხედრო ოლქი

საბჭოთა ჯარების ჯგუფი აღმოსავლეთ გერმანიაში

ხუთი დღე და ღამე ხანმოკლე გაჩერებებით მიგვაქანებდა მატარებელი ბელორუსიის საზღვრისპირა ქალაქ ბრესტიდან ბერლინის მიმართულებით ახალი, დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე შემდგარ ორ მეგობარს, მე და ლეიტენანტ რომან დუმბაძეს.

165 კმ-ზე გაშლილი, ადამიანის ხელით აგებული ცივი, უტყვი ბერლინის კედელი სულ რაღაც ოთხი ათეული წლის წინათ ერთიან გერმანულ სახელმწიფოსა და ხალხს დღეს ორ, დემოკრატიულ და ფედერაციულ ნაწილებად ყოფდა.

ГСВГ-ს მთავარი შტაბი ბერლინიდან სამი-ოთხი საათის სავალზე, პატარა სოფელ ვიუნსდორფში მდებარეობდა. ახალჩასულ ლეიტენანტებს პირველი განაწილება მის შემადგენლობაში შემავალი 1-ლი, მე-2 სატანკო და მე-3, მე-8, მე-20 საერთო-საჯარისო არმიებიდან ერთ-ერთში გველოდა. საომარი მოქმედების შემთხვევაში ნატოს[44] სამხედრო ბლოკის პირველი დარტყმა სწორედ მათ უნდა მოეგერიებინათ მე-16 საჰაერო არმიის მხარდაჭერით და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაციონალურ არმიასთან ურთიერთმოქმედებით.

პირველი გამანაწილებელი პუნქტის წარმატებით გავლის შემდეგ, იღბალი ახლა უკვე გერმანიის ჩრდილოეთით, მე-2 სატანკო არმიის შტაბში, ქალაქ ფიუსტენბერგში უნდა გვეძია, რომელიც მე-16 სატანკო და 21-ე, 94-ე, 207-ე მოტომსროლელ დივიზიებს აერთიანებდა. გამანაწილებელ პუნქტში გახარების ნაცვლად სახეზე ფერი შეგვეცვალა, როდესაც ქალაქ კოტბუსის სადესანტო-საშტურმო ბატალიონის მწვანესამხრეებიანმა ემისრებმა მხოლოდ მე, მაღალი და ტანხმელი გამომარჩიეს და სამხედრო სამსახურის გაგრძელება კოტბუსის მედესანტეთა ნაწილში, ნაღმმტყორცნელთა ბატარეაში შემომთავაზეს. ასეთ საპატიო სამხედრო ნაწილში სამსახური ნებისმიერ ლეიტენანტს მხოლოდ სიზმარში შეიძლებოდა ენატრა.

ერთმანეთთან განშორების შიშმა ემისრებთან საქმის ჩაწყობის გამბედაობა გაგვიჩინა.

ჩემგან განსხვავებით ლეიტენანტი დუმბაძე მეტი სითამამით გამოირჩეოდა. უშუალო იყო და უცხო ადამიანებთან ურთიერთობას იოლად ამყარებდა, შეეძლო, ნებისმიერს გამოლაპარაკებოდა და ნაცნობობა გაება. იმასაც ხომ მოფიქრება უნდოდა, რომ გამანაწილებელ პუნქტში ვინმე, თუნდაც მაღალი ჩინის შავგვრემანი ოფიცერი მოეძებნა და მისთვის დახმარება ეთხოვა. ზუსტად იცოდა, რომ კავკასიელს კავკასიელის მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონოდა, რა ეროვნებისაც არ უნდა ყოფილიყო – ქართველი, სომეხი თუ აზერბაიჯანელი. იმ უცხო მხარეში, გამანაწილებელ პუნქტში პირველივე შემხვედრ შავტუხა კაპიტანს გამოელაპარაკა და სთხოვა, რომ ან თვითონაც კოტბუსის ბრიგადაში დაეტოვებინათ, ან ორივე ერთად სადმე სხვაგან გავენაწილებინეთ. ასეთ დროს ცოტა იღბალიც იყო საჭირო, რომ იმ ოფიცერს ადამიანობა გამოევლინა. იღბალი დუმბაძეს, როგორც წესი, სწყალობდა ხოლმე. იმ დღესაც გაგვიმართლა – ოფიცერი ეროვნებით სომეხი აღმოჩნდა.

---

[44] NATO (North Atlantic Treaty Organization - ინგ.) – ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია

მოკლედ, ВДВ-ს[45] ელიტურ ნაწილში მსახურების ოცნება ვერ ავისრულე, მაგრამ სანაცვლოდ ორივე მეგობარი ერთად, ქალაქ შვერინში დისლოცირებული 94-ე მოტომსროლელი დივიზიის ცალკეულ ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონში უფროს ოფიცრებად გაგვამწესეს: მე – პირველ, ლეიტენანტი დუმბაძე კი – მეორე ბატარეაში.

■

გერმანიის ჩრდილოეთში, ბალტიის ცივ ზღვასთან, საპორტო ქალაქ როსტოკიდან 40 კმ-ში, 42 ათასამდე ადამიანით დასახლებული პატარა ქალაქის ცენტრიდან ავტობუსის სამ გაჩერებაში, გზის მარცხნივ, გუსტროვერშტრასეს გაყოლებაზე აღმართული ღობის ყრუ კედლებზე გამოსახული ნამგლის, უროსა და ვარსკვლავის სიმბოლოები საბჭოთა არმიის სამხედრო ნაწილის მდებარეობაზე მიანიშნებდა.

მე-20 საუკუნის ორი საზარელი ომის წამომწყები, ერთ დროს უძლიერესი სახელმწიფო სასტიკი მარცხის შემდეგ წითელი არმიის ყოფნას ევროპის მიწაზე უსიტყვოდ, მორჩილად შეგუებოდა. ამა თუ იმ ქალაქში განლაგებულ სამხედრო გარნიზონებს ვერც ამჩნევდნენ, თითქოს მათივე მიწა არ ყოფილიყოს ორად გაყოფილი, როგორც ორი დაპირისპირებული ბანაკის ნადავლი.

სამხედრო ინფრასტრუქტურა – ყაზარმა, შტაბი, პლაცი, სამწყობრო მოედანი, ავტოპარკი, საყარაულო შენობა, საწყობები, ჯარისკაცთა სასადილო, საჩაიე და ოფიცერთა საცხოვრებელი – ღობის შიგნით, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე იყო განლაგებული. იქ მოხვედრა მხოლოდ საკონტროლო-გამშვები პუნქტის გავლით შეიძლებოდა.

დივიზიონი სამი ბატარეისგან შედგებოდა. ჩვენი პირადი შემადგენლობის ყაზარმები მეორე და მესამე სართულზე ერთმანეთის მეზობლად მდებარეობდა, ავტოპარკშიც ჩვენი ბოქსები გვერდიგვერდ იდგა. შეიარაღებაში 100-მმ-იანი ტანკსაწინააღმდეგო МТ-12 ტიპის ზარბაზნები გვქონდა, მათ გადასაზიდად კი – МТ-ЛБ-ები[46]. რაც შეეხება დივიზიონის მესამე ტანკსაწინააღმდეგო ბატარეას, სადაზვერვო ჯავშანმანქანა „ბეერდეემს“[47] ФАГОТ-ის ტიპის ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტები ჰქონდა შეიარაღებაში.

ორ ოფიცერს საერთო საცხოვრებელში დროებით ერთი ოთახი გამოგვიყვეს, რომელიც ერთი შეხედვით საკლასო ოთახს ჰგავდა და დიდად არც ჯარისკაცის ყაზარმის „კუბრიკისაგან“ განსხვავდებოდა. თითქმის ტოლი სიგრძე-სიგანის ოთახი დაახლოებით 12 კვ. მ იყო და ერთი ფანჯარა ჰქონდა. კედელი კაცის სიმაღლემდე ღიად შეეღებათ, თავს ზემოთ ჭერამდე ცარცის ხსნარით შეეთეთრებინათ, იატაკზე კი ლინოლეუმი დაეგოთ. კედლებთან, ერთმანეთის პირდაპირ, რკინის ზამბარიანი ორი საწოლი იყო მიდგმული, ოთახში კიდევ ორი ტუმბო და ერთი პატარა მაგიდა იდგა. კარადის მაგივრობას კარის უკანა კედელზე ერთ მწკრივად ჩაჭედებული ლურსმნები ასრულებდა. ჭერზე ერთი ნათურა ეკიდა, რომელსაც პატარა ქოლგა ჰქონდა გადაფარებული. ეს იყო და ეს. სამზარეულო, პირსაბანი და მაცივარი ექვს მეზობელ ოთახს საერთო გვქონდა.

---

[45] Воздушно-десантные войска (რუს.) – საჰაერო-სადესანტო ჯარები

[46] МТ-ЛБ (Боевая машина, многоцелевой плавающий бронетранспортер – რუს) – მრავალმიზნობრივი მსუბუქად შეჯავშნილი გამწე

[47] БРДМ (Бронированная разведывательно-дозорная машина – რუს.) – სადაზვერვო ჯავშანმანქანა

დივიზიონის მეთაური, პოლკოვნიკი მიროკიანი ჩვენივე თანამემამულე, მარნეულელი სომეხი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ „земляк"-ების[48] მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულების გამოხატვას მაინცდამაინც არასდროს ცდილობდა, რომანმა პირველივე დღიდან მასთანაც მოახერხა კარგი ურთიერთობის დამყარება და, როგორც ერთი მიწის შვილებს, მისი იმედი მუდამ გვქონდა.

სამსახურის ახალ ადგილას გამოცხადებისას უფროსობას ახალბედა ლეიტენანტზე პირველი წარმოდგენა ჩაცმულობით ექმნება, მერე მის შესაძლებლობებს სიტყვა-პასუხითა და სამეთაურო უნარ-ჩვევებით აფასებენ, ხოლო საბოლოო შეხედულება სამხედრო საქმის ცოდნითა და მონდომებით უყალიბდებათ, ამიტომ პირველივე დღიდან ვალდებული იყავი, სამსახურის ფერხულში სრული დატვირთვით ჩართულიყავი.

არმიაში, სადაც „დედოვშინა" იყო გაბატონებული, ახალდამთავრებული ლეიტენანტის სამსახურში გამოცხადებას ზემდგომი ოფიცრები ისეთივე სიხარულით ელოდნენ, როგორც ახალწვეულის მისვლას – ნამსახურები ჯარისკაცები, რათა საქმის ძირითადი ტვირთი ახალბედასთვის აეკიდათ, თვითონ კი ერთი საფეხურით ზემოთ ნაწეულიყვნენ და მცირედით მაინც შეემსუბუქებინათ ოფიცრის მძიმე ცხოვრება.

პირველივე დღიდან ისევე გვიწევდა განრიგის შესრულება, როგორც რიგით ჯარისკაცებს. ზემდგომი მეთაურის დავალებით გამთენიისას ჯარისკაცზე ცოტა ადრე ვდგებოდით და, როგორც პასუხისმგებელი პირები, დილის ვარჯიშზე სერჟანტის მიერ ჩატარებულ ნაცნობ რიტუალს ვესწრებოდით: „ადექით, დაწექით!"...

ვარჯიშის შემდეგ სახლისკენ გავრბოდით, რომ თავი სწრაფად მოგვეწესრიგებინა, ასეული სასადილოდან დროულად გამოგვეყვანა, დილის განწესზე არ დაგვეგვიანა. საუზმე არც კი გვახსოვდა, რადგან მაინც ვერ მოვასწრებდით.

დღის განმავლობაში კაბინეტსა და საკლასო ოთახებში ნაკლებად გვიწევდა ყოფნა. დროს, ძირითადად, განრიგის მკაცრი სიზუსტის დაცვით, ავტოპარკში ვატარებდით, სადაც ასეულის საბრძოლო ტექნიკისა და ტრანსპორტის მოვლა, შეკეთება-რემონტი მიმდინარეობდა, რომ მუდმივად გამართული, საბრძოლო მდგომარეობაში ყოფილიყო.

მხოლოდ შუადღისას, როდესაც ჯარისკაცები სასადილოში წავიდოდნენ, გვეძლეოდა შესაძლებლობა, ერთი საათით საცხოვრებელში აგვერბინა და სული მოგვეთქვა. დაღლილებსა და გამოუძინებლებს, საჭმლის მომზადებას საწოლზე მიგდება და თუნდაც ნახევარი საათით თვალის მოტყუება გვერჩივნა, თუმცა მშვიდადაც ვერ ვიძინებდით, მთვლემარეებს თვალი სულ საათისკენ გაგვირბოდა, რომ ახლა უკვე შუადღის განწესზე არ დაგვეგვიანა.

ვინაიდან საცხოვრებელი, ყაზარმა, პლაცი და ავტოპარკი, პრაქტიკულად, ერთ ტერიტორიაზე იყო, ზემდგომი მეთაურები პირდაპირ ფანჯრიდან აკვირდებოდნენ და ამოწმებდნენ, ვინ როდის და საიდან მოდიოდა, რას და როგორ აკეთებდა.

ოფიცრები კი ვიყავით, მაგრამ არსითა და სირთულით ჩვენი ცხოვრება ჯარისკაცის ცხოვრებისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. ჯარისკაცებისთვის მთელი დღე ძიძასავით უნდა გვედევნა, ყოველი წვრილმანი უნდა გვემოწმებინა და გვეკონტროლებინა.

[48] Земляк (რუს.) – თანამემამულე

დილიდან საღამომდე, ძირითადად, სამსახურში ვიყავით, რომ მეთაურებისთვის შენიშვნის საბაბი არ მიგვეცა. ხან დილის განრიგის მკაცრი სიზუსტით შესრულების პასუხისმგებელ პირად გვნიშნავდნენ, ხანაც ღამით ძილისპირულის სამხედრო რიტუალის.

ასე მიდიოდა დღეები. დილით საუზმეს ვერ ვასწრებდით, შუადღისას – სადილობას. დღეში ერთხელ, საღამოს თუ ვივახშმებდით, თუმცა პერიოდულად, სხვადასხვა ინციდენტის გამო, გვიან ღამემდე ყაზარმაში გვიწევდა ყოფნა. ოთახში დაბრუნებულებს დაღლილობისგან საჭმლის მომზადების თავიც აღარ გვქონდა. შიმშილი არც კი გვახსოვდა, ერთი სული გვქონდა, ბალიშზე თავი დაგვედო და ღრმა ძილს მივცემოდით, თუმცა იმის შიშით, ვაითუ დილით მაღვიძარას ვერ გავეღვიძებინეთ, ხან ერთ მეზობელს ვთხოვდით ექვს საათზე გაღვიძებას, ხან მეორეს, თორემ ახალგაზრდა ლეიტენანტს დაგვიანებას ვინ აპატიებდა ან ზემდგომი მეთაურების მკაცრ მზერას რას გამოაპარებდი?! ერთ დღესაც, მუდმივად დაღლილსა და გამოუძინებელს, შესვენების დროს ლოგინზე წამოწოლილს მკვდარივით ჩამეძინა და მაღვიძარას ზარი ვერ გავიგონე. მეთაურის რისხვამ არ დააყოვნა და განწესზე დაგვიანებისთვის ოფიცერთა მწყობრის წინ საყვედური გამომიცხადა. ეს იყო პირველი და უკანასკნელი შემთხვევა. იმ დღიდან, უცხო ადამიანების თვალწინ მწარე გაკიცხვის შემდეგ, ძილშიც კი ჩამესმოდა მეთაურის უხეში ხმა, გონება კი მაღვიძარას ზარის გარეშე უხილავად გრძნობდა საათის ისრების მოძრაობას და საჭირო დროს თავისთავად მეღვიძებოდა.

არმიაში ახალგაზრდა ოფიცერს, ახლად კურსდამთავრებულ ლეიტენანტს, ისევე როგორც ახალწვეულ ჯარისკაცს, ზედმეტ თავისუფალ დროს არავინ დაუტოვებს ან თუნდაც მცირე დატვირთვას არავინ აკმარებს. მეც და რომანსაც სამ დღეში ერთხელ რიგრიგობით, ერთმანეთის მონაცვლეობით გვიწევდა ყარაულის უფროსის მოვალეობის შესრულება. მხოლოდ მესამე დღეს ვახერხებდით ერთ ჭერქვეშ შეყრასა და თავს გადახდენილი ამბების მოყოლას მშობლიურ ენაზე.

დრო გადიოდა და არაფერი იცვლებოდა. თეთრად გათენებულ ღამეებს ვითვლიდით და საკუთარ მოვალეობას ისე ვასრულებდით, როგორც თითოეულ ჩვენგანს მიაჩნდა საჭიროდ.

გვიჭირდა ახალ გარემოსთან შეგუება. მანამდე სამხედრო სასწავლებელში სახლთან ახლოს მაინც ვიყავით, ოჯახთან სიახლოვე სტიმულს გვაძლევდა: რამე თუ დაგვჭირდებოდა, საღამოს მოგვაკითხავდნენ, საჭმელს მოგვიტანდნენ და ტანსაცმელს გაგვირეცხავდნენ. აქ კი სრულიად მარტონი დავრჩით იმ სირთულეების პირისპირ, რაც ოცი წლის ასაკში ნაადრევად დასრულებულ სიყმაწვილესა და ახალი დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყისს ახლავს თან.

გვიან ღამით სამსახურიდან სახლში დაღლილ-დაქანცული და მშიერი ბრუნდები... გშია... გეძინება... და ამ დროს მეორე დღისათვის ან პერანგია გასარეცხი, ან სამხედრო კიტელი და შარვალია გასაუთოებელი. ონკანს მოუშვებ და ნიჟარაში წყალს დააგუბებ, შემდეგ პერანგს სქელ ყავისფერ საპონს წაუსვამ და წყალში გაავლებ, იქვე სახელდახელოდ გაწურულს გაბჭურაზე გაცხელებული უთოთი აუთოებ და თან აშრობ. ჩქარობ, რომ დროულად მორჩე, ივახშმო და დაიძინო. საბოლოოდ, ერთი-ორჯერ თითების დაწვის ხარჯზე გაუთოებულს, სინათლის შუქზე კმაყოფილებით შეამოწმებ და სიბრაზისაგან ლამისაა გული გაგისკდეს: საყელოს ლაქები ამჩნევია! ისევ მეორდება რეცხვის რიტუალი. როგორც იქნება, პერანგის რეცხვას დაასრულებ და შარვლის დაუთოებას იწყებ.

დანამულ შარვალს თეთრ ნაჭერს გადააფარებ და გაზქურაზე გაცხელებულ უთოს გადაატარებ, ნაჭერს ასწევ და, შედეგით უკმაყოფილო, მწარედ იკურთხები – ხაზი ცერად გამოვიდა. ნაჭერს ხელმეორედ ასველებ და შარვალს ზემოდან აფარებ, სახელდახელოდ უმიზნებ და აუთოებ. ჯერ მარჯვნიდან მარცხნივ, შემდეგ პირიქით... ნაჭერს ასწევ და – ფუი!.. ისევ იკურთხები, რადგან შარვლის ტოტს ახლა უკვე ორი ხაზი გასდევს. ასე გრძელდება გაუთავებლად... ასველებ, ხელახლა აუთოებ, სანამ საბოლოოდ არ მოგებეზრდება, რადგან როგორც საჭიროა, ისე მაინც არ გამოგდის.

არც საჭმლის მომზადება გამოდგა ადვილი. სავახშმოდ მე და რომანი მოვალეობებს დიდი ამბით ვიყოფდით. მას, როგორც უფრო ყისმათიანს, პროდუქტების მოპოვება და ჭამის შემდეგ თეფშების გარეცხვა-დალაგება ევალებოდა, მე კი – საჭმლის მომზადება იმით, რასაც რომანი მეზობლების მაცივარში მოინადირებდა.

ერთხელ მაინც თუ გაგისინჯავთ მარტოხელა ადამიანის ნახელავი? ცხელი წვნიანის მსგავს მასას – ტაფაზე მოთუხთუხე ცოტაოდენ ზეთში წვრილად ჩაჭრილ მწვანილსა და ერთ თავ ხახვს, კარტოფილსა და ხორცის პატარა ნაჭერს, მასში არეულ, მომცრო ქვაბში წინასწარ მოხარშულ ბრინჯს ან ვერმიშელს და ზევიდან დასხმულ ჭიქა წყალში გახსნილ ტომატს ისეთი მადის აღმძვრელი სუნი ჰქონდა, რომ გასინჯვამდე ნერწყვი მოგვდიოდა. ტაფას თავს მოვხდიდით, გემოს გავსინჯავდით და აღმოჩნდებოდა, რომ მსგავსი საშინელება არასოდეს გვეჭამა.

კულინარიის მთავარი წესი არის იმპროვიზაცია. იხტიბარს არ იტეხ მეორე დღის იმედით, იქნებ საერთო სამზარეულოში პროდუქტების უფრო ფართო არჩევანი გაჩნდესო.

■

დრო ნელა გადიოდა, ცოდნა თანდათან ღრმავდებოდა, საჭმლის გემოც უმჯობესდებოდა და რეცხვის ხარისხიც იხვეწებოდა, თუმცა იმ დროს, რომელსაც რეცხვა-დაუთოებაში, დასუფთავება-დალაგებასა და საჭმლის მომზადებაში ვხარჯავდით, ძილს ვაკლებდით.

საწოლზე რომ მივეგდებოდით, სანამ რული მოგვერეოდა, მხოლოდ ის ხუთი წუთი ვფიქრობდით სახლზე, მშობლებზე და მეგობრებზე, თბილისზე და სამშობლოზე, რომელიც სადღაც შორს, ბავშვობაში დარჩა.

ერთადერთი შვება და სიხარული იმ უკუღმართ ცხოვრებაში ის იყო, რომ ორი ქართველი ერთმანეთის გვერდით ვიყავით. ასე მტკიცდებოდა ჯერ კიდევ სასწავლებელში დაბადებული ნამდვილი სამხედრო მეგობრობა, რომელიც მთელი ცხოვრება მოგვყვება.

სამხედრო კარიერას რომ შეუდგები, მხოლოდ ორი გზა არსებობს: ან სინამდვილეს შეეგუო და მდორე დინებას მიჰყვე, უდარდელ პენსიამდე რამენაირად ნაკლები შრომითა და გარჯით განვლო „მისჯილი“ სავალდებულო 25 წელიწადი, ან თავდაუზოგავად იშრომო მომავალზე ოცნებით, მონდომებითა და თავდადებით, რათა რაც შეიძლება სწრაფად და მტკიცედ აიარო სამხედრო კარიერის კიბის საფეხურები.

კარგი ჯარისკაცი გენერლობაზე ოცნების გამო ნებისმიერი წინააღმდეგობის დაძლევისა და გადალახვისთვის უნდა იყოს მზად.

უპირველესად, საკუთარ ასეულში სამაგალითო წესრიგისა და დისციპლინის დამყარებას შევუდექი. როცა ახალ სამუშაო ადგილას მიდიხარ, უმთავრესია ჯარისკაცების პატივისცემა დაიმსახურო და არა შიში, რადგან სწორედ პატივისცემაა ყველაფრის თავი და თავი.

დიპლომში ჩაწიკწიკებული უმაღლესი ნიშნების მქონე ლეიტენანტს საკლასო ოთახებსა და სასწავლო ცენტრებში თეორიულად ნასწავლი და პრაქტიკულად ნანახი ტექნიკისა და შეიარაღების მოვლა თითქოს არ უნდა გამჭირვებოდა, მაგრამ ერთია ფურცელზე ნაწერის კითხვა და საჩვენებელი გაცნობა, ხოლო მეორე – რეალურ ცხოვრებაში ამ ცოდნის ყოველდღიური გამოყენება.

ჯარისკაცთა უმრავლესობამ არაფერი იცოდა, განსაკუთრებით მათ, ვისაც ერთი წელი ჯერ არ ჰქონდა ნამსახურები, ხოლო ვისაც ჯარში წელიწად-ნახევარი გაეტარებინა, ის არაფერს აკეთებდა. ამიტომ ისევ თავად უნდა გესწავლებინა, უფრო სწორად, ჯერ თვითონ უნდა შეგესწავლა სრულფასოვნად, მერე სხვებისთვის გესწავლებინა.

შემოდგომა იწურებოდა. არმიაში ძველების დემობილიზაცია და ახლების გაწვევა მიმდინარეობდა. თუ აქამდე, ძირითადად, შუაზიელებით დაკომპლექტებულ ბატარეაში გვიწევდა დისციპლინის დამყარება და სამხედრო საქმის სწავლება, ახლა შანსი გვეძლეოდა, ბატარეა სასურველი მონაცემების მქონე წვევამდელებით დაგვეკომპლექტებინა. ჯარისკაცებთან გატარებული თვეების გამოცდილებით, კომისარიატის გამწვევ პუნქტში ახალწვეულთა მიღებისას „პრაპორშიკისთვის“[49] არაყი არ დამნანებია, რომ ასობით წვევამდელიდან საუკეთესოები წამომეყვანა.

სათითაოდ ვარჩევდი სიმაღლის, აღნაგობისა და საზრიანობის მიხედვით. კარგი ჯარისკაცები იყვნენ ბელარუსები, როგორც წესი, მშვიდები და დისციპლინირებულები; რეგიონებიდან ჩამოყვანილ რუსს შრომისმოყვარეობით ვერავინ სჯობდა, მოსკოველისა და ლენინგრადელის წაყვანას ვერიდებოდი, რადგან „პიჟონობა“[50] სჩვეოდათ. უკრაინელი ხალისიანობითა და საზრიანობით გამოირჩეოდა; მოლდოველი ცოტა დაბნეული იყო; ყაზახი – ცქვიტი, რუსული ცუდად იცოდა, თუმცა ამას სისხარტითა და ალღოთი ანაზღაურებდა. კავკასიელების შერჩევასაც გავურბოდი: სომეხს სულ რაღაც აწუხებდა და სტკიოდა; აზერბაიჯანელს, განსაკუთრებით სოფლებიდან გაწვეულს, რუსული არ ესმოდა. ყირგიზი ტანდაბალი იყო; უზბეკს რუსული არც ქალაქელს ესმოდა და არც სოფლელს, თან „დედოვშინასაც“ სხვებთან შედარებით ცუდად ეგუებოდნენ. რაც შეეხება ქართველს, საბრძოლო ნაწილში მსახურება დიდად არასდროს ეპიტნავებოდა. იმ დროს, როდესაც სსრკ-ის სხვადასხვა კუთხიდან გაწვეული ჯარისკაცები სამხედრო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იმტკიცებდნენ, „ხლებარეზკასა“ და „კაპტიორკაში“[51] მოკალათებულ ქართველებს იოლი შრომით გაჰყავდათ „მისჯილი“ მოსაწყენი ორი წელიწადი.

ისე, ოფიცერსაც შეეძლო „ესაჩკავა“[52], დილის განწესზე ჯარისკაცებისთვის დავალებები მიეცა და სერჟანტებისთვის ეთქვა, რომ ამა და ამ დროისთვის შესრუ-

---

[49] Прапорщик (რუს.) – სამხედრო წოდება საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში. სამხედრო მოსამსახურეთა განცალკევებული კატეგორია, დაახლოებით უთანაბრდება უმცროს ოფიცერს.

[50] „პიჟონი“ (ჟარგ. ფრ.) – კარგი ჩაცმა-დახურვისა და გარეგნული ეფექტების მოყვარული ახალგაზრდა.

[51] „ხლებარეზკა“ და „კაპტიორკა“ (რუს.) – პურის საჭრელი და სასანყობო სათავსოები

[52] „ესაჩკავა“ (ჟარგ. რუს.) – ეყალთაბანდა, სამუშაოდან თავი დაეძვრინა.

ლებული დაეხვედრებინათ, ხოლო თავად სამეთაურო ოთახში გაეტარებინა დრო, მაგრამ მე ასე არასდროს ვიქცეოდი. ეს მეთაურისთვის ცოდნის გამომჟღავნების ასპარეზი იყო, სადაც საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების რეალიზაციის შანსი გეძლეოდა. ოფიცერი მხოლოდ დისციპლინირებულ და მაღალი საბრძოლო მზადყოფნის ნაწილებში შეიძლება გაიზარდოს, პრაქტიკულ ცოდნას დაუფლოს და სამეთაურო უნარ-ჩვევები გაიღრმაოს.

დღეებს დილიდან საღამომდე ჯარისკაცებთან ერთად ყაზარმაში, სპორტულ „გარადოკში“ ან ავტოპარკში ვატარებდი, მათთან ერთად დავრბოდი და ვვარჯიშობდი. ბატარეის კუთვნილ საარტილერიო სისტემებს ტექნიკურ მომსახურებას ვუწევდი – საკუთარი ხელით ვშლიდი და ვარემონტებდი. სამეთაურო ცოდნასაც ვიღრმავებდი და ბატარეის საბრძოლო მზადყოფნასაც ვამტკიცებდი. ჯერ თვითონ ვაკეთებდი და შემდეგ იმავეს სხვას ვთხოვდი, ჯერ თვითონ ვაძლევდი მაგალითს და შემდეგ ვითხოვდი სხვისგან იმავე დავალების შესრულებას. დიახ, საქმით ვხელმძღვანელობდი და არა სიტყვით, ფორმულით – „делай как я“[53] და არა „делай, как я сказал“[54]. ლოგიკა მარტივია: არასდროს მოსთხოვო სხვას ის, რის გაკეთებაც თავად არ შეგიძლია ან არ გინდა. ასეთი ქცევა კი სიტყვასაც დამაჯერებელს ხდიდა და ბრძანების შესრულებასაც აადვილებდა, თუნდაც ხმადაბლა, თხოვნით ყოფილიყო ნათქვამი. საღამოობით გვიანობამდე ყაზარმაში ვტრიალებდი, რომ წლინახევრის ნამსახურებ ჯარისკაცებს ახალწვეულები ნაკლებად დაეჩაგრათ.

სამ დღეში ერთხელ, შეუსვენებლად და შეუცვლელად, ახალბედა ლეიტენანტს ყარაულის უფროსის ვახტზე მოვალეობის შესრულება მიწევდა. თვეები ვითვლიდი უძილო ღამეებს, მაგრამ არასდროს ვაძლევდი თავს უფლებას, ჯარისკაცების დასანახად სისუსტე გამომეჩინა. კარგი ოფიცერი მთელი ღამე ისევე უნდა ფხიზლობდეს, როგორც ჯარისკაცი პოსტის სადარაჯოზე და საგუშაგოებს ამოწმებდეს. თავადაც ფხიზლობდეს და მათგანაც იმავეს ითხოვდეს. მხოლოდ დილით, გარნიზონის საყარაულო სამსახურის წესდებით ნებადართულ დროს, არაუმეტეს 4 საათით უნდა აძლევდეს თავს თვალის მოხუჭვის უფლებას ძალების აღსადგენად და ამით პირად მაგალითს იძლეოდეს. ყარაულში ყოფნისას არაერთი ღამის გატეხისას ჯარისკაცებს ხშირად უთქვამთ ჩემთვის, თქვენამდე არცერთი ოფიცერი არ იკლავდა თავს უძილობითო. არასდროს მიცდია, მათ დავმსგავსებოდი და ასე ვაგრძელებდი საკუთარი დაუწერელი წეს-კანონებით მსახურებას.

სამხედრო სამსახური დღითიდღე საინტერესო ხდებოდა, უკვე აზარტულად მიტაცებდა კიდეც. მომდევნო წოდების ვადაზე ადრე მიღების სურვილით თავდაუზოგავად ვშრომობდი, ისევ ვჩქარობდი, რადგან ყველაფერი დროზე ადრე მინდოდა, სხვაზე წინ.

არც ვკითხულობდი და არც მაინტერესებდა, რომელი რიცხვი ან კვირის რომელი დღე იყო. მთავარ ამოცანად მიმაჩნდა, დღის განრიგზე საათებით და წუთებით ავწყობილიყავი. ლოგინიდან წამოდგომას მზის ამოსვლას ვასწრებდი და გვიან ღამემდე არ ვიძინებდი. უკვე აღარავის მითითება მჭირდებოდა, რომ დღისით თუ ღამით ყაზარმაში ჯარისკაცები შემემოწმებინა, ვარჯიშის დროს მათთან ერთად მერბინა, ავტოპარკში მათთან ერთად მემუშავა, საკუთარი ხელით მეკეთებინა ყველაფერი. ის კი არა, რომანის თხოვნით, მის ოცეულს უკვე ტექნიკის რემონტსა და

[53] Делай как я. (რუს.) – გააკეთე, როგორც მე ვაკეთებ.

[54] Делай, как я сказал. (რუს.) – გააკეთე, როგორც მე გეუბნები.

ზარბაზნების სამიზნეების გასწორებაში ვეხმარებოდი, ფიზიკურ შრომაზე სიამოვნებით ვთანხმდებოდი რამდენიმე დღით ოთახის დალაგებისა და საჭმლის მომზადების სანაცვლოდ.

ყველაფერი იოლად გამომდიოდა და მიღწეული წარმატება სულიერ კმაყოფილებას მანიჭებდა. ფიზიკური შრომა და გარჯა უკვალოდ არასდროს იკარგება. სიცივესა თუ სიცხეში ყოველდღიური შრომით ერთდროულად უფროსების ყურადღებაც მივიქციე და ჯარისკაცების პატივისცემაც დავიმსახურე. უკვე სხვანაირი რიდით მეპყრობოდნენ. თანამდებობით მხოლოდ ბატარეის უფროსი ოფიცერი ვიყავი, მაგრამ უკვე ბატარეის მეთაურის მოვალეობას ვასრულებდი.

■

ჩემი მთავარი მიზანი ის იყო, რომ ბატარეის პირადი შემადგენლობა და საბრძოლო ტექნიკა მოახლოებული საველე წვრთნებისთვის საგანგებოდ მომემზადებინა, საერთო საჯარისო არმიის ტანკსაწინააღმდეგო დივიზიონების შეჯიბრში წარმატებით გამოვსულიყავით და ჩემს ბატარეას პირველი ადგილი დაეკავებინა.

საველე გასვლები საარტილერიო სროლისათვის წელიწადში ორჯერ ტარდებოდა გეგმურად და მზადებაც, როგორც წესი, რამდენიმე თვით ადრე იწყებოდა. ქვემეხების მექანიზმებს სიფრთხილით ვშლიდით, ყოველ დეტალს დიზელის საწვავში საგულდაგულოდ ვრეცხავდით, რომ მტვერი და ქვიშა მოგვეცილებინა, შემდეგ ვპოხავდით და მაქსიმალური სიზუსტით ხელახლა ვაწყობდით. სამიზნე და ოპტიკურ ხელსაწყოებს ტექნიკური სპირტით ვწმენდდით, ვასწორებდით. ავტომანქანებსა და გამწეებს ზეთს ვუცვლიდით და ტექნიკურ მომსახურებას ვუწევდით, გამწეების მუხლუხებს ვშლიდით, ვრეცხავდით, შავად ვღებავდით, მერე ხელახლა ვაწყობდით და დიდ მანძილზე მარშისთვის ვამზადებდით. კიდევ ათასი უბედურება, ვინ მოთვლის... ყველაფერი ისე უნდა ყოფილიყო გაპრიალებული, როგორც რუსულ ჯარში გავრცელებულ გამოთქმაშია: „Блестеть, как у кота яйца“.[55]

სწორედ იმ დროს, როცა გასვლისთვის გახურებული მზადება მიდიოდა, ჩვენი კულინარიული ექსპერიმენტების შედეგად, მუდმივად მშრალი, ზეთში შემწვარი საჭმლის გამო გასტრიტი დამემართა. თავიდან ვცდილობდი, ყურადღება არ მიმექცია და არც სხვებს შეემჩნიათ. როდესაც მწყობრში თავბრუ მეხვეოდა და გონებას ვკარგავდი, ფერმიხდილი, დროებით იქვე სიგარეტის მოსაწევ ადგილას ჩამოვჯდებოდი, სულს მოვითქვამდი და ისევ ავტოპარკში მუშაობას ვაგრძელებდი. საველე ლაშქრობაში მონაწილეობის ჟინითა და აზარტით მოწამლული, სამხედრო ჰოსპიტალში დაწოლაზე უარს ვამბობდი. მართლა საცოდაობა იქნებოდა, ამდენი შრომა წყალში ჩაყრილიყო.

პირველი საველე გასვლა 1988 წლის იანვრის ბოლოს იუტებორგის პოლიგონზე იგეგმებოდა.

სამხედრო სასწავლებლის გამოცდებისგან განსხვავებით იქ არა პირადი ცოდნისთვის, არამედ ბატარეის მზადყოფნისთვის გაფასებდნენ. წინასწარ განსაზღვრული ელემენტების ცალ-ცალკე ქვედანაყოფისა და მთლიანად სამხედრო ნაწილის შემოწმების შემდეგ, ზუსტი და შერწყმული მოქმედებებისათვის საბოლოოდ

[55] Блестеть, как у кота яйца (რუს.) – ბრწყინავდეს, როგორც კატის კვერცხები

ერთიანი ნიშნით გვაფასებდნენ. აი, იმ ამოცანათა ჩამონათვალი, რომელთა ჩაბარების შემდეგ საბრძოლო ნიშანი იწერებოდა:

- პირადი შემადგენლობის ინდივიდუალური აღჭურვილობის, საჭირო ეკიპირებისა და საბრძოლო ტექნიკის დათვალიერება;

  ბატარეის მარში ტანკოდრომზე, საბრძოლო მოქმედებებთან მიახლოებულ პირობებში, რუკაზე ათობით კილომეტრის დაშორებით აღნიშნულ წერტილამდე;

  სვლის მარშრუტზე მოულოდნელად აღმოჩენილი მოწინააღმდეგის შეხვედრისას იქვე სახელდახელოდ საცეცხლე პოზიციის დაკავება;

  უძრავი ან მოძრავი ტანკის აღმნიშვნელი შავი ფარის გამოჩენისთანავე მისი პირდაპირი დამიზნებით განადგურება.

რამ უნდა მოგიტანოს იმაზე დიდი კმაყოფილება, როცა უცნობი საბჭოთა გენერალი დათვალიერებაზე მოწყობილ პირად შემადგენლობას და საჩვენებლად გამოყვანილ საბრძოლო ტექნიკას ჩამოუვლის და ბატარეის საბრძოლო მზადყოფნას უმაღლესი ნიშნით შეგიფასებს. ან რა უნდა იყოს იმაზე შთამბეჭდავი, როდესაც წინა სამეთაურო МТ-ЛБ-ზე ამაყად შემომჯდარი, სიცივისაგან გალურჯებული, 60-80 კმ/სთ სვლით ბატარეას დანიშნული ადგილისაკენ მიუძღვები. ამ დროს, ხმაურში, თავზე ჩამოცმულ ჩაფხუტში რადიოკავშირის საშუალებით ზემდგომი მეთაურისგან შეტყობინება გესმის: „შენი გადაადგილების მარშრუტზე წინ, მარჯვნიდან უახლოეს წუთებში მოწინააღმდეგის ტანკები გამოჩნდება! გიბრძანებ: არ დაუშვა სიღრმეში ტანკების წინსვლა და მოწინააღმდეგის იერიში მოიგერიო!“ ამ სიტყვების გაგონებაც კი აღგაგზნებს და შენ მიერ გაცემულ ბრძანებაზე: „Батарея к бою! Танки справа!“[56] – მთელ სხეულში სასიამოვნო ჟრუანტელი გივლის. ნაბრძანებ მიმართულებაზე საცეცხლე პოზიციის დასაკავებლად შენი ბატარეის გამწეებითა და უკან მიბმული ზარბაზნებით ერთმანეთის მიყოლებითა და ურთიერთშეთანხმებული მოქმედებებით შემოსვლა და იქვე სახელდახელოდ შერჩეული ადგილის დაკავება ისე შთამბეჭდავად გამოიყურება, რომ შეუძლებელია, ნებისმიერ მკაცრ, უემოციო, გულქვა „შემმოწმებელსაც“ კი მაღალი შეფასების სურვილი არ გაუჩინოს.

საგანგებოდ დამზადებული წითელი და თეთრი დროშებით ხელში, ჯარისკაცებისთვის ნაცნობი მოძრაობებითა და უკვე დაყენებული სამეთაურო ხმით გაცემული ბრძანება: „Батарея, внимание! Вставать! Из машины! К бою!“[57] – გათვლის მეთაურებამდე გამწეების ძრავას და მუხლუხების ხმაურშიც აღწევს. მათ მიერ გაცემული ბრძანება კი ექოსავით მეორდება და უკანასკნელ რიგითს გადაეცემა.

ეს წუთებსა და წამებში ხდება, პოზიციაზე სწრაფად შემოსვლისას, ადგილზე ტრიალისგან დაყენებულ ბუღსა და მტვრის კორიანტელში. ვიდრე ექვსივე მეზარბაზნე მაქსიმალური სისწრაფითა და ურთიერთშეთანხმებული, წინასწარ ასჯერ თუ ათასჯერ ნავარჯიშები მოქმედებებით ზარბაზნებს ნორმატივით განსაზღვრულ წუთებში სასროლ მდგომარეობაში მოიყვანს და მზადყოფნას რიგრიგობით დაადასტურებს: „პირველი მზად არის! მეორე მზად არის! მესამე მზად არის!..“ – და ასე იქამდე, ვიდრე ბატარეის უფროს ოფიცერს ექვსივე სერჟანტი სინქრონულად არ მომახსენებს და ტანკსაწინააღმდეგო ბატარეის მეზარბაზნეთა სრულ საბრძოლო მზადყოფნას არ დამიდასტურებს!

---

[56] Батарея к бою! Танки справа! (რუს.) – ბატარეა ბრძოლისაკენ! ტანკები მარჯვნიდან!

[57] Батарея, внимание! Вставать! Из машины! К бою! (რუს.) – ბატარეა, ყურადღება! სდექ! მანქანიდან! ბრძოლისაკენ!

მე-2 სატანკო არმიის სარდლობიდან მოვლინებული შემმოწმებელი კი წამმზომს მხოლოდ ამის შემდეგ გამორთავს, დახარჯულ დროს დახედავს და ნორმატივის შესრულების ნიშანს ხმამაღლა გამოაცხადებს.

ეს ჩვენთვის ნამდვილი რომანტიკა იყო, ის, რაც ემოციას, ამაღლებულ განწყობას აჩენს.

მოწინააღმდეგის სატანკო ქვედანაყოფთან მოულოდნელი შეხვედრისას სიჩქარეში დაკავებული საცეცხლე პოზიციებიდან ერთი შეხედვით მარტივი, პირდაპირი დამიზნებით სროლა ყარაიაზის პოლიგონზე ნასწავლი, წინასწარ საინჟინრო კუთხით უზრუნველყოფილი საცეცხლე პოზიციებიდან სროლებისაგან დიდად განსხვავდებოდა. ამისთვის ნორმატივით განკუთვნილი დროის სიმცირე ჩრდილოეთის ცივ ზამთარში გამორიცხავდა MT-12 ტიპის ზარბაზნის საბჯენებისთვის თუნდაც 20 სმ-ის სიღრმის ნიადაგის გათხრას, რათა გასროლისას მათ უკუგორვით მიწაში თავისით ეპოვათ წინაღობა.

როგორც ორი წლის ნამსახურები სერჟანტები ჰყვებოდნენ, ახალდაკავებულ საცეცხლე პოზიციაზე ყოველი პირველი-მეორე გასროლისას უკუგდების ძალით 3,1 ტონა სიმძიმის ზარბაზანი უკან 3, 4 და მეტი მეტრითაც კი ბუმბულივით „მიფრინავდა“, ვიდრე ორივე სადგრის საბჯენისი 20-25-გრადუსიანი ყინვისაგან გაქვავებულ მიწაში მყარად მოჭიდებას შეძლებდა.

სრული უსაფრთხოებისათვის სადგარზე ჯდომისას მარცხენა ფეხი საყრდენად განკუთვნილი მარჯვენა ფეხის ქვეშ უნდა მოგექცია. მარჯვენა ხელით სასხლეტის გამოკვრა მხოლოდ მას შემდეგ იყო რეკომენდებული, რაც დამცავი ფარის ხელსაკიდს მარცხენა ხელს მყარად ჩასჭიდებდი.

წესით, ჩვენ, პირველი და მეორე ბატარეების უფროს ოფიცრებს რიგითის ან სერჟანტის შესასრულებელი გათვლის მემიზნეობა არც გვევალებოდა. მიუხედავად ამისა, პატივითა და სიხარულით მივიღე დივიზიონის მეთაურის, ჩემი თანამემამულე პოლკოვნიკ მიროკიანის მიერ მაცდურად შემოთავაზებული, თვეების განმავლობაში თავდაუზოგავი შრომითა და ოფლით დამსახურებული პირველი გასროლის უფლება: „Ну что, попробуешь, лейтенант?“[58] სხვისთვის რომ შეეთავაზებინა, შეურაცხყოფად ჩავთვლიდი.

სიღრმიდან მოწინააღმდეგის ტანკის აღმნიშვნელი ფარის გამოჩენისთანავე, გათვლისთვის ბრძანების გაცემის პარალელურად ჰორიზონტალური და ვერტიკალური მექანიზმებით სამიზნის ე. წ. დაფასთან სწრაფად მიყვანასა და მიზანში ამოღებაში არტილერისტისთვის თითქოს არაფერია განსაკუთრებული, თუ არ ჩავთვლით იმ მღელვარებას, რასაც შემმოწმებლის თავზე დგომა იწვევს, თუმცა მთავარი შეგრძნებები მაინც სასხლეტზე ხელის გამოკვრას, გასროლას მოსდევს, როდესაც გამაყრუებელ ხმაში, მტვერსა და ბუღში, აირებით წარმოქმნილი დარტყმის ტალღა თითქმის 3-ტონიან ზარბაზანს სასწაულებრივი სისწრაფით გააქანებს უკან შენიანად.

გასროლის კვამლსა და დენთის წვის უკვე სასიამოვნოდ ჩვეულ სურნელში გახვეულს, უცნაური შეგრძნება გეუფლება, როდესაც ტანკის აღმნიშვნელ ფარს სამიზნიდან ნაფოტებად დაშლილს დაინახავ. წარმოსახვაში ნამდვილ სამიზნესთან აიგივებ და ისევე, როგორც სარეცელზე მგზნებარე სასიყვარულო ურთიერთობის შემდეგ, უდიდეს ნეტარებას განიცდი.

---

[58] Ну что, попробуешь, лейтенант? (რუს.) – აბა, ლეიტენანტო, მოსინჯავ?

აღარც ზამთრის სიცივეს ვაქცევდი ყურადღებას და არც გასტრიტისგან გამოწვეულ გაუსაძლის ტკივილს, რომელიც ბოლო დღეებში გადაღლისა და მშრალი საკვების მიღების გამო იმდენად გაძლიერდა, რომ ალბათ კიდევ ერთ მომდევნო შემოტევას ფეხზე ვეღარც გადავიტანდი და საბოლოოდ წავიქცეოდი, ჩემი ტანჯვის შემყურე დივიზიონის მეთაურს ბრძანებით რომ არ ვეიძულებინე, საველე ჰოსპიტალში დავწოლილიყავი და მემკურნალა.

სწავლებისათვის გაწეული შრომა, ჯაფა და ტანჯვა-წამება, რომელიც ჯანმრთელობის ფასადაც კი დამიჯდა, ნამდვილად ღირდა.

წარმატებული გამოსვლისათვის ჩემს ოცეულს, ისევე როგორც მთელ ბატარეას სრული შემადგენლობით, მწყობრის წინაშე მადლობა გამოგვიცხადეს. პირადად მე კი, როგორც საუკეთესო ახალგაზრდა ოფიცერი, ნაწილის მეთაურის ბრძანებით ერთი თვის შემდეგ ამჯერად უკვე თეორიულ საკითხებში 30 წლამდე ასაკის საუკეთესო ახალგაზრდა ოფიცრის გამოსავლენ საარმიო კონკურსზე გამგზავნეს.

ბედნიერებისგან ოცნებებში მეცხრე ცაზე დავფრინავდი. სულ რაღაც რვა თვის წინ სასწავლებლის კურსდამთავრებული ლეიტენანტი ჩემზე ასაკით ბევრად უფროს და მაღალი თანამდებობის პირებთან – ბატარეის მეთაურებთან, დივიზიონის შტაბის უფროსებთან და დივიზიონის საბრძოლო უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან ერთად ვიბრძოდი ხსენებულ კონკურსში გამარჯვებისათვის. როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ნაწილში ორკვირიანი გამოცდების შედეგებმა აჩვენა, რომ თავი ნამდვილად არ შემირცხვენია. შეჯიბრებიდან სიგელებით ხელდამშვენებული დავბრუნდი.

■

1988 წლის გაზაფხული იდგა. ორ სამყაროს შორის ათწლეულების განმავლობაში გაჩაღებულ „ცივ ომში" დათბობის ნიშნები იკვეთებოდა.

კვირაში ერთხელ მე, როგორც ოფიცერს, პოლიტინფორმაციის გაკვეთილის ჩატარება მევალებოდა. ჯარისკაცებს მსოფლიო წესრიგზე, მიწასა და ცაში ძალთა ბალანსზე კაბინეტებში მტვერდადებული, წლების წინათ გამოშვებული სამხედრო-პროპაგანდისტული ჟურნალებიდან ამოკითხული ციტატებით ვესაუბრებოდი. სინამდვილეში კი შუაგულ ევროპაში, სამხედრო ქალაქის ყრუ გისოსებს მიღმა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ბევრი არაფერი გამეგებოდა.

ინფორმაციის წყარო ყოველდღიური სამხედრო გაზეთი „Красная звезда"[59] და საბჭოთა ცენტრალური ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა „Время"[60] იყო. ეს გადაცემა მხოლოდ საბჭოთა ადამიანის საგმირო თავგადასავლებსა და კომუნისტური პარტიის წარმატებებს გვაცნობდა, ასევე, ახალ მიღწევებს დემოკრატიისა და გარდაქმნის კუთხით, კიდევ ავღანეთში ყოველდღიურად მოპოვებული გამარჯვებებითა და „ლპობადი კაპიტალიზმის მარცხით" ახარებდა მსმენელს.

[59] „Красная звезда" (რუს.) – „წითელი ვარსკვლავი", გაზეთი, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ბეჭდვითი ორგანო

[60] „Время" (რუს.) – „დრო", სსრკ ცენტრალური ტელევიზიის საინფორმაციო გადაცემა

■

შაბათ-კვირას, როგორც კი თავისუფალი დრო გამოგვიჩნდებოდა, ქალაქშიც ვახერხებდით გასვლას, სეირნობასა და გართობას. განსაკუთრებულ ინტერესს დასავლეთგერმანულ „შოპებთან“ მუდმივი რიგები იწვევდა. იქ ყველაფერი უფრო ხარისხიანი იყიდებოდა, ოღონდ უცხოურ ვალუტაზე – უკეთესი ჯინსი თუ უკეთესი სიგარეტი. იმ სამყაროზე, რომელსაც ფიქრებში ვეტრფოდით, ხმამაღლა საუბარს ვერ ვბედავდით.

ადრე ამ ყველაფრის უნახავები, ქალაქის ცენტრში, ღამის ბარისკენ ან გასართობი კლუბისაკენ მივეშურებოდით. მომხიბვლელ გოგონებთან გამოლაპარაკება და გაცნობა, წესით, ჩემთვის ბევრად ადვილი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ჩემი მეგობარი რომანისთვის, რადგან ასე თუ ისე გერმანულადაც ვსაუბრობდი და თან, როგორც თბილისელი, თითქოს უფრო „გამოსული“ უნდა ვყოფილიყავი, თუმცა ბავშვობიდან მორიდებულსა და გაუბედავს, ამ უცხო გარემოში განსაკუთრებით უცნობ გოგოსთან გამოლაპარაკება მიჭირდა. ვიჯექი ბართან ლუდის კათხით ხელში, ვუყურებდი რომანს და ვერაფრით ვხვდებოდი, რანაირად ახერხებდა ნებისმიერ უცნობთან საუბრის გაბმას, გოგოების საცეკვაოდ მიპატიჟებასა და მუსიკის ხმაურში ყურში ჩურჩულით მათ გამხიარულებას, როდესაც გერმანულად სულ ოთხი სიტყვა იცოდა: „Guten Tag“, „Tschüs“, „Bitte“, „Danke“[61] და დიდად არც ცეკვა ეხერხებოდა.

ხელის მოძრაობითა და მიმიკით, აჭარული კილოთი სხვადასხვა ენაზე – ქართულად, რუსულად თუ გერმანულად, გრამატიკულად სწორად თუ არასწორად წარმოთქმული ცალკეული საერთაშორისო სიტყვებით ამხიარულებდა გოგოებს. სწორედ ეს იყო მისი მოხერხებულობის საიდუმლო, ამაში ჩანდა მისი სითამამე და უკომპლექსობა. არ ანაღვლებდა, საუბარში რამდენ შეცდომას უშვებდა. მათ მაგიდასთან მიმჯდარს, უკმაყოფილო ტონით თუ დახვდებოდა ვინმე, არც ეგ ანაღვლებდა, მაინც არ ესმოდა, რას ეუბნებოდნენ. თუ ცეკვაზე ზრდილობიანად, მოღიმარი სახით რომელიმე უარს ეტყოდა, ხელს ჩაჰკიდებდა და ძალით გაჰყავდა. ის კი სიცილ-კისკისით მიჰყვებოდა. მე საცეკვაოდ გოგოს დაპატიჟება თუ გამომივიდოდა, ცეკვისას ავტობიოგრაფიული კითხვების ამოწურვის შემდეგ ვერც სათქმელს ვპოულობდი და ვერც მის გაცინებას ვახერხებდი. იძულებული ვიყავი, მათთან წარდგენა რომანისთვის მეთხოვა, თარჯიმნობით მაინც მესწავლა გოგოებთან საუბრის ხელოვნება. „Что я с этого буду иметь?“[62] – მომაძახებდა ხოლმე ბედნიერი სახით თავის საყვარელ ფრაზას და სანამ მოახლოებული საველე გასვლისათვის ავტოპარკში მისი გამწეების მარშისთვის მომზადების ან ზარბაზნების სამიზნეების გასწორების პირობას არ დამადებინებდა, მანამდე თხოვნას არ შემისრულებდა.

ერთადერთი, რაც გერმანელი გოგონების გაცნობის სასიამოვნო პროცესს ხინჯად ახლდა, იყო ჩვენი გაიგივება რუსებთან, საქართველოსი კი – საბჭოთა კავშირთან, რადგან საქართველოს დამოუკიდებელ ქვეყნად არავინ აღიქვამდა, თუმცა რამდენჯერაც არ უნდა ეკითხათ, იმდენჯერ ვეუბნებოდით, რომ ქართველები ვიყავით, საქართველოდან და ამით ვამაყობდით კიდეც.

---

[61] „Guten Tag“. „Tschüs“. „Bitte“. „Danke“ (გერმ.) – „გამარჯობა“. „ნახვამდის“. „გთხოვთ“. „გმადლობთ“.

[62] Что я с этого буду иметь? (რუს.) – მე რა სარგებელი მექნება აქედან?

ერთმანეთის გატანითა და დახმარებით ჩვენი ყოფა-ცხოვრება გდრ-ში ახალ-ახალი თავგადასავლებით დღითიდღე უფრო და უფრო სახალისო ხდებოდა.

ერთი წლის თავზე ყველა ყოფითი სირთულე, რაც კი მანამდე მაწუხებდა, უკვე დაძლეული მქონდა.

სამსახურში დროებით დაკისრებული ბატარეის მეთაურის მოვალეობის შესრულება შესანიშნავად გამომდიოდა და შორს არ იყო ის დღე, როცა ოფიციალურადაც დამამტკიცებდნენ. ГСВГ-ს რიგებში ნამსახურებნი დამემოწმებიან, რომ ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა. არც დაფასება მაკლდა და არც გართობა.

ერთადერთი, ოჯახი, მეგობრები, თბილისი, სამშობლო მენატრებოდა, ყოველთვის ტკივილნარევი გრძნობა შემომაწვებოდა ხოლმე, როდესაც ჩემს ენაზე მოლაპარაკეს გადავეყრებოდი ვინმეს. ვეკითხებოდი, საიდან იყო და რამე ხომ არ სჭირდებოდა. საბოლოოდ კი, ისე გამოვიდა, რომ ჩემი ეს სადარდებელი ჩემივე ბედისწერის განმსაზღვრელი გახდა.

პირველ შვებულებაში გამომგზავრების წინ გვერდით დისლოცირებული სარემონტო ბატალიონის თბილისელ სომეხ ჯარისკაცს, რომელიც ჩემ მეზობლად, მე-8 პოლკის დასახლებაში მცხოვრები აღმოჩნდა, მშობლებისათვის წერილის გადაცემას დავპირდი. ბუნებრივია, თბილისში ჩამოსული, მის მშობლებს საპასუხო წერილის წაღებაზეც ვერ ვეტყოდი უარს. რას წარმოვიდგენდი, რომ გულისხმიერებას და თანადგომას შეიძლება ბევრად მეტი უბედურება მოჰყვეს, ვიდრე გულგრილობას.

უკან, გერმანიისკენ სამგზავრო მატარებლით მიმავალს, საბჭოთა იმპერიის საზღვრისპირა ქალაქ ბრესტში, ვაგონის კუპეში მებაჟეებმა შემოწმებისას დასაშვებ, ჩემს კუთვნილ 30 მანეთთან ერთად სომეხი ჯარისკაცისათვის გამოტანებულ კონვერტში დამატებით 30 მანეთი აღმომიჩინეს, რაც საბჭოთა სისტემაში დაწესებული წეს-კანონების დარღვევად ჩაითვალა. ბევრს ეცადა ნაწილის მეთაური, პოლკოვნიკი მიროკიანი დივიზიის, არმიის და ჯგუფის ხელმძღვანელობასთან, რომ თავისი გამორჩეული ლეიტენანტი შეენარჩუნებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ეს შემთხვევა სამსახურის ადგილის ვადაზე ადრე შეცვლისა და სამშობლოში დაბრუნების მიზეზი გახდა.

როდესაც მეგონა, რომ ჩემს სამხედრო კარიერას წინ ვეღარაფერი აღუდგებოდა, სწორედ მაშინ, ყველაზე ნაკლებად რომ ველოდი, ერთწლიანი თავდაუზოგავი შრომა ჩემივე სამიზნეებივით განადგურდა.

■

გერმანიიდან სწორედ იმ დროს მომიწია გამომგზავრება, როდესაც საბჭოთა გენერლები და ოფიცრები კომპარტიის მაშინდელი გენერალური მდივნის, მიხეილ გორბაჩოვის, უფრო ხშირად კი საბჭოთა კავშირის ქართველი საგარეო საქმეთა მინისტრის, ედუარდ შევარდნაძის მიმართ უკმაყოფილებას უკვე ხმამაღლა გამოთქვამდნენ.

დასავლეთის ქვეყნების ლიდერებთან მიმდინარე მოლაპარაკებების კულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაციით, სულ მალე საბჭოთა ჯარებს მარტო ავღანეთის კი არა, გერმანიისა და მთლიანად აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიის დატოვებაც მოუწევდათ.

1988 წლის შემოდგომაზე თბილისში დაბრუნებულს, ქვეყანა შეცვლილი მეჩვენა, ხალხი კი – უცნაურად აღტყინებული. „მთავრობის სახლის“[63] კიბეებთან შიმშილობის აქცია იმართებოდა, რაღაცას ითხოვდნენ, ვიღაცას ერჩოდნენ. ქართველთა ლექსიკაში ახალი სიტყვა გაჩენილიყო – „არაქართველი“! აშკარად ჩანდა აგრესიის ჩანასახები. იგრძნობოდა, რომ ქვეყანაში ახალი დრო დგებოდა, თუმცა არ ვიცოდი, უნდა გამხარებოდა ეს თუ არა.

ამ ფიქრებით დამძიმებული მივადექი თბილისში, ვაკე-საბურთალოს გზაზე განლაგებულ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის შტაბს, რომელიც აზერბაიჯანში დისლოცირებულ მე-4 საერთო-საჯარისო არმიას (არმიის შტაბი ქალაქ ბაქოში იყო), სომხეთში დისლოცირებულ მე-7 საერთო-საჯარისო არმიას (არმიის შტაბი – ქალაქ ერევანში) და საქართველოში განლაგებულ 31-ე საერთო-საჯარისო კორპუსს (კორპუსის შტაბი – ქალაქ ქუთაისში) აერთიანებდა.

გარდა ამისა, თბილისში დისლოცირებული იყო მე-19 საჰაერო თავდაცვის არმიისა და 34-ე საჰაერო არმიის შტაბები, თუმცა ისინი ამიერკავკასიის ოლქის დაქვემდებარებაში არ შედიოდა და საბრძოლო ამოცანით როსტოვისა და კრასნოვოდსკის შტაბებს ექვემდებარებოდა.

მოკლედ, თბილისში, ამიერკავკასიის ოლქის კადრების სამმართველოში სამი შესაძლო ვარიანტიდან სამსახურის ადგილად გვარდიის მე-4 საერთო-საჯარისო არმია შემირჩიეს ბაქოში, ნახიჩევანის ოლქში დისლოცირებულ მე-60 მოტომსროლელთა დივიზიაში, იქიდან კი საბჭოთა იმპერიის უკიდურეს სამხრეთში, საზღვრისპირა პატარა ქალაქ ჯულფაში განლაგებულ მოტომსროლელთა პოლკის საარტილერიო დივიზიონში გამამწესეს.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი

რა გითხრათ?! ნახიჩევანის ოლქში, მით უმეტეს, ქალაქ ჯულფაში მსახურება გადასახლების ტოლფასი იყო. სამხედრო ნაწილებში გაბატონებული „დედოვშინისა“ და „ზემლიაჩესტვოს“[64] გამო მეთაურებს პირადი შემადგენლობის მართვა უჭირდათ. სიტუაციას იქ, ოფიცრების ნაცვლად, დისციპლინურ ბატალიონში[65] სასჯელმოხდილი ჯარისკაცები აკონტროლებდნენ.

---

[63] „მთავრობის სახლი“ – თბილისში, რუსთაველის გამზირის 8 ნომერში მდებარე „მთავრობის სახლი“ საბჭოთა პერიოდში საქართველოს სსრ-ის მთავრობის რეზიდენცია იყო. 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულმა პირველი მოწვევის უზენაესმა საბჭომ, რომელშიც უმრავლესობა მოიპოვა ზვიად გამსახურდიას ბლოკმა „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, სწორედ ამ შენობაში გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა 1991 წლის 9 აპრილს. თბილისის „მთავრობის სახლში“ ამჟამად საქართველოს პარლამენტი მდებარეობს, რომელიც ამ შენობაში თავდაპირველად 1997 წელს გადავიდა.

[64] „ზემლიაჩესტვო“ (Земячество – რუს.) – ეს მოვლენა საბჭოთა ჯარში 1960-იან წლებში გაჩნდა ჯარისკაცებმა მტკიცე კოლექტივებად შეკვრა დაიწყეს თავიდან ტერიტორიული. შემდეგ ეროვნული ნიშნით. „ზემლიაჩესტვოს“ სსრ კავშირის ნაციონალური რესპუბლიკების წარმომადგენელ სამხედრო მოსამსახურეთა არაფორმალურ გაერთიანებებს უწოდებდნენ. საბჭოთა არმიაში ქავკასიის და შუა აზიის წარმომადგენელთა „ზემლიაჩესტვოები“ არსებობდა. ისინი უცხო და ერთგვარად მტრულ გარემოში მოხვედრილი თანამემამულეების მხარდაჭერას და დაცვას ცდილობდნენ.

[65] სამხედრო სასამართლოს მიერ მსჯავრდადებულ ჯარისკაცთაგან შემდგარი სამხედრო-გამასწორებელი ნაწილი

ჯულფის ერთფეროვან ბუნებასა და მკაცრ კლიმატურ პირობებზე ბევრი მსმენოდა. გადმოცემით ვიცოდი, რომ იქ მშრალი და ცხელი ჰავაა და წვიმა იშვიათად მოდის; ზაფხულში ჯოჯოხეთური სიცხისგან გახურებულ სპილენძის თეფშზე გათქვეფილი კვერცხი იწვება და მზეზე დადგმული წყალი დუღილს იწყებს, ზამთარში კი აღმოსავლეთის ისეთი ქარი იცის, რომ მტვერი და ქვიშა მუდმივად ჰაერში ტრიალებს.

ბავშვობაში ისტორიული წიგნების კითხვისას წარმოსახვით რამდენჯერ ცხენის ჯირითით მივყოლივარ მეფე ერეკლეს ლაშქარს მდინარე არაქსის ნაპირებამდე, მაშინ როგორ წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე იქ ცხოვრება მომიწევდა.

ნახიჩევანისკენ მიმავალ გზას სწორედ იმ დროს მივუყვებოდი, როდესაც კავკასიის ორ მეზობელ ქვეყანას – სომხეთსა და აზერბაიჯანს, გვერდიგვერდ მცხოვრებ ორ ხალხს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ურთიერთობას ჯერ კიდევ მშვიდობა ეთქმოდა, თუმცა დაძაბულობა აშკარად იგრძნობოდა.

სომხურმა მხარემ საგულდაგულოდ შეამოწმა ჩემი მანქანა და დაწვრილებით გამომკითხა, სად და რატომ მივდიოდი, ხოლო აზერბაიჯანული მხარე იმას მეკითხებოდა, რა აინტერესებდათ სომხებს. სომხეთიდან ჯულფისკენ მიმავალ ავტომაგისტრალს მარჯვნივ ეკლიანი მავთულხლართის ღობე გასდევდა საბჭოთა კავშირისა და ირანის გამყოფი საზღვრის ნიშნად, თითქმის ფსკერამდე დამშრალი მდინარე არაქსის კალაპოტი კი თეთრად და შავად შეღებილ მავთულხლართებს მარჯვნივ პარალელურად მიუყვებოდა ბუნებრივ სასაზღვრო ხაზად.

უკიდეგანო სივრცეზე გადაჭიმული დაბლობის ლანდშაფტის ერთფეროვნებას, ერთადერთი, სამხრეთ-დასავლეთით ეულად წამომართული არარატის პირქუში მთა არღვევდა. ირგვლივ გამომშრალი, ხრიოკი ნიადაგი იყო. იქ ვერ ნახავდით უსწორმასწორო ველებს, მაღლობსა და დაბლობს, მთასა და ბარს ერთმანეთისგან რომ განასხვავებს. უწყლო ხევები და უნაყოფო მიწები, ერთფეროვანი და მკაცრი ბუნება ცხოვრების ასეთსავე მკაცრ პირობებს მპირდებოდა.

განსაკუთრებით მდინარის მარცხენა ნაპირიდან ირანის უკიდეგანო სივრცეების ცქერა მიჩქარებდა გულს. ყოველ დილით მინარეთიდან მუეძინის[66] ხმას ფიქრით წარსულში გადავყავდი და წინა საუკუნეების ამბებს ცხადად მახსენებდა, თითქოს ფერეიდნელ ქართველთა გმინვა და მაჯისცემაც მესმოდა.

ტყუპებივით მსგავსი და ერთი და იმავე სახელწოდების ორი ქალაქის შუაში მდინარე არაქსი მიედინება და ბუნებრივ საზღვარს ავლებს აზერბაიჯანულ და ირანულ ნაწილებს შორის. შესაბამისად, ქალაქ ჯულფის ერთი ნაწილი აზერბაიჯანის საზღვრებშია მოქცეული, მეორე კი – ირანის. მათ ერთმანეთთან ერთადერთი საგზაო-სარკინიგზო ხიდი აკავშირებს. მოტომსროლელთა პოლკის სამხედრო ბაზა ირანის საზღვრიდან სულ რაღაც ერთ კილომეტრში იყო განთავსებული.

ისტორიული წიგნებიდან ვიცოდი, რომ სპარსეთიდან, ინდოეთიდან და შუა აზიიდან მომავალი სავაჭრო გზები, შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ამ ადგილას, აბრეშუმის გზის გასაყარზე, სომეხთა მეფის მიერ დაარსებულ სოფელზე იკვეთებოდა. XV-XVII საუკუნეებში სომეხი ვაჭრები ხმელთაშუა ზღვის, რუსეთისა და ჩრდილოეთ ევროპის მიმართულებით დადიოდნენ. XVII საუკუნის დასაწყისში, ირან-ოსმალეთის მოახლოებული ომის გამო, ტახტზე ახლად ასულმა შაჰ-აბასმა მდინარე არაქსის გასწვრივ დასახლებულებს სახლების დაცლა, ადგილის დატო-

[66] მეჩეთის მსახური (მოლა), რომელიც მინარეთიდან მოუხმობს მუსლიმებს სალოცავად.

ვება და სპარსეთის სიღრმეში გადასახლება მოსთხოვა, წინააღმდეგობის შემთხვევაში კი გაჟლეტითა და სახლ-კარის გადანვით დაემუქრა. როგორც მემატიანე გადმოგვცემს, ჯულფასა და მის შემოგარენს სპარსელები მოულოდნელად შეესივნენ, ვინც ცოცხალი გადარჩა, დედაბუდიანად აყარეს და ირანის დაწყევლილ გზას გაუყენეს. რაც წასაღები იყო, თან წაიღეს, რაც არა – დაანგრიეს, დაწვეს და მიწასთან გაასწორეს. ნათესებიც კი მოსპეს, მოსახლეობას უკან მობრუნების სურვილი სამუდამოდ რომ დაჰკარგოდა და საზრდო ვერასოდეს ეშოვა, ხოლო ოსმალეთის ლაშქარს ისეთი აღარაფერი დახვედროდა, რასაც სიცოცხლის ნიშან-წყალი ექნებოდა და სოფელში დარჩენის სურვილს გაუჩენდა.

20 000 ადამიანი ემსხვერპლა იმ შემოსევას...

სრულიად დაცლილსა და გავერანებულ მიწაზე მხოლოდ XVIII საუკუნის შუა ხანებში გაჩნდა პატარა სოფელი, ოღონდ უკვე ნახიჩევანის სახანოს სახელით, რომელიც 1828 წელს თურქმენჩაის ხელშეკრულებით რუსეთს შეუერთდა. XX საუკუნეში მდინარის შესაყართან, ნასახლარად ქცეულ მცირერიცხოვან სოფელში რუსებმა სამხედრო ბაზა დააარსეს და გარნიზონი ჩააყენეს. მას შემდეგ იქ რუსი ჯარისკაცი იდგა და საზღვარს საბჭოთა არმია იცავდა. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ყარსის ხელშეკრულებით ჯულფა აზერბაიჯანის საზღვრებში მოექცა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან, ჯულფა არაერთგზის გახდა სომხეთისა და აზერბაიჯანის დავის საგანი, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც 70-იან წლებში არქეოლოგებმა ფერფლად ქცეული ქალაქის ნანგრევებში ორი ათეული ათასი ადამიანის XVI საუკუნის სამარხი აღმოაჩინეს. ახლად წარმოშობილი დაძაბულობისას სომხები ისტორიული სინამდვილის დადასტურებას სწორედ აღმოჩენილი 20 000-მდე სამარხის კუთვნილებით ცდილობდნენ და ჯულფის მინა-წყალს თავისად აცხადებდნენ. უფრო მეტიც, მზად იყვნენ, იარაღი აეღოთ და ისტორიული მიწისათვის ებრძოლათ.

თავის მხრივ, აზერბაიჯანელები ჯიუტად ირწმუნებოდნენ, რომ სომხებს აზერბაიჯანულ მიწაზე არასდროს უცხოვრიათ, თავიანთი სიმართლის დასამტკიცებლად კი ალბანური კულტურის ნაშთებს იმოწმებდნენ. რუსები აჩერებდნენ, თორემ რომ მიეშვათ, რიცხოვნობით ორჯერ ნაკლებ სომხებს აზერბაიჯანელები ომს ერთ დღეში მოუგებდნენ.

თითქოს ჩემი იღბალი იყო, ყველა იმ რეგიონში, სადაც მსახურებამ მომიწია, რთული ვითარება დაემთხვა: მთიან ყარაბაღში – შფოთი და არეულობა; სპიტაკსა და ლენინაკანში – მიწისძვრა და ნგრევა; ნახიჩევანის ოლქში – ბლოკადა და მოსახლეობის შტურმი საზღვარზე. ჯერ კიდევ გუშინ გვერდიგვერდ მეგობრულად მცხოვრები ორი ხალხი სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა ერთმანეთს და მშვიდობიანობით გამორჩეული მხარე ცეცხლის ახალ კერად იქცა.

1988 წლის 7 დეკემბერს სპიტაკისა და ლენინაკანის მოსახლეობას ბუნებამაც განსაკუთრებული განსაცდელი მოუმზადა – დამანგრეველი მიწისძვრა, როგორც ღვთის რისხვა, ისე დაატყდათ თავს. იმ ღამით ნანგრევებიდან ცოცხლად გადარჩენილთა გამოსაყვანად პირადი შემადგენლობა ჩვენი დივიზიიდანაც გადაისროლეს.

გზებზე ჯერ კიდევ ორმხრივად მოძრაობდნენ მანქანები, თანაგრძნობის ნიშნად ჯერ კიდევ ატარებდნენ სამხედრო ნიშნით მიმავალ ტრანსპორტს პიკეტზე მდგომი ურთიერთდაპირისპირებული მესაზღვრეები. არადა რამდენიმე დღით ად-

რე, მთიან ყარაბაღში ორმხრივად დაღვრილი სისხლის, სუმგაითში[67] მომხდარი შეტაკებებისა და ბაქოში დიდი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, სომხეთიდან იქ მცხოვრებ აზერბაიჯანელებს, აზერბაიჯანიდან კი იქაურ სომხებს სრულად დევნიდნენ, მათ შორის, ნახიჩევანის ოლქიდანაც. ისედაც ეთნიკურ უმცირესობაში მყოფი სომხური მოსახლეობა იძულებული იყო, ისტორიული ქალაქი ჯულფა დაეტოვებინა.

მას შემდეგ, რაც სომხებმა ქალაქი დატოვეს, მთელ რაიონში 10 000 მოსახლეც აღარ დარჩა. 1989 წლის 19 თებერვლიდან, სუმგაითის მოვლენების შემდეგ, ნახიჩევანისკენ მიმავალი ერთადერთი გზა საბოლოოდ ჩაიკეტა და ნახიჩევანის მხარე გარე სამყაროსგან მოწყვეტილი აღმოჩნდა.

■

სამშობლოს ბუნების მრავალფეროვნებით განებივრებული, გერმანიის ჩრდილოეთის ტბებისა და ველების შთაბეჭდილებებით სავსე, ნახიჩევანის დაბლობის ერთფეროვნებას თავიდან ძნელად ვეჩვეოდი. როდესაც ორმხრივად გამჭოლი ცივი ქარი დაუბერავდა და ჰაერში მტვერს დაატრიალებდა, მთელი ჭუჭყი სახეზე, თვალებზე, პირსა და ტანსაცმელზე სქლად გვედებოდა. იქ ვერც მწვანე ქარსაცავ ზოლებს ნახავდით და ვერც მაღალსართულიან შენობებს ქარბუქის დროს თავის შესაფარებლად.

საცხოვრებლადაც უმძიმესი პირობები იყო. წყალი დღეში ერთხელ, დილაობით, ერთი საათით მოდიოდა და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის ვიყენებდით, რადგან სასმელად არ ვარგოდა. სასმელ წყალს სადღაც შორიდან ცისტერნით ეზიდებოდნენ. დილით, როდესაც ქმრები სამსახურში მიიჩქაროდნენ, ოფიცერთა ცოლები სხვადასხვა ზომის ჭურჭლით ხელში იდგნენ და წყალს ელოდებოდნენ.

უცხო მხარეში მივლინებულისათვის ერთადერთი შვება ის იყო, თუ ნაწილში ვინმე ქართველი ოფიცერი მსახურობდა. რომანთან დაშორების შემდეგ სხვა ქართველს ვეძებდი სამეგობროდ და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გავიგე, რომ ცალკეული ტანკსაწინააღმდეგო ბატარეის მეთაური ქართველი კაპიტანი თემურ არსენიშვილი იყო. ორმა ქართველმა ოფიცერმა პირველივე დღეს ვიპოვეთ ერთმანეთი. უფრო დიდი ხნის ნამსახურებამა კაპიტანმა ახალჩასულ ქართველ ლეიტენანტს მეგობრობის ხელი გამომიწოდა. სულ მალე კიდევ ორი ქართველი – უფროსი ლეიტენანტი ნოდარ დარასელია და ლეიტენანტი ნოდარ ივანიძე შემოგვემატნენ.

მოტომსროლელთა პოლკი, ძირითადად, აზერბაიჯანელი, სომეხი, ჩეჩენი, დაღესტნელი და სხვა კავკასიური ერების წარმომადგენელი ოფიცრებითა და ჯარისკაცებით იყო დაკომპლექტებული. სამხედრო მოსამსახურეები ეროვნების მიხედვით ჯგუფებად იყვნენ დაყოფილები, რის გამოც ეთნიკურ ნიადაგზე ჩხუბი არც თუ იშვიათად ხდებოდა.

რა უნდა მექნა? ვცდილობდი, ადგილმდებარეობის ცვლილებისათვის ყურადღება დიდად არ მიმექცია. მძიმე ბუნებრივი პირობების მიუხედავად, სხვაგან კადრირებულ უჯარისკაცო ნაწილში მსახურებას ისევ ჯულფაში, ჯარისკაცებით

[67] 1988 წლის 27 თებერვალს ქალაქ სუმგაითში, რომელიც ბაქოდან 30 კმ-ში მდებარეობს, სომეხი მოსახლეობა დაარბიეს, რასაც მათი ქონების განადგურება და ძარცვაც მოჰყვა. დარბევა სამ დღეს გრძელდებოდა, ბევრი ადამიანი დაიღუპა და დასახიჩრდა. საბჭოთა სამართალდამცავმა ორგანოებმა სომხები არ დაიცვეს. სსრკ-ის შეიარაღებულმა ძალებმა სუმგაითში 28 თებერვალს ჩააღწიეს, მაგრამ დარბევა მხოლოდ მომდევნო დღეს შეწყდა.

დაკომპლექტებულ პოლკში სამსახური მერჩივნა. ვითომც არაფერი მომხდარიყოს, ვცდილობდი, ახალ ადგილას ყველაფერი თავიდან დამეწყო. განვლილი სამსახურის გამოცდილებით აღჭურვილი, ახლა უკვე მაღალი სამხედრო ცოდნითა და სამეთაურო უნარ-ჩვევებით შევუდექი მუშაობას.

სამაგალითო წესრიგი და დისციპლინა ჯერ საკუთარ ბატარეაში უნდა დამემყარებინა. პირველ რიგში კი, ურჩი კავკასიელებისთვის „რქების მომტვრევა“ იყო საჭირო. სხვაგვარად არაფერი გამოვიდოდა. გამოცდილებით ვიცოდი: უმთავრესია, ახალ სამუშაო ადგილას ჯარისკაცის პატივისცემა დაიმსახურო და არა შიში. პატივისცემა კი შრომით, თავდადებითა და ადამიანური დამოკიდებულებით მიიღწევა. მთელ დღეებს, დილიდან საღამომდე, ჯარისკაცებთან ერთად ატოჭარკსა და ყაზარმაში ვატარებდი. ბატარეის საშტატო საარტილერიო სისტემებსა და სატრანსპორტო ტექნიკას ვეცნობოდი და ვუვლიდი. ჯარისკაცებს ქვემეხების მექანიზმების დაშლასა და აწყობას ვასწავლიდი, კიდევ – ოპტიკური ხელსაწყოებისა და სამიზნეების გასწორებას. ჯერ თვითონ ვაჩვენებდი, შემდეგ კი ვითხოვდი, რომ გაემეორებინათ.

სწორედ იმ დროს მთელ პოლკში გადაიარაღება მიმდინარეობდა. ბედად ჩვენს დივიზიონსაც ძველი „ზილების“[68] ნაცვლად საარტილერიო ქვემეხების გამწეებად ახალთახალი МТ-ЛБ-ები გამოუყვეს. ამ ამბავზე მეტად ძნელად თუ რამე გამახარებდა, რადგან მათი გამოყენება ჩემზე უკეთ ალბათ არავინ იცოდა. გერმანიაში მიღებული ცოდნა მეხმარებოდა და ჯარისკაცებსა და სერჟანტებს გამწეების ტარებასა და ექსპლუატაციას, მუხლუხების დაშლას, აწყობასა და რეგულირებას პირადად ვასწავლიდი.

ყოველდღიური თავდაუზოგავი შრომით ახალ სამსახურშიც მალევე მივიქციე უფროსი მეთაურების ყურადღება და ჯარისკაცების პატივისცემაც დავიმსახურე.

საყოველთაო გაწვევისას კვლავ ნაცად მეთოდს მივმართავდი – მაღალ, ძლიერ და საზრიან წვევამდელთა არჩევის უფლების მოსაპოვებლად გამწვევ პუნქტში ოფიცერს ოპტიკური სამიზნეების გასაწმენდი სპირტით გულუხვად ვასაჩუქრებდი. არჩევისას, ძირითადად, რუს, უკრაინელ, ბელარუს და ზოგჯერ მოლდოველ წვევამდელებს ვირჩევდი. ბევრს ვშრომობდი, ვწვალობდი. ცოტა ხანში ჩემი ბატარეა სამაგალითო გახდა. ამაში თემურ არსენიშვილი დამემოწმება. დაუღალავი შრომა და მონდომება უკვალოდ არასოდეს იკარგება. არმიაში სამსახურს ახლა უკვე წარმატებული მუშაობისათვის მიღებული მორიგი სამხედრო წოდებით ვაგრძელებდი ბატარეის მეთაურის მაღალ თანამდებობაზე.

დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე ერთადერთ დარდად კვლავ მარტოობა რჩებოდა. როცა მარტო ცხოვრობ, ვეღარც პირადი ცხოვრებისთვის იცლი, დიდად აღარც სისუფთავესა და წესრიგს აქცევ ყურადღებას. იმ დროს, როდესაც ყაზარმაში ყოველდღიურად სისუფთავეს ვითხოვდი და ფანჯრის რაფაზე გასმულ თითს ცოტაოდენი მტვერი რომ აჰყოლოდა, ჯარისკაცებს მკაცრად ვსჯიდი, საკუთარ ოთახში ჩვეულებრივი ამბავი გახდა სიგარეტის ნამწვებით გავსებული საფერფლე, მის გარშემო მიმოფანტული ფერფლი, დაუგველი იატაკი, აშლილი ლოგინი და დაურეცხავი ჭურჭელი, უთავბოლოდ მიყრილი ტანსაცმელი, მტვრიანი რაფები და ჭუჭყიანი ფანჯრის მინები.

---

[68] „ზილი“ (Зил – რუს.) – საბჭოთა და რუსული საშუალო ტონაჟიანი სატვირთო ავტომობილი, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა სახალხო მეურნეობასა და არმიაში.

სამშობლოს მონატრებული ქართველები თავისუფალ დროს, ძირითადად, ერთად ყოფნით, ასევე, ნაციონალისტ ლვოველ და ოდესელ უკრაინელ ოფიცრებთან ურთიერთობით ვიქარვებდით დარდს.

იქ იმის დრო არ იყო, რომ სამხედროს გარდა სხვა ცოდნა შეგვეძინა, გონებრივი საზრდო მიგვეღო, წიგნები გვეკითხა. ჩვეულებრივი ადამიანური განცდებისა და ფიქრებისთვისაც არავის ეცალა. გონება მხოლოდ სალდაფონური[69] აზრებითა და ხუმრობებით იყო დაკავებული.

■

1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომიტინგეთა სასტიკი დარბევის ამბავმა ჯულფაში დილას ჩამოაღწია. აღშფოთებული ქართველი სერჟანტები და ჯარისკაცები დივიზიონის წინ, მოსაწევ ადგილას შეკრებილიყვნენ და საგანგებოდ თათბირობდნენ.

ქართველების საიდუმლო შეკრების შესახებ ინფორმაცია პოლკის მეთაურის ყურამდეც მისულიყო, ქართველი ოფიცრები თავისთან დაგვიბარა და ჯარისკაცებთან გასაუბრება დაგვავალა ისე, რომ არც კი მოუყოლია, სინამდვილეში რა მოხდა წინა ღამით თბილისში.

სულ სამნი ვიყავით და გვინდოდა, მომხდარშიც გავრკვეულიყავით და თანაც აღშფოთებული ორმოცამდე თანამემამულეც დაგვემშვიდებინა. ვგმობდით სადესანტო ჯარების სისასტიკეს და ვცდილობდით, ეს დანაშაული არა თავად სისტემის, არამედ მხოლოდ ბავშვთა სახლებში უსიყვარულოდ გაზრდილი ვიღაც ცივსისხლიანი ჯარისკაცებისთვის დაგვებრალებინა. იმავდროულად, ახსნასა და გამართლებას ვერ ვუძებნიდით ზოგიერთი იმ პოლიტიკური ლიდერის საქციელს, ვისაც არც წინდახედულობა ეყო, რომ უბედურება თავიდან აეცილებინათ, არც გონიერება, რომ პატრიარქისთვის დაეჯერებინა და არც სიმამაცე, რომ ძნელბედობისას თავისი ხალხის გვერდით ყოფილიყო.

პატივისცემის მიუხედავად, ოფიცერთა შეგონებანი ჯარისკაცებისათვის დამაჯერებელი არ აღმოჩნდა. მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, მასობრივად დაეტოვებინათ იქაურობა.

უშედეგო იყო თხოვნა, რომ ქართველებს ერთმანეთისთვის გაეწიათ ანგარიში. იმავე დღეს დატოვეს სამხედრო ნაწილის ტერიტორია და აღმოსავლეთით, 30 კილომეტრში მდებარე ქალაქ ორდუბადამდე პირველივე შემხვედრი ავტობუსით გაემგზავრნენ. იმის იქით, სომხურ ქალაქ მეღრისკენ უკვე ფეხით წავიდნენ. მხოლოდ ქართველს შეეძლო აზერბაიჯანული ქალაქიდან სომხურ ქალაქში უპრობლემოდ წასვლა.

სამხედრო ქალაქი ქართველი ჯარისკაცებისაგან ერთ დღეში დაიცალა. საქართველოში მიმდინარე მოვლენებს აქამდე ქართველი ჯარისკაცებისა თუ მომსახურეთა სანახავად ჩამოსული ახლობლებისგან ვიგებდით, იმ დღიდან მოყოლებული კი, სულ რაღაც 600 კილომეტრით დაშორებული სამშობლოდან ინფორმაცია საერთოდ შეწყდა. სამაგიეროდ სომხეთ-აზერბაიჯანის ფრონტიდან ყოველდღე ვიღებდით ახალ-ახალ ცნობებს.

---

[69] Солдафон (რუს.) – სასაუბრო ტერმინი, აგდებით ნათქვამი: შეზღუდული გონების, ხეპრე, უკულტურო სამხედრო მოსამსახურე, რომლის ინტერესები ვიწრო პროფესიული საქმიანობისა და ცოდნის ფარგლებს არ სცდება.

სიგარეტის მოსაწევ ადგილებში შეკრებილი აზერბაიჯანელი ოფიცრები და „პრაპორშიკები“ ორმხრივ ალყაში მოხვედრილი ნახიჩევანისა და ჯულფის მოსახლეობის დასაცავად სამხედრო ნაწილიდან იარაღის გატანითა და ბრძოლაში ჩართვით იმუქრებოდნენ.

მას შემდეგ, რაც სომხური არმია ლაჩინის დერეფნის[70] გასახსნელად იერიშზე გადავიდა, აზერბაიჯანელთა აზვირთებული ტალღა ქუჩებს მოედო, ბლოკადის გასარღვევად ათობით კილომეტრზე ირანი-საბჭოთა კავშირის სასაზღვრო მავთულხლართებს შეესია და მონათესავე სოფელს პირდაპირ დაუკავშირდა. ამიერკავკასიის ოლქის სარდლობის ბრძანებით, საარტილერიო პოლკში, ისევე როგორც მთელ დივიზიაში, საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. პირად შემადგენლობას ტერიტორიის დატოვება საერთოდ აეკრძალა. ბლოკადაში ცხოვრება 6 თვეს გაგრძელდა.

ყველასგან მივიწყებულ მხარეში გარე სამყაროს მოწყვეტილი ადგილობრივებისთვის ერთადერთი გასართობი და თავშესაქცევი ქალაქის სადგურის წინ მდებარე ჩაიხანაში ჩაის წრუპვა, ოფიცრებისთვის კი – სამხედრო ქალაქში არყის სმა იყო.

ოპტიკური სამიზნეებისა და სადაზვერვო ხელსაწყოების გასაწმენდად გამოყოფილ 96-გრადუსიან სპირტს სასმელად იყენებდნენ. ბევრჯერ უთქვამთ, ამის გარეშე აქ რა გაგვაძლებინებდაო. სპირტით სავსე ჩაის „კრუშკას“[71] თვალის დაუხამხამებლად გადაჰკრავდნენ ხოლმე. წყლით გაზავებას სისუსტედ მიიჩნევდნენ და სხვისგანაც ასე დალევას ითხოვდნენ. თავიდან ახალგაზრდული თავმონონებით – ისე, როგორც ქართველებს გვჩვევია – წინააღმდეგობას არ ვუწევდი, თავს სადღეგრძელოებით ვაწონებდი და სპირტით პირამდე სავსე რკინის სასმისს სულმოუთქმელად ვცლიდი, მაგრამ ვაი ამ დაცლას!.. სითხე გონებას წამში აბრუებდა და გულ-მუცელს ისე თუთქავდა, თითქოს ცეცხლის ალი გადაგეყლაპოს. ყველაფერს წვავდა, რასაც კი გაივლიდა: პირის ღრუს, ყელსა და ხორხს, გულმკერდს, კუჭ-ნაწლავს; ნერწყვს აშრობდა და ტვინს ყინავდა, გეჩვენებოდა, თითქოს საკუთარი თავის ქალა ელვის სისწრაფით ტრიალებდა ხან საათის ისრის მიმართულებით, ხან პირიქით.

სვამდა თითქმის ყველა ჩემი ზემდგომი ოფიცერი: არტილერიის უფროსი, დივიზიონის მეთაური, შტაბის უფროსი... სვამდნენ ყოველთვის, როდესაც თავისუფალი დრო გამოუჩნდებოდათ. თვითონ ხომ სვამდნენ და ჩემგანაც იმავეს ითხოვდნენ: „Грузин, пойдем, выпим!“[72] თანამეინახე სჭირდებოდათ, მხიარული, ენაწყლიანი. სადღეგრძელოები მოსწონდათ. კაპიტან არსენიშვილისგანაც იმავეს ითხოვდნენ. უფრო სწორად, ხშირად მასაც რუსებთან ჰქონდა პირი შეკრული.

სვამდნენ ყველგან, საკუთარი სახლის გარდა: კაბინეტში, ჩაიხანაში და, თქვენ წარმოიდგინეთ, დივიზიონის მეთაურის ავტოფარეხშიც კი; მანქანის კაპოტზე, გაზეთზე სახელდახელოდ გაშლილ სუფრაზე, სადაც აგურა პურის ნატეხები, ორი-სამი თავი ხახვი და მარილი, ერთიც თევზის კონსერვი და ქილით კიტრის მწნილი იდო სასმელზე მისაყოლებლად. სმას დილიდან იწყებდნენ ხოლმე. ხშირად დღეში ორჯერაც თვრებოდნენ. მათთან ერთად შეზარხოშებული, იძულებული ვიყავი,

---

[70] ლაჩინის დერეფანი – მთიანი ყარაბაღის სომხეთთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა. მთიანი ყარაბაღის პირველი ომის დროს ლაჩინის დერეფანი აზერბაიჯანულ ძალებს ოთხი წლის განმავლობაში, 1988 წლის აგვისტოდან 1992 წლის მაისამდე ჰქონდათ ბლოკირებული.

[71] „კრუშკა“ (ბარბარიზმი, кружка - რუს.) – ყურიანი ჭიქა

[72] Грузин, пойдем, выпим! (რუს.) – წამო, ქართველო, დავლიოთ!

ქართული „მრავალჟამიერის“ ნაცვლად რუსი ოფიცრების ნამღერისთვის მესმინა კაზაკთა[73] თავისუფლებაზე, ცხენსა და ხმალზე.

წინ განსაკუთრებით მძიმე ზაფხული გველოდა. ჰაერის ტემპერატურა 56 გრადუსს აღწევდა, დღის 12 საათიდან 16 საათამდე ოთახიდან გარეთ გასვლა საერთოდ არ იყო რეკომენდებული. ავტოპარკში ღია ცის ქვეშ გაჩერებულ საბრძოლო ტექნიკას და გამწეებს სიცხის გამო ვერც კი მიუახლოვდებოდი.

უწყლო გარემოში მაღალ სიცხესა და დახუთულობას საბჭოთა ოფიცრებზე არ უმოქმედია, ჩვეულებრივად განაგრძობდნენ სმას.

1989 წლის ზაფხულის ყველაზე ცხელ თვეში, ივლისში, სამსახურის ორი წლის თავზე ახალგაზრდა ლეიტენანტს საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის, არმიის გენერალ იაზოვის ბრძანებით მორიგი, უფროსი ლეიტენანტის წოდების მიღება და სამხრეებზე თითო ვარსკვლავის დამატება მიწევდა. ძველი სამხედრო ტრადიციით კი, ვარსკვლავები მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, როდესაც გაუზავებელი 96-გრადუსიანი სპირტით პირამდე სავსე რკინის მომინანქრებულ „კრუშკას“ ზემდგომი მეთაურების თანდასწრებით ბოლომდე დაცლი და შიგ მანამდე ჩაყრილ ექვს ცალ პატარა ოქროსფერ, ბრჭყვიალა ხუთქიმიან ვარსკვლავს პირიდან ხელით გამოიღებ.

გარე სამყაროსთან კავშირს მხოლოდ კვირაში ერთხელ სამხედრო ЯК-40[74] თვითმფრინავის რეისით თბილისიდან ჩამოღწეული ინფორმაციით ვინარჩუნებდი. იქ, ჩემს სამშობლოში რაღაც ხდებოდა და ვერ ვიგებდი, რა ხდებოდა ან რატომ.

■

1989 წლის შემოდგომაზე ცხინვალში მიმავლინეს პოლკიდან გაქცეული ოსი რიგითი ჯარისკაცის დასაბრუნებლად. ნოემბრის საღამო იდგა. გზად ერთი დღით შინ შევიარე და მონატრებული ქალაქის დათვალიერება გადავწყვიტე. თვეების განმავლობაში სამხედრო ბაზაზე გამოკეტილს ყველაფერი თავდაყირა, სხვანაირად შეცვლილი დამხვდა. ნანახით განცვიფრებული თვალებს არ ვუჯერებდი, თითქოს სხვა სამყაროში აღმოვჩნდი.

ხელისუფლებაში ჯერ კიდევ კომუნისტები იყვნენ, მაგრამ ისინი უკვე ვეღარაფერს წყვეტდნენ. ასპარეზზე დისიდენტები გამოსულიყვნენ. ყველა, ვისაც არ ეზარებოდა, კომუნისტებს ლანძღავდა, მკვდარსაც და ცოცხალსაც, და საბჭოთა წყობას აგინებდა. რევოლუციის ლიდერები – ფილიპე მახარაძე, სილიბისტრო თოდრია და მიხა ცხაკაია – მთავრობას მთაწმინდიდან ქურდულად „გაეპარებინა“ და ხუდადოვის ტყეში გადაესვენებინა.

სხვანაირ, ჩემთვის სრულიად მოულოდნელ, უცნობ თბილისს ვხედავდი, ვხედავდი სხვა ადამიანებს, აჟიტირებულებსა და აგრესიულებს.

---

[73] კაზაკები ეწოდებოდა რუსეთის სახელმწიფოს განაპირა მხარეების თავისუფალ მოსახლეობას. მათ დიდი წვლილი შეიტანეს რუსეთის წინსვლაში ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში, ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში XVI-XVII საუკუნეებში.

[74] ЯК-40 (რუს.) – პირველი სამძრავიანი ტურბორეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავი, რომელიც სსრკ-ში 60-იან წლებში შეიქმნა.

სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები, ჯერ კიდევ გუშინ საქართველოში, ერთ მიწა-წყალზე მეგობრულად რომ ცხოვრობდნენ და ერთმანეთისთვის არასდროს უგრძნობინებიათ ეთნიკური განსხვავებულობა, დღეს, სიძულვილით ავსებულები, ერთმანეთს მტრად იხსენიებდნენ.

თითქოს სიგიჟის ვირუსი მთელ საქართველოს მოსდებოდა. სადღაც, ქვემო ქართლში აზერბაიჯანელისთვის სახლი გადაეწვათ. საპასუხოდ ბოლნისში, დმანისსა და გარდაბანში სახლები ისე აფეთქდა, ვერც კი გაიგეს, ვინ ააფეთქა და რატომ.

უკვე მომხდარი იყო 1989 წლის 15 ივლისის პირველი შეტაკება ეთნიკურ ნიადაგზე აფხაზეთში, დაღვრილი იყო პირველი სისხლი, იყვნენ დაღუპულები.

სეპარატისტული განცხადებები ისმოდა ცხინვალიდანაც. ამ განცხადებებს ეროვნული მოძრაობის ლიდერები არანაკლებ აგრესიულად პასუხობდნენ. საღი აზრის ნაცვლად სიძულვილი და მტრობა გაბატონებულიყო.


მთელ თბილისში საპროტესტო აქციები და მიტინგები იმართებოდა. „მთავრობის სახლისა“ და უზენაესი საბჭოს შენობის კიბეებზე ჩამომსხდარ მომიტინგეთა ერთი ჯგუფი საქართველოს დამოუკიდებლობას ითხოვდა, თანაც უპირობოდ. სპორტის სასახლის წინ ახალგაზრდები იყვნენ შეკრებილნი. ჩემთვის იმ დროს უცნობი, არაფორმალი ირაკლი ბათიაშვილის ხელმძღვანელობით საოკუპაციო არმიაში წვევამდელთა ბოიკოტის აქცია მიმდინარეობდა. მე და ჩემნაირებს გვახსენებდნენ, რომ არმიას, რომელშიც ვმსახურობდით, ჩვენი მიწა-წყალი ჰქონდა დაპყრობილი.


ყველაზე მეტად ჩემი ყურადღება უნივერსიტეტის კიბეებთან შეკრებილი ახალგაზრდების აქციამ მიიპყრო. ყარაიაზის პოლიგონზე ათწლეულების განმავლობაში ქვემეხების გრუხუნისაგან დასანგრევად განწირული დავითგარეჯის მონასტრის დაბზარული კედლების ყრუ გმინვას უნივერსიტეტის აუდიტორიებში შეეღწია. სტუდენტები, რომელთა შორის განსაკუთრებით დამამახსოვრდა მომავალი მწერალი დათო ტურაშვილი, წმინდა სავანის გადასარჩენად დავითგარეჯის კომპლექსთან საარტილერიო სროლის დაუყოვნებლივ აკრძალვას ითხოვდნენ.

მდუმარედ ვუსმენდი მათ მიერ წარმოთქმულ სიტყვებს. ახალი საფიქრალი გამიჩნდა. ის, რაც აქამდე მეამაყებოდა და მეხალისებოდა, დანაშაული აღმოჩნდა. ვუსმენდი მათ გამოსვლებს და ჩემი მონაწილეობით ნასროლი ჭურვების გამო თავს უხერხულად ვგრძნობდი. მანამდე ამაზე არასოდეს მიფიქრია, აზრადაც არ მომსვლია, რომ დანაშაულის თანამონაწილე ვიყავი.

განსაკუთრებით შეხედულებებისა და დამოკიდებულების ცვლილება მაოცებდა და მაბნევდა. სულ რაღაც ათიოდე წლის წინათ ქართველი ერის გადასარჩენად ისტორიულ აუცილებლობად მიჩნეული, გეორგიევსკში ხელმოწერილი ტრაქტატი – დამღუპველ დოკუმენტად, საქართველოს ყოფნა რუსეთის და შემდეგ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ოკუპაციად და ანექსიად ცხადდებოდა. სადაც კი მიტინგი იყო, ყველგან ვხერდებოდი და ვუსმენდი, თუმცა მომიტინგეების ენა ხშირად არ მესმოდა. გულსა და გონებაზე ჯავშნად დადებული ჯულფის სქელი მტვერი გრძნობების ისრებს არ იკარებდა.

ცხინვალში ერთხელაც არ ვიყავი ნამყოფი, ხოლო ოსებზე აზრი, ძირითადად, ოსი ავტოინსპექტორების შესახებ ანეკდოტებით მქონდა შექმნილი. ცხინვალისკენ მიმავალს წარმოდგენაც არ მქონდა, ოსების გულში რა ტრიალებდა. მიკვირდა კიდეც, სახლში რომ მაფრთხილებდნენ, ცხინვალში ქართულად არ დაილაპარაკო, ოსები ქართველებს მტრულად უყურებენო. არ ვიჯერებდი, მეცინებოდა.





23 ნოემბრის აქციის შემდეგ მალევე არაფორმალური გაერთიანებების ლიდერებმა, საქართველოს კომპარტიის პირველი მდივნის ხელშეწყობითა და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი იკარუსებით, ათასობით მომიტინგე ცხინვალის მისადგომებს მიაყენეს.[75]

[75] 1989 წლის 23 ნოემბერს თბილისიდან ცხინვალისკენ დაახლოებით 20 ათასი ადამიანი დაიძრა მიტინგის მიზანი „ეროვნებათაშორისი შუღლის" ჩაცხრობა და „ძმური ურთიერთობის აღდგენა" უნდა ყოფილიყო.

სწორედ იმ საბედისწერო დღეს გაჩნდა ორმხრივი სიძულვილი, რომელიც ცხინვალის ავტოსადგურში აშკარად ვიგრძენი, როცა სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პირველივე შემხვედრ ოსს ჯულფიდან გამოქცეული ჯარისკაცის მისამართი ქართულად ვკითხე.

■

მაშინ, როდესაც გარე სამყაროს მოწყვეტილი დროს სმასა და უსაქმურობაში ვკლავდი, ეპოქალური ძვრები კარდინალურ ცვლილებებს აახლოებდა. ჯერ ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა არ დასრულებულიყო, რომ იმპერიის მმართველებმა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებისა და ჯარების განლაგების ახალ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. გამოძახილმა ირანი-აზერბაიჯანის გადაკარგულ საზღვრამდე ექოსავით ჩამოაღწია და ყველაფერი თავდაყირა დააყენა. შეთანხმება საბჭოთა კავშირს სახელმწიფო საზღვრიდან 200 კილომეტრზე ახლოს საბრძოლო შენაერთებისა და ნაწილების განთავსებას უკრძალავდა და დაუყოვნებლივ სიღრმეში გაყვანას ავალდებულებდა. ეს სწორედ ის ხელშეკრულება იყო, რომლის ძალითაც 1999 წელს სტამბოლის სამიტზე რუსეთი აიძულეს, მის ჯარისკაცებს საქართველოს ტერიტორია სრულად დაეტოვებინათ – პირველად მას შემდეგ, რაც XVIII საუკუნეში ჩვენს მიწაზე ფეხი შემოდგეს. იმ დროს არც საქართველოში და, მით უმეტეს, არც იმ საზღვრისპირა პატარა ქალაქ ჯულფაში ამ ხელშეკრულების შესახებ ჯერ არაფერი გაგვეგონა.

სულ ცოტა ხანში ნახიჩევანის მოტომსროლელთა დივიზიის სასაზღვროდ გადაკეთების ბრძანება მოვიდა. მოტომსროლელმა ქვეითებმა სამხედრო მუნდირზე წითელი ფერის სამხრეები მესაზღვრის მწვანე სამხრეებით შეცვალეს, ხოლო არტილერისტებს ნახიჩევანის შემნახველ ბაზებში არსებული საბრძოლო შეიარაღება და ტექნიკა რიგრიგობით ჩაგვაბარებინეს, რაც მოგვიანებით აზერბაიჯანის არმიას გადაეცა. ოფიცერთა შემადგენლობა საბჭოთა სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე გაანაწილეს, მე კი სამსახურის გასაგრძელებლად ამჯერად ქუთაისში, ისევ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საარმიო კორპუსის შტაბში მიმავლინეს, რომელიც აერთიანებდა: თბილისში, ისანსა და რკინიგზის სადგურ „ვაზიანში“ პირადი შემადგენლობით გაშლილ მე-100 სასწავლო მოტომსროლელთა დივიზიას (შემდგომში – მსდ); ახალქალაქში – 145-ე ნახევრად გაშლილ მსდ-ს; ახალციხეში დისლოცირებულ მე-10 კადრირებულ მოტომსროლელთა დივიზიას; ბათუმსა და მის შემოგარენში კი – 147-ე კადრირებულ მსდ-ს. გარდა ამისა, ქუთაისში 21-ე სადესანტო-მოიერიშე ბრიგადა იდგა. ასევე, საომარი მდგომარეობისათვის სარეზერვოდ გაწერილი იყო 52-ე „სათადარიგო“ მსდ-ს შტატი.

ჩემთვის მთავარი იყო, პირად შემადგენლობასთან მუშაობის შესაძლებლობა მომცემოდა. დივიზია თბილისშიც იდგა, მაგრამ მშობლიურ ქალაქში დაბრუნება არ მინდოდა. დიდად არც ახალქალაქში მოხვედრა მხიბლავდა, თუმცა ჯარისკაცებთან მუშაობისა და თავის გამოჩენის შესაძლებლობა ალბათ იქ უფრო მომეცემოდა. მოკლედ, ახალციხესა და ბათუმს შორის არჩევაზე თუ მიდგებოდა საქმე, ახალ სამუშაო ადგილად კაცი ბათუმს აირჩევდა – ჯულფის შემდეგ ზღვისპირეთი ნამდვილად მისწრება იქნებოდა.

თავად ქალაქი ახალციხე ბავშვობიდანვე კარგად მახსოვდა. რამდენიმე ხანს იქ ვცხოვრობდი, როდესაც მამაჩემი შსს-ში მუშაობდა, იქ ვიზრდებოდი და იქაურ ბავშვებთან ერთად ვთამაშობდი. მაშინ მომწონდა და მიყვარდა კიდეც, მაგრამ

ახალგაზრდა ოფიცერს, რომელსაც სულ მალე კაპიტნობა მიწევდა და კარიერული ნინსვლისათვის ლენინგრადის აკადემიაში ჩაბარება მქონდა განზრახული, ახალციხის კადრირებული დივიზია სამეთაურო ცოდნისა და უნარების გამოსავლენად, ახალგაზრდული შემართებისა და შეუპოვრობის დასამტკიცებლად შესაფერის ადგილად არ მეჩვენებოდა და იქ განაწილება ყველაზე ნაკლებად მახარებდა.

თუმცა ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო: სამხედრო კარიერის თვალსაზრისით, სამიდან ყველაზე უიღბლო და უარესი არჩევანი მერგო და საკუთარ ბედისწერასთან შესახვედრად პირდაპირ ახალციხის კადრირებულ დივიზიაში გამგზავნეს.

■

მე-10 დივიზიაში შემავალი მოტომსროლელთა, სატანკო, საზენიტო-სარაკეტო და სახმელეთო არტილერიის პოლკები და დივიზიონები ახალქალაქისკენ მიმავალი ცენტრალური გზიდან ხელმარჯვნივ, ერთ პატარა ქალაქში, მთის ფერდობზე გვერდიგვერდ იყო განლაგებული.

საარტილერიო პოლკში 30-მდე ოფიცერთან და „პრაპორშიკთან" ერთად რამდენიმე ათეული ჯარისკაცი თუ ირიცხებოდა. საბრძოლო შეიარაღებასა და ტექნიკას მოძველებული 85-მმ-იანი Д-44 ტიპის ზარბაზნები და „ურალები" შეადგენდა, რომლებიც ავტოპარკის ბოქსებსა და ღია ადგილებში კონსერვაციაზე[76] იდგა. ოფიცრები სამსახურში მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით დადიოდნენ, დილით მოწყობაზე მეთაურის წინაშე დასაფიქსირებლად გამოცხადდებოდნენ, შემდეგ კი კაბინეტებსა და საწყობებში დომინოს თამაშით იქცევდნენ თავს. როგორც კი პოლკის მეთაური ტერიტორიას დატოვებდა, ოფიცრები სიგარეტის მოსაწევ ადგილებში იკრიბებოდნენ და დრო ლაზღანდარობაში გაჰყავდათ.

გერმანიისა თუ ჯულფისგან განსხვავებით, იქ ადრინდელთან თუნდაც მიმსგავსებული სამხედრო მეგობრობა არ შემხვედრია. შესაძლებლობა მიეცემოდათ თუ არა, სახლისკენ მიიჩქაროდნენ. ყველას ჰყავდა ოჯახი – მეუღლე, შვილი. შინ მყუდრო გარემო ელოდათ, სითბო, ყურადღება და ცხელი ვახშამი. არსად ეჩქარებოდათ, უდარდელ სიბერემდე კიდევ დიდი გზა ჰქონდათ გასავლელი. უღიმღამო ცხოვრებას შეგუებულებს, სამხედრო პენსიის მოლოდინში ყველაფერი აკმაყოფილებდათ.

მთელ დღეს, ძირითადად, ავტოპარკში, თითქმის მწყობრიდან გამოსულ და ჩამოსაწერ საარტილერიო სისტემებთან ვტრიალებდი. ერთი შეხედვით – მოვალეობის მოსახდელად, ვიღაცის დასანახად, უფრო სწორად, თავის მოსატყუებლად, თითქოს ავტოპარკში ტექნიკური მომსახურება მიმდინარეობდა. გაგეცინებათ – ერთი ოფიცერი, ერთი ჯარისკაცი და საარტილერიო დივიზიონის 18 ზარბაზანი ერთმანეთს დილიდან საღამომდე თავს ვაბეზრებდით და ასე ყოველდღე, მონოტონურად და დაუსრულებლად. იქ არც კარიერული წინსვლის პერსპექტივა ჩანდა და აღარც სამეთაურო უნარ-ჩვევების გამოვლენის ასპარეზი. არავის სჭირდებოდა შენი მონდომება და თავდადება, შენთვის არავის ეცალა.

საბჭოთა იმპერიაში სრული ქაოსი სუფევდა. სამხედრო უწყება აღმოსავლეთ ევროპიდან თუ შორეული აღმოსავლეთიდან ჯარების გამოყვანითა და სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობის შემცირებით იყო დაკავებული. ოფიცრები ჯარს

[76] კონსერვაცია – აქ: სამხედრო ტექნიკის ხანგრძლივი ან მუდმივი შენახვა

მასობრივად ტოვებდნენ, ვინც ნებით არ მიდიოდა, სხვადასხვა მიზეზით ითხოვდნენ სამსახურიდან. თანდათან ვხვდებოდი, რომ ოცნებებში ნაგები სამხედრო კარიერა თავზე მენგრეოდა. დრო იყო, ღრუბლებში ფრენას შევეშვებოდი და მიწაზე მყარად დამედგა ფეხი.

აღმოჩნდა, რომ სრულიად ახალგაზრდა, 23 წლის ასაკში, უმიზნოდ და უპერსპექტივოდ ვრჩებოდი, უინტერესო ცხოვრებისა და გაურკვეველი მომავლისათვის განწირული. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ოცნების გარეშე.

იმის ნაცვლად, რომ სამშობლოდან ასობით და ათასობით კილომეტრით დაშორებული ყაზარმის ცივ კედლებსა და პოლიგონების მტვერში გატარებული წლების შემდეგ შინ დაბრუნება გამხარებოდა, პირიქით, შეუჩვეველი გარემო და გაურკვეველი ვითარება კიდევ უფრო მაბნევდა. ადამიანები, რომლებიც ცოტა ხნის წინ სუფრასთან „წითელი ღობის“ სადღეგრძელოზე ფეხზე დგებოდნენ, ახლა, ოფიცრის ფორმაში გამოწყობილს, ალმაცერად მიყურებდნენ და ამას ვამჩნევდი.

სამსახურში საქმე არაფერი ჩანდა. ამდენი თავისუფალი, უსარგებლო და გამოუყენებელი დრო არასდროს მქონია. სწორედ ეს იყო ყველაზე უსაშველო და გამაღიზიანებელი. მუდმივად ერთი და იგივე ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა: რისთვის ვიწვალე და ვიშრომე? წინ რა მელოდება? რა არის ჩემი ცხოვრების მიზანი?

ყოველდღე, დილა-საღამოს, ერთსა და იმავე დროს, ერთი და იმავე ტემპითა და მარშრუტით გავდიოდი მოსაწყენ გზას სასტუმროდან სამხედრო ნაწილამდე და უკან. კითხვები უპასუხოდ მრჩებოდა. არაფერი ხდებოდა. ასე გადიოდა დღეები, კვირები...

უმიზნო და უშინაარსო ერთფეროვნებაში ადამიანი დიდხანს ვერ ძლებს. ერთ დღესაც, ყოველდღიურობით გაბეზრებულმა, სამხედრო ნაწილის მიღმა, მამაჩემის მეგობრის, ახალციხეში მცხოვრები ნოდარ ლომიძის ოჯახს მივაკითხე ათიოდე წლის წინათ შეპირებული ნათლობის საბაბით.

ლომიძეების ოჯახში დიდი სითბოთი და სიყვარულით მიმიღეს – ისე, როგორც ქართულ სტუმართმოყვარეობას ეკადრება. სახლში, სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან, მის შვილებთან, გიასა და ოთართან ერთად დაწყებული ქეიფი ჯერ ახალციხეშივე რესტორან „ვარძიაში“ გაგრძელდა, შემდეგ – ასპინძაში.

იმ დღიდან ჩემი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა. ლომიძეებს ყოველდღე ვსტუმრობდი, მამების დაწყებული მეგობრობა შვილებმა გავაგრძელეთ. ახალი ადამიანები გავიცანი, მათ სამეგობროში ვტრიალებდი, რესტორანში მათთან ერთად დავდიოდი, ვქეიფობდი, ვთვრებოდი.

საბჭოთა ოფიცერთა წრეში რუსული ერთსიტყვიანი სადღეგრძელოს ნაცვლად ნამდვილ ქართულ სადღეგრძელოებს ვისმენდი, მაღალფარდოვანი სიტყვებით ნათქვამს მშობელსა და სამშობლოზე, სიყვარულსა და თავისუფლებაზე. მეც განსაკუთრებული გრძნობით წარმოვთქვამდი და განსხვავებულ სასმისს ბოლომდე სულმოუთქმელად ვცლიდი.

■

ახალგაცნობილთაგან ორნი – ზურა ხუციშვილი და გია კოპაძე ერთ-ერთი არაფორმალური პოლიტიკური გაერთიანების[77], „ილია მართლის საზოგადოების"[78] ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელები იყვნენ. საბჭოთა ოფიცერი ქალაქში მათ ოფისებს მოურიდებლად ვსტუმრობდი, ვესაუბრებოდი და ვუსმენდი.

მხოლოდ ახლაღა დავინახე, რა ხდებოდა ქალაქში. არაფორმალთა შტაბებთან, რომლებიც ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყო გახსნილი, უამრავი ხალხი ირეოდა. მათი ოფისების წინ, ანტისაბჭოთა პლაკატების ფონზე გამართულ საინფორმაციო მიტინგებზე ადამიანის უფლებებზე, თავისუფლებასა და საქართველოს დამოუკიდებლობაზე გაუთავებელი ცხარე კამათი ჩვეულებრივი ამბავი გახდა. ახალგაზრდული ცნობისმოყვარეობით სხვადასხვა პარტიის ადგილობრივ ლიდერებს ყოველდღე ვხვდებოდი და ვუსმენდი. მათთან ურთიერთობა მახალისებდა და ახალი ენერგიით მავსებდა.

სულ რამდენიმე თვის ჩასული ვიყავი, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს სამხედრო ნაწილში მომხდარმა ინციდენტმა ახალციხე შეძრა და მთელი ჩემი ცხოვრება ერთ საათში თავდაყირა დააყენა.

დილის ათი საათი იქნებოდა, როდესაც გარნიზონში აღმაშფოთებელი ამბავი გავრცელდა: საარტილერიო პოლკის ჯარისკაცი, ზესტაფონელი ცერცვაძე მთვრალმა ოფიცერმა ჰაუპტვახტში სასტიკად სცემა.

ამ ამბით გაბრისხებული ქართველი ჯარისკაცები სიგარეტის მოსაწევ ადგილას იყვნენ შეკრებილნი და სამხედრო ნაწილის დატოვებით იმუქრებოდნენ. თითქმის ისეთივე ვითარება შეიქმნა, როგორიც 9 აპრილს – ჯულფაში, თუმცა ახლა ჩემი განწყობა იყო განსხვავებული. ახალი განცდები და ფიქრები მოსვენებას აღარ მაძლევდა. მომხდარი ამბავი ოფიცრის მიერ ჯარისკაცის ცემად კი არ აღვიქვი, არამედ რუსის მიერ ქართველის შეურაცხყოფად. ჯარისკაცების მიერ სამხედრო ნაწილის დატოვებისთვის წინააღმდეგობა არ გამიწევია. უფრო მეტიც, შევთავაზე, რჩევა ნაცნობი ადგილობრივი ლიდერებისათვის გვეკითხა და რამდენიმე ქართველ სერჟანტთან და რიგითთან ერთად ქალაქის ცენტრისკენ წავედით.

პატარა ქალაქში მომრავლებულ არაფორმალთა შტაბებში სწრაფად გავრცელდა ხმა მომხდარის შესახებ. მათაც მეტი რა უნდოდათ, ერთმანეთს ასწრებდნენ, ათასგვარ რჩევა-დარიგებას იძლეოდნენ და სამხედროებს გაფიცვისკენ მოგვიწოდებდნენ. სადაც გაფიცვაა, იქ საგაფიცვო კომიტეტიც უნდა შეიქმნას და პროტესტის ფორმაც უნდა განისაზღვროსო: მჯდომარე თუ მწოლიარე, მშრალი თუ სველი... სადაც აქციაა, იქ მოთხოვნაც უნდა ჩამოყალიბდესო, აგვიხსნეს ჩატარებული მიტინგების გამოცდილებიდან გამომდინარე.

გვირჩიეს, გაფიცვა ახალციხის ცენტრალურ მოედანზე, თეატრის წინ, სკვერში დაგვეწყო. მე – ქართველი ოფიცერი, ზემდეგი ზურა ჯოხარიძე, სერჟანტი ზურა ადუაშვილი, რიგითები – ნიკა ტყეშელაშვილი, იაგო ოთინაშვილი, გოჩა ტყემალაძე, გოგილო ცერცვაძე, ალეკო ივანიშვილი და სხვები უხმოდ, ჩაფიქრებულები ვუსმენდით.

---

[77] საბჭოთა კავშირში კომუნისტური პარტიის გარდა ყველა პარტიული გაერთიანება არაფორმალურ პოლიტიკურ ორგანიზაციად ითვლებოდა, მათ წევრებს არაფორმალებს უწოდებდნენ.

[78] „სრულიად საქართველოს წმიდა ილია მართლის საზოგადოება" („წმიდა ილია მართალი") – პარტია დაარსდა 1988 წელს მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას ინიციატივით.

სამხედრო ნაწილში სხვა ქართველი ოფიცრებიც იყვნენ, უფრო მაღალი წოდების და ხანგრძლივი ნამსახურობით. შემეძლო, მათთანაც შემეთანხმებინა გაფიცვა, თუმცა გადაწყვეტილება, გვერდით მდგომ რამდენიმე სერჟანტთან ერთად, მე მივიღე. განკარგულებას ვაძლევ ქართველ სერჟანტებსა და ჯარისკაცებს, რომ ყველა ქართველს მიანვდინონ ხმა – გარნიზონის რომელ საბრძოლო ქვედანაყოფშიც უნდა მსახურობდეს, შტაბში თუ „ხლებარეზკისა“ და „კაპტიორკის“ თბილ ოთახებში – დაუყოვნებლივ შეიკრიბონ ქალაქის ცენტრში! ერთი ნაცემი ქართველის გამო! ყველა! მხოლოდ ერთ მოთხოვნას ვაყენებდით – დამნაშავე დაუყოვნებლივ უნდა დაესაჯათ!

იმ დროს, როდესაც ამბოხებული ქართველი სამხედროები ერთმანეთს ვაგულიანებდით, ახალციხელმა არაფორმალებმა გაფიცვის ადგილი მოამზადეს და ლოზუნგები გამოფინეს: „ძირს ოკუპანტები!“ „ბოიკოტი საბჭოთა არმიას!“ „საოკუპაციო ჯარმა დატოვოს საქართველო!“ და ბევრი სხვა.

სულ მალე სხვადასხვა ნაწილიდან ქალაქის ცენტრისკენ სხვადასხვა პერიოდში ნამსახურები ასობით ქართველი ჯარისკაცი დაიძრა. ქართველი კაცის ღირსების დასაცავად ზოგი უხმაუროდ და ფრთხილად მოდიოდა, ზოგი ჯგუფ-ჯგუფად, დაუფარავად და ხმაურიანად. ჯარისკაცებს ქართველი და სომეხი ოფიცრებიც შეუერთდნენ.

როდესაც ქართველ ჯარისკაცებს მოვუწოდებდით, ჯარში მომსახურე, საქართველოში მცხოვრები ყველა ერის და ეროვნების წარმომადგენლებს ვგულისხმობდით: ოსებს, აფხაზებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს, ყველას, ვინც თანაგვიგრძნობდა, თუმცა პირველად მაშინ ვიგრძენი აფხაზი და ოსი ჯარისკაცების ჩვენგან გამიჯვნის სურვილი. ისინი ნაწილის დატოვების მოწოდებას კი შეუერთდნენ, მაგრამ ცენტრში თავშეყრის ნაცვლად სახლებში დაბრუნების სურვილს გამოთქვამდნენ. მღვრიე წყალში თევზის დაჭერას ცდილობდნენ და, უბრალოდ, დეზერტირობდნენ.

ძირითადად, კავკასიელებით დაკომპლექტებული სამხედრო ნაწილის ტერიტორია დღის ბოლოსათვის თითქმის სრულად დაცარიელდა. თეატრის წინ შეკრებილმა სამასამდე გაფიცულმა ჯარისკაცმა დაუმორჩილებლობა გამოაცხადა. პატარა მშვიდი ქალაქი ამბოხებულთა ბანაკს დაემსგავსა.

ურთულესი ვითარება შეიქმნა. ვინ უნდა დაეყენებინათ სამხედრო ნაწილებში, ასეულებსა და ბატალიონებში, ბატარეებსა და დივიზიონებში იარაღისა და საბრძოლო მასალების საწყობებთან სამორიგეოდ და გარნიზონის ავტოპარკის საყარაულოდ? ქართველ ჯარისკაცებს, რომლებიც აქციას არ შეუერთდნენ და იარაღით ხელში ავტოპარკსა თუ ყაზარმებში მორიგეობდნენ, მეთაურები აღარ ენდობოდნენ და ფიქრობდნენ, რომ სასწრაფოდ უნდა შეეცვალათ. ცოტაც და, ერთი ჯარისკაცის დასჯის მოთხოვნით დაწყებული აქცია შესაძლოა, სამხედრო ამბოხში გადაზრდილიყო. პოსტზე თუ ყაზარმაში ნებისმიერს შეეძლო საწყობი გაეღო და ამბოხებულებისთვის იარაღი დაერიგებინა. ვითარება ყოველწუთიერად იძაბებოდა. ახალ-ახალი ჭორი მოდიოდა, თითქოს საზენიტო პოლკის ყაზარმაში მორიგეს თავს დაესხნენ და იარაღი გაიტაცეს, ავტოპარკიდან კი ქვეითთა საბრძოლო მანქანა გაიყვანეს.

საშიშროება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობამაც იგრძნო. ვითარება დაუყოვნებლივ უნდა განემუხტათ, ქართველთა დაუმორჩილებლობა ახალციხიდან მთელი რესპუბლიკის სამხედრო ნაწილებზე რომ არ გავრცელებუ-

ლიყო, თუმცა „სისხლისმსმელი როდიონოვის“[79] შემცვლელ გენერალ-პოლკოვნიკ პატრიკეევს 9 აპრილის შემდეგ გადაწყვეტილების მიღება უჭირდა.

ახალციხეში სამხედროთა აჯანყების ხმამ თბილისამდე ჩააღწია და ეროვნული მოძრაობის სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებმა ერთმანეთის მიყოლებით დაიწყეს ახალციხეში ჩამოსვლა. პირველი „მოქალაქეთა ლიგის“[80] ხელმძღვანელი ვაჟა მთავრიშვილი გვესტუმრა. მანამდე არც ამ ორგანიზაციასა და არც მის თავმჯდომარეზე არაფერი მსმენოდა. იგი გვიხსნიდა „ერთა ლიგის“[81] შექმნის ისტორიას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასა და ერთა თვითგამორკვევის წესებს. ცხადი იყო, საკითხი ესმოდათ, ჭკვიანურად მსჯელობდნენ, თუმცა რა უნდოდათ, ვერ ვხვდებოდით.

ამასობაში დივიზიის ხელმძღვანელობამ დაუყოვნებლივ ყაზარმებში დაბრუნება მოგვთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, დეზერტირობისთვის პასუხისგებაში მიცემით დაგვემუქრა. უამრავი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია და გაზვიადებული ჭორი კიდევ უფრო თრგუნავდა დეზერტირობის ბრალდების მუქარით შეშინებულ ზოგიერთ ჯარისკაცს. ამბოხებულთა რიგები თავდასხმის შიშით ნელ-ნელა თხელდებოდა.

თეატრის კიბის საფეხურებიდან ჯარისკაცები თითო-თითოდ ქრებოდნენ, ზოგი ნაწილში ბრუნდებოდა, ზოგი სახლისკენ ეშურებოდა. დღის ბოლოს მხოლოდ ასიოდე ჯარისკაცი თუ დარჩა, რომლებიც ბოლომდე უშიშრად მედგნენ გვერდში და პასუხისმგებლობას ჩემთან ერთად ინაწილებდნენ.

საღამოს ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. გავრცელდა ხმა, რომ გენერალ-პოლკოვნიკ როდიონოვის შემცვლელის დავალებით, ვაზიანიდან შვეულმფრენებით ამიერკავკასიის მთავარ სადაზვერვო სამმართველოს დაქვემდებარებული, იმ დროისათვის ჯერ უცნობი სადამსჯელო რუსული დანაყოფი „ღამურები“ გამოგზავნეს, რომელიც ღამით ახალციხეში, „ვარძიის“ სტადიონზე უნდა დაბანაკებულიყო. ასევე, გავრცელდა ხმა, რომ საპროტესტო აქციის მონაწილეებს ღამით ხელკეტებით დაშლიდნენ და დააპატიმრებდნენ. ზოგმა მოსალოდნელი შედეგები 9 აპრილს შეადარა.

ამ ამბავმა ახალციხე შეძრა. ხალხის ნაწილი საფრთხის თავიდან ასარიდებლად დაშლას გვირჩევდა. არაფორმალები პირიქით, ჩვენ – ბრძოლისკენ, ხოლო მოსახლეობას მხარდაჭერისკენ მოუწოდებდნენ.

---

[79] იგორ როდიონოვი – რუსი გენერალი და პოლიტიკოსი. საბჭოთა პერიოდში, 1989 წელს აფხაზეთში დისლოცირებული მე-40 არმიის მთავარსარდლის პოსტი ეკავა, 9 აპრილის ტრაგედიამდე რამდენიმე საათით ადრე თბილისის სამხედრო კომენდანტად დაინიშნა 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მშვიდობიანი აქციის სისხლიანი დარბევის დროს, ოფიციალური მონაცემებით, 21 ადამიანი დაიღუპა და 427 დაშავდა, ამიტომ საქართველოში გენერალ როდიონოვს მოიხსენიებენ, როგორც „სისხლისმსმელს“.

[80] „საქართველოს მოქალაქეთა ლიგა“ – პოლიტიკური ორგანიზაცია, მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული კონგრესის არჩევნებში 1990 წელს (გაიმართა 30 სექტემბერს, 1-ელ და 14 ოქტომბერს) და 3,71% (7 მანდატი) მოიპოვა.

[81] ერთა ლიგა – მსოფლიოში პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია, შეიქმნა 1919 წელს, როგორც ვერსალის საბავო ხელშეკრულების სისტემის ნაწილი. მისი დამფუძნებელი იყო 44 ქვეყანა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ცდილობდა, ერთა ლიგის სრულუფლებიანი წევრი გამხდარიყო და ამით დაეცვა თავისი უსაფრთხოება.

მართლაც, დღის ბოლოს ჩვენს მხარდასაჭერად მთელი ქალაქი გარეთ გამოვიდა. დიდი და პატარა, ქალი და კაცი სახლებიდან თეატრისკენ მოეშურებოდა, ღამის გათენებას კიბეებზე და სკვერში აპირებდნენ. სხვადასხვა პარტიის ადგილობრივი ლიდერები ქართველ ოფიცრებს გვერდიდან არ გვცილდებოდნენ, ნუთითაც არ გვტოვებდნენ.

ღამის სამ საათზე თბილისიდან ეროვნული მოძრაობის კიდევ ერთი წარმომადგენელი, თემურ ქორიძე ჩამოვიდა, რომელიც „მრგვალი მაგიდის"[82] წევრად და ზვიად გამსახურდიას[83] ნდობით აღჭურვილ პირად გაგვაცნეს. ტანად ყველაზე პატარა იყო, თუმცა ეტყობოდა, რომ დიდი გავლენა ჰქონდა. მან საგაფიცვო კომიტეტის წევრები არაფორმალთა შტაბში დაგვპატიჟა, შეგვაქო და თანმხლებ პირს გადაულაპარაკა, ესენი არიან ნამდვილი ქართველი ჯარისკაცები, ნებისმიერი მათგანი მირჩევნია ჯაბა იოსელიანს და მის „მხედრიონს"[84], ხელისუფლებაში რომ მოვალთ, ქართულ ჯარში სწორედ ასეთი პატრიოტი ბიჭები დაგვჭირდებაო. მაშინ პირველად გავიგონე ჯაბა იოსელიანისა და „მხედრიონის" სახელი.

თავდასხმის საფრთხის თავიდან ასაცილებლად „მრგვალი მაგიდის" ლიდერმა საჩხერის რაიონის სოფელ კვერეთში გამგზავრება შემოგვთავაზა, სადაც უკვე შეკრებილიყვნენ ის ახალგაზრდები, რომლებმაც საბჭოთა არმიაში სამხედრო სამსახურზე უარი განაცხადეს.

ვითარებამ მოითხოვა, რომ გადაწყვეტილება სწრაფად მიგვეღო. თუ დავიშლებოდით და ყველა საკუთარ სახლს მიაშურებდა, სამხედრო პროკურატურის ნადავლი გავხდებოდით. ვერც იმას დავუშვებდი, რომ ოფიცერს რიგითი ჯარისკაცები განსაცდელში მიმეტოვებინა და მარტო გამეშვა. ზედმეტი ფიქრისა და განსჯის გარეშე, ბოლომდე გაუაზრებლად, საკუთარი ნებით გავყევი ახალციხიდან კვერეთისკენ მიმავალ ჯარისკაცებით სავსე ავტობუსს ახალი ცხოვრების დასაწყებად. მივდიოდი ერთადერთი ოცნებით – ოდესმე ქართულ არმიაში მემსახურა. როგორ მთხოვდნენ, მაფრთხილებდნენ თბილისიდან ახალციხეში საგანგებოდ ჩამოსული ჩემი მშობლები, არ ენდო მატყუარა დროებას, არ გაჰყვე ხიფათიან გზას, შეიბრალე შენი თავიო... არავის მოვუსმინე.

ბედისწერას ვინ გაჰქცევია?!

---

[82] „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" – ზვიად გამსახურდიას გარშემო გაერთიანებული 7 პოლიტიკური პარტიის (საქართველოს ჰელსინკის კავშირი; სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება; სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება; ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი; საქართველოს ეროვნული ფრონტი – რადიკალური კავშირი; საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი; საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია) ბლოკი, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში. ბლოკმა 1990 წლის 28 ოქტომბრის უზენაესი საბჭოს არჩევნებში 53,99% (81 მანდატი) აიღო და 1990-1991 წლებში საქართველოს მართავდა. ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების შემდეგ (1993 წლის 31 დეკემბერი), ფაქტობრივად, დაიშალა.

[83] ზვიად გამსახურდია – საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი (1991-1992)

[84] „მხედრიონი" – სამხედრო ორგანიზაცია საქართველოში 1989-1995 წლებში. დააფუძნა ჯაბა იოსელიანმა.

ეროვნული მოძრაობის კვალდაკვალ

იმერეთის ტყეებს შეფარებული „ქართული ჯარის“ ჩანასახი

ბნელოდა. უჩვეულო სიმშვიდეს მხოლოდ ჩქარი მდინარის შხუილისა და ტყის ფოთლების შრიალის ხმა არღვევდა. რამდენიმე დღის უძილობითა და დაძაბულობით დაქანცულები სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა მასპინძელმა გულითადად მიგვიღო და მოსასვენებლად საძინებელი ოთახები გამოგვიყო.

მეორე დღეს რა იქნებოდა, ამაზე ფიქრის თავიც არ მქონდა. ჯარისკაცები დავაბინავე, საწოლზე ისე მივეგდე, რომ ტანთ არც გამიხდია და მაშინვე ძილმა წამიღო.

უკვე გათენებულიყო, როდესაც ნაცნობმა ხმაურმა და, ამავე დროს, უჩვეულო ხმებმა გამაღვიძა. თითქოს ისევ ჯარში ვმსახურობდი და ყაზარმაში ვცხოვრობდი. რაზმეულის სამწყობრო სვლით გამოწვეულ ხმაურს ქართული სიმღერის ხმა ერთოდა. სწრაფად წამოვდექი და ფანჯრიდან გადავიხედე, რომ გამეგო, რა ხდებოდა.

სამხედრო ფორმაში გამოწყობილი პირტიტველა ბიჭები სამწყობრო სვლით მიაბიჯებდნენ, თავზე შვიდქიმიანი ვარსკვლავით დამშვენებული შინდისფერი ბერეტები ეხურათ, მკლავს დამოუკიდებელი საქართველოს სამფეროვანი დროშა უმშვენებდათ. მიწიდან 15-20 სმ სიმაღლეზე ფეხსა და ტერფს თითქმის ისევე მართავდნენ, როგორც საბჭოთა არმიის ჯარისკაცები, ოღონდ ცოტა უხერხულად, მეტისმეტი მონდომებითა და სხეულის ზედმეტი დაძაბვით. სამწყობრო ელემენტებს ისეთივე სიზუსტით ასრულებდნენ, როგორც საბჭოთა წესდება მოითხოვდა. ძალიან ჰგავდნენ ნამდვილ ჯარისკაცებს.

ერთი შეხედვით ყველაფერი იგივე იყო, ნაცნობი, ასჯერ და ათასჯერ ნანახი და, ამავდროულად, ახალი და უცხო. თითქოს დაუპატიჟებელ სტუმრებზე შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობდნენ, ქართულად მღეროდნენ სალაშქრო სიმღერას: „ბრძოლის ყიჟინა მოგვესმა, ბრძოლის ყიჟინა მოგვესმა, მშობლიურ მთების ძახილი! ეჰეე! ჰეე! ... ვინც თავი დაიშუროსო და ვინც მტერს ზურგი უჩვენოს, ლეჩაქი დაიხუროსო! ეჰეე! ჰეე!“

თვალებს არ დავუჯერე. ჯარისკაცები მწყობრით მიდიოდნენ და ერთხმად მიიმღეროდნენ ბაში-აჩუკის საბრძოლო სიმღერას. თითქოს „ომით გაუმაძღარი“

არაგველების შთამომავლები, ალგეთის მგლის ლეკვების ახალი თაობა აქ, ზემო იმერეთში გაზრდილიყო; ბრძოლისკენ მიუწევდათ გული, ომში მიეშურებოდნენ. არც აბჯარი ესხათ და არც მახვილი ეპყრათ ხელთ, მაგრამ მზად იყვნენ, იმ დღესვე გაეწირათ მამულისთვის თავი. მსგავსი არაფერი მენახა. „ახალციხელებს“ ჟრუანტელმა დაგვიარა, ისე ლამაზად მღეროდნენ.

თვალს ვერ ვაცილებდი.

ჯარისკაცები სამსართულიანი შენობის კიბესთან შეჩერდნენ და მეთაურის ბრძანებაზე სასადილოსკენ ერთ რიგად გაემართნენ, მაგიდის გარშემო დადგნენ და მცირე პაუზის შემდეგ მოულოდნელად ლოცვა დაიწყეს: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...“ თვალებს არ ვუჯერებდი. სიტყვები – „პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს“, ისევე როგორც მთელი ლოცვა, დახურულ სივრცეში საყდრის ზარივით რეკავდა. ლოცვა ერთი ამოსუნთქვით ნაიკითხეს, ერთხმად წარმოთქვეს „ამინ“, სამჯერ პირჯვარი გადაიწერეს და მაგიდას მიუსხდნენ.

ამ ყველაფერმა სულით ხორცამდე შემძრა. ლოცვა, სამხედრო წესრიგი და დისციპლინა ისე ჰარმონიულად ერწყმოდა ერთმანეთს, რომ საცქერადაც და მოსასმენადაც გასაოცარი იყო.

ჩემ თვალწინ წამიერად გაირბინა საბჭოთა არმიაში განვლილმა წლებმა. ალბათ ათასჯერ მაინც ვყოფილვარ სასადილოში, მაგრამ მსგავს რიტუალში მონაწილეობას სიზმარშიც ვერ წარმოვიდგენდი. ნანახით აღფრთოვანებას ვერ ვმალავდი.

„მიირთვით, შვილებო, ღმერთმა შეგარგოთ!“ – ხანში შესული ქალი სათითაოდ უდებდა თეფშზე კუთვნილ ულუფას ჯარისკაცებს და თან იმერულ კილოზე ლოცავდა. საუზმედ რძიანი ფაფა, იმერული ყველი, თაფლი და კარაქი იყო. მზარეულს ჯარისკაცებისთვის საუზმე ისე საგულდაგულოდ მოემზადებინა, თითქოს შინ საკუთარი შვილიშვილებისთვის გაისარჯაო. ისინიც მადიანად მიირთმევდნენ.

დილის ცხრა საათი სრულდებოდა, როდესაც მორიგემ ჩვეულებრივი სამრეკლოს საეკლესიო ზარი შემოჰკრა და იქ მყოფებს დილის განწესის მოწყობა ამცნო.

ახალციხიდან ახალი ჩასული ჯარისკაცები ოთახებში და სართულებზე იყვნენ გაფანტულები. ადგილობრივები კი პანსიონატის წინ, მოასფალტებულ მოედანზე იკრიბებოდნენ, ხოლო სამორიგეო ოთახში თავშეყრილი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მეთაურების როლის შემსრულებელი ლიდერები დღის განაწესზე თათბირობდნენ.

იქ ყველა თანასწორი იყო.

ყველაფერი კამელოტის მეფე არტურისა და მისი თანამებრძოლი მრგვალი მაგიდის რაინდების შესახებ შუა საუკუნეებში შეთხზულ ლეგენდას ჰგავდა. იმერეთის ტყეებს შეფარებული ახალი დროის რობინ ჰუდები საბჭოთა კანონებსა და წესებს დაუმორჩილებლობას უცხადებდნენ და ლეგენდარული რაინდების მთავარი წესით ცხოვრობდნენ, თავისუფლებისთვის ბრძოლის სურვილით.

ძმობა, თავისუფლება, ბრძოლა – მომაბეზრებელ ერთფეროვნებაში გატარებული წლების შემდეგ თავი ზღაპარში მეგონა.

ადგილობრივ არაფორმალებს პანსიონატის სიახლოვეს, ყოფილი პიონერთა ბანაკის ტერიტორიაზე წვევამდელი ასაკის ზემოიმერელი ბიჭები შემოეკრიბათ და სამხედრო ფორმაში გამოეწყოთ. თავს „ქართულ ჯარს“ ეძახდნენ. რაზმს ადგილობრივი მკვიდრი ბესო ქუთათელაძე მეთაურობდა.

ტანად ახოვანი, ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდა კაცი ირგვლივ ყველას სულიერ მხნეობას მატებდა. კუნთები ისე ჰქონდა ნავარჯიშები, ფოლადისგან ჩამოსხმული გეგონებოდათ. სამხედრო ფორმა, მგონი, მასავით არავის უხდებოდა. ეს სხვებისგანაც არაერთხელ მსმენია.

მიგვიღეს და დაგვაპურეს, შეგვიკედლეს და შეგვიფარეს, როგორც ქართულ სტუმართმოყვარეობას შეეფერებოდა. არსებული წესი და რიგი გაგვაცნეს: „პოლიტიკაში არ ვერევით, არცერთ პოლიტიკურ ძალას და პარტიას არ ვეკუთვნით. მათ, ვინც საბჭოთა არმიაში სამსახურს გაურბის, კვერეთის სამხედრო ბაზაზე ვიფარებთ, არავის მივცემთ მათი დასჯის უფლებას“, – გაგვანდეს თავიანთი მიზანი და მათთან სამსახურის გაგრძელება შემოგვთავაზეს.

ყველა სათითაოდ გავიცანით: დინჯი, მშვიდი, სიტყვაძვირი ვათა ბუღაძე; ენაწყლიანი, კვიმატი გორა კაციტაძე („ორომა“); მუდამ სერიოზული ნოდარ აბჟანდაძე; ახოვანი, გამორჩეულად ძლიერი ჭაბუკა ჭიღლაძე; კეთილი და ენატკბილი პაატა კვიჟინაძე და მუდამ ხმამაღლა მოსაუბრე გოგილო ჭუმბურიძე; ზაზა დეკანოიძე („პლანჩიდო“), მამუკა კაციტაძე, თემურ ჭიღლაძე და გია კუჭაშვილი – ყველა მაღალი ზნეობის, კეთილშობილი და გულისხმიერი. იქვე იყვნენ ბესოს უმცროსი ძმები, სოსო და ზურა ქუთათელაძეები. იქ გავიცანი მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი ძალოსნობაში, სრულიად ახალგაზრდა გიორგი ასანიძეც, წვევამდელები – მიხო და ზურიკო კიპაროიძეები, შოთა ჯოხაძე, ზაზა ჭიღლაძე, პაატა დეკანოიძე, ლერი ენუქიძე, მათი მზრუნველი ზემდეგი ივანე ხახიშვილი („ჯაგა“) და სხვები. სამწუხაროდ, მათგან ბევრი დღეს ცოცხალი აღარ არის.

მიხაროდა, რომ ასეთი ადამიანების გვერდით აღმოვჩნდი.

იმ დროისათვის ეროვნული მოძრაობის ლიდერები წვევამდელებს აქტიურად მოუწოდებდნენ, საოკუპაციო ჯარში სამსახურისთვის ბოიკოტი გამოეცხადებინათ. ახალგაზრდები კანონით დაკისრებული სამხედრო ვალდებულების შესრულებას გაურბოდნენ, უკვე გაწვეულები სამხედრო ნაწილებს ტოვებდნენ და დეზერტირობდნენ. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილებიდან უნებართვოდ წამოსულ ქართველ ჯარისკაცთა რაოდენობა უკვე 1700-ს აჭარბებდა.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრი, არმიის გენერალი იაზოვი სარდლებისა და მეთაურებისაგან ბრძანებით ითხოვდა, ახალგაზრდები საბჭოთა არმიაში იძულებით წაეყვანათ, სამხედრო ნაწილებიდან წამოსულები კი დაუყოვნებლივ უკან დაებრუნებინათ, დეზერტირები დაეკავებინათ და დაესაჯათ. ბოლო პერიოდში ასეთი ჯარისკაცების დაკავებისა და სამხედრო კომენდატურისთვის გადაცემის 25-მდე ფაქტი იყო აღრიცხული. განსაკუთრებული თავგამოდებით ახალციხის მასშტაბური აქციის ორგანიზატორების საკითხს ეკიდებოდნენ, რადგან ეს პირველი პრეცედენტი იყო, როდესაც ჯარისკაცებმა პროტესტის ნიშნად საბჭოთა არმია ასე მასობრივად დატოვეს. ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებდა ის ფაქტი, რომ აქამდე თუ სამხედრო ვალდებულების შესრულებას ჯარში გაწვეული ადგილობრივები გაურბოდნენ, ურჩ პროტესტანტებს სათავეში ახლა უკვე მოქმედი ოფიცრები ედგნენ. მათი დაუსჯელობა სხვა ქართველებისთვის „ცუდი მაგალითი“ იყო, რასაც ამიერკავკასიის ოლქის ხელმძღვანელობა „ახალციხელების“ სამაგალითოდ დასჯას თუ დაუპირისპირებდა.

ჯერ წესიერად დაბინავებულებიც არ ვიყავით, როდესაც ოლქის ხელმძღვანელობის ემისრები კვერეთს ესტუმრნენ და ადგილობრივ არაფორმალ ლიდერებს ჩემი, როგორც ურჩი ოფიცრის, და დეზერტირი ჯარისკაცების დაბრუნებაში ხელ-

შეწყობას სთხოვდნენ. ჭიათურის სამხედრო კომისარიატში მოვლინებულ ჩეკისტებს ამ საქმეში განსაკუთრებით ბესოს დახმარების იმედი ჰქონდათ.

ბესომ საბჭოთა მაიორი სამორიგეო ოთახში მიიღო, რუსულ, ანუ ოკუპანტის, ენაზე პრინციპულად არ დაელაპარაკა და თარჯიმანი დაიხმარა. ეროვნული მოძრაობისთვის დამახასიათებელი ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით ცოტა ცინიკურად, იმერული კილოთი ესაუბრებოდა. შეფარებულების გაცემაზე უარი უთხრა.

ბესოსთან უშედეგოდ დასრულებული მოლაპარაკების შემდეგ საბჭოთა ოფიცერი პირისპირ შემხვდა, ჯერ ისევ საბჭოთა ოფიცერს, და დაბრუნების შემთხვევაში დაუსჯელობის პირობა მომცა. მხოლოდ იმას მთხოვდა, მცირე ხნით მაინც მივბრუნებულიყავი, სამხედრო წესისა და რიგისამებრ დამეწერა დათხოვნის პატაკი, თავდაცვის მინისტრის ბრძანებას დავლოდებოდი და მერე უმტკივნეულოდ წამოვსულიყავი – თუნდაც იმისთვის, რომ არმიაში ნამსახურობის სტაჟი შემენარჩუნებინა. მას თავისი დარდი ჰქონდა: დეზერტირობის გახშირებული შემთხვევების გამო უფროსობასთან ახსნა-განმარტებას ერჩივნა, ოფიცრების მიერ საკუთარი ნება-სურვილით დაწერილი, ჯარიდან დათხოვნის პატაკები დაეკმაყოფილებინა. ამით ხელქვეითებთან მუშაობის უუნარობას შენიღბავდა.

არჩევანის წინაშე დავდექი: ან ახალციხეში დავბრუნებულიყავი და ისევ ისე გამეგრძელებინა ცხოვრება, როგორც მანამდე ვცხოვრობდი, ან ყველაფერი თავიდან დამეწყო. გადაწყვეტილების მიღება მიმძიმდა, მაგრამ ნათქვამ სიტყვას ვეღარ შევცვლიდი და ჯარისკაცებს, რომლებიც მე გამომყვნენ, მარტო ვერ დავტოვებდი. იძულებული ვიყავი, საგანგებო განყოფილების ოფიცერი უარით გამესტუმრებინა.

ჩემდაუნებურად, ასე ვიქეცი ყველაზე მასშტაბური დაუმორჩილებლობისა და აჯანყების მოთავედ, შესაბამისად, საბჭოთა სამხედრო კომენდატურის სამიზნედაც.

■

ას ოცამდე ზემოიმერელი წვევამდელი, რომლებმაც საბჭოთა არმიაში სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევაზე უარი თქვეს, მოსალოდნელი ცვლილებების იმედად დიდი შემართებით გადიოდა სამხედრო სამსახურს კვერეთის ყოფილი პიონერთა ბანაკის ტერიტორიაზე. ხანდახან მშობლები ამოაკითხავდნენ, ბესოს ეკითხებოდნენ, კვერეთში გატარებული თვეები თუ ჩაეთვლებათ სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდადო.

– კარგს ჭამენ, კარგს სვამენ, ლოცულობენ, ვარჯიშობენ, კურორტზე ისვენებენ... ქუჩაში ყიალსა და ბირჟაზე დგომას აქ ყოფნა არ სჯობს?! – ასეთ პასუხს სცემდა ბესო, ოფიციალურ საბუთზე კი დანამდვილებით ვერაფერს ეუბნებოდა. ანდა რა უნდა ეთქვა?!


ნამდვილი ჯარის განწესისგან აქაური საკმაოდ განსხვავდებოდა, სამაგიეროდ შიშველი ენთუზიაზმით დაწყებული საქმისადმი სიყვარული და თავდადება სამაგალითო იყო. „მრგვალი მაგიდის“ ლიდერები ძალიან ამაყობდნენ საჩხერეში ჩასახული და კვერეთში ხორცშესხმული იდეით. ეს ამბავი იმდენად გახმაურდა, რომ ლეიტენანტებმა – დავით აფციაურმა, გიგა ბარათაშვილმა და გია ყურაშვილმა, რომლებსაც სხვადასხვა სამხედრო სასწავლებელი ახალი დამთავრებული ჰქონდათ, საბჭოთა არმია დატოვეს და კვერეთის რაზმს შემოუერთდნენ.



ბესიკ ქუთათელაძე (მიკროფონთან), მამუკა კაციტაძე და ზაზა დეკანოიძე



კვერეთის რაიმი



იქვე ახლოს მდებარე კვერეთის პანსიონატში უამრავ დამსვენებელს მოეყარა თავი – დიდსა თუ პატარას, გოგოსა თუ ბიჭს, მარტო თუ ოჯახთან ერთად ჩამოსულს. ზაფხულის თაკარა სიცხეში თავს მშვენიერ ბუნებას აფარებდნენ. ყოველი მხრიდან სიცილ-კისკისი და მხიარული ჟრიამული ისმოდა. ისვენებდნენ და ერთობოდნენ, ბავშვები თამაშობდნენ, ბიჭები გოგოებს დასდევდნენ, ხანდახან – პირიქით! ბებია-ბაბუები შვილიშვილებს თვალყურს ადევნებდნენ და თან საუბრით იქცევდნენ თავს.

ჩვენთვის, სამოქალაქო ხალხმრავლობას გადაჩვეულებისთვის, ამგვარი სიტუაცია მოულოდნელი აღმოჩნდა. ასევე, მოულოდნელი იყო ჩვენი დანახვა დამსვენებლებისთვისაც. ახლად დაბადებული „ქართული ჯარისა"[85] და ქართველი ჯარისკაცების მიმართ პატივისცემას და სიყვარულს ისინიც არ მალავდნენ.

აქ ყველაფერი იყო, რაზეც ამდენ ხანს ვოცნებობდი: ახალი ურთიერთობები, მშობლიურ ენაზე ლაპარაკი, ჩემი თანატოლი გოგო-ბიჭები და გრძნობის, გატაცებისა და სიყვარულის ასპარეზი. საღამოს სკვერში უამრავ ადამიანთან მიწევდა ურთიერთობა, გოგონებს ვეცნობოდი და ვესაუბრებოდი. თავიდან ჯარისკაცის მოუქნელობა და სიმორცხვე მიშლიდა ხელს, მაგრამ ნელ-ნელა გავშინაურდი.

ყველაფერი თითქმის ისევე კეთდებოდა, როგორც საბჭოთა არმიაში, ოღონდ უფრო გულიანად. დილაობით ისევე დარბოდნენ და ვარჯიშობდნენ; ძირითადად, ფიზიკური და სამწყობრო მომზადება ტარდებოდა. ჯარისკაცები მწყობრად, საზეიმო სვლით დადიოდნენ და თან სალაშქრო სიმღერებს მღეროდნენ. ხან მადლიანად განათებულ მიწა-წყალს უმღეროდნენ, ხან ძველ ხანჯალს, ბრძოლაში გარჯილსა და დახარჯულს, თავისუფალ დროს კი პანსიონატს მიაშურებდნენ ხოლმე.

ერთ-ერთი სამხედრო ნაწილიდან გამოქცეულმა და კვერეთს თავშეფარებულმა თელაველმა ჯარისკაცმა, მეტსახელად „ნუღლამ", შემოგვთავაზა, ლეკებისგან ცხენებს იაფად გაყიდინებთო. ბესომ ხათრი არ გაგვიტეხა და ივნისის ბოლოს ცხენები უკვე გვყავდა.

ბავშვობიდან გამორჩეულად მიყვარდა საჩხერე, აკაკი წერეთლის მშობლიური მხარე. იმ დროიდან მახსოვდა, აქ რომ ვისვენებდი. მართლაც სხვანაირი ქართველები ცხოვრობენ ზემო იმერეთში – გამორჩეულად კეთილი, ენატკბილი, გულისხმიერი, შრომისმოყვარე, სტუმართმოყვარე ხალხი. როგორც გურამ დოჩანაშვილი წერს, იმერეთში დასავლური თავაზიანობა და აღმოსავლური სიალალეა შერწყმული.

უამრავი ადამიანი გავიცანი და დავუმეგობრდი კიდეც.

ხან საჩხერის რაიონის სოფლებს – მერჯევს, მოცვს, სხვიტორსა და ჭორვილას ვსტუმრობდი, ხანაც ჭიათურის უბნებს – ავარიონს, ნაგუთს...

საჩხერეში, მთის წვერზე ციხის გალავნის ნანგრევებია შემორჩენილი. საჩხერლები ამ ადგილს „მოდინახეს" ეძახიან, ისე როგორც მისმა „ნათლიამ", სულმნათმა აკაკი წერეთელმა უწოდა და ულამაზესი სტრიქონებიც მიუძღვნა:

---

[85] რეალურად ეს იყო სამხედრო ფორმაში გამოწყობილი უიარაღო ადამიანების გაერთიანება, რომელიც სამხედრო განწესის მსგავსად ცხოვრებას ცდილობდა. ეს ორგანიზაცია თავის თავს „ქართულ ჯარს" უწოდებდა.

„ღრუბლებში ამაღლებულა,
როგორც ოცნება კაცისა,
შორიდან ასე გგონია,
არც მიწისაა, არც ცისა.
მოდი, ნახე და იცანი,
არც შენ ინანებ, არც ისა“.

იმ დღეს რუს ოფიცრებთან მოლაპარაკებისას მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად კვერეთის საძმო ქალაქის ცენტრში მდებარე ერთადერთ რესტორანში შეიკრიბა. სუფრას, როგორც წესი, ბესო თამადობდა. „ორომა“ ენაკვიმატობით გამოირჩეოდა, გოგილო და პაატა – ენაწყლიანობით. იმერული კილო საუბარს სასიამოვნოდ მოსასმენს ხდიდა. შუა ქეიფის დროს ბესო დინჯად წამოდგა და სადღეგრძელო მოითხოვა. ულაპარაკოდ შეუვსეს სასმისი და სათქმელის მოლოდინში სიჩუმემ დაისადგურა.

– სამშობლოს გაუმარჯოს! – წარმოთქვა და იმის საჩვენებლად, როგორ უნდა გვებრძოლა სამშობლოსათვის, ფეხსაცმელში ჩავარდნილი მუხუდოს მარცვლის მაგალითი მოიყვანა.

– წარმოიდგინეთ, მუხუდოს მარცვალი ფეხსაცმელში რომ ჩაგივარდება, ხიჭვივით რომ შეგერჭობა ქუსლში, მოსვენებას გაკარგვინებს, სიარულში ხელს გიშლის და გტკივა. საბოლოოდ იმ ზომამდე მიჰყავხარ, რომ იძულებული ხდები, ფეხსაცმელი გაიხადო, მარცვალი ამოიღო და გადააგდო. ჰოდა, ჩვენც ნანატრი თავისუფლების მოსაპოვებლად ოკუპანტი სულ ასე უნდა ვაწუხოთ, დამპყრობელს მოსვენება უნდა დავუკარგოთ და შვება არ უნდა მივცეთ, რათა იძულებული გავხადოთ, ერთ მშვენიერ დღეს რუსულმა ჩექმამ, რომელიც ორასი წელია ქართულ მიწას თელავს, აქაურობა ერთხელ და სამუდამოდ დატოვოს.

ადამიანის გონება თვითონ ირჩევს, რა ჩაბეჭდოს მეხსიერებაში. რამდენი ფიქრი, განცდა, მოგონება უმალვე დავიწყებას ეძლევა, ზოგი კი მარადიულად ცოცხლობს და გონებაზე ბატონობს. ჩემი ცხოვრების ორომტრიალშიც ბევრი რამ მიეცა დავიწყებას, ბესოს ეს სიტყვები კი სამუდამოდ დამამახსოვრდა.

ყველამ შესვა სამშობლოს სადღეგრძელო იმ რწმენით, რომ საქართველო აუცილებლად გახდებოდა თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა.

■

ერთი-ორჯერ ბესოსთან ერთად თბილისშიც ჩავედი.

მხოლოდ ახლაღა ვამჩნევდი აზვირთებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ტალღას. თითქოს ამდენი ხანი მძინარეს მეცხოვრა. ფერფლისგან აღმდგარ ხალხს ვხედავდი. როგორც დიდმა ილიამ ერთი საუკუნით ადრე ინინასწარმეტყველა – საქართველოში ახალი დრო დამდგარიყო, ხალხის გამოფხიზლების, აღდგომისა და ბრძოლის ჟამი. აბობოქრებული ხალხი აღარავის და აღარაფერს ეპუებოდა, თავისუფლების გრძნობა და წყურვილი დროშასავით მიუძღოდა წინ.

აჰა, ამ საუკუნეში კიდევ ერთხელ აღსრულებულიყო ამ მართალი კაცის წინასწარმეტყველება: შენ თვალწინ ცოცხლდებოდა მამული შენი – საქართველო. მე-20 საუკუნეში ქართველები უკვე მეორედ იბრძოდნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად.

ეროვნული ლიდერებიდან გამორჩეულად ჭექდა ზვიად გამსახურდიას სახელი. მის სამგზის მოწოდებაში: „დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარ-ჯოს!" და ხალხის სამგზის ომახიან შეძახილში: „...ჯოს! ...ჯოს! ...ჯოს!" – მთელი ერის სურვილი იკითხებოდა.

სათაყვანებელი სარდლისათვის მიძღვნილი, საუკუნეებგამოვლილი ხალხური სიმღერა „შავლეგ, შენი შავი ჩოხა"[86] ეროვნული მოძრაობის ჰიმნად ქცეულიყო.

ამბობდნენ, რომ ყოველთვის, როდესაც ერისთვის გადამწყვეტი ისტორიული მომენტი დგებოდა, ქართველები, თითქოს წმინდანის სულზე ლოცულობდნენ, მტერთან შავლეგის მოხდენილად ბრძოლასა და სისხლში გახამებულ მის შავ ჩოხას უმღეროდნენ... კიდევ მრავალჯერ და მრავალი საუკუნე იმღერებენ, როდესაც სამშობლო განსაცდელში იქნებაო...

ადგილობრივ არაფორმალთა საუბრებს, მსჯელობასა და კამათს ყოველდღიურად ვუსმენდი. ეროვნული მოძრაობის ლიდერის შვილის – კონსტანტინე გამსახურდიას, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარის – ირაკლი წერეთლისა და სხვა სტუმრების პატივსაცემად სოფელ სხვიტორის ფაცხაში გაშლილ სუფრასთან ვიჯექი, მომავლის მათეულ ხედვასა და მოლოდინებს ვეცნობოდი.

სადაც არ უნდა წავსულიყავი, საჩხერეში, ჭიათურასა თუ თბილისში, ისეთ გარემოსა და წრეში ვტრიალებდი, განურჩევლად ასაკისა თუ განათლებისა, ყველა პოლიტიკაზე ლაპარაკობდა. ვინც კი მიტინგზე ერთხელ მაინც იყო ნამყოფი, ვინც ერთი დღე მაინც იშიმშილა, ყველა ქადაგად იყო დაცემული, სხვისგან მოსმენილს საკუთარ ნაფიქრ-ნააზრევად გადმოსცემდა და ისეთ საკითხებზე მსჯელობდა, საერთოდ რომ არ გაეგებოდა: სსრკ-ის მომავალზე, საქართველოს თავისუფლებაზე, საბჭოეთის დაშლაზე და ნატოში გაწევრების პერსპექტივაზეც კი. რას არ მოისმენდი... მაშინ მიკვირდა კიდეც, საუბრობდნენ საქართველოს ახალ გეოპოლიტიკურ როლზე, ქვეყნის, როგორც ფორპოსტის, ფუნქციაზე აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის... მარტო კავკასიელობა უკვე აღარ აკმაყოფილებდათ, ქართველებს ევროპელებადაც მიიჩნევდნენ და თავისუფალი სამყაროს წევრობის შესაძლებლობას განიხილავდნენ; საკუთარი მიწა-წყლის მშვენიერებით შვეიცარიას ედრებოდნენ და კავკასიაში „ახალი შვეიცარიის" შექმნას აპირებდნენ. ერთ-ერთი პარტიის ლიდერი ნატოში შესვლასაც კი ითხოვდა, რაც ბევრს ოცნებაშიც კი წარმოუდგენლად მიაჩნდა.

იქით „მწვანეთა მოძრაობა" კომუნისტების უკანასკნელ „საჩუქარს" – ხუდონჰესის მშენებლობას ეწინააღმდეგებოდა, ეკოლოგიურ კატასტროფას წინასწარმეტყველებდა და ელექტროსადგურის მშენებლობის შეჩერებას ითხოვდა.

სხვები სსრკ-ის ეკონომიკას სამტრედიაში რკინიგზის გადაკეტვით „უთხრიდნენ ძირს" და მათთვის რომ გეკითხათ, ქვეყანას ბორჯომის მინერალური წყლის ექსპორტი შეინახავდა.

თანდათანობით ვწყდებოდი ძველ წეს-ჩვეულებებს და ახალ გარემოს ვეგუებოდი. ჩემთვის აქამდე უცხო თავისუფლების იდეა მათრობდა და თავბრუს მახვევ-

---

[86] ხალხური სიმღერა ეძღვნება შალვა ახალციხელს, XII-XIII საუკუნეების ქართველ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეს. შალვა ახალციხელი თამარ მეფის ვეზირი იყო, ცნობილი სარდალი, არაერთ ბრძოლაში გამარჯვებული. თამარის შვილის, რუსუდანის მეფობის დროს, ხვარაზმელების წინააღმდეგ გარნისის ბრძოლაში (1225 წ.) დამარცხების შემდეგ შალვა ახალციხელი მტერმა შეიპყრო. 1226 წელს ჯალალ ად-დინმა იგი სიკვდილით დასაჯა. შალვა ახალციხელი საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

და. თითქოს ახალი სისხლი გადამისხეს, გარემოებათა გავლენით ყოველდღიურად მეცვლებოდა განწყობა, ხასიათი, დამოკიდებულება. ყოველწუთიერად ნისლივით იფანტებოდა ჩემი წარმოდგენა „თავისუფალ ერთა ძმურ კავშირად" წოდებულ საბჭოთა სახელმწიფოზე. გონებიდან უკვალოდ იშლებოდა მარქსიზმ-ლენინიზმისა და კომუნიზმის იდეოლოგია, წითელი არმიის წესდებები; გულს მითბობდა და გონებას იპყრობდა ეროვნული დამოუკიდებლობის იდეა, რაც სამშობლოს ოკუპაციისგან დახსნისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის წყურვილს მიჩენდა.

ახალი შთაბეჭდილებები აღტაცებას მგვრიდა, სისხლი მაჭარივით მიდუღდა. ბედნიერი ვიყავი და ვხარობდი, მეამაყებოდა, რომ ამ მნიშვნელოვან პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობა მეძლეოდა.

საფიქრალ-სადარდებელიც ბევრი მქონდა: მიტოვებული სამხედრო ხელობა; შემოსავლისა და სარჩო-საბადებლის გარეშე დარჩენილი გზაარეული ცხოვრება; ჩემი არჩევანით განაწყენებულ მამასთან გაფუჭებული ურთიერთობა; და საბჭოთა არმიიდან საპროტესტო-დესტრუქციული ნაბიჯების საპასუხოდ სამხედრო პროკურატურის მიერ ჩემ წინააღმდეგ დაწყებული გამოძიება.

საბჭოთა არმიაში ჩემისთანა დეზერტირთა, პროტესტანტთა და ურჩ წვევამდელთა რაოდენობის ყოველდღიურ ზრდასთან ერთად კვერეთში რუსი ოფიცრების მორიგი მოსალოდნელი სტუმრობა მასპინძლებთან უკვე უხერხულობას მიქმნიდა. საჩხერე-ჭიათურის სამხედრო კომისარიატებიდან ხმა გამოვიდა, რომ კომენდატურის ემისრები სადღაც შორიახლოს დაძრწოდნენ და როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდათ, მაშინვე პასუხს მომთხოვდნენ.

ათასგვარი ჭორ-მართალი მესმოდა, აღარ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი. მუდმივად ჩაფიქრებული დავდიოდი. ვერ გეტყვით, რომ ჟამთა ცვალებადობის დიდად რამე გამეგებოდა, ან ეპოქალური მოვლენების მოახლოების წინათგრძნობა მქონდა, მაგრამ მომავლის განჭვრეტას ვცდილობდი.

ყველაზე მეტად ის მაწუხებდა, რომ მამის თხოვნას ვერ შევასრულებდი. დამოუკიდებელ ცხოვრებას მიჩვეული ადამიანისთვის მეტისმეტად მკაცრი და მომთხოვნი იყო მისგან წერილობით მიღებული ულტიმატუმი: „ან ძველ ცხოვრებას დაუბრუნდები, ან..."

ზღაპრის გმირივით გზაგასაყარზე ვიდექი: თუ იქ დავრჩებოდი და არაფორმალთა გაუკვალავ ბილიკებს გავყვებოდი, საბოლოოდ კისერს წავიტეხდი, თუ უკან დავბრუნდებოდი და ისევ დამპყრობლის არმიაში გავაგრძელებდი სამსახურს, მაშინ – სახელს. არჩევანი უკვე გაკეთებული მქონდა. ხიდი ძველსა და ახალ ცხოვრებას შორის საბოლოოდ და სამუდამოდ ჩატყდა. რაც ვიყავი, ის ვეღარასოდეს გავხდებოდი და სადაც ვიყავი, იქ აღარასოდეს დავბრუნდებოდი. ის ხომ დამპყრობელი იყო, კვლავ მის არმიაში ხომ არ გავაგრძელებდი სამსახურს?!

„Ухожу из рядов вооруженных сил в связи с нежеланием служить в окупационных воисках"[87] – ამაყად დავწერე და პატაკი პოლკის მეთაურს გავუგზავნე. ეგღა მაკლდა, ოკუპანტისთვის ჯარიდან დათხოვნა მოკრძალებულად მეთხოვა, ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობის საბაბით!

[87] Ухожу из рядов вооруженных сил в связи с нежеланием служить в окупационных воисках (რუს.) – ვტოვებ შეიარაღებული ძალების რიგებს, რადგან საოკუპაციო ჯარებში მსახურება არ მსურს.

მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ საბჭოთა კავშირი მალე დაიშლებოდა?! იმ დროს, როდესაც ფრთხილი მამების შვილები ჯერ კიდევ მიდიოდნენ საოკუპაციო ჯარში, საბჭოთა წესდებითა და სამხედრო ფიცით ოკუპანტ ქვეყანას ერთგულებას ეფიცებოდნენ, მე ყველაფერს ვტოვებდი, რაც საკუთარი შრომითა და ოფლით მქონდა მოპოვებული.

თავგადასავლები მწყუროდა. ყველაფერი ხელთ მქონდა, რაც საჭირო იყო: თოფი, ცხენი, ლაბადა, საველე ზურგჩანთა. ტყისკენ მიმიწევდა გული. მოზღვავებულ განცდებთან და არეულ ფიქრებთან განმარტოება მჭირდებოდა.

საბაბიც მქონდა – კვერეთისთვის ხიფათი ამერიდებინა და იქაურობას დროებით გავცლოდი.

საბჭოთა არმიის მემკვიდრეობიდან შემორჩენილი საველე ეკიპირების ნივთები – ზურგჩანთა, კარავი და ლაბადა მოვამზადე, სასადილოდან რამდენიმე დღის საგზალი მოვიმარაგე და აუცილებელ ნივთებთან ერთად ცხენს ავკიდე, მეგზურად ადგილობრივი ჯარისკაცი, ზვიად ჭიღლაძე გავიყოლე და ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმავალი ბილიკით ტყისკენ გავუდექი გზას.

■

ნელა მივდიოდით. შუადღის პირი იყო და ძალიან ცხელოდა. რაც უფრო მაღლა მივიწევდით, ტყე უფრო და უფრო იბურებოდა, მალე შარაგზაც მიილია და სიცხისგან გათანგულებმა გზა ურანა ტყეში ვიწრო, საცალფეხო უსწორმასწორო ბილიკებით განვაგრძეთ.

მალევე გაირკვა, რომ ის შეგრძნებები, წინ რომ გველოდა, ამ წვალებად ღირდა...

ტყიდან გასვლისთანავე ციცქნა მდინარეებით გადასერილ საოცარი სილამაზის მთაგორიან ხეობაში აღმოვჩნდით. მსგავსი არაფერი მენახა. ამ ერთ ციდა ადგილას ყველაფერი იყო: უსწორმასწორო მინდვრები და მდელოები, ცადაზიდული მთები და ხევები, მოჩუხჩუხე ნაკადულები და ანკარა წყაროები. ხარბად ვუმზერდი. ახლა ღა მივხვდი, რატომ ადარებდა აკაკი წერეთელი ცას ფირუზს და ხმელეთს ზურმუხტს.

მდელოსკენ დავეშვით. გადავწყვიტეთ, ორი პატარა მდინარის გასაყარზე მოგვეწყო ბანაკი. ჩვენი თანმხლები არგვეთელი ბიჭი, მეტსახელად „ნიტრა“, თვრამეტი წლის იქნებოდა. სიმაღლით მეტრ-ნახევარსაც არ სცდებოდა. გამხდარი ბიჭისთვის მისი ზომის სამხედრო ფორმაც ვერ შეერჩიათ, გვარიანად დიდი ჰქონდა. მეტისმეტად ზრდილი და თავმდაბალი, იმერული კილოთი მოსაუბრე „ნიტრა“ მეტად კარგი თანამგზავრი აღმოჩნდა.

ციბრუტივით ტრიალებდა, ყველაფერი ეხერხებოდა და ყველაფერი გამოსდიოდა: ჯერ კარვის გაშლას შეუდგა, გარშემო თხრილი შემოავლო და ქვები შემოალაგა წვიმის, ქარისა და ათასგვარი ქვეწარმავლისგან დასაცავად. მერე ფიჩხი შეაგროვა, ცეცხლი გააჩაღა და სახელდახელო სადილის მომზადებას შეუდგა.

შემდეგ მდინარის დინება ქვებით დააგუბა. მთის ძირიდან წვეთ-წვეთად გამოჟონილ, ვიწრო, ნახევარი ნაბიჯის სიგანის დინებაში თევზის ძებნა სასაცილოდ მეჩვენებოდა და, იქვე მხარ-თეძოზე წამოწოლილი, ამ პატარა ბიჭს ვაშაყირებდი – აქ თევზს რა უნდა-მეთქი?!

ვნახავთ, ბოლოს ვინ გაიცინებსო და მოთმინებით ელოდებოდა თევზებს. შემდეგ დავინახე, დაგუბებულ წყალში ერთმანეთის მიყოლებით როგორ აღმოჩნდნენ

ერთი მტკაველი სიდიდის მკვირცხლი, მოუსვენარი კალმახები. წითელი წინწკლები ისე უხდებოდათ, თითქოს კალმით დაახატესო. ყველაზე პატარას და ცელქს „ნიტრამ“ ხელი სტაცა, ამაყად გადმომხედა და უმად გადასანსლა, დანარჩენები კი თხილის შამფურებზე წამოაგო და ცეცხლის გარშემო შემოწყობილ ქვებზე ჩამოალაგა.

მარაგად წამოღებული ორცხობილა ვიღას ახსოვდა! უგემრიელეს კალმახს, შემწვარსაც და მოხარშულსაც, მადიანად შევექცეოდით. იმავე საღამოს კურდღლის დასაჭერი ხაფანგებიც დააგო. „ნიტრას“ მოხერხებულობით აღფრთოვანებას ვერ ვმალავდი.

დღის ბოლოს ამინდი აირია. მოწმენდილი ცა ერთ წამში შავმა ღრუბლებმა დაფარა და ზაფხულის საამო წვიმამ დაუშვა. გაყუჩდა მთაც, ტყეც და მინდორიც. ჩიტებიც დადუმდნენ, მხოლოდ ფოთლებზე წვიმის წვეთების წკაპუნი ისმოდა.

თითქოს იმ დილით დაცინვამ გაანაწყენაო, ერთი ციცქნა მდინარე ნელ-ნელა ადიდდა, კალაპოტში ვეღარ დაეტია და ღვარად წამოვიდა, იფიქრებდი, სათავეში ვიღაცამ დაგუბებული არხი გაუშვაო. წყალი ისეთი სისწრაფით მოთქრიალებდა, რომ თევზები ჰაერში ხტოდნენ და მდელოზე ცვიოდნენ. გაიცსო მდელო წითელ-წინწკლებიანი ჯარით. მათი საცოდაობის შემყურეებს გული გვეთუთქებოდა და უკან, მდინარეში ვაბრუნებდით.

ამასობაში წვიმას საველე კარვისათვის ძირი გამოეთხარა და წყალს ქვეშაგები დაესველებინა. თავის დასაცავად შორიახლოს, მუხის ქვეშ გადავინაცვლეთ, შემდეგ კი გალუმპულები მთელი ღამე ცეცხლთან ვთბებოდით და ვშრებოდით.

დილისკენ, როგორც კი გამოიდარა, მოწმენდილ ცაზე ცისარტყელა გამოჩნდა და გაღმიდან გამოღმამდე გამოანათა. მზემ კაშკაშა სხივები მოჰფინა არემარეს, მინდორი ათასფრად ყვაოდა. მზის სხივებზე ბალახი მწვანედ ხასხასებდა, ფოთლებზე კი ცვარი ოქროსფრად ბრწყინავდა. ყვავილებით მოფენილ მდელოზე უთვალავი სოკო ამოსულიყო და ქოლგებით დარაჯობდა ნამიან ბალახს. ერთი ჯიში განსაკუთრებულად გამოირჩეოდა ყველასგან ქათქათა თეთრ ძირზე დაფარებული ლამაზი ღია ყავისფერი ქუდით.

– ეს ნიყვია, სხვაგან არსად გექნებათ ნანახი, ამ სოკოს სათბურში ვერავინ მოიყვანს. ველური ჯიშია და მხოლოდ უღრან ტყეში ხარობს. ისეთი გემრიელია, შვლის ხორცის გემო აქვს, – მითხრა „ნიტრამ“, სოკოც თხილის შამფურზე წამოაგო და მის შეწვას ნერწყვის ყლაპვით დაელოდა.

„ნიტრა“ ამჯერადაც მართალი აღმოჩნდა. შემწვარი ნიყვი პირში დნებოდა, ასეთი გემრიელი სოკო მართლაც არასდროს მეჭამა.

არგვეთელ ბიჭს ჩემი გაოცება არ ჰბეზრდებოდა. ახლომახლო, ტყეში ხილის ველური ხეები დაელაშქრა: თხილი, პანტა, მაჟალო და ტყის მსხალი დესერტად მოემზადებინა. შევცქეროდი ბუნების სასწაულებს და გემრიელად მივირთმევდი.

დღის განმავლობაში, ძირითადად, ადგილის შესწავლითა და სხვადასხვა მიმართულების ბილიკების დათვალიერებით ვიყავი გართული. ზურგზე თოფმოკიდებული და ცხენზე ამხედრებული, ხანაც ქვეითად ბანაკიდან სხვადასხვა მიმართულებით ათ-თორმეტ კილომეტრს გავდიოდი. ხან ჯავისა და ხან რაჭის გადასასვლელებს ვათვალიერებდი. დღის ბოლოსაკენ სასიამოვნოდ დაღლილი უკან ვბრუნდებოდი.

ერთს ვნატრობდი: ნეტავ, შემძლებოდა, ყველა მთაზე ავსულიყავი და ყველა მდინარე შენახა. საღამოობით ბუნების იდუმალებით ვტკბებოდი და ფიქრებში ვი-

ძირებოდი, ოცნებით დავქროდი და დავფრინავდი. ღია ცის ქვეშ ღამით ფიქრებთან მარტო დარჩენილს სიამაყისა და ბედნიერების გრძნობა მეუფლებოდა.

ყველაფერი გვქონდა, სულო და გულო, რასაც ინატრებდი: მთა-ბარი ნადირითა და ფრინველით იყო სავსე, მდინარე-ნაკადულები – მურწა-კალმახით, ხოლო ტყე – თხილის, კაკლისა და სხვა ხილის ხეებით. აღარ მინდოდა ხმაურიან კვერეთში დაბრუნება.

გარე სამყაროს სრულიად მოწყვეტილი მხოლოდ იმას ვფიქრობდი, რა ლამაზი და ტკბილი ყოფილა მამული, როგორ მომნატრებოდა! ახლაღა შევიგრძენი, რას ნიშნავდა მშობლიური მიწა-წყალი. როგორც იქნა, საკუთარ მიწაზე ვიდექი, მის გულისთქმას ვგრძნობდი და ვაღმერთებდი.

ოდესღაც დიდი და ერთიანი საქართველოს შვილები ახლა დიდებულ წარსულს მივტიროდით, აწმყო და მომავალი კი ბინდით იყო მოცული. წინაპრებმა მოგვიტანეს აქამდე, მათ შემოგვინახეს და ახლა ჩვენ გვევალება, დავიცვათ და გავუფრთხილდეთ მშობლიურ მიწას, რომლის ყოველი გოჯი მათი სისხლით არის გაჟღენთილი და რომელიც ასე შევიყვარე და შევისისხლხორცე...

სამუდამო ფიცს ვდებ: მისი ვარ, მისთვის ვიცხოვრებ და მისთვის მოვკვდები! ერთხელ გავჩნდი და ერთხელ მოვკვდები, მაგრამ მისთვის!

■

ცოტაც და, შემოდგომა დადგებოდა. აღარც მზე იკბინებოდა და ტყეშიც ღამღამობით გვარიანად ციოდა, მაგრამ კვერეთში დაბრუნებას მაინც არ ვჩქარობდი. იქით ძველებურად აღარ მიმიწევდა გული. პერიოდულად კი ჩავდიოდით საკვების წამოსაღებად და ახალი ამბების გასაგებად.

ნელ-ნელა საკურორტო სეზონიც დამთავრდა და დამსვენებლებიც გაიკრიფნენ. დაცარიელდა კვერეთი. აღარც ბავშვების ჟივილ-ხივილი ისმოდა და აღარც გოგოების კისკისი ფორმიანი ბიჭების ყურადღების მისაქცევად. ყოველდღე წვიმდა. ტყეშიც და პანსიონატშიც ყოფნა დღითიდღე მოსაწყენი ხდებოდა. ახალი ადამიანები, ახალი განცდები და ფიქრები მხოლოდ პირველ ხანებშია ახალი. შთაბეჭდილებები, რომლებიც პირველ დღეებში თავბრუს მახვევდა, კვერეთში გატარებული კვირებისა და თვეების შემდეგ თანდათან მოძველდა. აღარც რეალობა მეჩვენებოდა ზღაპრულად: ჩემს წარმოსახვაში რაინდებად შერაცხილი ადამიანები ჩვეულებრივი საჩხერელი ბიჭები აღმოჩნდნენ, ხოლო იქაური დღის განაწესი პიონერთა ბანაკისას უფრო ჰგავდა, ვიდრე სამხედრო სამსახურისას.

თანაც აშკარად გამოიკვეთა ბესოს პოლიტიკური სიმპათია „მრგვალი მაგიდისა“ და მისი ლიდერის, ზვიად გამსახურდიას მიმართ. მრავალგზის გაკეთებული განცხადების მიუხედავად, პოლიტიკაში არ ვერევითო, ჩემს არყოფნაში ერთი ოცეული სამხედროფორმიანი ბიჭები ავტობუსით თბილისში „მრგვალი მაგიდის“ მიტინგზე ჩაეყვანათ. ამის გამო კვერეთის ბანაკის ის მეთაურები, რომლებიც სხვადასხვა პარტიის საჩხერის ორგანიზაციებში იყვნენ განევრებულები, პირად საუბრებში ჩუმ-ჩუმად უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ.

ქართულ ჯარზე მეოცნებე ოფიცერს სრულიადაც არ მხიბლავდა რომელიმე პარტიის გავლენის ქვეშ მოქცევის პერსპექტივა. ის მწირი ინფორმაცია, რასაც თბილისში მიმდინარე მოვლენების შესახებ ტყეში ვიღებდი, ჩემი მცირე პოლიტიკური ცოდნის გამო ბევრს არაფერს მეუბნებოდა.

სექტემბრის დასაწყისიდან მასპინძელმა მეთაურებმა კვერეთში სიარულს მოუკლეს, განწესში სამორიგეოდ მხოლოდ ის ორი ამოდიოდა, ვისაც რიგი უწევდა. უმრავლესობა საჩხერეში საკუთარ სამსახურს დაუბრუნდა, სხვები პოლიტიკურ ორომტრიალში იყვნენ ჩართულები და მოახლოებული არჩევნებისთვის[88] ემზადებოდნენ. „ქართული ჯარის“ ნაქები ბაზა სამ თვეში თანდათან ლტოლვილთა თავშესაფარს დაემსგავსა.

ტყეში ფიქრებსა და ოცნებებში განმარტოებულს სულიერი სიმშვიდე კვერეთის ბანაკში დაუპატიჟებელი სტუმრების გამოჩენამ დამირღვია. პროდუქტებისთვის კვერეთში ჩასულმა „ნიტრამ“ საგანგაშო ამბავი ამოიტანა – ჯაბა იოსელიანს თავისი ბიჭები გამოუგზავნია და საჩხერის გასამხედროებული რაზმის ხელმძღვანელებს საკუთარ მოთხოვნებს უყენებსო. სამხედრო ბანაკი მღელვარებამ მოიცვა.

იძულებული გავხდი, კვერეთში დავბრუნებულიყავი.

ცოტა აღელვებულები მომეჩვენნენ, ცოტა შემკრთალნი, თუმცა არ იმჩნევდნენ. ბიჭები დაბნეულები იყვნენ, იქაურობას არ ტოვებდნენ, მოლაპარაკების დასრულებას ელოდებოდნენ. ბესო და „ორომა“ ოთახში ოთხი უცნობის პირისპირ ისხდნენ და რაღაცაზე მსჯელობდნენ. ხანდახან, როდესაც ხმას აუწევდნენ, გარეთაც გვესმოდა, რას ამბობდნენ.

ჯაბა იოსელიანი, თავისი წარმომადგენლების პირით, კვერეთის გასამხედროებული რაზმის „მხედრიონის“ დაქვემდებარებაში გადასვლას მოითხოვდა, საქართველოში ერთი ლაშქარი უნდა იყოს და ისიც „მხედრიონს“ უნდა დაემორჩილოსო. სამტრედიაში რაღაც თავყრილობა ჩაეტარებინათ, ღია ცის ქვეშ ანთებული სანთლებით ხელში ფიციც მიეღოთ და ახლა ყველასგან იმავეს ითხოვდნენ.

უკვე მესამედ გავიგე ამ ორგანიზაციის ძალიან შთამბეჭდავი საბრძოლო სახელი და მიკვირდა, რატომ იწვევდა ის ადამიანებში აზრთა სხვადასხვაობას.

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც კვერეთში გამოგზავნილ მომლაპარაკებლებს შორის ჩემი ბიძაშვილი (მამის მხრიდან) – თემურ ელისაშვილიც აღმოჩნდა. ის და მისი მეგობარი „ქაქუცა ჩოლოყაშვილის საზოგადოებას“ წარმოადგენდნენ, კიდევ ორნი, გია და დათო ვაშაკიძეები კი – „მხედრიონს“. დედის მხრიდან ჩემი არც თუ შორეული ბიძაშვილებისგან მათთან ნათესაურ კავშირებზეც მსმენოდა, თუმცა მანამდე არ ვიცნობდი.

ბესოსთან საუბრები უშედეგოდ დამთავრდა, მას გამოკვეთილი პოლიტიკური არჩევანი ჰქონდა.

ამ დროს, გზაკვალარეულს, სადღაც ფორმალურობასა და არაფორმალებს შორის გაჩხერილ სამხედრო პირს, სამტრედიის რაიონში კვერეთის ანალოგიური სამხედრო ნაწილის ჩამოყალიბება შემომთავაზეს.

რას არ მეუბნებოდნენ, როგორ არ მარწმუნებდნენ... სრული პოლიტიკური თავისუფლების გარანტიაც მოგვცეს, შესაბამის საყოფაცხოვრებო პირობებსაც შეგვპირდნენ... განსაკუთრებით თემური შემომიჩნდა, რომ იქიდან წავსულიყავი. სული ამიმღვრია და თავგზა ამირია. საბოლოოდ იმასაც დამპირდა, რომ თავადაც ჩემთან ერთად წამოვიდოდა. თემური ჩემზე 12-13 წლით უფროსი იქნებოდა, ცუდს ხომ არ მისურვებდა?!

---

[88] 1990 წლის მარტში საქართველოს პარლამენტმა კონსტიტუცია შეცვალა კომუნისტური პარტიის მონოპოლიის გაუქმების მიზნით და მრავალპარტიული არჩევნების ჩატარება დაამტკიცა. საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები 1990 წლის 28 ოქტომბერს დაინიშნა.

ისევ დამერღვა შინაგანი წონასწორობა და სულიერი სიმშვიდე. მართალია, საბჭოთა არმიის ხელფასიდან მცირე დანაზოგი ჯერ კიდევ მქონდა შემორჩენილი, მაგრამ ცოტა ხანში ისიც გამოილეოდა და ახალგაცნობილი საჩხერლების კმაყოფაზე უდარდელად ცხოვრების გაგრძელება უხერხულად მეჩვენებოდა. ადგილობრივებს სახლ-კარი, ოჯახი, სამსახური, საყვარელი საქმე ჰქონდათ, მე კი საქმეს ჩამოშორებული, უსახლკარო და ცარიელ-ტარიელი ვიყავი. თავის დროზე შემიკედლეს, მიმასპინძლეს და გულის კარი გამიღეს. ახლა დრო იყო, საკუთარი გზისთვის მიმეხედა.

თბილისში ოჯახისთვის დახმარების სათხოვნელი პირი აღარ მქონდა. სხვა გზა არ იყო, ძველსა და ახალგაცნობილ ნათესავებს უნდა წავყოლოდი ბუნდოვანი, გაურკვეველი მომავლისაკენ.

ასე აღმოვჩნდით ხუთი ყოფილი საბჭოთა ოფიცერი და ოცამდე ჯარისკაცი დიდი ჯიხაიშის სპორტული საფეხბურთო ბაზის საცხოვრებელ ფლიგელში. კვერეთის შემდეგ აქ უნდა გაგვეგრძელებინა დამოუკიდებელი ქართული ჯარის მშენებლობა.

კვერეთის ანალოგიური ქვედანაყოფის შექმნის მცდელობა სამტრედიის რაიონში

პირველ დღეებში თითქოს ვცადეთ კიდეც სამხედრო დღის განრიგით დილით ადრე ადგომა, ფიზიკური ვარჯიში, ბაზის საერთო სასადილოში საუზმის წინ ლოცვის წაკითხვა – იმ საეკლესიო რიტუალის ჩატარება, რომელიც კვერეთში ყველას აღაფრთოვანებდა, მაგრამ სამოქალაქო, სპორტული დარბაზის სასადილოში ბავშვებმა უცნაურად რომ შემოგვხედეს, მივხვდით, კვერეთიდან გამოყოლილი სამხედრო-პატრიოტული რომანტიზმისთვის ჯიხაიშის სპორტული კომპლექსი მთლად შესაფერისი ადგილი ნამდვილად არ იყო.

ამ კონკრეტულ, ჩვენთვის სრულიად უცხო, სამოქალაქო გარემოში უაზრავი უსარგებლო თავისუფალი დრო გვქონდა, ბიჭებისთვის დღე ჯოკერის თამაშით იწყებოდა და დომინოთი მთავრდებოდა ან პირიქით. აქაური ცხოვრება ყოველგვარ შინაარსს იყო მოკლებული.

უსაქმოდ ყოფნის ოცი დღის თავზე ჯიხაიშში ჩვენი ჩამოსვლის ინიციატორმა – თემურმა, ვინც ყველაზე მეტად მეიმედებოდა, საერთოდ დაგვტოვა. ძმები ვაშაკიძეებიც, ძირითადად, თბილისში იყვნენ. გათენებიდან დაღამებამდე ვცდილობდით გაგვერკვია, იქ რას ვაკეთებდით და ეროვნული მოძრაობის გამარჯვებაში საკუთარი წვლილი როგორ შეგვეტანა.

გაურკვევლობის მიუხედავად, უცებ გავარდა ხმა ახალი ქართული სამხედრო ორგანიზაციის შესახებ. საბჭოთა ჯარიდან წამოსული ხან ოფიცერი მოდიოდა, ხან რიგითი, მდგომარეობის გაცნობის შემდეგ ზოგი რჩებოდა, ზოგი არა.

კვერეთში ყოფნისას თუ მხოლოდ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები გვაკითხავდნენ ეროვნული მოძრაობიდან, იქ ყველანაირი ცხოვრების წესისა და ყაიდის ადამიანები მოდიოდნენ. მათ შორის ჩვენთვის მანამდე უცხო, უცნობი, „გაგების“ ხალხთანაც გვიწევდა შეხვედრა, მათი არც თუ სასიამოვნო საუბრებისა და ისტორიების მოსმენა, რაც 19-20 წლის ბიჭებს იმდროინდელი არაჯანსაღი განწყობებითა და მისწრაფებებით აავადებდა.

ეროვნულ მოძრაობაში გათიშულობა უკვე დაწყებული იყო. ცოტა ხნის წინ ერთ მუშტად შეკრული ეროვნული მოძრაობის ლიდერები აზრთა სხვადასხვაობის გამო ორ ბანაკად გაყოფილიყვნენ. „მრგვალი მაგიდა“ კომუნისტების მიერ დანიშნულ არჩევნებში გამარჯვებით გეგმავდა საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოყვანას. „ეროვნული კონგრესი“ არჩევნებს ბოიკოტს უცხადებდა და კომუნისტურ ხელისუფლებაზე მუდმივი ზეწოლით აპირებდა საბჭოთა იმპერიის დანგრევას. თავისუფლებისაკენ ორი სხვადასხვა გზით მიმავალნი განხეთქილებაში ერთმანეთს ადანაშაულებდნენ და ექიშპებოდნენ. მეტიც, უკვე ემტერებოდნენ კიდეც...

აღმოჩნდა, რომ სწორედ ამ დაპირისპირების ეპიცენტრში ვიყავით, მათ შორის „საჯილდაო ქვად“ ვიქეცით.

იმ დროს, როცა განსხვავებული გზის მომხრე, საკუთარი მოქმედებების სისწორეში დარწმუნებული ეროვნული მოძრაობის ლიდერები ხალხს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლისკენ, დაუმორჩილებლობისა და ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებდნენ, ვერც კი ამჩნევდნენ, ბედისწერა რა განსაცდელს უმზადებდა ქვეყანას.

ჯერ კიდევ რუსეთის სამეფო ტახტის მიერ ნაჭერ-ნაჭერ სათავისოდ შეკოწიწებულმა ქვეყანამ, იმპერიის გავლენის შესუსტებასთან ერთად, ისევ რუსებისავე ხელშეწყობით, სწრაფად დაიწყო რღვევა. აკი გაუფრთხილებია კიდეც კომუნისტური პარტიის პლენუმზე ცკ-ის პირველ მდივანს, მიხეილ გორბაჩოვს ქართული დეპუტაცია, რომელიც, მისი აზრით, ემოციებზე წამოგებული, 9 აპრილის ბოროტებას არაფორმალთა გულის მოსაგებად გმობდა და სისტემას უპირისპირდებოდა. კიდევ ერთხელ დააყვედრეს ქართველებს 200 წლის წინათ „ნაწყალობევი“ ტრაქტატი და დაემუქრნენ, რა საზღვრებითაც მიგიღეთ, იმ საზღვრებით გაგიშვებთო.

ზუსტად იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკის, მათ შორის, საქართველოს საზღვრებში შექმნილი ავტონომიური ერთეულები ნაღმებად იყო ჩადებული, რომლებსაც მაშინვე აამოქმედებდნენ, როგორც კი სადმე სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის იდეა გაჩნდებოდა.

ჯერ არჩევნები არ იყო ჩატარებული, ეროვნული ძალები ხელისუფლებაში ჯერ არ მოსულიყვნენ, როცა მოსკოვმა მუქარის ასრულება დაიწყო.

აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და სამხრეთ საქართველოში საიდანღაც გაჩნდა სამტროდ შექმნილი პოლიტიკური ორგანიზაციები: „აიდგილარა“, „ადამონ ნიხასი“ და სხვა. აფხაზებმა და ოსებმა ქართველების მიმართ ათწლეულების განმავლობაში გულში ჩათესილი ზიზღი და სიძულვილი უცებ გადმოანთხიეს და ქვეყნის ერთიანობის იდეას ბრძოლა გამოუცხადეს.

ხალხთა შორის კეთილმეზობლურმა და ნათესაურმა ურთიერთობებმა სეპარატიზმის ალაგმვა ვერ შეძლო.

აფხაზეთშიც იგივე ხდებოდა, რაც დანარჩენ საქართველოში, ოღონდ ერთი განსხვავებით – იქით თუ აფხაზები იწყებდნენ თვითგამორკვევისათვის სეპარატისტულ მოძრაობას, აქეთ აფხაზეთის ქართველობას თბილისიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი სულისკვეთება აეტაცა. აფხაზების ერთი ჯგუფი აფხაზური ენის საკითხს აყენებდა და გუდაუთაში შიმშილობდა, მეორე ჯგუფი ბიჭვინთაში მიტინგს აწყობდა. ადგილობრივი ქართველობა, თავის მხრივ, ოჩამჩირესა და გალში მართავდა მიტინგებს.

ჯერ კიდევ 1988 წლის ნოემბერში შექმნილი აფხაზთა სახალხო ფორუმის, „აიდგილარას“ ინიციატივით, ოთხ თვეში, 18 მარტს „ლიხნის მიმართვა“ მიიღეს

და საქართველოსგან აფხაზეთის გამოყოფა მოითხოვეს. ხალხი საქართველოს ხელისუფლებისაგან მომხდარზე რეაგირებას უშედეგოდ ითხოვდა.[89]

ეთნიკურ ნიადაგზე ორივე მხრიდან უკვე დაღვრილი იყო პირველი სისხლი, იყვნენ დაღუპულები, მათ შორის, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი ვოვა ვეკუა, სეპარატისტული მოძრაობის რიგითი წევრის, ვინმე პალბას მიერ ლურსმნიანი ჯოხით მიზანმიმართულად მოკლული. იყვნენ დაჭრილებიც. შსს-ს მილიციის განყოფილებებს იქ შენახული იარაღის გასატანად აფხაზურ რაიონებში – გუდაუთაში, ტყვარჩელსა და ოჩამჩირეში – აფხაზები ესხმოდნენ თავს, ხოლო გალსა და გულრიფშში – ქართველები.

სეპარატიზმი, ეროვნული შუღლი და განუკითხაობა – ასე იწყებოდა აფხაზეთში ქაოსი და არეულობა.

1989 წლის მიწურულსა და 1990 წლის დასაწყისში მოვლენები შიდა ქართლშიც ავბედითად ვითარდებოდა. დღემდე არავინ იცის, საკუთარ სახლში 9 თვის ბავშვის ტყვიით მოკვლის ამბავი, რამაც ეთნოკონფლიქტის გამწვავებას დაუდო სათავე, უბედური შემთხვევა იყო თუ ფარული ძალის მიერ მოწყობილი უმძიმესი პროვოკაცია.

თბილისში ისეთი ხმები გავრცელდა, რომ 8 დეკემბრის ღამეს ცხინვალის რაიონის სოფელ ფრისში ნიკორიშვილების ოჯახს შეიარაღებული ბრბო მიუვარდა და თავდამსხმელებმა 9 თვის ბავშვი აკვანში იარაღით ჩაცხრილეს. იმასაც ამბობდნენ, რომ იმავე დღეს ოსი სეპარატისტები ქართულ სოფლებს – ხეითს, კეხვს, ქურთასა და ძარწემს დაესხნენ თავს და ააწიოკეს. სინამდვილეში ვინ იცის, რა იყო ტყუილი და რა – მართალი?!

ვითარება ყოველდღიურად მწვავდებოდა.

მეოცე საუკუნეში ოსები უკვე მეორედ აჯანყდნენ და დამოუკიდებლობისკენ მიმავალ საქართველოს რესპუბლიკას ამჯერადაც ზურგში ჩასცეს ლახვარი. ისინი დამოუკიდებელ ერთიან საქართველოში ცხოვრებაზე უარს აცხადებდნენ.

1990 წლის 9 სექტემბერს ცხინვალში საოლქო საბჭოს არჩევნები ჩატარდა, 20 სექტემბერს პირველივე სხდომაზე საბჭომ ერთხმად მიიღო დეკლარაცია და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად – საბჭოთა კავშირის მეთექვსმეტე რესპუბლიკად გამოაცხადა.

მაშინ ამას თბილისში სერიოზულად არც აღიქვამდნენ.

ვითარება გართულდა ე. წ. თურქი მესხების საკითხზეც: ჯერ კიდევ სტალინის მმართველობის დროს სამხრეთ კავკასიიდან უზბეკეთში დეპორტირებული ათიათასობით თურქი მესხი რუსების წაქეზებით წითელ ხიდს იყო მომდგარი და ისტორიული მესხეთის მიწაზე დაბრუნებას ითხოვდა. დიდი ანალიზი არ სჭირდებოდა იმას, რომ მათი ლიდერები რუსების წაქეზებით მოქმედებდნენ.

---

[89] 4 აპრილს თბილისში მანიფესტაცია დაიწყო „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების" ინიციატივით. „მთავრობის სახლთან" მომიტინგეები თავდაპირველად აფხაზურ სეპარატიზმს დაუპირისპირდნენ, მაგრამ 6 აპრილიდან ძირითად მოთხოვნად უკვე ეროვნული დამოუკიდებლობის მოთხოვნა იქცა მიტინგი 5 დღე-ღამეს გაგრძელდა. ახალგაზრდების დიდმა ჯგუფმა შიმშილობა გამოაცხადა რუსთაველის პროსპექტი გადაიკეტა. დაიწყო საგაფიცვო მოძრაობა. 9 აპრილს, ღამის 4 საათზე საბჭოთა კავშირის ჯარმა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია მხუთავი აირის, ორლესული ნიჩბებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით დაარბია. შედეგად 21 ადამიანი დაიღუპა.

აფხაზური და ოსური სეპარატიზმიც მოსკოვიდან იყო მხარდაჭერილი – ჩრდილოელი მეზობელი დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის გამო გვსჯიდა.

ეროვნული მოძრაობის ლიდერებიც აცნობიერებდნენ, რა საშიში ტენდენციები იკვეთებოდა, ამის მიუხედავად, ხალხს სისტემასთან ბრძოლისა და დაუმორჩილებლობისკენ ისევ ჩვეული რიტორიკით მოუწოდებდნენ. ყოველი მხრიდან ისმოდა: „ძირს ოკუპანტები!“ „საოკუპაციო ჯარებმა დატოვონ საქართველო!“ „დაუმორჩილებლობა ოკუპანტებს!“ და ა. შ.

ჩვენთვის „მრგვალი მაგიდის“ ლიდერების საბჭოთა სისტემისადმი ხალხის დაუმორჩილებლობისა და საოკუპაციო ჯარებთან ბრძოლისაკენ ხისტი მოწოდებები ბევრად უფრო მკაფიოდ და იმედიანად ჟღერდა, ვიდრე „ეროვნული კონგრესის“ მიერ არჩეული ბუნდოვანი გზა.

ერთადერთი, რაზეც, პრაქტიკულად, ყველა თანხმდებოდა, ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილი იყო, თუმცა მათი უმრავლესობა – ვინც ჯერ კიდევ ეგუებოდა მკაცრ საბჭოთა სისტემას ან შიშობდა და სიფრთხილეს იჩენდა – ბრძოლის წინა ხაზზე გამოსვლას არ ჩქარობდა. მათთვის, ვისაც უკან დასახევი გზა არ ჰქონდა, ეროვნული მოძრაობის გამარჯვება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო.

საბჭოურ ყოფასთან დასაპირისპირებლად უამრავი მიზეზი ჰქონდათ: ჯარში ფუჭად გატარებული ახალგაზრდული წლების გამო, გაყალბებული ისტორიის, დამცირებული და დაპყრობილი სამშობლოს გამო... წინა ცხოვრებასთან იმხელა უფსკრული აშორებდათ, რომ ძველ სისტემას ვეღარ ურიგდებოდნენ.

ქვეყანაში გაჩაღებულმა ბრძოლის ყიჟინამ უამრავ ახალგაზრდას თავგზა აუბნია და იარაღისადმი ლტოლვა გაუჩინა. არაფორმალები იარაღის შესაძენად ორგანიზაციებსა და კოოპერატივებში დიდი გულმოდგინებით კრებდნენ ფულს და ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებოდათ, იარაღს დაეძებდნენ – კინოსტუდიებში, მუზეუმებში, კერძო კოლექციებში... სანადირო თოფებით, სამუზეუმო დამბაჩით, „შმაისერით“, ნაგანით, მაუზერითა და ერთი-ორი რევოლვერით შეიარაღებულები „დამარიაჟობდნენ“, თითქოს ოკუპანტის წინააღმდეგ ომისთვის ემზადებოდნენ.

როცა რომელიმე არაფორმალი თავმომწონედ საკუთარ იარაღს გამოაჩენდა, უნდა გენახათ, ახალგაზრდები როგორი ხარბი თვალებით შესცქეროდნენ და სთხოვდნენ, რომ წუთით მაინც მიეცათ ხელში დაჭერის უფლება.

იარაღის ფლობის სურვილი ისე სენივით იყო მოდებული ახალგაზრდობასა თუ შუახნის მამაკაცებში, რომ ზოგიერთს სიცოცხლის ფასადაც კი უღირდა მისი მოპოვება. ვაჟკაცობის საზომი ხომ ქართველისთვის იარაღით ხელში სამშობლოსთვის ბრძოლა იყო ყოველთვის.

უკვე აღარც იცოდი, სად გადიოდა ზღვარი თავისუფლებასა და თავაშვებულობას შორის, შესაძლოა კრიმინალურ გარემოშიც მოხვედრილიყავი, ხოლო კანონდარღვევა გმირობად მოგჩვენებოდა.

ერთხელ ახალციხიდან წამოსულმა ჯარისკაცმა გოჩა ტყემალაძემ გაიხუმრა, იარაღი თუ გინდათ, ყველა ქალაქსა და სოფელში, საბჭოთა არმიის სამხედრო ნაწილში მაგის მეტი რა არისო. ამ მაცდურმა აზრმა ყველას სიმშვიდე დაურღვია და გონება აუმღვრია...

მოკლედ, ოკუპანტების სიძულვილით შეპყრობილმა საბჭოთა არმიის ათამდე ყოფილმა სამხედრო მოსამსახურემ მალევე მიიღო სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე შესვლის და საყარაულო შენობიდან იარაღის გამოტანის გადაწყვეტილება.

გამბედაობას მათ ისიც მატებდა, რომ შესანიშნავად მოეხსენებოდათ საყარაულო სამსახურის განწესი, შესაბამისად, ზუსტად იცოდნენ, რა უნდა მოემოქმედებინათ და როგორ გაეუვნებლებინათ სწრაფად გუშაგები.

ყველა იქ მყოფს ასჯერ და ათასჯერ გაეტარებინა უძილო ღამე ყარაულში. თავგადასავლის ძიებაში რამდენჯერ უნატრიათ, პოსტზე თავდამსხმელი ან სამხედრო დამნაშავე დაეკავებინათ და სამხედრო ჯილდო დაემსახურებინათ. მაშინ სხვა დრო იყო, ახლა კი გმირობა თავდამსხმელის თავზეხელაღებულობა, სიმამაცე და გამბედაობა უნდა გამხდარიყო.

შესაფერისი დრო ორი ფაქტორის გათვალისწინებით განისაზღვრა: პირველი – ღამენათევი ადამიანის ორგანიზმი ალიონზე ყველაზე მეტად არის მოდუნებული, რაც საკუთარი გამოცდილებით ზუსტად იცოდნენ, თავადაც ჯარში საგუშაგოზე მორიგეობისას სწორედ გამთენიისას ეძინებოდათ ყველაზე მეტად; და მეორე – წესდების მიხედვით, ვის რა დროს ჰქონდა ძილისა და თვლემის უფლება.

ტერიტორიაზე მხოლოდ ექვსი მათგანის შესვლა გადაწყდა, ისინიც უშიშრად გაემართნენ ათას ხუთასი კაცის წინააღმდეგ. არადა მხოლოდ ერთი ნაგანისა და ერთი „რაკეტნიცას“ ანაბარა იყვნენ. და კიდევ, რაც მთავარია, საბრძოლო ჟინის. ეს არ იყო შურისძიება, იმ დროს ამაზე არავინ ფიქრობდა. მხოლოდ ერთი რამ ამოძრავებდათ – იარაღი სჭირდებოდათ ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლაში.

ზაფხულის ცხელი ღამე იდგა.

ზღვის პირას დისლოცირებულ სამხედრო ნაწილს მშვიდად ეძინა, მხოლოდ გარნიზონის ყარაული ფხიზლობდა. საყარაულო წესდებით, იმ დროს, როდესაც ერთი ცვლის გუშაგები პოსტებზე იარაღმომარჯვებული საბრძოლო და სანივთე საწყობებს იცავენ, მეორე ცვლა საყარაულო ოთახში მორიგეობს, მესამე – დასასვენებელ ოთახში ორი საათით ატყუებს თვალს.

გეგმის შემუშავებაზე დიდი დრო არ დაუკარგავთ. ტერიტორიაზე განთავსებული შენობების განლაგება ზუსტად იცოდნენ, ერთ-ერთ ზემდეგს სულ ახლახან დაეტოვებინა ნაწილი და ყველა ინფორმაცია გამოეტანა. რაც შეეხება საყარაულო სამსახურს, საბჭოთა არმიაში ყველგან ერთნაირი იყო, იქ მხოლოდ მოვალეობას იხდიდნენ.

შესვლის წინ კიდევ ერთხელ გადახედეს ერთმანეთს და პირჯვარი გადაიწერეს, ღმერთს შემწეობა შესთხოვეს და ხმადაბლა გაიმეორეს: „ღმერთო, შეგვეწიე, გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“. რიგრიგობით, ინტერვალის დაცვით ღობეს გადაევლნენ და საყარაულო შენობას მიაშურეს.

ტანთ ყველას საბჭოთა საველე ფორმა და ქურთუკი ეცვა, თავზე ხუთქიმავარსკვლავიანი ქუდი ჰქონდა ჩამოფხატული შუბლისა და თვალების დასაფარად.

მღელვარებისგან გული გამალებით უცემდათ, სახეზე ფერი არ ედოთ და მუხლები უკანკალებდათ. პატრიოტიზმს დაებინდა მათი გონება და შესაძლო შედეგზე არც კი ფიქრობდნენ. ბნელოდა, მხოლოდ კარის თავზე ენთო ერთი ნათურა. დაუპატიჟებელი სტუმრები კართან ისე დადგნენ, რომ საყარაულოდან მარტო ფარაჯის სამხრეები გამოჩენილიყო და კარზე დააკაკუნეს.

რამდენიმე წამში კარს იქიდან დაღლილი, ნამძინარევი ხმა მოისმა:

– Кто там?

– Картошку жаренную из кухни прислали, откройте! – გამართული რუსულით უპასუხეს აქედან.

– Е-твой, нашли время под рассвет картошку присылать, могли пораньше прислать, всю ночь прождали.[90]

კიდევ რაღაც ჩაიბურტყუნა, მერე ურდული გადასწია და კარს მიღმა აყლაყუდა, ფიზიკურად არც თუ სუსტი წითელარმიელი გამოჩნდა. ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა. კარის გაღებისთანავე ერთ-ერთმა, სახელად მიხომ, ჯარისკაცი ძირს დააგდო. მეორე იარაღის შესანახ ოთახში შევარდა, მას დანარჩენი სამიც მიჰყვა და მოულოდნელობისგან დაბნეული წითელარმიელები რამდენიმე წამში უკვე განიარაღებულები იყვნენ, ისე რომ ყარაულის უფროსმა ოფიცერმა დასასვენებელი ოთახიდან გამოსვლაც კი ვერ მოასწრო.

როდესაც ამ ამბავზე ვწერდი, უცებ ყველაფერი თვალწინ წარმომიდგა და უცნაურმა შიშმა შემიპყრო. ხომ შეიძლებოდა, ეს თავხედური თავდასხმა სხვაგვარად დასრულებულიყო?! ერთი ტყვიაც რომ გავარდნილიყო, სისხლის გუბეები დადგებოდა, ხოლო მათ, ვისაც ცოცხლად აიყვანდნენ, ხანგრძლივი პატიმრობა ელოდათ. უკან დაბრუნება რომ შეიძლებოდეს, აუცილებლად შევძახებდი, შევაჩერებდი, რომ უგუნურ განზრახვაზე ხელი აეღოთ, მაგრამ მაშინ ასეთი დრო იყო. აღარც ოკუპანტის მიერ დაწესებულ და არც სხვა კანონებს აგდებდა ვინმე რამედ. ვითარება თვითონ განაპირობებდა დაუწერელი წესებით მოქმედებას.

საბედნიეროდ, იმ დღეს იღბალი მათ მხარეს აღმოჩნდა.

დიდ ჯიხაიშში დაბრუნებულები ყველა ნაცნობისა თუ უცნობისგან მილოცვებს იღებდნენ, სიმამაცეს უქებდნენ და კეთილი შურით შურდათ მათი.

■

იმ დღიდან ჩვენი ცხოვრება საერთოდ შეიცვალა.

სპორტული კომპლექსის თავზე პერიოდულად რუსული შვეულმფრენი ჩნდებოდა. რისთვის? – ძნელი მისახვედრი არ იყო.

ყოველდღე ახალ-ახალი ადამიანები გვაკითხავდნენ, ახალ იდეებს გვაწვდიდნენ. აქამდე თუ თვითონ ვიყავით შემთხვევითობის მსხვერპლნი და მძევალნი, ახლა ჩვენვე დავიწყეთ თავგადასავლების ძიება და იქ გაცნობილი ადამიანების მაცდუნებელ აზრებზე აყოლა.

გასაკვირი სულაც არ იყო, რომ თავისუფლებისა და თავაშვებულობის ზღვარზე სიარულს მასპინძლების დამსახურებული რისხვა მოჰყვა და ჩვენი გზებიც გაიყო. ამის მიზეზი კი მერეღა გაირკვა: იარაღის გატაცებაც და ჩვენი ყველა მოქმედება თურმე „მხედრიონს“ დაბრალებოდა.

იქიდან წამოსულები, თითქმის ერთი თვე ხან გუმბრინის ტყეში მიტოვებულ კოტეჯს ვაფარებდით თავს, ხან სურების ტყეს და საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ხელით საბჭოთა არმიის ხელმძღვანელობის შურისძიებას ვემალებოდით.

---

[90] დიალოგი: – Кто там? – Картошку жаренную из кухни прислали, откройте! – Е-твой, нашли время под рассвет картошку присылать, могли пораньше прислать, всю ночь прождали (რუს.) – ვინ არის? – სამზარეულოდან შემწვარი კარტოფილი გამოგიგზავნეს, კარი გააღეთ! – კაი დროსაა, შეგეძლოთ ცოტა ადრე გამოგეგზავნათ, მთელი ღამე გელოდებოდით.

ქვეყანაში გამეფებული სახიფათო იდეოლოგიები

ეროვნული ძალების ხელისუფლებაში მოსვლა და შეიარაღებული დაჯგუფებების მომრავლება

1990 წლის ოქტომბერი იდგა.

ვინ იცის, თავისუფლებისაკენ მიმავალთ, გზასაცდენილებსა და თავგამეტებულებს, წინ რა განსაცდელი ელოდათ, 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩევნებში სასწაული რომ არ მომხდარიყო: კომუნისტები დამარცხდნენ და ხელისუფლებაში უმრავლესობით ეროვნული ძალები მოვიდნენ. პირველივე სესიაზე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ ზვიად გამსახურდია აირჩიეს. ქვეყანას „საქართველოს რესპუბლიკა“ ეწოდა. ოცნებას თავისუფლებაზე ფრთები ესხმებოდა. ეს დიდწილად ეროვნული მოძრაობის, განსაკუთრებით ზვიად გამსახურდიას და მისი თანამებრძოლების დამსახურება იყო, მადლობის მეტი რა გვეთქმოდა, მათმა ბრძოლამ და 9 აპრილს დაღვრილმა სისხლმა შედეგი გამოიღო.

მაშინ ვინ წარმოიდგენდა, რომ საბჭოთა კავშირი ძალიან მალე 15 ნაწილად დაიშლებოდა?!

ახლა უკვე შემეძლო, შინ დავბრუნებულიყავი, საკუთარი მომავალი თვითონვე გამომეჭედა. უკან დარჩა საბჭოთა არმიაში ფუჭად გატარებული ახალგაზრდული წლები და წყალში ჩაყრილი შრომა. სამაგიეროდ ახალი და სანუკვარი ოცნება გაჩნდა – ოდესმე ქართულ ჯარში სამსახური მღირსებოდა.

სახლში ზუსტად იმ დროს ვბრუნდებოდი, როცა ქვეყანას ყველაზე მეტად სჭირდებოდა ჩემი თავი და ხელობა. საქართველო შინააშლილობისა და მოსისხლეობის ასპარეზად იყო ქცეული. სამშობლოს უამრავი საფრთხე ემუქრებოდა, უამრავი მტერი ჰყავდა, შიდა თუ გარე, ხილული თუ უხილავი.

ტყიდან გამოსულებს თბილისში, გორგასლის ძეგლთან, მილიციის ბლოკპოსტზე მანქანა გაგვაჩერებინეს და, როგორც „არაკანონიერი სამხედრო ჯგუფის მეთაურს“, „მთავრობის სახლში“ გაყოლა მომთხოვეს. ახალ მთავრობაში თურმე არაოფიციალური შეიარაღებული ჯგუფების საკითხს თავდაცვის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე თენგიზ კიტოვანი კურირებდა. სწორედ მასთან მივყავდით, რომ ჩვენი ბედი გადაეწყვიტა.

ეს ჩემი პირველი სტუმრობა იყო უზენაესი საბჭოს შენობაში. იმ დღეს გავიცანი თენგიზ კიტოვანი. ჩემი სამხედრო ბიოგრაფია და ჯარიდან წამოსვლის მიზეზი მოვუყევი, შემდგომში თავს გადახდენილი ამბები ვუამბე და უანგარო სამსახური შევთავაზე. დიდ პატივად მივიღე, როცა საბურთალოს ქუჩაზე სამთავრობო გარაჟში, ერთ ოთახში დაბანაკება და მოპირდაპირე მხარეს მდებარე ინსტრუმენტული ქარხნის გარე პერიმეტრის დაცვა შემომთავაზა. შიდა პერიმეტრს უშუალოდ კიტოვანთან დაახლოებული პირები იცავდნენ. იმ დღიდან იქ დავიდეთ ბინა და რიგრიგობით, მორიგეობით ვცდილობდით, მაქსიმალური პასუხისმგებლობით შეგვესრულებინა პირველი დავალება.

ამ ობიექტის დასაცავად, რომლითაც თვით კიტოვანი იყო დაინტერესებული, ათობით უცნობი სამხედრო პირის გამოჩენამ პოლიტიკურ პარტიებთან დაახლოებული შეიარაღებული ფორმირებებისა და ეროვნული მოძრაობის „სტაჟიანი“ წევრების ყურადღება მიიპყრო. ჩვენი ამბები ბევრს აინტერესებდა, ყოველდღიურად ახალ-ახალ ადამიანებს ვიცნობდი.

პოლიტიკურ გაერთიანებებთან არსებობდა სხვადასხვა გასამხედროებული ჯგუფი: ზვიად გამსახურდიას გარშემო გაერთიანებული პოლიტიკური პარტიების ბლოკში „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ შემავალი გასამხედროებული ორგანიზაციები: „თეთრი გიორგი“, „ფარი“, „ავღანელთა კავშირი“, „ქართველ შევარდენთა ლეგიონი“ და „ჯოსტავას საზოგადოების“ გასამხედროებული რაზმი. ამათ გარდა, სავაჭრო პალატის ხელმძღვანელის, თამაზ გველესიანის ხელშეწყობით შექმნილ არასამთავრობო ორგანიზაციას – „ფლორისა და ფაუნის დაცვის საზოგადოებას“, რომელსაც „ჩიტო-გვრიტოდ“ მოიხსენიებდნენ, ბალანსზე შსს-დან მიღებული 200-ზე მეტი АКСУ-ს[91] ტიპის ავტომატი ერიცხებოდა. მას ზაზა დუმბაძე ხელმძღვანელობდა. ნოდარ ნათაძის „სახალხო ფრონტთან“ არსებობდა გასამხედროებული ფორმირება „იმედი“. იყო სხვა ჯგუფებიც.

სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხებზე იმდროინდელი ხედვა კარგად ჩანდა იმ პოლიტიკოსების საუბრებიდან, რომლებიც ეროვნული მოძრაობიდან პირდაპირ ხელისუფლებაში მოვიდნენ. ენა ხმალივით უჭრიდათ, საქართველოს ისტორიაც იცოდნენ და ილიას, ვაჟას და აკაკის ციტატებსაც ხშირად იმოწმებდნენ. თავისუფლების მოპოვების ერთადერთ საშუალებად იარაღი მიაჩნდათ და მშვიდობიან ცხოვრებას ომში სისხლისღვრა ერჩივნათ. მათი აზრით, 9 აპრილის ღამეს დაღვრილი სისხლი რომ არა, საქართველო დამოუკიდებელი ვერ გახდებოდა და ვერც საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა. უფრო მეტიც, იოლად, უსისხლოდ მოპოვებული თავისუფლება ფასეულად არ მიაჩნდათ: თავისუფლება სამშობლოსათვის გაღებული სისხლით იზომებაო; ძალით უნდა გამოსტაცო მტერს, რომ მისი დაცვისა და გაფრთხილების ვალდებულება გაგიჩნდესო.

ერთსა და იმავეს იმეორებდნენ, არც დევთან გამარჯვებული ნაცარქექიას ამბავი ახსენდებოდათ და არც ხალხური ნათქვამი, ხერხი რომ სჯობია ღონესა. „მონობაში უქმად ცხოვრებას, სმა-ჭამას თავისუფლებისთვის ბრძოლა სჯობსო; აბა რისთვის აქვს მეომარს იარაღი, თუ ვაჟკაცურად არ იბრძოლაო; როგორ უნდა ცხონდეს, თუ თავი არ შეაკლა იმას, ვინც მის მამულს აზიანებსო; სამშობლოსათვის სიკვდილი ხომ რჩეულთა ხვედრია, მხოლოდ ამგვარი გმირი რჩება ხალხის ხსოვნაში, იქ საიქიო ცხოვ-

[91] АКСУ (Автомат Калашникова складной укороченный) – კალაშნიკოვის ავტომატი დასაკეცი კონდახით და დამოკლებული ლულით

რება ელის, აქ კი – სანეტარო სახელიო", – სადღეგრძელოსავით წარმოთქვამდნენ და საკუთარი სიმამაცის წარმოსაჩენად ჩვენ, ყოფილ სამხედროებს გვამუნათებდნენ. „ლაჩარია, ვინც მტერს ცოცხალი ჩაბარდება"; „ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერის" ნაცვლად, „სადაც ვიწროა, იქ გაწყდესო!" – გაიძახოდნენ. სიკვდილს არ ცნობდნენ, ისე იოლად ახსენებდნენ, თითქოს მასთან დამოყვრებას ნატრობენო.

თითოეული მათგანი მზად იყო, სამშობლოს თავისუფლებისათვის უპირობოდ, დაუფიქრებლად შეეწირა სიცოცხლე, ერთი კი არა, ათი სიცოცხლე რომ ჰქონოდა, ათჯერ შესწირავდა თავს. იმაზე კი არ ფიქრობდნენ, რომ ამას ერთზე მეტჯერ ვერაფრით მოახერხებს ადამიანი.

მათი პატრიოტიზმი რესტორანში ქეიფისას, გარდაცვლილ გმირთა პატივსაცემად „შავლეგოს" შეკვეთაში გამოიხატებოდა. შეზარხოშებულები ფეხზე დგებოდნენ, როგორც სახელმწიფო ჰიმნს შეეფერება, გულზე ხელს იდებდნენ და თვითონაც იწყებდნენ სიმღერას.

სხვა დროება იდგა. სხვა სულისკვეთება სუფევდა.

ყველა, ვისაც კი პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ცხოვრების თავაშვებულობამ ხელში იარაღი ააღებინა, თავს ვალდებულად თვლიდა, ახალაღმოჩენილი საფრთხეების განეიტრალებაზე ეფიქრა, სეპარატისტების მოქმედებების ალაგმვაზე ეზრუნა. სამხედრო ფორმა, იარაღი და შემართება, ეროვნულ მოძრაობაში შეძენილი გამოცდილება და სეპარატისტულ რეგიონებში მიმდინარე პროცესების დეტალების ცოდნა ამ არაფორმალების საუბარსა და მსჯელობას ისეთ დამაჯერებლობას მატებდა, რომ შეუძლებელი იყო, მათი მუხტი არ გადმოგდებოდა.

იმ დროისთვის დამახასიათებელი ნაციონალისტური აზრები და განწყობები ყველაზე უკეთ თვითდინებაზე მიშვებულ სამხედრო-პოლიტიკურ ნაბიჯებში იკითხებოდა. როგორც კი ცხინვალიდან „მრგვალი მაგიდის" შტაბებსა თუ რომელიმე სახელმწიფო უწყებაში ნებისმიერი ჭორ-მართალი ჩამოაღწევდა, უმალ განგაში ცხადდებოდა. ხან სავაჭრო პალატის აპარატიდან გვირეკავდა ზაზა დუმბაძე, ხან „სახალხო ფრონტის" ოფისიდან – ჯემალ გუნდიშვილი და საგანგებო დავალების შესასრულებლად რაზმის გამოცხადებას ითხოვდნენ.

დიღმის მასივის გასასვლელში ვიკრიბებოდით ხელისუფლებასთან დაახლოებულად მიჩნეულ ზემოჩამოთვლილ პირებთან ერთად. საწვავის თანხას იქ გადმოგვცემდნენ და ცხინვალიდან მიღებული საგანგაშო ცნობის საფუძველზე, როგორც შეიარაღებით გამორჩეულებს, კოლონასთან ერთად გორში ჩასვლას ჩვენც გვთხოვდნენ.

სამხედრო წეს-კანონებზე აღზრდილი, ისევე უსიტყვოდ ვიღებდი მათ დავალებას, როგორც სამხედრო და პოლიტიკური ხელმძღვანელობისგან მივიღებდი. თბილისიდან გორამდე კოლონას ბოლოში ისე მივყვებოდით, როგორც საბჭოთა არმიაში გვქონდა ნასწავლი და გვეამაყებოდა კიდეც. ხუმრობა ხომ არ იყო, არა საბჭოთა მეთაურების, არამედ ეროვნული ხელისუფლების დავალებას ვასრულებდით!

გორში „ილია მართლის საზოგადოების" ოფისში გამოყოფილი ოთახის იატაკზე წამოგორებულები დიდი მოთმინებით ველოდებოდით ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარის კაბინეტში შეკეტილი ნაცნობი თუ უცნობი ხალხის თათბირის დასრულებას.

ასე გავიცანი „მრგვალი მაგიდის" და „სახალხო ფრონტის" წარმომადგენლები: ნანატრი ჩიტიშვილი, გურამ ღარიბაშვილი, ვახო ბურდული, გოგია ფხვენი-

სელი, ნუკრი ჭეიშვილი, გოგი თამლიანი, გია ციბაძე, მალხაზ თარიმანაშვილი და გია ჯაფარიძე. იქვე ვნახე პირველად „ქართველ შევარდენთა ლეგიონში“ გაწვრებული თამაზ დუმბაძე და გელა ლანჩავა.

ზოგჯერ თეთრად გათენებული ღამის შემდეგ უკან ისე ვბრუნდებოდით, რომ კითხვა: „რისთვის ვიყავით წასული?“ – პასუხგაუცემელი რჩებოდა.

დარღვეული იყო ელემენტარული კანონზომიერება – ინფორმაციის მიწოდების, მიღების და გადამოწმების წყარო საქართველოს, მათ შორის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესაბამისი სამართალდამცავი სტრუქტურები კი არ იყო, არამედ პარტიების და არაფორმალური დაჯგუფებების ადგილობრივი წევრები. სამოქმედო გეგმაც ამ ინფორმაციის საფუძველზე დგებოდა, სამართალდამცავი უწყებების სრული იგნორირებით.

ეს ყველაფერი ისედაც დაძაბულ ქართულ-ოსურ ურთიერთობებს კიდევ უფრო ამწვავებდა. ჩვენივე მოქალაქე ოსებისა და აფხაზებისგან ახალი მტრის ხატი იქმნებოდა და პირიქით.

■

ისევ ეწყობოდა არაფორმალთა აქციები, რომლებზეც საოკუპაციო ჯარში მომსახურე ქართველებს ბოიკოტისკენ მოუწოდებდნენ, საბჭოთა კანონების მორჩილებას, მის არმიაში მსახურებას სირცხვილად, ღალატად მიიჩნევდნენ.

ქვეყანაში გამეფებული იდეოლოგია და ამიერკავკასიის ოლქის სამხედრო ნაწილების „საოკუპაციო ჯარად“ ხშირ-ხშირად მოხსენიება წითელ არმიაში ჯერ კიდევ მომსახურე ქართველებისთვის მძლავრი მოტივაცია იყო, რომ საოკუპაციო ჯარი დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ, რაც ხელთ მოხვდებოდათ – იარაღი, საბრძოლო ტექნიკა – თან წამოეღოთ და ამით თავისუფლებისთვის ბრძოლაში საკუთარი წვლილი შეეტანათ.

საბჭოთა არმიაში სამსახურის გაგრძელებაზე უარი განაცხადა რუსეთში სატანკო სასწავლებლის ახალკურსდამთავრებულმა, ლეიტენანტმა თორნიკე შიუკაშვილმა. საბჭოთა არმიაში სავალდებულო სამსახური დატოვა და, ქართულ არმიაში მსახურების ოცნებით, შემოგვიერთდა ამიერკავკასიის ოლქის საავტომობილო ბატალიონის რიგითი ზვიად წიკლაური. ამგვარი სხვა მაგალითებიც იყო.

■

ჩემი ახალი საქმიანობის შესახებ ხმა უცბად გავარდა.

ვისაც ვხვდებოდი, ახლობელს, ნათესავსა თუ მეგობარს, და ჩვენს ამბავს ვუყვებოდი, ყველას უნდოდა, ჩვენთან ერთად რაღაც ეკეთებინა. საბოლოოდ, ახალციხიდან და კვერეთიდან შემორჩენილებმა მათთვის კარის გაღება გადავწყვიტეთ: გვიერთდებოდნენ ჩვენი დედმამიშვილები, ბიძაშვილები, კლასელები, ნათესავმეგობრები, ნაცნობები, უცნობები...

ჩვენი აგიტაციით, ასევე, უზენაესი საბჭოს დეპუტატად არჩეული ბესო ქუთათელაძის ხელშეწყობით და ხელშეუხებლობის გარანტიით, საბჭოთა არმიაში მომსახურე ქართველმა ჯარისკაცებმა ერთ-ერთი სამხედრო ნაწილი დატოვეს და თან ათობით ახალთახალი, პლასტმასის ყავისფერტარიანი დასაკეცი ისეთი ავტომატები წამოაყოლეს ხელს, ნაჩხაპნიც რომ არ ჰქონდა. ისინიც კვერეთის ჯერ კიდევ არაოფიციალურ გასამხედროებულ რაზმს შემოუერთდნენ. რა თქმა უნდა, ეს

ოპერაცია ბესოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან, ზვიად გამსახურდიასთანაც ჰქონდა შეთანხმებული.

არც ეს საქციელი მომწონდა, თუმცა საკუთარ თავსაც აღარ ვუსმენდი. იარაღმონადირებული მეგობრები ნაალაფარს კვერეთელებთან ზარ-ზეიმით, ძმურად ვიყოფდით: თანამედროვე, პლასტმასის ტარიანი ყავისფერი AKC-74-ის ქონა და საბჭოთა არმიაში მიღებული გამოცდილება ჩვენი გასამხედროებული რაზმის ავტორიტეტს ამაღლებდა და მას არაფორმალებისათვის მიმზიდველს ხდიდა.

უკვე გაზრდილი შემადგენლობით, როგორც გადაუდებელი სასწრაფო დახმარება, მოულოდნელი გამოძახების მოლოდინში მუდმივად მზად ვიყავით.

იარაღი მეგობრებთან ერთად სერიოზულ მტრებსაც გიჩენს! ამაში ერთმა შემთხვევამ დამარწმუნა:

ჩამოყალიბების პირველი დღიდან, ქვემო ქართლსა და სამაჩაბლოში დაწყებული არეულობის დროს, ჯაბა იოსელიანის პოზიციამ და მოქმედებამ „მხედრიონს“ ძლიერი, გავლენიანი ორგანიზაციის იმიჯი შეუქმნა. ამან იოსელიანს პრეტენზია გაუჩინა, ქვეყნის უსაფრთხოების გარანტი თვითონ და მისი არაოფიციალური გასამხედროებული ფორმირება ყოფილიყო. არაერთხელ უთქვამს: „რად უნდა საქართველოს რეგულარული ჯარი? მას „მხედრიონის“ მსგავსი ლაშქარი უნდა ჰყავდეს, რომელიც ქუდზე კაცის დაძახილით შეიკრიბება“. ეს იყო მისი ხედვა, ყოველ შემთხვევაში, ხმამაღლა ასე ამბობდა. ჯაბას განსაკუთრებით აღიზიანებდა ახალი სამხედრო ორგანიზაციის ჩამოყალიბებისთვის სამზადისი. არ გამორჩენია თბილისის სკოლების სამხედრო კაბინეტებიდან სათითაოდ აკრეფილი ლულაგახვრეტილი სასწავლო AK-74-ის[92] ტიპის ავტომატების საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ინსტრუმენტულ ქარხანაში შეზიდვაც, სადაც შექმნის პროცესში მყოფი ეროვნული გვარდიისათვის იარაღს დაჩქარებულად არემონტებდნენ.

ღამის სამი საათი იქნებოდა, როდესაც საბურთალოს ქუჩაზე სამთავრობო ავტოფარეხის ყარაულის მორიგემ, იაგო ოთინაშვილმა სახლში ტელეფონით შემატყობინა, ინსტრუმენტულ ქარხანას „მხედრიონელები“ დაესხნენო. ბიჭების შესაკრებად დრო აღარ იყო, მანამდე უნდა მივსულიყავი, სანამ სისხლი დაიღვრებოდა. ჩვენების შეკრება ჩემს ძმას, გორას დავავალე, მე კი პირდაპირ ქარხნისკენ გავეშურე.

საბურთალოს ქუჩაზე ორმხრივი სროლა იყო გაჩაღებული. სროლის ხმა პეკინის ქუჩის დასაწყისშივე ისმოდა. სამთავრობო გარაჟის სახურავიდან და ხელმარჯვნივ, ქუჩის კუთხიდან მწვანე და წითელი, ტრასირებადი ტყვიები დაფრინავდა. იაგო და ზვიად ნიკლაური, რომლებიც გარაჟში მორიგეებად დავტოვე, თავდამსხმელებს საპასუხო სროლით წინააღმდეგობას უწევდნენ და ქარხნის ცენტრალურ შესასვლელთან მიახლოების საშუალებას არ აძლევდნენ. „მხედრიონელთა“ კიდევ ერთი ჯგუფი უკანა მხრიდან ქარხნის ეზოში გადასულიყო და სარემონტო საამქროში შესვლას ლამობდა, სადაც უშუალოდ კიტოვანის გუნდის ერთ-ერთი წევრი, გია ჭეიშვილი მორიგეობდა. გზაჯვარედინთან, მოფარებულში, სადღაც 200 მეტრში, საიდანაც ისროდნენ, ღამის წყვდიადში გაჩერებული რამდენიმე მანქანის უკან ხალხმრავლობა შევნიშნე.

ვაჟკაცობასა და ზნეობაზე საკუთარი წარმოდგენის შესაბამისად მოვიქეცი: მანქანიდან გადმოსული, არც კი დავფიქრებულვარ, უიარაღოდ, მათ დასანახად გაშლილი ხელებითა და ხმამაღლა ძახილით: „ახლავე შეწყვიტეთ სროლა!“ –

[92] АКСУ (Автомат Калашникова складной укороченный) – კალაშნიკოვის ავტომატი დასაკეცი კონდახით და დამოკლებული ლულით

იქით გავემართე, სადაც მანქანები იდგნენ. სასიკვდილო საფრთხეზე არ მიფიქრია, მთავარი იყო, სროლა შემეჩერებინა. ნანახით გაოგნებული ვიყავი – ქართველი ქართველს ესროდა! იაგომ და ზვიადმა როგორც კი დამინახეს, მაშინვე შეწყვიტეს სროლა სამთავრობო გარაჟის სხვენიდან. საბედნიეროდ, სროლის შეწყვეტის მოწოდება მეორე მხარესაც გაისმა და ჩემს მიახლოებასთან ერთად კუთხეს ამოფარებულებიც ნელ-ნელა გზაზე გამოიშალნენ. მოულოდნელად ჯაბა იოსელიანისა და მის თანმხლებთა პირისპირ აღმოვჩნდი. დაახლოებით 20-25 კაცი იქნებოდა, რომელთაგან გია სვანაძისა და ზაზა ვეფხვაძის შესახებ გაგონილი მქონდა, „ბაჭიასი“ (სამსონ ბრეგვაძე) კი მხოლოდ მეტსახელი ვიცოდი.

ამასობაში ინსტრუმენტული ქარხნის ეზოს ჭიშკარი გაიღო და „მხედრიონის“ კიდევ ერთი ლიდერი, თამაზ ყურაშვილი („ბუღა“), თავისი ჯგუფის ოცამდე წევრთან ერთად გამოვიდა, თან დაშლილი AK-74-ის ნაწილები ტომრებით გამოჰქონდათ. ჩვენებისგან განსხვავებით ქარხნის დაცვა წინააღმდეგობის გარეშე დანებებულიყო და თავდამსხმელებს გასარემონტებლად გამზადებული სასწავლო ავტომატების ნაწილები მთლიანად ჩაეგდოთ ხელში.

ჩემი ვაჟკაცური ნაბიჯი დაუფასებელი დარჩა. ჯაბა იოსელიანიც და მისი თანმხლებნიც ძალიან გაბრაზებულები დამხვდნენ. განსაკუთრებით გარაჟის სახურავზე მყოფი ჩემი რაზმელების გამო იყვნენ გაღიზიანებულები, რომლებმაც გაბედეს და წინააღმდეგობა გაუწიეს. სისხლისღვრის შესაჩერებლად მისული, მისი ბრძანებით, მეც მანქანაში ჩამსვეს და ვერის ბაღში, თავიანთ შტაბში წამიყვანეს.

ჩაფიქრებული, უხმოდ ვიჯექი და მოსალოდნელი არასასიამოვნო საუბრისთვის ფსიქოლოგიურად ვემზადებოდი, როცა ოთახში ჯაბა იოსელიანი შემოვიდა და ლაპარაკი დაიწყო. იგი მოითხოვდა, ჩემი რაზმის წევრებისთვის წერილი მიმეწერა ან ტელეფონით დამერეკა, რომ იარაღი ნებაყოფლობით ჩაებარებინათ, ახალი სამხედრო ორგანიზაციისთვის განკუთვნილი იარაღის ადგილსამყოფლის მისამართს მთხოვდა და ძალის გამოყენებით იმუქრებოდა. ბატონო ჯაბა, ამ იარაღისთვის სიკვდილ-სიცოცხლის ისეთ სახიფათო ზღვარზე მოუწიათ გავლამ, რომ ასე არ ჩაგაბარებენ, ტყუილად სისხლი დაიღვრება-მეთქი, ~ ვცდილობდი, მშვიდად დამერწმუნებინა, მაგრამ ამაოდ.

ოფისში უამრავი ხალხი ირეოდა. ვითარება უკიდურესად დაძაბული იყო. ჯაბა იოსელიანს ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. დილის 5 საათი იქნებოდა, როდესაც ინფორმაცია მიაწოდეს, რომ ვერის პარკში ვიღაც ელოდებოდა და ოფისიდან გავიდა. როგორც მოგვიანებით თქვეს, შსს-ს მაღალჩინოსანი რომან გვენცაძე ყოფილა მოსული, რომელმაც იოსელიანს ხელისუფლების დანაბარები გადასცა: ქარხნიდან წაღებული ავტომატების ნაწილები დაუყოვნებლივ დაებრუნებინა და მძევალიც გაეთავისუფლებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრებოდა.

უკან დაბრუნებულმა ჯაბამ ჩემთან პირისპირ მოინდომა საუბარი, აინტერესებდა, „მხედრიონში“ რატომ არ შევედი. ავუხსენი, რომ სულით და ცხოვრების წესით სამხედრო პირი ვიყავი და ჩემი ცხოვრების არსი სამხედრო სამსახური იყო. რაც შეეხება ქვეყნის მტრებს, ნებისმიერ დროს მზად ვიყავი საბრძოლველად. უხმოდ მომისმინა, ერთადერთი, ტელეფონის ნომერი მკითხა, თუმცა არ ჩაუწერია, შემდეგ კი მოულოდნელად მითხრა, თავისუფალი ხარო და ისე დატოვა იქაურობა, რომ მაინც ვერ მივხვდი, ჩემ მიმართ ბრაზმა გაუარა თუ გულში შეინახა.

■

ჯაბა იოსელიანის დამოკიდებულება ახალგაჩენილ ცხელ კერებთან მიმართებაში ბევრად უფრო სახელმწიფოებრივი და გონივრული იყო, ვიდრე „მრგვალ მაგიდასთან“ დაახლოებული გასამხედროებული ფორმირებებისა. იგი ეწინააღმდეგებოდა როგორც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მიმართ წარმოებულ სამხედრო თუ პროპაგანდისტულ პოლიტიკას, ისე ქვეყანაში გამეფებულ ნაციონალიზმს, რომლითაც თითქმის მთელი ეროვნული მოძრაობა იყო გაჟღენთილი. არც „მრგვალი მაგიდის“ ლიდერების გადაწყვეტილებას ემხრობოდა, როდესაც 1989 წლის 23 ნოემბერს ათასობით მომიტინგე ცხინვალის მისადგომებს მიაყენეს; შეცდომად თვლიდა არაფორმალური გასამხედროებული რაზმების წინ და უკან ტარებას, სამაჩაბლოს სოფლებში შეიარაღებული პირების თვითნებურად შეყვანასა და გამოყვანას.

ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური ლოზუნგები, ლიდერების მგზნებარე მოწოდებები, აფხაზური და ოსური მზარდი სეპარატიზმი ეროვნული იდეოლოგიით გაჟღენთილ ქართველ ახალგაზრდებს მართლაც უფრო აგულიანებდა. გახშირდა საბჭოთა სამხედრო ნაწილებზე თავდასხმის და ოლქის სამხედრო ტრანსპორტის გატაცების ფაქტები, რაც ხელისუფლებისა და „მხედრიონის“ ურთიერთობას უკიდურესად ამწვავებდა.

ყოველი ინციდენტი, კრიმინალური ფაქტი, შეიარაღებული პირის უკანონო მოქმედება, სამხედრო ნაწილთან მომხდარი შემთხვევითი გასროლა თუ თავდასხმა – ყველაფერი ჯაბა იოსელიანს და „მხედრიონს“ ჰბრალდებოდა, რაც ნამდვილად არ იყო სამართლიანი. მეტიც, არ გამოვრიცხავ, რომ საბჭოთა ჯარის ნაწილებზე თავდასხმებში „მხედრიონელები“ საერთოდ არ მონაწილეობდნენ.

დეკემბრის დასაწყისში „მხედრიონის“ შიმშილობის აქცია და მათ მიერ დაყენებული მოთხოვნები – ცილისმწამებლური კამპანიის შეწყვეტა, პრესისა და ტელევიზიის თავისუფლება, ორგანიზაციის სტატუსის განსაზღვრა – საფუძველს მოკლებული არ ყოფილა. არცერთი „მხედრიონელი“ არ იყო სხვა ფორმირებების წევრებზე საშიში. პირიქით, შესაძლოა ბევრი მათგანი წესიერებითა და კანონმორჩილებითაც გამოირჩეოდა, თუმცა ფაქტია, რომ „მხედრიონში“ ასევე არაერთი ნასამართლევი პირი და უბნებში „გამოსული“ „ძველი ბიჭი“ იყო გაწევრებული.

მათ ფონზე საბჭოთა არმიაში, სამხედრო წესდებებზე გამოზრდილი ოფიცრებისა და რიგითების სამსახური და ცხოვრების წესი ნაკლებ მიმზიდველად გამოიყურებოდა.

ახალგაზრდებს „მხედრიონში“ ჯაბა იოსელიანის ავტორიტეტი იზიდავდათ, რასაც მეტწილად მისი მიუწვდომლობის, შეუცდომლობისა და მოქმედების თავისუფლების შესახებ მითი ქმნიდა. ამგვარი ფორმის და ასეთი ძალის შეიარაღებული ორგანიზაცია ქვეყნის სტაბილურობისა და ხელისუფლების გამართული ფუნქციონირებისთვის საფრთხეს წარმოადგენდა და სახელმწიფოს კარგს არაფერს უქადდა.

ასევე, საფრთხეს წარმოადგენდა სხვადასხვა გზით არაფორმალების ხელში მოხვედრილი იარაღი. საბჭოთა არმიაში გამოწვრთნილ ოფიცერს უსაფრთხოების წესები „მამაო ჩვენოსავით“ მქონდა დაზეპირებული, იარაღთან დაუდევარ დამოკიდებულებას ვერც არმიაში სამსახურის დროს ვეგუებოდი და ვერც ახლა. არც იარაღით „მარიაჟობა“ მომწონდა, როდესაც ვინმეს ქამარში გარჭობილი პისტოლეტით ან მხარზე გადაკიდებული ავტომატით ქალაქში მოსიარულეს ვხედავდი. იარაღთან თამაში სასტიკად აკრძალულია! ვისაც იარაღთან შეხება ჰქონია, გაგონილი ექნება

გამოთქმა, წელიწადში ერთხელ ჯოხიც გაისვრისო. ახალგაზრდებისთვის საყვარელი, სანატრელი, ერთი შეხედვით ცივი, უსულო რკინის საგანი არავისთვისაა უსაფრთხო. ოდნავი გაუფრთხილებლობისა და დაუდევრობის შემთხვევაში ის ადამიანისთვის მომაკვდინებელი, ათასგზის უბედურების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს. არავინ იცის, სად გიმუხთლებს და როდის გავარდება, შენიანს მოხვდება თუ სხვას... შემთხვევისაგან არავინ არის დაზღვეული. იარაღით ხელში ისე ახლოს ხარ სიკვდილთან, რომ ვერ აცნობიერებ და გააზრებასაც ვერ ასწრებ, როგორ გამოგეცხადება.

იარაღს ერთი თვისება აქვს: როცა მას ატარებ, გიპყრობს, გიზიდავს და გიმორჩილებს. იარაღით ხელში ლაჩარი უშიშარი ხდება, ხელმოცარული – ამპარტავანი, სუსტი კი – ძლიერი.

ოთხი რამ სჭირდება სიკვდილს: ადამიანი, იარაღი, ბრძოლის ყიჟინა და ბრძოლის ველი. სადაც ოთხივეა, იქ სისხლი იღვრება, იქ ვიღაც კვდება.

მისი უწმინდესობა, კათოლიკოს-პატრიარქი ილია II თითქოს წინასწარ გრძნობდა მოვლენების სავარაუდო განვითარებას – როგორც 9 აპრილის წინ, კვლავ მოუწოდებდა ლიდერებს, რომ სისხლისღვრა არ დაეშვათ. აფრთხილებდა მათ, რომ თუ ასე გააგრძელებდნენ, კისერს მოიმტვრევდნენ, საკუთარ თავსაც დაღუპავდნენ და სამშობლოსაც. ქვეყანაში გამეფებული იდეოლოგიითა და პროპაგანდით მხედველობა და სმენადახშულებს, მისი არავის ესმოდა.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება და დაპირისპირების გაღრმავება

1990 წლის 10 დეკემბრის შუადღე იქნებოდა, როდესაც ახლად შექმნილი რაზმის მეთაურს „ჩიტო-გვრიტოდან“ დამიკავშირდნენ და რაზმთან ერთად გორში გაყოლა მთხოვეს. შევთანხმდით, რომ დიღმის გასასვლელთან შევიკრიბებოდით. ბიჭები დათქმულ დროს დათქმულ ადგილას გამოცხადდნენ. მაშინ იქ ერთადერთი პატარა მაღაზია იყო, იმის იქით კი – აღარაფერი.

ყველა იქ შეკრებილიყო და ჩემს მისვლას ელოდებოდა. მანქანის კაპოტზე რამდენიმე ნათალი ჭიქა, პური, ყველი და ძეხვი ელაგათ. თითქოს დღესასწაული ყოფილიყოს, ოთხი ბოთლი შამპანური ეყიდათ და დასალევად ემზადებოდნენ. დიახ! სწორედ რომ დღესასწაული იყო მათთვის: პირველად ეძლეოდათ შესაძლებლობა, სამშობლოს წინაშე ვალი მოეხადათ. სიამაყით იყვნენ აღვსილები, რადგან პირველად მათ რაზმს ერგო პატივი, საბრძოლო დავალება მიეღო. სად მიდიოდნენ, რატომ და რისთვის, არ აინტერესებდათ.

„ერთხელ ნაშობი ერთხელ მოკვდები, მაგრამ ვაუკაცურად უნდა მოკვდე!“ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!“ „უბრძოლველად და უსისხლოდ ცოცხალი მტერს ვინც ჩაბარდეს, ლაჩარი იყოს, სიკვდილი გიჯობს ასეთ სიცოცხლეს!“ – მანქანის კაპოტს შემოხვეულები სადღეგრძელოში დაზეპირებულ ციტატებს იშველიებდნენ და ვაჟა-ფშაველას „მხედართა ძველ სიმღერას“ იხსენებდნენ:

„არ ვაქელვინოთ სამშობლო მეტოქეს ათას-გვარასა...
სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენს ნურვინ შაგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით, მკვდარსაც კი გაეცინება“.

ყოველი სადღეგრძელოს შემდეგ ერთხმად, გმინვასავით ამოითქმებოდა: „ამინ!“ – და ჭიქები ბოლომდე იცლებოდა. დათო ზარდიაშვილის ნათქვამმა სადღეგრძელომ ყველას სუნთქვა შეგვიკრა, ყელში ბურთი გაგვეჩხირა:

„მოდით, ამ ჭიქით საძმოდან ბრძოლაში პირველი დაღუპულის შესანდობარი და უკანასკნელი ცოცხლად დარჩენილის სადღეგრძელო შევსვათ. საბრალოა, ვინც საძმოდან ბრძოლაში პირველი დაიღუპება, ვერც ოჯახის შექმნას მოასწრებს და ვერც საკუთარი შვილების ალერსს. ვერც სამშობლოს მომავალ გამარჯვებას იხილავს და ვერც მისი მადლით დატკბება. პირველს მეორე მოჰყვება, მეორეს – მესამე და ასე შემდეგ. უკანასკნელიც საბრალოა, რადგანაც საძმოდან ყველა დაღუპულის ჭირისუფალი, მათი დასაფლავების მომსწრე გახდება“.

ესა თქვა, ცას ახედა და ღმერთს შესთხოვა: „ღმერთო, ნაადრევად ნურავის მოკლავ, სამშობლოსათვის ბრძოლა და მამულის დაცვა აცადე, საკუთარი ხალხის კეთილდღეობის ცქერით დატკბეს და სიცოცხლით გაძღეს!“ – და ჭიქა გადაკრა.

უხმოდ ვუსმენდი ახალშეძენილი მეგობრის სიტყვებს, მისი შინაარსით შემკრთალი. წინასწარ სვამდა საძმოდან ბრძოლაში პირველი დაღუპულის შესანდობარსა და უკანასკნელი ცოცხლად დარჩენილის სადღეგრძელოს. იქ მდგომთაგან ერთ-ერთი უახლოეს მომავალში პირველი მსხვერპლი იქნებოდა, ხოლო რომელიღაცა ყველა დანარჩენის ბოლო ამოსუნთქვისა და მიწისთვის მიბარების მოწმე გახდებოდა. როდესაც ეს წარმოვიდგინე, ჟრუანტელმა დამიარა, პასუხისმგებლობის გრძნობამ შემზარა.

თითქოს წინათგრძნობა ალაპარაკებდა, ნიშანს აძლევდა. ვინ იფიქრებდა, რომ საკუთარ შესანდობარს სვამდა?! სასუფეველში მიმავალთა დიდ სიაში პირველი სწორედ მისი სახელი და გვარი იყო ამოტვიფრული.

■

ის ღამე „ილია მართლის საზოგადოების“ გორის ოფისში გავატარეთ. შენობაში სამხედრო ფორმაში გამოწყობილი და „მრგვალი მაგიდის“ უამრავი იარაღიანი ლიდერი ირეოდა. რაღაცას თათბირობდნენ, კარს რომ გააღებდნენ, ხმა გარეთაც გამოდიოდა. ღამის 11 საათი იქნებოდა, როდესაც საშუალო სიმაღლის, ჩასკვნილი წვერიანი მამაკაცი ოთახიდან გამოვიდა და თბილისისკენ გაემგზავრა. როგორც „ჩიტო-გვრიტოს“ წევრებმა თქვეს, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის დაცვის უფროსი რეზო ურიდია იყო და ხეობაში შესვლის ნებართვის ასაღებად ზვიად გამსახურდიასთან მიდიოდა. პასუხს მეორე დღისთვის ველოდებოდით. სხვების ლაპარაკიდან ყურმოკვრით გავიგეთ, რომ წინა დღით ცხინვალში ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა.[93]

[93] 1990 წლის ზაფხულში ქართულ-ოსური ურთიერთობები განსაკუთრებით დაიძაბა. 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი სუვერენულ „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკად“ გამოაცხადა საბჭოთა კავშირის ფარგლებში. 21 სექტემბერს საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ ეს გადაწყვეტილება უკანონოდ ცნო და გააუქმა. ამის მიუხედავად, 1990 წლის 9 დეკემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“ უმაღლესი საბჭოს არჩევნები ჩატარდა, რომელშიც გამარჯვება სეპარატისტულმა მოძრაობამ „ადამონ ნიხასმა“ მოიპოვა.

ის ღამე პარტიის ოფისში, კორიდორში იატაკზე მიწოლილებმა და კედელზე მიბჯენილებმა გავატარეთ. გარეთ სიცივე იყო, თუმცა შენობაში თბილოდა.

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის დაცვის უფროსი მეორე დღეს, 11 დეკემბერს, საღამოს პირს დაბრუნდა. სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა პარტიულმა ლიდერებმა მცირე ხნით კიდევ ითათბირეს და მალევე ყველანი ერთად გარეთ გამოეფინნენ. ისე, რომ ჩვენთვის არც აზრი უკითხავთ და არც მგზავრობის მიზანი, გვითხრეს, მოგვყევითო, მანქანებში ჩასხდნენ და დიდი ლიახვის ხეობისკენ გაემართნენ. პირველ მანქანაში რეზო ურიდია და ჯემალ გუნდიშვილი ისხდნენ და წინ მიგვიძღოდნენ. სხვებიც იყვნენ, „ილია მართლის", „სახალხო ფრონტის" და „კოსტავას საზოგადოების" ჩემთვის უკვე ნაცნობი და უცნობი წევრები. ჩვენ მორჩილად უკან მივყვებოდით. გამახსენდა, რომ ცხინვალში ერთხელ უკვე ვიყავი ნამყოფი.

საღამოს მანქანების კოლონამ ცხინვალის შესასვლელთან მილიციის ავტოინსპექციის საგუშაგო, ე. წ. „ტეკი" გაიარა, ხელმარჯვნივ გადაუხვია და სოფელ თამარაშენს მიადგა. იქ ხალხი უკვე გველოდა. ბნელდებოდა. სოფლის თავკაცებმა ღამის გასათევად სხვადასხვა სახლში გაგვანაწილეს.

12 დეკემბერს, დილიდან თამარაშენის უნივერმაღთან დავიწყეთ შეკრება. შენობის წინ, რეზოს მანქანასთან რამდენიმე კაცი იდგა და ერთმანეთს ესაუბრებოდა. ჯემალი სამხედრო ფორმას ისწორებდა და იარაღს ისხამდა, დინჯად, აუჩქარებლად, გამვლელ-გამომვლელის დასანახად. ეტყობოდათ, რომ სადღაც ეშურებოდნენ.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, უფრო მეტიც, დიდ პატივად მივიჩნიე, როდესაც ჯემალმა გაყოლა მთხოვა. ერთი კაცი, ვინც გაგიხარდება, წამოიყვანე და წავედითო, მითხრა და იარაღის ასხმა და გასწორება გააგრძელა. გამომწვევად მეჩვენა, ისე თავმომწონედ და ამაყად ისწორებდა ქამარს, ფორმასა და იარაღს, თანაც სახალხოდ, თამარაშენის უნივერმაღის წინ, ადგილობრივების, ჯავიდან ცხინვალში მიმავალ მანქანებში მსხდომთა დასანახად...

ბიჭები თვალებანთებულნი შემომცქეროდნენ, რომელს ავირჩევდი. მათთვის პატივი და ბედნიერება იყო, თან თუ გავიყოლებდი. წესით, სამხედრო საქმის ცოდნითა და გამოცდილებით უნდა შემერჩია რომელიმე ახალციხიდან წამოსულებიდან, მაგრამ დათო ზარდიაშვილმა ისე მთხოვა, რომ უარი ვერ ვუთხარი და არჩევანი მასზე შევაჩერე. მანქანაში ჩავსხედით, თუმცა წარმოდგენა არ გვქონდა, რისთვის, სად ან ვისთან მივდიოდით.

საჭესთან რეზო იჯდა, მარჯვნივ – ჯემალი. უკან მსხდომთ დაცვის ფუნქცია დაგვეკისრა და არემარეს ფხიზლად ვათვალიერებდით. როგორც მათი ლაპარაკიდან გავიგეთ, ჩატარებული არჩევნების ამბის გასაგებად ცხინვალის ერთ-ერთ გარეუბანში მივდიოდით.

ჩვენს ჩასვლამდე ცხინვალში ამბავს ჩაესწრო, რომ კბილებამდე შეიარაღებული ჯგუფი ქალაქში პროვოკაციის მოსაწყობად მიდიოდა. მანქანა ერთ-ერთ სახლთან გავაჩერეთ. რეზო და ჯემალი მანქანიდან გადავიდნენ და ჭიშკარში შევიდნენ. შეხვედრა ხანმოკლე გამოდგა. უკან გამოსვლისას ისინი მასპინძელმა – მაღალმა, ხმელ-ხმელმა, ასე, 40-45 წლის კაცმა გამოაცილა. როგორც გვითხრეს, გოგი გუნდიშვილი იყო, ადგილობრივი მკვიდრი.

გუჯაბაურიდან ვბრუნდებოდით, ქალაქში ხალხმრავლობა არსად შეიმჩნეოდა, თითქოს ადამიანები გამქრალიყვნენ. მანქანამ ჯერ მარჯვნივ ჩაუხვია, შემდეგ

მარცხნივ და ცენტრალურ ქუჩაზე გავიდა. საოლქო კომიტეტის შენობასთან მომეტებული მოძრაობა შევნიშნეთ. ვერ მივხვდით, რა ხდებოდა. მოულოდნელად სატვირთო მანქანამ წინ, შუქნიშანთან დაამუხრუჭა და გასასვლელი ჩაგვიხერგა, ძარაზე მჯდომმა ბოევიკმა კარაბინი მძღოლს პირდაპირ შუბლში დაუმიზნა. ამავე დროს, „გაზ-53“ ტიპის მანქანა უკნიდან მოგვაყენეს და უკან დასახევი გზა მოგვიჭრეს, რის შემდეგაც ხელმარცხნივ, შენობის კუთხეებიდან და ხელმარჯვნივ, ქვის ღობის უკნიდან ჩასაფრებულმა შეიარაღებულმა ხალხმა გამოყო თავი და როდესაც ოსური აქცენტით დაგვიღრიალეს, იარაღი დაყარეთ და მანქანიდან გადმოდითო, მაშინღა მიხვდით, რომ ალყაში ვიყავით.

ცეცხლს თუ ეთამაშები, წინასწარ უნდა იცოდე, რომ ერთ დღესაც ბედისწერის პირისპირ აღმოჩნდები. სრულიად დაუცველი პირველად ჩახედავ სიკვდილს თვალებში და საკუთარ უსუსურობას ამოიკითხავ. ყველაფერი თავისდაუნებურად მოხდა. წვერმოშვებული მამაკაცი მარჯვნიდან სწრაფი ნაბიჯით მანქანასთან ჯიქურ მოიჭრა, უკანა მარჯვენა კარი გამოაღო, ცალი ხელით დათოს მკერდზე პისტოლეტი მიადო, მეორით ავტომატს სწვდა და ლულით თავისკენ დაქაჩა. მანქანაში ძიძგილაობა ატყდა.

დათოს სროლა არც უფიქრია, წესიერად არც იცოდა იარაღის ხმარება. შეიძლება ჯარში უსროლია, მაგრამ ცოცხალი კაცისთვის – არასოდეს. შეწუხებული ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ავტომატს ხელი გაუშვი, თავი დაანებე! რა უნდა ამას?“ – შველას გვერდზე მსხდომებს გვთხოვდა. ფიზიკურად მასზე ძლიერს ვეღარ ეწინააღმდეგებოდა და გრძნობდა, რომ იარაღს საცაა ხელიდან გამოსტაცებდნენ. შეეძლო, არ გასძალიანებოდა და ნებით მიეცა, უბრძოლველად ჩაბარებოდა. იქნებ ჯობდა კიდეც, მაგრამ ცხინვალში შეურაცხყოფას მიაყენებდნენ, თბილისში კი დასცინებდნენ. შეუწინააღმდეგებლად დანებებას სიკვდილი უჯობდა. წინა დღეს ყველას გასაგონად, ომახიანად ჩვენი ცხინვალში შემომყვანი იქადნებოდა: ვინც უბრძოლველად ჩაბარდეს, ლაჩარი იყოსო.

მოკლედ, მოსახდენი მოხდა და პირველი სისხლიც დაიღვარა.

მოულოდნელად მანქანაში გასროლის ხმა გაისმა და კარებთან მოსული ოსი ჩაიკეცა. „მანქანა დაძარი!“ – დაიკივლა ჯემალმა, რეზომ დაქოქა კიდეც, მაგრამ დაძვრა ვეღარ მოასწრო. წინიდან ნასროლი 7,62-მმ-იანი ვაზნა საჭესთან მჯდომ რეზოს შუბლში მოხვდა. გაგლეჯილი თავის ქალიდან ალისფერმა სისხლმა წინა შუშა შეღება, ხოლო კეფიდან ცხელი ტვინი უკან მჯდომს სახეზე შემომეშხეფა.

საშინელი სროლა ატყდა. ჩვენი მანქანისკენ ტყვიების სეტყვა მოდიოდა, ისროდნენ „გაზ-53“-ზე დამონტაჟებული ტყვიამფრქვევიდან, რამდენიმე ავტომატიდან, სანადირო თოფიდანაც კი – საფანტის ტყვიებს. ჩვენი მხრიდან საპასუხოდ ვერავინ ისროდა – დათო და რეზო უკვე გარდაცვლილები იყვნენ, ძირს ჩანოლილი ჯემალიც მკვდარი მეგონა. არ ვიცი, ჩემს ადგილას მოულოდნელობისგან გაოგნებული სხვა როგორ მოიქცეოდა. ალბათ ვიღაც მანქანაში ჩაიმალებოდა, რომ თავი გადაერჩინა, სხვა სხვანაირად მოიქცეოდა. ფიქრის დრო არ იყო. ჩემ გვერდით განგმირულ მეგობარს და საჭესთან მჯდომ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის დაცვის უფროსს თვალი შევავლე, სიმწრისგან ავტომატის სასხლეტს თითი გამოვდე, ბოლომდე მოვუჭირე და ცეცხლი გავხსენი. ვისროდი თვალდახუჭული, ყოველ მხარეს, მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, ხელები თავისით მოძრაობდნენ...

ეს უმიზნო სროლა, უთანასწორო ბრძოლა იყო.

არც არაფერზე ვფიქრობდი და არც რამეს ვუმიზნებდი. ცოცხლად გადარჩენილი მარტო ვისროდი – რამდენიმე ათეულის წინააღმდეგ. უცებ თავის არეში მწველი ტკივილი ვიგრძენი და სახე მთლიანად სისხლით შემეღება. კისერსა და კეფაში ნემსებივით რაღაც მერჭობოდა, წამიერ გაბუჟებასთან ერთად თავის მოტრიალების და ტკივილისათვის წინააღმდეგობის გაწევის ძალა დავკარგე. თითქმის გონდაკარგული გვერდით მჯდომ გარდაცვლილ მეგობარს მივუწექი.

ეს ჩემი პირველი შეხვედრა იყო სიკვდილთან. იმ დღეს პირველად ვიგემე ერთდროულად საკუთარი, მეგობრისა და მოწინააღმდეგის სისხლი. დავიტრაბახებდი, რომ სიკვდილს უშიშრად შევხვდი, ჯიუტად თვალი თვალში გავუყარე-მეთქი, მაგრამ ასე არ ყოფილა. თვალები შიშით მქონდა სავსე, მან კი მედიდურად ჩამხედა თვალებში და გზა განაგრძო, გაიარა. სროლის სიხშირემ ნელ-ნელა იკლო, ცოტა ხანში კი შეწყდა. სასწაულებრივად გადარჩენილი, ჯერ კიდევ თვალდახუჭული იმის გარკვევას ვცდილობდი, ცოცხალი ვიყავი თუ არა. მოულოდნელად მანქანის წინა მარჯვენა კარიდან საღ-სალამათი ჯემალი გადმოვიდა და მოწინააღმდეგისაკენ ხელებგაშლილი გაემართა ყვირილით: „ხალხო, რას შვრებით, რატომ ვხოცავთ ერთმანეთს?!“ – თუმცა უკვე გვიან იყო. საჭესთან უძრავად მჯდომ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის დაცვის უფროსს თავის ქალა გადახსნილი ჰქონდა და ჭრილობიდან სისხლნარევი სითხე სდიოდა. დათო მანქანის კართან პირქვე იწვა. უთვალავ ჭრილობას ისე დაესახიჩრებინა, ცნობა გაგიჭირდებოდა. გარდაცვლილი ოსი მამაკაციც მის გვერდით ესვენა. მანქანა საცერივით დაეცხრილათ...

დაღვრილი სისხლის გამო გამწარებულებმა ცოცხლად გადარჩენილი, სისხლში ამოთხვრილი მანქანიდან გადმომათრიეს და დახოცილების გვერდით მიმაწვინეს. რა მელოდა, ადვილი წარმოსადგენია, რომ არა ადგილზე დროულად მოსული საბჭოთა შინაგანი ჯარის მე-8 პოლკის ოპერატიული ჯგუფი, რომელმაც ვითარება განმუხტა და გადარჩენილები ცხინვალის საავადმყოფოში გადაგვიყვანა.

ჯემალი პირდაპირ პალატაში აიყვანეს. უბრძოლველად ჩაბარებულისადმი განსაკუთრებულ აგრესიას არ იჩენდნენ, ისიც თამამად ელაპარაკებოდა მშვიდობასა და ძმობაზე. მე რეანიმაციის მიმღებში შემიყვანეს. გარედან ხალხის ხმაური ისმოდა, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ ოსურად. ეტყობოდათ, რომ ვიღაცაზე ძალიან იყვნენ გაბრაზებულები. მათი მოთხოვნით ექიმებმა რამდენიმე წუთით ოთახი დატოვეს. გარდაცვლილი ოსის მეგობრებმა და ნათესავებმა ჯავრი იყარეს, მცემეს და ოთახიდან გავიდნენ. მერე კი, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, ექიმი შემოვიდა და ჩემი ჭრილობების დამუშავებას შეუდგა.

მალე პალატაში დამაბრუნეს. ჯემალიც უკვე პალატაში იწვა, შუშის ნამსხვრევებისგან დასერილი სახე მისთვისაც დაემუშავებინათ. პალატის კარს უკვე საბჭოთა შინაგანი ჯარის ორი რუსი ჯარისკაცი იცავდა.

ცხინვალის საავადმყოფოს მესამე სართულზე, ცივ ოთახში გვერდიგვერდ ვინექით ორი ქართველი. საავადმყოფოს ქართველი ექთანი ქეთინო გუნდიშვილი გვერდიდან არ გვცილდებოდა, დიდხანს მარტო არ გვტოვებდა, გვაფრთხილებდა, რომ სხვისი შემოტანილი ნემსი არ გაგვეკეთებინა, შეიძლება მოწამლული ყოფილიყო. თუ ოთახში ოსი ეროვნების ექიმი ან ექთანი შემოვიდოდა, მათ თვალებში ბრაზს ვხედავდით, ქართველის თვალებში – თანაგრძნობას, თუმცა მომხდარის გამო წუხილსა და გულისტკივილს ერთნაირად გამოხატავდნენ. ქართველები და ოსები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ჯერ არ მტრობდნენ.

დაბნეულობისა და გაურკვევლობისაგან უხმოდ ვიწექი და აქეთ-იქით ვიცქირებოდი. უნებლიე მძევალს მტრულად განწყობილი ადამიანების რისხვაზე მეტად ის მადარდებდა, რა რეაქცია ექნებოდათ მანქანაში ნაპოვნ ავტომატებზე რუს სამხედროებს.

საშიში დაძაბულობა სამ დღე-ღამეს გაგრძელდა. ხანდახან, საღამოს პირს, როცა გარეთ ბნელდებოდა, პალატის კართან მოახლოებული ფეხის ხმა და ხმამაღალი რუსული ლაპარაკი გვაფხიზლებდა. მთვრალი უცხო მამაკაცები პალატაში შემოსვლას ლამობდნენ, ილანძღებოდნენ. კართან მდგარი მე-8 პოლკელი ჯარისკაცები მათ შემოსვლის ნებას არ აძლევდნენ.

განსაკუთრებით მეგობრის სიკვდილს განვიცდიდი. ნანახი თვალებიდან არ იშლებოდა. ყოველ ღამე მახსენდებოდა, როგორ შემომესხა სახეზე სისხლი და ადამიანის გადახსნილი თავის ქალიდან გადმონთხეული ცხელი და მოყვითალო სითხე. სახესა და ტანსაცმელზე ჯერაც შემხმარი მქონდა რაღაც მოტკბო ნაწილაკები. სიკვდილის მწარე და დამთრგუნველი განცდა აღარ მტოვებდა და ამის შემდეგ არც აღარასოდეს დავუტოვებივარ, მუდმივად თან მდევდა. ის სისხლის ჭაობი, რომელშიც იქ პირველად ჩავდგი ფეხი, ფსკერისკენ მითრევდა. ბედისწერა მუდმივად სიკვდილის შორიახლოს მატარებდა.

მესამე თუ მეოთხე დღეს, 12 საათი იქნებოდა, როდესაც პალატაში საბჭოთა არმიის ფორმიანი ოფიცერი გვესტუმრა, თან კოსტიუმში გამოწყობილი 40 წლამდე ასაკის მამაკაცი ახლდა, რომელიც იქვე ჩუმად ჩამოჯდა და უხმოდ ისმენდა ქართველ ტყვეებთან რუსი ოფიცრის ლაპარაკს. ოფიცერი ჩვენი ჯანმრთელობით დაინტერესდა, გასვლისას კი რუსულად ჩაგვურჩულა, ღამით კეთილის მსურველები თქვენს გაყვანას აპირებენ და მზად იყავითო. ნდობისათვის მისმა თანმხლებმა პირმა შსს-ს მოწმობა გვაჩვენა. დაზვერვის ხელმძღვანელი ჯონი ქარჩავა აღმოჩნდა.

ღამის დადგომას სულმოუთქმელად ველოდით. 2 საათი იქნებოდა, როდესაც კართან მდგომმა მცველმა ოთახში შემოიხედა და სასწრაფოდ გამომყევითო, მოგვთხოვა. კორიდორიდან სახანძრო კიბემდე მიგვაცილა და ჩადითო, გვითხრა. იქ უკვე თბილისიდან გამოგზავნილი სასწრაფო დახმარების მანქანა დაგვხვდა და პირდაპირ ქალაქის გასასვლელისკენ აიღო გეზი.

სამშვიდობოს, ცხინვალში შესასვლელ „ტეკთან“ უამრავი ხალხი შეკრებილიყო. თურმე ჩვენ გველოდნენ. ძირითადად, ისინი იყვნენ, ვინც თენგიზ კიტოვანისა და თამაზ გველესიანის გარშემო ტრიალებდა, ვისთან ერთადაც თბილისიდან გორში წინ და უკან დავდიოდით. სხვებიც მოსულიყვნენ. ყველა გადარჩენას გვილოცავდა.

ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ცხინვალის მისადგომებთან პირადად თენგიზ კიტოვანი და თამაზ გველესიანი შევნიშნე. როგორ აგიხსნათ ის განცდა, რაც მათმა დანახვამ გამოიწვია. ისეთ სითბოსა და მზრუნველობას გამოხატავდნენ, რომ აღტაცებასა და განცვიფრებას ვერ ვმალავდი.

სასწრაფოს მანქანიდან ჯემალი თამაზ გველესიანის მანქანაში გადაჯდა, მე კი კიტოვანის სამთავრობო „გაზ-31“-ში გადამიყვანეს და თენგიზ კიტოვანი არამიანცის საავადმყოფომდე თავადაც გამომყვა. ჭრილობის ტკივილი ვიღას ახსოვდა, მთელი გზა იმაზე ვფიქრობდი, მადლობა როგორ გადამეხადა. ხუმრობა

ხომ არ იყო, ჩვეულებრივი ოფიცრის გამო ასეთი დიდი თანამდებობის პირები შეწუხდნენ, მისი გადარჩენისა და გამოყვანისთვის იზრუნეს.

სულ რაღაც რვა თვის წინათ საბჭოთა არმიის რიგებში საწვრთნელი სროლისას ჭურვი თუ აგიფეთქდებოდა ან ბრმა ტყვია მოგხვდებოდა, ერთს შეიცხადებდნენ, საწყალი, კარგი ოფიცერი იყოო. ერთ თვეში ვიღას გაახსენდებოდი, სიტყვით თუ მოგიხსენებდნენ სადღეგრძელოში, ისიც უსახელოდ – „За тех!"[94] – ეგ იქნებოდა და ეგ. აქ კი ამდენი მოკეთე გამომიჩნდა, გარს მეხვეოდნენ, თავს მევლებოდნენ, მეფერებოდნენ, თანაგრძნობას გამოხატავდნენ და გადარჩენას მილოცავდნენ.

საავადმყოფოდან გამოწერა ვერც კი მოვასწარი, თავიდან და კისრიდან ჯერ სახვევებიც არ მქონდა მოხსნილი, რომ დილის 9 საათზე პროკურორთან დაკითხვაზე დამიბარეს. მღელვარებამ შემიპყრო. არ ვიცოდი, რა მეპასუხა, რატომ აღმოვჩნდით ცხინვალში, საიდან გვქონდა იარაღი... ის ღამე თეთრად გავათენე. დილით ორთაჭალაში, რესპუბლიკის პროკურატურის შენობაში გამოვცხადდი და, აფორიაქებული, პროკურორის კითხვებს ველოდებოდი. მეშინოდა, მომხდარი პროვოკაციად და დანაშაულად არ ჩაეთვალათ.

ცხინვალში საგამოძიებო სამუშაოები უკვე ჩაეტარებინათ და მოწმეებიც დაეკითხათ. ორასამდე ტყვიით დაცხრილული მანქანა თბილისში, ქალაქის სამმართველოს ავტოსადგომზე იდგა, მისი ექსპერტიზაც ჩაეტარებინათ. პროკურორები – ვაჟა შენგელია და კაკო ბუდაღაშვილი რიგრიგობით მკითხავდნენ. აინტერესებდათ, ვისი ბრძანებით შევედით ცხინვალში, ვინ ისროლა პირველმა, რა მოხდა და ასე შემდეგ. მომდევნო კითხვის შიშით, უკვე დასმულ კითხვას ნერვულად და შფოთვით ვპასუხობდი. ჩემი მღელვარება ვაჟა შენგელიას გამოცდილ თვალს არ გამოჰპარვია და დამშვიდებას შეეცადა: მანქანაში ვინც ვაჟკაცურად მოიქცა, შენ იყავიო, მითხრა პროკურორმა და სიმამაცე შემიქო. განცვიფრებულმა, შვებით ამოვისუნთქე. თავაწეული, ამაყად გამოვედი დაკითხვიდან.

[94] За тех! (რუს.) – აქ: მათი ხსოვნა იყოს!

ეს მოვლენები სამთავრობო გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ ასე გააშუქა:

მდგომარეობა შიდა ქართლში

1990 წლის 18 დეკემბერს ქალაქ ცხინვალში დაიწყებული 19 ხალოვე დიდვენელმა ბიჭიებმა ქრისტიანულმა „ვეფხვებმა“ მიტინგ-დემონსტრაციები ორგანიზება დაუწყეს ცხინვალის ავტონომიური ოლქის ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ მიტინგებზე მოთხოვნილ იქნა ცხინვალის ავტონომიური ოლქის გაუქმება, ხელისუფლების ხელში ჩაგდება და ოლქის საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობიდან გამოყვანა.

18 დეკემბრისათვის ქალაქ ცხინვალში ცხინვალის და ჯავის რაიონების წარმომადგენლების კრება-დასწრებით ავტონომიური ოლქის ხელისუფლების — ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ხალხთა რესპუბლიკის ხელისუფლების დასწრებით, კრების ხელმძღვანელობით ოლქის ხალხის წარმომადგენლების ორგანოს 18 დეკემბრის სამდგომარეობა და დაშვებული ხალხის ინტერესების დასაცავად და ქალაქში წესრიგის დასამყარებლად ზომების მიღების შესახებ.

ამ დადგენილების საფუძველზე ოლქის ხელისუფლების ორგანოებმა ოლქის ტერიტორიაზე ასევე დღეს ალარა ხასიათის სამოქალაქო ხასიათ

■

ცხინვალში სისხლიან შეტაკებამდე ერთი დღით ადრე, 11 დეკემბერს საკუთარი ძალაუფლების საჩვენებლად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს წევრებმა ერთხმად, ტაშითა და ოვაციით მიიღეს კანონი და 1922 წელს შექმნილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ერთი ხელის მოსმით გააუქმეს.[95] ჩვენამდე არც ამ ინფორმაციას მოუღწევია.

მოკლედ, დესტაბილიზაციის წყაროდ სამხრეთ ოსეთის სტატუსი დასახელდა, მისი გაუქმება და ოლქისთვის ისტორიული სახელის, სამაჩაბლოს დარქმევა კი – ისტორიული სამართლიანობის აღდგენად. თითქოს წინააღმდეგობის მიზეზი მხოლოდ სტატუსი იყო და მისი გაუქმებით ყველა პრობლემა მოგვარდებოდა.

თბილისი გამარჯვებას ზეიმობდა.

■

ყველაზე რთული დაღუპულის ოჯახში მისვლა და ჭირისუფლისთვის მისამძიმრება აღმოჩნდა, ბევრად რთული, ვიდრე წარმომედგინა.

ჯერ რეზო ურიდიას ოჯახს მივაკითხე და სასახლეში ჩასვენებულ თითქმის უცნობ, მაგრამ ბრძოლაში ჩემ გვერდით დაღუპულ ადამიანს პატივი მივაგე, მდუღარე ცრემლით მოტირალ მეუღლეს ხმის კანკალით მივუსამძიმრე.

იქიდან დათო ზარდიაშვილის სახლისკენ გავემართე.

კუბოს თავთან შავებში შემოსილი დედა დაღუპულ შვილს დასტიროდა. ერთ დროს მშვიდი, ამაყი, კარგი შვილის დედობით ბედნიერი, მწარედ ქვითინებდა.

ვუახლოვდებოდი და თან მუხლები მეკვეთებოდა. ძალა მოვიკრიბე და დათოს გაქვავებულ სხეულს მაინც შევეხე. შუბლი ყინულივით ცივი ჰქონდა.

მაშინ დაიბადა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთათვის საბურთალოს სამხედრო პანთეონის შექმნის იდეა. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ზვიად გამსახურდიამ დაღუპულის მეგობრებთან შეხვედრაზე თხოვნისთანავე თანხმობა გვითხრა და შემოგვთავაზა, ტერიტორია ჩვენვე შეგვერჩია. საბურთალოს სასაფლაოსთან თითქმის სანაგვედ ქცეული, მოუვლელი ფერდობის საძმო სასაფლაოსთვის გამოყოფის განკარგულებასაც ულაპარაკოდ მოაწერა ხელი, თითქოს შეწირულთა სიმრავლე იწინასწარმეტყველაო.

19 დეკემბერს, ზამთრის ცივ, სუსხიან დღეს ამ მიწას პირველად დათოსა და რეზოს ცხედრები მივაბარეთ.

■

თავდაცვის სამთავრობო კომისიაში, თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით, სამხედრო სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად დაჩქარებული მუშაობა მიმდინარეობდა. მისი მრჩევლები და კომისიაში მოწვეული მაღალი წოდების გადამდგარი ოფიცრები საბჭოთა სამხედრო წესდებებს, ნორმატიულ აქტებსა და დირექტივებს

[95] 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (სსრ) უზენაესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ასევე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო და ოლქის სხვა სახელმწიფო ორგანოები. ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის" უმაღლესი საბჭოს დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები.

რუსულიდან ქართულად თარგმნიდნენ, სხვადასხვა განკარგულებასა და ბრძანებას ამზადებდნენ.

1990 წლის 20 დეკემბერს სასწაული მოხდა – თავდაცვის სამთავრობო კომისიას ეროვნული გვარდიის ჩამოყალიბება დაევალა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, თენგიზ სიგუამ ეს საქმე თენგიზ კიტოვანს ჩააბარა.

თენგიზ კიტოვანის სახელი თურქ მესხებთან შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი, რომლებიც, წითელ ხიდს მომდგარები, ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებას ითხოვდნენ. ფართო საზოგადოებას ვგულისხმობ, თორემ კიტოვანს თბილისში ისედაც ბევრი იცნობდა.

ოცნება სრულდებოდა – ქართულ ჯარს საფუძველი ეყრებოდა.

ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს შეეძლოთ, სამხედრო ვალდებულება სამშობლოში მოეხადათ. გლდანში, მილიციის აკადემიის შენობაში ჯერაც არშექმნილ ეროვნულ გვარდიაში მიღების მსურველთა რიგი დადგა.

ჩემი სახლიდან სულ რაღაც ერთ კილომეტრში, „მეტრომშენის“ დასახლების ბოლოს, იმდროინდელი ლესელიძის სკოლის ეზოში პირველი ბატალიონი ყალიბდებოდა, რომელსაც საბჭოთა არმიის თადარიგის კაპიტანი გელა ლანჩავა ჩაუდგა სათავეში.

ერთი სული მქონდა, დროზე მოვმჯობინებულიყავი, არაოფიციალურ ფორმირებაში ყოფნისა და კანონგარეშე ცხოვრებისთვის წერტილი დამესვა და თანამებრძოლ მეგობრებთან ერთად მრავალჯერ ნანატრსა და ნაოცნებარ ქართულ ჯარში დამეწყო სამსახური.

■

დაჭრის შემდეგ რეაბილიტაციას ბაკურიანში გავდიოდი. ერთ საღამოს მე, ჩემს ძმას და ჩემს ბიძაშვილ თემურს „გეოლოგების სასტუმროს“ ნომერში გარედან ხმაური მოგვესმა. დერეფანში გავედი და ხმამაღლა მოსაუბრეები ჩემთან შემოვიპატიჟე. ოთხნი იყვნენ. სასტუმროში ელექტროენერგია არ იყო და ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში სახეზე მათი ცნობა გამიჭირდა. ლაპარაკში მერაბ გელაშვილი („კიტა“), კოტე ჯანჯღავა, კოტე გედევანიშვილი და გიო ახობაძე ამოვიცანით. ოთხივე ერთად ან ცალ-ცალკე კიტოვანის გარემოცვაში მყავდა ნანახი, მათ კი ჩემს თავგადასავლებსა და იარაღზე იმდენი ტყუილ-მართალი სმენოდათ, რომ დაუსწრებლად მიცნობდნენ. მოკლედ, სუფრას მივუსხედით – მერაბი, კოტე, მეორე კოტე, პატარა გიო, გოჩა, თემური და მე. კარგადაც მოვილხინეთ და ბოლოს ხელის დარტყმით სამუდამო მეგობრობაც შევფიცეთ ერთმანეთს: „სანამ სიკვდილი არ დაგვაშორებს!“

მოგვიანებით ამ ფიცს გიოს კიდევ ერთი მეგობარი, დაჩი კეკელია შემოუერთდა, მისი ტოლი და მასავით ხალასი, ისეთივე ბავშვური, სიცოცხლით სავსე მოელვარე და ნათელი, ამავდროულად, მოუსვენარი და ცუღლუტი თვალებით, რომლებშიც მუდმივად ახალ-ახალი ეშმაკობების სურვილი იკითხებოდა.

ასე დაიწყო იმ ბიჭებთან ნამდვილი, მაგრამ ხანმოკლე მეგობრობის ისტორია. ისე, როგორც ჩვენვე ვიწინასწარმეტყველეთ – სანამ ერთმანეთს სიკვდილმა არ დაგვაშორა.

■

გამოჯანმრთელებისთანავე უზენაესი საბჭოს მარცხენა ფლიგელს მივაშურე, სადაც თენგიზ კიტოვანის სამთავრობო კომისია იყო განთავსებული. ერთი სული მქონდა, კიტოვანი მენახა და ცხინვალიდან ჩემი გამოყვანისთვის მადლობა გადამეხადა, მის გარემოცვას დავლაპარაკებოდი, ახალგაცნობილი ადამიანები მომეკითხა.

მის მისაღებში უამრავი ჩემი თანატოლი გოგო-ბიჭი ტრიალებდა. მათგან ნაწილი თენგიზ კიტოვანს ჯერ კიდევ მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის“ ოფისიდან მოჰყვებოდა – აკია ბარბაქაძე, გიორგი თავდგირიძე, ლევან გამყრელიძე; ასევე, ინგა კეშელავა, რომელიც კიტოვანის სამდივნოში მუშაობდა. ნაწილი მის გუნდს არჩევნებში გამარჯვების შემდეგ შეუერთდა: კობა კობალაძე, ძმები – მერაბ და ლაშა გელაშვილები, ნიკუშა ივანიშვილი, ზაზა ხელაია, მამუკა ბერძენიშვილი, ზურა ზუბადალაშვილი, მამუკა ყურაშვილი და სხვები. უზენაეს საბჭოს ხშირად სტუმრობდნენ მისი ახლობლები და გულშემატკივრებიც: ტარიკო ბარბაქაძე, ზვიად აბაშიძე, ნიკუშა კეკელიძე, ძმები – რეზო და ზაზა ჩაჩუები, კახა გველესიანი, შაკო მამალაძე, კოტე მიქელაძე, ბიჭი ყიფშიძე, თემურ ჯორჯაძე, დათო ახვლედიანი, ამირან ბურჭულაძე, თამაზ დუმბაძე, ჯემალ ქუმბურიძე და სხვები.

კიტოვანს „ბანიას“[96] ეძახდნენ. ყველას თბილად ექცეოდა, უშუალო იყო და გულკეთილი. განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა: ერთი შეხვედრით, ერთხელ დალაპარაკებით შეეძლო, ისეთი შთაბეჭდილება მოეხდინა, რომ მის მიმართ პატივისცემა გაგჩენოდა.

იქ სიარულს თანდათან მოვუხშირე. ყველა სიხარულით მხვდებოდა, როგორც ახლო მეგობარს, ისე მექცეოდნენ, ტკბილად, ყურადღებით. შიგადაშიგ კიტოვანსაც ვხვდებოდი, თბილად მომიკითხავდა, მკითხავდა, რამე ხომ არ გჭირდებაო. ეს ყველაფერი თითქოს წვრილმანია, მაგრამ ჩემთვის, სამშობლოში ახალდაბრუნებული ადამიანისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი იყო და განსაკუთრებულად მახარებდა. და რაც მთავარია, მან გადამარჩინა, სიკვდილისგან მიხსნა, მისგან სიცოცხლით ვიყავი დავალებული.

როდესაც თითქმის ერთ ათეულ წელიწადს სამხედრო სამსახურში გაატარებ და სამხედრო დისციპლინით აღიზრდები, უკვე სისხლში გაქვს გამჯდარი ზემდგომის მიმართ მორჩილება, ბრძანების უსიტყვოდ შესრულება. ადამიანი გჭირდება, რომელიც დავალებას მოგცემს, რადგან სამხედრო სამსახურის არსი სწორედ ბრძანების მიღებასა და შესრულებაშია. ამის მოთხოვნილება გაქვს და მე ეს ადამიანი ვიპოვე. ასე ვიქეცი „კიტოვანის კაცად“, მისი გუნდის წევრად.

■

1990 წლის მიწურულსა და 1991-ის დასაწყისში ცხინვალსა თუ თბილისში ვითარება მუდმივად დაძაბული რჩებოდა: ხან საძოვარზე გასულ საქონელს ჰპარავდნენ ერთმანეთს, ხან ქართველები აჩერებდნენ კეხვის პიკეტზე ორჯონიკიძიდან მომავალ ავტომანქანას, ხან პირიქით, ოსები – ერგნეთიდან დიდი ლიახვის ხეობისკენ მიმავლებს. მძღოლს მანქანიდან გადმოიყვანდნენ, გაიხრეკდნენ, სიტყვიერ შეურაცხყოფას მიაყენებდნენ, დასცინებდნენ, გალახავდნენ და გაუშვებდნენ.

---

[96] **Батя (რუს.)** – სალაპ აქ სამხედრო ნაწილის მეთაური. ჩვეულებრივ, ასეთი მიმართვით პატივისცემას გამოხატავენ

შუღლი და სიძულვილი ყოველდღიურად უფრო და უფრო ღრმავდებოდა.

სახელმწიფო ტელევიზია და პრესა ცეცხლზე ნავთს ასხამდა და მტრობას კიდევ უფრო აღრმავებდა. ქართული პრესა სათითაოდ ითვლიდა საქართველოში მცხოვრებ ოსთა ოჯახებს თბილისში, რუსთავში, გორში, ახმეტასა თუ ბორჯომში, სხვადასხვა სოფელსა თუ რაიონში და მათ პროცენტულ შეფარდებას ქართველებთან. პოლიტიკური ლიდერები, ეროვნული მოძრაობის არაფორმალები სხვადასხვა ისტორიულ ფაქტზე დაყრდნობით დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ სამაჩაბლო, საქართველოს ძირძველი მხარე, ოსების მიწა არასდროს ყოფილა. მეტი დამაჯერებლობისთვის იმ ფაქტს იშველიებდნენ, რომ სოფელ ოსფრისის (ფრისი) სასაფლაოზე დაკრძალული პირველი ოსი ეროვნების ადამიანის საფლავზე გარდაცვალების თარიღად 1906 წელი იყო მითითებული.

ცხინვალში სეპარატიზმის ყოველ გამოვლენას თუ ქართველების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს თბილისი საგანგებო განცხადებით ეხმიანებოდა და ძალის გამოყენებით იმუქრებოდა, ქართველების მიერ ჩადენილ მსგავს ქმედებებს კი ვერ ამჩნევდა...

თავის მხრივ, სეპარატისტები შექმნილი ვითარებით კარგად სარგებლობდნენ და უკომპრომისო ბრძოლით მშვიდობიან თანამემამულეებს შორის სიძულვილსა და შუღლს კიდევ უფრო აღრმავებდნენ, რასაც, ცხადია, საბჭოთა სპეცსამსახურებიც უწყობდნენ ხელს. დეკემბრის მეორე ნახევრიდან ვითარება ძალიან გამწვავდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა წესრიგისა და კანონიერების აღსადგენად ცხინვალსა და ჯავაში საგანგებო წესები პირველივე შეტაკების შემდეგ, 12 დეკემბერს გამოაცხადა და იმავე დღეს შსს-ს, უშიშროების სამინისტროსა და საბჭოთა შინაგანი ჯარის ჯგუფები მიავლინა, ვითარების განმუხტვის ნაცვლად პირიქით მოხდა: სამხრეთ ოსეთში 1990 წლის დეკემბრის ბოლოს პოლიტიკურმა დაძაბულობამ პიკს მიაღწია.

■

ახალ წლამდე 5-6 დღით ადრე, შუადღისას ინფორმაცია გავრცელდა, რომ შეიარაღებულ რაზმებს თბილისის დიღმის გასასვლელში იხმობდნენ საგანგებო დავალების შესასრულებლად. ახალციხელთა რაზმშიც დაუყოვნებლივ განგაში გამოვაცხადეთ. ბიჭები გზადაგზა იცვამდნენ სამხედრო ფორმას, იარაღდებოდნენ, ვისაც რა ჰქონდა, მანქანებში სხდებოდნენ და დანიშნულების ადგილისკენ ისე მიეშურებოდნენ, რომ არცერთს კითხვაც არ გასჩენია, რატომ და რისთვის მიდიოდნენ.

დათქმულ ადგილას მისულებს, იქ, სადაც დღეს სავაჭრო ცენტრი „თბილისი მოლი" და „კარფურია", „ილია მართლის საზოგადოებასთან" დაახლოებული გასამხედროებული რაზმის წევრები დაგვხვდნენ, სხვა ფორმირებების წევრებთან ერთად მაგისტრალის ორივე მხარეს მინდვრებში მიგვიჩინეს ჩასაფრების ადგილი და დაგვავალეს, მოვლენების განვითარებას დავლოდებოდით. მხოლოდ ის ვიცოდით, რომ ვიღაც უნდა დაეკავებინათ, ვისაც იმ გზაზე უნდა გამოევლო, თუმცა ვინაობა გასაიდუმლოებული იყო. არც ცნობისმოყვარეობა აწუხებდა დიდად ვინმეს. ჯარისკაცები ვიყავით და ჩვენთვის დიდი პატივი იყო ეროვნული ხელისუფლებისგან მიღებული დავალების უსიტყვოდ და წარმატებით შესრულება, ხოლო მათგან მიღებული საქებარი სიტყვა – საუკეთესო ჯილდო, რასაც ქართველი ჯარისკაცი ოდესმე ინატრებდა.

შაბათი დღე იყო. გარეთ ძალიან ციოდა. გამჭოლი ქარი ძვალსა და რბილში ატანდა. დრო იწელებოდა, უკვე ბნელდებოდა, მაგრამ ჩვენი ყურადღების ობიექტი არა და არ ჩანდა. საღამოს 7 საათი იქნებოდა, როდესაც უცებ ხმა გავარდა, მოდიანო და ჩოჩქოლი ატყდა. გზაზე „გაზ-24“-ის ტიპის მანქანა გამოჩნდა, როგორც კი გაგვისწორდა, უკნიდან დიდი სიჩქარით მომავალმა სხვა მანქანამ გადაუსწრო, ფანჯრიდან გამოყოფილი ხელის ქნევით გაჩერება მოსთხოვა და წინ მკვეთრად დაუმუხრუჭა. წინა მანქანიდან ორიოდე თვით ადრე გაცნობილი გურამ ღარიბაშვილი გადმოხტა „მაკაროვით“ ხელში და გვერდულად გაჩერებულ „ნივაში“ უკანა სავარძელში მჯდომ მამაკაცს გადმოსვლა და სხვა მანქანაში გადაჯდომა მოსთხოვა. ამასობაში უკნიდან მომავალი მანქანებიც მოადგნენ, ჩასაფრებულებიც გზაზე გამოეფინნენ და ტრასაზე მოძრაობა დროებით მთლიანად გადაიკეტა.

მანქანის ფანჯრებიდან შეშინებული ადამიანები იყურებოდნენ და ვერ ხვდებოდნენ, ვინ იყვნენ ავტომატასხმული სამოქალაქო პირები, ვის აკავებდნენ ან რატომ? მუქპალტოიანი ორმოცდაათამდე წლის მამაკაცი სხვა მანქანაში გადასვეს. მათ, ვინც შეიარაღებულ ჯგუფებს ხელმძღვანელობდნენ, მადლობა გადაგვიხადეს და დაკავებული მამაკაცი მაჩაბლის ქუჩაზე, „მრგვალი მაგიდის“ შტაბისკენ გააქანეს.

ცალკეული ფრაზითა და წინადადებით იმის გაგება მოვახერხეთ, რომ დაკავებული ცოტა ხნის წინ გაუქმებული სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ტორეზ კულუმბეგოვი იყო, რომელიც, შეზარხოშებული, ახლობლის ორმოციდან უკან, ცხინვალში ბრუნდებოდა. იყო კიდევ ერთი ვერსია – თითქოს ცხინვალის რეჟიმის წარმომადგენელი კულუმბეგოვი ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოლაპარაკებაზე იყო გადმოსული. როგორც ჟარგონზე იტყვიან, „გამიტყდა“. სად გაგონილა მოყვრებში სტუმრად ან მოლაპარაკებაზე ჩამოსული კაცის დაპატიმრება?! – ჩემთვის ასეთი უკადრისი საქციელი მიუღებელი იყო. ვერც იმას მივხვდი, დაკავებული შსს-ს ნაცვლად მაჩაბლის ქუჩაზე, „მრგვალი მაგიდის“ ოფისში რატომ მიიყვანეს, თუმცა, ცნობისმოყვარეობას აყოლილი, ბოლოს მეც იქით გავემართე.

ოფისის მეორე სართულის კორიდორში უამრავი ნაცნობ-უცნობი ტრიალებდა და ერთ-ერთი ოთახიდან ინფორმაციის გამოტანას ელოდებოდა. როგორც ამიხსნეს, იმ ოთახში შსს-ს გამომძიებლები დაკითხვას აწარმოებდნენ და 12 დეკემბერს ცხინვალში ატეხილ სროლაში მონაწილეთა ვინაობის დადგენას ცდილობდნენ. ამ ამბის მონაწილე ცხინვალის „ვაზ“-ის უფროსი მანქანაზე თავდასხმის ბრალდებით იმავე საღამოს დააპატიმრეს ყაზბეგის გზაზე. დღის ბოლოს კი 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადების ორგანიზატორს წაუყენეს ბრალი ტერორის პროპაგანდისა და ეროვნული შუღლის გაღვივებისათვის. მასთან ერთად ახსენებდნენ ოს გენერალ კიმ ცაგოლოვსაც, თითქოს რუსეთის სამხედრო წრეებთან სეპარატისტების კავშირსა და იარაღის მიწოდებას იგი უზრუნველყოფდა.

თბილისი კვლავ გამარჯვებას ზეიმობდა.

სამაგიეროდ სამხრეთ ოსეთის პირველი პირის დაკავებას ცხინვალში დიდი მღელვარება და სახალხო გამოსვლები მოჰყვა. თბილისში ოსების წინააღმდეგ ნათქვამ ნებისმიერ ნაციონალისტურ ფრაზას, მომხდარ ფაქტსა და ინციდენტს ცხინვალის მშვიდობიანი მოსახლეობა შიშითა და კანკალით ხვდებოდა, რასაც „ადამონ ნიხასის“ ლიდერები შესანიშნავად იყენებდნენ სათავისოდ და ხალხს ქართველების წინააღმდეგ განაწყობდნენ. სეპარატისტების მოწოდებით ოსი

ახალგაზრდები მშობლიურ ქალაქებსა და სოფლებს ტოვებდნენ და თავისიანების დასაცავად ცხინვალისკენ მიემურებოდნენ.

დასუსტებულ ცენტრსა და ურჩ რეგიონს შორის დაძაბულ ურთიერთობას საქართველოში განლაგებულ ამიერკავკასიის სამხედრო ნაწილებზე, მათ იარაღსა და ტრანსპორტზე გახშირებული თავდასხმები კიდევ უფრო ამძაფრებდა. ახლა უკვე ადვილი იყო, რუსის აღარავის ეშინოდა. ისინი კი დიდი თავშეკავებით, ძნელად, მაგრამ ითმენდნენ, ღვარძლით იმახსოვრებდნენ ყოველ ფაქტს. ხმადაბლა, ჩურჩულით, მაგრამ მაინც სამაგიეროს გადახდით იმუქრებოდნენ. გულში გეგმას აწყობდნენ და შესაფერის მომენტს ელოდნენ. თითქოს წინასწარ იცოდნენ, რომ ეს დღეც ძალიან მალე დადგებოდა.

თუ აქამდე, კომუნისტების მმართველობის დროს ამ ყველაფერში ეროვნულ მოძრაობას ადანაშაულებდნენ, ახლა ისევ მათ, მაგრამ უკვე ქვეყნის სათავეში მყოფებს უნდა ეზიდათ პასუხისმგებლობა. ეროვნული ხელისუფლება კი მხრებს იჩეჩავდა, ყველაფერზე ხელებს იბანდა, პირდაპირი განკარგულებებით თუ არაპირდაპირი მითითებებით, სახელმწიფო პოლიტიკითა და საინფორმაციო სივრცეში გამეფებული იდეოლოგიით ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა შეიარაღებულ რაზმებსა და თავზეხელაღებულთა ჯგუფებს. ჩვეულებრივი კანონსაწინააღმდეგო მოქმედება, სამხედრო მანქანის ჩამორთმევა ან რუსი ოფიცრისათვის პისტოლეტის წართმევა დანაშაულად არ ითვლებოდა, სამართალდამცავი ორგანოები მსგავს შემთხვევებზე რეაგირებას არ ახდენდნენ. რუსი კი ამასაც მწარედ იმახსოვრებდა.

„მრგვალ მაგიდასთან“ დაახლოებულმა ფორმირებებმა და შეიარაღებულმა რაზმებმა იურიდიული თავშესაფარი ეროვნულ გვარდიაში პოვეს, ხოლო სამსჯავროზე „მხედრიონი“ გამოჰყავდათ და ყველაფერს მას აბრალებდნენ. შესაძლოა, „მხედრიონსა“ და „მხედრიონელებს“ არც საკუთარი ცოდვები აკლდათ, მაგრამ ყველა დანაშაულის მხოლოდ მათთვის აკიდება უსამართლოც იყო და, იმავდროულად, სამართლიანიც, უსაფუძვლოცა და საფუძვლიანიც, რადგან ქვეყანაში სახელმწიფო კონტროლს დაუქვემდებარებელი შეიარაღებული ფორმირების არსებობა უკვე თავისთავად დიდ საფრთხეს შეიცავდა.

სწორედ ასეთი, იარაღიანი პირების ასალაგმავად 1990 წლის 28 დეკემბერს მიიღეს დადგენილება, რომელიც უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნასა და მოქმედებას კრძალავდა და ერთი თვის ვადაში შსს-ში იარაღის ჩაბარებას ითხოვდა. ჯაბა იოსელიანმა ეს გადაწყვეტილება პირად გამოწვევად და მასზე შეტევად აღიქვა. „მხედრიონელები“ ვითარებასთან შერიგებასა და დათმობას, იარაღის ჩაბარებას არ აპირებდნენ. სულ უფრო და უფრო დაჟინებით ისმოდა მათი მუქარა: „ამას არ დავუშვებთ, არ მოვითმენთ!“ ჯაბა იოსელიანი ხელისუფლებას აფრთხილებდა, ტყეში გასვლითა და იქიდან ბრძოლით იმუქრებოდა. ვითარება უკიდურესად იძაბებოდა. გაზეთებში იბეჭდებოდა სტატიები, სადაც სამოქალაქო ომის საფრთხეს უკვე პირდაპირ განიხილავდნენ და რეალურად მიიჩნევდნენ.

უკიდურესობამდე მისული ქართულ-ოსური ურთიერთობები

ცუდად დაიწყო 1991 წელი.

ჯერ იყო და, ახალ წლამდე, 20 დეკემბერს ედუარდ შევარდნაძის ყველასათვის მოულოდნელმა ხმაურიანმა განცხადებამ: „დიქტატურა მოდის" – და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგომამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მისი თითოეული სიტყვის, გადადგომის მიზეზის ახსნა ყველა ჟურნალისტისა და პოლიტიკოსისთვის მთავარ თემად იქცა. ეროვნულმა ხელისუფლებამ შევარდნაძის ნაბიჯი ფანდად შეაფასა, ეშმაკობად ჩაუთვალა, პოლიტიკური მანევრი უწოდა.

ამასობაში, 4 იანვრისთვის ცხინვალში ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა. ქალაქის ცენტრში გამართულ მიტინგებზე ქართველების მიმართ ისევ და ისევ ისმოდა: „ფაშისტები, მკვლელები, სადისტები, ბანდიტები". ცხინვალში წესრიგის დასამყარებლად მივლინებულ შსს-სა და სუკ-ის[97] პასუხისმგებელ მუშაკებსაც კი თავს დაესხნენ, სცემეს, შეურაცხყოფა მიაყენეს და ტაბელური იარაღი წაართვეს. ამან საბოლოოდ აუვსო მოთმინების ფიალა ისედაც გულს აყოლილ ხელისუფლებას და მეორე დღეს უზენაესმა საბჭომ ცხინვალსა და ჯავის ტერიტორიაზე კომენდანტის საათის მოქმედების დრო გაახანგრძლივა საღამოს 7-დან დილის 7 საათამდე, წესრიგის დასაცავად კი იმავე ღამით ცხინვალსა და დიდი ლიახვის სოფლებში შსს-ს 3000 მილიციელი შეიყვანა. იმის იქით, ჯავისა და ზნაურის რაიონებში ვერ შევიდოდნენ, რადგან იმ ტერიტორიას საქართველოს ხელისუფლება ვეღარ აკონტროლებდა.

ჯერ ისევ თავშეხვეული ვიყავი, სახლში ეს ამბავი რომ მოიტანეს. თბილისში ხმა გავარდა, ოსები სულ გათავხედდნენ, მათ ასალაგმავად მთავრობა რჩეულ ვაჟკაცებს კრებს, ვისაც მკლავი უჭრის და მუხლი ერჩის, მეღვრეკისში იბარებენ, განსაკუთრებით ახალციხიდან წამოსულები ეიმედებათ და მათ ჩამოსვლას ითხოვენო. მეტი რაღა უნდა ეთქვათ?!

შინ ძალიან კი მთხოვდნენ, ბეწვზე გადარჩენილს, ნასვლისგან თავი შემეკავებინა, ცოტა მაინც დამესვენა, მაგრამ რა მომასვენებდა?! გული ბრძოლისკენ მიმიწევდა, სიკვდილთან კიდევ ერთხელ შეხვედრის სურვილი მქონდა, მისთვის უშიშრად თვალებში ჩახედვის და მისი დამარცხების წყურვილი მახრჩობდა!

6 იანვარს, შუადღეს უკვე ადგილზე ვიყავით.

ცხინვალის „ტეკიდან" მილიციის შენობამდე სოლივით შეჭრილ ქართულ მილიციას ბლოკპოსტები ჰქონდა დაყენებული და მხოლოდ ორ ქუჩას შორის პერიმეტრს აკონტროლებდა. მილიციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უსაგნოდ და უმიზნოდ სროლისგან მაქსიმალურად იკავებდნენ თავს, დღისით ცდილობდნენ, ადგილობრივ მილიციასთან ეთანამშრომლათ და ნაწილობრივ ახერხებდნენ კიდეც, თუმცა როგორც კი მოსაღამოვდებოდა და დაბნელდებოდა, სხვადასხვა მხრიდან სროლა იწყებოდა. თითქოს სამალავებიდან ამოძვრნენო, ცენტრისკენ ყოველი სახლიდან, ყოველი გზაჯვარედინიდან ტყვიები მოფრინავდა.

იმ დროს, როდესაც ცხინვალში მილიცია წესრიგის დამყარებას ცდილობდა, ქალაქის მისადგომთან, სოფელ მეღვრეკისში შეიარაღებული რაზმები იკრიბებოდნენ. ვის არ ნახავდით იქ, ჯაბა იოსელიანის „მხედრიონის" გარდა. საველე სამხედრო ფორმებში გამოწკეპილები თუ ძვირფას „დუბლიონკებსა" და პალტო-

[97] სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი

ებში გამოწყობილები, ერთმანეთს თავს აწონებდნენ. ყველა ჭკუისკოლოფობდა. ზოგი ჯავის აღებას ითხოვდა, ზოგი ცხინვალში მილიციელებთან ერთად პოსტებზე შეიარაღებული რაზმების დაყენებას ემხრობოდა.

შეიარაღების, აბა, რა მოგახსენოთ?! – ძირითადად, სანადირო თოფებით, ლულაგახვრეტილი სასწავლო ავტომატებით, მუზეუმებიდან თუ კინოსტუდიიდან წამოღებული რეკვიზიტებით, ვითომდა იარაღით იყვნენ აღჭურვილები. კიდევ АКСУ-ს ტიპის თითო-ოროლა ავტომატით, რომელიც შსს-მ ბუნებისა და გარემოს დაცვის სხვადასხვა საზოგადოებას დაურიგა. უკეთეს შემთხვევაში ქამარში ნაგანი ჰქონდათ გარჭობილი, ან თეძოზე გრძელი მაუზერი ეკიდათ, ან სანადირო თოფი ჰქონდათ ბეჭებზე გადადებული და ასეთი შეიარაღებით ცხინვალში შესვლასა და ბრძოლას ითხოვდნენ.

კომუნისტურ ეპოქაში გამოზრდილი, წესრიგის მოყვარული მილიციელები და მათი ხელმძღვანელები, სხვაზე არანაკლები პატრიოტები, პარტიებისა და ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებისგან განსხვავებით შოვინიზმით არ იყვნენ მოწამლულები. მეტიც, ბევრი ნანობდა კიდეც, რომ დალაგებული ქვეყანა აირ-დაირია. არც სიამოვნებდათ და არც ცდილობდნენ, საპასუხოდ ბრმად დაეშინათ ცეცხლი იმ სახლების ფანჯრებისა და კორპუსების სახურავებისათვის, საიდანაც ტყვიების წვიმა მოდიოდა. ერჩივნათ, გათენებას დალოდებოდნენ, რომ დღის მუქზე ოპერატიული სამძებრო ღონისძიების შედეგად დამნაშავეები ყოველი სახლიდან სათითაოდ გამოეყვანათ და დაეპატიმრებინათ. არც ის მოსწონდათ, რომ ყოფილი კრიმინალები, შსს-ს ინფორმატორები, მათი შეგზავნილი თუ სუკ-ის აგენტები, რომლებსაც თანამშრომლობაზე სიამოვნებით ჰქონდათ ხელი მოწერილი, ახლა გაპატრიოტებული, მათვე ასწავლიდნენ ჭკუას და სახელმწიფოს მოწყობის პრინციპებს უხსნიდნენ. არ მოსწონდათ, მაგრამ იძულებულნი იყვნენ, ესმინათ და ეთმინათ – ხელისუფლების მაღალჩინოსნები და პოლიტიკური პარტიების ლიდერები ხომ ეროვნულ მოძრაობაგამოვლილებს უფრო ენდობოდნენ, ვიდრე კომუნისტურ წყობაში ნამსახურებ მილიციელებს.

მეღვრეკისში თავმოყრილ შეიარაღებულ ჯგუფებსა და მილიციას შორის ახალშექმნილი ეროვნული გვარდიის პირველი ბატალიონის მეთაური გელა ლანჩავა შუამავლობდა, შეკრებილებს ცხინვალიდან მოსულ ცხელ-ცხელ ამბებს აცნობდა და პირიქით – იქ გაჩენილ აზრებსა და იდეებს მილიციის მაღალჩინოსნებს გადასცემდა. ცხადია, ნებისმიერი ინფორმაცია მნიშვნელოვანი იყო კოორდინაციის უზრუნველსაყოფად, თუმცა გელას მიერ საკუთარ თავზე შუამავლის ფუნქციის აღება კარგი ცხოვრებით ნამდვილად არ იყო ნაკარნახევი და თანმდევი გაუგებრობებითა და კურიოზებით „გაფუჭებული ტელეფონის“ თამაშს უფრო ჰგავდა.

ახალჩასული რაზმები მეღვრეკისის სკოლის მეორე სართულზე, სხვადასხვა ოთახში განაწილდნენ. ჩვენც იქ დავბინავდით. ჩემი რაზმელები მოკრძალებით, მორიდებით, სიტყვაძვირობით, სიდინჯით და თავმდაბლობით გამოირჩეოდნენ. ისინი უსიტყვოდ ისმენდნენ ხელისუფლებასთან დაახლოებულთა მოძღვრებას პატრიოტიზმზე, სამშობლოსა და თავისუფლებაზე.

სხვებთან შედარებით ერთი დიდი უპირატესობა გვქონდა – ყველას АКС-74-ის მოდიფიცირებული, პლასტმასის ყავისფერტარიანი დასაკეცი „პრიკლადიანი“ ახალთახალი ავტომატი გვეჭირა ხელში; ტყვია-წამალიც მეტი გვქონდა, ბევრად მეტი, ვიდრე ნებისმიერ იქ მყოფს. გამვლელ-გამომვლელს ჩვენკენ გამოურბოდა თვალი, ჩვენს იარაღს ხარბად შესცქეროდა. უკვე ბევრმა იცოდა ჩვენი სახელი, უფრო სწორად, საქმე, თორემ რაზმისთვის ჯერ სახელიც არ გვქონდა შერჩეული.

■

6 იანვრის ღამეს მილიცია ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. თითქმის ყველა კუთხიდან, ყველა სახლის სახურავიდან სროლა ატყდა. ისინი კი, შენობებს შეფარებულები, პარალელურ თუ პერპენდიკულარულ ქუჩებზე თავს ვერ ყოფდნენ ყოველი მხრიდან ნამოსული ტყვიების გამო.

მთელი ღამე შეუწყვეტელი სროლა ისმოდა. მილიციას ძალიან უჭირდა, თუმცა მოხალისე რაზმების შეყვანას მაინც არ ჩქარობდა. შუაღამე იქნებოდა, როდესაც გელამ შსს-ს მაღალჩინოსნებს ერთი ათეულის ქალაქში შეყვანა შესთავაზა. დიდხანს არწმუნებდა მათ, რომ გამორჩეულად ძლიერი ჯგუფი ჰყავდა და საბოლოოდ დაითანხმა კიდეც.

იქ მყოფი ბევრი შეიარაღებული ჯგუფი გულდაწყვეტილი დარჩა, როდესაც გელამ ცხინვალში ჩვენი ათეული ნაიყვანა.

სროლით გულმოოხებულები და დაღლილ-დაქანცულები უკან გამთენიისას დავბრუნდით, ამაყად შევაბიჯეთ შტაბში. ეს ჩვენთვის ნამდვილი საბრძოლო ნათლობა იყო. იმ ათეულიდან ზვიად წიკლაური, თორნიკე შიუკაშვილი, არსენა ცხვედაძე, კობა მართაშვილი („სკიპი“), გიო ახობაძე და მერაბ გელაშვილი („კიტა“) დღეს ცოცხლები აღარ არიან.

7 იანვრის დილა თენდებოდა. ცხინვალში შსს-ს ოპერატიულ-სამძებრო სამუშაოები დილიდან განახლდა. ქალაქში ვითარება ნაწილობრივ დამშვიდდა, სროლა მხოლოდ აქა-იქ თუ ისმოდა. მეღვრეკისში თავმოყრილები ისევ უშედეგოდ ითხოვდნენ ცხინვალში შესვლას, შსს-ს მაღალჩინოსნები კი ქალაქში მათ შეყვანას ისევ არ ჩქარობდნენ – კონფლიქტის ესკალაციას ერიდებოდნენ.

„ოსფრისიდან სროლის შეწყვეტას ვერ ვახერხებთ!“ – დიდი ამბით გაგვიმხილა მეღვრეკისის საველე შტაბში შეკრებილებს მილიციელთა ჩივილი და სატკივარი გელამ. უკვე მეორე ღამე იყო, რაც ოსფრისიდან გახსნილი ცეცხლი მილიციელებს მოსვენებას უკარგავდა. როგორც კი დაბნელდებოდა, თითქოს მიწიდან მიცვალებულები ამოძვრნენო, სასაფლაოს მხრიდან გამუდმებით სროლა ისმოდა.

ოსფრისის გორაკიდან ხელისგულზე მოჩანდა ცხინვალის შესასვლელი და ქართულ სოფლებთან დამაკავშირებელი გზა. ეს ერთადერთი გორაკი თვითონ ქალაქსაც თავზე დასცქეროდა და დასამალადაც ადვილი იყო. უკვე მომაბეზრებელი გახდა ყოველ ღამე მოწინააღმდეგის მხრიდან ზურგში ჩასაფრებით სროლა. ერთი პატარა გორაკი ცხინვალის ჩრდილო-აღმოსავლეთით აქილევსის ქუსლად იქცა.

თავზეხელაღებულობასაც და თავდადებასაც დროება უქმნის შესაფერის გარემოს, ახალ-ახალ შესაძლებლობათა ასპარეზს. ის დროება ყველანაირად ხელს გვიწყობდა თავის გამოჩენაში, საკუთარი შესაძლებლობების კიდევ ერთხელ მოსინჯვაში. საგმირო საქმის ჩადენის სურვილი ისე გეძალება, რომ დაფიქრებისა და გააზრების დროს არ გიტოვებს. ამ შემართებით გელას ისეთი მაცდური ნინადადება შევთავაზე, რომ განცვიფრებისგან სახტად დარჩა.

– საღამოს ოთხნი ჩავუსაფრდებით ზურგში, სასაფლაოების პირას და ცხინვალის სიმშვიდის დამრღვევებს, მკვდრებს ან ცოცხლებს, აუცილებლად მოვიყვანთ, – მოკრძალებულად ვუთხარი გელას. იგი უმალ შტაბში გაემგზავრა და მილიციის ხელმძღვანელობას, ერთი შეხედვით, პატარა საბრძოლო ამოცანა გააცნო. ოსფრისის სასაფლაოებზე წასაყვანი ჯგუფის მომზადება, გაყვანა და ჩასაფრებაში დატოვება თვითონ იკისრა.

7 იანვრის საღამო ახლოვდებოდა. ნისლი ნელ-ნელა წვებოდა და ცხინვალში სიბნელე ისადგურებდა, როდესაც ორ ჯგუფად გაყოფილები – ორნი ცხინვალის ქვედა მხრიდან სასაფლაოების თავში, ორნი კი სასაფლაოების ბოლოში – წითელ მინებზე შევიპარეთ.

სასაფლაოს სამხრეთ შესასვლელთან, ფერდობის დასაწყისში ვიწექი თემურ ელისაშვილთან ერთად. ზემოთ ახალგაზრდა ლეიტენანტი დათო აფციაური და ჩემი ბიძაშვილი, არსენ ცხვედაძე იყვნენ ჩასაფრებულები. ოთხ ქართველს ოსფრინის სასაფლაოზე გვქონდა განზრახული ღამის გათენება, როგორც ალექსანდრე დიუმას პერსონაჟებს – მტრის ზურგში, ციხესიმაგრეში სადილობა.

ჩამიჩუმი არ ისმოდა. თითქოს ჩვენს ჩანაფიქრს მიხვდნენო, პატარა მთის ირგვლივ განლაგებული ქალაქი და ყველა მოსაზღვრე სოფელი სიმშვიდეს მოეცვა. დაბნელებასთან ერთად თოვლმა იმატა, შეუჩერებლად ბარდნიდა. საშინლად ციოდა, თუმცა თეთრ საველე „ტულუპში“[98] გახვეულს სიცივე ვერას მაკლებდა. ნახიჩევანიდან ნამოყოლილი ტყაპუჭი ყველგან თან დამქონდა, მომწონდა და მიხდებოდა კიდეც. ჩემს თანამებრძოლებსაც მოსწონდათ, თითქოს ისინიც გრძნობდნენ, როგორი სითბო ტრიალებდა ქათქათა ტყაპუჭის შიგნით. თემურს ყურებიანი ბეწვის ქუდი ეფარა. რაც უფრო ღამდებოდა, სიცივეც მატულობდა.

ქარს მიწათხრილში ვაფარებდით თავს – წელამდე სიღრმის ორმოში ვისხედით გასათბობად ერთმანეთზე მიყრდნობილები. ძირითადად, ჩუმად ვიყავით, ერთმანეთთან ლაპარაკსაც ვერიდებოდით. ერთადერთი, უსაშველო სიცივისაგან გამონვეულ კანკალსა და კბილების კანკანს ვერაფერს ვშველოდით, თუმცა მაინც გვიხაროდა, რომ მომავალში სიამაყით მოსაყოლი თავგადასავალი გვექნებოდა. მაქსიმალურად დაძაბული მზერა და სმენა წინ და უკან, მარცხნივ და მარჯვნივ გვქონდა მიმართული. ყურადღებას წამითაც არ ვადუნებდით. ისე თოვდა, საფლავის ქვები, ბიუსტები და საფლავებზე შემოვლებული რკინის გისოსები მთლიანად თოვლით დაიფარა. საფლავის ქვებს შორის, მინათხრილში ნოლა არც თუ სასიამოვნო გრძნობაა, თუმცა ვცდილობდით, არაფერი შეგვმჩნეოდა, შიში ფიქრადაც არ გაგვევლო. ასეთივე დღეში იყვნენ 200-ოდე მეტრში, სასაფლაოების თავში დათო და არსენაც.

დრო ნელა გადიოდა, ირგვლივ ჩამიჩუმი არ ისმოდა, თითქოს მოწინააღმდეგისთვის ჩვენი განზრახვა ვიღაცას ეცნობებინა. არც გელა ჩანდა. რას წარმოვიდგენდით, რომ სწორედ იმ საღამოს მოსკოვში მოვლენები ჩვენთვის საბედისწეროდ ვითარდებოდა.

მანამდე კრემლში თითქოს ყველაფერს უყრუებდნენ: არც 1990 წლის 20 სექტემბერს ცხინვალში გამოცხადებულ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ“ დეკლარაციას იმჩნევდნენ და არც ქართველების მიერ 1990 წლის 11 დეკემბერს ავტონომიური ოლქის გაუქმების კანონს. უცებ, სწორედ 1991 წლის 7 იანვრის საღამოს მიხეილ გორბაჩოვმა, რომელსაც ალბათ ყელში ამოუვიდა ჯერ კიდევ თავისი ქვეშევრდომების ურჩობა, საკავშირო ტელევიზიით ქართველებსაც და ოსებსაც მოსკოვიდან თითი დაუქნია. ოსთა ლიდერებს რბილად მიუთითა, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადება წინააღმდეგობასა და შეუთავსებლობაში მოდის როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საქართველოს კონსტიტუცი-

[98] Тулуп (რუს.) – ტყაპუჭი

ასთან; ქართველებსაც დაუწუნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების გადაწყვეტილება, რადგან სსრკ კონსტიტუცია არც ამას ითვალისწინებდა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ერთსაც და მეორესაც ყური რბილად აუწიეს, მიღებული გადაწყვეტილებები გაუუქმეს და ყველაფერი თავის ადგილას დააბრუნეს. პროგრამა „Время“-ს იმავე გამოშვებაში გორბაჩოვის ახალი ბრძანებაც გამოაცხადეს: მოსკოვი მკაცრად ითხოვდა, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ გაეყვანათ ნებისმიერი სხვა შეიარაღებული ფორმირება საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარის გარდა.

ერთი შეხედვით, განკარგულება ორივე მხარეს ეხებოდა, თუმცა მისი შესრულება მხოლოდ ქართველებს ევალებოდათ, შეიარაღებული სეპარატისტები არსად გასვლას არ აპირებდნენ. გორბაჩოვის ბრძანების გამოცხადებას ცხინვალისა და ჯავის მოსახლეობის ოსური ნაწილი ზეიმითა და „ვაშას“ ძახილით შეხვდა. იმ შობის ღამეს გამარჯვება ავტომატების სროლით აღნიშნეს – წითელი, თეთრი და მწვანე ხაზებით, საზეიმო ფეიერვერკებიც მიუძღვნეს.

ქართულმა მილიციამ ამ ინფორმაციის გამოცხადებისთანავე მიიღო ცხინვალიდან გასვლის განკარგულება. მშვიდობის დასამყარებლად ჩასულმა მილიციელებმა დაზაფრულებმა დატოვეს ქალაქი. ცხინვალის მისადგომებთან, მეღვრეკისთან დაბანაკებულმა შეიარაღებულმა ჯგუფებმაც უკან დაიხიეს. იმდენად მკაცრი და კატეგორიული იყო საბჭოთა მმართველის მოთხოვნა, რომ სიჩქარეში ერთმანეთს ასწრებდნენ.

კონფლიქტის ზონას ისე უკანმოუხედავად ტოვებდნენ, რომ ოსფრისის სასაფლაოზე ომობანას სათამაშოდ გაგზავნილი ხალხი არც კი გახსენებიათ, სიჩქარეში ყველას დავავიწყდით. ჩვენ კი, საფლავის ქვებს შორის ჩასაფრებულებს, აქამდე თუ ავის მომასწავებელი სიჩუმე გვაფრთხობდა, შუაღამისას ათობით, ასობით მანქანის ძრავას ხმაური და ანთებული ფარებით ცხინვალიდან გორისაკენ მათი აჩქარებული სვლა გვაბნევდა. შევყურებდით გზაზე გაჭიმულ სამხრეთისაკენ მიმავალ კოლონას და ახსნას ვერ ვპოულობდით. ღამის 3 საათი იქნებოდა, როდესაც ოსფრისის სასაფლაოს შესასვლელს გელას „ვილისი“ მოადგა სადაზვერვო ჯავშანმანქანა „ბეერდეემის“ თანხლებით და სასწრაფოდ გაყოლა მოგვთხოვა. იქაურობის დატოვებას ძალიან ჩქარობდა და მიზეზს გზადაგზა გვიხსნიდა.

ასე დატოვეს შსს-ს უკანასკნელმა მანქანებმა ცხინვალი. გამარჯვების ფეიერვერკით აცილებდნენ ოსი ბოევიკები უკანმოუხედავად მიმავალ მილიციელებს.

დაუცველად დარჩენილი ქართული მოსახლეობა დილიდანვე იძულებული გახდა, ცხინვალსა და მიმდებარე ოსურ სოფლებში საკუთარი სახლ-კარი დაეტოვებინა. თბილისში, საბურთალოზე სასტუმრო „აფხაზეთი“ და ბაგების ტურბაზა იანვრის ბოლოს სამაჩაბლოდან დევნილთა თავშესაფრად იქცა. ცხინვალისა და ოსური სოფლების დატოვების საპასუხოდ ქართველთა აგრესიას გაურბოდნენ ოსური ოჯახები დიდი და პატარა ლიახვის, ფრონის ხეობაში: ოსები ტოვებდნენ ქარელს, გორს, ზნაურს, დანარჩენი საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს, იბარგებოდნენ და ორჯონიკიძეში გადადიოდნენ. ოსებისაგან თითქმის ბოლომდე დაიცალა დაბა ბაკურიანი, მიტარბი და სხვა სოფლები გუჯარეთის ხეობაში.

დაუცველად დარჩენილი ქართული სოფლები და შემოვლითი გზა

მას შემდეგ, რაც ქართული მილიცია ცხინვალიდან გამოიყვანეს და საბჭოთა შინაგანი ჯარის ნაწილები შეიყვანეს, ღამღამობით სროლამ და სისხლისღვრამ იკლო, მაგრამ მდგომარეობა კვლავ რთული რჩებოდა. საგუშაგოებს დროდადრო ტყვიას უშენდნენ. გახშირდა იქ დარჩენილ ქართველთა სახლების დაწვა. დანარჩენი საქართველოსგან მოწყვეტილი დიდი ლიახვის ხეობის ცხრა ქართული სოფელი სრულიად დაუცველი, მიუდგომელი და ბედის ანაბარა მიტოვებული აღმოჩნდა.

შინაგანი ჯარის ნაწილები მოვლენებს შორიდან ადევნებდნენ თვალს და შეფარვით ოსების მხარეს იჭერდნენ. საბჭოთა შინაგანი ჯარის იმედად დარჩენილი ხეობის დაცვა ეროვნული ღირსების საქმედ იქცა.

თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის თავმჯდომარის, ვაჟა ადამიას დაქვემდებარებაში მყოფ „მერაბ კოსტავას საზოგადოების“ შეიარაღებულ ფორმირებას, ძირითადად, ერედვისა და პატარა ლიახვის ხეობის სოფლების მოსახლეობაში ჰქონდა დასაყრდენი. მათგან ერედველებს გურამ ბერუაშვილი („სიპი“) ხელმძღვანელობდა. შეიარაღებული ჯგუფი „ჩიტო-გვრიტო“ დიდი ლიახვის ხეობის სოფლების, თამარაშენისა და კეხვის მოსახლეობაში სარგებლობდა განსაკუთრებული მხარდაჭერით. ქურთასა და აჩაბეთში, ასევე, სხვა სოფლებში დიდი გავლენა ჰქონდა „სახალხო ფრონტის“ ლიდერს, ნოდარ ნათაძეს და მის პარტიასთან დაახლოებულ „იმედის“ სახელით ცნობილ ფორმირებას. ადგილობრივები, ძირითადად, სანადირო თოფებით იყვნენ შეიარაღებულები, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო.

უზენაეს საბჭოსა და მთავრობაში ვისაც კი ხეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ევალებოდა და მასზე გული შესტკიოდა, ხეობაში შეიარაღებული ჯგუფების გაგზავნას ითხოვდა. ივანე მაჩაბლის მშობლიური კუთხე საფრთხეში იყო. დიდთოვლობის გამო ერედვიდან ხეითისაკენ გადასასვლელი ბილიკები თუ ჩაიკეტებოდა, დიდი ლიახვის ცხრავე სოფელი დანარჩენ საქართველოს სრულად მოსწყდებოდა, რადგან ცხინვალის „ტეკიდან“ ქალაქის გავლით ხეობაში შემავალი გზა ქართველებისათვის უკვე ჩაკეტილი იყო.

ისევ დამიბარეს „მთავრობის სახლში“ კიტოვანთან, არაოფიციალურ რაზმს სამაჩაბლოს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა დაგვავალეს და ხეობაში გამგზავრება გვთხოვეს.

ამაყად მოვისმინე მეტად საპასუხისმგებლო, საპატიო და მომხიბლავი დავალება. ოცნებით ასჯერ და ათასჯერ ნანატრ მშობლიური მიწის დაცვას გვთავაზობდნენ, საკუთარი მამულის დაცვას! რამდენიმე თვის წინ ხომ ამას ვერც კი წარმოვიდგენდი! ახლა უკვე ნაცნობმა სასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა ტანში. კვლავ შესაძლებლობა მეძლეოდა, წინაპართა მსგავსად დამეცვა სამშობლო და მებრძოლა სეპარატისტთა თარეშის ასალაგმავად.

თითქმის ერთი თვე, ძველი ახალი წლიდან თებერვლის შუა რიცხვებამდე, ქვემერტში გავატარეთ. ადგილობრივი რაზმის ერთ-ერთი თავკაცის, მერაბ მინდიაშვილის მეზობლად, ერთ დაცარიელებულ სახლში ვცხოვრობდით და დაკისრებული მოვალეობის შესრულებას დიდი გულმოდგინებით ვცდილობდით. იქ ყველა ქართველი იყო, ძირძველი ქართველი. თავიანთი კუთხის დასაცავად ადგილობრივ ბიჭებს ხელში იარაღი აეღოთ.

თამარაშენის შემოსასვლელიდან კეხვის გასასვლელამდე, დღისით და ღამით ვმოძრაობდით, საძოვრებსა და სოფლების მაღლობებზე მდგომ ადგილობრივ გუშაგებს ვამხნევებდით და ზურგს ვუმაგრებდით.

დროს არ ვკარგავდით და აქამდე თუ კვერეთიდან ჯავისკენ, მჟავე წყლებისა და აბანოებისკენ გადასასვლელ შარაგზებსა და ბილიკებს ვეცნობოდით, ახლა უკვე კეხვიდან მთებითა და ბილიკებით ჯავისკენ მისასვლელ გზებს ვსწავლობდით. დილის ექვსი საათიდან ხან სოფელ მონასტრისაკენ, ხან ძარისაკენ, ხან კი თლიაყანისკენ გავდიოდით, მზის ჩასვლამდე იქ ვრჩებოდით და როკის გვირაბიდან გუფთის ხიდისკენ მომავალი ტრანსპორტისა და ადამიანების გადაადგილებას ვაკვირდებოდით.

ყინვა -10 გრადუსამდე აღწევდა, თითქმის ყოველ ღამე თოვდა, დღისით კი თოვლ-ჭყაპი გვხვდებოდა, სავალი გზა მუხლამდე ტალახდებოდა და მანქანით, თუნდაც ფეხით გავლას შეუძლებელს ხდიდა. მხოლოდ დღისით, ისიც დიდი სიფრთხილით, ტრაქტორის დახმარებით ორხიდიანი მანქანით ვმოძრაობდით, ღამით, სიბნელეში ანთებულ ფარებს და ძრავას გუგუნს სეპარატისტების ყურადღება რომ არ მიეპყრო და სასაფლაოს ან წითელი მინების მხრიდან გადმომავალი უამრავი ბილიკით შემოპარული მოწინააღმდეგის მსხვერპლი არ გავმხდარიყავით.

დიდი ლიახვის სოფლებთან კავშირის აღსადგენად ერედვიდან ხეითამდე, ცნობილ წითელ მინებზე შემოსავლელი გზის მშენებლობა დილიდან დაღამებამდე მიმდინარეობდა. ურთულეს რელიეფსა და კლიმატურ პირობებში ტრაქტორი შეუსვენებლად მუშაობდა.

ჩვენი საგმირო ბიოგრაფია ყოველდღე ახალ-ახალი თავგადასავლებით მდიდრდებოდა. უფროსი თაობის ადგილობრივ მცხოვრებლებს ემახსოვრებათ, როგორ გავაჩერეთ კეხვის ხიდთან საბჭოთა შინაგანი ჯარის ჯავშანტრანსპორტიორი და სოფელში არ შევუშვით, ასევე, სამოქალაქო ფორმაში გადაცმული 58-ე არმიის ოსი ეროვნების სამხედრო მოსამსახურის დაკავება და სხვა ფაქტები.

დღისით უმეტესად სიმშვიდე იყო. მოსახლეობა აქეთაც და იქითაც საკარმიდამო ნაკვეთებში საქმიანობდა. სამაგიეროდ, როგორც კი მოსაღამოვდებოდა, სროლა იწყებოდა. ყოველ ღამე ცასა და დაბნელებულ მიდამოს ორმხრივად მოარული ტყვიები ანათებდა. ხან ადგილობრივი თუ საქართველოს სხვა რეგიონიდან ჩასული მოხალისე ცხინვალისკენ გაგზავნიდა ტყვიების ნაკადს, ხან ოსი უპასუხებდა ტყვიამფრქვევის ჯერით. ვინ ისროდა და რატომ, ხეობის მაცხოვრებლებისთვის, ძირითადად, მაინც გაურკვეველი რჩებოდა.

ამინდის გაუმჯობესებისა და ერედვი-ხეითის გზის გაჭრის შემდეგ გაჩნდა იმედი, რომ ცხინვალსა და მთლიანად სამაჩაბლოში სამხედრო მოქმედება აღარ განახლდებოდა და დროებით მაინც მშვიდობა დაისადგურებდა. ჩვენც თავს უფლება მივეცით, თბილისში დავბრუნებულიყავით, რასაც ხელისუფლება დიდი ხანია გვთხოვდა. თუმცა ცხინვალზე გავლისათვის თავის ასარიდებლად ხეითი-ერედვის ახლად გაჭრილი შემოვლითი გზაც არ აღმოჩნდა ქართველებისთვის უსაფრთხო. ჩვენი წამოსვლიდან ორ დღეში საკუთარი „ნივით" გულდამშვიდებით მიმავალ მერაბ მინდიაშვილს და მის ორ თანმხლებს ცხინვალელი ოსების ჯგუფი წყაროსთან ჩაუსაფრდა და დაატყვევა. აშკარა იყო, ქართველების კონტროლირებად ტერიტორიაზე მერაბ მინდიაშვილზე შურის საძიებლად მიზანმიმართულად შემოსულ დივერსიულ ჯგუფს მისი გადაადგილების შესახებ ინფორმაცია ხეობიდან ჰქონდა მიღებული.

ტყვედ აყვანილები მანქანიდან გადმოიყვანეს, გაკოჭეს, იქვე ხეზე მიაბეს, მთელ სხეულზე ბენზინი გადაასხეს და ცოცხლად დანვეს. წყაროს თავზე ხეზე გაკრული ნახევრად დამწვარი თანამემამულეები ერთი საათის შემდეგ ხეობიდან მომავალი მანქანის მძღოლმა აღმოაჩინა.

■

რუს სამხედროებზე გახშირებულმა თავდასხმამ ამიერკავკასიის შტაბის ხელმძღვანელობას მოთმინების ფიალა აუვსო, გამწვავებულ ვითარებაზე პასუხისმგებლობა მთლიანად საქართველოს რესპუბლიკის ახალ ხელისუფლებას დააკისრა და მკაცრად გააფრთხილა, თავდასხმები დაუყოვნებლივ აღეკვეთათ. იმდენად მკაცრი იყო თავდამსხმელთა დასჯის მოთხოვნა, რომ ჯერ კიდევ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია იძულებული გახდა, ბესო ქუთათელაძისთვის ეთქვა, თავის დროზე მასთანვე შეთანხმებულ იარაღის დაუფლების საქმეში ერთ-ერთი მონაწილე, არგვეთელი მიხო კიპაროიძე ცოტა ხნით ციხეში ჩაჯდომაზე დაეთანხმებინათ, რომ ამიერკავკასიის საბჭოთა არმიის სარდლობა გაეჩუმებინა. გამსახურდია პირობას დებდა, რომ პრეზიდენტად არჩევისთანავე მას აუცილებლად შეინყალებდა. არჩევიდან რამდენიმე თვის თავზე პრეზიდენტმა პირობა პირნათლად შეასრულა.

პარალელურად, 28 დეკემბერს გამოცემული განკარგულებით იარაღის ჩაბარებისათვის მიცემული 30-დღიანი ვადის გასვლისთანავე, ახალი ხელისუფლება არაოფიციალური შეიარაღებული ფორმირებების განიარაღებას შეუდგა და მათი წევრების დევნა დაიწყო.

18 თებერვალს ხელისუფლების დავალებით საბჭოთა შინაგანი ჯარის ნაწილის მიერ შავნაბადაზე დაბანაკებული „მხედრიონელების“ განიარაღების ოპერაციის დროს მეტაკება მოხდა. „მხედრიონის“ ლიდერების ნაწილი დააკავეს, მეორე დღეს კი საბურთალოზე, მეგობრის სახლში მყოფი ჯაბა იოსელიანი აიყვანეს, რომელსაც წინააღმდეგობა არ გაუწევია. დაიწყო „მხედრიონის“ წევრების დაპატიმრება მთელი საქართველოს მასშტაბით.

სამართლებრივი დევნა დაიწყო „თეთრი გიორგის“ წევრების მიმართაც, რის შემდეგაც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ზვიად გამსახურდიასა და მისივე შეიარაღებული ჯგუფის გზები გაიყარა. „მრგვალი მაგიდის“ ერთ-ერთი ყველაზე ერთგული გასამხედროებული რაზმი იურიდიული თავშესაფრის გარეშე დარჩა. თავი ვალდებულად ჩავთვალე, რომ „თეთრი გიორგის“ ხელმძღვანელი გია კრიალაშვილი გაჭირვებაში არ შიმეტოვებინა, ისევე როგორც სხვა „თეთრგიორგელები“. თავდაპირველად 5 დეკემბრის ქუჩაზე, მე-4 სპეცდანიშნულების ბატალიონის ტერიტორიაზე გამოვუყავი თავშესაფარი, შემდეგ – ბორჯომსა და ბაკურიანში. ასე ერთმანეთის გვერდში დგომით ჩაისახა ჩვენი ჭეშმარიტი მეგობრობა.

■

თბილისში ეროვნული გვარდიის შექმნა დაჩქარებულად მიმდინარეობდა. მისი მთავარი ამოცანა ახალგაზრდა რესპუბლიკის სუვერენიტეტისა და ეროვნული ინტერესების დაცვა იყო. ბატალიონების ჩამოყალიბების წესს თენგიზ კიტოვანი განსაზღვრავდა. კიტოვანს გვერდში ედგნენ ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრები, გავლენიანი ადამიანები რაიონებსა და სოფლებში სამხედრო ნაწილისათვის ფართობის შერჩევაში ეხმარებოდნენ.

სამხედრო ბაზებად, ძირითადად, განათლების სამინისტროს, პროფკავშირების ან „დოსააფის“[99] ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობები გამოიყენებოდა. გვარდიის სამმართველოს მმართველადაც გაუქმებული „დოსააფის“ ყოფილი ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი გოგი პაპავაძე დაინიშნა, მოადგილეებად კი – კიტოვანის ახალგაზრდობის დროინდელი მეგობრები და თანამოაზრეები, სამოქალაქო პირები, ჯემალ ჭუმბურიძე და თამაზ დუმბაძე.

როგორც მეფის რუსეთის არმიას ტოვებდნენ თავის დროზე გენერალი კვინიტაძე, მაზნიაშვილი და სხვები, ისე ახლა, 70 წლის შემდეგ საბჭოთა არმიიდან მოდიოდნენ სამხედროები, მათ შორის, მაღალი წოდების ოფიცრებიც და ქართული არმიის აღმშენებლობის საქმეს უერთდებოდნენ.

ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ორ ბრიგადას აერთიანებდა. პირველი ბრიგადის მეთაური პოლკოვნიკი ავთანდილ ცქიტიშვილი გახდა. დისლოკაციის ადგილად შავნაბადას ბაზა განესაზღვრათ. ბრიგადის სამეთაურო რგოლში შედიოდნენ საბჭოთა არმიიდან ახლად წამოსული პოლკოვნიკი თენგიზ ომხერელი, ვიცე-პოლკოვნიკი პაატა დათუაშვილი, ვიცე-პოლკოვნიკი ზაურ უჩაძე და სხვები.

ბრიგადა ყოველდღიურად იზრდებოდა, იქმნებოდა ახალი ბატალიონები, ასეულები, ინიშნებოდნენ მეთაურები. მეთაურებს ნაკლებად არჩევდნენ სამხედრო განათლების მიხედვით ან თუნდაც ჭკუა-გონებით, უფრო გავლენით, თენგიზ კიტოვანთან სიახლოვის გამო ნიშნავდნენ. ეროვნულ გვარდიაში სამსახურისკენ ბევრი მიისწრაფოდა. საბჭოთა არმიიდან დათხოვნილი ქართველი ოფიცრებისთვის სამხედრო კარიერის გასაგრძელებლად ეს საოცნებო ადგილი იყო, პატრიოტისთვის – გრძნობების ნავსაყუდელი, რომანტიკოსისთვის – საბრძოლო ისტორიის წიაღში დაბრუნება, ხელმოცარულისთვის – სამხედრო ფორმითა და იარაღით თავის დამკვიდრების საშუალება, მედროვისთვის კი – სარგებლის მიღების პერსპექტივა.

ეს ნამდვილ სპორტულ შეჯიბრს წააგავდა, თითქოს ახლად შექმნილი ბატალიონების ყველა მეთაური სტარტის ერთ ხაზზე დააყენეს გრძელი მარათონის გასარბენად და აინტერესებდათ, ამ გზაზე ვინ უკეთეს უნარ-ჩვევებს გამოავლენდა და ფინიშზე პირველი ვინ მივიდოდა. უფრო სწორად, სამხედრო კარიერის ზემოთ და ზემოთ მიმავალ გზაზე წოდებითა და თანამდებობით ვინ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდოდა.

მოსკოვში ყველაზე მეტად ეროვნული გვარდიის შექმნა აღიზიანებდათ, ამიტომ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს მის დაუყოვნებლივ დაშლასა და გაუქმებას სთხოვდნენ. ხელისუფლება იმით იმართლებდა თავს, რომ ეროვნული გვარდია

---

[99] ДОСААФ (რუს.) – საბჭოთა კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის მხარდამჭერი ნებაყოფლობითი საზოგადოება



მე-4 სპეციალური დანიშნულების ბატალიონის მექმსა

მინაგანი ჯარი იყო, ხოლო შინაგანი ჯარის ჩამოყალიბება კონსტიტუციით უზენაესი საბჭოს პრეროგატივას წარმოადგენდა.

არავინ იცის, მოსკოვიდან ზეწოლა იყო მიზეზი თუ სხვა რამ, მაგრამ ახალ ხელისუფლებაში დაპირისპირების ნიშნები პირველი დღიდანვე შეინიშნებოდა. უზენაესი საბჭოს თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიის თავმჯდომარე, იმავდროულად, „მერაბ კოსტავას საზოგადოების" თავმჯდომარე ვაჟა ადამია თავდაცვის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარეს, თენგიზ კიტოვანს დაუპირისპირდა. უთანხმოება იყო უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს შორისაც, ასევე, მთლიანად უზენაეს საბჭოსა და მთავრობას შორის. სხდომებსა და თათბირებზე მომხდარი ქიშპობა და კინკლაობა საამკარაოზე მალე გამოვიდა.

კიტოვანის დღითიდღე მზარდი ავტორიტეტი და მის დაქვემდებარებაში მყოფი სამხედრო ძალა გამსახურდიას გარემოცვაში ბევრისთვის ეჭვიანობის საბაბი და აუტანელი გახდა. ხალხში ხმები დადიოდა, რომ მთავრობას კიტოვანის თავნებობა და ზვიად გამსახურდიაზე მეტი გავლენა აღიზიანებდა. გვარდიის ჩამოყალიბების შემდეგ პოლიტიკური თანამდებობის პირებისგან სარდლის დისტანცირება, რაც, ჩემი აზრით, სრულიად ლოგიკური და ბუნებრივი იყო, „მრგვალ მაგიდაში" შემავალი პარტიების მხარდამჭერთათვის გაუგებარი აღმოჩნდა და მისდამი უნდობლობას და დაპირისპირებას კიდევ უფრო ამძაფრებდა.

კაცმა რომ თქვას, განსაკუთრებულიც არაფერი ხდებოდა – ისეთი, რაც ქართველებს არ სჩვევიათ და არ ეხერხებათ, რაც ადრე არ მომხდარა და დღესაც არ ხდება.

■

დიდი ლიახვის ხეობიდან სულ ახალი დაბრუნებულები ვიყავით, რომ ისევ „მთავრობის სახლში“ დაგვიბარეს და ცხელ-ცხელი ამბები დაგვახვედრეს.

ქართველების ერთი ნაწილი კარის მეზობლებს ოსებად და ქართველებად ყოფდა, ეჭვითა და ამრეზით ხმას ავრცელებდა, თითქოს თბილისში მცხოვრები ესა თუ ის ოსი მოქალაქე იარაღის შესაძენად ცხინვალელებს ფულს უგროვებდა ან ორი დღით, შაბათ-კვირას მშობლებთან ჩასული, ღამღამობით ქართველებს ტყვიას ესროდა, თბილისში სახლში იარაღს ინახავდა. კიდევ რას არ ჰყვებოდნენ, ათასგვარ ჭორსა და მართალზე შემოდიოდა საჩივარი, განცხადება თუ ანონიმური წერილი თავდაცვის სამთავრობო კომისიაში. თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიაშიც იგივე ხდებოდა. შეიძლება ათიდან ერთი ან ორი საჩივარი საფუძვლიანი იყო კიდეც, უმეტესად კი საყოფაცხოვრებო ნიადაგზე გაბრაზებული მეზობელი ასმენდა მეზობელს, თანამშრომელი – თანამშრომელს, ღარიბი – მდიდარს, ხელმოცარული და შურიანი – წარმატებულს... ამ საჩივრებს რეაგირებაც ისეთი მოსდევდა, როგორც იმდროინდელ ვითარებას შეეფერებოდა.

მომავალ გვარდიელებს შემოსული წერილების შესამოწმებლად, მილიციის ოპერმუშაკებთან ერთად, სამძებრო საქმის შესრულება უწევდათ. მოსწონდათ კიდეც, როდესაც მილიციელები ყოფილ არაფორმალებს პატივით ხვდებოდნენ, თბილად ესალმებოდნენ და შემოსულ ინფორმაციებს ყოველთვის ყურადღებით ისმენდნენ, შემდეგ კრიმინალური მილიციის ოპერატიულ ჯგუფს აყოლებდნენ და ფაქტებს ერთობლივად ამოწმებდნენ. ეს ახალი დროების მოტანილი კიდევ ერთი სიგიჟე იყო!

დამნაშავის ძიებაში, პროკურორის ყოველგვარი სანქციის გარეშე, ავტომატებით შეიარაღებული 20-30-კაციანი ჯგუფები ოსებით დასახლებულ ჯავის ქუჩაზე თანამოქალაქეთა ოჯახებს დაუპატიჟებლად სტუმრობდნენ და სიმშვიდეს ურღვევდნენ.

უფრო ხშირად ოჯახში შესამოწმებლად მისულებს ასეთ „სავარაუდო დამნაშავესთან“ პირისპირ შეხვედრისას წესიერი ადამიანი და სათნო ოჯახური გარემო გვხვდებოდა. ამ დროს სირცხვილით ვიწვოდი და ბოდიშებს ვიხდიდი. ორ-სამჯერ უხერხულ სიტუაციაში მოხვედრის შემდეგ უკვე აღარ მომწონდა, რასაც ვაკეთებდი.

ერთხელაც, საბურთალოს მილიციაში ყოფნისას ოპერმუშაკების ოთახში კედელზე დაკიდებული მილიციელის სურათის დანახვაზე შინაგანად ავფორიაქდი. განცვიფრებული შევცქეროდი ორი-სამი თვის წინ ცხინვალში მანქანასთან მოსული და დათოსთან ძიძგილაობისას იარაღიდან გასროლის შედეგად გარდაცვლილი წვერიანი ოსის სურათს. აქამდე ხომ დარწმუნებული ვიყავი, რომ სეპარატისტი იყო. ვინ არის-მეთქი, ვიკითხე. „საბურთალოს მილიციის ოფიცერია, კაპიტანი ცხოვრებოვი. ჩვენი თანამშრომელი იყო, ცხინვალში ჩვენგან მივლინებული წესრიგის დასაცავად, მაგარი ვაჟკაცი, – დანანებით გაიხსენა დაღუპული თანამშრომელი კრიმინალური მილიციის უფროსმა და დასძინა: – ორივე ერის ღირსეული შვილი!“

გარდაცვლილის სურათის დანახვამ და მილიციის მაღალჩინოსნის დახასიათებამ სრულიად დამშალა. უხმოდ ვუსმენდი მის მონაყოლს. „აბა, რისთვის დახოცეს მაშინ ერთმანეთი?!“ – ეს აზრი გონებას მიმღვრევდა. ამის გაფიქრებაც კი მაგიჟებდა. რა გამოვიდა? რომ 12 დეკემბერს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს-

თან შეთანხმებით ცხინვალში ჩასულმა მისი დაცვის უფროსმა და საბურთალოს მილიციიდან წესრიგის დასამყარებლად მივლინებულმა ოსმა თანამშრომელმა შეუთანხმებლობით ერთმანეთი დახოცეს? სიგიჟეა, აბა, რა არის?! მაგრამ ვაი, რომ უფრო დიდი სიგიჟე იყო ორივე მხრიდან დათესილი მტრობა, სიძულვილი, რომელიც ამ ორ ხალხს შორის მათივე მონაწილეობით ტრიალებდა. მხოლოდ იმათზე ვბრაზობდი, ვინც ეს დაპირისპირება გააჩინა და ორი ხალხი ერთმანეთს დანასისხლად გადაჰკიდა თავისი უგუნურობით თუ შეგნებულად. რატომ? მინდოდა ფიქრებით მაინც ჩავწვდომოდი, მაგრამ ჩემი გამოუცდელობით პასუხს ვერა და ვერ ვპოულობდი.

იმ დღის შემდეგ დავალებაზე აღარ წავსულვარ, თუმცა დასმენები და შემოწმებები კვლავ გრძელდებოდა.

იმდენი ქნეს, იმდენი ირბინეს, არ მოისვენეს, ვიდრე თბილისში, ჯავის ქუჩაზე და სხვა ქალაქებში მცხოვრებმა ოსებმა ნელ-ნელა ბინების გაყიდვა არ დაიწყეს. ამ სიგიჟისგან თავის დასაღწევად ისინი საკუთარ სახლებს ტოვებდნენ და საქართველოდან რუსეთს ეშურებოდნენ. ბინებზე ზრუნვასა და ყურადღებას, ზოგჯერ გაყიდვასაც კი სხვა, კეთილ მეზობლებს სთხოვდნენ, მათ ავალებდნენ. ისინიც პატიოსნად უსრულებდნენ თხოვნას. ყველა მეზობელი უვარგისი და ღვთის პირიდან გადავარდნილი ხომ არ იქნებოდა?!

საზოგადოების პოლიტიკური პოლარიზაცია

რეფერენდუმი და არჩევნები აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

1991 წლის 31 მარტს აფხაზეთში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებთან ერთად რეფერენდუმი ჩატარდა. მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე: „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“

ზუსტად ერთი კვირით ადრე კიტოვანის მისაღებიდან დამიკავშირდნენ და „მთავრობის სახლში“ გამომიძახეს. კიტოვანის კაბინეტში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი და ორგანიზაცია „ლემის“ თავმჯდომარე აკაკი გასვიანი დამხვდა, რომელიც აფხაზეთში მოახლოებული არჩევნების პერიოდში ექსცესებისა და პროვოკაციების პრევენციისთვის გვარდიელთა გაყოლას ითხოვდა. ასე რომ, ჯერ კიდევ არაოფიციალური რაზმის ეროვნულ გვარდიაში ჩარიცხვისა და სამხედრო ნაწილად ჩამოყალიბების ნაცვლად აფხაზეთში გამგზავრებას მთავაზობდნენ.

ერთი შეხედვით, ამოცანა ბუნდოვანი ჩანდა. მიუხედავად ამისა, როგორც სამხედრო ოფიცერი, ნებისმიერ დავალებას უხმოდ ვიღებდი და ვცდილობდი, ზედმიწევნით ზუსტად შემესრულებინა.

სოხუმში მანამდე მხოლოდ ერთხელ, 1982 წელს ვიყავი ნამყოფი ექსკურსიაზე სკოლიდან და ჯერ კიდევ მაშინ ვიგრძენი ქართული ენისადმი არაკეთილგანწყობა, როდესაც მე-9 კლასელმა ბავშვებმა ჯიხურში გაზიანი წყლისა და საღეჭი რეზინის შესაძენად გამყიდველს ქართულად მივმართეთ...

დავალების მოლოდინში თითქმის ერთი კვირა აგუძერის კოტეჯში უსაქმოდ ვისხედით. ვცდილობდით, გარეთ არ გამოვსულიყავით, ადგილობრივთა ყურადღება რომ არ მიგვექცია. ბიჭები დილიდან საღამომდე კარტისა და დომინოს თამაშით ერთობოდნენ.

ხანდახან ქალაქში გავდიოდი, იქაურობას ვეცნობოდი, გამვლელ-გამომვლელს თვალს ვაყოლებდი, ზღვის პირას, კაფეში ყავას ვსვამდი და მათ ლაპა-

რაკს ვუსმენდი. ერთმანეთს სოხუმისთვის დამახასიათებელი ჟარგონით მიმართავდნენ: „маханя, пахан, сеструха, братуха, дяхоз... Сухуми – город без фраеров“[100] – ასე ახასიათებდნენ საკუთარ ქალაქს. სოხუმში ცნობილი თამბაქოს ქარხანა იყო, რომელიც მაღალმთიან აფხაზეთში მოყვანილი სურნელოვანი თამბაქოთი იმ დროისათვის შესანიშნავ „მარლბოროს“, კიდევ არომატულ ქართულ სიგარეტებს – „კოსმოსსა“ და „განთიადს“ უშვებდა. როგორც ჩემი ერთი სოხუმელი მეგობარი გია ცოტაძე იტყოდა, „город, в котором утром рано вставали только дворники и табачники“[101].

არჩევნებს წინ უძღოდა აფხაზეთში „მრგვალი მაგიდის“ ადგილობრივი ქართველი და აფხაზური „აიდგილარას“ ლიდერების მოლაპარაკება და შეთანხმება საარჩევნო კანონზე.

აფხაზებს, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 17%-ს წარმოადგენდნენ, უმაღლეს საბჭოში 28 დეპუტატი უნდა ჰყოლოდათ, ორით მეტი, ვიდრე სამჯერ მეტ ქართველობას, დანარჩენი 6 მანდატი კი რუსი და სომეხი დეპუტატებისთვის იყო განკუთვნილი.

31 მარტის არჩევნებმა და რეფერენდუმმა აფხაზეთში ისე ჩაიარა, რომ ჩვენ არაფერი გაგვიგია. მხოლოდ საღამოს მოსული დეპუტატებისგან შევიტყვეთ, რომ ხმის მიცემის პროცესი საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში წარიმართა. მათი თქმით, აფხაზები ხმათა უმრავლესობის მოსაპოვებლად იმასაც არ თაკილობდნენ, რომ რუსი ეროვნების დეპუტატები მოეტაცათ და სხდომის დაწყებამდე ოთახში ჩაეკეტათ, თუმცა საბოლოო შედეგების გამოცხადების შემდეგ ეს აღარავის ახსოვდა.

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე დამოუკიდებლობის იდეის 98-პროცენტიანი მხარდაჭერით გამოწვეულმა სიხარულმა გადაფარა ყველაფერი, რაც აფხაზეთში მანამდე და იმ დღეს ხდებოდა. რეფერენდუმში 3 მილიონზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის, აფხაზეთში მცხოვრებმა ნახევარმა მილიონმა მოქალაქემ და აბსოლუტურმა უმრავლესობამ ერთიან, თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს მისცა ხმა.

სრულიად საქართველო რეფერენდუმის შედეგს ზეიმობდა.

თბილისში გამარჯვებულები ვბრუნდებოდით, ეროვნული გვარდია 1991 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავი აღლუმისთვის ემზადებოდა.

არასდროს დამავიწყდება აღლუმი ეროვნულ სტადიონზე, სადაც ყველა ერთად, გვერდიგვერდ მდგარი, ამაყად შესცქეროდა ეროვნული გვარდიის სალაშქრო სვლას და გული ენთებოდა მათი მხედრული სიმღერით.

სსრ კავშირის კონსტიტუციით საქართველო ჯერ კიდევ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად ითვლებოდა, მისი დამოუკიდებლობა არცერთ სახელმწიფოს არ ჰქონდა აღიარებული, ჩვენს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ იდგა საბჭოთა ჯარი, მაგრამ ქვეყანა დამოუკიდებლობის გამოცხადებას მაინც ზეიმობდა.

---

[100] Маханя, пахан, сеструха, братуха, дяхоз . Сухуми – город без фраеров (რუს. სოხუმური ჟარგონი) – დედა, მამა, და, ძმა, ძია... სოხუმი არის ქალაქი ფრაერების გარეშე.

[101] Город, в котором утром рано вставали только дворники и табачники (რუს.) – ქალაქი, სადაც დილით ადრე მხოლოდ მეეზოვეები და მეთამბაქოეები დგებოდნენ.

გამარჯვების ეიფორიამ გადაფარა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ვლადისლავ არძინბას კანდიდატურის დასახელებისგან მომდინარე საფრთხეც. არძინბა საკავშირო დეპუტატი იყო და შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან უმაღლესი ტრიბუნებიდან, მსოფლიოს გასაგონად, ქართველთა მიმართ უკიდურესი სიძულვილის გამოსახატად... იგი სწორედ იმ ბლოკიდან იყო არჩეული, რომელშიც თავი მოიყარეს ქართველთმოძულე ბაბურინმა, კომუნისტმა ზატულინმა, ნაციონალისტმა ჟირინოვსკიმ, ნაციონალ-კომუნისტმა ზიუგანოვმა და სხვებმა.

დღეს ზუსტად ვერავინ იტყვის, რა გარიგება ჰქონდათ, რას მოელოდნენ „მრგვალი მაგიდის“ ადგილობრივი დეპუტატები, როდესაც დაძაბულობის განმუხტვის სურვილით, უკიდურესი კომპრომისისა და უდიდესი დათმობის ხარჯზე მიღებული დრაკონული საარჩევნო კანონით ვლადისლავ არძინბას უმაღლესი თანამდებობისკენ მიმავალი გზა გაუხსნეს. ვიღაცას ეგონა, რომ იგი ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობაში, მშვიდობისა და თანხმობის დამყარებაში დადებით როლს შეასრულებდა. შეიძლება, ამაში თავად არძინბაც წინასწარ არწმუნებდა მავანს. ვინ იცის?!..

სინამდვილეში ის, რომ აფხაზებს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში უმრავლესობა უნდა ჰქონოდათ, „შემოგდებული“ თემა იყო, რომელმაც კონფრონტაციის პროცესი კი არ შეაჩერა, არამედ, პრაქტიკულად, დააჩქარა. შემდგომში გაღვივებულ დაპირისპირებაში სეპარატისტთა მთავარი იდეოლოგიცა და ხელმძღვანელიც თავად არძინბა იყო.

„თეთრი არწივის“ დაბადება



„თეთრი არწივის“ გერბი და დროშა

1990 წლის აპრილის დასაწყისში ოცნება ამისრულდა და, გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსის ბრძანებით, ახალი, მე-4 სპეცდანიშნულების ბატალიონი შეიქმნა, რომელმაც 5 დეკემბრის ქუჩის დასაწყისში, ყოფილი „დოსააფის“ ცალკე მდგომ შენობაში დაიდო ბინა. ბატალიონი, ძირითადად, ახალციხიდან წამოსულებით, შემდეგ გზადაგზა შემოერთებული თანამოაზრეებით დაკომპლექტდა.

აპრილის ბოლოს პირველი საყოველთაო გაწვევა დაიწყო. საბჭოთა ჯარში მიღებული გამოცდილებით, გაწვევის პროცესში ეშმაკობას მივმართავდი, ოღონდ ამჯერად არა არყის ბოთლის ჯადოსნური ძალით, არამედ ბატალიონის მეთაურებში უპირატესი ავტორიტეტის დახმარებით. გამწვევ პუნქტში ადრე მივდიოდით და ასობით თავგადაპარსულ წვევამდელში მაღლებსა და ტანადებს, სპორტულ და გონებაგახსნილ ბიჭებს სათითაოდ ვარჩევდით. სწორედ ამიტომაც, მე-4 სპეცდანიშნულების ბატალიონი საუკეთესო პირადი შემადგენლობით იყო დაკომპლექტებული.

ხალხური თუ ქართველ პოეტთა ლექსები ლაშქრულ სიმღერებად იქცა. ჯარისკაცების მიერ შესრულებული ეს სიმღერები საამო მოსასმენი იყო. უფრო ამაღ-

ლებული და გრძნობით სავსე არაფერი მინახავს. ქართველ ყმაწვილებს ყოველი სიტყვა ისარივით ხვდებოდათ გულში, სულში კუთვნილ ადგილს პოულობდა და სხვანაირ, სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცებად აყალიბებდა.

იმდენად საამაყო იყო ეროვნულ გვარდიაში მსახურება, ბავშვობის მეგობრები ხელმძღვანელობასთან შუამდგომლობას მთხოვდნენ, რომ ეს პატივი მათაც რგებოდათ.

■

თენგიზ კიტოვანთან სიახლოვემ, ჩემდამი მისმა განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამ თავისი ქნა და ჩემი ცხოვრებაც საოცარი სისწრაფით შეიცვალა. ვუყვარდი და ჩემით ამაყობდა კიდეც. ყველას ეუბნებოდა, გუნდში ძალიან მაგარი ახალი ბიჭი მყავსო. უნდოდა, სულ მის გვერდში ვყოფილიყავი. მეც მიყვარდა და მზად ვიყავი, მისი, როგორც სარდლის, ბრძანებები შემესრულებინა. თურქ მესხებთან თუ სხვა პოლიტიკურად მნიშვნელოვან შეხვედრებს ვესწრებოდი, სახელმწიფო დავალებების გაცემის, სახელმწიფო მასშტაბის გადაწყვეტილებების მიღების მომსწრე ვხდებოდი ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ასაკში. ეს ყველაფერი უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდიდა ცხოვრებას, ვიდრე განრიგით ყაზარმაში მოსანყენად და უშინაარსოდ გატარებული საათები. გარემოებები არა მარტო ჩემს ხასიათზე, არამედ ცხოვრების წესსა და ჩვევებზეც ახდენდა გავლენას. სხვისგან ერთხელ გაგონილსა და მოსმენილს, როგორც საკუთარ ნააზრევს და გულის ნადებს, ისე ვასაღებდი და სიტყვა-სიტყვით ვიმეორებდი იმის დასტურად, ვითომ დიდი პოლიტიკის რამე გამეგებოდა.

■

ერთ დღეს მონადირეებმა არწივის მართვე მოიყვანეს, რომელიც ველზე მარტო მჯდომი ენახათ. აფრენას ცდილობდა და ვერ ახერხებდა, ფრთა ჰქონდა მოტეხილი და სისხლი სდიოდა. არც ყვავი დასტრიალებდა თავს და არც ყორანი, მაგრამ ვერ ფრინდებოდა. 5 დეკემბრის ქუჩაზე, სამხედრო ბაზის შუა ეზოში მოვუწყვეთ დროებითი თავშესაფარი. ბიჭები მკურნალობდნენ და ყოველდღე მისი ნახვით ხარობდნენ. გამოჯანმრთელდა მართვე, ფრთა მოურჩა, მაგრამ მის გაშვებას აღარ ჩქარობდნენ. მალე არწივი ბატალიონის სიმბოლოდ იქცა, ხოლო დამოუკიდებელი საქართველოს დროშის ფონზე გადაღებული თეთრი არწივის სურათი იმდენად მომხიბვლელად გამოიყურებოდა, რომ ახალციხეში გაცნობილი მეგობრებისგან შექმნილ ჯგუფს, რომელიც მოგვიანებით მე-4 სპეცდანიშნულების ბატალიონად ჩამოყალიბდა, „თეთრი არწივი“ დავარქვით.

ასე რომ, ჩემს ოცნებას ფრთები შეესხა.

სწორედ მაშინ, როდესაც გგონია, რომ ბედნიერი ხარ და ყველაფერი გაქვს, რაზეც კი ოდესღაც გიოცნებია – სახლ-კარი, ოჯახი, სამსახური, საყვარელი საქმე და ხელობა, პატივი და დაფასება, ყველაფერი, რასაც სულ ცოტა ხნის წინ ვერც კი წარმოიდგენდი და ინატრებდი – უცებ ისეთი რამ ხდება, ყველაფერს თავდაყირა დააყენებს. ჩემს ცხოვრებაში ეს უკვე მეორედ მოხდა, პირველად – გერმანიაში, საბჭოთა არმიაში, ამჯერად კი – საქართველოს ეროვნულ გვარდიაში მსახურებისას.

აგვისტოს პუტჩი და საქართველოს ეროვნული ხელისუფლების საეჭვო პოზიცია

1991 წლის აგვისტოს ბოლოსთვის ეროვნული გვარდიის ველზე გასვლა და პირველი სწავლება იგეგმებოდა. გვარდია სოფელ ბარისახოში საველე ლაშქრობაზე გასასვლელად ემზადებოდა. წინასწარ შერჩეული ადგილის მოსამზადებლად ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკის ერთი ასეული გაიგზავნა.

ახალარჩეულ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, თენგიზ სიგუას შორის არსებული უთანხმოება თანდათან გაღრმავდა და სულ მალე სრული სიმწვავით სააშკარაოზეც გამოვიდა. პროტესტის ნიშნად აგვისტოს დასაწყისში თენგიზ სიგუამ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი დატოვა ისე, რომ მიზეზი არ აუხსნია.

18 აგვისტოს გაფხულის ცხელი დღე იდგა. გამსახურდიას კიტოვანის ურჩობა მობეზრდა და მოხსნას ეპირებსო! – ხმა გავარდა გვარდიაში. ორთაჭალაში, სარდლის კაბინეტში უამრავი ხალხი შეკრებილიყო. ვის არ ნახავდით იქ: პოლიტიკოსებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ცნობილ ადამიანებსა თუ ავტორიტეტულ გვარდიელებს. კიტოვანთან დაახლოებული ადამიანები მის ბედზე და გვარდიის მომავალზე შფოთავდნენ. ვაჟა ადამია თენგიზ კიტოვანს დაუპირისპირდა, წყალს ამღვრევს და ცდილობს, გვარდია მსს-ს დაქვემდებარებაში გადავიდესო, ისმოდა მეწუხებელთა ჩურჩული.

რადიკალურად განწყობილები დაუმორჩილებლობით იმუქრებოდნენ, უფრო ზომიერები კიტოვანს ურჩევდნენ, ზვიადს დალაპარაკებოდა, იქნებ გვარდიის შინაგან ჯარად გარდაქმნა გადაეფიქრებინა. გვარდიელობა ყველას ეამაყებოდა, ხოლო შინაგან ჯარში სამსახური არავის ხიბლავდა. გვარდია, სამხედროებთან ერთად, კიტოვანთან დაახლოებული „ქალაქელების“, „თავისუფალი ადამიანების“ ერთობაც იყო. გვარდიელობა მათ სამოქალაქო საქმიანობას ავტორიტეტს მატებდა. მილიციის სტრუქტურაში გადასვლის შემთხვევაში სამხედროებთან ურთიერთობა სწორედ კიტოვანის მეგობარ სამოქალაქო პირებს შეეზღუდებოდათ.

კიტოვანი რჩევებს მშვიდად ისმენდა, თუმცა მაინც ემჩნეოდა, რომ ნერვიულობდა. საღამოს კაბინეტიდან სადღაც გავიდა. არაფერი უთქვამს. ზოგი ამბობდა, ზვიადთან შესახვედრად წავიდაო, ზოგი კი – შსს-ში, დილარ ხაბულიანთანო. მის დაბრუნებას სულმოუთქმელად ველოდით. როგორც ერთ-ერთი „ავტორიტეტული“ გვარდიელი, მეც ოთახში ვიყავი და იქ მყოფებს ვუსმენდი, ხანდახან გარეთ გამოვდიოდი. გვარდიელები შემომეხვეოდნენ ხოლმე და კითხვებს მაყრიდნენ: „რა ხდება? რამე ხომ არ არის ახალი?“ – არა-მეთქი, მოკლედ ვპასუხობდი, რადგან სათქმელი არაფერი მქონდა.

კიტოვანი ათი საათისთვის დაბრუნდა. სახეზე იმედგაცრუება ეწერა. ყველანი შემოეხვივნენ და კითხვები დააყარეს: „თენგიზ, რა ქენით? რა გადაწყვიტეთ? რა მოილაპარაკეთ?“

გაბრაზებულმა პასუხად მხოლოდ ეს თქვა: „ყველაფერი დამთავრდა, მე წავედი!“ – შემდეგ თავისი ნივთები მოკრიბა და კაბინეტიდან გავიდა. როგორც აღმოჩნდა, გვარდიის გაუქმების საკითხი 18 აგვისტოს საღამოს უკვე გადაწყვეტილი იყო.

სახლში გვიან ღამით დავბრუნდი. თავში ერთი ფიქრი მიტრიალებდა, რომ თუ თენგიზ კიტოვანი გვარდიიდან ნავიდოდა, ეროვნულ გვარდიას მეც დავტოვებდი

და შინაგან ჯარში არ ვიმსახურებდი. ვიხსენებდი ქართულ ჯარში გატარებულ ყოველ დღეს და გული მწყდებოდა, რომ ეს ბედნიერი დრო ასე ხანმოკლე აღმოჩნდა.

მეორე დილით კი ისეთი რამ მოხდა, რომ აღარც ვაჟა ადამია ახსოვდა ვინმეს და აღარც გვარდია.

19 აგვისტოს დილაადრიან გამაღვიძეს, სასწრაფოდ ტელევიზორი ჩართეო! ცენტრალური ტელევიზია თავზარდამცემ განკარგულებას გადმოსცემდა საბჭოთა კავშირის აღდგენისა და საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ. ტელეეკრანიდან თორმეტი ჭმუხი, უხეში მამაკაცი ცივი, გაყინული გამომეტყველებით, მათ შორის, სამხედრო და უშიშროების გენერლები, რომლებიც საკუთარ თავს „გეკაჩეპეს“[102] უწოდებდნენ, მიმართვას ავრცელებდა. საბჭოეთის მმართველ ელიტას სულთმობრძავი საბჭოთა კავშირის რეანიმირება განეზრახა. მთელი მსოფლიოს ყურადღება მოსკოვისკენ იყო მიპყრობილი. სსრკ-ის აღდგენას ზოგი სიხარულით ხვდებოდა, თუმცა უმრავლესობისთვის, ყოველ შემთხვევაში საქართველოში მაინც, ეს ერთდროულად შიშსაც იწვევდა, გაურკვევლობასაც, დაბნეულობასაც და იმედგაცრუებასაც.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის, არმიის გენერალ იაზოვის გამოსვლას რომ ვუსმენდი, უსიამოვნო განცდა დამეუფლა. ვუყურებდი, როგორ გვიქნევდა ტელეეკრანიდან თითს თავდაცვის მინისტრი. „გეკაჩეპეს“ ბრძანების აღსასრულებლად მოსკოვის ცენტრსა და თავად კრემლშიც საჰაერო-სადესანტო ჯარები იყო შეყვანილი, რომლებიც ახლად დანესებულ საგანგებო მდგომარეობას უზრუნველყოფდნენ. ბრძანებულება რესპუბლიკების პირველ პირებსაც იმავე წესების გატარებას ავალდებულებდა.

თავზარდაცემული გამოვვარდი სახლიდან, თავში ათასი აზრი მიტრიალებდა. ნუთუ მორჩა? ყველაფერი დამთავრდა? წარმოვიდგინე, რომ თბილისის ქუჩებში რუსული ტანკები ისევ ითარეშებდნენ, გარნიზონში სიგნალი „წრე“ გამოცხადდებოდა, ქალაქის შესასვლელები და გასასვლელები სამხედრო ჯავშანტრანსპორტიორებით გადაიკეტებოდა, გამვლელ-გამომვლელს გააჩერებდნენ და გაიხრეკდნენ, დეზერტირებსა და ურჩებს ძებნას დაუწყებდნენ და სათითაოდ დააკავებდნენ... საბჭოთა კავშირის აღდგენის შემდეგ მეც და ახალციხიდან წამოსულ ყველა ჯარისკაცს დაუმორჩილებლობის გამო პასუხისმგებლობას დაგვაკისრებდნენ. სხვას, ვისაც ახალციხის სამხედრო ნაწილის პროტესტში მონაწილეობა არ ჰქონდა მიღებული, შეიძლება მსგავსი რამ არ ემუქრებოდა, თუმცა ყველაზე დიდი საფრთხის წინაშე მაინც სამშობლო იდგა. ჩვენი უმთავრესი მიზანი კი საქართველოს თავისუფლებასა და გადარჩენაზე ზრუნვა იყო.

როდესაც თავისუფლების გემოს გაიგებ, ხვდები, რომ მის გარეშე სიცოცხლეს აზრი აღარ აქვს. დაკარგული თავისუფლება კი ბრძოლით უნდა დაიბრუნო!

პირველივე, რაც თავში მომივიდა, საძმოსთან ერთად ტყეში გასვლა და დამპყრობლისადმი დაუმორჩილებლობა იყო, თუმცა ჯერჯერობით უნდა დავლოდებოდი, რას გადაწყვეტდა პრეზიდენტი. ვფიქრობდი, რომ ზვიად გამსახურდია, როგორც ეროვნული მოძრაობიდან მოსული პოლიტიკოსი, საქართველოს ხელახლა დამონებას შეეწინააღმდეგებოდა და დაუმორჩილებლობას გამოაცხადებდა, მაგრამ იყო ერთი უცნაური დამთხვევა:

---

[102] ГКЧП (Государственный комитет по чрезвычайному положению – რუს.) – საგანგებო სიტუაციების სახელმწიფო კომიტეტი

პრეზიდენტმა წინა დღეს ეროვნული გვარდიის შინაგან ჯარად გარდაქმნა გადაწყვიტა[103] და „გეკაჩეპემაც" სწორედ ეს მოთხოვნა დააყენა. ვერ გეტყვით, რა იყო ეს – მოვლენების სავარაუდო განვითარების ზუსტად განჭვრეტა, პოლიტიკური მანევრი, სიფრთხილე თუ კიდევ სხვა რამ, რითაც შემდგომში ოპოზიცია აპელირებდა. ჩემთვის იმ მომენტში ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, არც ღალატად ჩამითვლია და არც „გეკაჩეპესადმი" მორჩილებად. რადგან ასე მოიქცა, ე. ი. ასე მიიჩნია საჭიროდ, რათა საკუთარი ხალხისათვის საფრთხე აერიდებინა. ალბათ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და „გეკაჩეპეს" გადაწყვეტილებას ამიტომაც დაემორჩილა. ის პრეზიდენტი იყო, შესაბამისად, ყველაფერზე პასუხისმგებლობა მას ეკისრებოდა. გავა სულ ცოტა ხანი და ამ ნაბიჯს ზოგი მართლაც „ჭკვიანურ მანევრად" შეაფასებს... მე კი ჯარისკაცი ვიყავი და სხვა ვალდებულებები მქონდა.

დილის 10 საათი იქნებოდა, როდესაც ცხელ გულზე მიღებული გადაწყვეტილებით პირდაპირ გვარდიის შენობას მივადექი. კიტოვანის კაბინეტში ისევ უამრავი ხალხი ირეოდა. ყველა, ვინც გუშინ კიტოვანს აგულიანებდა, დღეს უკვე დაბნეული ჩანდა და მას ზომიერებისკენ მოუწოდებდა. ეროვნული გვარდიის სარდალს ჩემი გადაწყვეტილება ყველას თანდასწრებით გავაცანი:

– ბატონო თენგიზ, ბოდიშს გიხდით იმ თავნებობისთვის, რასაც ახლა გეტყვით. ეროვნული გვარდიიდან მივდივარ, რომელიც პრეზიდენტის ბრძანებულებით და „გეკაჩეპეს" მოთხოვნით უკვე გაუქმებულია. მორჩილად ვერ შევასრულებ მილიციის სტრუქტურაში გადასვლის ბრძანებას. ვერც ახლად მოპოვებული თავისუფლების დაკარგვას შევეგუები უმოქმედოდ. ტყეში გასვლა გადავწყვიტე. სხვა გზა არა მაქვს, აქ რომ დავრჩე, საბჭოთა ჯარის სამხედრო ტრიბუნალს ვერ ავცდები. უნდა გამიშვათ! ვფიქრობ, თრიალეთის ქედს მივაშურო, იქაურობას კარგად ვიცნობ.

განზრახვა სარდალს გავანდვე და ჩემი გულისთვის სამხედრო ხელმძღვანელობისაგან პასუხი რომ არ მოეთხოვათ, გათავისუფლების პატაკი იქვე დავწერე, ისევე როგორც ერთი წლის წინათ – ახალციხეში. მხოლოდ სამი დღის საკვები ვთხოვე საწყობებიდან და ტრანსპორტი გუჯარეთის ხეობამდე ჩასასვლელად, კიდევ საწვავი, სულ ეს იყო.

მამაშვილურად შემომცქეროდა, რა თქმა უნდა, განიცდიდა, უნდოდა, დავეშვიდებინე და გავემხნევებინე, თუმცა ვერ ასერსებდა. თვითონაც დაბნეული იყო, გამოსავალს ეძებდა, გამოსავალი კი არ ჩანდა. რა თქმა უნდა, ყველა თხოვნა შეისრულა, ყველაფერი საკმარისზე მეტიც მომცა: ტყვია-წამალი, საკვები, ტანსაცმელი, ტრანსპორტიც და საწვავიც. ორივემ ზუსტად ვიცოდით, რომ სადაც წავიდოდი, იქაც არ მიმატოვებდა, ამიტომ გავბედე 24 წლის ბიჭმა აზდენის თხოვნა. ამ საუბარში კასპის პრეფექტი ნინო მირიანაშვილი ჩაერთო:

– თრიალეთის ქედს რკონის ტყე ხომ არ სჯობს? რკონიდანაც არის თრიალეთზე გადასასვლელი. კასპიდან საკვებით მომარაგებაც გაგვიადვილდება.

---

[103] 1991 წლის 19 აგვისტოს ზვიად გამსახურდიამ ხელი მოაწერა ბრძანებულებას „შსს-ს შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციის შესახებ", რომლითაც შს სამინისტროს შინაგანი ჯარების ეროვნულ გვარდიას განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვედანაყოფის სტატუსი ენიჭებოდა; უქმდებოდა შინაგანი ჯარების – ეროვნული გვარდიის სარდლის თანამდებობა. შინაგან ჯარებს კი მხოლოდ შსს-ს ტაბელური იარაღით სარგებლობის უფლება ეძლეოდათ.

ეს აზრი ორივეს ჭკუაში დაგვიჯდა. სიხარულით მივიღე შემოთავაზება, მადლობა გადავუხადე და მხურვალედ გამოვემშვიდობე. ბატალიონის ზურგის სამსახურის უფროსები შესაბამისი დავალებებით შავნაბადას ბრიგადის ბაზაზე გავაგზავნე, მე კი მე-4 სპეცდანიშნულების ბატალიონის ბაზას მივაშურე იქაურობასთან გამოსამშვიდობებლად.

გზად ბაღში შევიარე, არნივს თოკი გადავუჭერი და ხელი ავუქნიე, რომ გაფრენილიყო. მესამე მცდელობისას მოახერხა და ჰაერში აიჭრა. დიდხანს შევცქეროდი ცაში აფრენილ, ტყვეობიდან ახლახან თავდახსნილ ფრინველს, შემდეგ კი, საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში საბოლოოდ დარწმუნებულმა, პლაცზე ბატალიონის მოწყობა გამოვაცხადე. ბატალიონის წევრებს მოსკოვში მომხდარი სამხედრო გადატრიალების გამო შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება გავაცანი, ასევე, ეროვნული გვარდიის დაუყოვნებლივ გაუქმებისა და შინაგან ჯარად გარდაქმნის ბრძანების შესახებ ვაცნობე.

ბატალიონის სამასამდე გვარდიელს მადლობა გადავუხდე სამსახურისთვის, ვუთხარი, რომ დიდ პატივად მიმაჩნდა ახალგაზრდა, გულანთებულ ჭაბუკებთან ერთად ქართულ ჯარში სამსახური, რომ მე-4 სპეცდანიშნულების ბატალიონის მეთაურობა იყო ჩემი ყველაზე დიდი ახდენილი ოცნება, ასრულებული ნატვრა, მაგრამ დღეს სამშობლო უკვე მსხვერპლს მოითხოვდა, რადგან ისევ ცდილობდნენ ჩვენი ქვეყნის დაპყრობას და ამიტომ ვტოვებდი დაკავებულ თანამდებობას, რომ მათთვის საფრთხე ამეცილებინა.

– რიგითებს სახლებში გითხოვთ, ოღონდ მე დამორჩილებას არ ვაპირებ, გადაწყვეტილი მაქვს, ტყეში გავიდე. ოფიცრებმა და ზემდეგებმა კი არჩევანი თვითონ გააკეთონ. შეუძლიათ, სახლებში ნავიდნენ, შეუძლიათ, ჩემთან ერთად ტყეს მიაშურონ და ვიდრე პირში სული უდგათ, თავისუფლებისთვის იბრძოლონ ისე, როგორც ჩვენს წინაპრებს უბრძოლიათ.

ამ შესავლის შემდეგ სამხედრო ბრძანება გავეცი, რომ წამოსვლის მსურველებს მწყობრიდან სამი ნაბიჯი წინ გადმოედგათ.

მწყობრში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით. სიჩუმე სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მწყობრიდან ორმოცამდე ოფიცერთან და ზემდეგთან ერთად პირველი გაწვევის 30-მდე რიგითიც გამოვიდა. კაცმა რომ თქვას, უნდა გამხარებოდა, რაც უფრო მეტი თანამოაზრე მეყოლებოდა, მაგრამ არ მიხაროდა. არ მინდოდა, ახალგაზრდა, პირტიტველა ბიჭების სიცოცხლით საგმირო თამაშები მომეწყო. თავიანთ ნებასა და ჭკუაზე რომ მიმეშვა, თავგადასავლების საძიებლად ფეხს დაჰკრავდნენ და ტყეში გამომყვებოდნენ, რადგან ამ ასაკში არც სიცოცხლეს უფრთხილდებიან და არც სიკვდილი ეძნელებათ.

უცებ გამოვერკვიე, გამოვფხიზლდი. წვევამდელებს მწყობრში დაბრუნება ვუბრძანე: „ზურგისაკენ, ნაბიჯით იარ!“ – თანაც ვცდილობდი, ჩემივე გაწვრთნილი ჯარისკაცების ვაჟკაცური ნაბიჯით გამოწვეული სიამაყე სახეზე არ დამტყობოდა. პირველად ხდებოდა, რომ ჩემი ბრძანების შესრულებას არ ჩქარობდნენ. სათითაოდ ვაკვირდებოდი და ვრწმუნდებოდი, რომ ბოლო ბრძანება ყოველი მათგანისთვის შეურაცხმყოფელი იყო. ვიგრძენი, რომ ვალდებული ვიყავი, მათი არჩევანისთვის პატივი მეცა. 300-დან 70-მდე რჩეულს მტკიცედ გადაეწყვიტა და უფლებაც ჰქონდა, მეთაურებს გაჰყოლოდა მთაში თუ ბარში, ტყეში თუ ღრეში.

საღამოს 6 საათზე, თავისუფლებისათვის ბრძოლას მოწყურებულები, უკვე რკონის ხეობისკენ მივეშურებოდით ფილმებში ნანახი თუ რომანებში ნაკითხული ამბოხებული ფირალებისა თუ დაუმორჩილებელი აბრაგების როლის შესასრულებლად, პარტიზანული ბრძოლის გასამართავად.

■

ულამაზესია თეძმის ხეობა. რკონი ისტორიული ადგილია. ისტორიკოსების თქმით, თეძმის ხეობაში თემურ-ლენგს უთარეშია და რკონის მონასტერი გაუძარცვავს.

მდინარე თეძმის ზემოთ გადმომდგარ გორაკზე, ტყეში, მოსახლეობისგან მოშორებით, კოტეჯებში დავბანაკდით.

დაღამდა. მდინარის პირას მინდორზე დანთებული კოცონის გარშემო შემომსხდარი „არნიველები", მოულოდნელად თავს დამტყდარი ეპოქალური მოვლენების მძევლები, მოსალოდნელი შედეგების შესაცვლელად ვემზადებოდით. შუაში კოცონი გიზგიზებდა და გამხმარი ნაფოტების ტკაცუნი ისმოდა. ცეცხლში ტოტით ნაცარს ვქექავდი და ნაკვერჩხალს ვაღვივებდი. დასავლეთის გრილი ნიავი ნაპერწკლებს ჰაერში ატრიალებდა.

შუაღამე იქნებოდა, როდესაც მოულოდნელად ბანაკს სამთავრობო „გაზ-31"-ით თენგიზ კიტოვანი მოადგა კასპის პრეფექტთან ერთად. ტყეში გასულები მამაშვილურად მოგვიკითხა და სათითაოდ დაგველაპარაკა. დამაიმედებელი ახალი ამბავი არ მოუტანია, თუმცა საბრძოლო ჟინით შემართულებს მისი ყოველი სიტყვა მხნეობას გვმატებდა. ნინო მირიანაშვილმა კვლავ დაგვიდასტურა, რომ პროდუქტებით მომარაგების მხრივ პრობლემა არ გვექნებოდა. ღამის ორ საათზე კიტოვანი დაგვემშვიდობა და თავისი კორტეჟით თბილისისკენ გაეშურა.

20 აგვისტოს დილა გათენდა.

დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ისევ ტელევიზორებთან მიჯაჭვული, პროგრამა „Время"-ს სპეციალურ გამოშვებას ელოდა. მოსკოვს, ისევე როგორც რუსეთის სხვა დიდ ქალაქებს, ტანკებითა და ჯავშანტრანსპორტიორებით საბჭოთა არმიისა და შსს-ს ჯარისკაცები აკონტროლებდნენ. ტელეგადაცემები ისევ ცენზურით გადიოდა, მხოლოდ „გეკაჩეპეს" საგანგებო განკარგულებებს გადმოსცემდნენ.

მოსახლეობის ნაწილი კვლავ ხარობდა და მათ გულშემატკივრობდა, ერთიან საბჭოთა კავშირში დაბრუნებას ზეიმობდა, ნაწილი წუხდა და განიცდიდა, სულ ახლახან მოპოვებულ დამოუკიდებლობას მისტიროდა. ჩვენ კი, სანახევროდ შეიარაღებული ასამდე გვარდიელი, დილიდან საბრძოლო პოზიციებს ვარჩევდით, უწყლო ხევებში გასასვლელებს ვამზადებით, სანგრებს ვთხრიდით და ოკუპანტთან ბრძოლისთვის ვემზადებოდით.

საღამოს პირს თენგიზ კიტოვანი რკონში ისევ ამოვიდა. ახლა უკვე დღის შუქზე ეცნობოდა არემარეს და თან ღიმილით მისმენდა იმჟამად უკვე საველე მეთაურს, როდესაც ადგილმდებარეობასა და გეოგრაფიულ თავისებურებაზე, თრიალეთის ქედზე გადასასვლელებსა და ბილიკებზე ვესაუბრებოდი, თუმცა ეტყობოდა, რომ ფიქრებით სხვაგან იყო.

შემდეგ ბიჭებს გამოელაპარაკა, იქაურობის მრავალფეროვანი ბუნებითა და გვარდიელთა პატრიოტული სულისკვეთებით მოხიბლული. ისე გავაცილე, რომ გვარდიის გეგმებსა და მოსკოვის პუტჩზე არაფერი უთქვამს.

21 აგვისტოც ცხელი დღე გამოდგა. მოსკოვში მოვლენები ელვისებურად ვითარდებოდა. „გეკაჩეპეს“ დიქტატურის დამყარების უბადრუკი მცდელობა ელცინისა და მის მხარდამჭერთა რევოლუციაში გადაიზარდა. რუსეთის ახალარჩეული პრეზიდენტი ქუჩაში გამოსული ტანკებიდან ერთ-ერთზე ავიდა და აზვირთებულ ხალხს დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა. 106-ე საჰაერო-სადესანტო სამმართველომ გრაჩოვის ხელმძღვანელობით, რომელიც ორი დღის განმავლობაში პირნათლად ასრულებდა „გეკაჩეპეს“ დადგენილებებს, მოულოდნელად პოზიცია შეიცვალა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მხარეს გადავიდა. მისივე ბრძანებით შეყვანილი სადესანტო ძალების ნაწილი, ალექსანდრე ლებედის მეთაურობით, რუსეთის მთავრობის რეზიდენციის, ე.წ. „თეთრი სახლის“ დასაცავად დადგა. მათ მაგალითზე, პატრიოტული შეძახილებისა და ელცინის მონოდებების გავლენით, თავდაცვის პუტჩისტი მინისტრის ბრძანების შესრულებაზე სხვა სამხედრო ნაწილებმაც უარი განაცხადეს და ხალხის გვერდით დგომა ამჯობინეს.

მოკლედ, ისე გამოვიდა, რომ საბჭოთა კავშირის რეანიმაციის მცდელობას არა მარტო მასში შემავალი რესპუბლიკების, არამედ რუსეთის ხელისუფლების მნიშვნელოვანი ნაწილიც დაუპირისპირდა. გაუგებარი დარჩა მხოლოდ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების პოზიცია, რომელმაც სამხედრო ხუნტას, ფაქტობრივად, მორჩილება გამოუცხადა და ამ მორჩილების ნიშნად გააუქმა ეროვნული გვარდია – უამრავი პატრიოტი ქართველის იმედი და სიამაყე.

გაუქმებული ეროვნული გვარდიის რკონში დაბანაკება

საბედნიეროდ, სამხედრო დიქტატურის დამყარების მცდელობა კრახით დასრულდა.

ასამდე „თეთრარწიველის“ მიერ სამშობლოს დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით გადადგმული თავგანწირვამდე გაბედული ნაბიჯიც ისე ჩაიკარგა, თითქოს არაფერი გაგვეკეთებინოს.

ეროვნული გვარდიის გაუქმება კი ხელისუფლების მიმართ უნდობლობის ფაქტორად იქცა.

21 აგვისტოს, საღამოს 7 საათისთვის თენგიზ კიტოვანი თანმხლებებთან ერთად რკონში ამოვიდა. თითქოს ორი დღით ადრე არც პუტჩი მომხდარიყოს და არც პრეზიდენტს გამოეცეს ეროვნული გვარდიის გაუქმების ბრძანება, მოულოდნელად იკითხა: „საველე სწავლება ხევსურეთის ნაცვლად რკონში ხომ არ ჩაგვეტარებინა?“

შევცბი, თუმცა ვცდილობდი, არ შემტყობოდა, თავს ვიკავებდი. ალბათ იხუმრა-მეთქი, ამ იმედით გავჩუმდი და ნათქვამი უსიტყვოდ გავატარე... თუმცა მალევე ნათელი გახდა, რომ იგი ტყეში გასვლის იდეამ მოხიბლა, გეოგრაფიული მდებარეობაც მოეწონა. შესაძლოა, წინა საღამოსვე ჰქონდა გადაწყვეტილი ან იქნებ იმწუთას გადაწყვიტა. კიდევ ერთხელ გადახედა არემარეს და გვერდზე მდგომს დაავალა, ჩოლოყაშვილის სახელობის ასეული ბარისახოდან რკონში გამოეხმო, ხოლო დანარჩენი გვარდიისთვის 22 აგვისტოდან საველე სწავლებებზე რკონში გამოცხადების განკარგულება გასცა.

„თეთრარწიველები“ იმედგაცრუებულები შევცქეროდით, რაც ჩვენ გარშემო ხდებოდა. სულ რაღაც 48 საათის წინ მრავალგზის ნანატრი და სულ ახლახან მო-

პოვებული დამოუკიდებლობის დასაცავად ოკუპანტის წინააღმდეგ საბრძოლველად ტყეში გასულები, უცებ ეროვნული გვარდიის ე. წ. საველე სწავლებებზე აღმოვჩნდით.

სარდლის ბრძანების შესაბამისად, მთელი ის ღამე და მომდევნო დღე ეროვნული გვარდიის ნაწილები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, გულდამშვიდებულები, საველე სწავლებაზე რკონისკენ მოემართებოდნენ. თითქოს ყველას დაავიწყდა ორიოდე დღის წინ გამოქვეყნებული ბრძანება ეროვნული გვარდიის გაუქმებისა და თანამდებობიდან სარდლის გათავისუფლების შესახებ. რკონის მთა-გორაკები რეგიონებიდან ჩამოსული სხვადასხვა დანიშნულების სამხედრო ნაწილებით ნელ-ნელა ივსებოდა. სამეგრელოდან წალენჯიხის ასეული შემოგვიერთდა. ინფორმაცია მოვიდა, რომ დილით ადრე სამეგრელოდან სხვებიც დაიძრნენ, მათ შორის, ზუგდიდის გვარდიაც, თუმცა ჯერ არავინ ჩანდა.

22 აგვისტოს, დილაადრიან ზუგდიდიდან თბილისისკენ მიმავალ კოლონას იგოეთის გადასახვევთან ლოთი ქობალია გამოეყო და შვილთან ერთად რკონს მოაშურა.

კიტოვანი და მისი გარემოცვა ზუგდიდის გვარდიის მეთაურის სტუმრობას დიდი სიხარულით შეხვდნენ, ერთი ამბით მიიღეს, მეგობრულად გადაკოცნეს და შემდეგ კოტეჯში სასაუბროდ განმარტოვდნენ. სავარაუდოდ, რეალობა სწორედ მაშინ გახდა ცნობილი. იმ დროს, როცა კიტოვანი ხელქვეითისგან ზუგდიდის გვარდიის რკონში ამოყვანას ითხოვდა, ქობალიასა და სამეგრელოს გვარდიელებს პრეზიდენტი თბილისში ელოდებოდა. როგორც აღმოჩნდა, ლოთის გვარდიელებს პრეზიდენტიც და სარდალიც თავისკენ იხმობდა, ორივე თავისკენ ექაჩებოდა.

ეს ფაქტორი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. თუ ქობალია თბილისისკენ წავიდოდა, შეიარაღებული ძალები გაიხლიჩებოდა და დაპირისპირება დაიწყებოდა. თუ ლოთი სამეგრელოს გვარდიას რკონში ამოიყვანდა, პრეზიდენტი აღმოჩნდებოდა ერთობლივი მოთხოვნის წინაშე – ეროვნული გვარდიისთვის სტატუსი აღედგინა და სათავეში თენგიზ კიტოვანი დაებრუნებინა. გვარდიის სრული შემადგენლობის მიერ დაყენებულ მოთხოვნაზე უარის თქმა არც ისე ადვილი იქნებოდა.

კიტოვანთან დაახლოებული პირები კოტეჯის შორიახლოს ტრიალებდნენ, ერთი სული ჰქონდათ, შეეტყოთ, რით დასრულდებოდა მოლაპარაკება.

„საიდუმლო სერობა“ დაახლოებით ორმოც წუთს გაგრძელდა. გარეთ გამოსულებმა გვარდიის სარდლის პრესცენტრის უფროსს ინტერვიუ მისცეს და იქ მყოფებს საუბრის შინაარსი გაგვიმხილეს. ქობალია კიტოვანის მოთხოვნაზე უარს ამბობდა. საამისო მიზეზიც ჰქონდა: პრეზიდენტს მისთვის პირადად დაერეკა და ერთგულების ნიშნად თბილისში უხმობდა, თუმცა მას არც კიტოვანის წყენინება უნდოდა. განდგომილ სარდალს სიტყვას აძლევდა, რომ სამეგრელოს გვარდიელები მას არასდროს დაუპირისპირდებოდნენ. გვარდიის დანარჩენ ნაწილს ნდობისათვის რკონში 15 წლის შვილის დატოვებასაც კი სთავაზობდა, თითქოს სპარსეთის შაჰის კარზე ყოფილიყოს.

ქობალია თბილისში პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ იმასაც არ გამორიცხავდა, რომ რკონში „საველე სწავლებებზე“ გასულებს შეერთებოდა, მხოლოდ ერთი პირობით – თუ დაბანაკებულთა პროტესტი პრეზიდენტის წინააღმდეგ არ იქნებოდა მიმართული. რა თქმა უნდა, კიტოვანმა შვილის „მძევლობაზე“ უარი უთხრა, თუმცა სთხოვა, რომ საბოლოო პასუხის მისაღებად ნდობით აღჭურვილ პირს

გააყოლებდა. ასე დაშორდნენ ერთმანეთს გაუქმებული ეროვნული გვარდიის სარდალი და გაუქმებული ზუგდიდის გვარდიის მეთაური.

ძნელი გამოსაცნობი არ არის, ვინ იყო კიტოვანის ნდობით აღჭურვილი პირი... უკან ორიოდე საათში დავბრუნდი ქობალიასგან შემოთვლილი უარით.

მიუხედავად ამისა, საქართველოს დანარჩენი ქალაქების მეთაურებმა გაუქმებული გვარდიის სტატუსის აღდგენის იდეას და სათავეში კვლავ კიტოვანის დაბრუნებას სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს.

სწორედ აქედან იღებს სათავეს დაპირისპირება, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ორი დღის წინ „თეთრარწივლების" რკონში გასვლასთან.

გამოვიდა, რომ ეროვნული გვარდია უახლოეს მომავალში პოლიციური ფუნქციის შესაძლო შესრულებას გაურბოდა და საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების მიერ მოსკოვის კარნახით მიღებულ ეროვნული გვარდიის დაშლის გადაწყვეტილებას არ ემორჩილებოდა. უფრო მეტიც, „გეკაჩეპეს" მოთხოვნებს დამორჩილებულ ხელისუფლებას უპირისპირდებოდა და ტყეში გადიოდა იმის მიუხედავად, რომ ეროვნული გვარდიის შეიარაღებაში პატრიოტიზმისა და თავდადების გარდა მხოლოდ რამდენიმე ათეული ავტომატი მოიძებნებოდა.

რა იყო პრეზიდენტის მიერ გვარდიის გაუქმების ნამდვილი მიზეზი? პოლიტიკური მანევრი თუ ხელისუფლების სისუსტე? წინდახედულობა თუ ეროვნული იდეალების ღალატი? – ამ კითხვაზე პასუხი დიდად არც არავის აინტერესებდა.

მოსკოვში პუტჩი დასრულებული იყო, გვარდიის შინაგან ჯარად გარდაქმნის საფუძველი აღარ არსებობდა, გვარდიის აღდგენის სურვილს კი პოლიტიკასთან არაფერი ჰქონდა საერთო. უბრალოდ, ჩვენ შსს-ს შინაგან ჯარში სამსახური არ გვსურდა. იცით, რამხელა განსხვავებაა სამხედრო სამსახურსა, რომლის ძირითად ფუნქციას სამშობლოს დაცვა წარმოადგენს, და შინაგან ჯარში სამსახურს შორის, რომლის ძირითადი ვალდებულება საპატიმროების დაცვა და არეულობის დროს მიტინგების დაშლაა?

ქართულ ჯარში მსახურება იყო ის ოცნება, რის გამოც ოფიცრებმა საბჭოთა არმია დავტოვეთ, ამისთვის დიდხანს ვიწვალეთ და, როგორც იქნა, გვეღირსა. მისი დათმობა ასე ადვილად არ გვემეტებოდა.

ერთი რამ კი ფაქტია: უნდობლობის გასაქარწყლებლად, წინააღმდეგობის გასანეიტრალებლად ხელისუფლების მიერ მოყვანილი არგუმენტები, გაკეთებული განცხადებები და შეფასებები, გადადგმული ნაბიჯები და ჩატარებული ღონისძიებები არც დამაჯერებელი აღმოჩნდა და არც შედეგიანი.

ჯერ იყო და, 5-6 საათისათვის რკონიდან თბილისში წასული კიტოვანთან დაახლოებული ერთ-ერთი პირი საღამოს გზიდანვე უკან მოტრიალდა და გამაოგნებელი ამბავი ჩამოიტანა, თითქოს ვიღაცას შს მინისტრი დილარ ხაბულიანი დიღომში, რომელიღაც რესტორანში საბჭოთა შინაგანი ჯარის მაღალჩინოსნებთან ერთად ენახა, სადაც, სავარაუდოდ, განდგომილების დაშლაზე საუბრობდნენ. კიდევ ორი-სამი თვითმხილველი ადასტურებდა, რომ დიღმის გასასვლელთან ორი რუსული ჯავშანტრანსპორტიორი იდგა, მათივე ვარაუდით, ტყეში გახიზნულ გვარდიელთა დასარბევად.

მოკლედ, მოულოდნელად გავრცელებულმა ჭორმა ისედაც გაურკვეველი ვითარება კიდევ უფრო დაძაბა.

„რკონში თავდასხმისათვის ემზადებიან!“ – ვინ იცის, ვისი შემოგდებული იყო, ვის სურდა გვარდიის გაუქმებით ისედაც ბუნებრივად გაჩენილი უკმაყოფილება და უნდობლობა კიდევ უფრო გაეღრმავებინა? ან ეგებ ხმებს თვითონვე ავრცელებდნენ? – იქნებ ეგონათ, დავიშლებოდით.

რკონში დაბანაკებულების დაშლაში რუსების შესაძლო მონაწილეობამ ხელისუფლებაზე ისედაც გულნატკენ გვარდიელებში წყენა და ეჭვი კიდევ უფრო გააღრმავა და წინააღმდეგობის გაწევის სურვილი გაამძაფრა. თავდასხმის მოლოდინში მთელ გვარდიას, რკონის ფერდობებსა და ტყის პირას შერჩეულ მიწათხრილებში გაწოლილებს, თეთრად მოგვინია იმ ღამის გათენება, ისე რომ გვარდიელთა უმრავლესობა ვერც კი მიხვდა, ხელისუფლების რისხვა რით დაიმსახურა. იმ დროს ემოციური დაძაბულობა იმდენად მაღალი იყო, რომ ცრუ ინფორმაციის შემოგდებას და პანიკის დათესვას დიდი მოხერხება არ სჭირდებოდა.

პრეზიდენტსა და გვარდიას შორის ჩატეხილი ხიდის აღსადგენად სულ მცირე რამ იყო საჭირო – ნდობა და დათმობა, თუმცა რუსეთთან და „გეკაჩეპესთან“ მოქნილი პოლიტიკის გამტარებელი ხელისუფლება საკუთარ ხალხთან ხისტი, შეუვალი და უკომპრომისო აღმოჩნდა.

პრეზიდენტმა გვარდიის მოქმედება კანონგარეშედ გამოაცხადა, თავად კიტოვანი და მისი თანამოაზრეები, ყველა ერთიანად, მოღალატეებად შერაცხა, ოფიცრებსა და რიგითებს იქაურობის დატოვებისკენ მოუწოდა, მათ მშობლებს კი რკონიდან საკუთარი მოტყუებული შვილების წამოყვანა მოსთხოვა.

მომდევნო დილას რკონს უამრავი აღელვებული მშობელი მოაწყდა. მათი მოთხოვნით, გვარდიის პირადი შემადგენლობის ნაწილმა იქაურობა მართლაც დატოვა, ბევრმა გაყოლაზე უარი განაცხადა, მაგრამ წვევამდელთა გადინება გვარდიის ცალკეულ ბატალიონთა საერთო რიცხოვნობას მაინც შეეტყო.

რაც შეეხება „თეთრ არწივს“: ჩვენ, ერთადერთი ქვედანაყოფი საქართველოში (ვინ იცის, იქნებ მთელ საბჭოთა კავშირში), რომელმაც 19 აგვისტოს მართლაც „გეკაჩეპეს“ წინააღმდეგ დაუმორჩილებლობა გადაწყვიტა, ორი დღის თავზე საკუთარ სინდისთან არჩევანის წინაშე ვიდექით – იმ ხელისუფლების მოთხოვნით, რომელმაც „გეკაჩეპეს“ გავლენით ეროვნული გვარდია გააუქმა, თუ თენგიზ კიტოვანს არ მივატოვებდით, მეც და ჩემი „თეთრარწიველებიც“ „მოღალატეები“ აღმოვჩნდებოდით. იმ თენგიზ კიტოვანს, რომელმაც ექვსიოდე თვის წინ ცხინვალში დაჭრილი საკუთარი მანქანით სამშვიდობოს გამომიყვანა; სამიოდე დღის წინ ოკუპანტის წინააღმდეგ ტყეში გასულს ყველა თხოვნა შემისრულა, ტექნიკური საშუალებები და მატერიალური მარაგები მოგვცა. ტყეში გასვლის შემდეგაც არ მიგვატოვა და ორჯერ ჩამოგვაკითხა. ასევე, ერთადერთი ქვედანაყოფი ვიყავით, რომლის წევრებმაც 19 აგვისტოს, დილით თენგიზ კიტოვანის კაბინეტში გვარდიიდან გათავისუფლების შესახებ პატაკები დავწერეთ და უკვე შინაგან ჯარად გადაკეთებულ სტრუქტურაში გადასვლაზე უარი განვაცხადეთ, საყოველთაო სამხედრო სამსახურში გაწვეულები კი 19-ში დილიდანვე დავითხოვეთ. შესაბამისად, აღარანაირი სამხედრო ვალდებულება აღარ გვეკისრებოდა, თუმცა, უბრალოდ, ვერ დავტოვეთ!

ასე რომ, შინაგან ჯარში მსახურების გაგრძელებას გვარდიის აღდგენის იმედით მშვიდობიანი პროტესტის გაგრძელება ვარჩიეთ.

რაც შეეხება იმ 30-მდე წვევამდელს, რომლებიც ჩვენ გვერდით იყვნენ, მიუხედავად ჩემი არაერთგზის მოწოდებისა, არც ახლა აპირებდნენ რკონის მიტოვებას.

მეტიც, შვილის წასაყვანად რკონში ჩამოსული ერთ-ერთი გვარდიელის, გია ტაბახმელაშვილის მამა თავადაც დარჩა და „თეთრ არწივს“ შემოუერთდა.

31 აგვისტოს დილიდანვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ რკონში ამბოხებულ სარდალთან და განდგომილ გვარდიასთან უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი მოდიოდა და პირად შემადგენლობასთან პრეზიდენტის დანაბარები მოჰქონდა. მის შესახვედრად საგანგებოდ მოვემზადეთ: გაშლილ მინდორზე ჯერ კიდევ თითქმის 60%-ით დაკომპლექტებული ბატალიონები მოწყობილები იდგნენ და მღელვარებით მოელოდნენ ქვეყნის მეორე პირის მობრძანებას.

11 საათი იქნებოდა, როდესაც შავი ფერის „გაზ-31“ ბანაკის ტერიტორიას მოადგა. თენგიზ კიტოვანი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს შტაბის კოტეჯთან დახვდა.

მხურვალედ გადაეხვივნენ ერთმანეთს, ისინი ხომ „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირიდან“ ერთად მოდიოდნენ. თბილმა შეხვედრამ სარდალთან დაახლოებულ პირებსა და გვარდიელებს იმედი ჩაუსახა, რომ მოლაპარაკება სასიკეთოდ დამთავრდებოდა. შეხვედრა დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა.

არავინ იცის, რაზე ილაპარაკეს, მაგრამ გარეთ გამოსულები კარგ ხასიათზე ჩანდნენ. ასათიანი კიტოვანის გარემოცვას გაესაუბრა. თითქმის ყველა ეროვნული მოძრაობიდან იცნობდა ერთმანეთს, შემდეგ პრესცენტრის ხელმძღვანელს მისცა დამაიმედებელი ინტერვიუ, რომ ყველა უთანხმოება ძალიან მალე მოგვარდებოდა და მწყობრად მდგომი გვარდიისაკენ გამოემართა.

სამწყობრო წესით მისალმების შემდეგ ასათიანი პირად შემადგენლობას მოთხოვნის დაკმაყოფილებას შეჰპირდა, სანაცვლოდ კი სამხედრო ნაწილების მუდმივი დისლოკაციის ადგილებზე დაბრუნება მოითხოვა. პრეზიდენტის გადაწყვეტილებას გვარდიელები სიხარულით შეხვდნენ. „პრეზიდენტს გაუმარჯოს!“ - სკანდირებდნენ გახარებულები დანაპირების ასრულების იმედით.

მოსარიგებლად ამოსული უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი მოწმეა, რომ რკონის სპორტული ბაზის მოედანზე მოწყობილ გვარდიელთა რიგებში პრეზიდენტის მოწინააღმდეგე ან მოძულე არავინ ყოფილა.

2 სექტემბერს სამხედრო ნაწილებს სამხედრო ბანაკის აშლის განკარგულება დილიდანვე ჰქონდათ მიღებული და დისლოკაციის ადგილებზე დასაბრუნებლად ემზადებოდნენ. თურმე ამავე დღეს, დღის 2 საათზე თბილისში, „კინოს სახლის“ წინ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ტრადიციული ყოველკვირეული საინფორმაციო მიტინგი უნდა გამართულიყო, რომელზეც რამდენიმე ასეული, უკიდურეს შემთხვევაში, ათასამდე ადამიანი თუ იკრიბებოდა, თუმცა დაწყებამდე ერთი საათით ადრე შეკრების ადგილას ქალაქის მილიციის სამმართველოს ხელმძღვანელობა გამოცხადდა სპეციალური დანიშნულების რაზმთან ერთად და აქციის დაშლა მოითხოვა.

იმ დროს, როდესაც გვარდიელთა კოლონები მცხეთას უახლოვდებოდნენ, წინა მანქანებში გვარდიის ხელმძღვანელებმა ზემელზე (ახლანდელი რუსთაველის სახელობის მოედანი) მიტინგის დარბევის ამბავი შეიტყვეს. ქართველებს შორის შეხლა-შემოხლა, გაწევ-გამოწევა, ცემა-ტყეპა გაიმართა. თბილისში გავრცელდა ჭორი, რომ დარბევას მსხვერპლი მოჰყვა.

და ეს ყველაფერი თბილისის ცენტრში, დღისით, მზისით, 1989 წლის 9 აპრილის მიტინგის დარბევისა და სულ ახლახან მოპოვებული დამოუკიდებლობის შემდეგ პირველად, იმავე რუსთაველის გამზირზე, ისევ მშვიდობიან მიტინგზე! ოღონდ ამჯერად არა საბჭოთა არმიისა და შინაგანი ჯარების მიერ, არამედ ეროვნული

ხელისუფლების ბრძანებით, თბილისის მილიციის სპეცრაზმისა და ქალაქის მილიციის სამმართველოს ხელით. თანაც, ფაქტობრივად, ამერიკელი სენატორების ლაშის თვალწინ.[104] ამას ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა.

იმ ადამიანებმა, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ აქციას აქციაზე ატარებდნენ, სამთავრობო დაწესებულებების პიკეტირებას აწყობდნენ, გზებსა და მაგისტრალებს კეტავდნენ, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ლაშის პირველივე მიტინგი დაარბიეს.

ხელისუფლებამ მომხდარი მარტივად ახსნა: თურმე კომუნისტური რეჟიმის დროს მიტინგების ჩატარება კანონზომიერი და სწორი იყო, ხოლო ეროვნული ხელისუფლების მიმართ კრიტიკული აზრის ქუჩაში გამოხატვა – დესტაბილიზაციის მცდელობა და დანაშაული; მშვიდობიან მომიტინგეთა დარბევა და დაჭრა კი – ისევ მომიტინგეთა ლიდერებისა და ქალაქის მილიციის სამმართველოს უფროსის ბრალი. კიდევ, სუკ-ის აგენტების მიერ მოწყობილი და ინსპირირებული პროვოკაცია.

მხოლოდ შავნაბადაზე დაბანაკების შემდეგ გახდა ცნობილი, რომ 31 აგვისტოს რკონში უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, აკაკი ასათიანის დაპირება ეროვნული გვარდიის აღდგენის შესახებ დაპირებადვე დარჩა.

თავის მხრივ, კიტოვანმა ხელისუფლებას საკუთარ მოქალაქეებზე ხელის აღმართვა არ მოუწონა, მოსკოვის პუტჩის დროს მიღებული ბუნდოვანი გადაწყვეტილებაც გაუხსენა და ნდობის აღდგენისთვის მთავარ პირობად კვლავ გვარდიის აღდგენა გამოაცხადა.

თითქოს საბაბი სჭირდებოდათ და მიტინგის დარბევით ეს საბაბიც იპოვეს. კოლონამ, რომელიც რკონიდან თბილისისაკენ ძეგვის შემოვლითი გზით მიემართებოდა, მოულოდნელად მცხეთასთან ხელმძღვანელობისგან სხვა ბრძანება მიიღო - დისლოკაციის ადგილის ნაცვლად შავნაბადაზე უნდა გამოვცხადებულიყავით.

ასე აღმოვჩნდით შავნაბადაზე თენგიზ კიტოვანის ერთგული გუნდი, რომელშიც ზოგი სამხედრო სამსახურის სიყვარულით, უმრავლესობა კი პატრიოტული გრძნობებით ვიყავით გაერთიანებულნი. საკუთარი ქვეყნის სამხედრო სამსახურიც ხომ პატრიოტობაა!

გაურკვეველი მდგომარეობის მიუხედავად იხტიბარს არ ვიტეხდით, გადაწყვეტილების შეცვლის იმედს არ ვკარგავდით და გვარდიის სათავეში კიტოვანის დაბრუნებას ვითხოვდით.

ეროვნულ გვარდიაში მსახურების ოცნების ასრულების ერთადერთ იმედად მეორე დილით სახლიდან შავნაბადაზე ამოყვანილი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადამდგარი თენგიზ სიგუას დაპირება რჩებოდა, რომ ეროვნული გვარდიის აღდგენას პოლიტიკური ბრძოლით მაინც მიაღწევდა.

---

[104] 2 სექტემბერს, მიტინგის პარალელურად, პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია უზენაესი საბჭოს შენობაში საქართველოში ვიზიტად მყოფ ამერიკელ სენატორებს ხვდებოდა.

საპროტესტო ტალღა თბილისში და დაპირისპირება ხელისუფლების შიგნით

ეროვნული ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები და გაურკვეველი საშინაო და საეჭვო საგარეო პოლიტიკა საზოგადოებისთვის მიუღებელი გახდა.

ეროვნული გვარდიის მოქმედებით გათამამებულმა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა, ინტელიგენციამ, სტუდენტობამ და ოპოზიციურად განწყობილმა ჟურნალისტებმა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ერთდროულად დაიწყეს გამოსვლა. შედეგად რუსთაველზე, „იმელის" შენობის სიახლოვეს, ეროვნულ-დემოკრატიული და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიების ოფისების წინ, ერთმანეთისგან ასი მეტრის დაშორებით, გზა გადაიკეტა.

მთავარი მოთხოვნა იყო პრეზიდენტ გამსახურდიას გადადგომა, საბაბად კი სექტემბერში დასავლეთის მიერ ბალტიისპირეთის ქვეყნების დამოუკიდებლობის აღიარებას იშველიებდნენ. არც იმას იღებდნენ მხედველობაში, რამდენად დიდი მხარდაჭერა ჰქონდათ ბალტიისპირელებს დასავლეთიდან და არც იმას, რომ დასავლეთი თავად მოუწოდებდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე მოეწერათ ხელი.

9 სექტემბრიდან სახელმწიფო ტელევიზიის თანამშრომელთა ნაწილმა მაუწყებლობის პოლიტიკის, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის წინააღმდეგ მჯდომარე აქცია გამართა და თავმჯდომარის, თემურ კვანტალიანის გადადგომა მოითხოვა.

აქეთ, „კინოს სახლთან" შემოქმედებითი ინტელიგენცია იკრიბებოდა. ვის არ ნახავდით იქ: ცნობილ მწერლებსა და რეჟისორებს, პოეტებსა და მხატვრებს, კინოსა და თეატრის მსახიობებს, მთელ საქართველოში გამორჩეულად პატივსაცემ ადამიანებს.

უნივერსიტეტთან პროფესორები და სტუდენტები აწყობდნენ აქციებს, 9 სექტემბერს მათ „სტუდენტთა ახალი დროებითი კავშირიც" დააფუძნეს, რომლის მიზანსაც, როგორც თავად აცხადებდნენ, ავტორიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა. უნივერსიტეტის ეზოში ცენტრისტული ოპოზიციის მიტინგს, რომელზეც 11 სექტემბრიდან მჯდომარე აქცია მიმდინარეობდა საგანგებო სესიის დაუყოვნებლივ მოწვევის მოთხოვნით, უზენაესი საბჭოს დეპუტატები: ელდარ შენგელაია, ნოდარ ნათაძე და სხვები შეუერთდნენ.

სესია 15 სექტემბერს მართლაც ჩატარდა, თუმცა მოლოდინი, რომ პროცესები ქუჩიდან სხდომის დარბაზში გადაინაცვლებდა, არ გამართლდა. 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული 250 დეპუტატიდან თითქმის 100, მათ შორის, კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები და განსხვავებული აზრის მქონე სხვა დეპუტატები, დანარჩენებმა „კრემლის დამქაშებად" შერაცხეს და უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზიდან გააძევეს, მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე[105] მათაც ჰქონდათ ხელი მოწერილი.

[105] 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შემდეგ, იმავე წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტია საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იმას ნიშნავდა, რომ საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, 1918-1921 წლებში არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე იქნებოდა, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიოს სახელმწიფოებმა და გაერომ საქართველოს დამოუკიდებლობა ცნეს არა, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრის, არამედ, როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამართალმემკვიდრის.

ტელეეკრანიდან იმდენად მძიმე სანახავი და მოსასმენი იყო უზენაესი საბჭოს შენობის შესასვლელებსა და გასასვლელებში ხელისუფლების მომხრეების მიერ მოწყობილ სირცხვილის კორიდორებში გავლისას განსხვავებული აზრის მქონე, ოპოზიციონერი დეპუტატების შეურაცხყოფა, წყევლა და გინება, რომ აპოლიტიკურ, ნეიტრალურ ადამიანსაც კი უარყოფითად განაწყობდა.

მეორე დღეს, 16 სექტემბერს თენგიზ კიტოვანმა, რომელიც მანამდე ამბობდა, გვარდია პოლიტიკაში არ ერევა, არც ხელისუფლების და არც ოპოზიციის მხარეს იჭერსო, თენგიზ სიგუას მიტინგზე დაცვის უზრუნველსაყოფად AK-74 ავტომატებითა და ას-ასი ვაზნით შეიარაღებული, ძირითადად, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ასამდე გვარდიელი გაიყოლა.

იმ დღეს შავნაბადას ბაზის დაცვა კიტოვანმა „თეთრარწიველებს" გვიბრძანა, რამაც ძალიან გამახარა, რადგან მიტინგზე იარაღით დგომის არანაირი სურვილი არ მქონდა.

გადამდგარი პრემიერ-მინისტრის თანმხლები კოლონა შავნაბადაზე ორ საათში დაბრუნდა. როგორც ჰყვებოდნენ, რესპუბლიკის მოედანზე გამართულ ოპოზიციის დიდ მიტინგს ორმოცი ათასამდე ადამიანი ესწრებოდა. ყველა ოპოზიციური პარტიის ლიდერები და წარმომადგენლები, რადიკალები და ცენტრისტები, პატრიოტები და რევანშისტები გვერდიგვერდ იდგნენ და ხელისუფლებისგან ითხოვდნენ: ადამიანის უფლებების დაცვას, პრესის თავისუფლებას, თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას, მიწისა და საწარმოების პრივატიზაციას და სხვ.

პირადად პრეზიდენტსაც საყვედურობდნენ. ყურში ცუდად მომხვდა, მისი პირადი უსაფრთხოებისთვის შეძენილ ორ ჯავშნიან „მერსედესს" რომ აყვედრიდნენ. მსგავსი საქციელი ოპოზიციას ღირსებას ნამდვილად არ მატებდა.

ოპოზიციის მიტინგს ხელისუფლებამ უზენაესი საბჭოს შენობის წინ, რუსთაველის გამზირზე გამართული მიტინგითვე უპასუხა. პერიმეტრი ავტობუსებით გადაკეტეს, უზენაესი საბჭოს წინ კი კარვები გაშალეს, სადაც პოლიტიკურად აქტიური ქალების რაზმი დაბანაკდა.[106]

თბილისში 2 სექტემბრიდან დაწყებულ, ნებისმიერი დემოკრატიული ქვეყნისათვის დამახასიათებელ, ხალხის დღითიდღე მზარდ საპროტესტო გამოსვლებსა და გულწრფელ აღშფოთებას ხელისუფლების წარმომადგენლები ვიწრო ჯგუფის, ერთი მუჭა ავანტიურისტების ქმედებად მიიჩნევდნენ, რომელიც მათ ვერაფერს დააკლებდა.

მიტინგს დაჭერები მოჰყვა. იმავე საღამოს მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერების, გია ჭანტურიასა და ირინა სარიშვილის დასაკავებლად თვითმფრინავი, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ, 180 მგზავრით და საწვავით სავსე ავზებით აფრენიდან მალევე დასვეს. ირინა სარიშვილი რამდენიმე საათი ჰყავდათ მილიციის სამმართველოში და გამოუშვეს, გია ჭანტურია კი წინასწარი დაკავების საკანში გადაიყვანეს.

პოლიტიკური ლიდერის ასეთი ფორმით დაკავებას მეორე დღესვე, 17 სექტემბერს რუსთაველის პროსპექტზე და ტელევიზიასთან საპროტესტო აქციები მოჰყვა.

ხელისუფლების ხისტმა ნაბიჯებმა ყველა დაარწმუნა, რომ იგი დათმობას არ აპირებდა.

---

[106] უზენაესი საბჭოს კიბესთან გაშლილი იყო კარვები, სადაც მუდმივად იყვნენ პრეზიდენტ გამსახურდიას მხარდამჭერი ქალები, რომლებიც განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდნენ. ხალხმა მათ „კარვის ქალები" შეარქვა.



ბარიკადები ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიტინგზე. რუსთაველის გამზირი

ჯერ „მთავრობის სახლის“ წინ, უწყვეტი მიტინგის პირობებში, გია ჭანტურიასა და პოლიტიკური ნიშნით დაკავებულ სხვა პირთა გათავისუფლების მოთხოვნით რუსთაველზე შეკრებილი მომიტინგეები ხელისუფლების ბრძანებით იმავე საღამოს ძალის გამოყენებით დაშალეს, საქართველოს ტელევიზიის პიკეტირებისათვის ღამის 10 საათზე იქიდან წამოსული კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა, 9 აპრილის სისხლიანი ღამის დოკუმენტური ვიდეოკადრების ავტორი, დააპატიმრეს. დედაქალაქის ცენტრალურ პროსპექტზე მოძრაობის ხანგრძლივად გადაკეტვამ ხელისუფლებას მოთმინების ფიალა აუვსო. შეღამებისთანავე ეროვნულ-დემოკრატიული და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიების ოფისების წინ მსხდომი მომიტინგეებისგანაც გაწმინდეს ტერიტორია და ბარიკადებიც აიღეს.

ისედაც დაძაბულ გარემოში, ათასობით მხარდამჭერით გაძლიერებული საბჭოთა შინაგანი ჯარისა და მილიციის მხრიდან ორასამდე მომიტინგის ცემა-ტყეპა და ხელისუფლების მომხრეების გამარჯვების ზეიმი ოპოზიციისადმი ქვეყნის მესვეურთა დამოკიდებულებას ნათლად გამოხატავდა. თავის მხრივ, ნაცემი ოპოზიციონერების ერთიმეორის მიყოლებით სასწრაფო დახმარების მანქანებით საავადმყოფოებში გადაყვანის ჩვენება ოპოზიციური ტელევიზიით თბილისში უკმაყოფილების მუხტს კიდევ უფრო ზრდიდა.

მეორე მხრივ, ოპოზიციის ლიდერების მოთხოვნა ახალარჩეული პრეზიდენტის უპირობო გადადგომის შესახებ საზოგადოების ნაწილში გაუგებრობას იწვევდა. ამასთან, ისეთი უსაფუძვლო ბრალდებები, როგორიც იყო ორი დაჯავშნილი „მერსედესის“ შეძენა, პრეზიდენტის მომხრეებს კიდევ უფრო აღიზიანებდა და დაპირისპირებას ახალ სიმწვავეს მატებდა.

ოპოზიციის ბარიკადები აიღეს, გადაკეტილი გზა გაიხსნა. წესრიგის საბოლოოდ აღდგენა თბილისის მოსახლეობას გაუხარდებოდა კიდეც, მაგრამ ხელისუფლება საკუთარი ბარიკადების მოხსნას არ აპირებდა. ავტობუსებით ჩახერგილი რუსთაველის პროსპექტი, უზენაესი საბჭოს წინ გაშლილი პრეზიდენტის მომხრეთა კარვები, პერიმეტრის გარეთ კი მისი თანამოაზრე ყოფილი გვარდიელების, შეიარაღებული პირების გამოჩენა დაპირისპირების განმუხტვას ნამდვილად არ უწყობდა ხელს.

ხელისუფლების მომხრეების აზრით, ყველა პოლიტიკური ლიდერი, რომელიც მათ წინააღმდეგ აქციას მართავდა, დამნაშავე და დასაჭერი იყო, ხოლო განსხვავებული აზრის მქონე საზოგადოების ღირსეული ნაწილი, რომელიც კომუნისტების დროსაც ქართულ საქმეს აკეთებდა და რომლის შემოქმედებაზეც ჩვენი თაობა იზრდებოდა – „წითელი ინტელიგენცია“, „მეხუთე კოლონა“, „მტერი“, „სუკ-ის აგენტი“, „კრემლის ემისარი“, „მოღალატე“ და ასე შემდეგ.

უზენაესი საბჭოს წინ ხელისუფლების მხარდამჭერ მიტინგებზე ისეთი ღვარძლი იფრქვეოდა, რომ ამის ტელევიზორში მოსმენაც კი ძალიან მძიმე იყო. ანთებული სანთლებით სრულ სიჩუმეში გარინდულები, 11 წლის მოსწავლის მიერ ნაკითხულ დაახლოებით ამ შინაარსის ლექსს: „ოცდაათი ვერცხლი, ოცდაათი ნეხვი, ოცდაათი ნაძირალა შარაგზაზე გდია... საქართველოს მოღალატეს... საქართველოს მოღალატეს ოცდაათი ტყვია!“ – ხანგრძლივი ტაშით იწონებდნენ.

იმავე დღეს შავნაბადაზე ინციდენტი მოხდა. საღამოს მორიგე, რომელიც იარაღის ოთახს იცავდა, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნ „მუხას“ თვალიერებაში გაერთო: ჯერ სამიზნე გახსნა, შემდეგ თითი სასხლეტთან მიიტანა და, არავინ იცის – განგებ თუ შემთხვევით, გაისროლა. სწორედ იმ დროს „არწიველთა“ სამეთაურო რგოლი, თითქმის სრული შემადგენლობით, გვერდით, შტაბის ოთახში ვიყავით შეკრებილი. მოულოდნელად ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარამ კარი შემოანგრია და პირდაპირ ოთახში აფეთქდა, დარტყმის ტალღამ იქ მყოფნი კედლებს მიგვანარცხა. ცეცხლსა და კვამლში არაფერი ჩანდა – ვინ დაიღუპა და ვინ გადარჩა, ვის რა მოუვიდა... ერთადერთი, პირველ წამებშივე მივხვდი, რომ თემურ ელიასაშვილი სერიოზულად დაიჭრა.

ოთახში ყველაფერს ცეცხლი ეკიდა: ხის კედლებსა და იატაკს, ავეჯს, ფარდებს... ცეცხლში იყო გახვეული სათავსო, სადაც 19 აგვისტოს რკონში წასვლის წინ „გეკაჩეპეს“ წინააღმდეგ საბრძოლველად მომარაგებული ჭურვებისა და ტყვიაწამლის ათობით ყუთი ინახებოდა. ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა აფეთქება მომხდარიყო, რომელიც ყველა ჩვენგანის, 15 კაცის სიცოცხლეს შეიწირავდა.

ცეცხლმოკიდებული ოთახის კარიდან გასვლა შეუძლებელი გახდა. სხვა გზა არ იყო, აივნიდან იმავე სართულის მეზობელ აივანზე უნდა გადავსულიყავით. დაჭრილის გადაყვანას ოთხი კაცი დასჭირდა. ეს იყო ის იშვიათი შემთხვევა, როცა წინ მყოფი ადგილს უკანას უთმობდა, რათა სამშვიდობოს ჯერ მეგობარი და თანამებრძოლი გასულიყო. ბოლომაც მოასწრო მეზობელ აივანზე გადასვლა და დაიწყო კიდეც აფეთქებების სერია, რომელიც თითქმის ერთ საათს გაგრძელდა.

თემური სასწრაფოდ ქალაქის საავადმყოფოში უნდა გადაგვეყვანა. უფრო გულშემატკივრობისთვის, ვიდრე დაცვის მიზნით, ოცამდე „არწიველი“ თან წავიყოლეთ. უკან დაბრუნებისას გზად შავნაბადას ასახვევთან მილიციის ქვედანაყოფი დაგვხვდა. მოკლე ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულები. აშკარად ეტყობოდათ, რომ ღელავდნენ, ჩვენს გატარებას არ ჩქარობდნენ, არადა შავნაბადადან მომავალ ფორმიან გვარდიელთა მანქანებს არც აჩერებდნენ. მაშინვე მიგრძნო გულმა,

რომ რაღაც ხდებოდა. ბიჭებს დავუძახე, მანქანებიდან გადმოსულიყვნენ. მანქანები დავტოვეთ და რესტორან „მარაბდის“ უკან, გორაკს შევაფარეთ თავი. მეორე დღეს გაირკვა, რომ იქ, პიკეტზე ჩემი, როგორც კიტოვანის ერთ-ერთი გამორჩეული სამხედრო ქვედანაყოფის მეთაურის, ლიკვიდაცია იგეგმებოდა.

იმ დღიდან ნათელი გახდა, რომ ჩემთვის და, ზოგადად, „თეთრარწივლებისთვის“ ბაზიდან გასვლა უსაფრთხო აღარ იყო.

უეცრად, არსაიდან და არაფრის გამო, ისე ვიქეციით მტრობისა და შურისძიების სამიზნედ, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ ერთი ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს. არც პრეზიდენტის გადადგომისკენ მოწოდება იყო ჩვენი მიზანი, ჩვენ მხოლოდ გვარდიის სტატუსის აღდგენა და მის სათავეში სარდლის დაბრუნება გვინდოდა.

არსებული რეალობა და ჩვენდამი ხელისუფლების დამოკიდებულება გვარდიაში სამსახურის გასაგრძელებლად მხოლოდ ერთ გზას გვიტოვებდა – კიტოვანისა და ოპოზიციის გულშემატკივრობას.

ხელისუფლებისა და მათი მხარდამჭერების მიერ დაუფიქრებლად თუ წინასწარი განზრახვით გაკეთებული რადიკალური განცხადებებით გვარდიის განდგომილ სარდალს პოლიტიკურ ნიადაგს თვითონვე უმყარებდნენ და სუსტი ოპოზიციის მცირერიცხოვან ჯგუფებს თვითონვე აძლიერებდნენ, გვარდიელებს პოლიტიკოსებთან აახლოებდნენ და მათ თანამოაზრედ, მოკავშირედ ხდიდნენ.

დაპირისპირებული მხარეები ვერც 21 სექტემბერს დატრიალებულმა ტრაგედიამ მოიყვანა გონს. ყველასათვის ცხადი იყო, რომ დაძაბულობა კულმინაციას უახლოვდებოდა და შესაძლოა, მალე სისხლი დაღვრილიყო. ბევრისთვის უცნობმა ახალგაზრდა ექიმმა გია აბესაძემ დღისით-მზისით, ასობით ადამიანის თვალწინ, სახალხოდ დაიწვა თავი. მისი ეს თავგანწირული პროტესტი გაფრთხილება იყო. ხედავდა, საითაც მიექანებოდა საზოგადოება და ქვეყანა, გრძნობდა, რომ უკვე იმ ზღვარზე ვიყავით, რომლის შემდეგაც გარდაუვალი კატასტროფა, უფსკრული გველოდა, თუმცა ეგზალტირებულ მასებში პოლიტიკური დუღილის ტემპერატურა ისე იყო აწეული, რომ ადამიანის თავგანწირვამ, თითქოს არაფერი მომხდარაო, ვერც ხელისუფლებას დაუბრუნა საღი აზრი და ვერც ოპოზიციას.

ეროვნული გვარდიის განდგომილმა სარდალმა, სწორედ წინა დღეებში ქალაქის ცენტრში დატრიალებული სიგიჟისა და მწვავე დაპირისპირების ფონზე, გვარდიის ფუნქცია იოლად გამონახა – საკუთარი თავი სტაბილურობისა და მშვიდობის ერთადერთ გარანტად გამოაცხადა და, ხალხის სამსახურში ჩადგომის ვალდებულებით, 22 სექტემბერს შავნაბადადან იქ განლაგებული ქვედანაყოფის ტელევიზიასთან ჩასვლის ბრძანება გასცა.

რომ არა ხელისუფლებისა და მის მომხრეთა მზარდი აგრესიული რიტორიკა და მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევის საფრთხე, იარაღიანი ხალხის თბილისში შემოყვანას ვერავინ დაუშვებდა, თუმცა თავდასხმის მომლოდინე მომიტინგეები სამოქალაქო ტრანსპორტით შემოსულ კიტოვანის მომხრე გაუქმებული გვარდიის ავტოკოლონას, როგორც დემოკრატიის დამცველსა და ხალხის ქომაგს, ტაშით შეხვდნენ. ამ დანაყოფს მძიმე შეიარაღებაში ერთადერთი ზარბაზანი ჰქონდა, რომელიც სეტყვის ღრუბლების გასაფანტად იყო გამიზნული.

გვარდიის მისვლისთანავე ლენინის ქუჩა (ახლანდელი კოსტავას გამზირი) წინააღმდეგობის მთავარ ეპიცენტრად და ეროვნული გვარდიის პლაცდარმად იქცა. გვარდიის ხელმძღვანელობა – საპროტესტო ტალღის სათავეში, პოლიტიკური ლიდერები კი მათი გავლენის ქვეშ მოექცნენ.

ტელევიზიის პირველ სართულზე დროებითი სამედიცინო პუნქტი მოეწყო, მეორე თუ მესამე სართულზე კიტოვანის შტაბი განთავსდა, სადაც უამრავი ნაცნობი და უცნობი სამოქალაქო პირი, საზოგადო თუ პოლიტიკური მოღვაწე ტრიალებდა.

იმ დღეს პირველად აღმოვჩნდი მიტინგზე. როგორც ყოველთვის, სამოქალაქო პირების თავშეყრის ადგილს ამჯერადაც გავერიდე და „თეთრარწივილებთან" ერთად გვერდით, საბურთალოს პრეფექტურის შენობის ერთ-ერთ სართულზე ოთახებს შევაფარე თავი.

რკონისა და შავნაბადას ტყეებში ორთვიანი იზოლაციის შემდეგ თბილისში დაბრუნებულმა გვარდიელებმა, როგორც იქნა, გაიხარეს და გაილაღეს. ხელმძღვანელობის პოლიტიკური მიზნები აღარავის ახსოვდა. უამრავ ხალხში ნაცნობებს პოულობდნენ, ზოგი სახლში რეკავდა და ოჯახის წევრებთან შესახვედრად ემზადებოდა, თუმცა მათი სიხარული ხანმოკლე გამოდგა – ხალხში გავლა და ახლობლებთან საუბარიც კი ვერ მოასწრეს. ხელისუფლების მხარდამჭერი მომიტინგეები ვარაზისხევიდან ტელევიზიას მოადგნენ. პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრე ქალბატონებმა ტელევიზიის წინ აქციაზე შეკრებილებს წყევლა-კრულვა დააყარეს, პრეზიდენტის მოწინააღმდეგე მამაკაცებმა კი ლანძღვა-გინებით უპასუხეს და მათკენ გაიწიეს. ქართველების მსგავსი ურთიერთსიძულვილი არასდროს მენახა. ეს ჯველაფერი შავნაბადადან მაინც ნაკლებად ჩანდა.

გასაშველებლად შუამი ისევ „სახალხო ფრონტის" ლიდერი, უაღრესად წესიერი და ავტორიტეტული ადამიანი, ნოდარ ნათაძე ჩადგა და ორივე მხარის დაშოშმინებას ცდილობდა. ის ყველასგან გამოირჩეოდა ობიექტურობით, გულწრფელობით და თავშეკავებით.

თენგიზ სიგუა მიტინგზე ტელევიზიასთან



დაპირისპირებულთა ერთმანეთისგან დაშორება, როგორც იქნა, მოხერხდა. თუმცა მოსალოდნელ თავდასხმაზე გავრცელებული ჭორის გამო იმ ღამით ტელევიზიასთან უამრავი ადამიანი დარჩა. სასულიერო პირები ანთებული სანთლებით ხელში მთელი ღამე ლოცვებს კითხულობდნენ.

ხელისუფლების მომხრეთა რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, 24 სექტემბერს პრეზიდენტის მიერ საგანგებო წესების შემოღებამ და მის დასაცავად რეგიონებიდან ათასობით მხარდამჭერის თბილისში ჩამოყვანამ, რომლებიც დღისით მიტინგზე გამოსვლებითა და შეძახილებით ზვიად გამსახურდიას ერთგულებას ეფიცებოდნენ, ღამით კი იქვე, ქუჩაში ეძინათ, თბილისელების ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია.

ისე გამოვიდა, რომ ოპოზიცია ხელისუფლებას უწყობდა მიტინგს, ხელისუფლება კი – ოპოზიციას.

ტელევიზიასთან პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა გარდა ინტელიგენციის დიდი ნაწილიც იდგა, აგრეთვე, სტუდენტობა, ტელევიზიის თანამშრომლები, ჟურნალისტები.

ოპოზიციას ხელისუფლების მიმართ პრეტენზიების გრძელი სია ჰქონდა: არადემოკრატიული კურსის გატარება, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, გაუმართლებელი საკადრო პოლიტიკა, ოპოზიციური პარტიების შევიწროება და მათი ლიდერების დევნა-დაპატიმრება, პოლიტიკური იზოლაცია და, რაც მთავარია, საეჭვო საგარეო პოლიტიკა. დაპირისპირების ძირითადი თემა იყო: „ჯერ დემოკრატია თუ ჯერ თავისუფლება?"

ამას „ავანტიურისტთა მცირე ჯგუფის" თავყრილობას უკვე ვეღარ დაარქმევდნენ, ცხადად გამოიკვეთა, რომ შეურაცხყოფილი ხალხი გამოხატავდა პროტესტს ყველაფერი ნეგატიურის წინააღმდეგ, რაც ნანატრ დამოუკიდებლობას მოჰყვა: სიძულვილის ენა, ოპონენტებისა თუ, უბრალოდ, განსხვავებულად მოაზროვნეთა დაუმსახურებელი ლანძღვა-გინება, ზომიერის თუ რადიკალის, ფრთხილი ოპონენტის თუ თავზეხელაღებული რევანშისტის – განურჩევლად ყველას მტრად გამოცხადება.

ყველაფერი ორად იყო გაყოფილი, ყველა ერთმანეთს უპირისპირდებოდა: ორი გვარდია და მისი ორი ხელმძღვანელობა; ორი ტელევიზია: ერთი – სახელმწიფო, ხოლო მეორე – არალეგალურად ამუშავებული, ორივე ცალმხრივად, სუბიექტურად გადმოსცემდა ინფორმაციას; და რაც მთავარია, ორ ნაწილად გაყოფილი და ერთმანეთთან დაპირისპირებული დედაქალაქი და რეგიონები. პოლიტიკური გარემო ისეთი სიძულვილით იყო გაჯერებული, რომ თავისთავად ჩნდებოდა კითხვა: საით მიექანება ქვეყანა?

სამოქალაქო პირებისა და შეიარაღებული სამხედროების ერთად ყოფნით გვარდიაში წესრიგი ირღვეოდა, დისციპლინა მოიშალა, მართვა შესუსტდა, იარაღის კონტროლი და უსაფრთხოების წესების დაცვა გართულდა. გვარდია სამხედრო ორგანიზაციის ნიშნებს კარგავდა.

ორივე მხარეს მდგომი პოლიტიკოსებისა და ცნობილი ადამიანების მიმართ საზოგადოების განწყობა და დამოკიდებულება უკიდურესად დაძაბულ პირობებში ყალიბდებოდა.

30 სექტემბერს, როგორც იქნა, ხელისუფლების მიერ გამოგზავნილმა დეპუტატებმა ტელევიზიის შენობაში მოლაპარაკების გამართვა ითხოვეს. რადგან შეხვედრა გაფართოებულ ფორმატში მიმდინარეობდა, ოდნავ შეღებულ კართან გავჩერდი

და საუბარს ყური მივუგდე. ჯერ მოსულებმა წაუყენეს ოპოზიციას პრეტენზიები. მათი მოთხოვნა, შეეწყვიტათ წინააღმდეგობა და მშვიდობიანად დაშლილიყვნენ, კიტოვანმა და სიგუამ უარყვეს: პრეზიდენტის სიტყვის არ გვჯერაო! შემდეგ, პირიქით, თავად წაუყენეს ბრალდება, რომ ხელისუფლება სისხლისღვრისკენ მიაქანებდა ქვეყანას, რის თავიდან აცილების გარანტიც გვარდია უნდა ყოფილიყო. პრეზიდენტის ემისრებმა თავი შორს დაიჭირეს: ოპოზიციის ლიდერების სიტყვას არ ვენდობითო!

მოლაპარაკება, როგორც მოსალოდნელი იყო, უშედეგოდ დასრულდა. მათი დელეგაციიდან ვალტერ შურღაიამ მიიპყრო ჩემი ყურადღება. საუბრისას რბილი და, ამავდროულად, პრინციპული, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების კონფრონტაციული ნაბიჯების გამართლებას ცდილობდა, ამავე დროს, დაპირისპირების განმუხტვის გულწრფელ სურვილსაც ამჟღავნებდა. შეუძლებელი იყო, მის მიმართ პატივისცემით არ გამსჭვალულიყავი, თუმცა პრეზიდენტის კატეგორიულ დანაბარებს, რომ ოპოზიციას დაუყოვნებლივ შეეწყვიტა წინააღმდეგობა, ხოლო გვარდიას იარაღი ჩაებარებინა, მოლაპარაკება იმთავითვე ჩიხში შეჰყავდა.

არავინ იფიქროს, რომ ოპოზიციის ლიდერების სიხისტეს და რადიკალიზმს ვემხრობოდი. მიუხედავად იმისა, რომ როგორც სამხედრო პირი, პირველივე დღიდან ყველანაირად ვცდილობდი პოლიტიკაში არ ჩავრეულიყავი, თენგიზ კიტოვანის ამაგი და მისდამი პიროვნული პატივისცემა მავალდებულებდა, მის გვერდით ვყოფილიყავი, ამიტომ პირდაპირ დაპირისპირების ეპიცენტრში აღმოვჩნდი.

სექტემბრის ბოლოს, ყველასთვის მოულოდნელად, პრეზიდენტის მხარდამჭერთა პოლიტიკური ბანაკი „მრგვალი მაგიდა“ ყველაზე გავლენიანმა და ძლიერმა ძალამ, „მერაბ კოსტავას საზოგადოებამ“ დატოვა და მერაბ კოსტავას სახლის ეზოში დაბანაკდა. პარტიის თავმჯდომარე ვაჟა ადამია თავადაც იმ ეზოში ცხოვრობდა.

იმავე საღამოს მომიტინგეებზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ კიდევ ერთი ახალი ჭორი გავრცელდა. განგაში გამოცხადდა და განდგომილი გვარდიელები კოსტავას გამზირზე, თერთმეტსართულიანი სახლიდან ზოოპარკამდე საბრძოლო პოზიციაზე განლაგდნენ. როგორც წესი, აგრესიულ განცხადებებსა და მუქარას, ხანგრძლივად პირისპირ დგომას, იარაღის ჟღარუნსა და ხშირ-ხშირად მიზანში ამოღებას ყოველთვის გასროლა მოსდევს.

დაბინდებისთანავე ქვედა ვერის მხარეს შეიარაღებული პირების გადარბენამ და საიდანღაც ნასროლმა ავტომატის ჯერმა დიდი მღელვარება გამოიწვია. სავარაუდოდ, სწორედ ამას მოჰყვა, უფრო შემთხვევით, ვიდრე გამიზნულად, ტელევიზიის წინ მდგარი, ღრუბლების გასაფანტი ძველისძველი ზარბაზნის „სასხლეტზე გამოკვრა“. ზარბაზნის გრუხუნმა და ჰაერში დატრიალებულმა დენთის სუნმა ორივე მხარე უცებ გამოაფხიზლა და თვალნათლივ დაანახვა, თუ რა განსაცდელს უმზადებდა დედაქალაქს მათი სიჯიუტე და ერთმანეთის მიუღებლობა.

სასულიერო პირების ჩარევითა და საზოგადოების მოთხოვნით, დაპირისპირებული მხარეები ისევ მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ. ხალხის განწყობით და სარდლის ნდობით ვისარგებლე და იქაურობის დროულად დატოვების აუცილებლობაში მის დარწმუნებაში მოკრძალებული წვლილი მეც შევიტანე. გასასვლელად თბილისის ზღვაზე მე-4 სპეცდანიშნულების ბატალიონის ახალი ბაზა შევთავაზე, მეგონა, ამით დაპირისპირების ეპიცენტრსა და პოლიტიკურად აქტიურ სამოქალაქო პირებს მოვარიდებდი.

2 ოქტომბერს, საღამოს 7 საათისთვის მოლაპარაკება შეთანხმებით დასრულდა.

მეორე დღეს გვარდიელებთან გამოსამშვიდობებლად უამრავი მადლიერი ადამიანი მოვიდა. კიტოვანთან დაახლოებული სამოქალაქო პირების ნაწილი თბილისის ზღვის ბაზაზე თან მოგვყვებოდა. „მერაბ კოსტავას საზოგადოების“ არაფორმალური გასამხედროებული რაზმის წევრებმა სამაჩაბლოსკენ აიღეს გეზი. მათი შემშურდა, თუმცა რას ვიზამდი?! მთავარი იყო, რომ დაპირისპირების ეპიცენტრს ვშორდებოდით. კიდევ ერთხელ, უკვე მერამდენედ, მეგონა, რომ ამით ვნებები მცირედ მაინც ჩაცხრებოდა, მაგრამ შევცდი.

დაპირისპირებულ მხარეებს შორის მიღწეულ შეთანხმებას წინ უსწრებდა იარაღის ჩაბარების პუნქტის გახსნა პრეზიდენტის მოთხოვნის საფუძველზე. ერთერთ ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, სპორტის სასახლის ბილეთების სალაროსთან დიდი აბრა გამოაკრეს – „იარაღის ჩაბარების პუნქტი“, თითქოს ჯართს იბარებდნენ. პიარისთვის ტელეეთერით გასული სარეკლამო რგოლი, როგორ მიდის ორი თავჩაქინდრული ფორმიანი და იარაღს აბარებს, ძალიან არადამაჯერებლად გამოიყურებოდა.

თენგიზ კიტოვანის საპასუხო განცხადებიდან, გარანტია და ნდობა რომ გვქონდეს, გვარდია იარაღს ჩააბარებდაო, 24 საათიც არ იყო გასული, რომ მისი ეჭვი გამართლდა.

3 ოქტომბერს, საღამო ხანს ჯერ კიდევ გზაში ვიყავით, როცა უზენაესი საბჭოს წინ სახელისუფლებო მიტინგზე გვარდიელების „კუდამოძუებულ გაქცევას“ ზეიმობდნენ. უფრო მეტიც, პრეზიდენტმა და მისმა ხელისუფლებამ ამბოხებულთა თბილისის ზღვაზე გასვლა „პუტჩზე გამარჯვებად“ შეაფასა და იმედი გამოთქვა, ქართველი ხალხი „პუტჩისტების საბოლოო ლიკვიდაციას“ მოახდენსო.

იმ ღამეს უშიშროების საბჭოს სხდომა ჩატარდა. დამსწრეთა ერთი ნაწილი თბილისის ზღვაზე დაბანაკებულთა ფიზიკურ ანგარიმსწორებას მოითხოვდა, მეორე – ლოკალიზაციას. მიღწეული შეთანხმების შემდეგ 12 საათიც არ იყო გასული, რომ თბილისის ზღვაზე „კუდამოძუებულ გაქცეულებს“ პრეზიდენტის გვარდია და შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმები დააწიეს.

4 ოქტომბრის დილა თენდებოდა. თბილისის ზღვის გარშემო სიჩუმე და სიწყნარე სუფევდა. მოულოდნელად პრეზიდენტის მომხრე ფორმირებებმა ბაზას თემქისა და სანზონის ამოსასვლელებიდან ალყა შემოარტყეს და ბლოკადაში მოაქციეს. ბაზის უშუალო სიახლოვეს, სასროლ მანძილზე სამხედროების გამოჩენა ნახევრად მძინარე გუშაგებმა თავდასხმად აღიქვეს. ვინ გაისროლა პირველმა, ამას მნიშვნელობა აღარ აქვს...

დაახლოებით ორსაათიანი სროლის შემდეგ მხარეები გაიყარნენ. ორივე მხრიდან სამი გარდაცვლილი და კიდევ რამდენიმე დაჭრილი – ასეთი იყო უაზრო და უმიზნო სროლის შედეგი. დამხვდურები ბაზას დაუბრუნდნენ და შიგნით ჩაიკეტნენ, თავდამსხმელებმა კი უკან დაიხიეს, მე-8 საავადმყოფოსთან განლაგდნენ და საგუშაგოები მოაწყვეს. სახელმწიფო ტელევიზიამ მომხდარი ზღვაზე დაბანაკებულებს გადააბრალა.

თავდასხმის ამბავმა მთელი ქალაქი შეძრა. ადამიანთა ერთმა ჯგუფმა ნოდარ ნათაძის თაოსნობით თბილისის ზღვას მოაშურა, სანზონის ამოსასვლელში დაპირისპირებულ მხარეთა შორის ჩადგა, სროლის გაგრძელების საშუალება არ მისცა და მიტინგი გამართა. მოლაპარაკების დარღვევისა და ზღვაზე მუხანათური

თავდასხმების გამო რუსთაველის გამზირზე უამრავი ხალხი გამოვიდა. სასტუმრო „თბილისთან“ მათ გზა მილიციის კორდონმა გადაუღობა. პრეზიდენტის მომხრეები „იუდა, იუდას“ სკანდირებდნენ. იმისათვის, რომ დაძაბულობა შეხლა-შემოხლაში არ გადაზრდილიყო, შუაში ავტობუსები ჩააყენეს. ერთმანეთის მეზობლად ორი აქცია მიმდინარეობდა: ხელისუფლების მხარდამჭერებისა – კორდონს იქით, უზენაესი საბჭოს წინ, მოწინააღმდეგეებისა – კორდონს აქეთ. ერთ მიტინგზე გამომსვლელთა ხმა მეორეზეც ესმოდათ. მომხდარს ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს აბრალებდა.

საღამოსთვის რუსთაველზე ვნებათაღელვამ პიკს მიაღწია.

ცენტრალური ტელევიზიით მხოლოდ ხელისუფლების პოზიცია შუქდებოდა. კორდონს აქედან ოპოზიციური ჯგუფის იქითა აქციასთან მიახლოებას ხელისუფლებაზე მიტანილ იერიშად აფასებდნენ და ოპოზიციის მიტინგის დარბევას გარდაუვალი აუცილებლობით ხსნიდნენ.

მას შემდეგ, რაც გამოჩნდა, რომ მხარდამჭერთა რაოდენობითა და მილიციის სპეცრაზმის წყალობით უპირატესობა ხელისუფლებას ჰქონდა, ოპოზიციის აქციის დარბევა დაიწყო. ორივე მხარე ჯოხებითა და ქვებით იყო შეიარაღებული, თუმცა ბოლოს, როდესაც წყლის ჭავლი მიუშვეს, ხელისუფლების მოწინააღმდეგეები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. ღამის პირველი საათისთვის სრულად ჩაბნელებული რუსთაველის გამზირი ოპოზიციონერებისგან გაწმენდილი იყო. მომიტინგეებმა შენობებს და ვიწრო ქუჩებს შეაფარეს თავი. სპეცრაზმელები და ხელისუფლების მომხრეები გამარჯვებულები ბრუნდებოდნენ უკან.

ოპოზიციის წარმომადგენლებმა დაინახეს თუ არა, რომ ხელისუფლების მომხრეები უზენაესი საბჭოს მიმდებარე ტერიტორიას დაუბრუნდნენ, თვითონაც დაიწყეს უკან დაბრუნება და ღამის 4 საათისთვის სტატუს კვო აღდგა. ამის შემდეგ ხელისუფლებამ ჯავშანტრანსპორტიორი და სახანძრო მანქანები დაიხმარა და სპეცრაზმელები უფრო მეტი სისასტიკით შეუდგნენ რუსთაველის გაწმენდას. სროლის ხმაც ისმოდა.

თბილისის ზღვაზე გამაგრებული კიტოვანის თანამოაზრეებიდან იმ დღეს ქალაქში არავინ ჩასულა, ორივე მხარის ლიდერებმა მომხდარზე მკაცრი განცხადებები გააკეთეს. თენგიზ სიგუამ პირობა დადო, რომ მუხანათური ქმედების გამო ხელისუფლებას სამაგიეროს გადაუხდიდა და პრეზიდენტის გადადგომას მიაღწევდა. ხელისუფლებამ უკანასკნელ მოვლენებს გადატრიალების მცდელობა უწოდა.

■

პოლიტიკური პოლარიზაცია ღრმავდებოდა. საზოგადოების სხვადასხვა ფენის გახლეჩა-დანანევრება, განსხვავებულად მოაზროვნეთა შეურიგებლობა, მოსახლეობის პოლიტიზება, გვარდიის ორად დაყოფა გარდაუვალ კრიზისს მოასწავებდა.

ოქტომბრის დასაწყისიდან დაპირისპირებული მხარეები ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე გადავიდნენ. უზენაესი საბჭოს წინ ხელისუფლების მომხრეები თბილისის ზღვასთან დაბანაკებულებთან თუნდაც რაიმე ფორმით დაკავშირებულ, ოპოზიციურად განწყობილ ადამიანს, საზოგადოების წარმომადგენელს ან ჟურნალისტს თუ გადაეყრებოდნენ, ჯერ საუბარში აიყოლიებდნენ, შემდეგ ლანძღვას დაუწყებდნენ, უცებ ხალხის მასა გაიყოფოდა, ხელს სტაცებდნენ და ცემა-ტყეპით უზენაესი საბჭოს

შენობაში მიჰყავდათ, რაშიც მათი მხარდამჭერი გვარდიელებიც ეხმარებოდნენ. ეს ისე სწრაფად ხდებოდა, რომ ეგზეკუციაში მოხვედრილები წინააღმდეგობის გაწევასაც ვერ ახერხებდნენ.

რუსთაველზე გასული ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები ერთმანეთის მიყოლებით ქრებოდნენ. ერთ-ერთი მსხვერპლი ჟურნალისტი მამუკა არეშიძე იყო. აი, რას იხსენებს იგი: „4 ოქტომბერს, საღამოს 8 საათი იქნებოდა, როდესაც ჩემი კამერით რუსთაველზე უზენაესი საბჭოს წინ დაპირისპირებულ მხარეებს შორის აღმოვჩნდი. უცებ ხალხის მასა გაიყო, ვიღაცამ ხელი მტაცა და მთავრობის მხარდამჭერებისკენ გადამათრია. იქ ისეთი ამბავი ატყდა, რომ გახსენებაც კი მიმძიმს... მირტყამდა ყველა, ვისაც არ ეზარებოდა: ქალი, კაცი, ფორმიანი, უფორმო – თან პარლამენტის შენობისკენ მიმათრევდნენ. ეს „მიმათრევდნენ“ იმდენ ხანს გაგრძელდა, ვიდრე ჩემი ცემით ყველამ გული არ იჯერა. როდესაც პარლამენტის კიბეებზე ავედით, კიბეებზე მთავრობის ერთ-ერთი მინისტრი, ჩემი უახლოესი მეგობრის ძმა შევნიშნე. რომ დავინახე, ამის თქმა მოვახერხე: თუ შეგიძლია, მიშველე-მეთქი. პასუხი იყო საოცარი: აბა, მე რა შემიძლიაო! მოკლედ, შეგვიყვანეს პარლამენტის ერთ-ერთ ოთახში. ოთხნი ვიყავით. ერთი, მახსოვს, მიშა ბუკია იყო, ისიც რეჟისორი, ჩემსავით ყველა მაგარი ნაცემი. იქ ხელი აღარ დაუკარებიათ. მთავრობის მხარდამჭერი გვარდიის ერთ-ერთი ბატალიონის მეთაური ჩვენს დახვრეტას მოითხოვდა. ოთახში შემოვიდნენ პარლამენტის ორი თუ სამი წევრი და პრეზიდენტის მხარდამჭერი რომელიღაც ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენელი, როგორც გაირკვა, ჩვენი დაკითხვა ჰქონდათ გადაწყვეტილი. ოთახში ისეთი ყაყანი იდგა, ვერაფერს გაიგებდი.

უცბად სიჩუმე ჩამოვარდა, გავიხედე და, ოთახის კარში ზვიად გამსახურდია დგას. საოცარი სანახავი იყო: ჩვეულებრივი, პრეზიდენტისთვის შესაფერი ტანსაცმელი ემოსა, ფეხზე კი რატომღაც რბილი, ჩუსტებივით რაღაც ეცვა. აბსოლუტურად ფერდაკარგული იყო, შენელებულად მოძრაობდა. შესაძლოა, მომეჩვენა, მაგრამ ჩემზე პროსტრაციაში მყოფი ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. ახლა მინდა ვიფიქრო, რომ ის, რაც ხდებოდა, მისთვის უდიდესი ტრაგედია იყო, საიდანაც გამოსავალს ვერ პოულობდა. ერთმანეთს შევხედეთ. არ ვიცი, ხმამაღლა ვთქვი თუ ჩემთვის ჩავილაპარაკე: ხედავთ, ბატონო ზვიად, რა ხდება-მეთქი. შემომხედა, თვალი გამისწორა, შეტრიალდა და გავიდა. მაშინ ვიფიქრე, რომ არად ჩამაგდო, მაგრამ მერე მივხვდი, რომ მისთვის ეს ბაკქანალია მიუღებელი იყო და დისტანცირებას ცდილობდა.

პრეზიდენტი ახალი გასული იყო და ოთახში შს მინისტრი დილარ ხაბულიანი შემოვარდა. ჩემი ყოფილი კოლეგებისგან გაეგო ჩემი მოტაცების ამბავი, თან გარეთაც დიდი ამბავი ყოფილა ატეხილი. მოკლედ, დილარმა თავისი გაიტანა, ზოგს ეჩხუბა, ზოგს დაუყვავა და გარეთ, სამშვიდობოს გამოგვიყვანა“.

■

თავის მხრივ, თბილისის ზღვასთან დაბანაკებულებს შინაგანი ჯარის მაღალჩინოსანი, პოლკოვნიკი გუჯარ ყურაშვილი ჩაუვარდათ ხელში – თავდასხმის ოპერაციის ერთ-ერთი ორგანიზატორი. შეურაცხყოფა არც მისთვის დაუკლიათ. რამდენიმე დღე ოთახში გამოკეტეს, დაკითხვებზეც ატარეს და ბოლოს გაუშვეს. წარმოიდგინეთ, საბჭოთა არმიაში ორ ათწლეულზე მეტ ხანს ნამსახურები ოფიცერი, რომელმაც ეროვნული გვარდიის შექმნისთანავე დატოვა პოსტი და საქართვე-

ლოს მიაშურა, რათა სამშობლოსთვის ემსახურა, უცებ თანამემამულეთა პოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრში აღმოჩნდა.

მაშინ კანონი უკვე აღარ კანონობდა, ცემა-ტყეპა, ფიზიკური შეურაცხყოფა, გატაცება დანაშაულად არ ითვლებოდა. მილიციის რიგითი თანამშრომელი ხელისუფლების მომხრის თუ მოწინააღმდეგის ნებას კანონით მინიჭებული უფლებამოსილებით იოლად ვერ აღუდგებოდა წინ. შს მინისტრს პირადად უწევდა ყოველი ასეთი ინციდენტის შემდეგ ჩარევა და დაძაბულობის განმუხტვა.

ვერ ვიტყვი, რომ ეს პოლიტიკური ხელმძღვანელობის დავალება ან პირდაპირი ბრძანება იყო. როგორც ნესი, ამ საქმეში ქვედა რგოლები აქტიურობდნენ, მაგრამ ფაქტია, რომ ოპონენტებთან „კომუნიკაციის“ ამ ახალმა ფორმებმა ისედაც გამწვავებული დაპირისპირება კიდევ უფრო გააღრმავა.

დაპირისპირების შეჩერება მხოლოდ თავად ხელისუფლებას შეეძლო. თბილისის ქუჩებში არსებული საშინელი რეალობა თვალის გასწორებას მოითხოვდა. საპირისპირო მხარეს ვინმე უცხო დამპყრობელი კი არ იდგა, მომხდური მტერი, რომ მასთან მოლაპარაკება, მორიგება სამარცხვინოდ მიეჩინიათ, არამედ ისევ მისიანი, უმრავლესობა - ეროვნული მოძრაობიდან გამოსული, გუშინდელი თანამოაზრე და თანამებრძოლი.

მოჩვენებითმა სიმშვიდემ დიდხანს არ გასტანა. მილიციის სპეცრაზმის უკან დახევის შემდეგ ერთმანეთისგან დაშორიშორებული მხარეები გაუთვალისწინებელი შემთხვევითობისგან, წესით, თითქოს დაზღვეულები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ისევ დაიღვარა სისხლი. თბილისის ზღვიდან პროდუქტების შესაძენად მანქანით წამოსულ ქუთაისელ გვარდიელს, ოთარ ნუცუბიძეს („რემბო“) და ჩვენს თანამოაზრეს, უიარაღო მხატვარ გოჩა წითელაშვილს, ჟურნალისტ ნანა წითელაშვილის ძმას, მილიციის სპეცრაზმელებმა მე-8 საავადმყოფოსთან პიკეტზე ცეცხლი გაუხსნეს და ორივე მოკლეს.

წინა დღით - თავდასხმა, მსხვერპლი, დარბევა; მეორე დღეს - ჩასაფრება, სროლა, კვლავ მსხვერპლი!

იმავე დღეს თბილისის ზღვის ბაზაზე შსს-ს მაღალჩინოსანი რომან გვენცაძე ჩემთვის უცნობ პიროვნებასთან ერთად ამოვიდა. თანამებრძოლისა და თანამოაზრის სიკვდილით თავადაც გაღიზიანებული, უბნიდან და ოჯახიდან კარგად ნაცნობ, პატივსაცემ შსს-ს გენერალს, რომან გვენცაძეს საყვედურს ან თუნდაც ეშმაკურ საუბარს ვერ შევკადრებდი. მისი თანმხლები მაღალი, წარმოსადეგი ორმოციოდე წლის უცნობი მამაკაცი ხელისუფლების წარმომადგენლად მივიღე და საყვედურებით ავავსე, თითქოს მომხდარში ის იყო დამნაშავე. აღელვებულს, მოთმინებით მისმენდა და... მეგობრულად მიღიმოდა, როგორც ძველ კარგ ნაცნობს, რაც კიდევ უფრო მაღიზიანებდა. თავისი ვინაობა მხოლოდ მაშინ გამიმხილა, როცა ჩემი სათქმელი დავამთავრე. აღმოჩნდა, რომ ჩემი ახლო ნათესავის, ექიმ რეზო ვეფხვაძის სიძე იყო, ავთო ჯორბენაძე. ოჯახიდან კი ვიცოდი ქალაქის სამედიცინო სამსახურის უფროსად ახლობლის დანიშვნის შესახებ, თუმცა ბავშვობის შემდეგ აღარ მყავდა ნანახი. წარმოიდგინეთ, რა უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი! თბილად გადავეხვიე და ათასჯერ მოვუბოდიშე. იმ დღეს ცხოვრებაში ყველაზე ახლო მეგობარი შევიძინე.

ხშირად ვიხსენებ ამ შეხვედრას. ალბათ იმიტომაც, რომ სიბნელის, სიძულვილის, მტრობის, დაძაბულობისა და გაურკვევლობის დროს მხოლოდ ასეთი წუთები გათბობს, განათებს და სამუდამოდ გამახსოვრდება.

რამდენიმე საათში, მეგობრების დაღუპვით გაღიზიანებულ განდგომილებთან, თბილისის ზღვაზე შს მინისტრი დილარ ხაბულიანი და დეპუტატი ვალტერ შურღაია ამოვიდნენ. მომხდარის გამო მართლაც გულწრფელად წუხდნენ და განიცდიდნენ. ვაი, რომ მათი მცდელობა, დაძაბულობა გაენეიტრალებინათ და ნდობა აღედგინათ, უფრო პირადი ინიციატივა იყო, ვიდრე ხელისუფლების პოლიტიკური ნება-სურვილი.

სახელმწიფო ტელევიზიამ მე-8 საავადმყოფოსთან პიკეტზე მილიციის მიერ ორი ადამიანის ლიკვიდაციას სიცრუე უწოდა და ისევ მოწინააღმდეგე მხარეს გადააბრალა.

ასე, თბილისის ზღვაზე დაბანაკებულთა დისკრედიტაციით ცდილობდა ხელისუფლება, დაპირისპირების უპირობო შეწყვეტისთვის მიეღწია.

თბილისის ზღვის დატოვება და სამაჩაბლოში დაბრუნება

დრო გადიოდა და მე და დანარჩენი „თეთრარწივლები" კვლავ თბილისის ზღვაზე ვიყავით გამოკეტილები, ოჯახს მოწყვეტილები, რადგან ბაზის დატოვება ჩვენთვის ისევ არ იყო უსაფრთხო.

სამაგიეროდ კიტოვანთან დაახლოებული სამოქალაქო პირები, მოხალისე გვარდიელები შინ კარგად გამოძინებულები და ლამაზად ჩაცმულები ამოდიოდნენ ყოველ დილით თბილისის ზღვაზე. დღის განმავლობაში კიტოვანის სიახლოვეს ატარებდნენ დროს, ახალ-ახალ ინფორმაციებს აწვდიდნენ, ნერვებისა და ნებისყოფის ბრძოლაში უკომპრომისო გადაწყვეტილებებს უწონებდნენ, ეპირფერებოდნენ, ქება-დიდებით ამკობდნენ, გულში მჯიღს იცემდნენ, მხარდაჭერას უცხადებდნენ და ერთგულებას ეფიცებოდნენ. საღამოობით კი, ვითომც არაფერი, ისევ შინ ბრუნდებოდნენ. ვინ იცის, კიდევ სად მიდიოდნენ, ვის ხვდებოდნენ და რას ეჩურჩულებოდნენ.

დღის განმავლობაში კიტოვანის ერთი-ერთზე ნახვა და დალაპარაკება, პრაქტიკულად, შეუძლებელი გახდა.

მუდმივად შეფიქრიანებულმა, საკუთარ თავთან საუბარსა და მსჯელობას, კამათსა და დავას მოვუხშირე. არსებული მდგომარეობა არ მომწონდა. უკვე დიდი ხნის განმავლობაში ვსაყვედურობდი საკუთარ თავს, გონება და სინდისი, ორივე მამტყუნებდა. სერიოზულად განვიცდიდი, ქვეცნობიერად შიშიც მიპყრობდა. წარმოდგენაც არ მქონდა, საით მივექანებოდი და წინ რა მელოდა.

სამხედრო ხელმძღვანელებთან დაახლოებულ გავლენიან პირებთან კამათსაც აღარ ვერიდებოდი, უკვე დაუფარავად ვსაყვედურობდი მათ, ვინც თავისუფლად, როცა უნდოდათ, მიდი-მოდიოდნენ, ჩვენ კი ამ დროს ყოველ ღამით თავდასხმას ველოდით.

აღარც მათ მოსწონდათ ჩემი პირდაპირობა და გავლენა. აღარც ადრინდელივით მენდობოდნენ. სამოქალაქო პირთა გარკვეული ჯგუფი ძალას არ ზოგავდა, რომ თენგიზ კიტოვანი ახალგაზრდა მეთაურის წინააღმდეგ განეწყო. იმას მიაღნიეს, რომ ბანაკის სამხედრო ხელმძღვანელობიდან მე გადამაყენეს და ტყიბულის ბატალიონის მეთაური გელა გიორგაძე დანიშნეს.

თითქოს ჩემი მერყეობა წინასწარ იგრძნესო, თბილისის ზღვაზე ეროვნული გვარდიიდან დაძმობილებული „თეთრი გიორგის" ლიდერები გამომეცხადნენ,

იქაურობის დატოვება და ცხინვალისკენ ერთად წასვლა შემომთავაზეს. მხარდამხარ ბრძოლის პირობა მომცეს, უსაფრთხოების გარანტიის მისაღებად კი იმავე საღამოს საკუთარ სახლში შს მინისტრს, დილარ ხაბულიანს შემახვედრეს. იგი მშვიდად მელაპარაკებოდა და მარწმუნებდა, რომ ჩემ მიმართ წყენა არავის ჰქონდა და მათგან საფრთხე არ მელოდა; რომ მიყურებდნენ, როგორც სამხედრო პირს, რომელსაც სამშობლო უყვარს და რომლის გამოყენებასაც „ვერაგი" ადამიანები ცდილობენ.

ყურადღებით ვუსმენდი, რომ ყოველ სიტყვას ჩავწვდომოდი. ერთი მხრივ, სწორედ იმას მთავაზობდნენ, რაც მართლა მხიბლავდა და მსურდა კიდეც – სამშობლოს მსახურებას, მაგრამ ამისათვის თბილისის ზღვის ბაზა უნდა დამეტოვებინა, რაც კიტოვანისთვის მიცემული ერთგულების პირობის გატეხა იქნებოდა.

ისევ დამერღვა სულის სიმშვიდე და გულის მთლიანობა. თბილისის ზღვიდან ჩემი წასვლა მეგობრების განსაცდელში მიტოვებას ნიშნავდა, რაც ძალიან მეძნელებოდა. წარმოდგენაც კი მზარავდა, რომ ყველა ის ადამიანი, ვისთან ერთადაც გვარდიის შექმნის პირველი დღიდან ვმსახურობდი და ვმეგობრობდი, ზურგს შემაქცევდა, ქილიკს დამიწყებდა, სიტყვის გამტეხად და მოღალატედ მომნათლავდა. უფრო მეტიც, რომელიმეს რამე რომ შემთხვეოდა, ხელისუფლებაზე მეტად მე დამადანაშაულებდნენ, მეგობრები გაწირა, გასაჭირში მიატოვაო.

არადა აღარც იქ ყოფნა მომწონდა და აღარც ის, რასაც ვაკეთებდი. პოლიტიკაში ჩარევას ეროვნულ მოძრაობასთან დაახლოების პირველივე დღიდან გავურბოდი. შექმნილი მდგომარეობიდან ღირსეულად გამოსასვლელად მხოლოდ ერთ გზას ვხედავდი – სამაჩაბლოში წასვლას.

იმ დილით კიდევ ერთხელ ამოვიდნენ „თეთრგიორგელები", ლოტკინისა და თბილისის ზღვის გასაყარზე, ბენზინგასამართ სადგურთან შემხვდნენ. საბოლოო პასუხს ითხოვდნენ, გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობაში მარწმუნებდნენ, კიტოვანისთვის მიცემული სიტყვის შეცვლასა და ერთგულების ფიცის დარღვევას მთხოვდნენ. მიმძიმდა გადაწყვეტილების მიღება, თენგიზ კიტოვანისათვის მიზეზის ახსნა და საკუთარი თანამოაზრეების დარწმუნება.

თბილისის ზღვის ბაზაზე „თეთრგიორგელების" დაუპატიჟებელი და მოხშირებული სტუმრობა კიტოვანის გარემოცვას შეუმჩნეველი არ დარჩენია. სავარაუდოდ, თავად მასაც გამუდმებით ჩასჩიჩინებდნენ, შენი ერთ-ერთი მეთაური პრეზიდენტის მხარდამჭერებთან საიდუმლო მოლაპარაკებას მართავსო.

თითქოს ჩემს გაორებასაც მიმხვდარიყო და გამოცდას მიწყობდა, დილით კიტოვანმა ცალკე გამიყვანა და „ახალი ინფორმაცია" გამაცნო: ხელისუფლებამ „მთავრობის სახლში" 400-მდე გვარდიელი შეიყვანა, უშიშროების სამინისტროს ეზოში კი იარაღითა და ტყვია-ნამლით სავსე „კამაზი" დააყენეს, რომელსაც ერთი ოცეული იცავსო – და იმ ეზოდან იარაღის გამოტანაზე ჩამომიგდო სიტყვა, რაც, მისი თქმით, მომავალში სისხლისღვრის ასაცილებლად იყო საჭირო. აინტერესებდა, ამაზე რას ვიტყოდი, შევძლებდი თუ ვერა.

უხმოდ ვუსმენდი, ერთი კი გამეღიმა. თუ ამით ქვეყანა სისხლისღვრას აიცილებს, უარს როგორ ვიტყვი-მეთქი, ვუპასუხე და დავთანხმდი. გულუბრყვილოდ იმასაც კი ვფიქრობდი, ამ ოპერაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში იქნებ ისიც დამერწმუნებინა, რომ მართებული იქნებოდა, თუ ცხინვალისკენ ერთად წავიდოდით.

დავალების შესასრულებლად შესვლა მოულოდნელობის ეფექტით, სიმამაცით, ხერხით და არა ღონით ვარჩიეთ იმ დროს, როდესაც რიჟრაჟი იწყებს მოახლოებას და მცველის სიფხიზლე განსაკუთრებით დუნდება. ნანახიც გვქონდა და გაკეთებულიც, ოღონდ ოკუპანტთან. ფიქრშიაც კი არ შეიძლებოდა იმის დაშვება, რომ თუნდაც ერთი წვეთი სისხლი დაღვრილიყო – ჩვენი, იმათი, რა მნიშვნელობა ჰქონდა?! თუმცა როგორც არ უნდა გათვალო და გაითვალისწინო, როდესაც ორივე მხარე შეიარაღებულია, არავინ იცის, ტყვია სად გავარდება და როდის. შესვლისას და იარაღის დაუფლებისას ერთ-ერთმა გუშაგმა მაინც გაისროლა. ასეთ სიტუაციაში გასროლა თითქმის ყოველთვის სიკვდილს მოასწავებს. საბედნიეროდ, სახურავიდან ნასროლ ტყვიას ამჯერად მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა როდესაც წარმოვიდგინე, რა საშინელება შეიძლებოდა მომხდარიყო, ჟრჟოლამ ამიტანა. დავალების ნარმატებით და მშვიდობიანად შესრულება სულ არ მახარებდა. ჩაფიქრებული ვბრუნდებოდი და შენობაში გავარდნილი სროლის ხმა ყურებიდან არ ამომდიოდა.

ძნელი არ იყო იმის დანახვა, რომ პოლიტიკური ქვედა დინებები გარდაუვალ სისხლისღვრასთან ყოველდღიურად მაახლოებდა.

თბილისის ზღვაზე ყოფნა სულ უფრო გაუსაძლისი ხდებოდა. იქ ვეღარ დავრჩებოდი.

ღრმად მწამდა, რომ თუ ავტომატიანი ხალხი ორივე მხარეს მოსცილდებოდა, სამხედრო ძალთა ბალანსის შესუსტება მშვიდობისაკენ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. მთავარი იყო, პოლიტიკური დაპირისპირება ძმათა შორის სისხლისღვრაში არ გადაზრდილიყო, თანამდებობათა და, გნებავთ, იდეათა გამო ადამიანების სისხლი არ დაღვრილიყო.

მილოცვებისა და საქებარი სიტყვების დასრულებას აღარ დაველოდე და კიტოვანს თხოვნით მივმართე: „აი, თქვენ იარაღი, ტყვია-წამალი და მანქანა. მე უნდა გამიშვათ“. უხმოდ მომისმინა, არ გაჰკვირვებია, არც მიზეზი უკითხავს. წადიო, მითხრა, ზურგი შემაქცია და თავისი კორპუსისკენ გაემართა.

ახლა ჩემების დარწმუნება იყო საჭირო.

სანამ ოთახში გამოკეტილი „თეთრარწიველები“ დაძაბულები ვმსჯელობდით, რათა დილამდე მიგვეღო გადაწყვეტილება – მივდიოდით თუ ვრჩებოდით, ამ დროს თურმე ჩემი, როგორც „კიტოვანთან დაახლოებულის“, გამოთავისუფლებული ადგილის დასაკავებლად ვიღაცებს მისთვის „არწიველთა“ განიარაღება შეუთავაზებიათ და მავანს ამ რთული ამოცანის შესრულებისთვის მზადყოფნაც გამოუთქვამს. როგორც შემდეგ მითხრეს, არასასიამოვნო დაძაბულობას წერტილი ისევ თენგიზ კიტოვანმა დაუსვა: მიუხედავად წყენისა, კატეგორიული უარი განაცხადა და ჩვენი რაზმის განიარაღებაზე საუბარი ძირშივე აღკვეთა, თუმცა იმ ღამით „თეთრი არწივის“ არცერთ წევრს არ გვძინებია. სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო, ნათქვამია. თბილისის ზღვის ბაზის დატოვება დილისთვის უკვე გარდაუვალი იყო.

არც ღალატს ჰქონდა ადგილი და არც საკუთარი პრინციპების უარყოფას. არავინ გვიყვარდა სამშობლოზე მეტად და არც არავის სიძულვილი გვამოძრავებდა. პირიქით, უცხო და აუტანელი სწორედ სიძულვილით გაჟღენთილი ის ატმოსფერო იყო, რომელიც რუსთაველზე და თბილისის ზღვაზე სუფევდა. პოლიტიკური თამაშების ნაცვლად გული ბრძოლისკენ მიგვიწევდა.

თენგიზ კიტოვანისა და თენგიზ სიგუას მიმართ პატივისცემისა და მეგობრებთან შექმნილი უხერხულობის მიუხედავად, ფსიქოლოგიურად უმძიმესი გადაწყვეტილება მივიღეთ. ფაქტობრივად, დედაქალაქში არსებულ ვითარებას გავექეცით.

უამრავ განსაცდელში მხარდამხარ დგომით ჩამოყალიბებული მტკიცე მეგობრობის ვალდებულებით „არწიველებს“ სათაფლიის ტყეში ძმადშეფიცული ქუთაისელებიც შემოგვიერთდნენ.

გასვლას „თეთრი არწივის“ ყველა წევრმა არ დაუჭირა მხარი. ხუთმა, მათ შორის, ძალიან ახლობლებმა, დარჩენა ამჯობინეს. „ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!“ - ვუსურვეთ ერთმანეთს. იმ დღეს ჩვენი გზები გაიყარა. ყველა ჩუმად იყო, არავის არავინ განუსჯია, არც გაუმტყუნებია. მდუმარედ დავემშვიდობეთ და ასევე მდუმარედ გაგვაცილეს ას ოცი გვარდიელი, იქ კი რიცხობრივად ნაკლებნი რჩებოდნენ.

ამგვარად, ხელისუფლების პირველივე მცდელობა, დაგვლაპარაკებოდნენ ადამიანურად, არა მუქარით, არამედ სამშობლოს მსახურების შეთავაზებით, წარმატებით დასრულდა.

თურმე რა ადვილი ყოფილა!

■

იმავე დღის ორი საათისთვის დილარ ხაბულიანმა, პრეზიდენტის სურვილით, გორის თეატრის შენობაში „თეთრი არწივის“, „თეთრი გიორგისა“ და ქუთაისის ბატალიონის წევრები ზვიად გამსახურდიას შეგვახვედრა. უნდოდა, თენგიზ კიტოვანის უერთგულესი და საკმაოდ მრავალრიცხოვანი შენაერთების გამგზავრებაში დარწმუნებულიყო.

კონფლიქტის ზონის პირას მდებარე ბოლო ქართულ სოფელს, ნიქოზს მივაშურეთ.

23 თუ 24 ნოემბრის საღამო იყო, როდესაც სოფელ ნიქოზის საბავშვო ბაღის შენობაში დავბინავდით. როგორც იქნა! კვლავ ნაცნობი ჰაერით ვსუნთქავდი, ლაღად, ისევ სამშობლოს ჯარისკაცი ვიყავი და არა - პოლიტიკური მიზნის მიღწევის იარაღი.

თბილისის ზღვაზე ყოფნისას პრეზიდენტისა და მისი მომხრეებისგან ისედაც საკმაოდ ვისმინეთ დაუმსახურებელი ბრალდებები და შეურაცხმყოფელი სიტყვები: „რუსეთის აგენტები“, „მონები“, „გოშიები“... ახლა კი შესაძლებლობა გვეძლეოდა, საკუთარი თავისთვისაც და სხვებისთვისაც ისევ ბრძოლით დაგვემტკიცებინა, რომ სამშობლოს სამსახური იყო ჩვენთვის უპირველესი მიზანი.

ცხინვალში გამაგრებულმა ოსმა ბოევიკებმა მტრულად „მიგვიღეს“ და პირველსავე ღამეს უმართავი რაკეტები დაგვაყარეს.

მეორე დღეს ნიქოზის გამგებლის, გიორგი ლაზარაშვილის შუამავლობით, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს შვეულმფრენთა პოლკში მოსკოვიდან მოვლინებულმა გენერალ-ლეიტენანტმა ახალჩასული ფორმირებების მეთაურთან მოლაპარაკება მოითხოვა.

მოსკოველი გენერლის, პოლკის მეთაურისა და კიდევ ერთი უცნობი კაპიტნის პირისპირ ცხინვალის სამხედრო ბაზაზე გვარდიის უფროსი კაპიტანი მარტო ვიჯექი და კონფლიქტის ზონაში ჩასვლის მიზანს ვაცნობდი. მღელვარების მიუხედავად, ვცდილობდი, მაქსიმალურად პრინციპულად მელაპარაკა, რომ ხელისუფლების ბრძანებით ქართული სოფლების დაცვა გვევალებოდა და ამ ამოცანის შესასრულებლად ვიყავით მივლინებული. უცნობმა კაპიტანმა, გვარად შკოლამ, გაცნობის შემდეგ ქართველები ოსების მიმართ ძალადობასა და ოსური სოფლების დაცლაში დაგვადანაშაულა. გაკვირვებული ვუსმენდი პოლკის საგანგებო განყოფილების ოფიცერს, რომელსაც სრულიად საპირისპირო ინფორმაცია ჰქონდა. პირიქით, ოსი სეპარატის-

ტები ესხმოდნენ ქართველების დაუცველ სოფლებს, საქონელს იპარავდნენ და საფრთხის გამო ადგილობრივები იძულებულები იყვნენ, იქაურობა დაეტოვებინათ.

თავის მხრივ, გენერალ-ლეიტენანტმა იმედი გამოთქვა, რომ ახალი რაზმების ჩასვლით კონფლიქტის ესკალაცია არ მოხდებოდა და შეხვედრაც დასრულდა. უკვე გარეთ გამოსული, ვიდრე სოფლის გამგებლის მანქანაში ჩავჯდებოდი, ცალკე მდგომ, ქართველების მიმართ აგრესიულად განწყობილ კაპიტანს გამოველაპარაკე. მასთან უფრო მიადვილდებოდა საუბარი, ვიდრე გენერალთან. კიდევ ერთხელ ვუთხარი, რომ ობიექტური ცნობები არ ჰქონდა და დასადასტურებლად ჩემი დაჭრისა და თანამებრძოლების დაღუპვის ამბავი გავიხსენე. საპასუხოდ ცხინვალში შესვლა და იქაურ ე. წ. თავდაცვის მინისტრთან შეხვედრა შემომთავაზა. მეც დავთანხმდი. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და უკან დავბრუნდი.

სურსათ-სანოვაგით, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, პურმარილით დატვირთული შს მინისტრი ნიქოზში თითქმის ყოველ მეორე-მესამე დღეს ჩამოდიოდა. სულო და გულო, რასაც ინატრებს ადამიანი, ყველაფერი ჰქონდა „პროვიზიაში“: დაბრაწული შოთები, ახალგამომცხვარი ხაჭაპურები, ღორის მწვადები და სხვ.

დილარ ხაბულიანის ყოველი ამოსვლისას ცნობისმოყვარეობა მტანჯავდა, ერთი სული მქონდა, მეკითხა, რა ხდებოდა, თუმცა ზუსტად ვიცოდი, რომ სიმართლეს მაინც არ მეტყოდა. სამაგიეროდ, როგორც გამოცდილებამ მასწავლა, მაღალჩინოსანი პოლიტიკოსის აზრისა და განწყობილების გასაგებად საკმარისია, მძღოლი მძღოლს გამოელაპარაკოს და მის ჭეშმარიტ გულის ნადებს გაიგებ. ჩემი მძღოლის კითხვაზე: „რა ხდება თქვენკენ?“ – შს მინისტრის მძღოლი ორაზროვნად გაცემული პასუხით: „ყველას დაგვღუპავს“, – ხელს პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვიდან კონკრეტული პიროვნებისკენ იშვერდა.

ჩასვლის დღიდან ვცდილობდით, ადგილმდებარეობის შეცვლასთან ერთად პოლიტიკური ფერისცვალება არ დაგვტყობოდა, ამიტომ მხოლოდ კონფლიქტის-პირა რაიონის უსაფრთხოებაზე ვიყავით კონცენტრირებულნი.

ორი-სამი დღეც არ იქნებოდა გასული, როდესაც ახალგაცნობილი რუსი კაპიტანი შკოლა შტაბში გვესტუმრა უცნობ პირთან ერთად, რომელიც ცხინვალის ე. წ. პრემიერ-მინისტრი და, ამავდროულად, თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა არმიის პოდპოლკოვნიკი ოლეგ თეზიევი აღმოჩნდა. მოულოდნელმა სტუმრობამ დამაბნია, თუმცა ვცდილობდი, არ შემემჩნია. როგორც მასპინძელს შეეფერება, ხელი ჩამოვართვი, მივესალმე, მოვიკითხე. აღმოჩნდა, რომ გერმანიაში საბჭოთა არმიაში ერთსა და იმავე წლებში ვმსახურობდით. არმიის სარდალიც საერთო გვყოლია, კიდევ ბევრი საერთო ნაცნობი გავიხსენეთ. გულღია, უშუალო ლაპარაკმა ერთმანეთის მიმართ დადებითად განგვაწყო. პატივისცემის დასტურად თეზიევმა ცხინვალში მიმიპატიჟა და მასპინძლობა შემომთავაზა, თანაც სიტყვა მომცა, რომ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებდა. მადლობა გადავუხადე, სტუმრობა რამდენიმე დღის შემდეგ დავგეგმეთ და ერთმანეთს დავემშვიდობეთ.

12 დეკემბერს, დილით ნიქოზში კაპიტანი შკოლა კვლავ გვეწვია და იმ ავბედითი მკვლელობიდან ზუსტად ერთი წლის თავზე ცხინვალში წასვლა შემომთავაზა, სადაც თეზიევი გველოდებოდა. ბიჭები ღელავდნენ, მთხოვდნენ, არ გავყოლოდი, მაგრამ არავის დავუჯერე, კაცის ნათქვამ სიტყვასა და მოცემულ პირობას ბრმად მინდობილი, რუს ოფიცერს „უაზში“ უშიშრად ჩავუჯექი. მან ზემო ნიქოზიდან რუსულ შვეულმფრენთა პოლკის „გარადოკის“ გავლით, თავისივე შერჩეული მარშრუტით ცხინვალში შემიყვანა. ქალაქი მეტისმეტად დაღონებული და მოწყენილი

მეჩვენა, გაღიმებულ სახეს ვერ ნახავდით. ძალიან ციოდა, მაგრამ არცერთი სახლის საკვამურიდან კვამლი არ ამოდიოდა.

მოულოდნელად ცენტრალურ გზაზე მიმავალმა მანქანამ სკოლისმაგვარ შენობასთან გადაუხვია. მარშრუტის შეცვლა არ მესიამოვნა. ქვეცნობიერად ვიგრძენი, რომ რაღაც მიზანი ჰქონდათ. ჩემდა გასაკვირად სკოლის ეზოში ახლად გახსნილი სასაფლაო გამოჩნდა. ოცამდე საფლავს თავზე რუსულად ეწერა: „ისინი სამშობლოსთვის იბრძოდნენ“. დაახლოებით ისეთივე პანთეონი იყო, როგორიც თბილისში, საბურთალოს მთაზე. გული მომეწურა, პატარა ცხინვალისთვის ბევრი მეჩვენა.

შკოლამ იქიდან ცხინვალის ცენტრში, ერთი წლის წინანდელი შეტაკების ადგილას გამომატარა. შენობის კედლებს ნატყვიარები ისევ ეტყობოდა. მომხდარი თვალწინ გამიცოცხლდა. დათო და რეზო გამახსენდნენ, კიდევ – ის ოსი მილიციელი. ვერაფერს ვამბობდი, რომ უცხო ადამიანთან სისუსტე არ გამომემჟღავნებინა.

მთელი ცხინვალი შემომატარა, ბაზარშიც შემიყვანა. ბოლოს სახლში პატარა სუფრაზეც მიმიწვია. იქ უკვე ოსი მაღალჩინოსანიც შემოგვიერთდა. გაყინულ ოთახში მაგიდაზე ერთი „ტუშონკა“, პური, დაჭრილი სალა, მუავე კიტრი, არყისათვის სამი საველე „კრუშკა“ და წყლის ბოთლი იდგა. არდალევა არ გამოვიდოდა, არადა დათრობის უფლება არ მქონდა. სიფრთხილეს არ ვკარგავდი, ყურადღებას არ ვადუნებდი. ერთი ან ორი ადამიანის სიტყვის იმედად ვერ ვიქნებოდი. რამდენიმე სადღეგრძელო ითქვა, მათ შორის, ერთი – დაღუპულთა ხსოვნის, განურჩევლად ეროვნებისა, საბჭოთა ოფიცრების წესისამებრ, მოკლედ: „За тех!“ მშვიდობის სადღეგრძელოც დავლიეთ, უნდა დაგველია, თუმცა სამივემ შესანიშნავად ვიცოდით – რუსმაც, ოსმაც და ქართველმაც, რომ მშვიდობა არ იყო და არც მომავალში იქნებოდა. მხოლოდ ვწუხდით და მათზე ვბრაზობდით, ვინც მოძმე ხალხებს შორის ეს დაპირისპირება შემოიტანა და შუღლი დათესა.

ერთმანეთის პირისპირ ვისხედით ცოტა ხნის წინ საერთო, ახლა კი ორ ნაწილად გაყოფილი ქვეყნის შვილები და გულღიად ვსაუბრობდით, როგორც კაცი – კაცთან. თითქოს მტრობა დაგვავიწყდა. უფრო მეტიც, პატივისცემით ვლაპარაკობდით, თუმცა ვაცნობიერებდით, რომ წინ გარდაუვალი ომი გველოდებოდა. „აუცილებლად გაგაგებინებ, ნაღმი რომელი მხრიდან იქნება ჩადებული, რომ იქ არ გამოიარო“, – მპირდებოდა ოსი მინისტრი. „საარტილერიო დაბომბვის წინ კოორდინატებს წინასწარ შეგატყობინებთ“, – პირობას ვაძლევდი ქართველი მეთაური. თითქოს გარდაუვალს აღარც ვეწინააღმდეგებოდით.

ამ მეგობრული საუბრისას ოსი ოფიცერი შემოგვესწრო, მეზობელთან შემთხვევით შემოვიდა. წყალში გაზავებულმა 96-გრადუსიანმა სპირტმა გამბედაობა შემატა, ხშირი წარბების ქვემოდან ისე თავხედურად მომჩერებოდა და ისეთ სიძულვილს ამჟღავნებდა, რომ არც მისი მეზობლის მოცემულ უსაფრთხოების გარანტიას დაგიდევდა და არც კაცურ სიტყვას. ჯობდა, იქაურობას დროულად გავცლოდი.

ყველაფრის მიუხედავად, ერთმანეთს მეგობრობის სიტყვა მივეცით.

■

თითქმის ყოველ ღამე ზემო და ქვემო ნიქოზის, გუჯაბაურის, ხევთუბნის, თამარაშენისა და ხეითის, ერედვისა და დმენისის მიმართულებით ორმხრივად ისროდნენ უმიზნოდ, უაზროდ, უშინაარსოდ. ხანდახან უმართავი რაკეტები საბავშვო ბაღის შენობის ჩრდილოეთ ფლიგელს ხვდებოდა. სხვებს არც ნიქოზში სამშვიდობოდ ჩასული რაზმი ჩამორჩებოდა და სამხრეთი ნაწილიდან ქალაქის მიმართულებით კედლებს ვესროდით. ღამისთევით დაღლილი რადიომეკავშირეები, დრო რომ გაეყვანათ, ერთმანეთის ლანძღვა-გინებით იქცევდნენ თავს.

ასეთი იყო იმ დროს დაპირისპირებულთა შეგნება და ამაში ჩანდა კონფლიქტის უაზრობა, სოციალური ბუნება, არსი. ერთმანეთს ვაგინებდით, ვლანძღავდით, ტყვიას ვესროდით, ვებრძოდით, სასიკვდილოდ ვიმეტებდით, ოღონდ არ ვიცოდით, რატომ, რისთვის ვმტრობდით? როდესაც უიარაღოდ, პირისპირ ვხვდებოდით, მეგობრულად ვესალმებოდით, ხელს ვართმევდით, ჭიქას ვუჭახუნებდით.

იგივე ხდებოდა რუსების მიმართაც. ჩვენი მიწა-წყლის ოკუპანტის წინააღმდეგ „ცივ ომში“ აქტიური ჩართულობის მიუხედავად, როდესაც რუს ოფიცერს პირისპირ ვხვდებოდით, ხელს ვართმევდით, ჩვეულებრივად ვესაუბრებოდით და სასმელსაც ვსვამდით ერთად, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთს არ ვენდობოდით და რომ ჩვენს დასაზვერად თითქმის ყოველდღე ნიქოზს თავზე Ми-24 ტიპის შვეულმფრენი დასტრიალებდა.

■

სატანკო სასწავლებლის კურსდამთავრებულ და ტანკზე უზომოდ შეყვარებულ ლეიტენანტ თორნიკე შიუკაშვილს, საბჭოთა არმიიდან თავისი ფეხით წამოსულს, ერთი სული ჰქონდა, როდის ეღირსებოდა ქართულ ჯარს T-72 ტიპის ტანკი, რომ მიღებული ცოდნა საკუთარი ჯარისთვის მოეხმარებინა. პირობაც გვქონდა მიცემული, როგორც კი ქართულ ჯარს ტანკები ეყოლებოდა, პირველივე სატანკო ასეულის მეთაურად მის დანიშვნას გავუწევდით რეკომენდაციას. მანამ კი ერთადერთი, რასაც შეეძლო მისთვის სიხარული მოეტანა, ოციოდე კილომეტრში, გორში დისლოცირებული რუსული არმიის სატანკო პოლკში სტუმრობა იყო, სადაც მისი თანაკურსელი ორი ლეიტენანტი მსახურობდა. ვისაც სამხედრო სასწავლებლის კედლებში 4 წელი გაუტარებია, კარგად იცის, რამხელა სიხარულია თანაკურსელთა შეხვედრა იმის მიუხედავად, რომ ის საერთო ქვეყანა, რომელიც გაერთიანებდათ, აღარ არსებობს და თქვენი გზები ახლა ურთიერთსაპირისპიროდ მიემართება.

უკვე ბნელოდა, როდესაც თორნიკე გორიდან დაბრუნდა და ნიქოზის საბავშვო ბაღში შემოაბიჯა. სიარულზე ეტყობოდა, რომ ცოტა ნასვამი იყო. აჟიტირებული გვიყვებოდა, როგორ გაუხარდათ მისი დანახვა, როგორ დაწვრილებით გამოჰკითხეს, ახლა რას საქმიანობდა და საბოლოოდ თურმე მეგობრული პირობაც მისცეს, რომ იმ დღიდან ჩვენი გულშემატკივრები იქნებოდნენ, მისი გულისთვის თავს არ დაზოგავდნენ, თუ საჭირო გახდებოდა, ჩვენს ჯავშანტექნიკაში თვითონვე ჩასხდებოდნენ და ბრძოლაშიც კი გამოჰყვებოდნენ.

■

საღამოობით თუნუქის „ფეჩთან" მიმსხდარი „თეთრარწიველები" წინა ღამით საგუშაგოებზე მოწინააღმდეგის მხრიდან წამოსული ტყვიების საპასუხოდ გამართული სროლების ისტორიებს უყვებოდნენ ერთმანეთს და საკუთარი უძლეველობის დასამტკიცებლად ხშირ-ხშირად იმეორებდნენ, რომ მათი მოსაკლავი ტყვია ჯერ კიდევ არ იყო ჩამოსხმული. ასე ფიქრობდნენ, ასე სჯეროდათ, საკუთარ თავს არწმუნებდნენ ამაში.

■

ნიქოზში წასვლისა და დილარ ხაბულიანის კეთილგანწყობის მიუხედავად, ხელისუფლების მომხრეთა ნდობა ვერ მოვიპოვეთ, თავისიანებად მაინც არ მივაჩნდით. ჩვენთან შეუთანხმებლად გორში „წოწორიას ომონი" (საქართველოს შინაგანი ჯარის სპეცდანიშნულების ბატალიონი) ჩაგვიყენეს – ყოველი შემთხვევისთვის. თითქოს ვერ მივხვდებოდით, რატომ და რისთვის. ამით უნდობლობა კიდევ უფრო გააღრმავეს. სამაჩაბლოში ყოველ ღამე გვიწევდა მცირე თუ საშუალო ინტენსივობის სროლების მიღება, ზურგს უკან კი „წოწორიას ომონი" გვდარაჯობდა. უნდობლობასა და სიძულვილს იმდენად ღრმად გაედგა ფესვები, რომ პრეზიდენტის მხარდამჭერ „ომონელებსა" და „თეთრი არწივის" მებრძოლებს შორის ანტაგონისტური დამოკიდებულება სააშკარაოზე მალევე გამოვიდა და მორვენებითი მშვიდობა პირველი ინციდენტისთანავე დაირღვა.

დღისით-მზისით ნიქოზიდან გორში ერთი დღით ოჯახის სანახავად ჩასული კობა მართაშვილი „ომონელებმა" უმიზეზოდ დააკავეს და სასტიკად სცემეს. არც დილარ ხაბულიანის სახელს აგდებდნენ რამედ და არც პრეზიდენტის მოცემულ ხელშეუხებლობის პირობას, ნიქოზში დაბანაკებულებსა და მათ მეთაურს უშვერად აგინებდნენ. ყველას დედას გიტირებთო! – იმუქრებოდნენ.

როგორც კი ნიქოზში ეს ამბავი გავიგეთ, გაბრაზებულები, მაშინვე გორისკენ დავიძარით. გაწევ-გამოწევა, ძიძგილაობა, ხმამაღალი საუბარი ჩვენებსა და მილიციის სამმართველოს ოთახებში გამაგრებულ „ომონელებს" შორის დაახლოებით 5 წუთს გაგრძელდა ისე, რომ იარაღის ამოღება ან გასროლა არცერთ მხარეს აზრადაც არავის მოგვსვლია. შიდა ქართლის სამმართველოს უფროსმა, გენერალმა თენგიზ ეპიტაშვილმა და „ომონის" ხელმძღვანელმა, პოლკოვნიკმა ავთო წოწორიამ სიტუაცია პირადად დაამშვიდეს, მტყუან-მართალიც გაარჩიეს და დამნამავეებს ბოდიშიც მოახდევინეს. მას შემდეგ მალევე შევრიგდით.

ერთ-ერთი „ომონელი" ამირან ტოტიკაშვილი[107], რომელსაც კახა ბასილაძემ თითქოს ხელი ჰკრა თუ დაარტყა და დაეცა, ფეხზე წამომდგარი, ხუმრობდა, ევროპაში ვერავინ წამაქცია და ის კაცი გამაცანით, ერთი დარტყმით რომ დამცაო და კახას ხელს ართმევდა. საქმე ისაა, რომ ძიუდოში ევროპის ჩემპიონობა 2-ჯერ ჰქონდა მოგებული ბოლო წლებში.

[107] ამირან ტოტიკაშვილი, ქართველი ძიუდოისტი (60 კგ) – არის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელი (1989), მსოფლიოს (1989) და ევროპის ორგზის (1988, 1989) ჩემპიონი და არაერთი პრესტიჟული საერთაშორისო შეჯიბრების გამარჯვებული.

ორივე მხარემ ერთმანეთს ბოდიში მოვუხადეთ და დავშორდით. „თეთრარწივლები“ ნიქოზში დავბრუნდით. იმავე საღამოს ვითარების განსამუხტად დილარ ხაბულიანი გვეწვია პურმარილით. მომხდარი გაუგებრობას დააბრალა, ნდობის აღდგენას ცდილობდა. არც ჩვენ გვინდოდა ჩხუბი, დროებითი ზავი ორივე მხარისთვის საჭირო იყო.

ბოლო ხანებში „თეთრი გიორგის“ წევრების ქცევაც საეჭვოდ გვეჩვენებოდა. პირველად იქაურობა ორგანიზაციის პოლიტიკურმა ლიდერებმა (მათ შორის, გრიშა ელისაშვილმა და მალხაზ ფურცელაძემ) დატოვეს და თბილისში გაემგზავრნენ. შემდეგ ძმადაშეფიცული „თეთრი გიორგის“ სხვა წევრებიც მიჰყვნენ ყოველდღე, თითო-ოროლად, ჩვენთან შეუთანხმებლად და ნათქვამი სიტყვის საწინააღმდეგოდ. ნიქოზში მათი რაოდენობა დღითიდღე მცირდებოდა.

თუ აქამდე ყოველი კაცის გამოკლებისას ეჭვი მღრღნიდა და სულსა და გონებას მიწამლავდა, მას შემდეგ, რაც ნიქოზში „თეთრი გიორგიდან“ მხოლოდ დათო კიკნაძე („მამიკა“), გელა ბურდული, გია ხარჭამაძე („ჯანგო“) და კიდევ ზაქრო ნადირაძე დარჩნენ, უკმაყოფილება აღარ დავმალე. ხოლო როცა თბილისიდან ინფორმაცია მოვიდა, რომ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ხელისუფლების მიერ დევნილი, უკანონოდ გამოცხადებული ფორმირება „თეთრი გიორგი“ სრული შემადგენლობით „მთავრობის სახლის“ წინ, პრეზიდენტის მხარდამჭერ მიტინგზე იარაღით გამოჩნდა, ბრაზმა ამოხეთქა და მეგობრებს შორის დადებული პირობა ჩაშლილად გამოვაცხადე.

აღარც ჩვენი ახლად შეძენილი მფარველი დილარ ხაბულიანი ჩანდა. ორიოდე დღის წინ „მთავრობის სახლის“ წინ ერთ-ერთ მომიტინგეს თვალებში მისთვის გაზი შეუსხამს. მასაც „საპატიო მიზეზი“ გაუჩნდა, კაბინეტიდან აღარ გამოდიოდა, იქვე, მოსასვენებელ ოთახში ინვა, გადასხმას იკეთებდა და თვალებზე საფენები ედო, რომ არ დაენახა, რაც გარეთ ხდებოდა. სრულფასოვნად აღარც მოვალეობას ასრულებდა და აღარც უზენაესი საბჭოს შენობაში პრეზიდენტს სტუმრობდა.

აქეთ კი განაწყენებული კიტოვანი... ისევ გაურკვევლობაში აღმოვჩნდით. შეიძლო, დროებით ჩირგვში ჩავმალულიყავი, მოვლენებისთვის შორიდან მეცქირა და პოლიტიკოსთა სახიფათო თამაშს მოვრიდებოდი, მაგრამ მეთაურის პასუხისმგებლობა მოსვენებას არ მაძლევდა. თბილისის ზღვაზე დარჩენილ მეგობართა ბედიც მაწუხებდა, გამოსვლისას მათი უკანასკნელი მზერა არ მცილდებოდა. სინდისის ხმა შინაგან წონასწორობას მირღვევდა.

■

სანამ კომუნისტურ ბანაკში არეულობა იყო, გარეთ კი არაფორმალები ყოველდღიური გამოსვლებითა და მიტინგებით საბჭოთა სახელმწიფოს ასუსტებდნენ, ოკეანის გაღმიდან მაცქერალნი სიამოვნებით ტკბებოდნენ. ხოლო როდესაც აშკარად გამოიკვეთა, რომ გორბაჩოვის მმართველობა დასასრულისკენ მიდიოდა და მოკავშირე რესპუბლიკები – ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ, სსრკ-ის ტერიტორიაზე, სხვადასხვა რესპუბლიკაში განთავსებული ბირთვული არსენალის გაურკვეველი მომავლის შიშით ამერიკაც კი ახალი იმპერიის შექმნას უჭერდა მხარს. ასე რომ არ ყოფილიყო, ალბათ არც უფროსი ბუში გააკეთებდა ცნობილ განცხადებას, ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავსო! არც მოსალოდნელი დიქტატურის მამხილებელი, დასავლეთთან დაახლოებული და ბერლინის კედლის

დანგრევით სახელგანთქმული ედუარდ შევარდნაძე დათანხმდებოდა ცოტა ხნით ადრე რაღაც გაურკვეველი ხუთი სხვადასხვა უწყებისგან შექმნილი სამინისტროს ხელმძღვანელობას. კიდევ ერთხელ გაიბრძოლეს საბჭოთა კავშირისგან ახალი, უფრო თანამედროვე და სიცოცხლისუნარიანი იმპერიის შესაქმნელად, მაგრამ უშედეგოდ.

20 დეკემბერს მოკავშირე რესპუბლიკებმა ტელევიზიით გაიგეს, რომ საბჭოთა კავშირი არსებობას წყვეტდა და ისინი დამოუკიდებლები გახდნენ. უფრო სწორად, დაიძინეს საბჭოთა კავშირში და დამოუკიდებელ სახელმწიფოში გაიღვიძეს. თანაც ისე, რომ არც არაფერი დაუნგრევიათ, არც სისხლი დაუღვრიათ, არც არავის და-პირისპირებიან, არც მტრად და მოღალატედ შეურაცხავთ ერთმანეთი, არც ჰესების მშენებლობა შეუჩერებიათ და არც რკინიგზა გადაუკეტავთ.

იმ დროს, როდესაც ქართველები რუსთაველზე ერთმანეთს ლანძღავდნენ და უპირისპირდებოდნენ, სსრკ თავისით, სხვების დაუხმარებლად და ყველასთვის მო-ულოდნელად რუსეთის პრეზიდენტმა თვითონვე დაშალა. უფრო სწორად, თავის-თავად, თავის ვასალებთან შეუთანხმებლად, ქაოსურად დაინგრა. 1991 წლის 8 დეკემბერს რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის ლიდერებმა ბელოვეჟის ტყეში ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელმაც სსრკ-ის, როგორც საერთაშორისო სამარ-თლის სუბიექტის, არსებობა დაასრულა. ბორის ელცინი, ლეონიდ კრავჩუკი და სტანისლავ შუშკევიჩი შეთანხმდნენ, რომ საბჭოთა კავშირიდან პირველები გადიან და ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის გარეშე ახალ კავშირს აფუძნებენ. ყველა დანარჩენისთვის კი მასში შესასვლელ კარს ღიად ტოვებენ.

ერთი შეხედვით, როგორც არაფორმალებს უყვარდათ თქმა, იმ დღეს სა-ქართველო დე ფაქტო დამოუკიდებელი გახდა. გესმით, რას ნიშნავს ეს სიტყვა - „დამოუკიდებელი“?! ქართველებმა მეოცე საუკუნეში დამოუკიდებლობა მეორედ დაიბრუნეს!

სამოქალაქო ომი

თბილისის ომი

ნიქოზში დაბანაკებულებს წარმოდგენაც არ გვქონდა, რა ეპოქალური ცვლილებები მწიფდებოდა. ანდა საიდან უნდა გვცოდნოდა, სახელმწიფო ტელევიზიის ერთადერთი არხიც გათიშული იყო. იმ დროს, როდესაც რუსთაველის პროსპექტზე დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს ერჩოდნენ, ჩვენ სამაჩაბლოში ვაგრძელებდით დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

1991 წლის ოქტომბრის ბოლოს ხელისუფლებამ კიდევ ერთი რადიკალური გადაწყვეტილება მიიღო: საქართველოში დისლოცირებულ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პირად შემადგენლობას საოკუპაციო ჯარის სტატუსი მიანიჭა, რაც საბჭოთა კავშირის სამართლებრივი სივრციდან მთლიანად გამოსვლას ნიშნავდა. ამით ქართველი ხალხის ერთი ნაწილის გულიც მოიგო. სამაგიეროდ, მოსკოვის ცენტრალურ ხელისუფლებასთან ისედაც დაპირისპირებულმა ეროვნულმა ხელისუფლებამ „ზაკვოს“[108] სახით პირადი მტერი შეიძინა.

საოკუპაციო ჯარის სტატუსის მინიჭება და დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიის რუსული ბაზებისგან გათავისუფლება სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხი იყო და გადაწყვეტილების მიღებამდე, ნესით, უშიშროების საბჭოზე უნდა განეხილათ, გაეაზრებინათ, რამდენად იყო შესაძლებელი მისი აღსრულება, რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ამ გადაწყვეტილებით ხელისუფლებამ თბილისში მოქმედ ყველა დაჯგუფებას, პრაქტიკულად, მწვანე შუქი აუნთო, „ზაკვოს“ რუსული სამხედრონომრებიანი მანქანები და ტექნიკა გაეჩერებინათ და ჩამოერთმიათ, მის ბალანსზე მყოფ სამხედრო და არასამხედრო ობიექტებს თავს დასხმოდნენ და იარაღი, საბრძოლო მასალები თუ სხვა ინვენტარი გაეტაცებინათ. საოკუპაციო სტატუსის მინიჭებით უშუალოდ ოლქის ოფიცრობაც, ჰირადი შემადგენლობაც და მათი ოჯახის წევრებიც საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.

[108] ამიერკავკასიაში საბჭოთა ჯარების ყოფილი შტაბ-ბინა თბილისში, ამჟამინდელ უნივერსიტეტის ქუჩაზე

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად რუსი სამხედროების ოჯახის წევრები ცდილობდნენ, სახლიდან ნაკლებად გამოსულიყვნენ.

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისადმი აშშ-ის ადმინისტრაციის დამოკიდებულებისა და საკავშირო ხელისუფლების ზრახვების შესახებ გამსახურდიასთვის ცნობილი იყო. რუსეთი ამიერკავკასიის დატოვებას არც კი განიხილავდა, თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლებას ამ გადაწყვეტილების აღსრულების არც ძალა გააჩნდა და არც სათანადოდ შემუშავებული გეგმა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ „ზაკვოს“ გენერლები არსებულ ვითარებას გამოიყენებდნენ, თბილისის ზღვაზე განდგომილებთან და ქართული ოპოზიციის ლიდერებთან დაკავშირებას შეეცდებოდნენ და ყველანაირად დაუჭერდნენ მათ მხარს არსებული ხელისუფლების შესაცვლელად.

იმ დილით ნიქოზში ეროვნული გვარდიიდან დამეგობრებული მერაბ გელაშვილი („კიტა“) ჩამოვიდა. შენობაში არ შემოსულა, თბილისის ზღვაზე განდგომილთა რაოდენობის შემცირების გამო ძალიან დაღონებული ჩანდა, თავის მდგომარეობასაც განიცდიდა და ქვეყნისასაც. მანაც დაგვიდასტურა, რომ „თეთრგიორგელების“ უმრავლესობა სამთავრობო მიტინგებს იარაღასხმული იცავდა.

ჩემი თვალით მინდოდა მენახა და პირადად დავრწმუნებულიყავი, რა ხდებოდა სინამდვილეში, ამიტომ 21 დეკემბერს, დაახლოებით საღამოს შვიდ საათზე ნიქოზიდან თბილისისკენ წამოვედი. ცხრა საათისთვის საკუთარი ფეხით მივედი იქ, სადაც თურმე ჩემი ბედი წინასწარ იყო დაწერილი – ერთდროულად როგორც დადებითი, ისე უარყოფითი პერსონაჟისა: მამაცისაც და მხდალისაც, მკვლელისაც და მსხვერპლისაც, პატრიოტისაც და მოღალატისაც.

ცოტა ხნის წინ ნიქოზში წამოსვლით პოლიტიკურ დაპირისპირებას გავერიდე. მეგონა, ამით დაძაბულობის განმუხტვას ხელს შევუწყობდი, თუმცა ვითარება ბევრად დაძაბული დამხვდა, კიდევ უფრო მეტი სიძულვილით გაჟღენთილი.

პოლიტიკური ლიდერების მონოდებით, სტუდენტების დიდი ნაწილი, ცნობილი ადამიანები, სხვადასხვა სოციალური ფენისა და პროფესიის წარმომადგენლები უზენაესი საბჭოს შენობას სასტუმრო „თბილისისა“ და „მხატვრის სახლის“ მხრიდან ერთდროულად მისდგომოდნენ. ტელევიზიის გაფიცულ თანამშრომლებს სატელევიზიო მანქანა შუა რუსთაველზე ჩაეყენებინათ. პოლიტიკოსებიც დროს უქმად არ კარგავდნენ და ომახიანი მონოდებებით ხალხის აღშფოთებას ოსტატურად მართავდნენ. სამაჩაბლოდან დაბრუნებული ვაჟა ადამია და „მერაბ კოსტავას საზოგადოების“ წევრებიც თბილისში დამხვდნენ, ოპოზიციის აქციებს ისინიც შეერთებოდნენ.

სექტემბრის მეორე ნახევრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციებზე წამოყენებული მოთხოვნები სიტყვის თავისუფლებასა და, საერთოდ, ადამიანის უფლებების დაცვაზე, ხელისუფლების კრიტიკა საგარეო თუ საშინაო პოლიტიკაში დაშვებული შეცდომების გამო გამომსვლელთა რიტორიკაში უკვე საერთოდ გამქრალიყო; აღარც ოპოზიციური პარტიების შევიწროებას აპროტესტებდნენ და არც პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა გათავისუფლებას ითხოვდნენ.

ოპოზიცია ამერიკის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის კიევში ნათქვამ სიტყვებს წითელი ქსოვილივით უფრიალებდა ხელისუფლებას და საქართველოს პრეზიდენტის გადადგომას უკვე უპირობოდ მოითხოვდა.

სამაგიეროდ უცვლელი იყო ხელისუფლების მომხრეთა მიტინგზე გამომსვლელების რიტორიკა. მათი კონტრაქციები იქვე, უზენაესი საბჭოს შენობასთან გაშ-

ლილ კარავთან ტარდებოდა. ამ ადამიანთა აზრით, ოპოზიციის მიტინგს ავანტიურისტების, მოღალატეებისა და „მეხუთე კოლონის“ ერთი პატარა ჯგუფი აწყობდა, რომელსაც ქართველი ხალხი საკადრის პასუხს გასცემდა.

ხელისუფლების მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის მილიციამ სატვირთო მანქანები და ავტობუსები ჩააყენა.

აშკარა იყო, რომ მხარეებს პოლიტიკური თანაცხოვრება არ შეეძლოთ და აღარც სურდათ. სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულები იმ თავისუფლებას ვერ იყოფდნენ, წინა დღეს მწიფე მსხალივით რომ ჩაგვივარდა ხელში.

ირგვლივ მხოლოდ არაჯანსაღი ემოციები ბობოქრობდა. სახელისუფლებო მიტინგზე ხშირად ისმოდა ოპოზიციის მისამართით ნათქვამი: „მოღალატე“, „მტერი“, „სუკ-ის აგენტი“, „კრემლის დამქაში“ – რაც ვითარებას კიდევ უფრო ძაბავდა. აგრესიული ჯგუფები მანქანების გამოთრევას და კორდონს იქით შეღწევას ცდილობდნენ. მილიციელთა დამატებითი ჯგუფები და მათი ძალისხმევა რომ არა, ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები.

ჩემთვის ეს ყველაფერი იმდენად შემზარავი სანახავი იყო, რომ ორივე მხარეს მოვერიდე.

პირველი სკოლის კუთხეში, უზენაესი საბჭოს შენობის ასახვევთან „თეთრი გიორგის“ ლიდერებს შევხვდი. ვუსაყვედურე, რატომ იყო არაოფიციალური შეიარაღებული ორგანიზაცია სახელისუფლებო მიტინგზე და ჩვენი შეთანხმების დარღვევაში დავადანაშაულე. გრიმა ელისაშვილი და მალხაზ ფურცელაძე თავს იმართლებდნენ და მიმტკიცებდნენ, რომ იარაღის გამოყენებას არ აპირებდნენ. უფრო მეტიც, პრეზიდენტთან შეხვედრას მთავაზობდნენ. იმ დროს, როცა მეგობრები ჯერ კიდევ ვკამათობდით, „მრგვალი მაგიდის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ავთო რცხილაძემ უზენაესი საბჭოს წინ შეკრებილ ხელისუფლების მხარდამჭერებს ზარ-ზეიმით გამოუცხადა, „თეთრი არწივის“ მეთაური გია ყარყარაშვილი ახლა შემოგვიერთდა და ჩვენთან არისო! არადა ისიც არ იცოდნენ, რა მიზნით ვიყავი ჩამოსული. საპასუხოდ მქუხარე ტაში გაისმა. ასე სახალხოდ გამოცხადების შემდეგ იძულებული ვიყავი, გავჩუმებულიყავი და მალხაზ ფურცელაძეს პრეზიდენტთან უსიტყვოდ გავყოლოდი, თუმცა გული მეთანაღრებოდა. მეორე მხარესაც ხომ ჩემი მეგობრები იდგნენ, რას იფიქრებდნენ, როცა გაიგებდნენ, თითქოს ხელისუფლების მომხრეებს შევუერთდი?!

უზენაესი საბჭოს ეზოში, შენობის შესასვლელსა და კიბეებზეც იმდენი იარაღიანი ირეოდა, რომ თავი სამხედრო ბანაკში მეგონა. უნდობლად მიყურებდნენ.

მესამე სართულის ერთ-ერთ ოთახში შემიყვანეს. პრეზიდენტიც მალე მოვიდა, თან რამდენიმე კაცი ახლდა. შეხვედრა ხანმოკლე გამოდგა. მან მხოლოდ ერთი რამ მკითხა, კიტოვანს რა სამხედრო ძალა აქვსო. გულწრფელად ვუპასუხე, ჩვენი გასვლის შემდეგ თბილისის ზღვაზე სულ 80-90 გვარდიელი თუ იქნება დარჩენილი და მცირერიცხოვნობის გამო ისინი სახელმწიფოს საფრთხეს ვერანაირად ვერ შეუქმნიან, ეს კი დაპირისპირების მშვიდობიანად მოგვარების საშუალებას იძლევა-მეთქი.

უხმოდ მისმენდა, სხვა აღარაფერი უკითხავს. გატრიალდა და გავიდა. ამ შეხვედრამ კიდევ უფრო მეტი კითხვა გამიჩინა. აშკარა იყო, საქართველოს პრეზიდენტი ძალზე განიცდიდა იმას, რაც ქალაქში ხდებოდა და გამოსავალს ეძებდა, თუმცა კითხვა: რატომ იყო თბილისის ზღვაზე შემორჩენილი რამდენიმე ათეული გვარდიელის თემა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე რუსთაველის გამზირზე მომიტინგე რამდენიმე ათასი ადამიანი? – პასუხგაუცემელი დარჩა.

მთავარი პრობლემა თბილისის ზღვის თითქმის დაცარიელებული ბაზა და ოპოზიციის რადიკალიზმი კი არ იყო, არამედ მიტინგებზე გამოსული გულწრფელად აღშფოთებული საზოგადოება. მათთან თუ მოახერხებდა ხელისუფლება საერთო ენის გამონახვას, იარაღიანი ხალხის პრობლემა აქტუალობას საერთოდ დაკარგავდა და მშვიდობიანი აქციების სამხედრო დაპირისპირებაში გადაზრდის საფრთხეც აღარ იარსებებდა. მართლა ასე მეგონა, თუმცა ჩემთვის აზრი არც არავის უკითხავს და არც არავის აინტერესებდა.

უზენაესი საბჭოდან გამოვედი და ამჯერად ოპოზიციის მიტინგებს ჩამოვუარე, დასამალი არაფერი მქონდა. მე ხომ ბევრჯერ ვთქვი, რომ ჯარისკაცი ვიყავი და პოლიტიკაში არავის მხარეს დავდგებოდი.

მოძრავ სატელევიზიო სადგურთან უამრავი ნაცნობი ირეოდა. თენგიზ სიგუა ავტობუსში იჯდა და განცხადებებს იქიდან აკეთებდა. იქვე იყო ახალგაზრდა ჟურნალისტი მაკა რაზმაძე და ხმის გამაძლიერებლით მიტინგი მიჰყავდა. დამინახეს თუ არა, ახლა მათ გამოაცხადეს, „თეთრი არწივის" მეთაური გია ყარყარაშვილი ჩვენთან არისო. ახლა მათ დაუკრეს ტაში. ნაცნობი და უცნობი სტუდენტები, გახარებულები, სათითაოდ მოდიოდნენ, მესალმებოდნენ და მადლობას მიხდიდნენ. ყველა იქ იყო, მომავალი სახელმწიფო მოღვაწეები და პოლიტიკოსები: გიგა ბოკერია, გოკა გაბაშვილი, ირაკლი კაკაბაძე, გიორგი მაისურაძე, ფიქრია ჩიხრაძე, გიორგი მარგველაშვილი, შალვა ჯავახაძე, ლევან თარხნიშვილი, ნიკუშა ალხაზაშვილი, გია ხევიაშვილი, ლაშა ბრეგვაძე, მამუკა კაციტაძე, გია ბარამიძე, გივი თარგამაძე, გოგა კალანდაძე, სანდრო ურუშაძე და სხვები. მეღიმებოდა, როგორ სურდათ, ჩემი გვარის გამოცხადებით მომიტინგეებისთვის იმედი გაეჩინათ, თითქოს მათ მხარდასაჭერად ჩამოვედი. რა იცოდნენ, რომ მეორე დილით ისევ ნიქოზში ვაპირებდი დაბრუნებას.

კიდევ უფრო მძიმე გამოდგა შეხვედრა გვარდიასთან დაახლოებულ რამდენიმე სამოქალაქო პირთან, ვისთან ერთადაც ეროვნულ გვარდიაში ყველაზე ბედნიერი ერთი წელი მქონდა გატარებული. მათ თვალებში საშინელი ეჭვიანობა, უნდობლობა და წყენა იკითხებოდა. თბილისის ზღვიდან წამოსვლის გამო ცივად მხვდებოდნენ, ცალყბად მესალმებოდნენ, საკუთარ მდგომარეობაზე საუბარს გაურბოდნენ. ალბათ ასე ცდილობდნენ, თავიანთი გაურკვეველი მომავლის გამო ღელვა დაემალათ.

გზადაგზა იარაღიანი არავინ მინახავს. არც კიტოვანი ჩანდა. ერთადერთი, ვინც პისტოლეტით შეიარაღებული ვნახე, სიგუას პირადი დაცვის უფროსი ქართლოს ოშიაძე იყო. ისიც ქვევით, „ალექსანდრეს ბაღის" შესასვლელთან, მიტინგისგან მოშორებით იდგა დაცვის რამდენიმე წევრთან ერთად.

ღამის პირველი საათი იქნებოდა. ნირწამხდარი შინისკენ გავემართე.

ორივე მხარისთვის რომ გესმინათ, ომი არცერთს უნდოდა, მაგრამ უცხო თვალით უკეთ ჩანდა უკიდურესი ანტაგონიზმი, რაც სისხლიან დაპირისპირებას გარდაუვალს ხდიდა. ასეთი დაძაბულობის მიუხედავად, მაინც ვერ წარმოვიდგენდი, რომ ქართველი ქართველს ესროდა და სისხლს დაღვრიდა!

ათჯერ მაინც მქონდა ნაკითხული ლევან სანიკიძის ისტორიულ რომანში „უქარქაშო ხმლები" აღწერილი ქართველთა ბუნება და ყოველ ჯერზე ისევე მბურძგლავდა ამ სიტყვებზე, როგორც პირველად: „საქართველოს მოსისხარნი ყოველთვის იოლად ახერხებდნენ ქართველთა ნაკიდებას და არავის ისე არ ემარჯვებოდა

ქართველის დამარცხება, როგორც ქართველს". თანაც ეს ყოველმა გადამთიელმა ისწავლაო. მხოლოდ ქართველმა ვერ ისწავლა!

ჩემ თვალწინ მართლდებოდა ძველისძველი გამონათქვამი, რომ ციხე მუდამ შიგნიდან ტყდება და რომ როდესაც ძმა ძმას უპირისპირდება, სწორედ მაშინ იმარჯვებს ნამდვილი მტერი.

დრო არ ითმენდა, სასწრაფოდ რამე უნდა ეღონათ საბედისწერო გასროლის თავიდან ასაცილებლად. ასე დიდხანს ვეღარ გაგრძელდებოდა, მით უმეტეს, რომ ორივე დაპირისპირებულ ბანაკში ბევრი იქნებოდა შეგზავნილი...

უდავოა: საფრთხის განეიტრალება, სამოქალაქო ომის თავიდან არიდება, უპირველესად, ხელისუფლების მოვალეობას წარმოადგენს. მას განუზომლად მეტი მოეთხოვება, ვიდრე ნებისმიერ პოლიტიკურ ჯგუფს თუ გაერთიანებას, ხელისუფლების მომხრეს თუ მონინააღმდეგეს, რადგან გადაწყვეტილების ბერკეტი მის ხელშია. ყოველთვის ასე იყო და ასე იქნება მომავალშიც. ასე იყო 1991 წლის 21 დეკემბერსაც.

„პუტჩი" ხელისუფლების წინააღმდეგ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ვიწრო წრის მეთქმულებას ნიშნავს და მხოლოდ იმავე წრის სტიქიური და არც ისე კარგად ორგანიზებული ამბოხია.

შესაძლოა, მიტინგების ორგანიზატორ პოლიტიკოსთა შორის შეთქმულთა ვიწრო წრე მართლაც არსებობდა, მაგრამ იმაზე თვალის დახუჭვა, რომ დაპირისპირებაში საზოგადოების გაცილებით ფართო სპექტრი გულწრფელად მონაწილეობდა, ნამდვილად არ შეიძლებოდა.

...არადა როგორი მნიშვნელოვანია ასეთ დროს ხელისუფლების მხრიდან გონივრული კომპრომისი! დემოკრატიულ სახელმწიფოებში კონფლიქტის გასანეიტრალებლად და კრიზისიდან გამოსასვლელად მრავალი მექანიზმი არსებობს: ოპოზიციასთან მოლაპარაკება, ძალაუფლების ნაწილობრივი დათმობა და სხვადასხვა შტოზე გადანაწილება, მთავრობის გადადგომა და სხვა; თუნდაც ხელახალი არჩევნების ჩატარება... მაგრამ ვის ჰქონდა მაშინ ან ერთ, ან მეორე მხარეს ამხელა პოლიტიკური ცოდნა და გამოცდილება?!

სამწუხაროდ, ამის მიღწევა საქართველოში შეუძლებელი აღმოჩნდა. უკვე ნათელი იყო, რომ უკომპრომისო სიხისტე დაპირისპირებულ მხარეებს ომისკენ მიაქანებდა. პოლიტიკურ რადიკალიზმს, დაუსრულებელ მიტინგებს და გაუაზრებელ განცხადებებს, სახიფათო მოწოდებებს და გაუმართლებელ მუქარას შედეგად მხოლოდ ვითარების უკიდურესი გამწვავება მოსდევს.

ამგვარად დაედო დასაბამი მოვლენებს, რომლებიც შემდგომში შეფასდა, როგორც პოლიტიკური თუ სამხედრო დანაშაული, ისევ და ისევ პოლიტიკოსთა დაუთმობლობის მიზეზით, როცა არც ხელისუფლებაში მყოფებს ჰყოფნით გამბედაობა და შორსმჭვრეტელობა ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად და არც ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს – გონივრულ კომპრომისზე წასასვლელად.

საუბედუროდ, დაპირისპირებულ მხარეთა ლიდერები ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე განსაცვიფრებელი მსგავსებით იმეორებენ ერთსა და იმავე შეცდომას. ის ადამიანები, რომელთაც გადამწყვეტ დროს ყველაზე მეტი მოეთხოვებათ, საბედისწერო გაუბედაობასა და უმოქმედობას ავლენენ, ყოყმანობენ სწორედ მაშინ, როდესაც რამდენიმე წუთი ან საათი წყვეტს ქვეყნის ბედს.

იმ დღეებში, ხელისუფლების თხოვნით, საბჭოთა შინაგანი ჯარის ხელმძღვანელობამ შსს-ს იარაღი და ტყვია-წამალი გადასცა.

დაპირისპირებულთა შორის უფსკრული იმდენად გაღრმავდა, რომ საბედისწერო გასროლა მხოლოდ დროის ამბავი იყო.

არავინ აღმოჩნდა ისეთი, ვინც იტყოდა: „შეჩერდით, რას ჩადით, ხალხო, გამოფხიზლდით! თავსაც იღუპავთ და ქვეყანასაც ღუპავთ!“ – იტყოდა და დაუჯერებდნენ. ერთადერთი, ვინც ორივე მხარეს აფრთხილებდა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იყო, თუმცა პატრიარქს ოპოზიცია არ უსმენდა, ხელისუფლება კი დაუფარავად ებრძოდა – მთავარ მტრად, აგენტად და მოღალატედ მიაჩნდა.

მომიტინგეთა ნაწილი პროტესტის გასაგრძელებლად იმ ღამეს რუსთაველზე დარჩა. ზოგი მანქანაში იჯდა, ზოგი იქვე, „ალექსანდრეს ბაღსა“ და „მხატვრის სახლს“ შორის დანთებულ ცეცხლთან თბებოდა.

22 დეკემბერს, წლის ყველაზე გრძელ – ზამთრის მზებუდობის ღამეს, დიდი ხნის განმავლობაში პირველად, საკუთარ სახლში ღრმა ძილით მეძინა.

დილის 7:28 საათზე რუსთაველზე ვიღაც უცნობმა პირველი ტყვია გაისროლა.

დილის რვის ნახევარი იქნებოდა, როდესაც გამაღვიძეს და სამოქალაქო ომის დაწყება მამცნეს. გიჟივით წამოვხტი, ტანსაცმელს გზადაგზა ვიცვამდი და რამდენიმე წუთში საჭესთან ვიჯექი. სროლის ხმა რუსთაველიდან ისნამდე აღწევდა. ხელთ მხოლოდ ერთი პისტოლეტი „სტეჩკინი“ მქონდა. რვა საათზე უკვე „ალექსანდრეს ბაღთან“ ვიყავი, მანქანა იქვე დავტოვე და მოკლე გზით გავიქეცი. ხუთ წუთში სასტუმრო „თბილისთან“ ვიდექი და საშინელ სურათს შევცქეროდი.

პირველი ტყვია უკვე ნასროლი იყო, პირველი სისხლი – დაღვრილი. უზენაესი საბჭოს შენობიდან ტყვიების წვიმა მოდიოდა. „მხატვრის სახლის“ მიმდებარედ რამდენიმე ცხედარს მოვკარი თვალი. ერთ-ერთი მათგანი რუსთაველი მომიტინგე სოსო გელიაშვილი იყო. როგორც მითხრეს, კოცონთან მჯდარს, ნახევრად მძინარეს მოხვედროდა ტყვია. პირდაპირ სასტუმრო „თბილისის“ წინ იწვა ტყვიით მძიმედ დაჭრილი მამუკა ბერძენიშვილი, რომელსაც ეროვნული გვარდიიდან ვიცნობდი. ფოსტის წინ მდგარ მანქანაში უგონოდ იჯდა პირველი არხის ჟურნალისტი თინიკო გოგუაძე, მას ტყვია თავში მოხვედროდა. „მხატვრის სახლთან“, თავისივე მანქანაში სისხლისგან იცლებოდა ბარძაყში დაჭრილი, გვარდიიდან შეძენილი მეგობარი ზაზა ჩაჩუა. კიდევ ერთ დაცხრილულ მანქანაში იწვა დაჭრილი გია ხეჩიაშვილი, რუსთაველი სტუდენტი (შემდგომში 2003-2008 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი და მინისტრი). სამივეს მძინარეს მოხვედროდა ტყვია. კედლებსა და ხეებს ამოფარებული სამხედრო თუ სამოქალაქო პირები მათთან მისვლას და გამოყვანას ცდილობდნენ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ. აქა-იქ თითო-ოროლა ადამიანის გზაზე გადარბენის საპასუხოდ 2-3 ავტომატის გასროლის ხმა აქეთა მხრიდანაც ისმოდა.

გაფითრებული თენგიზ სიგუა პირად დაცვასთან ერთად სასტუმრო „თბილისის“ ქვედა კუთხეს აფარებდა თავს. უკვე ვეღარც იქით, უზენაესი საბჭოს შენობაში მყოფი პრეზიდენტი აკონტროლებდა ვითარებას და ვეღარც აქეთ, სასტუმრო „თბილისს“ შეფარებული ოპოზიციის ლიდერი.

თვითმხილველებისგან იმის გარკვევას ვცდილობდი, რა მოხდა. დღემდე უცნობია, სინამდვილეში როგორ დაიწყო და ვინ ისროლა პირველი ტყვია. სად იყო შსს?! ცოცხლად გადარჩენილი მომიტინგეები ხელს ხელისუფლების მომხრეების-

კენ იშვერდნენ. როგორც მითხრეს, სროლამდე ცოტა ხნით ადრე უზენაესი საბჭოს შენობიდან შსს-ს ქალაქის მთავარი სამმართველოს უფროსისა და თბილისის კომენდანტის, აღელვებული რომან გვენცაძის გამოსვლას და მომიტინგეთა გაფრთხილებას, ხალხო, სასწრაფოდ წადით აქედან, მალე აქ სროლა ატყდებაო, ნინ უსწრებდა ხელისუფლების მომხრეებს შორის ხმამაღალი საუბარი და კამათი უზენაესი საბჭოს ეზოში. ხმა გამოვიდა, რომ ხელისუფლებასთან დაახლოებული არაუფლებამოსილი პირები მილიციისა და გვარდიისაგან მიტინგის დაშლას სამხედრო ძალის გამოყენებით მოითხოვდნენ.

არც ეროვნული ხელისუფლების მომხრეები ამბობენ, როგორ დაიწყო ომი, ვინ ისროლა პირველი ტყვია და ზოგადი ახსნით შემოიფარგლებიან: ხუნტა დაგვესხა თავს და ცეცხლი გაგვიხსნაო.

იმ დილით ქალაქის მთავარი მილიციელი, ვისაც უკანონობის აღკვეთა ევალებოდა, უზენაესი საბჭოს ეზოში, კიბეებთან საეჭვო ვითარებაში დაჭრეს. ეს ამბავი ბრმა ტყვიას დაპბრალდა, თუმცა დღემდე არსებობს ეჭვი, რომ ფეხში მოხვედრილი ის ტყვია „ბრმა" სულაც არ ყოფილა. სავარაუდოდ, იქ რაღაც დაპირისპირება მოხდა, თუმცა მაშინვე საგულდაგულოდ მიჩქმალეს. ფაქტია, რომ ამ ინციდენტის შემდეგ ქალაქის მილიციამ პროტესტის ნიშნად უარი განაცხადა სამოქალაქო ომში ჩართვაზე და ხალხისთვის სროლაზე, მეტიც, უარი თქვა საკუთარი პროფესიული მოვალეობის შესრულებაზე და დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს შეატოვა.

ნამითაც არ ვუშვებ, რომ პირველი გასროლა უმაღლესი ხელისუფლების მითითებით მოხდა. დაბეჯითებით ვერც იმას ვიტყვი, რაც საკუთარი თვალით არ მინახავს - რომ პირველი ტყვია ხელისუფლების მომხრემ გაისროლა, თუმცა ამ სროლის შედეგად გარდაცვლილ და დაჭრილ მომიტინგეთა ხილვა აშკარას ხდიდა, რომ ვიღაცას ნერვებმა უმტყუნა და სასხლეტს გამოჰკრა ხელი, ისევ ხელისუფლების საზიანოდ, იქნებ განზრახაც – ვინ იცის?!

■

შეძრწუნებული ვუყურებდი და თვალებს არ ვუჯერებდი: ქართველები ერთმანეთს ესროდნენ!

ის, ვისაც კანონის აღსრულება და წესრიგის დაცვა ევალებოდა, უარს აცხადებდა საკუთარი მოვალეობის შესრულებაზე.

იმწუთას იქ რომ არ ვყოფილიყავი და ეს ყველაფერი ჩემი თვალით არ მენახა, აზრადაც არ გავივლებდი ნიქოზიდან ბიჭების თბილისში ჩამოყვანას.

მე იქ მართალი ვერ დავინახე, მტყუანისაგან ვერ გავარჩიე. ვხედავდი მთავრობის სახლიდან ხელისუფლების მომხრეთა მიერ ნასროლი ტყვიებით დაღვრილ სისხლს, შუა რუსთაველზე დახოცილ ნაცნობებს თუ უცნობებს, მათ შორის, ჩემს მეგობრებს, გვარდიის შექმნის პირველი დღიდან ერთად რომ ვიდექით; მძიმედ დაჭრილებს, რომელთა გამოყვანასაც სასწრაფო დახმარების მანქანებიც კი ვერ ახერხებდნენ.

სახელისუფლებო ძალა თავისზე სუსტს და დაუცველს ესროდა და შემკავებელიც არავინ ჩანდა.

პირველი, რაც გავაკეთე, სამაჩაბლოდან ჩემი რაზმი გამოვიძახე, ზუსტად რისთვის, ეს ჯერ თავადაც არ ვიცოდი.

ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ რუსთაველზე გაჩაღებული სროლა მალე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გადაიზრდებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დაპირისპირებულთა შორის არჩევანის გაკეთება მომიწევდა. ცხადია, ორივე მხარეს აინტერესებდა, რა გადაწყვეტილებას მივიღებდი.

ხელისუფლების მხარეს თუ დავდგებოდი, საკუთარი თავისა და მეგობრების უარმყოფელი ვიქნებოდი, ოპოზიციის მხარეს თუ დავდგებოდი – ხელისუფლების მოღალატე. სულერთი იყო, რომელ მხარესაც არ უნდა დავმდგარიყავი, მოწინააღმდეგე მხარე მაინც ღალატად შეაფასებდა. ხელისუფლებასთან ერთხელ უკვე გაჭირვებით აღდგენილი ხიდის ხელახლა ჩატეხაც მიმძიმდა, თუმცა არც ჩემი მეგობრების წინააღმდეგ წასვლა მსურდა.

ოპოზიციასთან ერთად თუ გავიმარჯვებდი, პუტჩის თანამონაწილე და პუტჩისტი ვიქნებოდი, მაგრამ რა დაერქმეოდა სახელისუფლებო ძალის მხარდამხარ თანამოქალაქეების დაღვრილი სისხლით მოპოვებულ გამარჯვებას? როგორ შეაფასებდა ისტორია? როგორც პუტჩისტებსა და მოღალატეებზე იარაღით მიღწეულ გამარჯვებას, ერთი მუჭა ავანტიურისტების, ვიწრო რეაქციული ჯგუფის ამბოხის ჩახშობას, თუ როგორც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილ სამხედრო დანაშაულს? ხელისუფლების დამცველი, ვინ ვიქნებოდი – გმირი თუ სამხედრო დამნაშავე?

ხელისუფლებას იარაღით პოლიტიკური მიზნის მიღწევის თუნდაც მცირე შანსი რომ ჰქონოდა, ჩემი 20-კაციანი რაზმის გარეშეც საკმარისი ძალა ჰყავდა. იქ, უზენაესი საბჭოს ეზოში შეკრებილი იყო სხვადასხვა ოფიციალური (გვარდიისა და სოხუმის მილიციის) თუ არაოფიციალური შეიარაღებული ფორმირება. ამას თუ დავუმატებთ სამთავრობო დაწესებულების შენობებში თუ შინაგანი ჯარის ბაზებზე და სტრატეგიულ ობიექტებზე გამაგრებულ ჯგუფებს, მათ შორის, სვანებს, „თეთრ გიორგის“, სამაჩაბლოელებსა და სხვებს, გაცილებით მეტნი იყვნენ.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ რას მოიმოქმედებდა ხელისუფლება: საკუთარ მხარდამჭერთა რიგებიდან გამოავლენდა მას, ვინც პირველად ისროლა, ახლად გაჩაღებულ ცეცხლს მყისიერად ჩააქრობდა, მოწინააღმდეგე მხარეში განსხვავებული აზრისა და პოზიციის მქონე თანამოძმეს დაინახავდა და დაუყოვნებლივ მოლაპარაკებებზე მიიწვევდა, თუნდაც უკიდურესი დათმობების ხარჯზე გამოსავალს მოძებნიდა და ამით ქვეყანასაც გადაარჩენდა და საკუთარ თავსაც, თუ პოლიტიკურ ოპონენტებსაც პუტჩისტებად და მოღალატეებად შერაცხავდა და საკუთარ მომხრეებს კანონიერი ხელისუფლების დასაცავად, თუნდაც უგუნური ოპოზიციის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა, რაც სამოქალაქო ომის გარდაუვალ დაწყებას ნიშნავდა.

ომის შემთხვევაში, ვისი მხარეც არ უნდა დამეკავებინა, ბრძოლაში ჩართვამდეც უკვე დამარცხებული ვიყავი – ან პუტჩისტი ვიქნებოდი, ან სამხედრო დამნაშავე.

იქნებ ჯობდა კიდეც, საერთოდ არ ჩავრეულიყავი და გვერდიდან მეცქირა, მაგრამ ამ ნაბიჯს ორივე მხარე ღალატად ჩამითვლიდა და ვერც საკუთარ თავს ვუშველიდი და ვერც ქვეყანას.

ასეთი ფიქრებით მივედი სახლიდან ფილარმონიამდე, სანაპიროს გავლით. იქ უკვე ნიქოზიდან ჩამოსულები შეკრებილიყვნენ. ჩემს მოადგილეს რაზმში შემორჩენილი ათამდე პირველი გაწვევის რიგითის კინოთეატრ „ამირანთან“ დატოვება დავავალე, მე კი უფროსი ოფიცრების თანხლებით სხვების დასახმარებლად სასტუმრო „თბილისისკენ“ გავემართე.

პროსპექტის გასწვრივ, ჩაყოლებაზე, ფეხით მოსიარულეთა სავალ ნაწილზე უამრავი ადამიანი იყო შეკრებილი. ზოგი სეირის საყურებლად მოსულიყო, ზოგი ხელისუფლებისგან „სუკ-ის აგენტებად“ და „მოღალატეებად“ შერაცხილ ოპოზიციას თანაუგრძნობდა. მედროვეებმა ზურგის ქარი იგრძნეს და ერთი სული ჰქონდათ, რამე ეხეირათ.

იდგნენ „იმელის“ შენობასთან, მაღაზია „დინამოსთან“, ოპერასთან, „ლაღიძის წყლებთან“, „ციცინათელასთანაც“, თეატრალურ ინსტიტუტთან, რუსთაველის თეატრთან, სასტუმრო „თბილისთან“... იდგნენ ლესია უკრაინკას ქუჩის ასახვევამდე. იმის იქით აღარავინ მიდიოდა.

როგორც საფეხბურთო გუნდი თამაშის დაწყებამდე – ხალხით გავსებულ სტადიონზე, ისე მივაბიჯებდით ტაშისა და ხმამაღალი შეძახილების თანხლებით. ჩამოსვლისთვის მადლობას გვიხდიდნენ და გვაქებდნენ, გვამხნევებდნენ და გვაქეზებდნენ.

დღის პირველი საათი იქნებოდა, როდესაც სასტუმრო „თბილისს“ მივადექით. სროლა გაცილებით უფრო გახშირებულიყო, ვიდრე გამთენიისას. ტყვიები დაფრინავდა სასტუმროსა და უზენაესი საბჭოს შენობას შორის. ესენი უზენაესის შენობას ესროდნენ, ისინი – სასტუმრო „თბილისის“ მიმდებარე შენობებს, „მხატვრის სახლს“, ფოსტას... ქაშვეთის ეკლესიასაც.

უზენაესი საბჭოს შენობაში გამაგრებულებს ქაშვეთის სამრეკლოზე სნაიპერები ეჭვნებოდათ და მათ ჩამოსაგდებად ტაძარს უშენდნენ ტყვიებს.

ორი ათეული იარაღიდან საპასუხოდ ბრმად ნასროლი ტყვიები უზენაესის შენობას ხვდებოდა. ისროდნენ თვალდახუჭულნი. თითქოს სამარცხვინო რეალობას თვალს ვერ უსწორებდნენ. უკვე მეექვსე საათი დაიწყო, რაც პირველი ტყვია გავარდა, პასუხისმგებლობის გრძნობა და საღი აზრი კი კვლავ არსად ჩანდა.

ისევ გზაგასაყარზე ვიყავი. ან იქით, უზენაესის ეზოში უნდა შევსულიყავი და ხელისუფლების მომხრეთა რიგებს შევერთებოდი, ან აქეთ, სასტუმრო „თბილისის“ მიმდებარე ქუჩებზე შეფარებულ ხალხსა და უზენაესიდან მსროლელებს შორის ჩავმდგარიყავი.

იქ, სადაც ტყვიები დაფრინავენ, ფიქრისთვის დრო და ადგილი აღარ რჩება, მხოლოდ ინსტინქტები მოქმედებს. ჩვენი გადაწყვეტილებები და აღქმები სწორედ გარემოსა და სიტუაციაზეა დამოკიდებული. საკუთარი გადმოსახედიდან ისინი კანონიერად არჩეულ ხელისუფლებას იცავდნენ, ოპოზიციის გადმოსახედიდან – ხელისუფლების მომხრეები ხალხის მისამართით ისროდნენ.

მე იქიდან ნამოსულ ტყვიებს ვხედავდი, ხელისუფლების მომხრეების მიერ ნასროლს. დილით ნანახით გაოგნებულმა და შუადღისას ხალხის ტაშით გონებადაბინდულმა ხალხის მხარეს დგომა ვარჩიე.

გონს მოსვლაც ვერ მოვასწარით, რომ ჩვენი შემადგენლობიდან ერთი კაცი დავკარგეთ. უზენაესი საბჭოდან გამოსროლილ ტყვიას ქუთაისის გვარდიელი გია რობაქიძე ემსხვერპლა. იმ ადამიანებმა ესროლეს და სასიკვდილოდ გაიმეტეს, რომლებსაც ჯერ არც კი მტრობდა. მის გამოსაყვანად სატვირთო მანქანას ამოფარებული ოთხი „თეთრარწიველი“ ერთმანეთის მიყოლებით დაიჭრა და ისე გააქანეს საავადმყოფოში, რომ ტყვიის გასროლაც ვერ მოასწრეს.

სიმწრისგან ტუჩებს ვიკვნეტდი. საკუთარ თავს ვერ ვპატიობდი, რომ ნიქოზიდან ჩამოვედით და დაპირისპირებაში ჩავერთეთ.

დღის 4 საათისათვის, სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა აქტიურობით, როგორც იქნა, ცეცხლი თითქოს შეწყდა. ხელისუფლებასა და ამბოხებულებს შორის მოლაპარაკება დაიწყო. მოლაპარაკებებზე ხელისუფლებას ვალტერ შურღაია და ბესო ქუთათელაძე წარმოადგენდნენ, ოპოზიციას – თენგიზ სიგუა და მისი გარემოცვა.

ჯერ კიდევ იყო შანსი, საღი აზრისთვის მოეხმოთ და შერიგების გზა მოეძებნათ. ავტომატის ტყვიას და ჩარბაზნის ჭურვს ეს სჯობდა. თუ ცოტ-ცოტას ორივე მხარე დათმობდა, იარაღიან ხალხს იქაურობას განარიდებდა და მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდებოდა, იქნებ საერთო ენაც გამოენახათ და მანამ ეპოვათ გამოსავალი, ვიდრე გარე ძალა თავის ფავორიტს ამოირჩევდა და სასწორს მის სასარგებლოდ გადაწონიდა.

მოლაპარაკება დახურულ კარს მიღმა ნახევარ საათს გაგრძელდა. სატელეფონო საუბარიც შედგა. მე მოლაპარაკებაზე ვინ დამასწრებდა ან საუბრის შინაარსი საიდან მეცოდინებოდა?! ისევ მათ მიერ გაკეთებული განცხადებებიდან ვიცი.

– პრეზიდენტი უნდა გადადგეს! მან თანამოძმეზე ხელი ასწია! – გაშმაგებული სიგუას სიტყვებში ოპოზიციონერი პოლიტიკოსების განწყობა იკითხებოდა. სხვა რა უნდა იყოს ოპოზიციის ლიდერების მოთხოვნა, როცა ხელისუფლება მომიტინგეების მისამართით ტყვიის სროლას დაუშვებს და მომენტალურად არ აღკვეთს?!

ფაქტია, მიტინგებით მართული პროცესები ხელისუფლებას კონტროლიდან გაექცა. უმთავრესი სახელმწიფო ინსტიტუტი – შსს-ც თვალსა და ხელს შუა ჩამოეცალა.

– გთხოვთ, გაიყვანეთ სამხედროები! – ლამის იხვეწებოდა ვალტერ შურღაია, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულებს შორის ვითარების განმუხტვას ცდილობდა, უკვე მერამდენედ.

იარაღიან ხალხს ამჯერადაც რომ დაეტოვებინა იქაურობა, როგორც სამი თვით ადრე – ტელევიზიის მიმდებარე ტერიტორია, სამწუხაროდ, ამით პოლიტიკური კრიზისი მაინც ვეღარ განიმუხტებოდა, ვერც ხელისუფლება გაექცეოდა მომიტინგეების მისამართით დილიდან გახსნილი ცეცხლისა და უკვე დაღვრილი სისხლისთვის პასუხისმგებლობას. ამით ვერც ახალ საპროტესტო ტალღას შეაჩერებდა, პირიქით, იმაზე გაცილებით დიდ პროტესტს მიიღებდა, ვიდრე ნოემბრის ბოლოს, სამაჩაბლოში ჩემს წასვლამდე იყო ანდა 21 დეკემბერს, უკან დაბრუნებისას დამხვდა. ხელისუფლება უკვე მაშინ დამარცხდა, როცა მშვიდობიანი წინააღმდეგობა შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

– ქართველებმა ერთმანეთს არ უნდა ვესროლოთ! არ შეიძლება ამის დაშვება! – ორივე მხარის გასაგონად დაჟინებით იმეორებდა საჩხერის გვარდიის მეთაური და, ამავე დროს, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბესო ქუთათელაძე, რომელიც მთაწმინდაზე ტელეანძას იცავდა საჩხერელთა რაზმთან ერთად, მაგრამ ვინ უსმენდა?! კვლავ ხისტი იყო ხელისუფლების მომხრეთა მიდგომა: „ეს იყო პუტჩი, პუტჩისტების მიერ დაწყებული სამხედრო ამბოხი. კანონიერი ხელისუფლების დამხობის მცდელობა!“ – ამბობდნენ ისინი. ნათლად ჩანდა, რომ არანაირ დათმობაზე წასვლას არ აპირებდნენ.

ხელისუფლების მომხრე პოლიტიკური ლიდერები მოლაპარაკებების პარალელურად მოსახლეობას კომუნიკაციის ერთადერთი საშუალებით – რადიოთი მიმართავდნენ, რომ ხუნტა თავს დაესხა კანონიერ ხელისუფლებას და საკუთარ მომხრეებს პრეზიდენტის დაცვისკენ მოუწოდებდნენ. განსაკუთრებით სულისშემძვრელი იყო ერთ-ერთი მხარდამჭერის, გურამ პეტრიაშვილის მიმართვა-მუქარა „პუტჩისტებისადმი“: „მოგელანდებით!“

დღემდე არ წყდება კამათი, რომელმა მხარემ მეტი დააშავა და ვის ეკისრება მეტი პასუხისმგებლობა, ნაცვლად იმისა, რომ გავაანალიზოთ, ვის რა ნაბიჯი უნდა გადაედგა სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად და რა გააკეთა ან არ გააკეთა საამისოდ.

ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლას ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, ცხადია, სამხედრო ამბოხების კვალიფიკაციაც ეძლევა, რასაც კანონიერად არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღის გამოყენების ფაქტიც ადასტურებს. თუმცა მოვლენების შეფასებისას რა არგუმენტსაც არ უნდა იშველიებდნენ, იმ მწარე სინამდვილისთვის, რაც რუსთაველზე უკვე მომხდარი იყო, ხელისუფლებას თვალი უნდა გაესწორებინა. უმიზეზოდ არაფერი ხდება, ადამიანები ქუჩაში ტყუილუბრალოდ არ გამოდიან და არც ომი იწყება. ხალხის პროტესტი ცხადყოფდა, რომ მიზეზი საკმარისზე მეტი დაგროვდა.

ხელისუფლების გამოუცდელობითა და ოპოზიციის სიჯიუტით უკიდურეს დაძაბულობამდე მიყვანილი სამოქალაქო დაპირისპირება სასწრაფოდ მოითხოვდა პოლიტიკური ფორმით განეიტრალებას. მას შემდეგ, რაც საბედისწერო გასროლა მოხდა, რასაც მშვიდობიანი მომიტინგეების სიცოცხლე ემსხვერპლა, ყველა არგუმენტმა აზრი დაკარგა. პროცესების კანონის ჩარჩოებში დასაბრუნებლად ხელისუფლება უკიდურეს კომპრომისებზე უნდა წასულიყო, თუნდაც პრეზიდენტის გადადგომასა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნაზე.

თუ ეს მართლაც ვიწრო წრის მიერ შეთქმულებით მიღწეული გადადგომა იქნებოდა, პრეზიდენტი დროებით დათმობდა უფლებამოსილებას, რადგან ძალაუფლებას არჩევნებითვე მალევე დაიბრუნებდა. ამგვარი კომპრომისი ნამდვილად ღირდა ძმათა შორის სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად, სანამ დაპირისპირება სამოქალაქო ომში ჯერ კიდევ არ გადაზრდილიყო!

სამოქალაქო ომი დაპირისპირების უკიდურესი ფორმაა და მის პოლიტიკურ მიზანსა და ამოცანას, ერთი მხრივ, ძალაუფლების შენარჩუნება, მეორე მხრივ კი, არსებული პოლიტიკური კლასის შეცვლა წარმოადგენს. სამოქალაქო ომი არ არის ომი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებსა და უკანონო სამხედრო ფორმირებებს შორის. მასში ორივე მხრიდან მონაწილეობენ მოსახლეობის მიერ შექმნილი შეიარაღებული ჯგუფები, ამიტომ ის ნაკლებად ექვემდებარება რაიმე წესსა და კანონს.

როგორც ისტორია გვიჩვენებს, სამოქალაქო ომი განსაკუთრებული სისასტიკით ხასიათდება, რადგან მასში გამარჯვების მიღწევა თითოეული მონაწილისათვის თვითგადარჩენის ერთადერთ გზას წარმოადგენს. მისი სიმძიმე კი, როგორც წესი, ყოველთვის მშვიდობიან მოსახლეობას აწვება ტვირთად და უპირველესი მსხვერპლიც დაუცველი მოქალაქე ხდება.

ისტორიას არაერთი სამოქალაქო ომი ახსოვს – საფრანგეთში, ინგლისში, ესპანეთსა თუ სხვა ქვეყნებში და, როგორც წარსულის გამოცდილება გვასწავლის, სამოქალაქო ომში მიღებული ჭრილობების ბოლომდე მოშუშებას რამდენიმე თაობის ძალისხმევა სჭირდება.

საქართველოში სამოქალაქო ომს „ძმათა შორის ომად" მოიხსენიებენ.

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ფურცელი 1626 წლის 3 ოქტომბერს ბაზალეთის ტბასთან გამართული ბრძოლაა. იმ ავბედით დღეს ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-ისა და გიორგი სააკაძის მომხრეები შეებნენ ერთმანეთს. თითქოს მიზანიც ამაღლებული ჰქონდათ – საქართველოს გაერთიანება, თუმცა როგორი კეთილშობილურიც არ უნდა ყოფილიყო მიზანი, მისი მიღწევის გზისა და საშუალებების მართებულობაზე ყველაზე უკეთ იმ ბრძოლის შედეგი

მეტყველებს: დღის ბოლოს, ბრძოლის დასრულების შემდეგ, ათი ათასამდე ქართველის ცხედრით იყო მოფენილი ქართული მიწა. იმ დღეს საქართველოს მეფემ თვით საქართველო დაამარცხა!

ისტორია მეორდებოდა, იგივე ბედი ელოდა მას, ვინც გაიმარჯვებდა: ხელთ შერჩებოდა დამარცხებული, დათრგუნული და წელში გატეხილი საქართველო.

აი, ამიტომ უნდა შეეჩერებინათ პოლიტიკოსებს დაპირისპირება – არა ჩემთვის, არა ამბოხებულებისთვის, არამედ ისევ ქვეყნისთვის, ხალხისთვის, თუნდაც საკუთარი თავისთვის. მით უმეტეს, რომ ისტორია კარგად იცოდნენ და წარსულის მწარე გამოცდილებაზეც ალბათ ბევრი ექნებოდათ ნაფიქრი.

ასეთ უკიდურესად გამწვავებულ ვითარებაშიც კი ვერ მიხვდნენ, რომ მთავარი იყო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება. ნაცვლად ამისა, მოლაპარაკებისთვის გამართულ შეხვედრაზე ყველაფერზე ისაუბრეს: პუტჩზე, აჯანყებაზე, რევოლუციაზე... ყველაფერზე, შვიდობიანი თანაცხოვრების მიღწევის რეალური გზების გარდა. საბოლოოდ კი იცით, რაზე შეთანხმდნენ?! – დილის 8 საათამდე ცეცხლის შეწყვეტაზე! ერთი სიტყვით, ბრძოლა დილამდე გადადეს და დროებით დაიშალნენ. ამით ტყვიის გასროლამდე მიყვანილ პოლიტიკურ დაპირისპირებაში მტყუანმართლის გარკვევა ჩვენ, ვითარების მძევლად ქცეულ სამხედროებს შეგვატოვეს.

ისტორიის გადმოსახედიდან ეს ყველაფერი დავიწყებას მიეცა. პასუხისმგებლობები და მოვალეობები გაქრა, დაიკარგა... დარჩა ერთადერთი იარლიყი: თითქოს „ხუნტა“ კანონიერ ხელისუფლებას თავს დაესხა და ცეცხლი გაუხსნა.

18:00 საათიდან რუსთაველზე მოძრაობა ნაწილობრივ აღდგა. უამრავი ცნობისმოყვარე ისე ნება-ნება დააბიჯებდა დედაქალაქის მთავარ პროსპექტზე, თითქოს სულ ცოტა ხნის წინ იქაურობა სისხლით არ ყოფილიყო მორწყული.

ვითარების მართვა კვლავ ხელისუფლების მოვალეობად რჩებოდა. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, ჩამოშლილ შსს-ს ისევ უნდა დაეწყო ფუნქციონირება საკუთარი უფლებამოსილების შესაბამისად.

ძნელი მისახვედრი აღარ იყო, რომ ყოველთვის მშვიდობისთვის მოწოდებული შს მინისტრისათვის ორიოდე დღით ადრე „ცრემლსადენი გაზით მოწამვლა“ მხოლოდ საბაბს წარმოადგენდა. სინამდვილეში იგი იმ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას გაურბოდა, რასაც მისგან ცალკეული არაუფლებამოსილი პირები ითხოვდნენ.

მინისტრს ქალაქის მილიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმაც მიბაძეს და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე უარი განაცხადეს. ამგვარი პოზიციის გამო პუტჩის თანამონაწილეებად მათი შერაცხვა, მოღალატეებად გამოცხადება და ა. შ. უფრო იოლი იყო ხელისუფლებისთვის, ვიდრე ამ გადაწყვეტილების რეალური მიზეზების სიღრმისეული ანალიზი (ვინ ისროლა პირველმა, ვინ დაჭრა რომან გვენცაძე, ვინ იყო პროვოკატორი და ა. შ.).

2 სექტემბრიდან მოყოლებული, როდესაც ხელისუფლების ბრძანებით „კინოს სახლთან“ მოუწიათ მშვიდობიანი მიტინგის დარბევა, რასაც მისი ორი მონაწილის დაჭრა მოჰყვა (მაშინ ეს მომიტინგეთა ლიდერებსა და ქალაქის სამმართველოს უფროსს დაბრალდა, აგრეთვე, „სუკ-ის აგენტებს“, მათ მიერ დაგეგმილ და წახალისებულ პროვოკაციად შეფასდა), ქართველი მილიციელები მორჩილად ასრულებდნენ ყველა ბრძანებას – მიტინგსაც უსიტყვოდ შლიდნენ და მომიტინგეთა ცემასაც არ ერიდებოდნენ.



რუსთაველის გამზირი

ეს იყო დამღლელი, უწყვეტი, დაუსრულებელი ორმხრივი მიტინგების ოთხი თვე. დაპირისპირების ტალღა სულ უფრო და უფრო მატულობდა. 22-ში დილით გახსნილი ცეცხლი და ყველასთვის პატივსაცემი კაცის, რომან გვენცაძის დაჭრა მილიციისთვის ბოლო წვეთი აღმოჩნდა, რომ ხელისუფლების მოწოდებით სამოქალაქო დაპირისპირებაში მონაწილეობაზე უარი ეთქვა. ეს იყო ყველაზე გამართლებული მცდელობა, იქნებ პოლიტიკოსები შეეჩერებინათ.

ნაცვლად იმისა, რომ ისევ შსს-სა და ქალაქის მილიციისთვის ეთხოვათ, შუაში ჩამდგარიყვნენ და სროლა არ დაეშვათ, ხელისუფლების მომხრეები გადაჯგუფდნენ და პიონერთა სასახლესა და პირველ სკოლაში დაიკავეს პოზიციები.

სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ცალკეული ოფიციალური თუ არაოფიციალური გასამხედროებული ორგანიზაციის წევრები იქაურობას რიგრიგობით ტოვებდნენ. მათ შორის აღმოჩნდნენ ჩემი მეგობარი „თეთრგიორგელებიც“.

საღამოვდებოდა, როდესაც საიდანღაც „კრიალა“, გიო და „კიტა“ გამოჩნდნენ. გულისნადების გამხელა სურდათ. ლაპარაკისას გიო და „კიტა“ თვალს ვერ მისწორებდნენ. უჭირდათ იმის თქმა, რომ ძმათა შორის ომში ჩართვას არ აპირებდნენ. „კრიალა“ კვლავ რჩებოდა პრეზიდენტის მომხრედ და მხარდამჭერად, გმობდა ოპოზიციის მოქმედებებს, თუმცა ხელისუფლების მოწოდებით ქართველებისთვის იარაღის დამიზნებას მაინც არ აპირებდა. როგორც მეგობარი, გადაწყვეტილებას არ მიწონებდა და მეც იმავეს მირჩევდა. მოსკოვში გამგზავრება გადა-

ეწყვიტათ, რათა არ ენახათ ის საშინელება, რაც რუსთაველის პროსპექტზე იყო მოსალოდნელი. თითქოს წინასწარ იცოდნენ, რომ დროებით შეჩერებული სროლა დილიდან აუცილებლად განახლდებოდა.

აი, ის სამი ბიჭი მიხვდა, რომ ეს დაპირისპირება სამოქალაქო ომში გადაიზრდებოდა, სხვები კი, ასაკით მათზე ბევრად უფროსები, ვისაც მეტი მოეთხოვებოდა – ვერა.

ისევ ასცდა ჩვენი გზები ერთმანეთს. აქამდე „კრიალა“ და „კიტა“ იყვნენ თბილისში ურთიერთსაპირისპირო მხარეს და მე ვსაყვედურობდი, მანდ რატომ ხართ მეთქი. როლები შეიცვალა: ისინი იქაურობას ტოვებდნენ, მე კი წასასვლელი არსად მქონდა. მოსკოვში წასვლა არ მინდოდა, წინა დღით ბრძოლაში ჩართულს კი, აღარც ხაბულიანის მფარველობის ქვეშ დაბრუნების იმედი უნდა მქონოდა.

თითქოს თვითონაც დარწმუნდნენ, რომ ისევ აქეთ მხარეს ვიდექი, მაგრამ კიტოვანთან დაახლოებულ რამდენიმე გვარდიელს და სამოქალაქო პირს საუბრისას უნდობლობას ვამჩნევდი. თბილისის ზღვის დატოვებას არ მივიწყებდნენ. როგორც კი მოლაპარაკებიდან გამოსულმა ბესომ შემომთავაზა, ბიჭების სანახავად ხომ არ წამოხვალო, მთაწმინდაზე დაუფიქრებლად გავყევი. ერთ წელზე მეტი იქნებოდა, ერთმანეთი არ გვენახა. ძველი დრო გავიხსენეთ, ქეიფი, გართობა და სხვა თავგადასავლები, თუმცა უნდობლობა იქაც იგრძნობოდა, მაინც სხვადასხვა მხარეს ვიდექით.

დაღამებამდე მათთან დავრჩი. თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც სასტუმრო „თბილისში“ დავბრუნდი. ფოიეში არავინ ჩანდა. ყველა ნომრებში იყო შეკეტილი. მეთაურები და ისინი, ვისაც სიტყვა ეთქმოდა, სასტუმროს მეოთხე სართულზე, სიგუასა და კიტოვანის აპარტამენტებში შეკრებილიყვნენ.

კიბეზე გვარდიის შტაბის უფროსი შემხვდა, რომელიც ხელმძღვანელობის თხოვნით თავისუფლების მოედანზე, ვაჟა ადამიას შტაბში მიდიოდა სროლის განახლების შემთხვევისათვის კოორდინირებული გეგმის შესამუშავებლად.

როდესაც გავიგე, რომ ჩემთან ერთად ნიქოზიდან დაბრუნებული ქუთაისელები მარცხენა ფლანგზე გადაესროლათ, მათ სანახავად მეც გავყევი.

ღამის 12 საათი იქნებოდა, მათთან რომ მივედით. იქ, სადაც დღეს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტის“ შენობაა, მეორე სართულზე ვაჟა ადამიას გასამხედროებულ რაზმს მოეწყო შტაბი. უამრავი ხალხი ირეოდა, ძირითადად, „კოსტავას საზოგადოების“ წევრები, ნაწილი ავტომატებით შეიარაღებული, ნაწილი უიარაღოდ. ვაჟა ადამიას იმ დღეს პირველად შევხვდი. მგონი, მას შემდეგაც აღარ მინახავს. საუბრისას ცოტა უჩვეულოდ ვგრძნობდი თავს, რადგან ადამიას აქამდე პრეზიდენტის ყველაზე ერთგულ თანამოაზრედ და კიტოვანის შეურიგებელ მოწინააღმდეგედ ვიცნობდი. პირველად სწორედ იმ დღეს ჩავწვდი პოლიტიკის მთელ ცინიზმს: გუშინდელი მოწინააღმდეგე ხვალ შეიძლება შენს მეგობრად და მოკავშირედ იქცეს, ხოლო მეგობარი დაუძინებელ მტრად მოგეკიდოს. ცოტა ხნის წინ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას უერთგულესი მეგობარი მის ლამის ყველაზე რადიკალურ მოწინააღმდეგედ ქცეულიყო. მან თბილისის ზღვაზე დაყენებული ზარბაზნისთვის ჭურვების მიწოდებაზე მზადყოფნა გამოთქვა და რჩევაც მიაყოლა, ცეცხლის განახლების შემთხვევაში ჭურვების სროლა არ უნდა გაჩერდესო.

თათბირი სულ რაღაც ოც წუთს გაგრძელდა.

■

იმ დროისთვის გაურკვეველი იყო „მხედრიონის“ პოზიცია. სასტუმრო „თბილისის“ ჰოლში სულ რამდენიმე „მხედრიონელი“ ტრიალებდა. წუხდნენ, ჯაბა რომ არ დავიხსნათ, „კაგებეს“[109] იზოლატორში მოკლავენო და პოლიტპატიმართა გამოხსნას გეგმავდნენ.

22 დეკემბერს სასტუმროში ჯაბა იოსელიანის შვილი, კოტე იოსელიანი მოვიდა, მამის გასათავისუფლებლად დახმარება ითხოვა და თანხმობაც მიიღო, თუმცა მოგვიანებით კოტემაც და რუსთაველზე მყოფმა სხვა „მხედრიონელებმაც“, ჯაბას მოკვლის შიშით, ციხიდან გამოხსნის ოპერაციაში და, საერთოდ, ბრძოლაში მონაწილეობისგან თავი შეიკავეს და მოვლენებზე შორიდან დაკვირვება არჩიეს. ამ გადაწყვეტილებამ „მხედრიონელთა“ აზრი ორად გაყო. დაპატიმრებული ზაზა ვეფხვაძის მეგობრები, ერთი მხრივ, აცნობიერებდნენ, რომ ჯაბას სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, მეორე მხრივ, ბრძოლაში „მხედრიონელთა“ არმონაწილეობასა და მცირერიცხოვან გვარდიელთა ბედის ანაბარა მიტოვებასაც არ იწონებდნენ. მით უმეტეს, უხერხულობას გრძნობდნენ იმ ადამიანთა წინაშე, რომლებიც, მათივე თხოვნით, მზად იყვნენ, ჯაბას გამოსახსნელად საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდოთ.

„მონაწილეობას მივიღებთ არა ორგანიზაციის, არამედ საკუთარი სახელით!“ - თქვეს ბოლოს ზაზა ვეფხვაძის მეგობრებმა: გია სვანაძემ, ნუკრი ჭელიძემ, გიგა არველაძემ, ლევან ცაგარეიშვილმა და დათო მამულაშვილმა.

უკვე გვიანი ღამე იყო, როცა მეორე სართულზე ჩემთვის განკუთვნილ ოთახში გაუხდელად მივწექი. ამბოხებულებს სასტუმროს კომფორტულად მოწყობილ ნომრებში ეძინათ. დერეფნებშიც სიჩუმე იყო. სულ რაღაც 2-3 საათში 1991 წლის 23 დეკემბრის დილა გათენდებოდა.

ცხოვრებამ მასწავლა: სადაც პასუხისმგებლობას და საღ აზრს ივიწყებენ, იქ მოვლენები ყოველთვის არასასურველი სცენარით ვითარდება ან ქვეყნის გარეთ თუ შიგნით არსებული სპეცსამსახურები ნერენ მათთვის სასურველ სცენარს.

დილის 8 საათი იქნებოდა, როცა ძნელაძის (ახლანდელი თაბუკაშვილის) ქუჩიდან ჯავშანმანქანა შემოვარდა, ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი გახსნა სასტუმრო „თბილისის“ მიმართულებით და ძლივს შეჩერებული სროლა განაახლა. ვიღაცას კვლავ ნერვებმა უმტყუნა ან ზავი არ მოეწონა და ქართველები კვლავ ერთმანეთის სისხლისღვრისკენ წააქეზა.


ნახევრად მძინარე გვარდიელები ლოგინებიდან წამოხტნენ. თბილისის ზღვიდან ჩამოსულები დავალების მისაღებად ხელმძღვანელს ეძებდნენ, ვინც იტყოდა, როგორ მოქცეულიყვნენ, მაგრამ ვერ პოულობდნენ.

თავიანთ მეთაურს ეძებდნენ „არწიველებიც“. ყველგან შედიოდნენ და დაბნეულები ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ყარყარაშვილი ვინმეს ხომ არ გინახავთო? გვიან დაბრუნებული სიბნელეში არავის დავუნახივარ, არ იცოდნენ, სად ვიყავი.

ამ კითხვა-კითხვაში ფოიეში ვიღაცას უთქვამს, გია მოკლესო. როგორც ზოგადად ყველა ჭორი, სასტუმროში ესეც ელვის სისწრაფით გავრცელდა.

---

[109] КГБ (Комитет государственной безопасности – რუს) – სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტი



ახალი ამბით შეძრწუნებული ორი „არწიველი“ მეთაურის მოსაძებნად და დასახმარებლად გარეთ გავარდა. სასტუმროდან „მხატვრის სახლისკენ“ გადარბენისას „ბეერდეემის“ ტყვიამფრქვევმა ორივე სასიკვდილოდ მოცელა...

სროლის ხმამ და კვამლმა გამაღვიძა. ფანჯარას და ფარდებს ცეცხლი ეკიდა, საწინააღმდეგო მხრიდან ნასროლი ტყვიების ზუზუნი ისმოდა და სადღაც ძალიან ახლოს ხვდებოდა. სასწრაფოდ წამოვხტი, ოთახიდან დერეფანში, დერეფნიდან ქვედა სართულზე ჩავირბინე და ფოიეში შეკრებილებთან შევჩერდი. ბიჭები სასტუმროს შესასვლელთან კედლებს ეფარებოდნენ და „მხატვრის სახლისკენ“ გადარბენას ცდილობდნენ. ათიოდე მეტრში, მანქანის სავალ ნაწილზე უძრავად იწვა „თეთრარწიველი“ ფირუზ ჭანტურიძე, მალხაზ გოგავა კი, მძიმედ დაჭრილი, იქვე სისხლისგან იცლებოდა. ასიოდე მეტრით ქვემოთ, „ალექსანდრეს ბაღთან“ ბორბლებდახვრეტილი იდგა ის „ბეერდეემი“, დილით საშინელება რომ დაატრიალა. თქვეს, იმ ჯავშანმანქანაში, ტყვიამფრქვევთან თვითონ ლოთი ქობალია იჯდაო.

თავზარდამცემ ამბებს ვიგებდით მარცხენა ფლანგიდან. პიონერთა სასახლეში დაბანაკებულ პრეზიდენტის მომხრეებს თავისუფლების მოედნისკენ ვაჟა ადამიას შტაბისთვის შეუტევიათ. „კოსტაველების“ შტაბი, სადაც წინა დღეს ვიყავი, ისევე როგორც მთელი შენობა, ცეცხლში იყო გახვეული. ვაჟა ადამია და „კოსტავას სახოგადოების“ რაზმი აღარსად ჩანდნენ. მითხრეს, თბილისი საერთოდ დატოვეს და სამაჩაბლოსკენ აიღეს გეზიო. მათი რაზმიდან ერთადერთი კაცი, დუშელი გელა გელაშვილი იყო დარჩენილი, რომელმაც გაქცევა ითაკილა. ის და ნიქოზიდან დაბრუნებული ქუთაისელი გვარდიელები სახურავებიდან ცდილობდნენ ალმოდებული შენობებიდან თავის დაღწევას და ვერ ახერხებდნენ. ოცდაათამდე ადამიანი ცოცხლად დაწვის საფრთხის წინაშე იდგა.

ცეცხლის განახლებიდან ერთ საათში ერედვსა და ავნევში, ვაჟა ადამიას შუამდგომლობით, თბილისიდან კიტოვანის ერთგული გვარდიელები ჩავიდნენ, იქაური დამცველებისგან ცხინვალისკენ მიმშვერილი ზარბაზნების ჭურვები ისესხეს, სასწრაფოდ უკან დაბრუნდნენ და უკვე დღის 12 საათისთვის უზენაეს საბჭოს ჭურვები დაუშინეს თბილისის ზღვიდან ჩამოტანილი და „მხატვრის სახლის“ წინ საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი ზარბაზნიდან, რომელსაც მანამდე ღრუბლების გასაფანტად იყენებდნენ. ამფეთქის გარეშე გასროლილ ჭურვებს საზარელი ხმისა და კედლების ზანზარის გარდა დიდი არაფერი ეფექტი ექნებოდა, მაგრამ მაინც ესროდნენ. შემდეგ თბილისის ზღვაზე დარჩენილმა კიტოვანის მომხრეებმა შვეულმფრენზე გამობმული ავზიდან უზენაესი საბჭოს შენობას ბენზინი გადაასხეს, ოღონდ ეგ არის, რომ მიზანს „მცირედით“, ორასიოდე მეტრით, ააცილეს და უზენაესი საბჭოს შენობის ნაცვლად მთაწმინდის უბანი მისცეს ცეცხლს.

იქით საცხოვრებელი კორპუსები იწვოდა, აქეთ სასტუმრო „თბილისი“ და ფოსტის შენობა იცხრილებოდა. გაოგნებული ვუყურებდი და თვალებს არ ვუჯერებდი.

დაპირისპირებულთა ორივე მხარეს, მომხრეებშიც და მოწინააღმდეგეებშიც, ბევრს ექნებოდა სურვილი, როგორმე გაჰქცეოდა არსებულ მწარე რეალობას. ბევრი ასეც მოიქცა და გაცლა მოახერხა. მე ვერ შევძელი. უკვე სისხლში გასვრილს გამბედაობა არ მეყო, რომ იქაურობისთვის ზურგი მექცია და განზე გავმდგარიყავი. ომის დასრულებისთანავე, გამარჯვებული მხარე განდგომისთვის პასუხს პირველებს ჩვენ მოგვთხოვდა.

სამოქალაქო ომი არ არის ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის; არც ზღაპარია, სადაც ბოროტს ყოველთვის კეთილი ამარცხებს. სამოქალაქო ომის დაშვებაც

კი ისეთივე ბოროტებაა, როგორც თავად ომი, სადაც ორივე მხარე ბოროტებას ემსახურება.

თუ ვინმემ გითხრათ, სიმართლე ამ ან იმ მხარეს იყოო, არ დაუჯეროთ. არავინ იყო უცოდველი, ნაკურთხ ტყვიებს არავინ ისვრის. როცა იარაღს თანამოძმეს უმიზნებ, ჩახმახს ხელს გამოჰკრავ და ტყვიას ესვრი, გგონია, რომ სხვას კლავ, სინამდვილეში მასთან ერთად სულიერად შენც კვდები, მარტო ის კი არა – შენც!

„მოძმეზე ხელი არ აღმართო, არ ესროლო, არ მოკლა!“ – გვაფრთხილებდა პატრიარქი, თუმცა აღარც ზეციური მცნებები ახსოვდა ვინმეს და აღარც პატრიარქის შეგონებები.

სამოქალაქო ომი გაჩაღდა – უმოწყალო, ისე როგორც ქართველებს სჩვევიათ.

რაც შეეხება „თეთრარწივლებს“, იმ დღეს ომისთვის არცერთ ჩვენგანს აღარ ეცალა. ცოცხლად, ჯანმრთელად დარჩენილები დაღუპულებს ვგლოვობდით. თანამებრძოლები ფირუზის ცხედარს – ოზურგეთში, გიას ცხედარს კი ბაღდათში მიასვენებდნენ.

დაჭრილები საავადმყოფოებში გადაჰყავდათ, ოუმცა იქაც არ ჰქონდათ უსაფრთხოების გარანტია. სამედიცინო პერსონალსა და პაციენტებს შორისაც გაყოფილი იყო აზრი. დაჭრილებს ერთმანეთისგან პოლიტიკური ნიშნით ასხვავებდნენ. ამბოხებულ დაჭრილებს საავადმყოფოში ისე ცუდად ხვდებოდნენ, რომ იძულებულები იყვნენ, ვინაობა დაემალათ.

იმ დილით დაჭრილ 18 წლის მალხაზს ვერც მკვდარს ვპოულობდით მორგებში და ვერც ცოცხალს – საავადმყოფოებში. ჯერ კიდევ გუშინ ბევრნი ვიყავით, დღეს კი „თეთრი არწივის“ შემადგენლობიდან მესამედიც აღარ იყო დარჩენილი. ორი დაღუპული და ათამდე დაჭრილი – ასეთი იყო შუაში ჩადგომის შედეგი, რაშიც ხელისუფლებასა და ოპოზიციას თანაბრად ვადანაშაულებდი და საკუთარი თავისთვისაც ვერ მეპატიებინა. თუმცა პირველსავე დღეს თბილისის ზღვიდან ჩამოსულებს სამხედრო ფორმაში გამონყობილი და სხვადასხვა სახის იარაღით აღჭურვილი იმდენი თბილისელი შეუერთდა, რომ ჩვენი სიმცირე ამბოხებულთა შესაძლებლობებს არც დასტყობია.

დაპირისპირებული ქართველები რუსთაველის პროსპექტზე ერთმანეთს ტყვიებს უშენდნენ, ახლომახლო შეკრებილი ხალხი კი წარმოდგენას უყურებდა. ვისთვის დრამა იყო, ვისთვის – ტრაგედია... მტერს კი მხოლოდ ეცინებოდა.

23 და 24 დეკემბერს სასწორი ხელისუფლების მომხრეებისკენ გადაიხარა.

კიტოვანმა თანდათან მოიკრიბა აზრი, უმეთაუროდ დარჩენილ ჯგუფებს მეთაურად ისევ გელა გიორგაძე დაუნიშნა, გვარდიელებს „დიქტატურის“ წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდა და იარაღით მომარაგებას შეჰპირდა. „გვარდიის მეთაური“ ხმამაღლა კი ჟღერს, თუმცა იმ მომენტისთვის გვარდიიდან მხოლოდ ორი ასეული თუ იქნებოდა დარჩენილი.

24 დეკემბრის საღამოს სასტუმროს შესასვლელ კართან კიტოვანთან დაახლოებული სამოქალაქო პირები შეკრებილიყვნენ და ერთმანეთს თითქოს რაღაც საიდუმლოს ეჩურჩულებოდნენ, თან მზერა უზენაესი საბჭოს შენობისკენ ჰქონდათ მიპყრობილი. ვკითხე, რას უყურებთ-მეთქი. არავინ მიპასუხა.

სულ მალე ჩიტაძის ქუჩიდან ამოსაცნობი ნიშნების გარეშე ორი ჯავშანტრანსპორტიორი დაეშვა, უზენაესი საბჭოს ჭიშკარი შეანგრია და შენობის ფანჯრებს მსხვი-

ლი კალიბრის ტყვიები დაუშინა. ერთმანეთს განცვიფრებულნი ვეკითხებოდით: „ვინ იყვნენ? საიდან მოვიდნენ?“ ალბათ მიხვდით, რა გრძნობა დამეუფლა, როცა მითხრეს, რომ თავდამსხმელები რუსული „ლეტუჩაია მიშის“ ბატალიონიდან იყვნენ.

ჩვენ თვალწინ ამბოხებულ ქართველთა დასახმარებლად უზენაესი საბჭოს შენობას და შიგნით გამაგრებულ ქართველებს რუსულმა „ბეტეერებმა“ დაუშინეს ტყვია. მრცხვენოდა. უკვე მერამდენედ, იმედგაცრუებული ვიკვნეტდი ტუნებს. უკვე ცხადი იყო, ვის თამაშსაც ვთამაშობდით.

ალბათ შენობაში გამაგრებულებიც მწარედ იმედგაცრუებულები დარჩნენ, როდესაც ტყვიებით დაზიანებულ „ბეტეერში“ ვაზიანის რუსული ბაზის სადაზვერვო ბატალიონის – „ლეტუჩაია მიშის“ დაჭრილი ოფიცერი და ჯარისკაცი აღმოაჩინეს და რუსული სპეცრაზმის მონაწილეობაში დარწმუნდნენ.

რუსების გამორჩენა ყველასთვის მოულოდნელი და მიუღებელი არ ყოფილა. ჩვენს მომხრეებში ბევრს უხაროდა და ზეიმობდა კიდეც, თუმცა სასიხარულო არაფერი გვქონდა. პირადად მე, იმ დღიდან მოყოლებული, იქ ყოფნის ყოველი წუთი სატანჯველად მექცა. ყოველი ნაბიჯი იძულებითი იყო, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ გადადგმული.

ობიექტური მკითხველი მიხვდება ჩემს მდგომარეობას. თვითმხილველებიც დამემოწმებიან, იმ მოვლენების უშუალო მონაწილენი, რომლებიც დღესაც სხვადასხვა პარტიაში არიან გადანაწილებულნი.

ორმხრივი სროლისას, ძირითადად, სასტუმრო „თბილისის“ ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში ვიყავი. ფანჯრები რუსთაველის პროსპექტზე გადიოდა. ვცდილობდი, ხელმძღვანელობიდან არავინ მენახა. ბრძოლაში აღარც მე ვერეოდი და აღარც ცოცხლად დარჩენილ „არწიველებს“ ვუშვებდი.

25 დეკემბრის საღამო იდგა, უკვე ოთახშიც ბნელოდა, როდესაც კორიდორიდან ნიკუშა კეკელიძის, ზურა ზუბადლაშვილის და აკია ბარბაქაძის ხმამაღალი საუბარი შემომესმა. მე მეძებდნენ.

თვითმხილველებს საგანგაშო ამბავი მოეტანათ. პრეზიდენტის მომხრეთა დასახმარებლად სატანკო ქარხნიდან, რომელიც ჯერ კიდევ რუსების ბალანსზე იყო, ახლად გარემონტებული ტანკით შინაგანი ჯარის ეკიპაჟი ამბოხებულების შესაშინებლად, დასაშლელად თუ გასანადგურებლად რუსთაველისკენ მოემართებოდა...

ჩემი დანახვით გახარებულები მაშინვე შეტევაზე გადმოვიდნენ: „გია, რა დროს წოლაა, ტანკი უკვე მარცხენა სანაპიროდან ფილარმონიას უახლოვდება, სასტუმროში პანიკაა. უნდა დაგვეხმარო, წამოდი, წამოდი, გთხოვთ!“ – მეუბნებოდა ნიკუშა და თან მეგობრულად ხელით მექაჩებოდა, რომ ავმდგარიყავი.

ორიოდე საათით ადრე ამბოხებულთა შტაბში ვაზიანიდან რამდენიმე ახალი ყუმბარსატყორცნი და ჭურვები შეეზიდათ. ახლა მთავარი თავდაცვის ორგანიზება იყო.

რა უნდა მექნა?! ხომ არ ვეტყოდი, ჯანდაბას, გადაგვიაროს-მეთქი! მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლაში ჩართვის არანაირი სურვილი აღარ მქონდა, ჩემი და სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად, იძულებული ვიყავი, გავყოლოდი. უხმოდ ნამოვდექი, კიბეებზე დავეშვი, ჰოლში შეკრებილებს ჩავუარე და ქუჩაში გამოვედი.

უზენაესი საბჭოს მიმართულებით გავიხედე, სროლა აღარ იყო, სიმშვიდე სუფევდა. შემდეგ ფილარმონიას გავხედე. ჩაბნელებულ ქალაქში ტანკის მაშუქები ჯერ არ ჩანდა, თუმცა მუხლუხების გრუხუნი უკვე გარკვევით ისმოდა. იქ მყოფთ ვკითხე,

ჯარში ყოფნისას ყუმბარსატყორცნიდან თუ ჰქონდა ვინმეს ნასროლი. ასეთი სულ რამდენიმე აღმოჩნდა. ერთადერთი რამ ვუთხარი: „გზის გაყოლებაზე ორ-ორად განლაგდით და კუთხეებს შეეფარეთ, მე თქვენ წინ დავდგები. მე რომ გამცდება და სასტუმროს გაუსწორდება, ესროლეთ“. უხმოდ ჩამოვშორდი და ყველას დასანახად იქვე, მაღაზია „ციცინათელას“ წინ, გზის პირას, ხესთან დავდექი. ყუმბარსატყორცნისთვის ხელი არ მიხლია. ავბედითი სიჩუმე დაახლოებით 5 წუთს გაგრძელდა. 40-ტონიანი T-54-ის მოახლოებასთან ერთად გრუხუნი მატულობდა, შესაბამისად, მღელვარებაც. უემოციოდ ვიდექი, ველოდი, როდის ჩამივლიდა ტანკი, რომ ჩასაფრებულებს ცეცხლი გაეხსნათ. პირველი ჭურვი ტანკს უკნიდან, ოფიცერთა სახლის მიმდებარე ტერიტორიიდან მოხვდა, თუმცა სვლა არ შეუჩერებია. მეორე ჭურვი გვერდიდან მოხვდა, მესამე – ისევ უკნიდან და სასტუმროს შესასვლელთან ტანკმა სვლა შეწყვიტა. უკანასკნელი გასროლა წინიდან, „მხატვრის სახლის“ ქვედა მხრიდან იყო, რის შემდეგაც ცეცხლი გაუჩნდა. როგორც კი დავინახე, რომ ჩასაფრებიდან გამოსული ბიჭები ცეცხლმოდებულ ტანკს შემოეხვივნენ, კახა ტატიშვილს ვუთხარი, ყურადღება მიაქციე, ეკიპაჟს ხელი არავინ ახლოს-მეთქი. ლუკიდან ეკიპაჟის ამოყვანას არ დაველოდე, იქაურობა უხმოდ დავტოვე და სასტუმროს მეორე სართულზე, ნომერში ავედი. 5 წუთი არ იქნებოდა გასული, ოთახში რეზო ჩაკვეტაძე, ტარიელ შარიფაშვილი, დევი ჭანკოტაძე და ნიკუშა კეკელიძე შემოვიდნენ. განსაკუთრებით ნიკუშა ხალისობდა: „ეს ვინ ყოფილა! ამხელა ტანკი მოდიოდა, ჩამოვიდა, მშვიდად უყურა, ისე რომ თვითონ ხელი არ გაუნძრევია, არც შედეგს დალოდებია, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, მე წავედიო და წამოვიდა“. სხვებიც ხუმრობდნენ, იცინოდნენ და შეფარულად მაქებდნენ. არც მიხაროდა და არც მეღიმებოდა.

მეორე თუ მესამე დღეს სასტუმროში განთავსებული აჯანყებულების პოლიტიკური შტაბის ოთახში დამიბარეს. იქ ისევ იგივე ხალხი, ჩემი მეგობრები იყვნენ, რომლებმაც ორი დღის წინ ტანკის მოსაგერიებლად ბრძოლაში გაყოლა მთხოვეს. ამჯერად ახალი დაუჯერებელი ინფორმაცია მომაწოდეს: საქართველოს პრეზიდენტმა კანონიერი ხელისუფლების დასახმარებლად და ურჩი ქართველების დასჯის მიზნით ჩეჩნეთიდან მებრძოლთა რაზმი იხმო ჩეჩნეთის პარლამენტის წევრის (შემდეგში ვიცე-პრეზიდენტი), ზელიმხან იანდარბიევის ხელმძღვანელობით, მათი თვითმფრინავი გროზნოდან თბილისის აეროპორტში წუთი-ნუთზე ჩამოფრინდება და შენ გვჭირდებიო.

ჩემს „აგდებას“ რა უნდოდა?! საკმარისი იყო, ეთქვათ, უცხო ქვეყნის შეიარაღებული პირების თბილისში შემოშვება და ქვეყნის შინაურ საქმეში ჩარევა ეროვნული ღირსების შეურაცხყოფას ნიშნავსო, რომ დაუყოვნებლივ აეროპორტში წასვლას და ჩამოსულების დახვედრას დავთანხმებოდი, როგორც ვითარება მოითხოვდა: თუ სამტროდ იყვნენ ჩამოსულები – მტრულად, თუ სამოყვროდ – მოყვრულად. მთავარი იყო, თბილისში შეიარაღებული ჩეჩენი მებრძოლების შემოსვლა არ დაგვეშვა. ფიქრის და განსჯის დრო აღარ გვქონდა. საგანგაშო მდგომარეობა დროულ და სათანადო რეაგირებას მოითხოვდა.

გარეთ ოცამდე ბიჭი შევკრიბე, ვინც იქვე მოვიხელთე, ყველა ჩემი ერთგული და არაერთ ფათერაკგამოვლილი: ზურა, დემიკო, კახა, თემური, მამუკა, ამირანი, დათო, არსენა, „სკიპი“ და სხვები – რამდენსაც 4-5 მსუბუქი მანქანა დაიტევდა – და აეროპორტისკენ გავემართეთ, სადაც ჩეჩენთა რაზმი უკვე ჩამოფრენილიყო.

პირველი ორი მანქანით პირდაპირ აეროპორტის მილიციის შენობასთან მივედით. ჯერ გადმოსულებიც არ ვიყავით, რომ კომკურიდან ავტომატები და ტყვიამფრქვევები აკაკანდა. პირველი თემური დაეცა, თუმცა მისი ჭრილობა მძიმე არ იყო.

მანქანაშივე მსუბუქად დაიჭრა მამუკაც. დანარჩენებმა კი ტრანსპორტის მილიციის შენობას შეაფარეს თავი. როგორც იქ გაირკვა, აეროპორტის დასაცავად სამთავრობო ფლიგელის კოშკურაზე შსს-ს „ომონი“ იყო გამაგრებული.

მახსოვს, იარაღმომარჯვებულმა ამბოხებულებმა მილიციის შენობაში, სეიფში „მაკაროვის“ სამი პისტოლეტი და სამოცი ათასი მანეთი იპოვეს. „როგორ მოვიქცე?“ – გამომძახა „სკიპიმ“ მანქანას ამოფარებულს. იარაღს და ფულს ხელი არ ახლო-მეთქი, დაუფიქრებლად ვუპასუხე. თბილისში მილიციელებზე გახშირებული თავდასხმისა და ძარცვის ფონზე ეს განკარგულება მათთვისაც სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა. ეს ამბავი მილიციის პირად შემადგენლობაში უცებ გავრცელდა და დაფასებაც პოვა. ჩემამდე ამ ამბავმა ჩემი მეზობელი მილიციის თანამშრომლის მეშვეობით მოაღწია და შემდეგაც არაერთხელ დამხვდა წინ.

ხანმოკლე სროლის შედეგად ჩვენგან სამი იყო საშუალოდ და მსუბუქად დაჭრილი. სასწრაფო დახმარების მოსვლამდე ისინი მილიციის შენობაში გადავიყვანეთ.

ამასობაში მანქანით მოსული რამდენიმე გვარდიელი აეროპორტის კარს წინიდან მიადგა და შესასვლელის ჰოლი დაიკავა, რომელიც იმ მოსაცდელი დარბაზის მომიჯნავედ მდებარეობდა, სადაც კბილებამდე შეიარაღებული და შეჯავშნული ჩეჩენთა რაზმი იყო გამაგრებული. როდესაც მოედანი გადავირბინე და მოსაცდელში შევედი, ქართულ-რუსულად ისმოდა:

– დაყარეთ იარაღი, თქვენი დედა!

– დარბაზში ვინც შემოვა, ვესვრით! – იყო დარბაზიდან პასუხი რუსულად, ჩეჩნური აქცენტით.

– არ დავუშვებთ ქართველთა შიდა საქმეში ვინმეს ჩარევას! იარაღი დაყარეთ, თორემ აგაფეთქებთ! – გვარდიელების შეძახილებში განსაკუთრებით ნიკუშას ბოხი ხმა გამოირჩეოდა.

ნახევრად ღია კარში კარგად მოჩანდა, როგორ ვაჟკაცურად იდგნენ იარაღმომარჯვებული ჩეჩნები. შიში არც ჩვენებს ეტყობოდათ და არც ესენი აპირებდნენ რამის დათმობას.

დაძაბულობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. წამი-წამზე სისხლი უნდა დაღვრილიყო, ბევრი სისხლი, ორივე მხრიდან. სასწრაფოდ გამოსავალი იყო მოსაძებნი, ვგრძნობდი, რომ იარაღის უბრძოლველად ჩაბარებას ჩეჩნები სროლას არჩევდნენ.

რა მძიმე გადაწყვეტილების წინაშე იდგნენ და რას ნიშნავს ვაჟკაცისათვის იარაღის ჩაბარება, საკუთარ თავზე მქონდა გამოცდილი. ცხინვალში 1990 წლის 12 დეკემბერს ჩვენგანაც იმავეს ითხოვდნენ და საკუთარი არჩევანიც მახსოვდა, მაგრამ კბილებამდე შეიარაღებული ასეულის ზურგში ჩატოვება კიდევ უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. კიდევ კარგი, არ იცოდნენ, რომ რიცხობრივად მათზე ბევრად ნაკლები ვიყავით. თუ კოშკურაზე გამაგრებულ 50-მდე „ომონელსაც“ დავუმატებთ, ადვილი წარმოსადგენია, რა მოჰყვებოდა გასროლას.

უკიდურესი დაძაბულობის ვითარებაში, ბოლო წამს ინიციატივა საკუთარ თავზე ავიღე, მდგომარეობის განმუხტვას შევეცადე და ჩეჩნებს ნახევრად ღია კარიდან, სიტყვის გაუტეხლობის პირობით, მისაღები აზრი შევთავაზე, რომელიც სისხლისღვრას აგვაცილებდა და არც მათ თავმოყვარეობას შელახავდა: „სიტყვას გაძლევთ, იარაღს უკან მიიღებთ. მას შემდეგ, რაც საქართველოს დატოვებთ, იარაღი გროზნოში უკლებლივ დაგიბრუნდებათ“. თითქოს ერთი ამბოხებულის სიტყვას რამე განსაკუთრებული ფასი ჰქონდა. პირობა მივეცი, რომ იარაღს დაუბ-

რუნებდნენ, ოღონდ ჩეჩნეთში, საქართველოს მიწაზე კი იარაღით ვერ გავატარებდით. ახლა ჩეჩნებზე იყო, რას აირჩევდნენ – ბრძოლას თუ მშვიდობას. საბედნიეროდ, მშვიდობა აირჩიეს.

პირობის შესრულების მზაობის დასადასტურებლად დარბაზში შევედი და ჩეჩენ მეთაურს ხელი ხელში დავურტყი.

ჩემი მისია შესრულებული იყო. ჩეჩნების ჩაბარებული იარაღის აღრიცხვა მილიციის პოლკოვნიკ გია გულუას ვთხოვე და პირობა ჩამოვართვი, რომ ჩაბარებულ იარაღს სრულად დააბრუნებდნენ. იქაურობა უხმოდ დავტოვე და ქალაქში დავბრუნდი.

ზელიმხან იანდარბიევი დელეგაციასთან ერთად საშუამავლოდ ჯერ ამბოხებულთა ბანაკში თენგიზ სიგუას ესაუბრა, შემდეგ ბუნკერში – პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას. შესაძლოა, სწორედ იმ დღეს გადაწყდა პრეზიდენტის გროზნოში გამგზავრების საკითხი. იმავე საღამოს იანდარბიევი ჩეჩენთა 70-კაციან, ამჯერად უიარაღო, რაზმთან ერთად გროზნოში გაფრინდა.

რაც შეეხება ჩეჩნებისთვის ჩამორთმეულ იარაღს, პირველივე შესაძლებლობისთანავე აეროპორტის სატრანსპორტო მილიციის უფროსმა თენგიზ ჯიაძემ გროზნოში საგანგებო რეისით ჩაიტანა. ერთადერთი, „სტეჩკინის" პისტოლეტის დაკარგვა დამრჩა გულში ხინჯად. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ერთ-ერთმა გვარდიელმა – სავარაუდოდ, მან, ვინც 20 დეკემბერს შს მინისტრს დილარ ხაბულიანს „სიესის" გაზი შეასხა – არაფრად ჩააგდო ჩემი ბრძანება და „სტეჩკინი" გადამალა, მოგვიანებით კი მილიციის პოლკოვნიკ გია გულუას აჩუქა.

აეროპორტიდან სულ რაღაც ოთხ საათში უკან დაბრუნებულს ხელმძღვანელებიდან არავინ მინახავს. მხოლოდ გვიან ღამით, ჩეჩნების გამგზავრების შემდეგ ორივე თენგიზმა ცალ-ცალკე მომინახულეს და შემაქეს. მიუხედავად იმისა, რომ ერთი თვის წინ გაწყვეტილ ურთიერთობაში გაუცხოება და სიცივე მაინც იგრძნობოდა, წინა დღით რუსთაველზე T-54 ტანკის მოგერიებისა და იმ დღეს აეროპორტში ჩეჩნების უსისხლო განეიტრალების შემდეგ ჩემ, როგორ სამხედრო პირის, მიმართ პატივისცემა აშკარად ეტყობოდათ.

ამ დროს, კონფლიქტის მუდმივი ესკალაციის პირობებში, სასტუმროში ახლად გამოჩენილი ნაცნობ-უცნობი სამოქალაქო პირები ხმამაღლა ბჭობდნენ, რომ დრო იყო, ვინმეს შევარდნაძისთვის დაერეკა, მას კი ელცინისთვის ეთხოვა, რომ რუსებს ამბოხებულებისთვის იარაღი გადმოეცათ. კიდევ სხვა ბევრ მსგავს საუბარს ვუსმენდი და ისევ მწარედ ვიკვნეტდი ტუჩებს.

კვლავ ვცდილობდი, ახლოს არ გავკარებოდი არც სასტუმროს მე-4 სართულზე განლაგებულ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და არც რუსთაველზე მიმდინარე უაზრო სროლებს. არც პირველი გაწვევის რიგითებს ვაკარებდი იქაურობას.

■

ნოემბერში სამაჩაბლოში გასვლით გაწყვეტილი ურთიერთობების შემდეგ კიტოვანის გუნდის წევრებთან გაუცხოება მაინც საგრძნობი იყო და ჩემდამი პატივისცემით განწყობილ ცალკეულ პირთა გარდა ახლო კონტაქტში არავისთან შევდიოდი. დიდი პატივისცემისა და მეგობრობის მიუხედავად, ერთხელ უკვე გვარდიიდან წასული, არც ჩემ შემდგომ სარდლად დანიშნული გელა გიორგაძის თათბირებზე დავდიოდი.

წინა დღეებში გადმოცემული ახალ-ახალი ყუმბარსატყორცნებისა და ჭურვების შემდეგ, „მთავრობის სახლისთვის“ უფრო დიდი ცეცხლის შესანთებად, ამჯერად უკვე ცეცხლსატყორცნები მოეწოდებინათ.

ვაზიანის რუსული სამხედრო ბაზიდან ახლად შეძენილი „მუხას“ ტიპის ერთჯერადი ცეცხლსატყორცნის მახასიათებლებმა ამბოხებულთა შტაბში საბრძოლო მუხტი გააძლიერა. გვიან ღამით გამართულ თათბირზე გადაწყდა წინასწარ შერჩეული ჯგუფების ორმხრივად, პიონერთა სასახლისა და ლესია უკრაინკას ქუჩის მიმართულებით გასვლა.

ლესია უკრაინკას ქუჩიდან გასვლა გელა გიორგაძემ ითავა ძველი გვარდიელების ერთ ჯგუფთან ერთად, მარცხენა მხრიდან კი – კახა გველესიანმა კიტოვანთან დაახლოებული ახალგაზრდების ჯგუფთან ერთად.

27 დეკემბრის ღამე იყო. ღამის 3 საათი იქნებოდა. მოქმედებების დაწყებამდე ორიოდე საათით ადრე „მხატვრის სახლის“ ეზოში კახასთან ერთად იმის გასაზრებლად განვმარტოვდი, თუ რას ვაკეთებდით, წინ რა გველოდა. მომავლის განჭვრეტას ვცდილობდით, საკუთარ დარდსა და ფიქრს ვუზიარებდი გონიერებით ყველასგან გამორჩეულს.

კახა ჩემს დამშვიდებას ცდილობდა, მიხსნიდა, უკან დასახევი გზა აღარ არის, ეს ომი მანამ უნდა დამთავრდეს, სანამ მისი საზღვრები რუსთაველს გასცდენია, თორემ ქვეყანა ანარქიის უფსკრულში გადაიჩეხებაო. ბოლოს კი, სანამ დავიშლებოდით, გასამხნევებლად მომაძახა, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო და იმის დასანახად, რომ ჯერ კიდევ არსებობდა მორიგებისა და ომის მშვიდობიანად დასრულების გზა, მეგობრების მცირერიცხოვან ჯგუფს პიონერთა სასახლისკენ უიარაღოდ ნაუძღვა.

სასტუმროში დაბრუნებული ლესია უკრაინკას ქუჩაზე გასასვლელად მომზადებულ გელა გიორგაძის ჯგუფს გადავაწყდი, რომელსაც, როგორც სპეციალისტი, ახალციხიდან გამოყოლილი ჩემი მეგობარი, სერჟანტი ზურა ადუაშვილი მიჰყვებოდა.

სარდლის თანამდებობაზე ჩემს შემცვლელთან მოქმედების ტაქტიკაზე საუბარს მაინც მოვერიდე, რჩევის მიცემა კორექტული არ იქნებოდა. ისინი დავალებაზე გადიოდნენ, მე კი სასტუმროსთან ვრჩებოდი. ისე გამოველაპარაკე, მეგობრულად, ვთხოვე, რომ ფრთხილად ყოფილიყვნენ.

თითქოს გული მიგრძნობდა, რომ ის დღე განსაკუთრებით მძიმე იქნებოდა.

სულ რაღაც 40 წუთი იყო გასული, როცა სასტუმროს ჰოლში საკაცეებით კახა, ზურა და გელა შემოიყვანეს, სამივე მძიმედ დაჭრილი, მომაკვდავი. სამედიცინო პუნქტში ექიმები ცდილობდნენ, მათთვის პირველი დახმარება აღმოეჩინათ, თუმცა კახასა და ზურას გადარჩენის იმედს ვერ გვაძლევდნენ, გელას გადარჩენის მცირე შანსი, მათი თქმით, ჯერ კიდევ არსებობდა, თუმცა, სამწუხაროდ, არ გამართლდა. იყვნენ სხვა დაჭრილებიც.

როგორც მითხრეს, კახა პიონერთა სასახლის შესასვლელთან მისულა, იქ, სადაც მეორე სართულზე პრეზიდენტის მომხრეები იყვნენ გამაგრებულები და ხმამაღლა დაუძახია, ძმებო, აღარ ვესროლოთ ერთმანეთს, უიარაღოდ შემოვდივარ, დავილაპარაკოთო და შენობაში შესულა.

რაინდობა და ვაჟკაცობა ყველა დროში, ყველა ეპოქაში ფასდება, მაგრამ ეს ის შემთხვევა არ იყო...

– კახა, რას აკეთებ?! – უკნიდან დაუძახა თურმე მისმა მეგობარმა დიმა სამადაშვილმა, მაგრამ კახას ყურადღება არ მიუქცევია. ძმებო, დავილაპარაკოთო, დაუძახია და კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადაუდგამს ხელებგაშლილს, რათა დაენახათ, რომ უიარაღოდ იყო. ამ დროს მეორე სართულიდან გადმოგდებული ყუმბარა მის ფეხებთან დაეცა, თუმცა არ აფეთქდა, შემდეგ კი ავტომატის ჯერი დაუშინეს, რის შედეგადაც კახა მძიმედ დაიჭრა.

ზურა და გელა იქვე, პირველი სკოლის უკან, ლესია უკრაინკას ქუჩის კუთხეში მდგარან. ზურას რამდენჯერმე უთქვამს, გელა წინ აღარ ნავიდეთ, გვესვრიანო, მაგრამ არც გელამ დაუჯერა. „გელა, გვეყოფა, მოგვკლავენ!“ – უკანასკნელი იყო, რის თქმაც ზურამ მოასწროო, მიყვებოდა თვითმხილველი...

ცრემლებს ვერ ვიკავებდი. ვინც ყველაზე მეტად მიყვარდა და ვისაც დიდ პატივს ვცემდი, ჩემ თვალწინ ერთმანეთის მიყოლებით კვდებოდნენ.

რომ იცოდეთ, იმ წუთებში როგორ მძულდნენ ყველანი, ისინიც და ესენიც. სხვებიც... მძულდა საკუთარი თავიც.

თვალთ დამიბნელდა. ერთადერთი, ვიკითხე, ზურა და გელა სად დაჭრეს, იქვე მყოფ ათამდე „არწიველს“, რომლებსაც მანამდე ბრძოლას ახლოს არ ვაკარებდი, ნავიდეთ-მეთქი, ვუთხარი და სწრაფად დავიძარი. აკია ბარბაქაძემ დამიძახა, მეც წამოვალ, მირჩევნია შენთან ერთად წინა ხაზზე ვიყო, ის მაინც მეცოდინება, რომ ზურგიდან არავინ მესვრისო. გელა ლანჩავამ მითხრა, „არკიდან არკაში“ გადასასვლელებით მოკლე გზას მე გაჩვენებო და ორივე გამომყვა. მოკლე გადარბენებით მალევე ბიჭებზე ასიოდე მეტრით წინ, ზედა ქუჩის ბოლო შენობას ისე მივადექი, რომ უკნიდან გელას სიტყვები: „მანდ ფრთხილად, ახლოს არ მიხვიდე, ეგ „კაგებეს“ იზოლატორია, გესვრიან!“ – არც კი გამიგია. „კაგებეს“ იზოლატორი სად იყო, არც ვიცოდი.

მოულოდნელად ლესია უკრაინკას ქუჩის გადაკვეთაზე, კუთხის შენობაში შესასვლელი კარი გაიღო და ხელებაწეულმა მორიგემ, ოღონდ არ ისროლოთო, პატიმრების გაყვანა შემომთავაზა, როგორც ჩანს, დამინახა და იფიქრა, რომ მათ გასათავისუფლებლად ვიყავი მისული. ცოტა დავიბენი. 22-ში დახმარების შეთავაზებაზე ერთხელ უკვე უარის თქმის შემდეგ „მხედრიონელების“ გათავისუფლებაზე პასუხისმგებლობის აღებას მოვერიდე. გელას გავძახე, ამათ შენ მიხედე-მეთქი, თავად კი გზა განვაგრძე.

უზენაესი საბჭოს შენობას (საიდანაც, სავარაუდოდ, გელას და ზურას ესროლეს) ოციოდე მეტრით მივუახლოვდი, თუმცა იქ აღარავინ იყო.

უკან მოხედვისას შევამჩნიე, რომ ლესია უკრაინკას ქუჩაზე, სარდაფში განლაგებული უშიშროების უკვე ღია იზოლატორიდან პალტოებში გახვეული ექვსიოდე წვერმოშვებული პირი გამოსულიყო და 2-3-მეტრიანი ინტერვალებით დაღმართზე ჩარბოდა. დიდი მიხვედრა არ უნდოდა, ვინ იქნებოდნენ.

ღამის 5 საათი სრულდებოდა.

მთაწმინდის ორი ქუჩის კვეთაზე, უზენაესი საბჭოდან ოციოდე მეტრში ვიჯექი და უკან დაბრუნებას არ ვჩქარობდი. ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის იქ, ღია ცის ქვეშ ბევრად უფრო თავისუფლად ვგრძნობდი თავს, ვიდრე აქეთ ან თუნდაც იქით ყოფნის შემთხვევაში ვიქნებოდი. ხის ძირას ჩამომჯდარი, ჩემს თანმხლებ ავტორიტეტულ გვარდიელებს – ტარიელს, ზურას, ნიკუშას და სხვებს ვეკითხებოდი: „ეს ამად ღირს?!“ ყველანი დუმდნენ.

იმ ღამეს, როგორც მითხრეს, სასტუმროში ჯაბა იოსელიანი მოსულიყო. ჩემი ნახვა სურდა. ვინ იცის, იქნებ მადლობის გადახდას აპირებდა.

ისეთი სასოწარკვეთილი ვიყავი, რომ შეგნებულად არ დავბრუნდი, არავის დანახვა არ მსურდა და არც ის, რომ ვინმეს ასეთი ვენახე. სასტუმროში მხოლოდ დილის 8 საათზე მივედი. იქ აღარც ჯაბა იოსელიანი იყო და აღარც შტაბი.

როგორც ჩანს, უზენაესის შენობაში გამაგრებულებმა ამბოხებულთა სისუსტე იგრძნეს, კონტრიერიშზე გადმოვიდნენ და სასტუმროს ისეთი ცეცხლი შეუნთეს, რომ იქ მყოფნი იძულებულები გახდნენ, „იმელის“ შენობისაკენ დაეხიათ.

იმ დღის შემდეგ ბარათაშვილის აღმართზე სეირის საცქერად აღარავინ გამოსულა, რადგან რუსთაველის გაშზირზე დაწყებულმა საბრძოლო მოქმედებებმა, როგორც მეტასტაზებმა, ქალაქის სხვადასხვა უბანშიც შეაღწია.

არ ვიცი, ამბოხებულთა ლიდერებმა იმ ღამეს მართლა სთხოვეს თუ არა ჯაბა იოსელიანს დახმარება. იოსელიანი ერთი დღე არ ჩანდა, მეორე დღეს კი „მხედრიონის“ შტაბი მეცნიერებათა აკადემიის შენობაში მოაწყო და „მხედრიონელთა“ საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. პარალელურად, შოთა რუსთაველის სახელობის გამზირს იმდენი თბილისელი მოხალისე მოაწყდა, იმდენი იარაღი დარიგდა, იმის გარკვევა, ვინ იყო „მხედრიონელი“ და ვინ გვარდიელი, შეუძლებელი გახდა.

ქალაქში სრული ანარქია სუფევდა.

ცრუ იდეებსა და ვნებებს, თვითგადარჩენის ინსტინქტსა და ძალაუფლების წყურვილს, პოლიტიკურ სიმხდალესა და გაუბედაობას ეწირებოდა ახალგაზრდობა, ინვოდა და ინგრეოდა სახლები და სკოლა.

ამ გზით მიღწეული პოლიტიკური მიზანი და შედეგი ნამდვილად არ ღირდა არც ნგრევად, არც უკვე დაღვრილ სისხლად და არც კიდევ დასაღვრელად.

იმ დროს, როდესაც დაპირისპირებულები რუსთაველზე ერთმანეთს არ ინდობდნენ, ათასი ჯურის ნაძირალამ მთაწმინდაზე დაცლილი სახლების ძარცვას მიჰყო ხელი. ნახევრად დამწვარი და ალმოდებული სახლებიდან ყველაფერს ეზიდებოდნენ. ვისზედაც კი ხელი მიმიწვდებოდა, არ ვინდობდი, მაგრამ ბევრს ვერაფრით ვშველოდი. დღისით, მზისით, თვალსა და ხელს შუა იძარცვებოდა თბილისი.

ძმათაშორის ომის დაწყებიდან 12 დღე გავიდა, მაგრამ პასუხისმგებლობა და საღი აზრი კვლავ არ ჩანდა.

სროლების ინტენსივობაზე არც სასტუმრო „თბილისიდან“ ამბოხებულების შტაბის „იმელის“ შენობაში გადასვლას უმოქმედია.

30 დეკემბრის დილა იყო. „იმელის“ ერთ-ერთ ოთახში იატაკზე ვიჯექი, როდესაც ცუდი ამბავი მოიტანეს. მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად, პირველი გაწვევის რიგითებიდან ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულს, 18 წლის ოთარს თურმე გულმა მაინც არ მოუთმინა და ტერიტორიის დასათვალიერებლად სასტუმრო „თბილისისაკენ“ წასულა. მისი ბედისწერაც ეს ყოფილა: მაღაზია „ციცინათელასთან“ მისულს

სნაიპერის ნასროლი ტყვია პირდაპირ შუბლში მოხვდა. სანამ ჩემამდე ამბავს მოიტანდნენ, მისი მეთაური თორნიკე აღარ დამლოდებია, ჯავშანტრანსპორტიორის საჭესთან თვითონ დამჯდარა, იქნებ ვუშველოთო. მაღაზია „ციცინათელასთან“ მისულს ახდილი ლუკიდან თავის ამოყოფა ვერც კი მოუსწრია, ისიც ადგილზევე მოუკლავთ. ამის გაგონებისთანავე ყველა, ვინც იქ ვიყავით, გამწარებულები, გადამწვარი სასტუმროსკენ გავიქეცით, შენობაში შევცვივდით, იქნებ ვინმე გვენახა, ვისზეც შურს ვიძიებდით. აღარავინ დაგვხვდა. დიდხანს და უმისამართოდ ვისროდით, მაგრამ ამით დაღუპულებს რაღას ვუშველიდით.

რამდენიმე დღის შემდეგ ტელევიზიაში ვიყავი ინტერვიუზე, როდესაც მორიგი ცუდი ამბავი შემატყობინეს: „იმელის“ შენობაში მესამე სართულის ფანჯარაში შემოფრენილი ტყვიით ჩემი სკოლელი კახა მძიმედ დაჭრილიყო. სასწრაფოდ გავიქეცი, იქნებ მიმესწრო, რამე მეშველა. რამდენიმე წუთში უკვე თავთან ვედექი, თითქოს ერთი წამით გონს მოვიდა, მაგრამ უკვე მარადისობაში იყო გადასული...

კიდევ ერთ უახლოეს მეგობარსა და თანასკოლელს ვემშვიდობებოდი.

2 იანვრის დილა იდგა. შტაბში ახალი ინფორმაცია მოვიდა. ამბოხებულების ხელმძღვანელები, მანამდე დარწმუნებულები, რომ ხალხის სრული მხარდაჭერით სარგებლობდნენ, უცებ პანიკურმა შიშმა შეიპყრო. პრეზიდენტის მხარდასაჭერად უამრავი ადამიანი რუსთაველისკენ მოემართებოდა. სიგუა-კიტოვანის გარემოცვა უცებ დაიბნა და ჯაბა იოსელიანი რომ არა, ალბათ ვერც ვერაფერს მოიფიქრებდნენ. ჯაბამ ჩვეული გულცივობითა და სიმშვიდით თქვა: „მაგას რა უნდა?! 4-5 მანქანას გავგზავნი, ავტომატიდან ერთ-ორ ჯერს ჰაერში გაისვრიან და ყველანი დაიშლებიან“. როგორც მოგვიანებით ტელევიზიით ვნახეთ, ასეც მოხდა.

2 იანვარს უპირატესობა ამბოხებულთა მხარეს გადავიდა. კიტოვანმა და იოსელიანმაც აღარ დააყოვნეს და თავი სამხედრო საბჭოდ გამოაცხადეს, სიგუა პრემიერ-მინისტრის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დანიშნეს, მე კი ქალაქის კომენდანტად ისე გამამწესეს, რომ წარმოდგენა არ მქონდა, რა მევალებოდა ან რა უნდა მეკეთებინა. კიდევ, ახლად აღდგენილი სატელევიზიო ეთერით ჩემი და ბესო ქუთათელაძის გამოსვლას ითხოვდნენ, რათა ორივე მხარეს ჩვენი მომხრეებისთვის ცეცხლის შეწყვეტისკენ მოგვეწოდებინა. თავის მხრივ, ქალაქის სამმართველოს მაღალჩინოსნებმა მირჩიეს, მათთვის საპასპორტო რეჟიმის შემოღება დამევალებინა, რაც რაიონებიდან ჩამოსული ხალხის გაყვანას გაუადვილებდათ. ორჯერ ამიხსნეს, მაგრამ მაინც ვერ ვხვდებოდი, რას ნიშნავდა საპასპორტო რეჟიმი.

კიდევ რაღაც უაზრო ინტერვიუებს ვაძლევდი მთავრობის სახლის დანგრევასთან დაკავშირებით.

ჯაბა იოსელიანის ერთგულმა „მხედრიონელებმა“ მეცნიერებათა აკადემიაში მოიწყვეს შტაბი. იქვე განთავსდა ახალშექმნილი სამხედრო საბჭო და დროებითი მთავრობა. სანამ მეცნიერებათა აკადემიაში სამხედრო საბჭო მინისტრებისა და ქართული ეკონომიკისათვის უმნიშვნელოვანესი ქარხნებისა და ფაბრიკების დირექტორების დანიშვნით იყო დაკავებული, ქალაქებსა და რაიონებში „ძველი“ და „ახალი“ სახეები ჯაბა იოსელიანის გარშემო ირაზმებოდნენ. პირველივე დღეებში ათასობით მსურველი აკითხავდა და „მხედრიონში“ გაწევრიანებას ითხოვდა. იოსელიანის ჯგუფი ყოველდღიურად მრავლდებოდა და ძლიერდებოდა. თუ პირველ დღეებში იგი ნაკლებად აქტიურობდა და პასუხისმგებლობის აღებას გაურბოდა, მომდევნო დღეებში ყველა საკითხში წვრილმანებამდე ერეოდა, ყველაფერზე განსხვავებულ აზრს გამოთქვამდა, ცდილობდა, თავისი კანდიდატურების დამსა-

ხურება წარმოეჩინა და თანამდებობებზე საკუთარი ფავორიტები დაენიშნა. იოსელიანის გავლენა და ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა.

კიტოვანის გარემოცვამ დროულად იგრძნო საფრთხე. მეგობრები და ერთგული სამხედროები ჩასჩურჩულებდნენ, არ ენდო ჯაბა იოსელიანსო. ურჩევდნენ, არ დათანხმებულიყო ორკაციანი სამხედრო საბჭოს შექმნას, რომ აზრთა სხვადასხვაობის დროს იოსელიანთან პირისპირ არ დარჩენილიყო. მათ მეტისმეტად აშინებდათ ჯაბა იოსელიანის მზარდი ამბიცია და თავდაჯერებულობა. სთავაზობდნენ, სხვებიც შეეყვანათ სამხედრო საბჭოში, ორ თენგიზთან და ჯაბასთან ერთად მაგიდასთან თანაბარი უფლებით დამსხდარიყვნენ შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები, გენერალური პროკურორი და თუნდაც ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსი. სამხედრო საბჭოში ძალოვანი მინისტრებისა და პროკურორის შეყვანა უეჭველად გაზრდიდა სამართალდამცავი სტრუქტურების ავტორიტეტს და ხელს შეუწყობდა საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას. ასევე, სთავაზობდნენ, ფორმიანთა თარეშის ასალაგმავად ეროვნული გვარდიის ბაზაზე სასწრაფოდ თუნდაც ერთი ახალი ბატალიონი ჩამოეყალიბებინათ, რომლის მებრძოლებსაც ხელფასი დაენიშნებოდათ. კიდევ ათას რჩევა-დარიგებას აძლევდნენ, სისხლით მოპოვებულის გაფრთხილებას ითხოვდნენ.

ამ ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა. არც კიტოვანს ჰქონდა საკმარისი ძალა და არც სიგუას, რომ იოსელიანისთვის წინააღმდეგობა გაეწიათ. არც ჯაბა იყო ის კაცი, ვინც ასე იოლად შეეგუებოდა სასწაულებრივად მოპოვებული ძალაუფლების ვიღაც შვიდ კაცზე გადანაწილებას.

იმ დროს, როდესაც სამხედრო საბჭო დროებითი მთავრობის დაკომპლექტებით იყო გართული, ხელისუფლებას ჯერ კიდევ შესწევდა საიმისო ძალა, რომ იერიშზე გადასულიყო. ბრძოლაში ჯერ არ ჰყავდათ ჩართული ორთაჭალაში, რიტუალების სასახლეში გამაგრებული სვანების რაზმი, ფუნიკულიორზე განლაგებული საჩხერელთა, ასევე, შინაგანი ჯარის რაზმები. მათ ბრძოლა არც უნდოდათ.

5 იანვარს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით სალარიძემ და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ თენგიზ გაზდელიანმა ჩემთან შეხვედრა ითხოვეს. ღამის 10 საათი იქნებოდა. საკმაოდ ბნელოდა, როცა მათ „იმელის“ მახლობლად შევხვდი. რიტუალების სასახლეში დაბანაკებული სვანების ბედი ადარდებდათ, მთხოვეს, მორიგი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად ისინი გამეტარებინა, უფროსი ადამიანებისთვის დამეჯერებინა და მეორე მხარის მიმართ დიდსულოვნება გამომეჩინა.

რაც მოხდა, იმას ვეღარაფერს ვუშველიდი, მოსალოდნელი ახალი უბედურების თავიდან აცილება კი შეიძლებოდა. უსაფრთხო კორიდორის გაკეთებას და იარაღით გასვლას ითხოვდნენ ღირსების შენარჩუნებით. ისიც ეყოფოდათ, დამარცხებულებს უბრძოლველად რომ უნდა დაეტოვებინათ დედაქალაქი. პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ისინი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად უხმაუროდ მოქმედებდნენ. შეუძლებელი იყო, მათ მიმართ პატივისცემით არ გამსჭვალულიყავი.

მოკლედ, შესაძლებლობა მომეცა, რაღაც სწორი, გონივრული გამეკეთებინა. მახსოვს, სიხარულით დავთანხმდი, რაზეც მადლობა გადამიხადეს, არადა მადლობა იქით მქონდა სათქმელი. ჩემგან მიღებული გარანტიით კმაყოფილებმა ახლა მათ მიაშურეს. მოლაპარაკება მთელი ღამე გაგრძელდა. უსაფრთხო მარშრუტად მტკვრის მარჯვენა სანაპირო შეირჩა. საბოლოოდ ორთაჭალაში გამაგრებულმა სვანებმა თბილისი გამთენიისას უბრძოლველად დატოვეს.

თბილისის ახლად დანიშნულ კომენდანტთან თხოვნით სხვაც ბევრი მოდიოდა, თითქოს ქალაქს მართლა მე ვაკონტროლებდი. წესრიგისა და კანონიერების დამყარება უკვე შეუძლებელი იყო, დედაქალაქში სრული ქაოსი სუფევდა.

6 იანვარს, გამთენიისას, იმ დროს, როდესაც რიტუალების სასახლიდან ბარათაშვილის ხიდამდე სვანების კოლონისთვის უსაფრთხო კორიდორს უშუალოდ მე უზრუნველვყოფდი, იქვე, მეტეხის ხიდის მეორე მხარეს, პურის მოედანზე „მხედრიონელთა“ ჯგუფები ბლოკ-პოსტებს აყენებდნენ. როგორც შემდეგ გაირკვა თენგიზ კიტოვანი და თენგიზ სიგუა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან მის უსაფრთხოდ გატარებაზე მოლაპარაკებას აწარმოებდნენ და თბილისის დატოვების შემთხვევაში ხელშეუხებლობის პირობაც მისცეს, თუმცა ეს შეთანხმება ჩემთვისაც კი, ე. წ. კომენდანტისთვის, უცნობი იყო. გამთენიისას უზენაესი საბჭოს ეზოდან სოლოლაკის ვიწრო ქუჩებით წითელი ხიდისკენ მიმავალი პრეზიდენტის და მისი მომხრეების კოლონის გამოჩენა, სავარაუდოდ, ბლოკ-პოსტზე მდგომი „მხედრიონელებისთვისაც“ სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა. რადგანაც ყველა მხარე არ იყო ინფორმირებული ამ შეთანხმებაზე, ინციდენტი მოხდა – ორმხრივი სროლა ატყდა ბლოკ-პოსტზე მდგარ „მხედრიონელებსა“ და პრეზიდენტის კოლონას შორის და უკვე დასრულებულ ომში მანამდე დაღვრილ სისხლს ახალი დაემატა.

პრეზიდენტმა და მისმა ამალამ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრისკენ აიღეს გეზი. უკან მილიციის აკადემიის რექტორი მიაცილებდა „ბეერდეემით“ და რამდენიმე მსუბუქი ავტომანქანით.

სახლებში ბრუნდებოდნენ თანამემამულეებთან ომში დამარცხებული პრეზიდენტის ერთგული თანამებრძოლები, ბრუნდებოდნენ შეურაცხყოფილები, შურისძიების წყურვილით აღვსილნი.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცენტრალური უბნები ხელისუფლების მომხრეებისგან საბოლოოდ დაიცალა, ამბოხებულთა ერთი ჯგუფი უზენაესი საბჭოს შენობის კიბეებთან შეიკრიბა და ისეთი ზეიმი მოაწყო, თითქოს მოსისხლე მტერი დაემარცხებინოთ. ავტომატებიდან ზალპი მისცეს და სამფეროვანი დროშის ფრიალით „იმელისკენ“ გამოემართნენ.

მთელი ღამის უძინარი, „იმელის“ შესასვლელთან უხმოდ ვიღებდი მილოცვებს. საღამოს „მეტეხი პალასში“ საზეიმო ბანკეტისთვის ემზადებოდნენ. ზოგიერთისთვის რომ მოგესმინათ, ეს დღე ოქროს ასოებით უნდა ჩაწერილიყო საქართველოს ისტორიაში. გაკვირვებული ვუყურებდი, როგორ ხარობდნენ და ეროვნულ ტრაგედიას დღესასწაულად ნათლავდნენ.

ისტორიას შემორჩა ვიდეოკადრები, სადაც ჩემი ძმა „გამარჯვებულებს“ საყვედურობს: „გამარჯვება ისე გიხარიათ, თითქოს მოსისხლე მტერი დაგემარცხებინოთ!“

გოჩამ მაშინ ორივე ძმის აზრი გამოხატა. ვერც მე ვიგრძენი, ვერ აღვიქვი და ვერ დავინახე ის გამარჯვება, რომელსაც სხვები ზეიმობდნენ.

იმ დღეს მეც ისეთივე დამარცხებული ვიყავი, როგორც ის, ვინც მე მესროდა. დამარცხებული იყო საქართველო.

თბილისი მედროვეებისა და კრიმინალების ხელში

თბილისში ომი დამთავრდა. უკვე ვეღარ გავჩერდებოდი, მთელი არსებით მინდოდა გავცლოდი ყველას და ყველაფერს და წავსულიყავი სადღაც შორს. ორიოდე დღის წინ შემორჩენებული კომენდანტობა ტვირთად მაწვა. ერთი სული მქონდა, პასუხისმგებლობა მომეხსნა და სხვისთვის გადამებარებინა.

მეცნიერებათა აკადემიის კიბეებზე უამრავი ადამიანი ირეოდა, ხალხის ერთი ნაკადი ადიოდა, მეორე – ჩამოდიოდა. ამსვლელები თითქოს რაღაც დიდ წყალობას ელოდნენ, ჩამომსვლელები კი, თითქოს ზიარება მიიღესო, კმაყოფილები, ბედნიერი სახით ეშვებოდნენ ქვემოთ. ვის არ ნახავდით იქ, ყველა წოდებისა და პროფესიის ადამიანს: ყოფილ პროკურორებსა და მილიციელებს, ქარხნებისა და ფაბრიკების დირექტორებს, მოქმედ თუ ყოფილ მოხელეებს, ცნობილ ადამიანებს, მათ გვერდით კი – ხელმოცარულებსა და მედროვეებს. სწორედ ის ხალხი ირეოდა, რომელიც 22 რიცხვში ტაშს გვიკრავდა, მაგრამ როცა გვიჭირდა, თვალი ვერსად მოვკარით. ძნელი იყო, გულგრილად გეცქირა ამისთვის. მლიქვნელებით იყო სავსე იქაურობა. ძლივს ვიკავებდი თავს, რომ არ მეყვირა: „ეს გინდოდათ?! ღირდა კი ეს ამად?!" – მაგრამ გამბედაობა არ მყოფნიდა.

აკადემიის მესამე სართულზე, კიტოვანის მისაღებში უცებ ვიპოვე ქალაქის კომენდანტობის მსურველი. ის, რაც ჩემთვის უსიამოვნო ტვირთი იყო, სხვისთვის პატივი აღმოჩნდა. წინასწარ არავისთან შემითანხმებია, მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობა გელა ლანჩავას შევთავაზე. მერე მდივანს დავუბარე, მე წავედი-მეთქი და სახლისკენ გავეშურე.

გამოსვლისას ყური მოვკარი, მოხალისეთა ჯგუფები დავალებას იღებდნენ, რომ შეიარაღებული პირების განსაიარაღებლად ქალაქის გასასვლელებთან პიკეტები მოეწყოთ. აგრეთვე, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ნატახტართანაც.

6 იანვრის დილის 10-11 საათი იქნებოდა. ახლა უკვე თავისუფალი ვიყავი. ვალმოხდილი, თანამოძმეთა სისხლით დამძიმებული, მაგრამ მაინც თავისუფალი, არავისი არაფერი მმართებდა და არავის ვალი მიმყვებოდა, ყველას წინაშე საკუთარი სისხლით მქონდა დამტკიცებული ერთგულება.

შინ ვბრუნდებოდი. მივდიოდი და ვერაფერს ვგრძნობდი სიმწრისა და სირცხვილის გარდა. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, უარი მეთქვა სამხედრო კარიერაზე და სამუდამოდ გავცლოდი იმ ადამიანებს, რომლებსაც აქამდე დიდ პატივს ვცემდი. მდუმარედ გვხვდებოდნენ ომიდან დაბრუნებულებს, ერთმანეთისთვის არაფერი გვქონდა სათქმელი. არც მოსალოცად გვქონდა საქმე. გამარჯვებულებს გამარჯვება არ გვეტყობოდა. თავჩაღუნულები დავდიოდით.

საღამოსპირი იყო, როცა გავიგე, რომ სამოქალაქო ომს გადარჩენილ და თბილისს გარიდებულ პრეზიდენტის მომხრეებს სოფელ აღაიანთან სახელდახელოდ მომზადებულ პიკეტზე ცეცხლი გაუხსნეს. გოგია ფხვენისელიც მოეკლათ. თავზარი დამეცა. მასთან ერთად დიდი ლიახვის ხეობაში არაერთი დღე მქონდა გატარებული. გამორჩეულად წესიერი კაცი და მამაცი მებრძოლი იყო. გული მწყდებოდა მასზე, სხვებზეც, მაგრამ უკვე იმდენი მყავდა დასატირებელი, რომ აღარ ვიცოდი, ვის სამძიმარზე მივსულიყავი.

მეზობლად მცხოვრები ჩემი თანაკლასელი მეორე სართულზე ესვენა. ოთარი კასპში გადაასვენეს. თორნიკეს პანაშვიდი ფონიჭალაში იყო. ხერხემალში მძიმედ

დაჭრილი ზვიადი რესპუბლიკური საავადმყოფოს ცივ კედლებში, რეანიმაციაში ებრძოდა სიკვდილს. ბეწვზე გადარჩენილი ზურა ლეჩკომბინატში მკურნალობდა, ნიკა – მეცხრე საავადმყოფოში. დაკარგულთა ბედი მადარდებდა. მალხაზი არსად ჩანდა, ვერც მკვდარს ვპოულობდით და ვერც ცოცხალს. მისი სახელითა და გვარით არც მორგში და არც საავადმყოფოებში არავინ იყო რეგისტრირებული. „თეთრი არწივი", ფაქტობრივად, აღარ არსებობდა. ეს იყო ფასი იმ მწარე გამარჯვებისა...

თბილისი უკვე წუხდა მომხდარის გამო.

ძლიერი ქარი რომ დაუბერავს და ათასგვარ მტვერსა და ქუჩყს დაატრიალებს ჰაერში, ასე გამოძვრა საიდანღაც ათასი ჯურის ავაზაკი, მაროდიორი, ქურდბაცაცა, მძარცველი და ნაძირალა. თითქოს ამისთვის იყო საჭირო თბილისის ომი. მთაწმინდის ნახევრად დამწვარი და ჩაფერფლილი სახლებიდან გადარჩენილ ნივთებს ეზიდებოდნენ, კოლხური კოშკიდან ავეჯს იპარავდნენ, სასტუმრო „მეტეხის" ნომრებში კი „ძველი ბიჭები" მდიდართა სიებს ადგენდნენ და „ცივილიზებულად" ადებდნენ მათ ხარკს. შურისმაძიებლები ზვიადისტების მისამართებს აგროვებდნენ, იარაღის ამოღების მოტივით სახლში უცვივდებოდნენ, იარაღის ნაცვლად საყოფაცხოვრებო ნივთები გამოჰქონდათ და ბევრ სხვა უკადრებელსაც კადრულობდნენ.

იმავე დღეს, 7 იანვარს მაროდიორობისა და ძარცვის აღსაკვეთად სასტუმრო „ივერიაში" ქალაქის დამცველ მოხალისეთა პატრიოტული რაზმი „ორბი" შეიქმნა, მაგრამ ერთი მუჭა ადამიანების ხელით წესრიგის დამყარება შეუძლებელი იყო. მით უმეტეს, რომ რუსთაველზე გაჩენილი ვირუსი ქალაქებსა და სოფლებს დაუჯერებელი სისწრაფით მოედო. სამხედრო თუ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა ადამიანებმა ძარცვა-გლეჯასა და ძალადობას, კაცის კვლასა და რბევას მიჰყვეს ხელი. ცხოვრება აღარავისთვის იყო უსაფრთხო, მილიციის ავტორიტეტი დაკნინდა, კანონი აღარ კანონობდა.

■

ომის დასრულების შემდეგ „გამარჯვებულებმა" მომხდარი „დემოკრატიულ რევოლუციად", „სახალხო აჯანყებად" შეაფასეს, „დამარცხებულებმა" – „სამხედრო გადატრიალებად". ეროვნული მოძრაობის ლიდერების მოთხოვნით, რომელთა შორის განსაკუთრებით ირაკლი წერეთელი აქტიურობდა, აღდგა 1921 წლის კონსტიტუცია. დაჩქარდა საბჭოთა კავშირის ერთიანი საკონსტიტუციო სივრციდან გამოსვლა.

იმ წუთიდან აფხაზებმა და ოსებმა ერთიანი ქართული სახელმწიფოს საფუძველს უფრო აქტიურად დაუწყეს გამოთხრა.

სამხედრო გადატრიალებას დიდი განხეთქილება მოჰყვა ცენტრსა და სამეგრელოს რეგიონს შორის.

ზვიადის მომხრეებად და მის მოწინააღმდეგეებად გაყოფილი საქართველოს მოსახლეობა კიდევ უფრო დაუპირისპირდა ერთმანეთს, სადღაც გაქრა სიყვარული და მეგობრობა. უახლოეს ნათესავებსა და ოჯახის წევრებს შორისაც კი უთანხმოება და სკანდალი ჩვეულებრივი ყოველდღიურობა გახდა, შფოთი, არეულობა და ქაოსი გამეფდა ყველგან. ეს რომ მცოდნოდა, სიახლოვეს როგორ გავეკარებოდი ამ პროცესებს?!

რა მივიღეთ ამით სამხედროებმა? გვარდიის ხელმძღვანელობას დარჩა ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს გაყინული შენობა ორთაჭალაში, ხოლო ბატალიონებს, უფრო სწორად, გათითოკაცებულ ჯგუფებს – საკუთარი,

ნახევრად განადგურებული ბაზები და ყაზარმები. მათთვის აღარავის ეცალა. ძალაგამოცლილები საკუთარ ბაზებს უბრუნდებოდნენ, დაღუპულ მეგობრებს ასაფლავებდნენ, საავადმყოფოებში დაჭრილებს პატრონობდნენ.

ომის დამთავრებიდან რამდენიმე დღეში, სისხლდაშრეტილი და ღონეგამოლეული მეოთხე სპეცდანიშნულების ბატალიონის მეთაურობა უთქმელ და სიტყვაძვირ, დინჯ და აუჩქარებელ, ასაკთან შედარებით დაღვინებულ ახალგაზრდა ოფიცერს, დათო აფციაურს გადავაბარე, რომელიც ცოცხლად დარჩენილთა მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად თბილისის ზღვაზე დისლოკაციის ადგილს დაუბრუნდა და შევსება გამოაცხადა.

კიტოვანის მისაღებში გაცნობილი და დამეგობრებული ჩემი თანაგუნდელების უმრავლესობა შავნაბადას ბაზაზე ავიდა და ამავე სახელის ახალი ქვედანაყოფის ჩამოყალიბებას შეუდგა. აკია ბარბაქაძემ სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელის მოვალეობა ითავა, უშუალოდ ბატალიონის მეთაურად კი ახალგაზრდა კობა კობალაძე დაინიშნა.

პირველი, რაც სასწრაფოდ იყო გასაკეთებელი – უნდა შექმნილიყო ნამდვილი, პროფესიულ ჯარს მიმსგავსებული ერთი სამხედრო ნაწილი მაინც; ოფიცრებისა და ჯარისკაცებისთვის ხელფასი დაენიშნათ, რათა ჯარს ქვეყანაში არსებული ქაოსი აღეკვეთა და მოსალოდნელი არეულობა არ დაეშვა.

როგორც კი დაიმარტოხელებდა, მისივე გარემოცვა კიტოვანს რჩევა-დარიგებებს აყრიდა. კიტოვანიც უსმენდა და ყველაფერზე ერთი პასუხი ჰქონდა: „ვიცი, რასაც ვაკეთებ". შესაძლოა, მართლაც იცოდა რამე, რის შესახებაც მისი მრჩევლები ინფორმაციას არ ფლობდნენ, შესაძლოა, არც იცოდა რამე განსაკუთრებული. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, თავს ყველა მოვალედ თვლიდა, კიტოვანისთვის ისეთი რამ ერჩია, რაც მას ხელისუფლებაში ყოფნას, მრჩეველს კი კეთილდღეობას გაუხანგრძლივებდა.

არადა, ერთი შეხედვით, ნამდვილი წესრიგის დასამყარებლად ცოტა რამ იყო საჭირო – კრიმინალების მოცილება, ერთგულთა და ღირსეულთა დაფასება, შეცდომების აღიარება, მიტევება და დაპირისპირებულთა შემორიგება.

ცხინვალის პირველი პირის იმედის მომცემი შეხვედრა პრემიერ-მინისტრთან

9 იანვარს სოფელ ნიქოზიდან „თეთრი არწივის" სატრანსპორტო სამსახურის უფროსმა ამირან ჭაბუკიანმა შემატყობინა, რომ ერთი თვის წინ გაცნობილი კაპიტანი მკოლა ჩემთან შეხვედრას ითხოვდა. იმავე საღამოს ნიქოზში შეხვედრაზე ჩასულს რუსი ოფიცერი უკვე მაიორის წოდებით დამხვდა. გულწრფელად მივუღოცე ჩინის მომატება. ხანმოკლე მისალმების შემდეგ მკოლამ ცხინვალის პოლიტიკური სიახლეები გამაცნო. ცხინვალში ხელისუფლების სათავეში, ძირითადად, უფროსი თაობის კომუნისტების ე. წ. „ძველი გვარდია" დაბრუნებულიყო. ისინი „ადამონ ნიხასის" სეპარატისტულ მისწრაფებებს არ იზიარებდნენ და იმ იმედით, რომ თბილისში გადატრიალების შედეგად მოსული ხელისუფლება წინამორბედის ნაციონალისტურ კურსს შეცვლიდა, ქართველებთან თანაცხოვრების სურვილს გამოთქვამდნენ.

შექმნილი მდგომარეობის საჩვენოდ გამოსაყენებლად რუსმა მაიორმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელ ზნაურ გასიევთან შეხვედრა შემომთავაზა. ჩემ მიერ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების შემთხვევაში იგი თბილისში ნამოსვლისა და პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის მზადყოფნას გამოთქვამდა. მართალია, ნათქვამი მქონდა, რომ ახალ ხელისუფლებას გავერიდე და აღარაფერში ჩავრეოდი, მაგრამ ასეთ წინადადებაზე უარის თქმა ნამდვილად არ შემეძლო.

საუბარი ნახევარ საათს გაგრძელდა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ როგორც კი ცხინვალი დაიძინებდა, რუსი ოფიცერი ზნაურ გასიევს ნიქოზში, შვეულმფრენთა პოლკის მიმდებარედ მიიყვანდა. იქ მე უნდა დავხვედროდი და თბილისში წამომეყვანა. სიტყვა მივეცი, რომ დილის 6 საათამდე უკან დავბრუნდებოდით.

სოფლის გასასვლელში ამირან ჭაბუკიანი მანქანით მელოდებოდა. ღამის 12 საათი იყო დაწყებული, როდესაც მაიორთან ერთად მოსული ოსი მაღალჩინოსანი ჩვენს მანქანაში გადმოვსვით და თბილისში გამოვემგზავრეთ. ასაკით ბევრად უფროსი თანამგზავრი ქართულად სუფთად მოსაუბრე აღმოჩნდა. წუხდა იმაზე, რაც ქართველებსა და ოსებს შორის ხდებოდა. მათზე ბრაზობდა, ვინც ორ მონათესავე ერში დაპირისპირება და შუღლი გააჩინა. ოს არაფორმალებზე ისევე იყო გაბრაზებული, როგორც ქართველ რადიკალებზე. ლაპარაკში დრო სწრაფად გადიოდა. ერთი სული მქონდა, როდის ჩავიყვანდი თბილისში. იქნებ პრემიერ-მინისტრთან მის შეხვედრას შედეგი მოეტანა და საბოლოოდ მშვიდობა დამყარებულიყო.

ღამის 2 საათი იქნებოდა, როცა სტუმარი თენგიზ სიგუასთან საიდუმლოდ მივიყვანე და მისი შექებაც დავიმსახურე. დახურულ კარს მიღმა შეხვედრა თითქმის ორ საათს გაგრძელდა. მოსაცდელში ვიჯექი და ველოდებოდი. დილის 4 საათისთვის, როგორც იქნა, კაბინეტის კარი გაიღო და პრემიერ-მინისტრმა სტუმარი მისაღებამდე გამოაცილა. ორივეს დაღლილი სახე ჰქონდა. იქვე დაემშვიდობა, კიდევ ერთხელ გადამიხადა მადლობა და უკან მშვიდობით დაბრუნება გვისურვა. ჩემი იმდროინდელი სტატუსით ვერც კი გავბედავდი მეკითხა, რაზე ილაპარაკეს და რაზე შეთანხმდნენ. მხოლოდ ის ვკითხე, შეხვედრით კმაყოფილი თუ იყო. მოკლედ მიპასუხა, კიო.

იმ ღამეს საჭესთან თვალი არ მოუხუჭავს ერთგულებით გამორჩეულ ამირან ჭაბუკიანს, რომელმაც საპატიო სტუმარი უკან, ნიქოზში, შვეულმფრენთა პოლკამდე მიიყვანა. ძალიან ამაყები და გახარებულები ვიყავით თუნდაც იმიტომ, რომ ქართველებისა და ოსების შერიგებაში რაღაც წვლილი შეგვქონდა. არც რუსი მაიორის დამსახურებას ვივიწყებდით. ჩვენთვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა მასთან ურთიერთობა, თუმცა მალე შვეულმფრენთა პოლკი ოფიცრებთან ერთად რუსეთში გადაიყვანეს და მკოლას კვალი საბოლოოდ დავკარგე.

სამთავრობო ძალების გაგზავნა დასავლეთ საქართველოში

თითქმის მთელი დღეები სახლში ვიყავი და გარეთ არ გავდიოდი. არ მასვენებდნენ, მთავრობის სამდივნოდან ხან ვის მიგზავნიდნენ, ხან ვინ მირეკავდა: გეყოფა სახლში ჯდომა და ბუტიაობა, სისხლით მონაპოვარს შენარჩუნება სჭირდება, თორემ ქვეყანა თვალსა და ხელს შუა გვეცლებაო; კიტოვანი ითხოვს შენს ნახვას, უხერხულია ასეთი ქცევაო. თავიდან არ ვპასუხობდი, რასაც მთავაზობდნენ, ყველაფერზე უარს ვეუბნებოდი, ახლოს არ ვეკარებოდი, ძმათა შორის დაპირისპირებაში

მონაწილეობა აღარ მინდოდა. მეგონა, სამუდამოდ წავედი და საბოლოოდ ჩამოვშორდი მათ, ვის გამოც მთელი ცხოვრება ეს ცოდვა უნდა მეტარებინა.

ვერ შევძელი. არ აღმოჩნდა მარტივი, მეტიც, მივხვდი, რომ შეუძლებელი იყო „სამუდამოდ წასვლა“ და ყველაფრის წარსულში დატოვება.

ცუდი ხმები მოდიოდა დასავლეთ საქართველოდან, ახალი მთავრობის უფლებამოსილება აფხაზეთზე აღარ ვრცელდებოდა. საბჭოთა „კაგებეს“ მიერ შექმნილი გაურკვეველი, ვითომ კავკასიელთა თავისუფლებისათვის მებრძოლი ორგანიზაციის მეთაურმა მუსა შანიბოვმა სოხუმი ჩრდილოკავკასიელთა კონფედერაციის[110] დედაქალაქად გამოაცხადა და იქ ჩეჩენთა რაზმებს გზავნიდა.

რაც უკვე მოხდა, ვეღარ შევცვლიდით, მაგრამ რაც ჯერ არ მომხდარიყო, იმის აღკვეთა აუცილებელი იყო, თორემ ქვეყანა თავზე დაგვენგრეოდა. იძულებული და ვალდებულიც ვიყავი, სამხედრო საბჭოს თხოვნას დავთანხმებოდი და სათავეში ჩავდგომოდი სამთავრობო ძალებს, რომ ქვეყნის დაშლა და მოსალოდნელი შეიარაღებული დაპირისპირება თავიდან აგვეცილებინა.

დაბარებულმა რაზმებმა დათქმულ ადგილას, ქუთაისის გასასვლელში, სოფელ ქვიტირთან მოიყარეს თავი. იქ დავადგინეთ მათი საბრძოლო ძალის რიცხოვნობა და შემადგენლობასაც გავეცანით.

ეს იყო, ძირითადად, თბილისის ომის მსვლელობისა და მისი დასრულების შემდეგ მიღებული მოხალისეებით დაკომპლექტებული ძველი და ახლად ჩამოყალიბებული ქვედანაყოფები, რომელთა რიცხოვნობა ასეულს არ სცდებოდა.

მზადებისას თბილისის ზღვის ბაზაზე „ლეტუჩაია მიშის“ მეთაურების დაუპატიჟებელი სტუმრობა და მათ მიერ ჩვენთვის დახმარების შემოთავაზება, ასე თუ ისე, მოულოდნელი არ ყოფილა. ქვიტირთან გაცნობილი საშა რუსეთის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს მოქმედი ხელმძღვანელი, პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე კლაჩკოვი თუ იქნებოდა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. სამხედრო წოდებისა და რუსული არმიის მაიდენტიფიცირებელი ნიშნები არ ეკეთა. როგორც ხანმოკლე საუბრისას გაირკვა, სამსახურიდან შვებულება აეღო და ახლად ჩამოყალიბებული „შავნაბადას“ ბატალიონის სამეთაურო შემადგენლობას ლაშქრობაში საკუთარი ნება-სურვილით მოჰყვებოდა. მისი სახელი და წოდება რომ არ ეხსენებინათ, მამის სახელით – „ბორისიჩით“ მიმართავდნენ.

მარშზევე იჩინა თავი სხვადასხვა არაორგანიზებული ჯგუფის მართვა-ხელმძღვანელობის სირთულემ, რადგან ისინი, ძირითადად, იმ მოხალისეებით იყო დაკომპლექტებული, რომლებსაც საბრძოლო მომზადების მოკლევადიანი კურსიც კი არ ჰქონდათ გავლილი. ამ მოუმზადებლობისა და გამოუცდელობის ბრალი იყო ერთი შემთხვევაც, რომელიც კინაღამ მსხვერპლით დასრულდა.

---

[110] ორგანიზაცია „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ შექმნა 1989 წელს, გაძლიერება და საქართველოს წინააღმდეგ გამოყენება საბჭოთა კავშირისა და შემდგომ რუსეთის სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პროექტი იყო, რომელსაც სსრკ-ში პოლიტიკური გარდაქმნა-მოდერნიზების პერიოდში საბჭოთა ინტერესები უნდა დაეცვა და სირთულეები შეექმნა იმ საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, რომლებიც კავშირიდან გასვლას გადაწყვეტდნენ. „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ შექმნა და მის დედაქალაქად სოხუმის გამოცხადება. მაშინ როდესაც მასში შემავალი „ხალხების“ ტერიტორიების აბსოლუტური უმრავლესობა ჩრდილო კავკასიაში, რუსეთში მდებარეობდა, იმთავითვე ცხადყოფდა რუსეთის ზრახვებს.

სამტრედიისკენ მიმავალ დათოვლილ გზაზე, სავალი გზის პირას გაჩერებულ მანქანაში ვიჯექი ორ „თეთრარწიველთან“ ერთად. კოლონაში მომავალი სატრანსპორტო საშუალებებისა და საბრძოლო ტექნიკის რაოდენობას ვითვლიდით. საჭესთან ამირან ჭაბუკიანი იჯდა, გვერდით, წინა სავარძელზე – მე, მის უკან კი – ამირან შენგელია. უცებ სიღრმიდან, ორასიოდე მეტრში მაღალი სიჩქარით მომავალმა ტანკმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება. რაც უფრო გვიახლოვდებოდა, მით უფრო აშკარა ხდებოდა, რომ ვერც სიჩქარის შემცირებას ახერხებდა და ვერც მექანიზმის მარჯვნივ-მარცხნივ გასწორებას.

ყველაფერი წამებში მოხდა. ტანკმა ჩვენი მანქანისთვის გვერდის ავლა ვერ მოახერხა და ისეთი სისწრაფით გადაუარა, რომ მარცხენა მხარეს მსხდომმა ამირან ჭაბუკიანმა და ამირან შენგელიამ უკანასკნელ წამს რაღაც სასწაულით მოასწრეს გადმოსვლა. მე რადგან მარჯვენა მხარეს ვიჯექი, მეტი დრო მქონდა თავის საშველად. მანქანა ჩვენ თვალწინ კონსერვის ქილასავით ჩაიკეცა.

მდინარე ცხენისწყალთან, იმერეთი-სამეგრელოს საზღვარზე კოლონა კიდევ ერთხელ მოვაწყვე. მარშზე მითითებების გაცემის შემდეგ (სიჩქარე, მანქანებს შორის დისტანცია კოლონაში პირველი და ბოლო მანქანის მითითებით და ა. შ.), როცა საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მართვის სადავეებს ვფლობდი, კვლავ დავიძარით.

„სამთავრობო ჯარები შევიდნენ აბაშაში, სენაკში, ხობში“, – აცხადებდა სახელმწიფო ტელევიზია. მოსახლეობის ერთ ნაწილს ეს ახარებდა, სამაგიეროდ მეორე ნაწილი იბოღმებოდა. ყოველდღიურად წინ მივიწევდით და მშვიდობის სახელით ახალ-ახალ ქალაქებს ვიკავებდით. ასეთი იყო ჩვენზე დაკისრებული ამოცანა და მომწონდა თუ არა, უნდა შემესრულებინა. მოვალეობა განაპირობებდა ცხოვრების წესს და მოქმედებას.

სენაკში 50-მდე ადგილობრივი მცხოვრები იმ შენობის წინ იყო შეკრებილი, რომელშიც დროებით დავბინავდით. უმეტესად ქალები იყვნენ, წყევლა-კრულვას უთვლიდნენ სახელმწიფო გადატრიალების ლიდერებს, კიტოვანს ლანძღავდნენ, იხსენებდნენ ჯაბა იოსელიანის წარსულს. „მხედრიონელებსა“ და გვარდიელებს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოგვმართავდნენ: „შევარდნაძის მონებო, გოშიებო, აგენტებო, მისი ჩამოყვანა გინდათ!“ პირველად მიწევდა უიარაღოდ შეხვედრა საწინააღმდეგო აზრზე მყოფ ადამიანებთან. ჩუმად ვიდექი, ვუსმენდი და კამათში არ ვერეოდი, თუმცა „შევარდნაძის გოშიებად“ ჩვენი მოხსენიება განსაკუთრებით მტკენდა გულს. ეროვნული მოძრაობიდან გამოსულს ვერ წარმომედგინა, რომ ჩემი და ჩემიანების ბრძოლა სსრკ-ის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ჩამოყვანის წინაპირობა გახდებოდა. მეტიც, ერთ-ერთ მომიტინგეს პირდაპირ მივახალე, კიტოვანი არასდროს დაუშვებს ედუარდ შევარდნაძის საქართველოში დაბრუნებას, ის ხომ ეროვნული მოძრაობიდან არის მოსული და თუ საჭირო იქნება, იარაღით ხელში დავხვდები ყაზბეგში, საზღვარზე-მეთქი. ეს სიტყვები ვიღაცისგან მქონდა მოსმენილი.

თითქმის ყოველ ქალაქსა თუ რაიონულ ცენტრში გვიწევდა შევარდნაძის ჩამოყვანის განზრახვის ბრალდებაზე პასუხის გაცემა. გულუბრყვილოდ მჯეროდა, რომ ჩემი, ერთი შეხედვით, მაღალი სამხედრო რანგის გამო სიტუაციას ვფლობდი, რამეს ვწყვეტდი და პროცესებს თუნდაც მცირედით მაინც ვმართავდი. თითქოს ვინმე რამეს მეკითხებოდა.

იმ დროს, როცა სენაკში სრულიად გულწრფელად ვამტკიცებდი, რომ შევარდნაძის ჩამოყვანა სულაც არ იყო ჩემი მიზანი, თბილისიდან მოსკოვში ჩასულ პოლი-

ტიკურ ლიდერებს, ცნობილ ადამიანებს, სამხედრო საბჭოსა და დროებითი მთავრობის წევრებს თურმე შევარდნაძესთან მოლაპარაკება ჰქონდათ გამართული.

სენაკიდან დაფნარი-ლანჩხუთის შემოვლითი გზით მალთაყვის შტაბში სამოქმედო გეგმის შესათანხმებლად ჩავედი. გეგმის მიხედვით, მალთაყვა-ფოთის მიმართულებით „მხედრიონს", „შავნაბადას" და მათ მოკავშირე მოხალისეთა რაზმს – ე. წ. „K-9"-ს ერთობლივად უნდა განეხორციელებინათ გზის გახსნის ოპერაცია, მომდევნო დღეს ფოთიდან სენაკის მიმართულებით დაძრულიყვნენ და სენაკამდე არმისული, სოფელ თეკლათთან შევხვედროდით ერთმანეთს, რომ ზუგდიდისკენ სვლა ერთად გაგვეგრძელებინა.

სენაკში „მხედრიონის" რაზმების ხელმძღვანელს შევხვდი. ვისაუბრეთ, შევთანხმდით კიდეც, თუმცა მასსა და ოთახში მოულოდნელად შემოსულ „K-9"-ს ერთერთ მოხალისეს შორის შელაპარაკებას ისეთი გაგრძელება მოჰყვა, რომ სახტად დავრჩი. სამხედრო ენაზე ასეთ ურთიერთობას „неуставное взаимоотношение"[111] ჰქვია. შეუძლებელი იყო, ამ ინციდენტის შემდეგ „მხედრიონისა" და გვარდიის ერთობლივი სამოქმედო გეგმის განხორციელება გამეგრძელებინა. განხილვა შევწყვიტე და ვთქვი, რომ ჯარი მსგავსი ქმედებების ადგილი არ არის, რომ ამ წესებით ჩვენ ერთად ვერ ვიმოქმედებდით, რის შემდეგაც იქაურობა დავტოვე.

სწორედ მაშინ მივიღე გადაწყვეტილება, გვარდიაში წესრიგის და დისციპლინის უზრუნველსაყოფად ყოველთვის დამოუკიდებლად მემოქმედა. ჩემზე დაკისრებული მაღალი პასუხისმგებლობა მავალდებულებდა, ჩემდამი დაქვემდებარებული დანაყოფის იმიჯი და რეპუტაცია დამეცვა, ვგრძნობდი, რომ ამ ლაშქრობებს ბევრი ინციდენტი მოჰყვებოდა და ყველას თავის ქმედებებზე თავად უნდა ეგო პასუხი.

სწორედ ამ მიზნით მიღებული გადაწყვეტილება – ჩემს დანაყოფს და სხვა დანაყოფებს შორის მოქმედება ყოველთვის გამიჯნული ყოფილიყო, იქცა შემდგომში ცხინვალის სამხედრო კამპანიისა და აფხაზეთის ომის დროსაც ჩემსა და ჯაბა იოსელიანს შორის უთანხმოების ერთ-ერთ მიზეზად. იგი თავის წიგნში „სამი განზომილება" არაერთ ადგილას წერს ამის შესახებ: „ყარყარაშვილს რაც შეიძლება დამოუკიდებლად უჭირავს თავი"; „მას ყოველთვის განცალკევებით ეჭირა თავი, დამოუკიდებლად მოქმედებდა"; „მე არ მჯერა, რომ ყარყარაშვილი ვინმეს დაუჯერებდა!"...

სამეგრელოში ლაშქრობასთან დაკავშირებით ჩემ შესახებ გავრცელებული ათასგვარი ჭორის გასაქარწყლებლად, მინდა აღვწერო ზუგდიდში გატარებული სამი დღე.

უკვე ბნელდებოდა, როდესაც ზუგდიდს მივადექით. ციოდა. ქალაქისთვის თავი რომ ამერიდებინა და ჩემდამი დაქვემდებარებულ, ჯერ კიდევ არაორგანიზებულ ჯგუფებზე კონტროლი არ დამეკარგა, დასაბანაკებლად ზუგდიდის შესასვლელში განცალკევებით მდგარი ტექნიკუმის დაცარიელებული შენობა შეგნებულად ავირჩიე. გვარდიელები გაყინულ შენობაში შევუშვი და ჭიშკართან ყველაზე სანდო მორიგეები დავაყენე. სარდლის ნებართვის გარეშე ბანაკის ტერიტორიის დატოვება კატეგორიულად იყო აკრძალული.

[111] Неуставное взаимоотношение (რუს.) – წესდების შეუსაბამო ურთიერთობა

მანამდეც და მას შემდეგაც ზუგდიდში რომელი რაზმი, ბატალიონი თუ ფორმირებაც არ უნდა ჩასულიყო, ყველა ქალაქის ცენტრში, ქაღალდის ფაბრიკის სასტუმროში იდებდა ბინას.

გაყინულ შენობაში დაბანაკებულ გვარდიელებს ორი დღე-ღამის განმავლობაში მხოლოდ ერთადერთმა ადგილობრივმა ქალბატონმა მოგვაკითხა ფუთაში გამოკრული პროდუქტით, ისიც საღამოს, რომ არავის დაენახა. მომდევნო დღეებში აღარც ეს ქალი გამოჩენილა. რა განწყობით გვხვდებოდა ქალაქი, ადვილი მისახვედრი იყო.

სანამ იქ ვიყავით, საღამოს 8 საათიდან მესამე დღის დილის 11 საათამდე, ბაზის ტერიტორია არავის დაუტოვებია, არანაირი ინციდენტი არ მომხდარა.

ბანაკი მხოლოდ მაშინ დავტოვე, როცა ზუგდიდში თენგიზ სიგუა და ჯაბა იოსელიანი ჩამოვიდნენ. ოცამდე გვარდიელი გავიყოლე და ქალაქის ცენტრისკენ გავეშურეთ. პრეფექტურაში რწმუნებულის კანდიდატურის შესარჩევად შეხვედრა მიმდინარეობდა იმ ხალხთან, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობაში ავტორიტეტით სარგებლობდა. თათბირის დასრულების მოლოდინში იქვე ვტრიალებდი, ცენტრალური გზის მეორე მხარეს, ფიქრებთან მარტო დარჩენილი. ამასობაში ზუგდიდის ცენტრში ნელ-ნელა იკრიბებოდნენ კრიტიკულად განწყობილი ადამიანები. გვარდიელებთან მიდიოდნენ, ეკამათებოდნენ, ლანძღავდნენ. მოედანი თანდათან ივსებოდა. მოულოდნელად ზურგიდან ვიღაც მომეპარა, უკნიდან ხელი დამარტყა და გაიქცა. სწორედ ამ ინციდენტის შემდეგ გადაღებული კადრები გავრცელდა ინტერნეტში ოცდაათი წლის შემდეგ. მომხდარით აღშფოთებული, ზურგიდან ქურდულად მოპარულს ვაჟკაცობას ვუწუნებდი და პირისპირ შეხვედრას ვთხოვდი მეგაფონით. ეს იყო და ეს. სროლა და რამე სადამსჯელო ღონისძიების ჩატარება აზრადაც არ მომსვლია.

წარმატებული ექსპედიცია ენგურიდან ფსოუმდე

სწორედ იმ დღეს ზუგდიდში ჯაბა იოსელიანთან და თენგიზ სიგუასთან შესახვედრად აფხაზეთის ქართული პოლიტიკური დაჯგუფებების ლიდერები – ბორის კაკუბავა, მალხაზ პატარაია, რუდიკ ცატავა და სხვები იყვნენ ჩამოსულები. საგანგაშო ინფორმაცია მოიტანეს: თვის ბოლოსათვის აფხაზებს ახალი კონსტიტუციისა და რაღაც კანონების მიღება განეზრახათ. „დამოუკიდებლობისთვის“ ემზადებოდნენ.

აფხაზეთიდან გადმოსულები სამხედრო საბჭოს წევრებისგან ავტონომიურ რესპუბლიკაში სამთავრობო ჯარის ერთი ნაწილის დაუყოვნებლივ შეყვანას ითხოვდნენ, სამხედრო ძალა თუ შეაჩერებს არძინბასო. მაშინ გავიგე, რომ ორი დღით ადრე თბილისში თენგიზ კიტოვანთან იმავე მოთხოვნით იყო ჩასული აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე თამაზ ნადარეიშვილი. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ სამეგრელოს კი არ სჭირდებოდა მშვიდობის იძულებით დამყარება, არამედ აფხაზეთსაც და აინტერესებდათ, მე რა აზრის ვიყავი. როგორც სამხედრო პირს შეეფერება, მაშინვე გამოვთქვი მზადყოფნა, თუ ასეთი ბრძანება იქნებოდა. ოღონდ იქაურობას გავცლოდი და აფხაზეთში კი არა, ნებისმიერ ცხელ წერტილში წავიდოდი. ეს აზრი კიდევ უფრო განმიმტკიცა იმან, რომ წინა საღამოს ჩემთვის უცნობმა პირებმა სოფელ დარჩელში 17 სახლი გადაწვეს და ეს ამბავი „მხედრიონის“ სახელს დაუკავშირდა.

აფხაზეთში ნასვლაზე თანხმობა იქ მყოფმა „მხედრიონის“ ლიდერებმა – ზაზა ვეფხვაძემ და გია სვანაძემაც თქვეს.

თათბირი როგორც კი დამთავრდა, აფხაზეთიდან ჩამოსულები თენგიზ სიგუასა და ჯაბა იოსელიანს პირადად გაესაუბრნენ. მეც შორიახლოს ვიდექი. საუბარი რომ დაამთავრეს, ჯაბა იოსელიანმა თავისთან მიმიხმო. მანაც და თენგიზ სიგუამაც სიხარულით მიიღეს ჩემი თანხმობა. იოსელიანმა კატეგორიულად გამაფრთხილა, თუ ექსპედიცია ეთნიკურ ნიადაგზე სისხლისღვრაში გადაიზრდება, სამხედრო საბჭო ამ ფაქტს ოფიციალურად გაემიჯნება და დაგმობსო.

გავა წლები და ჯაბა იოსელიანი მართლაც გაემიჯნება ამ გადაწყვეტილებას. როგორც თავის წიგნში წერს: „გალიდან მოდის დელეგაცია პრეფექტ რუდიკ ცატავასთან ერთად. გაუგიათ, რომ ყარყარაშვილი დღეს საღამოს აპირებს გალში გვარდიის შეყვანას“; ... „სასწრაფოდ ვიბარებ ყარყარაშვილს, ზაზა ვეფხვაძესა და გია სვანაძეს. მთვრალები არიან. მართლაც გადაუწყვეტიათ გალში შესვლა. ყარყარაშვილს ახლა უკვე კატეგორიულად ვუკრძალავ ამის გაკეთებას. ზაზას და გიასაც ვსაყვედურობ. იმის მაგივრად, რომ თავისი კონტროლის ქვეშ ჰყოლოდათ ცუდად ატეხილი ყარყარაშვილი, თვითონ მოექცნენ მისი გავლენის ქვეშ. დათვრნენ და სურდათ გაეთამაშებინათ ბიჭური ყოყლოჩინობის აქტი „აბა, წავედით!“

მკითხველმა განსაჯოს: თენგიზ სიგუასა და ჯაბა იოსელიანთან შეუთანხმებლად, თვითნებურად აფხაზეთში შესვლის გადაწყვეტილების მიღებას და შესრულებას როგორ გავბედავდით?!

ამ დავალების შესრულება განსაკუთრებულ სიფრთხილეს და გააზრებულ მოქმედებას მოითხოვდა. სამხედრო ექსპედიციას უნდა უზრუნველეყო, რომ აფხაზებს სეპარატისტული კანონპროექტის მიღებაზე უარი ეთქვათ ან გადაედოთ მაინც, ამასთან, ეს ღიამქრობა სამხედრო კონფლიქტში არ უნდა გადაზრდილიყო.

მოკლედ, ჯაბა იოსელიანმა „მხედრიონით“ და გვარდიის მცირე ნაწილით ზუგდიდში სიტუაციის დამშვიდება ითავა, ხოლო გვარდიის ძირითად ნაწილებს, ჩემი ხელმძღვანელობით, აფხაზეთში სტაბილური ვითარების დამყარება დაევალა.

ახალი დავალებით გახარებული ბაზაზე მივიჩქაროდი. ერთი სული მქონდა, მეთაურებისთვის სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილება მეცნობებინა. ეჭვი, რომელიც აქამდე მუდმივად მღრღნიდა, სადღაც გამქრალიყო. შანსი მეძლეოდა, ზუგდიდში სამოქალაქო დაპირისპირებას გავცლოდი და აფხაზეთში ქართველებს დავხმარებოდი.

ახლა მთავარი იყო, ახალგამომცხვარ სარდალს სხვა ბატალიონების მეთაურების მხარდაჭერა მომეპოვებინა და გვარდია ენგურის მეორე მხარეს გადასასვლელად მომემზადებინა.

მოქმედების გეგმა გზაშივე ჩამოვაყალიბე. დრო რომ არ დამეკარგა, ვიდრე ადგილზე მივიდოდი, გზიდან შტაბის უფროსი პაატა დათუაშვილი ენგურზე ფონის მოსაძებნად გავაგზავნე. 19:00 საათისთვის ტექნიკუმის შენობაში თათბირი დავნიშნე.

საღამოს პირი იყო. ყველა მეთაური შეიკრიბა. ჩაბნელებულ შენობაში ერთადერთი ოთახი იყო სანთლით განათებული. თანამებრძოლებს ვითარება გავაცანი:

– თებერვლის დასაწყისში არძინბას დამოუკიდებელი აფხაზეთის სახელმწიფოებრივი სიმბოლოების მიღება აქვს გადაწყვეტილი. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ქართველი დეპუტატები ჩვენ გვთხოვენ შველას, აფხაზეთში

გაყოლას, იქნებ აფხაზმა სეპარატისტებმა სამხედრო ფაქტორის გამო მაინც გადაიფიქრონ ახალი ავანტიურა!

ძალიან ვღელავდი, სიტყვებს ვეძებდი, მეთაურები აფხაზეთში შესვლის აუცილებლობაში რომ დამერწმუნებინა. არც ჯაბა იოსელიანისა და პრემიერის პირობა დამიმალავს, რომ კონფლიქტის შემთხვევაში სამხედრო საბჭო პასუხისმგებლობას მოიხსნიდა და ლაშქრობა თვითნებობად ჩაგვეთვლებოდა. დასრულებისთანავე ოთახში კამათი ატყდა. იოლი არ აღმოჩნდა საერთო აზრამდე მისვლა. ისეთი ავტორიტეტული მეთაურებიც კი – დევი ჭანკოტაძე, აკია ბარბაქაძე, ტარიელ აბუაშვილი და გელა გელაშვილი – რომლებიც აქამდე ყველგან თვალდახუჭულნი მომყვებოდნენ, უარზე იყვნენ და არც თუ უსაფუძვლოდ.

„ისევ ომში შეგვიყვანენ... თუ ასეა, „მხედრიონელები“ რატომ არ მიდიან?!.. ოფიციალური ბრძანება მოგვცენ, მხოლოდ ამის შემდეგ წავალთ!..“ – სხვადასხვა არგუმენტით ცდილობდნენ საკუთარი პოზიციის ახსნასა და გამართლებას. ჩაფიქრებული ვუსმენდი კამათს, პირველად წავაწყდი რანგით ჩემი თანასწორი მეთაურებისგან წინააღმდეგობას. ამასობაში ვახშმის დროც მოვიდა. შეკრებილებს შესვენება შევთავაზე და თანაშემწეებს სახელდახელოდ მაგიდის გაშლა დავავალე.

სუფრა ათ წუთში გაიშალა. არც ის დამვიწყებია, რომ ოთახში არყით ნახევრამდე სავსე სამლიტრიანი ქილა იდო. მეთაურები მაგიდასთან მივიწვიე.

პირველად ღმერთი ვახსენეთ და სავსე ჭიქა ყველას მივუჭახუნე, მერე წასულების შესანდობარი დავლიეთ, შემდეგ სამშობლოს სადღეგრძელო ვთქვი და თან სხვებს ვაკონტროლებდი, რომ სასმისები ბოლომდე დაეცალათ. მგონი, კიდევ ერთი ან ორი სადღეგრძელო ითქვა და როგორც კი დავრწმუნდი, რომ სასმელმა თავისი საქმე გააკეთა, შესვენება დავასრულე და თათბირი განვაახლე.

– არჩევანის წინაშე ვდგავართ: ან ზუგდიდში „მხედრიონთან“ ერთად სამოქალაქო დაპირისპირებაში ჩავებმებით, ან აქედან დროზე გავაღწევთ და თუნდაც უფრო სახიფათო, მაგრამ ქვეყნისთვის აუცილებელ, ერთიანობის შენარჩუნების გზას მოვძებნით. მეთაურები დაფიქრდით და თვითონ გადაწყვიტეთ. ვინც მომყვება, ხელი ასწიეთ, რადგან თქვენთან ერთად თუ უთქვენოდ, მე მაინც წავალ „არწიველების“ თანხლებით!“ – ვუთხარი მათ.

ამას ნამდვილად არ ელოდნენ. სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელებულა. ვინც მანამდე აფხაზეთში შესვლას ეწინააღმდეგებოდა, ყველამ ერთიმეორის მიყოლებით ასწია ხელი: „თანახმა ვართ... ამის დედაც!.. რაც არის – არის, მოგყვებით!“

ვერ წარმოიდგენთ, როგორი გახარებული ვიყავი, რომ შესვლის გადაწყვეტილება ერთხმად იყო მიღებული.

ახლა უკვე იმის გამხელაც შეიძლებოდა, რომ პაატა დათუაშვილი დილიდან ენგურის მისადგომებთან რეკოგნოსცირებაზე[112] იმყოფებოდა. დაბრუნდა თუ არა, სამოქმედო გეგმის შემუშავებაც დაიწყო. ენგურის ხიდის გადაღმა აფხაზების შინაგანი ჯარის ერთ ასეულს, დაახლოებით ორმოცდაათ კაცს, თავდაცვითი პოზიციები ეკავა და ენგურს იქით სამთავრობო ჯარის, იარაღიანი გვარდიელების შესვლა არ უნდა დაეშვა. ყველა მანქანას აჩერებდნენ და ჩხრეკდნენ.

---

[112] რეკოგნოსცირება (სამხედ.) – დაზვერვა პირადად მეთაურის ან შტაბის ოფიცრის მიერ საბრძოლო მოქმედების დაწყების წინ

ვითარება მაქსიმალურ სიფრთხილეს მოითხოვდა. მთავარი იყო, აფხაზურ შინაგან ჯართან იარაღით დაპირისპირება არ მომხდარიყო, სისხლი არ უნდა დაღვრილიყო. როგორც კი პირველი ტყვია გავარდებოდა, პოლიტიკურად მაშინვე დავმარცხდებოდით. და არა მარტო პოლიტიკურად. მოსალოდნელ საფრთხესაც ვაცნობიერებდი და უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობდი. მოქმედების გეგმის დეტალებიც ამ მაღალი პასუხისმგებლობით იყო ნაკარნახევი.

ღამის 3 საათისთვის ანთებული ფარებითა და დაქოქილი ძრავათი ათი ავტომობილისგან შემდგარმა კოლონამ სოფელ რუხის გასასვლელთან, ენგურის ხიდზე ცენტრალური გზით წინსვლის იმიტაცია შექმნა. ზუსტად ამ დროს ძირითადი ძალებით მდინარე ენგურის ფონი გადავლახეთ და მარცხნიდან შემოვლითი გზით გალის შესასვლელთან გავედით, რითაც აფხაზებთან პირისპირ შეხვედრა ავირიდეთ.

ენგურის მისადგომებთან გამაგრებულმა აფხაზურმა რაზმმა მზის ამოსვლისთანავე მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ზურგში იყვნენ, ყველასგან მოწყვეტილები.

„სამთავრობო ჯარებმა ქალაქი გალი დაიკავეს!“ – დილიდან აცხადებდა საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი. უკვე შეიძლებოდა, ეს მანევრი და მარში მცირე წარმატებად ჩათვლილიყო, თუმცა ყურადღებას მაინც არ ვადუნებდი.

ჩვენი არცერთი ნაბიჯი აფხაზების დამარცხებად არ უნდა აღქმულიყო და დამცირებულად არ უნდა ეგრძნოთ თავი, რადგან ჩვენ წინ არა მტერი, არამედ თანამემამულე, ჩვენივე თანამოქალაქე იდგა, იქ მცხოვრები ქართველების ნათესავი, მეგობარი, მეზობელი, თანასოფლელი... ამიტომ პოლკოვნიკმა დათუაშვილმა ზურგში დარჩენილ აფხაზთა რაზმს წინააღმდეგობის გარეშე, იარაღით გატარება შესთავაზა.

დილის 10 საათისათვის 3 ერთეული Д-30 ტიპის საარტილერიო ბატარეითა და სამი Т-55 ტიპის ტანკით, რამდენიმე „ბეტეერითა“ და „ბეერდეემით“ გაძლიერებული კოლონა და ათასამდე გვარდიელი ოჩამჩირის შესასვლელისა და შემოვლითი გზის გზაჯვარედინთან იდგა და მხოლოდ სარდლის განკარგულებას ელოდა, რომ გზა განეგრძო.

წინსვლას არ ვჩქარობდი. შემდეგი ნაბიჯი გალის ქართველი გამგებლის მეშვეობით აფხაზებთან მოლაპარაკების დაწყება და „დაუპატიჟებლად სტუმრობის“ მიზეზების განმარტება უნდა ყოფილიყო. აფხაზთა ლიდერები ეჭვით ხვდებოდნენ ქართველთა ჯარს, მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ ჩვენი მთავარი მიზანი. ექსპრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეები ქართული ჯარის გადაადგილებას მათ წინააღმდეგ მიმართულ ლაშქრობად აფასებდნენ და შეფარვით აფხაზების მხარეს იჭერდნენ.

პირველი რაც გავაკეთე, პრესკონფერენცია გავმართე. ერთ მხარეს „კოსტავას საზოგადოების“ ყოფილი წევრი თემურ ჭელიძე დავისვი, ასაკით ჩემზე ბევრად უფროსი და პოლიტიკური გამოცდილების მქონე (22 დეკემბერს პარტია მანაც დატოვა და ჩვენ შემოგვიერთდა), მეორე მხარეს – ჩემი თანმხლები აფხაზეთის „მხედრიონის“ უფროსი ბორის კაკუბავა. ჟურნალისტებს ჩვენი იქ ყოფნის მიზანს ვაცნობდი, როდესაც ერთ-ერთმა ადგილობრივმა ჟურნალისტმა, თენგიზ პაჭკორიამ ბორის კაკუბავას უხერხული კითხვა დაუსვა, საიდანაც გავიგე, რომ რამდენიმე დღის წინ ბორის კაკუბავა თავის რაზმთან ერთად გაგრის „ილია მართლის საზოგადოების“ ოფისს მისდგომია და იქ რაღაც ინციდენტი მომხდარა. ცუგანკოვის გვარსაც ახსენებდნენ. უხერხულად შევიშმუშნე. მე სულ სხვა მიზანი მამოძრავებდა, თუმცა ამას ხმამაღლა ვერ ვამბობდი.

პრესკონფერენციის დასრულებისთანავე ოჩამჩირის რაიონის ხელმძღვანელმა სერგეი ბაღაფშმა აფხაზ ლიდერებთან ერთად თავის კაბინეტში მიგვიწვია, სადაც ექსპრეზიდენტის მომხრე პრეფექტებიც იმყოფებოდნენ. მათ სამხედრო საბჭოს დანაბარები გავაცანი: გალის, ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებში ლიანდაგების ყოველდღიური აფეთქება, საქართველოსა და სომხეთისთვის განკუთვნილი ტვირთების ძარცვა ორივე სახელმწიფოში არსებულ მწვავე ეკონომიკურ კრიზისს კიდევ უფრო ამწვავებდა და პრობლემა სასწრაფოდ უნდა მოგვარებულიყო.

– სარკინიგზო მიმოსვლა დაუყოვნებლივ, უახლოეს სამ საათში უნდა აღდგეს! – ულტიმატუმი წავუყენე ექსპრეზიდენტის წარმომადგენლებს. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ერთ-ერთი გვარად შენგელია იყო. აფხაზი ლიდერებისგან კი რკინიგზის უსაფრთხო მიმოსვლის უზრუნველყოფას ვითხოვდი, წინააღმდეგ შემთხვევაში სოხუმში შესვლა მოგვინევდა.

სამმხრივი მოლაპარაკება თითქმის ერთ საათს გაგრძელდა. ბაღაფში იქით ექსპრეზიდენტის მომხრეებთან აწარმოებდა მოლაპარაკებას სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე, აქეთ – სამთავრობო ჯარების სარდლობასთან, რომ როგორმე სამხედროების შესვლა თავიდან აეცილებინა. აფხაზი ლიდერები განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამდნენ და ეწინააღმდეგებოდნენ სოხუმში მძიმე ტექნიკით შესვლას.

მოლაპარაკების დასრულების შემდეგ იქ მყოფ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელს, მისდა გასაოცრად, კონფიდენციალურად ვუთხარით, რომ ექსპრეზიდენტის მომხრეების წინააღმდეგ არანაირ მოქმედებებს არ ვაპირებდით და ვთხოვეთ, ულტიმატუმის ამოწურვამდე სარკინიგზო მიმოსვლა არ გაეხსნათ, რათა გზის გაგრძელების ლეგიტიმური საბაბი გვქონოდა. არც ვითარების გამწვავება გვინდოდა და არც სამხედრო ტექნიკით შესვლის აუცილებლობა იყო, მაგრამ თუ ვითარება მაინც გამწვავდებოდა, აჩიგვარიდან სოხუმში ჩასასვლელად დიდი დრო არ დაგვჭირდებოდა.

ულტიმატუმის ვადის ამოწურვას სულ რაღაც ერთი საათი აკლდა, როდესაც საბოლოოდ მივიღე გადაწყვეტილება. საარტილერიო ბატარეასა და ჯავშანტექნიკას აჩიგვარაში, ზღვის პირას დაბანაკება ვუბრძანე, ბანაკის სამხედრო ხელმძღვანელობა კი საარტილერიო ნაწილის უფროსს, კადრის ოფიცერს, დევი ჭანკოტაძეს დავავალე. რკინიგზის მაგისტრალის გახსნას აღარ დაველოდეთ, ძირითადად, მსუბუქი მანქანებითა და მარშით ღამის 4 საათზე სოხუმის შესასვლელში წინასწარ შერჩეულ მეშველიანის ტურბაზას[113] მივადექით, რომელსაც დირექტორის, გივი მეშველიანის პატივსაცემად მისი გვარით მოიხსენებდნენ.

უკვე სოხუმში ვიყავით.

„Грузинские правительственные войска вошли в город Сухуми!"[114] – დილიდან აცხადებდნენ რუსული სატელევიზიო არხები.

სიხარულით ხვდებოდნენ ეროვნული გვარდიის შესვლას ადგილობრივი ქართველები, თუმცა, რა თქმა უნდა, ყველა არა. სიფრთხილით, დიდი უნდობლობით იღებდნენ ახალ ამბავს ექსპრეზიდენტის მომხრეები. აფხაზები დუმილით ხვდებოდნენ იარაღიანი ქართველების შესვლას სოხუმში, რაც, თავის მხრივ, არსებულ რეალობასთან შეგუებასაც ნიშნავდა. რა იმალებოდა მათ დუმილში, ძნელი მისახვედრი არ იყო.

---

[113] გივი მეშველიანის ტურბაზა – ალკა XV ყრილობის სახელობის ტურბაზა ქალაქ სოხუმში

[114] Грузинские правительственные войска вошли в город Сухуми! (რუს.) – ქართული სამთავრობო ჯარები ქალაქ სოხუმში შევიდნენ!

სამაგიეროდ თბილისში ხარობდნენ, სოხუმში უსაფრთხოდ შესვლისა და დავალების წარმატებულად შესრულებისთვის ჯილდოდ რიგგარეშე მომანიჭეს პოლკოვნიკის წოდება და გზის წარმატებით გაგრძელებაც მისურვეს, ოღონდ ისევ დიდი სიფრთხილით.

მუდმივად დაძაბული ვიყავი, ჩემი ასაკისთვის უჩვეულოდ მძიმე, უდიდესი პასუხისმგებლობა მაწვა ზურგზე.

სულ რაღაც 25 წლის ვიყავი. წესიერად არც ამ კუთხეს ვიცნობდი და არც მის კულტურასა და ყოფას. მხოლოდ ისტორია ვიცოდი, მაგრამ ზუსტად ამ ისტორიაზე დავობდნენ, სხვა ისტორიულ სიმართლესა და სხვა ჭეშმარიტებაზე. სწორედ ეს პასუხისმგებლობა მაშინებდა. როგორც სამხედრო პირს, აქამდე ჩემთვის უცნობ პოლიტიკურ ლიდერებთან და სახელმწიფო ჩინოვნიკებთან მიწევდა მოლაპარაკებების წარმოება. მეორე მხრივ, ვალდებული ვიყავი, ჩემზე ასაკით ბევრად უფროსი, სხვადასხვა ინტერესის და ხასიათის მოხალისეებით დაკომპლექტებულ გვარდიაში სამხედრო წესრიგი და დისციპლინა შემენარჩუნებინა, მართვა და ხელმძღვანელობა არ დამეკარგა. ასაკის შესანიღბად იძულებული გავხდი, წვერი მომეშვა, რაც არმიის ოფიცრისათვის უჩვეულოა. წვერი ასაკს მმატებდა, ეს კი უფროს ადამიანებთან ურთიერთობას მიადვილებდა. თანამებრძოლებს ბევრჯერ უთქვამთ: სიტყვა-პასუხითა და ქცევით, სამეთაურო უნარ-ჩვევებითა და სამხედრო საქმის ცოდნით, მუდამ მოღუშული და სიტყვაძვირი, ასაკთან შედარებით უფროსი გვეგონეო.

ძირითადად, მოხალისეებით დაკომპლექტებული, ცუდად ორგანიზებული ფორმირებების მართვასა და ხელმძღვანელობას, მარშისას ორგანიზებულ სვლასა და დისლოკაციის ადგილებში წესრიგის შენარჩუნებას, რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რათა ლაშქრობას ადგილობრივები ჩვენ წინააღმდეგ არ განეწყო, განურჩევლად ეროვნებისა, აფხაზი იქნებოდა თუ ქართველი, რუსი თუ სომეხი, ექსპრეზიდენტის მომხრე თუ მონინააღმდეგე. წვერგაუპარსავი და ნახევრად სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ჯარისკაცები სხვადასხვა ქალაქში მომხდარი კრიმინალური ინციდენტების გამო კარგი რეპუტაციით ისედაც არ სარგებლობდნენ.

24-საათიანი კონტროლი იყო საჭირო, რომ ლაშქრობისას სამხედროების მხრიდან არცერთი კრიმინალური ფაქტი, მაროდიორობის არცერთი შემთხვევა არ მომხდარიყო, დამნაშავის ძებნაში ექსპრეზიდენტის მომხრეებისა და აფხაზი აქტივისტებისათვის შეურაცხყოფა არ მიგვეყენებინა. ამიტომ სამხედრო ბაზად ქცეული ტურბაზიდან ქალაქში ჯარისკაცების გასვლა კატეგორიულად იკრძალებოდა. სამხედრო წესრიგსა და დისციპლინას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ეს იყო აფხაზეთში ლაშქრობის წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი.

დილიდან ერთმანეთის მიყოლებით გვსტუმრობდნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართული დეპუტაციის ლიდერი თამაზ ნადარეიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი გივი ლომინაძე, უშიშროების მინისტრი ავთო იოსელიანი და აფხაზეთში გამორჩეულად დაფასებული, სოხუმელი გენო ადამია. ისინი პოლიტიკურ ვითარებას გვაცნობდნენ, არძინბასთან მოსალოდნელი შეხვედრისთვის რჩევა-დარიგებას მაძლევდნენ, რომ გარეგნულად ძალიან თავდაჯერებული და პრინციპული ვყოფილიყავი, იმავდროულად კი, ვითარების გამწვავების თავიდან ასაცილებლად, ნაკლებად გამაღიზიანებლად და ხაზგასმული პატივისცემით წარვმდგარიყავი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისთვის გასაგები და მისაღები მოთხოვნებით.

მეორე დღეს, 12 საათისათვის არძინბასთან შეხვედრა იყო დაგეგმილი. უმაღლესი საბჭოს შენობაში მის კაბინეტამდე ასასვლელი კიბე ერთი ამოსუნთქვით ავიარე. დილიდან მელოდნენ. თანაშემწემ, საშუალო ასაკის ქალბატონმა, ჩემი მისვლა არძინბას სელექტორით შეატყობინა და შესასვლელი კარიც თავად გამიღო.

თამამად შევაბიჯე, არძინბასკენ რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი, პოლკოვნიკის წოდებითა და სამთავრობო ჯარების სარდლის სტატუსით წარვუდექი და ხელის ჩამორთმევისა და მოკლე მისალმების შემდეგ სტუმრობის მიზეზების გაცნობა დავიწყე:

– შეუფერხებელი სარკინიგზო მიმოსვლისთვის ხელშეწყობა.

– გულრიფშში, სოხუმსა და გაგრაში ადგილობრივ ქართველებთან შეხვედრების გამართვა და ხელისუფლებაში მოსული დროებითი მთავრობის მიზნების გაცნობა.

– აფხაზეთში მოქმედი დესტრუქციული ძალებისა და პროვოკატორთა გამოვლენა, ექსპრეზიდენტის მომხრეთა შორის ლიანდაგების აფეთქებებში ეჭვმიტანილთა მოძიება.

– ყოფილი ხელისუფლების აქტიურ მხარდამჭერთა იმ პირადი საქმეების შესწავლა, რომლებიც აფხაზეთის შსს-სა და უშიშროების არქივებში ინახებოდა.

აი, ის მიზეზები, რომლებითაც აფხაზეთის პირველ პირებთან სამთავრობო ჯარების შესვლის საჭიროებას ვასაბუთებდი და ვითარების დასამშვიდებლად დახმარებასაც ვითხოვდი. მთავარ მიზანზე, ცხადია, კრინტიც არ დამიძრავს. შეხვედრამ კონსტრუქციულად ჩაიარა.

არძინბასთან შეთანხმებული საკითხების გადაწყვეტას აფხაზური მხარე მაქსიმალური პასუხისმგებლობით მოეკიდა. თვითმმართველობის ხელმძღვანელები ადგილობრივებთან შეხვედრების მოწყობაში დახმარებას დამპირდნენ, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა სოხუმიდან გაგრისკენ კოლონის უსაფრთხო გადაადგილების გარანტიაც მომცა.

დილით სოხუმში შინაგან საქმეთა სამინისტროში მივედი და მინისტრის მოადგილესთან, თემურ ლომინეიშვილთან ერთად არქივში ექსპრეზიდენტის აქტიურ მომხრეთა პირადი საქმეების შესწავლას შევუდექი. სოხუმში ამისთვის არ ჩავსულვარ, ამ ქაღალდებში ქექვა გულზე არ მეხატებოდა და დიდად არც მაინტერესებდა, მაგრამ ძირითადი მიზნის შესანიღბად ასე იყო საჭირო. არასასიამოვნო მასალების გაცნობა თითქმის ორ საათს გაგრძელდა. აფეთქებებში ეჭვმიტანილი ორმოცამდე ნაცნობი თუ უცნობი პირის საბუთების ნახვის შემდეგ ტურბაზაში დავბრუნდი.

ამასობაში პოლკოვნიკი დათუაშვილი და „კოსტავას საზოგადოების“ ყოფილი წევრი თემურ ჭელიძე გულრიფშის რაიონსა და სოხუმში, სხვადასხვა თავშეყრის ადგილას, იქაურ ქართველებს ხვდებოდნენ და სამთავრობო ჯარების აფხაზეთში შესვლის მიზნებს უხსნიდნენ. ბევრისთვის მოულოდნელი და სასიამოვნო იყო, როდესაც იგებდნენ, რომ ლაშქრობის ნამდვილი მიზანი ექსპრეზიდენტის მომხრეების ოფიციალურად გამოცხადებული დევნა კი არა, სეპარატისტული განწყობისა და მოქმედებების აღკვეთა იყო.

■

როგორც წინასწარ იყო შეთანხმებული, მეორე დილისთვის მცირე კოლონით გაგრასა და ლესელიძეში გასვლას ვაპირებდით. მსუბუქი მანქანების კოლონას წინ მილიციის მანქანა მიუძღოდა. ექსცესების თავიდან ასაცილებლად გუდაუთის გადასახვევთან აფხაზი მილიციის უფროსი დაგვხვდა. ეს იყო სრულიად კორექტული, ურთიერთპატივისცემის გამომხატველი ურთიერთობა და მართლაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდი.

„Национальная гвардия Грузии под командованием полковника Каркарашвили приветствует жителей города Гагры!“[115] – ხმის გამაძლიერებლით მიმართავდა გაგრელებს თემურ ჭელიძე.

რაც უფრო ღრმად მივიწევდით წინ, მით უფრო ვღელავდი. ახალგაზრდა თუ მოხუცი, ფანჯრებიდან ყველა ინტერესით გვათვალიერებდა. ხალხის ნაწილი ქუჩაში იყო გამოფენილი. სითბოსა და სიყვარულს ვკითხულობდი მათ თვალებში. გვლოცავდნენ, ღმერთმა გაცოცხლოთ, გაგახაროთო! აქა-იქ აფხაზთა გაავებულ სახეებსაც ვხედავდი.

გაგრაში ერთ-ერთ სანატორიუმში დაგვაბინავეს. იმავე საღამოს თამაზ ნადარეიშვილმა მაღალი ავტორიტეტის მქონე ქართველებთან ერთად რესტორანში მიმასპინძლა. ყველა ხარობდა, გვადღეგრძელებდა. სამთავრობო ჯარების გაგრაში შესვლა და აფხაზების მიერ კოლონის ნებაყოფლობით გატარება რეალობასთან შეგუებასა და ახალი ხელისუფლების აღიარებას ნიშნავდა.

მეორე დილით ბაზაზე გაგრის „მხედრიონელები“ შეიკრიბნენ და ერთობლივ მოწყობას ელოდნენ. იქვე იყვნენ მათი ლიდერებიც – ბორის კაკუბავა და ბადრი ფირცხელანი. თითქოს სადღაც ეჩქარებოდათ. გვარდიელთა და „მხედრიონელთა“ მეთაურებმა რიგრიგობით ჩამაბარეს პატაკი. სამხედრო წესრიგსა და სამხედრო ორგანიზაციაზე მოკლედ ვილაპარაკე. აუცილებელი იყო, წარმატებას ყურადღება და სიფხიზლე არ მოედუნებინა. შემდეგ ბორის კაკუბავამ ილაპარაკა, ლაშქრობის რაღაც ისტორიული მნიშვნელობა ახსენა და საბოლოოდ ყველას გვთხოვა, ნახევარ საათში მდინარე ფსოუსთან შევიკრიბოთო. სიმართლე გითხრათ, ბოლომდე არ მქონდა გაცნობიერებული, რაზე და რატომ გვეპატიჟებოდა. დიდად არც ავჭარებულვარ. ჯერ სახელმწიფო საზღვარზე ავტოინსპექციის საგუშაგოსთან გავიარეთ, ოფიცრებს მივესალმე, მდგომარეობა გამოვკითხე. ბოლოს ხელის ჩამორთმევით დავემშვიდობე და კითხვა-კითხვით მდინარე ფსოუს ნაპირთან იმ ადგილს მივადექი, სადაც „მხედრიონისა“ და გვარდიის რაზმები უკვე მელოდებოდნენ. ცოტა მოშორებით თამაზ ნადარეიშვილი იდგა რამდენიმე პირთან ერთად. იქვე იყო მღვდელიც, რომელსაც, როგორც ბორის კაკუბავამ მითხრა, ჯარი უნდა დაელოცა.

ის ამაღლებული განწყობა, რომელიც იქ იმწუთას სუფევდა, მეც გადმომედო, თუმცა მაინც ვერ ვხვდებოდი კარგად, რას ემსახურებოდა ეს ყველაფერი. ჯერ მოძღვარმა დალოცა ჯარი, შემდეგ თამაზ ნადარეიშვილმა და ბორის კაკუბავამ წარმოთქვეს სიტყვები. მოვისმინე მათი მაღალფარდოვანი საუბარი საქართველოს ისტორიულ წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. სიტყვის დასრულების შემდეგ ვიღაცამ წყლით სავსე თასი გამომიწოდა. მახსოვს, რომ რაღაც სადღეგ-

[115] Национальная гвардия Грузии под командованием полковника Каркарашвили приветствует жителей города Гагры! (რუს.) – საქართველოს ეროვნული გვარდია პოლკოვნიკ ყარყარაშვილის მეთაურობით მიესალმება ქალაქ გაგრის მცხოვრებლებს!

რძელო ვთქვი, ოდნავ მოვსვი კიდეც და ფსოუს წყლით სახე დავიბანე. იქ მყოფები იმავე თასით რიგრიგობით წარმოთქვამდნენ სადღეგრძელოს და ალავერდივით გადასცემდნენ ერთმანეთს. რიტუალს, ისევე როგორც ენგურიდან ფსოუმდე სვლას, სრულად იღებდა ტელეოპერატორი სოსო ტყებუჩავა, ამჟამად საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელი.

სადღეგრძელოში ქართული ჯარისა და მისი სარდლის ქება-დიდების მიუხედავად, ამპარტავნობას ერთი წამითაც არ შევუპყრივარ. მეტიც, არც მდინარე ფსოუს პირას ჩატარებულ რიტუალს ვანიჭებდი განსაკუთრებულ მნიშვნელობას. პოლიტიკოსები, „მხედრიონელები“ და მათი თანმხლებნი მიმოიფანტნენ და ჩემს რაზმთან ერთად ისევ მარტო დავრჩი. სამხედრო ამოცანა, რომელიც ენგურის გადალახვისას დავისახეთ, შესრულებული იყო, ფსოუს საზღვარზე ქართული სახელმწიფოს სამფეროვანი დროშა ფრიალებდა.

სოხუმში გულდამშვიდებული დავბრუნდი.

აფხაზეთის ყველა დიდ ქალაქში ეროვნული გვარდიის რაზმი იდგა და სიმბოლურად ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე სამხედრო საბჭოს ძალაუფლება ვრცელდებოდა.

სამხედროებმა დასახული ამოცანა ზედმიწევნითი სიზუსტით ისე შევასრულეთ, რომ სიფრთხილე ერთი წუთითაც არ დაგვიკარგავს. ამის იქით საქმეს მხოლოდ გავაფუჭებდით. ახლა პოლიტიკური გადაწყვეტილება უკვე თბილისში იყო მისაღები, ოღონდ რა, ვეღარ ვხვდებოდი. ჩემი სამხედრო ცოდნა და პოლიტიკური გამოცდილება ამას ვეღარ სწვდებოდა. ალბათ ვინმე უნდა ჩამოსულიყო, სულერთია ვინ – ვიცე-პრემიერი ან რომელიმე დარგის მინისტრი – ჩამოსულიყვნენ და მოლაპარაკება გაემართათ, რამეზე შეთანხმებულიყვნენ.

სოხუმში დაბრუნების შემდეგ შევიტყვე, რომ ლესელიძიდან ჩემთან ერთად მომავალ თორმეტამდე „შავნაბადელს“, აკია ბარბაქაძის და კობა კობალაძის მეთაურობით, საშა კლაჩკოვის ინიციატივით, სამი მანქანით გუდაუთისკენ გადაუხვევია. ისინი ადგილობრივ მილიციას დაუკავებია და მხოლოდ მას შემდეგ გამოუშვიათ, რაც საშა კლაჩკოვი რუსეთის სამხედრო ბაზის ხელმძღვანელობას დაუკავშირდა. ესეც ერთ-ერთი ფაქტია, რომელიც წარმოაჩენს რუსების გავლენას და იმ დროისთვის მათ განწყობას ქართული მხარის მიმართ.

იმ დროს, როცა ჩვენ სწორედ ის გვიხაროდა, რომ აფხაზეთი ექსცესების გარეშე გავიარეთ და ქვეყანას სისხლიანი დაპირისპირება ავაცილეთ თავიდან, თბილისში 2 თებერვალს „მხედრიონს“ ვაგზლის მიმდებარე მოედანზე ზვიადისტების მიტინგი იარაღით დაურბევია.

■

ჯერ კიდევ მე-4 სპეცბატალიონის მეთაურობისას, რომელიც თბილისში 5 დეკემბრის ქუჩაზე მცხოვრები ჩემი ახლობლებითა და მეგობრებით იყო დაკომპლექტებული, რამდენჯერ გამაწბილეს, როდესაც სამხედრო დისციპლინის განმტკიცებისათვის მათგან სამხედრო წესდებისამებრ მომართვას ვითხოვდი და ვერასოდეს მივაღწიე ამას. ახლა უკვე რისკიანმა ნაბიჯებმა, გადაწყვეტილების მიღების სითამამემ, მაღალი პასუხისმგებლობით ჩატარებულმა სამხედრო ოპერაციამ და, რაც მთავარია, უსისხლოდ მიღწეულმა წარმატებამ რაღაც ახალი ურთიერთობის, პატივისცემის, ნდობისა და სამხედრო მორჩილების უხილავი ძაფები გააბა ჩემსა და

არა მარტო „თეთრი არწივის“, არამედ სხვა ფორმირებების ჯარისკაცებსა თუ მოხალისეებს შორის. მიმართვის ფორმაც თვითონვე ისე შეარჩიეს, რომ „ბატონოს“ გამოყენება არ სჭირდებოდათ. „სარდალს“ მეძახდნენ, ასე მომმართავდნენ ასაკით ბევრად უფროსი თუ უმცროსი თანამებრძოლები.

ჯარისკაცებს უყვართ წარმატებული მეთაურები. ნებისმიერი, თუნდაც მცირედი და უმნიშვნელო, მაგრამ უსისხლოდ შესრულებული საბრძოლო დავალება დიდად ეამაყებათ და მეთაურის მიმართ პატივისცემით იმსჭვალებიან, აღარც მორჩილებას თაკილობენ და ბრძანებასაც უსიტყვოდ ასრულებენ.

თუმცა ეს ნამდვილი ჯარი არ იყო, არამედ მოხალისეებისგან შემდგარი გაუწვრთნელი ლაშქარი, რომელზეც სამხედრო ვალდებულებათა წესები არ ვრცელდებოდა. მისი მართვა-ხელმძღვანელობისათვის კი მხოლოდ პირადი ავტორიტეტი ნამდვილად არ კმაროდა, მით უფრო, დისლოკაციის იმ ბაზებზე, სადაც მე არ ვიმყოფებოდი.

თუ მეხსიერება არ მღალატობს, 10 თებერვლის დილა იყო, დაახლოებით 11 საათი, როდესაც სამთავრობო ტელეფონზე არძინბამ დარეკა. სახელით და მამის სახელით მომმართა, ეტყობოდა, რომ რაღაცით აღშფოთებული იყო, თავს ძლივს იკავებდა, სიბრაზისგან სიტყვებს კბილებში ცრიდა, რომ ნათქვამი მეტისმეტად უკმეხად და უხეშად არ გამოსვლოდა:

– დისლოკაციის იმ ბაზებზე, სადაც თქვენ იმყოფებით, დისციპლინისა და სამხედრო წესრიგის მხრივ ქართველი გვარდიელების ქცევაზე სასაყვედურო არაფერი გვაქვს, არ შემიძლია, ამის გამო მადლიერება არ გამოვხატო, მაგრამ როდესაც თქვენ გარეშე რჩებიან, აღმამფოთებელი ფაქტები ხდება, გთხოვთ, დაუყოვნებლივ მიიღოთ ზომები!

აღშფოთების მიზეზი ნამდვილად ჰქონდა. როგორც მითხრა, აჩიგვარაში, ზღვის სანაპიროსთან დატოვებული დაჯგუფების რამდენიმე წევრს ზღვაში საბრძოლო ჭურვებით თევზაობა გაუმართავს. იმავე დილით კი გაგრიდან სოხუმისკენ მომავალ სამხედრო კოლონას კომკავშირის XV ყრილობის სახელობის ტურბაზიდან ორი სამთავრობო ავტომობილი „ზიმი“ გაუყვანია.

მძიმე მოსასმენი იყო. აქ უკვე საქმე პოლიტიკას კი არა, ადამიანურ ურთიერთობას, მუნდირის ღირსებას ეხებოდა. ვუსმენდი და მის განწყობას სრულად ვიზიარებდი. ქართველი ჯარისკაცის საქციელის გამო ბოდიში მოვუხადე და სიტყვა მივეცი, რომ დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩებოდა. ერთი სული მქონდა, როდის ჩამოაღწევდა სოხუმში გაგრაში დატოვებული რაზმის მეთაური.

კრიმინალი არც მშვიდობიან ცხოვრებას უხდება, მაგრამ სამხედრო ლაშქრობისას ნებისმიერი ინციდენტი ბევრად უფრო თვალსაჩინოა და, განზრახ თუ უნებლიეთ, ჯარისკაცის მიერ ჩადენილი დანაშაული თავად ლაშქრობის დისკრედიტაციას ახდენს, მოწინააღმდეგეს განსაკუთრებით აბოროტებს და შურისგების ობიექტად გაქცევს.

ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ ინციდენტის მონაწილე ჩვენი თანამებრძოლი, ჩემივე გუნდის წევრი, ჩემი მეგობარი აღმოჩნდა. ტურბაზის ჭიშკართან ველოდებოდი მასთან დაახლოებულ ათამდე „არწიველთან“ ერთად. ისეთი გაცეცხლებული ვიყავი, რომ დამშვიდებასაც კი ვერავინ მიბედავდა. დიდი ხანი არ გასულა და ჭიშკართან ერთმანეთის მიყოლებით ორი შავი მანქანა გაჩერდა. მათი მსგავსი მხოლოდ ტელევიზიით, მოსკოვში გამართულ სამხედრო აღლუმებზე მე-

ნახა. ერთ-ერთი მანქანის უკანა კარი გაიღო, იქიდან ჩემ მიერ დაბა ლესელიძეში სამხედრო მეთაურად დანიშნული პირი გადმოვიდა გაღიმებული სახით და საზეიმოდ მახარა: „სარდალო, ეს ტროფეი ჩემგან საჩუქრად!“ სიტყვა დასრულებული არ ჰქონდა, რომ აღშფოთებული მივვარდი.

– მანქანები სასწრაფოდ დააბრუნეთ, ამას კი იარაღი ჩამოართვით და აფხაზეთის ტერიტორია დაატოვებინეთ! – განკარგულება გავეცი და უკან გავტრიალდი. ზოგი ჩემს დამშვიდებას შეეცადა და შუაში ჩადგა. დანარჩენებმა გვერდით გაიყვანეს და საყვედურებით აავსეს. სასჯელით განცვიფრებული, ვერაფერს მიხვდა და დანანებით იკითხა: „მეორე მანქანაც მისთვის უნდა მიმეცა?“

რაღა უნდა მეთქვა ამის შემდეგ?!

სამთავრობო მანქანების უკან, გარაჟში მიყვანიდან ნახევარი საათი არ იყო გასული, რომ არძინბამ კიდევ ერთხელ დამირეკა და მადლობა გადამიხადა, მეც კიდევ ერთხელ მოვუხადე ბოდიში.

უკანასკნელი ინციდენტი კი, რომლის შესახებაც მან მისაყვედურა, უკვე მთელ ლაშქრობას სცხებდა ჩირქს. როგორც გაირკვა, ოჩამჩირესთან დაბანაკებული საარტილერიო ქვედანაყოფის მეთაურის მოადგილეს მძღოლთან ერთად დისლოკაციის ადგილი უნებართვოდ დაუტოვებია, გზაში ბენზინი გასთავებიათ და გალის მისადგომებთან „ნივის“ გაჩერება უცდიათ, მაგრამ რადგან არ გაუჩერეს, მანქანისთვის ცეცხლი გაუხსნიათ. იმ „ნივაში“ გალის პროკურატურის თანამშრომელი მჯდარა მძღოლთან ერთად. ეს მოსასმენადაც კი იმდენად მძიმე იყო, რომ გამწარებულმა შსს-ს თვითონ მოვთხოვე, ამ ინციდენტში მონაწილეები დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინათ...

ასე გრძელდებოდა ჩვენი თანამშრომლობა, თუმცა მოულოდნელად, მდინარე ფსოუსთან ადგილობრივი ქართველების თხოვნით ჩატარებული რიტუალის ტელევიზიით ჩვენების შემდეგ, აღშფოთებულმა არძინბამ ისევ დამირეკა და საყვედურებით ამავსო, რადგან ის მიზნები, რომლებიც პირველი შეხვედრისას გავაცანი, სიუჟეტში გასული განცხადებებისაგან სრულიად განსხვავდებოდა. დამცინავად იკითხა, ფსოუს წყლისგან დიზენტერია ხომ არ დაემართათ გვარდიელებსო.

უცებ თვალწინ დამიდგა ორი დღის წინ მდინარე ფსოუსთან პოლიტიკოსისა და „მხედრიონის“ ადგილობრივი ლიდერის, ბორის კაკუბავას მიერ ორგანიზებული რიტუალი და მაშინვე მივხვდი, რომ ძალიან შევცდი. მდინარე ფსოუსთან ჩატარებულ რიტუალში ჩემი წინდაუხედავად და გაუცნობიერებლად მონაწილეობის კადრებმა ერთბაშად არია ამდენი დღის განმავლობაში სიფრთხილითა და უდიდესი პასუხისმგებლობით აწყობილი ურთიერთობა როგორც აფხაზეთის ხელისუფლებასთან, ისე აფხაზურ საზოგადოებასთან.

მომდევნო 2-3 დღეს არძინბას აღარ დაურეკავს. სამაგიეროდ 16 თებერვლისათვის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე სწორედ იმ კანონპროექტების მიღება დააანონსა, რომლებიც პირდაპირ უთხრიდა ძირს ერთიან ქართულ სახელმწიფოს.

არძინბას მიერ სესიის თარიღისა და განსახილველი საკითხების გამოცხადებამ დიდი მღელვარება გამოიწვია უმაღლესი საბჭოს ქართველ დეპუტატებს შორის და ქართულ საზოგადოებაშიც. ტურბაზაში დილითვე მოვიდნენ თამაზ ნადარეიშვილი, გივი ლომინაძე, ავთო იოსელიანი, გენო ადამია და თავიანთ მოსაზრებას გამოთქვამდნენ, თუ რა გზით უნდა აღვდგომოდით წინ არძინბას გადაწყვეტილებას. აფხაზეთის პოლიტიკური ლიდერები აქტიურად მოითხოვდნენ აჩიგვარასთან და-

ბანაკებული ჯავშანტექნიკის სოხუმში შეყვანას. მდუმარედ ვუსმენდი უფროსი ადამიანების რჩევას. სიმართლე გითხრათ, თბილისში არც დამირეკავს, რომ ვინმესთვის მეკითხა, შემდეგი რა ნაბიჯი გადამედგა, რადგან არც იქ მეგულებოდა ვინმე, ვინც რაციონალურ რჩევას მომცემდა ან თუნდაც შემდგომ ამოცანას დამისახავდა. ჯობდა, მოქმედების გეგმა თავადვე მომეფიქრებინა.

აჩიგვარიდან მძიმე ტექნიკის კოლონის სოხუმში შეყვანა არძინბასთან პირდაპირ კონფრონტაციას ნიშნავდა და გზად არც გულრიფშში დისლოცირებულ აფხაზეთის შინაგან ჯართან შეჯახება იყო გამორიცხული.

უფრო ოპტიმალურად მეჩვენებოდა იქვე, სოხუმში დისლოცირებული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ერთ-ერთი სამხედრო ნაწილიდან ჯავშანტექნიკის შეძენა. ეს იდეა ჩემი შტაბის უფროსს, პოლკოვნიკ დათუაშვილს გავუმხილე. თავდაცვის მინისტრს არ უნდა გასჭირვებოდა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობისთვის რამდენიმე „ბეემპეს“ გადმოცემა ეთხოვა.

როგორც ჩაფიქრებული იყო, კიტოვანისთვის მიწოდებულმა ამ აზრმა სრული მხარდაჭერა პოვა. ამიერკავკასიის ოლქის სარდლობის განკარგულებამ, რომ ქართველი სამხედროებისთვის მხარდაჭერა უნდა გამოეცხადებინათ და საკუთარი შეიარაღებიდან ექვსი „ბეემპე“ გადაეცათ, ოპერატიულად ჩააღწია სოხუმში დისლოცირებული 901-ე ცალკეული საპარაშუტო-სადესანტო ბატალიონის მეთაურთან.

პოლკოვნიკი დათუაშვილი ექვს გვარდიელთან ერთად, რომლებსაც საბჭოთა არმიიდან „ბეემპეს“ ან სოფელში ტრაქტორის მართვის გამოცდილება ჰქონდათ, ტექნიკის გადმოსაბარებლად რუსულ სამხედრო ნაწილში დილიდანვე მივიდა. პარალელურად, მუშავდებოდა საბრძოლო ტექნიკის გამოყენების გეგმა.

საგანგებოდ დაგეგმილი ოპერაცია მაქსიმალურად იყო გასაიდუმლოებული და მის შესახებ მხოლოდ გენო ადამიამ იცოდა. დათქმულ დღესა და საათზე, სწორედ იმ დროს, როდესაც ადგილობრივი ტელევიზიით უმაღლესი საბჭოს სხდომის პირდაპირი ტრანსლაცია იწყებოდა, რამდენიმე წუთით ადრე, ვიდრე ვლადისლავ არძინბა საგანგებო სესიას გახსნიდა, რუსული სამხედრო ნაწილიდან გამოსული სამ-სამი „ბეემპე-1“-ისა და „ბეემპე-2“-ისგან შემდგარი კოლონა, რომელსაც წინ სამხედრო УАЗ-469-ით შტაბის უფროსი მიუძღოდა, ზუსტად სესიის დაწყებისას მიადგა ცენტრალურ ქუჩას და ისე, როგორც დაგეგმილი იყო, უმაღლესი საბჭოს შენობის წინ სულ რამდენიმე წუთით შეჩერდა...

ეს საკმარისი აღმოჩნდა.

პირდაპირი ეთერით ვუყურებდი, სხდომათა დარბაზში თანაშემწემ როგორ მიაწოდა არძინბას ფურცელზე დაწერილი ტექსტი.

სხდომა გადაიდო.

რა ეწერა იმ ფურცელზე, ძნელი მისახვედრი არ იყო. სხდომის დახურვისთანავე კოლონა მეშველიანის ტურბაზისკენ გამოემართა და თავდაცვითი პოზიცია უკვე ეზოში დაიკავა.

იმ დღიდან აფხაზეთის პირველ პირთან ჩემი დიალოგი ისევ განახლდა. თემა უკვე ახალი ხელისუფლების აღიარება და სამომავლო თანამშრომლობაზე მოლაპარაკების დაწყება იყო. როგორც ადგილობრივმა ლიდერებმა დამარიგეს, ვლადისლავ არძინბას თბილისში ჩასვლა და თენგიზ სიგუასთან შეხვედრა მოკრძალებულად შევთავაზე. სიგუასთან შეხვედრის შემთხვევაში, ცხადია, სამთავრობო ჯარების აფხაზეთში ყოფნა-არყოფნის საკითხზეც იქნებოდა საუბარი. თავის მხრივ,

არძინბა აცხადებდა, რომ თბილისში მხოლოდ იმ პირობით ჩავიდოდა, თუ ქართული ქვედანაყოფები აფხაზეთს დატოვებდნენ. ადგილობრივი ქართველები, დეპუტატები და ძალოვანი მინისტრები დაჟინებით მირჩევდნენ, ამ პირობაზე არ დავთანხმებულიყავით:

– არძინბა მოგატყუებთ, არ ენდოთ, არ ჩამოვა თბილისში! – მიმტკიცებდნენ თამაზ ნადარეიშვილი, გივი ლომინაძე, გენო ადამია და სხვები. მათ აბრს მეც სრულად ვიზიარებდი. აფხაზეთს გვარდიის ნაწილები მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებდნენ, თუ არძინბა თბილისში სამომავლო თანამშრომლობაზე პრემიერ-მინისტრთან მოლაპარაკებას დაიწყებდა და ჯარების გაყვანის ბრძანებას მივიღებდი. ისიც იმ პირობით, თუ სოხუმში გვარდიის მცირე გარნიზონი მაინც დარჩებოდა. სხვანაირად ადგილობრივებისათვის ძნელი ასახსნელი იქნებოდა, რატომ უნდა გასულიყვნენ გვარდიის ნაწილები სოხუმიდან, რადგან ეს მათ მიტოვებას ნიშნავდა. თბილისსა და სოხუმს შორის კონსულტაცია, მათ შორის, ჩემი მონაწილეობით, სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. საბოლოოდ, როგორც გაირკვა, შეთანხმება შედგა. არძინბამ თბილისში ჩამოსვლის თარიღი (25 თებერვალი) პრემიერ-მინისტრთან ტელეფონით შეათანხმა. მიღწეული შეთანხმების თაობაზე თენგიზ სიგუასა და ვლადისლავ არძინბას კომენტარები რუსეთის ტელევიზიის ცენტრალურ არხზე, პროგრამა „ვრემიაში“ აჩვენეს. არძინბამ თბილისში ჩამოსვლის შესახებ მზადყოფნა კიდევ ერთხელ დაადასტურა.

იმავე დღეს თავდაცვის მინისტრის მდივანმა ინგა კეშელავამ ტელეფონით შეატყობინა, რომ მომავალი მოქმედებების დასაგეგმად სასწრაფოდ თბილისში მიძახებდნენ. იმდენად ჩქარობდნენ, რომ კატეგორიულად მომთხოვეს, სოხუმიდან დედაქალაქში შვეულმფრენით დავბრუნებულიყავი.

საღამოს ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც შვეულმფრენი თბილისის აეროდრომზე დაეშვა. იქ მანქანა მელოდებოდა, რომელმაც პირდაპირ მინისტრთა საბჭოში მიმიყვანა. თითქმის ერთი თვე იყო გასული, რაც დედაქალაქი დავტოვე. უკან დაბრუნებულს თბილისი სხვანაირი მეჩვენა. აეროპორტიდან მომავალს ჩაბნელებულ ქალაქში გზად ერთი მანქანაც არ შემხვედრია. თითქოს სიცოცხლე ჩამკვდარიყო. მხოლოდ შეიარაღებული პიკეტები გვხვდებოდა. ქალაქში კომენდანტის საათი მოქმედებდა.

მინისტრთა საბჭოში რომ მივედი, თენგიზ კიტოვანი სამსახურში აღარ დამხვდა. მისაღებში მისი მდივანი ინგა იყო მეგობრებთან ერთად. მუდმივი დაძაბულობისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მყოფი, ტყე-ღრეში, სიცივესა და ყინვაში, უშუქობასა და სიბნელეში გატარებული თვეების შემდეგ მინისტრთა საბჭოს განათებულ შენობაში ვიჯექი და ვთბებოდი. ის კი არა, გოგოებმა ისეთი მზრუნველობა გამოიჩინეს, რომ ცხელი წყლით თავიც დამაბანინეს და ცოტა ხნით დასვენებაც შემომთავაზეს.

ისე მექცეოდნენ, როგორც გამარჯვებულს. ჩემდამი მოძღვნილი ლექსის სტრიქონიც კი წამიკითხეს: „დედას რად უნდა თორმეტი შვილი, ერთი ჰყავდეს და ყარყარაშვილი“. ამაზე ვიცინეთ და კიდევ დიდხანს ვილაპარაკეთ. თბილისის ამბები გამოვიკითხე.

შინ გვიან ღამით დავბრუნდი.

მეორე დღეს, დილიდანვე მთავრობის სახლისკენ გავეშურე. ერთი სული მქონდა, ანგარიში ჩამებარებინა. სამხედროებმა დასახული ამოცანა შეასრულეს. გზად ყველა ქალაქში წესრიგი და სამხედრო საბჭოს გავლენა აღვადგინეთ. ახლა უკვე მთავრობის ეფექტიანი მუშაობა იყო საჭირო და კიდევ – პოლიტიკური ნაბი-

ჯების გადადგმა ერთიანობის განსამტკიცებლად. მომდევნო ამოცანას ველოდი. თანაც იმედი მქონდა, რომ ქებას დავიმსახურებდი.

12 საათი ხდებოდა. როგორც მისაღებში თქვეს, რამდენიმე წუთში მთავრობის სხდომა უნდა დაწყებულიყო. ცოტა აღელვებულები ჩანდნენ. დროებით მთავრობას საკუთარი ვიცე-პრემიერი ეურჩებოდა და უტევდა: რომან გოცირიძე მთავრობის სხდომაზე ახალი საკითხის გატანას აპირებდა ქვეყნის საფინანსო, ეკონომიკური და ენერგეტიკული კრიზისიდან გამოსაყვანად, რაღაც ახალს სთავაზობდა და საკუთარი გეგმის დამტკიცებას ითხოვდა. სამდივნოში, სადაც ყველა ამბავი იყრიდა თავს, გოგოები მღელვარებას ვერ მალავდნენ. მათი ასეთი აფორიაქება ძალიან მიკვირდა. ხალხს, რომელიც გადატრიალების მოწყობას არ მორიდებია, რომან გოცირიძის მოხსენება აშინებდა!

12 საათისთვის რიგრიგობით გამოჩნდნენ ჯერ სიგუა, მერე კიტოვანი. გულთბილი მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ მოულოდნელად მთავრობის სხდომაზე შესვლა და მასში მონაწილეობა შემომთავაზეს. მალევე მივხვდი, რომ სხდომაზე ჩემი დასწრება მხოლოდ გოცირიძის „გასანეიტრალებლად" და მისი აქტიურობის შესაჩერებლად იყო საჭირო.

მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ორივე თენგიზმა პრემიერ-მინისტრის კაბინეტში შემიყვანა. თბილად მომიკითხეს. დაწვრილებით მომაყოლეს ლაშქრობის ამბები და ბოლოს მთავრობის გადაწყვეტილება გამაცნეს – მიზეზთა გამო აფხაზეთიდან ეროვნული გვარდიის ნაწილების გამოყვანა ჰქონდათ გადაწყვეტილი.

ვცადე, დამერწმუნებინა, რომ მცირერიცხოვანი გარნიზონი მაინც დაგვეტოვებინა, რომლის შენახვა სახელმწიფოს არ გაუჭირდებოდა. მიმაჩნდა, რომ დროებითი მთავრობისთვის უპირველესი საკითხი ეს უნდა ყოფილიყო. იქნებ ვცდებოდი კიდეც, მაგრამ, ჩემი აზრით, სულ ცოტა რამ იყო საჭირო: სოხუმში სამთავრობო დელეგაციის გაგზავნა, ნდობისა და ურთიერთპატივისცემის დადასტურება, დიალოგი და მოლაპარაკება, დედაქალაქსა და რეგიონს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენა, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა. საყოველთაო კრიზისის და უშუქობის პირობებში აფხაზეთს ხომ ისევე უჭირდა, როგორც მთელ დანარჩენ საქართველოს.

სოხუმსა და რამდენიმე ქალაქში მცირერიცხოვანი სამხედრო გარნიზონის დატოვების აუცილებლობას მშვიდად ვუსაბუთებდი არგუმენტებით: სარკინიგზო მიმოსვლის უსაფრთხოების დაცვა; აფეთქებების მოწყობაში ეჭვმიტანილი პირებისა და ჯგუფების გამოვლენა აფხაზეთის შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების ხელმძღვანელებთან ერთად. სამწუხაროდ, როგორც ამიხსნეს, თბილისს სოხუმისათვის აღარ ეცალა, ისედაც უამრავი თავსატეხი გასჩენოდათ. ეკონომიკა კატასტროფული სისწრაფით ჩანაგდებოდა. ქვეყანაში ბნელოდა და სადაც ბნელა, იქ კრიმინალი ზეობს.

ერთი მხრივ, გაგებით ვეკიდებოდი გვარდიის გამოყვანის იძულებით ნაბიჯს და, როგორც სამხედრო, ვალდებული ვიყავი, ის ამოცანა შემესრულებინა, რომელსაც დამისახავდნენ. მეორე მხრივ, ერთ თვეში გვარდიელების ძალისხმევითა და ოფლით გავლილი 600 კილომეტრი და უსისხლოდ მიღწეული წარმატება ასე იოლად არ მეთმობოდა. განსაკუთრებით აფხაზეთის ქართველობის მერიდებოდა – მათ ხომ ჩემი ირწმუნეს და გვერდით დამიდგნენ, მათთვის თვალებში როგორ შემეხედა, როგორ ამეხსნა?!

ურჩობის უფლებას ვერც საკუთარ თავს მივცემდი და ვერც თავდაცვის მინისტრს ვაკადრებდი, ამიტომ ორივე თენგიზს გამოსავალი თავად შევთავაზე: მე გადავდგებოდი, ჩემს ადგილზე კი შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი პაატა დათუაშვილი დაენიშნათ და მისთვის მიეცათ გვარდიის გამოყვანის დავალება. ეს წინადადება ორივესთვის მისაღები აღმოჩნდა.

იქიდან გამოსულმა პირველი ის გავაკეთე, რომ ინტერვიუ მივეცი სატელევიზიო პროგრამა „საღამო მშვიდობისას“ ჟურნალისტს, ჩემს და ჩემი ძმის მეგობარს, თამრიკო დეკანოსიძეს. მიზეზებზე არ მისაუბრია, უბრალოდ, ვთქვი, რომ გადავდექი, დავიღალე და ამიტომ მივდივარ, არც არავისზე ვბრაზობ, არც არავის ვებუტები. როგორ ვიკადრებდი, ვინმეს მიმართ უკმაყოფილება ხმამაღლა გამომეხატა და პროტესტი გამომეთქვა! ეს უკვე ჩემი მეორე გადადგომა იყო, რომლის შემდგომაც ინტერვიუ პირველმა ისევ თამრიკომ ჩაიწერა.

სოხუმში იმედგაცრუებული ჩავედი.

იმავე საღამოს სარდლის პასუხისმგებლობა მოვიხსენი და უფლებამოსილება პაატა დათუაშვილს გადავაბარე. მორალურად მისთვისაც მძიმე იყო ეს გადაწყვეტილება. დიდი თუ პატარა, რიგითი მოქალაქე თუ აფხაზეთის მთავრობის წევრი, იმედგაცრუებას და უკმაყოფილებას გამოთქვამდა. ვერაფერს ვეუბნებოდი, რადგან მართლები იყვნენ. თავს იმით „ვიმშვიდებდი“, რომ ჯარისკაცი ვიყავი და თან თანამდებობიდან ბრძანებით გადაყენებული, პასუხი კი ახლა უკვე სხვას უნდა გაეცა.

თვენახევრიანი ლაშქრობის შემდეგ თბილისში ვბრუნდებოდი, ჩემს ოჯახში. ასეთი ფინალის მიუხედავად, მაინც გამარჯვებული ვიყავი, სამხედროებზე დაკისრებული ამოცანა შევასრულეთ. გამარჯვების ფასი ორმაგდებოდა იმით, რომ უკან უდანაკარგოდ ვბრუნდებოდით.

ენგურიდან ფსოუმდე გავლილი გზა და თავგადასავალი შთამბეჭდავი აღმოჩნდა ხალხისთვის. ხალხს უყვარს გამარჯვებულები. უკვე რაღაც განსხვავებულად მესალმებოდნენ. ჩემზე ასაკით ბევრად უფროსებიც და ჩემი ტოლებიც სხვანაირი პატივისცემით მეპყრობოდნენ.

კიტოვანის მისაღებში მოსმენილი ჩემთვის მოძღვნილი ლექსის სტრიქონი, რომელიც სერიოზულად არც აღმიქვამს, სხვამაც გამიმეორა, შემდეგ მესამემ, მეოთხემ... ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც აღმოვაჩინე, რომ ხალხში ასე სწრაფად გავრცელებულიყო.

იმ წრეში ვტრიალებდი, იმ ადამიანებთან ვურთიერთობდი, იმ ქალებისა და კაცებისგან ვისმენდი ქათინაურებს, რომლებიც დროებით მთავრობას თანაუგრძნობდნენ და პასუხისმგებლობა არ ამძიმებდათ. ცვლილებით მოხიბლულებს ჯერ-ჯერობით ყველაფერი აკმაყოფილებდათ და უკეთეს მომავალზე ოცნებობდნენ.

იმაზე კარგი რა უნდა იყოს, როდესაც ასობით, ათასობით თანამემამულეზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენ. ქება სიამაყეს გგვრის, იჯერებ იმას, რასაც ამბობენ და ბევრ ცუდს გავიწყებს.

ენგურიდან ფსოუმდე გასროლის გარეშე გადასვლა, რამაც სამხედრო საბჭოს ძალაუფლებისა და ქვეყნის ერთიანობის განმტკიცებას შეუწყო ხელი, თუნდაც დროებით, ყველამ ერთნაირად არ მიიღო როგორც თბილისში, ისე თბილისს გარეთ. განსაკუთრებით დროებითი სამხედრო საბჭოს მეორე ხელმძღვანელის, ჯაბა იოსელიანის პოზიცია იყო გაუგებარი, თითქოს მისი უშუალო მითითებით არ გავ-

ყოლოდი ენგურს იქით გაგრის „მხედრიონის“ პოლიტიკურ ლიდერს ბორის კაკუბავას და აფხაზეთში სამთავრობო ჯარების შესვლა მისი სურვილი არ ყოფილიყოს. ერთი კეთილი სიტყვა არ გაიმეტა. აქეთ კიდევ ექსპრეზიდენტის მომხრეებს დიდად არ სიამოვნებდათ ჩვენი წარმატებული ლაშქრობის ამბავი.

აფხაზეთის მარშის წარმატება დიდწილად საქართველოში განვითარებული მოვლენების მიმართ რუსეთის დამოკიდებულებამ და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობის მხარდაჭერამ განაპირობა. სწორედ ეს იყო ის ჯადოსნური ჯოხი, რომლის მეშვეობითაც გზადაგზა აფხაზეთის ქალაქები და რაიონები სამხედროების ე. წ. კონტროლის ქვეშ ზედიზედ გადმოდიოდა. ეს შესაძლებლობა კიტოვანის სახელთან იყო დაკავშირებული და რუსი სამხედროების დახმარებით გვეძლეოდა.

თბილისში ყველაფერი შეცვლილი მეჩვენა, საკუთარ სახლშიც. გაუცხოებასაც კი ვგრძნობდი, თითქოს ერთ თვეში 10 წელი მომემატა. სამხედრო კარიერის საფეხურები ბატალიონის რიგითი მეთაურიდან სარდლობამდე სწრაფად გავიარე და მხოლოდ ახლა გავაცნობიერე, რომ უცებ გავიზარდე.

უკვე სხვა განცდები და აზრები მქონდა, ვიდრე ორიოდე თვის წინ. ასაკით ბევრად უფროს ადამიანებთან მიწევდა ურთიერთობა და მეგობრობა, მათთან უფრო ვპოულობდი საერთო ენას. აღარც ახალგაზრდული დროსტარება მიზიდავდა, აღარც გართობა, მხიარულება და ქეიფი მსურდა.

სიყმაწვილეც და სიჭაბუკეც თვალის დახამხამებაში დასრულდა. აი, ამ განცდების გამო, ახლა უკვე ჩემი სურვილით, ალბათ სამუდამოდ მოვუშვი წვერი ასაკის მოსამატებლად, სოლიდურობისათვის, თავის დასაბერებლად.

სამხედრო წეს-კანონებზე აღზრდილი, სამოქალაქო პირებთან ურთიერთობას ახალშეძენილი მეგობრებისგან გზადაგზა ვსწავლობდი. გზამკვლევებად ისევ ორი „ბაბუ“ მყავდა – თამაზ დუმბაძე და ჯემალ ჭუმბურიძე, რომლებიც ყოველთვის ცდილობდნენ, მათი თაობის ადამიანების წრეში გამოვეჩინე. კიდევ მათგანვე გაცნობილი თამაზ გოგინაშვილი („სამსონი“) შუადღისას ან მოსაღამოებულზე მომაკითხავდა ხოლმე ხან გვარდიაში, ხან თბილისის ზღვაზე, ხელს მომკიდებდა და თავისი მეგობრების წრეში, მათი თავშეყრის ადგილას, მშრალ ხიდთან პატარა რესტორან „მაიკოში“ მიმიყვანდა. ასაკით ჩემზე ბევრად უფროს პატივსაცემ ადამიანებს სათითაოდ მაცნობდა. იქ გავიცანი: ვერელი გურამ ჩიჩუა, ვაკელი როლანდ ახვლედიანი და სვანეთის უბნელი რეზო შუღლიაშვილი; ორგზის მსოფლიო ჩემპიონი ძიუდოში თემურ ხუბულური, ჯერ კიდევ ბავშვობაში რომ ვგულშემატკივრობდი; ლეგენდარული ფეხბურთელი დავით ყიფიანი, ჩემი „კერპი“, ვისი მიბაძვითაც ფეხბურთს მუდამ 10 ნომრით ვთამაშობდი, „დინამო თბილისის“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების დაცვის ბურჯი, მისი უცვლელი კაპიტანი ალექსანდრე ჩივაძე და სხვები. ვესწრებოდი მათ თავყრილობებსა და სუფრებს, მაგრამ ეს არ იყო ის, რასაც ქეიფს და დროსტარებას ვუწოდებთ. ისინი, უბრალოდ, ქვეყნის მძიმე მდგომარეობაზე საუბრით სუფრასთან იქარვებდნენ დარდს.

ერთმანეთის მიმართ გამორჩეული პატივისცემა ჰქონდათ და მეც, 25 წლის ყმაწვილს, ისე მექცეოდნენ, როგორც თანატოლსა და მეგობარს. ვერ წარმოიდგენთ, მათი სიტყვა-პასუხიდან რამდენ რამეს ვსწავლობდი, დღითიდღე როგორ ვიზრდებოდი. ჩემთვის სამაგალითო და მისაბაძი დამოკიდებულებებიდან ერთი მინდა გავიხსენო:

ერთ საღამოს ავთო ჯორბენაძეს ჯანდაცვის სამინისტროში მივაკითხე, სადღაც უნდა ნავსულიყავით, ვიქარობდით. მოულოდნელად სამინისტროს შესასვლელთან მოხუცმა ქალბატონმა შეაჩერა და ძალიან მორიდებულად სთხოვა წერილზე რეზოლუციის დადება და დახმარება: „შვილო, ხვალ რომელი საათისთვის შეიძლება მოვიდე, რომ წამლები გამომიწერო?“

უკვე ბინდდებოდა. ისედაც ჩაბნელებულ შენობაში უკან რომც დაბრუნებულიყო, ვერაფერს დაინახავდა, თუმცა ავთოს დამოკიდებულებამ განმაცვიფრა: „მობრძანდი, ბებო, როგორ გეკადრებათ, ხვალ რატომ უნდა მოხვიდეთ, ახლავე მოგხედავთ“, – განსაკუთრებული სითბოთი უპასუხა და უკან შებრუნდა. მესამე სართულზე ოთახის კარი გააღო, წერილს სანთლის შუქზე დაადო რეზოლუცია და ქალს ხელიდან ხელში გადასცა. მოხუცმა გულმხურვალედ დალოცა. ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ავთოს გულისხმიერებამ. იმ დღიდან ჩემი კარიერის განმავლობაში, თავდაცვის მინისტრის პოსტზე ყოფნისას და დეპუტატის მოვალეობის შესრულებისას, ყოველთვის ვცდილობდი, ადამიანებთან ავთოსავით გულისხმიერი ვყოფილიყავი.

შევარდნაძის დაბრუნება და სახელმწიფო საბჭოს შექმნა

შევარდნაძის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ათასგვარი ჭორი ვრცელდებოდა: ზოგი ამტკიცებდა, რომ შევარდნაძე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრად ბრუნდებოდა, ზოგიც პრეზიდენტობას უწინასწარმეტყველებდა, ბევრს ის ერთადერთ მხსნელად მიაჩნდა. ეროვნული მოძრაობის გავლენით მჯეროდა, რომ ქართველი ხალხი ედუარდ შევარდნაძეს ქვეყნის ხელმძღვანელად არ მიიღებდა. როგორ წარმოვიდგენდი, რომ საქართველოში დაბრუნდებოდა! იმ დროს, როცა მე სენაკში მომიტინგეებს საპირისპიროს ვუმტკიცებდი, დედაქალაქში შევარდნაძის დაბრუნებას ნატრობდნენ, ჩამოსვლას სთხოვდნენ, როგორც მესიას: „შევარდნაძე თუ გადაარჩენს ამ ქვეყანას! მას მთელი მსოფლიო იცნობს! ჩამოვა და ტომრებით ფულს ჩამოიტანს! მხოლოდ ის თუ დაამყარებს წესრიგს!“ ადამიანები მას ელოდნენ, როგორც მხსნელს, რომელიც ქვეყანას არეულობისა და ქაოსისგან იხსნიდა. მისი ჩამოსვლის საკითხი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილი იყო, ხალხი კი – ამ ამბავს შეგუებული.

1992 წლის 7 მარტს ედუარდ შევარდნაძე თბილისში ჩამოვიდა. აეროპორტში მას ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ ახალგაზრდებთან ერთად უამრავი ადამიანი ტაშითა და ყვავილებით დახვდა, ჯაბა იოსელიანი კი თვითმფრინავის ტრაპთან შეეგება. შევარდნაძის ჩამოსვლის შესახებ მეც ჩვეულებრივი მოქალაქეებივით ტელევიზორით შევიტყვე.

მალევე გაირკვა, რომ იგი სამ კაცთან ძალაუფლების გაყოფას არ აპირებდა. ჩამოვიდა იმისთვის, რომ სახელმწიფო თავად ემართა, მხოლოდ თვითონ ყოფილიყო გადაწყვეტილების მიმღები.

10 მარტს სოხუმიდან თბილისში დაბრუნებულს სამხედრო საბჭო გაუქმებული დამხვდა, მის ნაცვლად კი სახელმწიფო საბჭო შეექმნათ, რომელსაც სათავეში უკვე ედუარდ შევარდნაძე ედგა. იმ დღეს კიდევ ერთხელ ჩამწყდა გული. სულ ცოტა ხნით ადრე სენაკში ექსპრეზიდენტის მომხრეებთან კამათი გამახსენდა: თურმე მართლა მისი ჩამოყვანისთვის ვიბრძოდი... თურმე მართლები ყოფილან! კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სხვის თამაშს ვთამაშობდი!

უფრო დამაბნეველი აღმოჩნდა მისი ერთ-ერთი პირველი საკადრო გადაწყვეტილება: არეულობისა და ქაოსისგან ქვეყნის დასახსნელად ჩამოყვანილმა ედუარდ შევარდნაძემ მართლწესრიგისა და კანონიერების განსამტკიცებლად პირველივე, რაც გააკეთა, შსს-ს იმჟამინდელი მინისტრი და პირველი ოპერმუშაკი რომან გვენცაძე და ასევე უდიდესი გამოცდილების მქონე პროკურორი ვახტანგ რაზმაძე პენსიაზე გაუშვა. კიტოვანსა და იოსელიანს შორის ბალანსის შესანარჩუნებლად შს მინისტრის პოსტზე, იოსელიანისავე რეკომენდაციით, ნასამართლევი, მენტალიტეტით რუსეთუმე „მხედრიონელი" თემურ ხაჩიშვილი დაასახელა. მისი კანდიდატურის შეფასებისას ჯაბა იოსელიანმა თქვა, შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ციხეში ნაჯდომი, საკანში ნატანჯი და პატიმრობაგამოვლილი კაცი უნდა იყოსო.

არადა ამ დროს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელის პოსტზე ახალდანიშნულ ირაკლი ბათიაშვილს დაპირისპირება ჰქონდა თავის მოადგილე თემურ ხაჩიშვილთან და მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას ითხოვდა. ულტიმატუმსაც აყენებდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ დატოვებდა თანამდებობას.

სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ, ერთი მხრივ, ბათიაშვილის მოთხოვნა დააკმაყოფილა და ხაჩიშვილი სადაზვერვო სამსახურს მოაცილა, მეორე მხრივ, არც ჯაბა იოსელიანს აწყენინა და სახელმწიფო საბჭოს მისი კანდიდატურა შს მინისტრის პოსტზე შესთავაზა. ვინ გაბედავდა წინააღმდეგობის გაწევას?! ჯაბას გავლენით ხაჩიშვილი, ფაქტობრივად, ერთხმად დაამტკიცეს.

შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ ზუგდიდში მოვლენები უფრო გამწვავდა.

ზუგდიდში დატყვევებული გვარდიელების გათავისუფლების მცდელობა და ტყვედ ჩავარდნა

მას შემდეგ, რაც იანვრის ბოლოს ფსოუსკენ გავეშურე, არაფერი ვიცოდი, რა ხდებოდა ზუგდიდში. მხოლოდ ერთხელ, გვიან ღამით გზად შევიარე სოხუმიდან თბილისისკენ მომავალმა და ჭრაქით განათებულ პოლიციის სამორიგეო ოთახში მორიგეებთან მოვიკითხე, გვარდიის რომელი ნაწილი იმყოფებოდა ქალაქში, რათა მათთვის საწვავი მეთხოვა.

გადმოცემით ვიცოდი, რომ ზუგდიდში ჯერ „მხედრიონელები" უნდა ყოფილიყვნენ, მათი გასვლის შემდეგ – ტყიბულელები, ტყიბულელების შემდეგ კი ქუთაისელები ჩამოსულიყვნენ. როგორც მითხრეს, ქუთაისის გვარდიის ნაწილი იმჟამად ქაღალდკომბინატის სასტუმროში იყო დაბანაკებული.

ქალაქში სიმშვიდე სუფევდა. გადაადგილება თავისუფალი იყო, პიკეტი არსად შემხვედრია, ამიტომ სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა, როდესაც ქუთაისელებზე თავდასხმისა და მათი ტყვედ ჩავარდნის ამბავი გავიგე. ექსპრეზიდენტის მომხრეები ღამით მოულოდნელად დასხმიან თავს და ალყაში მოუქცევიათ ჩაძინებული გვარდიელები. ვინც ცეცხლმოკიდებული სასტუმროდან გამოსვლა მოასწრო, ტყვედ აიყვანეს. დანარჩენების, მათ შორის, მათი მეთაურის, რეზო ჩაკვეტაძის, არაფერი ისმოდა.

თბილისში ჩამოსვლისთანავე გვარდიას მივაშურე იმის გასაგებად, რას ფიქრობდნენ, როგორ აპირებდნენ დატყვევებულების შველას. ყველა მხრებს იჩე-

ჩავდა, ელოდნენ, რას გადაწყვეტდა სახელმწიფო საბჭო. გადიოდა დღეები. ერთადერთი, რომან გვენცაძის ხელმძღვანელობით სამტრედიაში პოლიციელები გაგზავნეს. ეს იყო და ეს.

ზუგდიდში კი, იქიდან ჩამოღწეული ცნობებით, ცუდი ამბები ხდებოდა: გადარჩენილები ადგილობრივ ციხეში ჩაეყარათ, თითქოს აწამებდნენ კიდეც. რეზოსი ისევ არაფერი ისმოდა. თბილისის ომიდან გამოყოლილ იმედგაცრუებას ახალი ემატებოდა, რადგან ვხედავდი, რომ პოლიტიკური ხელმძღვანელობა დაპატიმრებულების საშველად ვერაფერს აკეთებდა.

როგორ მოვქცეულიყავი? გაჭირვებაში მათი მიტოვება ძმობაში ღალატი იქნებოდა. მათ არ მივუტოვებივარ, როდესაც თბილისის ზღვიდან ნიქოზში მივდიოდი, დაუფიქრებლად გამომყვნენ. ისინი ხომ „თეთრი არწივის" ძმადშეფიცული ბატალიონის წევრები იყვნენ, ხოლო რეზო – ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს გუმბრინის ტყეში დაძმობილებული ოფიცერი.

მთელი საღამო გამოსავალს ვეძებდი. ფსოუზე წარმატებული ლაშქრობით გულმოცემულს მეგონა, იქაც ისევე მიმიღებდნენ, როგორც აფხაზეთში, ჩემს წინადადებას აუცილებლად დათანხმდებოდნენ, ერთი მხრივ, ძალას გაუწევდნენ ანგარიშს, მეორე მხრივ კი – ჩემს შეთავაზებას. მათ არ ვეხებოდი და მომავალშიც არასოდეს შევეხებოდი, ოღონდ დაკავებულები გამოეშვათ.

იმ საღამოს თბილისის ზღვაზე ბესო ქუთათელაძე ამოვიდა. ძალიან გამიხარდა. ბიჭები მოვიკითხეთ, იმან აქეთური, მე იქითური მეგობრები. მერე სუფრასთან მივიპატიჟე. მოვიკითხე, ხომ არ ჰყავდა ზუგდიდში ვინმე, ძველი ნაცნობი, ვისთანაც დაკავებულების გამოხსნაზე ლაპარაკი შეიძლებოდა და მასვე გავანდვე, რომ ზუგდიდში გაფრენა მინდოდა. ბესო დახმარებაზე დაუფიქრებლად დამთანხმდა და თვითონაც გამოთქვა სურვილი, გამომყოლოდა, საომრად კი არა, სამშვიდობოდ, მოსალაპარაკებლად.

უკვე მერამდენედ, ისევ მეგობრების მიმართ თანაგრძნობისა და თანადგომის სურვილმა და ვალდებულებამ გადამძლია გონებასთან ჭიდილში. კიდევ ერთხელ დამავიწყა არაერთხელ მწარედ ნაწვნევი და თავს გადამხდარი, რომ ცხოვრებაში ზედმეტ თანაგრძნობას ბევრად მეტი ზიანი მოაქვს და უფრო მეტად გვვნებს, ვიდრე ცივი გონებით მოქმედება. წესით, მათ გამოხსნაზე სხვას უნდა ეფიქრა, სამხედრო მეთაურიც ჰყავდათ და მინისტრიც, ალბათ მათ გადაწყვეტილებას უნდა დავლოდებოდი, მაგრამ იმ ადამიანების წინაშე პასუხისმგებლობას ვგრძნობდი და უმოქმედოდ ყოფნა ვერ შევძელი!

ღამის 4 საათზე მივადექი სახლში შვეულმფრენთა ესკადრილიის მეთაურს ჯიმი მაისურაძეს და ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად, მათ უკითხავად რამდენიმე საათით რუხის მიდამოებში ჩაყვანა და უკან ჩამოყვანა ვთხოვე. ზუსტად ვიცოდი, რომ უარს არ მეტყოდა. ვითარების გაცნობისთანავე აეროპორტში, საავიაციო ბაზაზე გავემგზავრეთ, საიდანაც თბილისის ზღვის ბაზაზე უნდა გადავფრენილიყავით. იქ ახალი დასრულებული იყო შვეულმფრენის დასაჯდომი ხრეშის დრენაჟის მოწყობა. დილის 6 საათზე მე და ბესო უკვე შვეულმფრენში ვისხედით. ჩვენთან ერთად იმდენი „არწიველი" მოდიოდა, რამდენიც შვეულმფრენმა დაიტია.

მივფრინავდი ზუგდიდზე ერთი თვის წინანდელი წარმოდგენით. სოფელ რუხსა და მდინარე ენგურს შორის ჯიმის მიერ შერჩეულ ადგილას დავეშვით. ჯიმი 12 საათისთვის დავიბარე, ჩვენ იქვე, ყოფილი რესტორნის შენობაში, შემაღლებულ

ადგილზე დავბანაკდით და თავდაცვის პოზიციები წრიულად დავიკავეთ. გათენებას ველოდებოდით, რომ პირველივე შემხვედრი ლოთი ქობალიასთან გაგვეგზავნა მოსალაპარაკებლად.

დაახლოებით რვის ნახევარი იქნებოდა. ქალაქში დაუპატიჟებლად მოსულები ზუგდიდელებმა მტრად მიგვიღეს, რესტორანს სახელდახელოდ ალყა შემოარტყეს და ცეცხლი გაგვიხსნეს, რასაც ორივე მხრიდან მსხვერპლი მოჰყვა, ერთი მშვიდობიანი მოქალაქეც დაიღუპა. ვინ წარმოიდგენდა, რომ ყველაფერი ასე განვითარდებოდა?!..

ორი საათიც არ იყო გასული, რომ შვეულმფრენი ჩვენს წასაყვანად უკან მობრუნდა, მაგრამ დაჯდომა ვერ მოახერხა, რადგან თავდამსხმელები ყოველი მხრიდან ესროდნენ. იძულებული გახდა, იქ დავეტოვებინეთ და უკან გაფრენილიყო. იმ წუთიდან ნათელი გახდა, რომ დახმარების იმედი აღარ უნდა გვქონოდა და ალყაშემორტყმულებს გამოსავალი თვითონ უნდა მოგვეძებნა. ცეცხლის ინტენსივობა უფრო და უფრო მატულობდა. ცხადი იყო, რომ რაც მეტი დრო გავიდოდა, მსხვერპლის რიცხვიც გაიზრდებოდა.

ზემოდან დაგვიძახეს: „ქართველებო, შევწყვიტოთ სროლა, გამოდით და დავილაპარაკოთ! წმინდა გიორგის ხატზე ფიცით ხელშეუხებლობის პირობას გაძლევთ!“

ხატზე დაფიცებული კაცის სიტყვის ნდობაც ვაჟკაცობაა და ნათქვამის შესრულებაც. როდის ყოფილა, ხატზე შეფიცულ ქართველს ღალატი ეკადროს?! როგორ შეიძლებოდა, რომ უნდობლობა გამომეხატა და სისხლისღვრის შესაჩერებლად შემხვედრი ნაბიჯი არ გადამედგა?!

– შეწყვიტეთ სროლა! – გავძახე „არწიველებს“. შენობიდან მარტო გავედი და აუჩქარებელი ნაბიჯით მათი მეთაურისკენ გავემართე.

ხელის ჩამორთმევის შემდეგ ჩვენი იქ ყოფნის მიზეზი ავუხსენი და სროლის შეწყვეტის სურვილიც დავუდასტურე, თუმცა ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა: ვიდრე ჩვენ ვსაუბრობდით, მისი ხალხი ნელ-ნელა სამალავიდან გამოვიდა და გარს შემოგვეხვია. წინააღმდეგობას თუ გავუწევდით, ორივე მხრიდან უფრო მეტი სისხლი დაიღვრებოდა. იძულებული ვიყავი, რესტორანში გამაგრებულებისთვის იარაღის ჩაბარება და დანებება მებრძანებინა.

დატყვევებული 20-მდე „არწიველი“ შტაბის პირველ სართულზე, საპატიმროდ მომზადებულ საკანში გადაიყვანეს. განსაკუთრებული დაცვით ნაგვიყვანეს „თეთრი არწივისა“ და საიხერის ბატალიონის მეთაურები. გზადაგზა აღშფოთებული ხალხი გვხვდებოდა და ტყვეების, განსაკუთრებით კი მეთაურის დახვრეტას ითხოვდა. არადა სულ სხვა ზუგდიდი მახსოვდა – მშვიდი, ვითარებას შეგუებული. ეს უკვე სხვა ზუგდიდი იყო – გულნატკენი, შეურაცხყოფილი, „გვარდიელებისა“ და „მხედრიონელებისაგან“ დამცირებული. ერთი ტყიბულელი გვარდიელის გამო ყველა ტყიბულელზე იყვნენ განაწყენებულები. ზოგიერთი გვარდიელისა და „მხედრიონელის“ უღირს საქციელებზე საშინელ ისტორიებს ჰყვებოდნენ ზუგდიდში, დარჩელში, სხვაგანაც.

მეორე სართულზე, შტაბისთვის შერჩეულ ოთახში მათი ხელმძღვანელები უკვე გველოდებოდნენ. კუთხეში ვიჯექი, ზურგით კედელს მიყრდნობილი. უამრავი ხალხი ტრიალებდა, ზოგი შემოდიოდა, ზოგი გადიოდა. ყველა რიგრიგობით ჩერდებოდა ხან ჩემთან, ხან ბესოსთან და უსიამოვნო კითხვებს გვისვამდნენ.

ოთახში შემოსულმა, ჯერ კიდევ თბილისის ომში დაჭრილმა ლოთი ქობალიამ ბესო ქუთათელაძეს ხელჯოხი მოუქნია და უთხრა: „ეს ვაჟკაცი მაინც არის, შენ კი მოღალატე ხარ!“ – თუმცა დასარტყმელად ვერ გაიმეტა.

უმრავლესობა რისხვით და სიძულვილით მიყურებდა. არა იმიტომ, რომ ტყვე ვიყავი და გარშემო მტრულად განწყობილი ხალხი მეხვია, არამედ გულწრფელი პასუხებისათვის. არც ძმათა შორის სისხლისღვრის გამო ხმამაღლა სინანულის გამოთქმას მოვრიდებივარ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს ლაპარაკს ვიდეოკამერით იღებდნენ.

წვიმისგან ტანსაცმელი სველი მქონდა და მაკანკალებდა. „ცუდად ხარ? წამალი ხომ არ გინდა?“ – მკითხა ერთ-ერთმა მცველმა. თავიდან ყურადღება არ მიმიქცევია, არ მინდოდა, მისგან რამით ვყოფილიყავი დავალებული. „წამალი თუ მოგინდება, არ მოგერიდოს!“ – არ იშლიდა თავისას. კაცი იფიქრებდა, რომ ჩემს ჯანმრთელობაზე წუხდა, არადა ვამჩნევდი, რომ უხაროდა და რაღაც ჰქონდა ჩაფიქრებული.

დრო გადიოდა, უფრო შემამცივნა, ეტყობოდა, სიცხე მიწევდა. ჩემი ახალი „ექიმი“ ამას მიხვდა და იქ მყოფებს გამოუცხადა, დროებით ყველა ოთახიდან გადით და მარტო დაგვტოვეთო. როგორც კი ყველა გავიდა, მეგობრულად მითხრა: „წამალი თუ გინდა, ახლავე მოგიტან, ჯიმა!“ – როგორც ჩანს, ფიქრობდა, რომ საცაა ჩემს ნარკომანობას დაამტკიცებდა.

რა წამალს მთავაზობდნენ, ამასაც ვერ მივხვდებოდი, ერთ-ერთ მცველს მოგვიანებით რომ არ გაემხილა ჩანაფიქრი. არაკეთილმოსურნენი ისედაც ავრცელებდნენ ჭორს, რომ მეც და სამთავრობო ჯარისკაცების უმრავლესობა ნარკომანები ვიყავით. იქვე ერთი ჟურნალისტი კამერით გადასაღებად ემზადებოდა. უნდა გენახათ მათი იმედგაცრუება, როდესაც სიცხის დასაწევად ასპირინი ვთხოვე. ასე გაქარწყლდა ჭორი ჩემს ნარკომანობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ომის კანონები ტყვეების წამებას, შეურაცხყოფას, ცემას კრძალავს, ტყვედ ჩავარდნილი თითქოს შეგუებული ხარ ამგვარ მოქცევას, მაგრამ პირველივე დღეს მოულოდნელად ისეთი დარტყმა მომაყენეს, მერჩივნა, ფიზიკურად ვეწამებინე, ვეცემე.

დილით მცველებმა ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრების სახლთან მიგვიყვანეს. კარი სამოციოდე წლის მამაკაცმა გააღო და სახლში ისე შეგვიშვა, არაფერი უკითხავს. წვერი ჰქონდა მოშვებული, შავი პიჯაკი და შავი პერანგი ეცვა. დარდს ნაადრევად დაებერებინა. სამზარეულოს კართან შავებში ჩაცმული ორი ქალი იდგა, შუახნის და ახალგაზრდა, ხმას არ იღებდნენ და თვალს მარიდებდნენ. დამთრგუნველი სიჩუმე ერთმა მცველმა დაარღვია და ცივად მითხრა, მეორე ოთახში გამომყევიო. ნახევრად ჩაბნელებული ოთახის კედელზე ახალგაზრდა მამაკაცის გადიდებული სურათი ეკიდა. ეტყობოდა, ახალი გარდაცვლილი იყო. მაშინვე მივხვდი, რომ ასაკოვანი ქალბატონი იმ სურათზე გამოსახული ჭაბუკის დედა იყო, ახალგაზრდა კი – მეუღლე. მათ ცრემლიან თვალებში ისეთი ტკივილი იკითხებოდა, რომ თვალს ვერ ვუსწორებდი.

როგორც გვითხრეს, თბილისის ომში უფროსი ძმის დაღუპვით გამწარებულმა ერთ-ერთმა გვარდიელმა ზუგდიდში, შუა ქალაქში, სახალხოდ, დედის თვალწინ მოკლა ეს ყმაწვილი, მიუხედავად მშობლის ხვეწნა-მუდარისა, არ მომიკლა, დედისერთააო.



ტყვეობა ზუგდიდში. გიორგი ყარყარაშვილი (შუაში) მცველებთან ერთად

უმძიმესი მოსასმენი და საყურებელი იყო. ხმას ვერ ვიღებდი, ცრემლს ძლივს ვიკავებდი. იმ გვარდიელს კარგად ვიცნობდი. მისი ძმა ტყიბულის რაზმის მეთაური იყო, გამორჩეულად წესიერი, თავმდაბალი და კეთილშობილი, ეროვნული გვარდიისა და მისი სარდლის ერთგული, ამ ერთგულების მსხვერპლი. მის ძმასაც ასეთ ადამიანად ვიცნობდი, ამიტომ მიკვირდა, რასაც მის სისასტიკეზე ჰყვებოდნენ.

ორივე ტყვე მისაღებ ოთახში, მაგიდასთან დაგვსვეს. მოულოდნელად შავებში ჩაცმულმა ქალებმა სუფრის განყობა დაიწყეს – ერთი თეფში კირკაჟი ლობიო, ნვრილად დაჭრილი კომბოსტოს მწნილი და ყველის რამდენიმე ნაჭერი.

– ჭამეთ! – გვაძალებდა მცველი. ყელში ლუკმა როგორ გადაგვივიდოდა?!

წარმოიდგინეთ, როგორ განვიცდიდი იმას, რაც იმ ნახევრად ბნელ ოთახში ხდებოდა. მინდოდა, თანაგრძნობა და გულისტკივილი გამომეხატა, სამძიმარი მეთქვა, მაგრამ გამბედაობა არ მყოფნიდა. აქამდე მხოლოდ ჩვენს მხარეს მყოფი ადამიანების ტკივილს ვხედავდი. მხოლოდ ის იყო არსებითი, რაც ჩემს მეგობრებს, ჩემს მხარეს მებრძოლ ადამიანებს ემართებოდათ. არასოდეს დავინტერესებულვარ მეორე მხარეს მყოფთა ტკივილითა და განცდებით, რადგან არც ისინი ინტერესდებოდნენ, ჩვენ რას განვიცდიდით ან რა გვტკიოდა.

სინდისი მქენჯნიდა. დღემდე მანუხებს, მაგრამ მარტო მე ხომ არ მაქვს სინდისი, სხვაც ხომ უნდა შეეწუხებინა – ზოგი ჩემზე მეტად, ზოგი ნაკლებად?! რომ შეიძლებოდეს, ერთი ცხოვრება ნაშალო და ახალი, სუფთა ფურცლიდან დაიწყო...

სამწუხაროდ, ასე არ ხდება. თბილისის ომი იყო ყველაზე დიდი შეცდომა, რომელიც ყველამ უნდა აღიაროს; დანაშაული, რომელიც ყველა მხარემ გულწრფელად უნდა მოინანიოს.

ტყვეობისას, ძირითადად, მცველებთან გვიწევდა ურთიერთობა. ადგილს ყოველდღიურად გვიცვლიდნენ, რისთვისაც სხვადასხვა ოჯახში გადავყავდით. ყველგან ერთნაირი სტუმართმოყვარეობით გვიღებდნენ, ჯერ თავისთვის რა ჰქონდათ, მაგრამ მაინც გულუხვად, პატივისცემით გვიმასპინძლდებოდნენ. მათ შორის ისეთებიც იყვნენ, ძირითადად, ძველი ნაცნობები, რომლებიც როგორც კი მარტო დაგვიგულებდნენ, თავიანთი ქცევის ახსნასა და გამართლებას ცდილობდნენ, რომ მათზე წყენა გულში არ ჩაგვედო. არსად შეურაცხყოფა არ მოუყენებიათ, ზედმეტი არ უკადრებიათ, მაგრამ ისიც გვყოფნიდა, რომ ტყვეები ვიყავით.

ტყვესა და მცველებს შორის ურთიერთობა მუდამ გაწონასწორებული არ არის, ხან უხეშად მოგმართავენ, ხან ზედმეტ გულისხმიერებასა და კეთილგანწყობას იჩენენ. მუდამ ფხიზლად უნდა ვყოფილიყავით, რომ იმ მიჯნისთვის არ გადაგვებიჯებინა, რომლის შემდეგაც თანაგრძნობის ნაცვლად აგრესიას მივიღებდით. ყოველი სიტყვა უნდა აგვეწონ-დაგვეწონა, თავი მოგვეთოკა, გონება დაგვეძაბა და მათ კითხვებზე გვეპასუხა. ერთი მხრივ, გულღია სიტყვა-პასუხითა და ქცევით ღირსება უნდა შეგვენარჩუნებინა, ხოლო, მეორე მხრივ, ზედმეტ თავდაჯერებულობას შესაძლოა ისეთი სისასტიკე გამოეწვია, რომ ღირსებისათვის ბრძოლა ძვირი დაგვჯდომოდა.

თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა, თუმცა ერთ დღეს სხვებისგან აგრესიით გამორჩეულ ერთ-ერთ მცველთან კამათი მომივიდა. ყველანი რუსების აგენტები ხართო, მითხრა. ნაცვლად იმისა, რომ ენისთვის კბილი დამეჭირა, თავი ვერ შევიკავე და სიტყვა შევუბრუნე: სპეცსამსახურის აგენტები თქვენში მოიკითხეთ, მე მებრძოლი ვარ, სამშობლოს ჯარისკაცი-მეთქი.

„სპეცსამსახურის აგენტი" ისე, უბრალოდ, სიტყვის მასალად არ მიხსენებია. როდესაც სოხუმში შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, თემურ ლომინეიშვილმა არქივის მასალები გამაცნო, რამდენიმე გვარი და მეტსახელი დამამახსოვრდა. ახლა, ნათქვამის გასამყარებლად, ერთის სახელი და გვარი ვუთხარი, ერთისაც – მეტსახელი და მაშინვე მივხვდი, რომ შეცდომა დავუშვი. ის ვთქვი, რაც არ უნდა მეთქვა.


ცხელ გულზე ნათქვამს უკან ვეღარ დავაბრუნებდი. ყველაფერს მიხვდა. ტყვემ ისეთი რამ იცოდა, რაც არ უნდა სცოდნოდა. უკვე ნანობდა, რომ გაქცევის მცდელობის საბაბით მანამდე არ მომკლა. ორი დღე-ღამე მის ხელთ ვიყავი და ნებისმიერ დროს შეეძლო ესროლა.

იმ წუთიდან ჩემსა და მცველებს შორის დამოკიდებულება შეიცვალა. ზოგი აგრესიულად და უხეშად მელაპარაკებოდა, სამაგიეროდ კეთილის მსურველებიც გამომიჩნდნენ. უფრო მეტი პატივისცემით, მეტი სითბოთი, მეტი თანაგრძნობით მეპყრობოდნენ.

დილით სოფელ ახალკახათში კეთილგანწყობით გამორჩეულმა ერთ-ერთმა მცველმა, გორა ოთხოზორიამ მომაკითხა. აღელვებული მიხსნიდა, თუ ვინმე შენს დახვრეტას დამავალებს, არ დავემორჩილები, თავს მოვიკლავ და სროლის უფლებას არავის მივცემო. ვერ მივხვდი, რის თქმა უნდოდა. თურმე ზუგდიდში, ქალაქის ცენტრში მდებარე შტაბში სწორედ იმ დროს იხილებოდა ჩემი დახვრეტა-არდახვრეტის საკითხი.

იმავე დღეს ვალტერ შურღაია მოვიდა, სტუმრად არა, ტყვესთან სალაპარაკოდ. ჩაფიქრებული ჩანდა, თითქოს რაღაცას განიცდიდა. მკითხა, რა მოხდა ისეთი შენსა და ერთ-ერთ მცველს შორის, დილიდან შენს დახვრეტას რომ ითხოვსო, მისი დამოკიდებულება ასე მოულოდნელად რამ შეცვალაო. არაფერი დამიმალავს, გულწრფელად ვუთხარი, რაც მოხდა, რომ სიტყვა წამომცდა და ახლა იმ დაუფიქრებლობის შედეგს ვიმკიდი.

ბესიკ ქუთათელაძე და გიორგი ყარყარაშვილი, საუბარი ვალტერ შურღაიასთან



კიდევ იმით იყო შეწუხებული, რომ ათასზე მეტი გვარდიელი მძიმე ტექნიკითა და არტილერიით ხობისწყალს მომდგარიყო, ზუგდიდისკენ მიმავალი ცენტრალური გზა გადაეკეტათ, აქეთ და იქით ყველა მანქანას აჩერებდნენ და ზუგდიდის დამცველებს შუქარას უთვლიდნენ: ტყვეებს თმის ერთი ღერიც რომ ჩამოუვარდეთ, არცერთს არ გაცოცხლებთო.

შურღაიას არ დაუმალავს, რომ აქეთ ერთი ჯგუფი ჩემს დახვრეტას ითხოვდა, იქით გროზნოდან პრეზიდენტისგან ჰქონდა ნაბრძანები, მთავარი ტყვე ზუგდიდში სამუდამოდ გამოეკეტა. ეზოში განცალკევებით ვისხედით და გულწრფელად ვსაუბრობდით. ვალტერი ყოველთვის პასუხისმგებლობით სავსე და გულისხმიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ჯერ კიდევ თბილისის ომამდე და ომის დროსაც სისხლისღვრის თავიდან აცილებას, შეჩერებას ცდილობდა, წუხდა, რომ მოლაპარაკება ვერ ხერხდებოდა.

შესაძლოა, იმდენად ჩემზე არ ფიქრობდა, რამდენადაც ჩემი სიკვდილის შემთხვევაში ასობით გაშმაგებულ გვარდიელთან გამკლავება ადარდებდა. სროლის ხმა ქალაქში აღწევდა. მხოლოდ ტყვეობაში მყოფი მეთაურის სიტყვა თუ შეაჩერებდათ, რომ მის გამოსახსნელად ქალაქს არ შესეოდნენ.


ვალტერის გულწრფელობითა და მოსალოდნელი თავდასხმით შეფიქრიანებულმა იქვე, მისი თანდასწრებით დაუფიქრებლად დავწერე წერილი დასავლეთ საქართველოში სახელმწიფო საბჭოს რწმუნებულის, ჯონი ქარჩავას სახელზე, რომ ვიდრე ცოცხალი ვიყავი, არავის გაებედა სამხედროების ზუგდიდისკენ წამოყვანა, თუმცა ეს არ იყო შექმნილი კრიზისული ვითარებიდან გამოსავალი. ჩემი ერთგული თანამებრძოლები ისევ ზუგდიდის ციხეში იყვნენ გამოკეტილები. იერიშის შემთხვევაში მათ სიცოცხლესაც საფრთხე დაემუქრებოდა.

ჩემ გამო შეიძლება დიდი სისხლი დაღვრილიყო. ერთი მხრივ, დანარჩენი ტყვეების შიმართ პასუხისმგებლობამ და, მეორე მხრივ, სამოქალაქო ომის განახლების საფრთხემ გადამანყვეტინა, ყველაფერი მეღონა, რომ ზუგდიდზე იერიში თავიდან აგვეცილებინა. საკუთარი თავი არ მადარდებდა, მზად ვიყავი, თავი შემეწირა, თუნდაც სამუდამო პატიმრობა მოესაჯათ. ერთადერთი იარაღი, რაც იქ იმწუთას გამაჩნდა, სიტყვა იყო – სიტყვა, რომელსაც ვიტყოდი და შევასრულებდი. ვითარების განსამუხტავად 24 საათით გათავისუფლება მოვითხოვე და კაცური სიტყვა მივეცი, რომ ხობში ჩავიდოდი და მღელვარებას ჩავაცხრობდი, დაძაბულობას განვმუხტავდი, გვარდიელებს თბილისში გავაბრუნებდი, თვითონ კი უკან დავბრუნდებოდი და განაჩენს დავეღოდებოდი. სანაცვლოდ ყველა თანამებრძოლის გათავისუფლებას ვითხოვდი, მათ შორის, ბესოსიც. ახლა უკვე ვალტერ შურღაიას ვაჟკაცური სიტყვას ვენდე.

შეთანხმება შედგა.

ზუგდიდის კომენდანტმა მიშა დადიანმა ხობისწყლამდე მიმაცილა, სადაც მათი უკანასკნელი ბლოკპოსტი იყო. მდინარის იქით უკვე ჩემი ერთგული ნაწილები იდგნენ. ხობში თანამებრძოლები ჰაერში ავტომატის ჯერით შემხვდნენ.

ყველა იქ იყო: ჯემალ ჭუმბურიძე, პაატა დათუაშვილი, ზურაბ ნაირაშვილი, დევი ჭანკოტაძე, აკია ბარბაქაძე, ტარიელ შარიფაშვილი, ტარიელ აბუაშვილი, ზაზა რუსაძე, რეზო ჩაკვეტაძე, დათო გოლუბიანი, დათო აფციაური, სხვებიც, საკუთარი ქვედანაყოფებით ტყვეების გამოსახსნელად ჩამოსულები. რა თქმა უნდა, კიტოვანის ნებართვის გარეშე ვერ წამოვიდოდნენ. უკლებლივ ყველა „თეთრარწიველი“ იქ იყო.



საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა
ზუგდიდის საოლქო სამხედრო
პროკურატურა
384700 ქ. ზუგდიდი, კოსტავას ქ. № 56
ტელ: 2—43—92 2—44—17

Прокуратура республики Грузия
Зугдидская межрайонная
ПРОКУРАТУРА
384700 г. Зугдиди ул. Костава 56
тел: 2—43—92 2—44—17

№ _____

თქვენს
№ № _____ от _____

ჯონა

ის ახალ საჭიხო ჯერ შეხედვა.
მიდიგს შიდაკაცება, თუ მივიდნენ
რაზეს, შეგეცოდინებათ.
ჩვენ კარგად ვართ
ვ. ყარყარაშვილი 12.3.91.
თუ მოვაკითხავთ
ის ქვით

მოკითხვის შემდეგ გვარდიის ხელმძღვანელებსა და მეთაურებს ავუხსენი, რომ ზუგდიდში შეთანხმება დავდე, სიტყვა მივეცი და ვითარების განმუხტვის შემდეგ უკან უნდა დავბრუნებულიყავი, სადაც სამუდამო პატიმრობა მემუქრებოდა, რადგან გადაწყვეტილება გროზნოში იყო მიღებული და ზუგდიდის საბრძოლო შტაბს ბრძანება უნდა შეესრულებინა. თითქმის მთელი საღამო დამჭირდა მათ დასარწმუნებლად, რომ გვარდიის ნაწილები ხობიდან უკან, დისლოკაციის ადგილებზე დაებრუნებინათ, ტყვეობიდან გათავისუფლებულები კი სახლებში წაეყვანათ. ჩემს უკან დაბრუნებაზე მეთაურები კატეგორიულ უარს აცხადებდნენ, თუმცა მეც შეუვალი ვიყავი. გადაწყვეტილება მიღებული მქონდა: სიტყვა უნდა შემესრულებინა და მეორე საღამოს, 18:00 საათისთვის უკან უნდა დავბრუნებულიყავი.

ხობისწყლის ხიდის იქითა მხარეს მიშა დადიანი და კიდევ რამდენიმე მისი თანამებრძოლი (სამწუხაროდ, გვარები აღარ მახსოვს) სიხარულით შეხვდნენ ჩემს დაბრუნებას. ახლა უკვე თავიანთი პირობის შესასრულებლად, პირდაპირ ზუგდიდის ციხესთან მიმიყვანეს და ყველა „თეთრარნიველი" გაათავისუფლეს. გაუშვეს ბესოც, მე კი რამდენიმე მცველთან ერთად ზუგდიდის ცენტრში დავრჩი განაჩენის მოლოდინში.

ზუგდიდში დაბრუნება ვაჟკაცურ ნაბიჯად ჩამითვალეს და პრეზიდენტის მომხრე საველე მეთაურების ერთმა ნაწილმა, პატივისცემის ნიშნად, უპირობოდ გათავისუფლება შემომთავაზა. იმავე საღამოს რობიზონ მარგველანმა გათავისუფლებული ტყვის გამოსამშვიდობებლად ოჯახში სუფრა გაშალა. იგი ტყვეობაში ჩავარდნამდე ხანმოკლე საუბრის შემდეგ აღარა მენახა. დიასახლისების მიერ სვანური სტუმართმოყვარეობით გაშლილ სუფრასთან რობიზონს მადლობა ბევრჯერ გადავუხადე. სულო და გულო, რა არ იდო მაგიდაზე: მეგრული ელარჯი თუ სვანური კუბდარი, ხაჭაპური, კუპატი და შემწვარი ქათამი... კიდევ ვინ მოთვლის, თუმცა მწვანილით, პომიდვრის საწებელში ჩაწობილი პურითა და მჟავე კომბოსტოთი დავკმაყოფილდი. თბილისის ომის შემდეგ მუდმივად ვმარხულობდი და მარხვა არც იმ დღეს დამირღვევია.

გუშინდელი ტყვე მეგობრულად ვიჯექი სუფრასთან ექსპრეზიდენტის ოცამდე მომხრესთან ერთად და მათ სადღეგრძელოებს ვუსმენდი. ყველას ერთი სურვილი გვქონდა – ურთიერთშუღლი დასრულებულიყო და საქართველოში მშვიდობას დაესადგურებინა. ისინიც ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორიც ხობისწყლის იქით დაბანაკებულები, ისევე უყვარდათ სამშობლო და იქნებ უფრო მეტადაც.

ერთი საათიც არ იქნებოდა გასული, დაღლილობა მოვიმიზეზე, სუფრის წევრებს ბოდიში მოვუხადე, დავემშვიდობე და ზუგდიდიდან ხობისკენ გავემართე. ისევ მიშა დადიანმა მიმაცილა ხობისწყლამდე. იქ ყოფილმა ტყვემ და მცველმა ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და ძმურად გადავეხვიეთ ერთი და იმავე სურვილით, რომ აღარასოდეს გვესროლა ერთმანეთისთვის.

იქიდან დაბრუნებულს თბილისში ისეთი განწყობა დამხვდა, რომ ვერ გავიგე, ჩემი დაბრუნება უხაროდათ თუ სწყინდათ. ძმათა სისხლისღვრის გამო ხმამაღლა გამოთქმული სინანულისათვის ჯაბა იოსელიანის რისხვა დავიმსახურე, ყველაზე გავლენიანმა პოლიტიკოსმა და მძლავრი სამხედრო ფორმირების ლიდერმა ღვარძლიანი სიტყვები არ დაიშურა და ზვიადისტებთან კავშირში დამადანაშაულა: ეგ შეგნებულად ჩაბარდა, იარაღი რომ გადაეცა, ჯობდა, საერთოდ არ გამოეშვათ და თავისთან, ზუგდიდში დაეტოვებინათ ან ისე მოქცეულიყვნენ, როგორც გროზნოდან ითხოვდნენო. კიტოვანმა, როგორც ყოველთვის, წყენა დამალა, არ გამიმეტა და ხმამაღლა არაფერი თქვა.

არც ზუგდიდში იყო ყველაფერი მარტივად. როგორც მოგვიანებით გავიგე, ჩემი გათავისუფლება პრეზიდენტთან შეთანხმებული არ ყოფილა, ამიტომ გამსახურდიამ ვალტერ შურღაია ბრძანების შეუსრულებლობაში დაადანაშაულა. თავის მხრივ, ვალტერ შურღაიამ ტყვეების გათავისუფლება სხვებს ჩაუთვალა ღალატად. მოკლედ, გამსახურდიას მომხრეებში დიდი განხეთქილება მოხდა.

თბილისში ფიქრებით დამძიმებული დავბრუნდი. ტყვეობაში მიღებული გადაწყვეტილება სისრულეში უნდა მომეყვანა. ერთი სული მქონდა, ყველასთვის ხმამაღლა მეთქვა, რომ ყველაფერს თავს ვანებებდი. თამრიკო დეკანოსიძემ უკვე მესამედ ჩაწერა ჩემთან ინტერვიუ, რომ საერთოდ ვანებებდი თავს სამხედრო სამსახურს და ჯარიდან მივდიოდი.

მინდოდა, ამ ჭაობისთვის თავი დამეღწია. მათთვის უცხო იყო ჩემი გულისტკივილი. ისინი ვერ ხედავდნენ იმ მწარე სინამდვილეს, რომლისთვის თვალის გასწორებაც ყოველდღიურად მიწევდა. ვერ ხვდებოდნენ, რას განვიცდიდი ყოველი დაღუპულის ოჯახში სამძიმარზე ან საავადმყოფოში დაჭრილი თანამებრძოლის სანახავად მისვლისას.

თუნდაც ერთი, გელა გიორგაძის მაგალითიც კმარა იმის წარმოსადგენად, რამდენჯერ შევეჯახე ასეთ მწარე რეალობას ზუგდიდში ტყვეობაში ყოფნისას. ახალგაზრდა კაცმა, რომელმაც თბილისის ზღვიდან ჩემი წამოსვლის შემდეგ ბოლომდე უერთგულა პოლიტიკურ ლიდერებს, რა მიიღო სანაცვლოდ? ტრაგედიებით აღსავსე დრო-ჟამმა ის თბილისის ომის მსხვერპლად აქცია, მისი სიკვდილით გამწარებული უმცროსი ძმა კი – მკვლელად. მისი ხელით მოკლული უდანაშაულო ახალგაზრდა ზუგდიდელი ჭაბუკი, გორა ჯიქია, შურისძიებას შეეწირა. მოგვიანებით, ერთი წლის თავზე უკვე გასამართლებული, ზუგდიდის ციხეში ყოველდღიური ცემით ისიც მოკლეს, მიზეზად კი ღვიძლის დაშლა დაასახელეს. და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი ოჯახი გაუბედურდა.

ასეთი იყო იმ სამოქალაქო დაპირისპირების ფასი, პოლიტიკოსებმა, ნებით თუ უნებლიეთ, თავიანთი დაუთმობლობით თავს რომ მოახვიეს მათზე მინდობილ ახალგაზრდებს, საკუთარ თავსაც და ქვეყანასაც.

სწორედ ამგვარი განწყობა განაპირობებდა ჩემი დამოკიდებულების ცვლილებას სიგუასა და კიტოვანთან ურთიერთობაში. ეს იყო მუდმივად გაორებული გრძნობა, რომელიც სულ თან მდევდა. ერთი მხრივ, პატივისცემა პიროვნული ურთიერთობიდან გამომდინარე და, მეორე მხრივ, იმედგაცრუება იმ გადაწყვეტილებების გამო, რომლებმაც სამოქალაქო ომი გარდაუვალი გახადა.

იგივე განწყობა მქონდა ყოფილი ხელისუფლების მიმართაც. პირველი პრეზიდენტის ღვაწლსაც ვაფასებდი და მისი მომხრეებისაც მესმოდა, თუმცა ბრძოლას, რომელსაც აგრძელებდნენ, თავიანთი გადმოსახედიდან – კანონიერების აღსადგენად, ყოველდღიურად სულ უფრო მეტი ადამიანი ეწირებოდა.

ტელევიზიის შენობის დაკავება ექსპრეზიდენტის მომხრეების მიერ

ბრძოლები შეწყდა, თბილისშიც, ასე თუ ისე, მშვიდობა დამყარდა, მაგრამ სიკვდილი მუდამ თავს დამტრიალებდა. ჯერ იყო და, დღისით-მზისით თბილისის ზღვაზე, საკუთარ ოთახში ვიპოვეთ სასიკვდილოდ დაჭრილი ერთ-ერთი „თეთრარწიველი“. როგორც ამბობდნენ, იარაღი გაუვარდა. სულ რაღაც სამი კვირა იქნებოდა გასული, რაც სამოქალაქო ომის სიმწარე საკუთარ თავზე ვიგემე. გაგარინის მოედანზე სიგარეტის საყიდლად მისული, ძმასავით თანშეზრდილი ჩემი ალალი ბიძაშვილი შელაპარაკებისას მისნაირმა იარაღიანმა „მხედრიონელმა“ სასიკვდილოდ გაიმეტა.

დღისით თუ ღამით, როგორც კი ცუდ ამბავს მაგებინებდნენ, ჯანდაცვის მინისტრის იმდროინდელ მოადგილეს, ავთო ჯორბენაძეს მივადგებოდი ხოლმე საშველად. ისიც ერთ-ერთ საუკეთესო ანესთეზიოლოგ ნოდარ ლებანიძეს აღვიძებდა და ასე ერთად საავადმყოფოსკენ მივიჩქაროდით. საოპერაციოს წინ შეკრებილი ბიჭები სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდნენ, ნერვიულობდნენ, განიცდიდნენ, სასოწარკვეთილნი ელოდებოდნენ ოპერაციის დასრულებას, რომელიც უკვე მთელი ღამე გრძელდე-

ბოდა. ნოდარი, რაც შეეძლო, ყველაფერს აკეთებდა თითოეულის გადასარჩენად, თითქმის გარდაცვლილის ხელახლა გასაცოცხლებლად. ავთო დილამდე გვერდიდან არ სცილდებოდა. გადარჩენის შანსი ოდნავ მაინც თუ იყო, საოპერაციოდან კარგი ამბით გამოდიოდა, ძირითადად კი – ცუდით.

ყოველი ახალი დაღუპულის ცხედრის მორგიდან გამოყვანისას ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს ხელმძღვანელთან – ზაზა ოქრუაშვილთან შეხვედრა მიწევდა. თავადაც შიდა ქართლის სოფელ ტყვიავიდან წამოსული, რომელიც უკვე კონფლიქტის კერად იყო ქცეული, ყოველთვის თბილად მხვდებოდა და ყველანაირად ცდილობდა დახმარებას. ერთი-ორჯერ, როცა შეამჩნია, რომ ცრემლებს ვერ ვიკავებდი, თავის კაბინეტში გაყოლა მთხოვა და დასამშვიდებლად ჭიქით კონიაკი მომაწოდა. უსიტყვოდ დავცალე და იქაურობა მალევე დავტოვე, თუმცა ორივემ ვიცოდით, რომ ერთმანეთს მალე ისევ იქ შევხვდებოდით.

და ისევ დაკრძალვა. ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში დედის ენით აუწერელი, საზარელი, გულის მომკვლელი ქვითინი და მის მიერ დასმული პასუხგაუცემელი კითხვა: „შვილო, რატომ?! რატომ?!“ ეს ხმა და სიტყვები ყურებიდან არ ამომდიოდა. მინდოდა, მოვხვეოდი, როგორც საკუთარ დედას, სამძიმარი მეთქვა და გულისტკივილი გამომეხატა, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ მენუგეშებინა.

მიცვალებულს შუბლზე ვეამბორებოდი და უსიტყვოდ ვემშვიდობებოდი სხვა ცხოვრებაში მიმავალს... ეს იყო ერთადერთი, რასაც ვახერხებდი.

ცუდი დრო იყო.

ქვეყანაში მტრობა, შუღლი, ქიშპი, გაუტანლობა და სისხლისღვრა გამეფებულიყო. ქალაქებს, რაიონებსა და სოფლებს თოფიანი ხალხი მართავდა. ქვეყნის ეკონომიკური და ინსტიტუციური განვითარებისათვის სახელმწიფო საბჭოს წევრების გადაწყვეტილებებს და ნაბიჯებს ყურადღებას არავინ აქცევდა. ამაზრზენი ამბები ხდებოდა, ისეთი, ომიანობის პერიოდისთვისაც რომ მეტისმეტი იყო.

მძულდა ეს სასტიკი და ბოროტი დრო, უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობდი...

■

ჯერ კიდევ თბილისის ზღვაზე ვიყავი, როდესაც ერთ საღამოს გორა ოთხოზორიამ ამომკითხა, მეგობრობა კიდევ ერთხელ დამიდასტურა და გამსახურდიას მომხრეებთან გაერთიანება მთხოვა. გამომიტყდა, რომ საიდუმლო ოპერაციას ამზადებდნენ. ცხადია, უარით გავისტუმრე, თუმცა შეხვედრის შესახებ არავისთვის მითქვამს. ტყვეობის შემდეგ ჯაბა იოსელიანი ისედაც ეჭვის თვალით მიყურებდა, ჩემდამი უნდობლობას არც მალავდა. შესაძლებლობას არ უშვებდა ხელიდან, რომ ჩემი გვარი სხვების გასაგონად ეხსენებინა და ზვიადისტებთან კავშირი დაებრალებინა. ხშირ-ხშირად წამოაძახებდა ხოლმე კიტოვანს შევარდნაძის გასაგონად, შენი გვარდიის სარდალი ზვიადისტებთან საიდუმლო შეხვედრებს მართავსო.

1992 წლის 24 ივნისის დილა იდგა, როდესაც ქალაქის ცენტრში ინტენსიური სროლა ატყდა. სროლის ხმა თბილისის ზღვაზეც აღწევდა. ის იყო, რამდენიმე გვარდიელთან ერთად ქალაქში ვაპირებდი ჩასვლას, რომ „თეთრი არწივის“ შტაბში რადიოკავშირით ეროვნული გვარდიის ოპერატიული მორიგის განკარგულება მოვიდა: თბილისში დისლოცირებული ბატალიონები სრული საბრძოლო მზადყოფნით ცირკის მიდამოებში უნდა გამოცხადებულიყვნენ.

მე-4 სპეცდანიშნულების ბატალიონში სრული მობილიზაცია გამოცხადდა. ბაზაზე მყოფი იარაღასხმული გვარდიელები პლაცზე იკრიბებოდნენ, ოპერატიული მორიგე სათითაოდ რეკავდა „თეთრარწივლთა“ სახლებში და სასწრაფოდ მოსვლას ითხოვდა. ბაზის გარშემო წრიული თავდაცვის ბრძანება იყო გაცემული და შეიარაღებული ჯგუფები მორიგეობდნენ.

ბრძანების მიუხედავად, ძირითადი ნაწილის შეკრებამდე თავმოყრის ადგილას გასვლას არ ვჩქარობდი. ამბის გასაგებად მხოლოდ მეთაური – დათო აფციაური და რამდენიმე „თეთრარწივლი“ გავიყოლე და ორი მანქანით საბურთალოსკენ გავემართე.

ქალაქი სრულიად დაცარიელებულიყო. მხოლოდ აქა-იქ გვხვდებოდნენ სადგურიდან და დიდუბის ხიდიდან დიდი სიჩქარით მომავალი, შეიარაღებული ხალხით სავსე მანქანები, რომლებიც ერთმანეთის გადასწრებას ცდილობდნენ, თითქოს სადღაც ეჩქარებოდათ.

მანქანა სასტუმრო „აჭარის“ კუთხესთან გავაჩერეთ და ფეხით დავეშვით, რადგან ქვემოთ უკვე სროლა მიმდინარეობდა. ხეებს ამოფარებულები მოკლე გადარბენით ვცდილობდით გზის საპირისპირო მხრიდან ტელევიზიასთან მიახლოებას. გზადაგზა ვხედავდით მიწაზე გართხმულ შეიარაღებულ პირებს, რომლებიც ტელევიზიის მიმართულებით შეუჩერებლად ისროდნენ. ვეკითხებოდი, რა ხდება-მეთქი? ძირითადად, სამოქალაქო ტანსაცმლიანი „მხედრიონელები“ ჭარბობდნენ, თუმცა რამდენიმე გვარდიელიც დავინახეთ. მათგან გავიგე, რომ დილით ექსპრეზიდენტის მომხრეთა ჯგუფმა ვალტერ შურღაიას ხელმძღვანელობით ტელევიზიის შენობა დაიკავა და მხარდამჭერებს მოუწოდა, შეერთებოდნენ.

სხვადასხვა ფორმირების წევრები ტელევიზიაში გამაგრებულ ექსპრეზიდენტის მომხრეთა ჯგუფს ისეთ ცეცხლს უშენდნენ, რომ შენობასთან მიახლოება შეუძლებელი იყო. არ გამართლდა ვალტერ შურღაიას მოლოდინი, რომ ყოფილ ხელისუფლებას დედაქალაქი გვერდით დაუდგებოდა. თბილისში ელექტროენერგია მოსახლეობის უმნიშვნელო რაოდენობას მიეწოდებოდა. გამსახურდიას მომხრეთა დიდ უმრავლესობას არც გაუგია, რა მოხდა. შურღაიას ჯგუფი იძულებული გახდა, დანებებულიყო.

ტყვია არ გამისვრია, თბილისის ზღვაზე გულდამძიმებული დავბრუნდი. არანაირი სურვილი არ მქონდა, რომ გამარჯვებულთა რომელიმე ხელმძღვანელი მენახა, არც იქ მყოფ მეთაურებს გასჩენიათ ჩემთან შეხვედრის სურვილი. მხოლოდ მოგვიანებით გავიგე, რომ ვალტერ შურღაია, რომელიც გახსნილ ხელყუმბარას ხელიდან არ უშვებდა, დანებებაზე უარს აცხადებდა, ყარყარაშვილთან შეხვედრას ითხოვდა, მხოლოდ მას ჩავბარდებიო. ვალტერ შურღაიას ვაჟკაცური დამოკიდებულება კარგად მახსოვდა და დასაჭერად არ მემეტებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფრით ვეხმარებოდი.

ისედაც ეჭვის თვალით მიყურებდნენ. ზუგდიდში გაკეთებულ განცხადებებს, ისევე როგორც იმ დღეს ბრძოლისგან თავის არიდებას, ღალატად მითვლიდნენ და ზვიადისტებთან კავშირს მაბრალებდნენ.

შურღაიას მიერ ტელერადიომაუწყებლობის შენობის აღებამ სამეგრელო ძალიან გაახარა. ექსპრეზიდენტის მომხრეები ქუჩაში იყვნენ გამოსულები და ისე ზეიმობდნენ, თითქოს მათი ხელისუფლება აღდგენილიყო, ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდნენ. ახალ ხელისუფლებას სრულ დაუმორჩილებლობას უცხადებდნენ. კვლავ გამოიკვეთა სამოქალაქო ომის კონტურები. საყოველთაო ენერგოკრიზისის პირობებში ისიც ვერ გაიგეს, რასაც ტელევიზია აცხადებდა – სამთავრობო ჯარებს შენობა და მოძალადეები მთლიანად ალყაში ჰყავთ მომწყვდეულიო.

სამაჩაბლოს კონფლიქტის ესკალაცია

ივნისი, 1992 წელი

სამაჩაბლოში ეროვნული გვარდიის შესვლა

სულ მქონდა ეჭვი, რომ პროცესებს უხილავი ხელი მართავდა. ვიღაცას თით-ქოს განზრახვა ჰქონდა, რომ გვარდია, „მხედრიონი“ და სხვა იარაღიანი ხალხი თბილისიდან გაეყვანა.

ვითარება ერთდროულად დაიძაბა როგორც სამეგრელოში, ისე სამაჩაბლო-ში. აქეთ ოსებმა თავისი არ მოიშალეს და, როგორც საუკუნის წინათ და კიდევ უფრო ადრე, ისევ დაგვიპირისპირდნენ, ათასგვარი პროვოკაციებით პირდაპირ გვიწვევდნენ, რომ პასუხი გაგვეცა.

საქართველოს გულში, ისტორიულ სამაჩაბლოში, დუშეთიდან, კასპიდან, ქარელიდან, გორიდან, ხაშურიდან, საჩხერიდან და ონიდან სულ რაღაც ათიო-დე კილომეტრის დაშორებით, ახალი სახელმწიფოს შექმნა განიზრახეს. როდის ყოფილა შუაგულ ქართლში ოსების სახელმწიფო?! საიდან გაუჩნდათ ეს აზრი? ეცხოვრათ ისე, როგორც აქამდე ცხოვრობდნენ – ერთად, ძმურად და არც არა-ფერი იქნებოდა, მაგრამ მათ დაიწყეს, ცხინვალიდან ქართველები განდევნეს და ახლა უკვე დიდი და პატარა ლიახვისა და ფრონის ხეობებს ემუქრებოდა საფრ-თხე. ცხინვალის მოსაზღვრე ქართულ სოფლებს – ერედვს, ნიქოზს, ერგნეთსა და სხვებს დაცვა სჭირდებოდა. აქამდე ადგილობრივი ვაჟკაცი ბიჭები ბრძოლითა და შრომით იცავდნენ და ინარჩუნებდნენ იქაურობას. რომ არა მათი თავგანწირ-ვა, საქართველოს ისტორიული რეგიონი ქართველებისგან დიდი ხნის წინათ და-იცლებოდა.

სამაჩაბლოშიც და სამეგრელოშიც სამთავრობო ძალებს უნდა ემოქმედათ. სა-ხელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელმა კარგად იცოდა სამხედრო მეთაურებისა და შეიარაღებული ფორმირებების ლიდერების განწყობა. ჯაბა იოსელიანი ცხინვალ-ში „მხედრიონელთა“ გაგზავნას ყოველთვის თავს არიდებდა, მე კი სამეგრელო-მი გვარდიელების ახალი ლაშქრობის წინააღმდეგი ვიყავი. ამიტომ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ სეპარატისტების თარეშის ასალაგმავად და მშვიდობის და-სამყარებლად გადაწყვიტა, შიდა ქართლში გვარდია გაეგზავნა, სამეგრელოში კი - „მხედრიონი“.

დილის 11 საათი იქნებოდა, როდესაც თბილისის ზღვაზე, „თეთრი არწივის" ბაზაზე გვარდიის სამმართველოდან შიკრიკი ამოვიდა, რომელიც მე მეძებდა. მითხრა, რომ გვარდიაში მიბარებდნენ და დაუყოვნებლივ უნდა გამოვცხადებულიყავი. ცუდად მენიშნა, ისევ სამეგრელოში ლაშქრობისთვის ხომ არ მიბარებენ-მეთქი, გამკრა გულში და, უსიამოვნო ფიქრით დამძიმებული, ორთაჭალისკენ გავემართე.

როგორც არ უნდა ეთხოვათ, ძმათა შორის დაპირისპირებაში მონაწილეობას, არც არანაირი დავალების შესრულებას აღარ ვაპირებდი. ამ განწყობით შევაბიჯე მთავარი სამმართველოს უფროსის, ჯემალ ჭუმბურიძის – ჩემთვის ძვირფასი „ბაბუს" კაბინეტში.

მისალმება არ მქონდა დასრულებული, რომ მან სამთავრობო ტელეფონის ყურმილი მომაჩეჩა, შენთან „იმას" უნდა ლაპარაკიო. ხმაზე ვიცანი, რომ შევარდნაძე იყო. ისე მომესალმა, როგორც დიდი ხნის ნაცნობს. ალბათ გაიგებდი, შიდა ქართლის სოფლებში რაც მოხდაო, მითხრა და ვითარება გამაცნო.

დეკემბერ-იანვარში ცხინვალში ჩემი ბოლო ჩასვლის შემდეგ საქართველოს მიმართ კეთილგანწყობილი ზნაურ გასიევის „ბებერი გვარდიისა" და ე. წ. პრემიერ-მინისტრ ოლეგ თეზიევის ნაცვლად ძალაუფლება ახალგაზრდა სეპარატისტთა ჯგუფს ჩაეგდო ხელში და თითქმის მოგვარებული კონფლიქტი ახალი ძალით გაეღვივებინათ. წინა დღით სეპარატისტებს ჯერ სოფელ გუჯაბაურისთვის შეუტევიათ. მოსახლეობამ თავი ძლივს დააღწია იქაურობას. იმავე ღამით ქართველებისგან თითქმის სრულიად დაცლილი მამისაანთუბნისთვის ცეცხლი წაეკიდებინათ, რომ იქ დაბრუნება ქართველს ვეღარასდროს შესძლებოდა. უკვე იმდენი გაუბედავთ, რომ ტირძნისის გასასვლელში ადგილობრივ ბიჭებს დასცემიან და ექვსივე ქართველი საკუთარ მანქანაში ცოცხლად ჩაუწვავთ. მიზეზად ის მოუდიათ, დაცარიელებული ფრისიდან ნივთები გამოჰქონდათო.

„სხვა საზღვრისპირა სოფლებშიც ყოველ ღამე ისროდნენ, კონფლიქტის ზონაში, მთელ პერიმეტრზე, ქართული ოჯახებისთვის ცხოვრება სახიფათო გახდა. ნიქოზის, ტყვიავის, ტირძნისისა და ფრონტის მიმდებარე სხვა სოფლების დაუცველი მოსახლეობა დილიდან არის შეკრებილი და სახელმწიფო საბჭოსგან შველას ითხოვს", – ამ სიტყვებით ისე დაამთავრა ლაპარაკი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ, რომ არ უთქვამს, მე კონკრეტულად რისთვის დამირეკა. ეს იყო ჩემი პირველი საუბარი ედუარდ შევარდნაძესთან...

შევარდნაძის საუბრის ტექნიკას ჯერ კიდევ არ ვიცნობდი, თუმცა მისი სიტყვებიდან ისეთი აზრი გამოვიტანე, რომ კვლავ გვარდიის სათავეში ჩადგომას მთხოვდა: ამჯერად სამაჩაბლო დგას განსაცდელის წინაშე და ჯარისკაცის ვალი უნდა მოიხადოო, ანუ კვლავ ომში მიწვევდა. თითქოს წინასწარვე იცოდა ჩემი სისუსტე, სამშობლოსთვის საომარი თუ იყო, უკან რომ არ დავიხევდი.

ოთახში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა, ყველა საუბრის დასრულებას ელოდებოდა. პოლიტიკურ ხელმძღვანელს ჩემთვის, როგორც სამხედრო პირისთვის, კონკრეტული ამოცანა ჯერ არ ჰქონდა დასახული, რომ უცებ გადამავიწყდა მისდამი უნდობლობა და დაუფიქრებლად ვუპასუხე: „კარგი, ისედაც ბევრი ვუთმინეთ. რადგან ნებით არ სურთ თანამემამულეებთან მშვიდობიანი თანაცხოვრება, მაშინ სამხედრო ძალით მიიღებენ პასუხს. სამ დღეში მზად ვიქნები ამოცანის შესასრულებლად", – და ტელეფონი ჯემალს მივაწოდე. ყველამ შვებით ამოისუნთქა.

გადაწყდა: სამეგრელოში მღელვარების დასაცხრობად და დაძაბული სიტუაციის განსამუხტავად „მხედრიონი“ წავიდოდა, ხოლო ცხინვალში მშვიდობის იძულებით დამყარებისთვის ეროვნული გვარდია სრული შემადგენლობით უნდა მომზადებულიყო. გასარკვევი იყო, ვინ იქნებოდა სამაჩაბლოში ლაშქრობის სამხედრო ხელმძღვანელი. გვარდიაში მზადება დაიწყო.

შიდა ქართლის სოფლებში საველე პირობებში განლაგებული გვარდიის ნაწილების ყოველმხრივ უზრუნველყოფა გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსს ჯემალ ჭუმბურიძეს დაევალა. უშუალოდ კონფლიქტის ზონაში გვარდიის დანაყოფების ეფექტიანი საბრძოლო მართვა-ხელმძღვანელობისთვის კი საველე სამხედრო შტაბი შეიქმნა პოლკოვნიკ დათუაშვილის მეთაურობით. შტაბი გვარდიის სამმართველოებისა და სამსახურების უფროსებით, ძირითადად, საბჭოთა არმიაში ნამსახურები პროფესიონალი ოფიცრებით იყო დაკომპლექტებული. სამხედრო ოპერატიულ სამმართველოს პოლკოვნიკი გრიგალაშვილი ხელმძღვანელობდა, საბრძოლო სამმართველოს – პოლკოვნიკი ნაირაშვილი, ტექნიკა-შეიარაღების სამმართველოს – ზაზა რუსაძე, კავშირგაბმულობას – სრულიად ახალგაზრდა ნუგზარ კაიშაური, დაზვერვას – ავღანეთგამოვლილი თემურ ლიპარტელიანი, სამედიცინო ნაწილს – ვიცე-პოლკოვნიკი რევაზ ჯიჯეიშვილი. შტაბთან ოპერატიული ჯგუფის მეთაური მიხეილ ოძელაშვილი მორიგეობდა.

საველე მეთაურების ავტორიტეტს მათი პირადი შემადგენლობის რიცხოვნობა, შეიარაღება და განვლილ ბრძოლებსა თუ ლაშქრობებში მონაწილეობისას გამოჩენილი ორგანიზებულობა და წესრიგი განაპირობებდა.

დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა შვეულმფრენთა ნაწილის მეთაური, პოლკოვნიკი ჯიმი მაისურაძე. შთამბეჭდავი იყო მისი მაღალი პროფესიონალიზმი, განვლილი სამხედრო კარიერა და სხვადასხვა ცხელ წერტილში მიღებული საბრძოლო გამოცდილება.

მძიმე სამხედრო ტექნიკის ექსპლუატაციისა და საბრძოლო გამოყენების სპეციალისტის, ზაზა რუსაძისა და ჯავშანტექნიკის მექანიზებული ქვედანაყოფის მეთაურის, თემურ ოტიაშვილის შესანიშნავი ტანდემი ლაშქრობისთვის საგანგებოდ ჩამოყალიბებულ სატანკო ქვედანაყოფს ჩაუდგა სათავეში.

აქვე იყვნენ კიტოვანთან დაახლოებული ქარელელი ტარიელ ბარბაქაძე, ასევე, ის ქარელელებიც, რომელთა საკუთარი საკარმიდამო მიწის ტრაქტორით დამუშავების მრავალწლიან გამოცდილებას უკვალოდ არ ჩაუვლია და მუხლუხიანი სამხედრო ტექნიკის – „ემტეელბეს“, „ბეემპეს“ და ტანკის მართვასა და ექსპლუატაციას იოლად აუღეს ალღო.

ჯერ კიდევ ლესელიძის სკოლის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებული გვარდიის პირველი ბატალიონის ერთ-ერთი ასმეთაურის, კადრის ოფიცრის, არტილერისტ დევი ჭანკოტაძის ირგვლივ იკრიბებოდნენ როგორც არტილერიის სპეციალისტები, ისე მოხალისეები. პროფესიონალისა და მკაცრი ოფიცრის მიერ შექმნილი საარტილერიო ნაწილი – ჯერ ბატარეა, ხოლო მოგვიანებით დივიზიონი, პოლკი თუ ბრიგადა – ნებისმიერი საბრძოლო დავალების შესრულების დროს ავანგარდში იდგა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკის მეთაური ტარიელ აბუაშვილი, სამხედრო განათლების არქონის მიუხედავად, შესანიშნავ ორგანიზატორულ ნიჭს, სამეთაურო უნარ-ჩვევებს ავლენდა და როგორც ახალგაზრდა ოფიცრების, ისე ჯარისკაცთა კარგი გუნდი შემოიკრიბა.

ერთხელ უკვე სისხლისგან დაცლილ „თეთრარწიველებს", ახლანდელ სპეცდანიშნულების მეოთხე ბატალიონს, დათო აფციაური მეთაურობდა. სხვადასხვა სამეთაურო თანამდებობაზე ნაწილობრივ ისევ ძველებს – ლევან ასათიანს, ლევან ღლონტს, დემიკო ფაშტიანს და მამუკა ცხვედაძეს მოეყარათ თავი, ნაწილობრივ კი, შემდგომ მიღებულებს – ჰამლეტ მერაბიშვილს, გოჩა ჩიგოშვილს, გრიშა ცატურიანს, მევლუდ ხუციშვილს, გელა გუგეშაშვილს, ძმებ სალთხუციშვილებსა და სხვებს, რომლებსაც იმ დროისთვის უკვე ჰქონდათ კარგი სახელი – მათ სამეგრელოსა და აფხაზეთის ექსპედიციებში შესანიშნავად წარმოაჩინეს თავი. იქვე იყვნენ ჯერ კიდევ 5 დეკემბრის ქუჩიდან გამოყოლილი პირველი გაწვევის ჯარისკაცები – ე. წ. „პატარები", რომლებსაც მაშინ სიყვარულით შევარქვით ეს მეტსახელი და ბრძოლას ვარიდებდით, ახლა კი წინა ხაზისკენ მიუწევდათ გული. ისინი ბატალიონში ათმეთაურის, ოცმეთაურის, ზემდეგების, ზევადიანი სამხედრო მოსამსახურეების თანამდებობებზე იყვნენ გადანაწილებულნი.

„თეთრ არწივს" შემოუერთდნენ ჯერ კიდევ არაფორმალობის პერიოდში შეძენილი ჩემი მეგობრები „ჩიტო-გვრიტოდან" – ზაზა დუმბაძე, ნუკრი ჭეიშვილი, გია ციბაძე, ვასიკო გოგოლაძე, გია ჯაფარიძე და მალხაზ თარიმანაშვილი, ასევე, ეკონომიკური ურთიერთობის ინსტიტუტის რექტორი გურამ თავართქილაძე და მისი საზოგადოება „რაინდის" წევრები – თამაზ კენჭიაშვილი, ალეკო შავერდაშვილი, რეზო ბუბუტეიშვილი, მოგვიანებით კი სხვებიც. შემოგვიერთდა ახალგაზრდა ვაკელების 10-კაციანი რაზმიც, ირაკლი იოსელიანის მეთაურობით.

თბილისიდან მეღვრეკისში გაემგზავრა ახლად ჩამოყალიბებული ეროვნული გვარდიის 28-ე ბატალიონი გელა რუსიშვილის და ორხევის ბატალიონი კახა ტატიშვილის მეთაურობით.

გვარდიის შექმნის დღიდან მოგვყვებოდა დავით გოლუბიანის რუსთავის ბატალიონის ძირითადი სამეთაურო შემადგენლობაც. იქაც, ძირითადად, ძველებს მოეყარათ თავი. სამაგიეროდ ახალი შევსება მიეღო ამირან ზედგენიძის მეთაურობით ჩამოყალიბებულ ახალციხის ბატალიონს.

დუშეთის მოხალისეთა ბატალიონი, ძირითადად, „კოსტავას საზოგადოების" ყოფილ წევრებს – დვანელებს, ავნეველებსა და ქუთაისელებს აერთიანებდა. მათი მეთაურის, დუშელი გელა გელაშვილის მხიარული ხასიათი და კეთილგანწყობა მეგობრულ ატმოსფეროს ქმნიდა გვარდიელებს შორის.

რაც შეეხება თავად დუშელთა ჯგუფს, მათ ბაზაზე ორი ასეული იყო ჩამოყალიბებული: პირველ ასეულს იოსებ ქოქიაშვილი მეთაურობდა, მეორეს – ავთო ჭოლიკაური.

ქართლელებიდან განსაკუთრებით კასპის ბატალიონი გამოირჩეოდა. მათი პირველი მეთაური, ჩემი კარგი მეგობარი ტარიელ შარიფაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს უკვე კასპის გამგებელი იყო, ბატალიონს ყურადღებას მაინც არ აკლებდა და დიდ მზრუნველობას იჩენდა, პატრონობდა, თვითონ მეთაურობდა და არცერთ საბრძოლო მოქმედებას არ აკლდებოდა.

ძირითადად, ძველი შემადგენლობით იყვნენ ჩვენთან ერთად ყველა ბრძოლაგამოვლილი ხაშურის გვარდიელები გოჩა კაპანაძისა და პეტრე ტელიაფუსის მეთაურობით, ასევე, გორის გასასვლელში დისლოცირებული, ადგილობრივებით დაკომპლექტებული ქვედანაყოფი ოთარ აბაზაშვილის მეთაურობით.

დასავლეთში ოზურგეთის ბატალიონის გურული მებრძოლები და მათ მეთაურად ახალდანიშნული ირაკლი მუჯირი გვეიმედებოდნენ. გვარდიის შექმნის დღი-

დან ირაკლი მუჯირსაც ჩვენთან ერთად ჰქონდა გავლილი გზა. მათ გვერდით იყო მოხალისეთა ერთი ოცეული აჭარიდან.

იმერეთში დისლოცირებული ნაწილებიდან ტყიბულის ბატალიონი კვლავ რჩებოდა ავტორიტეტულ ქვედანაყოფად. დეკემბერში თბილისში მათი მეთაურის დაღუპვის შემდეგ, რაც ტყიბულელთათვის, ისევე როგორც მთელი გვარდიისთვის, დიდი დანაკლისი იყო, ბატალიონს მერაბ ენუქიძე ჩაუდგა სათავეში და გამორჩეულად წესიერი ახალგაზრდებით დააკომპლექტა.

ქუთაისის გვარდიის პირადი შემადგენლობაც წინანდელივით ისევ ერთერთი ყველაზე შეკრული, ორგანიზებული დანაყოფი იყო. აქამდე თავს გადამხდარ ბრძოლებში საკმაო გამოცდილებაც შეეძინათ. მათი მეთაური რეზო ჩაკვეტაძე და ყველა მებრძოლი ჩემი და „თეთრი არწივის“ ყველაზე ერთგულ მეგობრებად და მოკავშირეებად გვეგულებოდნენ, რაც ბევრჯერ დავუმტკიცეთ ერთმანეთს. „თეთრი არწივის“ თბილისის ზღვიდან გასვლისას ისინი დაუფიქრებლად გამოგვყვნენ ნიქოზში, ჩვენ კი, მათ გასათავისუფლებლად ზუგდიდში გადაფრენილები, ტყვეობაში აღმოვჩნდით.

გარდა ამისა, ასეულები იდგნენ თერჯოლაში, ხონში, ამბროლაურსა და ჩოხატაურში.

აღმოსავლეთ საქართველოში ძველებისგან შედგებოდა გივი ქენქაძის დიდგორის და დავით მარტიაშვილის თელავის მე-7 ბატალიონიც.

ასეულები იდგნენ საგარეჯოში, ლაგოდეხში, დმანისში, თიანეთში, მცხეთაში, მანგლისში.

ბრძანების თანახმად, ყველა მათგანი სრული საბრძოლო ეკიპირებით თავმოყრის ადგილისკენ, მეღვრეკისისკენ მიემართებოდა.

ბატალიონს და ასეულებს ვამბობ, თორემ სინამდვილეში მათი შტატი, უმეტესად, 30%-ითაც კი არ იყო საბრძოლო შემადგენლობით შევსებული. „გაბერილი“ შტატები, ძირითადად, „მკვდარი სულების“ გასაფორმებლად გამოიყენებოდა, თუმცა მადლიანი საქმისათვის. როგორც წესი, ხელფასიდან დაზოგილი თანხა გარდაცვლილთა პატივის მიგებასა და დაჭრილთა მკურნალობას ხმარდებოდა.

გვარდიელებს არც პოლიტიკურ პარტიებთან დაახლოებული გასამხედროებული რაზმები ჩამორჩებოდნენ.

ავანგარდში იყვნენ ნოდარ ნათაძის „სახალხო ფრონტის“ სამხედრო ფრთის, „იმედის“ წევრები დათო ხომასურიძის („ფიცხელა“) მეთაურობით. მათ ხომ დიდი ლიახვის ხეობაში ჩვენთან ერთად და ჩვენ გარეშეც არაერთი დღე ჰქონდათ გატარებული და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდნენ. ამიტომაც იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მათი გადაწყვეტილება, როდესაც „იმედი“ ეროვნული გვარდიის შემადგენლობაში მარნეულის 26-ე ბატალიონად ჩამოყალიბდა. ამით „სახალხო ფრონტის“ სამხედრო ფრთა სხვა არაოფიციალური ფორმირებებისთვისაც კარგ მაგალითად იქცა. ისინიც ძველებად, გამოცდილ მებრძოლებად ითვლებოდნენ. მათ რიგებში ირიცხებოდა მოხალისედ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ლადო ჩაჩიბაია.

სამაგალითო იყო ირაკლი წერეთლის, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარის, საქციელი. მან ორგანიზაციის გასამხედროებული ფრთა შეკრიბა, პარტიული საქმიანობის გაგრძელების მსურველებს იარაღის დადება, ხოლო მათ, ვინც ამაზე უარს ამბობდა, ეროვნულ გვარდიაში სამსახურის დაწყება მოსთხოვა. პოლიტიკურ საქმიანობას სამშობლოსთვის ხელში იარაღის აღება ვინც ამ-

ჯობინა, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის დაახლოებით 100-მდე ყოფილი წევრი, მეღვრეკისის სამხედრო შტაბში ირაკლი ნერეთელმა პირადად მოიყვანა და წარმატება უსურვა. მათ მიერ „შავი ავაზას“ სახელით ჩამოყალიბებული ქვედანაყოფის მეთაურად, მათივე შემადგენლობიდან, თემურ გელაშვილი დაინიშნა.

როგორც 1795 წელს, როდესაც დავით მაჩაბლის ხელმძღვანელობით შეკრებილი ქალაქელები მეფე ერეკლეს ჯარს დაუდგნენ გვერდში, ახლაც თამაზ გოგინაშვილის („სამსონი“) გარშემო თბილისელ მოხალისეებთან, მათ შორის, ჩემზე უფროს ქალაქელ კოლორიტებთან ერთად, ბოლნისელებიც დაირაზმნენ ადგილობრივი დიმა ლაზარეშვილის მეთაურობით. ისინი ომშიც და მშვიდობაშიც „თეთრი არწივის“ ერთგულ მეგობრებად და მოკავშირეებად იქცნენ.

თავმოყრის ადგილას შეიკრიბნენ თბილისში წესრიგის დასამყარებლად მოხალისეებისგან ჩამოყალიბებული „ორბის“ წევრებიც. საბრძოლო ნათლობა ერთად გვქონდა მიღებული, ისინი ენგურიდან ფსოუმდე სამხედრო ლაშქრობაშიც ჩვენ გვერდით იყვნენ.

ერთადერთი გამონაკლისი, ვისაც არც სამოქალაქო ომში, არც შემდგომ სამხედრო მოქმედებასა და ლაშქრობაში მიუღია მონაწილეობა, ბესო ქუთათელაძე და მისი საჩხერის ბატალიონი იყო. მიუხედავად ამისა, ბესოს სახელი და ავტორიტეტი სამხედრო თათბირებზე თუ სხვა ფორმატში საკითხების განხილვისას ყველას ჩრდილავდა. დინჯი და სიტყვაძვირი ბესოს აზრს ყველა მეთაური უსმენდა და ითვალისწინებდა, მათ შორის, მეც.

ფსოუზე ლაშქრობისას ორგანიზებულობით გამორჩეული „შავნაბადელთა“ ბატალიონი, რომლის სამეთაურო შემადგენლობაში კიტოვანთან დაახლოებული პირველი გვარდიელები: აკია ბარბაქაძე, კობა კობალაძე, მიშა სადუნიშვილი, გიორგი თავდგირიძე, აჩიკო ცინცაძე, მალხაზ თოფურია, ლევან გამყრელიძე, ლევან ბერაია და სხვები შედიოდნენ, ფოთში იყო გადასროლილი.

გამალებულ სამზადისში ვიყავით, როდესაც თბილისის ზღვის ბაზაზე დაუპატიჟებლად გამოგვეცხადნენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დაზვერვის ბატალიონის, „ლეტუჩაია მიშის“ მეთაური „მიხალიჩი“, შტაბის უფროსი გენა და მისი თანმხლები ქართულად მოსაუბრე ტოლიკა. ორმოც წლამდე ასაკის საშუალოზე მაღალ, ავღანეთგამოვლილ მეთაურს, ისევე როგორც მის თანმხლებ 35 წლამდე ასაკის ორივე ოფიცერს, თვალის შევლებისთანავე ეტყობოდათ, რომ სპეცრაზმელები იყვნენ.

ძნელი წარმოსადგენია, ოლქის დაზვერვის ხელმძღვანელს არ სცოდნოდა საბჭოთა არმიის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეების მიერ ახალციხეში მოწყობილი უიარაღო აჯანყების, ქართველი ჯარისკაცების მიერ იქაურობის დემარშით დატოვებისა და შემდგომში ოკუპანტების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯების შესახებ. მისალმების შემდეგ ერთმანეთი მოვიკითხეთ. ჩვენი მინისტრისა და მათი ხელმძღვანელობის ინტერესთა თანხვედრა ერთმანეთისადმი კეთილგანწყობას გვავალდებულებდა.

მათ თბილისის ზღვაზე მიმდინარე სამზადისი აინტერესებდათ: პირადი შემადგენლობის საბრძოლო რიცხოვნობა, შეიარაღება, მძიმე ტექნიკა, ჩვენი მიზნები და ამოცანები, რამდენად სწრაფად შემეძლო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, რუსული ჯარის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება და ა. შ. ჩემს გარემოცვაში ვინმეს შემოგზავნას მერჩივნა, ისევ ჩემგან გაეგოთ ყველაფერი. გარდა ამისა, იარაღის, ტყვია-წამლისა და სხვადასხვა შეიარაღების ნებისმიერი საშუალებით

მოპოვების აუცილებლობა მათთან ნორმალური ურთიერთობების დამყარებას მავალდებულებდა. ერთი შეხედვით, ორმხრივად გამოხატული კეთილგანწყობის მიუხედავად, სხარტი გონებით გამორჩეულ „არწიველს“ ჰამლეტ მერაბიშვილს ჯერ კიდევ მათ მოსვლამდე ჩავიურჩულე, „ლეტუნაია მიშის“ ოფიცრების ყოველი სტუმრობისას ყოველთვის შორიახლოს ეტრიალა და სროლისთვის სრულ მზადყოფნაში ყოფილიყო – ისე, ყოველი შემთხვევისთვის.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრამ თითქოს კარგად ჩაიარა. ხანგრძლივი საუბრის შემდეგ მეორე დღისათვის შტაბში სადილზე დავპატიჟე უფრო უშუალო ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად და თან, ბიჭების თხოვნით, АГС-17-ის[116] ტიპის ყუმბარსატყორცნის შეძენის სურვილი გამოვთქვი.

მომდევნო დღეს „მიხალიჩი“ ტოლიკას გარეშე, გენასა და კიდევ ერთი ასმეთაურის თანხლებით მოვიდა. სუფრა კაბინეტში უკვე გაშლილი იყო. ჯარისკაცის მშრალი საკვებიდან ძროხის ხორცის, „პერლოვკისა“[117] და წინიბურას შემთბარი კონსერვები, კიტრის მწნილი, ცოტა ყველი და ძეხვი, ვინ იცის, თბილისში საიდან შემოტანილ არაყთან ერთად, რუსი ოფიცრებისთვის ზღაპრული სუფრა იყო. სამი რუსი სამხედროს გარემოცვაში მარტო ვიჯექი. სადღაც მეხუთე ჭიქაზე „მიხალიჩი“ შეთვრა თუ სიმთვრალე გაითამაშა, არაკორექტული კითხვა დამისვა: ყოველთვის დაცვის გარეშე, მარტო რომ დადიხარ და არ ფრთხილობ, თუნდაც ახლა, მარტო რომ ზიხარ, რომელიმემ შენი მოკვლა რომ მოვინდომოთ, არ გეშინიაო?

არა-მეთქი, ღიმილით ვუპასუხე. მივხვდი, რომ სიმთვრალით ის წამოროშა, რაც გულში ედო. ამის თქმა იყო და, ზურგს უკან მომექცა, კისერზე ხელი მომიჭირა, სკამი ორ ფეხზე შეაყენა, მეორე ხელით კი ქამრიდან ხიშტ-დანა დააძრო და ყელზე მომადო:

– Ну как, сейчас тоже не боишься умереть? Считай, что ты убит![118]

მოულოდნელობისგან დაბნეულმა მისმა ოფიცრებმა, არ ვიცი, რამდენად გულწრფელად, მაგრამ კონტროლიდან გასული საკუთარი მეთაურის შეჩერება სცადეს: „Товарищ подполковник, не надо, остановитесь!“[119] – თუმცა უშედეგოდ. იგი უკვე შეურაცხადი იყო.

– Все, полковник, тебя больше нет, ты умер![120]

– Вас тоже, б-дь, открой дверь и сам увидишь![121] – ვუთხარი და მეორე ოფიცერს კარის გაღება ვურჩიე, თუმცა სანამ ის რამეს მოიმოქმედებდა, კარი ნინასნარ გაფრთხილებულმა ჰამლეტ მერაბიშვილმა გააღო, რამდენიმე ძველ „თეთრარწიველთან“ ერთად, რომლებიც ჩემს ერთ სიტყვას ელოდებოდნენ. ჰამლეტი ოთახში შემოვიდა და რამეში ხომ არ ვარ საჭიროო, მშვიდად იკითხა.

1.6 АГС-17 (რუს) – ავტომატური ყუმბარსატყორცნი

117 ქერის ბურღული

116 Ну как, сейчас тоже не боишься умереть? Считай, что ты убит! (რუს.) – აბა, ახლაც არ გეშინია სიკვდილის? ჩათვალე, რომ მკვდარი ხარ!

119 Товарищ подполковник, не надо, остановитесь! (რუს.) – ამხანაგო პოლკოვნიკო, არ გინდათ, შეჩერდით!

120 Все, полковник, тебя больше нет, ты умер! (რუს.) – მორჩა, პოლკოვნიკო, შენ უკვე მკვდარი ხარ!

121 Вас тоже, б-дь, открой дверь и сам увидишь! (რუს) – თქვენც მკვდრები ხართ, კარი გააღეთ და ნახავთ!

– Сейчас-же убери нож![122] – სიტყვები დასრულებული არ მქონდა, რომ „მიხალიჩმა“ ხელი გამიშვა. უმცროსი ოფიცრები უხერხული მდგომარეობიდან მეთაურის გამოსაყვანად ბოდიშებს იხდიდნენ და მის საქციელს სიმთვრალეს აბრალებდნენ. საკმარისი იყო, ბიჭებისთვის მენიშნებინა და საკადრის პასუხს მიიღებდნენ, თუმცა გასაგებია, ამას რა მოჰყვებოდა, ამიტომ ინციდენტი სიმთვრალეს „დავაბრალეთ“ და მათი ბოდიშებით დავკმაყოფილდი.

– Все, забыли, надеюсь экспериментов больше не будет,[123] – მოკლედ მოვუჭერი. რუსული გამოთქმა: „Что у трезвого на уме, у пьяного на языке“[124] – მის საქციელს ყველაზე უკეთ ხსნიდა. სუფრა მალევე აიშალა. თანმხლებმა ოფიცრებმა მთვრალი მეთაური თავადვე გაიყვანეს. მეორე დღეს „ლეტუჩაია მიშის“ შტაბის უფროსი, გენა მოვიდა, მეთაურის საქციელზე ბოდიში კიდევ ერთხელ მომიხადა და ურთიერთობის გამოსასწორებლად, საჭიროების შემთხვევაში, კონფლიქტის ზონაში ოპერაციაში ორი ჯავშანტრანსპორტიორით მონაწილეობის მზადყოფნა გამოთქვა.

ამ შემთხვევიდან სამი დღის თავზე ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელები და მეთაურები, გორის თეატრში თათბირზე შეკრებილები, ორ საათზე მეტხანს მშვიდად ვისმენდით სახელმწიფო საბჭოს ორი მთავარი წევრის – თენგიზ კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის გამოსვლებს. ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც გორის სამხედრო „კამპანიის“ ხელმძღვანელად, გვარდიის რომელიმე სამხედრო მეთაურის ნაცვლად, შსს-ს მაღალჩინოსანი, პოლიციის გენერალი რობიზონ თუშურაშვილი წარადგინეს. გვარდიის მეთაურების უმრავლესობამ ოპერაციის ხელმძღვანელად ჩემი დანიშვნა მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში დაუმორჩილებლობით დაიმუქრნენ. ჩუმად ვიჯექი და კამათს ვუსმენდი. გვარდიის მეთაურთა ასეთი ნდობა და სიყვარული უდიდესი პატივი იყო ჩემთვის. რა თქმა უნდა, პატივია, როდესაც ხელქვეითები გენდობიან და შენი სჯერათ. სამაგიეროდ პასუხისმგებლობაც ბევრად მეტია, რადგან მათი სიცოცხლე შენი გადაწყვეტილების სისწორეზეა დამოკიდებული. ამ ტვირთის ზიდვა, თბილისის ომიდან დაწყებული, განსაკუთრებულად მიმძიმდა, ამიტომ არასდროს მივისწრაფოდი მისკენ, თუმცა ვერსად გავურბოდი.

საბოლოოდ, ვითარების განსამუხტავად, ჯაბა იოსელიანის ნების საწინააღმდეგოდ და გვარდიელთა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კომპრომისი მაინც მოიძებნა: შიდა ქართლში სახელმწიფო საბჭოს რწმუნებულად და სამხედრო კომენდანტად შსს-ს მაღალჩინოსანი დანიშნეს, ხოლო უშუალოდ ფრონტის ხაზზე სამხედრო ხელმძღვანელობა მე, ახალგაზრდა პოლკოვნიკს ჩამაბარეს.

ისევ ფუჭად დაიკარგა დრო და მშვიდობიან პერიოდში ამჯერადაც ვერ მოხერხდა ხელახლა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ეროვნულ გვარდიის პირად შემადგენლობაში წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცება, სამხედრო სწავლებების ჩატარება და საბრძოლო მომზადების გავლა. წინა ბრძოლებსა და ლაშქრობაში ისედაც დაღლილ ბატალიონებსა და ასეულებს ისევ საველე პირობებში უწევდათ თავიდან ფორმირება, მოუმზადებელი მოხალისეებით შევსება და პარალელურად საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა.

---

122 Сейчас-же убери нож! (რუს.) – ახლავე მოაშორე დანა!

123 Все, забыли, надеюсь экспериментов больше не будет (რუს.) – მორჩა, დავივიწყეთ. იმედია, ექსპერიმენტები აღარ იქნება.

124 Что у трезвого на уме, у пьяного на языке. (რუს.) – კაცი რასაც სიფხიზლეში ფიქრობს, იმას სიმთვრალეში ამბობს.

სამხედრო შტაბი კვლავ მეღვრეკისის ყოფილი სკოლის შენობაში მოეწყო. დაჩქარებულად შტაბის გაშლასა და სამსახურების განთავსებას პოლკოვნიკი დათუაშვილი უზრუნველყოფდა. ადგილმდებარეობისა და ვითარების შესასწავლად დიდი დრო არ დამჭირვებია, ნიქოზსა და კეხვში თვეების განმავლობაში მიღებული გამოცდილებით კონფლიქტის ზონის გეოგრაფიასა და იქ მიმდინარე ბრძოლების ხასიათს ისედაც კარგად ვიცნობდი.

სამხედრო მდგომარეობის კუთხით იმას, რაც ცხინვალსა და მის შემოგარენში ხდებოდა, არც ომი ერქვა და არც მშვიდობა. ცხინვალისა და ოსური სოფლების დასაცავად იქაურებს პიკეტები ჰქონდათ მოწყობილი და დღედაღამ მორიგეობდნენ. ქართველებით დასახლებულ სოფლებში შსს-დან და თბილისის სამმართველოდან მივლინებულ პოლიციელებს ადგილობრივთა რაზმები ეხმარებოდნენ და ასე იცავდნენ საკუთარი სოფლების მისასვლელებს.

ქვედა ნიქოზს თენგო დევაძე ჰყავდა მეთაურად, ზედა ნიქოზს – გია მჭედლიძე („მამაო“), ერედვს - გურამ ბერუაშვილი („სიპი“), ხეობას – აჩაბეთელი ზვიად მაისურაძე; კიდევ სხვებიც, უაღრესად ნესიერი და თავის კუთხეზე შეყვარებული ადამიანები, რომლებთანაც უკვე კარგა ხნის მეგობრობა მაკავშირებდა, ეს კი ვითარების დროულად შეფასების შესაძლებლობას მაძლევდა.

დიდი და პატარა ლიახვის ხეობის მცხოვრებნი ოსური სოფლების გარემოცვაში იმყოფებოდნენ, ხოლო ქართული სოფლებით გარშემორტყმულ ცხინვალში ოსები მიიჩნევდნენ თავს „ალყაში მოქცეულად“. ჩვენი გადასახედიდან დანაშაულის მთელი სიმძიმე სეპარატისტთა კისერზე იყო, თავის მხრივ, მათ ქართველები მიაჩნდათ აგრესორებად და ფაშისტებად. ამ დროს ყველას მუდმივი ორმხრივი სროლის უმძიმეს პირობებში უწევდა ოჯახთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად ცხოვრება.

საკუთარი სახლის, სოფლის, მინა-წყლის დასაცავად იბრძოდნენ სამაჩაბლოელი ქართველები და დახმარებას თბილისს სთხოვდნენ. ოსებიც ამ დღეში იყვნენ, სხვა მინა-წყალი არც მათ გააჩნდათ; ჩრდილოელი თანამოძმეების დახმარების იმედად, საკუთარი სახლის დასაცავად მათაც თავი ჰქონდათ გადადებული.

ასე იყო თუ ისე, 1991 წლის დეკემბერში, ნიქოზში ყოფნისას, რუსი ოფიცრის, კაპიტან შკოლას ძალისხმევითა და ცხინვალის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრ ოლეგ თეზიევთან თანამშრომლობით, ასევე, ზნაურ გასიევთან უშუალო ურთიერთობით მშვიდობის შენარჩუნება ერთხელ უკვე მოხერხდა, თუმცა ახლა რა იქნებოდა, ამის განჭვრეტა შეუძლებელი იყო.

რუსეთის გენერალიტეტისთვის საბჭოთა კავშირის დაშლის გამო მიუღებელი ედუარდ შევარდნაძის საქართველოს ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქისა და რუსეთის სამხედრო პოლიტიკური ხელმძღვანელობის დამოკიდებულება ისეთი აღარ იყო, როგორც ადრე, 6 თვის წინ, რამაც აფხაზეთში მდინარე ფსოუმდე მარშის წარმატება განაპირობა.

უკვე ყოფილი საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, ედუარდ შევარდნაძის მიმართ რუსი სამხედროების მკვეთრად გამოხატულ უარყოფით დამოკიდებულებას, ძირითადად, ორი ფაქტორი განსაზღვრავდა.

პირველი – უმცროსი ოფიცრებიდან გენერლებამდე ოჯახებითურთ ყველანი კომფორტულად გრძნობდნენ თავს გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთსა და პოლონეთში, ანუ იმ ქვეყნებში, სადაც ცივი ომის დროს საბჭოთა ჯარების ჯგუფები იყვნენ დისლოცირებულნი.

მათი საყოფაცხოვრებო პირობები, ანაზღაურება მკვეთრად განსხვავდებოდა იმ საბჭოთა ოფიცრების ხელფასებისა და მათი ოჯახების საცხოვრებელი პირობებისგან, რომლებიც საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე განლაგებულ ნაწილებში მსახურობდნენ.

ისინი ერთ ხელფასს იმ ქვეყნის ვალუტაში იღებდნენ, სადაც მსახურობდნენ, ერთი ხელფასი კი საბჭოთა კავშირში ბანკში ენახებოდათ. და წარმოიდგინეთ, ერთ მშვენიერ დღეს აღმოსავლეთ ევროპაში მომსახურე ოფიცრები ყველა ამ პრივილეგიას და კომფორტს კარგავენ და თავიანთ სამხედრო ნაწილებთან ერთად ახალ ადგილას, შუა რუსეთში გადაჰყავთ. წესით, იქ სამხედრო ქალაქები უკვე აშენებული უნდა დახვედროდათ. ორი წლით ადრე სსრკ-ის და გფრ-ის პირველი პირების მიერ ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად, ამისთვის გერმანიის მთავრობამ საბჭოთა კავშირს 20 მილიარდი გერმანული მარკა გამოუყო. ეს თანხა საბჭოთა ჯარებისთვის რუსეთის ტერიტორიაზე სამხედრო და დამხმარე სამოქალაქო ინფრასტრუქტურის – სამხედრო ობიექტების, ოფიცერთა და გენერლების ოჯახებისათვის საცხოვრებლების მშენებლობას უნდა მოხმარებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეულ ქაოსსა და არეულობაში მშენებლობისთვის გამოყოფილი თანხის დიდი ნაწილი დაიკარგა.

რუსეთში დაბრუნებულ სამხედროებს მათი ნაწილებისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე ტრიალი მინდორი დახვდათ, სადაც არათუ ოფიცერთათვის განკუთვნილი საცხოვრებელი სახლები, არამედ სამხედრო ყაზარმებიც კი არ იყო აშენებული და ამიტომ კარვებში უწევდათ ცხოვრება.

ვისთვის უნდა დაებრალებინათ? ვინ იყო დამნაშავე? საბჭოთა კავშირი აღარ არსებობდა, მისი პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი – გორბაჩოვი აღარაფერს წარმოადგენდა, სამაგიეროდ ტელეეკრანებიდან ყველას კარგად ახსოვდა „თეთრი მელას“ – საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის, ედუარდ შევარდნაძის ღიმილი, როდესაც იგი გერმანელებთან საბჭოთა არმიის გაყვანის შეთანხმებას აწერდა ხელს...

შესაბამისად, ამ რუსი ოფიცრების თვალში მთავარი დამნაშავე შევარდნაძე იყო. სწორედ მას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა, რომ მათ ოჯახებს ცხოვრება ტრიალ მინდორში უწევდათ. და ვინ იყო ახლა შევარდნაძე? – აწ უკვე დამოუკიდებელი საქართველოს მეთაური, იმ საქართველოსი, რომელიც რუსეთთან შეერთების მოსურნე ოსებსა და აფხაზებს ებრძოდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს შევარდნაძის გამოც უნდა ეზღო...

ასე ფიქრობდა რუსი ოფიცრებისა და გენერლების უმრავლესობა. გარდა ამისა, უკვე დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში დაბრუნებულ შევარდნაძესთან სხვა, უფრო მნიშვნელოვანი პრეტენზიებიც ჰქონდათ. რუსი გენერალიტეტი საბჭოთა იმპერიის ჩამოშლის მთავარ დამნაშავედ, გორბაჩოვსა და იაკოვლევთან ერთად, მასაც თვლიდა, განსაკუთრებით კი ჩვეულებრივი და ბირთვული შეიარაღების შემცირებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გამო. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საბჭოთა კავშირის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ამ ხელშეკრულებებზე ხელმოწერით უდიდესი დარტყმა მიაყენა ჯერ საბჭოთა, შემდეგ კი რუსეთის სტრატეგიულ, საშუალო და მცირე სიშორის ბირთვულ სარაკეტო შეიარაღებას, მისი ნანილობრივი ლიკვიდაციის სახით.

განსაკუთრებულ რისხვას იწვევდა ის, რომ შევარდნაძემ დიდი როლი შეასრულა აღმოსავლეთ ევროპიდან საშუალო სიშორის მქონე „პიონერის“ ტიპის ბირთვულ-

ქობინიანი მობილური სარაკეტო დანადგარების გამოყვანაში, ასევე, „ოკას“ ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსების ლიკვიდაციაში, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელებთან გაფორმებული ხელშეკრულება 500 კმ-ზე მფრენი რაკეტების განადგურებას ითვალისწინებდა, „ოკა“ კი მხოლოდ 400 კმ-ზე მიფრინავდა...

რუსეთის უმაღლეს გენერალიტეტს არც დამოუკიდებლობისაკენ საქართველოს სწრაფვა დავიწყებოდა. ჯერ კიდევ მწარედ ახსოვდათ საქართველოში ეროვნული მოძრაობის პერიოდი და ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისას, 1991 წლის ოქტომბერში მათთვის საოკუპაციო ჯარის სტატუსის მინიჭება.

ეს და სხვა ბევრი მიზეზი განაპირობებდა 1992 წლის მაისში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სათავეში მოსული პაველ გრაჩოვისა და მისი გუნდის განწყობას ედუარდ შევარდნაძისა და საქართველოს მიმართ, რომელიც დიდად არაფრით განსხვავდებოდა მოქმედი გენერალური შტაბისა და სამხედრო ოლქების (მათ შორის, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის) ხელმძღვანელობაში მყოფი გენერლებისა და სხვადასხვა რანგის ოფიცრების განწყობებისგან.

მათ ყველა უბედურებაში საქართველოსა და შევარდნაძეს მიუძღოდა ბრალი – ასე თვლიდა ყოფილი საბჭოთა, ახლა უკვე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა არც თუ მცირე ნაწილი და შედეგმაც მალე იჩინა თავი.

თავდაცვის მინისტრს თენგიზ კიტოვანს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში გენერალ ბეპაევთან კვლავ ჰქონდა პირადი კავშირი, თუმცა ამის მიუხედავად რუსული „კეთილგანწყობა“ ნელ-ნელა ქრებოდა.

პარალელურად უფრო და უფრო უარესდებოდა ვითარება სამაჩაბლოში.

სამხედრო პირს დიდი მოთმინება და დაფიქრება გმართებს, რომ რეალური ვითარების შეფასებისას მხოლოდ ცალმხრივად მიღებული ინფორმაციით არ დაკმაყოფილდე და მონინააღმდეგის, თუნდაც უბრალო ადამიანების, აზრიც გაითვალისწინო. სამწუხაროდ, დაპირისპირებულთა შორის უშუალო კონტაქტები აღარ არსებობდა, ამიტომაც ორივე მხარე მხოლოდ საკუთარ სიმართლეს ხედავდა.

ჩასვლისთანავე ტყვიავში, ტირძნისსა და დიცში ექვსი დაღუპული ქართველის ოჯახებში მივედი სამძიმარზე. ჯერ სახლთან შეკრებილი შავპერანგიანი დამწუხრებული მამაკაცებისათვის სამძიმრის თქმამ, შემდეგ კი ოთახში შავოსანი ქალების ქვითინმა და დედების ენით აუწერელმა, გულის მომკვლელმა დატირებამ დამავალდებულა, ჭირისუფლისთვის პირობა მიმეცა, რომ მათი შვილების მკვლელობას არავის შევარჩენდი.

იმ დროისათვის პოსტსაბჭოთა სივრცეში გაჩაღებული ეთნოკონფლიქტები და მათი ხასიათი ჩემთვის, თბილისის საარტილერიო-სამეთაურო სასწავლებლის კურსდამთავრებულისთვისაც, უჩვეულო იყო, ე. წ. სამშვიდობო თუ მშვიდობის იძულების ოპერაცია კი, რომლის ჩასატარებლადაც მხოლოდ სამხედრო ძალა განიხილებოდა, – სრულიად უცხო.

ცხინვალის მისადგომებთან მდებარე ქართულ სოფლებში – ნიქოზში, ერედვსა და მის გარშემო მთელ პერიმეტრზე, ფრონისა და პატარა ლიახვის ხეობაში – რიგრიგობით, ერთმანეთის მიყოლებით, პირადად შემყავდა ეროვნული გვარდიის ნაწილები, მოხალისეთა რაზმები და სოფლების შესასვლელ-გამოსასვლელებში ვაყენებდი. რაც შეეხება დიდი ლიახვის ხეობას, იქ ხელმძღვანელად ყოფილი „ჩიტო-გვრიტოს“ უფროსი ზაზა დუმბაძე იყო დანიშნული. არც თუ დიდი ხნის წინ მასთან ერთად ხეობაში საკმაო ხანი დავყავი და იქაურობას ორივე კარგად ვიცნობდით.

ამასობაში პოლკოვნიკ დათუაშვილს შტაბში უკვე ჩატარებული ჰქონდა საორგანიზაციო, მატერიალურ-ტექნიკური, კავშირგაბმულობის, დაზვერვისა და საბრძოლო უზრუნველყოფის სამუშაოები. შტაბი გამართულად მუშაობდა. ოპერატიული სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი გრიგალაშვილი კონფლიქტის ზონის მთელ პერიმეტრზე წინა ღამით მომხდარ ინციდენტებზე ინფორმაციას შტაბს დილიდანვე აცნობდა, მდგომარეობას აფასებდა და ძირითად და სათადარიგო რაიონებში განლაგებულ ნაწილებს განკარგულებებს გადასცემდა.

განსაკუთრებულ სიამოვნებას პოლკოვნიკ პაატა დათუაშვილთან მუშაობა მანიჭებდა. ჩვენი ურთიერთობა საათივით იყო აწყობილი. ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმოდა. მას ჩემში ვითარებაში მყისიერად გარკვევისა და გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარი, ალღო და გამბედაობა მოსწონდა, მე კი – მისი სიდინჯე და სკრუპულოზურობა. სანამ ყველა დეტალს, თუნდაც უმნიშვნელოს, გულდასმით რამდენჯერმე არ გადაამოწმებდა და შემდეგ ამ ყველაფერს რუკაზე ზედმიწევნით ზუსტად არ გადაიტანდა, ნაბიჯს ვერ გადაადგმევინებდი. ერთი მხრივ, სიღრმეში წვდომისა და ნებისმიერი სიტუაციის ფლობის უნარმა, მეორე მხრივ, შრომისმოყვარეობამ და გულმოდგინებამ თავისთავად შექმნა ჩვენი ტანდემი, რომელიც ომის ბოლომდე სინქრონულად მოქმედებდა.

11-12 საათის შემდეგ ოსურ სოფლებთან უშუალო სიახლოვეს განლაგებული სამხედრო ნაწილების შემოვლისას განსაკუთრებით მომეწონა ე.წ. წითელი მიწების გორაკის ადგილმდებარეობა, რომელიც ხელმარჯვნივ სოფელ ფრისს, სასაფლაოებსა და ტურბაზას გადაჰყურებდა, პირდაპირ კი – „ტეკს“, სადაც ოცამდე ოსი მილიციელი და ბოევიკი იყო გამაგრებული. ამ ნერტილიდან სრულად კონტროლდებოდა მეღვრეკისიდან ცხინვალამდე მიმავალი გზა, გზის იქით მდებარე ცხინვალის გარეუბნები, მამისაანთუბანი და გუჯაბაური, ამიტომ სამეთაურო-სათვალთვალო და საარტილერიო ცეცხლის კორექტირების პუნქტებისთვის უკეთეს ადგილს ვერც ნახავდი.

საღამოსათვის სანგრები უკვე გათხრილი იყო, შტაბთან კავშირი – დამყარებული, ПАБ-2А[125] და კვანტური მანძილსაზომი ДАК[126] – გაშლილი, 120-მმ-იანი ნაღმსატყორცნი – საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი. პირდაპირი მხედველობის არეში, საცეცხლე პოზიციიდან მიზნამდე დაახლოებით 2,5 კმ-ის მანძილზე არაპირდაპირი დამიზნებით სროლისათვის ნაღმსატყორცნი სრულ მზადყოფნაში იყო.

■

სწორედ ამ პერიოდში გიო ახობაძემ „თეთრი არწივის“ რიგებში თავისი ატენის ქუჩელი მეზობელი, 20 წლის ვაკელი ბიჭი მოიყვანა, რომელსაც საბჭოთა არმიის რიგებში ჩეხოსლოვაკიაში, 120-მმ-იანი ნაღმსატყორცნების ბატარეაში ჰქონდა ნამსახურები და არაერთი სიგელით იყო დაჯილდოებული, როგორც წარმატებული გათვლის მეთაური. გამეღიმა, ვაკელი საბჭოთა არმიაში საბრძოლო-საველე მეთაურად ნაკლებად წარმომედგინა, რადგან ქალაქში „გამოსული“ ქართველი ბიჭები ჯარში თავის შესაფარებლად უფრო „ხლებარეზკებსა“ და „კაპტიორკებს“

---

[125] ПАБ-2А перископическая артиллерийская буссоль – პერისკოპული საარტილერიო ბუსოლი

[126] ДАК – საარტილერიო კვანტური მანძილმზომი

არჩევდნენ. „120-მმ-იანი ნაღმსატყორცნის სროლის მაქსიმალური შესაძლებლობა?" – კითხვა დასრულებული არ მქონდა, რომ ბიჭმა მყისვე მიპასუხა: „8200". „სამიზნის გასწორება თუ იცი?" – „დიახ, კოლიმატორითაც და ПАБ-2 ბუსოლითაც", – არც ამჯერად დააყოვნა პასუხი. უაღრესად წესიერი და ზრდილობიანი, სხარტი აზროვნების ყმაწვილი ბადრი ტოგონიძე, რომელიც იმ დღეს „თეთრ არნივს" შეემატა, მართლაც შესანიშნავი სპეციალისტი აღმოჩნდა.

■

წარსულში სამაჩაბლოს სხვადასხვა სოფელში თვეების განმავლობაში ცხოვრება და ადგილობრივებთან ჩამოყალიბებული ახლო ურთიერთობა არა მხოლოდ დაღუპულთა ოჯახებში სამძიმარზე მისვლასა და მათი ტკივილის გაზიარებას მავალდებულებდა ნებისმიერ, თუნდაც რთულ პირობებში, არამედ სასიხარულო მოვლენების დროს მათ გვერდზე ყოფნასაც. ერთ დღეს სოფელ მეღვრეკისში, შტაბიდან 200-მდე მეტრში მცხოვრებ ოჯახს სამეთაურო გუნდი 40 დღის წინ მოვლენილი პატარა ვაჟკაცისა და ოჯახის დასალოცად ვესტუმრეთ. ლამპის შუქით განათებულ და შეშის ღუმელით გამთბარ ოთახში წარმოვთქვამდით უფლის სადიდებელს, ოჯახისა და ახალშობილის სადღეგრძელოებს. უფალს მშვიდობა და სიყვარული შევთხოვეთ, ბავშვის მშობლებს გამრავლება და ვაჟიანობა ვუსურვეთ, მათ შვილებს – წარმატებები და გამარჯვებები. რას წარმოვიდგენდით, ყველაფერი ასე სიტყვა-სიტყვით თუ ასრულდებოდა და იმ ოჯახში რამდენიმე წლის შემდეგ ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი დაიბადებოდა![127]

■

როგორც კი ცხინვალთან ვითარება დაიძაბებოდა, მაშინვე ჩნდებოდა უამრავი ჭკუის დამრიგებელი. გაზეთებიდანაც ათასგვარ რჩევა-დარიგებას გვაძლევდნენ, ჭკუას გვასწავლიდნენ, ერთხელ და სამუდამოდ როგორ უნდა მოგვარებულიყო სამაჩაბლოს კონფლიქტი. „ჯავის აღების გარეშე არაფერი გამოვა, ბოლომდე უნდა გახვიდეთ და როკის გვირაბი უნდა ააფეთქოთ, თორემ საშველი არ იქნება!" - გვმოძღვრავდნენ კაბინეტის „ამირსპასალარები". რაც შეეხება როკის გვირაბის აფეთქების შესახებ ცალკეული ჭკუის კოლოფის მიერ გამოთქმულ აზრს, უბრალოდ, დამაინტერესა და თენგიზ სიგუას დახმარებით, ვითარების შესასწავლად, გეოლოგიის ინსტიტუტიდან მეღვრეკისში საინჟინრო რუკებით აღჭურვილი სპეციალისტები ჩავიყვანეთ. მათთან ერთად შტაბში თითქმის ერთი საათის განმავლობაში ვმსჯელობდით, შესაძლებელი იყო თუ არა როკის გვირაბის აფეთქება ან რა რაოდენობის ასაფეთქებელი ნივთიერება და რა საბურღი სამუშაოები იქნებოდა საჭირო.

ამის შემდეგ ადგილზე ვითარების საიდუმლოდ შესწავლის ამოცანა დავუსახეთ ბრძოლებში შეძენილ ჩემს ორ მეგობარს, ჩემი ნებისმიერი გადაწყვეტილების თანამოაზრეებს – პოლკოვნიკ ნაირაშვილს, ჯერ კიდევ საბჭოთა არმიიდან აფეთქებების დიდ პროფესიონალს, საბრძოლო სამმართველოს უფროსს, და პოლკოვ-

[127] საუბარია გენო პეტრიაშვილზე, რომელიც თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს 3-გზის ჩემპიონი, ევროპის 2-გზის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის და ბრინჯაოს პრიზიორი და უამრავი სხვა პრესტიჟული ჯილდოს მფლობელია. სხვათა შორის, ოლიმპიური ოქროს მედალი გენო პეტრიაშვილმა ამ წიგნის გამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე მოიპოვა პარიზის ოლიმპიადაზე.

ნიკ მაისურაძეს, ქართული ესკადრილიის პირველ მეთაურს, იმავდროულად, Ми-8 შვეულმფრენის პილოტს. ისინი საინჟინრო სამსახურის რამდენიმე ოფიცერთან და გეოლოგიის ინსტიტუტის სპეციალისტთან ერთად ჯიმი მაისურაძის შვეულმფრენით კავკასიონის ქედისკენ გაფრინდნენ.

იმ დღეს შვეულმფრენმა კავკასიონის ქედებს გვირაბის გარშემო რამდენჯერმე შემოუფრინა, დაჯდა კიდეც და ერთ-ერთ მწვერვალზე პოლკოვნიკმა ზურაბ ნაირაშვილმა სამფეროვანი ქართული დროშა ააფრიალა. ეკიპაჟმა მწვერვალზე სურათიც გადაიღო. ამასობაში გეოლოგებმა იქაურობა ზედმიწევნით შეისწავლეს და, უკან დაბრუნებულებმა, საბოლოოდ დაგვარწმუნეს ამ განზრახვის უპერსპექტივობაში. ათობით, თუნდაც ასობით კილოგრამი ტროტილით გვირაბის აფეთქებით ჩამოშლილი მიწა მხოლოდ რამდენიმე საათით თუ შეაფერხებდა მოძრაობას. კაპიტალურად აშენებული გვირაბის დაზიანებასა და ჩამოშლას ტონობით ტროტილის ეშელონებით შეტანა, კლდეში საყრდენი ნერტილების გაბურღვა, ასაფეთქებლების ჩალაგება და კიდევ სხვა დიდი მოცულობის სამუშაოების ჩატარება სჭირდებოდა, რასაც ნამდვილად ვერ შევძლებდით.

ერთი სული მქონდა, იმ „მრჩევლებისთვის", რომლებიც საგაზეთო ინტერვიუებითა და სატელევიზიო გამოსვლებით, ჭკვიანური გამომეტყველებითა და დაყენებული მანერებით, გრანდიოზული გვირაბის ჩამოშლასა და ხვრელის ამოვსებას ასე მარტივად გვისახავდნენ, მეკითხა: ჰქონდათ კი ამის თავი?!

საგანგებო ოპერაცია, რომლის ძირითადი მიზანი მხოლოდ მე, შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკებმა – დათუაშვილმა, ნაირაშვილმა და მაისურაძემ ვიცოდით და რასაც იმ დღეს მათ მიერ ქედზე გადაღებული სურათი ადასტურებს, საიდუმლოდ დარჩა.

მეორე დილით მეღვრეკისის შტაბს თბილისიდან ტოლიკა ესტუმრა „ლეტუჩაია მიშის" უფროს ლეიტენანტთან ერთად და „თეთრარწივლების" ხელფასებიდან წინასწარ შეგროვილი თანხის სანაცვლოდ შეპირებული ავტომატური ყუმბარსატყორცნი АГС ჩამოიტანა. მადლობის ნიშნად რუს ოფიცერს არყით გაუმასპინძლდნენ და ყუმბარსატყორცნის ვარგისიანობის შესამოწმებლად სოფელ ოსური ფრისის თავზე, წითელ მიწებზე, სამეთაურო პუნქტში წამოიყვანეს.

შუადღე იყო, უსაშველოდ ცხელოდა. ამ დროს სამეთაურო პუნქტის სანგარში მზისგან თავის დასაცავად კამუფლირებულ შესანიღბავ ბადეს სამი-ოთხი „არწიველი" იყო შეფარებული, მათ შორის, ბატალიონში ახალი მიღებული ბადრი, გიო და სხვები „პატარების" ასეულიდან.

წითელ მიწებზე მოსვლისთანავე ტოლიკასა და ჩემი ასაკის რუს ოფიცერს, რომელსაც პირველად ვხედავდი და თითქოს სიმთვრალე არც ემჩნეოდა, АГС-ის გასაშლელად ადგილი იქვე, შორიახლოს შევურჩიე და დროებით სანგარში შესანიღბავ ბადეს შევაფარე თავი. ახალგაზრდა „თეთრარწივლები" ინტერესით ადევნებდნენ თვალს რუს უფროს ლეიტენანტს, რომელსაც ყუმბარსატყორცნი საბრძოლო მდგომარეობაში მოჰყავდა, ყუმბარებს ალაგებდა, სამიზნეს ასწორებდა და თან ბიჭებს ასწავლიდა.

მალევე მან საუბარში ხმას აუწია და უწმაწურ სიტყვებს უმატა, ქცევა გამომწვევი, ტონი კი აგრესიული გაუხდა. არ ვიცი, მზემ შეაწუხა თუ სასმელმა იმოქმედა – იქვე, გორაკის მიმართულებით საცდელი ორი ჯერი გასროლის შემდეგ უკონტროლო და შეურაცხადი გახდა. ყუმბარსატყორცნი ცხინვალის მიმართულებით შეატრიალა, „დუშმანი" თუ რაღაც მსგავსი წამოიყვირა და ცეცხლი გახსნა.

შესაძლოა მანამდე ჩვენებიც სცოდავდნენ და ალბათ ხშირადაც: ორმხრივი სროლების დროს, როდესაც სიმაღლეებიდან ქართველი ჯარისკაცების მიერ მოწინააღმდეგისთვის ნასროლი ტყვიები ქალაქში ცვიოდა; თუმცა სხვისმა, გარეშე ძალის ნასროლმა, სულ სხვანაირად აგვიხილა თვალი. უცებ წარმოვიდგინე, რა მოხდებოდა მშვიდობიან ქალაქში: 1700 მეტრიდან გასროლილ ყოველ აფეთქებულ ჭურვს 7 მეტრის რადიუსში შეეძლო ადამიანისთვის სასიკვდილო ჭრილობა მიეყენებინა!

– Ты что делаешь, б-дь?![128] – დავუყვირე და მივვარდი. ტოლიკამაც სცადა შეეჩერებინა, თუმცა უშედეგოდ. ლეიტენანტმა კიდევ ერთი ავტომატური ჯერი მიუშვა.

ალბათ სამი-ოთხი ნაბიჯი მაშორებდა, როდესაც რუსმა ოფიცერმა ჯიბიდან Ф-1 ხელყუმბარა ამოიღო, მარჯვენა ხელით დამცავი რგოლი მოხსნა, მარცხენა ზევით ასწია და განწირული ხმით დაიღრიალა: „Не подходите, а то всех взорву"[129] და მხოლოდ მაშინ შევამჩნიე, რომ ხელზე, რომელშიც ყუმბარა ეჭირა, ცერა და საჩვენებელი თითი არ ჰქონდა. ფეხი ერეოდა, ბარბაცებდა, ხელყუმბარასაც გაჭირვებით იმაგრებდა ხელში. შევჩერდი.

სანამ ტოლიკა რუსის დამშვიდებას ცდილობდა, მან სასხლეტს ისევ მიაჭირა ხელი და ცხინვალზე ჭურვების მორიგი ჯერი ისე მიუშვა, რომ მეორე ხელი ყუმბარისთვის არ გაუშვია. ისტერიულად წამოსროლილი ცალკეული სიტყვები („Душманы, живым не возьмете!"[130]) ნათელს ხდიდა, რომ რუსი ოფიცერი გონებით სხვაგან იყო.

მხოლოდ იმასღა ვფიქრობდი, АГС-ის გარშემო შემოკრებილი „პატარები" როგორმე იქაურობისთვის მომეცილებინა. „ჩქარა, ზევით აიწიეთ ყველამ, 150-200 მეტრით მაინც!" – დავუყვირე. როგორც მოსალოდნელი იყო, ბრძანების გამეორება კიდევ 2-3-ჯერ დამჭირდა, რადგან ბიჭებს ჩემი დატოვება არ უნდოდათ, განსაკუთრებით ჩემივე გათამამებული გიო ურჩობდა. მესამე ბრძანების შემდეგ სხვებმა მაინც დამიჯერეს, ნელ-ნელა ასიოდე მეტრში, იქვე, ფერდობზე ჩაწვნენ და რუსი ოფიცერი მიზანში ამოიღეს, თუმცა გიო 30 მეტრზე შორს ვერ გავიყვანე. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი ასე თუ ისე სამშვიდობოს დავიგულეთ, მე და ტოლიკამ ჭკუიდან გადასული რუსის დაშომშინება კვლავ ვცადეთ. საუბარ-საუბარში, ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდებოდით. ჩემი ერთგული „სტეჩკინი" ბუდიდან არც ამომიღია.

დაახლოებით ნახევარი საათი გავიდა. რუსი ნელ-ნელა ფხიზლდებოდა. აშკარა იყო, სამი თითის პატრონი (თუნდაც ხუთივე ჰქონოდა) გახსნილ ყუმბარას ხელში დიდხანს ვერ შეიმაგრებდა. არც სიკვდილი სურდა, რადგან კარგად იცოდა, რომ ჩვენი აფეთქების შემთხვევაში იქვე მყოფი „არწიველები" ცოცხალს არ დატოვებდნენ. თითქმის ნახევარი საათი დაგვჭირდა იმისათვის, რომ მივახლოებოდით და გახსნილი ყუმბარა გამოგვერთმია. „ჩაიბარე ეს შენი გიჟი და აქაურობას მოაცილე", – ვუთხარი ტოლიკას და ემოციებისგან სრულიად დაცლილი იქვე, მიწაზე დავჯექი. თავადაც ნერვებმოშლილმა ტოლიკამ გონებაარეულ ოფიცერს ხელებზე ბორკილები დაადო და ხეზე მიაბა.

---

[128] Ты что делаешь, б-дь?! (რუს.) – რას აკეთებ, შენი!

[129] Не подходите, а то всех взорву! (რუს.) – არ მომიახლოვდეთ, თორემ ყველას აგაფეთქებთ!

[130] Душманы, живым не возьмете! (რუს.) – დუშმანებო, ცოცხალი არ ჩაგბარდებით! ავღანეთის ომის დროს, 1979-1989 წლებში, ავღანელ მებრძოლებს რუსები „დუშმანებს" (მტერი) ეძახდნენ.

ამასობაში მეღვრეკისის შტაბიდან მისი УАЗ-469-ის მძღოლიც მოიყვანეს, რომელმაც მხოლოდ ახლა გადმომცა „მიხალიჩის“ დანაბარები, ავღანეთგამოვლილ უფროს ლეიტენანტს, ყუმბარის აფეთქების შედეგად ორთითდაკარგულსა და კონტუზირებულს, ავადმყოფური სიმთვრალე აქვს და ერთი წვეთი ალკოჰოლიც კი არ დაალევინოთო. სიცხისა და დაძაბულობისგან ოფლში გახვითქულმა, ამის გაგონებაზე ერთი შევიკურთხე და სიგარეტს მოვუკიდე. ახლა მხოლოდ ის მაფიქრებდა, მომხდარი მართლა ერთი კაცის პათოლოგიური სიმთვრალის ბრალი იყო, თუ ვიღაცის მიერ კარგად მოფიქრებული სცენარი.

■

მიუხედავად იმისა, რომ ძირითად რაიონებში განლაგებულ ეროვნული გვარდიის მებრძოლებსაც და მეთაურებსაც, ისევე როგორც სარდლობას, ცხინვალის მისადგომებთან საველე პირობებში, სანგრებსა და მიწათხრილებში გვიწევდა ყოფნა, მაინც კმაყოფილები ვიყავით, რომ სამეგრელოს გავერიდეთ, იმ „მხედრიონელებისგან“ განსხვავებით, რომლებსაც წალენჯიხასა და მიმდებარე სოფლებში უწევდათ ცენტრალურ ხელისუფლებას დაუმორჩილებელი ქართველების დევნა.

როგორც აღმოჩნდა, თბილისის ომიდან დამეგობრებული „მხედრიონელების“ – გიგა არველაძის, დათო მამულაშვილის, ალიკა მეტრეველის, ლევან ცაგარეიშვილის, გია რუხაძისა და მათი მეგობრების – ნება-სურვილზე რომ ყოფილიყო, ისინიც ჩვენსავით სამაჩაბლოში ყოფნას ამჯობინებდნენ და თეთრი შურით შურდათ კიდეც ჩვენი. წალენჯიხიდან თბილისისკენ ნებართვით თუ უნებართვოდ წამოსულებმა საღამოს გორში ჩემთან შეხვედრისას ერთადერთი რამ მთხოვეს: ნება დამერთო, რომ იმ ღამეს ორი-სამი საათი ემორიგეგვათ საგუშაგოებზე ფრონტის წინა ხაზზე, სადაც პერიოდულად ისროდნენ და ეს მათი ლიდერისგან საიდუმლოდ, ჩვენ შორის დარჩენილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური სამხედრო უწყებების მეთაურსა და „მხედრიონის“ ხელმძღვანელს შორის ურთიერთობას საუკეთესოს ვერ დაარქმევდი, ბრძოლებში შეძენილ მეგობრებს უარს ნამდვილად ვერ ვეტყოდი.

■

წინა ხაზზე ერთმანეთის პირისპირ ზღუდეებსა და სანგრებში უსაქმოდ გამაგრებულები, ძირითადად, საუბრით კლავდნენ დროს. მათგან განსხვავებით P-123 ტიპის რადიოსადგურთან მორიგეობაზე მყოფი მეკავშირეებისთვის დროის მოსაკლავად მოწინააღმდეგის რადიოსაუბრების მოსმენა თეთრად გათენებულ ღამეს თითქოს უფრო საინტერესოს ხდიდა, თუმცა ყოველი მორიგეობის ბოლოს რწმუნდებოდნენ, რომ რადიოგადაჭერით[131] ღირებულ ინფორმაციას ვერ მოიპოვებდნენ, რადგან მოწინააღმდეგემ ზუსტად იცოდა, რომ მათი სიხშირე ისმინებოდა. უქმად ყოფნას ლაზღანდარობას ამჯობინებდნენ და ომობანას თამაშით იქცევდნენ თავს. საკუთარი შესაძლებლობის გაზვიადებისა და მოწინააღმდეგის დეზინფორმირებისათვის სატანკო და ჯავშანტექნიკის დანაყოფისთვის ე.წ. „საძახისად“ რადიოსადგურის სიხშირეზე ქართველი მეკავშირეები „ბრონს“ იყენებდნენ, ხოლო ტანკის ან ჯავშანტექნიკის აღმნიშნველად სიტყვა „კოლოფი“ იყო შერჩეული: „ბრონი-001! მე ბრონი-10 ვარ, ხუთი კოლოფი ცხინვალის შესასვლელთან ვიმყოფებით, რო-

[131] რადიოგადაჭერა – რადიოდაზვერვის ხერხი, რადიოგამოსხივების აღმოჩენა, მიღება და რეგისტრაცია ინფორმაციის შინაარსის ან მოწინააღმდეგის დაჯგუფების (ობიექტების) მომუშავე რადიოსადგურების მიხედვით, შემდგომი გამოაშკარავების მიზნით

გორია შემდეგი ბრძანება?" „ბრონი-10, მოითმინეთ, მარცხნიდან სამი კოლოფი მოემართება და შემდეგ ერთობლივად გადახვალთ შეტევაზე!" „ბრონი-10 ვარ, 10 წუთში ვიქნები სამხრეთ-აღმოსავლეთით ზღუდეზე" - ასე მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანით ცდილობდნენ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას. ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონათ, სანამ საპასუხოდ ქართველების ფანტაზიით გამხიარულებული ოსი მეკავშირე საუბარში არ ჩაერთვებოდა და подводная лодка[132] არ დაგავიწყდეთო, ცინიკურად ურჩევდა. და... ორივე მხარე იცინოდა.

1992 წლის ზაფხულში ცხინვალის მისადგომებთან ჩემსა და იმ დროისათვის ჯერ კიდევ სამხედრო საქმეში გამოუცდელ, პროფესიით არქიტექტორ „თეთრარწიველ" ლევან ასათიანს („პარპრეზა") შორის კარგი თანამშრომლობა და ურთიერთნდობა ჩამოყალიბდა.

ერთდროულად „ბეემპეს" ეკიპაჟის მეთაურისა და მემიზნის მოვალეობის შემსრულებელი „პარპრეზა" საბრძოლო დავალებაზე ყოველი გასვლისას მუდმივად იმყოფებოდა ჩემთან რადიოკავშირზე და გადაადგილების მარშრუტზე ნებისმიერი წინააღმდეგობის შეხვედრისთანავე ადგილმდებარეობის მინიშნებებით ითხოვდა კოორდინატების გადამოწმებასა და შემდგომი მოქმედებების შესახებ მითითებას. კარნახითა და დეტალების დაზუსტებით მოქმედება საბრძოლო ამოცანის შესრულებას უადვილებდა - მეუბნებოდა, შენი ხმა რომ მესმის, ვმშვიდდებიო - და ჯერ კიდევ არაორგანიზებული მოწინააღმდეგის წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაციების წარმატებას განაპირობებდა.

რადიოკავშირისას ერთი სახალისო შემთხვევა მოხდა.

გამთენიისას იმ დროს ქართველებისგან უკვე დაცარიელებულ სოფელ მამისაანთუბნისკენ დავალებით გასულმა ლევანმა რადიოსადგურით მოულოდნელად, განზრახ, მოწინააღმდეგის დასაბნევად რუსულ ენაზე გადმოსცა თავისი ადგილსამყოფლის მინიშნება: „10-ый, Я 001-ый. Вижу море. Что делать?"[133] - თითქოს დავალების შესრულებაში რუსული ეკიპაჟი მონაწილეობდა. ამან ჩვენს შტაბში უფრო მეტი დაბნეულობა შემოიტანა. ოპერატიული სამსახურის უფროსი, პოლკოვნიკი გრიგალაშვილი გაკვირვებული დასცქეროდა რუკას, რომელზეც ცხინვალის სიახლოვეს ზღვის, მდინარის, არხის ან თუნდაც წყაროს აღმნიშვნელი არა თუ კონტური, არამედ წერტილიც კი არ იყო აღნიშნული. დაბნეულმა მკითხა:

- ბატონო პოლკოვნიკო, რა უნდა იქ ზღვას?! რაზე საუბრობს?

- ამოვიდეს მექანიკოსი საბრძოლო მანქანიდან და გვაცნობოს, რამდენბალიანი ღელვაა, - ღიმილით ვურჩიე და ხმადაბლა ჩავილაპარაკე, - ეჰ, ლევან!..

ასათიანმა საბრძოლო მანქანას ლუკი ახადა, ნახევრად ამოიწია, მიმოიხედა და მიხვდა, რომ ის, რაც ახლომხედველმა დაორთქლილი სათვალით ზღვის ტალღებად აღიქვა, სინამდვილეში პურის ყანა იყო. მწიფობაში შესულ თავთავებს დილის სიო ისე ლამაზად არხევდა, რომ ჯეჯილი მართლა ზღვას წააგავდა.

იმ დღიდან მისი ფრაზა - „Вижу море"[134] - ანეკდოტად იქცა, ყველაზე მეტს კი თავად „პარპრეზა" იცინოდა.

---

[132] Подводная лодка (რუს.) - წყალქვეშა ნავი

[133] 10-ый, Я 001-ый. Вижу море. Что делать? (რუს.) - მე-10, 001 ვარ. ვხედავ ზღვას. როგორ მოვიქცე?

[134] Вижу море (რუს.) - ვხედავ ზღვას.

■

სამხედრო მდგომარეობის შესწავლა პატარა ლიახვის ხეობის სოფლებშიც მიმდინარეობდა.

ერედვი-ვანათის გზაზე ერედველების რაზმთან და გურამ ბერუაშვილთან („სიპი“) ერთად ათმანქანიან კოლონას УАЗ-469-ით მივუძღვებოდი წინ. სპეციალურად ღამით გადავაადგილდებოდით, მთვარის შუქზე, რათა გაგვეგო, გაგვიხსნიდნენ თუ არა ცეცხლს. პერიოდულად მანქანიდან გადმოვდიოდით და გზას ფეხით ვაგრძელებდით, უკან კი ჩამქრალი ფარებით ერედველების „ბეერდეემი“ და მაღალი გამავლობის მანქანები მოგვყვებოდნენ. კოლონის გადაადგილება ღამის 3 საათამდე გრძელდებოდა, რასაც, საბედნიეროდ, სოფლებიდან გასროლა არ მოჰყოლია. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ აღნიშნულ სოფლებში რაზმების შეყვანა აუცილებლობას არ წარმოადგენდა.

რაც შეეხება დმენისისა და თლიაყანისკენ გასვლას, ამის საჭიროება მხოლოდ გუფთის ხიდის გაკონტროლების აუცილებლობის შემთხვევაში თუ დადგებოდა.

ცხინვალის სამხრეთით, დვანი-ავნევიდან უკანასკნელი ქართული სოფლის – ნულის დასაცავად ქუთაისის გვარდიელები შევიყვანე. ამით ცხინვალის გარშემო გვარდიის ნაწილების სამმხრივად განლაგება დასრულდა.

მდგომარეობის შესწავლა მიმდინარეობდა ქვედა ნიქოზიდან, ცხინვალის უშუალო სიახლოვესაც, იმ დროისათვის ქართველებისგან უკვე დაცლილი გუჯაბაურის მიმართულებით. ეს სოფლები ერთმანეთისგან სულ რაღაც ერთი კმ-ის დაშორებით მდებარეობდა. მათ ბაღებს შუაში საერთო სარწყავი არხი ჩამოუდიოდა. ასეთი სიახლოვის მიუხედავად, ნიქოზელებს მუდმივი სადღეღამისო საგუშაგოები არასდროს ეყენათ და უშიშრად აგრძელებდნენ ცხოვრებას: ბაღებს უვლიდნენ, მიწას ამუშავებდნენ, სროლების შემთხვევაში კი თოხისა და ბარის ნაცვლად იარაღს იღებდნენ და საკუთარ კარ-მიდამოსა და სოფელს იცავდნენ.

სოფლის დაცვაში ნიქოზელებს თბილისის პოლიციის სამმართველოს ერთერთი რაიონის განყოფილების „ბეერდეემის“ ეკიპაჟი ეხმარებოდა. „ლეტუჩაია მიშის“ შტაბის უფროსმა გენამაც შეასრულა სიტყვა და უსაფრთხო კორიდორის უზრუნველსაყოფად ორი „ბეტეერით“ შემოგვიერთდა.

იმ საღამოს ქვედა ნიქოზსა და გუჯაბაურს შორის მოსაზღვრე ბაღებში თავმოყრილ ზემო და ქვემო ნიქოზელებთან და მათ მეთაურებთან, გია მჭედლიძესა („მამაო“) და თენგო დევიძესთან ერთად ვიყავი. ნიქოზელები, როგორც იქაურობის კარგად მცოდნენი, ადგილმდებარეობის თავისებურებებს ხაშურის რაზმის მეთაურს პეტრე ტელიაფუსს და „თეთრი არწივის“ მე-4 სპეცბატალიონის მეთაურს დავით აფციაურს დეტალურად აცნობდნენ.

ქვემო ნიქოზის რაზმის მეთაურის მამას, ოჯახის უფროსს გურამ დევაძეს, მისი კარ-მიდამოს სიახლოვეს დაბანაკებული მებრძოლების შემყურეს, გულმა არ მოუთმინა, უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, 50-მდე მეომარი ღამის 11 საათზე სახლში მიგვიპატიჟა და გაგვიმასპინძლდა, რითაც შეეძლო: შეშის ღუმელში გამომცხვარი პურით, ყველით, მწნილით... ჩაით, მურაბით და კეთილი გულით. ცხადია, სუფრაზე ღვინოც იყო.

ვახშმის შემდეგ მარცხენა ფლანგზე უსაფრთხოების ზოლის გაფართოება თბილისის პოლიციის ეკიპაჟმა ითავა, ხოლო მარჯვენა ფლანგზე – ჩვენს დასახმარებლად ჩამოსულმა რუსულმა ძალებმა.

დილის 4 საათისათვის, მოულოდნელად, სანგრებში ჩამსხდარ ასობით თვითმხილველის თვალწინ „ლეტუჩაია მიშის“ ერთ-ერთმა „ბეტეერ-80“-მა გეზი იცვალა და საშტატო მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევიდან, დაახლოებით 400-500 მეტრი მანძილიდან, მუხანათურად გაუხსნა ცეცხლი ქართული მხარის „ბეერდეემს“.

ქართული ჯავშანმანქანის ეკიპაჟის ორ ახალგაზრდა პოლიციელს ალბათ სულ ხუთიოდე წამი დასჭირდა ვითარებაში გასარკვევად, რის შემდეგაც გაბარიტებით თითქმის ორჯერ პატარა „ბეერდეემის“ საშტატო ტყვიამფრქვევიდან მათაც ცეცხლით უპასუხეს.

უკუნ სიბნელეში ჩვენ თვალწინ, ოღროჩოღრო ბაღებში მარჯვნიდან მაღალი სიჩქარით მოდიოდა იმ დროისათვის უახლესი სამხედრო ჯავშანტრანსპორტიორი, ხოლო მარცხნიდან – ქართული პოლიციის ჯავშანმანქანა. ბევრად ძლიერ ჯავშანტრანსპორტიორს მასზე ბევრად სუსტი ჯავშანმანქანა თითქოს დუელში ჰყავდა გამოწვეული.

შემზარავი სანახაობა იყო.

ტრაქტორით უსწორმასწოროდ გადახნულ ბაღებში ჯავშანმანქანის ცხვირის ანევ-დაწევასთან ერთად თითქმის უწყვეტად გაშვებული ტყვიამფრქვევის ჯერს ხან თავს ზევით გაუდიოდა ზუზუნი, ხან დაბლა, ფეხებთან, რაც იძულებულს გვხდიდა, ჩავწოლილიყავით, რომ ტყვია არ მოგვხვედროდა.

ვაჟკაცურად იბრძოლა „ბეერდეემმა“, თუმცა ბრძოლა უთანასწორო იყო. „ბეერდეემის“ ჯავშნის სისქე ორჯერ ჩამოუვარდებოდა „ბეტეერის“ ჯავშნის პარამეტრებს, რაც „დუელს“ მალევე დაეტყო.

20-30 მეტრი აშორებდათ ერთმანეთს, როდესაც „ბეერდეემმა“ სროლა შეწყვიტა, რადგან ტყვიამფრქვევთან მჯდომი, მთაწმინდის რაიონული განყოფილებიდან მივლინებული პოლიციელი ბაქარ (ბექა) კორნილოვი დაიღუპა. ინერციით კიდევ ათიოდე მეტრი გაიარა და შედგა. „ბეტეერს“ სვლა არ შეუჩერებია და იმ ფლანგისკენ გაემართა, საიდანაც მოძრაობა დაიწყო, თუმცა 400-ოდე მეტრში ისიც გაჩერდა. რამდენიმე წუთში მისულებს რუსი ოფიცერი და მექანიკოსი მძიმედ დაჭრილები დაგვხვდნენ. დაჭრილი იყო „ბეერდეემის“ ეკიპაჟის ორივე წევრი – ქვემო ნიქოზელი ივანე კანდელაკი და დათო ლონგულაშვილი.

უკვე თენდებოდა. ნეიტრალური ტერიტორიიდან პირადი შემადგენლობისა და ტექნიკის გაყვანა მეთაურებმა ითავეს, მე კი მეღვრეკისის შტაბში გავემართე. ბოლო რამდენიმე დღეში უკვე მეორედ მაწვალებდა კითხვა: რუსების მხრიდან ეს შეცდომა იყო თუ წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია, რომელსაც კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულე შეეწირა?

■

ზაფხული დაიწყო, ივნისის თბილი დღეები იდგა. სასაფლაოებისა და სოფელ ოსფრისის მხრიდან, დღისით თუ ღამით, წინა ხაზზე განლაგებულ თავდაცვის პუნქტებს დროდადრო თავს ესხმოდნენ მცირერიცხოვანი ჯგუფები. განსაკუთრებით ერთი ჯგუფი გამოირჩეოდა, რომელიც მოულოდნელად ჩნდებოდა და ხანმოკლე სროლის შემდეგ მალევე უჩინარდებოდა. შებინდებისას, ერთ-ერთი ასეთი მორიგი თავდასხმის დროს სასაფლაოების სწორედ იმ ფერდობიდან, სადაც ოთხმა „თეთრარწიველმა“ 1991 წლის 6 იანვრის ღამე გავათენეთ, საგუშაგოზე განლაგებულ დათო ხომასურიძის „იმედელთა“ ჯგუფს მოუწია ბრძოლის მიღება. სიღრმეში

მამაცურად შემოსულ თავდამსხმელთან თითქმის ხელჩართული ბრძოლა დაღამებისას შეწყდა.

სავარაუდოდ, მოწინააღმდეგის მხარეს დაღუპულებიც იყვნენ და დაჭრილებიც. ამას ადასტურებდა ღამით ნეიტრალური ტერიტორიიდან პერიოდულად ჩუმი გადაძახილი ოსურად: „ხაზბი ედიკ“[135]. მისიანები, როგორც შეეძლოთ, ამხნევებდნენ. დაჭრილის სანახავად ღამის წყვდიადში წითელი მინებიდან სასაფლაოებისკენ ფერდობზე დაშვება შეუძლებელი იყო, ამიტომ გათენებას დაველოდეთ. დილის 5 საათისთვის ძახილი შეწყდა. საგუშაგოებზე გვერდიგვერდ მდგომ „იმედელებსა“ და „შავავაზელებს“ გამთენიისას საფლავის ქვებს შორის მაღალი, ათლეტური აგებულების ვაჟკაცი გარდაცვლილი დახვდათ. როგორც სამეთაურო პუნქტში მომახსენეს, საბჭოთა არმიის ოფიცრის ფორმაში გამოწყობილ და იარაღით აღჭურვილ სამხედროს სახესა და ფეხებზე ჭრილობები ელასტიკური ბინტით საკუთარი ხელით შეეხვია. ხელები გულზე ჰქონდა დაკრეფილი. ასე ლამაზად დაელია სული.

ასეთი მებრძოლი მიწისთვის გაუპატიოსნებლად მისაბარებლად ვერ გავიმეტეთ. არ მახსოვს, თავად ოსური მხარე გამოვიდა რადიოკავშირზე და დაღუპულის გადმოცემა გვთხოვა, თუ ჩვენ დავუკავშირდით, ცხედრის გადაცემა ნეიტრალურ ტერიტორიაზე შევთავაზეთ. სამეთაურო პუნქტიდან ხელმარჯვნივ, ასიოდე მეტრში, ე. წ. ზემო ფრისის საგუშაგოსთან „შავი ავაზას“ მეთაურმა თემურ გელაშვილმა და სამმა „შავავაზელმა“ გარდაცვლილი ხის ტოტებისგან სახელდახელოდ შეკრულ საკაცეზე დაასვენეს და თეთრი დროშით ოსფრისისკენ დაიძრნენ. ისინი ოს მებრძოლებს 300-ოდე მეტრში, ფერდობის ძირში შეხვდნენ.

დაპირისპირებულების პირველი შეხვედრა, რომლის დასრულებასაც დიდი მღელვარებით ველოდებოდით, დაახლოებით 40 წუთს გაგრძელდა. როგორც შემდეგ თემურ გელაშვილმა გვითხრა, დაღუპული მებრძოლი საბჭოთა არმიის რომელიღაც სპეციალური დანიშნულების სამხედრო დანაყოფის ოფიცერი ყოფილა, მეტსახელად „ბასმაჩა“. ძალიან მაგარი პროფესიონალი იყოო, უთქვამთ ოსებს. ქართველებს მოკლული მიწაზე დაუსვენებიათ, მოსისხლეებს ერთმანეთისთვის ხელიც ჩამოურთმევიათ, ოსებს საველე ჩანთიდან სახელდახელოდ წამოღებული არაყი და დასაყოლებელი ამოუღიათ. დაღუპულის შესანდობარი ოსებსაც და ქართველებსაც ერთად შეუსვამთ და ჭიქაც ნაუქცევიათ. ნამოსვლისას კი მადლიერების ნიშნად თემურისთვის უთქვამთ, ქართველებს ვაჟკაცობაც გცოდნიათ და ღირსეული მოწინააღმდეგის დაფასებაცო, რაზეც თემურს უპასუხია, ის მტერი მანამ იყო, სანამ გვებრძოდაო. ასე დაშორდნენ ერთმანეთს. დაღუპული ვაჟკაცის პატივსაცემად არც იმ დღეს და არც მეორე დღეს ბრძოლა არ განგვიახლებია. სროლა მხოლოდ „ბასმაჩას“ დაკრძალვიდან მეორე დღეს განახლდა.

[135] ხაზბი ედიკ (ოს.) – ხაზბი მოდის (სავარაუდოდ, დაჭრილი მებრძოლი, სახელად ხაზბი, ნელა მიიხოხავდა და თანამებრძოლებს აფრთხილებდა, არ მესროლოთო).

დრო გადიოდა და ვითარება არ იცვლებოდა.

ნიქოზში, იმავე საბავშვო ბაღის შენობაში, სადაც 6 თვით ადრე თავადაც მომინია ცხოვრება, პირდაპირ მოწინააღმდეგის მხედველობის არეალში დაბანაკებულ ხაშურისა და ბოლნისის რაზმებს გზის ზემოთ, მინდვრებში შემოპარულების უკუსაგდებად მთელ ხაზზე სადღეღამისო პოსტები ჰქონდათ მოწყობილი.

ჩვენი რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, ადგილმდებარეობის კარგად მცოდნე ცალკეული პირები თუ მცირერიცხოვანი ჯგუფები მინდვრებით იპარებოდნენ, ხაზზე განლაგებულ ქართველ მებრძოლებს მოპირდაპირე კორპუსებიდან ცეცხლს უხსნიდნენ და მალევე უჩინარდებოდნენ. უკანასკნელი შემოპარვისას ზღუდეზე ბოლნისელთა მეთაურს დიმა ლაზარეშვილს მოხვდა ტყვია და ვაჟკაცი კაცი ადგილზევე დაიღუპა. ეს უკვე უკანასკნელი წვეთი იყო, რომელმაც მოთმინების ფიალა აგვივსო.

ტრიალ მინდორზე პოზიციის დაკავებას აზრი არ ჰქონდა. ასე ვერც ორმხრივ სროლას შევაჩერებდით და ვერც კარგად მომზადებულ საყრდენ პუნქტებში ჩამსხდარ მოწინააღმდეგეს დავაკლებდით რამეს. მეტიც, შორიახლოს, სასროლ მანძილზე ერთმანეთის პირისპირ დგომა ღამღამობით ორმხრივ ბრძოლას უფრო ინტენსიურს გახდიდა. შექმნილი ვითარება მოქმედებას მოითხოვდა. შტაბის უფროსსა და მეთაურებთან ერთად დილიდან წითელ მინებზე მოწყობილ სამეთაურო პუნქტში რეკოგნოსცირებაზე გავედით.

სამხედრო ოპერაციის დაგეგმვისას ცხინვალში ან ოსურ სოფლებში შესვლა და მათი დაკავება აზრადაც არ გაგვივლია, რადგან ეს ორივე მხრიდან დანაკარგებსა და უდანაშაულო მოქალაქეებში მსხვერპლს გამოიწვევდა. გადავწყვიტეთ, ცხინვალის მისადგომებთან, „ტეკზე“ საფორტიფიკაციო ნაგებობაში და სანგარში გამაგრებული ოსების ოცეულის საყრდენი პუნქტისა და ცხინვალის მიმდებარე ის სიმაღლეები დაგვეკავებინა, საიდანაც თვითონ ქალაქი და ცხინვალისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის სოფელ ძარისკენ მიმავალი ერთადერთი გზა ხელისგულივით მოჩანდა და სრულად კონტროლდებოდა. ეს დიდ მსხვერპლს აგვაცილებდა თავიდან.

ამ ოპერაციაში სასტიკი ნამდვილად არაფერი იყო. თუ ჩვენი რაზმები აღმოსავლეთიდან ცხინვალის გასწვრივ, ქალაქის მისადგომებთან ავტოინსპექციის საგუშაგოზე, სასაფლაოების, სოფელ ოსფრისის, წითელი მინების, წვერიახოს სიმაღლეებზე გამაგრდებოდნენ, ხოლო სამხრეთ-დასავლეთიდან – ზნაურის რაიონში, სოფელ ნულიდან ცხინვალისკენ მიმავალი ქედის სიმაღლეებზე, მაშინ ცხინვალიდან და მისი შემოგარენიდან ვეღარავინ გაბედავდა ქართული სოფლების მიმართულებით ცეცხლის გახსნას და თავდასხმის ორგანიზებას, რაც, თავის მხრივ, ოსურ მხარეს იძულებულს გახდიდა, სამშვიდობო მოლაპარაკებებზე და დათმობებზე წამოსულიყო.

„ტეკთან“ ოსების ოცეულის კარგად გამაგრებული საყრდენი პუნქტის დასაუფლებლად შინდისთან გაშლილი სამი 122-მმ-იანი საარტილერიო ჰაუბიცის – Д-30-ის გამოყენება მიზანშეწონილი არ იყო, რადგან სამიზნის სიახლოვე და ჭურვების გაფანტვის სიშორე, რომელთა ტრაექტორიაც ზედ ქალაქზე გადიოდა, ჭურვის თუნდაც მცირე გადაცდომით ჩამოვარდნის შემთხვევაში მშვიდობიან მოსახლეობას

საფრთხეს შეუქმნიდა. ამიტომ გადაწყდა, რომ უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მძლავრ Д-30 ჰაუბიცებს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ავამოქმედებდით, მანამდე კი უმჯობესი იყო, ნაღმსატყორცნით ისევ ნითელი მიწებიდან გაგვეგრძელებინა სროლა, რადგან ამ შემთხვევაში ჭურვის ტრაექტორია დასახლებულ პუნქტებზე საერთოდ არ გადიოდა.

რაც შეეხება დიდი ლიახვის ხეობის ბოლო სოფლიდან, კეხვიდან, სამხრეთიდან – ჩრდილოეთით გუფთის ხიდამდე, ასევე, პატარა ლიახვის ხეობაში, სოფელ დმენისიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – ჩრდილოეთით 25 კმ-ში ვანათის თემის თითქმის დაცარიელებული სოფელ თლიაყანისკენ იერიშის შესაძლო განვითარებას, ამისთვის თავდაცვის მინისტრისა და სახელმწიფო საბჭოს მეთაურის ნებართვა იყო საჭირო.

ცხინვალისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის კიდევ ერთი სოფლის – ძარისკენ მიმავალი გზა, რომლის დაკავებასაც ხეობის ბოლო სოფლებიდან, ქურთიდან და კეხვიდან, ბაღების გავლით სულ ორიოდე კილომეტრით აწევა სჭირდებოდა, სპეციალურად იყო დატოვებული, რომ იქაურებს ყოველმხრივ ალყაში მოქცეულად არ ეგრძნოთ თავი.

იმავე დღეს საველე მეთაურების მონაწილეობით საგანგებო თათბირი ჩატარდა. ყოველ მათგანს ცალ-ცალკე განესაზღვრა საკუთარი ლოკალური ამოცანა – შეზღუდული რაოდენობის მძიმე ტექნიკის გადადგილების დაწყების დრო და მარშრუტი.

მეორე დღეს იერიშისთვის ყველაფერი მზად იყო. დაღამებისას მეღვრეკისში საჩხერის გვარდიელები შემოგვიერთდნენ ბესო ქუთათელაძისა და გივი ბუჩუკურის მეთაურობით. ყველა იქ იყო – ჩემი ძველი ნაცნობ-მეგობრები: პაატა კვიჟინაძე, ჭაბუკა ქიღლაძე, მამუკა კაციტაძე, მიხო კიპაროიძე და ჩემი მეგობარი ახალციხელი ჯარისკაცები: ალიკა ივანიშვილი, გოგილო ცერცვაძე და გორა ტყემალაძე. ბიჭები ბრძოლაში ჩართვას ეშურებოდნენ, მაგრამ რადგან მეორე დილით იერიშზე გადასასვლელად ნაწილებისთვის საბრძოლო განკარგულება უკვე გაცემული გვქონდა, ახალჩამოსულების რეზერვში დატოვება გადავწყვიტეთ.

12 ივნისს, დილიდან ბადრი ტოგონიძის მიერ წითელი მიწებიდან „ტეკის“ მიმართულებით გახსნილი მეთოდური ცეცხლით საარტილერიო მომზადებას დღის 2 საათისათვის ცხინვალის მისადგომების მთელ ხაზზე – მარჯვნივ „ტეკის“, სოფელ ოსური ფრისის, სასაფლაოების, ტურბაზის, მარცხნივ კი გუჯაბაურისა და მამისაანთუბნის მიმართულებით – ქართველი გვარდიელების იერიში მოჰყვა. ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა. გააფთრებით იცავდნენ ოსები „ტეკსა“ და ქალაქის მისადგომებს, თუმცა თავიდანვე ნათელი იყო, რომ თავდაცვით ზღუდეებსა და საყრდენ პუნქტებზე გამაგრებული ოსთა მცირერიცხოვანი რაზმები საარტილერიო სისტემებით, ნაღმსატყორცნებითა და ჯავშანტექნიკით გაძლიერებული ქართული რაზმების იერიშს ვერ გაუმკლავდებოდნენ.

როგორც დაგეგმილი იყო, „არწიველები“, ზემოთ წითელი მიწებიდან ქვეითად ჰორიზონტალურად გაშლილები, 2 კმ-ში მდებარე „ტეკისა“ და ამბოხებული ქალაქის შესასვლელისაკენ ე. წ. მგლური სრბოლით დაეშვნენ. „სიპი“ ერედვიდან სოფელ ოსური ფრისისაკენ ადგილობრივებს „ბეერდეემით“ წაუძღვა. ჯავშანსამსახურის უფროსმა ზაზა რუსაძემ ტირძნისიდან ცხინვალისაკენ ცენტრალური გზით დაძრა T-54 ტანკისა და „ბეემპე-1“-ის ეკიპაჟები. სიღრმეში, დახურული საცეცხლე პოზიციებიდან დევი ჭანკოტაძის 122-მმ-იანი საარტილერიო ბატარეა შეტევაზე გადასული ქვეითების ცეცხლით მხარდაჭერას უზრუნველყოფდა.

დღის 4 საათისათვის ყველა ის საყრდენი პუნქტი, ზღუდე და საცეცხლე წერტილი, რომელსაც ჯერ კიდევ დილით ოსები აკონტროლებდნენ, ეროვნული გვარდიის ნაწილებს ჰქონდათ დაკავებული. ახალი მდგომარეობით ფრონტის წინა ხაზი სოფელ გუჯაბაურის, სოფელ მამისაანთუბნის, ცხინვალის შესასვლელი „ტეკის“, ტურბაზის, სასაფლაოს, სოფელ ოსური ფრისის, წითელი მიწების, წყაროს ხაზზე გადიოდა.

„ტეკის“ თავზე ქართული დროშა ფრიალებდა.

მიუხედავად იმისა, რომ სარდლობასა და მთავარ შტაბს არც შეტევის დაწყების წინ და არც მსვლელობისას ცხინვალში შესვლისა და სიღრმეში იერიშის განვითარების განზრახვა არ გვქონია, ახლად დაკავებული სიმაღლეებიდან უსიამოვნო სანახაობის მომსწრენი გავხდით: ქალაქში გვარდიის შესვლის შიშით ხალხით სავსე ათობით მსუბუქი მანქანა ცხინვალს ტოვებდა და სოფელ ძარის გზით ჩრდილოეთით, ჯავისკენ მიემართებოდა. სავარაუდოდ, ქალაქიდან ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს ხიზნავდნენ.

ცხინვალში შესვლა გვარდიელებსაც და ადგილობრივების შეიარაღებულ ჯგუფებსაც კატეგორიულად ავუკრძალეთ. საბრძოლო მოქმედებები დასრულებული იყო. დავალება სამხედროებს უკვე შესრულებული ჰქონდათ. მშვიდობის იძულებით დასამყარებლად სამხედროებმა სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის ცხინვალთან მოსალაპარაკებლად ყველა ხელსაყრელი პირობა შექმნეს, რომ ოსური მხარე ერთიან სახელმწიფოში მშვიდობიან თანაცხოვრებაზე დაეთანხმებინათ, მშვიდობის უზრუნველყოფის გარანტია მიეცათ და პირობებზე შეთანხმებულიყვნენ.

სამეთაურო პუნქტში ყველას სათითაოდ გადავუხადე მადლობა, მათ შორის, განსაკუთრებულად – ნაღმმტყორცნელ ბადრი ტოგონიძეს. შემდეგ ქვევით, ქართული ფრისის (ზემო ფრისი) გზაგასაყარზე ერედველებს, მათ მეთაურს, „ბეერდეემის“ ეკიპაჟის უფროსს გურამ ბერუაშვილს („სიპი“) გავესაუბრე და ორგანიზებულობა შევუქე, ასევე, სხვებსაც სამადლობელი სიტყვები ვუთხარი. იქვე მეორე „ბეერდეემით“ მყოფ გოჩა სიამაშვილსაც გამოველაპარაკე, როგორც ჩემი გუნდის ძველ გვარდიელს და, თითქოს გული მიგრძნობდა, მუდმივად ფათერაკებისკენ მიდრეკილს, ღიმილით ორჯერ გავუმეორე, უკან ერედველების მიერ ნაჩვენები გზით ნამოსულიყო და ხელმარცხნივ, დაცარიელებული ოსური სოფლისკენ არ გადაეხვია, რადგან ოსებს სოფლის შიდა გზები დანაღმული ჰქონდათ მაროდიორებისგან დასაცავად. ამის შემდეგ, გულდამშვიდებული, მეღვრეკისში, შტაბისკენ გავემართე თავდაცვის მინისტრისთვის მოხსენების გასაკეთებლად.

იქ შეკრებილი შტაბის ოფიცრების, საველე მეთაურებისა და რიგითი თანამებრძოლების მიერ იოლად მიღწეული სამხედრო წარმატების სიხარულსა და გამარჯვების სიტკბოს „პატარებიდან“ ორი რიგითი ჯარისკაცის, იმ კუთხის შვილების – ემზარ ტატუნაშვილისა და ზაზა ტატიურის დაღუპვა მიმწარებდა. ყოველთვის ასეა: თანამებრძოლების დაღუპვას განიცდი და იმაზე არ ფიქრობ, შენი მხრიდან ნასროლ ტყვიას მეორე მხარეს რამდენი ადამიანი შეეწირება.

ამ ტკივილს კიდევ ერთი სამწუხარო ფაქტი დაემატა: გაფრთხილების მიუხედავად, ერედვისაკენ მომავალი გოჩა სიამაშვილი სოფელ ფრისთან ხელმარცხნივ პირველივე შესახვევში შესულა, ნაღმზე აფეთქებულა და, როგორც ამბის მომტანები ვარაუდობდნენ, ცოცხალიც აღარ იყო. იმ დროს, როდესაც თანამებრძოლები „დაღუპული“ მეგობრის ცხედრის გამოსატანად ემზადებოდნენ, ნაღმზე აფეთქების გამო კონტუზირებული გოჩა საკუთარი ფეხით მოადგა მეღვრეკისის შტაბს. იდგა იქ

თავჩაქინდრული და ბრძანების შეუსრულებლობის გამო აღარ იცოდა, თავი რით ემართლებინა. მისი გადარჩენა მიხაროდა, მაგრამ თან ბრაზი მერეოდა, რადგან სამხედრო მეთაურთან დაახლოებული მებრძოლის მიერ განკარგულების არშესრულება სხვებსაც ცუდ მაგალითს აძლევდა და ჯარის საერთო დისციპლინაზე უარყოფითად აისახებოდა.

ის იყო, თბილისში თავდაცვის მინისტრთან და უმაღლეს მთავარსარდალთან დარეკვას ვაპირებდი იმის მოსახსენებლად, რომ „სამხედრო ამოცანა შესრულებულია და მოლაპარაკებებისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნილია“, რათა ბრძოლის ველზე მიღწეული უპირატესობა მოლაპარაკების მაგიდასთან გამოეყენებინათ, რომ პოლკოვნიკმა დათუაშვილმა გენერატორზე მომუშავე ტელევიზორი ჩამირთო. სახელმწიფო საბჭოს რიგგარეშე სხდომას გადმოსცემდნენ. საბჭოზე მმართველი პარტიისა და სხვა პარტიების განრისხებული წევრები ცხინვალზე უნებართვოდ შეტევისათვის თავდაცვის მინისტრისგან ახსნა-განმარტებას ითხოვდნენ, ხოლო თვითნებობისა და მშვიდობიან მოსახლეობაში დიდი მსხვერპლისათვის – სარდლის დაუყოვნებლივ დასჯას.

განცვიფრებული ვუსმენდი და ვერ ვხვდებოდი, რამ განაირისხა თბილისი ან რატომ იყენებდნენ გამომსვლელები ამ ტერმინებს: „ცხინვალში შესვლა“, „ბრძოლებში დიდი მსხვერპლი“... ჩვენ ხომ „ტეკისა“ და ოსური ფრისისათვის ბრძოლისას, მოწინააღმდეგის მცირერიცხოვანი ჯგუფის გარდა, უშუალო შეხება არავისთან გვქონია.

ამ დროს ჩემთან არც კი დაურეკავთ და არც მდგომარეობა უკითხავთ. მმართველი პარტიის წევრებისა და ჯაბა იოსელიანთან დაახლოებულების აქტიურობით ადვილი მისახვედრი იყო, ჩვენმა წარმატებულმა ოპერაციამ ყველაზე მეტად ვინ განაირისხა.

რაც შეეხება ცხინვალის მშვიდობიან მოსახლეობაში გამოწვეულ შიშს, რასაც დეპუტატები ყველაზე ხშირად ახსენებდნენ, ამაზე სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელობას მაშინ უნდა ეფიქრა, როდესაც ტანკებითა და ჯავშანტექნიკით, მძიმე არტილერიითა და საბრძოლო შვეულმფრენით გაძლიერებულ ეროვნულ გვარდიას, ქართული სოფლების დაცვის ბუნდოვანი ამოცანითა და მოწინააღმდეგის საბრძოლო შესაძლებლობებთან შედარებით ჭარბი ძალით, ამბოხებული ქალაქისკენ გვაგზავნიდა. ქართულ სოფლებში პოლიციელთა ჯგუფებთან ერთად უმოქმედოდ დგომისათვის 20-20 გვარდიელიც საკმარისი იქნებოდა და მძიმე ჯავშანტექნიკიდან T-54 ტიპის ტანკებისა და Д-30 ტიპის ჰაუბიცების სიძლიერის სახმელეთო არტილერია საერთოდ არ იყო საჭირო.

პირველად სწორედ მაშინ მივხვდი, საკუთარ თავზე გამოვცადე და შემდეგშიც არაერთხელ დადასტურდა, რომ რუსეთი არ მისცემდა საქართველოს მშვიდობიანად გაერთიანების საშუალებას, არ დაუშვებდა საქართველოს სრულფასოვანი არსებობისათვის აუცილებელი ტერიტორიების მთლიანობის აღდგენას, რადგან მის სურვილსა და ინტერესებში ერთიანი, სუვერენული საქართველოს არსებობა არასდროს შედიოდა და არც ახლა შედის.

ჯობდა, სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელობასა და წევრებს ძალისხმევა იმ საფრთხისკენ მიემართათ, რომელიც წინ გველოდა, რადგან ახალდაბრუნებულს ბევრად უფრო საგანგაშო ინფორმაცია დამახვედრეს. ვლადიკავკაზის რუსულ 58-ე მოტომსროლელთა დივიზიაში მომსახურე ქართველ ოფიცრებსა და ზევადიან ჯარისკაცებს ნათესავების მეშვეობით ტელეფონით ეცნობებინათ შტაბისთვის, რომ

ცხინვალის დასაცავად დივიზიის ავტოპარკიდან 152-მმ-იანი 2С3 – „Акация"-ს[136] ტიპის თვითმავალი საარტილერიო დანადგარების დივიზიონი მოემართებოდა, რომელიც იმ დროისათვის რუსეთის არმიის სახმელეთო არტილერიის შეიარაღებაში ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე და ეფექტიან სისტემას წარმოადგენდა ცოცხალი ძალის, საარტილერიო და ნაღმმტყორცნელთა ბატარეის, სარაკეტო დანადგარების, ტანკების, მართვის პუნქტების გასანადგურებლად.

კონფლიქტის ზონაში თვითმავალი საარტილერიო დივიზიონის შემოსვლით და ბრძოლაში მისი ჩართვით უპირატესობა სრულად მოწინააღმდეგის მხარეს გადავიდოდა და დაკავებული პოზიციების შენარჩუნება გაგვიძნელდებოდა. მეზობელი სახელმწიფოს ტერიტორიიდან საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად როკის გვირაბით რუსული სამხედრო ნაწილის შემოსვლის საფრთხე სახელმწიფოს საბჭოს პირველი პირისაგან პოლიტიკური და დიპლომატიური მეთოდებით მოქმედებას მოითხოვდა, თავდაცვის მინისტრისა და გენერალური შტაბისგან კი – ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პირველი პირების მეშვეობით ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებას, ოპერაციის შინაარსის ახსნას, უსაფრთხოების გარანტიების მოცემასა და უზრუნველყოფის ვალდებულების აღებას, დაახლოებით ისე, როგორც წლის დასაწყისში, აფხაზეთში ყოფნისას.

ნაცვლად ამისა, ტელევიზორიდან სახელმწიფო საბჭოს მეთაურის მხარდამჭერი პარტიის წევრებისგან ლანძღვას ვისმენდი. შტაბში თბილისიდან ერთადერთხელ დარეკეს და თავდაცვის მინისტრთან 9 საათზე გორში, თათბირზე მეთაურების გამოცხადება მოითხოვეს, მაშინ როდესაც მეღვრეკისის შტაბში განგაში საღამოს 6 საათიდან ჰქონდათ გამოცხადებული.

ვლადიკავკაზიდან რუსული ჯარის შემოსვლის ამბით შეშფოთებულ ბესოს, რომელიც მეღვრეკისში რეზერვში იყო, „თავზეხელაღებული" აზრი მოსვლოდა: თვითმავალი საარტილერიო სისტემების საპირწონედ, წარსულის გამოცდილებით, გორის რუსული სასწავლო სატანკო პოლკიდან T-72 ტიპის ტანკების ძალით გამოყვანა. უფრო მეტიც, ჩემს არყოფნაში გორის რწმუნებულის, ვალიკო დოლიაშვილის შუამავლობით რუსული სატანკო პოლკის გენერალთან მოლაპარაკება გაემართა და მეორე დღეს საქმიან სადილზეც ჰყავდა შეთანხმებული.

238-ე რუსულ გვარდიულ სასწავლო სატანკო პოლკს, რომელშიც 800-მდე სამხედრო მსახურობდა, შეიარაღებაში 26 ერთეული T-72 და 154 ერთეული T-54/T-55 ტიპის ტანკი ერიცხებოდა. ცენტრალური საკონტროლო პუნქტიდან შესვლა ბესომ ისე გადაწყვიტა, არც კი დაუშვია, რომ ნაწილის ყარაულს შეიძლებოდა ცეცხლი გაეხსნა.

საღამოს 9 საათი იქნებოდა, როდესაც გორში კიტოვანი ჩამოვიდა და გამგეობის შენობაში საგანგებო თათბირი გამართა. ეტყობოდა, ჩემ გამო იმდენი საყვედური ჰქონდა მიღებული, რომ დანა პირს არ უხსნიდა, მხოლოდ ორიოდე სიტყვით მომიკითხა. ოპერაციის შინაარსის ახსნა მინდოდა, თუმცა, როგორც შევატყვე, აზრი აღარ ჰქონდა – თბილისში არც მას და არც მე აღარავინ მოგვისმენდა. თბილისს ჩემს მოქმედებებზე პოლიტიკური შეფასება – „ცხინვალზე უნებართვო შეტევა" – უკვე გაკეთებული ჰქონდა, რასაც ვეღარაფრით შევცვლიდი. ჯობდა, ჩუმად

[136] 152 მმ 2С3 – „Акация" (რუს.) – 152-მმ–იანი თვითმავალი ჰაუბიცა. 2С3 „აკაცია"

ვყოფილიყავი. მინისტრი ვითარების გასაცნობად პოლკოვნიკ დათუაშვილის მოხსენებას, ახალი ინფორმაციის ჩათვლით, ბოლომდე უხმოდ უსმენდა, საღამოსათვის არსებულ სამხედრო მდგომარეობასა და წინა ხაზის ახალ მოხაზულობას კი რუკაზე ეცნობოდა. მერე ბესოს ჩანაფიქრიც მოისმინა, რომ ვალიკო დოლიაშვილის მეშვეობით გორის სატანკო პოლკიდან რუს გენერალს მოიპატიჟებდა, მძევლად აიყვანდა, სამხედრო ნაწილში შეაღწევდა და იქიდან ტანკებს გამოიყვანდა. თავდაცვის მინისტრი ბესოს მდუმარედ უსმენდა. საბოლოოდ თათბირი იმით დასრულდა, რომ კიტოვანმა ვითარებაში გასარკვევად დრო ითხოვა და მანამდე ბესოს წინადადება უპასუხოდ დატოვა.

ჩატარებული ოპერაციის გამო ისედაც შერისხულს, თანამდებობრივად არ შეძლო კატეგორიულად შევწინააღმდეგებოდი (კონფლიქტის ზონიდან თუნდაც ერთი კილომეტრის დაშორებით ნებისმიერი მოქმედება თანამდებობრივად ჩემს უფლებამოსილებებს სცდებოდა). მიუხედავად ამისა, შევეცადე, პასუხისმგებლობა სახელმწიფო საბჭოზე გადამეტანა, რომ საქართველოს საზღვრის მოსალოდნელი უკანონო დარღვევის ფაქტზე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობასთან პროტესტი გამოეხატათ, თუმცა ძნელი წარმოსადგენი იყო, საბჭოში ჩემი აზრი ვინმეს გაეთვალისწინებინა.

საღამოს 10-11 საათი იქნებოდა. მე და ბესო ეზოში სალაპარაკოდ განვმართოვდით. ცუდი წინათგრძნობა მქონდა. არ დამიმალავს, რომ მისი ჩანაფიქრი არ მომწონდა, მაგრამ ადვილი არ იყო, ბესოს ავტორიტეტს წინ აღვდგომოდი, როდესაც მოქმედების გეგმა უკვე მინისტრთან იყო შეთანხმებული. კიტოვანს შეეძლო, პატრიკეევს დალაპარაკებოდა და სამხედრო ტექნიკა ისე გადმოეცათ, როგორც სოხუმში ლაშქრობისას. შევარდნაძესაც შეეძლო მოლაპარაკება. არ მესმოდა, როგორ გამოვიდოდა ასე დღისით-მზისით პირდაპირ სამხედრო ნაწილში შეიარაღებული ხალხით შეჭრა. ბესო მამშვიდებდა, რომ ყველაფერს მოაგვარებდა და ტანკების ხელში ჩაგდების ოპერაცია წარმატებით დასრულდებოდა. რუსი გენერლის ტყვედ აყვანასაც არ ვეთანხმებოდი. ჯერ ერთი, რომ სტუმრად მოპატიჟებული კაცის მძევლად აყვანა ქართულ ადათ-წესებს ეწინააღმდეგებოდა, მეორეც, არც რუსი სამხედროების ალკოჰოლისადმი ლტოლვა და მათი პათოლოგიური სიმთვრალე მავიწყდებოდა. ისიც საკითხავი იყო, რამდენად ადეკვატურად აღიქვამდა თავის მდგომარეობას მძევლად აყვანილი მთვრალი გენერალი.

ჯობდა, სხვანაირად გვემოქმედა: სოფელ ძარისა და თლიაყანისკენ დავძრულიყავით, თუნდაც კიდევ უფრო სიღრმეში და ტერიტორია მოგვემზადებინა. ბესოც ფრთხილობდა, არ მეწინააღმდეგებოდა, მისმენდა, შესაძლოა შინაგანად გრძნობდა კიდეც, რომ შეცდომას უშვებდა, მაგრამ გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა, თათბირზე შეთანხმებულსა და დამტკიცებულ გეგმას აღარ შეცვლიდა. მისთვის ამ ბრძოლაში მონაწილეობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო. ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერს, ერთი სული ჰქონდა, დაემტკიცებინა მათთვის, ვინც ძველი ხელისუფლებიდან მოღალატედ მიიჩნევდა და მათთვისაც, ვინც ახალი ხელისუფლებიდან ბოლომდე არ ენდობოდა, რომ მისთვის სამშობლო იყო უპირველესი და მხოლოდ და მხოლოდ მისი უანგარო სიყვარული ამოძრავებდა. სწორედ ამიტომ მოუწევდა გული საჩხერიდან მეღვრეკისისკენ. აღმოჩნდა, რომ თავმომწონე რაინდს ჯერ ბრძოლაშიც კი არ ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. ქართული ჯარის ერთ-ერთ შემქმნელს ჯერ არც მკლავის სიმტკიცე გამოეცადა, არც მუხლის სიმაგრე და არც თვალის სიზუსტე. მასთან ერთად საჩხერის ბატალიონს ბრძოლით

უნდა დაემტკიცებინა, რომ სამშობლოსათვის ნამდვილ ბრძოლას არასოდეს გაექცეოდა და თავს არ დაზოგავდა.

ავი წინათგრძნობა არ მტოვებდა. ვატყობდი, რომ რაღაც ცუდი უნდა მომხდარიყო, მაგრამ შეცვლა არაფრის შემეძლო...

დილით ერთმანეთს წარმატება ვუსურვეთ. ბესო თავისი ბიჭებით გორისკენ დაიძრა. მასთან იყო ოცამდე „არწიველი" – ისინი, ვინც ტრაქტორის ტარება იცოდა და ტანკის ტარებასაც შეძლებდა. მე სოფელ ოსური ფრისისაკენ ავიღე გეზი.

დილიდან მთელ პერიმეტრზე, ცხინვალის უკან დისლოცირებულ რუსულ საინჟინრო ბატალიონსა და ქალაქს შორის მოძრაობა შეინიშნებოდა. სავარაუდოდ, იარაღსა და საბრძოლო მასალას იმარაგებდნენ. ნელ-ნელა მოდიოდნენ გორს წინა დღის მძიმე ბრძოლის შემდეგ და ახლა უკვე ისინი უშენდნენ ცეცხლს „ტეკთან" გამაგრებულ ქართულ საგუშაგოს.

როგორც მითხრეს, ბესოს საჩხერისა და სხვა ბატალიონებიდან შეკრებილი ასამდე გვარდიელი გორის შესასვლელთან გადაუმალავს, თვითონ კი პირველ საათზე ვალიკოსთან ერთად რესტორანში წასულა გენერალთან შესახვედრად. სადილი, როგორც ჩაფიქრებული იყო, ხანმოკლე აღმოჩნდა. შუბლზე იარაღდადებული და მძევლად აყვანილი რუსი გენერალი წინ წაუძღვარებია, იქვე, შორიახლოს ჩასაფრებული გვარდიელები თან გაუყოლებია და, ბედს მინდობილნი, გორის სატანკო ნაწილის საკონტროლო-გამშვები პუნქტის გავლით ტერიტორიაზე შესულან... ალბათ იყო მოთხოვნებიც: „ხელები მაღლა", „დაგვნებდით", „იარაღი ჩაგვაბარეთ, მძევალი გვყავს" – ან რამე მსგავსი.

რატომღაც გულუბრყვილოდ დაიჯერეს, რომ რუსი გენერალი უახლოეს მომავალში ისედაც ქართული არმიისთვის გადმოსაცემი საბრძოლო ტექნიკისთვის თავს არ აიტკივებდა. არც მთვრალი რუსის ხასიათი გაითვალისწინეს და საკუთარი თავისთვისაც და ქვეყნისთვისაც საბედისწერო ნაბიჯი გადადგეს.

როგორც აღმოჩნდა, მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ ინფორმაცია რუსებს დილიდანვე ჰქონდათ. რუსული სატანკო ეკიპაჟები, მთელი სატანკო პოლკი საბრძოლო მზადყოფნაში იყო მოყვანილი. ჩრდილოელი ჯარისკაცები დაუპატიჟებელ სტუმრებს დაქოქილი ტანკებით ელოდნენ. მძევლად აყვანილი გენერლის სიცოცხლეც ფეხებზე ეკიდათ და სხვისიც. როგორც რუსებს სჩვევიათ, მზად იყვნენ მის გასანირად. მით უმეტეს, რომ მოსკოვიდან მოვლინებული გენერალი იმ ნაწილის ხელმძღვანელიც არ იყო.

მესერს შიგნით, სამხედრო городок-ში[137] შტაბი, საყარაულო ოთახი, ავტოპარკი და საწყობები, რომელთა დაკავებასაც პირველ რიგში ეშურებოდნენ თავდამსხმელები, ასევე, ოფიცერთა საცხოვრებელიც სულ რაღაც ას-ასი მეტრით იყო ერთმანეთისგან დაშორებული. საცხოვრებლის წინ, სათამაშო მოედანზე ორი ბავშვი საქანელაზე უდარდელად ქანაობდა, როდესაც ორმხრივი სროლა ატყდა.

დღის 2 საათი იქნებოდა, გორში დატრიალებულმა ამბავმა მეღვრეკისის შტაბამდე რომ ამოაღწია. საშინელი ამბის მაცნე თავზარდაცემული მელაპარაკებოდა, სიტყვებს თავს ვერ უყრიდა: „მომზადებულები დაგვხვდნენ, ტანკები დაქოქილი ჰქონდათ, ცეცხლი გაგვიხსნეს. ბესო დაჭრეს, სხვებიც. არის მსხვერპლი. ჩვენ ნაწილიდან ძლივს გამოვაღწიეთ. ბიჭები ჯერ ისევ სატანკო პოლკში არიან ჩარჩე-

[137] Городок (რუს.) – პატარა ქალაქი

ნილები. შველას ითხოვენ", – ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიყვებოდა ამ უსიამო ამბების თვითმხილველი. უსიტყვოდ ვუსმენდი, გაოგნებული მივჩერებოდი და აღარ ვიცოდი, რა მექნა, რომელ ერთზე მეკითხა: ბესოზე, ჭაბუკაზე, პეტრეზე თუ სხვებზე. მინდოდა, კიდევ რამე გამეგო, ცოცხლები იყვნენ თუ არა, მაგრამ ტანკებს გამოქცეულ ჯარისკაცს მეტის თქმა აღარ შეეძლო. პირველი ის მოვიფიქრე, რომ სასწრაფოდ გორში გავმგზავრებულიყავი, ჩემი თვალით მენახა, რა მოხდა და იქნებ ჩარჩენილებისთვის რამე მეშველა. დრო აღარ დამიკარგავს, იქვე მდგომ УАЗ-469-ში ჩავჯექი, „თეთრარწიველები" ჩავისვი და გორისკენ გავემართეთ. გორის გამგებლის კაბინეტში არავინ იყო. არ ვიცი, ჩემი ჩამოსვლის შესახებ სატანკო პოლკში საიდანმე შეიტყვეს, თუ უბრალოდ დაემთხვა: სწორედ იმ დროს, როდესაც შენობიდან გარეთ გამოვედი, ქუჩაზე შორიდან მაღალი სიჩქარით მომავალი რუსული ტანკი T-72 გამოჩნდა. თავზარდაცემული ფეხით მოსიარულეები ვიწრო შესახვევებით პარალელურ ქუჩას აფარებდნენ თავს. იძულებული ვიყავი, ჩემს თანმხლებ ჯარისკაცებთან ერთად უკანა პარალელურ ქუჩაზე გავსულიყავი. მეგონა, იქ სამშვიდობოს ვიქნებოდით. შევცდი. სატანკო პოლკიდან გამოსულმა მეორე ტანკმა იმ ქუჩაზე შემოუხვია და ჩვენკენ გამოემართა. ძლივს მოვასწარით პირველივე სახლის ეზოში თავის შეფარება.

ტანკები სამხედროფორმიან შეიარაღებულ პირებს ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში დასდევდნენ და მათ ეზოებში შესვლა რომ არ მოესწროთ, უყოყმანოდ გადაუვლიდნენ. გორის ქუჩებში საშინელება ხდებოდა. შეშინებული ხალხი სახლის სარდაფებს აფარებდა თავს. დიდხანს გაჩერება არ შემეძლო, ბიჭები მყავდა მოსაკითხი. 40 წლამდე ასაკის ადგილობრივი კაცის დახმარებით, მეზობლის ეზოებში ღობეებზე გადასვლითა და მოკლე გადარბენებით მაინც მოვახერხეთ გასვლა და სამმართველოს უფროსს, პოლიციის დამსახურებულ პოლკოვნიკს, გორელ ემზარ საბანაძეს პოლიციის შენობაში მივაკითხე. იქ შევიტყვე რუსების გაშმაგების ნამდვილი მიზეზი.

გვარდიელების „დაუპატიჟებელი" სტუმრობისა და ორმხრივი სროლის შედეგად სასწავლო ცენტრის ეზოში ორი რუსი ჯარისკაცი იყო მოკლული. 200-ოდე მეტრის მოშორებით, საცხოვრებელ კორპუსთან საბავშვო მოედანზე, როგორც თქვეს, რუსი ოფიცრების 3 და 6 წლის შვილები ბრმა ტყვიის მსხვერპლი გამხდარიყვნენ, რის გამოც ტანკისტები შურისძიების მიზნით გორის ქუჩებში დათარეშობდნენ. გამწარებულები, გზად შემხვედრ ნებისმიერ მანქანას ან ფეხით მოსიარულეს უყოყმანოდ ზედ გადაუვლიდნენ.

გორიდან ვიწრო, პატარ-პატარა ქუჩებით დამნაშავესავით ისე გამოვედი, რომ არც კი მიცდია, თავი მემართლებინა და კარალეთის გზით მეღვრეკისისკენ გავემართე. იქნებ რადიოკავშირით მაინც მიმეღო რამე ინფორმაცია.

T-72 ტიპის რუსული ტანკები 70-80 კმ სიჩქარითა და ლულის ტრიალით გორის დაცარიელებულ ცენტრალურ ქუჩებს კიდევ ერთი საათის განმავლობაში არტყამდნენ წრეს და ეზოებიდან ქუჩაში გამოსულებს, განსაკუთრებით ფორმიანებს ეძებდნენ ანგარიშსწორების მიზნით.

შინდისთან მისული არ ვიყავი, როდესაც გზაზე შემატყობინეს, რომ გორში ჩამოსული „ლეტუჩაია მიშის" მეთაური მეძებდა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ მომხდარით ისიც განრისხებული იქნებოდა. დაუყოვნებლივ შეხვედრის მოთხოვნამ ეჭვი გამიჩინა, რომ ვიღაცა სატანკო ნაწილზე თავდასხმის ჩემთვის დაბრალებას აპირებდა.

დღის 4 საათი იქნებოდა. მზე ჯერ კიდევ აცხუნებდა. ამბის მომტანს გორის შესასვლელში ნახევარ საათში შეხვედრაზე დავთანხმდი. თანმხლები ათამდე „არწიველი“ შეხვედრის ადგილის სიახლოვეს, შენობებთან წინასწარ ჩასაფრებაში ჩავაყენე, თავად კი საჭესთან მჯდომ გია თათხაშვილთან ერთად დათქმულ დროს შეხვედრის ადგილას მივედი.

„ლეტუჩაია მიშის“ მეთაური „მიხალიჩი“ ათამდე ოფიცერთან ერთად უკვე მელოდებოდა. აღელვებულები და ცოტა ნასვამები, გამომწვევად იქცეოდნენ. სახეზე ეტყობოდათ, რომ კეთილი განზრახვა არ ჰქონდათ. უშიშრად მივუახლოვდი, თან თითი იარაღის სასხლეტზე მედო. წინა დღეებში მათი ოფიცრების მიერ უნებლიეთ თუ განზრახ ჩადენილი მოქმედებების შემდეგ უკვე ყველაფერს მოველოდი, თუმცა ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დაღუპულების გამო გულწრფელად გამოთქმული სამძიმარი და მომხდარის გამო სინანული ნორმალურად მიიღეს. ალბათ მან, ვინც რუსებს მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ აცნობა, ისიც უთხრა, რომ ეს ოპერაცია არათუ ჩემი სურვილი არ ყოფილა, არამედ ვეწინააღმდეგებოდი კიდეც, თორემ ნამდვილად არავინ მაპატიებდა.

როგორც მათგან შევიტყვე, ვითარებაში გასარკვევად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ბეპაევი გორში მასთან ერთად კიტოვანის წამოსვლას ითხოვდა. ცხადად წარმოვიდგინე, თუნდაც გენერალ-ლეიტენანტ ბეპაევთან ერთად, გორის სატანკო პოლკში საქართველოს თავდაცვის მინისტრ თენგიზ კიტოვანს რა მძიმე შეხვედრა ელოდა.

„ზაკვოს“ გაზეთში გავრცელებული ინფორმაციით, 1992 წლის 13 ივნისის თავდასხმისას რუსების მხრიდან ერთი უფროსი ლეიტენანტი, ერთი კაპიტანი, ორი რიგითი და ერთი 8 წლის გოგონა დაიღუპა.

მეც მძიმე შეხვედრა მელოდა. როგორც გორიდან მაცნობეს, ჩვენი მხრიდან გადარჩენილები უკვე ყველა გამოსულიყო და დაღუპულთა ვინაობაც დაეზუსტებინათ. რუსული სატანკო პოლკიდან სამხედრო ნაწილზე თავდამსხმელთა ცხედრების გამოსაყვანად სასწრაფო დახმარების მანქანები ტერიტორიაზე მალევე შესულიყვნენ.

ამის გაგონებისთანავე გორის საავადმყოფოსკენ გავემართე. პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან ერთად, რუსების აგრესიული საუბრის მოსმენა თბილისიდან ჩამოსულ ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეს, ლადო გიორგაძეს და ექიმებსა და ექთნებს უწევდათ.

გორის საავადმყოფოს კიბეზე ასვლისას მუხლები მიკანკალებდა. მახსოვს, იარაღი ინსტინქტურად მძღოლს მივაწოდე და საავადმყოფოში უიარაღოდ შევედი, რის გამოც ლადო გიორგაძემ გაკვირვება ვერ დამალა. სიმართლე გითხრათ, თვითონაც არ ვიცი, რატომ. ალბათ უფრო ექიმების პატივისცემის ნიშნად. ჯერაც არაფორმალურ ქართულ ჯარში ჩემი პირველი მეთაური, პოლკოვნიკი ბესიკ ქუთათელაძე, სამხედრო ნაწილთან მომხდარი შეტაკებისას მძიმედ დაჭრილი, სასუნთქ აპარატზე შეერთებული, უგონოდ იწვა. გვერდით, მიმღებ განყოფილებაში, ასევე მძიმედ დაჭრილი საჩხერელი შამუკა კაციტაძე მოეთავსებინათ. ექიმებს მათი გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდათ. შესასვლელში საკაცეებზე დაესვენებინათ ტყვიით დაღუპული მთასავით ბიჭები: საჩხერლები – ჭაბუკა ჭიღლაძე და მერაბ ჭანუყვაძე, ხაშურელი პეტრე ტელიაფუსი. უხმოდ ვიდექი გაშეშებული და ცრემლებს ვერ ვიკავებდი.

საავადმყოფოდან ამღვრეული გონებით გამოვედი და მეღვრეკისის შტაბში ჩასვლამდე არც კი გამიგია, რომ იმ დღეს სახელმწიფო საბჭოს საგანგებო სხდომაზე უნებართვოდ ჩატარებული შეტევის საკითხი განიხილეს, ახალგაზრდა სარდლის თვითნებობა დაგმეს და მისი დაკავების შესახებ იმსჯელეს. როგორც მალევე გაირკვა, შესაბამისმა სტრუქტურებმა განკარგულებაც გასცეს. რა თქმა უნდა, ამის შესახებ არაფერი ვიცოდი, როდესაც მეკავშირემ მიღებული შეტყობინება გადმომცა, სარდალს სასწრაფოდ თბილისში იბარებენო.

თბილისში წამოსასვლელად ვემზადებოდი, როდესაც გორის გასასვლელს კასპის რწმუნებული ტარიელ შარიფაშვილი მოადგა. აღელვებული ჩანდა. ლამისყანის გადასახვევთან ჩასაფრებაში პოლიციის სკოლის კურსანტთა ასეული რომ დაუნახავს, ამოცანის გასაიდუმლოების გამო ეჭვი აუღია, რომ შესაძლოა პოლიციელებს ჩემი დაკავება ჰქონდათ ნაბრძანები და სოფლებზე შემოვლითი გზით დაუყოვნებლივ წამოსულა გასაფრთხილებლად. ვინ იცის, იქნებ მისი ეჭვი საფუძვლიანიც იყო, თუმცა იმ მომენტში ჩემთვის უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

როგორც გაირკვა, სამხედრო შტაბთან შეთანხმებული სიმაღლეების დაკავების ოპერაცია ცხინვალზე უნებართვო შეტევად ჩამითვალეს, ხოლო მინიმალური დანაკარგით მოპოვებული გამარჯვება – საბრალო, დაუცველი ხალხის განადგურების მცდელობად და სარდლობიდან გამათავისუფლეს.

საღამოს შვიდ საათზე მეღვრეკისის შტაბში მოვალეობების გადასაბარებლად მიბრუნებულს ადგილობრივებმა ახალი ამბავი დამახვედრეს: ხეობიდან ბაღებით ძარის გზაზე გასულ და სიმინდის ყანებში ჩასაფრებულ იქაურთა მცირერიცხოვან ჯგუფს ავტობუსისთვის ცეცხლი გაეხსნა, რასაც მსხვერპლი მოჰყოლოდა. სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული შეიარაღებული ბოევიკები იყვნენო, ირწმუნებოდნენ ხეობელები, თუმცა ამას უკვე აღარც ჰქონდა მნიშვნელობა – სამხედრო ოპერაცია ისედაც შეჩერებული იყო. შტაბის უფროსს სარდლის მოვალეობა გადავაბარე და ტარიელ შარიფაშვილთან ერთად გორი-კასპის შემოვლითი გზით თბილისში წამოვედი.

სახლში დაბრუნებულმა ტელევიზორი ჩავრთე. საინფორმაციო პროგრამა „ვრემიას“ 9-საათიან გამოშვებაში სამი-ოთხი საათის წინ ცხინვალიდან შემოვლით გზაზე მიმავალ ლტოლვილებით სავსე ავტობუსზე ქართული პარტიზანული ჯგუფის თავდასხმის შესახებ ინფორმაციას გადმოსცემდნენ. პარალელურად შემზარავ კადრებს აჩვენებდნენ, როგორ გადმოჰყავდათ აფეთქებული და ნახევრად დამწვარი ავტობუსიდან გარდაცვლილი ათობით ქალი და ბავშვი.

მიუხედავად იმისა, რომ მომხდართან არანაირი კავშირი არ მქონდა, შეუძლებელი იყო, სინდისის ქენჯნა არ მეგრძნო. დანაშაულის გრძნობა რომ დაგეუფლოს, სულაც არ არის აუცილებელი, თვითონ იყო დამნაშავე. ქალებისა და ბავშვების ხოცვა ომის კანონებსაც სცდება.

კონფლიქტის ზონაში დილიდან გადაჯგუფება მიმდინარეობდა. დისლოკაციის ადგილს უბრუნდებოდნენ საჩხერისა და ხაშურის ბატალიონები. საჩხერლებიცა და ხაშურელებიც გარდაცვლილთა დაკრძალვისათვის ემზადებოდნენ. თბილისში ჩამოვიდა „თეთრი არწივიც“. ისინი კონფლიქტის ზონაში ბრძოლით დაკავებული ტერიტორიების დასაცავად ფოთიდან გადმოსროლილმა „შავნაბადელებმა“ შეცვალეს. მომდევნო ათი დღის განმავლობაში ახლა უკვე მათ უწევდათ გვარდიის დარჩენილ ნაწილთან ერთად დაკავებული ტერიტორიების შენარჩუნება.

1992 წლის 24 ივნისს დაგომისში (სოჭის ოლქი) სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ, ედუარდ შევარდნაძემ და რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პრინციპებზე შეთანხმებას მიაღწიეს. მხარეები ვალდებულებას იღებდნენ, 28 ივნისისათვის შეწყვეტილიყო შეიარაღებული შეტაკებები და შეიარაღებული ფორმირებები 3 დღე-ღამის განმავლობაში გაეყვანათ შეხების ხაზის მიმდებარე დერეფნის შექმნის მიზნით.

კონფლიქტის მხარეთა მონაწილეობით უნდა შექმნილიყო შერეული საკონტროლო კომისია, კომისიასთან კი – მეთვალყურეთა შერეული ჯგუფები, ასევე, შერეული სამხედრო ძალები მშვიდობისა და წესრიგის დასამყარებლად. საკონტროლო კომისიაში ცალ-ცალკე მხარეებად შედიოდნენ რუსეთის ფედერაციის, ე. წ. სამხრეთ ოსეთის, ჩრდილოეთ ოსეთისა და საქართველოს წარმომადგენლები.

გადაწყდა, რომ ცხინვალში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) სადამკვირვებლო მისიაც განთავსდებოდა. დაგომისის შეთანხმება კონფლიქტის მოგვარებას, ქართველებსა და ოსებს შორის სისხლისმღვრელი ომის დასრულებას, რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებას ისახავდა მიზნად და გაეროს წესდების ერთგულებასა და ეროვნული უმცირესობის უფლებათა პატივისცემას ადასტურებდა.

შეთანხმების დადების დღესვე, თითქოს წინასწარ იყვნენ მომზადებულები, ორი-სამი თვის წინ ნიქოზიდან გაყვანილი შვეულმფრენთა პოლკის ბაზაზე რუსული სამხედრო ნაწილები შევიდნენ, ოღონდ ახლა უკვე სამშვიდობოების სტატუსით. მათი ოფიციალური სახელწოდება იყო „მშვიდობის უზრუნველყოფის შერეული სამშვიდობო ძალები“, რომელიც სამი ბატალიონისგან შედგებოდა – რუსეთის, საქართველოს და ჩრდილოეთ ოსეთის.

სისხლით მოპოვებული ტერიტორიების დატოვებამ და გაყვანილი რუსული ბაზის უკან დაბრუნებამ ჩემზე განსაკუთრებით იმოქმედა. რუსული სამშვიდობო ჯარების შემოყვანა თუ უნდოდათ, რატომ არ შეიძლებოდა, ეს მანამდე მომხდარიყო, ვიდრე რჩეული ბიჭების სისხლი დაიღვრებოდა?!

განმარტოება ბაზალეთის ტბაზე

სიმწრისგან თავბედს ვიწყევლიდი, მძულდა ყველაფერი, რასაც ვუყურებდი. მინდოდა გავცლოდი ნაცნობებსაც და უცნობებსაც, თუნდაც ცოტა ხნით წარსულს გავყროდი, რომ ჩვენი ნამოქმედარი არ დამენახა და აწმყოში ადამიანურად მეცხოვრა – მომავალზე მეფიქრა და მეოცნება, სუფრასთან მომელხინა, მიცვალებულთა შესანდობარიც მეთქვა და ცოცხალთა სადღეგრძელოც, საკუთარი სისხლით მოპოვებული გამარჯვების გემო შემეგრძნო დამსახურებულად.

ბაზალეთის ტბის პირას განმარტოებით მდგარი ქოხი მეგულებოდა. სწორედ იქაურობას მივაშურე ერთგულ პირველი გაწვევის რიგით პაატა მამრიკიშვილთან და ნაჩუქარ დათვის ბელთან, 3 თვის „გვანცასთან“ ერთად. ნაადრევად დაობლებულ პაატას 19 წელი ახლახან შესრულებოდა. „გვანცაც“ ობოლი იყო. პაატა მასზე ზრუნავდა: აბანავებდა, აჭმევდა და უვლიდა.

თითქოს ყველა პირობა იყო, რომ ტკივილი დამევიწყებინა – სიწყნარე, მშვენიერი ბუნება, მეჩხერი ტყე, აბიბინებული მინდორ-ველი, მოლივლივე ტბა, ვარსკვლავებით მოჭედილი უღრუბლო ცა.

მაგრამ წარსულს სად გაექცევი?! თითქოს ბედის ირონია იყო: ორასიოდე მეტრში, ნაცარგორაზე[138] ყაყაჩოებით დაფარული მინდორი მე-17 საუკუნის დასაწყისში წინაპართა უგუნურობით შიდა ომში დაღვრილ სისხლს მახსენებდა. მას შემდეგ მრავალმა თაობამ ჩაიარა, მაგრამ კვლავაც არ არსებობს იმ მოვლენების ერთმნიშვნელოვანი შეფასება. საზოგადოების წარმომადგენლები თუ ისტორიკოსები ისევ მსჯელობენ, დღემდე არკვევენ მტყუან-მართალს მეფის ერთგულთა და მოურავის მხარდამჭერთა ომში...

ჯერ კიდევ სიყმაწვილეში, ისტორიის ამ ფურცლის წაკითხვისას, ფიქრით მათი ქმედება არაერთხელ დამიგმია. როგორ წარმოვიდგენდი, რომ რამდენიმე საუკუნის შემდეგ შთამომავალნი იმავეს გავიმეორებდით და ისეთივე უგუნურობით ჩვენვე დავამარცხებდით სამშობლოს. თურმე ისტორიის უწყვეტი ჯაჭვიც ერთმანეთის მსგავსი რგოლებისგან შედგება.

ის, რაც თბილისში მოხდა, დიდი შეცდომა იყო, მაგრამ უკვე ვეღარაფერს შევცვლიდით. წარსულის მწარე გამოცდილებამ ჭკუა ვერ გვასწავლა. სამწუხაროდ, ასეთი ყოფილა ქართველთა ბუნება!

კვლავ გრძელდებოდა სროლა სამეგრელოში და იღვრებოდა სისხლი. იქაური ამბები ბაზალეთამდეც აღწევდა, სულს მიფორიაქებდა და წყლულებს მიმატებდა.

სამოქალაქო დაპირისპირება ქვეყანას ავის მომასწავებელი შავი ღრუბელივით აწვა თავს. იმდენად მქონდა წამხდარი შეხედულებები ჩემივე მონაწილეობით მიღებულ შედეგებზე, რომ იმედგაცრუებული, მომავლისგან კარგს არაფერს ველოდი.

დარდსა და ტკივილს ვერც სასმელი მიქარავებდა. პირიქით, სუფრაზე სავალდებულოდ წარმოსათქმელი წასულების სადღეგრძელო 1990 წლის 10 დეკემბრის საღამოს, სიკვდილამდე ერთი დღით ადრე, დათო ზარდიაშვილის ნაწინასწარმეტყველებს მახსენებდა.

თვალწინ მედგნენ ის ხალასი და რომანტიკოსი ბიჭები, რომლებისგანაც ჩამოყალიბდა „თეთრი არწივი“ და მე-4 სპეცდანიშნულების ბატალიონი. მათ შორის, ისინი, 1990 წლის 10 დეკემბრის საღამოს დიღმის გასასვლელში დათო ზარდიაშვილი ჭიქას რომ უჭახუნებდა და გულმხურვალედ წარმოთქვამდა „ამინ!“:

ფირუზ ჭანტურიძე, 26 წლის, ოზურგეთელი გურულისთვის დამახასიათებელი იუმორით სავსე, უბადლო ცხენოსანი...

ლეიტენანტი თორნიკე შიუკაშვილი, 20 წლის, ახალდაოჯახებული და ახალშეძენილი შვილის მამა, ეროვნული მოძრაობის ლიდერების მოწოდებით საოკუპაციო ჯარი რომ დატოვა და ეროვნულ გვარდიას მიაშურა ერთადერთი ოცნებით – ქართულ ჯარში სატანკო ასეულში ემსახურა...

ოთარ მამულაშვილი, 19 წლის, პირველი გაწვევის გვარდიელი, მეგობრული სიყვარულით შერჩეული ე. წ. „პატარების“ რიგებიდან, 1991 წლის 19 აგვისტოს რკონში ჩვენთან ერთად წამოსვლა რომ ვერ გადავათქმევინე...

კახა ბასილაძე, 24 წლის, ჯერ კიდევ ბავშვობისას სკოლის ეზოში ფეხბურთის თამაშისას მოწინააღმდეგე გუნდის შეუცვლელი მეკარე, სიყრმის მეგობარი, მეზობელი და თანასკოლელი...

---

[138] ნაცარგორა – ადგილი დუშეთის რაიონში, ბაზალეთის ტბის სიახლოვეს, სადაც 1626 წელს გაიმართა ბრძოლა ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ I-ისა და გიორგი სააკაძის ლაშქრებს შორის

მიშა ჩუგნაძე, 27 წლის, ჯერ კიდევ „ტაუდან“ შეძენილი მეგობარი, ჩემზე ერთი წლით ადრე რომ დაამთავრა თბილისის საარტილერიო სასწავლებელი...

არსენ ცხვედაძე, 24 წლის, სისხლით ნათესავი, ბავშვობიდან თანაშეზრდილი მეგობარი...

დემურ კულუმბეგოვი, 28 წლის, 1988 წლიდან ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმული, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ვაჟკაცი...

მამუკა მახნიაშვილი, 22 წლის, „თეთრი არწივის“ რაზმს შემოერთებული, მე-4 სპეცდანიშნულების ბატალიონის მეთაურის, დათო აფციაურის კარის მეზობელი...

ზვიად ნიკლაური, 19 წლის ხალასი ბიჭი, საბჭოთა არმიის სავალდებულო სამხედრო სამსახურის რიგები იმავე „გაზ-24“-ით რომ დატოვა, რომლითაც რუს მაღალჩინოსან ოფიცერს დაატარებდა, ხერხემალში დაჭრილი რესპუბლიკურ საავადმყოფოში სამი თვე სიკვდილს ებრძოდა...

ემზარ ტატუნაშვილი, 20 წლის, პირველი გაწვევის გვარდიელი ახალგორის რაიონიდან, 1991 წლის 19 აგვისტოს დათხოვნის შემდეგ, 1992 წლის გაზაფხულზე უკან რომ დაგვიბრუნდა, როგორც კი მის მშობლიურ სამაჩაბლოში ვითარება გაუარესდა...

მათ ჩემი ბიძაშვილების, ტატიშვილების, მხრიდან შეძენილი მეგობრისა და უბნელის, 26 წლის დათო ზარდიაშვილის ნაწინასწარმეტყველებ საძმოდან დაღუპულთა სიაში დაეკავებინათ ადგილები... თუმცა სიკვდილი ამით არ დაკმაყოფილებულა:

ზაზა ტატიური, 20 წლის, „თეთრ არწივს“ შემოერთებული, სამაჩაბლოს ბრძოლაში დაღუპული, სწორედ იმ დღეს მიასვენეს დიღმის მასივში საკუთარ საცხოვრებელ სახლში, როდესაც თბილისში გაურკვეველ ვითარებაში დაღუპული მისი 22 წლის ძმის ცხედარი არამიანცის მორგში ესვენა.

არანაკლები მსხვერპლი ჰქონდათ ჩემთან ძმადშეფიცული რეზო ჩაკვეტაძის ქუთაისის გვარდიელებსაც, დაუფიქრებლად რომ დატოვეს თბილისის ზღვის ბანაკი და გამომყვნენ, როგორც კი გაიგეს, რომ სამაჩაბლოში გასვლას ვაპირებდი.

ჯერ კიდევ 1991 წლის 5 ოქტომბერს დაღუპული ოთარ ნუცუბიძის და ცოტა მოგვიანებით, 1992 წლის 22 იანვარს დაღუპული გია რობაქიძის გაკვალულ სიკვდილის გზას არაერთი მათი თანამებრძოლი შესდგომოდა.

კვერეთში გაცნობილი და შემდგომში დამეგობრებული ბიჭების სიკვდილს ვერაფრით ვეგუებოდი.

ცალკე დაკარგული და დაჭრილი „თეთრარწიველების“ ბედი მადარდებდა.

19 წლის მალხაზ გოგავა, პირველი გაწვევის გვარდიელი „პატარებიდან“, ისევ არ ჩანდა. ვერც მკვდარსა და ვერც ცოცხალს ვერსად ვპოულობდით.

28 წლის ამირან შენგელია, „თეთრ არწივს“ შემოერთებული ქუთაისელი ამირან ჭაბუკიანის „ერთიმინელი“ და მეგობრად შეძენილი, ჯერ კიდევ იანვრის ბოლოს აბაშისკენ მიმავალ გზაზე ტანკის მიერ გადავლილი მანქანიდან ბეწვზე რომ მოასწრო გადმოსვლა, მძიმედ დაჭრილი, უკვე მერამდენე ოპერაციის გაკეთებას ელოდებოდა საავადმყოფოში.

სარდლად დანიშვნის შემდეგ სხვადასხვა ქვედანაყოფიდან დაღუპული ძველი თუ ახალშეძენილი მეგობრებივით ვგლოვობდი ჩვენი ხელიდან ნასროლი ტყვიით დაღუპულებსაც.

ჩემ მიერ გადადგმულ ნაბიჯს თუ ნათქვამ სიტყვას, ნებით თუ უნებლიეთ, აქეთა თუ იქითა მხრიდან, იმდენი ბოროტება მოჰყვა, იმდენი იმედგაცრუება ვიწვნიე, რომ საკუთარ თავს ღირებულს ვეღარაფერს ვეუბნებოდი. ვერც რჩევას ვაძლევდი და ვერც სწორ გზას ვთავაზობდი.

ვიჯექი და საფიცარი სამშობლოს უბედურებაზე ვწუხდი. აქამდე მეგონა, რომ იარაღს მხოლოდ ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოვიყენებდი, მაგრამ პოლიტიკოსებს მინდობილმა გვიან გავაცნობიერე, რომ ტყვია ჯერ თანამოძმისთვის მასროლინეს და მისი სისხლი დამაღვრევინეს, ახლა კი, ისევ მათი დათესილი სიძულვილით, მტრის ხატის ძიებაში ჩვენივე მოქალაქეების წინააღმდეგ ჯარით მიმიყვანეს, აღებული ქალაქი დამატოვებინეს და იქ რუსული სამშვიდობო ჯარები შეიყვანეს.

აქამდე მხოლოდ გულისთქმას ვენდობოდი, მაგრამ შემდეგ მუდმივად ვემდუროდი საკუთარ გამჭრიახობას. პოლიტიკოსების დაუთმობლობით თავსმოხვეულმა სამოქალაქო ომმა, ზუგდიდში სხვა მხრიდან დანახულმა სიმართლემ და ცხინვალში მომხდარმა იმდენად მგრძნობიარე გამხადა, რომ საბოლოოდ მივიღე გადაწყვეტილება და საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ მათ ასე ბრმად აღარ მივენდობოდი. რაც არ უნდა ეთქვათ და დაევალებინათ, ასჯერ ავწონ-დავწონიდი, დაფიქრდებოდი და მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებდი გადაწყვეტილებას.

ყველასა და ყველაფრისგან გარიდებულს, არეულ ფიქრებთან დიდი ხნით მარტოს ისევ ჩემი მეგობრები არ მტოვებდნენ. უფრო ხშირად ავთო ჯორბენაძე მსტუმრობდა ხოლმე თემურ კალანდაძესთან ერთად. ის ერთადერთი იყო, ვისთანაც გულის გადაშლას ვახერხებდი. მკურნალი ექიმივით, მას ყველაზე უკეთ ესმოდა ჩემი სულიერი ტკივილი.

პოლიტიკაში ჩემი ერთ-ერთი პირველი გზის გამკვალავი და მასწავლებელი ზაზა დუმბაძე მომავლის განჭვრეტაში მეხმარებოდა.

ახალშეძენილი მეგობრები – უნივერსიტეტელი ფიქრია ჩიხრაძე, მსახიობი ლილი ბურბუთაშვილი და რეჟისორი ოთარ იოსელიანი – ისტორიისთვის ინტერვიუებს ინერდნენ.

მუდამ მხიარული და ენაკვიმატი დუშელი გელა გელაშვილი ჩემთვის ცხოვრების ხალისის დაბრუნებას ცდილობდა. კიდევ სხვებიც, თუმცა მათგან ყველაზე დასამახსოვრებელი მაინც ჩემი სამაჩაბლოელი თანამებრძოლების – ნიქოზელი თენგო დევიძის თანასოფლელების, ერედველი გურამ ბერუაშვილის, აჩაბეთელი ზვიად მაისურაძისა და კეხველი უხელო ლევან კახნიაშვილის – ხშირი სტუმრობა იყო.

თანამდებობიდან გათავისუფლების მიუხედავად, ისევ სამაჩაბლოელი ხალხი დამიფასებს იქაურობისთვის ბრძოლასაც და თავგანწირვასაც. ხეობელი მელექსე მინდიაშვილი ორსტრიქონიან ლექსს მომიძღვნის გვარდიელთა ახალგაზრდა სარდალს:

„ყარყარაშვილო გიაო, ოსფრისი აგიღიაო,
ახლა ჯავისკენ მიდიხარ, კარი დატოვე ღიაო!“

მტრულად განწყობილი სოფლების გარემოცვაში, უშუქობასა და სიცივეში, სანთლის შუქზე საღამოს მაგიდასთან მიმსხდარი ხეობელები, დირბულას ჭიშის ღვინით სავსე ჭიქით ხელში, წლების განმავლობაში ლექსად წარმოთქვამდნენ და ძირამდე ცლიდნენ სარდლის სადღეგრძელოს; ადგილობრივი ბავშვები მას ბაძავდნენ და ომობანას თამაშობდნენ.

ამ ამბებიდან ცამეტი წლის შემდეგ, სავარაუდოდ, 2005 წლის ზაფხულში სუფრაზე ავთო ჯორბენაძესთან სტუმრად ჩამოსულ ცხინვალის დე ფაქტო მთავრობის ყოფილ პრემიერ-მინისტრ მერაბ ჩიგოევთან და ჯანდაცვის მინისტრ ჯემალ ჯიკაევთან ერთად აღმოვჩნდი. საუბრისას ჯემალმა მოურიდებლად, პირდაპირ მითხრა, როგორ მძულდი, როდესაც ცხინვალს ბომბავდიო... 1992 წლის ზაფხულში ცხინვალის მისადგომებთან, ოსფრისიდან ქალაქის მიმართულებით ნასროლი ჭურვები გამახსენდა, უცაბედად შემრცხვა, შევეცადე ამეხსნა - იმ დღეს ხომ ΑΓС-დან ნამდვილად „ლეტუჩაია მიშის“ ოფიცერმა ისროლა! ოსმა მაღალჩინოსანმა რუსების ბრალეულობა კატეგორიულად უარყო. ერჩივნა, მომხდარში ორივე დაპირისპირებული მხარის ნაციონალისტები დაედანაშაულებინა. მოულოდნელად, ამდენი წლის შემდეგ, მადლობა გადამიხადა „ბასმაჩას“ ცხედრის გაპატიოსნებისა და გადაცემისათვის. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას ბრძოლაშიც არ კარგავს. იმავე დღეს ოს მაღალჩინოსანთან საუბრის შესახებ არტილერიის იმდროინდელ მეთაურს, დევი ჭანკოტაძეს მოვუყევი. „ნუთუ „ტეკსა“ და ოსფრისის გორაკზე დამიზნებული ჭურვები მიზანს სცდებოდა და ქალაქში ვარდებოდა?“ – გაუკვირდა დევის და შეწუხდა.

აფხაზეთის ომი

აგვისტო-ოქტომბერი, 1992

ქართულ-აფხაზური პოლიტიკური თანაცხოვრების დასასრული

ცხინვალში სამშვიდობოების შესვლის შემდეგ სამაჩაბლოში მდგომარეობა, ასე თუ ისე, დამშვიდდა, მაგრამ მოვლენები სახიფათოდ ვითარდებოდა აფხაზეთში.

ერთი შეხედვით, იქ ყველაფერი იყო, რაც კი ადამიანმა შეიძლება ინატროს - მშვენიერი ბუნება და ჰავა, მთა და ზღვა, ყველაფერი იმისათვის, რომ ყველას უზრუნველად და ბედნიერად ეცხოვრა. რაც მთავარია, მშვიდობა ჰქონდათ. ნაცვლად იმისა, რომ სისხლით ნათესავებს ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე მშვიდობიანად, ძმურად, მეგობრულად ეცხოვრათ, მიწა-წყალს ვერ იყოფდნენ და იაკობ გოგებაშვილის „ჯიუტი თხებივით“ ერთმანეთს ერქინებოდნენ.

ქართველების მიმართ ათწლეულების განმავლობაში დათესილი სიძულვილით მოწამლული აფხაზები ახალშექმნილ ქართულ სახელმწიფოს მიზანმიმართულად მტრობდნენ, რადგან ქართველებთან თანაცხოვრება მათ ეროვნულ ინტერესებში არ შედიოდა. თანამედროვე აფხაზი ისტორიკოსების მიერ გაყალბებულ და გამოგონილ „ისტორიულ ფაქტებზე“ დაყრდნობით ქართველებთან ყოველგვარ ნათესაობას უარყოფდნენ და თავს ჩრდილოკავკასიელ აფსუათა შთამომავლებად აცხადებდნენ, რომლებსაც საქართველოს შემადგენლობაში არასოდეს უცხოვრიათ.

ქართველთა ის ნაწილიც, რომელიც ნაციონალისტური იდეოლოგიით იყო შეპყრობილი, გონივრული მიდგომის ნაცვლად კუნთებზე იყურებოდა და ავიწყდებოდა, ხშირად ხერხი რომ სჯობნის სამხედრო ძალას.

ცდება, თუ ვინმეს ჰგონია, რომ აფხაზეთში ომამდე არაფერი ხდებოდა, რომ აფხაზები დამოუკიდებლობაზე არ ფიქრობდნენ და სეპარატიზმის გაღვივებას მხოლოდ თბილისში მომხდარმა პუტჩმა შეუწყო ხელი, ან მოვლენები 1992 წლის თებერვალში ენგურიდან ფსოუმდე ჩატარებულმა ექსპედიციამ დააჩქარა.

სინამდვილეში აფხაზებმა ჯერ კიდევ 1990 წლის ოქტომბრის არჩევნების მეორე დღიდან დაიწყეს იმ აქტებისა და დადგენილებების მიღება, რომლებიც მეთოდურად, ნაბიჯ-ნაბიჯ უყრიდა საფუძველს საქართველოს შემადგენლობიდან მისი ძირძველი რეგიონის გამოყოფასა და დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

უკვე გაისმოდა: „აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობა“, „აფხაზეთის მიწა“, „აფხაზეთის მოქალაქეობა“...

ორი წლით ადრე დაარსებულმა „კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეამ“[139] 1991 წლის 1-2 ნოემბერს, „კავკასიის მთიელ ხალხთა III ყრილობაზე“ „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის“, როგორც „სუვერენული ეროვნულ-სახელმწიფო გაერთიანების“, შექმნა გამოაცხადა. კონფედერაციის დედაქალაქად სოხუმი დაასახელეს. მისი დამფუძნებლების თქმით, ამ „კონფედერაციული სახელმწიფოს“ შემადგენლობაში შევიდოდნენ ჩრდილოკავკასიის „ხალხები“. დედაქალაქად სოხუმის არჩევა, მაშინ როცა მასში შემავალი „ხალხების“ აბსოლუტური უმრავლესობა რუსეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრობდა, მიუთითებდა იმ ნაღმზე, რომელიც კონფედერაციის სახით აფხაზეთში გამოსაყენებლად მზადდებოდა.

აფხაზეთის დამოუკიდებელი შინაგანი ჯარის შექმნა[140] და „აფხაზეთის შინაგანი ჯარის პოლკის“ – ფაქტობრივად, მონოეთნიკური გვარდიის – ჩამოყალიბება, რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის არაქართულ მოსახლეობაში სამხედრო-სამობილიზაციო განყოფილებების ინტენსიური მუშაობის შედეგად შეიქმნა და საქართველოს ცენტრალური სამხედრო სტრუქტურების ნაცვლად აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ექვემდებარებოდა, ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოებას უთხრიდა ძირს, „აფხაზეთის ეკონომიკური სუვერენიტეტის საფუძვლების უზრუნველყოფის“[141] და მოგვიანებით საქართველოს რესპუბლიკის ფულად-საკრედიტო და საბანკო კანონების გაუქმების დადგენილებები[142] – ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

უმაღლესი საბჭოს სხდომებზე უმცირესობაში მყოფი ქართული დეპუტაცია თავმჯდომარის მოადგილის, თამაზ ნადარეიშვილის ხელმძღვანელობით ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციასთან შეუთავსებელ აქტებსა და დადგენილებებს, თუმცა უშედეგოდ. ყოველი კენჭისყრა მაინც აფხაზური დეპუტაციის სასარგებლოდ მთავრდებოდა. აფხაზეთში მცხოვრები უმრავლესობის ლეგიტიმური წარმომადგენლები, ისევ ქართველების თანამონაწილეობით წინასაარჩევნოდ მომზადებული ე. წ. „აპართეიდული“ კანონის წყალობით, მუდმივად ორი ხმით უმცირესობაში რჩებოდნენ.

24 ივნისს, სწორედ იმ დღეს, როდესაც ექსპრეზიდენტის მომხრეთა ნაწილმა ვალტერ შურღაიას ხელმძღვანელობით თბილისში ტელევიზიის შენობა დაიკავა და ქართველების ყურადღება იქითკენ იყო გადატანილი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მისთვის არასასურველი შინაგან საქმეთა მინისტრის, გივი ლომინაძის გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო და მის ნაცვლად ალექსანდრე ანქვაბი დაამტკიცა.

---

[139] 1989 წლის 25-26 აგვისტოს სოხუმში ჩატარებულ „კავკასიის მთიელ ხალხთა I ყრილობაზე“ დაარსდა „კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეა“.

[140] 1991 წლის 29 დეკემბერს მიღებული დადგენილებით, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ნაწილები და დაწესებულებები აფხაზეთის ხელისუფლების მმართველობის დაქვემდებარებაში გამოაცხადა.

[141] 1991 წლის 27 თებერვალს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც მინისტრთა საბჭოს დაევალა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ყველა საკავშირო და რესპუბლიკური დანესებულების და საწარმოს აფხაზეთის იურისდიქციის ქვეშ შეყვანა.

[142] აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს 1991 წლის 30 აგვისტოს დადგენილებით, საქართველოს რესპუბლიკის კანონები: „საქართველოს რესპუბლიკის ფულად-საკრედიტო რეგულაციების შესახებ“, „საქართველოს ნაციონალური ბანკის შესახებ“ და „ბანკებისა და საბანკო მოღვაწეობის შესახებ“ – აფხაზეთის ტერიტორიაზე იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადდა.

როგორც წესი, ჯერ კიდევ 60-იანი წლებიდან აფხაზეთში პირველი პირის თანამდებობაზე ყოველთვის აფხაზი ინიშნებოდა, ხოლო შს მინისტრის თანამდებობაზე – ქართველი. ასე გრძელდებოდა ათწლეულების განმავლობაში. აქედან გამომდინარე, ქართველი შს მინისტრის, გივი ლომინაძის გათავისუფლება და მის ადგილზე აფხაზი ალექსანდრე ანქვაბის დანიშვნა პოლიტიკურად აქტიურმა ქართველობამ ეროვნულ შეურაცხყოფად მიიღო.

თავად ლომინაძემ კი თბილისიდან მიღებული დავალებით, გადაწყვეტილებას არ დამორჩილებოდა, კაბინეტიდან გამოსვლასა და თანამდებობის ანქვაბისთვის გადაბარებაზე უარი განაცხადა და მუშაობა ჩვეულ რეჟიმში გააგრძელა.

მომდევნო დღეებში სამინისტროში მუშაობა დაძაბულად მიმდინარეობდა. დღისით, სამუშაო საათებში უფლებამოსილებას, ძირითადად, ქართველი თანამშრომლების მეშვეობით ახორციელებდნენ. ღამის საათებში სამინისტროში მომუშავე ქართველი მილიციელები გივი ლომინაძის მისაღებში მორიგეობდნენ.

ასე გრძელდებოდა სამინისტროს მუშაობა დაახლოებით 20-22 დღე: გათავისუფლებული ლომინაძე კაბინეტს არ ტოვებდა, ახლად დანიშნული ანქვაბი სამინისტროში ვერ შედიოდა. შსს-ს ქართველ მილიციელებს ჰქონდათ ინფორმაცია, რომ აფხაზებს სამინისტროს შენობის დაკავება და თანამშრომლების იძულების წესით გარეთ გამოყრა უნდოდათ. იყო ამის მცდელობებიც, თუმცა ანქვაბს კატეგორიულად გაეფრთხილებინა არძინბა, რომ თუ სისხლი დაიღვრებოდა, იგი თანამდებობაზე უარს იტყოდა.

ერთ დილას აფხაზურმა მხარემ ხელსაყრელი მომენტით ისარგებლა და შინაგანმა ჯარმა სამინისტროს შენობას კორდონი შემოარტყა, ხოლო მისი უფროსი ანსუპოვი 20-მდე აფხაზ ბოევიკთან ერთად შიგნით შევარდა და ასე ფიზიკური ზემოქმედებით გამოიყვანეს ლომინაძე კაბინეტიდან.

დილით სამსახურში მისული ქართველი მილიციელები სამინისტროს შენობაში აფხაზებმა ჩხრეკისა და ნებართვის გარეშე საკუთარ კაბინეტებშიც კი არ შეუშვეს. ამ ფაქტით შეურაცხყოფილმა შსს-ს კრიმინალურმა მილიციამ გია მხეიძის ხელმძღვანელობით ახალ მინისტრს დაუმორჩილებლობა გამოუცხადა. მათ პროტესტის ნიშნად სამინისტროს შენობა დატოვეს და სტალინის სახელმწიფო აგარაკზე, ე. წ. „გოსდაჩაზე“[143] ავიდნენ – იქ, სადაც გივი ლომინაძე სოხუმში მუშაობის ბოლო ხუთი წელი ცხოვრობდა.

მომხდარმა, იმ ფონზე, რომ საპარლამენტო ფორმატში პოლიტიკური ბრძოლის ყველა კანონიერი შესაძლებლობა, მათ შორის, ბოიკოტის გამოყენება ისედაც ამოწურული ჰქონდათ, ქართულ დეპუტაციას ნადარეიშვილის ხელმძღვანელობით საფუძველი მისცა, პროტესტის ნიშნად უმაღლესი საბჭო შენობა საერთოდ დაეტოვებინა. მათ ალტერნატიული უმაღლესი საბჭოს ფუნქციონირების ადგილად „გოსდაჩა“ აირჩიეს. შსს-ს მხარდაჭერა გამოუცხადა ადგილობრივი ეროვნული გვარდიის მეთაურმა სოსო ახალაიამაც და თავისი ასეულით იქვე, მეშველიანის სასტუმროში განთავსდა.

ქართველი დეპუტატების ალტერნატიულ უმაღლეს საბჭოს და გათავისუფლებულ შინაგან საქმეთა მინისტრს სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს სოხუმის მთავარი სამმართველოს მილიციამ თენგიზ რაფავას ხელმძღვანელობით, სოხუმის რაი-

[143] Государственная дача (რუს.) – სახელმწიფო (სამთავრობო) აგარაკი

ონის, გულრიფშის, ოჩამჩირის და გალის რაიონების განყოფილებებმა, აგრეთვე, ქართული დასახლებების ადგილობრივი მმართველობის ორგანოების წარმომადგენლობებმა.

ქართველი ღეპუტატები, ადგილობრივი პოლიტიკური პარტიების ლიდერები, მათ შორის, „მხედრიონის“ ადგილობრივი ხელმძღვანელი ბორის კაკუბავა, თბილისს რიგრიგობით უ/ავშირდებოდნენ და სახელმწიფო საბჭოსგან დაუყოვნებლივ ჯარის შეყვანას ითხოვდნენ.

ქართველებისა და აფხაზების პოლიტიკური თანაცხოვრება საბოლოოდ შეწყდა.

1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის უმაღლესი საბჭო კიდევ უფრო შორს წავიდა, აფხაზეთს „რესპუბლიკა“ უწოდა და ახალი სიმბოლიკა – მწვანე დროშა შემოიტანა. მეორე დღეს საბჭოს სესიამ რეგლამენტის დარღვევითა და კვორუმის არარსებობის პირობებში მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ-ის 1978 წლის კონსტიტუციის[144] მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაც სამართლებრივად საქართველოს კონსტიტუციური სივრციდან აფხაზეთის გასვლას და, იმავდროულად, „აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუციის“ ამოქმედებას ნიშნავდა.[145]

იმ პერიოდში არძინბასთან ფედერალური მოწყობის[146] თაობაზე კონსულტაციას სხვადასხვა პოლიტიკური ძალა მართავდა, უფრო ხშირად – „რესპუბლიკელები“. ისინი მზად იყვნენ, თუნდაც პარტიისთვის არაპოპულარული ნაბიჯები გადაედგათ, რათა ურთიერთობის ძაფები არ გაწყვეტილიყო. ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი შეხვედრები უფრო ეპიზოდური იყო, ვიდრე სისტემატური.

სახელმწიფო საბჭოს ცალკეული წევრები ცდილობდნენ, „აიდგილარასთანაც“ და „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციასთანაც“ ემუშავათ, თუმცა მათი მცდელობებიც უშედეგოდ სრულდებოდა, რადგან ორივე ორგანიზაცია რუსეთის სპეცსამსახურების ხელშეწყობით იყო შექმნილი.

მითი, თითქოს არძინბასთან ფედერალური წყობის შესახებ მოლაპარაკებით საერთო ენის გამონახვა შეიძლებოდა, მალე გაქარწყლდა. საერთო ენა უნდა გამოგვენახა რუსეთთან და არა აფხაზებთან – ისინი მართლა დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფოდნენ, რადგან ასე სჯეროდათ. რუსეთი, თავის მხრივ, საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ)[147] შესვლას ითხოვდა.

გუდაუთიდან მოსული ოპერატიული ინფორმაციაც ადასტურებდა, რომ ომი-

---

144 1978 წლის კონსტიტუციის მიხედვით, აფხაზეთი არის საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური ერთეული, რომლის პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა, მისი სახელწოდებაა „აფხაზეთი“, რომლის სინონიმია „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა“.

145 1918 წელს მენშევიკურმა მთავრობამ აფხაზეთის საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ფარგლებში შეყვანა გამოაცხადა, რასაც რუსეთის იმპერიის მიმართ კეთილგანწყობილი აფხაზები ენინააღმდეგებოდნენ 1921 წელს, მენშევიკური ხელისუფლების დამხვრცხებასთან ერთად, კიდევ ერთხელ შეიცვალა აფხაზეთის სტატუსი. 1921-1930 წლებში იგი გახდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა (სსრ), რომელიც საქართველოსთან ფედერალური აქტით იყო დაკავშირებული. აფხაზეთის, როგორც ფედერალური სახელმწიფოს, სტატუსს 1925 წელს კონსტიტუცია განსაზღვრავდა

146 აფხაზები ითხოვდნენ 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენას ან ახალი ფედერალური აქტის საფუძველზე ფედერალური მოწყობის შექმნას საქართველოში

147 რეგიონული მთავრობათაშორისი ორგანიზაცია, ჩამოყალიბდა 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს აერთიანებს

სათვის აფხაზები 1992 წლის აგვისტომდე ბევრად ადრე ემზადებოდნენ. ისინი საბრძოლო მასალებსა და აღჭურვილობას რუსულ სამხედრო ნაწილებზე შეთანხმებული, ინსცენირებული თავდასხმებით იღებდნენ. 18 ივნისსაც სოხუმის „შუქურას" რაიონში დისლოცირებული რუსეთის არმიის სამხედრო-საინჟინრო ნაწილიდან გატანილი თუ გადაცემული შეიარაღება სეპარატისტების ხელში აღმოჩნდა და ამ იარაღით ისინი ადგილობრივ მილიციის განყოფილებებს ესხმოდნენ თავს.

მოგვიანებით, 2011 წელს, ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნების წინ თავადვე აღიარეს, რომ წინასწარ იცოდნენ – ნეტავ საიდან? გული უგრძნობდათ? – რუსი სამხედროები 14 აგვისტომდე რამდენიმე დღით ადრე ახალციხის მეათე დივიზიის იარაღს ქართულ მხარეს რომ გადასცემდნენ.

სამთავრობო მარში აფხაზეთში

აფხაზეთის ტერიტორიაზე სარკინიგზო ხიდებისა და ლიანდაგების აფეთქებები და მატარებლების დაყაჩაღება ისედაც ჩამოშლილ ეკონომიკას განსაკუთრებით აზარალებდა. სარკინიგზო მაგისტრალზე ჩადენილი დანაშაულების გამო ზარალმა 12 მილიარდ მანეთს მიაღწია, საიდანაც ნახევარი სომხეთის კუთვნილი ტვირთი იყო. სომხეთის ხელისუფლება უკმაყოფილებას აღარ მალავდა და საქართველოს ღიად საყვედურობდა. თავის მხრივ, აფხაზური მხარე აფეთქებებს ექსპრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეებს აბრალებდა და პასუხისმგებლობას იხსნიდა.

დევნილი პრეზიდენტის[148] მომხრეები გამსახურდიას ხელისუფლების დასაბრუნებლად საბოტაჟს აწყობდნენ და ახალ ხელისუფლებას ასუსტებდნენ, აფხაზები კი საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად დაჩქარებულ ნაბიჯებს დგამდნენ.

აფხაზეთში გაღვივებული სეპარატიზმის ფონზე, სამოქალაქო დაპირისპირება ქვეყანას კარგს არაფერს უქადდა. აგვისტოს დასაწყისში, ისევ პატრიარქის ძალისხმევითა და შუამავლობით, ხელისუფლებამ „თანხმობისა და შერიგების მანიფესტი" გამოაქვეყნა. მანიფესტი საგანგებო მდგომარეობის გაუქმებას და სამეგრელოდან „მხედრიონის" გაყვანას ითვალისწინებდა და, რაც მთავარია, 6 იანვრის შემდეგ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ყველა იმ პირის გათავისუფლებას, რომლებიც „კანონიერი" ხელისუფლების იარაღით მხარდაჭერისა თუ სახელმწიფო ტელევიზიაში შეჭრისთვის იხდიდნენ სასჯელს. მანიფესტის გამოქვეყნებას თბილისში სიხარულით შეხვდნენ. გაჩნდა იმედი, რომ სამოქალაქო დაპირისპირება ერთხელ და სამუდამოდ დასრულდებოდა.

თუმცა ზუგდიდისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. სამეგრელო ყველას გათავისუფლებას ითხოვდა, მათ შორის, 10 ივნისს ჩიქოვანის ქუჩაზე ჯაბა იოსელიანზე თავდასხმაში მონაწილეებისაც, რაზეც თბილისი უარს აცხადებდა. არავინ იცის, ხელისუფლება ამაზეც რომ დათანხმებულიყო, „შერიგების მანიფესტი" რა შედეგებს მოიტანდა. უარის შემდეგ ზუგდიდში ჩასული საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერის, სანდრო კავსაძის გატაცებამ, რომელიც ეროვნებათაშორი-

[148] 1992 წლის დასაწყისში მომხდარი სამხედრო დაპირისპირების შემდეგ ზვიად გამსახურდია სომხეთის გავლით ჩეჩნეთში, გროზნოში გადავიდა, სადაც გენერალმა ჯოხარ დუდაევმა თავშესაფარი მისცა. იმ დროიდან მისი მომხრეები გამსახურდიას „დევნილ პრეზიდენტად" მოიხსენებდნენ.

სი ურთიერთობისა და ადამიანის უფლებათა საკითხებს განაგებდა, ყველასთვის ცხადი გახადა, რომ მანიფესტი ფარატინა ქაღალდად დარჩა. ახლა კავსაძის გათავისუფლების სანაცვლოდ ითხოვდნენ ჯაბა იოსელიანზე თავდასხმაში მონაწილეთა გათავისუფლებას. ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ სცადა შეთანხმების მიღწევა და მოლაპარაკების გასაგრძელებლად ზუგდიდში სამართალდამცავი ორგანოების მეგრელი მაღალჩინოსნები – დავით ხაზალია, თემურ ჩიქობავა, მამია ალასანია, ვალერი როგავა და დათო სალარიძე გაემგზავრნენ. წინასწარი შეთანხმებით ლოთი და ზაურ ქობალიებთან მოსალაპარაკებლად ჩასულ შსს-ს მაღალჩინოსნებს შეხვედრის დროს მოულოდნელად რომელიღაც დაჯგუფების წევრები დაესხნენ თავს და გალის მიმართულებით გაიტაცეს. მათ ტყვედ აყვანას ერთნი გოჩა ბახიას დაჯგუფებას აბრალებდნენ, მეორენი – ბადრი ზარანდიას. სხვათა ინფორმაციით, თავდასხმა თავად ლოთი ქობალიას მოწყობილი იყო. შერიგების მცდელობა ისევ ჩაიშალა.

წინასწარი შეთანხმებით თბილისიდან მოლაპარაკებაზე ჩასული მეგრელების ისევ მეგრელების მიერ დატყვევებამ ხალხში დიდი აღშფოთება გამოიწვია. ხელისუფლებასაც მოთმინების ფიალა აევსო და გამტაცებლებს ულტიმატუმი წაუყენა – მძევლების უპირობო გათავისუფლება მოითხოვა და საბოლოო ვადა 13 აგვისტოს დღის ბოლომდე მისცა, წინააღმდეგ შემთხვევაში ადეკვატური მოქმედებებით დაემუქრა...

აფხაზეთსა და სამეგრელოში მიმდინარე მოვლენებით შეშფოთებული სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი[149] საგანგებო თათბირზე შეიკრიბა. პოლიტიკოსებს გამჭრიახობა და პასუხისმგებლობა რომ გამოეჩინათ, ახალი სისხლისმღვრელი ომის თავიდან აცილება ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო, დროებით მაინც. სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს აღარ ახსოვდათ ცხინვალის უბედურებიდან მიღებული გაკვეთილები და, რკინიგზის აღდგენისა და სომხეთის ბლოკადის მოხსნის საბაბით, აფხაზეთში შესვლის გადაწყვეტილებას ერთხმად დაუჭირეს მხარი.[150]

■

1992 წლის 10 აგვისტო იდგა. ბაზალეთის ტბაზე თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალ-მაიორი თამაზ დუმბაძე მესტუმრა. თბილი დამოკიდებულების ნიშნად გვარდიაში „თამაზ ბიძიას“ ვეძახდით. ყოველთვის გამორჩეული ყურადღებით მექცეოდა. ვერ ვიტყვი, რომ ასეთი დაფასებული ადამიანის სტუმრობა არ გამიხარდა. ძალიან გამიხარდა, მაგრამ ეჭვი გამიჩნდა, ჩემს დასაბრუნებლად თენგიზ კიტოვანმა ხომ არ გამოგზავნა-მეთქი. მინისტრის ძველი მეგობრის ჩამოსვლას შემთხვევითობას ვერ მივაწერდი. ეს ხომ კარგად ნაცნობი სცენარი იყო!

ვუამბობდი ბაზალეთის ტბაზე გატარებულ დღეებზე, თან ვცდილობდი, მის ყოველ სიტყვას ჩავწვდომოდი და სტუმრობის ნამდვილი მიზეზი გამომეცნო. ვინც

---

[149] პრეზიდიუმის წევრები იყვნენ ედუარდ შევარდნაძე (თავმჯდომარე), ჯაბა იოსელიანი (თავმჯდომარის მოადგილე), თენგიზ კიტოვანი და თენგიზ სიგუა.

[150] 1992 წლის 10 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, აფხაზეთში შესულიყო საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების გარკვეული სამხედრო კონტინგენტი, კონტროლის ქვეშ აეყვანა სარკინიგზო მაგისტრალი, აღეკვეთა იქ ყაჩაღობისა და ტვირთების გატაცების ფაქტები, ასევე, განეიარაღებინა უკანონო შეიარაღებული ფორმირებები (საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის 1992 წლის 10 აგვისტოს დადგენილება „რკინიგზის ტრანსპორტზე საგანგებო წესების შემოღების თაობაზე“).

თამაზ დუმბაძეს იცნობდა, დამიდასტურებს, რომ იოლი არ იყო მისი აზრების წაკითხვა. არც სიტყვით და არც ქცევით საბაბს არ გაძლევდა, რამეში ეჭვი შეგეტანა.

მამაშვილურად თბილად მესაუბრა, მომეფერა, ჯემალ ჭუმბურიძისგან მოკითხვა გადმომცა და ორივეს სახელით თბილისის ზღვის მიდამოებში ახლად გახსნილ საუნასა და შემდეგ იპოდრომთან მდებარე ახალ რესტორანში დამპატიჟა. ისევ გამკრა ეჭვმა, გამოგზავნილი ხომ არ იყო, მაგრამ ჯემალ ჭუმბურიძის ნახვის სურვილმა და ახალი ობიექტების მონახულების წინადადებამ მაცდუნა. ბევრი არ მიფიქრია, დავთანხმდი და ქალაქისკენ დავიძარით.

თბილისში ჯემალ ჭუმბურიძეც შემოგვიერთდა. მსგავსი ობიექტები იმ დროის თბილისში დიდ ფუფუნებას წარმოადგენდა. ტბაზე ეულად გატარებული ერთი თვის შემდეგ ჯერ ცხელ საუნაში ნებივრობამ, მერე ტანინიანმა ღვინომ, ძვირფასი ადამიანების მეგობრულმა დამოკიდებულებამ და ყურადღებამ გული გამითბო.

დღის ბოლოს იპოდრომზე მდებარე რესტორანში დამპატიჟეს. კომფორტულმა გარემომ, ცოტა ალკოჰოლმა და მიმტანი გოგოების მაცდურმა ღიმილმა მშვენიერ ხასიათზე დამაყენა. სიყვარულისა და მზრუნველობისგან გაბრუებული ამდენი თვის შემდეგ პირველად გავხალისდი. თითქოს იმ დღეს აღმოვაჩინე, რომ მშვიდობა და სიცოცხლე სჯობს ომში ნაადრევ სიკვდილს. აღარც მე ვეჭვიანობდი, რომ ჩემს დასაყოლიებლად იყვნენ „ბანიასგან“ გამოგზავნილები. მათაც არ უხსენებიათ მინისტრის სახელი. ვსვამდით და ტკივილის დავიწყებას ვცდილობდით.

10 აგვისტო იმ წლის ყველაზე უდარდელ დღედ დარჩებოდა ჩემთვის, საღამოს ათი საათისთვის ჯემალ ჭუმბურიძის მანქანაში დამონტაჟებულ გადამცემზე ეროვნული გვარდიის მორიგი შეტყობინება რომ არ მოსულიყო. თავდაცვის მინისტრი გვარდიის ხელმძღვანელებსა და ყველა მეთაურს მთავრობის სახლში თათბირზე იბარებდა. ჩემი ყურით მესმოდა, როგორ ითხოვდა მორიგე მთავრობის სახლში სასწრაფოდ ყველას გამოცხადებას. ისევ ეჭვმა გამკრა: ნუთუ ეს სტუმრობა, დროსტარება თბილისში ჩემს ჩამოსაყვანად და კიტოვანთან შესახვედრად იყო მოწყობილი?! ერთი კი გავიბრძოლე, მე უკვე წავედი გვარდიიდან და თათბირი აღარ მეხება-მეთქი, მაგრამ პასუხად ორ ხმაში მივიღე: „ნუ გაახურე, გეყოფა ახლა ბუტიაობა!“

უფროსის პატივისცემისა და, აგრეთვე, ცნობისმოყვარეობის გამო აღარ შევეწინააღმდეგე. ბუნებაში ხანგრძლივად ყოფნის შემდეგ მინისტრთა საბჭოს მაღალ სართულზე სტუმრობა მიმზიდველადაც კი მომეჩვენა. ვიფიქრე, რა უნდა იყოს ახლა ისეთი, თავს ხომ არ დავიფასებ, ვინახულებ და მორჩა-მეთქი. თუ სამხედრო სამსახურში დაბრუნებას შემომთავაზებს, მორიდებულად უარს ვეტყვი, თუ სამეგრელოში გამგზავრებას და საბრძოლო მოქმედებებში ჩართვას – არ დავთანხმდები. სხვა რა უნდა იყოს, ვნახავ და უკან დავბრუნდები-მეთქი, გულში ვბჭობდი და ვერ ვხვდებოდი, რომ ბედისწერა მორიგ ჯერზე დამცინოდა.

ჩაბნელებულ თბილისში მხოლოდ მთავრობის სახლი და კიდევ რამდენიმე შენობა იყო განათებული. მეათე სართულზე პირველი ვიცე-პრემიერისა და, ამავდროულად, თავდაცვის მინისტრის სათათბირო ოთახში მწვანეხავერდიანი მასიური მაგიდის გარშემო სამხედრო უწყებების, მათ შორის, ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელები, სამხედრო ნაწილებისა და გვარდიასთან დაახლოებული მოხალისეთა ფორმირებების მეთაურები ისხდნენ. თითქმის ყველა იქ იყო, თითქოს წინასწარი განზრახვით შეეკრიბათ ერთად. მხოლოდ გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ცქიტიშვილი არ ჩანდა, რაც, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა.

ისევ ეჭვმა გამკრა გულში, რომ ბაზალეთზე გენერალ დუმბაძის სტუმრობა თბილისში ჩემს ჩამოყვანას ემსახურებოდა. „ნეტა, რა ხდება?“ – გავიფიქრე, როდესაც ოთახში შეკრებილებს მოვავლე თვალი.

ჩემი ყურადღება უკანა კართან განცალკევებით მდგარი „შავნაბადას“ მეთაურებისა და თენგიზ კიტოვანის ჩურჩულმა მიიპყრო. თათბირის დაწყებამდე „შავნაბადას“ მეთაურებმა სათათბირო ოთახი დატოვეს.

ცნობისმოყვარეობით შეპყრობილს ერთთვიანი განდეგილობის მიზეზი საერთოდ დამავიწყდა და მოუთმენლად ველოდი საგანგებო თათბირის დაწყებას. ვერ ვხვდებოდი, რისთვის იყო შეკრებილი ამდენი პატივსაცემი ადამიანი, მეგობარი და თანამებრძოლი. თენგიზ კიტოვანი, როგორც სჩვეოდა, თბილად მომესალმა და ღიმილით მკითხა: „შეგვირიგდი, თუ ისევ გვებუტები?“ მერე მაგიდას მიუჯდა, კალამი მოიმარჯვა, ფურცელი მოამზადა და შეკრების მიზეზის აუხსნელად მარჯვნიდან მარცხნივ ყველას რიგრიგობით ერთი და იგივე კითხვა დაუსვა: „რამდენი კაცი გყავთ ბატალიონში?“

„ქარელი – 30“, – უპასუხა ტარიელ ბარბაქაძემ, ბატალიონის კოლორიტულმა მეთაურმა; „ხაშური – 20“, – აჰყვა გვერდით მჯდომი ხაშურის ბატალიონის მეთაური; „თიანეთი – 20“; „ბოლნისი – 40“; „ქუთაისი – 60“; „ოზურგეთი – 40“ და ა. შ. – ერთმანეთის მონაცვლეობით პასუხობდნენ ბატალიონისა და ასეულის მეთაურები. ამ სიმცირისთვის ვერ დაძრახავდი. ჯერ კიდევ არ შემშრალიყო ცხინვალის ბრძოლებში დაღუპულთა გლოვის ცრემლი და არც ჭრილობები იყო მოშუშებული. როდესაც „ქაქუცა ჩოლოყაშვილის პოლკის“ მეთაურის პასუხის ჯერი დადგა, ტარიელ აბუაშვილმა 400 კაცი დაასახელა. თავდაცვის მინისტრმა კმაყოფილი სახით შეაქო: „ყოჩაღ, ტარიელ!“

„კასპი – 120“, – განაგრძო კასპის ბატალიონის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელმა და რაიონის გამგებელმა ტარიელ შარიფაშვილმა, რომელსაც ცნობისმოყვარეობისგან მოთმინების ფიალა აევსო და თავდაცვის მინისტრს ქართლური პირდაპირობით ჰკითხა: „კი მაგრამ, რა ხდება, ბატონო თენგიზ, არ გვეტყვით?“ პასუხად კი მხოლოდ ღიმილი მიიღო.

„100“, – სამხედრო პოლიციის ბატალიონის რიცხოვნობა გვამცნო სამმართველოს უფროსმა გია უჩავამ.

თათბირის მონოტონურობა მაშინ დაირღვა, როცა ჯერი „თეთრ არწივზე“ მიდგა:

– გააჩნია რისთვის, ბატონო თენგიზ! თუ ზუგდიდისთვის – არცერთი! ჩემი იმედი აღარ გქონდეთ და არც თქვენ გირჩევთ. კმარა ძმათა სისხლისღვრა, გთხოვთ! – გულიდან ამოვთქვი და პასუხის მოლოდინში თავი ჩავღუნე. სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, თითქოს ყველას აზრი გამოვხატე და მეთანხმებოდნენ კიდეც. სამოქალაქო ომის განახლება არავის უნდოდა.

– ზეგ, დილის 12 საათზე ეროვნული გვარდია სამტრედიაში უნდა შეიკრიბოს და სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით აფხაზეთში რკინიგზის დასაცავად შევიდეს, – გამოგვიცხადა თავდაცვის მინისტრმა.

თითქოს სამეფო ნადირობაზე ეპატიჟებოდნენ, სამხედრო მეთაურებმა თავდაცვის მინისტრის განკარგულება ჩვეულებრივად, შეუწინააღმდეგებლად მიიღეს. უფრო მეტიც, შვებით ამოისუნთქეს. იმით გახარებულები, რომ სამოქალაქო დაპირისპირებაში ჩართვას გადარჩნენ, ვერც კი აცნობიერებდნენ, რას უქადდა ქვეყანასა და თითოეულ მათგანს უფრო დიდი და მასშტაბური სამხედრო კამპანიის დაწყება.

გაოგნებული ვუსმენდი და ყურებს არ ვუჯერებდი: უახლოესი წარსულის მწარე გამოცდილება, დაღვრილი სისხლი დავიწყებოდათ და ვერ აცნობიერებდნენ, რა შეიძლება მოჰყოლოდა ამ გადაწყვეტილებას.

მოსალოდნელმა საფრთხემ უცებ გამომაფხიზლა. აფხაზეთში ერთხელ უკვე ნამყოფი ვიყავი, ერთხელ უკვე გავლილი მქონდა ის რთული გზა. ზუსტად ვიცოდი, რომ სამხედრო ძალით ვერაფერს მივაღწევდით, მით უმეტეს, რომ შესაბამისი სამხედრო ძალა არც გაგვაჩნდა, გაწვრთნილი, მომზადებული ჯარი, როგორც ასეთი, ფაქტობრივად, არ გვყავდა. თბილისისა და ცხინვალის ომგამოვლილ, ბრძოლებისაგან დაღლილ-დაქანცულ და სისხლისგან დაცლილ ეროვნული გვარდიის მოხალისეთა ბატალიონებს ცხინვალის ბრძოლების იარები ჯერ მოშუშებული არ ჰქონდათ, განსაკუთრებით გორის ტრაგედიის შემდეგ იყვნენ დათრგუნულები. ამ ე.წ. „ბატალიონებს“ სინამდვილეში თითო ოცეულიღა ჰყავდათ შემორჩენილი. ერთადერთი 400-კაციანი პოლკის რიგებში 350-მდე წვევამდელი ორიოდე დღის წინ იყო ჩარიცხული, პირტიტველა ყმანვილებს ჯერ სამხედრო ფორმა და ჩექმაც კი არ ჩაეცვათ. შინააშლილობითა და არეულობით დასუსტებულ და გაღატაკებულ ქვეყანას ახალი, უფრო დიდი და მასშტაბური საბრძოლო მოქმედების წარმოება აღარ შეეძლო.

– რას გაჩუმებულხართ, სიმართლეს რატომ არ ამბობთ? რატომ აწვდით მინისტრს არასწორ ინფორმაციას საკუთარი რაზმების შესაძლებლობაზე? წვევამდელები სამი დღის წინ მიიღეთ, ჯერ სამხედრო ფიციც არა აქვთ დადებული! სად მიერეკებით გაუწვრთნელ ახალწვეულებს?! – ამ სიტყვებმა გულიდან ამოხეთქა იმ იმედით, რომ იქნებ მორიგი ტრაგედია ამეცილებინა. ახალგაზრდობის მიუხედავად, სული და ხორცი მიგრძნობდა, რომ ქვეყანა ბევრად დიდ უბედურებაში ვარდებოდა. რაც შემეძლო, ვეწინააღმდეგებოდი აფხაზეთში შესვლის გადაწყვეტილებას, მაგრამ თანდათან მივხვდი, რომ ჩემი ძალისხმევა ამაო იყო, რადგან 25 წლის ყმანვილის აზრებს ყურადღებას დიდად არავინ აქცევდა. შინაგანად იქნებ ყველა არ ეთანხმებოდა მინისტრს, მაგრამ დუმდნენ. ტარიელ შარიფაშვილმა სცადა ჩემი მხარდაჭერა, ორიოდე სიტყვა ჯემალ ჭუმბურიძემაც შემაშველა. ეს იყო და ეს.

ერთი პირობა იმასაც კი ვფიქრობდი, ხომ არ ჯობდა, საერთოდ გავჩუმებულიყავი, რადგან ყველაზე მეტს ვლაპარაკობდი, მაგრამ ბახუსი გამბედაობას მმატებდა და უფრო და უფრო მათამამებდა. მინისტრს არ ვეთანხმებოდი და პოზიციის გასამყარებლად ახალ-ახალ არგუმენტებს ვიშველიებდი. ვგრძნობდი, რომ საბედისწერო შეცდომას ვუშვებდით.

– დაგავიწყდათ, რა მოხდა ცხინვალში?! წინ გვიდევს ცხინვალის მწარე გამოცდილება და თვალის გასწორებაც არ გვინდა. ასეთ მცდელობას ხომ რუსული სამშვიდობო ძალების შემოყვანა მოჰყვა. ძნელია იმის განჭვრეტა, რომ ურჩი რეგიონების სამხედრო ძალით დამორჩილებას რუსები არამც და არამც არ დაუშვებენ?!

იმას, რაც ცხინვალში უკვე მოხდა, ვეღარავინ შეცვლიდა, მაგრამ იმის შეჩერება, რაც აფხაზეთში ხვალ უნდა მომხდარიყო, ჯერ კიდევ შეიძლებოდა. მტრის დადებულ ნაღმზე ერთხელ უკვე აფეთქებულები ვერ ხედავდნენ, რამდენად რეალური იყო საფრთხე.

– აფხაზეთში შესვლა შიდა დაპირისპირებასაც უმკურნალებს, შინაურ ტკივილს გაანელებს, მოწინააღმდეგე მხარეებს გაგვაერთიანებს, – იმედს გამოთქვამდნენ შესვლის მომხრეები.

არგუმენტებით დაპირისპირება მნვავე კამათში გადაიზარდა. ვნებების ჩაცხრომის შემდეგ თათბირი გაგრძელდა და ეროვნული გვარდიის წინაშე დასმული საბრძოლო ამოცანა გაგვაცნეს. სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, რკინიგზაზე გახშირებული თავდასხმის აღსაკვეთად გვარდიას აფხაზეთის მონაკვეთზე მატარებლების მიმოსვლის დაცვა ევალებოდა. ამ მიზნით 14 აგვისტოს, 12 საათზე გვარდიას სრული შემადგენლობითა და საბრძოლო შეიარაღებით სამტრედიაში უნდა მოეყარა თავი. გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ავთანდილ ცქიტიშვილი იმ დროს უკვე ახალციხეში იყო და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობისგან მე-10 რუსული დივიზიის შეიარაღებასა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას იბარებდა. ახალციხიდან რკინიგზით ასამდე საბრძოლო ქვემეხი და ჯავშანტექნიკა წამოვიდოდა და ბატალიონებს სენაკში დაურიგებდნენ, საიდანაც განაწილებული ტანკებით, ჯავშანტექნიკით და საარტილერიო სისტემებით აღჭურვილი ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფები სოხუმისაკენ გაემართებოდნენ.

ამ ინფორმაციის გაგებისას აღშფოთება კვლავ ვერ დავმალე. სწორედ იმ დივიზიის, საარტილერიო პოლკის ქვეშეხებისა და ტანკების საბრძოლო გამყენებაზე საუბრობდნენ, რომლებიც ახალციხეში მსახურებისას კონსერვაციაზე თვითონ დავაყენე. ზედმიწევნით ზუსტად ვიცოდი დივიზიის საბრძოლო ტექნიკისა და საარტილერიო სისტემების მდგომარეობა, რომ მხოლოდ მცირე ნაწილი თუ გამოდგებოდა ბრძოლისთვის ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის გარეშე. კიდევ ერთხელ შევეწინააღმდეგე. ისიც კი ვუთხარი, რომ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობაზეც დავთანხმდებოდი, ოღონდ მომზადებისთვის მეტი დრო მოეცათ. საკუთარი გამოცდილებით ვუსაბუთებდი, მაგრამ ამაოდ. თითქოს შესვლის თარიღი სადღაც, ვიღაცასთან იყო შეთანხმებული და ერთი დღით გადაწევაც კი არ შეიძლებოდა.

სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან დაახლოებულს, ლაშქრობებისას მუდმივად ეროვნული გვარდიის საველე სარდლის თანამდებობას შეჩვეულს, მოულოდნელობისგან პირი ღია დამრჩა, როდესაც მინისტრი ჩემს უკმაყოფილებას გაგებით შეხვდა და მეგობრულად თბილისში დარჩენა შემომთავაზა: „შენ უკვე გადაღლილი ხარ ბრძოლისა და ტყვეობისაგან, აქ დარჩი, თბილისსაც ხომ უნდა მიხედოს ვინმემ“.

ცუდი განზრახვით ნამდვილად არ უთქვამს, თუმცა ყველას გასაგონად ნათქვამი მეტისმეტად შეურაცხმყოფლად ჟღერდა. ჩემს გულწრფელ აღშფოთებას ბრაზი და წყენაც დაემატა. სულ 1500-მდე ჯარისკაცი დაითვალეს, აქედან 600-კაციან „თეთრ არწივს“ თბილისში ტოვებდნენ. რკინიგზა ვის უნდა დაეცვა?!

მისგან ამ სიტყვებს არ ვიმსახურებდი. მე მხოლოდ სამშობლოს სიყვარული და მისდამი ერთგულება მალაპარაკებდა. გული მიგრძნობდა, რომ თვითონ ვუთხრიდით სამარეს საკუთარ თავსაც და ქვეყანასაც, მაგრამ არავინ მიჯერებდა.

მოკლედ, გვარდიელებს არც სამოქალაქო ომში მოპოვებული გამარჯვება შეარგეს, არც ცხინვალში დაღვრილი სისხლი აკმარეს, არც საკუთარ ოჯახებში ყოფნა და მათზე ზრუნვა აცადეს და არც ომისგან დასვენება. ისევ ახალ ომში ერეკებოდნენ.

თათბირი ღამის პირველი საათისთვის დასრულდა. მორჩილად მიემართებოდნენ ბატალიონების მეთაურები საბედისწერო დავალებების შესასრულებლად. მხოლოდ „თეთრი არწივის“ საკითხი იყო გაურკვეველი – მიდიოდა თუ რჩებოდა.

თათბირიდან დათრგუნული გამოვედი. მოსმენილისა და ნანახის გასააზრებლად, ამღვრეულ ფიქრებთან მარტო დასარჩენად თბილისის ზღვაზე გავეშურე.

არც მკითხველია ისეთი გულუბრყვილო და არც ავტორია ისეთი მიამიტი, რომ შთაბეჭდილება შექმნას, თითქოს ამ თავყრილობაზე ერთი ახალგაზრდა მეთაურისა და მინისტრის კამათის დროს წყდებოდა სოხუმში შესვლა-არშესვლის საკითხი. რა თქმა უნდა, არა! სოხუმში შესვლის გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო. სამწუხაროდ, სახელმწიფოსა და მისი ავტონომიების ურთიერთობაში დაძაბულობის გასანეიტრალებლად მაშინ ერთადერთ ქმედით საშუალებად სამხედრო ძალა განიხილებოდა საქართველოშიც და მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეშიც. ამას რუსეთი შესანიშნავად იყენებდა თავისუფლების გზაზე შემდგარი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მოსათოკად. მათივე ხელშეწყობით დნესტრისპირეთი, მთიანი ყარაბაღი და ე. წ. სამხრეთ ოსეთი უკვე ცეცხლის კერებად იყო ქცეული. აფხაზეთის რიგი იდგა...

არავინ თქვას, კიტოვანს რომ ეს ნაბიჯი არ გადაედგა, ომი არ დაიწყებოდა ან არაფერი მოხდებოდაო. ომით თუ უომრად, რუსები აფხაზების ხელით ქართველებს აფხაზეთიდან მაინც გამოყრიდნენ.

იმ ღამეს თითქმის არ მძინებია. ფიქრებში სხვადასხვა აზრი ერთმანეთს ებრძოდა. ხან ასე ვფიქრობდი: „ომში წახვალ, გმირულად იბრძოლებ და გაიმარჯვებ, ყველა აღფრთოვანდება შენი გმირობითა და სიმამაცით. აფერუმ, შენს მშობლებს ასეთი შვილის გაზრდისთვისო, ასე იტყვიან. შემდეგ ომიდან დაბრუნებულს თბილისში პატივით დაგხვდებიან, იარებს მოიშუშებ, ბედნიერ საქართველოში იცხოვრებ დამსახურებული კაცის პატივითა და დიდებით!" და იქვე სხვა ფიქრი მოდიოდა: „ნეტავ, რა გიხარია?! იმ ომში მიდიხარ, რომლის ბედიც წინასწარ არის გადაწყვეტილი. ამ ომში ვერ გაიმარჯვებ. ხალხი, რომელიც ხელისუფლებას მინდობილი, სამშობლოს დასაცავად ბრძოლაში ბრმად მიდის, განწირულია. ტყვია მოგხვდება და ადგილზე გაგათავებს. არც არავინ დაგიფასებს თავდადებას, არც არავის გაახსენდება შენი სახელი და არც შენი შვილების ბედით დაინტერესდება ვინმე, ობლობაში დაიზრდებიან. შენს მეგობრებსაც იგივე ელით. მათი შვილები დაობლდებიან და ცოლები დაქვრივდებიან"...

გული და გონება ერთმანეთს ებრძოდნენ. მთელი ღამე ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავი – წავსულიყავი, თუ დავრჩენილიყავი. ისეთი განცდა მეუფლებოდა, თითქოს ვიღაცას სურდა, ახალი ომის მოტივით, ერთი ხელის მოსმით, ახლად გაჩენილი ცეცხლის კერის ჩასაქრობად, უფრო სწორად, ახალი ცეცხლის კერაში ჩასახარშად გადაესროლა გვარდიაც, „მხედრიონიც" და ყველა შეიარაღებული პირი. იქნებ ზოგიერთებს იმდენად მოჰბეზრდათ ქალაქებსა თუ სოფლებში ავტომატიანების თარეში, რომ ერთი სული ჰქონდათ, შეიარაღებული ხალხი სადმე შორს გაეგზავნათ. იმასაც ვფიქრობდი, იქნებ ისინი მართლები იყვნენ, მე კი ვცდებოდი. იქნებ ის, რაც რთულად მეჩვენებოდა, იოლად გადაწყვეტილიყო; იქნებ სოხუმშიც წინააღმდეგობის გარეშე შევიდნენ და ყველაფერი წარმატებით დასრულდეს-მეთქი. აი, მაშინ კი, იცოცხლე, წარმატებული ლაშქრობის საგმირო ამბების მოყოლისას ნიშნის მოგებით მკითხავდნენ, შენ სად იყავი, როდესაც ბრძოლის ბედი წყდებოდაო?!

როგორ გინდა, ჯიბრით იმ დამამცირებელ წინადადებას დასთანხმდე, რომელსაც თავდაცვის მინისტრი გთავაზობს და თბილისიდან უქცირო, როგორ იღვრება სოხუმში შენი თანამებრძოლების სისხლი?! სად გაგონილა, მეომარი ომში მიდიოდეს, სარდალი კი თბილისში რჩებოდეს?! თან რა მაცდურად ჟღერდა:

„სოხუმისაკენ მარში“... როდესაც წარმოვიდგინე, სხეულში კვლავ ნაცნობმა ჟრუანტელმა დამიარა. ვერ გავექეცი გულის ხმას, ვერსად დავემალე, ისევ გულმა გადაწონა და გაიმარჯვა გონებასთან ჭიდილში!

11 აგვისტოს, დილიდან თბილისის ზღვაზე საყოველთაო მობილიზაცია გამოვაცხადე. საქართველოს ყოველი მხრიდან დაიძრნენ „თეთრარწივლები“: ყველაზე ერთგული მე-4 სპეცდანიშნულების ბატალიონისა და, მათ შორის, ძვირფასი „პატარების“ ასეული სრული შემადგენლობით. ახალციხიდან გია ლომიძე და გია კოპაძე მოიჩქაროდნენ მესხებთან ერთად. გზად ივერი მაღრაძის ბორჯომ-ბაკურიანელთა რაზმი უერთდებოდათ. მცხეთა-მთიანეთიდან გელა გელაშვილის დუშელები მოეშურებოდნენ. შუაგულ ქართლში მოლა სირიბეგოვი რაზმავდა ფრონის ხეობელებს – ურბნისელებს და დვანელებს; სამაჩაბლოელებს ნიქოზელი გია მჭედლიძე („მამაო“) მოუძღოდა წინ, კეხვიდან – ნუგზარ კახნიაშვილი. წამოსასვლელად იწვევდა უხელო ლევან კახნიაშვილი. ჩემს ძმადშეფიცულ ქუთაისელებს გზად შემოსაერთებლად ამზადებდა ენაკვიმატი ფასკვანჯია; ჩემი უფროსი მეგობარი და მასწავლებელი თამაზ გოგინაშვილი („სამსონი“) ბრძოლებში უკვე გამოცდილ ბოლნისელებს კრებდა; თავის ძველ ე.წ. „ჩიტო-გვრიტოებს“ თბილისის ზღვაზე იბარებდა პოლიტიკაში ჩემი გზის ერთ-ერთი პირველი გამკვალავი ზაზა დუმბაძე და 28-ე ბატალიონიდან მის მიერ გადმობირებული 12 ვაჟკაცის შემოერთებას სულმოუთქმელად ელოდებოდა.

ერთი დაძახებით ექვსასამდე შეიკრიბნენ. ბევრად მეტი, ვიდრე ნებისმიერ შენაერთს ან ფორმირებას ჰყავდა.

შეკრებაზე მოვიდა „ლეტუჩაია მიშის“ მეთაურთან ერთად გაცნობილი ტოლიკაც და წამოსვლისთვის მზადყოფნა გამოთქვა. ხელის ჩამორთმევით დავუდასტურე მადლიერება ისე, რომ ეჭვი, დაჯგუფების შიგნით რუსები საკუთარ თვალსა და ყურს ხომ არ მინერგავენ-მეთქი, სახეზე არ დამტყობია.

იმის მიუხედავად, რომ საორგანიზაციო საკითხებში ტოლიკა ნაკლებად მჭირდებოდა, მაინც მუდმივად ჩემ შორიახლოს ტრიალებდა. საკუთარ თავსა და წარსულზე არასდროს საუბრობდა. სახელი „ტოლიკაც“ ნამდვილი არ უნდა ყოფილიყო, თუმცა ზედმეტ კითხვებს მაინც არ ვუსვამდი – თუნდაც იმის შესახებ, თუ როგორ აღმოჩნდა გაბაფხულზე, ჩვენი გაცნობის დღეს თბილისის ზღვაზე „ლეტუჩებთან“ ერთად. სიმართლეს მაინც არ გვეტყოდა. ისეთის შემოგზავნას, ვისი ვინაობაც არ მეცოდინებოდა, ისევ ტოლიკა მერჩივნა. ჰამლეტ მერაბიშვილს შევახსენე, რომ მის მიმართ ყურადღება კვლავ არ მოედუნებინათ.

გამგზავრებისთვის საჭირო ტრანსპორტს, როგორც წესი, ავტოკოლონებში, სამშენებლო ტრესტებსა და სამგზავრო ავტობუსების ფარეხებში ეძებდნენ. ამ საკითხს, ძირითადად, ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსი აგვარებდა, პირადად ჯემალ ჭუმბურიძე რეკავდა და ითხოვდა. ზოგი კი თავისით დაეძებდა ტრანსპორტს პირადი შემადგენლობისა და ტექნიკისათვის. სატრანსპორტო გაერთიანებების ხელმძღვანელები გაგებით ხვდებოდნენ ამ მოთხოვნებს. სხვა რა გზა ჰქონდათ?! ერჩივნათ, თანხმობა ეთქვათ და ტრანსპორტი საკუთარ მძღოლთან ერთად გამოეყოთ, ვიდრე ძალით წაეყვანათ.

13 აგვისტოს დილას ზაზა დუმბაძის ინიციატივით პოლიტიკურ ლიდერებთან გავეშურეთ აზრის გასაგებად და რჩევის საკითხავად. ჯერ რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთ ლიდერს დავით ბერძენიშვილს შევხვდით. მისგან გავიგე, რომ ვიდრე სამხედროები იარაღდებოდნენ, „რესპუბლიკელები“ პარალელურად არძინბას

თამაშს მიჰყვებოდნენ და ორ სუბიექტს შორის პოლიტიკურ საკითხებზე, ფედერალურ მოწყობაზე, თბილისსა და სოხუმს შორის ფუნქციების გამიჯვნაზე მსჯელობდნენ ჯერ კიდევ ერთიანი საქართველოს ფარგლებში. იქიდან თავისუფლების მოედანზე მდებარე „სახალხო ფრონტის“ ოფისში ნოდარ ნათაძეს მივაკითხე. სამხედრო კამპანიას ისიც ეჭვის თვალით უყურებდა. შიშობდა, სოხუმში ცეცხლის ახალი კერის გაჩენა, ცხინვალის მსგავსად, რუსეთის სამშვიდობო ჯარების შემოყვანით არ დასრულებულიყო.

■

ბოლო 48 საათში გაწეული დიდი სამუშაოს შემდეგ მხოლოდ მაშინ დავმშვიდდი, როდესაც მწყობრად მდგარი შენაერთის დათვალიერებისას საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მარშისათვის მზად ვიყავით.

14 აგვისტოს ზაფხულის ცხელი დილა თენდებოდა.

სამტრედიაში, სასტუმროს წინ, მოედანზე საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ეროვნული გვარდიის ბატალიონები სრული შემადგენლობით ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ. ამ „ბატალიონების“ პირადი შემადგენლობა ხშირ შემთხვევაში ასეულს და ნახევარ ასეულსაც არ აღემატებოდა. ერთადერთი გამონაკლისი „თეთრი არწივი“ იყო, რომელიც, ჯერ კიდევ წინა ღამით ჩამოსული, ქუთაისის გასასვლელში, სოფელ ქვიტირის ტურბაზის ეზოში განზრახ ფეხს ითრევდა და თავმოყრის რაიონში სრული შემადგენლობით გამოცხადებას არ ჩქარობდა.

დილის 11 საათი იქნებოდა, როდესაც თბილისიდან მომავალი შსს-სა და ქალაქის სამმართველოს ექვსასამდე მსუბუქი ავტომანქანისგან შემდგარი კოლონა გამოჩნდა. გვერდით ჩავლისას ქვიტირთან დაბანაკებულ გვარდიელებს მედიდურად გადმოგვხედეს, თითქოს უნდოდათ, ეთქვათ: ხედავთ, აფხაზეთში პირველები ჩვენ მივდივართო! გზა ისე განაგრძეს, რომ სიჩქარეც არ შეუნელებიათ და ენგურის მეორე ნაპირისკენ გაემართნენ.

დღის 12 საათზე პუნქტუალურად, ისე როგორც სამხედრო პირს შეჰფერის, სამტრედიის სასტუმროში დროებით განთავსებულ კიტოვანის საველე შტაბში შევაბიჯე. გვარდიის თითქმის ყველა მეთაური ადგილზე დამხვდა. იქ იყო შსს-ს შინაგანი ჯარის სარდალი გელა ლანჩავა. ერთადერთი, ისევ არ ჩანდნენ „შავნაბადელთა“ მეთაურები. არ დავმალავ, ორი დღის წინ კამათით დასრულებული შეხვედრის შემდეგ ჩემმა დანახვამ თენგიზ კიტოვანი განსაკუთრებით გაახარა. გულთბილად მომიკითხა და თათბირი გახსნა.

ეროვნული გვარდიის ამოცანა სასტუმროს შენობაში შეკრებილ მეთაურებს თავდაცვის მინისტრმა პირადად გააცნო და კონკრეტული დავალებები მისცა. სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, მარშრუტზე რკინიგზის შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველსაყოფად ჩვენ გვევალებოდა გალის, ოჩამჩირისა და სოხუმის მისადგომებთან სამხედრო ბაზების განლაგება, ასევე, ხიდებისა და ესტაკადების 24-საათიანი დაცვა. დასახლებულ პუნქტებში წესრიგისა და კანონიერების დამყარება, მათ შორის, ზუგდიდის ან გალის რაიონებში ტყვეობაში მყოფი შსს-ს მაღალჩინოსნების მოძიება და გათავისუფლება შსს-ს დანაყოფების ამოცანას წარმოადგენდა. ეს ყველაფერი იმ დროს სახელმწიფოსთვის მართლაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო და, სავარაუდოდ, აფხაზეთის უშიშროების მინისტრის, ავთო იოსელიანის მეშვეობით არძინბასთან უნდა ყოფილიყო (იქნებოდა კიდეც) შეთანხმებული.

თენგიზ კიტოვანმა მხოლოდ იქ გაგვიმხილა, რომ გაგრა-ლესელიძეში კიდევ ერთი სამხედრო ბაზის მოსაწყობად „შავნაბადას“ ბატალიონი ფოთიდან ზღვით, სამხედრო კატარღით მეორე დილით უნდა დაძრულიყო. ამის გაგონებაზე მაშინვე გულმა რეჩხი მიყო, რადგან დესანტის გადასხმა ყოველმხრივ ალყაში მოქცევის მცდელობად იქნებოდა აღქმული აფხაზების მხრიდან და საწყის ეტაპზევე შეცვლიდა ამოცანის ხასიათს. არ ვიცი, ვინ ურჩია. ჩემთვის, 1992 წლის დასაწყისში მდინარე ფსოუზე ერთხელ უკვე ნამყოფისთვის, ერთი სიტყვაც რომ ეთქვათ ამის შესახებ, საკუთარ გავლენას გამოვიყენებდი და უცილებლად გადავათქმევინებდი. ახლა კი სამხედრო მეთაურებისა და უამრავი მასთან დაახლოებული სამოქალაქო პირის თანდასწრებით მინისტრთან კამათს აზრი აღარ ჰქონდა. ჩემს უარყოფით განწყობა-დამოკიდებულებას იმისადმი, რაც იმ ოთახში ხდებოდა, ნებისმიერი იქ მყოფი სახესა და ქცევაზე შემატყობდა. სავარაუდოდ, ეს არც თავდაცვის მინისტრისთვის დარჩენილა შეუმჩნეველი და ახალგაზრდა მეთაურის გულის მოსალბობად აფხაზეთის ჯარების სარდლად ჩემი კანდიდატურა დაასახელა.

შერიგების ჯილდოდ ყველას თვალწინ გულით შემოთავაზებულ სარდლობაზე ჩემი კატეგორიული უარი კორექტული ნამდვილად არ იყო. კიტოვანის სახეზე წყენამ წამიერად გაიელვა. ძველ წყენებს ახალი დაემატა, თუმცა არ შეიმჩნია. უხერხულობის განსამუხტავად გამოსავალიც თავადვე იპოვა და ხმამაღლა გამოაცხადა, სამხედრო ოპერაციას მე ვუხელმძღვანელებო. კვლავ უხმოდ აიტანა ჩემი თავნებობა და ჩვენ შორის გაჩენილი უკმაყოფილება კიდევ უფრო გაღრმავდა, თუმცა ურთიერთობა გარეგნულად ძველებური დარჩა.

თითქოს არაფერი მომხდარიყოს, კიტოვანი სენაკის რკინიგზის ბაქანზე ახალჩამომდგარი ეშელონიდან ახალციხეში დატვირთული ტანკების, ჯავშანმანქანებისა და ქვემეხების განაწილებას შეუდგა.

– რამდენმა კაცმა იცის ტრაქტორის ტარება? – ჰკითხა მან ქარელის ბატალიონის მეთაურსა და თავის ძველ მეგობარს, ტარიელ ბარბაქაძეს. ქარელის ბატალიონში ტრაქტორის ტარება თითქმის ყველამ იცოდა.

– ყველამ, „ბაწია“! – ღიმილით უპასუხა ტარიკომ.

– რამდენმა იცის ტრაქტორის ტარება, ვინც ტანკის მართვას შეძლებს? – ჰკითხა ჯავშანტექნიკის სამსახურის უფროსს ზაზა რუსაძეს.

– ოთხმა, – უპასუხა მან.

– მიეცით ოთხი ტანკი ქარელელებს, – მიმართა შეიარაღების უფროსს კიტოვანმა და ციფრები ფურცელზე ჩაინიშნა.

ასე სახელდახელოდ, პირდაპირ სასტუმროს ოთახში განაწილდა ჯავშანტექნიკა. საბჭოთა არმიის სატანკო ნაწილებში ჯარგამოვლილი მექანიკოსების სიმცირის გამო თავდაცვის მინისტრი ტრაქტორზე მუშაობის მცოდნეთა რაოდენობას კითხულობდა და თუნდაც მცირერიცხოვან ბატალიონებს ტანკებსა და ჯავშანტექნიკას ამის მიხედვით უნაწილებდა. სხვადასხვა ჯგუფს ჯამში ოცდაათამდე ერთეული საბრძოლო მანქანა გაუნაწილდა: T-54 ტანკი, „ბეემპე-1“ და „ბეემპე-2“. ბაქიდან ტექნიკის გადმოტვირთვის, ერთსაათიანი ზედაპირული დათვალიერების, ძრავაში წყლისა და ზეთის ნორმის შემოწმების შემდეგ სენაკი-ზუგდიდის საავტომობილო მაგისტრალზე ექსპრეზიდენტ გამსახურდიას რწმუნებულებს მკაცრად შეუთვალეს, სამშობლოს გასაერთიანებლად მივდივართ, ქართული საქმის გასაკეთებლად, ხელი არავინ შეგვიშალოსო და აფხაზეთის გზას დაადგნენ.

შინაგანი ჯარისა და შსს-ს, ასევე, ეროვნული გვარდიის ცალკეული ქვედანაყოფების ავტომანქანები და ჯავშანტექნიკა სოხუმისაკენ მიმავალ გზაზე ერთიმეორეს ასწრებდნენ, იოლ გამარჯვებაში დარწმუნებულნი.

მათგან განსხვავებით, სოფელ ქვიტირის გასასვლელთან დატოვებულ „თეთრი არწივის“ პირად შემადგენლობასთან თათბირიდან მშვიდად გამოვბრუნდი, ბატალიონი მწყობრში მოვაწყვე და მარშზე საბრძოლო განკარგულება გავაცანი – ზუსტად ისე, როგორც სახმელეთო ჯარების საბრძოლო წესდებაშია. კოლონაში ერთ რიგად სვლის სიჩქარე (60 კმ/სთ) და მანქანებს შორის დისტანცია (50 მეტრი) შევუთითე. პირველ და ბოლო მანქანას შორის რადიოკავშირი დავამყარე, რომ არავინ ჩამორჩენოდა, კიდევ სხვა წვრილმანი საორგანიზაციო საკითხები მოვაგვარე და მხოლოდ ამის შემდეგ დავიძარით.

დღის 3-4 საათისთვის, როდესაც კოლონა რუხის ციხეს უახლოვდებოდა, ენგურს გაღმიდან სამეგრელომდე მოღწეულმა აფეთქებისა და სროლის ხმებმა ქართველებსა და აფხაზებს შორის ბრძოლის მიმდინარეობა გვამცნო. გზაზე მაღალი სიჩქარით, ჩართული სირენით წინ და უკან მოძრავი სასწრაფო დახმარების მანქანები კი პირველი დაღუპულებისა და დაჭრილების არსებობას ადასტურებდა.

ძალიან გაბრაზებული ვიყავი. იმავე წლის თებერვალში მე, 25 წლის ბიჭმა, იმისთვის, რომ ენგურის ხიდს იქით აფხაზთა რაზმთან შეჯახებისთვის თავი ამერიდებინა, ხელმარცხნივ 20 კმ-ის სიმორიდან მოვუარე, მდინარე ფონით გადავლახე და მცირერიცხოვან მოწინააღმდეგეს ზურგში მოვექეცი. მხოლოდ ამის შემდეგ გავმართე მოლაპარაკება, რომ სროლის სურვილი არ გასჩენოდათ. შემდეგ ორჩამჩირისკენ სვლა მანამ არ განვაგრძე, სანამ ორჩამჩირელ აფხაზთა პირველ პირებს არ შევხვდი და ლაშქრობის მიზანი არ გავაცანი, გამწვავების თავიდან ასაცილებლად კი ტანკები დავტოვე. მდინარე ფსოუმდე ისე გავიარე, რომ აფხაზებისთვის ერთი ტყვიის გასროლის საბაბი არ მიმიცია. ეს მაშინ, როცა ქვეყანას ე. წ. სამხედრო საბჭო მართავდა. აქ კი, სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, შსს-სთან ერთობლივად დაგეგმილი ოპერაცია ჯერ ხეირიანად დაწყებულიც არ იყო და ორჩამჩირეში მისვლამდე უკვე სროლებისა და აფეთქებების ხმები ისმოდა.

რამდენიმე წუთში ჩემი ყურადღება მოულოდნელმა ხმაურმა მიიპყრო. სოფელ რუხის ერთ-ერთი მცხოვრების ეზოსთან წყლის სათხოვნელად მისულ გვარდიელს სამოცამდე წლის ჩია მამაკაცი ჯოხით გამოუდგა და ცრემლმორეული ისტერიულად უყვიროდა, აქ არ დამენახოთ, თქვე მკვლელებოო! როგორც კი ტყვიებით დაცხრილულ სახლის კარსა და კედელს შევავლე თვალი, მაშინვე ვიცანი: რამდენიმე თვის წინათ ზუგდიდში, ორმხრივი სროლისას ბრმა ტყვიამ ამ სახლში ახალგაზრდა ქალი იმსხვერპლა. ბედის ირონია იყო, რომ კოლონის გასაჩერებლად შემთხვევით შერჩეულმა ადგილმა წარსულის მწარე ამბავი გამახსენა. სინდისის ქენჯნამ წყურვილის გრძნობაც კი გამიქრო.

იქაურობას გავეცალეთ. კოლონამ ენგურის ხიდი გადაკვეთა და გალის მისადგომებთან შეჩერდა, სადაც გზაზე გამოფენილი ასობით ადამიანი ახალ ცნობებს მღელვარებით ელოდებოდა. იქვე იყო გალის გამგებელი რუდიკ ცატავა.

გალთან ვიყავით, როდესაც ექსპრეზიდენტის მომხრეების მიერ დატყვევებული შსს-ს მაღალჩინოსნების გათავისუფლების ამბავი შევიტყვე. ის, რაც ამ ამბავს მოჰყვა, სრულიად განსხვავდებოდა იმ ამოცანისგან, რომელიც კიტოვანმა თათბირზე გაგვაცნო: ქალაქებში კანონიერება და წესრიგი პოლიციელებს უნდა და-

ემყარებინათ, სამხედროებს ქალაქებში შესვლა ეკრძალებოდათ, მათ მხოლოდ რკინიგზის მაგისტრალები უნდა გაეკონტროლებინათ.

მას შემდეგ, რაც პოლიციელებისთვის დატყვევებულების გათავისუფლების ამბავი გახდა ცნობილი, ვიღაცამ მათი თბილისში დაბრუნების ბრძანება გასცა, რადგან მიიჩნია, რომ თუ მინისტრი თავისუფალია, ამოცანაც შესრულებულია. მოტრიალდნენ და 2000-მდე პოლიციელმა, ამჯერად უკვე საწინააღმდეგო მიმართულებით, ისევე ჩაგვიქროლა, როგორც დილით – სოფელ ქვიტირთან და უკვე ბრძოლის პლაცდარმად ქცეული რეგიონი ისე დატოვეს, რომ კითხვა: სახელმწიფო საბჭომ პოლიცია სინამდვილეში რა დავალებით გამოუშვა? – ჩემთვის პასუხგაუცემელი დარჩა.

გაურკვეველი ვითარება შეიქმნა – ზოგი სოხუმისკენ მიიჩქაროდა, ზოგი კი თბილისში ბრუნდებოდა. ამ გაურკვევლობის მთავარი მიზეზი, ისევე როგორც ცხინვალის კამპანიის დროს, დასახული ამოცანის ბუნდოვანება იყო.

იმ დროს, როდესაც შსს-ს შინაგანი ჯარის სარდალი გელა ლანჩავა ერთი ბატალიონით ოჩამჩირის მისადგომებთან თავდაცვის ზღუდეს იკავებდა, „ჩოლოყაშვილის პოლკის“, ორხევის ბატალიონისა და სხვა მოწინავე ჯგუფები „მგლური“ სრბოლით უკვე სოხუმის მისადგომებს უახლოვდებოდნენ და აღარ იცოდნენ, შემდგომ რა გაეკეთებინათ.

გალისა და ზუგდიდის ადგილობრივი ხელმძღვანელები კიტოვანს დაეძებდნენ. ყველა გამვლელ სამხედრო პირს ეკითხებოდნენ, კიტოვანი ხომ არ გინახავთ, შევარდნაძე ეძებს და ითხოვს, სასწრაფოდ ტელეფონით დამელაპარაკოსო, მაგრამ ენგურს გაღმიდან და გამოღმიდან მომავალი გვარდიელები მხრებს იჩეჩავდნენ. არავინ იცოდა, კიტოვანი სად იყო.

უცებ ენგურის ხიდზე ხალხში ჩოჩქოლი ატყდა, თითქოს იმედი გაუათმაგდათ, ითქვა, აგერ თენგიზიც მოვიდაო და გასასვლელი გაუხსნეს. გალის გამგებელმა შევარდნაძის მოთხოვნა მინისტრს პირადად აცნობა.

– ზუგდიდის ან გალის უშიშროების განყოფილებიდან დარეკეთ, – შესთავაზა კიტოვანს უშიშროების უფროსმა.

– დავრეკავ! – უპასუხა თავდაცვის მინისტრმა, შეკრებილი ხალხი დაამშვიდა, ყველაფერი კარგად მიდისო. შემდეგ მეთაურებს მოუწოდა, გზა გააგრძელეთ, მე დასარეკად ვბრუნდებიო და აღმოსავლეთისკენ გაეშურა.

ნაცვლად იმისა, რომ უკვე სოხუმში „წითელ ხიდს“ მიმდგარ ძირითად ძალებს დროულად დავწეოდი, კვლავ განზრახ ვითრევდი ფეხს. თითქოს საველე სწავლებებზე ვიყავი, თითქმის ორ კილომეტრზე გაჭიმული სამოცამდე მანქანისაგან შემდგარი კოლონით უცვლელი 50 კმ/სთ სიჩქარითა და 50 მეტრი დისტანციით ვაგრძელებდი სვლას და წესრიგის შენარჩუნების საბაბით სოხუმთან, დათქმულ თავმოყრის რაიონში დროულად გამოცხადებას არ ვჩქარობდი. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, მოვლენებისთვის შორიდან მეცქირა.

როგორც მოსალოდნელი იყო, დივიზიის ავტოპარკის ბოქსებში წლებისა თუ ათწლეულების განმავლობაში დაკონსერვებული, ათასგვარ ზეთსა და საცხში შენახული ტექნიკა 40-გრადუსიან სიცხეში 100 კმ-ზე მარშისათვის სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა. ზეთის გასხმის, ძრავაში წყლის ადუღებისა და გადაწვის მიზეზით გზადაგზა გაჩერებული ტანკებისა და ჯავშანმანქანების დანახვა ჩემთვის მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა.

გზაზე გამოფენილი ადამიანები მიმავალ კოლონებს განსხვავებულად ხვდებოდნენ: ქართველები აღფრთოვანებას გამოხატავდნენ, აფხაზები კი – დაუფარავ სიძულვილს. ექსპრეზიდენტის მომხრეები ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყვნენ, რა პოზიცია დაეკავებინათ.

დღის 5 საათი იქნებოდა. კოლონა მდინარე ტამიშის ხიდს უახლოვდებოდა, რომელსაც მარჯვნიდან თავზე ანუარხუს გორაკი დაჰყურებს. შემაღლებულზე მწვანე ფოთლებით შებურული ტყის მასივი შორიდანვე საეჭვოდ მეჩვენა, ამიტომ სათავეში მიმავალი, კოლონას გამოვეყავი, სვლა შევანელე და თვალებთან ორი თითის მიტანის ჟესტით რიგრიგობით გასწრებულ მანქანებში მსხდარ იარაღმომარჯვებულ თანამებრძოლებს უფრო მეტი ყურადღებისკენ მივანიშნე. გული მიგრძნობდა, სადღაც შორიახლო, გზის პირას ჩასაფრება აუცილებლად იქნებოდა. ინტუიცია, წინათგრძნობა ყოველთვის იყო ჩემი იარაღი და ჯავშანი. 600-მდე თვითმხილველი დამემოწმება, რომ წინათგრძნობას ჩემთვის არც იმ დღეს უღალატია.

მკაცრი წესრიგით გაჭიმულ მანქანების რიგში ერთი УАЗ-469-ის მარკის მანქანის წინ და უკან მიმოსვლა მიწათხრილში ჩასაფრებულებს შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ და დიდი მიხვედრა არ უნდოდა იმას, რომ ის მეთაურის იქნებოდა. გორაკთან მიახლოებისთანავე მარჯვენა მხარეს, ტყიანი ფერდობიდან ავტომატის ტყვიები წამოვიდა. „კოლონა, სდექ! მანქანიდან! გაიშალეთ! დაწექით!“ – მეგაფონით ამ განკარგულებების გაცემისთანავე მანქანებიდან ჩამოქვეითებულმა ძირითადმა ნაწილმა პოზიციები გზის მარცხენა მხარეს დაიკავა. მანქანიდან მეც გადმოვედი, გზიდან ხელმარჯვნივ გადავირბინე და იქვე, ფერდობის ძირში, მინდვრის მწვანე ზოლზე საბრძოლო პოზიცია დავიკავე. სროლა-სროლით მომყვნენ ჩემ წინ და უკან მომავალი მანქანებიდან გადმოსულებიც: ჩემი ძმა – გოჩა, გიო, მამუკა, ბადრი და კიდევ ათამდე გვარდიელი. გაცემული ბრძანების – „დაწექით!“ – შესრულებით კმაყოფილმა შეფოთლილი ტყის წინ, 20-30 მეტრში იმ მინათხრილს გავხედე, საიდანაც, სავარაუდოდ, გვესროლეს. ავის მომასწავებელი სიჩუმე სუფევდა. შემდგომი გადაწყვეტილების მიღებამდე ადგილმდებარეობის შესაფასებლად რამდენიმე წამი დაფიქრებაც კი ვერ მოვასწარი, რომ გვერდით მინაზე გართხმული ჩემი ძმა მოულოდნელად ფეხზე წამოდგა და ნელი ნაბიჯით პირდაპირ მსროლელის სავარაუდო მინათხრილისკენ დაიძრა. ისე კი არა, სპეცრაზმელი მონინააღმდეგის სავარაუდო ადგილსამყოფელს ავტომატის სამიზნის ქვეშ რომ ამოიღებს, მეორე კი ზურგიდან აზღვევს ხოლმე, არამედ თავზეხელაღებულად, ყოველგვარი გაფრთხილებისა და დაზღვევის გარეშე. მსროლელი ისევ იქ რომ ყოფილიყო, პირველივე ტყვიით მოცელავდა. მღელვარებისგან გული ამიჩქარდა. ის სულით, მონოდებით ჯარისკაცი არასდროს ყოფილა. არც სამხედრო საქმის პროფესიონალური ცოდნა იყო მისი ძლიერი მხარე. ახლომხედველობის გამო სავალდებულო სამხედრო სამსახური შუაგულ რუსეთში, ვოლგოგრადთან, კაპუსტინ-იარის კოსმოდრომის პოლიგონზე, სამშენებლო ბატალიონში ჰქონდა გავლილი. თითქმის 2 მეტრი სიმაღლის ძვალმსხვილი ჭაბუკი მარტოდმარტო, უშიშრად მიდიოდა, მხარზე 7,62-მმ-იანი ავტომატი გადაეკიდა, როგორც მეორე მსოფლიო ომზე გადაღებულ ფილმებში გერმანელებს ე. წ. შმაისერები და გაფრთხილება – „გოჩა, დაწექი, მოგკლავენ!“ – არ ესმოდა.

პირველად გონებაში მაშინ გამიელვა აზრმა, რომ ეს ომი ჩემს ძმას აუცილებლად შეიწირავდა. ამ ფიქრით შეძრწუნებული უმალ წამოვდექი და, თავადაც სამიზნედ ქცეული, სროლის სავარაუდო ადგილისკენ გავეშართე. იგივე გააკეთეს

ბიჭებმაც და სწრაფი ნაბიჯით, სხვადასხვა მხრიდან შემოვლით ერთდროულად დავადექით მიწათხრილს თავზე.

დაიმახსოვრეთ ეს ადგილი – ანუარხუს გორაკი. აქ კიდევ ბევრი ქართველის სისხლი დაიღვრება და აუღებელ სიმაგრედ იქცევა.

ტყის პირას წინასწარ მომზადებული ერთი მეტრი სიღრმისა და ორი მეტრი სიგანის თხრილი უკან ბუნებრივ ვიწრო ხევს უერთდებოდა. ძირს უფილტრო სიგარეტის ნამწვების დიდი გროვა და ავტომატის ახლად ნასროლი ტყვიების ჯერ კიდევ ცხელი მასრები ეყარა. ჩასაფრებისა და სროლისათვის გარემოსთან შეხამებული სნაიპერის სანგარი სამხედრო წესის სრული დაცვით იყო გათხრილი. სიღრმეც საკმარისი ჰქონდა. ორ ფერდობს შორის სანგრისაკენ შემომავალი ხევი ჩასაფრებულს უკან დახევისა და გაუჩინარების საშუალებას აძლევდა. ეტყობოდა, რომ სამხედრო საქმის მცოდნეს შესაფერისი ადგილი ადრევე მოენახა და მოემზადებინა. აშკარა იყო, რომ აფხაზები ხანგრძლივი ომისა და პარტიზანული ბრძოლისათვის წინასწარ მომზადებულიყვნენ. ამ ერთ ეპიზოდშიც კი ნათლად იკითხებოდა, როგორი ხასიათის ომი გველოდა. კვლავ ორი დღის წინ ჩატარებული თათბირი გამახსენდა. როგორ ვთხოვდი, ვაფრთხილებდი, არ შესულიყვნენ! ჯერ სოხუმშიც კი არ ვიყავით ჩასულები, მაგრამ უკვე ვგრძნობდი, რა მძიმე ომში ეფლობოდა ქვეყანა.

აფხაზი პარტიზანის თავდასხმას უმსხვერპლოდ მაინც არ ჩაუვლია. ტყიდან გამოსროლილი ტყვიით მოხალისე ნიკა მახაშვილი დაიჭრა, რომელიც გიო ახობაძის თხოვნით ჩვენს შენაერთში ოთხიოდე საათის წინ მივიღეთ სოფელ ქვიტირთან. ის „თეთრი არწივიდან“ პირველი დაჭრილი იყო ჯერ არდაწყებულ ომში. სისხლში მოსვრილი ნიკა მანქანიდან ფრთხილად გადმოვიყვანეთ, რათა „სასწრაფოთი“ ქუთაისის საავადმყოფოში გაგვეგზავნა.

სანამ ერთ ადგილს ვტკეპნიდით, ჩვენს თავზე ქართული ესკადრილიის ახალი, მფრინავ ჯიმი მაისურაძის Ми-24 ტიპის საბრძოლო შვეულმფრენი გამოჩნდა. ერთხელ გარშემო შემოიფრინა, არემარე დაზვერა და ნელ-ნელა, ფარფატ-ფარფატით დაჯდა. გამიხარდა ჩემი უფროსი მეგობრის ნახვა. ერთმანეთს თბილად მივესალმეთ. ქართული არმიისთვის საბრძოლო შვეულმფრენის შემომატებით კმაყოფილი იყო და სიხარულს ვერ მალავდა. იმდენი საბრძოლო გაფრენა ჰქონდა შესრულებული საბჭოთა არმიაში ცხელ წერტილებში მსახურებისას, რომ ერთი სული ჰქონდა, ტყიდან თავხედური თავდასხმის საბაბით Ми-24 შვეულმფრენის საბრძოლო ნათლობა მოეხდინა. ხანმოკლე საუბრის შემდეგ შვეულმფრენი ადგილიდან აიწია, ხიდის თავზე 100 მეტრის სიმაღლეზე დაეკიდა და ტყისკენ გასროლილი უმართავი რაკეტებით არემარე გააყრუა. ყველამ თვალნათლივ დაინახა ავღანეთის ომში გამოცდილი საბრძოლო შვეულმფრენის შესაძლებლობები.

იმ დღეს დანიშნულ ადგილამდე ჩასვლა მაინც არ გვეწერა. წინ, ორასიოდე მეტრში მდინარე ტამიშზე გადასასვლელი ხიდი აფეთქებული დაგვხვდა. ხიდის შემოსავლელად მდინარის ფონის გადალახვის მცდელობას მექანიკოსის გამოუცდელობის გამო „ემტეელებეს“ მუხლუხის გაწყვეტა მოჰყვა. სანამ მექანიკოსს ჩემთვის გერმანიიდან და ჯულფიდან კარგად ნაცნობი საბრძოლო მანქანის მუხლუხის გაკეთებაში ვეხმარებოდი, მოსაღამოვდა კიდეც და იქაურობა ძალიან მალე უკუნეთ წყვდიადში ჩაიძირა. იძულებული ვიყავი, გუშაგები დამეყენებინა და ღამე იქვე გაგვეთენებინა.

მცირე ბრძოლის შემდეგ, ჩემთვის უცნობი მიზეზით, ეროვნული გვარდიის მოწინავე რაზმებმა სვლა შეწყვიტეს და „გოსდაჩასთან“ დაბანაკდნენ, ასე რომ, აჩქარებას აზრი მაინც არ ჰქონდა.

ოჩამჩირის რაიონში გზაზე გაჩერებული, ტანკებითა და ქვემეხებით შეიარაღებული ქართული სამხედროების შემხედვარე, ადგილობრივი მილიციისა და სანადირო თოფებით შეიარაღებულ მონადირეთა მცირე ჯგუფების იმედად დარჩენილი ტყვარჩელის მოსახლეობა ძალიან ღელავდა. რუსეთის ტელევიზია დაუცველ ქალაქში მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურების საფრთხეზე ლაპარაკობდა. სიმართლე გითხრათ, სამხედრო თვალსაზრისით ტყვარჩელში შესვლა დიდ სირთულეს მართლაც არ წარმოადგენდა, თუმცა მორალურად გაუმართლებელი და ძნელად ასახსნელი იქნებოდა მშვიდობიანი ქალაქის დაკავება, საიდანაც ადგილობრივებს გასაქცევიც კი არსაით ჰქონდათ.

არ დაიჯეროთ, თუ ვინმე იტყვის, რომ ქართველები მშვიდობიან აფხაზ მოსახლეობას გენოციდს უწყობდნენ ან ამის განზრახვა ჰქონდათ. აფხაზეთში თუნდაც გაუაზრებელი შესვლისა და აფხაზური საზოგადოებისთვის მიყენებული წყენისა და ტკივილის მიუხედავად, ამ გადაწყვეტილების გამო ჩადენილი სხვა უამრავი შეცდომისა და არასწორი ქმედების ფონზე, ქართველები უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლს ერიდებოდნენ და დაუცველ ქალაქებზე თავდასხმა არ იკადრეს, ისევ და ისევ მშვიდობიანი მოსახლეობის სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად. პოლკოვნიკი გუჯარ ყურაშვილი ოჩამჩირიდან ტყვარჩელისკენ მიმავალ გზაზე აფხაზური ქალაქის გამგებელს შეხვდა და სიმშვიდის სანაცვლოდ თავდაუსხმელობის გარანტია მისცა.

კონფლიქტის სწრაფი ესკალაცია

მეორე დილით, მე-20 საუკუნეში დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო ისტორიაში შეორედ, ფოთიდან ლესელიძეში ზღვით, ორი ბარჟით და ერთი კომეტით „შავნაბადას“ ბატალიონი გადაისხა.[151] ოპერაცია იმდენად იყო გასაიდუმლოებული, რომ არც ადგილობრივებმა და არც დამსვენებლებმა არაფერი იცოდნენ, როდესაც დესანტი ნაპირზე გადავიდა.

მათი დაუპატიჟებელი სტუმრობა აფხაზებმა, არც თუ უსაფუძვლოდ, ბლოკადაში მოქცევის მცდელობად აღიქვეს და სანაპიროსთან მიახლოებისთანავე „შავნაბადელთა“ დესანტს ცეცხლი გაუხსნეს. დაიჭრა კომეტის კაპიტანი.

ნაპირზე დესანტი ორ ნაწილად გაიყო. ჯგუფს, რომელიც სახელმწიფო საზღვრისკენ გაემართა, ჩასაფრებიდან ცეცხლი კიდევ ერთხელ გაუხსნეს. პირველი მსხვერპლი 26 წლის წარმატებული მორაგბე კოკა კლდიაშვილი იყო. ჩასაფრებიდან ცეცხლი გაუხსნეს გაგრისკენ ქვეითად მიმავალ მეორე ჯგუფსაც, რასაც თბილისელი მხატვარი სანდრო ვაჩეიშვილი შეეწირა. იგი საერთოდ წინა დღეს იყო ჩასული ფოთში მეგობრებთან და ვერაფრით გადაათქმევინეს, რომ აფხაზეთში არ წასულიყო. მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილების დახშობისათვის სროლას კიდევ ორი „შავნაბადელი“ ემსხვერპლა – ლაშა დუნდუა და ასმეთაური ზურა ჯარიაშვილი. შეტაკებისას მძიმედ დაიჭრნენ მათი სამხედრო მეთაური, სრულიად ახალგაზრდა კობა კობალაძე და შტაბის უფროსი, კადრის ოფიცერი მიშა სადუნიშვილი. ასეთი იყო ლესელიძეში დესანტის გადასხმის ოპერაციის შედეგი.

[151] პირველ გადასხმად 1919 წელს სოფელ ანაკლიიდან ოჩამჩირეში გენერალ მაზნიაშვილის მიერ ქართული რაზმების ბარჟით შეყვანა ითვლება.

ბარჟაში რუსების ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დაზვერვის მოქმედი ხელმძღვანელი, პოდპოლკოვნიკი კლაჩკოვიც იჯდა, იგივე საშა, იგივე „ბორისიჩი". თავისი პროფესიული ცოდნით ის მიუძღოდა გულანთებულ „შავნაბადელებს". ხელწერა ნაცნობი იყო: რუსებმა საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად და მოვლენების მათთვის სასურველი სცენარით განვითარებისთვის თბილისში „ლეტუჩაია მიშის" მეთაური „მიხალიჩი" მომამაგრეს, ცხინვალსა და ახლა უკვე სოხუმში „ტოლიკა" გამოგზავნეს, „შავნაბადას" მეთაურებს კი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დაზვერვის სამმართველოს ხელმძღვანელი მიუჩინეს. ვინ იცის, კიდევ ვისთან ვინ ჰყავდათ „მიმაგრებული"?!.. ეს იყო მათი „მოკრძალებული წვლილი" აფხაზეთში ომის დაწყებაში, რომელიც ზოგ პოლიტიკურ ხელმძღვანელსა და სამხედრო მეთაურს უანგარო დახმარებად მიაჩნდა. პირადად მე, მათ მიმართ მუდმივად უნდობლად განწყობილს, ერთი წამითაც კი არ მიფიქრია, რომ რუსებს მხოლოდ კეთილი მიზნები ამოძრავებდათ.

15 აგვისტოს, დღის პირველი საათისათვის, როდესაც ზღვის სიახლოვეს, მდინარე კელასურის შესართავთან ბანაკი გავმართეთ, ცნობილი გახდა, რატომ რეკავდა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე და რატომ ითხოვდა ასე დაჟინებით კიტოვანთან საუბარს: მისი მითითება იყო, ჯარს სოხუმი არ დაეკავებინა და ქალაქგარეთ დაბანაკებულიყო. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ბორის ელცინს ედუარდ შევარდნაძესთან ტელეფონით საუბრისას კატეგორიულად მოუთხოვია, ქართული ჯარები სოხუმში არ შესულიყვნენ, თითქოს სწორედ ასობით ტანკისა და ქვემეხის გადმოცემით გამოჩენილი მათი მოულოდნელი გულუხვობა არ გამხდარიყოს აფხაზეთში შესვლის წინაპირობა.

სადავეების ხელში ასაღებად თავდაცვის მინისტრი იმავე დილით სოხუმში ჩავიდა და სინოპში, „გოსდაჩაზე" დაიდო ბინა, თუმცა უკვე გვიანი იყო.

აფხაზები გუმისთის იქით გარბოდნენ, ქართველი სამხედროების შესვლით დამფრთხალი რუსი ტურისტები სახლში ბრუნდებოდნენ, დამსვენებელი სომხები სომხეთში მიდიოდნენ, შეშინებული ადგილობრივი ბერძნების ნასაყვანად საბერძნეთი გემს გზავნიდა... ვინც არ გარბოდა, ზოგი განაწყენებული, ზოგი რუსებისგან წაქეზებული, იარაღს იღებდა და ქართველებს ბრძოლას უცხადებდა.

ბედისწერის ბორბლის უკან დასატრიალებლად თენგიზ სიგუა და ჯაბა იოსელიანი, შევარდნაძის დავალებით, აფხაზ ლიდერებთან მოლაპარაკების გასამართავად სოხუმში ჩაფრინდნენ, თუმცა უშედეგოდ. არძინბა აფხაზური დელეგაციის წევრებს მცირე კომპრომისზე წასვლასაც კი უკრძალავდა და ერთადერთი პირობით თანხმდებოდა მოლაპარაკებას: ქართულ სამხედრო ფორმირებებს აფხაზეთი დაუყოვნებლივ, სრულად და უპირობოდ უნდა დაეტოვებინათ. სხვა შემთხვევაში პარტიზანული ბრძოლებით იმუქრებოდა, თითქოს ტანკები და ქვემეხები ქართველებს კი არა, მას უმაგრებდა ზურგს. ამ ულტიმატუმის მიღება იმას ნიშნავდა, რომ თუ მანამდე არძინბა აფხაზეთის დამოუკიდებლობისათვის შეფარვით მოქმედებდა, ახლა უკვე ცხადად აისრულებდა სეპარატისტულ სურვილებს.

უშედეგო მოლაპარაკებით შეშფოთებული სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელები რკინიგზის დაცვის წარუმატებელ სამხედრო კამპანიას ერთმანეთს აბრალებდნენ. ჯაბა იოსელიანი კიტოვანისგან ითხოვდა პასუხს, კიტოვანი შევარდნაძისკენ იშვერდა ხელს – იმას რომ არ შევეჩერებინე, აქამდე ფსოუმდე გასული ვიქნებოდიო, შევარდნაძე კი ელცინთან სატელეფონო საუბარს ახსენებდა, სადაც რუსეთის პრეზიდენტმა კატეგორიულად მოსთხოვა, სოხუმში არ შეხვიდეთო. საბოლოოდ,

ჯაბა იოსელიანმა თავდაცვის მინისტრს განუცხადა, როგორც დაიწყე, ისე მიხედეო და თბილისში გაემგზავრა.

მე ისევ განცალკევებით ვიდექი მდინარე კელასურის შესართავთან, ყველაზე განაწყენებული და ცოტა გაბრაზებულიც. ძირითადად, ჩემს შენაერთში დისციპლინის შენარჩუნებისთვის ვირჯებოდი, ვცდილობდი, საყოველთაო გაურკვევლობით გამოწვეული ქაოსი ჩემს მებრძოლებს არ გადასდებოდათ.

ეს გზა ერთხელ უკვე გავლილი მქონდა, მძიმე ტექნიკით შესვლასთან დაკავშირებით აფხაზების განწყობა-დამოკიდებულებას კარგად ვიცნობდი. სამხედრო ხელმძღვანელებს შეუფერხებელი სარკინიგზო მიმოსვლის უზრუნველსაყოფად ისე უნდა ნარემართათ საჭირო ჯავშანტექნიკით ე. წ. სამშვიდობო ოპერაცია, რომ არც აფხაზებსა და არც ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს ეს მოქმედებები სამხედრო აგრესიად, ქართული ჯარი კი მტრად არ აღექვათ, თუმცა წარმატებისათვის ესეც არ იყო საკმარისი წინაპირობა.

თებერვლის ლაშქრობის ანალოგიურად კოლონა გალის მისადგომებთან რომ შეეჩერებინათ და არძინბასთან მოლაპარაკება კიტოვანს ჰირადად გაემართა, მისთვის სამხედრო გადაადგილების მიზანი და ამოცანა გაეცნო – როგორც ამას სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე შემდგომში გაკეთებული განცხადებებით ირწმუნებოდა, რომ „ჰირადად დაავალა კიტოვანს, დაერეკა არძინბასთვის და აფხაზეთში სარკინიგზო ხიდების დაცვისა და უსაფრთხო მიმოსვლის უზრუნველყოფისათვის ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფების განლაგების გეგმა წინასწარ შეეთანხმებინა“ და სამხედრო ოპერაციის წარუმატებლობას ამ დავალების იგნორირებით ხსნიდა – ამ შემთხვევაშიც კი ძნელად წარმომიდგენია, შეთანხმება შემდგარიყო.

1992 წლის თებერვალ-მარტში აფხაზეთში, ენგურიდან ფსოუმდე წარმატებით, წინააღმდეგობის გარეშე განხორციელებული მარშის წინაპირობას წინასწარ შეთანხმება კი არ წარმოადგენდა, არამედ მაშინდელი ხელისუფლების სათავეში მყოფი თენგიზ კიტოვანისადმი რუსეთის ხელისუფლების კეთილგანწყობა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მხარდაჭერა.

იმ დროისათვის პოსტსაბჭოთა სივრცეს დასავლეთი რუსეთის გავლენის სფეროდ მიიჩნევდა და დასავლეთის ქვეყნები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების შიდა საკითხებში ჩარევისგან თავს იკავებდნენ. ასეთი მასშტაბის ოპერაცია გასაგები, მისაღები და ადვილად ასახსნელი, უპირველეს ყოვლისა, რუსეთისთვის უნდა ყოფილიყო.

ასე რომ, იქნებ ჯობდა, შევარდნაძეს მანამდე გაემართა რუსეთის პრეზიდენტთან სატელეფონო საუბარი, ვიდრე სახელმწიფო საბჭო აფხაზეთში შესვლის გადაწყვეტილებას მიიღებდა. რკინიგზის ნორმალური მუშაობის აღდგენასთან დაკავშირებით რუსეთის, სომხეთისა და საქართველოს საერთო ინტერესების თანხვედრით იქნებ დასახული ამოცანის შესრულებაც მოხერხებულიყო.

შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმაც დაადასტურა, რომ პოლიტიკური ხელისუფლების მიერ სამხედროებისთვის დასახული ამოცანა იმთავითვე წარუმატებლობისთვის იყო განწირული. სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის მიზნით აფხაზეთში ტანკებითა და ქვემეხებით შესული სამთავრობო ძალები, ისევე როგორც მთელი ქართველობა, აფხაზებმა საწყის ეტაპზევე აფხაზური მიწის დამპყრობლებად, ოკუპანტებად შერაცხეს და თანამოძმეებს ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდეს.

„კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია“ მთის ხალხებს მოუწოდებდა, აფხაზეთში მოხალისეები გაეგზავნათ და „დაუცველ აფხაზ ერს“ „შეიარაღებული აგრესორის“ მოგერიებაში დახმარებოდნენ.[152] მათი განცხადებების პათოსი: „აფხაზეთში ჩრდილოკავკასიელთა შეიარაღებული ფორმირებები გადაისროლეთ“; „დახოცეთ და ნაკუწებად დაჭერით ქართველები“; „იბრძოლეთ და გაანადგურეთ ყველგან, სადაც არ უნდა იმყოფებოდეთ, რუსეთის ტერიტორიაზე იქნება ეს, თუ სხვაგან“; „ქართველები მძევლად აიყვანეთ“; „თბილისი უბედურების ზონად გამოაცხადეთ“; „დააკავეთ და კონფისკაცია გაუკეთეთ ყველა იმ ტვირთს, რომელიც საქართველოსათვის არის განკუთვნილი“ და ა.შ. – კავკასიაში კონფლიქტის ახალი კერის გაჩენისადმი რუსეთის სპეცსამსახურების და სამხედრო ხელმძღვანელების განწყობა-დამოკიდებულებას აშკარას ხდიდა.

კონფედერატების განცხადებას ემატებოდა ზვიად გამსახურდიას მიმართვა – საკადრისი პასუხი გაეცათ შევარდნაძის ბანდებისათვის. ეს ნათელს ხდიდა, რომ არც ექსპრეზიდენტის მომხრეები აპირებდნენ, რკინიგზის გასწვრივ, ფოთლოვანი ტყის მასივებში განლაგებული სამთავრობო ძალების გადაადგილებას უმოქმედოდ შეჰგუებოდნენ და მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სარკინიგზო თუ ლოჯისტიკისთვის აუცილებელი საავტომობილო ტრანსპორტის მიმოსვლა დაეშვათ.

კონფლიქტის ესკალაციას წინ ვეღარაფერი დაუდგებოდა.

მათივე ხელშეწყობით გაჩაღებული კონფლიქტის სრული კონტროლის ქვეშ მოსაქცევად რუსულმა სამხედრო მანქანამ აზერბაიჯანის ქალაქ კიროვაბადში (ახლანდელი განჯა) დისლოცირებული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მე-4 არმიის საჰაერო-მოიერიშე დივიზიიდან 204-ე საჰაერო-მოიერიშე პოლკი გუდაუთაში საბრძოლო მოქმედების დაწყებისთანავე გადასხა.

ამ დაპირისპირებაში ყველა მხარეს საკუთარი პოლიტიკური მიზანი ამოძრავებდა. აფხაზთა დიდ ნაწილს უნდოდა, საკუთარი სახელმწიფო ჰქონოდა. ერჩივნათ, ნებისმიერთან ერთად ეცხოვრათ – ჩეჩნებთან, რუსებთან, ოღონდ არა ქართველებთან. ექსპრეზიდენტსა და მის მომხრეებს რევანში სწყუროდათ, ხელისუფლებაში დაბრუნება ნებისმიერ ფასად უნდოდათ. ჩრდილოკავკასიელთა ჯგუფებს რაღაც გაუგებარი, მთიელ ხალხთა სახელმწიფო წარმონაქმნის შექმნა სურდათ – ყოველ შემთხვევაში, სოხუმში „კაგებეს“ მიერ გამოგზავნილი იუსუფ სოსლანბეკოვი[153] თავს ამ „სახელმწიფოს“ ლიდერად მოიხსენიებდა. რუსებს ისევ საბჭოთა იმპერიის აღდგენის განზრახვა ჰქონდათ, რუს გენერლებს იარაღის გაყიდვით ფულის შოვნა უნდოდათ, როგორც მებადურს – მღვრიე წყალში თევზის დაჭერა. ქართველები თანახმა იყვნენ ერთიან ქართულ-აფხაზურ სახელმწიფოზე, ოღონდ ცენტრისთვის მინიჭებული უპირატესობით.

თითქმის ერთსულოვანი სეპარატისტული განწყობის მიუხედავად, აფხაზურ საზოგადოებასა და პოლიტიკურ ელიტაში ომისა და არძინბას აგრესიული პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულება ერთგვაროვანი არ იყო. ბევრი აფხაზი პოლიტიკოსი და ავტორიტეტული ადამიანი არძინბას რადიკალურ განცხადებებს მხარს

---

[152] 18 აგვისტოს „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციამ“ პარლამენტის საგანგებო სხდომაზე მიიღო დადგენილება აფხაზი სეპარატისტებისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენის შესახებ. 21 აგვისტოს კი საქართველოს ომი გამოუცხადა.

[153] 1992 წლიდან სოსლანბეკოვი „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის“ ერთ-ერთი ლიდერი და აფხაზეთში „კონფედერანტთა ლაშქრობის“ ორგანიზატორი იყო.

არ უჭერდა, ისინი კარგად აცნობიერებდნენ, რომ აგრესია აფხაზებს სასტიკი და ხანგრძლივი ომისკენ მიაქანებდა. მათ შორის წინააღმდეგობა დღითიდღე ღრმავდებოდა. როგორც აფხაზები ამბობდნენ, გუდაუთაში არძინბას პოლიტიკას ბევრი ეწინააღმდეგებოდა, ის კი თავის პოლიტიკურ კურსს სწორედ ქართველთა მიერ გაკეთებული აგრესიული განცხადებებითა და უგუნური ნაბიჯებით ასაზრდოებდა.

■

იმ დროს, როდესაც ლამის სოხუმის „წითელ ხიდს" მიმდგარი ქართველი სამხედროები ერთ ადგილზე მიწას ტკეპნიდნენ, არძინბას და მის მომხრე პოლიტიკოსებს სოხუმი უკვე დატოვებული ჰქონდათ და გუდაუთაში გადასულიყვნენ. სოხუმს ტოვებდა აფხაზი მოსახლეობაც, მიდიოდნენ და ხელს აყოლებდნენ სხვადასხვა ორგანიზაციის ტრანსპორტს, ნივთებსა და ქონებას, ყველაფერს, რის წაღებაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა. მოკლედ, ეს ქმედებები ნამდვილად გამოდგებოდა იმის საბაბად, რომ სამხედრო შტაბს განგაშის ზარი შემოეკრა, სოხუმი იძარცვებაო.

გაურკვეველი ვითარება შეიქმნა. აფხაზები სამთავრობო ჯარების აფხაზეთიდან გაყვანას ითხოვდნენ, ქართველებს წინსვლა და, უფრო მეტიც, ფსოუმდე გასვლა უნდოდათ, რუსები სოხუმში შესვლას კრძალავდნენ. რაღაც უნდა ეღონათ: ან წინ უნდა წასულიყვნენ, ან უკან, თორემ მოხალისეებისგან შემდგარი რაზმების „წითელ ხიდთან" უმოქმედოდ ხანგრძლივად დგომა შესაძლოა უდისციპლინობასა და თავაშვებულობაში გადაზრდილიყო.

17 აგვისტოს, მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე, „გოსდაჩაზე" დაბანაკებული კიტოვანი და მისი შტაბი, აფხაზეთის ქართველ მინისტრებთან ერთად, სოხუმში ჯარის შესვლა-არშესვლის საკითხზე თათბირობდა. აზრი ორად გაიყო: ერთნი ფიქრობდნენ, რომ არ უნდა შესულიყვნენ, უფრო სწორად, არაფერს ფიქრობდნენ, არც წინ წასვლას უჭერდნენ მხარს და ვერც ერთ ადგილას უმოქმედოდ დგომას უძებნიდნენ ახსნას. სხვები კი, ძირითადად, ადგილობრივი მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ქართველი დეპუტატები, შესვლის აუცილებლობას ამტკიცებდნენ. კიტოვანს გადაწყვეტილების მიღება უჭირდა.

საღამოს, საველე მეთაურების თათბირზე, რომელსაც აფხაზეთის შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები – გივი ლომინაძე და ავთო იოსელიანიც ესწრებოდნენ, პირველად მკითხეს აზრი შესვლა-არშესვლის საკითხზე, რაზეც ვუპასუხე, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა, ჯარს ქალაქში შევიყვანდით თუ ქალაქის მისადგომებთან დავაყენებდით, რადგან აფხაზთა ლიდერს ომი ქართველების წინააღმდეგ უკვე გამოცხადებული ჰქონდა. ტარიელ შარიფაშვილიც დამეთანხმა.

საბოლოოდ სოხუმში შესვლა გადაწყდა. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც, საკმაოდ შეთხელებული გვარდიის სათავეში ჩადგომა და ქალაქში შესვლა ერთხმად ისევ მე დამავალეს. მას შემდეგ, რაც არძინბამ ომი გამოგვიცხადა, ბუტიაობის და თავის დაფასების დრო არ იყო, მეტიც, სიტუაცია სამხედროებისგან დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვდა. გეგმა იქვე სახელდახელოდ შემუშავდა და ამოცანაც დაისახა: მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის მიზნით გვარდიის ნაწილები სოხუმში ორი მხრიდან, ჩრდილო-დასავლეთისა და დასავლეთის მიმართულებიდან უნდა შესულიყვნენ და მცირერიცხოვანი შეიარაღებული ჯგუფებისგან ქალაქი გაეწმინდათ.

მეგზურად იმ დროისათვის უცნობი, აფხაზეთის შსს-ს მაღალჩინოსანი გია მხეიძე გავიყოლე. სადგურისა და ახალი რაიონის მიმართულებით ავანგარდში

„თეთრი არწივისა“ და კასპის ბატალიონებს „ბეემპე-1“-ით პირადად გავუძეხი. ქალაქის ქვედა ზოლიდან, შუქურას მიმართულებიდან შესვლა ტარიელ აბუაშვილის „ჩოლოყაშვილის პოლკსა“ და გვარდიის სხვადასხვა ნაწილისგან შექმნილ დაჯგუფებას დაევალა.

მეორე დილას ქართული ფორმირებები სოხუმში შევიდნენ და ქალაქი მთლიანად დაიკავეს. პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისა და შეიარაღებული პირებისგან დაცლილი ქალაქის დაკავება ქართველებმა დიდ წარმატებად შეაფასეს, ხოლო მთავრობის სახლზე აფხაზური დროშის ნაცვლად ქართული დროშის აფრიალება საბოლოო გამარჯვებად გამოაცხადეს, თუმცა ზეიმი ნაადრევი გამოდგა.

სოხუმში იმავე დღეს გაჩნდნენ ანტიქართული განწყობით გამორჩეული რუსეთის დუმის დეპუტატები – ბორის პასტუხოვი და გალინა სტაროვოიტოვა, რომლებიც დღე „გოსდაჩაზე“, ქართველების შტაბში ატარებდნენ დროს, ხოლო ღამით „ემვედეს“ (შსს) სანატორიუმში ისვენებდნენ. მათმა პოზიციამ პირველი დღიდანვე ნათელი გახადა, რომ საქართველოს სათავეში შევარდნაძის მოსვლის შემდეგ რუსების კეთილგანწყობა და, შესაბამისად, მხარდაჭერა მათი ფავორიტი კიტოვანისგან არძინებას ხელისუფლებისკენ გადაიხარა.

ქალაქში შესულ ქართულ ფორმირებებს ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტათ, რა პოზიცია უნდა დაეკავებინათ აფხაზებთან მიმართებაში. იმედი ჰქონდათ, უფრო სწორად – სურვილი, რომ ძალოვან სტრუქტურებში ეთნიკურად აფხაზ თანამშრომლებს შეინარჩუნებდნენ. რკინიგზის სადგურთან ახლოს, ერთ-ერთ პიკეტზე გვარდიელებმა ტაბელური იარაღით 17 აფხაზი მილიციელი, მათ შორის, რამდენიმე მაღალი წოდების ოფიცერი დააკავეს. ისინი, ჯერ კიდევ სოხუმში შემორჩენილები, ამბობდნენ, სამსახურებრივ მოვალეობას ვასრულებთო, თუმცა ბლოკსაგუშაგოზე ეტყობა იეჭვეს, რომ მათაც თვალი გუდაუთისკენ ეჭირათ და იარაღის ჩაბარება მოსთხოვეს. ამ ამბავს „ქარტია 91“-ის პოლიტიკური ლიდერები – თედო პაატაშვილი და მერაბ ურიდია შეესწრნენ. პოლიტიკოსებს მიაჩნდათ, რომ ქართულ მხარეს აფხაზი მილიციელები უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ არ უნდა განეიარაღებინა, ჯერ კიდევ სჯეროდათ, რომ დაპირისპირება სამართალდამცავთა რიგებს არ გადაედებოდა. მოპიკეტე გვარდიელები კი აფხაზებისთვის იარაღის დაბრუნებაზე უარს ამბობდნენ, ფიქრობდნენ, რომ ეს იარაღი მათ შეიძლება ქართველის წინააღმდეგ მიემართათ. საბოლოოდ დავამ ჩემამდე მოაღწია. პოლიტიკოსებისა და მოპიკეტეების მონათხრობი უსიტყვოდ მოვისმინე. გამორიცხული არ იყო, რომ ამ ინციდენტს ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მომავალი განესაზღვრა. ქართველების ვარაუდს თუ გავიზიარებდი, აფხაზი მილიციელების მიერ პროფესიული მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმისა და სოხუმის დატოვების საბაბი მე გავხდებოდი. ის 4-5 პისტოლეტი, თუნდაც ცოტა მეტიც, ამად ნამდვილად არ ღირდა. თუ მცირეოდენი შანსი მაინც არსებობდა, რომ ჩემს გადაწყვეტილებას მათ დარჩენაზე ემოქმედა, მერჩივნა, გამომეყენებინა, ამიტომ დავა აფხაზი მილიციელების სასარგებლოდ გადავწყვიტე და ქართველ მოპიკეტეებს ჩამორთმეული იარაღის აფხაზებისთვის დაბრუნება მოვთხოვე. ჩემმა მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ გვარდიელები აშკარად გაანაწყენა. სახეზეც შეეტყოთ, თუმცა არ შემწინააღმდეგებიან, პისტოლეტები უხმოდ დააბრუნეს. სამაგიეროდ „ქარტია 91“-ის ლიდერებმა შემაქეს. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზმა მილიციელებმა იმ საღამოს სოხუმი დატოვეს და ტაბელური იარაღიც თან გაიყოლეს, მიღებული გადაწყვეტილება მაინც არ მინანია.

■

დასავლეთიდან ლესელიძეში დესანტის გადასხმითა და გაგრაში შესვლით, აღმოსავლეთიდან ოჩამჩირისა და სოხუმის დაკავებით ყველა მხრიდან ალყაში და ერთმანეთისგან სრულიად მოწყვეტილი აღმოჩნდა გუდაუთა და ტყვარჩელი. რადიკალ სეპარატისტებსა და გამორჩეულ ქართველთმოძულეებს გასასვლელიც არ დარჩათ.

სარკინიგზო მაგისტრალის დაცვის სამშვიდობო ოპერაცია აფხაზებისთვის საწყის ეტაპზევე სამამულო ომად იქცა, ხოლო ქართველებისათვის – უმიზნო ომად. აფხაზური ტელევიზია „ოკუპანტი ქართველების" წინააღმდეგ ბრძოლაში დასახმარებლად ჩრდილოკავკასიელებს უხმობდა და პარტიზანულ ომს აცხადებდა.

ცალკეულ მეომართა თავაშვებულობა ადგილობრივი მოსახლეობის აღშფოთებას იწვევდა. მათგან შეწუხებული ადამიანები, აფხაზებიც და ქართველებიც, ყოველდღე გვაკითხავდნენ დახმარებისთვის. ყოველდღე ვაკავებდით მოთარეშე პირებს, აფხაზისა თუ ქართველის ქონებას განურჩევლად ვიცავდით. ზოგს მანქანას ვუბრუნებდით, ზოგს სახლებში უსაფრთხოდ ცხოვრების პირობას ვაძლევდით. ერთ-ერთი ბატალიონის სახელით ჩამოსულმა ოცკაციანმა ჯგუფმა, რომელსაც ძარცვის ფაქტზე წავასწარით და იარაღის ჩაბარება მოვთხოვეთ, განიარაღება იუკადრისა და ამის გამო მინისტრთანაც კი მიჩივლეს, მეომარ ბიჭებს იარაღს გვართმევსო, რის გამოც მისგან შეფარული საყვედური მივიღე.

მაროდიორობის წინააღმდეგ ზნეობრივ მაგალითს მეთაური უნდა იძლეოდეს. ხალხი უმალ გამოარჩევს მას, ვინც მაროდიორებსა და მძარცველს არ ინდობს, უცნობი იქნება თუ დიდი ხნის თანამებრძოლი. ვისაც ფაქტზე წაასწრებს, საკუთარი რაზმელიც რომ იყოს, აკავებს და წართმეულის დაბრუნებას ავალდებულებს, იარაღს ართმევს და კონფლიქტის ზონას ატოვებინებს; მილიციელისა და გვარდიელის დაპირისპირებისას ხშირად წესრიგისთვის მებრძოლი მილიციელის მხარეს იჭერს და არა – თანამებრძოლის. ამგვარ მეთაურს ხალხი სათანადოდ აფასებს და კეთილ სიტყვას არ იშურებს.

თავდაცვის მინისტრმა წესრიგის დასამყარებლად და თარეშის აღსაკვეთად სოხუმის კომენდანტად გია გულუა დანიშნა. ახლა უკვე მასთან ერთად ვცდილობდი, ქალაქში ფორმიანთა თუ უფორმოთა ყველა გადაადგილება მკაცრად მეკონტროლებინა, თუმცა დაგვიანებული იყო. სოხუმსა და გულრიფშის რაიონის არაქართულ სოფლებში ცალკეულ პირთა უღირს ქმედებებზე გავრცელებული ჭორ-მართალი კიდევ უფრო აღრმავებდა ქართველებისადმი სიძულვილს აფხაზ, სომეხ, რუს და სხვა არაქართულ მოსახლეობაში. უკმაყოფილება იზრდებოდა სოხუმშიც. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის წევრები ერთმანეთთან უკვე ხმამაღლა ლაპარაკობდნენ იმ ვითარებაზე, რაც სოხუმსა და სხვა რაიონებში შეიქმნა. ახლა უკვე დაუფარავად საყვედურობდნენ ქართველ გვარდიელებს, მათ მეთაურებსა და სამხედრო ხელმძღვანელს. სახელმწიფო საბჭოს მეთაურთან თბილისში საჩივარს საჩივარზე აგზავნიდნენ და შველას ითხოვდნენ.

იმით, რაც სოხუმში ხდებოდა, უკმაყოფილონი იყვნენ თბილისშიც. სახელმწიფო საბჭოს წევრები სხდომებზე ხმამაღლა აკრიტიკებდნენ სამხედროებსაც და მათ მინისტრსაც. მას შემდეგ, რაც „იმელის" სხდომათა დარბაზიდან სახელმწიფო საბჭოს წევრების კრიტიკული გამოსვლების ამბებმა სოხუმში ჩამოაღწია, შევარდნაძისადმი უნდობლად განწყობილმა თენგიზ კიტოვანმა ჯერ ბრძოლის ველზე ხელმ-

ძღვანელის უფლებამოსილება მოიხსნა, შემდეგ სასწრაფოდ თბილისში დაბრუნდა და საბოლოოდ ომსა და მშვიდობაზე ფიქრიც და პასუხისმგებლობაც შევარდნაძეს გადააბარა. მოკლედ და კონკრეტულად თქვა, რადგან არ მიჯერებთ, მე წავედი და ახლა ყველაფერს თქვენ მიხედეთო! და წავიდა! დარჩა ჯარი ხელმძღვანელის, პასუხისმგებელი პირის გარეშე.

ჩემს ბატალიონთან ერთად სოხუმის რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე განცალკევებულად ვიდექი. გული ბრაზითა და რისხვით მევსებოდა. სად იყო ახლა ის ძალა და სითამამე, რითაც სოხუმში შედიოდნენ?! მახსენდებოდა, როგორ მიიჩქაროდნენ სოხუმისკენ. ყურში კი ისევ ჩამესმოდა თავდაცვის მინისტრის სიტყვები: შენ აქ დარჩი და თბილისს მიხედეო!

■

სოხუმში ჩრდილო-დასავლეთიდან ყოველდღე პატარა ჯგუფები შემოდიოდნენ და დილიდან საღამომდე შეტაკებები მიმდინარეობდა ძიძარიას ქუჩასა და სასაფლაოებთან, აჩადარასა და გუმისთასთან. ნებისმიერი ინციდენტის ლოკალიზება ადგილობრივი მოსახლეობის თვალწინ და მათივე ხელშეწყობით სწრაფადვე ხდებოდა. სადგურთან განლაგებული შენაერთის და მისი ახალგაზრდა მეთაურის სახელი სოხუმს მალევე მოედო.

სოხუმის ბედით შეწუხებული ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ქართველი დეპუტატები და მთავრობის წევრები ღამეებს უმაღლესი საბჭოს შენობაში ათევდნენ. ისინი სოხუმში უმეთაუროდ დარჩენილ გვარდიელებს და მოხალისეთა ჯგუფებს, როგორც უთავო მხედრებს, ისე უყურებდნენ. პასუხისმგებელ პირს ვერ პოულობდნენ. არავინ იცოდა, ვინ რას აკეთებდა, ვის რა ევალებოდა, ვინ ვის ემორჩილებოდა და რა ამოცანას ასრულებდა. ეძებდნენ, ვინ იტვირთებდა სარდლობას და მანამდე არ მოისვენეს, ვიდრე თავიანთი და სხვისი ცოდვების საზიდად ახალგაზრდა მეთაური არ იპოვეს და პასუხისმგებლობის ტვირთი მას არ აჰკიდეს.

რკინიგზის სადგურზე, პროკურორ ლაცუზბაიას სახლის წინ დაბანაკებული შენაერთის ყველასგან განსხვავებული ორგანიზებულობა და დისციპლინა, მეთაურისა და მისი რაზმის წევრების გამბედაობა და სიმამაცე აფხაზეთის პროკურორსა და უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. თავის მხრივ, ავთო იოსელიანმა შევარდნაძეს დაურეკა, ვითარება გააცნო და სოხუმის ქართული დეპუტაციის თხოვნა გადასცა: აქ ძაღლი პატრონს ვერ ცნობს, უფროსი არა ჰყავთ, ქალაქში სრული ქაოსია, ორგანიზებულობით რკინიგზის სადგურთან დაბანაკებულები გამოირჩევიან და სწორედ ამ შენაერთის მეთაურის დანიშვნას მოვითხოვთ სამხედრო ხელმძღვანელადო.

შევარდნაძე სიამოვნებით დათანხმდა, აფხაზეთში განთავსებული ჯარების სარდლად ისე დამნიშნეს და ბრძანების ტექსტი ტელევიზიით ისე გამოაცხადეს, რომ ჩემთვის არც წინასწარ უკითხავთ რამე და არც ხელმძღვანელობიდან დამლაპარაკებია ვინმე. გადაწყვეტილებას ყველა კმაყოფილებით შეხვდა. სოხუმელებს თავიანთი რჩეული დაუნიშნეს სარდლად, კიტოვანმა ბრძოლის ველზე პასუხისმგებლობა მოიხსნა, შევარდნაძემ კი კიტოვანთან ყოველდღიური ურთიერთობის თავის ტკივილი მოიშორა.

24 აგვისტოს შუადღე იქნებოდა, როდესაც სოხუმში, „მაიაკთან"[154] ჯერ კიდევ განლაგებული რუსული სასაზღვრო საგუშაგოს უცნობმა მეთაურმა, წოდებით პოლკოვნიკმა, რკინიგზის სადგურზე მდებარე სამხედრო შტაბში დამირეკა და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დანიშვნა პირველმა მომილოცა. გამიკვირდა, როდესაც მისგან ჩემი სარდლად დანიშვნის ამბავი გავიგე და განცვიფრება ვერ დავმალე, ისიც კი ვიფიქრე, ხომ არ მეხუმრება-მეთქი.

არ დამიჯერა: როგორ?! დილიდან ტელევიზია და რადიო სახელმწიფო მეთაურის ბრძანებას აცხადებს, თქვენ არ გაგიგიათო?! არა-მეთქი.

შუადღისას უკვე კიტოვანმა ტელეფონით მახარა ახალი ამბავი – აბა, შენ იცი ახლა, შენ მანდ მიხედე და მე აქ მივხედავო. წარმატება მისურვა და ყურმილი დაკიდა. საღამოს ბრძანების ტექსტმაც ჩამოაღწია სოხუმში და მოლოცვებიც დაიწყო. თითქოს დიდად მოსალოცი ამბავი ყოფილიყოს. აღარ ვიცოდი, გამხარებოდა თუ გავბრაზებულიყავი. ნეტავ, უნდა გავბრაზებულიყავი, რადგან წინასწარ ვგრძნობდი, რომ ერთგვარი ხაფანგი იყო. ისევ ჩემი აზრისა და სურვილის გაუთვალისწინებლად, უკითხავად და შეუთანხმებლად, მეტიც, ჩემი ნების საწინააღმდეგოდ გადაწყდა ჩემი ბედი. უკვე მერამდენედ, ბრძოლაში შემიტყუეს, პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთი ისევ მე შემომაჩეჩეს.

ასე აღმოვჩნდი ამ საშინელი ომის დაწყების, ფაქტობრივად, ერთადერთი მოწინააღმდეგე – სარდლის მაღალ, ერთი შეხედვით სააშაყო, სინამდვილეში კი მეტად სარისკო, უმადურ და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. 25 წლის ყმაწვილი სხვის დადგმულ სპექტაკლში ისე დამნიშნეს მთავარი როლის შემსრულებლად და მომავალში ჩემი თუ სხვისი საზარელი ცოდვების მზიდავად, არც კი დაინტერესებულან, ამხელა პასუხისმგებლობისათვის რამდენად ვიყავი მზად.

როდესაც ინიშნები, როგორც გისწავლია და წესია, საბრძოლო განკარგულებას გაძლევენ, სამხედრო ამოცანას გისახავენ და საბოლოო შედეგს ითხოვენ. აქ კი მხოლოდ ეს მითხრეს – შენ მანდ მიხედეო. სარდალი მარტო ომის დასაწყისს კი არ უნდა ხედავდეს, არამედ მის დასასრულს, თავს კი არა, ბოლოს. იმას, რაც გაგრაში, სოხუმსა და ოჩამჩირეში ხდებოდა, არც თავი უჩანდა და არც ბოლო. იმ ამოცანის შესრულება, რისთვისაც აფხაზეთში შევიდნენ, უკვე შეუძლებელი იყო, ახალი დავალება კი არ არსებობდა.

როგორ გვჭირდებოდა ნამდვილი მეგობარი, გულშემატკივარი, რომელიც ომის შეჩერებაში დაგვეხმარებოდა! სამწუხაროდ, იმ დროს ჩვენთვის არავის ეცალა, არც წამყვან ქვეყნებს და არც საერთაშორისო ორგანიზაციებს. არავინ ჩანდა ვინმე, ახალგაზრდა სახელმწიფოს გვერდში მდგომი, დაპირისპირებულ მხარეებს შორის ჩამდგომი და გამშველებელი, რომელიც ახლად გაჩაღებულ კონფლიქტს შეაჩერებდა. რუსეთს რომ მოენდომებინა, იოლად შეეძლო მისი შეჩერება, მაგრამ მას გაშველებას გაჩაღება ერჩივნა. სწორედ რუსეთმა შეაიარაღა ქართველები ტანკებით, მაღალი რანგის რუსი ოფიცრები მიუძღოდნენ საზღვაო დესანტსა და ავტოკოლონას წინ, მან შეუწყო ხელი კონფლიქტის გაჩაღებას და, ამავე დროს, აფხაზებს დაუდგა მცველად. ქართველები პირველი დღიდანვე ამ ვითარების მძევლები ვიყავით. ჩვენგან მშვიდობას ითხოვდა, მათ კი ომისკენ აქეზებდა, ჩვენ გვამშვიდებდა, იმათ კი აგულიანებდა, რადგან ზედმიწევნით ზუსტად იცნობდა ქართველისა და აფხაზის სურვილს, ხასიათსა და შესაძლებლობებს.

---

[154] მაიაკი (Маяк – რუს.) – სოხუმის გარეუბანი, რომლის სახელწოდებაც იქ განთავსებულ სოხუმის შუქურას უკავშირდება.

როგორც ჭადრაკში არ აქვს დიდი მნიშვნელობა, ვინ დაიწყო თამაში და დებიუტში უპირატესობა ვის მხარეზეა, ასევეა ომშიც, ჭადრაკს მიმსგავსებულ თამაშში, სადაც ყოველი სვლა, უკანასკნელამდე, იძულებითია და მუდმივ ცუგცვანგში გიწევს ყოფნა.

ამ შემთხვევაში შენ კი არ თამაშობ მოწინააღმდეგესთან, არამედ სხვა გათამაშებს. იმ სხვამ ზუსტად იცის, რომ თქვენივე უგუნურობით გაჩაღებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში, მას შემდეგ, რაც ქანცგაწყვეტილები და სისხლისგან დაცლილები ნელ-ნელა სრულად ამოწურავთ საკუთარ შესაძლებლობებს, ერთსაც ისევე მოსთხოვს დამონებას, როგორც მეორეს. საბოლოოდ კი ის „გაიმარჯვებს", ვისზეც მისი ფსონი იქნება დადებული, ვინც საკუთარი ნებით დათანხმდება სამუდამო ვასალის უღელს...

ქართველები, რომლებიც აფხაზეთში რკინიგზაზე მატარებლების მიმოსვლის დასაცავად შედიოდნენ, რეალურ ომში ჩაებნენ აფხაზებთან, ჩრდილოკავკასიელ კონფედერატებთან და შეფარვით – რუსებთან. ამას ემატებოდა ზურგს უკან, სამეგრელოში არსებული უმართავი ვითარება და რევანშისტების მტრული განწყობა სამთავრობო ძალების მიმართ. ასეთ ომში სამხედრო გზით წარმატების მიღწევა ნამდვილი სასწაული იქნებოდა. ცხინვალის მწარე გამოცდილებით, ეჭვი მღრღნიდა, რომ რუსეთი არასოდეს მოგვცემდა უფლებას, პოლიტიკური მიზნისათვის სამხედრო გზით მიგვეღწია. მეტიც, საბოლოო მიზანი, რომლისთვისაც პოლიტიკურად თუ სამხედრო გზით უნდა მიგვეღწია, საერთოდ არ ჩანდა. ნებისმიერი წინსვლა გუმისთის იქით აფხაზი ეთნოსის განადგურების მცდელობად აღიქმებოდა და ყველას ერთად – რუსს, ჩეჩენს, ადიღელს და ყველა ჩრდილოკავკასიელ კონფედერატს – ჩვენ წინააღმდეგ განაწყობდა და მოწინააღმდეგე მხარედ რაზმავდა.

არადა სამხედრო კამპანია მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა წარმატებულად, თუ პოლიტიკური მიზანი იქნებოდა მიღწეული. სხვა ყველა შემთხვევაში ეს უმიზნოდ დაღვრილი სისხლი და ფუჭად დახარჯული ძალა იყო სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვისთან მოხდებოდა რუსული სტრატეგიული ინტერესების თანხვედრა, რადგან ამ ომში მხოლოდ ის მხარე გაიმარჯვებდა, რომელიც რუსეთს შეეკვრებოდა და დაუნდობლად გაიმეტებდა მეორე მხარეს სასიკვდილოდ. ის გაიმარჯვებდა, ვისაც უფრო ძლიერი სიძულვილი ამოძრავებდა.

თვალსა და ხელს შუა ხდებოდა ომის ესკალაცია. ის ძალები, რომლებიც სოხუმსა და გაგრაში იმყოფებოდნენ, არც ამ ქალაქების დასაცავად და არც იერიშზე გადასასვლელად აღარ იყო საკმარისი. სოხუმში გადმოისროლეს რეზერვისტებისგან დაკომპლექტებული 101-ე ბატალიონი კადრის ოფიცრის, გია თორაძის მეთაურობით, რომელსაც ორკვირიანი საბრძოლო მომზადება ჰქონდა გავლილი.

ჯერ კიდევ მშვიდობიანი დროიდან, ეროვნული მოძრაობის დაწყების დღიდან გაგრაში „მხედრიონს" ძლიერი რეგიონული ორგანიზაცია ჰყავდა. ომის პირველი დღიდანვე გაგრის სამხედრო კომენდატურა სწორედ „მხედრიონელებით" იყო დაკომპლექტებული. ისინი, ადგილობრივ მილიციასთან ერთად, ჩამოსულ „შავნაბადელებს" საკუთარი ქალაქის დაცვაში ეხმარებოდნენ. გაგრა-ლესელიძის პლაცდარმზე ხელმძღვანელად თავდაცვის სამინისტროდან სასწრაფოდ მიავლინეს წარმოშობით გაგრელი პოლკოვნიკი მიხეილ მარინაშვილი და მის დაქვემდებარებაში მყოფი სხვა ოფიცრები, ასევე, გენერალური შტაბის სპეცდანიშნულების ბატალიონი მაიორ ზურაბ მეფარიშვილის მეთაურობით.

ფრონტის ხაზზე მებრძოლთა სიმცირის გამო შსს-ს აკადემიის რექტორმა, პოლიციის გენერალ-მაიორმა გივი კვანტალიანმა, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, კურსანტთა ასეული გამოაგზავნა. უფრო სწორად, გამოუცდელი და პირტიტველა ბიჭები ომში მარტო არ გამოუშვა და თვითონაც მათთან ერთად ჩამოვიდა. გაგრაში გადაისროლეს რეზერვისტებისგან დაკომპლექტებული 102-ე ბატალიონი კადრის ოფიცრის, ავთო ჯიბლაძის მეთაურობით, რომელსაც ასევე ორკვირიანი საბრძოლო მომზადება ჰქონდა გავლილი. ჯაბა იოსელიანი თავიდან ბრძოლებში მონაწილეობისგან თავს იკავებდა, მაგრამ გულმა არ მოუთმინა, მოგვიანებით გაგრაში „მხედრიონელების" დასახმარებლად რაზმი გაგზავნა და თვითონაც ჩავიდა.

■

აფხაზეთში დისლოცირებული ჯარების სარდლის საპატიო წოდების ტარება ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე მუდმივად ბრძოლის წინა ხაზზე ყოფნა რიგითი ჯარისკაცივით. მაშინდელ ახალგაზრდულ გამბედაობას დღევანდელი, შუა ასაკის, ცოდნა და გამოცდილება რომ დამატებოდა, აუცილებლად მეცოდინებოდა, რომ ნებისმიერ ბრძოლაში, ომში მთავარი სიქველე და შემწყნარებლობაა. მიუხედავად იმისა, რომ ამან შეიძლება მომენტალურად ვერ პოვოს მხარდაჭერა, მომავალში აუცილებლად დაფასდება.

ერთი და იმავე ადამიანის შესაცნობად ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ორ ამბავს გიამბობთ. ერთი კაცთმოყვარეობის ნიმუშია, ხოლო მეორე – ქედმაღლობისა, როდესაც წამიერად ამპარტავნობა შეგიპყრობს.

„გიყვარდეს მტერი შენი!" – ამბობს უფალი. ისმინე და აღასრულე! მერწმუნეთ, ეს განცდა სულ სხვანაირად აგამაღლებს და გაკეთილშობილებს.

ერთი აფხაზი ქალი მოვიდა. დაკარგულ შვილს ეძებდა, დახმარებას იხვეწებოდა. ისეთი გულდათუთქული ტიროდა, რომ თანაგრძნობით განვეწყვე. დავამშვიდე, ვანუგეშე საკუთარი დედასავით. ქალაქში შვილის მოსაძებნად თავისუფალი გადაადგილებისათვის მის სახელზე საშვი გამოვაწერინე და წერილიც მოვუმზადეთ, რომ ძალოვანი სტრუქტურის ნარმომადგენლებს ქალისთვის წინააღმდეგობა არ შეექმნათ. მოგვიანებით აფხაზი ქალბატონი აეროპორტში ჩემი მანქანით გავუშვი. გაცილებისას გულისხმიერად დავემშვიდობე. როგორ წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე კიდევ შევხვდებოდი?!

ახლა სხვა ეპიზოდს გიამბობთ, როდესაც გაუაზრებლად წამოსროლილი სიტყვა საბედისწერო გამოდგა. შემეძლო, ეს ამბავი არ გამეხსენებინა, დავინყებისთვის მიმეცა, მაგრამ ვერ შევძელი, სინდისი მქენჯნის.

აფხაზთა რაზმი რიწიდან ტყვარჩელისაკენ მიდიოდა ქალაქის თავდაცვის გასაძლიერებლად. ადგილობრივმა სვანებმა სოფელ მერხეულთან მდინარე კოდორის გადაკვეთისას აფხაზი მებრძოლების 40-კაციანი ჯგუფი დააკავეს და ტყვეები რკინიგზის საავადმყოფოში, სარდლობის შტაბში მოიყვანეს. იმაზე დიდებული რა უნდა ყოფილიყო, რომ ტყვედ აყვანილი მებრძოლები, როგორც თანასწორნი, პატივითა და ღირსებით მიგვეღო, ხელის დაბანა შეგვეთავაზებინა და მაგიდასთან მიგვეპატიჟებინა, სადილზე თითო ჭიქა სასმლითაც გავმასპინძლებოდით. ასე რომ მოვქცეულიყავით, იქნებ გონიერებას უგუნურებაზე გაემარჯვა და ომის ნაცვლად მშვიდობას დაესადგურებინა, როგორც ზღაპრის ბოლოს ხდება, ჭირსა და ლხინს

თავისი ადგილი მისჩენოდა... მაგრამ ცხოვრება ხომ ზღაპარი არ არის! მეც ისევე მოწამლული ვიყავი იმ პერიოდში საქართველოში გამეფებული ნაციონალიზმით, როგორც ისინი – სეპარატიზმით.

ქართველების მიმართ გულში ჩაგუბებული ბოღმითა და სიძულვილით სავსე, საკუთარი სამშობლოს დასაცავად თავგანწირული ორმოცამდე აფხაზიდან ერთს შევცქეროდი, შეკითხვაზე ამაყად რომ პასუხობდა: „Это земля абхазцев!"[155] აფეთრუმ მის ვაჟკაცობასა და სიმამაცეს! ამას აცხადებდა ყველას გასაგონად და ყველას თვალწინ. ასობით იარაღასხმული ქართველის წინაშე მას, უიარაღო ტყვეს, წარბიც არ შეუხრია.

სიტყვებს ვეძებდი და ვერ ვპოულობდი. „Выведите из строя!"[156] – ამის თქმაღა მოვახერხე დაუფიქრებლად, რომ მღელვარება არ შემტყობოდა და მოწინააღმდეგის სიმამაცის წინაშე საკუთარი სისუსტე არ გამომემჟღავნებინა. უხმოდ ვათვალიერებდი სამ რიგად მოწყობილ ტყვეებს. კიდევ რაღაცის თქმას ვაპირებდი, რომ უცებ ზღვის ნაპირიდან ავტომატის ხმა გაისმა. უნებართვოდ გასროლილი ტყვიის ზუზუნმა უსიამოვნოდ შემაკრთო, ავმა წინათგრძნობამ შემიპყრო, თითქოს მივხვდი, რაც მოხდა. ტყვეებთან ლაპარაკი უმალ შევწყვიტე, მათი დროებითი განთავსების ადგილას გადაყვანის განკარგულება გავეცი და დაუყოვნებლივ შევუდექი გასროლის მიზეზის გარკვევას.

ძალიან გავბრაზდი მსროლელზე. როცა ვკითხე: „რატომ ესროლე?" – თავი იმართლა, გაქცევა სცადა, ავტომატს სწვდა, წართმევა უნდოდაო. ვუსმენდი და აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, მისთვის დამეჯერებინა თუ არა. სიმწრისგან ტუჩებს ვიკვნეტდი, მაგრამ აღარაფრის შეცვლა შემეძლო. მისი საქციელის ახსნას ვცდილობდი და დასჯის მეთოდს ვეძებდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ დაუფიქრებლად წამოსროლილი საკუთარი სიტყვების შედეგს ვიმკიდი. ერთადერთი, ისღა მოვიფიქრე, რომ დანარჩენები სასწრაფოდ, უპირობოდ გავათავისუფლე. იმ გასროლის ხმა ყურში ჩამესმოდა. მომხდარის გამო თავს ვიდანაშაულებდი და თან გამართლებას ვცდილობდი: „რა შენი ბრალი იყო, რაც მოხდა, იქნებ მართლაც იარაღის წართმევას ცდილობდა და სროლა იძულებითი ნაბიჯი იყო?" – მაგრამ უშედეგოდ. როგორც არ უნდა მეცადა, სინდისი მაინც არ მასვენებდა. „თეთრი არწივის" ყველა წევრი ასევე ნირწამხდარი იჯდა და მომხდარს განიცდიდა.

აფხაზებიც ისეთივე ცოდვის შვილები იყვნენ, როგორიც ქართველები, ისეთივე ცოდვის მორევში ტრიალებდნენ და ჩვენგან არაფრით განსხვავდებოდნენ – არც სისასტიკით ჩამოგვრჩებოდნენ, არც დაუნდობლობით.

კიდევ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: 26 აგვისტოს ცხელი ზაფხულის დილა იყო, აფხაზეთში დიდი გადასახლება მიმდინარეობდა. ქართველების მიერ კონტროლირებად სოხუმს, ოჩამჩირესა და გაგრას აფხაზები ტოვებდნენ, ხოლო გუდაუთის რაიონის სოფლებსა და ეშერას – ქართველები. აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი გუდაუთის რაიონში რაჭველებით დასახლებული სოფლებიდან დარჩენილი ქართველების უსაფრთხოდ გამოყვანასა და მათი ქონების დაცვაზე ისევე ზრუნავდა, როგორც სოხუმსა და სხვა რაიონებში დატოვებული აფხაზების გუდაუთისკენ გაყვანაზე. იმ დღეს პირველად გამოჩნდა ახალგაზრდა პაატა ზაქარეიშვილი, რომელიც აქტიურად ჩაერთო ტყვეების გაცვლის პროცესებში.

---

[155] Это земля абхазцев! (რუს.) – ეს აფხაზების მიწაა!

[156] Выведите из строя! (რუს.) – გაიყვანეთ მწყობრიდან!

აფხაზების მიერ ეშერიდან გამოყრილი ქართველობა დილიდანვე „გოსდაჩაზე“ იყო შეკრებილი. იქ ჩარჩენილი ქართული მოსახლეობის ბედით აღელვებულები მთავრობის წარმომადგენლის გამოსვლას ითხოვდნენ და ნათესავების ბედის გარკვევას ცდილობდნენ. აგარაკის წინ, ჩემს მანქანასთან განმარტოებულად ვიდექი, როდესაც უცნობი ადამიანი მომიახლოვდა და რუსულად ლაპარაკი ისე გამიბა, თითქოს მიცნობდა და იცოდა, ვინც ვიყავი. გაკვირვება ვერ დავმალე, როდესაც აღმოვაჩინე, რომ ჩემ წინ ალექსანდრე ანქვაბი იდგა.

„ბატონო გიორგი, ახალგაზრდა კაცი ხართ, სულ ახლახან დაინიშნეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. იცოდეთ, ასეთ მიტინგს, რომელიც ამ მოედანზეა, გუდაუთაში შეწუხებული აფხაზი ხალხი ყოველდღე მართავს, დაკარგულ შვილებს ეძებენ, დაღუპულთა ცხედრების გამოყვანას ითხოვენ, სოხუმსა და ოჩამჩირეში დატოვებული ნათესავებისა და საკუთარი სახლების ბედი ადარდებთ. ახალი ფაქტები ყოველდღე კიდევ უფრო ამწვავებს ვითარებას და დაპირისპირებას აღრმავებს. გირჩევთ და გთავაზობთ, ვითანამშრომლოთ და თავიდან ავაცილოთ ჩვენს ხალხს ომის ესკალაცია. შეგიძლიათ იყოთ მკაცრი და სასტიკი და შეგიძლიათ იყოთ სამართლიანი და შემწყნარებელი, თქვენი ქცევით აფხაზ ხალხს აჩვენოთ ქართველების კეთილი ნება. ქართულ საპატიმროში არის 4 აფხაზი სამხედრო მაღალჩინოსანი, გირჩევთ, გაცვლის ნაცვლად პირდაპირ, კეთილი ნებით გაათავისუფლეთ, რაც გუდაუთას მისცემს მაგალითს, რომ ქართველების სიცოცხლეზე მათაც იზრუნონ. თქვენი ამგვარი კეთილი ჟესტი აუცილებლად პოვებს აფხაზებში გამოხმაურებასა და ომის შეჩერების შესაძლებლობას გააჩენს“, – მითხრა მან.

გაკვირვებული შევცქეროდი და ვისმენდი ქართველი სამხედროების და დევნილების გარემოცვაში მარტოდმარტო მდგომი უცნობი აფხაზის მიერ მღელვარებით წარმოთქმულ თამამ სიტყვას.

ვერ წარმოიდგენთ, რა ადვილი ყოფილა, სულგრძელი და ლმობიერი იყო! რა ბედნიერებას განიჭებს, როდესაც ადამიანურობის გამოვლენის შესაძლებლობა გეძლევა. „ხვალ დილით, 10 საათზე ყოველგვარი წინაპირობის გარეშე სამხედრო ტყვეებს დაგახვედრებთ. ვცადოთ, რა გამოვა სისხლისღვრის შესაჩერებლად“, – ვუთხარი და თანხმობა ხელის ჩამორთმევით დავუდასტურე. ერთმანეთს დილის მოლოდინით დავშორდით.

საღამომ უდიდეს მღელვარებაში ჩაიარა. იმაზე მეტი პასუხისმგებლობა ვიკისრე, ვიდრე შესრულების შესაძლებლობა მქონდა. შსს-ს იზოლატორში მყოფი პატიმრების გათავისუფლება სარდლის უფლებამოსილებას სცდებოდა, მაგრამ სიტყვა ნათქვამი მქონდა და აუცილებლად უნდა შემესრულებინა.

ამას დაემატა ზარი თბილისიდან. ტყვეებს შორის ერთი, აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის შინაგანი ჯარის მეთაური, პოდპოლკოვნიკი რაულ არშბა, „ტაუში“ სწავლისას ჩემი მფარველის, პოლკოვნიკ გიორგი ალექსანდროვის შვილთან ერთად, თბილისის საარტილერიო სასწავლებლის 1981 წლის გამოშვების კურსდამთავრებული აღმოჩნდა. საცხოვრებლად ქალაქ კრასნოდარში გადასულ პოლკოვნიკ გიორგი ალექსანდროვს დაურეკავს ჩემებთან სახლში, გაუა გადაეცით, ერთი სასწავლებლის კურსდამთავრებულებმა ერთმანეთის მიმართ უღირსი საქციელი არ იკადროთო. რას გულისხმობდა, ძნელი მისახვედრი არ იყო.

საღამოს შევარდნაძეს დავურეკე და მის დაუკითხავად მიღებული შეთანხმების შესახებ მოვახსენე, მარიამობასთან დაკავშირებით თბილისისა და დრანდის ციხეში დაკავებული ტყვეების უპირობოდ გათავისუფლება და ბრძანების ტელევიზიით გა-

მოქვეყნება ვთხოვე. საღამოს ცხრა საათზე საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებამ სახელმწიფო საბჭოს მეთაურის ბრძანება გამოაქვეყნა, რომლითაც აფხაზეთში დისლოცირებული ჯარების სარდალს აფხაზი ტყვეების უპირობო გათავისუფლების უფლებას აძლევდა. მჯეროდა, რომ ტყვეების გათავისუფლებით მშვიდობისკენ ვდგამდი ნაბიჯს. დილის დადგომას მღელვარებით ველოდებოდი.

დილის 10 საათი იქნებოდა, როდესაც ალექსანდრე ანქვაბი შეთანხმებისამებრ რკინიგზის საავადმყოფოსთან მოვიდა აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის თავდაცვის მინისტრ ვლადიმერ კაკალიას თანხლებით. ავღანეთის უდაბნოებში ქართველ ოფიცრებთან ერთად ბრძოლაგამოვლილი ვლადიმერ კაკალია მოსალოდნელი ომის თავიდან აცილების მიზნით ჯერ კიდევ ივლისში გამოთქვამდა ქართველ ავღანელებთან[157] მოლაპარაკების სურვილს. როგორც ვიცოდი, და მოგვიანებით გამოქვეყნებული სტატიებითაც დადასტურდა, იგი არძინბას აგრესიულ პოლიტიკას მხარს არ უჭერდა. ახლაც იქ იყო, ანქვაბთან ერთად, სოხუმში, აფხაზი სამხედრო ტყვეების გასათავისუფლებლად, თანაც ქართველ სამხედრო ხელმძღვანელებთან ურთიერთნდობის ჩამოყალიბებას ცდილობდა. როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო მაღალჩინოსნებს შორის ბევრს მიაჩნდა, რომ შეიარაღებული დაპირისპირება არძინბას პოლიტიკურ დივიდენდებს მოუტანდა, რაც თანამდებობაზე მის ყოფნას გაახანგრძლივებდა. ამ ადამიანების აზრით, პროვოკაციებს სწორედ ის ძალები აწყობდნენ, რომლებსაც ვითარების გამწვავება და ხანგრძლივი ომი სურდათ.

11 საათზე ესტაკადის ქვეშ, რკინიგზის საავადმყოფოს ჭიშკართან УАЗ-46 ტიპის ავტომანქანით მოყვანილ პატიმრებს ანქვაბი და კაკალია უკვე ელოდებოდნენ. რაულ არშბას გამოველაპარაკე, შენმა თანაკურსელმა ბორია ალექსანდროვმა მოკითხვა შემოგითვალა-მეთქი. შემდეგ დანარჩენ სამ ახლად გათავისუფლებულს მეგობრულად გამოვემშვიდობე, ვუსურვე, რომ ომში ერთმანეთს აღარასოდეს შევხვედროდით. ბოლოს აფხაზ მინისტრებს ჩამოვართვი ხელი. ვაუკაცური ნაბიჯისთვის მადლობა გადამიხადეს და ერთმანეთს კეთილი განწყობით დავშორდით. გუმისთის ხიდამდე მათ გასაცილებლად 6 „არწიველი“ გამოვყავი. ხელმძღვანელობა ჩემს ძმას დავაკისრე და ჯგუფი УАЗ-469-ის ორ მანქანაში გავანაწილე. გაყოლის სურვილი რატომღაც ტოლიკამაც გამოთქვა და კოლონა აფხაზეთის კონტრდაზვერვის უფროსის, ვიცე-პოლკოვნიკ ხევსურიანისა და მისი მოადგილის, ვიცე-პოლკოვნიკ ზაქარაიას მანქანას გავაყოლე, თვითონ კი, კმაყოფილი, შტაბში შევბრუნდი. იქნებ ჩვენს შემრიგებლურ ნაბიჯს ჩარხი მართლაც მშვიდობისაკენ შემოებრუნებინა.

გამოგიჩენიათ ოდესმე მოწინააღმდეგესთან სიქველე და დიდსულოვნება, სულგრძელობა და მიმტევებლობა? – დამიჯერეთ, ეს კმაყოფილებით განცდილი უდიდესი სიამოვნებაა. სამწუხაროდ, როგორი კეთილი და შემწყნარებელიც არ უნდა ვყოფილიყავით, რამდენი სიკეთეც არ უნდა გვეთესა, ომის მსვლელობას ვეღარ შევცვლიდით და ვეღარ შევაჩერებდით.

ერთი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ აფხაზეთის უშიშროების მინისტრმა ავთო იოსელიანმა აღელვებულმა დამირეკა და სასწრაფოდ მასთან მისვლა მთხოვა. გულმა მიგრძნო, რაღაც ცუდი უნდა გამეგო. სოხუმში უშიშროების სამი-

[157] საბჭოთა კავშირის დროს ავღანეთში ნამსახურები ქართველი სამხედროები, რომლებსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ავღანეთში ნამსახურებ აფხაზებთან.

ნისტროს შესასვლელთან ხალხი ირეოდა, ძირითადად, გვარდიელები. აფხაზების მიმართ უკმაყოფილებას აგრესიულად გამოხატავდნენ და ვიღაცის მოსაკლავად იწევდნენ. ისინიც იქ იყვნენ, ვინც ანქვაბს გავაყოლე. მიამბეს, რაც მოხდა: გუმისთის ხიდამდე 200-ოდე მეტრში, საზღვართან არმისული აფხაზები და ქართველები ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობნენ ერთმანეთს. მოულოდნელად, ბრმად მინდობილ ქართველებს იქითა მხრის ჩასაფრებიდან ცეცხლი გაუხსნეს. ნეიტრალურ ტერიტორიაზე გადასული კაკალია გუმისთის ხიდისკენ ხელების ქნევითა და ყვირილით გაიქცა, მსროლელებს მოუწოდებდა, ცეცხლი შეეწყვიტათ, თუმცა გვიან იყო. აჩადარის ხიდის მისადგომთან ღალატით, მუხანათურად ზურგში ნასროლი ტყვიით განგმირულები იწვნენ „თეთრი არწივის" გვარდიელები – პაატა მამრიკიშვილი და გოჩა ჩიგოშვილი. იქვე მანქანის საბურავებს ამოფარებული სამი დაჭრილი ქართველი კვნესოდა.

ანქვაბი აჩადარისკენ აღარ წასულა, პირიქით, გადარჩენილებს ტყვიების წვიმაში დაჭრილების გამოყვანაში მიხმარებია. შემდეგ ხელში დაჭრილ ჩემს ძმას სთხოვა უკან, სოხუმში დაებრუნებინა. თავი ვალდებულად მიაჩნდა, აეხსნა, რომ ღალატში ბრალი არ მიუძღოდა.

უშიშროების მინისტრის კაბინეტის უკან, მოსასვენებელ ოთახში ანქვაბი ჩემს მისვლას ელოდებოდა. ისინი, ვინც მისი ადგილსამყოფელი იცოდნენ, ავთო იოსელიანის კაბინეტში შეღწევას ლამობდნენ. ის კი არა, მეგობრის სიკვდილის გამო ზოგი დაუფარავად მსაყვედურობდა. ცალმხრივად გადადგმულ ნაბიჯს მიწუნებდნენ და ანქვაბის გასამართლებას ითხოვდნენ. ვითარება ისე დაიძაბა, რომ ვიდრე გაველკვეოდი, იძულებული გავხდი, მისაღებში „არწიველების" დაცვა დამეყენებინა.

მომხდარით შეწუხებულმა ანქვაბმა სიმწრით ამოთქვა, რომ ეს მუხანათობა სწორედ იმ ჯგუფებმა ჩაიდინეს, რომლებსაც ქართველთა და აფხაზთა შერიგება და მშვიდობა არ სურდათ და რომ თვითონაც იმ ძალების ღალატის მსხვერპლი იყო. ახლა მზადყოფნას გამოთქვამდა, საკუთარი სიცოცხლით ეგო პასუხი გატეხილი სიტყვისათვის, ოღონდ არა, როგორც დამნაშავეს. ერთადერთი, თავს იმით იმართლებდა, რომ ეს მუხანათობა აფხაზებს არ ჩაუდენიათ. მართლაც, მოგვიანებით გაირკვა, რომ მომხდარი ახალჩამოსული ჩეჩენი მეთაურის, შამილ ბასაევისა[158] და მისი რვაკაციანი ჯგუფის პირველი „საბრძოლო ნათლობა" იყო აფხაზეთში. იმდენად გულწრფელად ლაპარაკობდა, რომ ძნელი იყო, არ დაგეჯერებინა. მდუმარედ ვისმენდი აფხაზი მინისტრის წუხილს. როდესაც მისი საქციელის სიღრმეს ჩავწვდი, სიბრაზემ გამიარა და მეტი პატივისცემით გავიმსჭვალე. ხომ შეეძლო, უკან არ მობრუნებულიყო. ასე მხოლოდ მართალი კაცი თუ მოიქცევა. რით განსხვავდებოდა მისი ქცევა ცოტნე დადიანის ზნეობრივი მაგალითისგან?! ნებას არავის მივცემდი, მისთვის ზედმეტი ეკადრებინათ. ისევ „არწიველების" დაცვა გამოვუყავი და დავავალე, უფრო მეტი პატივით გაეცილებინათ.

ახლობლების სიკვდილით გამწარებულმა იქვე, ყველას თანდასწრებით აფხაზეთის ტელეცენტრის ჟურნალისტებს მომხდარზე ინტერვიუ მივეცი. ჯობდა, არაფერი მეთქვა ან სხვანაირად მეთქვა, მაგრამ, აბა, განსაჯეთ: ვის შეუძლია საკუთარი გადაწყვეტილების სისხლიან შედეგს, სიტყვით შეთქმული კაცის, თუნდაც მტერი

[158] ჩეჩნეთის ეროვნული გმირი. აფხაზეთის კონფლიქტის დროს სეპარატისტების მხარეს იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ. მოგვიანებით კი რუსეთს ებრძოდა ჩეჩნეთში. შამილ ბასაევი რუსეთის სპეცსამსახურებმა 2006 წლის 10 ივლისს მოკლეს.

იყოს, ღალატს მშვიდად შეხვდეს?! ვის ძალუძს, თანამებრძოლების სიკვდილს, ღვიძლი ძმის დაჭრას გულგრილად და აუღელვებლად უყუროს?! სულ სხვა რამ მინდოდა – მშვიდობა, ტყვეთა გათავისუფლება... სანაცვლოდ მუხანათურად მომექცნენ. ბიჭების დაღუპვიდან სულ რაღაც ნახევარი საათი იქნებოდა გასული, ჯერ არც სიბრაზე იყო დამცხრალი და არც სიმწარე იყო განელებული, ინტერვიუ რომ დაიწყო. სულ სხვა რამეს ვგულისხმობდი: ტყვეების ცოცხლად აყვანას ხომ არ ავკრძალავ, თუ ეს ომი გაგრძელდა, რას მიიღებთ ამით? ომმა 100 ათას ქართველთან ერთად შეიძლება მთლიანად 97 ათასი აფხაზი შეიწიროს-მეთქი. რაღაც ამის მსგავსს ვამბობდი, სიმწრითა და მღელვარებით სავსე და ვამტკიცებდი, რომ ამის დაშვება არ შეიძლებოდა.

დამიჯერეთ, ეს სიტყვები არც ცივსისხლიანობის გამო მითქვამს, არც სისხლმოწყურებული კაცის ამოძახილი ყოფილა, გამწარებული ადამიანის მიერ დაუფიქრებლად და გაუაზრებლად ნათქვამი სიტყვები იყო. ჩასაფრებულებმა კი დრო იხელთეს და ჩემი ნათქვამის აზრი მაშინ ისე გაავრცელეს, თითქოს აფხაზი ერის გასაწყვეტად 100 ათასი ქართველის შენირვას ვაპირებდი. ინტერვიუს დასრულებისას ოპერატორმა იკითხა, ხომ არ ჯობია, 100 ათასი ქართველისა და 97 ათასი აფხაზის ფრაზა ამოვიღოთო? ჟურნალისტმა უთხრა, განსაკუთრებული არაფერი უთქვამს, იმ შემთხვევას გულისხმობს, თუ სისხლისღვრა არ შეწყდებაო.

თვითონ ამაზე აღარ მიფიქრია, გული აჩადარისკენ მიმიწევდა. მუხანათურად მიღალატეს, ბიჭები დამიხოცეს! ერთი სული მქონდა, სამაგიერო მიმეგღო იმ ავაზაკებისთვის. „არწიველებიც“ შურისძიებას ითხოვდნენ, ჩადენილი ღალატის საპირწონეს. იმ ქარიშხლის ჩაწყნარება, რომელიც მათსა და ჩემს სულში ტრიალებდა, მხოლოდ ბრძოლას შეეძლო. „განგაში! მოეწყვეთ! მომყევით! წინ იერიშზე, აჩადარისკენ!“ – გავეცი ბრძანება. განცხადებაც და მოქმედებაც ემოციების დაცხრობისკენ უფრო იყო მიმართული, ვიდრე შურისძიებისკენ.

აჩადარისა და გუმისთის მიდამოებს ზვავივით დააცხრნენ ქართველები და აფხაზთა სახლებს შეესივნენ, იქნებ იქ გადაჰყროდნენ ვინმეს და შური ეძიათ. მხოლოდ მაშინ მოიოხეს გული, როდესაც იქაურობა ავტომატის ჯერისა და ყუმბარსატყორცნების ხმით გააყრუეს და საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ აფხაზთა და ქართველთა სულ ცოტა ხნის წინ ხალხმრავალ დასახლებაში აღარავინ იყო.

აფხაზები ისე გაქცეულიყვნენ საკუთარი სახლებიდან, რომ გასაყიდად მომარაგებული სიგარეტ „მაგნას“ ასობით ყუთი და ავტომანქანის ნაწილები უპატრონოდ მიეტოვებინათ. აღარც სნაიპერები ჩანდნენ და აღარც ის დივერსიული ჯგუფები, რომლებსაც ქართველების სისხლში ჰქონდათ ხელი გასვრილი. დღის ბოლოს აჩადარაში პროფესიით ექიმის, ავღანეთგამოვლილი კობა ბასილაშვილის მეთაურობით „თეთრგიორგელთა“ მცირერიცხოვანი ჯგუფი ჩავაყენე და უკან დავბრუნდით. მთელი საღამო მწარედ დავტიროდით გუმისთის პირას დაღუპულებს. მათ სიკვდილში თავს ვიდანაშაულებდი.

პაატა მამრიკიშვილს ცხრამეტი სულ ახლახან შეუსრულდა, წვერიც კი წესიერად არ ჰქონდა ამოსული. ჯერ კიდევ 1991 წლის 19 აგვისტოს, როცა გვარდია რკონში გავიდა, როგორ ვთხოვდი, შინ წასულიყო. არ დამთანხმდა, არ მიმატოვა. ბაზალეთის ტბაზეც პაატა მახლდა, თითქმის ერთი თვე ერთად ვცხოვრობდით. დათვის ბელ „გვანცას“ ის უვლიდა, აჭმევდა და აბანავებდა. ისეთი ბიჭი იყო, ცხოველსაც უყვარდა. სოხუმშიც სულ შტაბში გვყავდა და გვერდიდან არ ვიშორებდით... საბოლოოდ მაინც ვერ გავუფრთხილდით.

გორა ჩიგოშვილი მასზე ათი წლით უფროსი იქნებოდა, მეუღლეც ჰყავდა და პატარა შვილიც. მერვე თვე იყო, რაც „თეთრ არწივში" მოვიდა და ყველასთან დამეგობრება მოახერხა. მაინცდამაინც იმ საბედისწერო დღეს გავაყოლე ორ აფხაზ მინისტრს გასაცილებლად ჩემს ძმასთან ერთად, სამტროდ და საომრად კი არა, სამშვიდობოდ და სამეგობროდ. ორივე ტანადობითა და საზრიანობით გამორჩეული იყო. ვინ იფიქრებდა, ვინ წარმოიდგენდა, რომ იქ რამე მოხდებოდა?!

მეორე დილით რკინიგზის საავადმყოფოს წინ, მანქანაში დავემშვიდობე თეთრ ზეწარში გახვეულ თანამებრძოლების ცხედრებს. გვარდიელები ბავშვივით ტიროდნენ. მომხდარს საშინლად განვიცდიდი.

ყოველი ჯარისკაცის დაღვრილი სისხლის წვეთები თითქოს საკუთარი სხეულიდან მდიოდა. ისედაც საკმარისზე მეტი თანამოძმის სისხლი იყო დაღვრილი ჩემი ბრძანებითა და განკარგულებით. ზოგი ბრძანება სწორი იყო, ზოგი არასწორი, ზოგი აზრიანი, ზოგიც უაზრო... თითოეული ჯარისკაცის სიკვდილი, რომელიც ჩემს გაცემულსა და გასაცემ ბრძანებას შეიძლება მოჰყოლოდა, მძიმედ მაწვებოდა გულზე. ეს იყო სწორედ პასუხისმგებლობის ის სიმძიმე, რომლის ზიდვაც ყოველდღიურად უფრო და უფრო მიჭირდა, ყოველი ახალი ბრძანების გაცემისას ხანჯლის წვერივით მესობოდა გულში და მტანჯავდა. თენგიზ კიტოვანისადმი დიდი რიდის მიუხედავად, სწორედ ეს ტკივილი მიღრმავებდა უკმაყოფილებას ჩემი ომში შეყვანისა და მარტო შეტოვების გამო.

იმავე საღამოს ბრძოლის იმ სახეობაში დავმარცხდი, რომელშიც ყველაზე ნაკლებად ვერკვეოდი. აღიარების ნაცვლად, იმის მაგივრად, რომ ღალატით, მუხანათურად, ზურგიდან სროლისას დაღუპულ ქართველ ბიჭებზე სინანული გამოეთქვათ, ჩვენ მიერ გამოჩენილი კეთილი ნება დაეფასებინათ, სიცრუე შეთხზეს. 4-5 საათის წინ აფხაზეთის ტელევიზიით გადმოცემული დაუფიქრებლად, ცხელ გულზე ნათქვამი ჩემი სიტყვა, რომ ამ ომის გაგრძელება არ შეიძლება, ისე დამონტაჟებული აჩვენეს, თითქოს სისხლმოწყურებული სარდალი სანყალ მშვიდობისმოყვარე აფხაზ ხალხს განადგურებით ემუქრებოდა. ხოლო იმაზე კრინტიც კი არ დაძრეს, სინამდვილეში რა მოხდა გუმისთის პირას ან კაცური შეთანხმება ვინ და რატომ დაარღვია...

შეტაკების შემდეგ თანამებრძოლების მუხანათური ჩახოცვით გამწარებული მეომრის ფრაზა, დაჩეხილი კადრებით და დამონტაჟებული – რაც ინტერნეტშიც დევს და თუ დააკვირდებით, შენიშნავთ – ტელეეთერში ასე გავიდა: „И если... даже... погибнут 100 тысяч грузин, то погибнут все 97 тысяч абхазцев",[159] რაც სეპარატისტებმა ძალიან ოსტატურად გამოიყენეს მსოფლიოსათვის იმის დასამტკიცებლად, რომ „ქართველებს აფხაზი ხალხის ამოწყვეტა ჰქონდათ განზრახული".

დაბნეული ვუყურებდი პროპაგანდისთვის საგანგებოდ დამონტაჟებულ კადრებს, რომელშიც უაზრო სიმხეცე იკითხებოდა. მკიცხავდა ყველა, მტერიც და მოკეთეც. ყოველდღიურად თავის მართლება მიწევდა, რომ სულ სხვა რამე ვთქვი და ვიგულისხმე. მათივე შეთხზული პროპაგანდით სურდათ, რომ მეც და მთლიანად ქართველები ფაშისტებად წარმოვეჩინეთ. სინამდვილეში ამ ბრალდებით ის მუხანათური საქციელი შენიღბეს, რომელიც ჩაიდინეს. ასჯერაც რომ უარყონ და იცრუონ, როგორც გინდა დააამონტაჟონ, ასჯერვე დავუმტკიცებ, რადგანაც ნათქვამ ყოველ

[159] И если даже погибнут 100 тысяч грузин, то погибнут все 97 тысяч абхазцев (რუს.) – და თუ 100 ათასი ქართველი დაიღუპება, დაიღუპება 97 ათასი აფხაზიც.

სიტყვას ცოცხალი მოწმე ჰყავს – მათივე მომავალი პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი. ის მაშინაც იქ იყო, როდესაც ინტერვიუ იწერებოდა და ყველაფერი ესმოდა.

გუმისთასთან მომხდარის მიუხედავად, ტყვეთა გათავისუფლებას მაინც არ ვნაბობდი. სიბოროტის კეთებას ისევ სიკეთის კეთება სჯობს. ყოველი კეთილი საქმის შემდეგ შინაგან კმაყოფილებას განვიცდიდი, ყოველი შეცდომის შემდეგ – სინანულს.

■

ყოველდღიურად ახალ-ახალი ჯგუფები მოიწევდნენ, ბოლო არ უჩანდათ. ტყვედ აყვანილებსა და გარდაცვლილებს შორის აფხაზს თითქმის ვერ ნახავდით, ყაბარდოელები, ინგუშები და ჩეჩნები ჭარბობდნენ. იმ საღამოს კიდევ ოთხი ყაბარდოელი ჩაგვივარდა ტყვედ. ორი მათგანი დაჭრილი იყო. დაუფარავად ჰყვებოდნენ, რა გზებითა და მარშრუტებით ხვდებოდნენ აფხაზეთში, ცხადია, რუსების ხელშეწყობით. მათი დაკითხვისას გავიგეთ პირველად, რომ გუდაუთაში, რუსების სამხედრო ბაზაზე ჩეჩენთა 200-კაციანი რაზმი გადიოდა მომზადებას შამილ ბასაევის მეთაურობით.

27 აგვისტოს სოხუმში თენგიზ სიგუა ჩამოვიდა. მასთან შეხვედრას ითხოვდნენ ბორის პასტუხოვი და გალინა სტაროვოიტოვა, რომლებსაც თან ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ახლდათ. ისინი წინა დღით ტყვედ ჩავარდნილი ყაბარდოელების გადაცემას გვთხოვდნენ. თუ მანამდე რუსები კატეგორიულად უარყოფდნენ აფხაზეთის კონფლიქტში მოხალისეთა მონაწილეობას, ახლა უკვე სიმართლის დამტკიცება შეგვეძლო, რომ მათ მოქალაქეებს ქართველების სისხლში ჰქონდათ ხელი გასვრილი, თუმცა ისე გაურბოდნენ პასუხისმგებლობას, რომ მათი ლაპარაკით აღშფოთებულმა პირდაპირ ვუთხარი, დაქირავებულ მებრძოლთა მიმართ სასტიკი ვიქნები-მეთქი. ჩემს ნათქვამს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩინოვნიკის მიერ იქვე საპროტესტო ნოტის გადმოცემა მოჰყვა. სიმართლე გითხრათ, ცოტა დავიბენი, რადგან ისიც არ ვიცოდი, ნოტის გადმოცემა რას ნიშნავდა. თენგიზ სიგუამ დამიცვა, თავის მხრივ, საპროტესტო ნოტა შეაგება რუსეთის ტერიტორიიდან დაქირავებული მებრძოლების შემოსვლის გამო. მოლაპარაკებები ყოველთვის შეთანხმებით სრულდებოდა, თუმცა რუსეთიდან მოხალისეთა შემოსვლას დასასრული არ უჩანდა – ასობით, ათასობით შემოდიოდნენ. განსაკუთრებით ჩეჩენთა ქცევის ახსნა მიჭირდა. დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, თავისუფლების მოყვარე ერის შვილები რუსი გენერლებისა და ოფიცრების სამხედრო განკარგულებებს ასრულებდნენ და მათ მხარდამხარ იბრძოდნენ.

ყოველმხრივ შემოგვესივნენ. სახმელეთო და საჰაერო გზით, მთებსა და უღელტეხილებზე ბილიკებით მოდიოდა ათასი ჯურის გადამთიელი, ჩრდილოკავკასიელი მეზობლები. ჩრდილოეთ კავკასიაში, ისევე როგორც რუსეთის სხვადასხვა ქალაქში, მოხალისეთა სამობილიზაციო პუნქტები იყო გახსნილი, სადაც ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველად საბჭოთა არმიიდან ახლად დათხოვნილ ოფიცრებს, დემობილიზებულ ჯარისკაცებს, თავზეხელაღებულ მკვლელებს ქირაობდნენ. ყოველდღიურად ქალაქის დასავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან შემოსულ მცირერიცხოვან ჯგუფებთან გვიწევდა ბრძოლა. უკვე ნამდვილ მტერს ვებრძოდით, ჩვენს მიწა-წყალზე სამტროდ მოსულ გადამთიელსა და მომხდურს.

■

ჩემ შესახებ სოხუმში ათასნაირი ჭორი დადიოდა. გაზვიადებულად ჰყვებოდნენ: „ბრძოლაში წინ პირველი თვითონ მიდის, გადახდილი მანქანით დადის, თავდაუხრელად დაქრის წინა ხაზზე“ – და ა. შ. ასეთი ქება არასდროს მომწონდა.

სარდლის ტიტულის ტარება უდიდესი პატივი იყო და, ამავე დროს, უდიდესი პასუხისმგებლობაც. საბჭოთა არმიაში მეთაურობა ბევრად ადვილი იყო, თუნდაც ცხელ წერტილებში. საბრძოლო შენაერთში სხვადასხვა ეროვნების ჯარისკაცები მსახურობდნენ. ნებისმიერი მეთაურის მიერ გაცემული ბრძანება, რაც არ უნდა დიდ რისკთან ყოფილიყო დაკავშირებული, ემოციასა და გულჩვილობას გამორიცხავდა. მაშინ მზვერავთა ჯგუფსაც იოლად გაუშვებდი მოწინააღმდეგის სიღრმეში, მათი გადარჩენის სულ მცირედი იმედიც რომ არსებულიყო; ბრძოლის ველზე უკან დახევის გარეშე თავის დადებასაც იოლად მოითხოვდი თუნდაც უმნიშვნელო სიმაღლის დასაკავებლად. ჯარისკაცს ბრძოლაში სისხლის დაღვრასა და სიკვდილს სამხედრო ფიცი, საბრძოლო წესდება და კანონი ავალდებულებდა. აქ სხვა ვითარება იყო. რაზმში დედმამიშვილი, უახლოესი ნათესავი, მეგობარი, კლასელი და მეზობელი გყავდა, შენი თუ არა, შენ გვერდით მყოფის, მისი თუ არა, სხვისი. ნებისმიერი დანაკარგი უდიდეს ტკივილს მაყენებდა, ამიტომ ჩემი, როგორც მეთაურის, აზრი და გონება, უპირველესად, საკუთარ თანამებრძოლებზე ფიქრით, ყოველი მათგანის სიცოცხლის შენარჩუნების პასუხისმგებლობით იყო დატვირთული.

გულანთებულ მოხალისეთა გარემოცვაში მხოლოდ სიტყვის თქმით არ ვკმაყოფილდებოდი. შენ თქვა და სხვამ შეასრულოს, თვითონ კი სადმე უკან, ზურგში ან თუნდაც შტაბში იჯდე და შორიდან შესცქეროდე იმას, რაც ბრძოლის ველზე ხდება, ან მხოლოდ შესრულებული დავალების შემოწმებით დაკმაყოფილდე – ასე ვერ მოვიქცეოდი. ბრძოლისას ყოველთვის თვითონ მივუძღოდი იერიშს. ჯერ მე მივდიოდი და შერე ვითხოვდი მათგან იმავეს. ვიცოდი, ამის შემდეგ ჯარისკაცები უკან უშიშრად გამომყვებოდნენ.

ავტორიტეტი თანამდებობას არ მოაქვს, ის ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცით მოიპოვება. საკუთარი ქცევით და გადადგმული ნაბიჯებით უმალ იპყრობ ჯარისკაცთა ყურადღებას, მაგალითს აჩვენებ გვერდით მდგომს, სუსტსაც და ძლიერსაც, გამბედავსაც და მხდალსაც. ამით აღფრთოვანებული ისიც ავლენს აქამდე მისთვის უჩვეულო, მოულოდნელ სიმამაცეს, რომელიც ყველა ადამიანშია და თავისთავად ამოხეთქავს ხოლმე იმ დროს, როდესაც თვითონაც ნაკლებად ელის და ისეთ მამაცურ ნაბიჯს გადაადგმევინებს, ვერასდროს რომ წარმოიდგენდა. ყოველდღიურად გიწევს ბრძოლაში სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, ბეწვის ხიდზე სიარული, მაგრამ სიმამაცეს თუ ზღვარი დაუდე, ის სიმამაცე აღარ იქნება. შიში მას ვნებს და თავის მარწუხებში აქცევს.

სიმამაცეს სამხედრო საქმის ცოდნა სჭირდება, უამისოდ განწირულია, უცოდინარობამ შეიძლება უმალ უგუნურობად აქციოს, საკუთარ თავსაც ავნო, გვერდით მდგომსაც და ბრძოლის ბედსაც. ომში მთავარი წესი არის ის, რომ მუდამ ფხიზლად იყო, ოდნავადაც არ მოდუნდე. ომი თუნდაც წამიერ სისუსტესაც არ გპატიობს, სიფხიზლეს კი ალკოჰოლი და ნარკოტიკი ვნებს. სიკვდილი სწორედ ამ მომენტს ელოდება, ბრძოლის ველზე უჩინრად და უხმოდ არის ჩასაფრებული, უმალ რომ დაეპატრონოს თავის მსხვერპლს. ბრძოლას არც ყოყოჩობა და ამპარტავნობა შვენის, სხვაზე უპირატესად, უშიშრად თავის წარმოჩენა. სადაც ჩამუხვლაა საჭირო, იქ მუხლი უნდა მოხარო. სამხედრო საქმისადმი ზერელედ, დაუდევრად მიდგომამ

შეიძლება შენც გავნოს და მთელ ქვედანაყოფსაც. საკუთარი დაუდევრობით დაჭრილის ან დაღუპულის ბრძოლის ველიდან გამოყვანას შეიძლება იმდენი კაცი შეეწიროს, რომ ასეულმა ბრძოლისუნარიანობა საერთოდ დაკარგოს.

მაღალი თანამდებობისა და ძალაუფლების მიუხედავად, არასოდეს შევუპყრივარ ამპარტავნობას და თავმომწონეობას. არც ბრძოლის მერე შიგადაშიგ მოძღვნილი ქება ამვარდნია თავში. თუ საჭირო იყო, მუხლსაც ვხრიდი და ნაბიჯსაც ვუჩქარებდი. თუ საჭირო იყო, ხოხვაც არ მითაკილია. ბრძოლაში ყველა წვრილმანს ყურადღებას ვაქცევდი და სხვებისგანაც იმავეს ვითხოვდი, რადგან ნებისმიერ, თუნდაც უმნიშვნელო ბრძოლაში გამარჯვების სიხარულს მხოლოდ ბრძოლიდან უდანაკარგოდ გამოსვლა განიჭებს და მოწინააღმდეგეზე კი არა, სიკვდილზე გამარჯვებად აღიქვამ. სიკვდილი კარგია, თუ მამულს ამით რამეს არგებ, მაგრამ თუ იმ კონკრეტულ ბრძოლაში დიდი არაფერი წყდება, სიკვდილს სჯობს, სამშობლოს ცოცხალი ემსახურო.

ერთ ამბავს გიამბობთ.

მარიამობის დღესასწაული იყო, 28 აგვისტო. იმ დილით აჩადარაში წინა დღით დატოვებული ოცეულის ბლოკსაგუშაგოს თავს დაესხნენ. „თეთრგიორგელები" შველას ითხოვდნენ. მათ მეთაურს კობა ბასილაშვილსა და რამდენიმე მებრძოლს ხიდის თავზე ხის კოტეჯისთვის შეეფარებინათ თავი. ყველა მხრიდან ესროდნენ და ბიჭებს თავის აწევის საშუალებას არ აძლევდნენ.

დილის 11 საათისთვის შტაბში საგანგაშო ინფორმაცია მოიტანეს. არ მესიამოვნა ღვთისმშობლის მიძინების დღეს ისევ ბრძოლაში ჩაბმა. უხასიათოდ შევიარე შტაბში, მებრძოლებს მარიამობა მივულოცე და ასეულის მოწყობის განკარგულება გავეცი.

ერთი თვის წინ, ლიახვის ხეობაში მივლინების დროს 28-ე ბატალიონის ერთ ათეულს ზაზა დუმბაძეზე გამორჩეული შთაბეჭდილება მოუხდენია და „თეთრ არწივში" სწორედ მისი გადმობირებულები იყვნენ, ბრძოლის ველზე პირველობის პირობით. მათგან ერთ-ერთი – დიმა კუდუნოვი შტაბის უფროსის მოადგილის მოვალეობის შესრულებას შესდგომოდა, სულ რაღაც ორი დღის წინ იყო გადმოსული 11 მებრძოლთან ერთად.

– მარიამობას გილოცავთ! – მივმართე ყველას.

– მეც გილოცავ, დღეს ჩემი შვილის დაბადების დღეა, ერთი წლის გახდა, – გაბრწყინებული თვალებით მიპასუხა დიმამ და ერთ წერტილს მიაშტერდა. ეტყობოდა, აზრით სადღაც შორს იყო.

– კარგ დღეს ყოფილა დაბადებული, რა ჰქვია? – ვკითხე გაუაზრებლად, რადგან არც ჩემი ფიქრი იყო იმ პატარა ოთახში ჩაკეტილი, აჩადარის დაბლობში მოსალოდნელ ბრძოლას დასტრიალებდა.

– მარიამი, – მიპასუხა დიმამ.

მოწყობის განკარგულება მის გარეშე რომ გავეცი, დიმას არ ესიამოვნა, შეურაცხყოფილად იგრძნო თავი:

– მე აქ მებრძოლ ოფიცრად გადმოვედი და არა შტაბის „კრისად"[160], – უკმაყოფილება არ დაფარა და ბრძოლაში წამოსვლა ცოტა თავხედურადაც მოითხოვა.

[160] Крыса (რუს.) – ვირთხა

ორი დღის წინ მოსული შტაბში დატოვების ბრძანებას ეურჩებოდა. არ მომეწონა ზედმეტი სითამამე, მაგრამ აღარ შევეწინააღმდეგე. იმ დროს თავდამსხმელებზე ვიყავი გამწარებული და ჯობდა, მოწინააღმდეგეზე მეყარა ჯავრი, ვიდრე მასზე.

აგვისტოს ცხელი დღე იდგა. აჩადარის გზით გუმისთის ხიდისაკენ მივიწევდით მოკლე გადარბენებით, ორმხრივად დისტანციისა და ინტერვალის დაცვით. ზოგჯერ ხოხვაც გვიწევდა. საიდანღაც დამიზნებით ისროდნენ ჩვენი მიმართულებით, თავს არ გვაწევინებდნენ და წინსვლას გვიშლიდნენ. მიწაზე გართხმულები სნაიპერის ჩასაფრების სავარაუდო ადგილს ვეძებდით, არემარეს ვათვალიერებდით და საცეცხლე წერტილს ვზვერავდით, მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ გზას მაინც ვაგრძელებდით, ის კი ისევ შეუჩერებლად ისროდა. მოულოდნელად უკნიდან მომავალმა დიმამ, სხვებისგან განსხვავებით, ვაჟკაცობის დასამტკიცებლად, ჩამუხვლა, გადარბენა და თხრილში თავის შეფარება ითაკილა. მოასფალტებულ გზაზე მოძრაობის გამყოფ თეთრ ხაზს ისე გაუყვა, თითქოს ბრძოლის ველზე კი არ იყო, „რეიბანის“ სათვალით ჰოდიუმზე გამოდიოდა. მიაბიჯებდა დინჯად, არხეინად, ამპარტავნულად, თითქოს ვიღაცას ვაჟკაცობაში ეჯიბრებოდა. ზედმეტად გამომწვევმა საქციელმა მოწინააღმდეგის ყურადღება და სარდლის რისხვა ერთდროულად დაიმსახურა: „დიმა, დაწექი!“ – დავუყვირე.

ვითომ არ ესმოდა, თავის დამკვიდრებას ეპატაჟით ცდილობდა. ერთი გაიღიმა და გზა გააგრძელა. მიდიოდა უშიშრად, თითქოს უკვდავი ყოფილიყოს და თან აქეთ-იქით ამაყად იყურებოდა. გამწარებულმა მივაძახე: „ნუ „ტრიპაჩობ“[161], დიმა, მოგკლავენ!“

მის გამო უხილავი ადგილებიდან ახლა უკვე გაათმაგებულად წამოვიდა ტყვიების წვიმა. სადღაც ახლოს იყვნენ ჩასაფრებულები და დამიზნებით ისროდნენ. ეტყობოდა, რომ მათგან აჩადარის დაბლობი ხელისგულივით მორანდა. კიდევ ერთხელ შევუძახე, სიმწრისგან კბილებში ვცრიდი: „ბრძანება შეასრულე, დიმა, დაწექი!“ – მაგრამ უშედეგოდ. ცხადი იყო, რომ ჩემს სიტყვას არაფრად აგდებდა და დინჯი ნაბიჯებით მისეირნობდა, უშიშრად თუ უგუნურად, ეგ კიდევ საკითხავია.

განრისხებულმა დავუყვირე: „შენი სიცოცხლე თუ არაფრად გიღირს, ჯანდაბამდე გზა გქონია, მაგრამ სხვას რას ერჩი?!“ – და ბედისწერის იმედად მიმავალს მზერა გავაყოლე. დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია. როდის ყოფილა, ომს ვინმესთვის შეცდომა ეპატიებინოს?! ყველაფერი ისე მოხდა, წამის მეათასედში, როგორც უნდა მომხდარიყო: ჯერ სროლის ხმამ მოაღწია, მერე სათვალის შუშის მსხვრევა გავიგონე და შუბლსა და თვალს შორის სისხლმა შადრევანივით გადმოასხა. სნაიპერის ნასროლმა 7,62-მმ-იანმა ტყვიამ ორმეტრიანი ჭაბუკი იქვე მოცელა.

მტერსაც და მოყვარესაც მზერა მისკენ გვქონდა მიმართული. ისინი ალბათ ხარობდნენ, ერთ კაცზე მოპოვებულ გამარჯვებას ზეიმობდნენ, ჩვენები კი გულმოკლულნი შესცქეროდნენ დაცემულს და სიბრალულით იწვოდნენ. უძრავად იწვა შუა გზაზე და სისხლისგან იცლებოდა. სასწრაფოდ უნდა გამოგვეყვანა.

როგორც კოიოტები გრძნობენ სისხლის სუნს, ისე იგრძნო მოწინააღმდეგემ, რომ ბრძოლის ველიდან დაჭრილის გამოყვანას ერთი ან თუნდაც რამდენიმე თავზეხელაღებული აუცილებლად შეეცდებოდა და უფრო მეტი დამიზნებით და ინტენსივობით დაიწყეს სროლა.

---

[161] ნუ ტრიპაჩობ! (სლენგი) – ნუ მეტიჩრობ, ნუ ყოყოჩობ!

სარწყავ არხსა და თხრილებში ჩამსხდარსა და ეზოებს შეფარებულ ბიჭებს მონინააღმდეგის სავარაუდო საცეცხლე წერტილებისკენ მასიური ცეცხლის გახსნა დავავალე. ამირან ჭაბუკიანისგან სასწრაფოდ საწყისი რაიონიდან „ბეტეერის" შემოყვანა მოვითხოვე და წაქცეული ჭაბუკისკენ ნახევრად მოხრილმა, სირბილით გადავირბინე, უკან გიო ახობაძე გამომყვა. ასამდე ქართველი ჯარისკაცის ავტომატი, ტყვიამფრქვევი და ყუმბარსატყორცნი შეუჩერებლად, ვაზნების დაუზოგავად, თითქმის უმიზნოდ, მაგრამ სავარაუდო მიმართულებით ისროდა, წვავდა და ადუღებდა იქაურობას, თავს არ აწევინებდა მოწინააღმდეგეს, რომ წაქცეული თანამებრძოლი როგორმე სარწყავი არხის თხრილში გადაგვეყვანა.

მისი თავი მუხლებზე მედო. სიმწრითა და სიბრალულით დავცქეროდი, სისხლისგან როგორ იცლებოდა. უძრავად იწვა, ნატყვიარიდან სისხლი შადრევანივით ასხამდა. „ხომ გეუბნებოდი, ხომ გაფრთხილებდი, ცოდვის შვილო, რა გინდა, რად იკლავ თავს შვილის დაბადების დღეს?!" – ვჩურჩულებდი გამწარებული. მოულოდნელად სახეზე სპაზმურმა მოძრაობამ გადაუარა, მომეჩვენა, არა, აშკარად ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ტყვია თვალსა და შუბლს შორის მოხვდა. ნამდვილად ღვთისმშობელი მფარველობდა. გაბრაზება საერთოდ დამავიწყდა, სიხარულისგან თვალებს არ ვუჯერებდი.

არემარეს სერავდა ტყვიების წუილი, ავტომატის კაკანი გარემოს აყრუებდა, სიკვდილისაგან თანამებრძოლის დასახსნელად თავს არავინ ზოგავდა. უკვე მესამემ გადმოირბინა, შემდეგ მეოთხემ, მეხუთემ, ამასობაში ამირანის გამოგზავნილი „ბეტეერიც" მოვიდა და ღია ადგილას მყოფებს კედელივით გადაგვეფარა. ტყვიების ჯოჯოხეთური სეტყვის ქვეშ ასკილოგრამიანი წაქცეული მებრძოლის ბრძოლის ველიდან გარიდებას ვლამობდით. გადარჩენის ძალიან მცირე იმედი იყო, მაგრამ იმ დღეს იქ ღვთისმშობელი გვმფარველობდა – დიმა ცოცხალი გამოვიყვანეთ.

შუადღე მომდგარიყო. სიცხესთან ერთად ცეცხლის ინტენსივობამაც იმატა და ბრძოლაც გახურდა. ახლა უკვე აჩადარის მოშიშვლებულ გორაკზე, 300-ოდე მეტრში განცალკევებულად მდგომ ხის კოტეჯში ჩარჩენილებს უნდა დავხმარებოდით. თაკარა მზეში რამდენიმე „არწიველი" ინტერვალის დაცვით, მოკლე-მოკლე გადარბენით შევუყევით მაღლობს.

მოულოდნელად ჩვენი გადაადგილების მარშრუტზე ზურგიდან გამოშვებულმა ავტომატის ჯერმა იძულებული გაგვხადა, მიწაზე გავრთხმულიყავით. ეს არ იყო შემთხვევითობა ან შეცდომა. ძნელი წარმოსადგენია, რომელიმე „თეთრარწიველს" შეშლოდა, ჩვენებმა ყველამ ზუსტად იცოდა, რომ იმ მიმართულებაზე მე და „თეთრი არწივის" მე-4 სპეცდანიშნულების ბატალიონის მეთაური, დავით აფციაური მივდიოდით. ეს მიზანმიმართული სროლა იყო. ერთადერთი ავტომატიდან პერიოდულად გამოშვებული მოკლე-მოკლე ჯერები კიდევ უფრო მიმტკიცებდა ისედაც სულით ხორცამდე გამჯდარ ეჭვს, რომ რუსების მხრიდან ჩემს გარემოცვაში ვიღაც იყო შემოგზავნილი, თუმცა ზუსტი მტკიცებულების გარეშე ხელის დადებას და იმის თქმას, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო, დღემდე ვერიდები, ხომ შეიძლება ვცდებოდე?!

ერთ-ერთი „არწიველი" უკან გავგზავნეთ გასაფრთხილებლად, რომ ჩვენი მიმართულებით აღარ ესროლათ და გზა გავაგრძელეთ. ათიოდე წუთში აჩადარის მთას თავზე მოვექეცით.

მუცელში დაჭრილი „თეთრი გიორგის" რაზმის მეთაური კობა ბასილაშვილი კოტეჯიდან გამოვიყვანეთ, სახელდახელოდ ხის ტოტებისგან გაკეთებულ საკაცე-

ზე დავაწვინეთ და ათამდე „თეთრარწიველმა“ მოწინააღმდეგის ტყვიების წვიმაში დავიწყეთ გორაკიდან დაშვება. ასიოდე მეტრი რომ გავიარეთ, თითქოს სროლებმაც იკლო. დაღმართზე უკვე სიმინდის ყანაში ვიყავით შესულები, როდესაც ისევ იმ მხრიდან, საიდანაც მოძრაობა დავიწყეთ, ჩვენკენ გამოშვებული ავტომატის ჯერით ოთხი მებრძოლი დაგვეჭრა. უვნებლად გადარჩენილები იძულებულები გავხდით, ხელახლა გადავნაწილებულიყავით და მათ უსაფრთხო ადგილამდე გამოსვლაში დავხმარებოდით.

აჩადარაში კობა ბასილაშვილის დაჭრის შემდეგ გია კრიალაშვილი ჩაუდგა სათავეში „თეთრგიორგელებს“, რომლებიც ომში სრული შემადგენლობით ჩაერთნენ და ბოლომდე გამოგვყვნენ, ისევე როგორც თამაზ გოგინაშვილის („სამსონი“) მიერ თბილისელებისა და ბოლნისელებისგან შექმნილი რაზმი, კიდევ პლეხანოველთა რაზმი, სტუდენტთა და მასწავლებელთა მიერ შექმნილი „ორბელთა“ რაზმი, რომელთანაც „თეთრ არწივს“ პირველი დღიდანვე მჭიდრო საბრძოლო მეგობრობა ჩამოუყალიბდა.

სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერა

უამრავი მოხალისე ჩამოდიოდა სოხუმში, რკინიგზის საავადმყოფოს ტერიტორიაზე განთავსებულ შტაბში გვაკითხავდა, მაგრამ მოუმზადებელი და ბრძოლაში გამოუცდელი ბიჭების მიღებას ვერიდებოდი.

28 აგვისტოს, დილით სარდლობის შტაბში მოსულ რამდენიმე გულანთებულ ახალგაზრდასაც უარი ვუთხარი მიღებაზე, ერთ-ერთი მათგანი სოზარ სუბარი იყო. ვიცოდი, რომ გულს ვტკენდი, თუმცა ყველა, ვინც უარით გავისტუმრე, იქნებ წყენის ნაცვლად სიცოცხლეს უნდა მიმადლოდეს – ვინ იცის?!

მეორე დილით მოხალისეთა ახალი სამკაციანი ჯგუფი მოვიდა, მთაწმინდელები იყვნენ: გია ნადირაშვილი, სულხან სულხანიშვილი და გიორგი გაჩეჩილაძე. წინა დღეს ჩამოსულიყვნენ სოხუმში და „თეთრ არწივთან“ ერთად ითხოვდნენ ბრძოლაში გასვლას. მათ მიღებას მთაწმინდელები – ჰამლეტ მერაბიშვილი და ჯანგო ხარჭამაძე შუამდგომლობდნენ. ისეთი გულით ითხოვდნენ, რომ უარის თქმა გამიჭირდა. ისიც გავითვალისწინე, რომ წინა დღეს ჩემგან უარით გასტუმრებულები სამხედრო კომენდატურაში ჩაერიცხათ, რომელსაც სოხუმელი სოსო ახალაია დაჩქარებული ტემპით აყალიბებდა. „თეთრი არწივი“ ადამიანებს ყოველდღე კარგავდა და შევსება სხვებზე მეტად სჭირდებოდა. ჰამლეტს დავავალე, იარაღი მიეცით და ერთ-ერთ მოწესრიგებულ რაზმს, „ორბს“ მიამაგრეთ-მეთქი.

იმ დღეს შევარდნაძე სოხუმში ჩამოვიდა და „გოსდაჩაზე“ დამიბარა. დაწვრილებით გამომკითხა, რა მდგომარეობა იყო ფრონტის ხაზზე, დაინტერესდა სამთავრობო ნაწილების ბრძოლისუნარიანობით და იმით, თუ როგორ ვუყურებდით სამხედროები მშვიდობის დამყარების საკითხს. სახელმწიფოს მეთაურს გულწრფელად მოვახსენე ჩემს დაქვემდებარებაში მყოფი სამხედრო ძალების შესაძლებლობაზე, რომ იმ შეზღუდული რაოდენობით, რომელიც სოხუმში გვყავდა, მხოლოდ ლოკალური ამოცანის შესრულება შეიძლებოდა, რადგან არავითარი რეზერვი არ არსებობდა. ჩუმად მისმენდა, არ მაწყვეტინებდა, შეხვედრის მიზეზი მხოლოდ მას შემდეგ გამიმხილა, რაც მოხსენება დავასრულე. 3 სექტემბერს სოჭში რუსეთის პრეზიდენტთან საბრძოლო მოქმედებათა დასრულების სამშვიდობო ხელშეკრუ-

ლებაზე ხელმოწერა იგეგმებოდა. სასურველი იქნებოდა, 3 რიცხვამდე სამხედროებს რაიმე იერიში განეხორციელებინათ და ოპერატიულ-ტაქტიკური უპირატესობა მოეპოვებინათ, რათა მოლაპარაკების მაგიდასთან სახელმწიფოს მეთაური უფრო გამართული მჯდარიყო.

მისი აზრი გასაგები იყო: გვჭირდებოდა ლოკალური წარმატება როგორც სოხუმის, ისე გაგრის მიმართულებით და დაკავებული პლაცდარმის შეძლებისდაგვარად გაფართოება. ჩუმად ვუსმენდი და ისევ ეჭვი მღრღნიდა, იმავე ადამიანების საეჭვო გულუბრყვილობით, იმავე ხერხითა და მეთოდით, აფხაზეთშიც იგივე ხომ არ მეორდებოდა, რაც ცხინვალში მოხდა ორიოდე თვის წინ? საბოლოოდ, სამშვიდობო ჯარების შემოყვანით საქართველოში რუსული არმიის ყოფნა ხომ არ უნდა დაეკანონებინათ?

იგივე ხელწერა იკითხებოდა: ჯერ ომს დაგაწყებინებენ, სასტიკ ომს. იღვრება სისხლი, ძალიან ბევრი სისხლი და სანამ თანაბარი ბრძოლები მიმდინარეობს, არავინ ამბობს: „შეჩერდით, უგუნურნო, რას ჩადით?!“ ხოლო შემდეგ, როგორც კი სასწორი ქართველების სასარგებლოდ გადაიხრება და ორივე მხარეს უამრავი თავდადებული მეომრის სისხლი დაიღვრება, „კეთილ ჩრდილოელ მეზობელს“ საბაბი ეძლევა, ომის შესაჩერებლად კონფლიქტის ზონაში მშვიდობისმყოფელთა ჯარი შემოიყვანოს და საოკუპაციო ძალების ყოფნა ლეგიტიმური გახადოს.

თუმცა უმაღლესმა მთავარსარდალმა ამოცანა განსაზღვრა და, ჩემი ეჭვის მიუხედავად, უნდა შეგვესრულებინა.

30 აგვისტოს, დილით გაგრის დამცველებმა ოპერატიული სივრცის მოსაპოვებლად კოლხიდიდან ბზიფისკენ წამოიწყეს შეტევა. შუადღისათვის სოხუმში ცუდი ამბავი მოვიდა – იერიში უშედეგოდ და დიდი მსხვერპლით დასრულდა. როგორც ამბობდნენ, იერიშზე გადასული გულანთებული ბიჭები ბრძოლის ველზე რიგრიგობით ეცემოდნენ. იმ დღეს გავიგე კოტე ჯანჯღავას დაღუპვის ამბავიც. კოტეს ქორწილშიც სულ ცოტა ხნის წინ ვხარობდი, ახლა კი მის სიკვდილს ვგლოვობდი.

გაუსაძლისი იყო განცდა, რომელიც ყოველი ახალი თანამებრძოლის გარდაცვალებისას სულ უფრო მძაფრად მეუფლებოდა და მარწუხებში მაქცევდა, რადგან კითხვაზე: „ვისთვის და რატომ იღუპებიან?“ – პასუხს ვერ ვპოულობდი.

მოსალოდნელი მსხვერპლის შიშით იერიშზე გადასვლის ბრძანების გაცემაც მიჭირდა. არადა ბრძოლაში წარმატების მისაღწევად მეთაური ემოციებისგან თავისუფალი უნდა იყოს, მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ჯარისკაცს რა ჰქვია, რომელ ათეულში ან ასეულში ირიცხება, ცივსისხლიანად უნდა იძლეოდეს ბრძოლაში ჩართვისა და იერიშზე გადასვლის ბრძანებას. თუმცა ჩემს შემთხვევაში ეს შეუძლებელი იყო, რადგან ჩვენს საბრძოლო შენაერთში ერთმანეთთან ყველა ნათესაურ-მეგობრულ-ახლობლური ძაფებით ვიყავით დაკავშირებული და თითოეული წევრის დაკარგვა გულში ლახვარივით მესობოდა მეც და ნებისმიერ ჩემს თანამებრძოლსაც.

მეორე დილისთვის გუმისთის იქით იერიშზე გადასასვლელად ახლა უკვე სოხუმიდან ვემზადებოდით. რეკოგნოსცირებაზე გასული, აჩადარის მაღლობიდან დავყურებდი მომავალი ბრძოლის ველს. კარგი ადგილი იყო სარდლისათვის, ყველაფერი ხელისგულივით მოჩანდა წინ, მარჯვნივ თუ მარცხნივ.

ცენტრალური გზით იერიშზე გადასვლა და ძირითადი ძალებით ერთ ან ორ მიმართულებაზე თავმოყრა, იერიში, გარღვევა შეტევაში სამმაგი, ხუთმაგი მსხვერპლის ფასად – ეს ყველაფერი საბჭოთა არმიაში ნანახიც მქონდა და ნასწავლიც. მდინარე გუმისთის გადასაკვეთად ქალაქის ჩრდილოეთითაც და სამხრეთითაც მთავარი ხიდე-

ბი უნდა გადაგვევლო, რომლებიც დანაღმული ჰქონდათ. ეს დიდ მსხვერპლს მოიტანდა. არც გუმისთიდან სულ რაღაც ერთ კილომეტრში განლაგებული ეშერის სამხედრო ლაბორატორიის მიმართულებით იყო იერიში მიზანშეწონილი. ჯობდა, ხიდებსა და ლაბორატორიას შორის გუმისთა ფონით გადაგველახა, მოულოდნელობის ეფექტით ზურგში გავსულიყავით და სიბნელესთან ერთად ტყეში გავუჩინარებულიყავით.

სამხედრო ამოცანა დასახული იყო, საბრძოლო განკარგულება – გაცემული.

მას შემდეგ, რაც ქვემეხებით საარტილერიო მომზადება დასრულდა, დენთის თხლად გაწოლილ ნისლში იერიშზე გადასვლის ბრძანება გავეცი. მარჯვენა კოლონამ, რომელშიც „თეთრარწიველები" და კასპელები შედიოდნენ, ინტერვალის დაცვით სწრაფად გადალახა მდინარის ფონი, აღმართიანი შარაგზა გაიარა, წინააღმდეგობა დაძლია და სიღრმეში, ეშერისკენ, მაღალ ფერდობზე საბრძოლო პოზიციები წარმატებით დაიკავა. შემხვედრ ბრძოლაში დაიჭრნენ „თეთრარწიველები" – ანდრო კალატოზიშვილი და თემურ გიგუაშვილი.

ქვედა დაჯგუფება „ჩოლოყაშვილის პოლკისგან", ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებისგან შექმნილი რაზმისა და გვარდიის სხვადასხვა ჯგუფის ნაკრებისგან შედგებოდა. პლაცდარმის დაკავების მცდელობა მათაც ჰქონდათ. მეწინავე რაზმმაც, ტარიელ ჩქარეულის მეთაურობით, მდინარე გადალახა და მშენებარე ობიექტს შეაფარა თავი, თუმცა ინტენსიური ცეცხლის გამო ძირითადმა ძალამ იერიშის მიტანა ვერ მოახერხა, ამიტომ წინა ღამით გადასული მცირერიცხოვანი ჯგუფი დილისკენ იძულებული გახდა, უკან დაბრუნებულიყო. სიმართლე გითხრათ, ვუშვებდი, რომ შეიძლება მდინარე ვერ გადაელახათ, ამიტომ ქვედა მიმართულებას თავიდანვე სათადარიგოდ განვიხილავდი.

იმ ღამით ჩრდილოეთის დაჯგუფებას მარტოდმარტო მოუწია მოწინააღმდეგის თავდასხმასთან გამკლავება. მთაზე დაბანაკებულებს მტერი, რომელმაც ჩვენგან განსხვავებით ადგილმდებარეობა კარგად იცოდა, მთვარის შუქზე თავს დაგვესხა და სასტიკი ბრძოლა გაგვიმართა. სროლა მთელი ღამე არ შემწყდარა, ისმოდა ყიჟინა, ლანძღვა, გინება. შორიახლოს მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევების ტყვიები დაფრინავდა და ყუმბარსატყორცნების ჭურვები სკდებოდა. აფხაზები თავიანთი შეიარაღებით ასეთ სროლას ვერ გაგვიმართავდნენ.

განსაკუთრებით ინტენსიური ცეცხლი ლაბორატორიის მხრიდან გაგვიხსნეს, რამაც გვაფიქრებინა, რომ იმ ღამით ბრძოლაში ეშერის ლაბორატორიის რუსი სამხედროები იყვნენ ჩართულები და ისინი გვესროდნენ.

ირგვლივ უკუნეთი სუფევდა. გამთენიისას ბრძოლის ინტენსივობამ ნელ-ნელა იკლო, ორივე მხრიდან დაჭრილების კვნესა ისმოდა. ხელჩართულ ბრძოლაში დაით დაჭრილი სამი კასპელი გვარდიელი შველას ითხოვდა. შორიახლოს რამდენიმე ჩრდილოკავკასიელისა და ორი ქართველის ცხედარი გვერდიგვერდ ესვენა. ისე იყვნენ ერთმანეთში არეულ-დარეულები, რომ მტერსა და მოყვარეს ერთმანეთისგან ვეღარ ვარჩევდით.

დილიდან შტაბში განგაში ატყდა. ეშერის ბრძოლაში რუსი სამხედროების მონაწილეობის გამო თბილისში პრემიერ-მინისტრმა კატეგორიულად მოითხოვა ფაქტზე დაუყოვნებლივ გამოძიება. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე თვითმფრინავით დილიდანვე სოხუმში გამოემგზავრა, ხოლო გუდაუთის ბაზის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, ბრძოლის ველზე 24-საათიანი მორატორიუმი გამოცხადდა.

დილის 11 საათი იქნებოდა, როდესაც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან, ლევან შარაშენიძესთან ერთად შტაბში მოვიდა, სადაც რუსების მონაწილეობის მამხილებელი ფაქტები გავაცანით. იქიდან ორივე ეშერის ლაბორატორიისკენ გაემართა. რუსული მხარის ვერსიით, აფხაზი ბოევიკები ლაბორატორიის ღობესთან განზრახ მიიპარებოდნენ და იქიდან გვიხსნიდნენ ცეცხლს, რათა საპასუხოდ ქართველებს ლაბორატორიის მიმართულებით ესროლათ, რის შემდეგაც რუსი ჯარისკაცები იძულებულები გახდებოდნენ, თავი დაეცვათ.

პირველი სექტემბრის მოლაპარაკებით რუსი სამხედროები ლაბორატორიის მხრიდან სროლის შეწყვეტის პირობას დებდნენ, ხოლო ჩვენ ვალდებულებას ვიღებდით, რომ ლაბორატორიასთან 200 მეტრით მიახლოებისა და მისი მიმართულებით ცეცხლის გახსნისგან თავს შევიკავებდით.

დილიდან შტაბს უამრავი ადამიანი სტუმრობდა. მათ შორის იყვნენ სახელმწიფო საბჭოს წევრებიც – ნოდარ ნათაძე, თედო პაატაშვილი და მერაბ ურიდია. სამხედრო ფორმაში გამოწყობილ ნოდარ ნათაძეს მხარზე ავტომატი ჰქონდა გადაკიდებული. იგი წინა ღამით რუსეთის ჯარის მოქმედების გამო აღშფოთებას გამოხატავდა. იქ მყოფ ფიქრია ჩიხრაძესა და ლილი ბურბუთაშვილს ინტერვიუ მივეცი, საგანგებო განცხადება გავაკეთე ბრძოლაში რუსების ჩართვასთან დაკავშირებით. ინტერვიუს ჩასაწერად ემზადებოდნენ ჟურნალისტები – თამარ მოლაშვილი, მაკა რაზმაძე და სტუდია „მემატიანეს“ ოპერატორი თემურ ბაქრაძე.

ეშერაში დაკავებული პლაცდარმიდან წინა ღამის მძიმე ბრძოლაგამოვლილი ჯგუფები გამოგვყავდა და დასვენებული რაზმები შეგვყავდა. ტარიელ შარიფაშვილი განსაკუთრებით დანით დაჭრილი კასპელების გამო ღელავდა. ადგილზე ვეცნობოდი ვითარებას, დავალებებს ვაძლევდი და თავდაცვის ზღუდეებს ვამაგრებდი. მარცხენა ფლანგზე, რომელიც ეშერის ლაბორატორიის კედლებს ესაზღვრებოდა, „ორბელები“ დავაყენე. თუ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილეს დავუჯერებდით, იმ მხრიდან ცეცხლის გახსნა აღარ გვემუქრებოდა. ცენტრში თავდაცვის ზღუდეების მოწყობა ჩემი ძმის, გოჩას მეთაურობით „თეთრარწიველებს“ დავავალე, ხოლო მარჯვნივ, ეშერიდან ცენტრალური მაგისტრალისკენ მიმავალი შარაგზის დაზვერვა – 28-ე ბატალიონიდან ახლად გადმოსული დათო უზუნაშვილის ოცეულს. გასვლის წინ ერთხელაც გამოველაპარაკე დათოს, ვუთხარი, რომ მათთვის უცნობი ადგილმდებარეობის გამო ძალიან ფრთხილად ყოფილიყვნენ, რადგან იმ მხრიდან დიდი იყო პარტიზანული ჯგუფების აქტიურობის საფრთხე, ფოთლოვანი ტყეების სიხშირე კი მოწინააღმდეგის უპირატესობას კიდევ უფრო ზრდიდა. კიო, თავდაჯერებულად მიპასუხა და შარაგზას გაუყვა. ათიოდე წუთიც არ იყო გასული, რომ იმ მხრიდან აფეთქების ხმა გაისმა. გავიქეცით და როდესაც ნაღმზე აფეთქებულებს თავზე დავადექით, ჩემი თანაკლასელი ბადრი კუზანაშვილი და კიდევ ორი მებრძოლი უკვე გარდაცვლილები იყვნენ. მძიმედ დაჭრილი დათო უზუნაშვილი ჯერ ისევ სუნთქავდა, თუმცა მეორე დილით ისიც გარდაიცვალა საავადმყოფოში. საღამოს 5 საათი იქნებოდა. უკან ფიქრებით დამძიმებული ვბრუნდებოდი. ერთ ჩვეულებრივ ბრძოლაში დაჭრილთა და დაღუპულთა რაოდენობა ძალიან დიდი იყო.

შტაბში დაბრუნებულს ეშერის ოპერაციის ჯილდოდ სრულიად მოულოდნელად, ახალგაზრდა ასაკში, გენერალ-მაიორის საპატიო წოდება მომანიჭეს. ედუარდ შევარდნაძის ბრძანება საქართველოს ტელევიზიით ისე´გამოცხადდა, რომ ამის შესახებ თბილისიდან ჩემთვის წინასწარ არავის შეუტყობინებია.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 909

1992 წლის 7 სექტემბერი

ქ. თბილისი

გ. ნ. უარუარაშვილის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

მიენიჭოს აფხაზეთში მოქმედი ქართული ეროვნული ჯარების სარდალს პოლკოვნიკ გიორგი ნოდარის ძე უარუარაშვილს გენერალ-მაიორის წოდება.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარის — პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
სახელმწიფო კანცელარიის მმართველის
მოვალეობის შემსრულებელი გ. ბერიძე

პირველი ზარი, ისევე როგორც ერთი კვირის წინ სარდლად დანიშვნისას, ახლაც სოხუმში, „მაიაკთან“ განლაგებული რუსული სასაზღვრო „ბასტავის“[162] ხელმძღვანელისგან შემოვიდა, ამჯერად გენერალ-მაიორის წოდების მოსალოცად.

საბჭოთა არმიაში 20-25 წლის ნამსახურები უცნობი პოლკოვნიკისგან მოლოცვის გულწრფელობა ჩემთვის, 25 წლის ახალგაზრდა კაცისთვის, ცოტა ძნელი დასაჯერებელი იყო, თანაც მის სიტყვებში შეფარული ირონიის შემჩნევას დიდი დაკვირვება არ სჭირდებოდა. წინა ღამით რუსების ჩარევით ისედაც გაღიზიანებულმა თავი ვერ შევიკავე და პირდაპირ მივახალე, რომ მოლოცვას ჯობდა, მის მესაზღვრეებს საკუთარი მოვალეობა შეესრულებინათ და რუსეთის მოქალაქე ჩრდილოკავკასიელების მიერ საზღვრის უკანონო გადმოკვეთა აღეკვეთათ.

[162] Застава (რუს.) – საგუშაგო, საგუშაგო რაზმი

ამავე საუბრის კიდევ ერთი მონაკვეთი „იუთუბზეა“ განთავსებული:

– Господин генерал, почему вы так не уважаете чеченцев?[163] – მეკითხება ცინიკურად.

– Товарищ полковник, я уважаю чеченцев в Чечне, но не прибывших в Грузию с оружием убивать грузин,[164] – ცივად ვპასუხობ რუს ოფიცერს.

საღამოს კიდევ ერთხელ მომინია ქალაქში ახალი რაიონისკენ გასვლა. შტაბში უკან დაბრუნებულს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილეები – ავთო ჯორბენაძე და თემურ კალანდაძე, შსს-ს მაღალჩინოსნები – გია გულუა და გივი ლომინაძე დამხვდნენ. გენერალ-მაიორის წოდებას მილოცავდნენ. მამუკა გიორგაძემ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, გია ჭანტურიას და პარტიის სახელით, ინგლისიდან საგანგებოდ ჩამოტანილი რაინდის ხმალი მისახსოვრა. სხვებიც მილოცავდნენ, თუმცა წინა ღამით ეშერისათვის ბრძოლაში დიდი მსხვერპლის გამო განცდილი ტკივილის შემდეგ მაღალი სამხედრო წოდების მონიჭებით არანაირი სიხარული და სიამაყე არ მიგრძნია. ამას იმ ღამეს ჩაწერილი ინტერვიუც ადასტურებს:

ლილი ბურბუთაშვილი: *გიორგი, გავიგეთ, რომ თურმე გუშინ საინფორმაციო საშუალებებმა, არ ვიცი, არ თქვა, თუ ჩვენ ვერ გავიგეთ, რომ გუშინ თქვენ გენერალი გამხდარხართ... გილოცავთ! რამდენად მოულოდნელი იყო თქვენთვის ეს ფაქტი და თუ რაიმე... ამ გენერლობის ჩინმა... თქვენზე რანაირად იმოქმედა?*

გია ყარყარაშვილი: *არც ეგ არ გამიგია, სიმართლე გითხრათ... მესამე ადამიანი მეუბნება მაგას – თითქოს გენერლობა მოგენიჭაო და არ ვიცი, მე არ გამიგია... არც ბრძანება მინახია...*

ლილი ბურბუთაშვილი: *ტელევიზიაში იყო გამოცხადებული, რომ...*

გია ყარყარაშვილი: *არ ვიცი... თითქოს ეგრე თქვეს, რომ გამოცხადებული იყო... თქვენც იგივე მითხარით და მე არ ვიცი, არც მომისმენია და არც მინახია, არც ის ვიცი, თუ რისთვის მომანიჭეს ამხელა წოდებები და გენერლობა, ამიტომ ვერ გაგცემთ პასუხს... ჩემი მოსალოცი არ არის ეს, არ მესმის...*

რაც უფრო იზრდებოდა მსხვერპლი, მით უფრო მიღრმავდებოდა უკმაყოფილება ყველას მიმართ, მათ შორის, სამხედრო ხელმძღვანელების მიმართ, ომის სიმძიმე მხრებზე მარტოდმარტოს რომ შემატოვეს.

მოკლედ, როგორც მოსალოდნელი იყო, კოლხიდასა და ეშერასთან ქართველების თავგანწირვისა და სისხლის ფასად მიღწეული ძალიან მცირე წარმატების შემდეგ, 3 სექტემბერს ცეცხლისა და საბრძოლო ოპერაციების შეწყვეტის შესახებ სამშვიდობო ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. რუსეთის ტელევიზიამ საზეიმოდ გვამცნო ახლად გაჩაღებული კონფლიქტის დასრულება. ტელეეკრანზე ცოტა კომიკურად მოჩანდა, როგორ აიძულებს რუსეთის ძლევამოსილი პრეზიდენტი კუთხეში განცალკევებით მდგარ ყველასა და ყველაფერზე გაბრაზებულსა და გაბუტულ არძინბას შევარდნაძისთვის ხელის ჩამორთმევას.

---

[163] Господин генерал, почему вы так не уважаете чеченцев? (რუს.) – ბატონო გენერალო, რატომ არ სცემთ პატივს ჩეჩნებს?

[164] Товорищ полковник, я уважаю чеченцев в Чечне, но не прибывших в Грузию с оружием убивать грузин (რუს.) – ამხანაგო პოლკოვნიკო, მე პატივს ვცემ ჩეჩნებს ჩეჩნეთში და არა ქართველების დასახოცად საქართველოში იარაღით ჩამოსულებს.



ვლადისლავ არძინბა, ბორის ელცინი და ედუარდ შევარდნაძე



არც თუ სახარბიელო პირობებით ხელმოწერილ შეთანხმებას ქართველები თითქმის ზეიმობდნენ. თვით ბორის ელცინის ბეჭედდასმული 3 სექტემბრის სამშვიდობო ხელშეკრულებით ქართველებისთვის ომი დასრულებული იყო. უფრო სწორად, ასე ეგონათ.

კვლავ არ მაძლევდა მოსვენებას ჯერ კიდევ სამაჩაბლოს სამხედრო კამპანიისას გაჩენილი კითხვა: „ვიდრე ომი დაიწყებოდა და ორივე მხრიდან საუკეთესო ბიჭების სისხლი დაიღვრებოდა, ხომ შეიძლებოდა მშვიდობაზე მოლაპარაკება?!"

თუმცა კითხვა კითხვად რჩებოდა, პასუხის გამცემი არავინ იყო.

■

ომი ყველასთვის დასრულდა. ჩვენ კი შეგვრჩა მდინარის იქით, მოწინააღმდეგის ზურგში პლაცდარმი, რომელმაც ხელშეკრულების დადების შემდეგ სტრატეგიული მნიშვნელობა დაკარგა, თუმცა გამოსვლას მაინც არ ვჩქარობდით. სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც ცეცხლის შეწყვეტასთან ერთად, დაქირავებულთა რაზმების აფხაზეთიდან გაყვანას და ქართული საჯარისო ფორმირებების დისლოკაციის ადგილებზე დაბრუნებას ითვალისწინებდა, 5 სექტემბრის 12 საათიდან უნდა შესულიყო ძალაში. 8 სექტემბერს რუსული, აფხაზური და ქართული მხარეები სოხუმში შეკრებას აპირებდნენ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით. გადავწყვიტეთ, ეშერის პლაცდარმი ერთი დღით ადრე, 7-ში დაგვეტოვებინა.

პირველიდან 5 სექტემბრამდე ვითარება მართლაც დამშვიდდა და სროლა თითქმის აღარ ისმოდა. ორი დღის წინ მამის წლისთავისთვის თბილისში გამგზავრებული გია ნადირაშვილი უკან 5 სექტემბერს, შუადღისას დაბრუნდა მთაწმინდელი მეგობრის, მსახიობ ლევან აბაშიძის თანხლებით. იგი მეორე დილით გაემგზავრა მთაზე „ორბელებთან“ ერთად წინა ღამის მორიგეების შესაცვლელად. არ დამიშლია, შვიდში დილიდან ისედაც ვაპირებდით გამოსვლას. მთაწმინდელებს ეშერის სამხედრო ლაბორატორიის მიმდებარე ტერიტორიის დაცვა ევალებოდათ. პირველი სექტემბრის შემდეგ, რაც რუს სამხედროებთან მოლაპარაკებისას სროლის შეწყვეტის ვალდებულება ავიღეთ, პირობებს ორივე მხარე ვიცავდით და დარღვევის პრეცედენტი არ ყოფილა. სწორედ იმ ყველაზე უსაფრთხო და მშვიდი მხარის დაცვა ევალებოდათ ახლად შემოერთებულ მოხალისეებს.

სამწუხაროდ, მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდა. შტაბში მოვიდა ამბავი, რომ გუმისთის გადალახვისას ეშერისკენ მიმავალი „ემტეელბე“ აფეთქდა, რომელსაც დვანელი „მოლა“ მართავდა. სულ რაღაც ნახევარ საათში მიიყვანეს გარდაცვლილი ვაჟკაცი აჩადარის საავადმყოფოში.

შვიდში დილიდან ბრძოლა განახლდა ცენტრიდან, სადაც პარტიზანული ჯგუფები პოზიციებზე გამაგრებულ ქართველებს მოულოდნელად დაესხნენ თავს. უშეღავათო, თავგანწირული ბრძოლა დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა. ძლიერი ცეცხლის შემდეგ თავდამსხმელები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. დილის 11 საათისთვის სროლის ხმამ ნელ-ნელა იკლო და სიჩუმემ დაისადგურა. ფერდობის იქითა მხრიდან დაჭრილი ადამიანის მწარე კვნესა ისმოდა, ვიღაც შველას ითხოვდა. იმ ადგილას, საიდანაც ხმა მოდიოდა, „ორბელმა“ ზურა ჯინჭარაძემ სისხლში მოსვრილი აფხაზი გოგონა იპოვა. ხერხემალში მძიმედ დაჭრილი უძრავად იწვა და ტკივილისგან გატანჯული სიკვდილს ნატრობდა, ხელის მტევანიც მოწყვეტილი ჰქონდა. ქართველების თავდაცვის ზღუდემდე ხოხვით მიიყვანეს მომაკვდავი, საბუთში გვარი თოფურია ეწერა, ლია ერქვა. ულამაზესი სახე ჰქონდა, მკერდზე ტყვიების ჩასადებში პირველადი სამედიცინო დახმარების პაკეტი და მორფინის ერთი ამპულა ედო. ერთ-ერთ ქართველ მებრძოლს, რომელსაც 15 წუთის წინ ბავშვობის მეგობარი მოუკლეს, მისი მოკვლა უნდოდა. ლევან აბაშიძე დაჭრილს გადაეფარა, ახლოს არავინ მიაკარა, ტკივილის გასაყუჩებლად მორფინი საკუთარი ხელით გაუკეთა. ცოტა ხანში გოგონა „ემტეელბეთი“ აჩადარის ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

ორ საათში მოწინააღმდეგემ სროლა მარცხენა ფლანგზე განაახლა. პოსტებზე მდგომ მოხალისეებს ტყეში შეფარებულები სწორედ იმ მხრიდან დაესხნენ თავს,

საიდანაც ყველაზე ნაკლებად მოველოდით. გააფთრებულ ბრძოლაში რიგრიგობით დაეცნენ სულ ცოტა ხნის წინ მიღებული მთაწმინდელები: მსახიობი ლევან აბაშიძე, მოთხილამურე სულხან სულხანიშვილი და გია ნადირაშვილი. მძიმედ დაჭრილი მათი მეგობრის, გია გაჩეჩილაძის და „ორბელი“ ზვიად მოისწრაფიშვილის გადარჩენა ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო. ბიჭები ტყვიების წვიმას არ ეპუებოდნენ და დაჭრილები და გარდაცვლილები გამოჰყავდათ.

ცენტრსა და მარჯვენა ფლანგზეც განახლდა ცეცხლი. თითქმის ერთი კვირა ვიდექით ეშერაში და სროლა, ფაქტობრივად, არ ყოფილა. იმ დილით კი, როდესაც გამოსვლას ვაპირებდით, სისხლისმღვრელი ბრძოლა გაიმართა. აფხაზთა და ჩრდილოკავკასიელთა ჯგუფები მთაზე დაბანაკებულ ქართველებს გააფთრებით დაგვესხნენ თავს ალბათ დაჭრილი აფხაზი გოგონასა და სხვა გარდაცვლილთათვის შურის საძიებლად. ორმხრივი ბრძოლა გაჩაღდა, კონტაქტური ბრძოლა. იმ დღეს ორივე მხრიდან ბევრი მეომარი დაიღუპა. ბოლო გივი გურეშიძე („ტუკლია“) იყო, ჩვენ გვერდით დაეცა. ჯერ ტყვია მოხვდა, უკვე გარდაცვლილს კი ტანკმა გადაუარა.

ვინ წარმოიდგენდა, რომ სამშვიდობო ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ მოვლენები ასე განვითარდებოდა და ამხელა მსხვერპლი იქნებოდა?! მომხდარს ახსნას ვერ ვუძებნიდი. ომი ხომ დასრულებული იყო, აკი ზავს სამმა პრეზიდენტმა მოაწერა ხელი!

სრულიად გაოგნებული და თავზარდაცემული ვბრუნდებოდით ეშერიდან სოხუმში. ჩვენ ჩვენიანების – ძმების, მეგობრების, ახლობლების, თანამებრძოლების – დაღვრილ სისხლს განვიცდიდით და ვგლოვობდით, აფხაზები თავისიანებს დასტიროდნენ.

იმათზე ვიყავი გამწარებული, ვინც ჩვენ შორის შუღლი დათესა, ერთმანეთს გადაგვამტერა, ვისთვისაც ეს ომი მხოლოდ „პოლიტიკის გაგრძელება“ იყო და არად დაგიდევდა უამრავ შეწყვეტილ სიცოცხლეს, უამრავ დაობლებულ ბავშვს და გაპარტახებულ მიწას. მინდოდა, მათი თვალებიდანაც დადენილიყო სისხლიანი ცრემლი, მათაც განეცადათ ის, რასაც მე განვიცდიდი და რაც ვაჟა-ფშაველას დიდი ხნით ადრე უკვე ჰქონდა ნაფიქრი და „ალუდა ქეთელაურში“ ნათქვამი:

„ვისაც მტერობა მასწყურდეს, გააღოს სახლის კარია,
სისხლ დაიგუბოს კერაში, თვითანაც შიგვე მდგარია.
ღვინოდაც იმას დაპლევდეს, პურადაც მოსახმარია.
პირჯვარი დაიწეროდეს, მითამ საყდარში არია.
სისხლშია ჰქონდეს ქორწილი, იქ დაიწეროს ჯვარია,
დაიპატიჟოს სტუმრები, დაამწკრიოდეს ჯარია.
სისხლში დაიგოს ლოგინი, გვერდს დაიწვინოს ცალია,
ბევრი იყოლოს შვილები, ბევრი ვაჟი და ქალია;
იქვე საფლავი გათხაროს, იქ დაიმარხოს მკვდარია“.

■

1992 წლის 8 სექტემბერი გათენდა. დაპირისპირებული მხარეები სოხუმში მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ, რომ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შესრულება ეკისრათ და ქართულ-აფხაზური კონფლიქტი ერთხელ და სამუდამოდ დაესრულებინათ. მთავარი ამოცანა იყო ცეცხლის შეწყვეტა, ტყვეთა გათავისუფლება, ნდობის დამყარება, სიტყვის გაუტეხლობაში დარწმუნება და, საბოლოოდ, ქვეყანაში მშვიდობის დამყარება.

ქართველებს აფხაზეთის ტერიტორიაზე შეყვანილი ჯარების სრულად გაყვანა ევალებოდათ. თავის მხრივ, აფხაზური მხარის მებრძოლებს იარაღი უნდა ჩაებარებინათ, ჩრდილოკავკასიელებსა და სხვა ათასი ჯურის დაქირავებულ ბოევიკებს კი იქაურობა დაეტოვებინათ. სულ ეს იყო. თუმცა ამის შესრულება ბევრად უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე ვინმეს წარმოედგინა. უფრო სწორად, ხელშეკრულება იყო ცალმხრივი, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას მხოლოდ ქართველებს აკისრებდა. ქართველებისგან ითხოვდნენ აფხაზები განიარაღებასა და ჯარის გაყვანას. რუსები მხოლოდ ჩვენ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას უწევდნენ მონიტორინგს. რაც შეეხება აფხაზებსა და უამრავ გადამთიელს, ისინი გუდაუთაში იარაღით თავისუფლად დათარეშობდნენ და არც რუსები იკლავდნენ თავს მათი განიარაღებისათვის. უფრო მეტიც, გუდაუთის სამხედრო აეროდრომს სწორედ იმისთვის იყენებდნენ, რომ რუსეთის სხვადასხვა ქალაქიდან აფხაზების დასახმარებლად ჩამოფრენილიყვნენ.

მოლაპარაკებისა და ტყვეთა გაცვლის პროცესში მრავალჯერ პირის გატეხა გახდა საბაბი, რომ ძველი თანამშრომლობა შეწყვეტილიყო. წინა პერიოდის მთავარი მოქმედი პირებიდან მოლაპარაკების მაგიდასთან უკვე აღარცერთი ჩანდა. ისინი, ვინც ყოველმხრივ ცდილობდა, ქართველებსა და აფხაზებს შორის ომი შეეჩერებინა და მშვიდობა დაემყარებინა, ორივე ძალოვანი მინისტრი – ანქვაბიც და კაკალიაც მოლაპარაკებაში აღარ მონაწილეობდნენ, უფრო სწორად, პროცესს ორივე ჩამოაცილეს. ვრცელდებოდა ხმა, რომ კაკალია საერთოდ გაათავისუფლეს თანამდებობიდან, ოღონდ რამდენად უკავშირდებოდა ეს გუმისთის ხიდთან მომხდარს, არავინ იცის. მის ნაცვლად თავდაცვის მინისტრად ჩრდილოკავკასიელ ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი, ქართველთმოძულე იუსუფ სოსლანბეკოვი დანიშნეს. მტყუან-მართლის გასარჩევად და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მოლაპარაკებას როგორც ქართველთა, ისე აფხაზთა მხრიდან, რუსების სამხედრო და პოლიტიკური მესვეურების თანდასწრებით და მათი მონაწილეობით, უკვე სხვა ხალხი აწარმოებდა. ალექსანდრე ანქვაბი მოლაპარაკების მაგიდასთან არძინბას თანამებრძოლებმა – რადიკალიზმითა და აგრესიულობით გამორჩეულმა ჯერგენიამ და ლაბახუამ ჩაანაცვლეს. ქართველთა მხრიდან სხდომებს ესწრებოდნენ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის წარმომადგენლები, ხშირ შემთხვევაში, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი და აფხაზეთის სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ავთანდილ იოსელიანი. სხდომების მიმდინარეობას მონიტორინგს უწევდნენ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები – ბორის პასტუხოვი და გალინა სტაროვოიტოვა. ორივე ანტიქართული განწყობით გამოირჩეოდა. სხდომებში მუდმივად მონაწილეობდა გუდაუთის რუსული სამხედრო ბაზის ხელმძღვანელი, გენერალმაიორი სიგუტკინი, კაცი, რომლის გაყინულ სახეზე ემოცია არასოდეს იკითხებოდა, არ იღიმებოდა და თითქმის არ ლაპარაკობდა.

რუსეთს, როგორც მსაჯულს, განიარაღებისა და შეიარაღებული ჯგუფების აფხაზეთიდან გაყვანის, დაპირისპირებულ მხარეთა დაშორიშორების პროცესში ყოველდღიურად უნდა აღმოეჩინა ხელშეკრულების დამრღვევი მხარე და საკუთარი ძალითა და გავლენით მშვიდობის იძულებით დამყარებისათვის ხელი შეეწყო. თითქოს სურვილიც ჰქონდათ, მაგრამ ამას მხოლოდ სიტყვით აცხადებდნენ, საქმით კი არ ასრულებდნენ.

სხდომები კვირაში ორ-სამჯერ იმართებოდა. მოლაპარაკების მაგიდასთან ხშირად ვნებები ჭარბობდა, განსაკუთრებული აგრესიულობით ყოველთვის აფხაზები გამოირჩეოდნენ და დიპლომატიურ ნორმებს ნაკლებად იცავდნენ. ნებისმიერ საკითხს, რომელიც წამოიჭრებოდა, ისინი უშუალოდ არძინბასთან ათანხმებდნენ. როგორ დიდ დათმობაზეც არ უნდა წასულიყვნენ ქართველები, მათგან მცირე კომპრომისსაც ვერ მიიღებდი. არცერთ გარემოებას არ ითვალისწინებდნენ და სხვა არცერთ საკითხზე დიალოგში არ შემოდიოდნენ. მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთში შეყვანილი ქართული შეიარაღებული ნაწილების გაყვანას ითხოვდნენ ხელშეკრულების თანახმად, დაუყოვნებლივ, მთელი ტერიტორიიდან. ეს ცალსახად სამხედრო-პოლიტიკური მხრივ ბევრად უარეს მდგომარეობაში დაბრუნებას, არძინბას რეჟიმისაგან ქართული მოსახლეობის დაუცველად დატოვებას და ჩრდილოკავკასიელთა თარეშს ნიშნავდა. ასეთ ცალმხრივ დათმობას აფხაზები აუცილებლად სისუსტედ ჩაგვითვლიდნენ, პოლიტიკური სისუსტე და კომპრომისი კი სიძულვილნარევი პრინციპულობისა და უკომპრომისობის წინააღმდეგ აუცილებლად დამარცხდებოდა. თავის მხრივ, არც ფარატინა ფურცელს მინდობილი ქართველები ჩქარობდნენ სამხედრო ნაწილების დაუფიქრებლად გაყვანასა და ქართული მოსახლეობის ბედის ანაბარა მიტოვებას. შევარდნაძესთან შეთანხმებული გეგმით, ადგილობრივებისაგან სამხედრო ბრიგადის ჩამოყალიბება გადაწყდა. მას სხვადასხვა რეგიონიდან ჩაყვანილი გვარდია უნდა ჩაენაცვლებინა, რომელსაც პირველ ეტაპზე ჯერ სოხუმი უნდა დაეტოვებინა, შემდგომში კი – მთელი აფხაზეთი. ბრიგადის მეთაურად სწორედ ამ ნიშნით შერჩეული კადრის ოფიცერი, წარმოშობით კინდღელი, მაიორი რეზო გახოკიძე დაინიშნა, ხოლო მის პირველ მოადგილეობაზე, ადგილობრივებში მაღალი ავტორიტეტის გამო, დიდი თხოვნის შემდეგ გენო ადამია დაითანხმეს. იმ დღიდან მე, როგორც სამხედრო ხელმძღვანელი, მოლაპარაკების მაგიდასთან აღარ ვიხდებოდი აფხაზების ნაკლებად გასაღიზიანებლად, რათა მოლაპარაკების ჩაშლის საბაბი არ გავმხდარიყავი. აფხაზები ხომ, ძირითადად, თბილისიდან შემოსული სამხედროების გაყვანას ითხოვდნენ.

■

გვარდიისა და მოხალისეთა შეიარაღებული რაზმების სოხუმიდან უკან, სიღრმეში, ოჩამჩირისკენ გაყვანის შემდეგ, როგორც იქნა, სული მოვითქვი. თითქოს ტვირთი მომეხსნა. ახლა უკვე აღარც სამხედრო ხელმძღვანელი ვიყავი და აღარც აფხაზეთში დისლოცირებული ლაშქარი მყავდა, ამიტომ ისევ საკუთარ შენაერთს დავუბრუნდი და აგუძერაში, ზღვის პირას, შენიღბულ ადგილას მდებარე ლიტერატორთა პანსიონატში, ე. წ. „ლიტერატურკაში" დავბანაკდით. ამბობდნენ, ომი დამთავრდა და სოხუმში მშვიდობა დაისადგურებსო. თბილისში წამოსვლას მაინც არ ვჩქარობდი. დროს, ძირითადად, პანსიონატში გადატანილ სამხედრო შტაბში ვატარებდი და სოხუმში, „გოსდაჩაზე" მოლაპარაკებების მიმდინარეობას, ისევე როგორც ხელშეკრულების პირობების შესრულებას, შორიდან ვადევნებდი თვალს.

ორკვირიან ლაშქრობასა და სოხუმში ამოცანის გარეშე დგომას შენაერთში, მათ შორის, მე-4 სპეცბატალიონში პირადი შემადგენლობის სამხედრო წესრიგი და დისციპლინა მოერღვია. მართვისა და ხელმძღვანელობის განსამტკიცებლად ხელახალი ორგანიზება და ცოტა სიმკაცრეც იყო საჭირო.

პირველმა ეს გვარდიიდან მოვლინებულმა კავშირგაბმულობის ოფიცერმა ნუკრი კაიშაურმა იწვნია საკუთარ თავზე. შტაბში ვიჯექი საარტილერიო ნაწილის მეთაურთან, პოლკოვნიკ დევი ჭანკოტაძესთან ერთად, რომლის 122-მმ-იანი ქვემეხების Д-30 ბატარეა მდინარე მაჭარკასა და კელასურს შორის იყო გაშლილი. მათ ზურგში კი, მაჭარკის გზაჯვარედინზე მდებარე სადღეღამისო პოსტთან კავშირი ჯერაც არ იყო უზრუნველყოფილი, რის გამოც ნუკრი კაიშაური გამოვიძახეთ. დევიმ, რომელსაც საბჭოთა არმიაში ჩემზე თითქმის ორჯერ მეტხანს ჰქონდა ნამსახურები, ისეთი ცივი და მკაცრი სამეთაურო ხმით მიმართა, ბრძანება რატომ არ შეასრულეთო, რომ კაიშაურს ტანში გასცრა. მიუხედავად იმისა, რომ მანამდე ყველა დავალებას დროულად ასრულებდა და შენიშვნა არასდროს მიმიცია, ძალიან დაბნეული ჩანდა. მისი სახის შემხედვარე, მკაცრი ტონით მიმართვისას მეც და დევიც თან ღიმილს ძლივს ვიკავებდით. პირად შემადგენლობასთან ურთიერთობაში ხმის აწევა ან მუქარა არასდროს ყოფილა ჩემი იარაღი, თუმცა იმ დღეს დევის მეც ავყევი და ახალგაზრდა ოფიცერს მშვიდად, თუმცა ჩემთვის უჩვეულო ტონითა და ტექსტით მივმართე: „ერთ საათს გაძლევთ, თუ კავშირგაბმულობის ხაზი გაყვანილი და კავშირი დამყარებული არ იქნება, საომარი მდგომარეობის უფლებით პირადად გაგასამართლებთ!“

„არის!“ – წაილუღლუღა ნუკრი კაიშაურმა და ოთახიდან გავიდა. მე და დევიმ კი ერთმანეთს გადავხედეთ. „რას ერჩოდი, ამ ბიჭს კიდევ ეს უნდოდა?!“ – გაიხუმრა დევიმ. „მე ხმადაბლა, მშვიდად მაინც ვუთხარი, შენ კი ისეთი დაუყვირე, რომ ფერი დაკარგა“, – ვუპასუხე. ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ ჯერ რადიოსადგურის სიხშირეზე, შემდეგ კი TA-57-ის სატელეფონო აპარატზე მაჭარკის ხიდზე პოსტიდან და კელასურის საცეცხლე პოზიციიდან კავშირზე რიგრიგობით გამოვიდნენ.

სულ რაღაც 6 თვეში დავალებების მაღალი პასუხისმგებლობით შესრულებითა და ერთგულებით გამორჩეული ნუკრი კაიშაური პაატა დათუაშვილთან ერთად ჩემი გუნდის ნევრად და მეგობრადაც იქცა. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ გამიმხილა: იმ ერთ საათში, მაშინ რომ კავშირის აღსადგენად მომეცი, შიშისგან კინაღამ გავიპარეო.

■

იმავე დღეს „ლიტერატურკაში“ გადაცემა „საღამო მშვიდობისას“ ჟურნალისტი, ჩემი და ჩემი ძმის მეგობარი თამრიკო დეკანოსიძე გვესტუმრა. ყველა სიხარულით შეხვდა კამუფლირებულ ქურთუკში გამოწყობილ მოუსვენარ სტუმარს, რომელიც ხან სოხუმში, მდინარე გუმისთასთან ჩნდებოდა სახიფათო ადგილებში, ხან ოჩამჩირის რაიონში, ხან ანუარხუს მაღლობთან და რეპორტაჟებს ამზადებდა.

ჩემმა ძმამ თამრიკოს მეტსახელად „წუნა“ შეარქვა. სავარაუდოდ, იმ საღამოს სამხედრო ბანაკში საყარაულო სამსახურისთვის ქართული მულტფილმიდან აღებული პაროლი „წუნა“ და გასანდო[165] „წრუწუნა“ მის პატივსაცემად იყო

[165] გასანდო – პასუხი (საპასუხო საიდუმლო სიტყვა), რომელსაც გუშაგი ამბობს საგუშაგოსთან მიახლოებული ამოსაცნობი პირის მიერ დასახელებული პაროლის პასუხად.



ჟურნალისტი
თამრიკო დეკანოსიძე
„თეთრარნიველებთან“,
ბაბუშერაში



შერჩეული იმ იმედით, რომ რუსულენოვან დივერსანტებს გაუჭირდებოდათ ქართული ბგერა „წ"-ს წარმოთქმა. იმაზე კი არავის უფიქრია, რომ „პატარების" ასეულის მეთაურს, პირველი გაწვევის ჯარისკაცებიდან გამორჩეულ მიშა თათარაშვილს, რომელსაც ბანაკის განწესი ებარა, ქართულად ლაპარაკი უჭირდა. ღამით ყოველ 4 საათში გუშაგების შეცვლისას საგუშაგოდან შეძახილზე: „სდექ! პაროლი!" - პასუხად „წუნას" ან „წრუწუნას" გამოთქმა მიშას იმხელა თავსატეხს უჩენდა, რომ მისი ბუზღუნი: „Кто его придумал на мою голову, что за Цуна-Цруцуна?!"[166] – შტაბამდე გვწვდებოდა და ყველას გვახალისებდა.

■

სანატრელი Ми-24 საბრძოლო შვეულმფრენის ქართული ჯარისთვის გადმოცემის სიხარული ხანმოკლე გამოდგა პოლკოვნიკ მაისურაძისთვის. ერთ-ერთი პირველი სადაზვერვო გაფრენისას, „გოსდაჩიდან" მიღებული ოპერატიული ინფორმაციით, ზღვის აკვატორიაში ამოსაცნობი ნიშნების გარეშე მცურავი ერთი კატერი შეუნიშნავთ, რომელიც ალყაში მოქცეულ გუდაუთასა და ადლერს შორის საეჭვოდ დაცურავდა. იყო ეჭვი, რომ აფხაზებს ამით რუსეთიდან იარაღი და საბრძოლო მასალები შემოჰქონდათ, თორემ არაერთ ცხელწერტილგამოვლილი პოლკოვნიკი მაისურაძე სამგზავრო კატერს არასდროს ესროდა. იმ დღეს მის მიერ საეჭვო ობიექტისკენ გაშვებული ჯერი, როგორც გაირკვა, იმ საზღვაო კატერს მოხვდა, რომელსაც, სავარაუდოდ, რუსეთის მოქალაქეები გადაჰყავდა. ამბობდნენ, რომ იყო მსხვერპლიც – ორი რუსი მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის, თუ არ ვცდები, ერთი ქალი.

სხვადასხვა წყაროდან შტაბში მიღებული ინფორმაციით და პირადად მასთან აეროპორტის ხაზით მისული შეტყობინებებით, ჯიმი მაისურაძეს ემუქრებოდნენ, რომ რუსი მოქალაქეების სიკვდილს არ აპატიებდნენ და Ми-24-ს აუცილებლად ჩამოაგდებდნენ.

კარგად მახსოვს იმავე დღეს მასთან ერთი-ერთზე საუბარი. როდესაც გუდაუთის რუსული ბაზიდან მისი Ми-24-ის მიმართ გამოტანილი განაჩენის შესახებ შეიტყო, ჩემს შეკითხვაზე: „დღეიდან რას იზამ?" – მოკლედ მიპასუხა: „მეორე, საბრძოლოდ გადაკეთებული Ми-8 ტიპის შვეულმფრენით ვიფრენ", – ნაძალადევად გამიღიმა და აეროპორტისკენ გაემართა. ორივემ ვიცოდით, რომ Ми-8 შვეულმფრენში გადაჯდომით საკუთარ ვინაობას დიდხანს მაინც ვერ დამალავდა. მიუხედავად ამისა, ჯიმის აფხაზეთი ერთი დღეც არ დაუტოვებია.

■

საღამოს „ლიტერატურკაში" თბილისი-სოხუმის ავიარეისს გამოყოლილი გვარიანად შეზარხოშებული ჩემი კლასელები მომადგნენ. თბილისში სუფრასთან სამშობლოს სადღეგრძელოზე საღერღელაშლილნი, ბრძოლის ჟინით შეპყრობილნი, მონატრებული მეგობრისკენ ხმაურით მოეშურებოდნენ. სულ ხუთნი იყვნენ: გია, გოჩა, გოჩა, ხვიჩა და ზურა.

ღიმილით ვუსმენდი ხმამაღალ საუბარს, უხმოდ ვიტანდი მათ ქცევას სამხედრო ხელმძღვანელი, რომელსაც ბანაკში დალევა კატეგორიულად მქონდა აკრძალული. მოკითხვებმა თითქმის ერთ საათს გასტანა. შემდეგ მასპინძლობა ჩემს ძმას

[166] Кто его придумал на мою голову, что за Цуна-Цруцуна?! (რუს) – ვინ მოიგონა ჩემდა ჭირად, რა წუნა-წრუწუნა?!

გადავაბარე, მე კი ისევ სამხედრო საქმეებს შევუდექი, თუმცა მათი გნიასი გვიან ღამემდე ისმოდა. უშუალო ურთიერთობით გათამამებულები, დილით ოთახში გაღიმებულები მესტუმრნენ, უკვე იარაღის მიღებაც მოესწროთ. სამხედრო დავალების მიღება უნდოდათ. ღიმილით მოვისმინე მათი სურვილი და ჩემს ძმას დავუძახე. გაუხარდათ, ეგონათ, მათ გასაყოლად ვიბარებდი. ამასობაში გორაც შემოვიდა. 11 საათი იყო. როგორც წესი, ამ დროს სოხუმი-თბილისის ავიარეისი სრულდებოდა. „ერთ საათს გაძლევთ დროს, რომ აქაურობა დატოვოთ", – ღიმილით მივმართე ბავშვობის მეგობრებს. ჩემს ძმას კი ოფიციალურად ვუბრძანე: „ამათი ფეხი არ ვნახო სოხუმში ერთ საათში!" – და თან თვალი ჩავუკარი. „არის, უფროსო!" – მიპასუხა და მანაც თვალი ჩამიკრა. ერთ საათში უკან დაბრუნებულმა გორამ ბრძანების შესრულება დამიდასტურა.

■

სწორედ იმ დროს, როდესაც მეგონა, რომ ვითარებას ვფლობდი, ახალი მტერი დაგვესხა თავს. ყოველი მხრიდან შემოგვიტია და ახალგაზრდობის განადგურება დაიწყო. ვისთან ყოფნაც ჯერ კიდევ გუშინ მამხიარულებდა და მალაღებდა, მათთან ურთიერთობა დღეს უკვე უსიამოვნო განცდას მიქმნიდა. ნათელ, მოღიმარსა და ხალისიან სახეებს ერთმანეთის მიყოლებით, თანდათან, ნირი ერთნაირად ეცვლებოდათ. თვალებში ვუყურებდი და ბევრ მათგანს ვეღარ ვცნობდი.

პირისპირ მეჯდა ოთახში ჩემი თანამებრძოლი, თვალდახუჭული, და ვერ ვხვდებოდი, ეძინა თუ ეღვიძა. როგორც კი შენიშვნას მივცემდი, ვკითხავდი, რა გჭირს, რატომ გძინავს-მეთქი, თვალებს გაახელდა და უტიფრად თავის მართლებას იწყებდა, ღამით უძილობას იმიზეზებდა. სახეგაფითრებულს ცივი ოფლი ასხამდა, შენელებულად მეტყველებდა, სიტყვებს ნელავდა. ხშირ-ხშირად წყალს ეტანებოდა, პერიოდულად სხეულს იფხანდა. ბრაზი მახრჩობდა, ვგრძნობდი, რომ რაღაცას მატყუებდა, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, რას...

აგვისტოს ბოლოს ბაბუშარაში „წითელი ჯვრის" დელეგაცია გვესტუმრა. წასვლისას ჰუმანიტარული პაკეტი დამიტოვეს, რომელშიც ხუთი ერთჯერადი მორფის შპრიცი იდო დაჭრილი ჯარისკაცების შოკური მდგომარეობიდან გამოსაყვანად. წლების განმავლობაში შეძენილი გამოცდილებით, მედესანტის ზურგჩანთაში ვინახავდი ყველაფერს, რაც კი შეიძლებოდა ბრძოლის ველზე მოულოდნელად დამჭირვებოდა. რა არ მქონდა იქ: ნემსით და ძაფით დაწყებული, პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებებით დამთავრებული. ჰუმანიტარული პაკეტიც იქ ჩავდე. ზურგჩანთას მუდამ თან დავატარებდი. „ლიტერატურკაში", ცალკე ოთახშიც კი, საწოლის თავთან ვინახავდი იარაღთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ მისაღებ ოთახში მუდმივად უამრავი ხალხი ტრიალებდა, როგორ წარმოვიდგენდი, რომ ვინმე უნებართვოდ რომელიმე ნივთს ხელს მოჰკიდებდა?!

ერთ დღეს ჩემთან დაახლოებულმა ერთ-ერთმა „არწიველმა" მიკიბულ-მოკიბულად მითხრა, რომ ჩემი ზურგჩანთიდან ვიღაცამ შპრიცები მოიპარა, უფრო სწორად, სხვა შპრიცებით შეცვალა. ქურდობაც გამიკვირდა და დაბეზღებაც. მღელვარება არ შევიმჩნიე, ისე შევამოწმე ზურგჩანთა. პაკეტი ადგილზე დამხვდა, მაგრამ ჩემს გაკვირვებასა და აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც აღმოვაჩინე, რომ მორფის ამპულები სტრეპტომიცინით შეეცვალათ. ვინ გაბედა, ვინ იკადრა ამგვარი უზნეო საქციელი? ბრძოლის ველზე რომ დაგვჭირვებოდა, ხომ შეიძლება, თანამებრძოლი დაგვღუპოდა?! აღშფოთებულმა ბატალიონის მოწყობა გამოვაცხადე.

რამდენიმე წუთში „თეთრი არწივის“ ბატალიონი პანსიონატის წინ იყო მოწყობილი:

– თვითონ გამოვიდეს მწყობრიდან, ვინც შპრიცები მოიპარა! – მკაცრად მოვითხოვე დანაშაულის აღიარება. არ მიყვირია, მშვიდად მივმართე. ვინც ჩაიდინა, ის უკვე ნანობდა, ვინც არ იცოდა, რა ხდებოდა, ისინი წუხდნენ.

რამდენიმეწამიანი სიჩუმე მწყობრიდან გამოსვლის ხმამ დაარღვია.

ამ ფაქტის დამნაშავე ვიპოვე, მაგრამ გაჩერებას აღარ ვაპირებდი. განაჩენის გამოტანა დროებით გადავდე და პირად შემადგენლობას მოვთხოვე, თავიანთი ზურგჩანთებიდან ყველა ნივთი ამოელაგებინათ სამწყობრო დათვალიერებისთვის. ყოველ მათგანთან ვჩერდებოდი და რაღაცას ვეძებდი, ოღონდ რას ვეძებდი, როგორი უნდა ყოფილიყო, თვითონაც არ ვიცოდი.

ერთ-ერთის ზურგჩანთა განსაკუთრებული ყურადღებით შევამოწმე. შოკოლადისა და ტკბილეულის დიდი მოყვარული რომ იყო, კარგად ვიცოდი, ამიტომ არ გამკვირვებია, როდესაც მის ნივთებს შორის ფოლგაში შეხვეულ, სიცხისგან გამდნარ „შოკოლადის ფილას“ წავაწყდი. გადააგდე, შე მსუნაგო, მოიწამლები-მეთქი, ვუთხარი და დავცინე. იმანაც გაიღიმა. თურმე ჩემზე იცინოდა, სწორედ ის გამდნარი „შოკოლადი“ ყოფილა ნარკოტიკი. ამას მხოლოდ მისი დაღუპვის შემდეგ გამომიხელენ ბიჭები.

სხვა დამნაშავე რომ ვერ ვიპოვე, ხელში ჩაგდებული ერთადერთი „მსხვერპლისთვის“ მკაცრ სასჯელს ვეძებდი. იმდენად მძულდა ნარკოტიკი, რომ ლმობიერების გამოჩენა არც მიფიქრია.

– ჩამოართვით იარაღი, ფორმა, საბუთები, დღეიდან გაირიცხოს „თეთრი არწივის“ პირადი შემადგენლობიდან და დაუყოვნებლივ დატოვოს აფხაზეთის ტერიტორია! – ასეთი იყო ვერდიქტი.

– ახლა კი დაიშალეთ! – ვთქვი და პანსიონატისკენ მივტრიალდი.

ბიჭები უხასიათოდ იშლებოდნენ და დასჯილ თანამებრძოლზე გული სწყდებოდათ. გიოს და ჰამლეტს დალაპარაკება უნდოდათ, მაგრამ არცერთი გავიკარე. თვითონ დამნაშავეც ცდილობდა, თავისი საქციელი აეხსნა, ბოდიში მოეხადა, პატიება ეთხოვა, რომ როგორმე გადაეფიქრებინა ჩემთვის მიღებული გადაწყვეტილება, სხვებიც მთხოვდნენ, მაგრამ შეუვალი ვიყავი.

ეს იყო უბედური სენი, ვერაგი დაავადება! აქამდე მტერთან მამაცი და უშიშარი მებრძოლები ნარკოტიკების მოჩვენებითი, ცრუ სიამოვნების მსხვერპლი ხდებოდნენ და მის ტყვეობაში ექცეოდნენ. ჯერ ერთიმეორის რჩევით, გასინჯვით იკმაყოფილებდნენ ცნობისმოყვარეობას. ცოტა ხანში სიამოვნება ჩვევაში გადასდიოდათ, საბოლოოდ კი ავადმყოფობად ექცეოდათ. წამლის მოთხოვნილება სრულად იპყრობდა მათ ნებისყოფას და ტვინს უავადებდა. მხოლოდ ერთადერთი სურვილითა და ინტერესით ცხოვრობდნენ: ნებისმიერი გზით ეშოვათ წამალი, ტკივილი გაეყუჩებინათ და ვნებები ჩაეცხროთ.

ფარატინა ფურცელს მინდობილი ქართველობა

3 სექტემბრის ხელშეკრულების თანახმად, გუდაუთიდან ტყვარჩელის მიმართულებით Ми-8 ტიპის სატრანსპორტო თვითმფრინავს ჰუმანიტარული ტვირთი გადაჰქონდა. მიუხედავად ქართული მხარის აღშფოთებისა და არაერთგზის გაფრთხილებისა, რომ შვეულმფრენი აფხაზებისთვის ტყვია-წამალს ეზიდებოდა, ვითარების გაკონტროლების ნებისმიერი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

აფხაზები და რუსები ქართველი ჯარისკაცების უპირობო გაყვანას მოითხოვდნენ, ამ დროს კი თვითონ ომისთვის ემზადებოდნენ. ქალაქის გარეუბნებიდან შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, თუ როგორ დაჩქარებულად აშენებდნენ საინჟინრო-საფორტიფიკაციო ნაგებობებს მდინარე გუმისთის გასწვრივ, დასავლეთ სანაპიროს ფერდობებზე. სექტემბრის შუა რიცხვებიდან აშკარა გახდა, რომ არა მარტო გუმისთის იქით, არამედ კოდორიდან ენგურამდე და ენგურს იქითაც სამთავრობო დანაყოფების ჯარისკაცებისთვის გადაადგილება უსაფრთხო აღარ იყო.

განსაკუთრებით საშიშ მონაკვეთად ანუარხუს სიმაღლის მისადგომები იქცა – სწორედ ის ადგილი, სადაც 14 აგვისტოს პირველი ტყვია გავარდა. ტყვარჩელიდან გადმოსული მცირერიცხოვანი ჯგუფები ქართველ სამხედროფორმიანებს აფეთქებული ხიდის თავში უსაფრდებოდნენ, ხოცავდნენ და ისევ უჩინარდებოდნენ.

მცირერიცხოვან აფხაზ პარტიზანთა გახშირებული თავდასხმა ჩვენი ქვედანაყოფების ბრძოლისუნარიანობას აქვეითებდა. იმ დროისათვის ოჩამჩირეში დაბანაკებული „ჩოლოყაშვილის პოლკისა“ და საჩხერის ბატალიონის ის რაზმები, რომლებიც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გამო იძულებულები იყვნენ, სოხუმი დაეტოვებინათ, მაგრამ არც თბილისში გამგზავრებას ჩქარობდნენ, მხოლოდ თავდასხმის შემდეგ რეაგირებდნენ – ადგილზე გადიოდნენ, თუმცა იქ აღარავინ ხვდებოდათ. თავდამსხმელები შესანიშნავად ახერხებდნენ გამვლელი მანქანის მგზავრების თუ ფეხით მოსიარულეთა ჩაცხრილვას და შემდეგ ტყეებში გაუჩინარებას. უსაფრთხო მიმოსვლისათვის, პრაქტიკულად, კოდორიდან ოჩამჩირემდე მთელ პერიმეტრზე თავდაცვის ხაზის შექმნა იყო საჭირო, რისი შესაძლებლობაც ჩვენს აფხაზეთში დისლოცირებული სარდლობის უშტატო შტაბს ნამდვილად არ გააჩნდა. რეალობა ასეთი იყო: სახელმწიფო საბჭოს განკარგულებით, ერთი მხრივ, ყველა შეიარაღებული ფორმირება აფხაზეთში სარდლობის შტაბს უნდა დამორჩილებოდა, მეორე მხრივ კი, ყველა ასეული თუ ბატალიონი ეროვნულ გვარდიასა და თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ სტრუქტურაში შედიოდა და თავისი მეთაური, ხელმძღვანელი და მთავარი სამმართველოს უფროსი ჰყავდა – უშუალოდ ემორჩილებოდა და სოხუმიდან წასვლა-დარჩენის საკითხს, ძირითადად, მათ უთანხმებდა, თუმცა უფრო ხშირად შეუთანხმებლად მიდიოდა.

არც 10 აგვისტოს თათბირზე აფხაზეთში შესვლის მომხრეთა მოლოდინი გამართლდა, რომ ეს ომი სამოქალაქო დაპირისპირებას შეაჩერებდა და მხარეებს გაერთიანებისა და გვერდიგვერდ ბრძოლის ვალდებულებას გაუჩენდა.

სოხუმიდან თბილისისკენ მანქანით მიმავალ შეიარაღებულ პირებს, რომლებიც აფხაზეთში გზის სახიფათო მონაკვეთს მშვიდობით გაივლიდნენ, ახალი საფრთხე სამეგრელოს გზაზე ელოდათ. ენგურის ხიდს იქით ექსპრეზიდენტის მომხრეთა შეიარაღებული პიკეტი იდგა, სადაც თბილისისკენ მიმავალ ჯარისკაცებს დაწვრილებით ეკითხებოდნენ ფრონტზე მიმდინარე ამბებს, იფიქრებდი, წარმატებას

გულშემატკივრობენო. იქნებ საწყის ეტაპზე მართლა გულშემატკივრობდნენ... თუმცა სამხედრო კამპანიის წარუმატებელ მსვლელობასთან ერთად მათი დამოკიდებულება თანდათან შეიცვალა. მანქანებს საგულდაგულოდ ჩხრეკდნენ, თუ ვინმეს რამე ნივთს უპოვიდნენ, მაროდიორობის ბრალდებით იარაღს ართმევდნენ, ვინც მათ მოთხოვნებს არ დაემორჩილებოდა, ფიზიკურად უსწორდებოდნენ... ასეთი იყო ენგურს იქით მცხოვრებ ქართველთა ერთი ნაწილის ქცევა აფხაზეთში სამხედრო კონფლიქტის მიმდინარეობისას, რაც გვარდიელებში განსაკუთრებულ გაურკვევლობას იწვევდა.

საქართველოს მთავრობის სიტყვიერი მანიპულაცია სამშვიდობო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე – აფხაზეთში შემოყვანილი ჯარები გაყვანილია და სოხუმში ადგილობრივებისგან დაკომპლექტებული შინაგანი ჯარის მხოლოდ ერთი დანაყოფი რჩებაო – არძინბასთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

მას ომსა და მშვიდობას შორის არჩევანი უკვე გაკეთებული ჰქონდა. მოლაპარაკებაზე არძინბას წარმომადგენლები უპირობოდ ითხოვდნენ უკანასკნელი ჯარისკაცის გაყვანას, თუ რატომ და რა მიზეზით, რა მზაკვრულ გეგმას ამზადებდნენ ქართველების წინააღმდეგ, სულ მალე გახდა ცნობილი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ქართველთმოძულე თავმჯდომარეს ერთი სული ჰქონდა, როდის შეთხელდებოდა ჩვენი სამხედრო ფორმირებები გაგრაში და როდის დატოვებდა სოხუმს სულ ბოლო ქართველი ჯარისკაცი, რათა ჩანაფიქრი უფრო იოლად აესრულებინა. ამ დროს კი ფარატინა ფურცელს მიამიტად მინდობილი ქართველობა უდარდელად შესცქეროდა მომავალს.

თბილისი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, ხოლო სოხუმი – თავისი. უფრო სწორად, თბილისს სოხუმისათვის აღარ ეცალა, საპარლამენტო არჩევნებისთვის[167] ემზადებოდა. წინასაარჩევნო პროცესს უკვე ეტყობოდა ედუარდ შევარდნაძის გამოცდილი ხელი. ვნებებისა და მღელვარების ქუჩიდან შენობაში გადასატანად, ცხელი თავების გასაგრილებლად, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ საარჩევნოდ ისეთი კანონი შესთავაზა პოლიტიკურ სპექტრს, რომ ნებისმიერ ოდნავ მაინც ცნობილ პოლიტიკურ პარტიას, ქუჩიდან მოსულ პოლიტიკოსთა ჯგუფს, ხელიც რომ არ გაენძრია, ისე შეეძლო პარლამენტში წარმომადგენლის გაყვანა. ამ შესაძლებლობით სარგებლობა გამსახურდიას მომხრეთა ერთ-ერთ ფრთასაც შესთავაზეს. მარათონში თითქმის ყველა პარტია იყო ჩართული. ყოველი მათგანი საკუთარი თავის უკეთ წარმოსაჩენად ათასგვარი დაპირებით ხალხს თავგზას უბნევდა, რასაც ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ჩაუმქრალ საომარ მოქმედებათა ადგილიდან ყურადღება დედაქალაქისკენ გადაჰქონდა და ქართველებს ფრონტზე მიმდინარე ამბებს ავიწყებდა. პოლიტიკოსები აფხაზეთში მხოლოდ ინტერვიუს მისაცემად ჩამოდიოდნენ. რა თქმა უნდა, კარგად ვაცნობიერებდით, რომ ქვეყანას კანონიერად არჩეული ხელისუფლება სჭირდებოდა, მაგრამ ამის მიუხედავად ის, რასაც ტელეეკრანებზე ვუყურებდით, მაინც გულისამრევად ჩანდა.

ერთადერთი, „ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის“ ლიდერმა ირაკლი წერეთელმა გამოაცხადა საჯაროდ: იმ დროს, როდესაც ფრონტზე ქართველი ბიჭების სისხლი იღვრება, უზნეობად და ამორალურად მიმაჩნია საარჩევნო დემაგო-

[167] 1992 წლის 11 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნები სამოქალაქო დაპირისპირებისა და აფხაზეთში მიმდინარე ომის ფონზე გაიმართა და მასში მონაწილეობა მიიღო ქვეყანაში არსებულმა თითქმის ყველა პარტიამ – 36-მა პოლიტიკურმა ჯგუფმა, რომელთაგან 2%-იანი ბარიერი 24-მა გადალახა.

გია და ცრუ დაპირებების მიცემა ომისა და მშვიდობის საკითხებზეო. მან პარტიის სააგიტაციოდ გამოყოფილ სატელევიზიო დროზეც უარი თქვა. იგი ერთადერთი იყო, რომელმაც ზნეობრიობის მაგალითი აჩვენა, თუმცა ისიც კარგად იცოდა, რომ 2%-იან ბარიერს ნებისმიერ შემთხვევაში გადალახავდა.

მშვიდობა თუ ასეთი საშიში აღმოჩნდებოდა, ამას ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა.

სოხუმისგან განსხვავებით, რომელსაც ქართველი, რუსი და უცხოელი დამკვირვებლები არ აკლდა, გაგრა სულმთლად მიგდებული აღმოჩნდა. სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ გაგრა-ლესელიძის მიმართულებით ფრენა იკრძალებოდა იმ მოტივით, რომ გაგრის დაჯგუფებისთვის ტყვია-წამალი და საბრძოლო მასალები არ მიეწოდებინათ. გუდაუთის სამხედრო საჰაერო ბაზის ხელმძღვანელი, გენერალი სიგუტკინი ამ აკრძალვას ომის ხელახალი ესკალაციის თავიდან აცილების სურვილით ხსნიდა და თავის მოქმედებას ათასგვარი საბაბით ამართლებდა: ხან რაღაც უშველებელი რადიუსის უსაფრთხოების ზონის შექმნის საჭიროებას იმიზეზებდა, ხან ქართულ მხარეს დაუფარავად უცხადებდა, რომ გაგრა-ლესელიძის ფრონტზე ტყვია-წამლის და საბრძოლო მასალების მიწოდებას არ დაუშვებდა ვითომდა შესაძლო მსხვერპლის შემცირების მიზნით; არც ქართველი სამხედროების მიერ სოხუმიდან ეშერის ლაბორატორიის დაბომბვის საფრთხეს გამორიცხავდა, თან ყალბი გულწრფელობით ამტკიცებდა, ეს ამბავი მოგვარდებაო, თუმცა ცხადი იყო, რომ ცრუობდა. დრო გადიოდა და ქართველთათვის გაგრა-ლესელიძის დამაკავშირებელი სასიცოცხლო არტერიის საკითხი გადაუჭრელი რჩებოდა.

მართვისა და კონტროლისათვის P-142-ის ტიპის სამეთაურო საშტაბო მანქანიდან ორგანიზებულ კავშირს გუდაუთის ბაზიდან რუსული რადიოელექტრონული საშუალებებით ახშობდნენ, საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურები ხშირად ზიანდებოდა, ხოლო შეკეთების შემდეგ ყველა საუბარი ისმინებოდა, რაც გაგრის ხელმძღვანელობასა და მართვას სოხუმიდან, პრაქტიკულად, შეუძლებელს ხდიდა. ამიტომ ეს პროცესები და ქალაქის ყოველმხრივ უზრუნველყოფა პირდაპირ თბილისიდან ხორციელდებოდა. როგორც მშვიდობიანობის დროს, ომის განახლების შემთხვევაშიც, გაგრის თავდაცვის გეგმა სოხუმში დისლოცირებული, თუნდაც ფორმალურად უკვე გაუქმებული სარდლობის შტაბისთვის უცნობი რჩებოდა.

მოლაპარაკება გრძელდებოდა, აფხაზები ქართველებისგან ისევ ჯარის სრულად გაყვანას ითხოვდნენ. სამხედრო ფორმირებები თუ მოხალისეები აფხაზეთს ისედაც ტოვებდნენ, ხშირად უნებართვოდ – ომი ხომ „დასრულებული“ იყო! აკი საზეიმოდ ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს შევარდნაძემ, ელცინმა და არძინბამ. შემეძლო, მეც ასე მოვქცეულიყავი, სხვებისთვის მიმებაძა და თბილისში დავბრუნებულიყავი: უკვე ვალმოხდილი ვიყავი, სამშვიდობო პროცესებს უჩემოდაც მშვენივრად გაართმევდნენ თავს, მაგრამ ვერ ვიკადრე, რადგანაც ჩემი, თუნდაც ზურგში დაბანაკებულის, იქ ყოფნა აფხაზეთის მთავრობის ქართულ ნაწილს და ადგილობრივ მოსახლეობასაც ეიმედებოდა. ისედაც სხვა უკვე არავინ ჩანდა – აღარც სახელმწიფოს მეთაური და აღარც სახელმწიფო საბჭოს წევრები. სოხუმისგან განსხვავებით, სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგ გაგრაში უკვე აღარც „მავნაბადელები“ ჩანდნენ და აღარც გაგრის „მხედრიონის“ გასაძლიერებლად თბილისიდან მივლინებული ჯგუფები.

ჯაბა იოსელიანმა, რომელიც რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ მშვიდობა საბოლოოდ დამყარდა, სექტემბრის მეორე ნახევარში გაგრა გულდამშვიდებულმა

დატოვა თბილისიდან და სხვადასხვა რაიონიდან ჩაყვანილ „მხედრიონელებთან" ერთად და უკვე თბილისში მიმავალმა, ვითარების გასაცნობად და „ახალი დავალების" მისაღებად, „ლიტერატურკაში" შემოიარა.

ორი სხვადასხვა – ერთი ოფიციალური და მეორე არაოფიციალური – სამხედრო ფორმირების ლიდერებს, ანუ ჩემსა და ჯაბა იოსელიანს შორის უთანხმოება მანამდეც არსებობდა, აფხაზეთში შესვლის შემდეგ კი კიდევ უფრო გაღრმავდა, ამიტომ, შემდგომი გამწვავების თავიდან ასაცილებლად, „მხედრიონის" ლიდერს თავისი ძალებით ოჩამჩირის რაიონის დაცვა შევთავაზე. ასე ერთმანეთისგან შედარებით შორს ვიქნებოდით, ნაკლები შეხება გვექნებოდა და საჭიროების შემთხვევაში მათ გაგრაში გადასხდომა ოპერატიულად შეეძლებოდათ.

„შავნაბადელები" საკუთარი რიგების შესავსებად თბილისში ხელახლა ფორმირებას შეუდგნენ. „დასრულებული" ომის პირობებში აფხაზეთში დარჩენილი არაორგანიზებული სამხედრო თუ გასამხედროებული ჯგუფები დედაქალაქიდან მხოლოდ ლანძღვა-გინებას იღებდნენ, ხშირად არც თუ უსაფუძვლოდ. ფრონტის-პირა ქალაქებში ყოფნა მათთვის პრესტიჟის საქმე უკვე აღარ იყო.

გაგრის თავდაცვას, სამხედრო და სამოქალაქო საკითხებს განაგებდნენ: სამხედრო ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი მიხეილ მარინაშვილი, ადგილობრივი „მხედრიონის" ლიდერი და გაგრის სამხედრო კომენდანტი ბადრი ფირცხელანი და შინაგან საქმეთა სამინისტროდან მივლინებული გივი კვანტალიანი, პოლიციის აკადემიის რექტორი. სამივე თავგადადებული პატრიოტი იყო, მაგრამ ერთი იგავარაკის პერსონაჟებივით, „ფორანს" სხვადასხვა მხარეს ექაჩებოდნენ, მერე კი ერთმანეთს ადანაშაულებდნენ.

სამი ქვედანაყოფი ჯერ კიდევ სრულად რჩებოდა ადგილზე: გაგრის თავდაცვის გასაძლიერებლად თბილისიდან გაგზავნილი იყო 26-ე „იმედის" ბატალიონი დათო ხომასურიძის მეთაურობით, პოლკოვნიკ მეფარიშვილის სპეცდანიშნულების ბატალიონი და სამობილიზაციო გეგმებით ჩამოყალიბებული რეზერვისტთა 102-ე ბატალიონი ავთო ჯიბლაძის მეთაურობით. სექტემბრის მეორე ნახევრიდან ამ ქვედანაყოფებმაც რღვევა დაიწყო, ისევე როგორც სოხუმში მივლინებულმა რეზერვისტთა 101-ე ბატალიონმა. რეზერვისტები დაუკითხავად მიდიოდნენ და მათი რიგები ნელ-ნელა თხელდებოდა.

სექტემბრის მეორე ნახევარში, როგორც იქნა, გაგრაში გაფრენის შესაძლებლობა მომეცა სამოქალაქო ავიაციის შვეულმფრენით, რომელსაც აფხაზეთის მთავრობის წევრები სოხუმში უნდა წამოეყვანა. პოლკოვნიკ მარინაშვილთან ერთად ნინა ხაზზე გავედი და წინასწარ მომზადებული თავდაცვის ზღუდეები დავათვალიერე, მებრძოლებს გავესაუბრე, უზრუნველყოფის სამსახურების მუშაობას გავეცანი...

განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა გაგრის სამედიცინო სამსახურმა. ჰოსპიტლად გადაკეთებულ საავადმყოფოში ქირურგებისა და ანესთეზიოლოგების ჯგუფი ავთო ჯორბენაძეს თბილისიდან ჰყავდა ჩამოყვანილი. ურთულესი ოპერაციები კეთდებოდა. ქალაქი მედიკამენტებითა და სხვა აუცილებელი სამედიცინო საშუალებებით სრულად მარაგდებოდა. ყველაზე საგულისხმო კი ის ფაქტი იყო, რომ ავთო ჯორბენაძის ძალისხმევით, გაგრის საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოვალეობას ისევ ძველი დირექტორი, აფხაზი ქალბატონი – ვალენტინა ჩაჩბა ასრულებდა. იგი თანაბრად ზრუნავდა ჰოსპიტალში მოხვედრილი ქართველისა თუ აფხაზის გადარჩენაზე. ეროვნული შუღლი, სიძულვილი და დაპირისპირება საავადმყოფოს კედლებში ვერ აღწევდა.

საღამოს პირი იყო, სოხუმში რომ გამოვემგზავრეთ. შვეულმფრენში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელი თამაზ ნადარეიშვილი და მისი მკურნალი ექიმი მერაბ ბოხუაც იყვნენ, აგრეთვე, აფხაზეთის მთავრობის წევრი ლონდერ ცაავა და ჯანდაცვის სამინისტროს კატასტროფის მედიცინის სამმართველოს უფროსი გია ნიშნიანიძე. ოპერატორი დათო ასათიანი გაგრაზე მომზადებული რეპორტაჟით ბრუნდებოდა უკან. სხვებიც იყვნენ. საუბრობდნენ და ერთმანეთს აზრს უზიარებდნენ.

მეც იქვე ვიჯექი ჩუმად. ილუმინატორიდან დანახული ლურჯად მოლივლივე ზღვა ჩემზე დამამშვიდებლად მოქმედებდა, მოჩანდა მშვენიერი მიუსერა და გუდაუთის სამხედრო ბაზა. შვეულმფრენი ზღვის სანაპიროს დაახლოებით 10-12 კილომეტრის დაშორებით და 3 კილომეტრის სიმაღლეზე უვლიდა გვერდს, როდესაც რუსული სამხედრო ბაზიდან მფრინავმა რადიოსიგნალი მიიღო: მეკავშირე ამბობდა, რომ შვეულმფრენი აკრძალულ ზონაში მიფრინავდა და დაუყოვნებლივ დაჯდომას მოითხოვდა.

თავიდან მფრინავი უშფოთველად შეხვდა მოთხოვნას, უპასუხა, მხოლოდ სამოქალაქო პირები გადამყავსო და სოხუმის მიმართულებით ფრენა განაგრძო, თუმცა „გუდაუთა“ რუსული ბაზის აეროდრომზე შვეულმფრენის დაუყოვნებლივ დასმას კატეგორიულად ითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩამოგდებით იმუქრებოდა. თავზე ორი Су-27 დაგვტრიალებდა. „Приказываю, немедленно посадить на базу вертолёт, в противном случае вертолёт будет сбит!“[168] – იმუქრებოდა რუსი მეკავშირე. რუსების თავხედობით აღშფოთებულმა თამაზ ნადარეიშვილმა მფრინავს გადამცემი გამოართვა, თავისი ვინაობა და თანამდებობა დაუსახელა და პროტესტი გამოთქვა სამოქალაქო შვეულმფრენის დაკავების შცდელობის გამო, რომელიც სამთავრობო რეისს ასრულებდა. „გუდაუთა“ თავისას მაინც არ იშლიდა: „Приказываю, немедленно следовать за истребителями. В противном случае вертолёт будет сбит!“[169] რაციის შხრიალში ბრძანება და მუქარა შვეულმფრენის კაბინაში ყველას გვესმოდა. საშინელი დაძაბულობა შეიქმნა, გუდაუთაში დაჯდომისა და ჩამოგდების შიშით ყველა დაიზაფრა. საკითხავია, რომელი უფრო უარესი იყო, დაჯდომა თუ ჩამოგდება? „იქნებ შენ დაელაპარაკო სიგუტკინს“, – გამომაფხიზლა თამაზ ნადარეიშვილმა. რა თქმა უნდა, არ მეძინა, უბრალოდ, თვალები მქონდა დახუჭული და ყველაფერი მესმოდა. ზანტად წამოვდექი, დაღლილად, თითქოს გაბრაზებული ვიყავი, რომ სიმშვიდე დამირღვიეს. მფრინავის კაბინასთან მივედი, გადამცემი გამოვართვი, მეკავშირეს ჩემი წოდება, სახელი და გვარი ვუთხარი და ვკითხე, ვინ და რა უფლებით ითხოვდა შვეულმფრენის დაჯდომას. პასუხმა რამდენიმე წამი დააყოვნა და თითქოს მისთვის სულერთი ყოფილიყოს, ვის ელაპარაკებოდა, ისევ ჯიუტად გაიმეორა, რომ გენერალ-მაიორ სიგუტკინის განკარგულებით, თუ დაუყოვნებლივ არ დაჯდებოდა, შვეულმფრენს ჩამოაგდებდნენ.

ეკიპაჟიც და შვეულმფრენის ყველა მგზავრიც, როგორც უკანასკნელ იმედს, ისე შემომცქეროდნენ. რამდენიმე წამი დამჭირდა გადაწყვეტილების მისაღებად. უკიდურესი დაძაბულობის ჟამს, სიკვდილის საფრთხის წინაშე მდგომს, სიმშვი-

---

[168] Приказываю, немедленно посадить на базу вертолёт, в противном случае вертолёт будет сбит (რუს) – გიბრძანებთ, დაუყოვნებლივ დასვათ შვეულმფრენი გუდაუთის ბაზაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში შვეულმფრენს ჩამოვაგდებთ!

[169] Приказываю, немедленно следовать за истребителями. В противном случае вертолёт будет сбит! (რუს.) – გიბრძანებთ, დაუყოვნებლივ გაჰყვეთ საბრძოლო თვითმფრინავებს, წინააღმდეგ შემთხვევაში შვეულმფრენს ჩამოვაგდებთ!

დე წუთითაც არ დამიკარგავს. აუღელვებლად მივიღე ახალი გამოწვევა ისე, რომ სახეზე ერთი ნაკვთიც არ შემტოკებია. ყველას თვალი მოვავლე, გადამცემის ღილაკს თითი დავაჭირე და ჩვეული სიტყვაძუნწობით რუსულად ერთადერთი სიტყვა მივუგდე: „Сбивайте!"[170] – გადამცემი მფრინავს უკან მივაწოდე, მშვიდად, ზანტად მოვტრიალდი და ჩემს ადგილს დავუბრუნდი. ქუდი თვალებზე ჩამოვიფარე და თვლემა განვაგრძე. უსიამოვნო სიჩუმემ და დაძაბულობამ დაისადგურა. ჩემი საქციელით დაბნეულები ერთმანეთს შესცქეროდნენ, ხმას არავინ იღებდა, ყველა „გუდაუთის" შემდეგ განკარგულებას ელოდებოდა. ორი გამანადგურებელი Су-27 ისევ შორიახლოს დაგვტრიალებდა, დრო ნერვიულად იწელებოდა.

უცებ სიჩუმე რადიომეკავშირის ხმამ დაარღვია: „Господин генерал, на этот раз пролёт разрешаем, следующий раз пожалуйста согласуйте заранее!"[171] – თქვა მეკავშირემ უფროსი მეთაურის დავალებით. კიდევ რაღაცას ამბობდა, თუმცა აღარავინ უსმენდა. როგორც იქნა, ყველამ შვებით ამოისუნთქა, ერთმანეთს ულოცავდნენ გადარჩენას. ერთი მხრივ, სიმამაცეს მიქებდნენ, მაგრამ თავზეხელაღებულობას მაინც არ მიწონებდნენ.

ამგვარ დეტალებს იმიტომ არ ვიხსენებ, რომ საკუთარი განსაკუთრებული სიმამაცე წარმოვაჩინო. სიმართლეს ვამბობ. იმ დროს, როდესაც ზოგიერთები ზღაპრებს თხზავდნენ, არც ამპარტავნობას შევუპყრივარ და არც ძალაუფლება ამვარდნია თავში. პირიქით, ქების მიუხედავად, ისევ თავმდაბლად ვაგრძელებდი დაკისრებული საპატიო და საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულებას.

უხმოდ ვიჯექი და მზერა დასავლეთისკენ მქონდა მიპყრობილი, რადგან ფიქრებით უკან, გაგრაში ვრჩებოდი. იქ არსებული სამხედრო წესრიგისა და საბრძოლო ორგანიზების მდგომარეობით გულდამძიმებული ვბრუნდებოდი. თითქოს რაღაც აკლდა პლაცდარმის თავდაცვის სისტემას, რომელიც ომის მოულოდნელად განახლების შემთხვევაში თავდაცვის ზღუდეებზე მონინააღმდეგის შეკავებისთვის იყო საჭირო. იმ დღეს საკუთარი თვალით პირველად ვნახე, რომ ომის საწყის პერიოდში შეიარაღებული ძალების სიძლიერით და სამხედრო საქმის ცოდნით ქართული მხარის აშკარა უპირატესობიდან აღარაფერი იყო დარჩენილი. ერთიანი ჯარისა და ხელმძღვანელობის არარსებობა ამ პრობლემას კიდევ უფრო აღრმავებდა.

გაგრას დაუყოვნებლივ დახმარება სჭირდებოდა. კონფლიქტის ზონიდან უკვე გასულ გვარდიელებს და „მხედრიონელებს" დისლოკაციის ადგილებიდან უკან არავინ დამიბრუნებდა. მყიფე ზავის პირობებში იძულებული გავხდი, „ლიტერატურკაში" სოხუმის დასაცავად გადამალული „თეთრი არწივისა" და „შავი ავაზას" ბატალიონების 50-50-კაციანი ჯგუფები სოხუმიდან გაგრაში გამეგზავნა. მართვა-ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად მათ სარდლობის შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი დათუაშვილი გავაყოლე. თბილისსაც ვთხოვდი, ძალები გამოეძებნათ და გაგრაში დასახმარებლად გადაესროლათ, ძირითადად, თავდაცვის სამინისტროს მივმართავდი, რადგან სამშვიდობო პროცესის დაწყების შემდეგ გასამხედროებული ფორმირებებისა და მოხალისეთა რაზმების ხელმძღვანელები გაგრაში ხელახლა ჩასვლის საჭიროებას ვეღარ ხედავდნენ.

---

[170] Сбивайте! (რუს.) – ჩამოაგდეთ!

[171] Господин генерал, на этот раз пролёт разрешаем, следующий раз пожалуйста согласуйте заранее! (რუს.) – ბატონო გენერალო, ამჯერად შეგიძლიათ გააგრძელოთ ფრენა, შემდგომში გთხოვთ წინასწარ შეგვითანხმოთ!

ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა არმიის რიგებში გერმანიაში მსახურების დროს მესმოდა, მაღალი რანგის ოფიცრები აღმოსავლეთ გერმანიიდან ჯარების გაყვანისა და მაღალი დონის საყოფაცხოვრებო პირობების დაკარგვის შიშით ჩურჩულით როგორ გამოთქვამდნენ იმდროინდელი საგარეო საქმეთა მინისტრის – შევარდნაძის მიმართ უკმაყოფილებას. ახლა უკვე ის რუსი გენერლები მის მიმართ სიძულვილს აღარ მალავდნენ. სწორედ შევარდნაძეს აბრალებდნენ „დერჟავის" დანგრევასა და აღმოსავლეთ ევროპის ქალაქებიდან რუსეთის ტრამალებში მათ გადაბარგებას: „Такую державу развалили, растащили по частям!"[172] – სსრკ-ს მისტიროდნენ და ქართველების მიმართაც უკმაყოფილებას გამოხატავდნენ, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას და საკუთარი სუვერენული სახელმწიფოს მშენებლობის სურვილს 200 წლის წინათ რუსების მიერ გაწეული „ღვანლის" დაუფასებლობად და უმადურობად უთვლიდნენ. პირად საუბრებსა და სატელევიზიო გადაცემებში ქართველებს ხშირად ახსენებდნენ იმ დროს, როდესაც საქართველო ირანსა და ოსმალეთს ჰქონდა გადანაწილებული, აჭარა და ჯავახეთი საფაშოებად იყო ქცეული. მეფე ერეკლეს დაჟინებული თხოვნით რუსეთის იმპერატორს ქართლი და კახეთი თავის მფარველობაში რომ არ შეეყვანა, ლეკიანობისგან ძალაგამოცლილი აღარც ქართველი კაცი იარსებებდა და აღარც საქართველოო. რუსმა ჯარისკაცმა საკუთარი სისხლით გამოსტაცა, ნაკუწ-ნაკუწ დაშლილი გზადაგზა აკრიფა და გააერთიანაო. იმაზე კი ხმას არ იღებდნენ, რომ ეს ჩვენთვის კი არა, საკუთარი თავისთვის გააკეთეს. ორ სახელმწიფოს შორის დადებული „სამეგობრო შეთანხმების"[173] მიუხედავად, ჯერ იყო და, აღა-მაჰმად-ხანს ბრძოლაში მარტოდმარტო შეატოვეს, მოგვიანებით საერთოდ გააუქმეს ბაგრატიონთა სამეფო ტახტი და საქართველო იმპერიის ნაწილად, უფრო სწორად, კოლონიად აქციეს. ორი საუკუნის წინათ ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად გეორგიევსკში ხელმოწერილი ტრაქტატის მიამიტური ნდობა ქართველებს დამოუკიდებლობის 200 წლით დაკარგვის ფასად დაუჯდათ.

გულუბრყვილო და მიმნდობი ქართველები ახლაც ვერ აცნობიერებდნენ, სოჭში ხელმოწერილი ფარატინა ფურცელი, ვითომ სამშვიდობო შეთანხმება, რამხელა განსაცდელს უმზადებდა ქვეყანას. ფურცელზე დაწერილსა და ხელმოწერილ ტექსტს დაპირისპირებულ მხარეთა შორის არსებული უნდობლობის უფსკრულის ამოვსება არ შეეძლო. მტრობას ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული. ახალ, ჯერ კიდევ არშემდგარ სახელმწიფოს წინააღმდეგობის ძალა აღარ შესწევდა. ათწლეულების განმავლობაში წვეთ-წვეთად დაგროვილი სიძულვილი, ქირქილისა და სისინის ხმები აფხაზ სეპარატისტთა ბოროტ ზრახვებს ამჟღავნებდა და საქართველოს საშიშ მომავალს უქადდა. რამდენიმე წყაროდან მოწოდებული ინფორმაცია ერთმანეთს ემთხვეოდა. გუდაუთის რუსულ სამხედრო ბაზაზე შამილ ბასაევის 200-კაციანი ჩეჩნური რაზმი გამალებულად ემზადებოდა.

---

[172] Такую державу развалили, растащили по частям! (რუს.) – როგორი სახელმწიფო დაანგრიეს, ნაწილ-ნაწილ დაშალეს! (საბჭოთა კავშირის დაშლის მოწინააღმდეგეთა გამონათქვამი)

[173] 1783 წლის 24 ივლისს ციხესიმაგრე გეორგიევსკში (ჩრდ. კავკასია) დაიდო „სამეგობრო შეთანხმება" რუსეთსა და გაერთიანებულ ქართლ-კახეთს შორის, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი რუსეთის მფარველობის ქვეშ გადადიოდა. შეთანხმება ისტორიაში შევიდა „გეორგიევსკის ტრაქტატის" სახელით.

რუსი სამხედროები და პოლიტიკოსები, რომლებიც ქართველებისგან ჯარის გაყვანას ითხოვდნენ, აფხაზთა შეიარაღებულ ჯგუფებს ვერც გუმისთის მარჯვენა სანაპიროზე ხედავდნენ და ვერც ბზიფის ხეობაში. სამაგიეროდ სხვადასხვა ხრიკით, საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო მიზეზით, მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო საბაბით, მუდამ ქართულ მხარეს ადანაშაულებდნენ. იმ დროს, როდესაც აფხაზი შეიარაღებული პირები ბზიფიდან გუმისთამდე შეუფერხებლად მოძრაობდნენ, ქართველებისთვის გაგრისკენ გაფრენა მკაცრად იკრძალებოდა. საშიში დაძაბულობა დღითიდღე მატულობდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ კიდევ რაღაც უბედურება უნდა მომხდარიყო. სად ყოფილა, რომ გაჩაღებული ომი ასე მარტივად ჩამცხრალიყოს და დამთავრებულიყოს?! დიდი შორსმჭვრეტელობა არ სჭირდებოდა იმის მიხვედრას, რომ ბრძოლები საცაა ისევ განახლდებოდა. მშვიდობა ბეწვზე ეკიდა, რომელიც ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა გაწყვეტილიყო და ზავი დარღვეულიყო.

მოწინააღმდეგის ჩანაფიქრს გუმანით ვხვდებოდი და სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ომის განახლებამდე მხოლოდ დღეებიღა რჩებოდა. ვაფრთხილებდი ხელმძღვანელობას, რომ პროცესები ისე არ მიდიოდა, როგორც ხელმოწერილი დოკუმენტით იყო განსაზღვრული. ვუსაბუთებდი, ვარწმუნებდი, მაგრამ ვერაფერს ვხდებოდი. ქართველებს – სახელმწიფო საბჭოს, მთავრობას, სამხედრო მეთაურებს, პოლიტიკურ ლიდერებს – თითქოს არაფერი ესმოდათ. ვერც აფხაზების ბოღმიან მზერას ხედავდნენ, ვერც მათ გულის ნადებს ხვდებოდნენ და ვერც სამშობლოს თავზე შეყრილ ღრუბლებს ამჩნევდნენ; ვერც კარს მომდგარ საშიშროებას გრძნობდნენ და განგაშის ზარების ჩამოკვრასაც არავინ აპირებდა. დამატებითი ძალის შემოყვანას ვერ ვახერხებდი, იქ მყოფთა შენარჩუნებაც შეუძლებელი გახდა. სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში რიცხული და ფორმირებაში გაწევრიანებული მებრძოლები სოხუმსა და გაგრას მთავარი შტაბის ნებართვის გარეშე, დაუკითხავად, მხოლოდ საკუთარ ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ტოვებდნენ და მიდიოდნენ.

უფრო მეტიც, მოწინააღმდეგის მხრიდან პირველ ოქტომბერს იერიშის მუხანათურად დაწყებამდე ერთი დღით ადრე, თავდაცვის სამინისტროს მიერ გაგრაში მივლინებულმა მაიორ ჯიბლაძის 102-ე ბატალიონმა 120-მდე რეზერვისტის შემადგენლობით, ხელახალი ფორმირებისათვის, იქაურობა გულარხეინად დატოვა და ლესელიძიდან ფოთისკენ ბარჟით ისე გაემგზავრა, რომ ჩემთვის არაფერი უკითხავთ. ომი ხომ „დასრულებული“ იყო!..

ოქტომბრის ხუთი სისხლიანი დღე

პირველი ოქტომბერი ერთი ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული დღე იყო. 2 საათისთვის სინოპში, ყოფილ სამთავრობო აგარაკზე სამშვიდობო ხელშეკრულების საფუძველზე ჯარების გაყვანისა და ვითარების ნორმალიზების საკითხებთან დაკავშირებით მორიგი სხდომა გაიმართა. როგორც ყოველთვის, ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა საყვედურები და ბრალდებები გაცვალეს. არძინბას წარმომადგენელი ალიას ლაბახუა მკაცრად მოითხოვდა 3 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შესრულებას – საქართველოს საჯარისო ფორმირებების სასწრაფოდ გაყვანას აფხაზეთიდან. თავის მხრივ, ქართველები ჩრდილოკავკასიელთა შეიარაღებული ფორმირებებისგან საქართველოს ტერიტორიის დატოვებას მოითხოვდნენ და რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობას

გუდაუთის ბაზაზე დისლოცირებული შამილ ბასაევის 200-კაციანი რაზმის მფარველობასა და მათ საბრძოლო მომზადებაში სდებდნენ ბრალს, ხოლო რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს ბორის პასტუხოვსა და დუმის დეპუტატს გალინა სტაროვოიტოვას აფხაზების სასარგებლოდ ტენდენციურობაში ადანაშაულებდნენ.

სასიკვდილოდ განწირული გაგრის გმინვამ და სასოწარკვეთილმა ძახილმა სოხუმში სწორედ იმ დროს ჩამოაღწია, როდესაც სამთავრობო აგარაკის ლაბირინთებში ომსა და მშვიდობაზე ცხარე კამათი მიმდინარეობდა. ჩამოაღწია და ვითარება თავდაყირა დააყენა. მოწინააღმდეგემ სამშვიდობო ხელშეკრულება დაარღვია! სოხუმის შტაბს გაგრიდან რადიოსადგურით შეტევის განახლებას ატყობინებდნენ. თავზარდაცემულმა ჩავირბინე ლიტერატორთა პანსიონატის კიბე, „ორბელების“ ოცეულს შევძახე, წამომყევით-მეთქი და სამთავრობო აგარაკისკენ გავემართე.

შეხვედრის მონაწილეებს სწორედ იმ დროს დავადექი თავზე, როდესაც ქართველებისგან შეუსრულებელი პუნქტების შესრულებას ითხოვდნენ. ყველა იქ იყო: რუსები – ალექსეი სიგუტკინი, გალინა სტაროვოიტოვა, ბორის პასტუხოვი; აფხაზები – ალიას ლაბახუა, ანრი ჯერგენია და სხვები. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც სათათბირო ოთახში შევაბიჯე და დავინახე, რომ ისე საუბრობდნენ, თითქოს არაფერი მომხდარიყოს და რაღაც უმნიშვნელო საკითხებზე მსჯელობდნენ იმ დროს, როდესაც ხელშეკრულება უკვე დარღვეული იყო და გაგრაზე იერიში – დაწყებული.

– რა დროს მოლაპარაკებაა, ხელშეკრულება მუხანათურად დაირღვა, იერიში განახლდა! – უცერემონიოდ მივმართე მაგიდასთან მსხდომ ქართველებსაც, აფხაზებსაც და რუსებსაც. სხვა დროს და სხვა ვითარებაში ალბათ გამეცინებოდა, ისეთი გაკვირვებული სახეები ჰქონდათ. არც სიგუტკინმა და არც აფხაზებმა ნათქვამი არ დაიჯერეს და სერიოზულად არ აღიქვეს. მომხდარი მცირე ინციდენტად მონათლეს, უსაფუძვლო პანიკად და გაუგებრობად ჩათვალეს. სიგუტკინმა თქვა, მოლაპარაკებას დროებით დავტოვებ, გუდაუთაში გადავამოწმებ, თუ მართალია, რასაც ამბობთო. აფხაზებმაც გამოიდეს თავი – გუდაუთაში დავრეკავთ ინფორმაციის დასაზუსტებლადო.

ვხედავდი მათ გულწრფელ შეშფოთებას და შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ არ ტყუოდნენ. ისიც კი გავიფიქრე, პანიკის გამო მცდარი ინფორმაცია ხომ არ გავრცელდა-მეთქი. ამხელა კაცი, გენერალი, თვალებში მიყურებდა და უარყოფდა, სახეზე ძარღვიც არ უტოკდებოდა. ცოტა არ იყოს, დავიბენი. ბოლოს და ბოლოს, ხომ არ მოელანდებოდათ?! მაგრამ არა! იმათი არც ფიცი მწამდა და არც სიტყვის მჯეროდა. უმალ მივიღე გადაწყვეტილება, თავად გავფრენილიყავი და საკუთარი თვალით მენახა, რა ხდებოდა.

მხოლოდ უსაფრთხო ფრენის გარანტია მჭირდებოდა. ერთი მხრივ, ამ გარანტიას სიგუტკინისგან ვითხოვდი, თან არც ვენდობოდი. არც ისეთი მიამიტი ვიყავი, ცალყბად მოცემულ ნებართვას ბრმად მივნდობოდი, გულუბრყვილოდ დამეჯერებინა, რომ ჩვენს შვეულმფრენს არ ჩამოაგდებდნენ და თევზების კერძად არ გვაქცევდნენ. ვითარების გამწვავებასაც აღარ ვერიდებოდი, ან რა იყო მოსარიდებელი?! სასიცოცხლო მნიშვნელობის ფორპოსტის ყოფნა-არყოფნის საკითხი ნყდებოდა, მშვიდობიანი მოსახლეობის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი.

– თქვენ აქ დამელოდეთ და სამ საათში მოვიტან ზუსტ ინფორმაციას! – ყველას გასაგონად განვაცხადე და მათ დასანახად სახელმწიფო აგარაკის ტერიტორიაზე

„ორბელთა“ ოცეული შემოვიყვანე. მეთაურს ვუბრძანე, ჩემს დაბრუნებამდე სიგუტკინი, პასტუხოვი, სტაროვოიტოვა და ლაბახუა აგარაკზე შეეყოვნებინათ, ხოლო თუ ჩამომაგდებდნენ, თვითონ იცოდნენ, როგორც მოიქცეოდნენ. ამის თქმა იყო და, იარაღმომარჯვებული „ორბელები“ სახელმწიფო აგარაკს გარს შემოერტყნენ. მე კი ოთხ თანამებრძოლთან ერთად აეროპორტისკენ გავეშურე.

გონებაში ათასი ფიქრი მიტრიალებდა. საკუთარ თავზე ვბრაზობდი ქართველების გულუბრყვილობის გამო. როდესაც აფხაზეთში შედიოდნენ, აფხაზები არ გაიმეტეს, არც კი უფიქრიათ, რომ გზიდან მარჯვნივ გადაეხვიათ და დაუცველი ტყვარჩელი აეღოთ. „წითელ ხიდს“ მიადგნენ და იქაც გაჩერდნენ. არც იქ გაიმეტეს აფხაზები. სოხუმის მისადგომებთან 4-5 დღე იცდიდნენ, იქნებ ქართველთა და აფხაზთა შორის ომი თავიდან აეცილებინათ, სისხლი არ დაღვრილიყო. მერე სოხუმში შევიდნენ და მაშინაც გაუფრთხილდნენ: ნაცვლად იმისა, რომ სწრაფად გადაელახათ გუმისთა და ეშერისაკენ დაძრულიყვნენ და კიდევ უფრო იქით – გუდაუთისაკენ, სოხუმში დაბანაკდნენ, გზა აღარ გააგრძელეს, მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლს მოერიდნენ. არც გაგრიდან დაძრულან ქართული ქვედანაყოფები გუდაუთისკენ, ისინიც კოლხიდის მისადგომებთან გაჩერდნენ მიუხედავად იმისა, რომ წინააღმდეგობა არც შეხვედრიათ.

სულ რაღაც ორ კვირაში მოაწერეს ხელი შეთანხმებას მშვიდობიან თანაცხოვრებაზე. სამაგიეროდ კი აფხაზებმა ჩეჩენი, ინგუში, ყაბარდოელი და სხვა ათასი გადამთიელი მოიხმეს და სასიკვდილოდ გაიმეტეს გაგრა-ლესელიძეში მცხოვრები ქართველები, ყველა ერთად: ქალი და კაცი, ბავშვი და დიდი, მოხუცი და ახალგაზრდა, იარაღიანი და უიარაღო. აფხაზებმა ომი მაშინ დაიწყეს, როდესაც ქართველებს დამთავრებული ეგონათ. ახლა კი ამ გულუბრყვილობის შედეგებს ვიმკიდით. მშვიდობა თუ გინდა, ომიც უნდა შეგეძლოს და გამარჯვების თავიც უნდა გქონდეს – მხოლოდ ასე მიიღწევა ურყევი მშვიდობა.

ომშიც ისევე ხდება, როგორც მშვიდობიან დროს: ყოველდღიურად აწყდები ადამიანთა ურთიერთობაში სიცრუეს, სიყალბეს, ფლიდობას, გაუტანლობას. ჩვეულებრივი ამბავია სიტყვის გატეხა, ფიცის მოშლა, პირობის დარღვევა კაცთანაც და თვით ღმერთთანაც კი. მაშ, რა გასაკვირი იყო აფხაზებისგან საზავო ხელშეკრულების დარღვევა და ბრძოლის განახლება?! თბილისში ომის განახლებას არც კი იჯერებდნენ, აფხაზების მხრიდან ასეთ ღალატს ვერ უშვებდნენ.

ახლა მოგიყვებით, ქართველთა მიმნდობლობისა თუ უნიათობის მიზეზით, მოწინააღმდეგის მზაკვრობისა თუ ძალისმიერი უპირატესობის გამო როგორ აღმოჩნდა საქართველოს ძირძველი, განუყოფელი კუთხე დასაღუპავად განწირული და მიტოვებული.

დაძაბულობა უკიდურეს ზღვარს აღწევდა. დღის პირველი ნახევრიდან მოწინააღმდეგის მეწინავე რაზმებმა ახალი გაგრის შესასვლელთან განლაგებულ ქართულ ბლოკსაგუშაგოებზე მიიტანეს იერიში. ესტაკადასთან გააფთრებული ბრძოლა გაიმართა. აფხაზური მხარის ძირითადი ძალისხმევა, ცენტრალური მაგისტრალის ბლოკსაგუშაგოების გავლით, წინააღმდეგობის კერების გასანადგურებლად იყო მიმართული.

უტევდნენ ორი მხრიდან, ქვეითად. უტევდნენ გაგრის კომისარიატის შენობაში განთავსებულ მარინაშვილის საველე შტაბს; უტევდნენ უნივერმაღის შენობას გზის მარჯვნივ; წინ მიიწევდნენ სასაფლაოების მიმართულებით... თითოეული ჯგუფი მიწისათვის, ყოველი მეტრის მოსაგებად ორივე მხარე უდიდესი შემართებითა და თავგანწირვით იბრძოდა. თითქოს სწორედ იმ ადგილას, იმ წუთს წყდებოდა

თითოეული მათგანის ბედი. ადგილობრივები და დასახმარებლად ჩასული გამორჩეული ბიჭები ერთმანეთის მიყოლებით ეცემოდნენ ბრძოლის ველზე, მათ შორის, სექტემბრის მეორე ნახევარში ჩემი გაგზავნილი „თეთრარწივილებიც“. პირველი მათი მეთაური გია ჯაფარიძე დაიღუპა ტანკიდან ნასროლი ჭურვით, მერე – დათო ბურუკური, ბაჟა ქიტიაშვილი და სხვები. თითქმის ყოველი მეორე. უმრავლესობა უგზო-უკვლოდ დაიკარგა.[174]

სხვის ნაამბობს არ გიყვებით, საკუთარი თვალით მაქვს ნანახი ყველაფერი.

საღამოს 6 საათისათვის, უცებ მიღებული გადაწყვეტილებით, მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად სასწრაფოდ აეროპორტს მივაშურე. წინასწარ გაგრას დავუკავშირდი და „თეთრარწივილთა“ ჯგუფის უფროსს, ლევან ასათიანს წინა ხაზზე თეთრი ზეწრების გაშლა დავავალე, რომ ჩვენი პოზიციები მოწინააღმდეგის პოზიციებისგან გაგვერჩია. უკვე უტევდნენ გზის მარცხნივ, გაგრელთა საცხოვრებელ სახლებში გამაგრებულებს. უტევდნენ ე. წ. „კრასნი კრესტის“[175] რაიონში, ქედზე, წინასწარ გათხრილ სანგრებში განლაგებულ ლესელიძის ბატალიონის ორი ოცეულის საყრდენ პუნქტებს.

სოხუმის აეროდრომზე ჯიმი მაისურაძეს Ми-8 შვეულმფრენი უკვე მოემზადებინა. შემოდგომის საღამო იყო. ავი წინათგრძნობის გამო დანა პირს არ მიხსნიდა. სირბილში ვერც კი შევნიშნე, როგორ გაირბინა 40-50-მა წუთმა და როგორ მივადექით გაგრას.

ზემოდან დავცქეროდით მწარე სინამდვილეს. აქეთ-იქით დაფრინავდა მანათობელი ტყვიები და ფეთქდებოდა ჭურვები. ახალი გაგრის შესასვლელთან გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა. რუსი და აფხაზი მაღალჩინოსნების გულმკერდში მჯიღის ცემითა და სიტყვით ნაფიცი მშვიდობიდან აღარაფერი დარჩენილიყო. 1992 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულება ისევე გაუფასურდა, როგორც 200 წლის წინათ – გეორგიევსკის ტრაქტატი.

მზე უკვე ჩადიოდა. მიწაზე გაფენილი თეთრი ზეწრებისა და აქეთ-იქიდან გამოსროლილი ტრასერების[176] მეშვეობით საკუთარი და მოწინააღმდეგის პოზიციების გარჩევა მართლაც იოლი აღმოჩნდა. ჯიმიმ უმართავი რაკეტებით დაუყოვნებლივ მიიტანა იერიში მოწინააღმდეგის პოზიციაზე, ჩვენ კი ტყვიამფრქვევებიდან და ავტომატებიდან გავუხსენით ცეცხლი შვეულმფრენის ლუკებიდან, რომ ამით შეტევის ტემპი შეგვენელებინა და მეორე დღემდე დრო მოგვეგო. მჭიდს მჭიდზე ვცლიდით, ლულებს ვანითლებდით და რამდენიმე წუთის განმავლობაში შეუჩერებლად ვისროდით.

ჩვენი შვეულმფრენი წინა ხაზთან მიახლოებას ცდილობდა, როდესაც მოულოდნელად მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლი გაგვიხსნეს. უცაბედი დარტყმისგან საფრენი აპარატი შეტორტმანდა. ტალღამ კაბინაში მსხდომები კედლებს მიგვახეთქა და თავი მიგვარტყმევინა, ძრავას ხმაც უცებ შეწყდა და შვეულმფრენმა მინისკენ ფარფატით დაიწყო დაშვება. „ზღვისკენ მიუშვი შტურვალი, იქნებ როგორმე ზღვამდე მიაღწიო!“ – გავძახე მფრინავს, რომ უსაფრთხო სი-

---

[174] მათი გვარები სრულად ჰქონდა აღრიცხული გრებეშოკთან დაღუპული კოტე ანდრიაძის დედას, ქალბატონ ნინელი ანდრიაძეს. უგზო-უკვლოდ დაკარგულთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს.

[175] „Красный крест“ (რუს.) – „წითელი ჯვარი“, გაგრის ერთ-ერთი რაიონი.

[176] ტრასერი (ტრასირებადი ტყვია ან ყუმბარა) – ტყვია ან ყუმბარა, რომელსაც დენთთან ერთად პიროტექნიკური შემადგენლობაც ურევია. გასროლისას ასეთი ტყვიები (ყუმბარები) ჰაერში ნათებას იწყებს და ხილულ კვალს (trasse) ტოვებს, რაც მსროლელს ცეცხლის კორექტირებასა და სამიზნის მონიშვნაში ეხმარება.

მაღლიდან ზღვაში გადახტომა მოგვეხერხებინა. შვეულმფრენი ჯიუტად ეშვებოდა ქვემოთ და მინისკენ მიექანებოდა. ალბათ დაენარცხებოდა კიდეც, შტურვალთან ჯიმი მაისურაძე რომ არ მჯდარიყო, რომელსაც ურთულესი მდგომარეობიდანაც შეეძლო თავის დაღწევა. ასე იყო ავღანეთში, ანგოლასა თუ ვიეტნამში, სადაც კი საბჭოთა არმიაში უმსახურია. ის ხომ ყველა ცხელ წერტილში იყო ნაომარი. არასოდეს იბნეოდა. მამაცი მფრინავი ახლაც მედგრად ცდილობდა, ძრავა ხელახლა აემუშავებინა. ერთხელ, მეორედ, მესამედ... მშვიდად, აუღელვებლად ირჯებოდა. ყველასთვის მოულოდნელად და სასიხარულოდ ძრავა ამუშავდა. იოლად გადავრჩით, მხოლოდ ტყვიამფრქვევის სამაგრი იყო დაზიანებული და მწყობრიდან გამოსული, თუმცა ეს ვის ანაღვლებდა?! დათო ბეჟაშვილი, ბაჩი ხვიჩია, ნიკუშა ტყეშელაშვილი, ზურა ადუაშვილი ერთმანეთს შესცქეროდნენ და თვალებით ულოცავდნენ გადარჩენას, ხარობდნენ, რომ იმ უამინდობაში ზღვაში „ბანაობა“ არ მოუწიათ. ჯიმიმ კი, ვითომც არაფერი, კიდევ ერთხელ გააკეთა ვირაჟი და ვიდრე მოწინააღმდეგის პოზიციებს უმართავი რაკეტების კომპლექტი სულ არ დააცალა, უკან გამობრუნებაზე არც უფიქრია. მხოლოდ იერიშის დასრულების შემდეგ თქვა, ბნელდება, უნდა დავბრუნდეთო და სოხუმისკენ გავფრინდით.

უკვე ღამდებოდა. ნანახით იმედგაცრუებულები ხმას არ ვიღებდით. უკან დაბრუნებულს შტაბში არავინ დამხვდა – აღარც სიგუტკინი, აღარც სტაროვოიტოვა და აღარც პასტუხოვი. აფხაზებიც შარშანდელი თოვლივით გაპარულიყვნენ. „ორბელებს“ გამწვავების თავიდან ასაცილებლად, აფხაზეთის მთავრობის ნებართვით, „საპატიო“ სტუმრები მხოლოდ სიტყვიერი დაპირების საფუძველზე – ვითარებას გავეცნობით და ინციდენტს აუცილებლად აღვკვეთთო – პატივისცემითა და ბოდიშის მოხდით გაესტუმრებინათ.

თბილისსა თუ სოხუმში მყოფი ქართველი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელები მომხდარის გამო საგონებელში იყვნენ ჩავარდნილი და დაჯერება უჭირდათ. ყველაფერს წარმოიდგენდნენ და აფხაზების მიერ ბრძოლის განახლებას არანაირად არ ელოდნენ. თითქოს მშვიდობიანობის დროს ადამიანები ყოველდღიურად არ აწყდებოდნენ სიტყვის გატეხას, ფიცის დარღვევას, ტყუილს, ღალატს... დაბნეულები მე შემომცქეროდნენ, აქეთ მეკითხებოდნენ გამოსავალს, ისევ ჩემი იმედი ჰქონდათ.

მეორე დილით რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი კონდრატიევი ჩამოფრინდა, ალბათ თბილისიდან ატეხილი განგაშის საპასუხოდ. წინა დღის ამბებით შეძრწუნებულს ერთი სული მქონდა, პირში მიმეხალა: „ეს არის თქვენი მშვიდობა?! ამიტომ დადეთ ხელშეკრულება, რომ ცბიერებითა და მოტყუებით იოლი გამარჯვებისთვის მიგეღწიათ?!“ – მაგრამ რად გინდა?! ვითომც არაფერი... გაკვირვებული ისიც მხრებს იჩეჩავდა. თითქოს არც ის იცოდა, რომ ბასაევის რაზმი აგერ უკვე მეორე თვე იყო, გუდაუთის სადესანტო ბაზის ტერიტორიაზე იწვრთნებოდა. ჩვენ ვიცოდით, იმან – არა. სამწუხაროდ, რუსეთის მტრული განზრახვა საქართველოს მიმართ სრულიად აშკარა იყო.

2 ოქტომბერი იდგა. არასოდეს დამავიწყდება ის წვიმიანი, მოღუშული დღე, ყოველი წვრილმანი მახსოვს. იმ დღეს ბევრი ქართველი ბიჭი დაიღუპა, ბევრი ქართველი დედის ცრემლი დაიღვარა, ბევრი ქალი დაქვრივდა და ძაძით შეიმოსა.

ქართველ მებრძოლებზე აუგის თქმა არავინ გაბედოს! ამ ბრძოლებისას ნათლად დავინახე, რომ საბოლოოდ მაინც რუსეთის ფავორიტი გაიმარჯვებდა, ვის მხარესაც ის იდგა და ზურგს უმაგრებდა, ვისზედაც ფსონი ჰქონდა დადებული.

იმ დღეს ბრძოლის ველზე საომარ მოქმედებებში პირველად გამოიკვეთა მოწინააღმდეგის უპირატესობა როგორც რიცხობრივი ძალის და შეიარაღების, ისე სამხედრო საქმის ცოდნის მხრივ. იქნებოდა ეს საბრძოლო ტექნიკის გამოყენება, ოცეულების და ასეულების დონეზე მოქმედების, ბრძოლის ნარმართვის ტაქტიკა, რუსული ავიაციის დახმარებით ეფექტიანი საბრძოლო მოქმედებებისათვის აუცილებელი სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება, კავშირგაბმულობით უზრუნველყოფა თუ სხვ. ეს ყველაფერი კი ბრძოლის ბედს განსაზღვრავდა.

გამთენიისას ქალაქის დასაკავებლად იერიში განახლდა. თავიდანვე ნათელი გახდა, რომ ქართველთა შეთხელებული რაზმები მოწინააღმდეგის შეტევას ვერ მოიგერიებდნენ. ისინი ახალი გაგრის მისადგომებთან პოზიციებს ტოვებდნენ და ქაოსურად იხევდნენ უკან, ძველი გაგრისკენ. დაჭრილების ლესელიძის სამედიცინო პუნქტში დაუყოვნებლივ გადაყვანა იყო საჭირო. ავთო ჯორბენაძე გაგრის საავადმყოფოს ევაკუაციას ატარებდა. დაცარიელებულ ჰოსპიტალში ორად ორი ადამიანი რჩებოდა – მთავარი ექიმი, აფხაზი ვალენტინა ჩაჩბა და ქართველი ჯარისკაცი, რომლის გადაყვანასაც ვერ ახერხებდნენ, რადგან პალატაში სასუნთქ აპარატზე იყო შეერთებული და მოხსნისთანავე უეჭველად დაიღუპებოდა. ავთომ აფხაზ ქალბატონს შეავედრა მისი სიცოცხლე.

2 ოქტომბერს, შუადღისთვის გაგრა საბოლოოდ დაეცა და ქალაქის სრული კონტროლი მოწინააღმდეგის ხელში გადავიდა.

საქმე უკან რომ წაუვა, მერე იწყებს ხოლმე კაცი ვიშვიშს. მას შემდეგ, რაც გაგრის დაცემის ამბავმა თბილისში ჩააღწია, როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფოს პირველმა პირებმა და პოლიტიკურმა ლიდერებმა სხვისკენ ხელის გაშვერა და გადაბრალება დაიწყეს. ჯაბა იოსელიანი თენგიზ კიტოვანს სდებდა ბრალს, საქართველო მისი დაწყებული ავანტიურის შედეგს იმკისო. კიტოვანი შევარდნაძეს აბრალებდა, აგვისტოში განზრახ შეაჩერა ჯარის წინსვლა და ბოლომდე გასვლის საშუალება არ მისცაო; შევარდნაძემ აურია რუსებთან დალაგებული ურთიერთობა, პირადად მას უხდიან სამაგიეროს გერმანიიდან გამოყვანილი, უსახლკაროდ დატოვებული რუსი გენერლებიო. ექსპრეზიდენტის მომხრეებმაც შევარდნაძისკენ გაიშვირეს ხელი – სამშობლოს მიწებს ყიდისო. სახელმწიფო საბჭოს სხვა წევრები რაღაც გაუგებარ „მეორე რუსეთს" ადანაშაულებდნენ, თითქოს ერთ, რეაქციულ რუსეთს დაერღვია ზავი მეორე, „ელცინის დემოკრატიული რუსეთის" საწინააღმდეგოდ – თავს იტყუებდნენ.

ჯერ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობასთან მოინდომეს ვითარების გარკვევა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თენგიზ კიტოვანთან დაახლოებული რუსი გენერალ-ლეიტენანტი, ოლქის უფროსის მოადგილე ბეპაევი სადღაც გამქრალიყო – როგორც ჩანს, სასწრაფოდ სხვაგან გადაიყვანეს. დაიწყო უსაგნო მსჯელობა და ზოგადი განცხადებების გაკეთება... მოკლედ, წინააღმდეგობის გაწევისა და მტერთან ბრძოლისკენ მოწოდების ნაცვლად საკუთარ უმოქმედობას სხვისი დადანაშაულებით ამართლებდნენ. მხოლოდ ერთს ვერ ხვდებოდნენ, რომ ბრძოლით დაკარგული ბრძოლითვე უნდა დაიბრუნო, ერთიანი ძალებით!

„გაგრა დაეცა და დაიკარგა – კი არ გამქრალა, არც ცას გადაუყლაპავს და არც მიწას შთაუნთქავს ქვესკნელში, ისევ იქ არის, სადაც ყოველთვის იყო. ომში ტერიტორიის დაკარგვა არ ნიშნავს, რომ ტერიტორია აღარ არსებობს", – წერს ოთარ ჭილაძე.

დაკარგვის ფაქტს შეუწინააღმდეგებლად არ უნდა შეეგუო, შეტევას კონტრშეტევა უნდა მოჰყვეს, იერიშს – კონტრიერიში. სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნ-

და იბრძოლო, ვიდრე უკანასკნელ მეომარს პირში სული უდგას და ძალა შესწევს, მხოლოდ ასეა შესაძლებელი დაკარგულის დაბრუნება. უკან დახევით კი არა, სიმამაცითა და თავგანწირვით, ქუდზე კაცის გამოსვლით, სანამ ჯერ კიდევ შეიძლება ფეხის მოკიდება... მაგრამ ქართველებს, სამწუხაროდ, გადამწყვეტი საბედისწერო წუთის შეგრძნება არ გვაქვს.

თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარიყოს, თბილისში განგაშის ზარი არც კი დარეკილა. საკუთარი უნიათობისა და უმოქმედობის გადასაფარად მარცხის სხვისთვის გადაბრალება ყველაზე იოლი და ხელსაყრელი აღმოჩნდა. განტევების ვაცის ძებნას დიდი დრო არ დასჭირვებია, უმალ იპოვეს „მთავარი დამნაშავე" – ყველაფერი გაგრის თავდაცვის სამხედრო ხელმძღვანელს, პოლკოვნიკ მიხეილ მარინაშვილს დაჰბრალდა, თითქოს გაგრის დაცვაზე პასუხისმგებელი მხოლოდ ის ყოფილიყოს. ატყდა დიდი გნიასი. გაგრის დაცემაში დადანაშაულება და ამ ფონზე მის წინააღმდეგ გაკეთებული პოლიტიკური განცხადებები ძვირად დაუჯდა პოლკოვნიკ მარინაშვილს, საკუთარი სამშობლოს ნამდვილ პატრიოტსა და მშობლიური კუთხის ღირსეულ შვილს: თბილისში დაბრუნებული, ინფარქტის ნიშნებით, კარდიოლოგიურ კლინიკაში აღმოჩნდა, ხოლო მოგვიანებით გული გაუსკდა და ასე უდროოდ გაეცალა ამ ულმობელ წუთისოფელს.

ახლა თქვით, ვინ უფრო მეტ სიმპათიას იმსახურებს: კაცი, რომელიც ჩასაძირად განწირულ გემზე ადის, თუ რომელიც ამ გემს სასწრაფოდ ტოვებს?

წარმოიდგინეთ ალყაშემორტყმული კუთხე, რომელიც აღსასრულამდე ბოლო წუთებს ითვლის და განსაჯეთ, ვინ როგორ უნდა მოქცეულიყო და როგორ მოიქცა: სახელმწიფო საბჭო თავისი პრეზიდიუმით, ოფიციალური თუ არაოფიციალური სამხედრო ფორმირებების ხელმძღვანელები, ცალკეული ქვედანაყოფებისა და მოხალისეთა რაზმების მეთაურები. მათგან განსხვავებით, რატომ კისრულობდნენ ერთნი ყველას ნაცვლად მთელ პასუხისმგებლობას, თითქოს გაგრის ბედი მხოლოდ მათ ეხებოდათ?!

ერთნაირად ვბრაზობდი მტერსა და მოყვარეზე, გარეულს ღალატით ომის განახლებაში ვადანაშაულებდი, ხოლო შინაურს, პირიქით, არმონაწილეობის გამო ვძრახავდი – ეს არის თქვენი მშვიდობა?! ამიტომ მოაწერეთ ხელი ხელშეკრულებას, რომ იოლი გამარჯვების გჯეროდათ?! ან სად იყო ახლა ის რიხი და სითამამე, რომელიც მაშინ ჰქონდათ, სოხუმში რომ შერბოდნენ?! კვლავ მახსენდებოდა სიტყვები: შენ თბილისში დარჩი აფხაზეთს ჩვენ მივხედავთო! ქვეცნობიერად თითქოს წინასწარაც ვგრძნობდი, რომ ძველი სცენარი განმეორდებოდა და საბრძოლო მოქმედებების მთელ სიმძიმეს ისევ მე შემატოვებდნენ. ასეც მოხდა, მაგრამ ახლა უკვე ვეღარაფერს შევცვლიდი, უკვე გვიანი იყო.

ვაი, სირცხვილო! – ვიღაც გადამთიელი ბასაევი დათარეშობდა თავისი რაზმით ჩვენს ქვეყანაში ქართველი ხალხის სისხლში ამოვლებული გაშლილი დროშით და მკვიდრ ქართველ მოსახლეობას საკუთარი მიწა-წყლიდან ერეკებოდა. არც თბილისში დამირეკავს და არც არავისთვის მიკითხავს, სიმწრითა და სირცხვილით გაგულისებულმა, ისე მომენტალურად მივიღე, ჩემი რწმენით, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება: სოხუმიდან დამხმარე რაზმით დაუყოვნებლივ გავფრენილიყავი და კაცურად დავხვედროდით მტერს, სამაგიერო მიმეზღო ორპირობისა და ღალატისთვის. ჩემს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას გონებაში ვამართლებდი – უნდა გავფრინდეთ, თუნდაც სიცოცხლის ფასად დამიჯდეს! თუ მწერლები არ გვატყუებენ, სამშობლოსათვის სიკვდილი პატივია! მეომარმა უნდა იბრძოლოს,

როდესაც მისი მიწა-წყალი იწვის, უნდა იხსნას, თუ ვინმე მის ნაბილწვას, შერცხვენას ლამობს, უნდა სცადოს და სირცხვილის ლაქა მოსწმინდოს!

აი, შერცხვენა მაშინ გენახათ, რომ არ გავფრენილიყავით! ხომ არ გგონიათ, დიდხანს ვიფიქრე ან ოდნავ მაინც ვყოყმანობდი?! ერთადერთი ხმა ჩამესმოდა, ხმა სამშობლოს სიყვარულისა, სიმართლისა და თავგანწირვისა! მისი გულისცემა სწრაფ გადაწყვეტილებას ითხოვდა. მაგრამ რატომ იმ ადამიანებს არ გაუჩნდათ ამგვარი განცდა, რომელთაც შეიარაღებული რაზმები ჰყავდათ?! რატომ მათ არ ჩაესმოდათ იგივე ხმა?! როგორც სხვებს, მეც ხომ შემეძლო, არ გავფრენილიყავი, ჩემი მოადგილე, პოლკოვნიკი დათუაშვილი ისედაც ერთი კვირით ადრე მყავდა მივლინებული გაგრაში. მით უმეტეს, რომ ჩემი გაფრენით სოხუმში დისლოცირებული სამხედრო სარდლობის შტაბი ხელმძღვანელის გარეშე რჩებოდა. ისე მოვქცეულიყავი, როგორც წესდებით ეკუთვნის სარდალს – ბრძოლის ველს სამეთაურო პუნქტში, მაგიდაზე გაშლილ რუკაზე დაჰყურებდეს და რადიოკავშირით მართავდეს საბრძოლო მოქმედებებს.

გავა წლები და ზოგი სამხედრო პირი, ექსპერტი, საკუთარი სიმხდალის გადასაფარად და პრაქტიკაში გამოუყენებელი თავისი სამხედრო ცოდნის წარმოსაჩენად წარსულში შენს რისკიან ნაბიჯებს უაპელაციოდ განსჯის და მრავალი წლის შემდეგ, მშვიდობიანობის დროს მედიაში უკადრისად გაგაქილიკებს: სარდალი ბრძოლის ველზე კი არ უნდა დაქროდეს, როგორც ჯარისკაცი, არამედ შტაბში უნდა იჯდეს და იქიდან ხელმძღვანელობდესო.

■

გენო ადამია დილიდან იყო მოსული დავალების მისაღებად. ყველაზე მეტად სწორედ ის მეიმედებოდა, თუმცა გენოს მიერ ახლად ჩამოყალიბებული ბრიგადის ძალები გუმისთაზე გადასასვლელად საკმარისი არ იყო. ერთადერთი გამოსავალი მესახებოდა – მდინარე გუმისთის გასწვრივ ძალების კონცენტრაცია და ეშერისკენ ცეცხლის გახსნა, რათა გაგრის ასაღებად მიმართული ძალების ნაწილი გუმისთისაკენ გადმოესროლათ და დასავლეთით შეტევა შესუსტებულიყო. გენო ადამიას კიდევ ერთი დავალება მივეცი, რომ თუ რუსები გაგრაში გაფრენის საშუალებას არ მოგვცემდნენ და ჩვენს შვეულმფრენს ჩამოაგდებდნენ, ეშერის ლაბორატორია მინასთან გაესწორებინათ.

ერთმანეთს გზაჯვარედინზე დავემშვიდობეთ. იმის იქით ჩვენი გზები იყოფოდა. გენო ადამია გუმისთისკენ მიიჩქაროდა დავალების შესასრულებლად, მე კი ერთგულ თანამებრძოლებთან ერთად – აეროპორტისკენ, ბჭობისა და განსჯის გარეშე, ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად.

აეროდრომზე ქართველმა რადიომეკავშირემ ახალი ამბავი დამახვედრა, რომ „გუდაუთის“ რუსი მეკავშირე გაფრენის ნებას არ გვაძლევდა და საჰაერო სივრცის დარღვევის შემთხვევაში ჩამოგდებით იმუქრებოდა. როდის იქნებოდა შესაძლებელი გაფრენა, იმასაც ვერ ამბობდა. გენერალ-მაიორ სიგუტკინის მოცემული სიტყვის ფასი კაპიკი აღმოჩნდა. ნებართვის მოლოდინში ბიჭები იქვე ტრიალებდნენ. მეკავშირე „გუდაუთასთან“ დაკავშირებას და გაფრენის ნებართვის მოპოვებას ცდილობდა.

– აბა, მიზეზი ჰკითხე! – დავავალე.

– Из-за нарушения трёхстороннего соглашения и обстрела лаборатории полёт запрещается, полёт только после прекращения обстрела

ლაბორატორიის![177] – ურყევი იყო „გუდაუთის“ გადაწყვეტილება, სოხუმის მხრიდან ეშერის ლაბორატორიის დაბომბვას იმიზეზებდა და გვპირდებოდა, რომ ნებართვას ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ მოგვცემდა, ოღონდ უსაფრთხოებისათვის გუდაუთის სამხედრო ბაზიდან 40 კილომეტრის რადიუსის სიშორესა და სამი ათასი მეტრის სიმაღლეზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ისევ ჩამოგდებით იმუქრებოდა.

გინახავთ ასეთი უტიფრობა?! შავზე თეთრს ამბობდნენ. თვითონ გატეხეს სიტყვა, დაარღვიეს ხელშეკრულება, ახლა კი უსინდისოდ ცრუობდნენ. რომელ სამმხრივ ხელშეკრულებას იმოწმებდნენ?! რომელიც მათ მიერ უკვე დარღვეული იყო?! კიდევ აქეთ გვდებდნენ ბრალს და ლაბორატორიის დაბომბვის მიზეზით ჩვენი საკუთარი ქვეყნის საჰაერო სივრცეში ფრენას გვიკრძალავდნენ.

ამ თავხედურმა პასუხმა გონება დამიბნელდა, მეკავშირეს გადამცემი ხელიდან გამოვტაცე და ჩავძახე:

– Трёхстороннее соглашение уже давно нарушено и никакой обстрел по лаборатории не ведётся. Но если вы собьёте вертолёт, артиллеристы с землёй сравняют лабораторию![178] – თან თავს ძლივს ვიკავებდი, რომ უხეშად არაფერი წამომცდენოდა.

– Пусть, ваш командующий сам позвонит генералу Сигуткину![179] – რუსი მეკავშირე გამწვავებას მოერიდა და თავისი ხელმძღვანელისკენ გადამამისამართა. ეჭვი გამიჩნდა, რომ სიგუტკინი სადღაც ახლოს იდგა და მეკავშირის საშუალებით ცდილობდა ვეიძულებინე, მისთვის თხოვნით დამერეკა.

დრო იწელებოდა. მითხარით, თქვენ რას იზამდით და როგორ მოიქცეოდით? ყოველი წამი ძვირფასი იყო. დიდხანს არც მიფიქრია. ორი კვირის წინაც იგივე მოხდა, მაშინაც მაფრთხილებდნენ, ჩამოგაგდებთო, მაგრამ არ ჩამოგვაგდეს. არც მაშინ შემშინებია და არც ამჯერად დავფიქრებულვარ. პასუხს აღარ დავველოდე, წამიერად მივიღე გადაწყვეტილება, რადიოგადამცემი მივაგდე და წავედით-მეთქი, ვთქვი. შვეულმფრენისკენ მიმავალი კამერამომარჯვებულმა ოპერატორმა შემაჩერა და, გაფრენის წინ რამეს ხომ არ იტყოდითო, მკითხა. სიმწრისგან გაუაზრებლად ამოვთქვი: „რასაც ვაფრთხილებდი, ვეუბნებოდი ხელმძღვანელობას, სწორედ ის მოხდა. ვერავის შევასმინე ჩემი სიტყვა, მაგრამ ახლა უკვე გვიანია, მე მაინც გავფრინდები, რადაც არ უნდა დამიჯდეს. რა ხვედრიც არ უნდა მომიმზადოს ბედისწერამ, ცოცხალიც და მკვდარიც, სულერთია, მართალი ვიქნები. დანარჩენი, ვინც ცოცხალი დაბრუნდება, იმან თქვას სათქმელი!“ – და გზა განვაგრძე. ფიქრიც და მზერაც იქით მქონდა მიპყრობილი, დასავლეთისკენ, თითქოს აქედან ვცდილობდი იმის დანახვას, რაც იქ ხდებოდა. ათასი აზრი მიტრიალებდა გონებაში.

---

[177] Из-за нарушения трёхстороннего соглашения и обстрела лаборатории полёт запрещается, полёт только после прекращения обстрела лаборатории (რუს.) – სამმხრივი ხელშეკრულების დარღვევისა და ლაბორატორიის დაბომბვის გამო ფრენა აკრძალულია. ფრენა შესაძლებელია მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ.

[178] Трёхстороннее соглашение уже давно нарушено и никакой обстрел по лаборатории не ведётся Но если вы собьёте вертолёт, артиллеристы с землёй сравняют лабораторию! (რუს.) – სამმხრივი ხელშეკრულება უკვე დიდი ხანია დარღვეულია და არავითარი ლაბორატორიის დაბომბვა არ მიმდინარეობს! მაგრამ თუ შვეულმფრენს ჩამოაგდებთ, არტილერისტები ლაბორატორიას მიწასთან გაასწორებენ!

[179] Пусть, ваш командующий сам позвонит генералу Сигуткину! (რუს.) – თქვენი სარდალი თავად დაუკავშირდეს გენერალ სიგუტკინს!

სარდლობის რეზერვიდან „თეთრარწივულების“ და „ორბელების“ 60-კაციანი ჯგუფი იყო შემორჩენილი, რომელიც გათავხედებული მოწინააღმდეგის შეტევის მოსაგერიებლად ჩემს განკარგულებაში მყავდა.

აეროდრომზე ვიდექი და შეკრებილ „ღიმილის ბიჭებს“[180] ვაკვირდებოდი, როგორ ემზადებოდნენ. თავდაუზოგავად მომყვებოდნენ. უფრო მეტიც, ყოველი მათგანისთვის პატივი იყო ჩემთან ერთად გამოფრენა, ისევე როგორც ჩემთვის იყო პატივი, სწორედ ამ პატრიოტთა ჯგუფის სათავეში ვყოფილიყავი, თითოეული მათგანი ხომ მზად იყო თავისი ქვეყნის ღირსების თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად დასაცავად. ყველას სიკვდილი ან გამარჯვება ჰქონდა გადაწყვეტილი. ლამაზად ჟღერს, მაგრამ ამ სიტყვებში არანაირი პათეტიკა არ არის – ამგვარ ვითარებაში ადამიანი შეიძლება ერთხელ მოსვდეს, ასეთი პატივი მხოლოდ ერთხელ ერგოს. ეს სწორედ ის ერთი შემთხვევა იყო. სამშობლო თავგანწირვას ითხოვდა!

მათ, ვისაც დღეს ენა წაუცდება, სოციალურ ქსელში გველივით სისინებს და გაგრის დაკარგვას მაბრალებს, თვითონ კი იმ დროს სახლში იჯდა, მინდა ვკითხო: სად იყავით მაშინ?! თქვენ რატომ არ გაგიჩნდათ სამშობლოს დაცვის სურვილი?! გაგრა მარტო ჩემი იყო?! ყველა რომ დარაზმულიყო, ვისაც ძალა შესწევდა და იარაღი ჰქონდა, იქნებ გაგრა-ლესულიძე არ დაცემულიყო.

გამარჯვების წინაპირობებს ვერ ვხედავდი, თუმცა არც მარცხთან ვაპირებდი უმოქმედოდ, წინააღმდეგობის გარეშე შეგუებას. განა ვერ ვგრძნობდი, რომ საბედისწერო ნაბიჯს ვდგამდი! ვგრძნობდი, მაგრამ განა რომელიმე სარდალმა ან მხედართმთავარმა წინასწარ იცოდა, თვითონ გაიმარჯვებდა თუ მონინააღმდეგე?! არა, რა თქმა უნდა! ომში წასვლამდე სარდალი უფასს და საკუთარ სიმამაცეს, საკუთარ უნარებს უნდა მიენდოს. გაიმარჯვებს თუ დამარცხდება, გადარჩება თუ დაიღუპება, ეს წინასწარ არავინ იცის.

არც გამარჯვება და არც დამარცხება არ არის ჯარისკაცის სიცოცხლის გარანტია. ნებისმიერი ჯარისკაცი, როგორც გამარჯვებული, ისე დამარცხებული მხარისა, თანაბრად რისკავს და სიცოცხლეს სწირავს. თუ გაუმართლებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში რჩება ცოცხალი. ომში გადადგმული ყოველი ნაბიჯი ხასიათის გამოცდაა, საკუთარი ნებისყოფის შეფასება, მანამდე დაფარული შესაძლებლობის აღმოჩენა და მისი მასშტაბის გაზომვა. როცა სხვა უკან იხევს, ის წინ უნდა წავიდეს, გული არ გაუტყდეს და სულიერად არ დაეცეს.

თავდაუზოგავად და დაუფიქრებლად მივფრინავდით. საკუთარ თავსაც და სხვასაც რწმენას ვუნერგავდი, რომ ჯერ კიდევ შეიძლებოდა გაგრის გადარჩენა, საქმის შემოტრიალება და ჭრილობების მოშუშება. საკუთარ სიმართლესა და მოქმედების სისწორეში დარწმუნებული, მოსალოდნელ შედეგზე არ ვფიქრობდი. რა ჰქვია ამ ნაბიჯს – თავდაუზოგავი, უგუნური, გიჟური ქცევა თუ სამშობლოსათვის თავგანწირვა? თავად განსაჯეთ.

ათასგვარ ფიქრსა და განცდას შვეულმფრენის გუგუნი და ტალღების ხმა ახშობდა. ილუმინატორიდან შევცქეროდი, როგორ ბობოქრობდა ზღვა, ტალღა ტალღას ასკდებოდა, თითქოს ადამიანებზე განაწყენებულნი ჯავრს ერთმანეთზე იყრიდნენ.

---

[180] „ღიმილის ბიჭები“ (1969 წ.) – რეჟისორ რეზო ჩხეიძის მხატვრული ფილმი თბილისელ ბიჭებზე, რომლებმაც 1941 წლის ზაფხულში, სკოლის დამთავრებისთანავე ჩაიცვეს ჯარისკაცის ფარაჯა და მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლში აღმოჩნდნენ.

საღამოვდებოდა, როდესაც ლესელიძეში მცირერიცხოვან რაზმთან ერთად ჩავფრინდით. იმდენი ვიყავით, რამდენსაც ტონა-ნახევარზე გათვლილი Ми-8 დაიტევდა. იქ პოლკოვნიკი პაატა დათუაშვილი გველოდებოდა. ისევ ერთად ვიყავით ორი მეგობარი. 1992 წლის თებერვალში ენგურიდან ფსოუმდე ერთად გვქონდა გზა გავლილი, ფსოუს წყალიც ერთად შევსვით. ყოველთვის უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთისა და ერთურთი გვეიმედებოდა. სტადიონთან უამრავი ხალხი ირეოდა, სრული ქაოსი სუფევდა. დაცარიელებულ შვეულმფრენში, რომელსაც ახალი რაზმები უნდა გადმოესროლა, უიარაღო სამოქალაქო პირები და იარაღიანი მებრძოლები ლამობდნენ ჩასხდომას. ოციოდე კაცი ჩავიყვანე დასახმარებლად, იქიდან კი ორჯერ მეტი ეშურებოდა წასვლას. პოლკოვნიკი მარინაშვილი და სხვა ოფიცრები უშედეგოდ ცდილობდნენ, შვეულმფრენში იარაღიანების ჩასხდომა არ დაეშვათ. ჩემი მეგობარი ავთო ჯორბენაძეც იქვე ტრიალებდა, ლესელიძის სტადიონთან, ახლა უკვე ლესელიძეში ხელმძღვანელობდა სამედიცინო სამსახურს. გივი კვანტალიანი ლტოლვილებს გაგრიდან გახიზვნაში ეხმარებოდა. ყველა სიხარულით გვხვდებოდა, ჩვენს დანახვაზე იმედი მიეცათ.

დრო არ დაგვიკარგავს, პაატასთან ერთად მანქანაში ჩავსხედით და ძველი გაგრისკენ გავეშურეთ. ახალ გაგრაში საბრძოლო ვითარებასა და მოქმედების შედეგს გზადაგზა ვეცნობოდი. არანაირი ინფორმაცია არ გვქონდა გაგრის სამხედრო კომენდანტ ბადრი ფირცხელანსა და მის რაზმზე. დაღუპულებსა და დაკარგულებზე მხოლოდ ჭორები ვრცელდებოდა. ამბობდნენ, ბადრი ფირცხელანმა და ათამდე „მხედრიონელმა“ ძველი გაგრის თავზე, ტყეში მეტეოსადგურს შეაფარეს თავი და შვეულმფრენს ითხოვენ გამოსასვლელადო. აღარც თამაზ მეფარიშვილის ბატალიონისა ისმოდა რამე. თქვეს, ვინც ცოცხალი გადარჩა, ტყვედ აიყვანესო.

ძველ გაგრას მალევე მივადექით. იქ უარესი ვითარება დაგვხვდა. ჩემი თვალით რომ არ მენახა, ალბათ არ დავიჯერებდი. გზის მესამე კილომეტრზე სახელდახელოდ მოწყობილ ბლოკსაგუშაგოს რამდენიმე ჯარისკაცი ამაგრებდა. იმის იქით ქართველებს პოზიციები სრულად დაეტოვებინათ მძიმე ბრძოლების შემდეგ და ქაოსურად იხევდნენ უკან. ცოცხლად გადარჩენილები მცირე ჯგუფებად ან სათითაოდ გამოდიოდნენ სამშვიდობოს ძველი გაგრის მისადგომებთან და აქედან გასაღწევად თვალი ლესელიძისკენ ეჭირათ. მათ შორის დასახმარებლად გაგზავნილი „თეთრი არწივის“ მებრძოლებიც დავინახე. ორდღიანი მძიმე ბრძოლის კვალი მათაც დასტყობოდათ. ერთმანეთს ასწრებდნენ მოყოლას, თუ როგორ ჩაება ბრძოლაში აფხაზების მხრიდან რუსული T-72 ტიპის ტანკი. მდუმარედ ვუსმენდი. ვითარებასა და ადგილმდებარეობას ვეცნობოდი. ვცდილობდი, სახეზე არაფერი დამტყობოდა.

წინ, ასე ერთ კილომეტრში, სანატორიუმ „უკრაინამდე“ აღმართი იყო. იქიდან, თითქოს ხელისგულს დაჰყურებო, ისე იშლებოდა ხელმარცხნივ გაგრის შემოვლითი მაგისტრალი და ხელმარჯვნივ ქალაქში შესასვლელი გზატკეცილი. სასტუმრომდე მისასვლელად ასიოდე მეტრში ხიდი იყო გასავლელი, რომელიც, როგორც მითხრეს, ჩვენს მებრძოლებს უკვე დაენაღმათ.

გონებამ უმალ მშვიდად და რაციონალურად დაიწყო მუშაობა. ერთ ადგილას დგომა არაფერს გვარგებდა, ჯობდა, წინ წავწეულიყავით, კონტროლირებადი არეალი გაგვეფართოებინა და სანატორიუმ „უკრაინის“ გადაღმა ძველ გაგრას დავდგომოდით თავზე. მე და პაატამ სახელდახელოდ გავინაწილეთ ფუნქციები. პაატამ დარღვეული სამხედრო წესრიგის აღდგენა და სოხუმიდან დამხმარე ჯგუფების შემოყვანა ითავა, მე კი ახალჩაყვანილ მებრძოლებს ყველას გასაგონად

შევძახე: „მომყევით!“ – და უშიშრად პირველი გავემართე წინ. სიმამაცე, თუნდაც მოჩვენებითი, გადამდებია. თითქოს ვერ ვხედავდი, რა ხდებოდა, არაფერს ვიმჩნევდი. ამაყად მივაბიჯებდი, გვერდით ოცამდე ერთგული გვარდიელი მომყვებოდა. მოდიოდნენ მხარგაშლილები, თავანუულები, რომ ბევრნი გამოჩენილიყვნენ. მტრის ჯავრი სჭირდათ და ბრძოლა სწყუროდათ. თვალებში ცეცხლი ენთოთ. ეს ყველას დასანახად ხდებოდა, სამაგალითოდ, განგებ, წინასწარი განზრახვით. მეგონა, ბრძოლის ჟინით ანთებული სარდლისა და დამხმარე რაზმის დანახვაზე ჯარი გაცოცხლდებოდა და მტრის ლაშქარს მიესეოდა“. წამიკითხავს, თითქოს ოდესღაც ასე ხდებოდა. მეც მინდოდა, ბიჭებში ბრძოლის ჟინი გამეცოცხლებინა, პირადი მაგალითით სიმამაცისა და თავგანწირვის ცეცხლი დამენთო. ეჰ, ნეტავი, მართლა ასე მომხდარიყო!..

რამდენიმე ათეულ მებრძოლს, რომლებიც უკან იხევდნენ, გვერდი ავუარეთ, სიტყვით გავამხნევეთ და ნაძალადევად გავუღიმეთ კიდეც. ჩვენს დანახვაზე იმედი მიეცათ და ჩამქრალ თვალებში ნაპერწკალი გაუნდათ, მაგრამ იმ დღეს ისტორიული სასწაული არ მომხდარა. არც ჯარი გაცოცხლდა და არც არავის მისევია, უფრო სწორად, სადღა იყო ჯარი!

ახლა უკვე აღარ ვჩქარობდით, ნელ-ნელა, ფრთხილად მივუყვებოდით გზას. რაც უფრო ღრმად შევდიოდით, მით უფრო მკაფიოდ ისმოდა გაგრიდან სროლისა და აფეთქების ხმა. მოსაღამოვდა. ასე მეგონა, მზე ჩასვლას აყოვნებდა. იმედს ვიტოვებდი, რომ დაღამებამდე სასტუმროს აღმოსავლეთ ფერდობებზე შეღწევასა და უკან დაბრუნებას მოვასწრებდით. ცენტრალური მაგისტრალიდან მარცხნივ, ასიოდე მეტრით მოშორებულ სანატორიუმამდე მისასვლელ აღმართს ავუყევით, შემდეგ მისი ტერიტორია მოკლე გადარბენებით გადავკვეთეთ და სასტუმროს დასავლეთი ფერდობებიდან ძველ გაგრას დავადექით თავზე.

ახლა უკვე ძველი გაგრის მისადგომებიდან დავცქეროდით ახალი გაგრის სასწაულებრივ სილამაზეს და სასტიკი სინამდვილისთვის თვალის გასწორება გვიჭირდა. ქალაქში მწვანე ლენტით თავწაკრული ბოევიკები დათარეშობდნენ, იქ ომი უკვე დასრულებული იყო. ჩვენ მხოლოდ სიკვდილის ზეიმს მივუსწარით. აფხაზი, ჩეჩენი, რუსი და ათასი სხვა ჯურის მომხდური გაგრაში წმენდას ასრულებდა. ცოცხლად გადარჩენილ უკანასკნელ ქართველებს სასტიკად უსწორდებოდნენ. განსაკუთრებული სისასტიკით აფხაზები გამოირჩეოდნენ. მოგვიანებით ტყვედ ჩავარდნილი რუსი ოფიცერი, მასთან ერთად, მისი ყოფილი სპეცდანიშნულების რაზმის ნევრები, იმხანად დაქირავებული მებრძოლები და უშუალო თვითმხილველები, თვითონაც განცვიფრებას ვერ მალავდნენ აფხაზების მიერ გამოჩენილი სისასტიკის გამო. ხოცავდნენ ყველას, ვისაც კი ცოცხალს წაასწრებდნენ და ნვავდნენ ყველაფერს, რასაც სიცოცხლის ნიშანწყალი ეტყობოდა. ნაჯაჭგნი და ნაწამები სხეულები ქუჩაში უპატრონოდ ეყარა და იხრწნებოდა. სიმწრით შევცქეროდით, როგორ ხოცავდნენ, ნვავდნენ და აოხრებდნენ ყველაფერს და შველა არ შეგვეძლო. ჩვენ თვალწინ ქართველთა სისხლით იწერებოდა ახალი ქართული რეკვიემი.

სისასტიკისა და ცხედრების ნაბილწვის თავზარდამცემმა ამბავმა თბილისამდე ჩააღწია. ისიც თქვეს, გაგრის სტადიონზე ჩენენი, უფრო სწორად, ჩრდილოკავკასიელი ბოევიკები ქართველთა მოკვეთილი თავებით ფეხბურთს თამაშობდნენო. ეს დაუჯერებელი ამბავი უცებ გავრცელდა. გაზეთებშიც იწერებოდა, თითქოს თვითმხილველებიც არსებობდნენ. არავინ იცის, მართალი იყო თუ ჭორი. ძნელი დასაჯერებელია... ქართველთა სისასტიკის შესახებაც ხომ ბევრი უსაფუძვლო ჭორი შეითხზა.

ამასობაში ფერდობს იქითა მაგისტრალის მხრიდან ხმაური შემოგვესმა. ადგილმდებარეობის არცოდნის გამო ვითარებაში გარკვევას გარინდებულები ვცდილობდით. თითქოს ხმა თანდათან ახლოვდებოდა. რამდენიმე წუთში სიღრმიდან მოწინააღმდეგის 50-კაციანი ქვეითი რაზმი ჯავშანტექნიკითა და ერთი ტანკით სანატორიუმ „უკრაინას“ მოადგა და პოზიციაც იქვე დაიკავა. მთის სიღრმეში შესულები გზის გასწვრივ განლაგებული მოწინააღმდეგის უკან აღმოვჩნდით, ჩვენიანებისგან მოწყვეტილნი. მოწინააღმდეგესთან სულ ახლოს ვიყავით, რამდენიმე ათეული მეტრი თუ გვაშორებდა. ჩვენ ფერდობს იქით, მარცხნივ, შემოვლითი გზის თავზე, მანდიშკისაკენ ვიდექით, ისინი კი – ფერდობს აქეთ, ქალაქიდან ამოსასვლელი გზის თავზე, ზღვის ნაპირისაკენ.

მზე ჩადიოდა, ვფრთხილობდით, რადგან მოწინააღმდეგის ხმა გარკვევით გვესმოდა. სხვა გზა არ იყო, ის ღამე იქ უნდა გაგვეთია, ფხიზლად ვყოფილიყავით და გათენებას დავლოდებოდით, რომ ახალ ბრძოლაში გვეცადა ბედი.

ღამე ღია ცის ქვეშ გავათენეთ. მოწინააღმდეგის ლაპარაკს ვუსმენდით და მათ სუნთქვას ვგრძნობდით. რომელ ენას არ გაიგონებდით: აფხაზურს ხშირად ენაცვლებოდა ჩეჩნური, რუსული თუ სხვა კავკასიური ენები. დაძაბულობა უკიდურეს ზღვარს აღწევდა. თითქოს ბუნებაც ჩვენი მოწინააღმდეგე ყოფილიყოს, ცა მოიქუფრა, ჭექა-ქუხილი გაისმა და ჯერ სეტყვა წამოვიდა, მერე კი ისეთი წვიმა მოჰყვა, წარღვნა გეგონებოდა. კაკლისოდენა ყინულის ნატეხები, როგორც ჭურვის ნამსხვრევები, მიწას საშინელი ძალით ენარცხებოდა. იმ ღამეს დიდხანს იწვიმა, მთვარე საერთოდ არ გამოჩენილა, წყვდიადი სუფევდა, კაცი თვალთან მიტანილ თითს ვერ დაინახავდა. მოწინააღმდეგისგან ასიოდე ნაბიჯში „ორბელები“ – მამუკა ნავდარაშვილი, გელა დოლიძე, სანდრო დოღონაძე, კოტე ანდრიაძე, ზურა ხარძიანი, გივი ბედოიძე, თემურ კილაძე, გოგა ვარდანაშვილი, ალეკო ბაძგალაძე, დავით ბეჟაშვილი და „არწიველები“ – ავთო ხუბულური, კობა ამელიჩკინი, რამაზ დავითაშვილი, გია გოგსაძე, გია ციბაძე, იაგო აბრამიშვილი, გია თურმანიძე, თამაზ ქავთარაძე, ირაკლი ოძელაშვილი და გოჩა იმერლიშვილი, ხეების ფოთლებს შეფარებულნი, თავიდან ფეხებამდე გალუმპულები, გასათბობად ერთმანეთს ვეკვროდით და სამშვიდობოზე გამოსასვლელად რიჟრაჟს ველოდებოდით.

შტაბის წევრები ლესელიძის სტადიონს ღამით შვეულმფრენების მისაღებად ამზადებდნენ. ოთხივე მხრიდან მშრალ ფიჩხს უწყობდნენ, ცეცხლს უკიდებდნენ და ისეთ კოცონს აგიზგიზებდნენ, ჭიაკოკონობა გეგონებოდათ. იმ ღამით, უკუნეთ სიბნელეში Ми-8 ტიპის სატრანსპორტო შვეულმფრენით მამაცმა ჯიში მაისურაძემ სოხუმიდან კიდევ ორჯერ ჩამოიყვანა რაზმის დანარჩენი წევრები ლესელიძის სტადიონზე აგიზგიზებული ცეცხლის შუქზე.

იმ დროს, როდესაც ახალი რაზმები ბრძოლის ველისკენ მოეშურებოდნენ, პოლკოვნიკ მარინაშვილის შტაბის დაუკითხავად და ბრძანებისა თუ თხოვნის მიუხედავად, შვეულმფრენს უკანა გზაზე იმდენივე მებრძოლი მიჰყვებოდა.

გვიან ღამით ჩამოფრენილ თანამებრძოლებს სარდლისა და მისი მცირერიცხოვანი რაზმის ტყეში უცხო ადგილას გაუჩინარების თავზარდამცემი ამბავი დახვდათ. გაგრა-ლესელიძის გადასარჩენად შემორჩენილ უკანასკნელ მებრძოლებს ახალი თავსატეხი, ხოლო ჩემს ძმასა და ახლობლებს ახალი სანერვიულო გაუჩნდათ. სიღრმეში შესულ თავზეხელაღებულთა შესახებ არაფერი იცოდნენ, ტყიდან კი ჩამიჩუმი არ ისმოდა. საშინლად დაძაბულებმა მთელი ღამე სანატორიუმის მისადგომებთან, უკანასკნელ ქართულ საგუშაგოსთან გაატარეს. სულ რაღაც

500 მეტრში ძმებს შორის, თავდაცვით ზღუდეზე სხვადასხვა ჯურის ჩრდილოკავკასიელი ბოევიკები ჩამდგარიყვნენ. მოწინააღმდეგის სიღრმეში ჩაკარგული ძმის გამოსაყვანად მიმავალ ძმას თანამებრძოლები ვერ აკავებდნენ, თუმცა სიყვარულს, სიმამაცესა და თავგანწირვას წინ წყვდიადი, კოკისპირული წვიმა და ქარიშხალი კედელივით ეღობებოდა.

ასეა დღემდე – ორიდან სამი ოქტომბრის ღამეს ყოველთვის გადაუღებლად წვიმს. უკვე მერამდენე წელია, თითქოს ცას აღთქმა აქვს მიცემული, წარსულს მახსენებს.

გამთენიისას „არწიველებმა“ და „ორბელებმა“ ტყიდან სამშვიდობოს გამოსულები, თავით-ფეხებამდე გალუმპულები და მოშივებულები ლესელიძის ერთ-ერთ პანსიონატში მიგვიყვანეს.

იმ დღეს რა დამავიწყებს?! ჩემი ძმა თავს დამტრიალებდა და გვერდიდან არ მშორდებოდა. ჯერ გამოსაცვლელი ტანსაცმელი მიშოვა, ტალახში ამოსვრილი სამხედრო ფორმა თვითონ გამირეცხა. ისედაც ნესტიან ლესელიძეში დრო რომ არ დაეკარგა, სველი ფორმა გასაშრობად გაკიდა, საუზმედ ჰუმანიტარული პაკეტების წვნიანი მომიმზადა. აღარ იცოდა, როგორ ეზრუნა ჩემზე.

■

ოპერატიული ვითარება 1992 წლის 3 ოქტომბრის დილისათვის ნათელი იყო.

ახლა ცოტა სამხედრო ხელოვნებაზე ვისაუბროთ. მოგიყვებით, თავდაცვისათვის რა ნაბიჯები გადაიდგა და თავად განსაჯეთ, იყო თუ არა უკეთესი გამოსავალი.

ჯერ კიდევ წინა დღით, პირველ ოქტომბერს დაწყებული შეტევა 2-ში საღამოსთვის დასრულდა და მოწინააღმდეგემ გაგრა სრულად დაიკავა, 3 ოქტომბრის დილიდან კი ქალაქს წმენდდა და ძალთა გადაჯგუფებას ახდენდა. მეწინავე ნაწილები უკვე ძველი გაგრის მისადგომებთან, სანატორიუმ „უკრაინის“ დასავლეთით იყვნენ გასულები. ძნელი არ იყო იმის განჭვრეტა, რომ აფხაზები მხოლოდ გაგრის აღებით არ დაკმაყოფილდებოდნენ. მათი შემდგომი ამოცანა მუხანათურად მიღწეული უპირატესობის განვითარება და შეიარაღებული რაზმებისა და მშვიდობიანი მოსახლეობისგან ლესელიძე-განთიადის გაწმენდა იქნებოდა, ხოლო საბოლოო სტრატეგიული მიზანი – რუსეთის საზღვრამდე გასვლა.

ჩვენი მთავარი ამოცანა იყო მოწინააღმდეგის შეკავება ერთადერთ პლაცდარმზე დაბა ლესელიძიდან სანატორიუმ „უკრაინამდე“, რომელსაც ქართველი ჯარისკაცები ჯერ კიდევ აკონტროლებდნენ, უფრო სწორად, იმ ფართობის შენარჩუნება, რომელსაც აფხაზები ჯერ არ დაუფლებოდნენ. საჭირო იყო, პლაცდარმზე დამატებითი რაზმების გადმოსროლამდე, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, ჩრდილოეთიდან მთებზე გადმოსასვლელი გზები და ბილიკები ჩაგვეკეტა და პირველ ზღუდეებზე მოწინააღმდეგის იერიში შეგვეკავებინა, შემდეგ კი კონტრიერიშზე გადასასვლელად ხელსაყრელი პირობები შეგვექმნა. „უკრაინიდან“ დაბა განთიადამდე ზღვის სანაპიროს დაახლოებით 17-18-კილომეტრიანი ვიწრო ზოლია, ჩრდილოეთიდან კი ხშირი ტყით დაფარული ციცაბო ფერდობი ესაზღვრება. ზღვის ნაპირი მთის ციცაბო ფერდობებიდან 100-200 მეტრამდეა დაშორებული, თუმცა არსებობდა სანაპიროდან მთებში ასასვლელი გზები და ბილიკები. ასე იყო დაბა ჩიგრიფშისა და სოფლების – გრებეშოკის, ორეხოვოს, ხოლოდნაია-რეჩკის მიმართულებით.

დაბა განთიადიდან მდინარე ფსოუმდე ზღვის სანაპირო ზოლი უფრო ფართოა და მჭიდროდ დასახლებული. დაბა ჩიგრიფშიდან დიუკოვოხუს ქედზე გამავალი გზა მდინარე გაგრიფშის გასწვრივ, გაგრის მთის გავლით საბოლოოდ ქალაქ გაგრაში შედის. სანატორიუმ „უკრაინიდან“ დაბა განთიადამდე ორი-სამი ადგილი იყო, სადაც შეიძლებოდა საზღვაო დესანტის გადმოსხმა, მათ შორის, მდინარე ხოლოდნაია-რეჩკის ზღვის შესართავთან, აგრეთვე, განთიადიდან ლესელიძემდე, სანაპირო ზოლის მისადგომთან.

ვიცოდით, რომ მოწინააღმდეგეს 800-დან 1200-მდე მებრძოლის გამოყვანა შეეძლო. როგორც გაგრის აღებამ გვაჩვენა, იერიშისას ქვეითი ჯგუფების გასაძლიერებლად აუცილებლად გამოიყენებდნენ ახლად გამოჩენილ T-72 ტიპის რამდენიმე ტანკს, ასევე, ჯავშანტრანსპორტიორებს. მთებსა და ფერდობებზე შეტევას აუცილებლად დაეხმარებოდნენ ნაღმსატყორცნებით. რაც შეეხება ავიაციას, იმედი გვქონდა, რუსები იმდენად მაინც არ გათავხედდებოდნენ, რომ ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლაში დაუფარავად ჩართულიყვნენ. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ მოწინააღმდეგის განკარგულებაში იყო აფხაზთა 300-კაციანი ბატალიონი და ცალკეული ჯგუფები, ჩეჩნების 200-კაციანი რაზმი ბასაევის მეთაურობით, ჩრდილოკავკასიელთა შერეული და დონის კაზაკთა რაზმები 300-300 მებრძოლით, ასევე, რუსეთის კადრისა და თადარიგის ოფიცერთა დაქირავებული 150-კაციანი ჯგუფი. ჩვენ კი იმ დროს იმ რაიონში გვყავდა „თეთრი არწივისა“ და „ორბის“ ის 60-კაციანი ჯგუფი, რომელიც მე ჩავიყვანე. გაგრის ბრძოლებგამოვლილი ქვედანაყოფებიდან დარჩენილი იყო: „თეთრი არწივის“ 28 მებრძოლი; „შავი ავაზას“ – 12; 101-ე ბატალიონის – 10, 102-ე ბატალიონის – 10; გაგრის „მხედრიონის“ – 20; ლესელიძის ბატალიონის – 50; ადგილობრივი მოხალისეები – 30; „იმედის“ – 10; პოლკოვნიკ დათუაშვილის და პოლკოვნიკ მარინაშვილის შტაბის 20-კაციანი ჯგუფი და გივი კვანტალიანის პოლიციის აკადემიის 30-მდე კურსანტი, ადგილობრივები – დიმა და ლაშა კაკუბავები რამდენიმე მოხალისით. ასევე, 4 ოქტომბრისათვის რეზერვის გადმოსროლას ველოდით. გაგრის ორდღიანი სასტიკი ბრძოლა მის მონაწილე ზოგ მებრძოლს მორალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც დასტყობოდა. საჭირო იყო სხვებისგან მათი სასწრაფოდ იზოლირება, რათა უკან დახეულთა განწყობა ახალჩამოსულებს არ გადასცემოდათ. თანაც იმედი მქონდა, რომ ერთდღიანი დასვენება მათ საბრძოლო შემართებასა და ბრძოლის ჟინს ისევ გაუღვიძებდა. მხნეობისა და სიმამაცის შესანარჩუნებლად და განსაცდელისაგან სამშობლოს დასახსნელად საჭირო იყო: თითოეული მებრძოლის გადათვლა; ახალ რაზმებად, ათეულებად და ოცეულებად ფორმირება; საბრძოლო შემართებისა და სულისკვეთების ამაღლება; პატრიოტიზმისა და რწმენის გაღვივება. მაგრამ როგორც არ უნდა მეცადა, მოჩვენებითი სიმშვიდე შემენარჩუნებინა, სახეზე მაინც მეტყობოდა წინა ღამის კვალი და ავი მომავლის მოლოდინით გამოწვეული მღელვარება.

გარე სამყაროსა და ქართულ სახელმწიფოსთან დამაკავშირებელ ერთადერთ საშუალებად ფოთი-ლესელიძის საზღვაო სატრანსპორტო კორიდორი რჩებოდა, რადგან 3 ოქტომბრის დილიდან გუდაუთის სამხედრო-საჰაერო ჯარების ხელმძღვანელობის ბრძანებით საჰაერო სივრცე ისევ ჩაიკეტა. როგორც ტელეფონით ამიხსნეს, ომის ესკალაციის თავიდან ასაცილებლად ფრენა აიკრძალა და ყოველმხრივ ალყაშემორტყმულ რკალში ჩაგვტოვეს. თბილისში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობა მხრებს იჩეჩავდა და პასუხისმგებლობას იხსნიდა. ამბობდნენ, რომ გუდაუთაში განლაგებული სადესანტო ჯარი სამხედრო შტაბს არ

ემორჩილებოდა და ხელს მოსკოვში თავდაცვის სამინისტროსკენ იშვერდნენ. დილით პირველმა თენგიზ კიტოვანმა დარეკა, ვითარება გამომკითხა, მხნეობა გვისურვა და მეორე დღისათვის ხალხის გამოგზავნას დაგვპირდა. 12 საათისთვის ტელეფონით ჯაბა იოსელიანმაც დარეკა, ისიც დაგვპირდა, რომ მეორე დღისათვის „მხედრიონის“ რაზმები წამოვიდოდნენ. პოლკოვნიკი დათუაშვილი თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებს ელაპარაკა. ისინიც იმედს იძლეოდნენ, რომ დამხმარე რაზმები მალე გამოემგზავრებოდნენ. მოკლედ, მობილიზაციისთვის ყველა ერთ დღეს ითხოვდა და ხალხის გამოგზავნის პირობას გვაძლევდა. ახლა უფრო იმედიანად ვიყავით.

სატელეფონო საუბრების შემდეგ იმ დღეს დამხმარე რაზმების ჩამოსვლას აღარც ველოდებოდით, თუმცა მეორე დღის იმედით გული დავიმშვიდეთ. მაინც გულუბრყვილოდ გვჯეროდა, რომ ხალხი მარცხს ასე ადვილად არ შეურიგდებოდა. გვეგონა, რომ დიდი და პატარა ფეხზე დადგებოდა, ხელში იარაღს აიღებდა და სრულიად საქართველო, ერთ მუშტად შეკრული, დაკარგულის დაბრუნებას ბრძოლით შეეცდებოდა.

ყველაზე მეტად ის მახარებდა და მაიმედებდა, რომ უახლოესი ადამიანი, ავთო ჯორბენაძე იქ იყო, როგორც ყოველთვის, ექიმთა ბრიგადასთან ერთად.

მთელი ის დღე წინა ხაზის ახლოს სიმაღლეების დაკავებისათვის მანევრირებას, სიღრმეში შემოსული მოწინააღმდეგის პატარა ჯგუფების აღმოჩენას და ჩვენი ტერიტორიიდან მათ განდევნას მოვანდომეთ. ადგილმდებარეობის შესასწავლად, ბილიკების დასაზვერად და მოწინააღმდეგის მცირე ძალების თარეშის აღსაკვეთად ჩვენი მეომრები ტყეში იყვნენ შესულები. „იმედელთა“ რაზმი, რომელსაც სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძე ახლდა, მოულოდნელად ტყეში უცნობ ჯგუფს გადაეყარა. დაბნეულებმა ჰკითხეს: „ქართველები ხართ?“ ერთ-ერთი ადგილობრივი მყისვე მიხვდა, რომ მოწინააღმდეგის წინაშე იდგნენ... საბედნიეროდ, ნოდარ ნათაძემ მოწინააღმდეგეს ცეცხლის გახსნა ერთი წამით დაასწრო და, სავარაუდოდ, მიზანშიც მოარტყა... ორივე მხარემ სროლით დაიხია უკან. დაბრუნებული „იმედელები“ აღფრთოვანებით ჰყვებოდნენ ნოდარ ნათაძის სიმამაცესა და მოხერხებულობაზე.

საღამოვდებოდა. ისეთ სიმშვიდეს მოეცვა იქაურობა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. წინა ღამის ბრძოლის ნიშნები არც კი შეიმჩნეოდა.

იმ ღამეს ვაჟა-ფშაველას ლექსის „ხევსური ბერდია“ (1906 წ.) სტრიქონები გამახსენდა:

„რას უცდით, ახალ-უხლებო,
ცხენებს არ ჰკაზმავთ რად არა?
ომ-ლაშქრობაზედ მყვირალი,
რად იმალება სადარა?

...

ვაჰ, დედას მტრისას, რას ელით?
ხმლებს ჰკითხეთ, გაისარჯენით;
თავის ადგილის გულისად
მოკვდით და დაისაჯენით!

...
ნუ სჩადით უგვან საქმესა,
კისრად ნუ იღებთ სირცხვილსა:
ბიჭი ის არი, საომრად
ვინაც დაიწყებს ბიდილსა, –
ვინც გამწარებულს სიცოცხლეს
დაამჯობინებს სიკვდილსა.

რას ვაქნევ აბა, თქვენს გაზრდას,
თქვენს ქორწილებში სირბილსა? –
ქეიფსა, ლხინ-გახარებას
და დიაცებში სიცილსა,
თუკი არ მაჰხდით თავსა და
თავის ქვეყანას სირცხვილსა?!.
ნუ იზამთ უგვან საქმესა,
მტერს დაჰხვდით, გაისარჯენით,
წესია: მამულისადა
მოკვდით და დაიხარჯენით!“

გულდამშვიდებულმა დავიძინე.

■

მეორე დღეს, 4 ოქტომბერს დილიდანვე ველოდით გვარდიის, თავდაცვის სამინისტროსა და „მხედრიონის“ რაზმების ჩამოსვლას, როგორც წინა დღით დამპირდნენ, მაგრამ არავინ ჩანდა. კიდევ ერთხელ დავურეკე თბილისში ჯერ თენგიზ კიტოვანს, მერე ჯაბა იოსელიანს. კიდევ ერთხელ მოვისმინე მათი შეგულიანება და დაპირება მივიღე. დღის 12 საათისათვის ლესელიძეში ბარჟამ სამხედრო პოლიციის 90-კაციანი რაზმი ჩამოიყვანა ზურა ასლანოვის მეთაურობით. მებრძოლებს გული მოეცათ, ხალხი დაიძრა და სხვებიც მალე წამოვლენო, თუმცა 4 ოქტომბერს სხვა არავინ ჩამოსულა.

დღის პირველი საათი იქნებოდა, როდესაც ჯიმი მაისურაძე, დიდი რისკის ფასად, ლესელიძეში ჩამოფრინდა Ми-8 შვეულმფრენით და სტადიონზე დაჯდა. ჯიმიმ საბრძოლო მასალა, ტყვია-წამალი და სურსათ-სანოვაგე ჩამოიტანა. ერთ ყუთში ტყვიებისა და ყუმბარების ნაცვლად მშრალი კვების კონსერვები აღმოჩნდა. იცოცხლეთ, ამბავი ატყდა! უცებ გავარდა ხმა და თბილისამდე ჩააღწია. გაზეთებში სტატიები დაიბეჭდა, ტყვია-წამლის ნაცვლად კონსერვებს უგზავნიანო, ლამის მარცხის მიზეზად აქციეს და გაგრის დაცემა ამას მიაწერეს. თავდაცვის სამინისტროს საყვედურობდნენ, უფრო სწორად, ამასაც პოლკოვნიკ მარინაშვილის შტაბს აბრალებდნენ.

ცოტა ხანში შტაბში სირბილისგან აქოშინებული გვარდიელი მოვარდა და შემაშფოთებელი ამბავი გვაცნობა: ასაფრენი მოედნის გარშემო იარაღიანები ტრიალებენ, ეტყობა, წასასვლელად ემზადებიანო. ამის დაშვება არავითარ შემთხვევა-

ში არ შეიძლებოდა, პლაცდარმიდან ერთი მებრძოლის წასვლაც კი კიდევ უფრო გააღრმავებდა პირად შემადგენლობაში გაჩენილ გულგატეხილობას, მით უფრო, რომ ისედაც ცოტანი ვიყავით. დრო არ დამიკარგავს, გია ციბაძის თანხლებით, რომელიც თანამებრძოლებში მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა, პირდაპირ ასაფრენ მოედანზე მივიჭერი და სხვებთან ერთად წასასვლელად გამზადებულ ორ „არწიველს“ წავადექი თავზე. სახეზე შეეტყოთ, რომ ჩემს დანახვას ერჩივნათ, ფეხქვეშ მინა გასკდომოდათ. ბრძანებით არა, ხვეწნა-მუდარით მივმართე, ვანა-მუსებდი და დარჩენას ვთხოვდი. სახეაწითლებულები და აფორიაქებულები თავს იმართლებდნენ და გაფრენის მცდელობას უარყოფდნენ. დანარჩენებიც იმავეს იმეორებდნენ. ამის შემდეგ სხვა გზა აღარ ჰქონდათ, მორჩილად გამომყვნენ, მაგრამ ფეხები უკან რჩებოდათ. ცდილობდნენ, არაფერი შემჩნეოდათ, თუმცა სისუსტე და გულგატეხილობა სახეზე ეწერათ. ასაფრენ მოედანზე სხვა იარაღიანებიც იყვნენ, ჩემთვის უცნობები, ერთი სული ჰქონდათ, როდის გაფრინდებოდა შვეულმფრენი, რომ იქაურობას გასცლოდნენ. ეჭვი მაქვს, რომ ზოგს „წამლის ლომკა“ ტანჯავდა. ეტყობა, ნარკოტიკს ვერ შოულობდნენ და ამიტომ ლამობდნენ წასვლას.

იმ შვეულმფრენს ჩემი დაჟინებული თხოვნით ნოდარ ნათაძე გაჰყვა. თავიდან სასტიკ უარზე იდგა, მაგრამ სამხედრო შტაბმა დიდი ძალისხმევის შედეგად მოახერხა, დაერწმუნებინა იგი, რომ თბილისში პოლიტიკური განცხადებებით, საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე რუსეთის მონაწილეობის მხილებით და ჯარის აჩქარებით უფრო მეტს გააკეთებდა, ვიდრე ავტომატით ხელში ბრძოლის ველზე. იქნებ მისთვის მაინც მოესმინათ და დაეჯერებინათ, რომ რუსეთი დაუფარავად ერეოდა ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში, დაუყოვნებლივ განგაშის ზარი ჩამოეკრათ, დამხმარე ჯგუფები დროულად შეეკრიბათ და გამოეგზავნათ, თორემ არსებული ძალებით დიდხანს ვეღარ გავძლებდით. წასვლის წინ ნოდარ ნათაძე მხურვალედ დაგვემშვიდობა და კარგ განწყობაზე დაგვტოვა. რამდენიმე შეიარაღებულმა პირმა მაინც მოახერხა და იმ შვეულმფრენს გაჰყვა.

დილიდან შტაბში პოლკოვნიკ დათუაშვილთან, პოლკოვნიკ მარინაშვილთან და გაგრის შტაბის რამდენიმე სხვა ოფიცერთან ერთად რუკას დავცქეროდი, მტრის მოქმედების მოსალოდნელ გეგმებზე ვმსჯელობდით. ვვარაუდობდით, რომ მოწინააღმდეგე გაგრა-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის გასწვრივ განლაგებულ ჩვენს თავდაცვის ზღუდეებს საარტილერიო და ნაღმსატყორცნების მხარდაჭერით დაარტყამდა, მანევრირებისთვის ჩრდილოეთის მთებისა და ფერდობების შემოვლით ბილიკებს გამოიყენებდა, ხოლო ზღვის სანაპიროს ვიწრო ზოლში დაუცველი ადგილების მოძებნას შეეცდებოდა, რომ დესანტი გადმოესხა.

ჩვენი უმთავრესი ამოცანა იყო, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, ძველი გაგრის მისადგომებთან მომზადებულ თავდაცვით ზღუდეებზე იერიში მოგვეგერიებინა, სანამ თბილისსა და სხვა ქალაქებში რეზერვს მოაგროვებდნენ და ბლოკირებულ პლაცდარმზე გადმოისროდნენ. სანატორიუმ „უკრაინის“ მისადგომებთან წინა ხაზის დაცვა ჩემს განკარგულებაში მყოფ ერთადერთ კადრის ოფიცერს, არტილერისტ ანდრო კალატოზიშვილს ებარა. მას ევალებოდა დროებით, თუნდაც რამდენიმე საათით, მოწინააღმდეგის შეფერხება. გაგრის ბრძოლების შემდეგ მძიმე ტექნიკა და შეიარაღება, პრაქტიკულად, აღარ გაგვაჩნდა. 85-მმ-იანი Д-44 ტიპის ერთადერთი ზარბაზანი, რომელიც ანდროს განკარგულებაში გადავიდა, გზაზე, სანატორიუმ „უკრაინისკენ“ პირდაპირი დამიზნებით იყო დაყენებული ტანკის წინსვლის შესაჩერებლად.

გზის გასწვრივ, აგრეთვე, მთის ფერდობებსა და სიმაღლეებზე მომზადებულ თავდაცვის ზღუდეებსა და ბლოკსაგუშაგოებზე მებრძოლები ერთმანეთისგან დაშორებით, მცირერიცხოვან ჯგუფებად იყვნენ განლაგებულნი, რათა ნაღმსატყორცნებიდან ნასროლი ჭურვებისგან გამოწვეული შესაძლო მსხვერპლი მაქსიმალურად შეგვემცირებინა.

უარეს შემთხვევაში დასაშვებად მიმაჩნდა წინა ხაზზე გამაგრებული თავდაცვის ზღუდეების დათმობა და რამდენიმე კილომეტრით უკან დახევა ეტაპობრივად, მეორე ან თუნდაც მესამე ზღუდემდე. მთავარი იყო, ლესელიძე რაც შეიძლება დიდხანს შეგვენარჩუნებინა, რათა ნავსადგურით ბრძოლის ველზე მეტი და მეტი ძალა შემოგვეყვანა. არსებული ძალებით კი ტაქტიკური ჯგუფის შექმნა და სამი კილომეტრით ჩრდილოეთით, მთაში, ლოდინის რაიონში[181] გაყვანა გადაწყდა, რომელიც გაგრიდან მომავალი გზით მოწინააღმდეგის მიერ პირველი და მომდევნო ზღუდის გარღვევისა და სიღრმეში შემოღწევის შემთხვევაში მას ზურგში უნდა დასცემოდა. კიდევ უფრო ჩრდილოეთით, სიღრმეში, ლესელიძელებისგან შემდგარი 50-კაციანი რაზმი გია მორგოშიას მეთაურობით გადმოსასვლელ გზებს დარაჯობდა.

გრებეშოკის მთის ძირას, დესანტირებისთვის ხელსაყრელ ადგილას, სადაც ხევი ზღვას უერთდება, გაგრის შტაბიდან შემორჩენილი ოფიცრებისა და ზემდეგებისგან დაკომპლექტებული რაზმი იყო განლაგებული. მათ სოფელ გრებეშოკთან სანაპირო ზოლის დაცვა ევალებოდათ. ადგილობრივი „მხედრიონის“ ოცეული კი, როგორც იქაურობის უკეთესად მცოდნე ჯგუფი, საგუშაგოდ მდინარე ხოლოდნაიარეჩკის ზღვის შესართავთან, ხიდზე განვალაგეთ.

პოლიციის კურსანტთა რაზმს და ადგილობრივ მილიციელებს დაბა ლესელიძეში საკომენდანტო ფუნქცია ჰქონდათ და სანაპირო ზოლს იცავდნენ. რაც შეეხება წინა დღით ჩამოსულ სამხედრო პოლიციის 90-კაციან რაზმს, ლესელიძეში რეზერვში იყვნენ დატოვებულები.

დღის 4 საათისათვის პაატა დათუაშვილთან ერთად გრებეშოკის ძირში, ზღვის სანაპიროსთან მდებარე სანატორიუმში დაბანაკებული „არწიველებისა“ და „ორბელებისთვის“ დავალების მისაცემად მივედი. ნესტიან, ცივ კედლებში გამოძინებულები, შენობის წინ თამბაქოს მოსაწევად შეკრებილები, ცეცხლთან თბებოდნენ და ლაპარაკობდნენ, თბილისში დარჩენილ ბრძოლისუნარიან მამაკაცებს სამშობლოს სიყვარულს უწუნებდნენ, ხოლო ხელმძღვანელობისგან მეტ ყურადღებას ითხოვდნენ.

ხმამაღლა საუბრობდნენ, ხუმრობდნენ და იცინოდნენ. გულისყურით ვუსმენდი და ვცდილობდი, ამ სიცილ-ხარხარსა და ლაზღანდარობაში „დამეჭირა“, ვინმე ხომ არ ამჟღავნებდა თუნდაც უმნიშვნელო სისუსტეს, რომ საჭირო ზომები დროულად მიმეღო და მისი განწყობა დანარჩენებს არ გადასდებოდათ. ჩემთვის კარგად ნაცნობი როხროხა ხმა მომხვდა ყურში: „რა მინდოდა აქ, როგორ აღმოვჩნდი ამ გაუგებრობაში?! მამაჩემს რა ვუთხარი, გოგოდ მაინც დავბადებულიყავი, ამ არეულობაში ხომ არ მოვხვდებოდი!“ ზოგი მხარს უბამდა, ზოგი მხოლოდ იცინოდა და თქმით არაფერს ამბობდა.

---

[181] ლოდინის რაიონი – ადგილმდებარეობის მონაკვეთი ჩასხდომის პუნქტების (აეროდრომების) მახლობლად, რომელიც ინიშნება საზღვაო ან საჰაერო დესანტის ფარული განლაგების, გადასხმისა (დესანტირება) და საბრძოლო მოქმედებებისთვის მათი მომზადების დასასრულებლად.

სანამ ბიჭები მოსაწყობად ხმაურიანად ემზადებოდნენ, ბაჩიმ, ნიკამ, ბადრიმ და კიდევ სხვებმა ცალკე დალაპარაკება მთხოვეს: „ერთ-ერთი მებრძოლი ავი წინათგრძნობის გამო სიკვდილის მოახლოებაზე ლაპარაკობს. სიზმარში უნახავს, უკანასკნელ ღამეს ვათევო. აქამდე მუდამ სხვა, უმცროს თანამებრძოლებზე ზრუნვით გამორჩეული, ახლა უმნიშვნელო საბაბითაც ღიზიანდება და ნერვებს ვერ თოკავს". მირჩიეს, იქნებ შენ დაელაპარაკო და სოხუმში დააბრუნოო. მისი გულგატეხილობა და უიმედობა კარგს არაფერს მოასწავებდა. სიკვდილზე ფიქრი ერთხელ თუ შეგეპარა, უმალ თავის მარწუხებში გითრევს და მძევლად გაქცევს. ნელ-ნელა ეუფლება სულს და გონებას. თავში მხოლოდ ერთი აზრი გიტრიალებს, რომ სიკვდილს ვეღარსად გაექცევი. ვითარებას ართულებდა ის, რომ ავი წინათგრძნობით შეპყრობილი მებრძოლი ჩემი ძმა იყო.

ურთულეს მდგომარეობაში ვიყავი. საკუთარი ძმის სოხუმში გამგზავრება რომ მომენდომებინა, რაც არ უნდა მომემიზეზებინა, მეთაურს ავტორიტეტს შემილახავდა და საბრძოლო შემართებაზე ცუდად იმოქმედებდა. მეთაურის სიტყვას, რომელიც სხვებისგან სიმამაცეს და თავგანწირვას ითხოვს, თავის ძმას კი ხელს აფარებს და ბრძოლის ველიდან გარიდებით მის სიცოცხლეს უფრთხილდება, ჩალის ფასი ექნებოდა. მეორე მხრივ, ეს ავი წინათგრძნობა, განცდა და ნერვიულობა ისედაც გაურკვევლობითა და ბუნდოვანებით მოცულ ვითარებაში საერთო საბრძოლო სულისკვეთებას და სამხედრო დისციპლინას კიდევ უფრო შეასუსტებდა.

წინასწარ ვგრძნობდი, ვიცოდი კიდეც, რომ მძიმე ლაპარაკი მელოდა, რომელსაც, დიდი ალბათობით, შედეგი არ მოჰყვებოდა. ის ჩემს, როგორც მეთაურის, ნებისმიერ ბრძანებას უსიტყვოდ შეასრულებდა, მაგრამ ძმას არასდროს მიატოვებდა. ყოველ სიტყვას ვწონიდი, რბილად, მოზომილად ვამბობდი, სხვადასხვა მიზეზს ვასახელებდი – იმას, რომ „თეთრი არწივის" ბატალიონის წევრების მობილიზაციისთვის მისი სოხუმში გამგზავრება იყო აუცილებელი, იქ უფრო მჭირდებოდა მისი ყოფნა. კიდევ სხვა ათას რამეს ვეუბნებოდი, ვცდილობდი, დამერწმუნებინა. სიმართლე რომ ვთქვა, ეს მარტო მას კი არა, მეც მჭირდებოდა, რადგან ბრძოლაში საკუთარი ძმის გარდაუვალ დაღუპვაზე თუ ვიფიქრებდი, ვეღარც იერიშზე გადასვლის ბრძანებას გავცემდი და ვეღარც თავდაცვაში მოვითხოვდი თავგანწირვას.

თხუთმეტიოდე წუთი ვილაპარაკეთ, დაძაბულად და აღელვებით. შევცდი, საუბარი არ უნდა წამომეწყო. როგორც მოსალოდნელი იყო, სასტიკი უარი მივიღე. იგი მეტისმეტად შეურაცხყო და დაამცირა მეთაური ძმის წინადადებამ. შევხვდით და ვილაპარაკეთ, როგორც ძმებმა და დავშორდით, როგორც მეთაური და რიგითი ჯარისკაცი, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა, ვალი ბოლომდე მოეხადა.

ეს ჩვენი უკანასკნელი საუბარი იყო.

გულდამძიმებულმა იქ მყოფებს შეკრება ვთხოვე. მათთვის სიმართლის თქმა მინდოდა, ეს ყველაზე სწორ და აუცილებელ მოქმედებად მიმაჩნდა. დაუფარავად ვუთხარი, რომ წინ მძიმე ბრძოლა გველოდა და უკან დასახევი გზაც არ გვქონდა, რომ წინ მოწინააღმდეგე იყო, უკან – რუსეთის საზღვარი. ზღვით გასვლა ან უკან დახევა სამარცხვინო იქნებოდა. რას იტყოდა ხალხი, როდესაც ფოთში ბარჟით გამოსულებს დაგვინახავდნენ? – ისე მოკურცხლეს ბრძოლის ველიდან, ერთმანეთს ასწრებდნენ ბარჟაზე ასვლასო?! გულახდილად ვესაუბრებოდი თანამებრძოლებს: „არავის დააინტერესებს, რა ქარცეცხლი გამოვიარეთ, ლაჩრებად მოგვიხსენებენ. უკეთეს შემთხვევაში ზიზღნარევ სიბრალულს დავიმსახურებთ. საქართველოს ყველა მოქალაქის რისხვა და ზიზღი დაგვატყდება თავს. ან უკვე ბრძოლაში დაღუ-

პულთა დედებს როგორ შევხედავთ თვალებში, ან გარდაცვლილებს რას ვეტყვით, როდესაც შევხვდებით?! უკეთესი დღე არც საზღვრის იქით გველოდება. მე თქვენ გეტყვით, ყვავილებით დაგვხვდებიან, კარაქიან პურს მოგვართმევენ და დაღლილებს დასვენებას შემოგვთავაზებენ! დაცინვითა და ქილიკით, რუსული სალდაფონური ხუმრობით შეურაცხყოფას მოგვაყენებენ. სრული პატივისთვის ორიოდე პანჩურსაც გვითავაზებენ, სად მოდიოდით და სახლებში რატომ არ დაეტიეთო?! სიკვდილი სჯობს ასეთ დამცირებას!“

უხმოდ მისმენდნენ, სრული სიჩუმე სუფევდა, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდი. სხვა გზა არ იყო და სხვა უფლება არ გვქონდა, ისე უნდა გვებრძოლა, როგორც წინაპართა ღირსეულ შთამომავლებს შეგვეფერებოდა. მინდოდა, თანამებრძოლები ისტორიული მაგალითებით გამემხნევებინა და მათ ერთგულებასა და თავგანწირვაში დარწმუნებულს საკუთარი მხნეობაც განმემტკიცებინა. მათგან ბრძოლას, თავდადებას, სამშობლოსთვის სიკვდილს ვითხოვდი. დარწმუნებული ვიყავი, რომ სამშობლოსათვის თავგანწირვაზე უფრო დიდი ბედნიერება არ არსებობს.

– კი მაგრამ, დამხმარე ძალა მაინც მოვიდეს! – თქვა რომელიღაცამ.

– ხომ ხედავთ, არავინ აპირებს ფეხის აჩქარებას. ტყუილი იმედია, რომ ვინმე მოგვეშველება, არანაირი დამხმარე ძალა არ იქნება! – ჩაერთო საუბარში ერთ-ერთი გვარდიელი.

– არ იქნება თუ ვერ იქნება? – ჩაეკითხა გვერდით მჯდომი.

– გულითაც რომ უნდოდეთ ჩამოსვლა, რუსები საჰაერო სივრცეს ჩაკეტავენ და იმ რაოდენობის დამხმარე ძალას მაინც არ გამოუშვებენ, რომელიც ბრძოლის ბედისა და საბრძოლო სურათის შეცვლას შეძლებს. ან ვინ უნდა მოვიდეს დასახმარებლად? იქ არ ვიყავით და არ ვიცით, სოხუმში რა ძალა დარჩა?! ქალაქის დასაცავად ძლივს ჰყოფნით. გარდა ამისა, ისიც კარგად იცით, რომ სოხუმელები სოხუმს იცავენ და სოხუმისთვის იბრძვიან თავდაუზოგავად, ოჩამჩირელები – ოჩამჩირისათვის. იქ, უპირველესად, თავიანთ ოჯახებს იცავენ. საკუთარ ქალაქს არავინ დატოვებს და გაგრის დასაცავად არ წამოვა. ისევ ჩვენივე თავის იმედად უნდა ვიყოთ! – დაასრულა სიტყვა ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა მებრძოლმა, რის შემდეგაც ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

– ვცადოთ! – ხმამაღალი შეძახილით დაარღვია სიჩუმე ერთმა.

თითქოს გულში სხვებიც ამას ფიქრობდნენ და შეგულიანება სჭირდებოდათ, მყისვე აჰყვნენ თანამებრძოლს:

– ჰო, ვცადოთ! – ერთხმად გაიმეორა ყველამ. ამის თქმა იყო და, პოლკოვნიკმა დათუაშვილმა გრებეშოკისაკენ მიმავალთა მოწყობა გამოაცხადა.

უცნაური განწყობა სუფევდა: თითქოს მზად იყვნენ, სიკვდილს უშიშრად შეხვედროდნენ, არადა აშკარად ვგრძნობდი ზოგიერთი მათგანის ფიზიკურ და სულიერ გადაღლილობას. მწყობრში იდგნენ და საბრძოლო დავალებას და დანიშნულების ადგილას გასვლის ბრძანებას ელოდნენ. პოლკოვნიკი დათუაშვილი პირადი შემადგენლობის სიას კითხულობდა.

დღის მეორე ნახევარი იქნებოდა, როდესაც „არწიველებისა“ და „ორბელებისგან“ საგულდაგულოდ შექმნილი ასეულის სამი მანქანისგან შემდგარ კოლონას გრებეშოკის მთისკენ მიმავალ შარაგზაზე წინ გავუძეხი პაატასთან ერთად. მზე უკვე დასავლეთისკენ გადაწვერილიყო. დაახლოებით 10-15 წუთში ზეგანზე ჩრდილოეთით, 3 კილომეტრის სიღრმეში, წინასწარ მონიშნულ ადგილას ვიყა-

ვით. გზიდან მარჯვნივ ერთადერთი ფიცრული სახლი იდგა, რომელშიც სამოციოდე წლის ჩია სომეხი მამაკაცი და მისი ცოლი ცხოვრობდნენ. ბიჭები იქვე, ზეგანზე დაბანაკდნენ და აღმოსავლეთის მიმართულებით, ხაზის გასწვრივ, მამძიფშის მთიდან გადმომავალი და გაგრიდან შემოვლითი ბილიკების გადასაკეტად საგუშაგოები მოაწყვეს.

მეთაურებთან ერთად კიდევ ერთხელ დავაზუსტეთ საბრძოლო ამოცანები. დავალება იყო, ჩემს მისვლამდე არამც და არამც არ დაეშვათ მთიდან გადმოსასვლელი გზებითა და ბილიკებით ზურგში მოწინააღმდეგის ჯგუფების შემოსვლა. პაროლი შევათანხმეთ და დამშვიდობების შემდეგ უკან დავბრუნდი პაატასთან ერთად. გზად სანაპირო ზოლის მთელ პერიმეტრზე განლაგებულ ბლოკსაგუშაგოებს კიდევ ერთხელ ჩამოვუარეთ. თითოეულთან ვჩერდებოდით, ბიჭებს ვესაუბრებოდით, ვაფრთხილებდით, ვამხნევებდით. ხოლოდნაია-რეჩკის ხიდთან გაგრელებთანაც გავჩერდით. გულმა მიგრძნო, თუ გეოგრაფიულმა მდებარეობამ სამხედრო სასწავლებელში ნასწავლი „ადგილის დათვალიერება და შეფასება“ გამახსენა, ის მიდამო დესანტირებისათვის ყველაზე ხელსაყრელი მომეჩვენა, ამიტომ ოცამდე გაგრელ მოხალისეს, რომლებიც ადგილობრივ „მხედრიონელებად“ წარმოგვიდგნენ, განსაკუთრებული სიფხიზლე ვთხოვეთ. მახსოვს, როგორ დაგვამშვიდეს მე და პოლკოვნიკი დათუაშვილი. მათმა უფროსმა გვითხრა, აქაურობაზე არც იფიქრო, ჩვენ მივხედავთო. ჩვენც ვირწმუნეთ მათი სიტყვები და შტაბში იმედიანად დავბრუნდით. სხვა არც არაფერი შეგვეძლო. მთავარი იყო, საგუშაგოებზე მორიგეობით მაინც ეფხიზლათ, ყურადღება არ მოედუნებინათ და არ დასძინებოდათ.

საღამოს 9 საათი იქნებოდა, როდესაც, ჩემდა გასაკვირად, ვისაც ყველაზე ნაკლებად ველოდი, ლესელიძეში ის ჩამოფრინდა. ეს შევარდნაძესთან ჩემი მეორე შეხვედრა იყო. აბა, წარმოიდგინეთ, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა უმძიმეს სამხედრო ვითარებაში მყოფ მებრძოლებზე გადამწყვეტი ბრძოლის წინ მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსის სტუმრობა წინა ხაზზე ვითარების გასაცნობად და იმედის მოსაცემად.

– როგორ მიდის საქმე? როგორ ხართ? – თბილად მოგვიკითხა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვყოფილიყავით. მინდოდა, მიკიბ-მოკიბვის გარეშე, დაუფარავად მეთქვა, რომ არც თუ სახარბიელო მდგომარეობაში ვიყავით. სათათბირო ოთახში კედელზე გაკრული ტოპოგრაფიული რუკის დახმარებით შევთავაზე საომარი ვითარების გაცნობა. ისიც და მისი თანმხლებნიც მდუმარედ უსმენდნენ შტაბის უფროსის, პოლკოვნიკ დათუაშვილის მოხსენებას ჩვენი და მოწინააღმდეგის ძალების შესახებ, მათ სავარაუდო მოქმედებასა და ჩვენს მოლოდინზე, რომ დილისთვის მოწინააღმდეგე აუცილებლად წამოიწყებდა იერიშს და წინა ხაზის გარღვევას შეეცდებოდა. აუღელვებელი სახით გვისმენდა, ძარღვი არ შესტოკებია. ზოგჯერ პაატას განსაცვიფრებელი სიმშვიდით აწყვეტინებდა მოხსენებას და კითხვას უსვამდა, რა იყო საჭირო მდგომარეობის გამოსასწორებლად. შტაბი 400-მდე შეიარაღებული მებრძოლის გადმოსროლას ითხოვდა ჩვენი პოზიციების გასამაგრებლად და შემდგომში კონტრიერიშზე გადასასვლელად.

11 საათი იქნებოდა, როდესაც ედუარდ შევარდნაძე შვეულმფრენით უკან გაფრინდა. გარეთ უკვე ბნელოდა. „ყველაფერი მოგვარდება, ყველაფერი კარგად იქნება!“ – ვამხნევებდით ერთმანეთს. ახლა უფრო იმედიანად ვიყავით, რომ მაშველი რაზმები არ დააყოვნებდნენ და მეორე დღეს აუცილებლად ჩამოვიდოდნენ.

ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ შვეულმფრენი უკან დაბრუნდა და ლესელიძის სტადიონზე ავარიულად დაჯდა. სახელმწიფოს მეთაურის შვეულ-

მფრენს რუსული Cy-27 დასხმოდა თავს და არამართვადი რაკეტები დაეშინა. მორიგე აღელვებული შემოვარდა და საგანგაშო ინფორმაცია მოგვაწოდა. პირველივე, რაც გავაცნობიერე და კითხვა გამიჩნდა, ეს იყო: „გადარჩა შევარდნაძე?" – პასუხს არ დავლოდებივარ, წამოვხტი და კიბეზე დავეშვი.

– კი, ყველა გადარჩა. შეშინებულები არიან, – დამადევნა სიტყვა თანაშემწემ. პანსიონატის ეზოში გასვლა ვერ მოვასწარი, რომ შევარდნაძე თანმხლებ პირებთან ერთად შენობას მოადგა. „რა მოხდა? როგორ მოხდა?" – გზადაგზა ეკითხებოდა პაატა და კაბინეტისკენ მოუძღოდა. შვეულმფრენის მგზავრებს სახეზე ფერი არ ედოთ შიშისა და დაბნეულობისაგან. აღელვებულები იყვნენ და ერთმანეთს ასწრებდნენ ამბის მოყოლას. რუსულ Cy-27-ის ტიპის თვითმფრინავს შევარდნაძის შვეულმფრენზე იერიში მიეტანა და გასაფრთხილებლად ესროლა კიდეც. რომ ნდომოდათ, ჩამოაგდებდნენ. არ ჩამოაგდეს. შესაძლოა, რუსმა გენერლებმა შევარდნაძეს გერმანიიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა გაუხსენეს და სიბნელეში გაეთამაშნენ. შვეულმფრენის მგზავრები იმასაც იხსენებდნენ, რომ ჯიმი მაისურაძემ დაბალ სიმაღლეზე, ნაპირზე გაწოლილ ნისლში შეფარებულმა, ოსტატურად მოახერხა თავის დაძვრენა და უკან მობრუნდა. ისიც ვიფიქრეთ, რომ შესაძლოა ეს ჯიმიზე შურისძიების მორიგი მცდელობა იყო.

შვეულმფრენი ღამით ფოთისკენ მაინც გაფრინდა, ოღონდ მგზავრების გარეშე. ედუარდ შევარდნაძე და მისი ამალა ადლერისკენ ავტომანქანებით გაემართნენ, ადლერიდან კი თბილისიდან გამოძახებული სამოქალაქო სამგზავრო თვითმფრინავით დაბრუნდნენ უკან. „თუ რუსები გერმანიის გამაერთიანებლის ჩამოგდებასაც აღარ ერიდებიან, აქ რაღას იზამენ?!" – თქვა ერთმა. ერთმანეთს უსიტყვოდ შევხედეთ. თავადაც იმავეს ვფიქრობდი.

■

5 ოქტომბერი იდგა, ღამის სამი საათი იქნებოდა. უკუნ სიბნელეში სიჩუმე გამეფებულიყო. დილისთვის მოსასვლელი დამხმარე ძალით დაიმედებულ ქართველებს მშვიდად ეძინათ. მეორე დღისთვის ძალას იკრებდნენ. ეძინათ ლოდინის რაიონში, გრებეშოკის მთის ფერდობზე დაბანაკებულებს. ახალი დღის დადგომასა და ახალი დავალების მიღებას ელოდებოდნენ. მხოლოდ გუშაგები ფხიზლობდნენ, ყოველ შემთხვევაში, არ უნდა სძინებოდათ... არც მოწინააღმდეგე ბანაკიდან ისმოდა ჩამიჩუმი. არავინ იცოდა, მეორე დილით რა მოხდებოდა: ვის სიცოცხლეს მოითხოვდა სამშობლო, ვისი მზე ჩაესვენებოდა, ვისი თვალები დაიხუჭებოდა სამუდამოდ, ვისი დედა იტირებდა ცხარე ცრემლით...

ზღვაც მშვიდი იყო.

ფიქრით გზაარეული, წინა ღამის უძილო და დაღლილ-დაქანცული დასასვენებლად ლოგინზე მივწექი. ტანზე გახდა არც მიფიქრია, მხოლოდ საველე ფეხსაცმელი გავიძვრე. მინდოდა, თვალი მომეტყუებინა, საკუთარი თავისთვის რამდენიმე საათით დაძინების უფლება მიმეცა. მეორე დღისთვის ძალის მოკრება მჭირდებოდა. ნელ-ნელა თვალზე რული მომერია და ჩამეძინა. საშინელი სიზმარი ვნახე: უცაბედად ციდან წარღვნის მომასწავებელი გრუხუნი მოისმა. ჭექა-ქუხილსა და ელვას კოკისპირული წითელი წვიმა მოჰყვა. „ეგ შენი ძმების სისხლია!" – ძილში ჩამესმოდა შემზარავი ხმა. სისხლის მორევში ბიჭი მოჩანდა, ტრიალებდა, თავის დაღწევას ცდილობდა. უნდოდა, ამოსულიყო, ნაპირისკენ მოიწევდა, მაგრამ ვერა და ვერ აღწევდა თავს, მორევი უკან აბრუნებდა. რაც უფრო მეტად ცდილობდა, მით უფრო ღრმად

და ღრმად ითრევდა მორევი. ბიჭი დაბლა კაცს, მაღლა კი ღმერთს შესთხოვდა შველას, მაგრამ არც ადამიანებს ესმოდათ მისი ყვირილი და ვერც ღმერთამდე ანწდენდა ხმას. მშველელი არსად ჩანდა. გარეთ რაღაც ბოროტად წიოდა. ყოველი მხრიდან მოთქმა-გოდება ისმოდა. იმ ბიჭის ხმა, ძილის საუფლოდან გამოძახილი, მაინც გარკვევით მესმოდა. როგორც ცხადში, ისე ვხედავდი, თითქოს მეცნო კიდეც, თითქოს ვიღაცას, ძალიან ნაცნობს წააგავდა. ვბორგავდი, ცივი ოფლი მასხამდა, მინდოდა, მისთვის ხელი გამეწოდებინა, დავხმარებოდი, მაგრამ ძალა არ მყოფნიდა. სასოწარკვეთილი შევცქეროდი, როგორ იძირებოდა და იხრჩობოდა. შემდეგ ცა შავმა ღრუბლებმა დაფარა და სიბნელემ ყველაფერი შთანთქა.

სიზმრით შეძრწუნებული უცებ გამოვფხიზლდი. საშინელი წინათგრძნობისგან მთელი სხეული მიცახცახებდა. თითქოს საკუთარ თავგადასავალს ვუყურებდი, უახლოეს მომავალში მოსახდენს. გარედან შემოსულმა ხმაურმა მყისვე გამომარკვია. ვიღაც ხმამაღლა იძახდა, გაიღვიძეთ, ადექით, დესანტი გადმოსხესო! გიჟივით წამოვხტი და ოთახიდან გამოვვარდი. კორიდორში ჩოჩქოლი იყო...

იკითხავთ ალბათ, საიდან ჰქონდათ აფხაზებსა და ჩეჩნებს სამხედრო ბარჟა? ან ზღვის სანაპირო ზოლი როგორ აღმოჩნდა დაუცველი?

საგანგაშო ამბის მომტანი სწორედ ის იყო, წინა ღამით საგუშაგოზე მორიგეობა დიდის ამბით და გულზე მჯიღის ცემით რომ ითავა, ადგილობრივებისგან შემდგარი 20-კაციანი ჯგუფის შეთაური. მისი სახელიც მახსოვს, გვარიც და ფორმირებაც, მაგრამ ახლა რაღა მნიშვნელობა აქვს?! აღელვებული, დაზუსტებით იმასაც ვერ გვეუბნებოდა, რა ადგილას გადმოსხეს დესანტი. ვარაუდით ამბობდა: „სადღაც ხოლოდნაია-რეჩკასა და გრებეშოკს შორის, სანაპიროსთან“. ჯგუფის უფროსმა, რომელსაც სანაპირო ზოლის კონკრეტულად იმ მონაკვეთის დაცვა ევალებოდა, სადაც ბარჟა მოადგა, ნაცვლად იმისა, რომ ცეცხლი გაეხსნა და პირველი შეტაკება საკუთარ თავზე მიეღო, ოცეული იქაურობას უბრძოლველად განარიდა და თვითონ კი შტაბში გამოიქცა ამბის მოსატანად – მოწინააღმდეგემ დესანტი გადმოსხაო! ღმერთმა იცის, რომ ამას ნიშნის მოგებით არ ვწერ. სწორედ ეს არის განსხვავება სამხედრო ორგანიზაციასა და გასამხედროებულ ფორმირებას შორის. ერთია სამხედრო სამსახური, რომელსაც სამხედრო წესდებით განსაზღვრული ვალდებულებები ახლავს, მეორე კი – სამშობლოსათვის ბრძოლის ნება-სურვილი.

ბრძოლის ველზე, როგორი ბნელი და ნისლიანიც არ უნდა იყოს ღამე, ომის ბედი დიდწილად გუშაგის სიფხიზლეზეა დამოკიდებული. საგუშაგოზე ძილი, ყურადღების მოდუნება არის ბრძოლაში დამარცხების წინაპირობა!

არ ვიცი, შესაძლოა გუშაგებმა ჩათვლიმეს, ვიღაც ძილს ვერ მოერია ან ვერ შეელია. შესაძლოა არც ეძინათ, მაგრამ სიბნელეში დროულად ვერ შენიშნეს მოწინააღმდეგე, ან შენიშნეს, მაგრამ დაიბნენ. ნამდვილ მიზეზს ვეღარასოდეს შევიტყობთ, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. მოწინააღმდეგის დესანტი უკვე სიღრმეში იყო შემოსული უშიშრად და გაბედულად.

საყარაულო წესდებასთან თუნდაც მცირედით მიახლოებული წესით რომ აეწყო ჯგუფის უფროსს საგუშაგოებზე მორიგეობა, ყოველ ორ საათში შეეცვალა გუშაგები და მათი სიფხიზლე შეემოწმებინა, თავად გუშაგებიც უფრო ორგანიზებულები რომ ყოფილიყვნენ, დისციპლინა ჰქონოდათ, მეტი პასუხისმგებლობით მოჰკიდებოდნენ მოვალეობას და მანქანაში ჯდომის ნაცვლად პატრულირება ეწარმოებინათ, შესაძლოა სულ სხვა ვითარება მიგვეღო. მთელი საღამო პოლკოვნიკ დათუაშვილთან ერთად აქეთ-იქით დაუღალავად დავდიოდით და საგულდაგულოდ ვამოწმებდით ყველა პო-

ზიციას, ყველა გუშაგს. როგორი იმედი გვქონდა, რომ დროს მოვიგებდით, ვიდრე ძირითადი ძალები ჩამოსვლას შეძლებდნენ, მაგრამ ვაი, რომ მოწინააღმდეგემ შიგნით შემოჭრა მოახერხა! სუსტი წერტილი მოძებნეს და ზურგში მოგვექცნენ. როგორ და რა გზით შემოვიდნენ, ამის გარკვევის დრო არ იყო! ახლა სხვა არაფერი დაგვრჩენოდა, მთელი ძალა უნდა მოგვეკრიბა და მოწინააღმდეგეს გავმკლავებოდით.

„საბრძოლო განგაში, მოწყობა!“ – ისმოდა მორიგის განკარგულებები. უცბად წამოიშალა ყველა, გზადაგზა იცვამდნენ ტანსაცმელს და ამოცანის მოლოდინში ეზოში, ავტობუსთან გროვდებოდნენ. სწრაფად დავეშვი კიბეზე. ისე ჩავუქროლე ეზოში მოგროვილ ნახევრად ჩაცმულ სამხედრო პოლიციელებს, რომ ვერც კი შემამჩნიეს. გზად მათ მეთაურთან გავჩერდი და დავალება მივეცი: „ასმეტრიანი დისტანციით გამომყევით. სიგნალისთანავე უმალ გაიშალეთ!“

პაატა უკვე მანქანაში მელოდებოდა თავის ორ ერთგულ ჯარისკაცთან ერთად. უკანა სავარძელზე გვერდიგვერდ ვისხედით ორი მეთაური – სარდალი და შტაბის უფროსი, წინ – მძღოლი და მისი თანაშემწე, სამხედრო პოლიციის ოცდაათამდე სპეცრაზმელი კი ერთ „იკარუსში“ ხალვათად მოთავსებულიყო. რამდენიმე წამში „იკარუსს“ გავუსწარით. ხელით ვანიშნე: „მომყევით!“ და გრებეშოკისკენ გავემართეთ. წინ „გაზ-24“ მიდიოდა, უკან „იკარუსი“ მიჰყვებოდა.

უკვე აღარც შიშის დრო იყო და აღარც ფიქრის, ვითარება დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვდა. წამიკითხავს, როგორც მზეს ამოსვლისას არ უნდა ეშინოდეს ღრუბლის, ისე მეომარს – ბრძოლისაო.

თენდებოდა. წყვდიადს ნათელი ენაცვლებოდა. ღრუბლებს აქა-იქ უკვე მზის სხივები სერავდა.

მეხუთე კილომეტრზე, მდინარე ხოლოდნაია-რეჩკის ხიდის მისადგომთან სიფრთხილე გამოვიჩინე და მანქანა გავაჩერე. სამხედრო წესის თანახმად, იმ ადგილას საგუშაგოზე მორიგედ დატოვებული ჯგუფი უნდა დაგვხვედროდა, მაგრამ ოცეულიდან ერთი კაციც არ გვინახავს. აღარ იყვნენ. კიდევ ერთხელ ვკითხე ამბის მომტანს, ზუსტად რა ადგილას მოხდა, სად გადმოსხეს დესანტი-მეთქი. სადღაც აქ უნდა იყოსო, მიახლოებით გვაჩვენებდა ადგილს ხოლოდნაია-რეჩკის ხიდსა და გრებეშოკს შორის. სიბნელის, დაბნეულობისა თუ ძილის გამო, უბრალოდ, არ იცოდა ან ვერ იხსენებდა.

სიბრაზისაგან კბილს კბილზე ვაჭერდი და ტუჩს ვიკვნეტდი, რამე რომ არ წამომცდენოდა. მოწინააღმდეგის ყურადღება არ უნდა მიგვეპყრო. არემარეს ვათვალიერებდი, ვფრთხილობდი. ათასი ფიქრი მიტრიალებდა თავში.

ძლიერი ნისლის გამო ცუდი ხილვადობა იყო. ჩემი ყურადღება ხიდის გაღმა, მარცხნივ, ნისლში ნახევრად ჩაბურულმა გორაკმა მიიპყრო, რომელიც ხიდს გადმოჰყურებდა. საეჭვო ჩანდა. უფრო მეტი სიფრთხილით დავიწყე ადგილმდებარეობის დათვალიერება. ქანების შესაკავებლად გორაკს ორი მეტრი სიმაღლის საყრდენი კედელი ჰქონდა მიშენებული, მთიდან ზღვისკენ ჩამომავალი მდინარის ხევი კი მას მარცხნიდან მისადგომად და შემოსავლელად მიუწვდომელს ხდიდა. გზის გასწვრივ, მარჯვენა მხარეს ზღვის ნაპირს ბუნებრივი ციცაბო კლდეები ჯებირად მიუყვებოდა და ადამიანს ქვემოთ ჩასასვლელ ბილიკსაც არ უტოვებდა. გულითაც რომ გნდომებოდა, გზას გვერდს ვერ აუვლიდი. ვცდილობდი, ყოველი წვრილმანისთვის მიმექცია ყურადღება, მაგრამ ვერც ხელმარცხნივ გორაკის წვერს ვხედავდი და ვერც გზის იქით, სიღრმეში მიმავალ აღმართს. საეჭვო სიჩუმე სუფევდა. მო-

წინააღმდეგის სიახლოვე ვიგრძენი. ჩასაფრება სადღაც იქ, ახლომახლო, ხიდის თავთან უნდა ყოფილიყო.

უკან მომავალი „იკარუსის" წინა კარიდან პირველები ჩემი ძველი თანამებრძოლები – ნიკა ტყეშელაშვილი და ბაჩი ხვიჩია ჩამოსულიყვნენ და რამდენიმე მეტრში მომყვებოდნენ უკან. მათ კიდევ ოთხი სამხედრო პოლიციელი მოსდევდა. დანარჩენები ნელ-ნელა, მძიმედ ჩამოდიოდნენ „იკარუსიდან". ავტომატები და მძიმე ზურგჩანთები აყოვნებდათ. ახლა უფრო იმედიანად, სიფრთხილით ვდგამდი თითოეულ ნაბიჯს, უკან აღარ მიმიხედავს და მანქანას თანდათან დავშორდი.

პაატამ მანქანის უკანა მარცხენა კარი გააღო და გადმოვიდა, მისმა კიდევ ერთმა თანაშემწემაც მოასწრო მანქანიდან გადმოსვლა, საჭესთან მჯდომმა კი – ვეღარ. აფეთქების საბარელმა ხმამ დაარღვია საშიში, შემზარავი სიჩუმე. გორაკიდან ყუმბარსატყორცნით დამიზნებით ნასროლი ჭურვი პირდაპირ მანქანას მოხვდა და ცეცხლის ალში გახვია. ვერც „იკარუსის" მძღოლმა, შსს-ს პოლიციის სკოლის კურსანტმა მოასწრო გადმოსვლა. მეორე ჭურვი „იკარუსს" მოხვდა და აფეთქდა. ჩვენს თავზე ჩასაფრებულებმა ავტომატისა და ტყვიამფრქვევის ტყვიები დაგვაყარეს ზემოდან, იქაურობა სროლით გააყრუეს. სროლას ჩენჩურ ენაზე ბრძოლის ყიჟინა და ღრიანცელი მოაყოლეს. „იკარუსიდან" ახლად ჩამოსული სამხედრო პოლიციელების ნაწილი ამ ჯოჯოხეთიდან თავის დასაღწევად ხიდიდან ციცაბო კლდეს გადაევლო და ზღვისკენ გადახტა, თუნდაც ფეხების მომტვრევის ან თავის გატეხის ფასად, ოღონდაც იქაურობას გასცლოდნენ, ნაწილი კი „იკარუსს" ამოეფარა. კედელს გაკრულნი სიმწრით შევცქეროდით, როგორ იწვოდნენ მანქანასა და ავტობუსთან ერთად მათი მძღოლები, თუმცა ვერაფერს ვშველოდით.

ვინც იქ იყო, აღწერის სიზუსტეში დამემოწმება. ინსტინქტურად გავიშალეთ და კედელს გავეკარით. გვინდოდა, გორაკის ის მონაკვეთი დაგვენახა, საიდანაც ტყვიების წვიმა მოდიოდა. სულ ცხრანი ვიყავით: პოლკოვნიკი დათუაშვილი, მისი თანაშემწე, „თეთრარწივლები" – ნიკა ტყეშელაშვილი და ბაჩი ხვიჩია, სამხედრო პოლიციის სპეცრაზმის მეთაური კობა შერაზადიშვილი და მისი სპეცრაზმელები – გელა და მამუკა ჯაშიაშვილები და არტურ მალხასიანი. ნისლი და კვამლი ჩვენც და თავზე წამომჯდარ მოწინააღმდეგესაც ხედვასა და მიზანში ამოღებაში ხელს გვიშლიდა. ისინი ზევიდან ქვევით გვხვერავდნენ, ჩვენ პირიქით, თუმცა ვერაფერს ვხედავდით.

შეუცდომლად გრძნობდნენ, რომ ქვემოთ ვიღაც კიდევ უნდა ყოფილიყო ცოცხალი და სროლას არ წყვეტდნენ. მალე ორივე მხარე მივხვდით, რომ გორაკზე ჩასაფრებულებს ქვემოდან ტყვიით ვერაფერს დავაკლებდით და კედელზე აკრულებს ვერც ზემოდან მოგვარტყამდნენ ტყვიას. უცებ ჯერ ხელყუმბარის დამცავის გახსნის წკაპუნის ხმა გავიგონეთ, მერე ჩვენ წინ, ჩემგან სულ რაღაც ერთ ნაბიჯში ყუმბარაც დავარდა ისე, უმეტესად შეტევის დროს რომ იყენებენ ცოცხალი ძალის გასანადგურებლად. ერთი შეხედვით პატარა, ნახევარ კილოგრამზე ცოტა მეტს იწონის, თუმცა სასიკვდილო ნამსხვრევებს 200 მეტრის რადიუსში ფანტავს. მინდოდა, დამეძახა, როგორც მასწავლეს: „დაწექით! შეეფარეთ!" – მაგრამ აზრი აღარ ჰქონდა, ვეღარც სადმე შეფარვას მოვასწრებდით და ვერც იქაურობიდან გაცლას, რადგან ზუსტად ვიცოდი ფალიის[182] შემანელებელი წვის დრო. სულ რამდენიმე წამში აფეთქდებოდა. ნამდვილად დამდგარიყო ჟამი სულისა და ხორცის გაყრისა...

---

[182] ფალია – ამფეთქი მუხტის დეტონატორის ინიციირებადი საშუალება, ძირითადად, საინჟინრო ნაღმებსა და ხელყუმბარებში

ღმერთო, დიდებულო! აქამდე ალბათ ასჯერ და ათასჯერ გქონდა სიკვდილთან შეხვედრა ნაფიქრი და წარმოდგენილი. სულ სხვანაირად, ამაყად. როგორ წარმოიდგენდი, რომ ასე იოლად ჩაგიგდებდა ხელში და ასე სირცხვილნაჭამს წაგიყვანდა. „ნუთუ ყველაფერი დამთავრდა?!“ – მხოლოდ ამის გაფიქრებას მოასწრებ და, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე შემდგარი, განაჩენის აღსრულების მოლოდინში თვალებს დახუჭავ თუ გამაყრუებელ ხმასთან ერთად გეხუჭება, უკვე ვეღარ არკვევ, რადგან აფეთქების ტალღაში იძირები. მერე, სიბნელით დახშულ უცხო გარემოში მოხვედრილი, სუნთქვაშეკრული მისჩერებიხარ, როგორ მოდის, როგორ გიახლოვდება სიკვდილი, მაგრამ ღონემიხდილს წინააღმდეგობის ძალა აღარ შეგწევს. დაახლოებით ისე, როგორც გველი აჯადოებს მსხვერპლს ჰიპნოზით, თვალს თვალში გაგიყრის და უსუსური, უმწეო ხდები. ის კი, თითქოს შენი ნაყვანის დრო და ჟამი არ მოსულა, გვერდით ჩაგივლის, შენ ნაცვლად სხვას, ერთს, ორს, ბევრს, უკეთესს აარჩევს, ხელს მოჰკიდებს და სადღაც უხილავ სამყაროში გააქანებს, გზაში კი ალბათ მადლობასაც ათქმევინებს, საშინელ ტანჯვა-ნამებას ასე იოლად რომ დააღწია თავი.

ყველაფერი სწრაფად, ნამებში მოხდა. თითქოს კინოკადრი შეჩერდა და შემდეგ ხელახლა ამოძრავდა. ვიგრძენი, რომ ცოცხალი და საღ-სალამათი ვიყავი. თვალები გავახილე და მიმოვიხედე.

აფეთქების კვამლი იფანტებოდა, დენთის სუნით გაჟღენთილი ჰაერი იწმინდებოდა... ნელ-ნელა გამოჩნდა ჯებირი, გზა, აფეთქებული ავტობუსი, „გაზ-24“, რომელიც ჯერ კიდევ იწვოდა. აფეთქების ტალღითა და დარტყმის ძალით კონტუზირებული გვერდით მდგომებს ბუნდოვნად ვხედავდი. სახეს სახე ენაცვლებოდა, ლანდს – ლანდი და მომხდარის აღდგენას ვცდილობდი. გამახსენდა ყუმბარსატყორცნიდან მანქანებისკენ ნასროლი ჭურვები. აფეთქებამ როგორ მიგვანარცხა კედელს. თავის დასაღწევად ციცაბო კლდიდან ზღვისკენ როგორ ხტებოდნენ ბიჭები და ირეხებოდნენ, ხოლო ვინც გადახტომა ვერ მოახერხა, როგორ ცდილობდნენ, „იკარუსს“ ამოჰფარებოდნენ, რომ თავი გადაერჩინათ. საბედისწერო აფეთქებას ერთ მეტრში, ცხვირწინ, სამსხვერპლოდ გამზადებული ადამიანები დაენდო და სამოცდაათ მეტრში, „იკარუსის“ უკან შეფარებულებს დასხმოდა თავს. ერთი სამხედრო პოლიციელი გაუნძრევლად იწვა „იკარუსთან“. ვეძახდით, მაგრამ არ იძვროდა. დაჭრილ სხვა ათამდე სამხედრო პოლიციელთაგან განსაკუთრებით ერთის კვნესა, პერიოდულად ისტერიული გამოძახილი ისმოდა. აუტანელი ტკივილისგან შეწუხებული დახმარებას ითხოვდა. კლდიდან, დაახლოებით 6 მეტრის სიმაღლიდან გადახტომისას ფეხის ღია მოტეხილობა მიეღო.

კედელს აკრულებიც ნელ-ნელა გონს მოდიოდნენ და სიტუაციაში გარკვევას ცდილობდნენ. იხსენებდნენ, როგორ მიანარცხათ აფეთქების ტალღამ კლდის ჯებირს, საერთო ბედისა თუ უბედობის თანაზიარები, განცვიფრებულები შეჰყურებდნენ ერთმანეთს და თვალებს არ უჯერებდნენ, რომ ცოცხლები იყვნენ! ყველას ცისკენ მიეპყრო მზერა. სადღაც შორს, ზემოთ იყურებოდნენ, თითქოს ვიღაცას, უხილავს, გადარჩენისთვის მადლობას უხდიდნენ, თუ ამას გადარჩენა ჰქვია.

ისევ იქ ვიყავით უიმედოდ, გზის პირას, კედელს ზურგით მიყრდნობილები და ნახევრად ჩაცუცქულები. ისევ თავზე გვადგა მტერი, როგორც სვავი დასტრიალებს ხოლმე ნადავლს, სისხლის სუნზე დაგეშილები ისევ გრძნობდნენ საკუთარ უპირატესობას, სროლას არ წყვეტდნენ და თავს არ გვანებებდნენ. ისევ დაუნდობლად და შეუჩერებლად, ახლა უკვე ტყვიებით სერავდნენ არემარეს.

აფეთქების ტალღისგან ტვინშერყეული, ამღვრეული თვალებითა და გაფითრებული სახით სიზმარივით შევცქეროდი ამ გულსაკლავ სურათს და არაფრის შეცვლა შემეძლო... მაგრამ ეს სიზმარი არ იყო. ის, რაც ღამით ძილში ვიხილე, აქ უკვე ცხადში ხდებოდა.

გაგრელების საშველად, სიკვდილის დასათრგუნად ჩასულები, სიკვდილისგანვე თავზარდაცემულები, თავად გავხდით საშველნი, მაგრამ მშველელი არსად ჩანდა. საგუშაგოებზე ჩვენები იმდენად ცოტანი იყვნენ, რომ ჩასაფრებაში მოხვედრილი მეთაურების ალყიდან გამოსაყვანად ნახევარი საათის განმავლობაში ვერავინ მოვიდა. მეტ-ნაკლებად გამოვერკვიეთ თუ არა, მაშინვე მივხვდით, რომ გამოსავალი ისევ თვითონ, საკუთარი ძალებით უნდა გვეპოვა.

მეთაურის უმთავრესი მოვალეობაა, ურთულეს ვითარებაშიც კი არ დაკარგოს კონცენტრაცია. მთავარი წესია: მეთაურს კარგი რეაქცია ჰქონდეს, გამოსავალს ეძებდეს და სწრაფადვე ჰპულობდეს. თვითგადარჩენის ინსტინქტი გვაიძულებდა, წინააღმდეგობა გაგვეწია, საპასუხო ცეცხლი გაგვეხსნა, თუნდაც დამიზნების გარეშე, ქვემოდან ზემოთ. ყუმბარებიც გვეტყორცნა თუნდაც იმ საფრთხის გააზრებით, რომ შესაძლოა ყუმბარა უკან დაგორებულიყო და ცხვირწინ აგვფეთქებოდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვქონდა. თუ მოწინააღმდეგე უკან არ დაიხევდა და სიმაღლეს არ დატოვებდა, სათითაოდ ამოგვხოცავდა ცეცხლის ტომარაში მოქცეულ ათამდე ქართველ მებრძოლს.

სიტყვა-სიტყვით ახსნის შემდეგ სამხედრო პოლიციის სპეცრაზმელმა მამუკა ჯაშიაშვილმა РГД-ს ტიპის ხელყუმბარას დამცველი გამოაძრო, დამრტყმელი მექანიზმის მოქმედების დროის ნახევარი, 3-4 წამი, დაითვალა და მხოლოდ ამის შემდეგ ატყორცნა ვერტიკალურად, რომ მოწინააღმდეგის თავზე აფეთქებულიყო. მე კი დარჩენილი წამები გზაზე გადასარბენად გამოვიყენე და გორაკზე შემოსავლელი გზის მეორე მხარეს მოვექეცი. ნაწილობრივ გამოუვიდა. ახლა უკვე ჩვენც შეგვეძლო, რომ დამიზნებით საპასუხო სროლა გაგვემართა და დამხმარე ძალა გამოგვეძახა.

კიდევ ერთი ყუმბარა ტყორცნა ახლა უკვე სამხედრო პოლიციის სპეცრაზმელმა არტურ მალხასიანმა იმავე მეთოდით, ზემოთ, თუმცა ამჯერად ხელყუმბარა სველ, ნესტიან ფერდობზე ვერ გაჩერდა, უკანვე ჩამოგორდა, კედლის თავზე, ჰაერში აფეთქდა და იქაურობა ისევ ბურუსში გაეხვია. როდესაც კვამლი გაიფანტა, დავინახეთ, რომ მძიმედ კონტუზირებული მამუკა ჯაშიაშვილი მიწაზე უგონოდ ეგდო. არტურ მალხასიანი ნამსხვრევებისგან თავში მძიმედ იყო დაჭრილი.

ორმხრივი სროლა თითქმის ნახევარ საათს გაგრძელდა. ნელ-ნელა ჯერ აფეთქებების ხმამ, შემდეგ კი სროლის სიხშირემაც იკლო. ამასობაში ახლომდებარე ტურბაზიდან ათამდე ქართველმა მებრძოლმაც მოაღწია დასახმარებლად და მოკლე გადარბენებით, მარჯვნიდან შემოსავლელი გზით გორაკს თავზე დავადექით.

მოწინააღმდეგის დესანტს სიმაღლე დაეტოვებინა, უკან, სიღრმეში შესულიყო და ტყისთვის შეეფარებინა თავი. მასრებისა და ნასროლი „მუხის“ ყუთების გროვაში მწვანე ლენტით თავწაკრული ერთი ცხედარი ვნახეთ. ეს ბასაევის ჩეჩენთა იმ რაზმის ბოევიკი იყო, რომლის შესახებაც არაერთი ინფორმაცია გვქონდა მიღებული.

სიმწრით დავყურებდი და გულში ვეკითხებოდი: „აქ რა გინდოდა? რატომ იბრძვი რუსებთან ერთად მათი მოკავშირე აფხაზების მხარეს? ჩეჩნეთის თავისუფლებისათვის მებრძოლი აქ რისთვის კვდები?“ – თუმცა ამ კითხვაზე პასუხი ვერც მაშინ მივიღე და ვერც მომავალში.

დრო არ ითმენდა. ტყეს შეფარებული დესანტი უნდა მოგვეძებნა. სახელდახელოდ შეკრებილი ოცამდე მებრძოლი ტყეში გაუჩინარებულ დესანტს უკან დავადევნე.

ფრთხილად, აუჩქარებლად მიდიოდნენ, ხაზში გაშლილები, ინტერვალის დაცვით, ყოველ ბუჩქთან ჩერდებოდნენ, ხეებს ეფარებოდნენ და მოკლე გადარბენებით აგრძელებდნენ გზას. დიდხანს ეძებდნენ, მაგრამ უშედეგოდ, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, მათ კვალსაც ვერ მიაგნეს. ადგილმდებარეობის არცოდნა და მთებში ჩამოწოლილი ნისლი ისედაც სახიფათო დევნას კიდევ უფრო ართულებდა. ნირწამხდარნი დაბრუნდნენ უკან.

ამასობაში მზემაც გამოანათა და ბრძოლის ადგილი ნათლად გამოჩნდა. საშინელი სანახავი იყო. იქვე, ასფალტზე უგონოდ იწვა მამუკა ჯაშიაშვილი, არტურ მალხასიანი მძიმედ იყო დაჭრილი, პაატა კი მკერდს და ნეკნებს იტკივებდა და კედელზე ზურგით მიბჯენილი წამოდგომას ვერ ახერხებდა. ნახევრად დამწვარ მანქანაში, საჭის მხარეს, წინა სავარძელზე უძრავად იჯდა პაატას გარდაცვლილი მძღოლი. „იკარუსს“ ჯერ ისევ ცეცხლი ეკიდა. წინა კართან, ასფალტზე სამხედრო პოლიციის სპეცრაზმელის, ჯემალ გაბულდანის ცხედარი ესვენა. ნახევრად დამწვარი სხეულების მძაფრი სუნი სუნთქვას შეუძლებელს ხდიდა, კვამლი თვალებს გვწვავდა. სასწაულად გადარჩენილი ბიჭები იქვე შეგროვილიყვნენ და დაჭრილების დახმარებას ცდილობდნენ. სახეზე გადარჩენის გამო სიხარულის ნიშანწყალიც კი არ ეტყობოდათ. სიკვდილთან სიახლოვე უკვალოდ არ გამქრალიყო, გადახდილი ბრძოლის სიმძიმე გაფითრებულ სახეებზე და ამღვრეულ თვალებში ადვილად იკითხებოდა. განსაკუთრებით იჰყრობდა ყურადღებას ერთი მებრძოლი, აქამდე ყველა ბრძოლა მამაცურად რომ გამოიარა – მის თვალებში ისეთი განცდა იყო აღბეჭდილი, რომლის მსგავსი არასდროს მენახა. „რაღაც უნდა გითხრათ, მაგრამ არ გეწყინოთ. მე წავალ რა, აღარ შემიძლია, არ მინდა, აქ მოვკვდე. ვერ ხედავთ, მოწინააღმდეგე უკვე შიგნით შემოვიდა და სადაცაა დაგვამარცხებს, ვერ ხვდებით, რომ დასახმარებლად არავინ არის ჩამომსვლელი?!“ – აღმოხდა სასოწარკვეთით.

ერთ-ერთი ყველაზე მამაცი მებრძოლი ისეთი ხმით მომმართავდა, ბრძოლას აზრი აღარ აქვსო, რომ განცვიფრება ვერ დავმალე, თუმცა არ გამკვირვებია. ასეთი რამ ნებისმიერს შეიძლებოდა დამართოდა. ყველა ვერ უძლებს სიკვდილის სიახლოვეს. თუ ადამიანს მისი შიში ერთხელ მაინც დაეუფლა და გონებაში ჩაებეჭდა, მერე შესაძლოა მუდამ იმ შიშმა მართოს. ახალგაზრდა იყო, სამი თვის წინ დაოჯახებული და უკვე შვილსაც ელოდებოდა. მისი გულგატეხილობა და სისუსტე სხვებსაც რომ არ გადასდებოდათ, შევთავაზე, ზურგისთვის მიეხედა.

საბჭოთა არმიაში მქონდა ნასწავლი, რომ ბრძოლაში ტაქტიკურ საზღვაო დესანტს აუცილებლად ქვეითთა შეტევაც უნდა მოჰყოლოდა. გუმანმა არც ამჯერად მიმტყუნა... წინა ხაზიდან მეკავშირე შეტევის დაწყებას იუწყებოდა და მეთაურისგან დახმარებას ითხოვდა.

12 საათისთვის ლესელიძის სანაპიროს მართლაც მოადგა ფოთიდან წამოსული ბარჟა და ქუთაისის ბატალიონის 50-მდე გვარდიელი ჩამოიყვანა მალხაზ ჩიხლაძის მეთაურობით. მათთან ერთად ჩამოვიდა ლაგოდეხის ასეულის 20-მდე მებრძოლი.

ქუთაისის ბატალიონის და სამხედრო პოლიციის სამმართველოს 50-50 კაცი წინა ხაზზე გავუშვი, ანდრო კალატოზიშვილის განკარგულებაში. ლაგოდეხელები მეგზურთან ერთად გრებეშოკის მთის სიმაღლისკენ გავაგზავნე ტყეში გაუჩინარებული დესანტის ზემოდან ლოკალიზებისთვის. ეს იყო და ეს.

შეთხელებული შტაბიდან, მატერიალურ-ტექნიკური და უზრუნველყოფის სამსახურებიდან შემორჩენილი ოფიცრებისა და ზემდეგებისგან, რამდენიმე სხვადასხვა ჯგუფისგან ორი ოცეული ჩამოვაყალიბე და მთის ძირას თავდაცვის პოზიციებზე დავაყენე გაუჩინარებული დესანტის ქვემოდან ლოკალიზებისთვის.

თითოეულ კაცს ვითვლიდით. თითქოს წინა დღეს მეტნი იყვნენ, მეორე დღეს კი ნაკლებნი ჩანდნენ. ხალხი სადღაც ქრებოდა. წინ უნდა წავსულიყავი, მაგრამ გონება უკან მრჩებოდა, შიშით შევცქეროდი მთის იმ ფერდობის თავს, რომელიც დაბურული ტყის მასივში გადადიოდა. ვგრძნობდი, რომ სწორედ ზურგში ჩატოვებული ეს ადგილი გახდებოდა საბედისწერო. დაძაბულობის მიუხედავად, მღელვარებას არ ვიმჩნევდი, ძალას ვიკრებდი და დავალებებს ვიძლეოდი. თანამებრძოლებს დაჭრილების საავადმყოფოში გადაყვანა დავავალე, ლოდინის რაიონში კი მეკავშირის გაგზავნის განკარგულება გავეცი. მთაზე დაბანაკებულებს სიფხიზლისკენ მოვუწოდებდი, შტაბისგან მაშველი ძალის დაჩქარებას ვითხოვდი: „აჩქარდით, ხალხო, აჩქარდით! ვისაც ძალა შეგწევთ, დროულად ჩამოდით, ნუ გაალაღებთ ათას გადამთიელს საკუთარ ქვეყანაში!“ იმედს არ ვკარგავდი, მჯეროდა, რომ ვისაც ძალა შესწევდა და სამშობლოზე გული შესტკიოდა, იარაღს აიღებდა და თავისით დაიძვრებოდა, არავის მისცემდა მამულს საჯიჯგნად.

უპირატესობას უკვე ისინი ფლობდნენ. მოწინააღმდეგე სიღრმეში იყო შემოსული, შეეძლოთ უფრო თავისუფლად, თამამად ემოქმედათ. ადგილმდებარეობასაც უკეთ იცნობდნენ, კავშირიც ჰქონდათ, ზურგიც, უკან დასახევიც და ნინ წასასვლელიც. რაც მთავარია, ჩვენგან განსხვავებით, ისინი გამარჯვებას ხედავდნენ. იმ დღეს თუ ვერაფერს გახდებოდნენ, მეორე დღეს შემოგვიტევდნენ, თუ არა და – მესამე დღეს და როცა იქნებოდა, საწადელს მაინც მიაღწევდნენ.

აფეთქების შემდეგ პაატას სუნთქვა უჭირდა, დარტყმითი ტალღის ძალით დაზიანებულ ნეკნებზე ხელს იდებდა. მეც მუხლს ზემოთ, ბარძაყში ვგრძნობდი ტკივილს, თითქოს ცეცხლი მეკიდა. დაბუჟებული ფეხის მიწაზე დადგმა მიჭირდა, ახლაღა შევნიშნე, რომ შარვალი სისხლით მქონდა შეღებილი. გაკვირვებულმა შარვალი შევიხსენი და დაბუჟებულ ადგილს დავხედე. Ф-1 ყუმბარის ნამსხვრევებს მარჯვენა ბარძაყში ოთხი ჭრილობა დაეტოვებინა. ალბათ ან მათი სიჩქარე იყო არასაკმარისი, ან ფალიას სიძველისგან მოქმედების ძალა დაეკარგა – ნამსხვრევები ბარძაყის რბილ ქსოვილში იყო გაჩერებული. დიდი ყურადღება არ მიმიქცევია. ტკივილის მიუხედავად, საავადმყოფოში ნასვლას პაატაც უარობდა. ისევ გვერდში ვედექით ერთმანეთს და ზურგს ვუმაგრებდით. ცხელი გულითა და მეომრული ჟინით ისევ წინა ხაზისკენ გავეშურეთ. იქ უკვე გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა. სასწორი შუადღემდე ორივე მხარეს თანაბრად იხრებოდა. გაგრიდან გავეშებულები გვიტევდნენ, უშიშრად და გაუჩერებლად.

დღის ორი საათი იქნებოდა, როდესაც ცაზე ქართული შვეულმფრენი გამოჩნდა. ლამაზად მოფარფატებდა. მის დანახვაზე წინა ხაზზე მყოფ მებრძოლებს სახე გაებადრათ, გული გაუნათდათ და თვალებში ცეცხლის ალი აუბრიალდათ. აჰა, სწორედ ის იყო, რასაც ბრძოლაში „ხელსაყრელ პირობას“ ეძახიან. შვეულმფრენი შეტევაზე გადმოსული მოწინააღმდეგის რაზმების პოზიციებს დაამუშავებდა და კონტრიერიშზე გადასვლის შესაძლებლობას გააჩენდა.

ბიჭები ქვემოდან გულშემატკივრობდნენ. თითქოს მათი ხმა ესმოდა, ცხვირი დასწია და მოწყვეტილივით წამოვიდა. აღტაცებული მებრძოლები თითს იშვერდნენ და ერთმანეთს აჩვენებდნენ, როგორ უახლოვდებოდა იგი ნაპირს.

უკან, შორს ჩიტისხელა ობიექტი გამოჩნდა. მოულოდნელად მისგან წამოსული ნერტილი, როგორც სახაზავით გავლებული ხაზი, ისე გამოეკიდა შვეულმფრენს. უცებ ყველასთვის ნათელი გახდა, რომ ხაზი, რომელიც უკან მოსდევდა და სწრაფად უახლოვდებოდა შვეულმფრენს, უცხო თვითმფრინავიდან გამოსროლილი რაკეტა იყო. ღმერთო, ამას ვინ მოელოდა?! ან საიდან ჰქონდათ აფხაზებს Су-27? თუ რუსი სამხედროები აფხაზებს აქამდე შეფარვით ეხმარებოდნენ და კვალს მალავდნენ, ახლა უკვე კონფლიქტში დაუფარავად ჩართულიყვნენ. სწორედ გუდაუთის რუსული ბაზიდან აფრენილი სამხედრო თვითმფრინავი უთვალთვალებდა ქართულ შვეულმფრენს (მათ ენაზე, Сели на хвост[183]) და ბოლოს ესროლა. იცოდა, რომ უცხო მაინც ვერავინ დაინახავდა, ხოლო ვინც დაინახავდა, დღის ბოლოსათვის ცოცხალი აღარ იქნებოდა. რუსული Су-27-იდან ნასროლმა სითბურმა რაკეტამ ჰაერშივე ააფეთქა ქართული შვეულმფრენი, რომელიც, ცეცხლმოკიდებული, მოცელილივით მოწყდა, წყლის ზედაპირს დაეწარცხა და ნამსხვრევებად ქცეული ზღვამ შთანთქა. საშველად მოფრენილი მამაცი მფრინავი გოგი კვესაძე უკვალოდ გაქრა.

შეძრწუნებულები შესცქეროდნენ გზაზე და მთის წვერზე საბრძოლო პოზიციებზე გამაგრებული ქართველი მებრძოლები მათ საშველად მოსული უკანასკნელი იმედის სიკვდილს. რას ვიფიქრებდი, რომ ეს ბრძოლის მსვლელობაში საბოლოო გარდატეხას შეიტანდა?! ბრძოლაში რუსების აშკარა, დაუფარავად ჩართვამ ცალკეულ მებრძოლებში ისედაც შემოპარული გულგატეხილობა და უიმედობა კიდევ უფრო გააღრმავა და დანარჩენების საბრძოლო სულისკვეთებაზეც მოახდინა ზეგავლენა.

მწარედ იმედგაცრუებული შტაბში ვბრუნდებოდი და ვცდილობდი, თავი მეკონტროლებინა, რომ მღელვარება არავის შეემჩნია. მივდიოდი, რათა გამეგო, აპირებდა თუ არა ვინმე ჩამოსვლას. ისევ ხიდთან შევჩერდი, გზის პირას, მანქანიდან გადმოუსვლელად. ბუჩქების წინ მოულოდნელად ნაცნობი დავინახე, ძველი თანამებრძოლი, შოთა ღლონტი. ხიდთან გაბნეული მებრძოლების სათითაოდ შეკრება და საყრდენი პოზიციის დაკავება ვთხოვე. შევპირდი, მალე დავბრუნდებიმეთქი. გზად ლესელიძის ჰოსპიტალში შევჩერდით პაატას მისაყვანად, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ. საველე ჰოსპიტლად გადაკეთებული საავადმყოფო დაჭრილებს ვერ იტევდა. დიდი ოთახის ერთ მხარეს მიცვალებულები ესვენა, მეორე მხარეს საკაცეებიდან დაჭრილთა კვნესა ისმოდა. ექიმთა ბრიგადა, უდიდესი დაძაბულობისა და მღელვარების მიუხედავად, ურთულეს ოპერაციებს აკეთებდა. ქირურგები – გურამ გვასალია და ამირან ანთაძე თითოეული ადამიანის სიკვდილის კლანჭებიდან გამოსახსნელად იბრძოდნენ. საავადმყოფოს შესასვლელთან გელა ჯაშიაშვილი მელოდებოდა, იმ სამხედრო პოლიციელის ძმა, დილით საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ყველა რომ გვიხსნა. მთხოვა, მისი ძმა ევაკუაციაზე დამეთანხმებინა. საოპერაციო მაგიდაზე მწოლიარე პოლიციელი წამოდგომას ცდილობდა, მეძახდა და მისვლას მთხოვდა. მის სახეზე და თვალებში სასოწარკვეთილება იკითხებოდა. სახე და ტანი ყუმბარის ნამსხვრევებით ჰქონდა დასერილი, აფეთქების ტალღისგან მძიმედ კონტუზირებულს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ენას ვერ იმორჩილებდა, სიტყვებს დანაწევრებულად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოთქვამდა. ბოდიშის მოხდას ცდილობდა და ჩემი ნებართვის გარეშე ევაკუაციაზე უარს აცხადებდა: „სარ-სარ-სარ-და-ლო, მე შე-ნი ნე-ნე-ნე-ბარ-თვის გა-რეშე ა-ქა-უ-რო-ბას არ და-და-დავ-ტო-ვებ“. კიდევ რაღაცის თქმას ლამობდა, მაგრამ

[183] Сесть на хвост (რუს.) – „კუდზე დაჯდომა“ – რუსული ჟარგონი, რომელიც მუდმივ თვალთვალს ნიშნავს.

ვერ ახერხებდა, ცრემლები სდიოდა მასაც, მის ძმასაც და მათ შემხედვარე ყველა ექიმსაც. გადავეხვიე, ხელზე ხელი მოვუჭირე, გავამხნევე. ორი სიტყვაც ვუთხარი, ყველაფერი კარგად იქნება, დროულად გამოჯანმრთელდი, რომ უკან დაბრუნება შეძლო-მეთქი. თბილისამდე თავისი ძმა გაჰყვა. მომავალი შეხვედრის იმედით ერთმანეთს დავეშვიდობეთ, თუმცა მისი ძმა აღარასდროს მინახავს – მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის სამმართველოში გადასული, ორი წლის შემდეგ, დანაშაულის აღკვეთისას კრიმინალის ხელით დაიღუპა, ისევე როგორც არაერთი სხვა ღირსეული, მამაცი სამართალდამცველი.

როგორც კი ავთო ჯორბენაძემ საავადმყოფოში მომიხელთა, ჭრილობების დამუშავება და ნამსხვრევების ამოღება დამიპირა. „რა დროს ეგ არის, ვის სცხელა მაგისთვის?!“ – ვუთხარი და გზა განვაგრძე.

იქაურობას აუღელვებელი სახით ვშორდებოდი. ვცდილობდი, მოჩვენებითი სიმშვიდე შემენარჩუნებინა. ერთი სული მქონდა, შტაბში შემევლო და მაშველი მომეკითხა – რატომ არ ჩანდა ამდენ ხანს? მინდოდა, ხმა მიმეწვდინა, ყველასთვის გამეგებინებინა, რომ ყოველი წუთი და საათი ძვირფასი იყო და ვითარება გადაწყვეტილების დროულად მიღებას მოითხოვდა, თორემ დაგვიანება შესაძლოა საბედისწერო გამხდარიყო. ხვალ უკვე გვიანი იქნებოდა. ვეღარც წინა დღეს დავაბრუნებდით და ვეღარც დაკარგულ კუთხეს, მაგრამ ჩემი არავის ესმოდა, ვერ ხედავდნენ, თუ დანახვა არ უნდოდათ, მპირდებოდნენ, მაგრამ არ ასრულებდნენ, ხალხის სიმცირით იმართლებდნენ თავს!

სავარაუდოდ, სწორედ ამ მომენტს აღწერს ჯაბა იოსელიანი თავის წიგნში, როცა ომის ქარცეცხლში მყოფი, შტაბიდან შევარდნაძეს ვესაუბრე. არსებული მძიმე ვითარება გავაცანი, შეზღუდული რაოდენობის დამხმარე ძალის ჩამოსვლის გამო უკმაყოფილება გამოვთქვი, წინა ორ დღეს ყველასგან შეპირებული და თათბირზე მოთხოვნილი საჭირო რაოდენობის მებრძოლების დროულად გამოგზავნა მოვითხოვე. აი, ამონარიდი მისი წიგნიდან „სამი განზომილება“: „შევარდნაძე ნამონითლებული ისმენს გია ყარყარაშვილის ისტერიულ ყვირილს, რომელიც ყურმილიდან ისმის. „აი, ჯაბაც აქ არის, – უყვავებს იგი, – ორ საათში 300 კაცით თქვენთან იქნება. გია, არ გინდა რა მაგისთანა რამეები...“ ყურმილს ვართმევ. ისმის: „დაგვტოვეთ, ხომ? გაგვყიდეთ, არა?“ „გია, – ვეუბნები, – დაწყნარდი. ახლავე მოვდივარ“. ის ყურს არ მიგდებს. ისევ შევარდნაძე აწყნარებს: „არ გინდა, შვილო, დაწყნარდი“.

ასე, „ისტერიკაში ჩავარდნილად“ მომიხსენებს ჯაბა იოსელიანი იმ ერთადერთ საველე მეთაურს, რომელსაც არავის თქმა არ დასჭირვებია, ისე გაფრინდა თავის ერთგულ რაზმთან ერთად გაგრის გადასარჩენად, განსაცდელში არ მიატოვა გაგრის დამცველები, მათ შორის, გაგრის „მხედრიონი“. ახლა კი ხელიდან ეცლებოდა პლაცდარმი დამხმარე ძალის ამაო მოლოდინში. თურმე ტელეფონში ვკიოდი და ვერ მაშშვიდებდნენ. თითქოს ჩემთვის ვითხოვდი რამეს!..

ჯაბა იოსელიანი იმავე წიგნში, რატომღაც, საერთოდ არ ახსენებს არც სექტემბრის მეორე ნახევარში გაგრიდან „მხედრიონთან“ ერთად გამოსვლის შემდეგ სოხუმში შემდგარ ჩვენს შეთანხმებას, როდესაც „მხედრიონის“ მორიგე ჯგუფების ოჩამჩირეში მუდმივი დისლოცირება გადაწყდა ერთადერთი მოტივით, რომ გაგრაში იერიშის განახლების შემთხვევაში ადგილობრივი „მხედრიონის“ ოპერატიულად დახმარება შესძლებოდათ.

იგი იქვე წერს: „შვილო“ არ უშველის საქმეს. გავრბივარ აეროპორტში. იქ 250 „მხედრიონელი“ უკვე თვითმფრინავში ჯდება...“ თუმცა ეს მხოლოდ ცარიელი სიტყ-

ვებია, იმ ავბედითი ბრძოლებიდან წლების შემდეგ დაწერილი, სიმართლე კი ის არის, რომ 2 ოქტომბერს, საღამოს მე და ჩემი „თეთრარწივილები“ „ორბელებთან“ ერთად ლესელიძეში ჩავფრინდით, ჯაბა იოსელიანისგან კი არავინ ჩამოსულა.

ღრმად ჩაფიქრებული ისევ წინა ხაზისკენ გავეშურე. ყველაზე მეტად კვლავ ხოლოდნაია-რეჩკასთან გაუჩინარებული დესანტის ამბავი მაწუხებდა, რომელიც ამ უკიდეგანო, უღრან ტყეში დილით უკვალოდ გაქრა. ყოველი ხის, ყოველი ბუჩქის უკან შეეძლოთ ჩასაფრების მოწყობა. ტყე იყო გასაწმენდი, მაგრამ როგორ, რით, რა ძალებით?! როგორ ვნატრობდი თუნდაც ქვეითთა ერთ ასეულს, კარგად გაწვრთნილსა და ნავარჯიშებს, საბრძოლო მომზადების ერთთვიანი კურსი მაინც რომ ჰქონოდა გავლილი, ან საერთო საჯარისო ქვეითი სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებულ თუნდაც ერთ-ორ ოფიცერს, რომელსაც ექნებოდა ასეულის (ოცეულის) თავდაცვაში და შეტევაში მოქმედების ცოდნა. თუმცა ეს ის ადგილი არ იყო, სადაც უნდა გეოცნება და რამე გენატრა. იმით უნდა გვეომა, რაც გვქონდა და რაც ხელთ მოგვხვდებოდა.

ხოლოდნია-რეჩკის ხიდთან შოთა ღლონტი მელოდებოდა თავის მებრძოლებთან ერთად, ტყის მასივის გასაწმენდად. ყოველთვის ასე ხდებოდა – შოთა იქ ჩნდებოდა, სადაც ყველაზე რთული ბრძოლა იყო მოსალოდნელი. მუდამ დინჯი, თავდაჯერებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. იმ დღეს რაღაც განსხვავებული მეჩვენა, სახე აჭრილი ჰქონდა, თვალები საშინლად არეული... უსიამოვნო განცდა დამეუფლა, მაგრამ ვცდილობდი, არ შემემჩნია.

ბრძანებით არა, თხოვნით მივმართე, მეგობრულად, რომ თავისი ოცამდე მებრძოლით იქნებ ჩრდილოეთის ფერდობის გასაწმენდად წასულიყო. დინჯად, აუჩქარებლად, ფრთხილად უნდა ემოქმედათ. ნაბიჯ-ნაბიჯ ევლოთ, შეიძლებოდა ყოველი ბუჩქის ძირას, ყოველი ხის უკან ჩასაფრებულებს გადასწყდომოდნენ. ცოტა კიდევ უნდა გაეჭირვებინათ, ვიდრე დამხმარე ძალა მოვიდოდა. იმედს ვუსახავდი.

„შენ არ ინერვიულო, ყველაფერს მივხედავთ“, – დარწმუნებით დამაიმედა. შემდეგ მებრძოლებისკენ მიტრიალდა, წავედითო, უთხრა და მაღლობისკენ პირველმა თვითონ გასწია. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ კიდევ ერთხელ შემომხედა, თითქოს თვალებით რაღაცას მანიშნებდა, იღიმებოდა კიდეც. უკნიდან შევცქეროდი ჩქარი ნაბიჯით ტყისკენ მიმავალთ, სანამ დაბურულმა ტევრმა ყველა სათითაოდ არ შთანთქა. თურმე უკანასკნელად ვხედავდი. მას შემდეგ შოთა ღლონტი არც მკვდარი და არც ცოცხალი აღარავის უნახავს, უგზო-უკვლოდ დაიკარგა, სამუდამოდ გაქრა. რამდენი ასეთი თავდადებული რაინდი დარჩა სამარის გარეშე!

წინა ხაზიდან ისევ საგანგაშო ინფორმაცია მოდიოდა, გზის პირას, საყრდენ პუნქტში გამაგრებული ჯგუფები იტყობინებოდნენ, რომ დიდხანს ვეღარ გაუძლებდნენ და ზემოთ, ფერდობებისკენ აწევის ნებართვას ითხოვდნენ. რამდენიმე საათი უნდა გაგვეძლო, ჯერ კიდევ მქონდა იმედი, რომ ამასობაში დამხმარე ძალაც მოაღწევდა. ამის შემდეგ კი, როგორც ჩაფიქრებული მქონდა, ზემოთ, მთაში გადამალულ ჩრდილოეთის დაჯგუფებას ზემოდან დავძრავდი და იერიშზე გადმოსულ მოწინააღმდეგეს პირდაპირ ზურგში მივაყენებდით დარტყმას. აი, მერე ნახავდნენ, როგორ მოუტრიალდებოდათ საკუთარი მზაკვრობა. იხტიბარს ჯიუტად არ ვიტეხდი. ბრძოლის ჟინით ანთებული, ჩანაფიქრის შესრულებაში წმინდა გიორგის შევთხოვდი შველას, ძალასა და მხნეობას ვევედრებოდი მეომართათვის.

გზა განვაგრძეთ. საჭესთან გაბრო ჩერქეზიშვილი იჯდა, ჩემი მეზობელი და მეგობარი. გაგრის შტაბში ავტოსატრანსპორტო სამსახურს ხელმძღვანელობდა, თუმ-

ცა უკვე აღარც ავტოტრანსპორტი ჰყავდა და აღარც ტექნიკა. ახლა „გაზ-24“-ით წინა ხაზისკენ მივყავდი. მხოლოდ მაშინ ვიგრძენი დაღლილობა. დილის 6 საათიდან მუხლი არ მქონდა მოხრილი. სალონში ჩამდგარმა სითბომ მომთენთა, მესიამოვნა სითბოც და მოსვენებაც. გზაზე ტყიდან გამოსული ორი მებრძოლი შევნიშნე. ერთ-ერთი სამხედრო პოლიციის მეთაური ზურა ასლანოვი იყო. წუთიერ სისუსტეს ვძლიე და გაბროს მანქანის შეჩერება ვთხოვე. ნათქვამია, გაჭირვებულს ქვა აღმართში დაეწიაო. გაჩერება ვერც მოვასწარით, რომ უკნიდან დიდი სიჩქარით მომავალი УАЗ-452А – „ტაბლეტკა“– შემოგვასკდა. მოულოდნელმა ძლიერმა დარტყმამ მანქანის წინა შუშას მიგვანარცხა. თვალთ დამიბნელდა და წამიერად გონება დავკარგე. უცებ ვერ მივხვდი, რა მოხდა – ჩასაფრებაში მოვყევი თუ სხვა რამ? მანქანიდან ნახევრად ჩაკეცილი, მძიმედ გადმოვედი, საშინელი ტკივილი მაწუხებდა და წელში მტეხდა.

ისეთი სიჩქარით მოდიოდა, თითქოს უკნიდან ვინმე მოსდევდა. სინამდვილეში არავინაც არ მოსდევდა. იცოდა, რომ დესანტის ტყეში გაუჩინარების შემდეგ გზაზე სიარული უსაფრთხო აღარ იყო და შეიძლება ჩასაფრება ყოველ მეტრში ყოფილიყო, ამიტომ მოქროდა, მაგრამ გაჩერებული მანქანა ხომ უნდა დაენახა?! რა მოხდა, რატომ ვერ დაინახა? წესით, უნდა დაენახა, ვინ იცის, იქნებ კაიფშიც იყო. მინდოდა, გამელანძღა, რაღაც მწარე მეთქვა, რომ თავისი უყურადღებობით და უნებისყოფობით მტრის გასაკეთებელ საქმეს თვითონ აკეთებდა. სასოწარკვეთისგან ცოცხალ-მკვდარი იყო, მიტკლის ფერი ედო, ისე განიცდიდა თავის დაუდევრობას. იდგა თავჩაქინდრული, ისევ თვალდახუჭული, ოღონდ ამჯერად სირცხვილისაგან. ამის შემხედვარეს მრისხანებამ გადამიარა. ომში, გაჭირვების ჟამს, როდესაც თითო მსროლელს ითვლი, ნარკოტიკზე დამოკიდებული მებრძოლიც ღირებულია, ამიტომ თავი დავანებე და ზურა ასლანოვს მის თავდაცვის ზღუდეებზე მდგომარეობა გამოვკითხე.

ნელ-ნელა მზემ დასავლეთისკენ იწყო გადახრა, უკვე ნისლიც წვებოდა. წინ, უკან, ზევით, ქვევით, მთაში თუ გზაზე – ყველგან ბრძოლა მიმდინარეობდა და სროლის ხმა ისმოდა. ნისლსა და აფეთქებების კვამლში იყო გახვეული ყველაფერი. იქით, წინა ხაზზე, სანატორიუმ „უკრაინის“ მისადგომებთან გამაგრებულები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ პოზიციას. ზურგში, ხოლოდნაია-რუჩკასთანაც გრძელდებოდა გაუჩინარებული დესანტის ძებნა, თუმცა უშედეგოდ. აფეთქებების ხმა ისმოდა ჩრდილოეთით, მთაში დაბანაკებულთა პოზიციებიდან, მაგრამ აღარაფერი ვიცოდი და ვეღარ ვხვდებოდი, იქ რა ხდებოდა. წესით, იქ ბრძოლა არ უნდა ყოფილიყო. ერთი სული მქონდა, გამეგო, მაგრამ მათთან რადიოკავშირი არ მყარდებოდა. ისინი სრულიად მოწყვეტილები აღმოჩნდნენ ყველასგან. სხვადასხვა მხრიდან აფეთქებების ექო და ერთმანეთთან გაწყვეტილი კავშირი მეომრებში გაურკვევლობას იწვევდა და მათ საბრძოლო შემართებას ასუსტებდა.

მაშველი ისევ არ ჩანდა. განცვიფრებას იწვევდა, რატომ არ ჩანდნენ, რატომ არ რეკავდნენ თბილისში განგაშის ზარებს? სამი დღე ვითხოვდი, მპირდებოდნენ, მაგრამ 160 კაცის მეტი არავინ გამოჩენილა. თითქოს ჩემთვის ვითხოვდი რამეს და ეს დალოცვილი გაგრა მარტო ჩემი ყოფილიყოს! ყველაზე მეტად ახლა გვიჭირდა. მთელი დაჯგუფება ყველა მხრიდან რკინის სალტეში ვიყავით მომწყვდეული, სასწრაფოდ გვჭირდებოდა დამხმარე ძალა, თორემ დაიკარგებოდა ეს ულამაზესი კუთხე.

მუდმივად ორი Су-27 თვითმფრინავი დაგვტრიალებდა თავზე, ჩვენი რაზმების გადაადგილებას აკვირდებოდა და კოორდინატებს საცეცხლე პოზიციებს გადას-

ცემდა. საარტილერიო სისტემები და ნაღმსატყორცნები წინა ხაზს ისე ამუშავებდა, როგორც სახმელეთო არტილერიის სროლისა და ცეცხლის მართვის სახელმძღვანელოში იყო აღწერილი. მთაგორიანი რელიეფი და ტყე-ბუჩქნარი მოწინააღმდეგეს მანევრირების დიდ შესაძლებლობას აძლევდა, ფართო არეალს უხსნიდა და თავდაცვით ზღუდეებზე გამაგრებულების წინააღმდეგ დიდ უპირატესობას ანიჭებდა. მძიმე შეიარაღების გარეშე, მხოლოდ მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღის ამარა დარჩენილ ქართულ ოცეულებს ძალა არ შესწევდათ, მოწინააღმდეგის საარტილერიო სისტემებისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლი ჩაეხშოთ. მასირებული ცეცხლის ქვეშ გახელებულ ბრძოლაში წინა ხაზმა და საყრდენი პუნქტის სიმტკიცემ თანდათან მოშლა დაიწყო. ბუნებრივ თხრილებსა და მაღლობებს შეფარებული მებრძოლები ფსიქოლოგიურად ითრგუნებოდნენ, საარტილერიო ცეცხლის ქვეშ და ტყვიების წვიმაში ზევით მიიწევდნენ და ტყეებისა და ფერდობებისთვის ცდილობდნენ თავის შეფარებას. თავდაცვის პირველი საყრდენი პუნქტი ნელ-ნელა ცარიელდებოდა. მისი ჩამოშლის შემდეგ ბრძოლა უკვე გრებეშოკის პირას, სახელდახელოდ მომზადებულ ახალ ზღუდეზე მიმდინარეობდა. პირველ და მეორე თავდაცვით ზღუდეებზე განლაგებულ მცირერიცხოვან ჯგუფებს შორის მართვა და კავშირი სრულიად დაკარგული იყო.

ვცდილობდი, ყველგან ვყოფილიყავი, წინ და უკან დავქროდი. როგორმე მებრძოლები უნდა გაგვემხნევებინა, თუმცა ვინ იცოდა, სად იყო აქ „წინ“ და სად – „უკან“?! ახლა უკვე გრებეშოკის მთის ძირას, წინასწარ მომზადებულ ზღუდეზე ვცდილობდი მოწინააღმდეგის წინსვლის შეკავებას, თუნდაც დროებით. თანაც თვალი მალიმალ უკან გამირბოდა. ერთი სული მქონდა, მაშველი ძალის ამბავი მეკითხა, თორემ დაუხმარებლად პლაცდარმს დიდხანს ვეღარ შევინარჩუნებდით და აუცილებლად დავმარცხდებოდით.

სამიოდე კილომეტრით უკან დახევა ნაკლებად მადარდებდა, მთავარი იყო, მათ მოსვლამდე სიმაღლეები შეგვენარჩუნებინა. იმედს მაინც არ ვკარგავდი, რომ დასახმარებლად აუცილებლად წამოვიდოდნენ, მაგრამ რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო მეტად მეპარებოდა ეჭვი, რომ ვინმე მოგვეშველებოდა. დრო იყო, მივმხვდარიყავი, რომ მშველელს ტყუილად ველოდი. ყველამ გატეხა მოცემული სიტყვა და ბრძოლაში მარტოდმარტო ჩაგვტოვეს. ნუთუ ამაოდ სწირავს თავს ამდენი მებრძოლი და მაინც ვერ ვახერხებთ ჩვენი სამშობლოს ულამაზესი კუთხის შენარჩუნებას?! სიმწრის ცრემლებს ძლივს ვიკავებდი.

უკანასკნელ იმედად ჩრდილოეთით, ზურგში ჩასაფრებაში საგულდაგულოდ გადანახული რაზმი მრჩებოდა. სწორედ მათკენ ვაპირებდი გაჭრას. ასე მქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ იმ დროს ბედისწერის ჩარხი უკვე ჩემ საწინააღმდეგოდ, უკუღმა ტრიალებდა. გზის მთელ პერიმეტრზე მიმდინარე გააფთრებული ბრძოლების ბათქაბუთქს მთების ექო რამდენჯერმე იმეორებდა. ერთი მხრივ, სროლის ხმა მთაში დაბანაკებულებთან სულ უფრო ახლოს ისმოდა, მეორე მხრივ, ზურგში, ხოლოდნაია-რეჩკის მხრიდან გაგონილი აფეთქებების ხმა ინფორმაციის გარეშე დარჩენილებს საერთოდ აბნევდათ და მოწინააღმდეგის და თავისიანის ადგილსამყოფელს ერთმანეთისგან ვეღარ არჩევდნენ. ამ ყველაფერმა სახელდახელოდ ჩამოყალიბებული ასეულის მებრძოლებში დეზორგანიზაცია შეიტანა და მათ სრულ საბრძოლო მზადყოფნაზე გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინა. ნაცვლად იმისა, რომ ძალა მოეკრიბათ და კარს მომდგარი ბრძოლისთვის ფსიქოლოგიურად მომზადებულიყვნენ, იმ დროს, როდესაც საბედისწერო წუთი ახლოვდებოდა, უნაყოფო მსჯელობასა და

კამათს იწყებდნენ: რა ჯობდა, როგორ ჯობდა, როგორ მოქცეულიყვნენ... გაგრაგამოვლილები ერთ ადგილზე დგომასა და მოწინააღმდეგესთან პირისპირ შეხვედრაზე უარს ამბობდნენ. ადგილზე დარჩენასა და ლოდინზე, როგორც გეგმა ითვალისწინებდა, „თეთრ არწივში“ ახლად გადმოსულთა ჯგუფმაც უარი განაცხადა და ზემოთ აწევა მოითხოვა. ჩემ მიერ მონიშნული ადგილიდან ფეხის მოცვლაზე უარი მხოლოდ ძველებმა თქვეს და სხვებსაც იგივე მოსთხოვეს. დიდხანს იკამათეს, საბოლოოდ კი ერთ მუშტად შეკრული დაჯგუფება სამ ნაწილად დაიშალა. როგორც ერთი იგავის პერსონაჟები – ერთნი უკან დახევას, მეორენი ზემოთ აწევას, ხოლო მესამენი ადგილზე ყოფნას ამჯობინებდნენ. დაახლოებით 20-25-კაციანმა ორმა ჯგუფმა თავისი გადაწყვეტილება სიფრთხილით გაამართლა და ლოდინის რაიონი დატოვა. ამით მათ სამხრეთ-დასავლეთის ფლანგი მოაშიშვლეს. აზრთა სხვადასხვაობას და სიფრთხილეს, რითაც ისინი ბრძანების წინააღმდეგ წასვლას და ზევით, ურთიერთსაპირისპირო მხარეს აწევას ამართლებდნენ, სინამდვილეში ომში სისუსტე და ურჩობა ჰქვია. თითქოს დავიწყებოდათ წინა დღით მიღებული დავალება, რომ ჩემს მისვლას უნდა დალოდებოდნენ.

რომ სცოდნოდათ, როგორ მეიმედებოდნენ!.. სამწუხაროდ, ასეულის სამეთაურო რგოლში არ იყო არცერთი სამხედრო საქმის მცოდნე კადრის ოფიცერი, რომელიც ჩემს დანაბარებს – „მოახლოებული საფრთხისთვის მომზადებულიყვნენ და ფხიზლად ყოფილიყვნენ!“ – სათანადოდ შეაფასებდა და ასეულს სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანდა; ლოდინის რაიონს ნრიული თავდაცვისთვის მოამზადებდა, ოცეულებს საყრდენ პუნქტებზე განალაგებდა, მათ ყველას თავის თავდაცვის ზღუდეზე სროლისა და განსაკუთრებული ყურადღების სექტორებს განუსაზღვრავდა; მეთვალყურეებს წინ გაწევდა და მათ ადგილსამყოფელს შენიღბავდა.

ნაცვლად ამისა, ცხარე კამათის შემდეგ ზეგანზე განლაგებული ძირითადი ჯგუფის გაყოფით გაღიზიანებული და ზედმეტად თავდაჯერებული ორმოცდაათამდე ძველი „თეთრარწიველი“, ჩემი ძმის მეთაურობით, მხოლოდ აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან მოსალოდნელ თავდასხმაზე იყო კონცენტრირებული. აქეთ, ორასიოდე მეტრის დაშორებით, რომელიღაც ნარკოდამოკიდებული მებრძოლი დარდის გასაქარვებლად და ნერვების დასამშვიდებლად „ნამალს“ ხარშავდა. იქით ვიღაცა, ყურადღებამოდუნებული, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და თავის ადგილსამყოფელს ააშკარავებდა. მოკლედ, ყველაფერს აკეთებდნენ, გარდა იმისა, რომ საბედისწერო წუთის მოახლოება ეგრძნოთ. ამ დროს რუსულ-ჩეჩნური დაჯგუფება მთებიდან, საპირისპირო მხრიდან დაესხათ თავს. მოულოდნელობის ეფექტმა შედეგი გამოიღო და მტერმა მოუმზადებელ მოწინააღმდეგეზე ლოკალურ ბრძოლაში სრული უპირატესობა მოიპოვა. საბრძოლო წყობა მოიშალა, მეომრები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. ზოგმა ჩრდილოეთით, ზოგმა სამხრეთით, ზოგმა დასავლეთით სროლით დაიხია უკან.

სწორედ იმ დროს მათგან სამხრეთით, სულ რაღაც სამ-ოთხ კილომეტრში, გრებეშოკის მთის ძირას, გზაზე უკანასკნელი ძალებით წინა ხაზის გამაგრებას ვცდილობდი, მერე კი, როგორც დაგეგმილი იყო, თვითონ ვაპირებდი ჩრდილოეთის დაჯგუფებასთან ასვლას. გაცხარებული ბრძოლა მიმდინარეობდა, როდესაც ჩემი ყურადღება ბურგს უკან ატეხილმა ჩოჩქოლმა მიიპყრო.

მთებიდან გზაზე გამოსულ რამდენიმე მებრძოლს დანარჩენები გარს შემორტყმოდნენ და მათ ნაამბობს უსმენდნენ. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მათთან ერთად ყოფილი 28-ე ბატალიონიდან ცხინვალის ამბების დროს

„თეთრ არწივში“ გადმოსული ერთ-ერთი მეთაური გია მარგებაძე დავინახე. ფეხში იყო დაჭრილი, ბიჭები ეშველებოდნენ და გრებეშოკის მთიდან ქვემოთ ხელით ჩამოჰყავდათ. სწორედ მისგან გავიგე, რომ მოწინააღმდეგეს მათთვისაც დაერტყა.

– რა მოხდა, რატომ დახვდით მოუმზადებლები? – გაბრაზება ვერ დავმალე.

– ზურგიდან მოგვიარეს და მოულოდნელად დაგვესხნენ, – თავს იმართლებდა დაჭრილი.

ამ სიტყვებმა თავზარი დამცა. ზემოთაც შეუტიეს!!! ყურებს არ ვუჯერებდი, ნუთუ უკანასკნელი იმედიც მოკვდა? – საკუთარ თავს მივმართავდი სასოწარკვეთილი. მინდოდა, ზუსტად გამომეკითხა, რა და როგორ მოხდა, თუმცა ვგრძნობდი, რომ კიდევ რაღაც ჰქონდა სათქმელი, მაგრამ ჯერ არ ამბობდა, თავს იკავებდა. მივხვდი, რომ რაღაც ცუდი უნდა ეცნობებინა. თქვი, მაგ სიჩუმით ნუ მაწვალებ-მეთქი, ვუთხარი უსიამოვნო წინათგრძნობით. გორა დაჭრეს, შუადღემდე იცოცხლა და გარდაიცვალაო, როგორც იქნა, ამოღერღა გიამ.

უძრავად ვიდექი. აღარ ვიცოდი, ვინ მეგლოვა, რომელი მედარდა – გარდაცვლილი ძმა თუ მშობლიური მიწა-წყალი...

ჩრდილოეთის დაჯგუფების განადგურების ამბავმა საბოლოოდ გატეხა ჯარისკაცთა საბრძოლო შემართება და სულიერი სიმტკიცე. თავდაცვის სხვადასხვა ზღუდესა თუ საყრდენ პუნქტზე გამაგრებული ჩვენი მებრძოლები, ყველა მხრიდან ალყაში მოხვედრილები, მოწინააღმდეგისა და თავისიანის ადგილსამყოფელს ვეღარ არკვევდნენ, ერთმანეთთან კავშირს ვეღარ ამყარებდნენ. საბრძოლო წყობა და წესრიგი მოიშალა, ხოლო მართვა საბოლოოდ დაიკარგა. სრული, ყოველმხრივი საბრძოლო უზრუნველყოფის გარეშე დარჩენილი მოხალისეთა ჯგუფები გუდაუთის რუსულ სამხედრო ბაზაზე მედესანტეების მიერ კარგად მომზადებულ ბასაევის დაჯგუფებას და აფხაზების მხარეზე მებრძოლი საბჭოთა არმიის თადარიგის ოფიცრების მიერ მაღალ დონეზე ორგანიზებულ რაზმებს სათანადო წინააღმდეგობას ვეღარ უწევდნენ. თითოეული მათგანი ფიქრობდა, რომ მის გვერდით, ზღუდეზე სხვა აღარავინაა, იქაურობა დატოვა ან დაიღუპა, მხოლოდ ის დარჩა საყრდენ პუნქტზე მარტოდმარტო და თუ დროულად უკან არ დაიხევდა, შესაძლოა ტყვედ ჩავარდნილიყო. თავის გადასარჩენად, ნებისყოფასა და ნერვებთან ბრძოლაში დამარცხებულები, გზიდან სიმაღლეებისკენ იწევდნენ და ტყეებში იკარგებოდნენ.

ქართველ ჯარისკაცთა სისუსტე წმინდად ფსიქოლოგიურ ფენომენს წარმოადგენდა. მათთვის გამარჯვება წინა ხაზზე მოწინააღმდეგის შეკავება იყო, მაგრამ ამას რამდენ ხანს შეძლებდნენ – ერთი დღე? ორი? რამდენი?

გამარჯვებაში დარწმუნებული მოწინააღმდეგე უფრო მეტი შემართებით იბრძოდა. ამისათვის სულ რაღაც ათიოდე კილომეტრით წინსვლა და საზღვრამდე მისვლა კმაროდა. იმ დღეს თუ ვერ მოახერხებდნენ, ძალას მოიკრებდნენ და მეორე დღეს შეუტევდნენ, თუ არა – მესამე დღეს და მიზანს მაინც მიაღწევდნენ, რადგან სასტიკად და თავდაუზოგავად იბრძოდნენ. ჩვენ კი სისხლისგან ვიცლებოდით.

ჯარისკაცივით წინა ხაზზე ვიბრძოდი. პირადი მაგალითით ვცდილობდი თანამებრძოლთა გამხნევებას, მაგრამ სადღა იყო ძალა და სიმტკიცე?! მეთაურზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მაგრამ სხვა იარაღი მას არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ ჯარისკაცების სიცოცხლე შესწიროს და თვითონაც თავი დადოს ბრძოლის ველზე, რადგან საბოლოოდ ომს მხოლოდ ასე იგებენ – თავგანწირვის, სიკვდილის ფასად.

ყოველი მათგანისთვის თავგანწირვაც პატივი იქნებოდა, თუ ეცოდინებოდათ, რომ მიწის თუნდაც პატარა ნაგლეჯს შეინარჩუნებდნენ, მაგრამ გარდაუვალ მარცხში დარწმუნებულ მებრძოლთა ერთ ნაწილს უაზროდ თავგანწირვის სურვილი აღარ ჰქონდა, რადგან ამით პლაცდარმს მაინც ვერ გადაარჩენდნენ. ყველგან ბრძოლა მიმდინარეობდა და სროლის ხმა ისმოდა – გზაზე, ტყესა და მთაში. ვინც უკან დახევაზე უარი თქვა, ჯერ კიდევ იბრძოდა, თუმცა ისინი ყოველწუთიერად ცოტავდებოდნენ, მცირერიცხოვან ჯგუფებსა და გათითოკაცებულ მებრძოლებს მთაგორიანი რელიეფი სათითაოდ ყლაპავდა და მოწინააღმდეგისთვის იოლ სამიზნედ ხდიდა.

საკუთარ თავს ვამხნევებდი, მაგრამ რაც უფრო ახლოვდებოდა საღამო, მით უფრო მიპყრობდა მოუსვენრობა, მით უფრო მაწვალებდა აზრი, რომ ყველაფერი დამთავრდა. ხშირ-ხშირად ზემოთ, ცისკენ ვიხედებოდი და უფალს შევთხოვდი შველას, მაგრამ იმ დღეს არც ღმერთი იყო ჩვენი შემწე. თითქოს ცასა და მიწას პირი შეეკრათ და ზურგი შეექციათ, ხსნა არსაიდან იყო, მშველელი არსად ჩანდა. შევცქეროდი ჩემი მრავალჭირნახული სამშობლოს საბრალო კუთხეს, სასიკვდილოდ განწირული ნელ-ნელა როგორ გვეცლებოდა ხელიდან და გული მიკვდებოდა. ჩემიანების უმოქმედობა იყო მიზეზი, რომ ვმარცხდებოდით და არა მოწინააღმდეგის ძლიერება. მინდოდა, ხმამაღლა მეყვირა, იქნებ ასე მაინც მიმეწვდინა ხმა, ყველასთვის მეცნობებინა თავზარდამცემი ამბავი – „ეს თქვენი სამშობლო იწვის!“[184] ჩემ თვალწინ ნელ-ნელა იკარგებოდა მშობლიური მიწა, მისი განუყოფელი ნაწილი, მაგრამ ვერავის ვაგონებდი.

საღამოსთვის თვალებში ცეცხლმა, ხმაში კი სიმტკიცემ იკლო. ბრძოლით დაღლილი ფეხზე ძლივსღა ვიდექი. თავს გაჭირვებით ვიმაგრებდი. როდესაც უკანასკნელი იმედი იწურება და თვალწინ ამდენი სისხლი იღვრება, როდესაც ხედავ, როგორ დავიწროვდა ცეცხლის რკალი, გესმის მომაკვდავთა უკანასკნელი გმინვა და სამარცხვინოდ მარცხდები, როგორ უნდა აიყვანო თავი ხელში?!

მოსაღამოებასთან ერთად ჩვენ მიერ კონტროლირებადი პლაცდარმი სულ უფრო ვიწროვდებოდა და პატარავდებოდა. უკან დასახევი ყველა გზა მოჭრილი გვქონდა. ის დრო იყო, მოახლოებული მარცხისთვის თვალი გამესწორებინა.

ლესელიძეში ფიქრებით დამძიმებული ვბრუნდებოდი და სიკვდილ-სიცოცხლის გზაჯვარედინზე მდგარი, გულის ხმას მინდობილი, სწორ გადაწყვეტილებას ვეძებდი. არჩევანი დიდი არ იყო: თავლაფდასხმული სიცოცხლე, დამამცირებელი ტყვეობა ან მოწინააღმდეგისთვის ჩემი ცხედრის ხილვით სიხარულის მინიჭება. ბარჟაზე ავსულიყავი, ბრძოლის ველიდან სამარცხვინოდ გავქცეულიყავი და თავი გადამერჩინა, სიცოცხლე გამეხანგრძლივებინა? არა! სადღაც მთებსა და ხევებში დაუმარხავად მიმეტოვებინა ჩემი ერთგული თანამებრძოლები, მკვდარი ძმა, ბიძაშვილი, მეგობარი? არა! მერჩია, ისევ იქ ვმდგარიყავი და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მებრძოლა. არც სიკვდილის მეშინოდა, პირიქით, პატივიც იქნებოდა, თუ ბრძოლის ველზე დავეცემოდი, მაგრამ სიფრთხილე მმართებდა. არავითარ შემთხვევაში მოწინააღმდეგეს ხელში ცოცხალი არ უნდა ჩავვარდნოდი... არც მკვდარი, რადგან ცხედარს, როგორც გამარჯვების ნადავლს, ისე „ააფრიალებდნენ“ და გამარჯვების ზეიმზე არემარეს ღრეობით გააყრუებდნენ. ამას სჯობდა, სამარე საკუ-

---

[184] გია ყარყარაშვილის პირველი წიგნი „ეს ჩვენი სამშობლო იწვის“ 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკულ მოვლენებსა და რუსეთ-საქართველოს ომის მსვლელობას ასახავს. წიგნში დაბეჭდილია ოთარ ჭილაძის წერილიც, რის უფლებაც ავტორმა მწერლისგან მისი სიცოცხლის ბოლო დღეებში მიიღო და წიგნის სათაურადაც ოთარ ჭილაძის სიტყვები შეარჩია...

თარი ხელით გამეთხარა და თავი ღრმად ჩამემარხა, რათა მათთვის ეს სიხარული არ მიმენიჭებინა. ურთულეს მდგომარეობაში ვიყავი...

ამ მწარე ფიქრებიდან დაბა განთიადის გზაგასაყართან შეკრებილი ძველი თანამებრძოლების დანახვამ გამომიყვანა. გზაჯვარედინზე კობა დიასამიძის 12-მდე „შავავაზელს“ და მალხაზ ჩიხლაძის 20-მდე ქუთაისელ გვარდიელს მოეყარა თავი. ვერ გადაეწყვიტათ, დარჩენილიყვნენ თუ ბარჟით ფოთისკენ ან ფეხით ადლერისკენ წასულიყვნენ. კობა ბავშვობიდან მახსოვდა, ერთ სკოლაში, პარალელურ კლასებში ვსწავლობდით. მას შემდეგ არ მენახა. მხოლოდ რვა თვის წინ, თებერვალში გვარდიის სარდლად დანიშვნის შემდეგ გავიგე, რომ „შავი ავაზას“ პატრიოტთა ჯგუფს მეთაურობდა. მალხაზი კი, რომელსაც ჯერ კიდევ ეროვნულ გვარდიაში დავუმეგობრდი და შეპირებულიც ვიყავი, რომ მისი შვილი უნდა მომენათლა, ქუთაისის ბატალიონში ირიცხებოდა. გამიხარდა მათი ნახვა. ვიცოდი, უარს არ მეტყოდნენ. თხოვნით მივმართე, განთიადის შესასვლელთან კიდევ ერთი, უკანასკნელი ბრძოლა გაგვემართა. შევთანხმდით, რომ ორმოც წუთში შევხვდებოდით და ჰოსპიტლისაკენ გავემართე.

არსებული ვითარების გამო აუცილებელი იყო დაუყოვნებლივ მოსახლეობის სრული ევაკუაცია, საავადმყოფოდან დაჭრილებისა და გარდაცვლილების გაყვანა. ამავე დროს, სათითაოდ დავეძებდი შეიარაღებულ პირებს, ვესაუბრებოდი და უკანასკნელ ბრძოლაში მონაწილეობას ვთხოვდი.

გივი კვანტალიანი დაბაში ჯერ კიდევ დარჩენილი ლესელიძელების გახიზვნას ხელმძღვანელობდა, პოლკოვნიკი მარინაშვილი – ბარჟის მომზადებას, ავთო ჯორბენაძე – დაჭრილთა და დაღუპულთა ევაკუაციას, ხოლო ადგილობრივი მილიციის უფროსს გურამ შენგელიას საბუთების განადგურება – შტაბის დოკუმენტაციის დაწვა დაევალა. ჰოსპიტალს, სადაც ექიმები და ექთნები დაჭრილებს შეუსვენებლად თავს დასტრიალებდნენ, ნელ-ნელა სროლისა და აფეთქების ხმა უახლოვდებოდა. საშინელი მოსასმენი იყო დაჭრილთა კვნესა, რომლის ფონზე ნერვიული დაძაბულობა შეინიშნებოდა.

– აქ ხომ არ დაგვტოვებთ? – კითხულობდნენ დაჭრილები.

– როგორ გეკადრებათ?! – ჩვეული ღიმილით ამშვიდებდა ავთო ჯორბენაძე.

ჩქარობდნენ, უკანასკნელი ბარჟა გასასვლელად ემზადებოდა. დაბა დღის განმავლობაში მოსახლეობისგან ისედაც იცლებოდა. სასაზღვროდ გაშენებული საქართველოს ბოლო დასახლებული პუნქტი ქართველებისაგან თანდათან სრულიად დაიცალა. დარჩენილი ქართველები საღამოს პირზე ლესელიძეში, შტაბის წინ შევიკრიბეთ. იქ იყრებოდა ჩვენი გზები. კვანტალიანი, ავთო და სხვები ავტომანქანებით ადლერისკენ უნდა წასულიყვნენ, ხოლო უკანასკნელი ბარჟა ნავსადგურში ჩემს მისვლას ელოდა. მაშინღა გავუმხილე ავთოს, რომ მე ვრჩებოდი და თუნდაც უკანასკნელი ვყოფილიყავი, იქ ვიდგებოდი ბოლო წუთამდე, ფეხს არ მოვიცვლიდი. ვერც თავს შევირცხვენდი და ვერც სამშობლოს შევარცხვენდი. თუ გადავრჩებოდი, ჩრდილო-დასავლეთისკენ მქონდა განზრახული წასვლა ბრძოლის ველზე დაცემული გარდაცვლილების მოსაძებნად, მათთან გამოსამშვიდობებლად, გასაპატიოსნებლად, მიწისთვის მისაბარებლად. ამის მეტს ვეღარაფერს ვფიქრობდი. მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, მათკენ მიმავალ გზას დავდგომოდი.

– მე ვრჩები, თქვენ წადით, აქ დარჩენა საჭირო აღარ არის, – ჯერ გვერდით მდგომ ბაჩი ხვიჩიას მივუტრიალდი და ავთოს გასაგონად მას მოვთხოვე ბარჟით

გამგზავრება. ჯობდა, არ მეთქვა, რადგან ჩემი სიტყვები უადგილო და დამამცირებელი იყო. ერთგული ადამიანი ამას არ იმსახურებდა. წამსვლელი დიდი ხანია უკვე წასული იყო, გამქცევი – გაქცეული.

– ხომ იცი, რომ არსად წავალ, არ დაგტოვებ! – გულიდან ამოთქვა ბაჩიმ. შემრცხვა, მის სიტყვებში დაუმსახურებელი შეურაცხყოფით გამოწვეული გულისტკივილი იგრძნობოდა. მიუხედავად ამისა, მაინც ჩემს აზრზე ვიდექი. გული მეთანაღრებოდა და ჯერ სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილი სასიკვდილოდ არ მემეტებოდა. 18 წელი ახლახან შესრულებოდა და დაოჯახებაც მოესწრო. ბაჩი თავისას არ იშლიდა, არც სიკვდილს დაგიდევდა რამედ. მზად იყო, მეთაურისთვის თავი დაუფიქრებლად გაეწირა. წინააღმდეგობას ვეღარ ვუწევდი.

კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდა ავთოსთან გამომშვიდობება. უჩემოდ წასვლას არც ის თანხმდებოდა, არ მიგატოვებო.

– გთხოვ, წადი, შენს აქ დარჩენას რა აზრი აქვს? თუ არ ნახვალ, ამით მე ვერ გადამარჩენ. უშენოდ გადარჩენის უფრო მეტი შანსი მექნება. ჩემზე ნუ დარდობ. ჯერ არ ვაპირებ სიკვდილს, ჩემი სიკვდილით აფხაზებს და ჩეჩნებს არ გავახარებ. ხომ იცი, საზღვარზე ვერ გადმოვალ, იქ ყველა მიცნობს, ვერც ფოთში წავალ, თავს არ მოვიჭრი, ვერც ჩემს ძმას მივატოვებ და ვერც ცოცხლად გადარჩენილებს. დავპირდი და სიტყვას არ გავტეხ. მათთან მაინც მივალ, გთხოვ, წადი! – ვევედრებოდი ავთოს, მაგრამ ვერ ვითანხმებდი.

ალბათ ვერც დავითანხმებდი, მაგრამ უცებ გონება გამინათდა, ინსტინქტურად რუკას დავხედე და წინასწარ ნაფიქრი ადგილის კვადრატის სავარაუდო კოორდინატები მივეცი:

– თუ სიკვდილი მიწერია, დაე, ასე იყოს, თუ არადა, აჰა, კოორდინატები და სამი დღის თავზე ამ ადგილზე გამოგზავნილ შვეულმფრენს დაველოდები, – ვუთხარი და ფურცლის ნაგლეჯი მივაწოდე, რომელზეც ორ ნაწილად დეფისით გაყოფილი ოთხნიშნა რიცხვი ეწერა. შემეძლო, ნებისმიერი კვადრატის კოორდინატები მიმეცა, ოღონდ დროულად წასულიყო, რომ კარს მომდგარ სიკვდილთან პირისპირ, ღირსეულად შეხვედრად მოვმზადებულიყავი. როგორც იქნა, დავითანხმე. ცრემლიანი თვალებით ვამხნევებდით ერთმანეთს უახლოეს მომავალში კვლავ შეხვედრის იმედით.

დრო არ ითმენდა, დაგვიანება აღარ შეიძლებოდა. ჩვენი გზები იქ იყოფოდა. ავთო საზღვრისკენ მიდიოდა და თვალები უკან რჩებოდა. მე საწინააღმდეგო მხარეს გავეშურე, თუმცა თავს ხშირ-ხშირად ხან ავთოსკენ და ხან ნავსადგურისკენ ვატრიალებდი, ვიდრე საზღვრისკენ მიმავალი მისი მანქანა და ბარჟა საბოლოოდ თვალს არ მიეფარა. უკანასკნელი ბარჟა ფოთისაკენ უჩემოდ გაემგზავრა.

სულ ცოტა ხნის წინ ხალხმრავალი დაბა ლესელიძის დაცარიელებულ ქუჩებში გამეფებული სიჩუმე შემზარავი იყო. შტაბიდან განთიადის გზაჯვარედინამდე მიმავალ აღმართს მძიმედ, კოჭლობით მივუყვებოდი. უკვე აღარც მანქანა მყავდა და აღარც მძღოლი. მიტკალივით გაფითრებული სახით აჩრდილს უფრო ვგავდი, ვიდრე ცოცხალ ადამიანს. ბედისწერას შეგუებული არაფერს ვნანობდი, პირიქით, ამაყიც ვიყავი და ღმერთს მადლობას ვუხდიდი, რომ პატივი მერგო, სამშობლოს ღირსება დამეცვა. აი, სირცხვილი მაშინ გენახათ, საერთოდ უბრძოლველად რომ ჩაბარებოდათ საქართველოს მიწა!

ამას ვფიქრობდი და ცას შევცქეროდი, ერთდროულად ბოდიშს ვუხდიდი და მადლობას ვწირავდი, მხოლოდ იმას ვწუხდი, რომ ვერ შევძელი და სამშობლო

მომხდურისგან ვერ დავიცავი. სიკვდილზე მეტად სირცხვილს ვდარდობდი – ვიღაც გადამთიელი მშობლიური მიწიდან ძალით გვერეკებოდა. თავი სად უნდა გამოგვეყო?! ვის უნდა დავნახვებოდით და ვისთვის უნდა მოგვეყოლა?!

რომ იცოდეთ, რა მშვიდად შევხვდებოდი სიკვდილს, თუ ეს სირცხვილი ჩემთან ერთად მოკვდებოდა და უკვალოდ გაქრებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასჯერ და ათასჯერ დამცირებულსა და შერცხვენილს დავტოვებდი ბედკრულ სამშობლოს. ეს დღე სამარცხვინო ლაქად დააჩნდებოდა მისი ისტორიის ფურცლებს და აღარასდროს მოსცილდებოდა.

– იყოს ნება შენი! – ვფიქრობდი გულში, ბედს შეგუებული, და თავაწეული მივდიოდი სიკვდილთან პირისპირ, ღირსეულად შესახვედრად. ისევ ბრძოლა მწყუროდა, საკუთარ თავთან, ხასიათთან, ნებისყოფასთან. რეალობას ვიღებდი, როგორც პირად გამოწვევას, თუნდაც უკანასკნელს და თვალს ვუსწორებდი.

ეს უჩვეულო თამაში იყო სიკვდილთან, თითქოს ქართულ ცეკვას წააგავდა: აქამდე ის დამეძებდა, უკან მომდევდა, როგორც მწევარი და მე გავურბოდი, ვემალებოდი, როგორც ნადირი. ახლა უკვე პირიქით – თავადვე დავეძებდი, მისკენ მივილტვოდი, მასთან პირისპირ შესახვედრად ვემზადებოდი.

ორიოდე ნაბიჯში უკან ბაჩი მომყვებოდა, გვერდიდან არ მცილდებოდა. მეგობრული სიყვარულითა და უდიდესი ერთგულებით დაუფიქრებლად მომდევდა, ბედს მინდობილი. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ არ მიმატოვებდა და ბოლომდე მიერთგულებდა. სულერთი იყო მისთვის, რა ხვედრს უმზადებდა განგება.

გზაჯვარედინზე „შავავაზელები“ და ქუთაისელები მელოდებოდნენ. მეთაურებს დავალება მივეცი. ოცამდე ქუთაისელი მახო ჩიხლაძის მეთაურობით ცენტრალური მაგისტრალის მარცხნივ, ამაღლებულ ფერდობზე განვალაგე. ათამდე „შავავაზელს“ კობას მეთაურობით სროლის სექტორად გზიდან ზღვის სანაპირო ზოლამდე მარჯვენა მხარე განვუსაზღვრე. მე, ბაჩიმ და კიდევ სამმა გვარდიელმა პოზიცია ზედ გზაგასაყარზე მდგომი სახლის ფარდულის წინ, ბუნებრივ თხრილთან დავიკავეთ. დაბა განთიადის შესასვლელისა და საზღვრისკენ მიმავალი მაგისტრალის გზაჯვარედინზე უკანასკნელი ბრძოლისათვის ვემზადებოდით. მდუმარედ ველოდით მოწინააღმდეგის მოახლოებას. დიახ, საქართველოს თუნდაც ამ პატარა ნაჭერი მიწისათვის მზად ვიყავი, სისხლიც გამეღო და საკუთარი თუ სხვისი სიცოცხლე შემეწირა, მაგრამ ვაი, რომ ამ მეომრებსაც გაგრის ქარცეცხლი ჰქონდათ გამოვლილი, ბრძოლისგან იყვნენ დაქანცულები და ძველებურად ვეღარ მაგრობდნენ. დაუფიქრებლად გაწირავდნენ თავს, თუ ეცოდინებოდათ, რომ ომის მსვლელობას შეცვლიდნენ, მაგრამ წაგებულ ომში ერთი კაცის „ახირებისთვის“ სიკვდილი არ უნდოდათ.

მოსაღამოვდა, ხილვადობა თანდათან გაუარესდა. მოჩვენებით სიმშვიდეს ტალღების ხმა არღვევდა. საშიშ დაძაბულობაში უხილავი სიმორიდან მოღწეული გაურკვეველი ხმები მოწინააღმდეგის წინსვლაზე მიანიშნებდა. სიბნელესთან ერთად სიღრმიდან ხმაური თანდათან მოახლოვდა, ეტყობოდა, რომ მძიმედ მოდიოდნენ, აუჩქარებლად, სიფრთხილით. ერთმანეთს ვერ ვხედავდით, ჩამოწოლილ ნისლში წინ არაფერი მოჩანდა. მხოლოდ გუმანით ვგრძნობდით მათ სიახლოვეს. ნებისყოფამ პირველად ქართველებს უმტყუნათ და წინ, ზღვის ნაპირის მიმართულებით ბრმად გახსნეს ცეცხლი, რასაც სანაპიროს მხრიდან საპასუხო სროლა მოჰყვა. მათ წინიდან გზით მომავალი მოწინააღმდეგის მებრძოლები აჰყვნენ და ავტომატების კაკანმა მოიცვა არემარე. ერთმანეთს ვერ ვხედავდით, თუმცა ტყვიების ნათების მიხედვით აშკარა იყო, რომ ზღვის ნაპირიდან და გზიდანაც მომავა-

ლი მოწინააღმდეგის მეწინავე ჯგუფი სულ რაღაც ასიოდე მეტრში იყო მომდგარი. იმ ადგილებს უმიზნებდნენ და ესროდნენ, საიდანაც ტყვიების ნათება ჩნდებოდა. უშეღავათო, სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. ნესტიან მინაზე გართხმული ვისროდი მარცხნივ, მარჯვნივ, საიდანაც ტყვიები მოფრინავდა და ჭურვები ფეთქდებოდა. აფეთქებასთან ერთად არემარე ნათდებოდა და შემდეგ ისევ წყვდიადში იძირებოდა. ტრასირებადი ტყვიები აქეთ-იქეთ ციცინათელებივით დაფრინავდნენ, ჩაბნელებულ მიდამოს წამიერად ანათებდნენ და ისევ ქრებოდნენ. მწვანე, წითელი და თეთრი ფერის ხაზები ბრძოლას თვალწარმტაც სანახავს ხდიდა.

ეს სიგიჟე იყო, აგონია. ბრძოლა არა გამარჯვებისთვის, არამედ ლამაზი სიკვდილისთვის. თითქოს ვიღაცისთვის გვინდოდა გვეჩვენებინა – ნახეთ, რა ლამაზად ვკვდებითო, მაგრამ დამნახავიც არავინ იყო.

ორმხრივი სროლა დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა. ტყვიები ჩასაფრებაში მყოფთა ადგილსამყოფელს ამჟღავნებდა და იოლ სამიზნედ ხდიდა.

დაბის შესასვლელთან, სახლის ეზოში სახელდახელოდ მომზადებული საყრდენი პუნქტი საცერივით იცხრილებოდა. ყუმბარსატყორცნის ჭურვები და ხელყუმბარები ერთიმეორის მიყოლებით, სულ უფრო და უფრო ახლოს ფეთქდებოდა. მორიგი, ჩემ წინ აფეთქებული ჭურვის ტალღამ მეც და ჩემ გვერდზე მდგომნიც ფარდულის კედელს მიგვანარცხა. ჰაერთან ერთად შესუნთქული ცეცხლის ალისა და ნაპერწკლებისაგან დამწვარი ქუთუთოები თავისით მეხუჭებოდა, თავბრუსხვევასა და ყურებში წივილს ვერ ვუძლებდი და ვგრძნობდი, რომ ნელ-ნელა გონებას ვკარგავდი. აღარც სროლის ხმა მესმოდა და აღარც აფეთქებების. ჭურვის აფეთქებისთანავე „შავავაზელები“ აიშალნენ და ეზოებით დაიწყეს უკან გასვლა. სახლს, ეზოს, ღობეს ცეცხლი ეკიდა. დარტყმისგან ჩამოშლილი ფარდული კვამლში იყო გახვეული.

წესით, იმ დღეს უკვე მერამდენეჯერ უნდა მოვმკვდარიყავი. არ ვიცი, რამდენი სიცოცხლე შეიძლება ჰქონდეს ადამიანს! სიკვდილისგან დავიწყებული, გაუნძრევლად ვიწექი. მწარე კვამლსა და ცეცხლის სიმხურვალეში თვალის გახელას არ ვჩქარობდი. თავი საშინლად მტკიოდა, ყურებში მხოლოდ წივილი მესმოდა, ღებინების შეგრძნება მქონდა და გონებადაბინდული ვცდილობდი, გამეაზრებინა, რა მოხდა.

ეს მასხარა სიკვდილი უკვე დამცინოდა. პირისპირ ვედექი, ის კი ჯიუტად გამირბოდა, კვალდაკვალ უკან მივდევდი, ის კი მემალებოდა. ყველას ნაცვლად მტოვებდა ცოცხლად სატანჯველად და, როგორც ტკბილ ლუკმას, ბოლოსთვის მინახავდა. ჯერ კიდევ არ დამდგარიყო ჩემი რიგი...

სმენას ვძაბავდი, ნელ-ნელა, მძიმედ ვახელდი თვალებს და ცეცხლის ალის სინათლეზე ვცდილობდი ვითარებაში გარკვევას. თავი მისკდებოდა, სახე მეწვოდა. მკაფიოდ ვგრძნობდი ნერვიულ კანკალს და სასის სიმშრალეს. თითქოს შიგნით, სხეულში ცეცხლი ღვივდებოდა და ხრჩოლავდა. ყელი ისე მქონდა გამომშრალი, ლამის დავმხრჩვალიყავი. ბაჩი რაღაცას მეუბნებოდა, ხელებითაც მიხსნიდა, მაგრამ ამაოდ. ყურებში წივილისა და სტვენის გარდა არაფერი მესმოდა. სახე სახესთან მომიტანა და ცდილობდა, გაეგებინებინა, რომ იქ გაჩერება აღარ შეიძლებოდა და სასწრაფოდ უნდა გავსულიყავით, თორემ ცეცხლში დავიწვებოდით. ძალაგამოცლილს ცეცხლმოდებული ეზოდან ხელით მიმათრევდა. აღარც ბრძოლის თავი მქონდა და აღარც სხვისი სიცოცხლით თამაში მსურდა. მარცხს შეგუებული მორჩილად მივყვებოდი ბაჩის წინ, გზის იქით, ეზოებით უკან გასული „შავავაზელების“ საწინააღმდეგო მხარეს.

მოკლე გადარბენით გზა ჯერ ბაჩიმ გადაკვეთა, მერე მეც მივყევი და ფერდობზე ჯერ კიდევ მზის სინათლეზე წინასწარ შერჩეული, განცალკევებულად მდგარი ნახევრად აშენებული ერთსართულიანი შენობის გვერდით მაღლობს შევაფარეთ თავი.

სროლის სიხშირემ თანდათანობით იკლო. ხმაც მიწყდა და საცეცხლე წერტილები საერთოდ ჩაქრა. ასე დასრულდა უკანასკნელი ბრძოლა, მცირე და ხანმოკლე, მაგრამ ლამაზი. უკვე ბნელდებოდა და ხილვადობა იკლებდა. აღარც სროლის ხმა ისმოდა და აღარც ყვირილი. სიჩუმემ დაისადგურა, ხმას აღარავინ იღებდა და არც ინძრეოდა.

უკუნი სუფევდა. ცა ღრუბლებით, მთები ნისლებით დაბურულიყო. შავად მოქუფრული, პირქუში ზეცა თითქოს გარდაუვალ აღსასრულზე მიანიშნებდა. გზის თავზე გადმომდგარი პატარა გორაკიდან ჩაბნელებული დაბა მოჩანდა, რომელშიც სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ შეინიშნებოდა.

ბოლო ბრძოლამ ის შედეგი მაინც გამოიღო, რომ იმ ღამეს მოწინააღმდეგის რაზმები საზღვრამდე აღარ გასულან და გამარჯვების ზეიმიც მეორე დღისთვის გადადეს. იმ დროს, როდესაც ისინი გამარჯვების აღნიშვნის მოლოდინით ტკბებოდნენ, მე, ერთადერთი შემორჩენილი მებრძოლით, მარცხის სიმწარეს ვერ ვინელებდი.

სულ ცოტა ხანში დაბა ლესელიძის ცენტრში მდგარ იმ შენობას, რომელშიც ჩვენი სამხედრო შტაბი იყო განთავსებული, ცეცხლი გაუჩნდა. ალი ნელ-ნელა გვერდით მდგომ სახლებს გადაედო: ჯერ ერთს, მერე მეორეს... ცეცხლის ენები ცას სწვდებოდა. ვუყურებდი და თვალს ვერ ვუსწორებდი, როგორ ეხვეოდა ულამაზესი დაბა ულმობელ ცეცხლში. მისი ალი ნელ-ნელა ნთქავდა ყველაფერს, ბოლომდე იწვოდა და იფერფლებოდა, რაც კი ადამიანის ხელს შეექმნა. როდესაც ცეცხლმოდებული სახლები ბოლომდე ჩაიწვა, ჩაბნელებული დაბა მკვდარ ქალაქს დაემსგავსა. ამომწვარი თვალებით ვუყურებდი ზეცას და მინდოდა, მგელივით მეყმუვლა. ჩემი ძახილი: „ღმერთო, რატომ არ მკლავ?“ – ბაჩის გარდა არავის ესმოდა.

მთის ფერდობზე ვიჯექი, ბრძოლის ველზე მიტოვებული, უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებული, ზემდგომებისგან გაწირული და სიკვდილისთვის გამეტებული. სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული, მაგრამ მის წინაშე სირცხვილნაჭამი, სიკვდილს მონატრებული და სიკვდილისგან დავიწყებული, დაღუპული ძმისა და თანამოძმეთა ჭირისუფალი, წუთისოფელზე დამდურებული და დამწუხრებული. შელახულ ღირსებასა და პატივს ვგლოვობდი. რას წარმოვიდგენდი, სიკვდილი თუ ოდესმე სანატრელი გამიხდებოდა?! გაქვავებული, ცას შევცქეროდი და სამარცხვინო ტყვეობის შიშით ღმერთს მხოლოდ ერთსღა ვთხოვდი, რომ არც მკვდარი და არც ცოცხალი ჩემი სხეული მტერს არ ენახა.

ენით აუწერელი ღამე იყო. ცა ქუხდა და გრგვინავდა, ზღვიდან მობერილი ცივი ქარი ნემსებივით ჩხვლეტდა სხეულს და ძვალ-რბილში ატანდა. დაჭრილი, ძალ-ღონე დაშრეტილი ვეგდე თანამებრძოლის გვერდით და თვალის გახელა არ მინდოდა. დაღლილობის მიუხედავად, არცერთს ძილი არ გვეკარებოდა. მწარე ნაღველი ყელში ბურთივით მაწვებოდა და მახრჩობდა, სულს მიხუთავდა, ჰაერი არ მყოფნიდა.

„გაგწირეს!.. გიღალატეს!.. მიგატოვეს!..“ ბოღმისგან მეტირებოდა, ჩემი გარდაცვლილი ძმა და ათობით ერთგული თანამებრძოლი, ცოცხალი თუ მკვდარი, უღრან ტყეში, სადღაც, მიყრუებულ ადგილას იყო მიტოვებული. ათასი ფიქრი მიტრიალებდა თავში და მაწვალებდა, ათას დარდსა და უბედურებაში ვიყავი გახვეული. ოხვრა და დარდი ვერაფერს მარგებდა. ჩემი მოვალეობა მთებსა და ტყეებ-

ში ჩარჩენილი თანამებრძოლების წინაშე მავალდებულებდა, მათთან ერთად იქ დავრჩენილიყავი. დაუწერელი წესია: როცა გემი იძირება, მისი კაპიტანი გემბანზე უნდა რჩებოდეს.

ასობით გზააბნეულზე ფიქრი, რომლებსაც ალყაში სიკვდილი ელოდათ და მუხთლობისთვის მოწინააღმდეგის მიმართ ახალი ძალით მოწოლილი ჯავრი სიცოცხლისათვის ბრძოლაში ძალას მმატებდა და შურისძიების წყურვილს მიმძაფრებდა. სააქაოსგან უარყოფილი საიქიოს წასვლას უკვე აღარ ვჩქარობდი. ზუსტად ვიცოდი, რომ ჩემთვის საიქიოს კარი ჯერ არ გაეღოთ. ჭირსა შიგან გამაგრება, წინააღმდეგობის დაძლევა – ეს არის ვაჟკაცის წესი და მოვალეობა. სანამ სული მედგა, სანამ ცოცხალი ვიყავი, არ გავტყდებოდი და ჩემს სახეზე სიბეჩავეს ვერავინ ნახავდა! „ტყის ხილსა და მის დამპალ ნაყოფს შევჭამ, ფეხზე დავისვენებ და თვალებგახელილი დავიძინებ, მაგრამ სისუსტეს ძილშიაც არ გავიკარებ. ჯერ გრებეშოკის თავზე ბრძოლის ველზე დაღუპულთა ცხედრებს მივაბარებ მიწას, ცოცხლად გადარჩენილებს დახმარებას აღმოვუჩენ, ტყეში გაფანტულ მებრძოლებს გზადაგზა შევკრებ, ბრძოლით გზას გავიკაფავ და მათთან ერთად კავკასიონის ქედებს მივაშურებ“, – ვეუბნებოდი საკუთარ თავს. ნებისმიერი წინააღმდეგობის დასაძლევად შემართული მეტს ვეღარაფერს ვფიქრობდი, უკუნ სიბნელეში ღრუბლებში დამალულ მთვარეს ვუცქერდი და მოუთმენლად ველოდი წყვდიადის გაფანტვას, რომ ჩემს გასავლელ ერთადერთ სწორ გზას ადრიანად დავდგომოდი ბაჩისთან ერთად.

6 ოქტომბრის დილის შვიდსა და რვა საათს შორის იქნებოდა. როგორც კი ინათა, ფერდობზე ასვლა დავიწყეთ. ბაღიდან ბაღში გადავდიოდით, საკარმიდამო ნაკვეთებს ვკვეთდით. ნელა მივდიოდით, უხმოდ, მაინც ვფრთხილობდით.

ყველაზე მეტად უწყლობა გვანუხებდა. რომელიღაც ეზოს გადაკვეთისას სიმინდის ყანა შეგვხვდა. სამეგრელოს მაღალმთიან სოფელში ბებიასა და ბაბუასთან გატარებული დღეების გამოცდილებით, ბაჩიმ სიმინდის ტაროს ნამით დასველებული საგულდაგულოდ შერჩეული ფუჩეჩი მოაცალა და მომაწოდა. გამოვართვი და გაუაზრებლად ბუსუსიანი მხრიდან ავლოკე. მსგავსი საშინელება ნუ გენახოთ! ბუსუსებმა ენა სამართებლის პირივით დამისერა. გადმოფურთხებასაც ვეღარ ვახერხებდი, ნერწყვი აღარ მქონდა, გამშრალი პირიდან ორთქლი ამომდიოდა. ენა მეორე მხრიდან უნდა აგესვაო, თანამიგრძნობდა ბაჩი და ახალ ფოთოლს მაწოდებდა, თუმცა დასერილ ენას სველი ფუჩეჩი ვეღარ აგრილებდა და გამძაფრებულ წყურვილს ვერაფერს შველოდა. ბაჩის რჩევით, ახლა უკვე რბილ მიწაში ჩამდგარ ცვარ-ნამს დავეძებდი, რომ ბაგე დამესველებინა და უსაშველო წყურვილი როგორმე დამეოკებინა. როდესაც პირველსავე ორღობეში პირუტყვის ნაკვალევში ჩამდგარი წყალი დავინახე, ისეთი სიხარბით დავეწაფე, თითქოს ბორჯომის სამკურნალო წყალს ვსვამდი. აღარც დიზენტერიას დაგიდევდი რამედ და არც თავმოყვარეობას. ერთმანეთის მოურიდებლად, მონაცვლეობით, მუხლებზე დაჩოქილები ჭუჭყიან მიწასთან შეზავებულ წყლის წვეთებს ხარბად ვეწაფებოდით.

მივდიოდი გამშრალი, დათრგუნული და მხოლოდ ერთს ვფიქრობდი – ნუთუ დაუსჯელი უნდა დარჩენილიყო ენით უთქმელი და გონებით განუზომელი მუხთლობა და ღალატი?!

დაახლოებით 2 საათის სიარულის შემდეგ მაღლობიდან, იქნებ უკანასკნელადაც, ვუცქერდი სამოთხესავით ლამაზ კუთხეს და ღვთისმშობელს მისი წილხვედრი მიწის მფარველობას ვთხოვდი. ცრემლი მომადგა...

ეს იყო ჩემი მძიმე ჯვარი. ჩემთან შეუთანხმებლად, ყველას ნაცვლად, მხოლოდ ჩემს საზიდად გამზადებული, როგორც სასჯელი სხვისი და საკუთარი გადაწყვეტილებების შედეგად დატრიალებული ცოდვა-ბრალისათვის.

ბედისწერას მინდობილნი ნელ-ნელა მივუყვებოდით დაბა განთიადის მაგისტრალის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობებს გრებეშოკის მიმართულებით.

ბარძაყიდან დადენილი სისხლი უკვე შემხმარიყო. ჭრილობებში ჩარჩენილი ყუმბარის ნამსხვრევები სიარულისას ლურსმნებივით მერჭობოდა. მიწაზე ფეხის ყოველი დაბიჯება და კუნთის მცირე დაჭიმვაც საშინელ ტკივილს მაყენებდა, მაგრამ მაინც არ ვჩერდებოდი და კოჭლობით განვაგრძობდი სვლას. ნამითაც არ ვკარგავდი იმედს, რომ გზად ყველა წინააღმდეგობას გადავლახავდი, ცხრა მთასა და ცხრა ხევს გადავივლიდი და იმ ზეგნამდე მივიდოდი, სადაც ჩემი ძმა და თანამებრძოლები დავტოვე. ბაჩი დაღლას არ მაგრძნობინებდა, მამხნევებდა და გულს მიმაგრებდა. ორი ავტომატი და ერთი ყუმბარსატყორცნი გვქონდა შემორჩენილი, ზურგჩანთა ტყვია-წამლით იყო სავსე. მძიმე აღჭურვილობა გადაადგილებას კიდევ უფრო გვირთულებდა.

დილის 10 საათი იქნებოდა, როდესაც მეჩხერი ტყის ნაპირთან შევჩერდით. მოფარებული ადგილიდან მიდამოს ვათვალიერებდით. სიფრთხილეს ვიჩენდით და ტყიდან გასვლას არ ვჩქარობდით. წინ მინდორი იწყებოდა, მინდვრის იქით მაღლობზე შეფენილი სოფელი მოჩანდა, მთის იქით კი ველარაფერს ვხედავდით, არემარე ნისლში იყო გახვეული. ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმავალ გზაზე ნისლი მოკავშირედ მიმაჩნდა და მეიმედებოდა. მიზნისკენ ჯიქურ მიმავალნი მაინც ვფრთხილობდით, გზადაგზა ვჩერდებოდით, ადგილმდებარეობას ვაკვირდებოდით და რუკას ჩავკირკიტებდით. სოფელში მისასვლელი გზებითა და ბილიკებით, მხედველობის არეში მოქცეული სიმაღლეებით ვცდილობდით ორიენტირებას. ფრთხილად მივუყვებოდით ბექობს. წინ ბაჩი მიდიოდა. ჭრილობით შეწუხებული კოჭლობით მივყვებოდი. ხმაურზე მიწას ვეკვროდით და გზას მხოლოდ ვითარებაში გარკვევის შემდეგ ვაგრძელებდით.

ჯერ შუადღე არ იქნებოდა, როცა მინდვრის ბოლოს ორი შეიარაღებული პირი დავინახეთ. საზღვრისაკენ მიეშურებოდნენ, ჩვენიანებს ჰგავდნენ. მაინც თავი დავიზღვიეთ და სამალავიდან ბაჩი მარტო გავიდა. ჯარისკაცები მართლაც ქართველები აღმოჩნდნენ, თავდაცვის სამინისტროს რეზერვისტთა ბატალიონიდან – ლანჩხუთელი კაცია ჯანელიძე და ოზურგეთელი პაატა ურუშაძე.

უხალისოდ შევხვდი გენერალი რიგითებს. თავს გადამხდარი ბრძოლის ამბის გამოკითხვის შემდეგ გზა დავულოცე და დამშვიდობება მოვინდომე, თუმცა ჩვენს დატოვებაზე უარი განაცხადეს. დიდი თხოვნისა და მოთხოვნის მიუხედავად, მაინც ვერ დავითანხმე. აშკარა იყო, ჩვენთან ერთად წამოსვლა გულწრფელად სურდათ, უფრო მეტიც, ეამაყებოდათ კიდეც. ჩემს დასახულ გზაზე სხვისი სიცოცხლის გაწირვა აღარ მინდოდა, მაგრამ ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად დაღლილ-დაქანცული ველარ შევეწინააღმდეგე. სოფლისაკენ გზა ერთად განვაგრძეთ. ჩუმად მივდიოდით, უხმოდ, ფრთხილად, თუმცა ახლა უფრო იმედიანად მივაბიჯებდით – უკვე ოთხნი ვიყავით.

მზეს ჯერ ზენიტისთვის არ მიეღწია, სოფელს რომ მივადექით. დღე იყო, მაგრამ მოძრაობა არ შეინიშნებოდა, თითქოს სიცოცხლე გაჩერებულიყო. წინა დღით ხალხმრავალი დასახლება დაცარიელებული დაგვხვდა. ჯერ კიდევ გუშინ ამ სომხურ სოფელში ქართველები უშიშრად დააბიჯებდნენ, ახლა კი ვფრთხილობდით, არც ისე ბევრნი ვიყავით, რომ პირდაპირ, გულადად შევსულიყავით.

სახეზე ხაკისფერი ბენდენა მქონდა აფარებული და საგულდაგულოდ ვმალავდი, რომ არავის ვეცნე. სოფლის განაპირას, აღმოსავლეთით იმ ერთადერთ სახლს მივუახლოვდით, საიდანაც კვამლი ამოდიოდა. წინ მიმავალი კაცია ჯგუფს გამოეყო, ეზოსთან მდგარ ეროვნებით სომეხ მასპინძელს, სამოცამდე წლის კაცს, გამოელაპარაკა და მორიდებით შინ შეშვება სთხოვა.

წყალი გვწყუროდა, ოღონდ ნამდვილი წყალი. მეორე დღე სრულდებოდა, რაც პირში ლუკმა არ ჩაგვედო. სიგარეტს მონატრებულებმა სიხარული ვერ დავმალეთ, როდესაც ვერანდაზე გასაშრობად დაკიდებული თამბაქოს ფურცლები დავინახეთ. თამბაქო ხომ აფხაზეთის მაღალმთიანეთში თითქმის ყველა ოჯახში მოჰყავდათ.

ოჯახის უფროსმა დაუპატიჟებელი სტუმრები შინ შეგვიპატიჟა. ჯარისკაცებისგან გამორჩეულ სამეთაურო ფორმაში ჩაცმული, მე ეზოში დავრჩი და მათთან ვერანდაზე ასვლისგან თავი შევიკავე. განცალკევებით ვიდექი, ვცდილობდი, უცხო თვალს მოვრიდებოდი. მუდმივად სხვა მხარეს ვიცქირებოდი, რომ მასპინძლების ყურადღება არ მიმეპყრო. მასპინძელმა საკუთარი ხელით გაზეთის ქაღალდში გახვეული თუთუნი სამივეს სათითაოდ ჩამოურიგა და საუბარი გაუბა. ბიჭები უკვე თუთუნის სასიამოვნო სურნელით ტკბებოდნენ.

მე სხვა საზრუნავი მქონდა – ჯერ წვერი უნდა გამეპარსა, რომ არავის ვეცნე. ამაზე ბაჩიმ იზრუნა: სახლში, სავარაუდოდ, სტუმრად მყოფ შუახნის ქალბატონს მიმართა, იქნებ წვერსაპარსი ან სამართებელი მათხოვოთო.

ეზოში განმარტოებით მდგომს ბაჩიმ აივნიდან გადმომძახა, ნახმარ, მაგრამ საპარსად გამოსადეგ „ბრიტვას“[185] მოგიტანო. პირის დასაბანად სახიდან ბენდენა მოვიხსენი და ვერც კი შევნიშნე, რომ ბაჩის ნაცვლად წყლით სავსე ჭურჭლით ხელში ქალი მომიახლოვდა. მარცხნივ შევტრიალდი და წყლის დასხმის მოლოდინში წამიერად მზერა შევავლე. მის დანახვაზე ადგილზე გავშეშდი – ჩემ წინ ის ქალბატონი იდგა, ერთი თვის წინ სოხუმში დაკარგულ აფხაზ შვილს რომ ეძებდა. გამოწვდილი ხელი მოულოდნელობისგან მასაც გაუშეშდა, დაბნეული, უხმოდ მიყურებდა და თვალებს არ უჯერებდა. განცვიფრებისგან ორივეს ენა მუცელში ჩაგვივარდა. ღმერთო, დიდებულო, რა პატარაა სამყარო! მთა მთას ვერ შეხვდებაო, ნათქვამია, თორემ ადამიანი ადამიანს იქ შეიძლება შეხვდეს, სადაც ყველაზე ნაკლებად ელის. მთავარია, რა პირით ხვდები, უფრო სწორად, შესახვედრი პირი გაქვს თუ არა! აი, ბედის ნამდვილი ირონია! ამ ქალბატონის წინაშე სულ რაღაც ერთი თვის წინ ყოვლისშემძლე და ამაყი, დღეს თავდაღუნული ვიდექი და სახეს ვარიდებდი. ჩვენი წუთიერი დაბნეულობა ოჯახის უფროსს და ჩემს თანმხლებთაც არ გამოჰპარვიათ.

– წყალი დაუტოვე და სახლში ამოდი, თვითონ მიეხმარებიან! – რუსულად გადმოსძახა მამაკაცმა.

ქალი მყისვე გამოერკვა და მშვიდად უპასუხა:

– არა, არ არის საჭირო, თვითონ მივეხმარები.

გამახსენდა, რომ მაშინ გულითადად მოვექეცი, თბილად დაველაპარაკე, შეძლებისდაგვარად დავეხმარე კიდეც, ამიტომ შვებით ამოვისუნთქე. მივხვდი, რომ ახლა სიკეთის საფასურს ვიმკიდი. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ თუ სიკეთეს დათესავ, წინ დაგხვდება და იმავეს მოიმკი. კმაყოფილმა ზეცას ავხედე და ღმერთს მადლობა შევწირე ყველა იმ სიკეთისთვის, რაც სხვისთვის გამიკეთებია

[185] Бритва (რუს.) – სამართებელი

და პატიება შევთხოვე საქმით თუ სიტყვით ჩადენილი ცოდვებისთვის. ჩემს გულში აღთქმა დავდე, რომ თუ ცოცხალი გადავრჩებოდი, მოყვასის სიყვარულს ცხოვრების წესად გავიხდიდი, ვინც არ უნდა მოსულიყო, გულთბილად მივიღებდი და მის გასაჭირს ყურადღებით მოვისმენდი. რომც არაფერი შემძლებოდა, სიტყვით ვანუგეშებდი და ტკივილს ნაწილობრივ მაინც გავუნელებდი.

ქალმა წყალი თვითონ დამისხა და წვერის გაპარსვაშიც დამეხმარა. თან თბილად ველაპარაკებოდი და მადლობას ვუხდიდი. შემდეგ მორიდებით შვილის ამბავი ვკითხე:

– იპოვეთ შვილი?

პასუხად თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

– კი, გუდაუთაში იყო, რუსეთში გაემგზავრა, კარგად არის.

– თქვენ რას იზამთ? – დაუფიქრებლად ვკითხე.

– ჩვენც წავალთ, – უხალისოდ მიპასუხა. დაცარიელებული სოფლის უკანასკნელი ბინადარნიც რუსეთში წასასვლელად ემზადებოდნენ.

ამასობაში წვერი გავიპარსე და სომეხი მასპინძლისგან სახეს აღარ ვმალავდი. არც ქალს დაუძრავს კრინტი ჩემს ვინაობაზე. ხელ-პირი დავიბანეთ და კეთილი მასპინძლების შემოთავაზებული მცირეოდენი საჭმლით დავნაყრდით. საგზლად წინა დღით გამომცხვარი მჭადი და ყველის ნაჭრები, რამდენიმე ცალი ხახვი და ნიორი ფუთაში გამოგვიკრეს, თამბაქოს გამომშრალი ფოთლები ზურგჩანთაში ჩაგვილაგეს. მეტს ვერაფერს გაგვატანდნენ, თავისთვისაც ბევრი არაფერი ჰქონდათ.

მასპინძლებს მადლიერებით დავემშვიდობეთ და გზას გავუდექით. შუადღე იყო. გეზი ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ გვეჭირა. სოფლის ზედა მხრიდან ჩვენკენ მომავალი ხალხი შევნიშნეთ. ადგილობრივი ქართველები მოდიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად, სახე ყველას დაზაფრული ჰქონდა და ტუჩები მოკუმული. ცდილობდნენ, ერთმანეთთან არ ელაპარაკათ. გაურკვეველი ვითარების გამო თავისიანებსაც უფრთხოდნენ და უცხოსაც. არც ის იცოდნენ, სად იყვნენ თავისიანები და არც ის, სამშვიდობოს როგორ უნდა გაეღწიათ. ჩვენგან განსხვავებით გეზი დასავლეთისკენ აეღოთ. წინ, მთელ ზოლზე, ზღვის პირიდან ჩრდილოეთით ბუნებრივ საზღვრად განოლილი მდინარე ფსოუ გზად ვერაგულად ეღობებოდათ. წინასწარ იცოდნენ, რომ სამშვიდობო არც საზღვრის იქით ელოდათ, მაგრამ მაინც მიდიოდნენ, თუნდაც შეურაცხყოფისა და დამცირების ხარჯზე სიცოცხლე რომ შეენარჩუნებინათ, რადგან სხვა ყველა გზა მოჭრილი ჰქონდათ.

პაატა და კაცია ტყიდან გამოვიდნენ და რეზერვისტთა თუ სხვა ჯგუფებისგან შემდგარი რაზმის წევრებს უხალისოდ გამოელაპარაკნენ, ჰკითხეს, რომელიმემ ხომ არ იცოდა გრებეშოკის თავზე მომხდარ ბრძოლაში დაღუპულთა ან გადარჩენილთა ამბავი. ერთმანეთის ნახვის გამო სიხარული არცერთს გამოუხატავს, თითქოს თავლაფდასხმული სიცოცხლე არ ახარებდათ. 20-25-კაციან ჯგუფს ერთი გვარდიელი გამოეყო და კაციას ჩვენკენ გამოჰყვა. როდესაც მოგვიახლოვდა, გოგა ვარდანაშვილი ვიცანით. იგი „ორბის“ რაზმში ირიცხებოდა და გრებეშოკზე „თეთრ არწივთან“ ერთად მყავდა დატოვებული. ის უნდა ყოფილიყო გრებეშოკის მთაზე გადახდილი უკანასკნელი ბრძოლის მნახველი და მონაწილე, ჩემი ძმის სიკვდილის მხილველი. ვთხოვე, მოეყოლა, რა მოხდა. „იქ ვიყავი. სამი მხრიდან დაგვესხნენ თავს, ბიჭები მოუმზადებლები დახვდნენ... იქვე, ზეგანზე მოხვდა გოჩას მუცელში ტყვია. სროლით იხევდნენ უკან და მძიმედ დაჭრილი ტყვიების წვი-

მაში ხევისკენ ჩაჰყავდათ ბადრის, „სოხუმას“, ოთარს, დათოს. ეტყობა, ხევის თავზე ვიღაცას ლოდი დაუგორდა და სიჩქარეში გვიანღა შეამჩნიეს, რომ მაღლიდან ფერდობზე დიდი ლოდი მოექანებოდა. ხვიჩა ლომიძე თავისი სხეულით გადაეფარა გოჩას, მომაკვდავს კი აარიდა, მაგრამ ლოდმა თვითონ გადათელა... მძიმედ დაჭრილი გოჩა ცოტა ხანში მაინც მოკვდა, ხვიჩა კი დარჩა ფეხგადამტვრეული“, – მწუხარებით გვიყვებოდა გადატანილი ბრძოლის ამბავს ისე, რომ წინადადებებს ბოლომდე არ ამთავრებდა, ისევ მე რომ არ მენერვიულა.

მისი ნაამბობი საქართველოს ისტორიის ფურცლებიდან რვაასი წლის წინათ ბრძოლაში დამხმარე ძალის გარეშე დატოვებული მეწინავე ჯარის სარდლისა და მისი ძმის თავსგადამხდარს მახსენებდა. ისიც გზავნიდა ხშირ-ხშირად შიკრიკს: გაგვწყვიტეს, ნუ აყოვნებთ დამხმარე ჯარს, დაიძარითო, ითხოვდა, მაგრამ მისი არავის ესმოდა. სისხლისგან იცლებოდნენ და ეცემოდნენ ახალციხელები, ნელნელა ილეოდნენ, მაშინ როცა ძირითადი ჯარი გაუნძრევლად იდგა გორაკზე ბანაკად. იქაც ვინც სასაკლაოს ვერ უძლებდა, უკან იხევდა და იქვე, მთასა და მახლობელ ტყეებში ცდილობდა თავის შეფარებას. სწორედ ამ დროს მთიდან დაგორებულმა ლოდმა გადათელა ერთი ძმა. თავად სარდალი კი, საკუთარი ძმისა და თანამებრძოლთა სისუსტის მომსწრე და სიკვდილის მნახველი, ცოცხლად გადარჩენილი, ტყვეობისთვის იქნა განწირული.[186]

ახლაც დამხმარე ჯარის გარეშე მოწინააღმდეგეს შეტოვებული ქართველთა ლაშქარი, სისხლით მორწყული მინდორი ბრძოლით უკან დახევისას, ისევ მთიდან დაგორებული ლოდი, ერთი ძმა – გარდაცვლილი, მეორე – ბრძოლის ველზე ერთადერთი მებრძოლით შემორჩენილი. სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები ორი სამხედრო პირის თავგადასავლის ფინალის სავარაუდო მსგავსება აღარ მომეწონა, გონებიდან არასასიამოვნო ფიქრების გასადევნად გოგას საუბარი შევაწყვეტინე და იმ ადგილამდე მისასვლელი გზა ვკითხე. როდესაც ჩვენი მიზანი გაიგო, სიხარულისგან თვალები გაუნათდა, რადგანაც შესაძლებლობა მიეცა, სარდალსა და ჭირისუფალს რამით დახმარებოდა.

– მე გამოგყვებით და გაჩვენებთ, – დაუფიქრებლად გამოთქვა მზადყოფნა, თუმცა გულგატეხილი შეიმჩნეოდა, როდესაც პასუხად უარი მიიღო.

– არ მინდა, თვითონ მივაგნებ, შენ მიახლოებით ამიხსენი, – გულმოკლული ვცდილობდი, რაც შეიძლება სწრაფად გავცლოდი, ის კი წასვლაზე ჯიუტად უარს აცხადებდა და სამსახურს მთავაზობდა გულწრფელად, უანგაროდ.

– არსად არ წავალ და არ დაგტოვებთ, სადაც წახვალთ, მეც გამოგყვებით. უჩემოდ თქვენ იმ ადგილს მაინც ვერ მიაგნებთ. ზეგნიდან ქვემოთ, ხევისკენ ჩაიყვანეს დაჭრილი, – ჯიუტობდა 20 წლის ყმანვილი. მარტო მას კი არ ვთხოვდი წასვლას,

---

[186] საუბარია 1225 წელს გარნისის ბრძოლაში მომხდარ ამბავზე. რომლის დროსაც ქართველთა ლაშქარი ჯალალედინის მრავალრიცხოვან არმიას დაუპირისპირდა. ქართული ჯარის ავანგარდში მყოფ მესხთა ლაშქარს შალვა ახალციხელი სარდლობდა ძმასთან. ივანე ახალციხელთან ერთად. ისინი მტრის სიჭარბეს არ მოერიდნენ და თავდადებით იბრძოდნენ დამხმარე ძალის მოლოდინში, მაშინ როდესაც გარნისის მაღლობზე საქართველოს არმიის ძირითადი ძალები გაუნძრევლად იდგნენ და არ მიეშველნენ. მესხთა მცირერიცხოვანი მეწინავე ლაშქარი უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდა. გარნისის კლდეებში თავშეფარებულ ივანეს მაღლიდან მოწყვეტილი ლოდი დაეცა და იქვე მოკლა. შალვა კი ხვარაზმელებმა ტყვედ ჩაიგდეს. ჯალალედინმა ტყვისთვის შეუსაბამო პატივი მიაგო ქართველ სარდალს, თუმცა ერთი წლის შემდეგ სიკვდილით დასაჯა.

კაციასაც და პაატასაც, რომ საზღვრისკენ მიმავალ ჯგუფს გაჰყოლოდნენ, თუმცა არცერთი მათგანი არ მთანხმდებოდა.

– ხომ იცი, რომ არ დაგტოვებთ და არსად წავალთ. ყველგან წამოგყვებით, თუნდაც სასიკვდილოდ, სადაც კი წახვალ! – ბაჩიმ, კაციამაც და პაატამაც გოგას დაუჭირეს მხარი და ჩემს მიტოვებაზე ერთხმად თქვეს უარი. მეტიც, მომთხოვეს, მსგავსი აღარაფერი მეკადრებინა მათთვის.

როგორც ახალგაზრდას სჩვევია, სიკვდილისათვის თავი არცერთს ენანებოდა. ვხედავდი, რომ ბაჩის და გოგას სიმწრის ცრემლი ერეოდათ, ვუსმენდი კაციასა და პაატას გულიდან ამოხეთქილ სიტყვებს და ვეღარ ვეწინააღმდეგებოდი. უხალისოდ დავთანხმდი.

ნელ-ნელა მივუყვებოდით გზას ახლა უკვე ხუთი ქართველი. გოგას ბრძოლის ამბავს დაწვრილებით შეგნებულად არ ვაყოლებდი. მერჩივნა, ის ადგილი თავად მენახა და მომხდარის ანალიზი ცივი გონებით გამეკეთებინა. ოთხი განსაკუთრებით ცდილობდა, მეხუთისთვის ფიზიკური და სულიერი ტკივილი შეემსუბუქებინა. ტყვიებით სავსე გაუხსნელ ყუთს, ყუმბარსატყორცნსა და მის ჭურვებს საბრძოლო აღჭურვილობასთან ერთად ერთმანეთის მონაცვლეობით ზურგით მიათრევდნენ, მე ხელს არ მაკიდებინებდნენ. ტვირთის თავიდან მოშორებაზე არც უფიქრიათ. პირიქით, მოსალოდნელი ბრძოლის წინ ტყვია-წამალს თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ.

მინდვრის შემდეგ ქედი იწყებოდა. ნელა მივიწევდით წინ, აღმოსავლეთისკენ გვეჭირა გეზი.

შუადღისას მთის იქითა მხრიდან შვეულმფრენის ხმა გაისმა. უცხო შვეულმფრენი ქედს დასტრიალებდა. ყურადღებას არ ვაქცევდით, ხმაამოუღებლად ვაგრძელებდით სვლას. ზუსტად ვიცოდით, რომ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე გამავალი გზა უმძიმესი იქნებოდა, თუმცა ეს არ გვაშინებდა. კაცია და პაატა წინ გვისწრებდნენ და არემარეს აკვირდებოდნენ. ბაჩი და გოგა, ძირითადად, მე მეხმარებოდნენ, კოჭლობით მიმავალს. შევცქეროდი ჩემთვის თავგადადებულ ოთხ ყმაწვილს და მათი ერთგულება პასუხისმგებლობის უდიდეს ტვირთს მკიდებდა. გულში ვიკლავდი მათზე ფიქრსა და დარდს, რომ სახეზე არ შეემჩნიათ, რადგან ბიჭები სიკვდილისთვის მენანებოდა. დროდადრო ვჩერდებოდით, რუკას ჩავკირკიტებდი და თანამებრძოლებს ვუხსნიდი, რომ თუ ჯერ იმ ქედს, შემდეგ კი მეორე ქედს გადავივლიდით, იმ ადგილს მივადგებოდით, საითაც გეზი გვეჭირა. გონებაარეული ერთსა და იმავეს ვიმეორებდი გაუაზრებლად.

პერიოდულად ისევ ისმოდა მოახლოებული შვეულმფრენის ხმა, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდით. წინ მივიწევდი ისე, რომ არაფერი მესმოდა და ვერაფერს ვხედავდი სადღაც მიტოვებული ძმისა და თანამებრძოლების სახეების გარდა. თითქოს საკუთარ თავს ვეჯიბრებოდი, ჯიუტად მივეშურებოდი იმ ქედისაკენ მიცვალებულებისთვის წესის ასაგებად, გასაპატიოსნებლად და გამოსამშვიდობებლად.

– რუსების იქნება, ქართველთა გასანადგურებლად დაფრინავენ ალბათ, შობელძაღლები! – ეუბნებოდნენ ერთმანეთს ბიჭები და უფრო მეტი სიფრთხილით განაგრძობდნენ სვლას.

უკვე გამარჯვებულები და სისხლზე დაგეშილები, თითქოს სუნით გრძნობდნენ ჩვენს სიახლოვეს, მწევრებივით მოგვდევდნენ უკან და სულ უფრო და უფრო გვიახლოვდებოდნენ. დაბა განთიადის ჩრდილო-დასავლეთიდან სამი ღია სატვირთო

მანქანით აფხაზურ-ჩეჩნური რაზმები საზღვრისპირა სოფლებში შემოსულიყვნენ და ჩვენგან არც ისე შორს, სოფლის ცენტრში პოზიცია გაემაგრებინათ.

მაღლობიდან ბინოკლით დავცქეროდი მოწინააღმდეგის გადაადგილებასა და მთებსა და ტყეებში გაბნეულ იმ მებრძოლთა ბედი მადარდებდა, რომლებიც სამშვიდობოს გასასვლელად საზღვრისკენ მიეშურებოდნენ. ვხედავდი, რომ მათ გასაქცევ გზასაც აღარ უტოვებდნენ და ყველა მხრიდან ალყაში აქცევდნენ, ჩვენ კი მთებითა და ხევებით საწინააღმდეგო მხარეს, ძველი გაგრისკენ მივინევდით. ჯერ იმ ადგილამდე უნდა მივსულიყავით, სადაც ჩემი ძმისა და სხვა თანამებრძოლთა ცხედრები მეგულებოდა, მერე კი კავკასიონის ქედები შეგვიფარებდნენ, მისი ცადაწვდენილი მთები გვეიმედებოდა ცოტა ხნით, დიდი ხნით, სამუდამოდ...

საღამოვდებოდა. მზეს დასავლეთისკენ ექნა პირი. აღმართი ავიარეთ და წინ მდელო გამოჩნდა. მდელო გადავკვეთეთ და სოფელს გვერდი ავუქციეთ, შემდეგ ისევ აღმართს შევუდექით და განცალკევებულად მდგარი ერთი პატარა სახლი დავინახეთ, რომლის წინაც ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი ტრიალებდა. მასთან გავჩერდით სწორი გზისა და მისკენ მიმავალი ბილიკების საკითხავად. ავლაბრელი სომეხი აღმოჩნდა, ხელოსანი, „პარკეტჩიკი“. თბილისი სამოქალაქო ომის დროს, ქაოსისა და არეულობისას დაეტოვებინა, რადგან მისი ხელობა აღარავის სჭირდებოდა. უმუშევრად დარჩენილი სარჩო-საბადებლის მოსაპოვებლად დედაქალაქიდან აქეთ, სოფლად გადმოსახლებულიყო და მთებში მცირე მინის დამუშავებით და თამბაქოს მოყვანით გაჰქონდა თავი.

– ავლაბრელი ხარ? მე ისნელი ვარ.

თითქმის ჩემი უბნელი აღმოჩნდა, გამიხარდა. როგორც იმ დროის თბილისელებს სჩვეოდათ (თუმცა ახლაც ასეა), გონებაში ახლობლის, ნაცნობის, ნაცნობისგან გაცნობილის, სულერთია ვისი და ვისგან გაგონილის, იმ უბნის კოლორიტის სახელსა და გვარს ვქექავდი უშუალო ურთიერთობისა და ნდობისთვის, რომ თავისიანივით დამლაპარაკებოდა და წინ აზიდული ქედის შემოსავლელი მოკლე გზა ესწავლებინა.

გულდასმით მისმენდა, ხანდახან ტუჩებს კუმავდა და, თითქოს შეწუხებული, ერთსა და იმავეს იმეორებდა:

– ნწ, ნწ, ახპერ-ჯან[187], ეს რა დაგმართვიათ! საით მიდიხართ?

მერე, სტუმარმასპინძლობის დაუწერელი წესის თანახმად, შინ შეგვიპატიჟა.

– თქვენ ერთი-ორი საათი მოისვენეთ, მე სოფელში ჩავალ და ახალ ამბებს გავიგებ. თან სატვირთო მანქანებით იარაღიანი ხალხის გადაადგილებას შევხედავ და ეგრევე შეგატყობინებთ, ჯიგრებო! – შემოგვთავაზა მასპინძელმა.

დილით წინა სოფელში შეხვედრილი სომეხი მასპინძლისგან განსხვავებით, დაუპატიჟებელ სტუმრებს არც ლუკმაპური შემოგვთავაზა და ვერანდაზე დაკიდებული თამბაქოს ასხმის არსებობაც დაავიწყდა. ნაცვლად გამასპინძლებისა, ორაზროვანი კითხვა-პასუხითა და ყალბი თანაგრძნობით უმალ მივხვდით, რომ კარგი განზრახვა არ ედო გულში. ამას ახსნაც ჰქონდა: აქამდე ხელშეუხებლობას ქართველებთან თანაცხოვრებით ახერხებდა, დღეს ჩვენს დახმარებას აფხაზები ცოდვად და დანაშაულად ჩაუთვლიდნენ. დროულად აუღო ალღო ვითარების ცვლილებას და ერთგულების დასამტკიცებლად, ჯილდოს მოლოდინში, სოფლის ცენტრში განლაგებული აფხაზთა გარნიზონისკენ მიიჩქაროდა. უნდა ეცნობებინა, ხუთ ქართ-

[187] ახპერ-ჯან! (სომხ.) – ძმაო-ჯან!

ველ ჯარისკაცს, მათ შორის, ერთს სამხედრო უნიფორმით და ჩინით გამორჩეულს, ჩემს სახლში სძინავსო. მიუხედავად იმისა, რომ გულისნადებს მივუხვდით, არაფერი შევიმჩნიეთ. თავშესაფრისთვის მადლობა გადავუხადეთ და სოფლისკენ მიმავალს თვალი გავაყოლეთ. როგორც კი ორღობეს მოეფარა, ეზოს ღობეს გადავევლეთ და ბაღების გავლით თავი ტყეს შევაფარეთ. ერთი საათიც არ იქნებოდა გასული, როდესაც სამხედროფორმიანებით დატვირთული სამი სატვირთო მანქანა ავლაბრელი „პარკეტჩიკის“ ეზოს მოადგა. სამასიოდე მეტრში ტყეში შეფარებულები, გარინდებულები ვუყურებდით, როგორ ეძებდნენ აფხაზები მეზობელ სახლებსა და ფარდულებში ქართველ ჯარისკაცებს.

დღის ბოლოს, როგორც კი სიბნელემ დაისადგურა, იქვე დავბანაკდით და ღამე ღია ცის ქვეშ გავათიეთ. ბიჭებმა ძილი და დასვენება ისევ მე შემომთავაზეს, თვითონ კი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და ეშველებოდნენ. არ შევწინააღმდეგებივარ, ვცდილობდი, ცოტა დამეძინა, მაგრამ ვერ ვახერხებდი. ნებისმიერი ხმაური ჩემს ყურადღებას იპყრობდა. საშინელ იდუმალებაში ყოველ ჩქამსა და ფაჩუნზე ვკრთებოდი. ერთი აზრი არ მასვენებდა: „მთავარია, ტყვედ არ ჩავვარდე! ტყვედ არ ჩავვარდე!“ როგორც კი წამიერად ჩამთვლემდა, საზარელ სიზმრებს ვხედავდი – თითქოს მიახლოვდებიან და საცაა ამიყვანენ. წამსვე მეღვიძებოდა. თავს ძალას ვატანდი, რომ არ დამეძინა, ძილშიც და ცხადშიც ერთი და იგივე აზრი ციებ-ცხელებასავით მტანჯავდა და მოსვენებას არ მაძლევდა – ტყვედ არ ჩავვარდნილიყავი!

■

როგორც კი მიზანს მიაღწია, 6 ოქტომბრის დილიდანვე არძინბამ საქართველოს ხელისუფლებას ვითარებასთან შეგუება შესთავაზა, თითქოს არც ხელშეკრულება დარღვეულა და არც ასობით ქართველის სისხლი დაღვრილა ღალატით. ტელევიზიით მიმართა და „ზედმეტი სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად“ მომდევნო 3 დღის განმავლობაში ქართულ შვეულმფრენებს ტყეებიდან მებრძოლთა ევაკუაციის ნება დართო. გუდაუთის სამხედრო ბაზა საჰაერო სივრცის შეუზღუდავად გამოყენების უფლებას იძლეოდა. ჯერ არაფერი იყო დასრულებული, ჯერ მხოლოდ ზღვის სანაპირო ზოლზე და მის გასწვრივ ცენტრალურ გზაზე იყო კონტროლი დაკარგული და, რეალურად, ზემოთ, ფერდობებზე თავშეფარებული ქართველი მებრძოლების შიშით გზაზე ვერც აფხაზები გადაადგილდებოდნენ. ასე რომ, ნაცვლად იმისა, საქართველოს მხარეს შესაძლებლობით ესარგებლა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ოპერატიული პლაცდარმის შესანარჩუნებლად სიმაღლეებს შეფარებული ქართველი მებრძოლების მხარდამხარ საბრძოლველად შვეულმფრენებით ახალ-ახალი რაზმები გადმოესროლა, ქართულმა სამხედრო-პოლიტიკურმა მანქანამ თეთრი დროშა გადმოფინა და წინააღმდეგობა შეწყვიტა, შვეულმფრენები კი ტყეში შეფარული ხალხის გასაყვანად გამოგზავნა. სამაგიეროდ, ვინც მარცხი კაპიტულაციად აქცია, სიმამაცესა და თავგანწირვას ისევ სხვისგან ითხოვდა, პასუხისმგებლობას სხვას აკისრებდა. 6-ში დილიდან საქართველოს ტელევიზია საზეიმოდ აცხადებდა, რომ არმიის სარდალი გაგრის ტყეებში 400-კაციანი რაზმით პარტიზანულ ბრძოლებს აწარმოებდა მოთარეშე გადამთიელების წინააღმდეგ. გაუაზრებლად თუ წინასწარი განზრახვით გაკეთებული ეს ომახიანი განცხადება სხვა რა შეიძლება ყოფილიყო, თუ არა სიკვდილ-სიცოცხლის გზაგასაყარზე მიტოვებული 25 წლის ახალგაზრდა კაცის მორიგი გაწირვა სასიკვდილოდ?! მოწინააღმდეგეს გააგებინეს, ისევ იქ რომ ვიყავი.

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ მდინარე ფსოუს დაბალი ფონის გადასასვლელებზე ჩასაფრებული რუსი მესაზღვრეები და ფედერალური სამსახურის თანამშრომლები სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით დაკავებულ ქართველ მებრძოლებში გამორჩეულად ერთს კითხულობდნენ და მას დაეძებდნენ. ერთი სული ჰქონდათ, ხელში ის ჩაეგდოთ და ყველას ნაცვლად მასზე ეძიათ შური. მეძებდნენ ყველგან, საზღვრისპირა დასახლებულ პუნქტებსა თუ მიმდებარე სოფლებში, ყველა სახლში, ყოველ ქუჩაზე, ყოველ კუთხე-კუნჭულში; მეძებდნენ დაბის გზათა შესაყარზე და მიმდებარე მაღლობებსა და გორაკებზე, მდინარე ხოლოდნაია-რეჩკის ზღვის შესართავამდე. იმის იქით – აღარ, რადგან ფიქრობდნენ, რომ ყველა ჭკუათმყოფელი საზღვრისკენ გაეშურებოდა იქაურობიდან თავის დასაღწევად და არა საპირისპირო მხარეს – გაგრისაკენ.

თბილისის განცხადებამ მცირე შედეგი მაინც გამოიღო: შეიქმნა მითი, თითქოს დაჯგუფების სარდალი ოთხასამდე მებრძოლთან ერთად პარტიზანულ ბრძოლას აგრძელებდა. ამის გამო აფხაზმა და ჩრდილოკავკასიელმა ბოევიკებმა ტყეებში შესვლასა და ქართველებისგან იქაურობის წმენდაზე დროებით ხელი აიღეს.

როგორც კი მზემ გამოანათა, დაგებული ხაფანგიდან თავის დასაღწევად გზას სწრაფად შევუდექით და ვცდილობდით, აღარსად შევჩერებულიყავით. მოხრეშილ ბილიკებს ახლოს აღარ ვეკარებოდით და გვერდს ვუვლიდით, გაუვალ ფერდობებსა და ტყის ბუნებრივ ბილიკებს ვირჩევდით. ღია მინდორსა და მდელოს თუ მივადგებოდით, მოკლე გადარბენებით ვახერხებდით მათ გადალახვას. დახლართულ ეკალბარდებსა და გაუვალ ბუჩქებში დაკაწრულ-დასერილები, ნატყვიარის ტკივილს შეჩვეულები და ეკლებით სისხლდადენილები, არჩეულ გეზს ისევ ჯიუტად მივყვებოდით. სრულიად უცხო კუთხეში მოხვედრილები ზემოთ და ზემოთ მივიწევდით. წინ მხოლოდ მთები ჩანდა, კავკასიონის ამაყი და მტკიცე მთები. ისინი გვეგულებოდა მფარველებად და მცველებად. მთების შემოსავლელად გაჭრილი ბილიკები მანძილს გვიგრძელებდა და ქანცს გვაცლიდა, თუმცა მაინც მივდიოდით, სხვა არაფერი შეგვეძლო. ერთადერთი, რაც გზას გვიმოკლებდა და გვიმსუბუქებდა, იყო რწმენა, რომ ვინმე მაინც დაგვხვდებოდა ცოცხალი. შვეულმფრენი კი შორიახლოს კვლავ დაუღალავად დაფრინავდა, თითქოს ვიღაცას დარაჯობდა. მთებიდან ცივი ნიავი უბერავდა, კავკასიონის კალთებზე ახალი თოვლი იდო.

საღამოს მეჩხერ ტყეში, გზიდან ოცდაათი მეტრის დაშორებით ფიცრულ ქოხს მივადექით. დაღლილობისგან აღარც ვფრთხილობდით და ქოხის კარი პირდაპირ შევაღეთ. წინა ოთახში რკინის საწოლზე ლეიბი ეგო და უხეში ქსოვილი ჰქონდა გადაფარებული. მეორე ოთახში განიერი ხის ტახტი იდგა, პატარა მაგიდაზე ჯამი, რკინის მათარა, ორი თეფში და კიდევ რაღაც საგნები ელაგა. შუაცეცხლზე, რკინის ქვაბში ვახშამი იხარშებოდა. ქოხის უკან, თოკზე გასახმობად დაკიდებული თამბაქოს არომატული სურნელი ტრიალებდა და მწეველებს თავისკენ გვიზიდავდა. პატარა ეზოში თორმეტიოდე წლის ბიჭი ცხვარს წველიდა. შორიახლოს სამოციოდე წლის მამაკაცი გობში რაღაცას ზელდა. „თოფიანი კაცების“ დანახვაზე რომ არ შეშინებოდათ, მასპინძლებს სიფრთხილით გავძახეთ, თავმდაბლად მივესალმეთ და გრებეშოკის მთისკენ უმოკლესი გზა ვკითხეთ. კაცმა რუკაზე ნაჩვენები ადგილისკენ მიმავალი ბილიკისკენ ხელით მიგვანიშნა, აგვიხსნა, რომ მიზანთან ახლოს ვიყავით. მისი თქმით, იმ ქედს თუ შემოვუვლიდით და შემდეგ ხევის სათავიდან სამხრეთით დავეშვებოდით, გრებეშოკის მთამდე მალე მივაღწევდით.

რუკაზე აღნიშნული სიმაღლეებისა და ბილიკების მოხაზულობით თუ ვიმსჯელებდით, ქედი არც ისე შორს უნდა ყოფილიყო, თუმცა უსწორმასწორო ბორცვებისა და ხევების გადალახვას და მთამდე მისვლას დაღამებამდე მაინც ვერ მოვასწრებდით, თანაც ოთახში ისეთი მადისაღმძვრელი სუნი ტრიალებდა, რომ იქიდან მაშინვე წასვლა ჩვენს ძალებს აღემატებოდა. ორი დღის მშივრებს ნერწყვი გვადგებოდა და თვალები ცეცხლზე მოთუხთუხე ქვაბისკენ გაგვირბოდა. ჩვენი საცოდაობის შემხედვარე მასპინძელმა ვახშამზე მიგვიწვია და ღამის გათევაც შეგვთავაზა.

ერთმანეთს გადავულაპარაკეთ. ვამჯობინეთ, ძალა მოგვეკრიბა და გზა დილით გაგვეგრძელებინა. იმ საღამოს ქოხში დავრჩით. სანამ ბიჭი მაგიდას შლიდა და ციბრუტივით ტრიალებდა, მასპინძლის ამბით დავინტერესდით. ისიც სომეხი აღმოჩნდა. ალპურ ზონაში ზაფხულის საძოვრებზე მესაქონლეობასა და მეთამბაქოეობას მისდევდა და შვილიშვილი ეხმარებოდა. ცივი ამინდების დადგომასთან ერთად თამბაქოს მოსავლის აღებისა და საქონლის ბარში ჩარეკვისათვის ემზადებოდა. წუხდა ძმათაშორის ატეხილ ომზე და მშვიდობას ნატრობდა.

სულ მალე მოთუხთუხე ქვაბი ცეცხლიდან გადმოდგა და მაგიდასთან მიგვიპატიჟა. ღია ცეცხლთან კვამლისგან აცრემლებული თვალებით ღომში ჩაზელილ ყველს, მაწონში ჩაფშვნილ გუდაში გამოყვანილ ყველსა და მჭადის ნატეხებს ისე ხარბად შევექცეოდით, თითქოს სიცოცხლეში ამაზე უკეთესი არაფერი გაგვესინჯა. ვახშმის შემდეგ, სრული სიამოვნებისათვის, გაზეთის ქაღალდში გახვეული უგემრიელესი არომატის თუთუნიც ხარბად მოვწიეთ. კეთილმა მასპინძელმა დასასვენებლად ერთი ოთახი ჩვენ დაგვითმო, თვითონ კი შვილიშვილთან ერთად მეორე ოთახში დაწვა და ძილს ისე მიეცა, რომ მის კეთილსინდისიერ მასპინძლობაში ეჭვი არ შეგვპარვია. მოთენთილებს და დაძაბულობისგან დაქანცულებს ცეცხლისგან დატრიალებული სითბო გვესიამოვნა და დასაძინებლად გავემზადეთ. ბიჭებმა მე მოსვენება შემომთავაზეს და საწოლი დამითმეს, თვითონ კი გაიყვნენ და სიფხიზლე და ძილი თანაბრად გაინაწილეს. პირველად კაცია და პაატა დარჩნენ ფხიზლად, ბაჩიმ და გოგამ მინის იატაკზე მოიკალათეს.

გარეთ უკვე ბნელოდა. ამდენმა დაძაბულობამ, გლოვამ, ტკივილმა, ნერვიულობამ, უძილობამ თავისი გაიტანა და მკვდარივით ჩამეძინა. აღარც ტყვედ ჩავარდნის კოშმარული სიზმარი მინახავს. დიდხანს მეძინა, იმაზე დიდხანს, ვიდრე უფლება მქონდა იმ ვითარებაში. ბიჭებს ღამე რიგრიგობით გაეტეხათ. ჩემს გაღვიძებას არ ჩქარობდნენ, თან უძილო საათებს თვითონაც ინაზღაურებდნენ. დილის 10 საათი იქნებოდა. ვერ მივხვდი, ფიცრული ქოხის ჭრილში შემოპარულმა მზის სხივმა გამაღვიძა თუ შვეულმფრენის ხმამ. საწოლიდან წამოვხტი და ყურადღება დავძაბე. შვეულმფრენი, რომელიც წინა დღეებში ქედს იქით დაფრინავდა, ახლა უკვე ქედს აქეთ, ჩვენს ქოხს დასტრიალებდა. თითქოს მასში მყოფებმა ჩვენი ადგილსამყოფელი იცოდნენ, შვეულმფრენი ქოხიდან სამასიოდე მეტრის დაშორებით, ზეგანზე დაბლა და დაბლა ფარფატ-ფარფატით ეშვებოდა და დასაჯდომად ემზადებოდა. ქოხიდან გიჟებივით გამოვცვივდით და ბექობის უკან, ბუჩქნარში წინასწარ შერჩეული პოზიციები დავიკავეთ. მიწის ფერი მედო, სიმწრისგან თავბედს ვიწყევლიდი. მინდოდა, რომ ერთგული მეგზურებისთვის საყვედური მეთქვა, მეჩხუბა, დროზე რომ არ გამაღვიძეს, მაგრამ ენას კბილს ვაჭერდი და ისევ საკუთარ თავს ვსაყვედურობდი: „უმადურო, მათგან რა გინდა?! რა მნიშვნელობა აქვს, დღეს ჩავარდები ტყვედ თუ ხვალ? როდის ყოფილა, მეომარს მუდმივად უმართ-

ლებდეს? ახლა ისღა დაგრჩენია, ბედს შეეგუო, ხელსაყრელი ადგილი შეარჩიო და უკანასკნელი ბრძოლისთვის მოემზადო!“

მიწაზე გართხმული, გარინდებული შევცქეროდი შვეულმფრენს და მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, თუ დაგვიფასებდა ოდესმე ამ თავგანწირვას ვინმე, ვისთვისაც ვიხოცებოდით?

6 ოქტომბერს, დილით ადლერიდან თბილისში დაბრუნებული ავთო ჯორბენაძე სახელმწიფოს მეთაურისა და პრემიერ-მინისტრის სანახავად პირდაპირ მთავრობის სასახლეში მისულა და ბრძოლის ველზე დატოვებული მეგობრის ბედით დადარდიანებული გულიდან შევარდნაძესა და სიგუასთან შეხვედრისას სიტყვებს თავისით ამოუხეთქავს:

– არ გრცხვენიათ?! ნამუსი არა გაქვთ?! მთელი ომის სიმძიმე და პასუხისმგებლობა ერთ კაცს აჰკიდეთ, უთანასწორო ბრძოლაში დახმარების გარეშე დატოვეთ და ყველა თქვენგანის მიერ დატრიალებული ცოდვა-ბრალის სიმძიმე ერთი ახალგაზრდის საზიდი გახადეთ! ახლა მაინც გაინძერით, იქნებ მიაგნოთ, იქნებ ჯერ კიდევ ცოცხალია!

ავთოს სახელმწიფოს უმაღლესი რანგის პირებისთვის ჩემი ადგილსამყოფლის სავარაუდო კოორდინატებიც მიუწოდებია, შემდეგ კი გასამხნევებლად ჩემს მშობლებთან წასულა, რომლებსაც იმ დროს ორივე შვილი დაღუპული ეგონათ.

8 ოქტომბრის დილა იდგა. თურმე უკვე მესამე დღე იყო, რაც თბილისიდან გამოგზავნილი ქართული შვეულმფრენი დილიდან საღამომდე ტყეში გაბნეული ჯარისკაცების მოსაძებნად შეუჩერებლად დაფრინავდა, სათითაოდ პოულობდა გაფანტულ მებრძოლებს და სამშვიდობოს გაჰყავდა. 7 ოქტომბერს, საღამოს სწორედ იმ ჯგუფმა გააღწია სამშვიდობოს, რომელსაც გოგა გამოეყო. მათ აცნობეს სამხედრო ხელმძღვანელობას მთებში დარჩენილი სარდლის ჩანაფიქრი და გადაადგილების სავარაუდო მიმართულება. იმ წუთიდან შვეულმფრენები გამორჩეულად ეძებდნენ სარდალს, თუმცა ამის შესახებ, რა თქმა უნდა, ჩვენ არაფერი ვიცოდით.

ბუჩქებს შეფარულები, სუნთქვაშეკრულნი შევცქეროდით, როგორ გაიღო ზეგანზე დამჯდარი შვეულმფრენის კარი და, ჩვენდა გასაკვირად, იქიდან კარგად ნაცნობი, გვარდიის პოლკოვნიკ ნაირაშვილის ვაჟი, დათო გადმოვიდა. განცვიფრებისგან პირი ღია დაგვრჩა. შვეულმფრენი, რომელიც მონინააღმდეგის გვეგონა და ვემალებოდით, ქართველების აღმოჩნდა.

– ჩვენია, ჩვენია!.. – ჩურჩულით ნათქვამს ერთმანეთს ექოსავით გადასცემდნენ ბიჭები და ნელ-ნელა, რიგრიგობით გამოდიოდნენ სამალავებიდან. მათ დანახვაზე დათო ნაირაშვილმა პირველად ჩემი ამბავი იკითხა.

მძიმედ გამოვედი თავშესაფრიდან, უხალისოდ მივესალმე. გასვლა რომ მნდომოდა, ჯერ კიდევ 5-ში საღამოს მოვახერხებდი. არც ბედისწერას ვემადლიერებოდი, რადგან ბრძოლის ველზე ვაჟკაცურად სიკვდილის ნაცვლად სასწორი მარცხით გამწარებული სიცოცხლის სასარგებლოდ გადაწონა. მფრინავი ელგუჯა დემეტრაშვილი და მისი ეკიპაჟი თანაგრძნობით შემხვდნენ. უსიტყვოდ მიიღეს თხოვნა, რუკაზე ნაჩვენები სიმაღლისაკენ გაფრენილიყვნენ. ისევ გრებეშოკის მაღლობისაკენ მიმიწევდა გული იმ იმედით, რომ ვიღაც მაინც იქნებოდა გადარჩენილი.

სიტყვა ვთქვი და შევასრულე. ბიჭებს შევპირდი, ამოვალ-მეთქი და მართლაც ავედი...

ათიოდე წუთში შვეულმფრენი გრებეშოკის ზეგანზე დაფრინდა. ეკიპაჟსა და თანმხლებ ჯგუფს შვეულმფრენის მოედნის გარშემო წრიული თავდაცვის დავალება მივეცი, მე კი ბაჩისთან ერთად ადგილის დათვალიერებას და გადარჩენილი რაზმის წევრების ძებნას შევუდექი.

ის ფიცრული, სადაც სომეხი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, დამწვარ-დაფერფლილი დაგვხვდა. სამი დღის წინ გაცნობილი ჩია მამაკაცი სამ დღეში უფრო დაბერებულიყო. ბრძოლის გაჩაღებისას პირველივე ყუმბარა პირდაპირი დამიზნებით მის ქოხს მოხვედროდა და დიასახლისი ადგილზე მოეკლა. მარტოდმარტო დარჩენილი ჭირისუფალი იქვე იჯდა და დაღუპულ ცოლს გლოვობდა, რომელიც წინა დღით დაესაფლავებინა. სწორედ მას ვეძებდი, მთის ფერდობზე ეულად მცხოვრებ ოჯახს. სავარაუდოდ, ის უნდა ყოფილიყო იქ დატრიალებული ტრაგედიის ცოცხლად გადარჩენილი ერთადერთი მოწმე. რამდენიმე სიტყვით გამოველაპარაკე.

– ხომ არავინ გინახავს ვინმე იმათგან, სამი დღის წინ მანქანებით რომ ამოვიყვანეთ?

– გუშინწინ, დილით ხევის ძირიდან ორი კაცი იყო მოსული, რუსულად ლაპარაკობდნენ და ასანთს ეძებდნენ, მგონი, ქართველები იყვნენ. გუშინაც კიდევ რაღაც მოძრაობა შეინიშნებოდა, – მიპასუხა და ხელით იმ მხარეს მიმითითა, საითაც გოგამ მაჩვენა, ბადრი, ოთარი, „სოხუმა“, ხვიჩა და სხვები ამ სველ დაღმართზე მიათრევდნენ დაჭრილსო.

ცოცხლებისა და გარდაცვლილების ძებნას შევუდექით. ღრმად მწამდა, რომ შეუძლებელი იყო, ვინმე არ გადარჩენილიყო, ტყუილად ხომ არ ვიარეთ ამდენი! ირგვლივ სიჩუმეს დაესადგურებინა, ჩამიჩუმი არ ისმოდა, თითქოს ამბის გამომტანიც აღარავინ დარჩენილიყო. ფრთხილად მივაბიჯებდი და ქვემოთ და ქვემოთ მივიწევდი. ორიოდე ნაბიჯში ბაჩი მომყვებოდა. ხევისკენ მიმავალ დაღმართში, ციცაბო ფერდობზე კლდეს გვერდს ვუვლიდით და ნამიან ბალახზე დატოვებულ სისხლიან ნაკვალევს მივდევდით ხევის ძირისკენ. ფეხი გვიტრიალდებოდა, გვისხლტებოდა, ხავსმოდებულ ადგილებში დამჭდარი ვცდილობდით ჩასრიალებას.

სადღაც ქვემოთ წყლის შხუილი ისმოდა. რაც უფრო ვუახლოვდებოდით ძირს, მით უფრო გვიპყრობდა მღელვარება. თითქოს ხევიდან რაღაც ხმა მოდიოდა. იარაღმომარჯვებულები კიდევ უფრო მეტი ყურადღებით ვაგრძელებდით გზას, სმენის დაძაბვით ვცდილობდით ბუნებისა და ადამიანის ხმების ერთმანეთისგან გარჩევას, რათა მოწინააღმდეგის დაგებულ ხაფანგში არ აღმოვჩენილიყავით. ნიავის შრიალში ქვემოდან მომავალი ხმები ადამიანის ჩურჩულს ნააგავდა.

ახლა წარმოიდგინეთ მათი განცდა, ვინც იქ იყვნენ – გადარჩენილი ქართველების, ქვაბულში მომწყვდეულების, ზემოდან რომ ესმოდათ ფეხის ხმა, რომელიც თანდათან უახლოვდებოდათ. ხევის ძირს შეფარებულებს აშკარად, გარკვევით ესმოდათ ქართული სიტყვებიც, მაგრამ განა აფხაზებმა არ იციან ქართული! ამიტომ მაინც სიფრთხილეს იჩენდნენ და სულგანაბულები საფრიდან თავის გამოყოფას არ ჩქარობდნენ.

ნერვებთან ბრძოლაში მოთმინებამ პირველად დაღუპული ძმის მაძიებელს მიმტყუნა, საფრთხის მიუხედავად, დავიყვირე და ხმას გულიც ამოვაყოლე:

– არის მანდ ვინმე ცოცხალი? ქართველები ხართ ვინმე?

ქართულად, მშობლიურ ენაზე მიპასუხეს:

– ჰო, ქართველები ვართ, აქ ვართ!

სულ რაღაც 20 მეტრში სამალავიდან „ორბელი“ დათო ბეჟაშვილი გამოჩნდა. იქვე იყო ასევე „ორბელი“ გია ბედოიძეც.

ღმერთო, დიდებულო! მკვდრებს დავეძებდი და ცოცხლებს გადავაწყდი. თითქოს იმ ადგილს ადამიანები თავისით მიეზიდა. ორი ცოცხალი დასტრიალებდა თავს ერთ დაჭრილსა და იქვე დასვენებულ ერთ მიცვალებულს. დაჭრილს ვერაფრით შველოდნენ, მაგრამ ღვთის ანაბარა არ ტოვებდნენ. ბედს შეგუებულებს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მასთან ყოფილიყვნენ. ვუყურებდი და თვალებს არ ვუჯერებდი – ვინ მოელოდა, რომ იქ ცოცხლებს ვნახავდით?! ისინიც შემოგვცქეროდნენ და გონს ვერ მოსულიყვნენ, დაჯერება უჭირდათ, რომ ვიპოვეთ. პირველი ის მოახერხეს, რომ დათომ სიგარეტი ითხოვა, ბაჩის მიერ მიწოდებულ გაზეთის ქაღალდში გახვეულ თამბაქოს მოუკიდა და ხარბად გააბოლა.

იქაურობას თვალი მოვავლე. დაჭრილი ქერა ყმაწვილი, კლდეზე მიყრდნობილი, გაუნძრევლად იწვა, თითქოს აკლდამაში განისვენებსო. ხვიჩა იყო, გვარად ლომიძე, „თეთრ არწივში“ ირიცხებოდა. ფეხი ჰქონდა გადამსხვრეული და ღია ჭრილობიდან სისხლი სდიოდა, მუხლი ორი ჯოხით და ნაჭრით ჰქონდა დამაგრებული. ტკივილისაგან გამწარებული გაჩენის დღეს იწყევლიდა. იმედი აღარ ჰქონდა, რომ იქ ვინმე იპოვიდა. ცას შეჰყურებდა და სიკვდილს ნატრობდა, რომ დროულად მოსულიყო და წაეყვანა. გვიყურებდა და თვალებს არ უჯერებდა, რომ საშველად მისულ თანამებრძოლებს ხედავდა. იქვე, ხევის პირას, ხუთიოდე მეტრის მოშორებით, ჩემ წინ ღვიძლი ძმის უსულო, გაქვავებული ცხედარი ესვენა! ის, ვისაც ვეძებდი და ვისკენაც მივისწრაფოდი! გული მიჩერდებოდა და სუნთქვა მეკვროდა. მინდოდა, გაცივებულ სხეულს მივფერებოდი, გაყინულ შუბლს შევხებოდი, მაგრამ უცებ შევკრთი, როდესაც მისი სახე დავინახე, მიწისგან შეურაცხყოფილი და შელახული. ხავსმოდებულ მიწასა და ნესტიან ბალახში ჩაბუდებული ათასგვარი მწერი და ჭიანჭველა შესეოდა დაღუპულის სხეულს, ცოტა ხნის წინ მჩქეფარე სისხლსაც ხარბად ეწაფებოდნენ. სახეზე კანი ერთიანად ამოეჭამათ და უკვე ხორცსაც მისდგომოდნენ.

მინდოდა, ბაჩის, გოგასა და პაატას დახმარებით ცხედარი ზემოთ, მშრალ ალაგას გადამესვენებინა, მაგრამ ოთხმა დაღლილ-დაქანცულმა კაცმა მხარბეჭიან ჭაბუკს ძვრაც ვერ ვუყავით. მიუდგომელი, სველი ადგილი და ნესტიანი მიწა ფეხის მოკიდების საშუალებას არ იძლეოდა. ვცადეთ, ხოხვით აგვეწია ზემოთ, მაგრამ 4 დღის განმავლობაში მუცელში დაგუბებულმა, შედედებულმა სისხლმა განძრევისთანავე სქლად ამოასხა ნატყვიარიდან და მისმა მძაფრმა სუნმა მიახლოება შეუძლებელი გახადა.

სიკვდილამდე გამყვება ნანახი...

თავდაპირველი დაბნეულობის შემდეგ, გონება ისევ ცივად და აუღელვებლად ამუშავდა. მდგომარეობა საშიში იყო, დაუყოვნებლივ უნდა გვემოქმედა. ჯერ დაჭრილი იყო დროულად ამოსაყვანი. ყველა ერთად შემოვეხვიეთ და ხევიდან ამოყვანა ვცადეთ, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. მცირედი განძრევა, უბრალო შეხებაც კი წარმოუდგენელ ტკივილს აყენებდა. დაყვირების ძალაც აღარ შესწევდა. გამწარებული, აქ დამტოვეთო, იხვენებოდა. იძულებულნი ვიყავით, სხვა გზა გვეპოვა. ფიქრისა და განსჯის შემდეგ მფრინავმა დაჭრილის ჯალამბრით ამოყვანა შემოგვთავაზა. ბიჭები დიდი სიფრთხილით უკეთებდნენ ხვიჩას სამაგრებს, შვეულმფრენი ხეებს შორის ცდილობდა ჯალამბრის ჩამოშვებას. მოუხერხებელი ადგილი და ხის ტოტები მფრინავს საქმეს ურთულებდა. რაც დრო გადიოდა, საშიშროება უფრო

მატულობდა. გზიდან ორ კილომეტრში, დაბალ სიმაღლეზე ჰაერში დიდხანს დაკიდებული შვეულმფრენი აუცილებლად მიიპყრობდა მოწინააღმდეგის ყურადღებას.

მოსაღამოვდა. ნისლი თანდათან დაბლა ეშვებოდა. აშკარა იყო, რომ შვეულმფრენი დაღამებამდე ორივეს ამოყვანას ვეღარ მოასწრებდა. ბნელდებოდა, ვითარება დამძიმდა. ძმის გარეშე წამოსვლა აზრადაც არ გამივლია, ბიჭები კი უჩემოდ გაფრენაზე ამბობდნენ უარს. ისევ არჩევანის წინაშე დავდექი: ან ჩემს ახირებას ხუთი ყმაწვილი შეეწირებოდა, ან მათ გამო საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაზე უნდა მეზრუნა და ძმის გარეშე წასვლას დავთანხმებოდი. გაუნძრევლად ვიდექი, უბედურებისგან ძალაგამოცლილი ვცდილობდი, სინდისისთვის წინააღმდეგობა გამეწია, ის კი ყურში ჩამწიოდა: „აქ არ დატოვო, წაასვენე, დაკრძალე!“ დავყურებდი გარდაცვლილ დედამამიშვილს და ჯარისკაცის მამის გულიდან ამოხეთქილი სიტყვები მახსენდებოდა... დედისთვის რა უნდა მეთქვა? მარტო ერთი კი არა, ყველა დედისთვის!

დრო არ ითმენდა. გადაწყვეტილება უმძიმესი არჩევანის ზღვარზე მყოფმა მივიღე, ყველას გადასარჩენად, ცივი გონებით განკარგულება გავეცი – გარდაცვლილზე დრო არ დაეკარგათ და დაჭრილი გამოეყვანათ.

ბოლოჯერ მივუჯექი თავთან და პატიება ვთხოვე: „დღეს უნდა დაგტოვო, მაგრამ სიტყვას გაძლევ, ხვალ აუცილებლად გაგიყვან, ხვალ თუ არა, ზეგ. ახლა კი უნდა წავიდე სხვების სიცოცხლის გადასარჩენად...“ – ვეჩურჩულებოდი გოჩას უსულო სხეულს.

მიცვალებული დავტოვე და კოჭლობით მაღლობისკენ გავემართე.

მივდიოდი და ფეხები უკან მრჩებოდა. „ის შენ არ დაგტოვებდა! ის შენ არ დაგტოვებდა! ის შენ არ დაგტოვებდა!..“ – ჯიუტად მიწუოდა ყურებში.

სანამ შვეულმფრენს ჯალამბრით დაჭრილი ამოჰყავდა, ჩრდილოეთის მხრიდან ზეგნის დათვალიერება დავიწყე. ბრძოლის ნაკვალევს ვეძებდი. იმედი მქონდა, გული მიგრძნობდა, რომ რამეს აუცილებლად გადავაწყდებოდი. ცას უკვე საღამოს ბინდი გადაპკვროდა. დახოცილ შვილთა ბედით შეწუხებულს, თითქოს მასაც მოეწყინა. მინაში ჩაღვრილი სისხლით ჰაერიც გაჟღენთილიყო. ალბათ გვამის სუნმა თავისით მიმიზიდა, იქვე, ორასიოდე მეტრში განცალკევებით მდგარი ხის ძირას თანამებრძოლის, ქუთაისელი გია ციბაძის ცხედარს წავაწყდი. ხეზე ზურგით მიყრდნობილი, ტყვიებით იყო დაცხრილული. თითქოს სიტყვა ტუჩებზე შერჩენოდა, თვითონვე აღწერდა საკუთარ სიკვდილს. ეტყობა, სიკვდილის წინ მკვლელს პირისპირ ელაპარაკებოდა ან მწარედ აგინებდა.

დანარჩენების ძებნას ვაგრძელებდი. ბიძაშვილს ვეძებდი, წყნეთელ ოთარ ოძელაშვილს, ისიც იქ უნდა ყოფილიყო. პირველი ორი ღამე მასაც და გიზო წულაიასაც იქ გაეთენებინათ. წინა დილით, ჩვენს მისვლამდე მხოლოდ ერთი დღით ადრე, ოთარს დაჭრილი ხვიჩა დაუმედებია, მაშველს მოვიყვანო და მათ მოსაძებნად გიზოსთან ერთად მაღლით, ტყისკენ წასულა. რომ დარჩენილიყვნენ, უეჭველად გადარჩებოდნენ, მაგრამ მათი ბედი თითქოს წინასწარ იყო სადღაც გადაწყვეტილი. არც ცოცხლები და არც მკვდრები დღემდე არ ჩანან.

ავთოსაც ვეძებდი, სახლთხუციშვილს. არც კოტე ჩანდა, ანდრიაძე, არც სხვები... საზარელი წარმოსადგენი იყო: ისინი, ვინც სამი დღის წინ ცოცხლები დავტოვე, დღეს უკვე სადღაც მთებსა და მინდვრებში რამდენიმე კილომეტრზე გაშლილ-გაფანტულები, სამხედრო ფორმაზე მიკერებული საქართველოს სამფეროვანი დროშით, უპატრონოდ, დაუმარხავად ეყარნენ. მშობელი მიწა გამხდარიყო მათი საწოლი,

ხოლო ქვა-ლოდი – საბან-საფარი. დახოცილებს არავინ გლოვობდა და არავინ ჰყავდათ მცველად. მინდოდა, სათითაოდ მომეძებნა და ცოცხალი ან თუნდაც მკვდარი შვილები მშობლებისთვის დამებრუნებინა, მაგრამ, ვაგლახ, რომ სხვისი ჭირისუფლისთვის ნუგეშის კი არა, საკუთარი ძმის გამოყვანის ძალაც არ შემწევდა. დრო აღარ ითმენდა და დაბნელების შიშით მფრინავი სასწრაფოდ გაფრენას ითხოვდა.

უკან მობრუნებული ფერდობის თავზე მარტო დარჩენილ მოხუცთან შევჩერდი. გვერდიგვერდ ვიდექით 5 ოქტომბრის ავბედით დღეს დაღუპულთა ჭირისუფლები. მე ძმას და თანამებრძოლებს, ის მეუღლეს გლოვობდა. მტერიც საერთო გვყავდა – სიკვდილი.

– ყოველთვის აქ ცხოვრობდი? – სიტყვა ჩამოვუგდე.

– არა, ფოკაში ვცხოვრობდი და 20 წელი ფარავნის ტბის ინსპექტორად ვმუშაობდი თევზდაცვის ინსპექციაში, – ძლივს ამოთქვა რამდენიმე სიტყვა.

მოულოდნელობისგან შევკრთი, ყურებს არ ვუჯერებდი! აფხაზეთის მთებში შემთხვევით გაცნობილი მოხუცი სამხედრო სასწავლებელში ჩემი მოწყობის ერთერთი ხელშემწყობის, რესპუბლიკის თევზდაცვის ინსპექციის ხელმძღვანელის, როლანდ ჩარგეიშვილის და მამაჩემის, იმჟამად ქალაქის ინსპექციის უფროსის, ყოფილი თანამშრომელი აღმოჩნდა. „ღმერთო, დიდებულო, ნუთუ ისეთი პატარაა სამყარო, რომ ყველა ადამიანი ერთმანეთს იცნობს? ერთმანეთს თუ არა, იმას მაინც იცნობს, ვისაც სხვა იცნობს?“ – გავიფიქრე გაოცებულმა. ძლივს მოვახერხე, რომ ენისთვის კბილი დამეჭირა და არ მეყვირა. მოზღვავებული ემოცია შევიკავე და საქმიანად ვკითხე:

– რესპუბლიკის ინსპექციის უფროსს თუ იცნობდი ან ქალაქის ინსპექციის უფროსს? რა გვარი იყო?

პასუხს გულისფანცქალით ველოდებოდი.

ჯერ როლანდ ჩარგეიშვილი გაიხსენა, შემდეგ მამაჩემის გვარი და სახელი. ვერ ხვდებოდა, იქ, იმ დაწყევლილ ადგილას და იმ ავბედით დროს რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვის იცნობდა და ვის – არა.

თითქოს იმედი გამიცოცხლდა:

– ჰოდა, ის ჭაბუკი, კლდის ძირას რომ წევს, სწორედ მისი შვილია. გთხოვ, თუ სამ დღეში არ დავბრუნდი, ცხედარი მიწას მიაბარე, დაუმარხავი არ დამიტოვო. ჯობს, ისევ მიწას მიეცეს საჭმელად, ვიდრე ათას ნადირ-ფრინველს, – ჯიბეში ხელი ჩავიყავი და რაც კი ფული მქონდა, მოხუცს გავუწოდე.

იდგა მოხუცი და, ნაცნობის შვილის დაღუპვის ამბით შეწუხებული, გულისტკივილს ვერ მალავდა.

– რა ახალგაზრდა ყოფილა საწყალი! – ჩაილაპარაკა.

გაგრიდან მოვფრინავდი. მოვდიოდი და თავს იმით ვინუგეშებდი, რომ დაჭრილი მომყავდა, ძმის ცხედრის ნაცვლად კი თანამებრძოლის – გია ციბაძის ცხედარს მოვასვენებდი. იმის გამო, რომ არ დავრჩი, მთელი გზა თავს ხან ვიმართლებდი, ხან ვიდანაშაულებდი. შურისძიების წყურვილი მახრჩობდა, ჩემიანებთან თავის გასამართლებლად ვემზადებოდი.

■

გაგრის ტრაგედია პოლკოვნიკ მარინაშვილს, ერთადერთს, მხოლოდ მას დაპბრალდა და ყველაფერი მასზე გადატეხეს. ახლა უკვე ლესელიძის დაკარგვას სჭირდებოდა ახალი დამნაშავე. თბილისში იმდენი მტერი და მოშურნე მყავდა, გუმანით ვხვდებოდი, რომ არავინ დამინდობდა და მეც იგივე მელოდა. საკუთარ ნაჭუჭში აქამდე გველებივით შეყუჟულები გარეთ გამოძვრნენ, ლაჩრობის შემდეგ გონს მოვიდნენ და, მანამდე გასუსულებს, ავი სისინითა და ჩურჩულით დამნაშავედ ჩემი დასახელებისთვის დიდი დრო არ დასჭირვებიათ. ეს ყველაზე იოლი და ხელსაყრელი იყო. მე ხომ აღარსად ვიყავი, არც მკვდარი და არც ცოცხალი. როდის ყოფილა, არარსებული თავს იმართლებდეს?!

მხოლოდ სამი დღე იარსება ჭორმა. როგორც კი სოხუმში ცოცხალი დავბრუნდი, ბევრს გაუცრუვდა იმედი. ჩემი თავგადასავალი, როგორც ჯავშანი, ხოლო მოკლული ძმა, როგორც გაღებული მსხვერპლი, შეგნებული ხალხისთვის საკმარისი აღმოჩნდა. ძნელია, საკუთარი და ძმის სიცოცხლის გამწირავს ღალატში დასდო ბრალი. ბოროტი ჭორის პასუხად თანაგრძნობას ვიღებდი, თავგანწირვას და სიმამაცეს მიფასებდნენ, შიგადაშიგ მაქებდნენ, ხოლო მსხვერპლად შეწირულზე წუხდნენ და მისამძიმრებდნენ.

სოხუმში რამე განსაკუთრებული დახვედრა არ მოუწყვიათ. დამხვდნენ ისე, როგორც დამარცხებულს შეეფერება. ლიტერატორთა პანსიონატის ოთახში ვიღებდი სამძიმარს სოხუმელებისგან. მოვიდნენ თამაზ ნადარეიშვილი, ავთო იოსელიანი და გენო ადამია. კიდევ ბევრი სამხედრო და სამოქალაქო პირი მიცხადებდა თანაგრძნობას და თავდადებას მიფასებდა. სამეთაურო ოთახში ერთად იყვნენ შეკრებილნი ნათესავ-მეგობრები: აჩიკო თაფლიაშვილი, თამაზ იმნაიშვილი, შამუკა ცხვედაძე, გია გოგინაშვილი, სხვები... ერთგული თანამებრძოლები მზადყოფნას გამოთქვამდნენ, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გაფრენილიყვნენ ქართველთათვის დაკარგულ და მოწინააღმდეგის კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხედრის გამოსაყვანად. იმის გამო, რომ დაჭრილი და ქანცგაწყვეტილი ვიყავი, მეორე დილით არ წამიყოლეს და ახლობელთა ჯგუფი მოწინააღმდეგის ზურგში შვეულმფრენით გაფრინდა. ის, რაც ნინა დღეს ხუთმა ძალადაკარგულმა ადამიანმა ვერ მოვახერხეთ, აღმოჩნდა, რომ ვერც თხუთმეტამდე ჯან-ღონით სავსე მოხალისემ შეძლო. ხევიდან მიცვალებულის ამოყვანის მცდელობა ისევ უშედეგოდ დასრულდა. იმედგაცრუებულები და ნირწამხდარები დაბრუნდნენ უკან. თავს ვერაფრით იმართლებდნენ. იმედს არ კარგავდნენ, რომ მომდევნო დღეს მოახერხებდნენ გამოყვანას. თბილისში ჩემს მშობლებს ათასგვარი მიზეზით გადმოსვენების დროს უწელავდნენ, მათაც ატყუებდნენ და თავსაც იტყუებდნენ. მას მხოლოდ ალპინისტები თუ ამოიყვანდნენ თოკებით. ბიჭები თავს იმტვრევდნენ, რა ეღონათ.

სოხუმში უცებ გავარდა ხმა, რომ დაღუპულის გამოყვანას ვერ ვახერხებდით. იქ მყოფთათვის გონჩას ცხედრის გადმოსვენება სინდისისა და ღირსების საქმედ იქცა. სოხუმის მკვიდრი, ცნობილი მთამსვლელი კიმი ჯაჭვლიანი ორ მეგობარ ალპინისტთან ერთად ყველანაირი საჭურვლით დამძიმებული მოვიდა, გასაფრენად მზად იყვნენ. ახლა უფრო იმედიანად გავფრინდით. მთებში კოკისპირულად წვიმდა და ღრმა ნისლი იყო ჩამოწოლილი. უკუნეთში უფსკრულის პირას სიარულს ჰგავდა პილოტისთვის ასეთ ნისლში ფრენა. იძულებულნი ვიყავით, შუა გზიდან უკან დავბრუნებულიყავით. იმავე დღის მეორე ნახევარში კიდევ ერთხელ გავფ-

რინდით. უდიდესი რისკის ფასად პილოტი მთებში დაბალ სიმაღლეზე ცდილობდა ნისლის გარღვევას, მაგრამ უშედეგოდ. იმ ადგილას მისვლა მაინც ვერ მოვახერხეთ. თითქოს ბუნება არ იძლეოდა მისი გამოყვანის უფლებას. ამინდის გაუმჯობესების მოლოდინში უფალს შველას შევთხოვდით და ყველაფერს მის წესრიგს ვუკავშირებდით. ის კი თურმე მიცვალებულის გამოსაყვანად უფრო დიდ და საოცარ ამბავს ამზადებდა.

მომდევნო დღესაც ორჯერ გაფრინდნენ დაღუპულის თანამებრძოლები და ახლო ნათესავები, მათთან ერთად – კიში და მისი მთამსვლელები, მაგრამ ისევ უშედეგოდ. უახლოესი ერთი კვირის ამინდის პროგნოზი საერთოდ უიმედოს ხდიდა ცხედრის გადმოსვენებას. ამასობაში აფხაზთა და რუსთა „გულმოწყალების" ფიალაც აივსო. სისხლით დაკავებულ ტერიტორიაზე უკვე აღარც ქართველ ქვეითთა მიმოსვლა სიამოვნებდათ და არც ჰაერში ქართული შვეულმფრენის ფარფატი.

სამი დღის თავზე „გუდაუთამ" თავის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, მდინარე გუმისთის იქით – ზღვაში, ხმელეთსა თუ ჰაერში – ქართველებისათვის გადაადგილება და ფრენა საბოლოოდ აკრძალა. ამ აკრძალვასთან ერთად დაღუპულის გადმოსვენების უკანასკნელი იმედიც მოკვდა. იმ წუთიდან სულის სიმშვიდე საბოლოოდ დავკარგე. გამუდმებით ჩამესმოდა ხმა: „ის შენ არასოდეს დაგტოვებდა, არასოდეს!.." '

იმ დროს, როდესაც მიცვალებულის გამოყვანის იმედი თითქმის გადაგვეწურა, მოვლენები მოულოდნელი მიმართულებით განვითარდა, ისე რომ მე ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. ავთო იოსელიანი ალექსანდრე ანქვაბს დაუკავშირდა, დაღუპულის ვინაობა გაუმჟღავნა და აფხაზებს ქართველებისთვის სიკეთის გაკეთება სთხოვა. ანქვაბმა ზუსტი ადგილის საჩვენებლად მეგზური ითხოვა. იმავე საღამოს სოხუმიდან გუდაუთაში გაფრენის სურვილი გოგა ვარდანაშვილმა გამოთქვა. თბილისში მარტო, ძმის გარეშე დავბრუნდი. ჩემი დადებული პირობის შესრულება ახლა იმის ხელში იყო, ვისაც იარაღით ვებრძოდი და ტყვიას ვესროდი. დღეს მის კეთილ ნებაზე ვიყავი დამოკიდებული.

სხვანაირი, დაბეჩავებული მეჩვენა აქეთა საქართველო. სახლსა და კერას გადაჩვეულმა ახლაღა მივაქციე ყურადღება ჩემიანებს, ჩემს მშობლებს თვალში ცრემლი გაშრობოდათ.

აქამდე ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობიდან" ვიცოდი, რომ „სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, – ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა".

მხოლოდ ახლა მივხვდი, რომ შენი სიცოცხლე მხოლოდ შენ არ გეკუთვნის, შვილის სიცოცხლე დედ-მამისაცაა, ოჯახისაა. რაღაც მანამდე უცხო გრძნობა მეუფლებოდა, ჩემივე თავს ვერ ვცნობდი. ვერ ვხვდებოდი, რა მემართებოდა.

ცხადსა თუ ძილში, ნანახი თვალიდან არ მცილდებოდა, გულიდან კვნესა არ მშორდებოდა. ომში თავს გადამხდარი ამბების ხელახლა ნახვის შიშით ვერ ვიძინებდი. ყოველ ღამე ერთსა და იმავეს ვხედავდი სიზმარში – დაუნდობელ სიკვდილს. ცივსისხლიანი და პირქუში, თავზარდამცემი და სასტიკი, როგორ ცელავდა ბრძოლის ველზე ათობით და ასობით მებრძოლს. ყოველ ღამე სხვადასხვანაირად ახლდებოდა წყლული და წარსულში მაბრუნებდა. ისევ სისხლის მორევში ვტრიალებდი, ვიძირებოდი და ვიხრჩობოდი. სახე სახეს ცვლიდა, ლანდი – ლანდს და კადრი – კადრს. ხან აფეთქების ტალღაში ვიძირებოდი, ხან განგმირულ თანამებ-

მეთა გროვას ვხედავდი, ხან ქარაფებიდან გადაჩეხილ სამხედრო პოლიციელს. შევცქეროდი აფეთქებულ შვეულმფრენს, ზღვის ფსკერისკენ რომ მიექანებოდა. ხეს მიყუდებული გია ციბაძის სახე მედგა თვალწინ. ძმის სახეს ვხედავდი, მიწისაგან შეჭმულსა და შეურაცხყოფილს, სისხლის სუნს ვგრძნობდი, მის მუცელში ჩაგუბებულის, განძრევისთანავე რომ გადმოსკდა. ვბორგავდი და ვცდილობდი, ცხადში ნანახისათვის სიზმარში მაინც დამეღწია თავი. სიზმრის შიშით უცებ ვფხიზლდებოდი. ცივი ოფლი მასხამდა და სული მეხუთებოდა. ლოგინიდან ვდგებოდი, სიგარეტს სიგარეტზე ვეწეოდი, წინ და უკან დავდიოდი, ათასგვარი აზრი და ფიქრი მიმღვრევდა გონებას.

პასუხისმგებლობის გრძნობა სულს მიხუთავდა და გულზე ლოდად მაწვა. იმათზე ვდარდობდი, ვინც სიკვდილს ვერ გადაურჩა და ამას ჩემს ამპარტავნობასა და თავდაჯერებულობას ვაბრალებდი. ამდენი კაცი წავიყვანე, თვითონ გადავრჩი, სხვები კი არ ჩანდნენ! მათი სიკვდილის ცოდვა სულსაც მიმძიმებდა და ხორცსაც. შინმოუსვლელი მეომრების მშობლები სახლში მაკითხავდნენ, შვილებს ეძებდნენ, მათი ცოცხლად მნახველის პოვნას ცდილობდნენ და გარდაცვლილების ცოცხლად დაბრუნებას ითხოვდნენ. ვცდილობდი, არაფერი მეთქვა დაკარგულებზე, რომელთა სიკვდილზე მხოლოდ მსმენოდა, მაგრამ ცხედარი არ მენახა; ვინც ნანახი მყავდა და ზუსტად ვიცოდი, რომ ცოცხალი აღარ იყო, მაინც მერჩივნა, დამემალა და მშობლის გულში ცოცხალი ყოფილიყო. მათაც ასე ერჩივნათ, დაკარგული ყოფილიყო, იმედს იტოვებდნენ, რომ გამოჩნდებოდა. დრო მიდიოდა, ისინი კი არ ჩანდნენ...

ყოველი შეხვედრისას დედების თვალებში ჩახედვის შიშით ვკრთოდი. ზოგი თუ თანაგრძნობით მლოცავდა, ზოგი ისე მწარედ მომატირებდა, მეგონა, მე მაბრალებდა შვილის დაკარგვას. ვერაფრით ვერეოდი დარდს, დაკარგულების ოჯახის წევრებთან შეხვედრა ტანჯვას მიასკეცებდა.

როგორ ვიფიქრებდი, რომ გაგრაში გაფრენის პატრიოტული ნაბიჯი დაღუპულთა მშობლების წინაშე წარმოუდგენელ დანაშაულად მექცეოდა. როგორ უნდა მეთქვა, რომელი დედისთვის ამეხსნა, რომ მისი შვილი იქ, ბრძოლის ველზე დარჩა, დაუმარხავი. თავს სისხლით მოსვრილ ფრინველთა გუნდი დასტრიალებდა, როგორც ნადავლს, ხოლო გარდაცვლილების ნეშტს დამშეული ჭიაღუები შესეოდნენ და სისხლიანი ნადიმი გაემართათ.

ეს იყო ის მწარე სიმართლე, რომელსაც დედებს ვერ ვუმხელდი. ეს ნახა ჩემმა თვალებმა. აი, რატომ ვუმალავდი და რატომ ვიკლავდი ნაღველს გულში, მწარედ ვდარდობდი და განვიცდიდი, რომ სადღაც, მთებში ჯერ კიდევ იყვნენ დარჩენილები ჩემი თანამებრძოლები, რომლებმაც იქაურობას თავი ვერ დააღწიეს.

ამასობაში გოგა ვარდანაშვილს ბომბორას აეროდრომზე აფხაზი მილიციელები დახვდნენ და ანქვაბთან გუდაუთაში გადაიყვანეს. მისი გუდაუთაში ჩასვლის მიზეზის შენიღბვის მიზნით ის ღამე ყველაზე უსაფრთხო ადგილას, გუდაუთის მილიციის კაპეზეში გაატარებინეს ანქვაბის ერთგული მილიციელების მეთვალყურეობის ქვეშ. მეორე დილით მეგზურმა ბრძოლის ადგილას მიიყვანა აფხაზი მინისტრი და მისი ერთგული მილიციელები. ეს უკვე მერამდენედ დაიწყო ბრძოლა ბუნებასთან, კლდესთან და მთასთან... ხევთან... ოცამდე აფხაზი მილიციელი მთელი დღე გადაუღებელ წვიმაში ცდილობდა ხევიდან მიცვალებულის ამოყვანას, თუმცა უშედეგოდ. სინესტეში ცხედარს გახრწნა დაეწყო, მძაფრი სუნი მიახლოებას და ხელით ამოყვანას შეუძლებელს ხდიდა. ორი დღე ცხედრის ამოყვანას უშედეგოდ ცდი-

ლობდნენ გოგასთან ერთად. არ აკადრეს დაღუპულს ბაგირით ასობით მეტრზე თრევა, თუთიის კუბო მოითხოვეს და ამოყვანა მომდევნო დღისთვის გადადეს.

თბილისში ოჯახი, ახლობლები მოუთმენლად ელოდნენ მიცვალებულის ჩამოსვენებას, დრო კი იწელებოდა. ავთო იოსელიანი ყოველდღე რეკავდა და ამბავს კითხულობდა. ანქვაბი მომდევნო დღისთვის აიმედებდა. შეეძლოთ ეთქვათ, ტვინი ნუ წაიღეთ თქვენი მკვდრითო, მაგრამ პირიქით, ნაცვლად ამისა, ძალასა და ენერგიას არ იშურებდნენ, როგორმე ცხედარი ხევიდან ამოეყვანათ. აფხაზ მილიციელს ქართველი მეგზურისთვის თანაგრძნობით უთქვამს, ამ მთის იქით ექვსი, მეორე მთის იქით კიდევ ოთხი დაღუპული ქართველი უკვე დავასაფლავეთო. ღირსებით შემკული კაცი აღმოჩნდა ანქვაბი. მოწინააღმდეგეც ასეთი უნდა ინატრო. სიტყვა თქვა და შეასრულა. რა თქმა უნდა, ეს არძინებას თანხმობის გარეშე არ მოხდებოდა. ორივესთვის მადლობის მეტი რა მეთქმის ჩემი ძმის ცხედრის დაბრუნების გამო.

ათი დღის შემდეგ, 15 ოქტომბერს თუთიის ყუთში ჩასვენებული ნეშტი გუდაუთიდან ჯერ სოხუმში, იქიდან უკვე თანამებრძოლი ბიძაშვილების თანხლებით თბილისში ჩამოასვენეს. ასე თუ ისე, სინდისიც დამიმშვიდდა, თუმცა გარდაცვლილის დასახიჩრებული სხეულის კიდევ ერთხელ, თუნდაც უკანასკნელად შეხედვა ვეღარ გავბედე. ცხედრის გაპატიოსნებას ჩემ ნაცვლად ჩვენი ბიძაშვილები ესწრებოდნენ, მე კი ამ დროს იქვე, გვერდით კაბინეტში ექსპერტიზის უფროსის, ზაზა ოქრუაშვილის მიერ ხმის კანკალით წარმოთქმულ სიტყვებზე: „მისი შესანდობარი იყოს!“ – სპირტით სავსე ჭიქა უხმოდ გადავკარი. ზაზასაც ცრემლები მოსდიოდა. სწორედ იმ დღეს გავაცნობიერე სრულად რიგითი მეთაურობიდან სარდლობამდე ჩემ მიერ თვალის დახამხამებაში განვლილი გზის მთელი სიმწარე. სწორედ მაშინ ამეხილა თვალი და დავინახე, რომ აქამდე სამხედრო კარიერის იერარქიაში წარმატებული აღმასვლის მთელი ხიბლის საზღაური ამ განსაცდელთან შეხვედრა იყო.

■

გასვენებაში უამრავი ხალხი მოვიდა. თანაგრძნობას გამოხატავდნენ და მწუხარებას იზიარებდნენ. მათ მიმართ, ვისგანაც გულწრფელ მხარდაჭერას ვგრძნობდი, მადლიერებით ვივსებოდი, მაგრამ სამხედრო ფორმაში გამოწკეპილი ადამიანების დანახვა მაღიზიანებდა. ნაცვლად იმისა, რომ იქ ჩამოსულიყვნენ, სადაც სამშობლოს სჭირდებოდა, მოვალეობას იმით იხდიდნენ, რომ მიცვალებულს გარს უვლიდნენ. თითქოს ყველა მათგანის ვალი არ იყო სამშობლოსათვის ბრძოლა! ზოგჯერ ერთი სული მქონდა, ხმამაღლა მეთქვა: „აქედან მოუსვით, თავიდან მომწყდით და გამეცალეთ!“ – მაგრამ ენას კბილს ვაჭერდი და უსიტყვოდ ვართმევდი სამძიმრის ნიშნად გამოწვდილ ხელს. მინდოდა, ყველასთვის მომეყოლა, როგორ დაიკარგა, როგორ წაგვართვეს და წაგვიბილწეს გადამთიელებმა ქართული კუთხე იმ დროს, როდესაც ქართველები უდარდელად ისხდნენ საკუთარ სახლებში და ისე აგრძელებდნენ ყოველდღიურ ცხოვრებას, თითქოს მნიშვნელოვანი არაფერი ხდებოდა. ყოველი ოცეულის, ასეულის, ბატალიონის, ოფიციალური თუ არაოფიციალური ფორმირების მებრძოლთა რაოდენობა ზეპირად ვიცოდი, ვის რა ძალა და შესაძლებლობა ჰქონდა. ნაწილს მაინც რომ მოენდომებინა და მოგვშველებოდა! იქნებ შეგვენარჩუნებინა კიდეც, რაც დავკარგეთ.

იმავე დღეს, ჩემი აზრის უკითხავად და გაუთვალისწინებლად, მაგრამ ჩემს საამებლად, ჩემი ძმის სახელი დაარქვეს კაკაბეთის ქუჩას, სადაც დავიბადეთ და გავიზარდეთ. თავიდანვე არ მომეწონა ეს გადაწყვეტილება. რატომ გამოარჩიეს

ერთი? ამ პატარა ქუჩიდან ხომ შვიდი ბიჭი იყო დაღუპული – ყველა ჩვენი მეგობარი, თანაკლასელი და მეზობელი. მინდოდა, მადლობა გადამეხადა და უარი მეთქვა, მაგრამ მიცვალებულისა და ჭირისუფლის ხათრით გავჩუმდი, უფრო სწორად, ძალა არ შემწევდა, რადგან ყველას წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობდი. იმ წუთიდან, რაც ქუჩაზე ძველი აბრები ახლებით შეცვალეს, სიმშვიდე დავკარგე. საკუთარი ძმის სახელისა კი არ მრცხვენოდა, არამედ იმ ქუჩაზე მცხოვრები სხვა უსახელოდ დაღუპული მეგობრებისა. იმ დღიდან ავიკვიატე, რომ ქუჩისთვის ძველი სახელი დამებრუნებინა.

ძმის ჩამოსვენება და დაკრძალვა აფხაზების მიმართ თავის დროზე ჩემი ადამიანური დამოკიდებულების სანაცვლოდ აფხაზური მხარის პირველი პირების მიერ გამოჩენილი კეთილი ნებით მოვახერხე, მაგრამ უგზო-უკვლოდ დაკარგული თანამებრძოლების მოძიება და გამოყვანა ვეღარ შევძელი. ძმის წინაშე მოვიხადე ვალი, მაგრამ ბიძაშვილი ისევ არ ჩანდა. არც სხვები ჩანდნენ...

მთებსა და ტყეებში ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილი სამოცამდე მებრძოლი ერთი სომხის სახლში იყო გამაგრებული და დანებებაზე უარს აცხადებდა. „ამბალა“ და „ფიქსა“ – მამუკა ნავდარაშვილი და გარიკ გასპარიანი – ადგილობრივი სომხის მეშვეობით აფხაზებთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ და უსაფრთხო კორიდორს ითხოვდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით იმუქრებოდნენ. უიმედოდ ელოდნენ თბილისიდან შველას. კავკასიონის თხემებიდან დაბლა დაწეული ნისლი შვეულმფრენისთვის გადაულახავ დაბრკოლებად იქცა. მფრინავი გათენებიდან დაღამებამდე ამინდის გაუმჯობესებას ელოდა, რომ ნისლის გაფანტვისთანავე გამოეყვანა ტყეში მიტოვებული ბიჭები. უკვე მერამდენე დღე გადიოდა – მერვე, მეათე... ამინდი კი ჯიუტობდა. მე-17 დღეს „ამბალასა“ და „ფიქსას“ ჯგუფის გამოყვანა მოხერხდა, მაგრამ სხვებისა – ვერა. ტყეში გაფანტულებს მოწინააღმდეგე პოულობდა. ჯერ დანებებას სთხოვდნენ, უარის შემდეგ ცეცხლს უხსნიდნენ. ქართველი მებრძოლები ხანმოკლე და უშედეგო წინააღმდეგობას უწევდნენ, უკანასკნელ ტყვიამდე იბრძოდნენ... მათ ასავალ-დასავალს ვეღარავინ გაიგებს...

120-მდე მებრძოლი დაიკარგა. ჭორი გავრცელდა, ბზიფის ხეობაში, აეროდრომის ტერიტორიაზე მდებარე ბარიტის საბადოში მონებად ამუშავებენო, მაგრამ რაც დრო გადის, იმედიც კვდება, რომ ვინმე ცოცხალი გადარჩა. ბოლოს უგზო-უკვლოდ დაკარგულებად აღიარეს, რაც იმას ნიშნავს, რომ არც ცოცხლები დაბრუნდებიან და არც საფლავი ექნებათ, დედის ცრემლს დილის ნამი უცვლით, მაღლიდან ანგელოზები უგალობენ. ნათქვამია, ანგელოზები არასოდეს მიატოვებენ მათ, ვინც სამშობლოს თავი შესწირაო. გავა დრო და სისხლით მორწყულ მდელოზე ყვავილები ამოხეთქავს. იქნებ ჭირისუფალს ოდესმე ეღირსოს და საკუთარი ხელით მოკრეფილი ყვავილებით შეამკოს გარდაცვლილი შვილის სავარაუდო საფლავი. იმ ყვავილებს მაინც შეახოს ხელი, მისი შვილის სხეულიდან რომ აღმოცენდა...

ეს არის ის მწარე სიმართლე, რაც აქამდე ბევრმა არ იცოდა. სამაგიეროდ ზეცაში იციან ყველაფერი, სულ წვრილად.

ასე გაწყდა, ასე შეაკვდა გაგრისა და ლესელიძისთვის ბრძოლას ქართველთა მცირერიცხოვანი ლაშქარი. ალბათ არცერთი, ვინც დღემდე არ ჩანს, არ დაინდო სიკვდილმა – ისინი, ვინც გაქცევას სიკვდილი არჩია. ღირსეულად მოიხადეს ქვეყნის წინაშე ვალი და ვიდრე თვალებს სამუდამოდ დახუჭავდნენ, ამაყობდნენ, რომ სიცოცხლე სამშობლოს შესწირეს. ზემდგომებისგან მიტოვებულებმა იმქვეყნად წა-

იღეს წყენა. მერე რა?! გარდაცვლილები ხომ არ ბრუნდებიან, მით უფრო – სასაყვედუროდ, ამიტომაც ეს ცოტას თუ ადარდებს.

მხოლოდ გაგრის ტრაგედიის შემდეგ აღმოაჩინეს ქართველებმა, რომ აფხაზისთვის ქართველი დაუძინებელი მტერი იყო, ხოლო რუსეთი – კონფლიქტში მონაწილე მხარე, აფხაზთა მხარდამჭერი და მოკავშირე. აღმოჩნდა, რომ თუ გინდა, ომში მოწინააღმდეგეზე გაიმარჯვო, ის უნდა გძულდეს და სასიკვდილოდ გემეტებოდეს. ვერ გავიმეტეთ, როცა სოხუმში შევდიოდით, მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლს მოვერიდეთ. მათ კი გაიმეტეს ქართველები, ყველასგან მოწყვეტილი და ალყაში მოქცეული მშვიდობიანი მოქალაქეები, ქალი თუ ბავშვი. სისასტიკეში გვაჯობეს აფხაზებმა, კიდევ – სიძულვილში. ჩვენ მათში ჩვენი საერთო ქვეყნის მოქალაქეებს ვხედავდით, ისინი კი ჩვენში – აგრესორსა და დამპყრობელს. ვძულდით ჩეჩენს, ინგუშს, ყაბარდოელსა და ადიღელს. ათასობით ჩრდილოკავკასიელს საღვთო ომად მიაჩნდა ქრისტიანი ქართველების წინააღმდეგ ბრძოლა.

მამაცი, თავზეხელაღებული მეომარი იყო შამილ ბასაევი, რაზმიც ძლიერი ჰყავდა, კარგად ორგანიზებული. როგორც ბრძოლებმა აჩვენა, გუდაუთის სამხედრო ბაზაზე საბრძოლო მომზადებისთვის გატარებული დრო 204-ე სადესანტო-საშტურმო ჰოლკის ოფიცრებს ტყუილად არ დაუკარგავთ, მაგრამ გარწმუნებთ და ბიჭებსაც არაერთხელ უთქვამთ, მე რომ ვყოფილიყავი გრებეშოკის მთაზე, სულ სხვაგვარად წარიმართებოდა ბრძოლა. სხვა სულისკვეთება იქნებოდა, არც კამათი და განხეთქილება მოხდებოდა. დღემდე ვნანობ, რომ ვერ შევძელი იქ დაბანაკებულებთან დროულად მისვლა, რათა კიდევ ერთხელ შევხვედროდი პირისპირ ბრძოლაში ჩეჩენთა რაზმის მეთაურს.

ნებისმიერ სხვა დროსა და ვითარებაში, რუსეთის მიერ სხვა სუვერენული სახელმწიფოს შიდა საქმეში სამხედრო ჩარევის გამო გაერო შეშფოთებას მაინც გამოხატავდა, ევროკავშირი განცხადებას გააკეთებდა, გააკრიტიკებდა... აქ კი, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, არც გაეროს ჰქონია რაიმე რეაქცია, არც ევროკავშირში შეწუხებულა ვინმე. იმ დროს საერთაშორისო თანამეგობრობა ახლო აღმოსავლეთში რუსეთის შუამავლობით დადებული ზავით ამაყობდა და საქართველოსთვის არ ეცალა. ორი დასახლებული პუნქტით შემცირებული ქვეყნის მშვიდობის გარანტად ისევ რუსეთს განიხილავდნენ, დსთ-ის ნევრები კი საქართველოს კვლავ მოლაპარაკების მაგიდასთან იხმობდნენ. რუსეთის რაობაცა და მისი მიზანიც საბოლოოდ გამოაშკარავდა, ის საქართველოს ხელისუფლების, ქართველი ხალხის გატეხას ელოდა და დსთ-ში შესათრევად შესაფერის დროს არჩევდა.

ასე შერჩათ აფხაზებს ხელშეკრულების მუხანათური დარღვევითა და ღალატით მიღწეული გამარჯვება, თუმცა ქართველ პოლიტიკოსებს აქედან სათანადო დასკვნები არ გამოუტანიათ. ამის შემდეგ კიდევ არაერთხელ მოაწერენ ხელს რუსეთის მონაწილეობით შედგენილ სამშვიდობო ხელშეკრულებებს, რომლებსაც აფხაზები კვლავ დაარღვევენ და საბოლოო მიზანსაც მორიგი ხელშეკრულების საფუძველზე განიარაღებული სოხუმის აღებით მიაღწევენ. ქართველებს ნებისმიერ შეუსრულებელ სიტყვაზე დღემდე უკიჟინებენ, თავიანთ მუხანათურ ქმედებებზე კი არაფერს ამბობენ. ქართულ მხარეს არც 1-2 ოქტომბერს გაგრისთვის და არც 5 ოქტომბერს ძველი გაგრისა და ლესელიძის ბრძოლებიდან გაუკეთებია სათანადო ანალიზი: რა მოხდა? რატომ დავმარცხდით? რით გვაჯობა მოწინააღმდეგემ?

იმიტომ კი არ გაიმარჯვეს, რომ ინდივიდუალური სიმამაცით ან ვაჟკაცობით სჯობდნენ ქართველებს, არამედ ტაქტიკური მოქმედებებით გვაჯობეს, რაც ნათ-

ლად გამოჩნდა მათი ქვედანაყოფების ურთიერთქმედებებში, თუნდაც ოცეულის, ასეულის თუ ბატალიონის დონეზე. ასევე, ცეცხლის წარმოების ხერხებისა და მეთოდების სწორად გამოყენებასა და ბრძოლის მართვაში, რაშიც რუსეთის არმიის მოქმედი ოფიცრების ხელშეწყობისა და საბჭოთა არმიიდან დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურეების მონაწილეობის კვალი აშკარად შეინიშნებოდა.

რუსი სამხედროების ხელშეწყობით აფხაზების სრული უპირატესობა გამოიკვეთა საბრძოლო უზრუნველყოფის მხრივაც, მათ შორის, როგორიცაა დაზვერვა სიღრმეში – ჩვენი რაზმების განლაგებასა და საბრძოლო წყობებზე ინფორმაციის მოსაპოვებლად და მათ წინააღმდეგ საავიაციო საცეცხლე მხარდაჭერის განსახორციელებლად. სწორედ ამისთვის დაფრინავდნენ რუსული Су-27-ის ტიპის სამხედრო თვითმფრინავები და საჭიროების შემთხვევაში ბრძოლაში დაუყოვნებლივ ერთვებოდნენ, ისე როგორც გოგი კვესაძის შვეულმფრენის ჩამოგდებისას მოიქცნენ.

მათი დახმარებით მოპოვებული და რადიოკავშირით ოპერატიულად გადაცემული სადაზვერვო ინფორმაცია მოწინააღმდეგეს საარტილერიო ცეცხლით მხარდაჭერის უზრუნველყოფას უადვილებდა და ბრძოლაში სრულ უპირატესობას აძლევდა. აფხაზური მხარე სრულად იყო უზრუნველყოფილი ტექნიკური და მატერიალური საშუალებებითაც, როგორიცაა: იარაღი, ტყვია-წამალი, ჭურვები, საბრძოლო მასალები – რის მიღწევაც მხოლოდ რუსული არმიის მაღალჩინოსნების ხელშეწყობით თუ იქნებოდა შესაძლებელი.

საქართველოს შეიარაღებული ძალები არტილერისტების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიდა თბილისის საარტილერიო სასწავლებლის დამსახურებით. აი, საერთო საჯარისო სასწავლებლის კურსდამთავრებულ ოფიცერთა სიმცირე ქვეითთა ქვედანაყოფებში „ბატალიონი (ასეული თუ ოცეული) თავდაცვაში და შეტევაში“ უკანასკნელ ბრძოლებში აშკარად გამოიკვეთა. პრაქტიკულად, თბილისის ომის შემდეგ ხელახლა ჩამოყალიბებულ ეროვნულ გვარდიას და თავდაცვის სამინისტროს მანამდეც და ახლაც ომის მსვლელობის პარალელურად უწევდათ ქვედანაყოფების მოხალისეებით შევსება, შეიარაღებისა და ტექნიკის მიღება და მათი ბრძოლაში გამოყენება ისე, რომ მეთაურებს სხვადასხვა პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადებისა და წვრთნებისათვის დრო საერთოდ არ ჰქონდათ.

თავის მხრივ, ერთიანი ჯარის არარსებობა ხელს უშლიდა ფრონტზე საერთო საბრძოლო წყობისა და წესრიგის ჩამოყალიბებას, რაც ომში მონაწილე სამხედრო ძალებისა და გასამხედროებული ფორმირებების თუ მოხალისეთა რაზმების ერთად თავმოყრისა და საბრძოლო მოქმედებებში ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობას ნაკლებად იძლეოდა. როგორც ბრძოლებმა აჩვენა, სწორედ ეროვნული გვარდიის, „მხედრიონისა“ და ცალკეულ მოხალისეთა რაზმების ერთად შერწყმული, შეკავშირებული მოქმედების თუ ურთიერთქმედების (ე.წ. „Взаимодействие“, „Сложение“) მიუღწევლობა გახდა გაგრის დაცემის ერთ-ერთი მიზეზი.

მოწინააღმდეგის საბრძოლო შესაძლებლობების თვალსა და ხელს შუა, ასეთ ხანმოკლე პერიოდში ზრდამ და გაძლიერებამ, რისთვისაც გაგრის დამცველები მოუმზადებლები აღმოჩნდნენ, აშკარად გამოკვეთა სამთავრობო ძალების თავდაცვის სისტემის საინჟინრო უზრუნველყოფის აუცილებლობა, რაც წინასწარ საყრდენი პუნქტებისა და თავდაცვის ზღუდეებისათვის სანგრების მომზადებას, მისადგომებზე ნაღმებისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების განლაგებას და სხვა მრავალ სამუშაოს ითვალისწინებს.

სწორედ საინჟინრო უზრუნველყოფის მხრივ არსებული ნაკლოვანებები გახდა მარცხის კიდევ ერთი მიზეზი, უპირველესად, გაგრის, შემდეგ კი ძველი გაგრალესელიძისათვის ბრძოლებში, თუმცა აღნიშნულს, სუბიექტურის გარდა, ობიექტური მიზეზებიც ჰქონდა, რომლებიც ანალიზის შედეგად მომავალში აღმოფხვრას მოითხოვდა.

თბილისში გამომავალ გაზეთებში გამოქვეყნებულ ინტერვიუებში არაერთი კომპეტენტური რესპონდენტი გაგრაში მარცხისა და არაორგანიზებულობის მიზეზად სწორედ ერთიანი ჯარის არარსებობას ასახელებდა, თუმცა სამხედრო უწყების, „მხედრიონისა“ და ცალკეულ მოხალისეთა რაზმების ხელმძღვანელები ამას სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ.

გაგრის დაცემიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ მათ, თბილისიდან გულგრილად რომ გვიცქერდნენ, როგორ ვიცლებოდით სისხლისგან ბრძოლაში, როგორც ხდება ხოლმე, ბრძოლის დასრულების შემდეგ დაიწყეს განსჯა და მუშტების ქნევა.

იმ დროს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი შეიარაღებული ფორმირების ხელმძღვანელი ჯაბა იოსელიანი შანსს არ უშვებდა ხელიდან, მწარედ რომ არ ნამოეძახებინა, სანატორიუმ „უკრაინასთან“ ხიდს თუ ააფეთქებდით, არც არაფერი მოხდებოდაო. ამგვარად, აქეთ გვიწუნებდა ძალისხმევას, არადა ისიც კი არ იცოდა, რომ მონინააღმდეგე ამ გზით არ შემოსულა.

ცალკე სამოქალაქო დაპირისპირებისას მეორე მხარეს მდგომი ადამიანების უსამართლო განსჯა გვწვდებოდა და გვაღიზიანებდა.

იყვნენ სხვებიც...

ნაცვლად იმისა, რომ ებრძოლათ, გაზეთებში სტატიებს აქვეყნებდნენ, ტელევიზიებს ინტერვიუებს აძლევდნენ და გაგრის ბრძოლებზე გაუთავებლად ჰყვებოდნენ ზღაპრებს, თხზავდნენ ლეგენდებს...

სხვის ომში სიბრძნის გამოჩენის დიდი ნიჭი გვაქვს ქართველებს. ასეთებს, როგორც კი საშუალება მიეცემათ, სხვას განსჯიან, აკრიტიკებენ, კიცხავენ, აქილიკებენ. ხოლო თუ საკუთარი სიმხდალისა და უმოქმედობის მისაჩქმალად სათქმელი აღარაფერი რჩებათ, ისტორიის ფურცლებსაც დაუფიქრებლად შლიან სხვისი თავგანწირვის ჩასაფარცხავად, თითქოს მართლა არავის არაფერი ეკეთებინოს, ეგ კი არა და, საერთოდაც არაფერი მომხდარიყოს.